დათო ბახბაქაძე

მცირე პროზა
1990-2010

დათო ბარბაქაძე

მცირე პროზა 1990-2010

თვითგამოცემა

Dato Barbakadse

KURZPROSA 1990 - 2010
3. Auflage der ersten Ausgabe: 1(ein) Exemplar
25. Dezember, 2010
Tbilissi

თავს მოვალედ მივიჩნევ, გულწრფელი მადლიერება გამოვთქვა ჩემი ორი ერთგული მეგობრის მიმართ, რომელთა მიერ ჩემთვის გაწეული ფასდაუდებელი სამსახურის გარეშე ოცნებაც კი ზედმეტი იქნებოდა წინამდებარე წიგნის გამოცემაზე:

პერსონალური კომპიუტერი IBM T43
და ლაზერული პრინტერი LEXMARK OPTRA E312L.

გარეკანზე: ვან გოგის *მთესველი* (1888).

პირველი გამოცემის მესამე ეგზემპლარი:
2010 წლის 25 დეკემბერი, თბილისი.

წინამდებარე ეგზემპლარის თვითღირებულება - ტექსტების აკრეფის, კორექტირების და დაკაბადონების გამოკლებით - შეადგენს 50,00 (ორმოცდაათ) ლარს.

ISBN 978-9941-0-2441-2

დათო ბახბაქაძე

მცირე პროზა 1990-2010

თბილისი
2010 წლის 25 დეკემბერი
თვითგამოცემა

ერთგვარი წინასიტყვა

1.

თვალს თუ გადაავლებთ ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუების იმ მონაკვეთებს, რომლებშიც პოეტებს და პროზაიკოსებს მათი გავლენის წყაროებზე და უშუალო ლიტერატურულ იმპულსებზე ეკითხებიან, არ გამოგეპარებათ ერთი უსიამოვნო გარემოება: რა სახელებს და კონტინენტებს არ შეხვდებით რესპოდენტთა პასუხებში, ჰომეროსით დაწყებულს და თანამედროვე საზღვარგარეთული ბესტსელერების ავტორებით და მათი ქვეყნებით დამთავრებულს, ოღონდ კი გულწრფელ პასუხს თავი აარიდონ. ერთნაირად იქცევა პოპულარობის ჟინით ატანილი და ბევრ უხეშობაზე წამსვლელი ოცდახუთი წლის ტიტანიც და სამოცდაათი წლის ლოკალური კლასიკოსიც. უფრო საინტერესო ის არის, რომ ამ დროს, როგორც წესი, ჟურნალისტმა კარგად იცის მსგავსი შეკითხვის მიმართ რესპოდენტის წინასწარი მზაობა და პასუხის შესაძლო ვექტორები, რაც სიტუაციას კიდევ უფრო გულისამრევს ხდის.

საერთოდ, ფარულ ტერიტორიებზე გატანილი კონკურენციის მთელ მზაკვრობას თუ ყურადღებას არ მივაქცევთ, ძალიან სახალისოდ და სასაცილოდაც კი გამოსჩანს ქართული მწერლობისთვის დამახასიათებელი აგრესიული ინფანტილიზმი. რაღაც ისეთი ხდება, გაქექილ ხელოსანს ხელობის ფასს რომ ეკითხები, ის კი სანაცვლოდ ჯიქურ საქმის დაწყებას ცდილობს და დამაიმედებლად შთაგაგონებს, მოვრიგდებით, მოვრიგდებითო, თანაც ამას ისე აკეთებს, რომ კლიენტის ინტელექტს ანგარიშს არ უწევს და მაშინვე, როცა წინააღმდეგობას აწყდება, თავს შეურაცხყოფილად გრძნობს. ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში, ვფიქრობ, გარკვეული და გამჭვირვალე კომუნიკაციები არავის აწყობს, ყველას არაზუსტი და ლიტერატურულად გაურკვეველი ატმოსფერო სჭირდება. ფონი კი ერთმანეთის ისტერიული და სასოწარკვეთილი ქება-დიდება ან ანგარიშსწორებებია ანუ – ისეთი კეთილშობილება, რომლისაც მე არ მჯერა და ამას, უბრალოდ, ჩარჩობის ხელოვნებას ვუწოდებ. ვაჭრობისაც კი – არა, უბრალოდ – ჩარჩობის. გასაგებია, რომ ყველა ისე ჩალიჩობს, როგორც შეუძლია.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მაგალითად ფიზიკაში, ისეთივე ვითარების შექმნა რომ შეიძლებოდეს, როგორიც ქართულ მწერლობაშია გაბატონებული. ვთქვათ, რომელიღაც

ფიზიკოსი წლობით მუშაობს რაღაც პრობლემაზე, მიღებულ შედეგებს და ფორმულებს სტატიაში აყალიბებს, მერე ამ სტატიას სამეცნიერო ჟურნალში გზავნის, ჟურნალი კი სამეცნიერო საზოგადოებას მის მიერ მიღებულ შედეგებს აცნობს. თუ ეს ფიზიკოსიც ფიქრობს და სამეცნიერო საზოგადოებაც აღიარებს, რომ მის მიერ მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია, რას მოელის ფიზიკოსი სამეცნიერო საზოგადოებისგან? ქართული ლოგიკა, რომელიც კონტექსტის გრძნობასაც და ცოდნასაც მოკლებულია, ასე უნდა ჟღერდეს: "ჰქმენ სიკეთე, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება", ან - ასე: "სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს". ანუ, მოცემულ შემთხვევაში, ქართული ლოგიკა ფიზიკოსის ფიქრების ნებისმიერ გადახრას გასაგები ადამიანური ოცნებისკენ, რომ მისი უძილო ღამეების ნაყოფი დაფასდეს, მაშინვე ამპარტავნებად და ქედმაღლობად გამოაცხადებს და ასეთ მეოცნებეს ყველა არსებული თუ არარსებული მორალური და რელიგიური მცნების დაცვისკენ მოუწოდებს. რაც ფიზიკის შემთხვევაში ანომალიად გამოიყურება, ქართულ მწერლობაში ნორმაა. არადა, ტექნიკურ მეცნიერებაშიც, ჰუმანიტარულ მეცნიერებაშიც და ხელოვნებაშიც შედეგი შედეგია და როცა ასეთი შედეგის ანალიზი არ ხდება, საათის ისრები მიმართულებას იცვლიან.

ლიტერატურის ისტორია შედეგების ისტორიაა. შედეგების მიმართ აგდებული დამოკიდებულება ან მათი იგნორირება მწერლობაში უფრო იოლიც არის და სულიერ ცხოვრებაში უფრო მეტ ქაოსსაც წარმოშობს, ვიდრე – ფიზიკაში ან მათემატიკაში (მითუმეტეს – საქართველოში, სადაც უკიდურესად პოლიტიზებულ სახელოვნებო ცხოვრებაში განუსაზღვრელობებისა და გაურკვევლობების გახანგრძლივების მოსურვე მოკალმეთა ხმაურიანი უმრავლესობა ყოველთვის არის სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერის იმედად). სალიტერატურო კრიტიკის ერთი მთავარი ფუნქცია კი სხვა არაფერია, თუ არა – ახალი შედეგების დაფიქსირება და შეფასება, განურჩევლად იმისა, შენთვის სასურველი მწერალი ღებულობს ამ შედეგებს თუ – შენთვის არასასურველი მწერალი (შოთა ჩანტლაძის მიერ მიღებული შედეგები რომ თავის დროზე შეფასებულიყო და დაფასებულიყო, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლების პოეზიაში იმ კლოუნადას არ მივიღებდით, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს კი, ერთი მხრივ, სწორედ კრიტიკის არარსებობის გამო მოხდა, ხოლო მეორე მხრივ – "ვერლიბრისტების" კოგნიტურ ძალებში და პიროვნულ კულტურაში არსებული სერიოზული ხარვეზების გამო, რასაც ასეთი დაბეჯითებით ვერ ვიტყოდი თხუთმეტი თუ ოცი წლის წინ, ახლა კი ამაში ეჭვი არ მეპარება. ხოლო საღი აზრის არარსებობის გამო ის მოხდა, რომ არავის გაუანალიზებია, თუ რას იწონის ის დანაკარგი, რომელიც ამ და

ბევრი სხვა კლოუნადის, არაფრისმომცემი დისკუსიის, ურთიერთობებში მოზეიმე ფარისევლობის, საკუთარი წიგნების გამოცემისა და გაპიარებისთვის, ბინებისა და ბევრი სხვა სარგებლის მისაღებად დახარჯული სამათხოვრო ფუსფუსის შედეგად, მორიგ თაობებს უსაჩუქრეს ჩვენმა მეტად თუ ნაკლებად სახელოვანმა მოკალმეებმა).

2.

ჩვენში კრიტიკოსის ამბიციით გამოსულ მოკალმეთა სიმპათია-ანტიპათიები რიგითი მკითხველის ან ლიტერატურის ჟურნალისტის ინტენციებს არ სცილდება. მაშინ, როცა რიგითი მკითხველი თავისი ემოციებით და კოგნიტური შესაძლებლობებით საკუთარ სულიერ სამყაროში რჩება, მოკალმეები თავიანთი უკუღმართობით, ან არცოდნით, ან ემოციებს აყოლით და პირადი ინტერესების კარნახით და შეგნებული მანიპულაციებით, უბრალოდ, მავნებლობენ. და ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ყველას ერთად გვტოვებს ყოვლად უკულტურო გარემოში. რეალობა, რომელიც ქართულ მწერლობაშია შექმნილი, მარტო კრიტიკის არარსებობაზე კი არ მეტყველებს, საერთოდ ჩვენი არარსებობის ტოლფასია. თვითკასტრაციაც ასეთი უნდა: ფიზიკურად აწმყოში არსებობდე და ცნობიერების დონით ქვის ხანაში იმყოფებოდე. დღესდღეობით ანგაჟირებულ, პოპულარულ ან სცენაზე აქტიურად მოძრავ მწერლებს შორის ერთი მაინც რომ ფიქრობდეს, ხოლო ამ აქტიური ნაკადიდან მეტ-ნაკლებად განზე მდგომ ინტელექტუალთა შორის მხოლოდ უმცირესობა რომ არ ხედავდეს ამ მიმართულებით მოქმედების აუცილებლობას, მაშინ ჩვენს მწერლობაში სულიერი ატმოსფეროც დადებითად შეიცვლებოდა და სააზროვნო სივრცესა და ლიტერატურული ურთიერთობების კულტურასაც ბევრად უკეთესი სახე ექნებოდა.

სხვათაშორის, ეს რეალობა იმათთვისაც სიკვდილის განაჩენია, ვინც ამ საკითხებში ჩახედულია, მაგრამ დუმს (ან ორაზროვნებს) იმიტომ, რომ მასზე უარესებს შორის ოდნავ უკეთესის სტატუსის შენარჩუნება სურს.

3.

ლიტერატურული კულტურის დაბალი ხარისხის ერთ-ერთ უტყუარ მაჩვენებლად ყოველთვის ითვლებოდა, ითვლება და ჩაითვლება გაბატონებულ ღირებულებებთან ხელოვნების დაახლოება, ხშირ შემთხვევაში კი – გავლენის დომინანტური ცენტრების წინაშე სრული კაპიტულაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, კლასიკური წყობის შემოქმედიც და თანამე-

დროვე პოეტი-არტისტიც ყოველთვის საკუთარ თამაშს თამაშობს და თუ რამეს სერიოზულად უწევს ანგარიშს, რათა კონტექსტიდან არ ამოვარდეს, ეს ხელოვნების ტრადიცია და თანამედროვეობაა და არა – პოლიტიკა ან მასობრივი ცნობიერება და პატიოსან რიგით მოქალაქეთა ერთობა, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება პოლიტიკური მანიპულაციების ცოცხალი ასპარეზი. პოეტი თავის თავს ასეთ საზოგადოებაზე მაღლა კი არ აყენებს, მხოლოდ მის მიღმა აღმოჩნდება; მისი თამაში, უბრალოდ, სხვა თამაშია, მისი ცხოვრება სხვა ცხოვრებაა და ამის დანახვა განსაკუთრებულ კულტურას მოითხოვს.

სალიტერატურო კრიტიკა საზოგადოებას სწორედ ასეთი კულტურის გამომუშავებაში ეხმარება. სიტყვასიტყვით რომ გავიმეორო ელიოტის აზრი, კრიტიკა პერმანენტულად არეგულირებს მკითხველის გემოვნებას და მის აღზრდაზე ზრუნავს. ოღონდ ეს ლიტერატურაში მორალური ინსტრუმენტარის შემოტანას არ გულისხმობს, პირიქით, ეს არის მორალური ცნობიერების აგრესიისგან ლიტერატურის საიმედოდ დაცვა.

ახალმა კრიტიკამ სწორედ გასული საუკუნის დიდი ავანგარდული მოძრაობის პარალელურად დააკანონა, რომ კრიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მკითხველის გემოვნების აღზრდაა, ეს კი მართლაც ბევრისმთქმელია. ელიოტთან "გემოვნების აღზრდა" პედაგოგიური ან მორალისტური კი არა, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის არსენალიდან მკვიდრდება. მაშინ, როცა გემოვნების აღზრდის კონცეპტი თითქოს კარგი და ცუდი კრიტიკის დიხოტომიას უნდა გვკარნახობდეს, ახალ კრიტიკაში ის სასარგებლო და უსარგებლო, ნაყოფიერი და უნაყოფო კრიტიკების დიხოტომიად შემოიქცა. საერთოდ, მორალურიდან პრაქტიკულისკენ და ფუნქციონალურისკენ ეს შემობრუნება განმსაზღვრელი აღმოჩნდა მთელი შემდგომი სალიტერატურო ცხოვრებისთვის, ვიდრე პოსტმოდერნულ-ხალხოსნურ მოძრაობამდე (თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ხელოვნების ფილოსოფიაში ჩემი ბიბლია, შილერის "წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ", უღრმეს დონეზე ამ თემის დამუშავების ისეთ ფილოსოფიურ გამოცდილებას შეიცავს, რომლის მასშტაბებს ატომის საუკუნეში შექმნილი ესთეტიკური თეორიებიც კი მოკლებულია).

4.

მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესი, ცხადია, ლიტერატურა არ გახლავთ. ლიტერატურულ ფაქტად მას ლიტერატურულ სისტემაში მონაწილეობის პროცესი აქცევს, რაც ტექსტის არსებობის სხვა ეტაპია. მაგრამ ტექსტმა რომ ლიტერატურულ პროცესში მიიღოს მონაწილეობა,

ლიტერატურული პროცესი უნდა არსებობდეს. ასეთი პროცესი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს, არის მხოლოდ გარკვეული ჩანასახი, ერთგვარი წინარე-ლიტერატურული მდგომარეობა.

ნეგატიური დეფინიციის პრინციპს თუ მოვუხმობთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამწერლო ცხოვრება ჯერჯერობით ლიტერატურული პროცესების აღსაწერად მიღებულ საბაზისო ნიშანთა ინდექსაციასაც კი არ ექვემდებარება, რაც მწერლებისა და მკითხველების ქცევის წესზე, თაობებს შორის ან ერთი თაობის შიგნით მიმდინარე ფსიქოლოგიურ პროცესებზე და მორალზე მკაფიოდ აისახება. სხვა საკითხია, ხდება თუ არა ამ ფსიქოლოგიური მაჩვენებლების თემატიზება (მე ვფიქრობ, რომ არ ხდება).

პირადი გამოცდილება: როცა 2007 წლიდან ჩემი შემოქმედება ქართული საპრეზენტაციო სივრციდან ამოვრთე, ამით, ბევრ სხვა უკეთურობასთან ერთად, ჩვენს ლიტერატურულ ურთიერთობებში გაბატონებული დაბალი კულტურის სიჭარბესაც დავუპირისპირდი. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ჩემგან უზნეობა იქნებოდა ქართულ კონტექსტში ისე მონაწილეობის გაგრძელება, თითქოს არაფერი მომხდარა იმით, რომ საჯარო პრესაში არაერთხელ მიაყენეს შეურაცხყოფა ჩემს შემოქმედებას, ჩემი პოეზია უაზრობად გამოაცხადეს, მერე ჩემი შემოქმედების დაკნინებისთვის მთელი მოძრაობა გააჩაღეს, და ამაზე არც ერთ იმ ადამიანს, რომელსაც ხმის ამოსაღებად საკმარისი საფუძველი ჰქონდა, ხმა არ ამოუღია (მე ვგულისხმობ შეურაცხყოფაზე რელევანტურ პასუხს და არა საქართველოში ტრადიციულად გავრცელებულ ფოლკლორულ ამოძახილებს ან ჩემდამი კერძო საუბრებში დაფიქსირებულ თანადგომებს). უფრო მეტიც, ჩემი შემოქმედების შეურაცხმყოფლებთან ჰარმონიული ურთიერთობა გააგრძელეს და საკუთარი სინდისის გასათეთრებლად მსგავსი კოლიზიების ჩაფარცხვის საბჭოურ ილეთებს მიმართეს. მე თანადგომა არავისგან არასდროს მითხოვია. ხმის ამოღება ჩემთვის კი არა, იმათთვისვე იყო საჭირო, ვინც განზე გადგა ან დაიმალა, მერე კი ჩემი შეურაცხმყოფლების მხრიდან მათ მიმართ აღვლენილი ოდები ან პატარ-პატარა საჩუქრები შეიფერა ანუ მათ ეშმაკურ მოსყიდვებს დათანხმდა და გაიტრუნა (ამ ფონზე განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის ჩემი შემოქმედებისა და პიროვნების მიმართ ყველა იმ ავტორისა და მკითხველის სიყვარული, რომელიც ჩემი დისკრედიტაციისთვის გაჩაღებულმა მდაბიოთა მოძრაობამ ვერ გააცურა).

მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მეორეხარისხოვანია (და არც მე ვარ ერთადერთი, ვისაც შეურაცხყოფენ). არსებითი ის არის, რომ ქართულ სამწერლო გარემოში ურთიერთობების, ქცევების, წარმატებისთვის

ბრძოლის, მკითხველის ყურადღების ველში მოხვედრის საბჭოური წესებია შენარჩუნებული და გადამწყვეტი უმრავლესობა ამ ყალიბში თავს კომფორტულად გრძნობს.

5.

*ძვირფასო ბატონო ***, გუშინ ერთმა ჩემმა მეგობარმა მაცნობა თქვენი ბლოგის შესახებ, სადაც სხვა ქართველ მწერლებთან ერთად ჩემი პოეტური ტექსტებიც არის თავმოყრილი. ბლოგი არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ საერთოდ პოეტური საწყისის მიმართ იმდენად დიდი სიყვარულით არის გაკეთებული, რომ როგორღაც მერიდება თქვენთვის ჩემი სათხოვრის გაზიარება, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ უმადურობაში არ ჩამომერთმევა ეს ჩემი თხოვნა. საქმე ის გახლავთ, რომ მე უკვე დიდი ხანია უარი ვთქვი ქართულ სივრცეში ჩემი ტექსტების პრეზენტაციაზე და ეს თანაბრად ეხება როგორც ბეჭდურ გამოცემებს, ისე - ინტერნეტს. გარდა ამისა, ინტერნეტში ხელოვნების პრეზენტაციასთან დაკავშირებით ჩემი ურყევი პოზიცია მაქვს და ამ პოზიციის თანმიმდევრული დაცვა მოითხოვს, ჩემს ტექსტებზეც ვრცელდებოდეს ჩემი პოზიცია. სწორედ ამიტომ არ ვაქვეყნებ არაფერს ინტერნეტში. მეორე მხრივ, მე არც ქართულ და არც უცხოურ ინტერნეტფორუმებს არასდროს ვსტუმრობ, საერთოდაც, ინტერნეტშეხვედრებისთვის დრო არ მრჩება და ამიტომ მხოლოდ შემთხვევით თუ ვგებულობ, რომ ჩემი ესა თუ ის ტექსტი მოხვედრილა რომელიმე ფორუმში ან ბლოგზე. ცხადია, უაზრობა იქნებოდა, ჩემს დაუკითხავად ჩემი ტექსტების გამოქვეყნების მოყვარულებს ვდიო, მაგრამ როცა ეს შესაძლებელია, აუცილებლად ვუკავშირდები და თხოვნით მივმართავ, რომ მოხსნან ჩემი ტექსტები. თქვენც ამავე თხოვნით მინდა მოგმართოთ, მითუმეტეს, რომ როგორც ჩემთვის უკვე ცნობილია, თქვენ საავტორო უფლებების უგულებელმყოფელთა ლაშქარს არ განეკუთვნებით და ცდილობთ, ყველა ავტორს თავად დაუკავშირდეთ მათი ტექსტების გამოსაქვეყნებლად უფლების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ჩემს შესახებ ინფორმაციებს, არამედ მხოლოდ ჩემს შემოქმედებას. რომ არა ჩემი სუბიექტური კულტურული პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) შემადგენელი ნაწილიც არის ინტერნეტის თანამედროვე სუპერდემოკრატიულ სივრცეში ჩემი ნაწარმოებების გამოქვეყნებაზე უარის თქმა, ამ თხოვნით არ შეგაწუხებდით და მხოლოდ მადლობას გადაგიხდიდით. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი ბლოგიდან ჩემი ტექსტების გაქრობა უხერხულობას გამოიწვევს, შეგიძლიათ ჩემი ეს სათხოვარი გამოაქვეყნოთ იმ ადგილას, სადაც ჩემი ლექსები გა-*

ქრება. ბოდიშს მოგიხდით, რომ ჩემი პოზიციის შინაარსი არ გაგიზიარეთ. ერთ დეტალს კი აღვნიშნავ: ჩემი საყვარელი მოჭადრაკე ბობი ფიშერი, ყველაფერთან ერთად, იმიტომ არის უდიდესი მოჭადრაკე, რომ მისი კეთილშობილება გამორიცხავდა იმ სამყაროსთვის კოჭის გორებას, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება. სწორედ ამიტომ უთხრა მან საზოგადოებას, - მე თქვენ გიჩვენებთ, კრივი უფრო მნიშვნელოვანია თუ ჭადრაკიო, და გაიტანა კიდეც თავისი (სპასკი მას ჭადრაკის პროფკავშირს ეძახდა). მაგრამ ეს ეხებოდა ამერიკულ და არა ჩვენს ქართულ "საზოგადოებას", სადაც თუნდაც ჩემი ეს მაგალითი კარგი საბაბი იქნება ნებისმიერი ჯურის ყეყეჩისთვის, რომ რეალურ პრობლემებს თვალი კიდევ ერთხელ დაუხუჭონ და თემა ფიშერთან გატოლების სურვილში ჩემი დადანაშაულებით ამოწურონ. პოეტური სუპერდემოკრატია საქართველოში სწორედ იმან გამოიწვია, რომ აქ კრივი პოეზიაზე (და, საერთოდაც, ყველაფერზე) მნიშვნელოვანია. და ეს, პირველ რიგში, მოლექსეების და ავანტიურისტების წისქვილზე ასხამს წყალს და არა იმათ წისქვილზე, ვინც პოეტურ საწყისს პატივს სცემს და ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში მის მნიშვნელობას კარგად ხედავს.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით,
თქვენი დათო ბარბაქაძე
24.06.2009

6.

იქ, სადაც მაღალი ლიტერატურული კულტურა არსებობს, მწერლები თავიანთი ტექსტებით ბევრი მკითხველის დაინტერესებაზე კი არა, მკითხველებში წერის, შემოქმედებითი იმპულსის გაღვივებაზე ზრუნავენ. სხვა ყველაფერი, პირადად ჩემთვის, სპორტია და მეტი არაფერი, სპორტი კი იმის სპორტია, რომ მაყურებელი უნდა გყავდეს, რომლის თვალწინაც მეორე სპორტსმენს აჯობებ ან დამარცხდები.

საერთოდ, პოეზიაც და ფილოსოფიაც ფუფუნებაა; შეიძლება, პოეზია ფილოსოფიაზე დიდი ფუფუნებაც კი იყოს. მიუხედავად ურთულესი შრომისა, რომელიც თან ახლავს ლექსის წერას და რომელშიც ფსიქოპროდუქციების მართვის კულტურა და კოგნიტური გამოცდილებების გადამუშავების კულტურა თითქმის თანაბარ ღირებულებას იძენს, მხოლოდ ლექსის წერა, მხოლოდ ლექსებზე მუშაობა, მხოლოდ პოეზიაში მუშაობა დიახაც ფუფუნებაა.

მე ვიცი, რომ ბევრი პოეტი ოცნებობს ისეთი მდგომარეობის მოპოვებაზე, როცა მას მხოლოდ პოეზიაში მუშაობის შესაძლებლობა მიეცემა

(მე ვიცნობ რამდენიმე ასეთ ძლიერ ევროპელ ავტორს). პირადად ჩემთვის ეს უმაღლესი ნეტარება იქნებოდა. მითუმეტეს, რომ, დიდი ხანია, ჩემთვის სამყარო პოეზიად და პოეზიის ნაკლებობად არის გაყოფილი. მაგრამ მხოლოდ ლექსის წერა მართლაც არის ისეთი ფუფუნება, როგორიც, სულ მცირე, ფინანსურად უზრუნველყოფილ ცხოვრებას მოითხოვს.

ამასწინათ ერთი ფილოსოფოსის ბოლოდროინდელ ესსეს ვკითხულობდი და კიდევ ერთხელ გავიმეორე გულში ის, რაშიც დიდი ხანია ეჭვი არ მეპარება: ყველა დიდი ტექსტი, პირველ რიგში კი პოეტური ტექსტი (მათ შორის თუნდაც პოსტსტრუქტურალისტების ესსეისტიკის ერთი ნაწილი, ეპიკური ლირიკის ეს დღემდე არნახული სახეობა, ფილოსოფიური კონცეპტებით და სამეცნიერო ტერმინოლოგიებს შორის ინტიმური ურთიერთობების დამყარების გენიალური უნარით შექმნილი ლირიკა), გარკვეული აზრით, ბოლოვადი, ამოწურული ტექსტია, რომლის უმაღლესი მორალიც მასზე წერისა და მასზე სამეცნიერო რეფლექსიებისკენ კი არა, საკუთარი პოეტური ხმის გაძლიერებისკენ უნდა გიბიძგებდეს. მე ვფიქრობ, ასეთია ყველა დიდი ტექსტი, რომელსაც დღესდღეობით – პოსტ-პოსტმოდერნულ ეპოქაში – ქმნის კულტურა. უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია (მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივი რეალობა ჯერ კიდევ საპირისპიროს მეტყველებს) ფილოსოფიაში თავისუფალი სინდისით, ყოფითი თუ აკადემიური გეგმებისგან დამოუკიდებელი, შინაგანი ხმის ძახილით დაწერილი სადოქტორო შრომები უკვე თუნდაც შელინგზე და პლატონზე. აღარაფერს ვამბობ თანამედროვე პოეზიაზე ან, ვთქვათ, თანამედროვე ფილოსოფიურ ესსეისტიკაზე და ისეთ ფილოსოფიურ რომანებზე, როგორებიც ჰაიდეგერის "ყოფიერება და დრო", გადამერის "ჭეშმარიტება და მეთოდი", ბაშლარის პენტალოგია და ურიცხვი სხვა ფილოსოფოსის ტექსტებია. ამ ყველაფერზე მთელი სერიოზულობით ტრადიციული ყაიდის დისერტაციების წერა ხომ, სულ მცირე, საშინლად მოსაწყენია (თუ ის წერითი კულტურის გამომუშავების მიზნით წარმოებული ახალგაზრდული ვარჯიში ან ბიოგრაფიული პროზა არ არის, რაც, ესეც უნდა ითქვას, ზოგჯერ ემთხვევა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ჩატარებულ სამუშაოს).

არასდროს დამავიწყდება, როგორი ირონიული მიმტევებლობით ლაპარაკობდა ექვსი-შვიდი წლის წინ ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი, რომელზე ფილოსოფოსების და კულტურის თეორეტიკოსების მიერ დაწერილი დისერტაციებიც ასობით კილოგრამს იწონის (და რომელიც თავად არის მშვენიერი სადოქტორო დისერტაციის ავტორი!), - თუ კარგი ლექსი რამეს არ უნდა აღძრავდეს მკითხველში, პირველ რიგში – პოეტზე დისერტაციის წერის მოთხოვნილებას, მაგრამ მეცნიერებსაც უნდა გავუგოთ, ისინი ხომ პურს ამით ჭამენო.

7.

უნდა ვაღიარო, რომ ბოლო ათწლეულის საქართველოს პუბლიცისტურ (ასევე – მხატვრულ) აზრს ცუდად ვიცნობ, მაგრამ შემთხვევიდან შემთხვევამდე ჩემს ხელთ მოხვედრილი ტექსტების გადამწყვეტი უმრავლესობა, რომელშიც ქართული ყოფის, ეკლესიის, სახელმწიფოს, ჩვენი შორეული თუ უახლესი ისტორიის და სხვა ნათესაური საკითხები "ახლებურად" არის პრობლემატიზებული, სტანდარტული ლიბერალური საზროვნო ტრადიციის სახესხვაობებია და მეტიც არაფერი. ამ მიმართულების ქართული მასალა, როგორც ჩანს, მსგავსი სტანდარტული კლიშეებით ქართული კონტექსტის „გადაწერას" ემსახურება და აუცილებლად დემოკრატიულ ფასეულობებზე სწორების სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ასეთი ტექსტების ავტორებს ნაივურობაში ბრალს ნამდვილად ვერ დავდებ, რასაც მათი ეშმაკობაც მიდასტურებს: მათი იდეოლოგიური ბაზის სიღარიბე ყოველთვის პოსტმოდერნული რიტორიკით და მაგიურ-კონცეპტუალური სიტყვათშეთანხმებებით არის გასაიდუმლოებული. მოკლედ, მათ ხელში ყველაფერი მომხმარებლური და გამომყენებლური ფილოსოფიის ნაწილად გადაქცეულა.

არის უფრო უსიამოვნო საერთო ნიშანიც: თითქოს, ყველა ეს ტექსტი ინსტიტუციონალური ან სამოხელეო პოზიციებიდან არის დაწერილი და საშინლად უსიცოცხლოა; თითქოს, ამ ტექსტებიდან სახელმწიფო აპარატის მომავალი იდეოლოგი ან ვინმე ასეთი გელაპარაკება. მე მსგავსი ანალიტიკა საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მეორე მხარედ წარმომიდგენია. დღეს მთელი მონდომებით ცდილობენ, ძველი იდეოლოგიის ადგილი ახალი, ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიით ამოავსონ. მიჩნდება განცდა, რომ დღეს სახელმწიფო ასე მუშაობს, ლიბერალიზმის სოფისტიკით გამართლებულ თავის კონფორმიზმს კარიერის მკეთებელი და თბილი მომავლის მისაღებად მოფუსფუსე პუბლიცისტების ხელით შენიღბულს გვაწვდის (ამაში არც ახალი და არც მხოლოდ ჩვენი ღარიბი ქვეყნისთვის დამახასიათებელი არაფერია). სამწუხარო ის არის, რომ მსგავსი წყობის ანალიტიკოსები, როგორც წესი, ან უკვე არიან ან მომავალში აუცილებლად ხდებიან ხოლმე უსახო სახელმწიფო მანქანის ადეპტები და თავისუფალ, არანორმირებულ აზრს და შემოქმედებით ენერგიას, ნონკონფორმისტულ დინებებს მერე ყველა ხელმისაწვდომი იარაღით ბლოკავენ, თავიანთ საქციელს კი სახელმწიფო აზროვნების აუცილებლობის მითოლოგიით ამართლებენ (საბჭოთა კავშირში „ანალიტიკურ" აქტივისტებს ანალოგიური ფუნქციებით კომპარტიის ცეკა და კომკავშირის ცეკა ანაწილებდნენ). ჩემი ღრმა რწმენით, კულტურის

გაძლიერებისთვის საკვანძო სტრატეგიულ ადგილებზე გამაგრებულ არაპროფესიონალებთან და წერა-კითხვის უცოდინარ არსებებთან ერთად, ასეთ მოხელეთა მავნებლობის ლომის წილია იმაში, რომ საქართველოში ადამიანები, რომლებიც თავიანთი ინდივიდუალური აქტივობით ძლიერ, გენერაციული ფუნქციებით აღჭურვილ კულტურულ კოდებს ქმნიან, სახელმწიფოს მიერ გლადიატორებად აღიქმებიან, რომელთა ბრძოლასაც ეს სახელმწიფო დემორალიზებული ხალისით ადევნებს თვალს, მეორე მხრივ კი, მათი გამოცდილების გამოყენებას (უკეთ, მითვისებას და ამ ინდივიდუალურ ძალისხმევათა განიარაღებას) მხოლოდ მათი ანალოგების შექმნით ცდილობს, რაც სახელმწიფოს იძულებულს ხდის, დაუფარავად დაუჭიროს მხარი მეორეულს და არა პირველადს, თაღლითს და არა პატიოსან მშრომელს, დილეტანტს და არა პროფესიონალს.

ეს ცნობილი კანონის ერთ-ერთი გავრცელებული გამოვლინებაა: ადამიანს, რომელიც არაფერს ქმნის და შემოქმედებითი ძალისხმევის ველს გარეთ არის დარჩენილი, ყოველთვის უჩნდება აგრესია იმის მიმართ, ვინც ქმნის და იმისთვის შრომობს, რომ მისი ფიზიკური არსებობა მის მიერ შექმნილმა სამყარომ გააგრძელოს. ასეთი აგრესია შეიძლება იყოს ფარული ან "დაბმული" და უწყინარი ქცევებით გამოხატული, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს საკმაოდ უხეში და მეთოდურად დამანგრეველიც კი, ადამიანის და საზოგადოების სოციალურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტს გააჩნია.

8.

და ბოლოს: წინამდებარე წიგნში თავმოყრილი ტექსტები, ცხადია, არც კრიტიკოსის და არც სისტემური პროზაიკოსის ნამუშევრები არ გახლავთ. ეს არის ჩემი - როგორც პოეტის - მხატვრული და თეორიული პროზა, რომელიც ყოველთვის ჩემი სისტემური პოეტური ძიებების თანამდევი არასისტემური რეფლექსიების ხასიათს ატარებდა, და ეს კარგად "შემოინახა" თუნდაც სხვადასხვა მიმართულებით დასახსრული ამ ტექსტების თემატიკამ და ლოგიკამ: მიუხედავად ერთიანი შინაგანი ესთეტიკური და ეთიკური ხაზისა, ეს მაინც ერთგვარი კონცეპტუალური ინიციატივებია, თითქოს საგულდაგულოდ დაწყებული, განვითარების რაღაც ეტაპამდე მიყვანილი და მერე ყოველთვის მოულოდნელად შეწყვეტილი სამუშაოები (როგორც, მაგალითად, ორიოდე რეცენზია ცალკეულ პოეტებზე, რომელთა რიცხვი, წინასწარი ჩანაფიქრით, ოცდაათამდეც კი უნდა გაზრდილიყო).

ასეთი სურათის ერთ მიზეზად ჩემს მიერ ლოკალური კონტექსტის ცვალებადობის პერმანენტულ გათვალისწინებას დავასახელებდი, მეო-

რე მიზეზი გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩემი სარედაქციო-საგამომ-ცემლო ლიტერატურული აქციონიზმი იქნებოდა, მესამე – ჩემი მთარგმ-ნელობითი საქმიანობა, მეოთხე და უპირველესი კი - ჩემს პოეტურ შემოქ-მედებაზე ინტენსიური კონცენტრირება და ჩემი ცხოვრების მთავარი საქმიდან სახიფათოდ დაშორების წინაშე თუ ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჩემი პოეტური ძიებების შესაძლო დაბრკოლებაზე ფიქრე-ბით გამოწვეული შიში. ამ უკანასკნელს ყოველთვის განსაკუთრებული კორექტივები შეჰქონდა და შეაქვს ჩემს საკონტექსტო აქტივობაში (უკ-ანასკნელი რვა-ათი წლის განმავლობაში ახალგაზრდული ენთუზიაზმის გაქრობამ და კურტნის მუშად ყოფნის სახალისო როლზე უარის თქმამ, ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისა და სულიერი არსებობისთვის განუ-წყვეტელმა ბრძოლამ და, აქედან გამომდინარე, მთლიანად ჩემს საკუთარ შემოქმედებაზე და რამდენიმე საგამომცემლო პროექტზე კონცენტ-რირებამ ავტომატურად შეამცირა ჩემი ცხოვრების მთავარი საქმის თა-ნამდევი ეს პარალელური აქტივობები, მაგრამ არა – მკაფიო პოზიციები). ისევ კეთილ ელიოტს თუ მივმართავ და მის ერთ გამონათქვამში მცირე-ოდენ ცვლილებას შევიტანე, ასეთი თავხედობით ჩემთვის უმნიშვნელო-ვანესი, აი, როგორი მაქსიმა მიიღება: კონტექსტის გრძნობა აუცილებე-ლია ნებისმიერისთვის, ვისაც გადაუწყვეტია – პოეტად დარჩეს მას მე-რეც, როცა თავის სიცოცხლის პირველ ოცდახუთ წელს უკან მოიტოვებს.

ჩემი ინტერესების აქამდელი ისტორიის ამსახველი სურათი რომ მეტ-ნაკლებად სრული ყოფილიყო, მიზანშეწონილად მივიჩნიე, დანართში შე-მეტანა ჩემი მრავალი სტუდენტური ნაშრომიდან ის რამდენიმე, რომე-ლიც ერთ დროს ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა. ბოლოსდაბოლოს, სხვა რა ღირებულება უნდა ჰქონდეს დღეს საქართველოში ისეთი წიგნის გამოცემას, როგორიც წინამდებარეა, თუ არა – საარქივო. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ასეთი განწყობა კიდევ უფრო მიძლიერებს მადლიერების გრძნობას მკითხველის (განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობის მკითხ-ველის) წინაშე, რომელიც თავის ძვირფას დროს დაუთმობს ჩემს რეფლექ-სიებს. მითუმეტეს, რომ წინამდებარე წიგნი სხვა არაფერია, თუ არა – 2008 წელს გამოცემული ჩემი პოეტური ერთტომეულის პროზაული ფონი.

თავს უფლებას ვაძლევ, აქვე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემს წარ-მოდგენაში *მკითხველი* მხოლოდ იმ ადამიანს გულისხმობს, რომელიც თავად წერს ანუ აქვს მოთხოვნილება – წარმავლობის წინაშე ხმა აღიმაღ-ლოს, როგორც ავტორმა.

დათო ბარბაქაძე
თბილისი, მარტი-აპრილი, 2010

მუსაცია

§ X: Die Milz. Von der Milz wissen wir nichts, meine Herren. Soweit die Milz!

ერთი ფიზიოლოგის ლექციიდან

წვიმა მოდიოდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა. გარეთ გავცვივდით და დიდხანს ვუყურეთ როგორ მოდიოდა ჩვენი კოხტა წვიმა მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით და ჩვენ ძალიან გვიხაროდა და დიდხანს ვუყურეთ. ისინი ავტობუსს მოელოდნენ და უკვე დაღლილიყვნენ. ჩვენ არა. ჩვენ ისინი მაშინაც ვერ დაგვემსგავსებოდნენ ავტობუსი რომ მოსულიყო. ჩვენ არ ვიყავით დაღლილი ადამიანები რომლებიც იცვლებიან შორეულ მოსახვევში ავტობუსის გამოჩენისთანავე და ერთმანეთს რაღაც ფარული ვნებით ათვალიერებენ. ამიტომ გარეთ გავცვივდით და გვიხაროდა რომ სახლები ზურგშექცევით იდგნენ და ჩვენს სიხარულს ვერ ხედავდნენ. ასე თქვა მრცხვენიაო. არ გამკვირვებია მაგრამ სულ ერთი წამით ვიგრძენი რომ მისი სირცხვილი გადმომედო. ეს მხოლოდ ერთი წამით იყო. მერე ვფიქრობდი ალბათ მის სირცხვილს ვეცი პატივი უნებლიეთ მერე ყველაფერი ჩვეულ წესრიგს დაუბრუნდა მეთქი. როცა დედას გავენდე უკვე გვიან იყო. დედამაც ასე თქვა უკვე ყველაფრის შეცვლა შეიძლება ამიტომ დაგვიანებულიაო. მაინც რა თქვაო. მრცხვენიაო ასე მითხრა მეთქი. კარგად უთქვამსო. ალბათ მეთქი. კი ნამდვილად კარგად უთქვამსო. მაშინ რატომღა გავცვივდით გარეთ ასეთი მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით მეთქი. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი გვითქვამს ერთმანეთისთვის. განსაკუთრებული არაფერი. ერთბაშად იმდენი რამის გათვალისწინება მომიხდებოდა ხელს ჩავიქნევდი და შევბრუნდებოდი შინ. არც შევბრუნებულვარ. მერეც დიდხანს ვფიქრობდი მაშინ რატომღა გავცვივდით გარეთ ასეთი მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით მეთქი. ირგვლივ გაბატონებული ყველა ნივთი იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა რომ წესრიგი არ სუფევდა რაც ერთი შეხედვით თვით ამ საგნების არსებობას თუ არა მათ დანიშნულებას მაინც უქმნიდა საფრთხეს. მაგრამ ალბათ ამის შედეგი იყო ნივთების და საგნების ურთიერთგაიგივება მათზე ნებისმიერი დამკვირვებლის მიერ როგორც წესრიგის კონპენსაცია და მოსალოდნელ მიმართულებაზე მითითება. ასეთი რწმენით სავსე წვიმა ადრეც არაერთხელ მოსულა მაგრამ ასე ხანგრძლივად არასდროს დარჩენილა და არც მსგავსი შედეგებით უსახელე-

ბია თავი. ჩვენ დიდხანს ვუყურეთ. ვიცინოდით და ვამბობდით შეხედე შეხედე იმ ქალიშვილს მკერდი როგორ მიკვირა მაისურზეთქო. ჩვენ ვიცინოდით და ქალიშვილს რცხვენოდა. მერე დედამ თქვა აბა გეყოფათო. ეს იმ ჩვენი გაბრაზებული მეზობლის დედამ თქვა ჩვენ რომ ვხუმრობდით სადილად იგი ყოველთვის დედალ ნეხვს მიირთმევსთქო. ისე ლამაზად ვხუმრობდით ყველა იცინოდა და ქალიშვილს რცხვენოდა მაგრამ დარცხვენით არასდროს დაურცხვენია. მერე წვიმა მოვიდა და ჩვენ წვიმას ვუყურებდით როგორი თანდათანობით მოდიოდა და აი სასწაული აი ნამდვილი სასწაულიო პირიდან რამდენიმე ტაში გაუვარდა საწყალს. ავყევით აბა რა უნდა გვექნა მის გადამკიდეს. ყოველთვის ასე იყო: ავყვებოდით ყველაფერში ვბაძავდით ზარალში კი მაინც ის რჩებოდა თითქოს წინასწარ კარგად მოფიქრებული და დადგმული ფარსი იყო. რა თქმა უნდა არც ჩვენ და არც მას არასდროს დაგვიდგამს ეს ფარსი. რა თქმა უნდა დრო აქვე იყო და ჩვენ არ გვგავდა მაგრამ ყოველთვის ეშმაკობდა რის გამოც ხშირად დავბნეულვართ მაგრამ ერთმანეთისთვის არასდროს არაფერი დაგვიბრალებია. ფარსიც ამიტომ არ იყო მოსალოდნელი. ის კი ყოველთვის ეშმაკობდა. ყოველთვის ვინმე ერთი ჰყავდა ამოჩემებული. ცხადია მიზანში ამოღებულს თავი არჩეული უნდა ჰგონებოდა ხშირად რჩეულიც. ჩვენ ასეთი რჩეული ბევრი გვინახავს. ისინი ყველა ერთმანეთს ჰგავდნენ. დროში თანმიმდევრობით არსებობა მათი წესი იყო მანამდეც და მერეც. ნებისმიერს რომელსაც დრო აწვალებდა თავი წვალებული უნდა ჰგონებოდა. ასე იყო ჩაფიქრებული არა მათ მიერ ვისაც ეგონათ რომ მათ თავში გროვდებოდა ყველა საწყისი აზრი და მერე აქედან იქსელებოდა ყველა მიმართულებით და ყველა ეს მიმართულებაც მათ მიერ მითითებული მისამართით მიედინებოდა ყველა იმ ადრესატის ვნების გასაცოცხლებლად მათ უმანკო სურვილებს რომ უნდა შეშველებოდა და გადაერჩინა ყველა შესაძლო სიხარულისგან. არა. ყველა ეს გეგმა სადღაც სხვაგან მზადდებოდა. სად. ადგილი როდი იყო ეს სხვაგან ან ეს სადღაც ან ორივე ერთად. ყველა მშვენივრად ხვდებოდა რომ ვიდრე არ აღმოჩნდებოდა ის რაც ერთდროულად წარმოადგენდა ადგილსაც და იმ ადგილსაც რომელიც სხვაგან არსებობდა და გამოზომილი ნაბიჯებით მოიწევდა ჩვენი სამყოფისკენ შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც მოხაზვა იმ გზაგასაყარის რომლის შესახებაც ასე ხშირად ყვებოდნენ ხოლმე ჩვენი კეთილი მშობლები როცა ჩვენ ყველას ყველაფერი გვიკვირდა და მათ შორის ისიც რომ საკუთარი ნება-სურვილით გარდაცვლილები ყოველთვის ნანობდნენ და უკან დასაბრუნებელ გზებს ეძებდნენ ისე რომ ჩვენგან არ მოითხოვდნენ დახმარებას მაგრამ ვერ ახერხებდნენ და მხოლოდ ნანობდნენ. ცხადია სინანული შეიძლება მრავალნაირად გამოიხატოს და მათ შორის იმითაც რომ

ვიღაც ასე უსასრულოდ მოდის და ჩვენ უკვე გამოვეფინეთ და ბედნიერებას ვეწიეთ რომ გამოჩნდა გამოჩნდა და აბა ვინ შეიკავებს ამ დროს ცრემლებს რომლებიც ასე სასაცილოდ მოიჩქარიან სასქესო ორგანოებიდან გამოივლიან თორმეტგოჯა ნაწლავს გამოივლიან გულს ხორხს თვალებს ყვრიმალებს და ასე შემდეგ და შრებიან ან არ შრებიან ყოველ შემთხვევაში ისინი რაღაცას მაინც ხომ გამოხატავენ იყოს ეს რაღაც ყველაზე უფრო სენტიმენტალური ფიქრიც კი ხოლო რაც შეეხება მოლოდინს ამ შემთხვევაში ხომ იგი საკუთარ თავს მაინც ამართლებს და ჩვენ ვხედავდით როგორ მოდიოდა ჩვენი მიმართულებით ჩვენი ჭუჭყიანი და კოხტა წვიმა. როგორ არ გაგვკვირვებოდა ასე რომ აგვიჩვილდა გული ასე უდროოდ შეყვარებულებს. ამის შესახებ გულახდილადაც ხშირად გვისაუბრია და მრავალი ერთი შეხედვით რიგითი საიდუმლოსთვის აგვიხდია ფარდა და პარალელურად ჩამავალი მზისთვისაც გვიცქერია ასე იოლად რომ გვტოვებდა და ჩვენ ვწითლდებოდით გაწითლებისგან. მერე ჩვენი კეთილი მშობლები უკბილო ხუმრობით თავს იქცევდნენ სილა არ გაკმარეთ და მზე გაგაწანითო. ხოლო როცა მისი უკანალი მისდა უნებლიეთ ათამაშდა და უკუიქცა დიახაც ასე თქვა მრცხვენიაო. მსგავსი მონდომებით არასდროს გვიმღერია. თითქოს ვიღაც დაკვეთით გვათვალიერებდა და ცდილობდა თავისი როლი ისე შეესრულებინა რომ დაპირებული თანხა სინდისის ნებისმიერი ქენჯნის გარეშე მიეღო და შინ წასულიყო. ვის რაში ვესაჭიროებოდით. ყველას უკვირდა. მათ შორის ჩვენც. მაგრამ მაინც დარწმუნებული ვიყავით რომ ფარსი არასდროს დაგვიდგამს. დაგვადგმევინებდნენ. ესეც ვიცოდით. მსგავს შემთხვევაში ყველაფერი ბედისწერას ბრალდება ხოლმე რითაც ორი ფრონტის მოგება ხდება შესაძლებელი თავისმოტყუების დონეზე მაინც. ჯერ ერთი იმ ბედისწერის განზე გაწევა-განაპირება ხერხდება რომელიც ჩვენია და მაინც ვერავინ წაგვართმევს და ვერ ამოფესვავს ჩვენგან არადა აი ყურადღება შეხედეთ ბედისწერას რომელიც გავინაპირეთ და ვიდრე კუთვნილ ადგილს დაუბრუნდებოდეს ჩვენში მისი ყოფნით და მუდმივი გაპირობებულობით გამოწვეულ ბრაზს მაინც დავიცხრობთ და ვიცხრობდით კიდეც როცა დედა ასე ხანგრძლივად ამბობდა უკვე ყველაფრის შეცვლა შეიძლებაო ჩვენ კი არ გვინდოდა დაგვეჯერებინა რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო და ბედისწერაც ყოველ წამს ჩვენში თავის თავს უსაშველოდ და ერთი შეხედვით უმიზნოდ ზრდიდა და ჩვენი სიმყუდროვისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. მეორეც სწორედ იმის შედეგად რომ ეს ბედისწერა ჯერაც ნაკლულია ჩვენი სანქციის გარეშე მაგრამ განხორციელების მშვენიერი შანსი ეძლევა შესაძლო თვინიერი ამოხედვა-მიმოხედვის და არაფერ სასიკეთოს ხილვის შემთხვევაში ჩვენი პასუხისმგებლობა ერთი-ორად იკმაყოფილებს თავის კერძო პატივმოყვარეობას

და უკვე ორგანიზმის მხურვალე ლაბირინთებს გამოღწეული ან თუ გნებავთ მზიან ღამეს ზიარებული ნათელხილვის ნიჭს იცხოველებს რასაც თან ერთვის უსიამო ქავილი რომელიც ისევ და ისევ შეგახსენებს რომ შენ არსებობ და სრულუფლებიანი წევრი ხარ ამ მომლოდინე და მოლოდინით იმედგადაწურული ხალხის. სახლის კუთხეში კი ყველა იმედს ფარდა ეხდება და ყველა წინასწარმეტყველის ფარული ალიანსი ფარულივე რჩება როცა ავტობუსი ჯერ ხმაურს გაირეკავს და მერე სველ ცხვირსაც გამოაჩენს რომელიც ამ დაღლილი ხალხის მოლოდინმა უნდა მოსწმინდოს. ჩვენ მსგავსი წამი ხშირად როდი განგვიცდია მაგრამ ის მცირეოდენი რასაც ჩვენს სულში გზა გაუკაფავს მიგვითითებდა რომ რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდით მათ სიამაყით აღსავსე და დავალების მიღების მოლოდინში ფარული ვნებით ერთმანეთის მთვალიერებელ ადამიანებს. ჩვენ ყველანი ამ აზრს ვადექით როცა სწორედ ის ავადსახსენებელი ცდუნების სინდრომი შემოგვაპარეს და ჩვენ ყველას გვეგონა რომ გამუდმებით ვცდებოდით. არავინ მოიძებნა ისეთი რომელიც საჭიროდ ჩათვლიდა რომ გამოსულიყო სცენაზე მდგარი ბაფთიანი გოგონასავით და კარგად გაზუთხული ლექსივით ეთქვა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ რაც თავს დაგვტყდომოდა. ხომ უნდა ეგრძნო ამ ზღვასავით სავსე ხალხში რამდენიმეს თუ არა ყველას ერთად მაინც რომ გვატყუებდნენ და რომ ცდუნების სინდრომი მართლაც სინდრომი იყო და რეალური არსებობა მაშინ მიეღო როცა დავიჯერეთ რომ ცდუნებამ აგვიყოლია და შევცდით. არადა ხვალ ხომ ყველა კარგად დავინახავთ რაც მოხდა ყველა სინანულით იტყვის მოყვასის გასაგონად რომ არ შევმცდარვართ და მხოლოდ მოგვატყუესო. ჩვენც რაღა გვეთქმოდა. გამოვცვივდით გარეთ და წვიმას ვუყურებდით და გვიხაროდა მაგრამ საბედნიეროდ უკვე გვიან იყო. ხოლო ქალიშვილს მკერდი ისე უცახცახებდა რომ შეგვეშინდა. ასე მოხდა მაშინაც პირველად რომ მოვიდა წვიმა და სახურავზე ვისხედით. ის დასველდა და მკერდი მოულოდნელად გაეზარდა. თვალს ვერ ვაშორებდით. მერე გვეგონა რომ ცუდად სწორედ ამის გამო გახდა. ცუდად რომ გახდა მაშინვე ვერ მივხვდით. გვეგონა ვთამაშობდით. იღიმოდა და თვალს გვარიდებდა. იმდენი სახლი იყო ირგვლივ ცის ქვედა ტანი საერთოდ არ ჩანდა. ჩვენ ხომ ყველაზე დაბალი სახლის სახურავზე ვისხედით. წვიმა რომ მოვიდა ასე გვითხრა აი ახლა კი დავიმალებით ვერავინ მოგვაგნებსო. კი მაგრამ სად დავიმალებით მეთქი. პირდაპირ აქ ამ წვიმის ქვეშო. როგორ მეთქი. როგორ და აი ამ სახლის კუთხეს შეხედე იქიდან ახლა ავტობუსი გამოვა და ამ ხალხს გაუხარდებაო. ხალხი მოსაცდელს ფარავდა და ფეხს არ იცვლიდა. აი ნახავ ავტობუსი გამოჩნდება თუ არა როგორ გაუხარდებათო. იმ ცარიელ მოსაცდელს ხომ ხედავ იქ ხალხი იდგა და ავტობუსი მოვიდაო. ამოვისუნთ-

ქეთ. სიმღერა ჩვენ არ დაგვიწყია. სიმღერა იმან წამოიწყო როცა მკერდი გაეზარდა. ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა. ის დიდხანს ელოდა მარტის მშვენიერ დაისს და მასში დაინთქა და აღარ დაბრუნდა. ჩვენი თბილი და გმირული წვიმა რომელიც ძალიან ჰგავს საწოლს. საწოლზე არაა თეთრეული. რატომაა ასეთი ჭუჭყიანი სუფრა. საწოლზე თეთრეული არაა და წვიმა მოდის და მოაქვს სინანული მარტის მშვენიერი დაისის გამო რომელიც დამთავრდა. მოდი ძვირფასო ვიცეკვოთ აქ სახლის სახურავზე ამ შინდისფერ მიწაზე როგორც ჩვენთან ერთად ხმაურობს. მოდი კიდევ ბევრჯერ მოდი წვიმავ და საწოლზე თეთრეული არაა და ჭუჭყიანი სუფრა ყველას გვადარდებს. აქ ამ შინდისფერ სახურავზე ყველაფერი ასე მალე დამთავრდა და ჩემს მშვენიერ მკერდთან ერთად ყველგან ათასობით დიდი და ძლიერი მკერდი გაშრა. ჩვენ აღარ დავბრუნდებით შინ სადაც ხანგრძლივად გვეძინა. მოდი კიდევ ბევრჯერ მოდი წვიმავ. ის ასე მღეროდა. სულ იმეორებდა და იმეორებდა. მხოლოდ მელოდიას ცვლიდა ხელახალი გამეორებისას. ნეტავ დედი რაო რის დამტკიცებას ცდილობდა მეთქი. ყურადღებით მოუსმინე და გაიგებო. ეს ადრე იყო. მაშინ კი როცა ვუამბე რაც მოხდა გულიანად იცინა. მართლა ასე ვმღეროდიო რამდენჯერმე მკითხა. არაფერი განსაკუთრებული ვართ ასე და ცხოვრება იმედია გრძელდებაო. რა თქმა უნდა მეთქი. მთავარია ერთმანეთს არაფერი დავაბრალოთო. არც ვაბრალებთ მეთქი. თუ მართლა ასეა მაშინ შეგვიძლია მშვიდად და აუღელვებლად ვიდგეთ გაჩერებაზე და იმ მოსაცდელს დავემსგავსოთ მაშინ რომ არ ჩანდა ისე იყო ხალხით დაფარული და ჩვენც ისეთი ბედნიერები ვიყავითო. თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე სად შეიძლებოდა ყოფილიყო ავტობუსი რომელსაც უკვე ნახევარი საათი ველოდით და კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევდა ცდა ვერავინ გვეტყოდა. ეს და ეს გვერდი იხილე და გაიგებო. არა არა ეს და ეს წიგნი იხილე და აი მაშინ გაიგებო. ჩვენს საყვარელ პოეტს გულისხმობდა რომელსაც გზის მაჩვენებელი თუ გრაფიკი გამოეცა და ჩვენ ამის შესახებ ყურმოკვრით ვიცოდით უკვე მერამდენე წელიწადი იწურებოდა. მრავალჯერ ამოვისუნთქეთ. აბა რაღა გვეთქმოდა. კვირადღე უკვე გადასულიყო და ყველას ჩვენ-ჩვენი საფიქრალი გაგვჩენოდა. აირბინე დედა გენაცვალოს იქ ცნობილი სახლის შინდისფერ სახურავზე წვიმის წყლით სავსე სათლი დაგრჩა ჩამოიტანე და ჩემს ოთახში დადგი როცა დავბრუნდებით წვიმის წყლით თავი უნდა დავიბანოო. ამას ისე ამბობდა თითქოს სცენაზე იდგა და ხალხით სავსე დარბაზს მიმართავდა რომელმაც არ იცოდა საქმის ისტორია. ჩვენ ავირბინეთ და დავალება შევასრულეთ. ღმერთო ჩემო რამდენი რამ უნდა გაგვეთვალისწინებინა. მაგრამ ხელი ჯერაც არ გვქონდა ჩაქნეული და ეს გვამხნევებდა. წარმოვიდგენდით რა მოხდებოდა ჯერ კიდევ მაშინ ცნო-

ბილი მოვლენების დროს რომ ჩაგვექნია ხელი და აღარ გვეზრუნა იმაზე რამაც ამდენი შრომა მოითხოვა და კიდევ რამდენს მოითხოვდა ვერავინ გვეტყოდა. მაგრამ ჩვენ ასე ვამჯობინეთ და ახლა ყველაფერს იმას ვაბრალებდით რომ მაშინ არჩევნის იდეა ჩვენგან არ მოდიოდა. მაშინ არ შეგვშინებია. ეს ყველაფერი მერე იყო. მაშინ გაჩერებაზე ვიდექით და ვუყურებდით როგორ მოდიოდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა. სულ ეს იყოო იკითხა დედამ. სულ ეს იყო მეთქი. კარგად უთქვამსო. რა უთქვამს მეთქი კარგად. რაც შენ მითხარიო. რა უთქვამს კარგად მისი პასუხი ჩვენ არ მოგვწონებია და დრო რომ გავიდა თვითონაც რცხვენოდა ეს ძალიან კარგად ეტყობოდა დროდადრო მეთქი. სხვანაირად ვერც წარმომედგინა. როგორ თუ მეტი არაფერი. როცა გამოვცვივდით და წვიმას ვუყურებდით და ბევრი ვიცინეთ მაშინ რა შეიძლებოდა გვცოდნოდა ამ ყველაფრის შესახებ. ან ვინ გვეტყოდა. ეს ყველაფერი მოგვიანებით გავიგეთ. არ გაგვკვირვებია. იხუმრა კიდეც რომ ეთქვათ ხომ ვერ გავიგებდით ახლაო. ყველამ გულიანად გადავიხარხარეთ. ჩვენ ის ყველას ძალიან გვიყვარდა არც გასაყოფი და არც საკამათო მასთან არასდროს არაფერი გვქონია. ერთად ვუყურებდით წვიმას ერთად ვიდექით გაჩერებაზე და ერთად ველოდით მათ მიერ საუბრის ობიექტად ქცეულ ავტობუსს რომელიც აუცილებლად მოვიდოდა. მერე რა რომ რცხვენოდა. სირცხვილსაც შეეძლო იმ გზის ხელმეორედ გავლა რომელიც ცრემლმა აგერ უკვე მერამდენედ გამოიარა მით უმეტეს რომ ყველა ჩიხი და შესახვევი წინასწარ იყო ცნობილი ვიდრე ხსენებულ გზას ვინმე გაივლიდა. დღეს ამით ვერავის მოატყუებ. თუ მოატყუებ მხოლოდ რამდენიმე წუთით. მერე ყველამ ყველაფერი იცის. ჩვენ ხომ ასე ვსწავლობთ. ეს დიდი ცოდნაა. ცოდნა იარაღია საიმისოდ რომ ერთმანეთს თავი არ შევაჭმევინოთ. იმდენი ხაფანგია დაგებული. ყოველი წუთი ძვირფასია როცა ერთმანეთს ვმტრობთ. მერე კი გვიკვირს. თითქოს არ ვიცოდეთ რომ ავტობუსი ჩვენთან შესახვედრად მოდის და მოვა კიდეც. ყველას წაგვიყვანს. ჩვენ ხომ იმდენი საქმე გვაქვს. როგორც წესი არსებითად წინასწარ ვიცით რას შევიძენთ იქ სადაც ჩამოვქვეითდებით ცალ-ცალკე ან წყვილ-წყვილად მაგრამ მთავარი ეს არაა როცა საქმე ისეთ დიდ ნადავლს ეხება როგორიც ცოდნაა. მით უმეტეს როცა ეს ცოდნა დიდი მოთხოვნით სარგებლობს ნებისმიერი ახალი და ბანალური ჩანაფიქრისთვის. ასე ვიზრდებოდით და ასე გავიზრდებით ყოველთვის ვიდრე იმისადმი მორჩილება იქნება ძალაში რაც დიდი ხანია ჩვენ აღარ გვეკუთვნის. მაგრამ ჩვენ ხომ ესეც ვიცით. განა როცა ასეთი სიხარულით გავცვივდით გარეთ და გამოზომილი თითქოს ათასჯერ გაზომილი ფიქრით ვათვალიერეთ ერთმანეთი არ ვიცოდით რომ ყველაფერი უკვე კარგად მოფიქრებული ფიქრი იყო. ვის ვატყუებდით. გამორიცხული არაა რომ ვინაიდან ერთ-

მანეთის მიმართ ვერც ერთ პრაქტიკულად ჩამოწერილ სანქციას ვერ განვახორციელებდით ჩვენში რაღაც გამთლიანდა და საკუთარ თავს დაუპირისპირდა კარგად დამუშავებული გეგმით რომლის არსებობის შესახებ მართალია ვიცოდით მაგრამ ეს არსებობა ჩვენვე თუ მოგვიბრუნდებოდა ცეცხლად და მახვილად ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. მაშინ არც არსებობდა ამის საჭიროება. შესაძლოა სწორედ ამიტომ. ეს მთელი ყველას ერთად გვეკუთვნოდა და სწორედ ამ ფაქტმა დაგვაბნია რაც საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ რომ ნებისმიერი კარგად მოფიქრებული ფიქრი განზე გამდგარიყო და მაშინვე მოქმედებაში მოსულიყო ის შემზარავი მექანიზმი რომელმაც ჩვენი გაერთიანება გამოიწვია იმ ერთადერთი სენის წინააღმდეგ რომლის უკუგდების შემთხვევაში საფრთხეში უნდა ჩავარდნილიყო თითოეული ჩვენთაგანის კეთილი ნება რომელიც ერთადერთ სასჯელს ითვალისწინებდა ხოლო არავინ იცოდა მორიგი სასჯელი რით დამთავრდებოდა. მაგრამ მოხდა ისე რომ მსგავსი არაფერი მომხდარა და როცა ერთმანეთის თვალიერების პროცესში ყველამ აღიარა თავთავისი დანაშაული გაჩერებაზე არავინ იდგა ყველას ავტობუსში განეხორციელებინა კუთვნილი ნება და უკვე მშვიდობიანი იერით გაიაზრებდა იმ ესთეტიკურად არასაიმედო წამს როცა ყოველმა შენმა მპოვნელმა შეიძლება დაგინდოს შენ და ამით სიცოცხლეს არარსებული საზრისი წაერთვას ისეთი ხანგრძლივობით როგორიც დრო-სივრცის ველში არსად მოიპოვება თუ არ ვიგულისხმებთ ალბათობას რომლის დაშვება რა თქმა უნდა შეიძლება მაგრამ სასიკეთოს არაფერს ჰპირდება ფხიზელ გონებას რომელიც უკან გასასვლელ კარს არასდროს ტოვებს გაღებულს. ძნელი სათქმელია ითვალისწინებდა თუ არა ჩვენი მაშინდელი სიხარული ან თვით წვიმა პირობითობათა ამ არც თუ გაძნელებულ გზას მაგრამ როცა ვიდექით და მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით გვიახლოვდებოდა ის რაც მაშინ უბრალოდ ვერც კი დააპირებდა ჩვენში სინანულის და მონანიების განცდის გამოწვევას როცა სახლები ზურგშექცევით დგანან და თავს თუ არ მოვიტყუებთ არც აინტერესებთ რა ცოდვა-მადლი ტრიალებს მათს ზურგს უკან როცა ვიდექით და ნებისმიერი ჩვენგანის პატივმოყვარეობა მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში მოინიშნებოდა აი მაშინ როგორ იქნებოდა რომ არ გვყვარებოდა. რა თქმა უნდა ამ შემთხვევაშიც ძალაშია შენიშვნა რომ მას მსგავსი შედეგებით არასდროს უსახელებია თავი მაგრამ ეს არ გამორიცხავდა ჩვენი სურვილის განსახორციელებლად ჩვენივე მზადყოფნას. მაგრამ სურვილამდეც კი დიდი გზა გვედო არათუ მის შედეგებამდე. უპირველესად ხომ მისი გათვალისწინება იყო საჭირო რაც თავის მხრივ სხვა მრავალი პირობითობის გათვალსაჩინოებას მოითხოვდა. მსგავსი განზრახვა ყოველთვის ბეწვის ხიდზე გავლის ტოლფასია მითუმეტეს

როცა საქმე ეხება ერთდროულად მრავალ ადამიანს. ამ შემთხვევაში მოლოდინი არ მოითხოვს მაინცდამაინც ერთ ადგილზე დგომას. არ იგულისხმებოდა ბანალური აზრი რომ ჩვენ მაშინაც ველოდით როცა გამოვრბოდით. ეს ისედაც ცხადი იყო. ჩვენ მხოლოდ იმ მანძილის სიზუსტე უნდა შეგვეფასებინა რომელიც ავტობუსსა და ჩვენს შორის გაჩენილ მოლოდინს კუმშავდა და გარკვეული აზრით ჩვენთვისვე უცნობ მაგრამ ძლიერმოქმედ იდეას უმორჩილებდა. მსგავს შემთხვევაში თითქმის უნაყოფო ხდება აქცენტის გადატანა თვით მოლოდინის ბუნებაზე თუ არ გავითვალისწინებთ კონკრეტულ ვითარებას რომელშიც აღმოვჩნდით მოლოდინით დატყვევებულები. შემზარავია იმის განცდა რომ შენს მიერ შექმნილ მანძილს ვერაფერს უხერხებ მრავალჯერადი გამოცდილება კი იმ ერთადერთ იმედსაც გისპობს რომელიც შეიძლებოდა შემდგარიყო დავუშვათ ავტობუსში ასვლისთანავე ან ვთქვათ მაშინ როცა გამორთული ძრავი ისევ ამოქმედდებოდა და დაძრული ავტობუსი ურიცხვი ერთდროული შეჯახების მიზეზად იქცეოდა. ეს საშველი არაა. მოცემული შეჯახების მოცემული საწყისი პუნქტი თუ გასვლის ადგილი ურიცხვი შეიძლება არსებობდეს მაგრამ ეს გზის არსებობაზე არ მიუთითებს. საერთოდაც არაფერზე მიუთითებს. იმაზეც კი არა რომ თვითონ არსებობს. მგავსი რამ მხოლოდ მაშინ ხდება საგრძნობი როცა თუნუქის შინდისფერ სახურავზე ვსხედვართ და სადღაც ქვემოთ ძალიან ბუნდოვნად წვიმს. არ იგულისხმებოდა რომ მსგავსი შედეგების არარსებობის მიხედვით ქცევების შემუშავება ჩვენს სურვილს მკაფიოდ გამოკვეთდა ჩვენს წინაშე და შეგვეძლებოდა მშობლებისთვის დაწვრილებით გვეთქვა ყველაფერი რასაც განვიცდიდით და არ განვიცდიდით. გარეთ სწორედ იმიტომ გავცვივდით რომ ჩვენსა და დედას შორის წვიმა ჩამდგარიყო. შემდეგ როცა ჩანაფიქრი თავის თავს იპოვნიდა წვიმა თავად გადაწყვეტდა კედლად ქცეულიყო თუ ხიდად. ჩვენ ამას ვერ გავითვალისწინებდით ვინაიდან წვიმის გამოცდილებას თავად უნდა გაეხსენებინა ის ერთადერთი არჩევანი რომელიც მისსა და ჩვენს სულს იგივეობრივად აქცევდა ერთმანეთს დაამთხვევდა და შემდგომი ნაბიჯის გადადგმის ვნებას გაგვიხანგრძლივებდა. ჩვენ აქ სრულიად უმწეონი ვიყავით და გვიხაროდა და როგორ შეიძლებოდა არ დავმტკბარიყავით როცა ის მოდიოდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა. ვიდრე ის მოდიოდა ჩვენ ჯერ კიდევ გვწამდა რომ შეუძლებელი იყო დავმსგავსებოდით გაჩერებაზე აწრიალებულ ხალხს რომელიც თითოეული ადამიანისგან შედგებოდა ერთად კი იმ განსაკუთრებული ხარისხის მოლოდინს წარმოშობდნენ რომელიც უფრო და უფრო აშორებდა მათ ავტობუსს და ეს მაშინ როცა უკვე მოპირდაპირე სახლის კუთხიდან ხმაური მოისმა და გაძლიერდა. აჰაო თქვა მან გამოჩნდა კიდეცო. ყველას გაგვიხარდა ვინც

გაჩერებაზე ვიდექით სწორედ იმ წამის იმედად როცა სიხარული გაჩნდებოდა გაკრთებოდა წამის მემილიარდედით დარჩებოდა ჩვენში და ამ უზარმაზარი დროის განმავლობაში ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა. ვნებიანი თვალიერებები მაშინვე მოწყდებოდნენ ობიექტებს და იმ გაუბედაობის გამოქვაბულებში დაბრუნდებოდნენ საიდანაც ფრთხილად გამოსულიყვნენ და ამის მერე არც ეცოდინებოდათ ოდესმე რომ მათ ცხოვრებაში იყო გარკვეული შუალედი როცა ისინი ეს თვალიერებები გამოქვაბულის გარეთ იდგნენ და ნამდვილ დაუმუშავებელ უფორმო ჰაერს სუნთქავდნენ მიწიდან ამოზრდილ ხეებს განიცდიდნენ და ჭიებს ფეხს ადგამდნენ და სრულიად ვერ გრძნობდნენ რომ იგი ფარული ვნება იყო და აი ეს ვნება შეუბრუნდებოდა მშობლიურ წყვდიადს სიხარულის გაჩენისთანავე. სახლები ჩასაფრებულებივით პირს იქცევდნენ ჩვენსკენ და ზიზღით მოგვაშტერდებოდნენ თითქოსდა უკანასკნელი ამოკვნესით და უკანასკნელი იძულებითი ანდერძით რათა ბოლოს და ბოლოს გვეცნო ჩვენი დანაშაული უამრავი სარკმელი როგორც ამდენივე ოროლი და როგორც სწორედ ოროლი და არა სარკმელი ჩვენს მიერ ოსტატურად ნატყორცნი სწორედ სიხარულის გაჩენის აქტით. სირცხვილი მტრედების დამფრთხალი გუნდივით აიშლებოდა და მტვრის თხელ ფენაზე აღბეჭდილი ნაფეხურები შვებით აიმართებოდნენ. იმ ცარიელ მოსაცდელს რაც შეეხება იმას ყურადღებით უყურე ის უკვე დამთავრდა ახლა სიმღერა იწყებაო. სიმღერა ჩვენ არ დაგვიწყია. სიმღერა იმან დაიწყო. ეს ისე უბრალოდ მოხდა. დახუჭა თვალები ხელები შინდისფერ სახურავს მიუსვ-მოუსვა და წამოიწყო. ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა რომელიც თავს მოუყრის ყველა ცოდვიან ხელისგულს და განბანს. მარტის მშვენიერი დაისი დარცხვენილი მიდის და ამბობს რომ ნუ ვიტირებთ. ყველაფერი მთავრდება რაც ჩვენია და რაც ჩვენი არ არის. დროზე წაიკითხე გაზეთი და მიეცი მას ვინც კარგად ისადილა და რა ხანია მოუნელებია. ო როგორი დიდრონი თვალებით გიმზერს. მიეცი გაზეთი და ამაზე ნუღარ იფიქრებ. ეს ხომ ჩვენი უვადო და უპირობო ხვედრია. ყვავილები უშენოდ და ყვავილები უჩემოდ. ნუთუ ეს ყველაფერი ისე დავიმსახურეთ რომ ვერაფერი გავიგეთ. ნუთუ ეს ყველაფერი ამდენი ტკივილის საფასურად და ამდენი დაქცეული მკერდის საფასურად. მე ჩემი მკერდი მომირთმევია. ნეტა რას იტყვის ოზირისი ჩემი ჭუჭყიანი და ლამაზი ქმარი. ნეტა რას იტყვიან ჩემი მხევლები. სუფრა გაშლილია. შემოიტანეთ წყალი და სათლი. დედა დედა ხომ გადავრჩები. ჩვენ ყველა უნდა გადავრჩეთ დედა. შევხედოთ ზეცას ყველა შესაძლო მიმართულებით და ვილოცოთ და ვიკითხოთ რწმენით გადავრჩებით თუ არა და აჰა ხმა რომელიც გვაუწყებს რომ შეიძლება გადავრჩეთ და შეიძლება არა. დროზე წაიკითხე გაზეთი და ეძიებდე ახალ გაზეთს და ჰპოვებ-

დე ძველს. აი ჩემი ხელისგულები რომლებიც სავსეა შინდისფერი თუნუქ-
ით და თეთრი სუფრით. მართლა ასე ვმღეროდიო მართლა მეთქი. მერე
შენ სად იყავიო. მეც აქ ვიყავი სახურავზე მეთქი. მართლა მაშინ მოვიდა
წვიმა მე რომ სიმღერა დავიწყეო. შენ როგორ არაფერი არ გჯერა რასაც
შენზე გიყვებიან მეთქი. რა თქმა უნდა მოვიდა მეთქი. რა თქმა უნდა ვე-
ლოდით მეთქი. რა თქმა უნდა გამოვცვივდით და ყველაფერი ისეთი ლამ-
აზი იყო ჩვენი მოლოდინიც კი დაგვავიწყდა რამდენიმე ხნით მეთქი. და
ეს მაშინ როცა ყველანი ისე ვიქცეოდით თითქოს სცენაზე ვიდექით და
ხალხი უკვე ტაშს გვიკრავდა. როცა ხალხი ტაშს აღარ გვიკრავდა არც
ჩვენ ვისხედით უკვე სახურავზე. სახანძრო კიბე კარგია და უსაფრთხო
მაგრამ ჩვენ ავიშალეთ თუ არა მაშინვე ჩავიფიქრეთ რომ უნდა დავწინაუ-
რებულიყავით და ასეც მოვიქეცით. პირველები ჩამოვდიოდით და როცა
მოულოდნელად მაღლა გაგვექცეოდა თვალი უფრო გვიკვირდა ვიდრე
გვიხაროდა ასეთი კრიალა და ვარდისფერი ცა თითქოს ეს-ესაა ნაბანავე-
ბი და ახალსაცვალამოცმული. ტირილი მოგვინდა ისეთი კარგი იყო ეს ყვ-
ელაფერი. გადავწყვიტეთ ვიდრე ასფალტზე ფეხს არ დავდგამდით ზემ-
ოთ აღარ აგვეხედა და არც სატირლად გაგვიხდებოდა საქმე. არაფრისგან
დაზღვეული არ ვიყავით ვინაიდან ყველა ეს გეგმა სადღაც სხვაგან მზად-
დებოდა და სინანულსაც თავისი განსაკუთრებული ადგილის წყალობით
ამ ოსტატურად შედგენილ გეგმაში ჯერ მოლოდინის მეტი ვერაფერი მოე-
ხერხებინა მსგავსი მცდელობა კი ძალიან უმწეოა საიმისოდ რომ თავს
აღემატო და რაღაცას მაინც შეხედო როგორც ტოლს და სწორს. ჩვენი
კეთილი მშობლები. მათ ხომ იცოდნენ რა გველოდა როცა ავტობუსის
ადგილი და ჩვენთვის მოზომილი მოსაცდელის ადგილი ზამბარასავით
გაიჭიმებოდნენ და მაშინვე როცა ჩვენთვის უცნობი ფუნქციით აღიჭურ-
ვებოდნენ ერთი ზამბარის საპირისპირო ბოლოებად იქცეოდნენ. დიახ.
იცოდნენ მაგრამ ისე იქცეოდნენ რომ ჩვენთვის მხოლოდ იმაზე მიეთითე-
ბინათ რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და თითქმის გარდაუვლად მნი-
შვნელოვანი იცოდნენ და რომ ერთად უნდა მიგვეკვლია იმ მიზეზისთვის
რომელიც მათ ზნეობრივ ძალას შემატებდა საიმისოდ რომ ტრადიციის-
თვის ეღალატათ და ეს ცოდნა თავადვე გადმოეცათ ჩვენთვის რათა ის
ურთულესი და ლაბირინთივით გამოუვალი ტკივილები აეცილებინათ ჩვე-
ნთვის რომლებთან ბრძოლისთვის საჭირო ენერგიის უფრო მაღალი მიზ-
ნებისკენ წარმართვა სასიკეთოსაც მეტს გვპირდებოდა და რომ არა მოლ-
ოდინი შეიძლებოდა მეტზე კი არა მეტისმეტზეც გვეფიქრა. მაგრამ რა
შეიძლებოდა ქცეულიყო ამ მეტისმეტად ჩვენ ვერასდროს გავიგებდით.
შეიძლება ამ მომენტს ვითვალისწინებდით კიდეც როცა საჭიროდ მივიჩ-
ნიეთ სახანძრო კიბით კი არ ჩამოვსულიყავით არამედ სხვენში შევბრუნე-

ბულიყავით ის სამტრედე გაგველო რომელიც აქ ამოსვლის დროს დავარ-
ბიეთ და სადარბაზოდან გამოვცვენილიყავით წვიმის საყურებლად. მოგ-
ვიანებით დედამ გვისაყვედურა უკეთესი იქნებოდა კიბით ჩამოსულიყა-
ვით და მაშინ ხომ აცდებოდით იმას რაც შეგემთხვათო. მაგრამ როცა ეს
ითქვა უკვე გვიან იყო და დედამ როგორც თქვა ყველაფრის შეცვლა შეიძ-
ლებოდა. არა. დედამ უფრო ზუსტად თქვა გვინაა ამიტომ უკვე ყველაფ-
რის შეცვლა შეიძლებაო. ასე თქვა მაშინ როცა ჯერ ყველაფერი წინ იდო
და არც ჩვენ გვეგონა ასეთ სახეს თუ მიიღებდა საქმის ვითარება რომელ-
საც სინამდვილეში არც საქმე ეთქმოდა და არც მითუმეტეს ვითარება.
არც ერთი გზა არ გულისხმობდა იმას რაც ჩვენ შეგვემთხვა. ამის შესახე-
ბაც მერე ვიმსჯელეთ. მაშინ კი სხვენით უკან დაბრუნება სწორედ იმიტ-
ომ გადავწყვიტეთ რომ მაღლა თვალი არ გაგვქცეოდა. მტვრიანი და აბლა-
ბუდებით სავსე სხვენი ცის მინიატურული მაკეტივით იყო. ცარიელი სამ-
ტრედე თვით ამ სხვენის მინიატურულ მოდელს წარმოადგენდა. ყველა
ერთად როგორ შევეტეოდით ან ვის უნდა დავმალვოდით ყველა ერთად.
ამიტომ ისევ ჩვენ შევედით და კარი არ მოგვიხურავს ისე ჩავიცუცქეთ
იქ და ისე გვიხაროდა როგორც ძალზე იშვიათად ხდება როცა ტანში ჟრუა-
ნტელი გივლის და შენს თავს უფლებას აძლევ შენს გვერდით მყოფის მი-
მართ რაღაც ისეთი ჩაიდინო რასაც სხვა დროს არც იფიქრებდი და ვერც
წარმოიდგენდი. თან ვცდილობდით მტვერს არ შევხებოდით და სიცილი
არ წამოგვცდენოდა თორემ მაშინვე მიხვდებოდნენ სადაც ვიმალებოდ-
ით ხოლმე თითქმის ყოველთვის როცა ვთამაშობდით. თამაში ხომ ყველა-
ზე უსაფრთხო იყო. ბოლოს და ბოლოს თამაში ჯავშანივით იყო და ჩვენი
მშობლებისგან გვიცავდა. ვერც ერთი მშობელი ჩვენში ვერ შემოაღწევდა
ვიდრე ვთამაშობდით. ჩვენ იმ შემთხვევისთვისაც მზად ვიყავით თუ
მოგვაგნებდნენ და სულის უკანასკნელ წვეთამდე ვეცდებოდით დაგვერ-
წმუნებინა რომ ადრე აქ არასდროს დავმალულვართ და არც ვიცოდით ამ
სამტრედის არსებობა საიდანაც არ იშლებოდა მშვენიერი ხედი მობანავე
ადამიანებით და ჰორიზონტზე თითქოს ცაში დაკიდებული ტანკერით
სადაც არ იყო ფერადი კენჭებით სავსე ნაპირი და მწვანე მინდორი სადაც
ბავშვები ფუტკრებს აწვალებენ ხეებზე დაძვრებიან ბურთს დასდევენ
ხოლო ბექს შეფენილ ტყეში სადაც დიდი ხანია ნადირი აღარ ცხოვრობს
ყველა ასაკის წყვილები შედიან და გარკვეული დროის მერე დაღლილები
და უკმაყოფილოები გამოდიან მაგრამ მათ სახეზე მაინც ისეთი ტკივილი-
ანი და ფიქრისგან დაცლილი მზერაა აღბეჭდილი როგორც იმ ადამიანთა
სახეებზე რომლებიც წირვის დამთავრების მერე ტაძრიდან გარეთ გამოე-
ფინებიან ხოლმე და რა შეიძლება იყოს გასაკვირი იმაში რომ თანამედრო-
ვე ტყეები თითქმის არაფრით განსხვავდებიან ყველაზე მშვენიერი ტაძ-

რისგან სადაც შეგიძლია ვნებები დაიოკო სული მოითქვა სასქესო ორგა-ნოები დაასვენო და ახალი ენერგიით აღსავსე შეეგებო ახალ ვნებებს რომლებიც ახალი თავგადასავლებისკენ მოგიხმობენ. ჩვენ შევძლებდით დაგვერწმუნებინა ნებისმიერი ვინც უკვე აღარ იყო ბავშვი რომ სამტრე-დეში დამალვის სურვილი შეიძლება გაუჩნდეს მხოლოდ იმას ვინც გაშლი-ლი პეიზაჟებით ტკბობისთვის არ გაჩენილა და იძულებულია ყოველთვის იქ შედგეს სადაც თვალს არაფერი შეზღუდავს არაფერი დაეჯახება არა-ფერი შეარცხვენს არაფერი აქცევს საკუთარი თავის მონად ან მონადყო-ფილად. ჩვენ ამას შევძლებდით და სწორედ ამიტომ არ დავმალულვართ სამტრედეში სადაც მხოლოდ ჩვენს ჩანაფიქრს და ღრმად გააზრებულ მიზანს დავუგეთ ბუდე. ვინც მაშინ გვაკვირდებოდა ვერაფერს შენიშნავ-და ისეთს საეჭვოს რომ გახდიდა ჩვენს საქციელს და მნახველს აფიქრები-ნებდა თითქოს არაფერს აკეთებენ განსაკუთრებულს მაგრამ რაღაც სერ-იოზული გეგმა უსათუოდ ექნებათ მომზადებულიო. სხვათა შორის მსგავ-სი ფიქრითაც რომ ცდილიყვნენ ჩვენს გამოშიგვნას მაინც არაფერი გამო-უვიდოდათ იმიტომ რომ ჩვენი გეგმის არსებობის მტკიცების გზაზე თავი-ანთივე გეგმა გადაუდგებოდათ იმ ეჭვის სახით რომელსაც ნებისმიერ ადამიანში ბადებს მისი გამოცდილება და მეორის გამოცდილებისკენ გზ-ას უკეტავს. მით უარესი როცა საქმე ბავშვს ეხება. მაგრამ მიუხედავად ამისა მათ არ გაუჭირდებოდათ ამ ყველაფრის გათვალისწინება და თუ ბრძოლას ჩვენთვის მისაღები წესებით ვერ მოიგებდნენ გამორიცხული არ იყო რომ ფიზიკური ან ცივი ძალა ეხმარათ და მაშინ იძულებული გავხ-დებოდით დაგვეთმო. მნიშვნელობა არ ჰქონდა ძალას ჩვენზე იხმარდნენ თუ სამტრედეზე ორივე შემთხვევაში წაგებული დავრჩებოდით ვინაიდან სადაც ბრძოლაა ჩვენ იქ ყოველთვის ვაგებთ. ჩვენ ხომ არც ავტობუსამდე მანძილის შემცირება გვქონდა გადაწყვეტილი ხოლო თუ ეს თავისთავად მოხდებოდა ამაში ჩვენი ცნობიერი დამსახურება ნაგულისხმევი არ იქნე-ბოდა და არც ჩვენ გამოვიდებდით თავს დაჟინებული მტკიცებით. უბრა-ლოდ დავრწმუნდებოდით რომ მის სირცხვილს ვეცით თუ არა პატივი და დაუბრუნდა თუ არა მოვლენათა მდინარება ჩვეულ წესრიგს ასაწონ-გა-საზომი უკვე არაფერი გვრჩებოდა და ისღა დაგვრჩენოდა გარეთ გავცვე-ნილიყავით და დიდხანს გვეყურებინა ჩვენი თვალებისთვის როგორ მოდ-იოდა წვიმა სრულიადაც არა ჩვენს გასახარებლად. ჩვენ არ ვიყავით დაღ-ლილი ადამიანები და არ გვეშინოდა იმათ მსგავსად გაჩერებაზე რომ შეგ-როვილიყვნენ და მოუთმენლად ცქმუტავდნენ და ერთმანეთს ეჭვის თვა-ლით უყურებდნენ და ერთმანეთისთვის ყოველ წამს განაჩენი გამოჰქონ-დათ ხოლო განაჩენი სისრულეში ყოველ წამს იმას უნდა მოეყვანა ვისთვი-საც გამოჰქონდათ იგი. ძნელი იყო ამ აზრთან შეგუება მაგრამ შეგუება

არც საშველი იყო და არც არჩევანი. როგორც მან სცენიდან დასჭექა მაყურებლის ტაშის მოსასმენად და მაყურებლის გულის ასაჩვილებლად და მაყურებლისავე მასხარად ასაგდებად ეს იყო ბედისწერა. ჩვენც უნდა ავყოლოდით და მიგვებაძა მაგრამ არა იმ იმედით რომ ფარსი მხარს აგვიქცევდა და გამოცარიელებულებს დაგვსვამდა ერთმანეთის პირისპირ. ამიტომ როცა მან თქვა სახანძრო კიბით უნდა ჩავიდეთო და ამაყად მიგვითითა არაფერი გვითქვამს წამოვიშალეთ და რაკი მითითება იმასაც გულისხმობდა რომ პირველები ჩვენ უნდა ჩავყოლოდით კიბეს ასეც მოვიქეცით. ის მხოლოდ მაშინ დაიძრა ადგილიდან როცა ყველანი კიბეს ვიყავით მიკრულები. მიუხედავად ამისა ჩვენ ვხედავდით მას სწორედ სახურავზე მყოფს და ბედნიერს. ის სიცილით იჭაჭებოდა და ფიქრობდა გემის კაპიტანს ვგავარო გემბანზე მხოლოდ მე დავრჩი და ახლა უფლება მაქვს მშვიდად დავტოვო ჩასაძირად განწირული ეს გიგანტიო. მას საკუთარი თავისთვის მიესაჯა რომ ჩვენ მასზე ისე გვეზრუნა მაღლა ერთხელაც არ აგვეხედა. მაშინაც არ ვიცოდით მაღლა რა ხდებოდა როცა მან უკანასკნელად მოავლო მზერა წვიმას უპატრონოდ შერჩენილ შინდისფერ სახურავს და კიბეს ხელი ისე ჩაჰკიდა როგორც დედამ გაჯიუტებულ ბავშვს. ამის მერე ჩვენ ზემოთ არ აგვიხედავს და ეს ჩვეულება მას მერეც კიდევ დიდხანს დაგვრჩა ჩვეულებად როცა ასფალტზე დავდგით ფეხი და გამარჯვებული ჩვენი მშობლების მზრუნველ ხასიათსაც ხშირად ჩავუკვირდებოდით ხოლმე. დავდიოდით ვჭამდით ვერთობოდით და მაღლა არ ვიყურებოდით თითქოს ამით ისეთ რიტუალს ვასრულებდით რომელსაც ავტობუსის მოლოდინსა და ჩვენს მოლოდინს შორის განსხვავება ნულამდე უნდა გაეზარდა. ავტობუსის გამოჩენამ მხოლოდ გაამძაფრა ეს ვნება სწორედ ისე როგორც თვალს გაუცხოველა მაღლა ახედვის თუ გაპარვის ვნება. ერთი სიტყვით ჩვენს იქ დგომასაც ისეთი პირი უჩანდა რომ ავტობუსის მოსვლის შემთხვევაშიც ვერავინ შეგვნიშნავდა რაკი ჯერჯერობით ჩვენ მათ მოლოდინისგან აცუნდრუკებულ ადამიანებს არ ვაკლდით საუკეთესო შემთხვევაში კი საკუთარი ნებით გარდაცვლილებს ვგავდით იმ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით რომ მოსანანიებელი არაფერი გაგვაჩნდა თუ არ ჩავთვლიდით დედალ ნეხვზე მითითებასთან დაკავშირებულ ამბავს რომელიც ადრესატს მაინც არასდროს დაავიწყდებოდა რის გამოც ოდესმე საკუთარ თავთან პირისპირ და მარტო დარჩენის საშუალება პერმანენტულად ერთმეოდა. ამის მიზეზს ისიც წარმოადგენდა რომ დრო ყოველთვის ეშმაკობდა საშუალებას არ გვაძლევდა თვალი მიგვედევნებინა ჩვენგან დაწყებული დაცინვის ყველა რეზულტატისთვის რომლებიც ალბათ ოდესღაც მაინც მოიყრიდნენ თავს იმ ჩვენს ჩანაფიქრში რომელსაც სიცილი მოჰყვა. აბა სხვანაირად როგორ გაგვემართლებინა ან ჩვენი

იქ დგომა ან ჩვენი უფერული სიცილი ან ის წვიმა რომელიც თითქოს ჩვენი ნება-სურვილით მოდიოდა ნახევრადსავსე ავტობუსთან ერთად და ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევდა რაც სწორედ მან იგრძნო პირველმა რაკი ჩურჩულით აღნიშნა ეს იგივეა ნებისმიერ ბგერას ხმოვანს თუ თანხმოვანს ჩასუნთქვის პროცესში რომ გამოვთქვამდეთო. მერე ჩვენც ხშირად გვიფიქრია არა უშუალოდ იმ მომენტზე რომელიც მან ჩურჩულით დაფიქსირა არამედ ამ ჩურჩულით ნათქვამის მიერ ჩვენში ამოქმედებული უამრავი ხატის შესახებ. მართლაცდა რა უნდა ყოფილიყო მარტის იმ მშვენიერ ნაშუადღევს ჩასუნთქვით ბგერების ამოთქმის ვნებაზე უფრო საფუძვლიანი. მერე რა რომ სიტყვები მსგავსი ორიენტაციით არ ამოითქმიან. აჰაო სამაგიეროდ ჩაითქმიანო. არც ჩაითქმის ის ხომ სასიკვდილოდაც არაა განწირული რაკი არც დაბადებულა მეთქი. ეს მხოლოდ იმათთვის ვისთვისაც არ დაბადებულა იმიტომ რომ არ მოუსმენიათო. განა გაემტყუნებათ მათ ხომ ამის ძალა არა აქვთ მეთქი. იმის ძალა ხომ შესწევთ რომ იგრძნონ რაც ჩაისმინეს აბა წინააღმდეგ შემთხვევაში რა იცოდნენ ავტობუსს რომ ელოდებოდნენ ან როგორ სწამდათ რომ ავტობუსი მოვიდოდაო. უკვე მერამდენედ გამეცინა მწარედ როცა ამას ვისმენდი. მართლა რა იცოდნენ ასე მონდომებით რომ ცქმუტავდნენ თუ არაფერი ჩაესმოდათ ერთმანეთის ფიქრებიდან ამომავალი და მათს ფიქრებში ჩამავალი. აქ იყო ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რომელიც სასწორზე აგდებდა მსგავსი აზრის დაბეჯითებით მტკიცებას. განა თავადვე არ თქვა ისინი ისე დაღლილან ვერასდროს დაგვიმსგავსებენ შორეულ მოსახვევში რაც ხდება იმას მათ გულში დიდი ხანია გაუვლია და ახლა მხოლოდ უაზროდ ელიან თუ საერთოდ მართლა სჯერათ რომ ელიანო. ისიც საეჭვო იყო რომ ასეთი გაორებული ცხოვრებით შინაგანად გახლეჩილი ბგერები სიტყვებად გამთლიანდებოდნენ და განცდის შეკოწიწებას მაინც მოახერხებდნენ მაგრამ თუ ამ საკითხსაც მოევლებოდა იმის ფასად რომ ბგერა რომელიც უკუიქცევა აღარ საჭიროებს სიტყვად ჩამოყალიბებას ვინაიდან მან უკვე განვლო ეს სიტყვა და საკუთარი თავიც შეიმეცნა როგორც დაღლილი და მშვენიერი იმავდროულად კი სათანადო შინაარსობრივი სიმტკიცის მქონე მაშინ ერთი რამ მაინც აუხსნელი რჩებოდა როგორ აღმოვჩნდით ჩვენც და ისინიც ავტობუსის იმ ერთადერთ გაჩერებაზე რომელსაც ჩვენ შორიდან ვუცქერდით ისინი კი ფარავდნენ და საშუალებას არ გვაძლევდნენ გაგვერკვია მართლა გაჩერებაზე იდგნენ თუ არა და მართლა შეიძლებოდა თუ არა მოსაცდელი დარქმეოდა იმ განცდას რომელიც მათში ამ დაღლილ მაგრამ ვნებით სავსე ადამიანებში დუღდა და გადმოდუღდა. მართალია ხსენებული განცდა მათთვის საგანგებო სატყუარებით მოზომილი გაჩერების სარკეს არ წარმოადგენდა და რომც წარმოედგინა ყოველ წამს

ორთქლით იქნებოდა დაფარული და ჩვენი მთელი ძალისხმევა ამ ორთქლის იმ იმედით მოშორებისთვის უნდა შეგველია რომ მოვასწ-რებდით შემდგომი ორთქლის დადგომამდე ამ გაჩერების მიმართულების იმ სახით წაკითხვას როგორსაც ჩვენი სინდისი და პატიოსნება მოითხოვ-და და ამით ორ ორთქლს შორის ჩვენი და მხოლოდ ჩვენი გამოცდილების მოთავსებას მოვასწრებდით მაგრამ სამწუხარო ისაა რომ არ არსებობს არანაირი გამოცდილება რომელსაც მიიღებს არათუ ორ ორთქლს შორის ანუ ორ სარკეს შორის არსებული შუალედი არამედ თვით ზმნა ამ-სა და ზმნა იმ-ს შორის თუნდაც შემთხვევით გაჩენილი გამჭოლი ხაზი რომელიც არა და არაა რკალი. მან ეს იმით ახსნა რომ ნებისმიერი გამოცდილება ვთქვათ ჩვენს მიერ ავტობუსის გამოცდილება თუ ორ ორთქლს შორის მოთავსდებოდა ჯერ ერთი ამ აქტით დაიბადებოდა ის უმძაფრესი შეგრძ-ნება რომელიც თავის წარმომქმნელს უმალ დაგვავიწყებდა და მეორეც ის ჩვენთვის სასარგებლო ვერ იქნებოდა იმით რომ ხელს შეუშლიდა ორი ორთქლის ერთმანეთთან შეხვედრას და დიდი-დიდი კიდევ ერთხელ უკვე მერამდენედ გაემეორებინა სწორედ ის რასაც ლამის ჰეროიკული მონდო-მებით გავურბოდით. ვერც გავექეცით. როცა მთელი ჩვენი შინაარსიანი შეგნებით გამოვცვივდით და შევეცადეთ დავმსგავსებოდით ჩვენივე ბავ-შვობის მოგონებებს აი მაშინ შეგვახსენა თავი წვიმამ და ის მოდიოდა და ჩვენ უნდა დავხვედროდით. მან მოასწრო და გვიჩურჩულა არაფერი არ გაითვალისწინოთ თორემ დედა გამოვა და შინ შეგვრეკავსო რაც ცხადია არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა ესოდენ ამაღელვებელი შეხვედრის მოლ-ოდინში რომელიც მიწიური ნათელივით მოწვეთავდა ჩვენი გულებიდან და შესაძლოა კარვის კალთა არ ჩახეულიყო მაგრამ შეხებით გამოწვეულ სინანულს კი უსათუოდ გავიგებდით. ამისთვის მზად ვიყავით. მას რომ ამის იმედი არ ჰქონოდა მაშინ კიბით რატომ დავეშვებოდით და რატომ გადავწყვეტდით რომ არასდროს აგვეხედა იქ სადაც ყველა შემდგომ ქმე-დებას დაედო საფუძველი. მაშინ სულ არ ჩავთვლიდით საჭიროდ იმაზე ფიქრს თუ რა მოხდებოდა ასფალტზე ჩვენი ფეხის შეხების შემდეგ და ამის ნაცვლად უბრალოდ ზურგს ვაქცევდით სახურავიდან გადმოსახედს და სხვენის გავლით ჩავიდოდით იქ სადაც ავტობუსს ჩვენი ნებისყოფაც უნდა გაეცხადებინა ყველაფერთან ერთად. აკი ხშირად ვახსენებდით ერთმანეთს ის როგორ იყოო მან რომ თქვაო შეხედეთ შეხედეთო სახლებ-მა როგორ გვაქციეს ზურგი და როგორ შეგვატოვეს ამ დაღლილ და ვნებ-ით სავსე ადამიანებსო. მაშინ რატომღა გავცვივდით წვიმასთან შესახვე-დრად ასეთი მოზეიმე და ამაღლებული ნაბიჯებით და რატომ გვიხაროდა და საერთოდაც რა ხელი ჰქონდა ჩვენთან იმ რწმენას რომლითაც სავსე იყო წვიმა. მერე რა რომ ჩვენ არა. მერე რა რომ ვერ დაგვემსგავსებოდნენ.

მერე რა რომ მისი სირცხვილი ასე უსირცხვილოდ დაძრწოდა ჩვენს მკლავებს შორის და იფიცებოდა დიახაც დავკარგეო. დავუშვათ სულაც არ დაეკარგა და გვატყუებდა. განა რას გვავნებდა ან რას შეგვმატებდა ასეთი უმწეო ტყუილი იმ ფორნზე რომელიც ჩვენს სულში ავტობუსისთვის მონიშნული ფიქრისა და ჩვენი სურვილების გზაგასაყარზე იქმნებოდა. ჩვენ საიმისოდაც არ გვინდოდა თავის ატკიება რომ ან დავრწმუნებულიყავით მართლა დაეკარგა თუ არა და მერე ისიც დაგვერწმუნებინა ან მასთან ერთად ასეთი გამორჩეული მონდომებით გვეძებნა ასეთი მოთხოვნებით წარვმსდგარიყავით ერთმანეთის პირისპირ და მისხალ-მისხალ განგვეჩხრიკა ერთმანეთის სხეულის ყველა ასო და ყველა ნაკვთი ანუ გულახდილად გვეგრძნო მის მიერ თავის თავში აღძრული განწყობილების მთელი ტრაგიზმი. არა. სირცხვილი ჭეშმარიტად შორს იყო ჩვენგან და ვიდრე ტაშს გვიკრავდნენ იმის საშიშროება არ არსებობდა რომ ბოლოს მოგვიღებდა. მხოლოდ ყოველთვის უნდა გვხსომებოდა რომ ძირს გვითხრიდა და ერთ მშვენიერ დღეს უსათუოდ დაგვამხობდა. მაგრამ ვიდრე ეს ჟამი ჯერაც შორეულ პერსპექტივაში მოინიშნებოდა კიბის ერთი საფეხურის გამოტოვების უფლებაც კი არ უნდა მიგვეცა ჩვენ-ჩვენი თავისთვის და როცა ყველაფრის შეცვლა შეიძლებოდა ჩვენ უკვე გვიხაროდა და ხელებს მონდომებით ვიქნევდით ყველა შესაძლო მიმართულებით. დაგვაიმედა თუ არა რომ ყველა ეს მიმართულება ჩვენვე უნდა დაგვბრუნებოდა და ჩვენი თუნდ ერთი მარცვალი ცრემლის ყველა რეზულტატი ოდესმე ჩვენს ფიქრში მოიყრიდა თავს ვირწმუნეთ რომ ჯერაც არაფერი იყო დაკარგული და ის ერთადერთი ჩანაფიქრიც რომელსაც სულს ვუბერავდით და ასე ვაცოცხლებდით არა მხოლოდ ყვავილივით გარკვეული იყო არამედ მასავით მძიმედ და უმწეოდ იხსენებდა გზაჯვარედინზე ჩვენს პირველ შეხვედრას როცა ერთმანეთის საპირისპირო სადარბაზოებიდან სიხარულით გამოვცვივდით და როცა ერთმანეთს შევხედეთ მართალია ნამდვილად არ დაგვვიწყებია რისთვისაც გამოვცვივდით ჩვენ-ჩვენი სადარბაზოებიდან მაგრამ ის კი ვერ ვიგრძენით რომ რაღაც გაცილებით მნიშვნელოვანი მოხდა და კიდევ უფრო მძაფრი მოვლენების სამომავლო მსხვერპლი გახდა და რაც ერთხელ უკვე მოხდა შესაძლოა არც დავიწყება გახდა და არც ხსოვნა და აჰაო მოსახდენი მოხდაო ჩაიფიქრა საოცარი ერთსულოვნებით და ჩვენი გამოცდილებაც გაცილებით კონკრეტული და მობილიზებული გახდა ვიდრე ოდესმე იყო ან როგორც მერე ვხუმრობდით ვიდრე ოდესმე ბრძანდებოდა. მაშინ ხომ არც ერთმანეთს ვიცნობდით და არც ის ვიცოდით ორივემ რომ თანაბრად ვირწმუნეთ თურმე სინოპტიკოსების მიერ თითქმის კონტრაბანდასავით შემოგდებული ინფორმაცია წვიმის შესახებ რომელსაც ელოდნენ მაგრამ არა იმ რეგიონში რომელშიც ჩვენ შეგვეძ-

ლო შესაბამისი ოცნებებით ორიენტირება და გარკვეულ შემთხვევაში იმ ჩარჩოების მსხვრევაც წვიმის სისწრაფეს წინასწარცნობილს და ნებადართულს რომ ხდიდა. მაგრამ ისიც რაღაცას ნიშნავდა რომ ერთდროულად ორ საპირისპირო სახლში ერთი ამოცანა ერთი გზით ამოიხსნა მაშინ როცა გამორიცხული არაა საგანგებო დანიშნულება ჰქონდა ამოხსნის ლამის ურიცხვ ვარიანტს. მართალია ისეთი ბრიყვები არ ვიყავით რომ მაშინვე გვერწმუნა ის რაც უკიდურეს შემთხვევაში პირველი მიგნების სიხარულით გამოწვეულ მოქმედებად იქცეოდა და მშვენიერ ნადავლს ჩაუგდებდა ხელში იმას ვისაც გადაეწყვიტა ანკეს ზე ჩვენი წამოგება სწორედ ჩვენი გრძნობების ინტენსივობის ბეჯითი ანალიზით. ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა რომ მავანი სულ ერთია კონკრეტული პირი იქნებოდა თუ ანონიმი ან თუ გნებავთ ყოველგვარ პიროვნულობას მოკლებული აბსტრაქტული თუ გაურკვეველი მთელი უკვე წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. რა უნდა გვეღონა. არსებობდა თუ არა გზა მისი გამარჯვების ჩასაშლელად. გულახდილად რომ ითქვას ბევრი არ გვიფიქრია. არადა ჩანაფიქრით ნამდვილად მოიხიბლებოდა ნებისმიერი ვისაც მსგავსი სიტუაციის სირთულე დაუთმენია. ეს ალბათ ჩვენს ძალებს სავალალო დღეში ჩაყრიდა ისევ ის წვიმა რომ არ გაგვეშიფრა რომელიც თავს უყრიდა მისსავე არსში ამუშავებული განწყობის მთელ კომიზმს რაც ისევ და ისევ ჩვენი მდგომარეობის კომიზმით იყო გამოწვეული და თუ მართლად განვსჯიდით არ უნდა გაგვკვირვებოდა ყოველ შემთხვევაში შემდგომი ორთქლის მოსვლამდე მაინც რათა ჩვენდა უნებლიეთ გახსნილი სივრცე ჩანაფიქრში მაინც შეკრულიყო და არც ამ შეკვრით გამოწვეულ სიმრავლეს დამუქრებოდა საფრთხე. ცხადია უპირველეს საფრთხედ ისევ და ისევ ჩვენი ამ დაუცხრომლად მომლოდინე ადამიანების არსებობა გვესახებოდა. ჩვენი არსებობა თუ მას საფრთხეს შეუქმნიდა და გადაგვარებით დაემუქრებოდა ეს მხოლოდ მისთვის კი არა ჩვენთვისაც საშიში იქნებოდა არა იმიტომ რომ ჩვენი არსებობა უკვე სხვისად იქცეოდა არამედ და ძირითადად იმიტომ რომ წვიმის მოსვლისთანავე რაღაც ისეთი დაგვტოვებდა რომ ხელმეორედ იგივე მდგომარეობაში რომ მოვხვედრილიყავით ვეღარ მივხვდებოდით რომ მარტის ის მშვენიერი საღამო ბევრი ჩვენგანისთვის და პირადად ჩვენთვის ისეთ ხსოვნად გარდაიქმნებოდა რომ ჩვენ ტკივილის მეტს არაფერს დაგვიტოვებდა მას კი სწორედ მას შინდისფერ სახურავზე გემის კაპიტანივით ამაყად მზერის მიმომტარებელს ყველა კოზირს ხელში მისცემდა იმის ნიშნად რომ თამაშის დამთავრებისთანავე იწყება იწყება ის რასთანაც მხოლოდ მას შეიძლებოდა ჰქონოდა საქმე. რა უნდა გვეღონა თუ არა შემდეგ ერთადერთ გამოსავლად მიჩნეული იმათ მიერ ვისი აღზევების დასასრულსაც სათავე დაუდო ამ ნაბიჯმა. რა შეიძლებოდა გვეღონა თუ

არა ის რომ მის გამარჯვებას აღვმატებოდით. საამისოდ კი საჭირო იყო ჩვენც მასთან ერთად გვეზეიმა მისი გამარჯვება და რაც შეიძლება შემზარავი ყოფილიყო ჩვენი დამარცხება სწორედ მისი ზეიმის ხარჯზე. ამით ნაცარტუტად იქცეოდა მის მიერ ჩვენს გასამარჯვებლად და მის ხახაში აღმოსაჩენად მოფიქრებული მზაკვრული გეგმა. ეს რაღაცას დიახაც ნიშნავდა. ამიტომ გადავწყვიტეთ მართლა ერთად ვმდგარიყავით და მისი თვალის ასახვევად არ გადაგვეწყვიტა არც ერთი ღირსეული საკითხი. ახლა ხომ ხვდებით რატომ მიგითითეთ სახანძრო კიბისკენო. ვხვდებდით და გვიხარია კიდეც მეთქი. კიბის დამთავრებისთანავე იწყება იწყებაო ნუ გავიხარებთ უამისოდაც იწყება იწყებაო. თუ ასეა ხელს რა გვიშლის ჩავყვეთ კიბეს და ჟრიამულით მოვეფინოთ მოედანს სადაც ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა უნდა მოვიდეს მეთქი. კი მაგრამ გზაჯვარედინზე სადაც ერთმანეთს შევხვდით და მშვენივრად ვიცოდით რასაც ჩავდიოდით რატომ არაფერი თქვიო ჩვენ ხომ მაშინ არ გაგვიცვნია ერთმანეთი და კარგად ვიცოდით რასაც წარმოვადგენდითო. ამ სიტყვას ასეთი მაგიური მქუხარებით წარმოთქმულს წელში უნდა გადავემტვრიეთ ისევ მასვე რომ არ ემარჯვა და ტაში არ დაეკრა. ამოვისუნთქეთ და მივხვდით რომ კეთილად იყო ჩვენდამი განწყობილი. ამან კიდევ უფრო გაგვიცხოველა სურვილი ერთად გვეზეიმა როგორც ის რომ თავს ვერ აღვემატებოდით და ყოველთვის გვექნებოდა საშუალება ერთმანეთის ყველა სერიოზული არჩევანი ერთად შეგვეფასებინა ისე უკვე ჩვენივე ზრუნვით მოახლოებული სიზუსტე რომელიც ნაკლებად გულისხმობდა მანძილს მრავალი მიმართულებით და მათ შორის იმასაც რაც დამაიმედებელ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა გაჩერებაზე აცუნდრუკებულ მოქალაქეებსა და ჩვენს შორის. მაშინ სამტრედეს რომ მივშტერებოდით და ვერ გადაგვეწყვიტა შევსულიყავით თუ კარებთან გადაგვეწყვიტა ერთ დროს ჩვენს მიერ იქ შენახული ყველა ხელსაწყოს ბედი მსგავსი ფიქრებისთვის უბრალოდ არ გვეცალა თორემ ნებისმიერ არჩევანს თუ იგი ჩვენს ბედთან იქნებოდა დაკავშირებული მზად დავუხვდებოდით და ქვემოთ ჩასვლასაც მოვასწრებდით ვიდრე მოსაცდელი ხალხით აივსებოდა და ისე დამძიმდებოდა რომ ჩვენს თითო-თითო გულს უამრავი ბრტყელი ტერფი შემოსავდა უამრავი ჭეშმარიტად ღრმაა ზროვანი დგომა თუ მოარული ნაბიჯი გარემოიცავდა. მაშინ მხოლოდ ერთი ფიქრი გვაწვალებდა. ნეტავ რის დამტკიცებას ცდილობდა. თვითონაც არაერთხელ აუჩეჩია მხრები თავადაც არ ვიცი რა უნდა დამემტკიცებინა იმის მტკიცებით რომ არაფერს ვამტკიცებდიო. ან საერთოდ რატომ გახდა საჭირო იმ ცნობილი შემთხვევის გახსენება თქვენ ხომ არ მიგიძღვით ბრალი უკაცრავად ვიქნებიო. რამ გაფიქრებინათ მეთქი. იმან რამაც გახსენების სურვილი აღმიძრა და

რაც თავის მხრივ ვერაფრით გავიხსენეო. ყველაფერი ცხადი იყო და შევთანხმდით კიდეც მაშინვე როგორ ვიმოქმედებდით. ხელს მხოლოდ ის გვიშლიდა რომ ვგრძნობდით როგორ უბრუნდებოდა ყოველივე ჩვენეულ წესრიგს და ვერც ამ გრძნობას ვშველოდით სამწუხაროდ. ეგ არაფერიო ვითომ სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა და მიგვითითა კიბისკენ რომლითაც ადრეც მრავალჯერ ჩავსულვართ მაგრამ ზემოთ არასდროს აგვიხედავს. ვერც წარმოიდგენთ დღეის მერე ოდესმე თუ იყო ისეთი დრო ზემოთ რომ არ იხედებოდითო. არც გვჭირდებოდა მსგავსი წარმოდგენებით სიცოცხლის გამწარება ოღონდ ის არ მომხდარიყო რაც იძულებულს გაგვხდიდა უკან მივბრუნებულიყავით და ყველაფერი ხელახლა დაგვეწყო. დიახ. ხელახლა ავსულიყავით სახურავზე ხელახლა გვეცინა იმის გახსენებაზე თუ როგორ მიირთმევდა ჩვენი მეზობლის ხანდაზმული მამა ყოველ ნასაუზმევზე დედალ ნეხვს ხელახლა წამოგვეწყო კამათი მართლა იმათ მიერ იყო თუ არა ჩაფიქრებული ყველაფერი ვინც ფიქრობდა რომ ყველა განზრახვის სათავე მათში იწყებოდა და შემდეგ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ანალოგიურად იქსაქსებოდა ყველა შესაძლო მიმართულებით ხელახლა გვემარჩიელა რამდენჯერ ითქვა და კიდევ რამდენჯერ ითქმებოდა სიტყვა ყველა ან ყველაფერი ხელახლა ერთხმად უარგვეყო კიბით ჩასვლის მშვენივრად შემუშავებული გეგმა და გადაწყვეტით შევბრუნებულიყავით სხვენში სადაც ჩვენ უკვე სამტრედეში ვისხედით და ჩურჩულით ვამშვიდებდით ერთმანეთს რომ ვერა ვერ მოგვაგნებდნენ ყველა პროცედურის ხელახლა განმმეორებელი ეს ჯიუტი და დაბეჯითებული ადამიანები ვინაიდან ჩვენს სამყოფამდე სწორედ ყველასგან და პირველ რიგში ამ სამტრედის კანონიერ ბინადართაგან დავიწყებულ ამ სამტრედეში მონიშნულ ჩვენს სამყოფამდე მანძილს ვერ შეამოკლებდა ვერც კიბით ჩასვლის მშვენივრად შემუშავებული გეგმა ვერც სიცილი მეზობლის ნახევრადშეშლილ ქალს რომ გულისხმობდა მაგრამ არავითარ შემთხვევაში როგორც რეფერენტს და ვერც მოლოდინით დაოსებულ ადამიანთა ვნებამილეული სახეები. ასე იყო თუ ისე შემდგომი ორთქლის მოსვლამდე მაინც მოთმინება გვმართებდა და თუ მოვახერხებდით როგორმე ხმა არ ამოგვეღო ვიდრე ისინი ჩვენს სამყოფელს გარს უვლიდნენ და ისე იქცეოდნენ თითქოს მართლა არ იცოდნენ სად ვიყავით თუ მოვახერხებით ნებისმიერი მათი განზრახვა უკუგვეგდო და სინათლის მტვრიანი სხივებით დაცხრილულ ბნელში ჩვენი ერთად ყოფნა შეძლების საზღვრებში მაინც გაგვეხანგრძლივებინა მაშინ იმის გაგებასაც შევძლებდით ვინ უნდა ყოფილიყო ის ბედნიერი და ერთადერთი ვის თავშიც დაგროვდა ფარსის დადგმის სურვილი მთელი თავისი ურიცხვი შენაკადით და სხვათა შორის მის მიერ თავის თავში აღძრული განწყობილების მთელ კომიზმსაც

ნიღაბს ავხდიდით. მაგრამ ჯერ ემოციების და განცდების აღფრთოვანებ-ების და სასოწარკვეთების ის სქელი გარსი უნდა გაგვერღვია რომელიც ავტობუსის გაჩერებაზე ანერვიულებული ხალხის არც ერთ ოცნებაში უანგაროდ შეღწევის საშუალებას არ გვაძლევდა. ამას ნებისმიერი ჩვენ-განი კარგად გრძნობდა და ერთ წამს თუ რცხვენოდა სამაგიეროდ მეორე წამს უკვე მზად იყო ათასობით საბუთი იმის დასამტკიცებლად რასაც მტკიცება მისხალს არაფერს შემატებდა საჭირო და გადაწყვეტილი რწმე-ნის განსამტკიცებელს და რაც უბრალოდ ვნებების გამოსასყიდად გამო-გონილი თამაში იყო. მერე ისევ ცისკენ ჰქონდა სახე გაწვდილი და თვალი დახუჭული და ვიმედოვნებდით რომ არც ერთი ნივთი წესრიგის შთაბეჭ-დილებას არ ქმნიდა ირგვლივ. მაშ ასე და სწორედ ასეო. დიახ ასე და სწო-რედ ასე მეთქი. მერე სად. შინდისფერ სახურავზე არაფრის და არავის მოლოდინში არაფრის და არავის გამთვალისწინებელი და პირველდამწყე-ბი და თითქმის ყვავილივით მკაფიო. ო ჩემო კეთილო მეგობრებო აქ სადაც არც ერთი ნივთი წესრიგს არ გათქვამს მე თქვენ ოდესმე ყველაფერს გე-ტყვით. მარტის მშვენიერი საღამო დარაჯობს ჩემს მკერდს. დარაჯობს თქვენს სულს. დარაჯობს სათქმელს რომელიც არ ითქვა. ო ჩემო კეთილო და მდუმარე მტრედებო. მე რომ შემიძლია ტკივილამდე მიყვარდეთ ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ ტკივილი არსებობს ან სიყვარული არსებობს ან რომ ტკივილამდე სიყვარული შესაძლებელია. შემოუსხედით ამ თეთრ სუფრას რომელზეც არავინ არაფერს დადგამს. შემოუსხედით ჩემს სიყ-ვარულს. ყველამ სათითაოდ მაუწყეთ ჩემი დავიწყებული სათქმელის შე-სახებ და იმის შესახებ რაც ვერ დამთავრდა. ხომ ერთად ვსხედვართ. ხომ ერთად ვდგავართ. მამცნეთ ყოველი იმ ერთადერთი მანძილის გამო სიზმრად რომ მექცა და არასდროს დამსიზმრებია. თქვენ კარგად იცით რომ არც ერთი ჩემი ოცნება მე არ მეკუთვნის. მოტეხეთ ტოტი რომელზეც სხედხართ და გადარჩებით. დაწვით ყველა თქვენი სამშობლო. გადაბუგ-ეთ ყველაფერი რაც იშიმშილეთ. მარტის იმ წყნარ და საამო მწუხრზე მზე არ წავიდა. მარტის იმ მწუხრზე მზე ჩემთან დარჩა. კედლებიც დაჩნ-დნენ. თქვენ კარგად იცით მე რა შემემთხვა როცა მზე დარჩა და არ წავი-და. ჩემი შორეთი გამკვრივებულა. აალებულან ვარსკვლავები ჩემი მკერ-დიდან. თქვენ კარგად იცით მე რა შემემთხვა. დაჩნდნენ კედლები და ვა-რდისფერ ჩემს სარეცელს წყალი შეუდგა. დაიმშნენ ჩემი სავედრებლები. გველი შეუჩნდა ჭრილს ჩემს მშვენიერ ფეხებს შორის და ეს ჭრილი უფსკ-რულად იქცა. ამაო იყო ნებისმიერი ორი ორთქლი. არ შეიკრა პირი უფსკ-რულმა და არც მე შემკრა. შემომიდექით მოწყალედ და ყველამ ერთად და სათითაოდ მაუწყეთ ჩემი დავიწყებული სათქმელის და სუფრის შესახ-ებ. თვალი არც მერე გაუხელია როცა ჩვენ უკვე მზერით ზურგს ვფხან-

დით ერთმანეთს და იმავდროულად კიბისკენ მივემართებოდით თავდახ-
რილები თითქოს ჩვენი ბრალი იყო რომ სინოპტიკოსების მიერ ნაწინას-
წარმეტყველები წვიმა არ მოვიდა მიუხედავად იმისა რომ მზად ვიყავით
რაც მხოლოდ ჟრიამულით გარეთ გაცვენაში არ მჟღავნდებოდა და არც
მხოლოდ იმით მტკიცდებოდა რომ ვიდექით და ძალიან დიდხანს ვუყუ-
რეთ როგორ მოდიოდა და როგორ აცარიელებდა ეს-ესაა გასახარებლად
და გასაზრდელად ამომართულ ჩვენს ვნებას თითქოს ერთხელ და სამუდა-
მოდ მტკიცედ ფესვგადგმულს ეს უღვთო მაგრამ მაინც ჭუჭყიანი და
ლამაზი წვიმა. აი ასე მივხვდით რომ კეთილად იყო ჩვენდამი განწყობილი
და ვცდილობდით ამ განწყობის გაუთვალისწინებლად გვემოქმედა თორ-
ემ იოლად შესაძლებელი იყო მასში რაღაც განსაკუთრებით უბრალო ცვ-
ლილება მომხდარიყო რომ ჰაერში გამოკიდებული აღმოვჩენილიყავით
და მერე ისევ თავიდან უნდა დაგვეწყო მის სულში მიმდინარე თუ არმიმ-
დინარე გამდინარე თუ არმდინარე პროცესებით თავის მართლება და
არც იმის იმედი უნდა გვქონოდა რომ მალე გავითავისუფლებდით თავს
მისი მკლავებიდან. მსგავსი იმედი მხოლოდ ჩვენთვის იყო გასაგები რამაც
თავიდან საგონებელში ჩაგვაგდო. კიბეზეც მშვიდობიანად დავეშვებოდ-
ით ავტობუსის გაჩერებაზე თავმოყრილ ხალხსაც შევერეოდით და სამტ-
რედესაც გამარჯვებული დავუბრუნდებოდით მაგრამ რა უნდა მოგვე-
ხერხებინა მშობლებისთვის რომლებიც მღელვარებდნენ და არა და არ
სურდათ ჩვენთვის გაეგოთ და ერთხელ და სამუდამოდ მიმხვდარიყვნენ
რომ მაინც მოვნახავდით ერთმანეთს და მაინც შევასრულებდით ერთმა-
ნეთისთვის მიცემულ სიტყვას. მერე როცა მივხვდით რომ მორიგი ხაფან-
გი იყო ეს საგონებელი და გადავწყვიტეთ შეყენებულ მდგომარეობაშივე
დაგვეტოვებინა უკვე გამოცდილება სხვას გვკარნახობდა. იშვიათი იყო
ჩვენს ცხოვრებაში წუთები როცა ერთობლივი ძალებით რაღაც ისეთს
აღმოვაჩენდით ხოლმე თანაბრად რომ ვიმკიდით ხოლმე სარგებელს და
როცა გამოცდილებამ ხოლმეობითს მოგვწყვიტა და უკვე რაღაც სხვა
გვიკარნახა მივხვდით რომ სწორედ არაერთხელ მაგრამ არაბევრჯერ გან-
ცდილ წუთებს ვეალერსებოდით და გავიტრუნეთ და არც კი დაგვიწყია
იმ მიზეზის ძიება რომელმაც მსგავსი წუთები განგვაცდევინა და დიახაც
ამით მივხვდით არათუ მხოლოდ მათ დადგომას არამედ და უპირველესად
მათ მნიშვნელოვნებას და შესაძლოა სისასტიკესაც არა ჩვენს მიმართ
არამედ ჩვენი მშობლების მიმართ და სასიკეთოდ. ფასადი ძალიან უბრა-
ლო იყო. ის იმ სიცხადის გაცნობიერებას წარმოადგენდა რომ სულაც არ
იყო საჭირო მშობლებს ჩვენთვის გაეგოთ ვინაიდან ჩვენ ხომ არ ვცდი-
ლობდით მათთვის გაგვეგო და არც ურთიერთდანდობის იმედად ვიყავით
მაინც და მაინც და ხომ ვცოცხლობდით მაინც ერთმანეთის იმედად და

ხომ მაინც გვესმოდა ერთმანეთის როცა ხშირად გაუგონარ დანაშაულს და ტკივილს ვაყენებდით ერთმანეთს. აი სულ ეს იყო ფასადი. მაგრამ იმ-დენად მკაფიო და გადახარშული იყო აქ ყველაფერი რომ თვით იყოც არ-აფერზე ითქმოდა. უახლოესი გზა რაკი ამ ერთ სიტყვაზე გადიოდა ჩვენ კი ვჩქარობდით ამ ხიდის გადასალახად ფიქრი ზედმეტი გვეგონა და აკი ასეც აღმოჩნდა სინამდვილეში. რაც შეეხება იმ ყველაფერს რასაც ფასა-დი არათუ არ მალავდა არამედ ყვიროდა და წიოდა და სარცხვინელს იბრდ-ღვნიდა ოღონდ რაიმე თუნდ მცირედი რამ დეტალი არ გამოგვპარვოდა. არავითარი ფულით სავსე და ვიღაცის ხელში აჩხრიალებული ყულაბა. მხოლოდ მზეზე გასაშრობად გაფენილი მატყლი და იქვე თხილის ჯოხი. რაც შეეხება იმ ყველაფერს რაც ჩვენი ამდენწლოვანი ჯაფით და რუდუნ-ებით დაგროვებულიყო. არავითარი საიდუმლო. მხოლოდ ათასობით პირ-დაფჩენილი და მშიერი კარი რომელიც შესვლას ითხოვდა როგორც საშ-ველს. რაც შეეხება იმ ყველაფერს უკვე თითქმის მკვდარ ტვირთად ქცეულს იმ ყველაფერს აღარაფერი ეშველებაო იმეორებდა და თითებს ატკაცუნებდა დედა. ჩვენ არ გვჯეროდა და ვერც ვერავის გავაკვირვებ-დით ამით. მაგრამ ჩვენ ის გამორჩეული სიღრმე გვაფიქრებდა რომელიც დროდადრო ძლიერად ამოგვისროდა ხოლმე და რაიმე ბანალურ და ათას-ჯერ დაღეჭილ დასკვნას შეაჩეჩებდა ჩვენს თავს რითაც უკვე მერამდე-ნედ გვახსენებდა იმას რაც ვიცოდით მაგრამ რასაც განუცდელად ფასი არ ჰქონდა და სხვა რა გზა იყო ჩვენც კიდევ ერთხელ უნდა გაგვხსენებო-და სწორედ ჩვენი ურიცხვი განცდა და არა ის რაც ამ ურიცხვ განცდას იწვევდა თითქოს უამისოდ არასრულფასოვანი იქნებოდა ჩვენი აღფრთო-ვანება და ჟრიამული რომელიც ეს-ესაა დაგვითმო ჩვენმა ჭუჭყიანმა და ლამაზმა წვიმამ. ამის მერე მნიშვნელობა არც იმას ჰქონდა ვინ ავიდოდა პირველი ავტობუსში როცა ეს უკანასკნელი ჩამოდგებოდა და მძღოლი კეფას გამომწვევად შემოაბრუნებდა და გადააპურჭყებდა. გადამწყვეტ მომენტზე აღმატება მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა მისი არსებითი საყ-რდენიც რომ მოძიებულიყო და ისიც გარკვეულიყო რამ აიძულა ეს დაღ-ლილი და ერთმანეთს უმწეოდ მიკრული ადამიანები როცა არჩევნის დრო დაუდგათ თავიანთი ვნებებიდან მოხერხებულად გამომძვრალიყვნენ და ავტობუსის ღრუ სხეულში ისე განთავსებულიყვნენ რომ თვით უკიდურე-სი სიმჭიდროვის შემთხვევაშიც კი არ დარჩენილიყო ადგილი არათუ ვნებ-ისთვის არამედ იმ ერთადერთი ადამიანისთვისაც კი რომლის ძალისხმევ-ამაც ავტობუსის ჩამოდგომა გახადა შესაძლებელი. თავად არასდროს დაუჩივლია ამის შესახებ და არც მათთან ამ დაღლილ და ერთმანეთს მი-კრულ ადამიანებთან ურთიერთობაში სახელმძღვანელო პრინციპებად უქცევია ოდესმე. მართალია ჩვენ არ ვიცოდით რა არ უქცევია სახელმძღ-

ვანელო პრინციპად მაგრამ ის განსაკუთრებული ხანიერება რომელიც მასთან ერთად სახურავზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეივსო გარკვეული დასკვნებისკენ გვიბიძგებდა და გვაიძულებდა არ გვგონებოდა თითქოს ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეინარჩუნებდა ნებისყოფას და არასდროს დანებდებოდა იმ ტრაექტორიის შუაგულს რომელიც სიტუაციიდან გამომდინარე მომლოდინე ადამიანების მიერ უარყოფილი ვნების უკანა მხარე იყო და სხვა არაფერი. ნებისმიერ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულს ხდიდა როგორც მას ისე ამ ადამიანებს პროცესის ხანგრძლივობაზე. საკმარისი იყო ხანგრძლივობის რიტმიც კი შეცვლილიყო რომ ცვლილება განეცადა ამ ორი მოპირისპირე მხარის საწყის მდგომარეობებსაც და არათუ ცვლილება განეცადათ მათში მოძრავ მიმართულებებს არამედ ერთმანეთს ჩანაცვლებოდა ორი სასტიკი მტერი რითაც ორივე ჩვენს მტრად იქცეოდა. ასე იყო თუ ისე ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ვიჭყლიტებოდით. იქმნებოდა შთაბეჭდილება რომ ყველა ურთიერთსაპირისპირო მხარე ჩვენს დამორჩილებას ცდილობდა ჩვენ კი წარმოდგენაც არ გვქონდა მაინც რას ეძებდნენ ჩვენში რის დამორჩილებას ცდილობდნენ რა მალავდა თავს ჩვენში ისეთი რომელიც მათ ჩვენს დამორჩილებას შეაძლებინებდა. ნუთუ ისინი ხედავდნენ და ჩვენ ვერა. იქნებ ისინი ვერ ხედავდნენ მაგრამ ვინაიდან ჩვენ ვხედავდით და არ ვიცოდით რას ვხედავდით ჩვენს მიერ საკუთარ თავზევე შურისძიების ნიშნად გვერთმეოდა დანახულის ყველა შესაძლო განზომილება და მათ საცხოვრისს ქმნიდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა რა თქმა უნდა ეს საცხოვრისი სახლი იქნებოდა ავტობუსი თუ ის სამტრედე რომელიც ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა. მთავარი იყო დანახულს საშუალება მისცემოდა საცხოვრისში ეგრძნო თავი ერთი წუთით ერთი წამით ან სულაც ერთი საუკუნით რათა უკიდურეს საზღვრებამდე გაშლილიყო და მხედველობიდან არ გამორჩენოდა არაფერი რაც საცხოვრისს გარს ეკვროდა და მისი ორგანიზმის ნებისმიერ მოთხოვნილებას მკვეთრ ფერებში წარმოსახავდა. იგივე ითქმოდა განზომილებათა გადაკვეთის ერთადერთი წერტილის შესახებაც რომელიც თავის ერთადერთობას მხოლოდ იმით ინარჩუნებდა რომ ნებისმიერ ჩვენს საცხოვრისს და მასში ჩვენს ყოფნას შორის მანძილი დაფარვას ბევრად ადრე ახერხებდა ვიდრე ხსენებული მანძილის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია დაკონსერვებული ფორმით მიეწოდებოდა როგორც მომხმარებელს ისე მიმწოდებელს რომელსაც გულწრფელად სჯეროდა საკუთარი გულუბრყვილობის. ნერვების ამშლელი იყო მხოლოდ სისწრაფე რომელიც ერთი შეხედვით მოვლენათა მსვლელობის ერთადერთ რეალურ შემსრულებელს და თითქმის არამეტაფორულ რეალობას წარმოადგენდა. იგი იყო კიდეც და არც იყო მსჯავრმდებელი. აი მისი ეს თვისება განაცვიფ-

რებდა ჩვენი სახით სამტრედეში დამალულ წყვილთა ნებისმიერ თანმიმ-
დევრობას რომელსაც ვერაფრით მოეხელთებინა კუთვნილი მოთხოვნი-
ლების მონიშნვა თუნდაც სამტრედის ერთ-ერთ კედელზე ამოკაწრულ
ხაზებად. როგორც იტყვიან ამ შემთხვევაში ყველა ერთ ქვაბში ვიხარშებ-
ოდით და ყოველი მორიგი მცდელობა რომლის დროსაც გაქცევა და განაპი-
რება მოტივადვე რჩებოდა და შეუძლებელი იყო უკუქცევის მცდელობაში
გადაზრდილიყო მხოლოდ შემდგომ ნაბიჯს გულისხმობდა ერთადერთ
ღირსეულ მემკვიდრედ თუ რა თქმა უნდა ეს ნაბიჯი უშუალოდ მას არ
დაემუქრებოდა წაშლით ან დაზიანებით. ვინაიდან მსგავსი საშიშროება
არ გამოირიცხებოდა ამაო იყო იმაზე ფიქრი ხედავდნენ თუ არა ისინი
ვხედავდით თუ არა ჩვენ ვხედავდით თუ არა ერთდროულად და ერთი
მიზნით და ასე შემდეგ. ყველა შემთხვევაში მოგვიწევდა ავტობუსში ასვ-
ლა და აუნაზღაურებელი მოთმინება. ამ ხვედრს ყველა ჩვენგანი გადაუ-
ჭარბებელი ვნებით უნდა შეხვედროდა ასეთი კეთილშობილური ჟესტი
დაეხვედრებინა სურვილის განსახორციელებლად მზადყოფნისთვის და
სიცილი კი არ აეტეხა სველი ასფალტის სუნით ჟრუანტელმოგვრილს არა-
მედ დუმილით ეგრძნობინებინა მძღოლისთვის კუთვნილი მზადყოფნის-
თვის თავდადების უსაზღვრო სურვილი როგორც პროტესტის სურვილის
განსახორციელებლად მზადყოფნის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს ჩვენ
ხომ სამტრედე თვალითაც არ გვინახავს და დრო რომ დაგვიდგა ეს შანსიც
ხელიდან გავუშვით სახანძრო კიბით დაშვების საფასურად. რა უნდა მომ-
ხდარიყო ან ჩვენში ან ავტობუსში ან გაჩერებაზე ისეთი რომ დავიწყებას
მისცემოდა ჩვენს მეხსიერებაში ის რაც არ მოხდა არადა უნდა მომხდარი-
ყო. ადამიანები ხომ სწორედ ამიტომ ვართ სადაც ბრძოლაა ჩვენ იქ ყოვ-
ელთვის ვაგებთ. მაგრამ ეს დასკვნა ყოველთვის დასკვნადვე რჩება ანუ
მისი მნიშვნელობის ველი ნიშანდებული არაა ისეთი მძაფრი დინამიკით
რომელიც შეიძლება სიტუაციების შესაბამისად შეიცვალოს და ნებისმიე-
რი თუნდ სრულებით გაუცნობიერებელი თამაშების თანამდევად იქცეს.
ეს მასაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. სხვა საკითხი იყო შეეცდებო-
და თუ არა ხსენებული ველიდან გამოსვლას და მისი საზღვრების შესახებ
ცოდნის გაღრმავებას. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის არასდროს არაფე-
რი უგრძნობინებია. გადაკვრითაც კი არა. ჩვენც სხვა რა დაგვრჩენოდა
ბრმად უნდა მივყოლოდით ნებისმიერ მის მითითებას ან გამომეტყველე-
ბის ცვალებადობის შესაბამისად შექმნილ ურიცხვ ამინდს. მსგავსი სიბრ-
მავე ისევ და ისევ ჩვენს გულუბრყვილობას განამტკიცებდა რაც აუცილე-
ბელი იყო იმაზე იერიშის მისატანად რაც ოდესმე აუცილებლად უნდა
ქცეულიყო მეტისმეტად მიუხედავად იმისა რომ უკვე მტკიცედ გვწამდა
ვერასდროს გავიგებდით რა იქცეოდა მეტისმეტად რის ნიშნად გამოგვე-

ცხადებოდა ხანგრძლივი ნდობით სასოწარკვეთილებს ყველა რიგიანი და არავისთვის საშიში ადამიანისთვის ცნობილი განცდა. დიდხანს არ გაგვხსენებია შემთხვევით ნანახი ის სურათიც სადაც ყველა ერთად ვიყავით გამოხატული და არც ერთი ჩვენგანი არ ტიროდა. მერე რა რომ ბავშვობა უკან გვქონდა მოტოვებული ხომ შეიძლებოდა მოულოდნელად რაღაც ისეთი მომხდარიყო რომ ნებისმიერ ჩვენგანს ტირილი დაეწყო მეთქი. რა თქმა უნდა შეიძლებოდაო. მაშინ რატომ ხარ ასე დარწმუნებული რომ ის კიბე ნამდვილად არსებობდა მეთქი. განა დედამ ასე არ თქვაო. მხოლოდ ამიტომ მეთქი გაოცებულმა ვიკითხე და მაშინვე მივხვდი რომ კითხვა შეცდომით იყო დასმული და განწყობაზე უფრო მეტს გამოხატავდა გაცილებით მეტს. რატომ მხოლოდ ამიტომ ბოლოს და ბოლოს დამთავრდება თუ არა ეს რიგითი ისტორია ჩვენ შეგვიძლია ერთად დავუბრუნდეთ იმ კიბეს და ყველაფერი თავიდან დავიწყოთო. დარწმუნებული ვიყავით როცა ამას ვისმენდით საქმე იმ უჩვეულო არსებასთან გვქონდა რომელიც არასდროს იმღერებდა ამის მერე და აღარც გემის კაპიტანივით მიმოავლებდა თვალს შინდისფერ სახურავს და არც წინ გაგვიძღვებოდა გაბედულად როცა მოსაცდელის ხალხით სავსე ტერიტორიიდან დაძრული რამდენიმე აქტიური მზერა ჩვენს შეჩერებას შეეცდებოდა. იქნებ ამიტომაც იმეორებდა ჯერ კიდევ მაშინ სახურავზე როცა ვბჭობდით ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ თორემ ჩვენს მშობლებს რა გადაურჩებაო. როგორც შეგვეძლო ვცდილობდით. უხაროდა და გვამხნევებდა. მთავარია წესრიგი არ შემოგვეპაროსო. მტვრიანი და აბლაბუდებით სავსე სხვენი საუკუნო ნუგეშივით იყო მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენთვის. გულშიც არ გაგვივლია სხვებს თუ გამოადგებოდათ ავტობუსში მოხვედრის შემთხვევაში ჩვენი გულწრფელი გამოცდილება. ერთადერთ საზრუნავს სამტრედიის კარი წარმოადგენდა. კარის ღრიჩოში გაყოფილი ჩვენი თითები ჯერ კიდევ ასრულებდა კაუჭის ფუნქციას მაგრამ როცა ერთმანეთის ვნებიანი სუნთქვა გავარჩიეთ ეს კარმაც მშვენივრად იგრძნო და განაპირდა. სწორედ ამ მომენტის მთელ გაურკვევლობას გულისხმობდა დედა როცა დაბეჯითებით ამბობდა უკვე ყველაფრის შეცვლა შეიძლება ამიტომ გვიანიაო. თუ ეს მაშინვე ცხადი იყო გამოდის რომ მასაც კარგად უნდა სცოდნოდა და ღრიჩოდან თითის გამოცურება მხოლოდ წინასწარ შემუშავებული გეგმის ერთ კარგად გათვლილ რიგით ფინალს წარმოადგენდა. არაა გამორიცხული რომ ამის შესახებ მასაც არაფერი სცოდნოდა ისეთი რაც დედას ხელ-ფეხს გაუხსნიდა და ძიებისას სწორ გზაზე დააყენებდა. ნებისმიერ შემთხვევაში გადამწყვეტი სწორედ კარის განაპირების აქტი იყო და არა ის ყველაფერი რაც შემდეგ მოხდა. ფინალი და ენდშპილი ხომ ერთი და იგივე სულაც არააო. ალბათ არა მეთქი. მაშინ ამ თემაზე დღეის მერე ნუ-

რასდროს ვილაპარაკებთო. როგორც მეტყვი მეთქი. ხელიც ამიტომ ჩავიქნიეთ. მივხვდით რომ არც რამეს ეშმაკობდა და არც ჩვენს საშველად მოფიქრებულ გეგმას გასცემდა. იგულისხმებოდა რომ მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იმას იცოდა თუ არა მან არათუ გეგმის შინაარსი არამედ ამ გეგმის არსებობაც კი საერთოდ. არსებითი მნიშვნელობის მხოლოდ ის ფაქტი იყო რომ უკვე ვგრძნობდით ჩვენც მასთან ერთად უნდა გვეზეიმა. მხოლოდ ასე მოვახერხებდით სამტრედიდან ისე გასვლას და კიბესთან შეგროვილი თანამონაწილეების გვერდიგვერდ აღმოჩენას რომ ჩვენს მშობლებს მოლოდინის ვნება არ დაუფლებოდათ. შარდის სუნი მხოლოდ მას არ უგრძვნია. ყველამ კარგად ვიცოდით რატომ. ყველამ კარგად ვიცოდით რა განზრახვით. ყველამ კარგად ვიცოდით ჩვენგან განსხვავებით მას ეს სუნი როდის უნდა ეგრძნო. სწორედ ისეთ ვითარებას ეყრებოდა საფუძველი როცა ამბობენ უსიტყვოდ მიუხვდნენ ერთმანეთსო. იმასაც მივხვდით რატომ არ სურდა მაინც და მაინც ჩვენთან ერთად ეგრძნო შარდის სუნი. მის ზურგს უკან სამტრედის დიდი გამოცდილება იდგა და მის სულში იმ ერთადერთი ადგილის გამოთავისუფლებას ელოდა რომელიც სამტრედესავით ცარიელი დარჩებოდა მაშინაც კი თუ მას შეავსებდნენ. ყველაფერზე თანახმა ვიქნებოდით ოღონდ იმ ერთადერთის აღტაცება არ შეცვლილიყო გამარჯვებით ვისთან დამარცხებასაც ამდენი სისხლი და ოფლი შევალიეთ. ოღონდ მსგავსი რამ არ მომხდარიყო და ზემოთ მაშინაც არ ავიხედავდით როცა ფეხქვეშ ყველანი სათითაოდ ვიგრძნობდით ასფალტს. მაშინ სურვილს რაღა ვუყოთო. არაფერი არ ვუყოთ სურვილადვე დარჩეს მეთქი. მაგას გეკითხები როგორღა დარჩება სურვილი სურვილად თუ მსგავსი რამ არ მოხდაო. მიუხედავად იმისა რომ კარგად ვიცოდი საითაც უმიზნებდა მაინც შევბედე თუ მოხდა მაშინ ხომ სურვილიც შეიცვლება მეთქი. გაეღიმა განა სურვილის შეცვლა სურვილის შეცვლას მოასწავებსო. განა ოდესმე დაგვავიწყდება გზაჯვარედინი სადაც დათქმული გვაქვს შეხვედრა და სადაც ერთმანეთს უნდა გამოვუტყდეთ რომ ახალნაცნობებს სულაც არ წარმოვადგენთო. განა იმ განცდას რომელიც მოსაცდელში თავშეყრილ დაღლილ მაგრამ ვნებით სავსე ადამიანებში ადუღდება და გადმოდუღდება შეიძლება გამოცდილება დაერქვას ვიდრე ჩვენი თვალით არ ვიხილავთო. შემრცხვა. რამდენჯერ გვინატრია ბოლოს და ბოლოს გვეცნო ჩვენი დანაშაული. მაშინ ხომ სიხარულს სარკმელი აღარ დაერქმეოდა. მაშინ არც ჩვენ მოგვიწევდა დღენიადაგ იმაზე ფიქრი თუ როგორ გვემართლებინა თავი იმათ წინაშე ვინც ჩვენზე აღმატებას გამარჯვებად ჩათვლიდა ეს რომ მოეხერხებინა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმაზე უფრო შემზარავი რაც ყოველთვის გათვალისწინებას გვთხოვდა და ამ საქმეს ისე ოსტატურად აკეთებდა რომ უფლება გვერთ-

მეოდა მისთვის შემზარავი გვეწოდებინა. აქ რა თქმა უნდა ძალაში იყო განუსჯელობის პრინციპი რაც ყოველ ჩვენს შეხებას ნივთებთან ადამიანებთან საგნებთან თუ მოვლენებთან განწყობად აქცევდა და არა უმეტესად. არ იყო გამორიცხული რომ მსგავსი მიმართებაც კარგად დაპროგრამებული ჯანყის შედეგს წარმოადგენდა და გ ზას გვიხშობდა იმ ძირითადი იდეისკენ რომელიც ინსპირაციის ერთ-ერთ მთავარ ბირთვად ქცეულიყო. არასდროს იკითხავდა რატომ ერთადერთად არაო. გასაგები იყო რომ ჩვენ ყოველთვის იმის შესახებ ვსაუბრობდით რაც ერთადერთს გამორიცხავდა და სწორედ ამიტომ გულისხმობდა კიდეც. მან რომ გამარჯვებული და დამარცხებული გამორიცხა ჩვენ ეს არ გვიკვირდა. ჩვენ მხოლოდ იმან გაგვაკვირვა რომ მას ხსენებული კატეგორიებით მანიპულირების უფლების მოპოვება სურდა მაინც და მაინც იქ სადაც ასეთი უფლება არ არსებობდა რის გამოც მსგავსი უფლების მოპოვება ამ უფლების შექმნას ნიშნავდა და სხვას არაფერს. დედას არაერთხელ უთქვამს კარგია თუ მას ვინმეზე ზრუნვა არ დაუსახავს მიზნადო. იგივე აზრს იცავდა ყველა შესაძლო მშობელი. აი მაშინ როცა მან პირველად იმღერა მივხვდით რომ მშობელთა მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი აზრი გათვალისწინებული ჰქონდა მაგრამ ეს ხარკის გაღების უწყვეტ პროცესში ჩართული ადამიანის მოქნილობას როდი გულისხმობდა. არა. ეს იყო არც მეტი არც ნაკლები დროში მიმდინარე ნებისმიერი მოვლენის არგათვალისწინების უმწეო აქტი. ნუ დაარქმევთ ჩემს გამომეტყველებას საყვედურსო. უბრალოდ კიბეს ჩავყვეთ და იქ მივალთ სადაც მოლოდინი იწყებაო. მე რომ შემიძლია ტკივილამდე მიყვარდეთ ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ ტკივილამდე სიყვარული შესაძლებელიაო. ბუნებრივია ჩვენ იმასაც უნდა მივმხვდარიყავით რომ ეს არც მის სულში მიმდინარე სენტიმენტალურ რევოლუციას ნიშნავდა. იქვე დაგვიზუსტა სწორედაც რომ გამოხატული და არა გამოსახულიო. კიბეზე დაშვებულებს ეს ფიქრიღა გვაწვალებდა ნეტავ ვინ ზეიმობდა გამარჯვებას იმაზე ვინც ჩვენზე გამარჯვებას ზეიმობდა. იქ ქვემოთ წვიმა მოვიდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა და მიუხედავად იმისა რომ სარწმუნო წყაროები ზუსტად განსაზღვრავდნენ წვიმაზე და მის მიერ დასველებულ ხალხზე ჩვენი განწყობის ზემოქმედების ემოციურ ხარისხს ნაადრევი სიხარულის გამოხატვა საჭიროდ მაინც არ მიგვიჩნევია. დაწყებული უმიზნო საქმის კეთილ დასასრულამდე მიყვანით დაკავებული არასდროს ვყოფილვართ და მაინც და მაინც ახლა გადამწყვეტ მომენტში მოულოდნელი რა უნდა მომხდარიყო. ერთადერთ დაბრკოლებას ჩვენივე ეჭვიანი ფიქრი ქმნიდა და გვაიძულებდა კიდევ და კიდევ გადაგვესინჯა კიბით ჩასვლის გადაწყვეტილება რომელიც ჯერაც ურყევი ჩანდა მაგრამ შინაგანად დასუსტებული და მომაკვდავი. ეს იმ შესაძ-

ლებლობას როდი გამორიცხავდა რომ იგივე დაემართებოდა სხვენის გავ-
ლით ეზოში გასვლის არჩევანს. მართალია გამოსავალი არ ჩანდა მაგრამ
ეს იმას როდი ნიშნავდა რომ გამოსავალი არ არსებობდა. ჩვენ გამოსავალს
არჩევანში ვეძებდით თორემ როგორ არ ვიცოდით დაუხარისხებელი არ-
ჩევნის არარსებობა მაშინ როცა ჩვენი ბედისწერის საიდუმლოს არჩევანი
კი არა ეზო წარმოადგენდა. სადარბაზოდან გავიდოდით თუ კიბით დავეშ-
ვებოდით ორივე გზას ეზოში უნდა მოვეხვედრებინეთ საიდანაც შემდგომ
არაერთი მზერა გაგვაცილებდა მოსაცდელამდე და რაოდენ გასაიდუმ-
ლოებულიც უნდა ყოფილიყო ჩვენი შემდგომი მოქმედების გეგმა უმალ
დარაბებს უკან მოთვალთვალე ცნობისმოყვარენი გამოიცნობდნენ ჩვენი
აქციის შემდგომ საფეხურს ვიდრე ჩვენ მივიღებდით ახალ გადაწყვეტი-
ლებას. ეს ისეთი შემთხვევის პირობითობათა ველში მოხვედრას ნიშნავს
როცა სულაც არაა საჭირო ციხის შიგნიდან გატეხვაო თქვა და ისე ღრმად
ამოისუნთქა მისი სუნთქვის ნაკვალევს თვალი კრძალვით და სათუთი
მონდომებით გავაყოლეთ. იქმნებოდა შთაბეჭდილება რომ რაც უფრო
ვუახლოვდებოდით წვიმას მით მეტი პირობითობა ჩნდებოდა ჩვენში თუ
ჩვენს გარშემო და მით მეტად ჭირდა არათუ სწორი არჩევანი არამედ სა-
ერთოდ აზროვნება. მოდი და ნუ გაგიკვირდებოდა ამის მერე რომ მსგავს
დასკვნებამდე ლამის ცეკვა-ცეკვით მიგვარბენინებდა ნებისმიერი აღე-
ბული გეზი ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე. თუ ამასაც მიხვ-
დით ჯერ არ ყოფილა ყველაფერი წყალში ჩაყრილიო. ნუთუ არ გირჩევნია
რომ დიახაც ყველაფერი წყალში იყოს ჩაყრილი მეთქი გულწრფელად გამ-
იკვირდა. რომ მირჩევნია იმიტომაც აღმომხდა ეს შეძახილიო. მადლობა
ღმერთს ამჯერად მაინც მივუხვდით ერთმანეთს მეთქი. გაწითლდა და
აღარაფერი უპასუხია. მაშინვე ჩვენს მიერ გამოგონილი ეჭვი გაგვახსენ-
და როცა ხელის ჩაქნევა და შინ შებრუნება გადავწყვიტეთ ერთ-ერთი
სასოწარკვეთის ჟამს შინდისფერ სახურავზე ამხედრებულებმა. მაშინაც
არსებობდა სახანძრო კიბე მაშინაც არსებობდა სამტრედე სადაც არაერ-
თი საიდუმლო ხელსაწყო შეგვინახავს და შემდეგ მტრედის პატივით შე-
თეთრებული დაგვხვედრია. მაგრამ რა ფასი ჰქონდა ამ ყველაფერს არჩევ-
ნის შესაძლებლობის ცოდნის თვინიერ. უამისოდ თითქმის გვჯეროდა
რომ ის ყველაფერი მართლა არსებობდა. მხოლოდ მას მერე როცა ყველამ
ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება რომ გადაწყვეტილება არ მიგვეღო
მივხვდით რომ არსებობს მხოლოდ ის რასაც ჯერ სახელი არ დარქმევია.
მერამდენედ უნდა მიგვენიშნებინა ერთმანეთისთვის რომ წვიმა არა და
არ მოვიდოდა ვიდრე ჩვენი იმედი სახანძრო კიბით იყო ამოვსებული ამ
ყველაფერს კი თავის მხრივ სერიოზული კავშირი ჰქონდა დედისთვის
მნიშვნელობის მქონე გაფრთხილებასთან რომ ავტობუსის მოლოდინში

ვნებებს მინდობილი ხალხის არც ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს არ მოესურვებოდა ჩვენს ჩანაფიქრს მომსახურებოდა რაშიც ეს უწყინარი ხალხი სულაც არ იყო დამნაშავე და გულითაც რომ მოენდომებინა ხელს ვერ შეუშლიდა იმ შეცდომის დაშვებას რომელიც განაპირობებდა ავტობუსის ინტერიერში ჩვენი მოხვედრის ალბათობას. დედა ასეთ დროს ყოველთვის გულწრფელი იყო რაც არ ითქმოდა ჩვენი და გაჩერებაზე დისლოცირებული უწყინარი მოქალაქეების იდეათა გადაკვეთის წმინდა ადგილის შესახებ რომელიც არანაირ იმედს არ ტოვებდა იმათთვის ვისთვისაც სულ მცირე მინიშნება საკმარისი იქნებოდა არჩევნის პირველსაწყისი ელემენტების ასამოქმედებლად და საპერმუტაციო პროცესში ჩვენი გაერთიანებული ძალების ჩასათრევად. იქნებ ამიტომაც ხმაურობდა ირგვლივ ამდენი უმიზნოდ ამოძრავებული ჩანაფიქრი. დავუშვათ წინასწარ გვცოდნოდა რომ მრავალჯერადი განმეორების შემთხვევაშიც კი ნებისმიერი ოპოზიციური აქტი თვისობრივ ცვალებადობათა უწყვეტ პროცესში ჩართვას ვერ მოახერხებდა მაშინაც თუ შემომთავაზებდი სინოპტიკოსებთან შეუთანხმებლად ვაბანკზე წასვლასო. ვიდრე თვალებში ვუყურებდი მეგონა ხუმრობდა მაგრამ მზერა რომ მოპირდაპირე სახლის მოჟამულ კედელზე გადავიტანე მივხვდი მისი კითხვა არანაირ პასუხს არ გულისხმობდა და მთლიანად ჩვენსკენ იყო მომართული. კითხვას კითხვითვე ვუპასუხე დავუშვათ გვცოდნოდა და შემომეთავაზებინა კიდეც თუ გექნებოდა მაშინ ჩვენი ერთგულების იმედი მეთქი. ეს ხომ არც ჩემზე და მით უმეტეს თქვენზე დამოკიდებული არ იქნებოდაო. მაშინ უთქმელადაც კარგად უნდა ხვდებოდე რომ ის თუ მოხდებოდა რაც არ მოხდა ჩვენ შენ ვერაფერსაც ვერ შემოგთავაზებდით ვინაიდან ინსპირაციას თავად შენც იმისგან მიიღებდი ვინც ამჯერად ჩვენზე გამარჯვებას აღტაცების სისტემური განხორციელებით ცდილობს მეთქი. გამოდის ჩვენ არც ოდესმე გვცოდნია რატომ გავცვივდით წვიმის შესახვედრად ასეთი მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებითო. ან რატომ უნდა გვცოდნოდა მეთქი. ამ ტიპის შეკითხვა-გაოცება მისთვისაც და ჩემთვისაც ცნობილი და მრავალჯერ აპრობირებული ხერხი იყო კამათში დიალოგის გადაზრდის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სტრატეგია გამოთვლის ტექნიკით უნდა ყოფილიყო მთლიანად განსაზღვრული. მერე რა რომ არავინ მოიძებნა ისეთი ვინც სცენაზე მდგარი ბაფთიანი გოგონასავით ყველაფერს იტყოდა იმის შესახებ რაც ჩვენს თავს ტრიალებდა. ამ შემთხვევაში თუ რამ მთავარი და მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ ის რომ არ გამქრალიყო სცენაზე ნებისმიერი გამგზავრებისას მსგავსი სიტყვის საჭიროება. თითქოს არც ითხოვდა ამის გათვალისწინებას მაგრამ მაინც უმიზნოდ აღვეგზნებოდით ხოლმე როცა თავს ხელებში რგავდა და გრძელი წვრილი კისრით მიგვითითებდა სად

რომელი ხელსაწყო ესვენა. ჩვენ ცხადია მაშინვე სამტრედეში ოდესღაც სათუთად შენახულ ნივთებს წარმოვიდგენდით მაგრამ გამოცდილება მათი მოძიების სურვილს გვართმევდა ვინაიდან შემდგომაც არაერთხელ განგვიზრახავს სამტრედეში მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით შესვლა მაგრამ საკმარისი იყო აბლაბუდებით სავსე სხვენის სუნი გვცემოდა და ამ ზოგად სუნში მანძილის შემცირების კვალდაკვალ სამტრედის კერძო სუნი გამოკვეთილიყო რომ მიზანი მაშინვე ქრებოდა და დაბნეული მივშტერებოდით კარის ღრიჩოში გაყოფილ ჩვენს თითებს რომლებიც ჯერ კიდევ ასრულებდნენ კაუჭის ფუნქციას. მხოლოდ მას მერე როცა ხელცარიელი ვბრუნდებოდით ვაცნობიერებდით რომ ვერც მისგან მივიღებდით სავარაუდო პასუხს იმის შესახებ თუ სად მთავრდებოდა ჩვენი უკეთილესი და უჰუმანურესი ნება და სად იწყებოდა თავს მოხვეული წესრიგი რომელიც კონტრაბანდასავით შემოგდებულ პროტესტს თავბრუდამხვევ გრადაციებს განაცდევინებდა და ისე წარმოგვიდგენდა როგორც გარედან დაურეგულირებელ ამბოხს. განა არ ვიცოდით საიდან უბერავდა ქარი მაგრამ მიხვედრისა და ამოცნობის ყოველი ბედნიერი წამი უკვე შეიცავდა თავის თავში გამოცდილებას ანუ იმას რაც არასდროს მოითხოვს კონკრეტულ მიზანს და მოქმედების კონკრეტულ გეგმას. მაგრამ ის ხომ არც წინს უკანს და ახლას მოითხოვსო. გეთანხმები და ამიტომაც ვფიქრობ სახანძრო კიბით ჩასვლაზე უარის თქმას მეთქი. მაშინ ჩავიდეთ რაღას ვუცდითო. და ჩვენი პირველი და უკანასკნელი გადაწყვეტილება ზანტად ჩაუყვა სახანძრო კიბის ჩვენთვის ჯერაც უცნობ საფეხურებს. მშვენივრად ვიცოდით რომ ეს ჩვენი ხვედრი იყო და ყოველთვის თავის დამშვიდების ნებისმიერი მცდელობა იმ უმწარეს იმედსაც ხელიდან გვაცლიდა რომელსაც პირდაღებულნი მივშტერებოდით ხოლმე როცა იგი ერთიანად ჩვენსკენ მობრუნებული და მოძრავი თავის ამა თუ იმ სამხილს განტევების ფარასავით შემორეკავდა და ჩვენი გამოცდილების გულმოწყალება მიწასთან ნება-ნება ჩაახლოებისთვის სასიკეთოს არ მეტყველებდა რაკიღა ასე ვიზრდებოდით და ასე გავიზრდებით ვიდრე იმისადმი მორჩილება გვექნება ძალაში რაც დიდი ხანია არც ჩვენ და არც ჩვენს მერმისს აღარ ეკუთვნის. მაშასადამე ხსენებული მცდელობის ფასად ხელიდან უნდა გამოგვცლოდა მზით გაცხელებული მოლაპლაპე და აცახცახებული საფეხურ-სახელური და ესოდენი სისათუთით ნალოლიავები ჩანაფიქრი ჩვენთან ერთად ასფალტს მისცემოდა მაშინ როცა არ არსებობდა არც ერთი გარეშე განზომილება რომელიც ჩვენს ფარულ მიზანს შესაბამის მომენტში ნათელყოფდა და ამით საშუალება მოგვეცემოდა უმტკივნეულოდ გადაენაცვლებინათ ჩვენს ცოდვილ სულებს მომდევნო განზომილების ვნებიან სიმარტივეში სადაც წვიმა მოდიოდა ჩვენი კეთილი და პირწმინდა

წვიმა რომლის დროშადაც უნდა ქცეულიყო ჩვენი უკანონო ხვედრი და ჩვენ გვიხაროდა და ვიდექით და დიდხანს ვუყურეთ ჩვენს კეთილ და ჭუჭყიან წვიმას. რა თქმა უნდა გვახსოვდა ეს მშვენიერი წამი ჩვენი აქ დგომითურთ და დედის უზომო აღშფოთებაც ნათელივით ადგა ამ უმოწ-ყალო სურათს მაგრამ ასე იყო თუ ისე წარსული წარსულად აწმყო კი თავი-სას მოითხოვდა და ვინ გაბედავდა თუ არა ჩვენ ამ საშუალო სიგრძის კი-ბით დაშვებას მიზანი რომ სერიოზული ყოფილიყო. ხოლო მიზანი დიახაც რაღაც გამორჩევით სრულსა და არასერიოზულს წარმოადგენდა რადგან ასე ჩაეფიქრებინა იმას ვინც სულ რამდენიმე წუთის წინ დოინჯშემოყრი-ლი და ირგვლივ გემის კაპიტანივით მომზირალი ახლა მოთმინებით ელოდა როდის გავათავისუფლებდით სახურავს რათა თვითონაც შესდგომოდა იმ რთულ და სასიამოვნო საქმეს რასაც მოცემულ შემთხვევაში სახანძრო კიბით დაშვება ერქვა და რასაც ჩვენ ყველანი მშობლების შემოტევების-გან უნდა დავეცავით აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე ხოლო რაკიღა ყველაზე საიმედო და სანდო იარაღად თამაში დაგვესახა სწორედ მასში გამოგვემწყვდია თითოეულ ჩვენთაგანს და ყველას ერთად ჩვენი უმწეო სურვილები და ჯიუტად და ზანტად მივიწევდით ქვემოთ ადუღებული ასფალტისკენ. მოპირდაპირე სახლის კედელი უჩვეულო გულგრილობას ამჟღავნებდა ჩვენი აფორიაქებული გულების მიმართ რასაც რა თქმა უნ-და მხოლოდ ზურგით როდი ვგრძნობდით არამედ ჩვენს მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი იმ ურიცხვი პომიდვრითაც რომელთა დახეთქილი ში-გნეული თავისი თავმდაბალი და უპრეტენზიო ბიოგრაფიით ცხოვრობდა ნაკვერცხალებით მონიშნული სამიზნის ირგვლივ. შენ რომ ჩემი სირცხვი-ლი გადმოგდებოდა დედაშენი ვერანაირად ვერ ამოიცნობდა ჩვენი საუბ-რის ფარულ პათოსს და ჩვენს მიერ ნატყორცნი პომიდვრების რაოდენო-ბა ერთიორად შემცირდებოდა ვიდრე ჯერაც სატყორცნები ერქვათ ამ საცოდავებსო. კი მაგრამ თუ გრძნობამ მომატყუა შენ რატომღა არ გვიტ-ყდებოდი ჩემს მიერ დაფიქსირებული და შენთვის პატიოსნად მოწოდებუ-ლი ინფორმაცია მაშინვე არასაიმედოდ თუ მიიჩნიე მეთქი. კი მაგრამ ხომ უნდა გამეგო საკუთარი სინდისი გამამართლებდა თუ არაო. კი მაგრამ ნუთუ საჭირო იყო ვითარების ამ ზომამდე გამწვავება მას მერე როცა უკვე ერთმანეთის პირისპირ ვიდექით და წუთი წუთზე ჩვენი ჭუჭყიანი და კოხტა წვიმა უნდა მოსულიყო მეთქი. კი მაგრამ მოსვლის ალბათობა ხომ იმდენად მცირე იყო რომ საქმეში რწმენაც უნდა ჩარეულიყოო. გამახ-სენდა გამახსენდაო იქვე დასძინა ფიქრიანად და ვიდრე ნიშანს მოვუგებ-დი მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით მიმანიშნა რომ არასდროს დაივიწყე-ბდა დედალი ნეხვის საეზოოდ ცნობილ ისტორიას. არადა ვიდრე ამ უბად-რუკი შემთხვევის ხსოვნა დენთით სავსე კასრივით იდო ჩვენს თავებში

იმ ფაქტსაც გულმხურვალედ უნდა შევგუებოდით რომ წესრიგი არ სუფევდა იქ სადაც მავანი ჩვენი ჩანაფიქრის უვნებელსაყოფად არათუ მთელ თავის აგრესიას არ დაიშურებდა არამედ მშობლების საფუძვლიან თუ უსაფუძვლო ეჭვებსაც ერთადერთ უზუსტეს მიმართულებას მისცემდა და მაშინ სათუოდ გადააქცევდა თვით ჩვენივე ერთსულოვნებას. ხოლო რაკი წესრიგი არ სუფევდა რა გასაკვირი იყო რომ ჩვენს ირგვლივ და თვალსაწიერის მიღმა მოქმედი ყველა საგნის არსებობას თუ არა ამ საგანთა დანიშნულებას მაინც ემუქრებოდა საფრთხე რაც უშუალო გავლენის წყარო გახდებოდა ჩვენი შესაძლო რეაქციისთვის და მაშინ არაფერი დაგვრჩებოდა გარდა ასფალტთან შეხებისთანავე იარაღის დაყრისა და მწარე ღიმილისა. ცხადია ყოველთვის გასათვალისწინებელია რომ ესა თუ ის კრებითი ჩანაფიქრი უთქმელად გულისხმობს ბალასტს და მხოლოდ მას მერე ხდება ამ უსარგებლო და მეტად საჭირო ტვირთისგან ნება-ნება ან მომენტალურად გამოთავისუფლება როცა ამოცანის სირთულე ბოლომდე თუ არა საგრძნობლად მაინცაა გაცნობიერებული და გამოთავისუფლებული ძალა თავის თავში და თავის გარშემო პერსპექტივის ველს მნიშვნელოვნად აფართოებს ხოლო ის რასაც მოცემული ერთეული თუ კრებითი ძალა სიტუაციის გათვალისწინებით შეელია აუცილებლად იქ დაუხვდება სადაც ნებისმიერი მიზანი იწყება მაგრამ ყოველთვის კეთილად როდი მთავრდება მითუმეტეს როცა სახეზეა მოქმედება რომელიც არც ერთ შემთხვევაში და თავისი შეგნებული არსებობის არც ერთ მონაკვეთში არ გულისხმობს გამარჯვებას ან დამარცხებას ხოლო როცა სცენა და დარბაზი აღმართს ხნავს ნივთები და საგნები იგივდებიან და ჯერ მათი დანიშნულება დგება საფრთხის ქვეშ შემდგომ კი მათი პირობითი საზრისიც. ივარაუდება რომ ლოგიკურად საგანი დიახაც შეიძლება ფლობდეს იმდენ საზრისს რამდენი ინტენციაცაა რეალურად კი ანუ იქ სადაც ოპოზიციები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უტევენ ერთმანეთს საგანი მოკლებულია დროსა და სივრცეში ასეთ თავდავიწყებულ ლივლივს და მხოლოდ იმ საზრისის მატარებელია რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტულმა ძალამ თუნდ უთვალავმა ერთად მიანიჭა. ცხადია ასეთი საზრისით აღჭურვილი საგანი ვერ იქნება ამდენი და ამდენი საზრისის მქონე იმ მარტივი მიზეზის გამო რომ ერთი მიმართულებით გაშლილი უთვალავი თითი საგანს უთვალავ საზრისს კი არ ანიჭებს არამედ მის მიტაცებას და დაფარვას ცდილობს ამიტომ უთვალავი თითის მიერ დაფარული საგანი დიახაც ერთადერთი საზრისის მატარებელია. მაშასადამე იმისთვის რომ საგანმა რაღაც ახალი საზრისი შეიძინოს მან უნდა დაკარგოს ძველი საზრისი ან პირიქით უნდა წაერთვას ახალი და მიენიჭოს ძველი ან შესაბამისად წაერთვას ახალი და მიენიჭოს უახლესი და ასე უსასრულოდ. მაგრამ არაიშვიათ-

ად დგება მომენტი როცა საგანს მისივე დაუფლებისთვის ბრძოლაში საზ-
რისი ეკარგება ანუ ამ დროს საგანი ტოვებს ყველას და ყველაფერს და
გარბის. აი ესაა მოცემული დროის ის მონაკვეთი როცა ორ ორთქლს შორის
ადგილი ცარიელია და ჩნდება მასში ამა თუ იმ ძალის გაბატონების შესაძ-
ლებლობა რაც რა თქმა უნდა მასში ამა თუ იმ გამოცდილების შესვლას
და დამკვიდრებას გულისხმობს წმინდა გამოცდილება კი სხვა არაფერია
თუ არა ხის რკინა ან კურდღლის ლომი რაც ლოგიკურად ასევე დასაშვებია
და არც მსგავსი დაშვების შემდგომი ლოგიკური ოპერაციებით მიღებული
შედეგების მნიშვნელობას გამორიცხავს. დრო-სივრცის ვთქვათ წვიმის-
კენ მიმავალ გზაზე არსებული ნებისმიერი მონაკვეთის მონიშნული გამო-
ცდილება კი წარმოუდგენელია იმ ბალასტის გარეშე რომელიც რამდენიმე
ხნის წინ გადაყარეს სინამდვილეში კი სათუთად შეინახეს სწორედ საამდ-
როოდ ვინაიდან საუკეთესოდ სწორედ ის ინახება რასაც საკუთარი თავის
გადასარჩენად გადაყრი. სახურავზე ჩვენი თავშეყრა მეცხრე ცაზე ანგე-
ლოზთა მიმოფრენას სულაც არ ნიშნავდა და ჩვენ თუ აქ წვიმასთან შესახ-
ვედრად ვემზადებოდით დიახაც იმიტომ რომ უცოდველები არ ვიყავით
და უფრო მეტიც პატივს ვცემდით და ლამის მოწიწებით ვეპყრობოდით
ერთმანეთის ბალასტს. ჭეშმარიტად მოვა დრო და ყველა ეს ბალასტი
ერთად მოიყრის თავს იმ განზომილებაში რომელიც ჩვენი დიდი წარსუ-
ლიაო დამეთანხმა. მან ისიც მშვენივრად უწყოდა რომ ჩვენი ბედისწერა
ჩვენივე უტოპიის გულისგულში იდო და თბებოდა. ან გიჟი უნდა იყოს სა-
მტრედეში ჩაცუცქული ადამიანი ან წერას უნდა ჰყავდეს ატანილი რომ
დაბეჯითებით ფიქრობდეს და არ უმტკიცებდეს თავის თავს რომ შესაძ-
ლებელია ორ ორთქლს შორის მოულოდნელად შექმნილი ვაკუუმი ასეთად-
ვე დარჩეს მასში არანაირმა კერძო გამოცდილებამ ბინა არ დაიდოს და
ამის შედეგად არც მავანი ინსპირატორის მიერ გათვლილმა და უზუსტეს
სასწორზე აწონილმა წესრიგმა იზარალოს. ჩვენ ამას დავარქვით უტო-
პია-მორიელი რომლის შხამი მომაკვდინებელია ყველა არამორიელისთვის
თუ მორიელისთვის მაგრამ არც ერთ შემთხვევაში თავად უტოპია-მორიე-
ლისთვის ვიდრე მისი უანგარო მუცლის ქვეშ ასფალტის სურნელი არ
არსებობს. ალბათ ამიტომაც მიიქცია ერთბაშად ყველა ჩვენგანის ყურად-
ღება როცა მისი უკანალი მისდაუნებლიეთ ათამაშდა და უკუიქცა. მაგრამ
ეს იმის მერე იყო როცა გამოვფხიზლდით და მოცურების საშიშროება გა-
მოირიცხა. ხოლო როცა მან მთელი თავისი გულწრფელობა მოგვაპყრო
და თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა ჩვენს მიერ უსათაუროდ ნამღერი
მაშინ დედამაც ირწმუნა თუ რა იშვიათი ოცნებების თავწყაროდ შეიძლება
იქცეს ის რაც მოულოდნელად იწყება მაშინ როცა მიღებული გადაწყვეტი-
ლების შესახებ ჯერ სრული წყვდიადი ბატონობს თვით იმათ შორისაც კი

ვინც ამ გადაწყვეტილების ბატონია როცა ავტობუსის მოახლოების საპასუხოდ გზა თავისუფლდება ყოველგვარი ზედმეტი წონისგან და მანძილისგან ხოლო ის განუმეორებელი მანძილი რომელიც ზამბარასავით გაწელილა ავტობუსის გამოსვლის დროსა და ჩვენი აღტაცების ამოქმედების საწყის მდგომარეობას შორის პირდაპირპროპორციულია ჩვენი აღტაცების ნებისმიერ სახეზე მყოფ მდგომარეობასა და იმ მანძილს შორის არსებული დროითი ინტერვალისა რომელიც არსებობს ჩვენსკენ აჩქარებული ავტობუსის ყოველ მომენტალურ ადგილსა და იმ საწყის პუნქტს შორის საიდანაც ის დაიძრა. შენიშვნის სახით უნდა ითქვას რომ იგულისხმება ავტობუსის ყოველი მომენტალური ადგილი ერთდროულად ისე როგორც იგულისხმება ჩვენი აღტაცების ერთდროულად ყველა დონე ნებისმიერი ვარიაციისა თუ ცნობიერი მოდიფიკაციების ჩათვლით. როცა-ს ძალა და მნიშვნელობა დედას პრინციპულ დაბრკოლებებს უქმნიდა იმ გზაზე რომელსაც იგი უკუ უნდა ექცია და მშვიდობით დაებრუნებინა იქ საიდანაც ჩვენი გეგმის ჩასაშლელად გამოსულიყო. მართალია ეს ეხებოდა დიახაც იმ ჩვენი მეზობლის დედას რომლის მისამართითაც არაერთხელ გვიხუმრია მაგრამ ჩვენი წარმოდგენის უმცირეს პიკსაც კი აღემატებოდა იმის დაშვება რომ არათუ ერთ დედას არამედ მტვრის უმცირეს ნაწილაკსაც კი კარს გაუღებდა ის ავტობუსი რომელსაც ერთად თავმოყრილი ამდენი ადამიანი მოელოდა გაჩერებაზე თუ ეს ნაწილაკი ჩვენზე გამოლაშქრებას გადაწყვეტდა. არადა არც ისეთი ბრიყვები ვიყავით რომ დაგვვიწყებოდა უმარტივესი სტრატეგიული ჭეშმარიტება რომელიც ღაღადებდა თამაშის და უკანალის სწრაფი მოქნევის უპირატესობას დროის მოთხოვნათა შესაბამისად მოქმედ ადამის ძეთა როგორც ჩვენთვის მირონცხებულ მშობელთა ნებისმიერ უპირატესობასთან შედარებით ოღონდ იმ ერთადერთი და განუმეორებელი პირობით რომ აღნიშნული მოქნევა არანაირ მიზანს არ დაქვემდებარებოდა ეს მიზანი თვით ჩვენი წარსულის ბრმა იმედებით ნასაზრდოებიც რომ ყოფილიყო. შენიშვნის სახით იმის თქმასაც აპირებდა მე რომ მკერდი მეზრდებოდა არც ერთ თქვენთაგანს ჩემს იმედზე არ უზრუნია და განა რატომ თავადვე არ უნდა მიმეხედა საკუთარი თავისთვის მით უმეტეს რომ დედა უკვე ხმამაღლა კითხულობდა იმას რასაც საკუთრივ ჩემი მოღერილი ყელი დიდის სიამოვნებით დაამღერებდაო. როცა ამას ამბობდა ალბათ თავს იზღვევდა რათა შემდგომ უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი მოეწოდებინა ჩვენი დამშეული სასმენელისთვის რომელიც მართალია ერთ სულად და ერთ ხორცად ქცეულიყო ამის მოლოდინში მაგრამ მაინც ადაპტაციას საჭიროებდა. მაგრამ გამოფხიზლების ის მეოთხედი საათი სამარადისო აწმყოდ გვექცა ჩვენც და იმასაც. მაშინ უბრალოდ არ შეიძლებოდა ან ცა ყოფილიყო სადმე ან სახურავი ან სხვენი

რომელიც უნდა გაგვევლო რათა გარეთ გავცვენილიყავით და გვეცქირა
როგორ მოვიდოდა ან მოდიოდა ჩვენი პირწმინდა და ჭუჭყიანი წვიმა. მაშინ
მხოლოდ ჩვენ ვიყავით და ჩვენ გამოფხიზლების ამ თავბრუდამხვევ ვე-
ლში მოვქცეულიყავით მაშინვე როცა გონება წაგვერთვა და სასმენელი
ერთ უგრძეს და უწვრილეს ხიდად იქცა ხოლო მუშტი რომელიც თუნუქს
დაენარცხა და დასკდა მის უმწეობას როდი გამოხატავდა მხოლოდ. სხვა
ყველაფერი აქვე იყო ჩვენს გვერდით ჩვენში ჩვენს ლაჯებს შორის ჩვენს
ზემოთ ჩვენს ქვემოთ. აი მხოლოდ ის იყო შორს. ის არასდროს ქცეულა
ჩვენს მეორე მედ მაგრამ არც ჩვენ გავქცევივართ ოდესმე პასუხისმგებ-
ლობას არათუ ადრე აქ ამოსვლამდე არამედ მაშინაც კი როცა აქ ამოსვლა
შევძელით და უკვე აღარ არსებობდა ჩვენი უმანკო მზერისთვის არც
ერთი მსგავსი კატეგორია. დედა მე არ მჯერა რომ შენ ვერ ხვდები რაშია
საქმე მეთქი უკანდამხევი სიმშვიდით შევბედე და არც უარუყვია. მდუ-
მარედ დამეთანხმა და მხოლოდ შემდეგ გაიღიმა. არ გამომპარვია მისი
მხრიდან გაბრძოლების მსგავსი ჟესტი და არც უპასუხოდ დამიტოვებია.
ეგ არაფერსაც არ ნიშნავს უპასუხოდ შეიძლება არ დატოვე მაგრამ როცა
შენი პასუხი არ ესმით ტკივილი თანაბრად ნაწილდება შენსა და იმას შორ-
ის ვისაც არ ესმისო ფიქრიანად ჩაილაპარაკა დედამ და მოსმენა აღარ
ისურვა. ერთს კიდევ შევნიშნავ და აღარ შეგაწუხებ მეთქი. შენიშნეო.
ასე თქვა მრცხვენიაო მეთქი თავადაც დარცხვენით ჩავიბუტბუტე და
როცა დედამ ღიმილით თავი დამიქნია მართალია ვერ გავიგე სახელდობრ
რას მოასწავებდა მის სახეზე გამომეტყველების ასეთი მოულოდნელი
ცვალებადობა მაგრამ როცა კარადისკენ შებრუნდა ჩემი ბედნიერება რა
თქმა უნდა დამოუკიდებლობას ზეიმობდა. მაგრამ მაინც სიფრთხილე
გვმართებდა რადგან მუშტი რომელიც თუნუქს დაენარცხა და ლამის ყუ-
რის დაფდაფები დაგვიხეთქა ხსენებულ დანარცხებამდე ბევრად ადრე
შეგვახსენებდა რომ მოსაცდელსა და ჩვენს შორის მანძილი კატასტროფ-
ულად მცირდებოდა და მიუხედავად იმისა რომ ეს პროცესი ჩვენს სული-
ერ კონტროლს ექვემდებარებოდა ფარულ განგაშს მაინც ვერ დავაღწიეთ
თავი. ამას გულთან ახლოს ნუ მიიტან ვიდრე ეს განგაში არსებობს ჩვენს
კეფაზე ანთებული თვალი თავის გზას მონახავს ყოველ წამს და ყოველ
წუთსო დამამშვიდა და მერე უფრო ხმადაბლა მითხრა სხვა რამ მოიფიქრე
თორემ თითები აღარ შეგრჩებაო. მე ვერაფერი მომიფიქრებია მიუხედავ-
ად იმისა რომ აქ შემოსვლისთანავე დავიწყე ფიქრი ხელის გამოთავისუფ-
ლებაზე მეთქი. მონდომებით იფიქრეო. ვიდრე მოვიფიქრებდე იქნებ ჩემი
მარჯვენა ხელი დაგვესაქმებინა მეთქი. რომ ვერ მოვახერხოთო. ჯერ
მოვსინჯოთ მეთქი. ფრთხილად მტვერს არ შეეხოო. აბა ვინ იტყოდა უარს
უკეთეს პირობებზე მაგრამ რაკი თავადვე ვიყავით ჩვენი ხვედრის მიზე-

ზიც და მიზანიც შესაძლებლობათა იმ კომპლექსის ათვისება უნდა მოგ-
ვეხერხებინა რომელიც ჩვენს ხილულ და უხილავ გარემოს ქმნიდა და
ყოველ წამს სასტიკი მონდომებით იყენებდა ჩვენს შესავიწროვებლად.
არა ერთს და ორს აღმოხდომია მკერდიდან გაურკვეველი კვნესა თუ ჩი-
ვილი მაგრამ ასეთ დროს როგორც წესი ნებისმიერის კვნესა თუ ჩივილი
მტკიცედ ნაგები დუმილის მეტს არაფერს შეხვედრია და მაშინვე მძიმედ
უკუქცეულა იქ საიდანაც დაწყებულა. წარმოუდგენელი ძალისხმევა იყო
საჭირო რომ ამ დროს მოთმინება შეგვენარჩუნებინა და არ გამოვდევნებ-
ოდით იმაზე ფიქრს ვისაც ყოველი ჩვენგანი გრძნობდა ზურგს უკან და
ვინც რა თქმა უნდა საიმისოდ იყო მოწოდებული რომ მისი როლით მოხიბ-
ლულებს ოდესღაც ჩვენთვის მომზადებული და ახლა ოდენ ხსოვნის უხს-
ოვარ წარსულში ავადმყოფური სიყვითლით დაფარულ არსებებად ჩარჩე-
ნილი როლები მადასავით აღგვძროდა და მეტოქეობის ჟინით აცეკვებულ-
ები ფიქრში მაინც შევბმოდით იმას ვინც ეჭვი არავის გვეპარებოდა ვიღა-
ცის დაკვეთით თვალთვალის საფასურად დაპირებულ თანხას სინდისის
ნებისმიერი ქენჯნის გარეშე მიიღებდა და შინ წავიდოდა. ხოლო ჩვენ აქ
უნდა ვმდგარიყავით და გულდასმით გვეფიქრა არსებობდა თუ არა ჩვენი
შიშის გადარჩენის ისეთი გზა რომელიც თავის საბოლოო წერტილად თუ
განსასვენებად ჩვენს მეტს არავის იგულისხმებდა. ასე რომ რაც უფრო
ვუახლოვდებოდით წვიმას პირობითობათა რიცხვი გამაოგნებელი სისწ-
რაფით მცირდებოდა ჩვენში თუ ჩვენს გარშემო და მით მეტად იოლდებ-
ოდა არათუ სწორი არჩევანი არამედ საერთოდ აზროვნება. და როცა მოკ-
რძალებით შეინიშნა კონპენსაცია კი არა კომპენსაციაო თითები აღარ
მემორჩილებოდნენ და იმედგადაწურულს საპასუხოდ აღარ მეცალა. შევ-
ეცადე ღრიჩოში მოკაუჭებული თითები ისევ გამომეთავისუფლებინა და
ისე შემენაცვლებინა მათთვის მარჯვენა ხელის თითები რომ კარს ჭრიალი
არ აეტეხა. ფრთხილად ქილა არ დაგივარდეს მეთქი ვუჩურჩულე და როცა
დავრწმუნდი რარიგ ჩინებულად გავართვი საქმეს თავი გახარებულმა
ლამის თვალებში შევასუნთქე. ახლა ორივე ჩემი ხელი და თითოეულის
ყოველი თითი თავისუფლებას ზეიმობდა. მთავარი იყო კარს არ შევხებო-
დით და არც ის გვიღალატებდა. გამომართვიო. ორივე ხელი ფრთხილად
გავიშვირე და დამიბრუნა თუ არა მადლობა მოვახსენე და დროზოფილებ-
ით სავსე ქილა გულში ჩავიკარი. მართალია ჩვენს ბედნიერებას უკვე ყვე-
ლა ბერკეტი მტკიცედ ეპყრა და ზეიმიც იშვიათი ფერადოვნების ნიჭს
ამჟღავნებდა მაგრამ გამოცდილება გვკარნახობდა რომ დამოუკიდებ-
ლობის ამ ეჭვით სავსე ტკივილს დიდი დღე არ ეწერა. ალბათ ამის გამოც
შეგვაგულიანა შინდისფერ სახურავზე მისმა გამოჩენამ და სხვათა შორის
ვკითხეთ ნუთუ არ გირჩევნია ყველაფერი დიახაც წყალში იყოს ჩაყრილი

მეთქი. ამ შემთხვევაში რომელ წყალს გულისხმობო. რა თქმა უნდა წითელს არა მეთქი. იმედია არც შავსო. ამჯერად არც შავს მეთქი. მადლობა ღმერთს ამჯერად მაინც მივუახლოვდით ერთმანეთსო ამოიოხრა და თავი უკან გადააგდო. ყელის ძარღვები დაებერა და სველ მკერდზე ხელი ჩამოისვა და ჩვენ შევშინდით. ხოლო მაშინ არ მოიძებნებოდა ჩვენთვის ნაცნობ მუქარათაგან ერთი მაინც რომელიც მაღლა აგვახედებდა და გვათქმევინებდა რომ მოვკვდით. მაგრამ იმავდროულად და იმავე პირობითობათა კანონიერებით ზღვარდებულ პათოსში რომელთა მიმართ უმწეო იყო ჩვენი გულახდილი და სნეული შიში არ მოიძებნებოდა ერთი უბადრუკი მიზეზი მაინც რომელიც გაამართლებდა ჩვენს შიშს. ალბათ ამის გამოც მოვმუშტეთ ხელი და გულასმოკვნით ვთქვით ის რამაც შემდგომ და შემდგომ არაერთხელ დაახუჭინა მას სულ სხვადასხვა განწყობათა შეხვედრისა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკვეთის წერტილში ჯიუტად დამდგარს და გასაქცევად არდაძაბულს მშვენიერი დიდი თვალები. ხოლო მაშინ აჰ აჰო აი ასე ამოიძახებდა ხოლმე უმწეოდ და თანალმობით ხოლო ჩვენ ჩვენი გაგვჭირვებოდა ვინაიდან წამოვიმართენით და ვიმღერეთ რომ არ შეიძლება არ მოვიდეს ის ჩვენი მშვენიერი და კეთილი შიში. არ შეიძლება მან არ გვიცნოს თავისი სისხლში ამოთხვრილი თეთრი საცვლებით და ძვირფასი ქურქით რომელიც აცვია ჯანმრთელ და ჭლექასხმულ ტანზე. არ შეიძლება მოწყალების მტრედისფერი საფეხურებით არ ჩამოგვეწვიოს და არ თქვას ორიოდე ნათელი სიტყვა ჩვენმა მშვენიერმა და კეთილმა შიშმა. არ შეიძლება ცეკვა-სიმღერის გაკვეთილები არ ჩაგვიტაროს მან ერთადერთმა ძლეულმა მოძღვარმა და არ იშიმშილოს უდაბნოში ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მილიონობით გამაძღარი. არ შეიძლება ასე პირწმინდად მოგვრეცხოს ნამუსი ჩვენმა მშვენიერმა და კეთილმა შიშმა და ხველებ-ხველებით არ გაძუნძულდეს ჩვენი სულებისკენ რომლებსაც ცხელათ და რომლებსაც სწყურიათ. არ შეიძლება არ მოვიდეს ის ერთადერთი და ხვალინდელი და არ მიგვითითოს დახლებისკენ სადაც ადამიანის სუნად ყარს ძეხვი და ღორის ხორცი და ძროხის ხორცი და ქათმის ხორცი და ყველი და კარაქი და პური და თევზი. არ შეიძლება თან არ წაგვიყვანოს და თან არ წაიყვანოს მისკენ გაწვდილი ჩვენი საჯდომი და არ გამოგვბანოს ნამუსი და არ დაგვიმშიოს ჭიანი ვარდივით მებრძოლი და გაწვალებული სიტყვა. არ შეიძლება არ მოვიდეს ის ჩვენი მშვენიერი და კეთილი შიში და თუ არ მოვა მაშინ დადგეს ის ჩვენი მშვენიერი და კეთილი შიში როგორც სევდიანი და რძესავსე შემოდგომა და ჩვენ დედაწულიანად გამოვალთ გარეთ და დავკრეფთ მას ყველაფრით რითაც შეგვეძლება და თუ არ მოვა მაშინ მოვიდეს და გვაუწყოს და ჩვენ თავად დავდგებით და ჩვენი დამპალი ხელისგულებიდან გადმოვა შიში რომელმაც გვეს-

როლა მაგრამ მოგვკლა და მერე ჩვენი ერთგული ცოლები ეძებდნენ ათობით და ასობით გრძელ და უხეშ სვეტს რათა ვნებით შემოხვეოდნენ და დაეკოცნათ და აელოშნათ და დაელოცათ ჩვენი სულები და ჩვენი ტკბილი ერთადყოფნა და გულუბრყვილო და გულჩვილ ბავშვებს მიმსგავსებულნი ტიროდნენ და გვიხსენებდნენ და ჩვენ მაშინ რა თქმა უნდა ერთად ვიყავით როცა არ იყო ათობით და ასობით გრძელი და უხეში სვეტი და თუ არ მოვა ჩვენი მშვენიერი და კეთილი შიში მაშინ მოვიდეს და დაგვინგრიოს ეს სახლები და ეკლესიები და უნივერსიტეტები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და ბიბლიოთეკები და კაფეები და თეატრები და მიწისქვეშა გვირაბები და არქეოლოგიური გათხრები და დროშები და ტუალეტები და ყველაფერი რასაც დავარქვით ისტორია და დავარქვით კულტურა და ფეხსადგილი და წიგნი და განათლება და მოვიდეს და დაანგრიოს ეს ყველაფერი რაც ხელს გვიშლის ვიხილოთ ნათელი დაინგრეს კედელი რომელიც ხელს გვიშლის ვიხილოთ ნათელი და და ეს ყველაფერი დაიწვას და დაინგრეს ნათლიერის და შიშის სახელით და იმის სახელით ვინც ჩვენ ვართ და ვიყავით და ვიქნებით უკუნითი უკუნისამდე ამინ. ხოლო ალაგ-ალაგ ყრუდ და შორიდან მისი აჰ აჰ ჩაგვესმოდა და ერთი სულ გვქონდა მალე დამთავრებულიყო ჩვენი გულისთქმა რომელიც ღმერთმანი არ ვიცოდით რამდენ ხანს გასტანდა. მაგრამ გამოფხიზლების ეს მეოთხედი საათი სამარადისო აწმყოდ გვექცა ჩვენც და იმასაც მიუხედავად მოცურების საშიშროებისა და მიუხედავად იმისა რომ უკვე წვიმასთან შეხვედრის შესაძლებლობა შეფარული მუქარით აძევებდა ავტობუსის მოლოდინით ვნებაამღვრეული ადამიანების სასოწარკვეთას და სანაცვლოდ იმედს ანაყოფიერებდა. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო ერთი უმნიშვნელო დეტალის გარდა. საქმე იმაში მდგომარეობდა რომ ჩვენ ვერასდროს გავიგებდით რა შეიძლებოდა ქცეულიყო ამ მეტისმეტად ვინაიდან მოლოდინი როგორც ჩვენთვის წვიმასთან შესახვედრად სადარბაზოდან ჟრიამულით გამოცვენილი ბრიყვებისთვის ისე გაჩერებაზე აფორიაქებული დაღლილი ადამიანებისთვის იქ ბოლოვდებოდა სადაც თამაში უნდა დაწყებულიყო და ცით ბოძებული უმანკო სითხით ყელამდე სავსე მრავალი დიდი და მცირე გუბე სისხლს შეეღება. მაგრამ საბედნიეროდ სადარბაზოდან არ გამოვცვენილვართ და არც ჩვენი ფარული მიზანი გაგვინდია ერთმანეთისთვის რადგან მოცემული ამოცანის ამოხსნის ლამის ურიცხვი ვარიანტის არსებობის ფაქტიდან ამ ფაქტზე როგორც ხაფანგზე ფიქრი ჩვენი წესი არასდროს ყოფილა. მერე რა რომ ზარალში ყოველთვის ჩვენ ვრჩებოდით. სამაგიეროდ ეს ზარალი არც მიზნით გვემუქრებოდა და არც სამიზნედ ერთმანეთის გამოყენების სურვილს გვიღვივებდა რაც დროდადრო ერთმანეთში ჩვენს ჩანაცვლებას საიმედოს ხდიდა და უკუქცევ-

აც ყოველ მოცემულ მომენტს ნიშნავდა და არა რაღაც სამომავლოდ დამ-
აიმედებელ ნიშანს ან თუნდაც რეალურ ადგილს რომელსაც ხვალ თუ
გუშინ უსიკვდილოდ მოვიპოვებდით. ასე რომ მის აღმატებაზე ფიქრსაც
ფუჭ ოცნებად მიიჩნევდა და იგრძნობდა თუ არა რომ მავანი ჩვენგანი
მსგავს ოცნებას პარვით ასდევნებოდა მაშინვე შესაბამისი ზომების წყა-
ლობით უკანვე აბრუნებდა წერაატანილს და ეს უკანასკნელიც დიდის
რუდუნებით გარდაქმნიდა საკუთარ იმედს თავისსავე წარსულად ან უკი-
დურეს შემთხვევაში თავისი ამა თუ იმ ყოფილი განწყობის მორიგ დანამა-
ტად თუ შენაზარდად. ხოლო როცა წვიმა მოვიდა და მკერდი დაუსველა
ყოველი ჩვენგანის სიცილს და ამის შედეგად მის დამორცხვებას ხელი
არ შეუშლია მისივე მშვენიერი თვალებისთვის რომ მსუბუქად დაბერილი-
ყვნენ და ჩვენთვის სხვენის იმ ერთადერთი კარისთვის მზადმყოფი განწ-
ყობისკენ მიეთითებინათ რომელიც მდუმარედ იდგა და ყოველ წამს ასე-
ვე მზად იყო უკან დასახევად. ალბათ ეს უმწეო და ჭიით გამოხრული მაგ-
რამ დღემდე საქმიანი ფიცარიც ამღვრეულ ფიქრებს შეეპყრო იმის გამო
რომ ავტობუსის მოლოდინს ლამის მსხვერპლად შეწირულ ამ ზღვა ხალხ-
ში ვერავინ ხვდებოდა ყოველი მომდევნო მაგრამ ერთადერთი წამის მნი-
შვნელოვნებას რომელიც სულაც არ იყო ზღვასავით სავსე და რომელშიც
მათი ჯანმრთელი და უხორცო მტერი მიმორბოდა ყოველი მომდევნო წა-
მის მოსატყუებლად ვინაიდან როგორც ცნობილია მტრის ცნება მხოლოდ
მაშინ ჩნდება მოლოდინით გამოცარიელებული ადამიანის ცნობიერებაში
როცა რაღაც რთულსა და ცენტრიდანულს უკვე მოუსწრია ადამიანის
სულის მთელი საარსებო სივრცის დანაღმვა და ახლა თავისი შემოქმედე-
ბის სიზუსტით დაიმედებული უკანმოუხედავად მიემართება უხილავი
მაგრამ საბედისწერო მიზნისკენ რომელიც ბუნებრივია შესაძლოა სულაც
არ არსებობდეს მაგრამ რაკი არსებობს ის ვინც ქმნის ასეთი მიზნის შესაძ-
ლებლობას უნდა არსებობდეს მის მიერ დატოვებული ნაკვალევიც რომე-
ლიც ნებისმიერი განდობილისთვის ცნობილი გამოცდილებით ერთდროუ-
ლად წარსულის კვალიცაა მომავლისაც და აწმყოსიც მაგრამ არც ერთი
ამათგანი არ წარმოადგენს მტერს. მტერი უკვე შორსაა რომელიღაც არა-
თუ სხვა არამედ სავსებით მოუაზრებელ განზომილებაში გაცნობილს კი
მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეუძლია რომ მასთან საქმე არა აქვს თუ
არ ჩათვლის ცხადია ხსენებული სამი დროითი განზომილებიდან რომელი-
მეს როგორც იმის ჩრდილს ვინც ოდესმე ყოფილა აქ სახლის შინდისფერ
სახურავზე ხოლო აი ახლა ყოველი მოცემული წამის განმავლობაში ანუ
ყოველი მომდევნო წამის განმავლობაში უკანმოუხედავად მიემართება
ხოლო მის უკან უზუსტესი თანმიმდევრობით თუ ერთდროულობით ფეთ-
ქდება ესა თუ ის ნაღმი რომელზეც ამა თუ იმ ზიარებულის ცნობიერების

მდგომარეობა წამოგებულა და ამით წართმევია საკუთარი თავის ახლად შობის შესაძლებლობა. როცა მისი სიმშვიდე ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ხოლმე იმ საშიშ გაფრთხილებას რომელიც თითქოს ყველაფერს რაც მონდომებით შენდებოდა ჩვენს სულში ერთბაშად ანგრევდა როცა მეტყველების ეს მონაკვეთი ჩვეულ რიტმს მოულოდნელად წინ უსწრებდა და თითქოს თავის თავში ჩრდილების წინააღმდეგ გაბრძოლების უმწეო მცდელობის გაცხოველების სურვილისა თუ ჟინის ტრადიციის დამკვიდრებაზე ფიქრი გადამწყვეტ მომენტში უეცრად იკუმშებოდა და წარმოქმნიდა მუხტს რომელიც პერმანენტულად ასრულებდა საკუთარი ტრადიციის მოკვდინების ხანგრძლივ რიტუალს მაშასადამე როცა ის თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვამდა ეს ძალიან საშიშიაო ჩვენი მდუმარება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და მხოლოდ იმით ახერხებდა სიმყიფის ზღვარზე სასიცოცხლო ძალების შენარჩუნებას რომ მონდომებით უთვალთვალებდა დედის მეტყველებას და უკვე მერამდენედ მაგრამ მაინც პირველაღმომჩენის სიხარულით აღბეჭდავდა თავისი ყოველ წამს ფიფქივით დნობისთვის განწირული მარადიულობის უხეშ კედლებზე რაღაც რთულსა და ცენტრიდანულს როგორც ნოსტალგიას რაღაც რთულისა და ცენტრიდანულის გამო და ეს მაშინ როცა არც მისი ეს ძალიან საშიშიაო არც ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა რომელიც მოდიოდა და მოდიოდა არც სხვენი რომელიც მოთმინებით იცდიდა არც შორეულ მოსახვევში ავტობუსის გამოჩენის ის წამი რომელიც მოსაცდელში თავშეყრილი ამ ხალხისთვის ავტობუსის მორიგ თუნდაც ყველაზე უფრო რეალურ გამოჩენამდე მხოლოდ ხსოვნა იყო და მეტი არაფერი არც მტკიცე გადაწყვეტილება რომ ერთად და უწყვეტად ვმდგარიყავით და მისი თვალის ასახვევად არ გადაგვეწყვიტა ან უკეთ როდი გადაგვეწყვიტა ან კიდევ უფრო უკეთ რომ ითქვას დიახაც არ გადაგვეწყვიტა არცერთი ღირსეული საკითხი არ მიუთითებდა იმაზე რომ ამ განცდას სიცოცხლის იმედი უნდა ჰქონოდა აი ახლაც მოცემულ შემთხვევაშიც კი როცა ის მართლა არსებობდა. მაგრამ არც ჩვენ ვახლდით ყოველ ახლად გაჩენილ იმედს გულხედაკრეფილები და მას მერე რაც ჩვენი კეთილი მშობლების ოცნებებიდან გამოგვაძევა იმ დიდმა გადაწყვეტილებამ რომლის ხელახალი საცნაურყოფითაც ნებისმიერი მათი ოცნებისთვის თავისუფლება უნდა დაგვებრუნებინა პატიოსნად ვირჯებოდით ემოციების და განცდების აღფრთოვანებების და სასოწარკვეთების სქელი გარსის გასარღვევად რათა ყველაფერთან ერთად თვით ამ ერთი შეხედვით მკაფიო შორისდებულისთვის როგორიცაა პატიოსნება სული შთაებერა ჩვენს სწრაფვას და მთელი თავისი სისავსითა და ერთმნიშვნელოვანი ხვედრით წარმსდგარიყო იქ ქვემოთ დარჩენილი დაღლილი და ვნებამილეული ადამიანების წინაშე ხოლო ვიდრე

ეს ჯერაც არ მომხდარიყო ჩვენ ბეჯითად რომ მივიკვლევდით გზას სხვენ-
ის გავლით ერთმანეთს თამაშში შესვლის უფლებას ვერ მივცემდით და
ეს თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცოდა ერთად აღებულმა. თუ ამ ერთ-
ად აღებულში შენი თავიც მტკიცედ გეგულვის მაშინ თამაშის თვინიერ
განა მოგეპოვება მიზეზი რომლითაც ჩვენში ჩვენი მშობლების შემოუღწე-
ვლობის სასწაულს ახსნიდიო. რა თქმა უნდა არ მომეპოვება და არც ის
მითქვამს თამაში გადაულხავი ბარიერი არაა მათსა და ჩვენს შორის მეთ-
ქი. მაგრამ ეჭვგარეშე იყო რომ გაცილებით ქმედით ღონისძიებებს მოით-
ხოვდა როგორც ჩემი ისე ამ დროზოფილების რეპუტაციის დაცვა ამიტომ
მუხლი მოვიყარე და მთლიანად მივენდე ჩემს გაკვირვებას რომელიც
გაოცებას ვერ მალავდა იმის გამო რომ გაჭრილი ვაშლის ორი თანაბარი
ნახევარივით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან თამაში როგორც ასე-
თი და თამაშში შესული ადამიანი როგორც აგრეთვე ასეთი. ჩვენ მსგავსი
წამი ხშირად როდი განგვიცდია მაგრამ ის მცირედი რასაც ჩვენს სულში
გზის გაკაფვა მოეწადინებინა და იმაზეც ზრუნავდა რომ ჩვენთვის წარ-
მოუდგენელი სისწრაფით გავცლოდით სიამაყით აღსავსე და ვნებით ერთ-
მანეთის მთვალიერებელ ამ ხალხს თითქმის არაფერზე მიგვითითებდა
და როგორც გამოცდილება გვკარნახობდა თავი არ უნდა მოგვექაჩლები-
ნა. არც სხვენში შეგზავნილი წყვილის ყოვლად მოსალოდნელი ოინისგან
ვიყავით დაზღვეულნი და თუ მაინც მორჩილად ველოდით მათ მიერ მოსა-
ტან და მოტანის შემთხვევაში ჩვენი ერთობლივი გულისხმევით მოსაქ-
ნელ ხელსაწყოებს ეს მხოლოდ იმიტომ რომ ჯერაც არ გაგვნელებოდა
ჩვენში პატივმოყვარეობის შემოტევით მოგვრილი მსუბუქი ქროლვა რაც
ავტობუსის ყოველ მოცემულ ადგილსა და გაჩერებაზე გატრუნულ ხალხს
შორის არსებულ მანძილსა და სახურავზე ჩვენი მდუმარების ყოველ მოცე-
მულ პირობითობასა და მოსაცდელის ავისმომასწავებელ მყუდროებას
შორის გაჩენილი დისპროპორციის საცნაურყოფის ხარისხით იყო გამოწ-
ვეული და რაც თითქმის დროის მბრძანებლად გვაქცევდა. მითითებული
განწყობის სისავსის საბუთად გამოდგებოდა როგორც ყოველი აქ მყოფი-
სთვის კარგად ცნობილი მაგრამ საიმედოდ დავიწყებული დასაწყისი ისე
საკუთარ თავთან დარჩენის იმ უმწეო შესაძლებლობის ფაქტი რომელიც
გაბრძოლების ყოველი ხელახალი მცდელობისას გაწბილებულს გვტოვებ-
და და მხოლოდ მას მერე ვმშვიდდებოდით როცა ის თვალს ჩაეფარებოდა
ხოლმე. როცა წყლით სავსე სათლის შავი ფერი ჩვენს შიშს ათვინიერებდა
ჩვენ უკვე შორს ვიყავით მისგან და მოცემულ შუალედში შესასრულებე-
ლი სამუშაოს სიმძიმე წინდაწინ ცდილობდა მომდევნო შუალედის მიმარ-
თულების გათვალისწინებას მაგრამ ცხადია ამაოდ ვინაიდან თავადვე
წარმოადგენდა იმ ზღურბლს რომელიც მხოლოდ იმის მოლოდინად შეიძ-

ლებოდა ქცეულიყო ვინც მის გადალახვას მოახერხებდა. მაგრამ როგორც ცნობილია ეს მაშინ იქნებოდა საიმედო ჩვენი მიზანი რომ სერიოზული ყოფილიყოო ჩაილაპარაკა და გვაგრძნობინა რომ სხვას ამბობდა და სხვას გულისხმობდა. მაგრამ განა მიზანი კი არსებობსო მაშინვე დასძინა და სხვენის კარი ფრთხილად შეაღო. სად მეთქი მივაძახე და საკუთარ თავს ვანიშნე მღელვარება უკუექცია. აი იქ სადაც თავს მოვიყრით და ერთმანეთს განვბანთ და მერე დიდხანს უნდა ვიდგეთ ერთმანეთის გვერდიგვერდ დარცხვენილები იმის გამო რომ ჩვენზე მეტად დაუცველი და უმწეო დედამიწის ზურგზე არავინ მოიძებნაო. ხოლო ჩვენ მივხვდით რომ არ შეიძლება რომელიმე წუთი წინაზე ან მომდევნოზე ძვირფასი იყოს იმისთვის ვინც თავის ტანჯვაში გულწრფელია. რა თქმა უნდაო დამეთანხმა დედა და ჩემი კითხვაც ერთი-ორად დამძიმდა. მაშინ რატომ გავცვივდით გარეთ ასეთი მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით მეთქი. ეს იყო და ეს. მერე ვიდექით და წვიმა მოდიოდა და ჩვენ ძალიან დიდხანს ვუყურეთ როგორ მოკლდებოდა გზა ჩვენს სურვილებსა და გაჩერებაზე თავშეყრილი პოტენციური მგზავრების გამოცარიელებულ ვნებებს შორის ხოლო როცა მან თქვა მაშ თუ ყველაფერი რიგზეა კიდევ ერთხელ შევავლოთ თვალი ამ იდუმალებით მოცულ ადგილს და ჟრიამულით ჩავუყვეთ კიბესო ბუნებრივია ეს ბრძანება ჩვენს პირველობას გულისხმობდა ასფალტისკენ ისრის წვერივით მიშვერილ კიბეზე. ნახმარი წყალიც თავად მოასხა ჩვენი ნაფეხურებით დაღლილ თიხას და როცა თიხას ზიარებულმა წყალმა თავისი თავი დაკარგა და სულ მალე წითლად მოწურწურებდა მაინც და მაინც ჩვენსკენ აი სწორედ მაშინ მოისმა შემპარავად სევდიანი და საგრძნობლად მიმზიდველი ხმა დედა გენაცვალოს წყლით სავსე სათლი დაგრჩენია სახურავზე ჩამოიტანე და ჩემს ოთახში დადგი წასვლის წინ თავი უნდა დაგბანოო. ჩვენ ავირბენდით და უსიტყვოდ შევასრულებდით ბრძანებას მაგრამ ვაი რომ ეს არაფერს შეცვლიდა არც ჩვენს განაზრახში და არც მისი მშვენიერი მშობლების თვითგვემაში ვინაიდან ჩვენს წინააღმდეგ მომართული უკლებლივ ნებისმიერი მეთოდი საყრდენად ისევ ჩვენ გვგულისხმობდა და მათ მიერ მიზანში ამოღებული ურიცხვი ბალასტიც საწყისად ისევ მათ ჭიპს გულისხმობდა ხოლო საწყისი ესეც გასათვალისწინებელიაო მაშინაც საწყისად რჩება როცა მას წყდებიან. აქ თითქმის ისეთივე შემთხვევა იჩენს თავს როგორიცაა მშობლიური საწყისიდან მშობლიური საწყისისკენ ზამბარის სწრაფვა ან ორიგენის სახელგანთქმულ ანგელოზთა ჩამძიმება მათთვისვე გაურკვეველი მიზეზით და შორეული გზების მოვლით თუმცა კი უცილობელი მშვიდობით შინისკენ მამაღმერთის ზრუნვისკენ ფრენის სიდიადე. ამიტომ არ რცხვენოდა ქალიშვილს და ჯიუტად იცინოდა როცა ვიცინოდით და მერე წვიმასაც ვუყურეთ

როგორი თანდათანობით მოიკაფავდა ცას ჩვენი სურვილისკენ. ძალიან გვიხაროდა რომ მოვიდა და რა გვექნა აღარ ვიცოდით ისე გვიხაროდა. ისე უბრალო და დამღლელი იყო ის რაც აქ ხდებოდა რომ ღირდა იმ უდარდელობად და სიზარმაცედ რომელიც ახლაც უსარგებლო ჯავშანივით გვქონდა ზურგზე მიკრული და რომლიდან გამოძვრომასაც მხოლოდ მაშინ მოვახერხებდით როცა თვით ეს ჩვენი მოსიარულე და ჩვენგან სრულიად დამოუკიდებელი სასახლე იტყოდა უარს როგორც ჩვენზე ისე საკუთარ უსუსურობაზეც ხოლო ეს როგორც მას ხშირად აღუნიშნავს ბრძოლისა და აღშენების ჟამს როდი ხდება. მაგრამ ერთ წვიამინ დღეს შეიძლება სრულიად შიშველი აღმოჩნდე შენსკენ მომავალი ავტობუსის პირისპირ და მიუხედავად იმისა რომ ავტობუსმა თუნდ ცარიელმა და მძღოლის ფარულ ინტიმს მინებებულმა არ იცის რას ნიშნავს დანდობა ან დაუნდობლობა გზამ მას მიუთითოს შუალედური მნიშვნელობის მქონე სიტყვისკენ რომელიც სადმე იქვე უნდა დაძრწოდეს არა გარეთ არამედ შიგნით ინტერიერში და ინტერიერს მიღმა ანუ უფრო შიგნით ხოლო როცა მოულოდნელად ეს სიტყვაც თავს გამოყოფს მაშინ ნდობა საზრისს დაკარგავს და თავისი სიუცხოვით გაკვირვებული გარეთ გამოვა და იქცევა ავტობუსსა და შენს შორის გადებულ ხიდად რომელიც დაფუძნდა დროში მაგრამ არა რა თქმა უნდა მშობლიურ დროში. ჭეშმარიტად ავტობუსის პირისპირ და არა ავტობუსის წინაშე მეთქი უდროო დროს გავუსვი ხაზი რითაც მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე თავის მართლების ჟინის დაოკება ვცადე. მოსალოდნელი შედეგის გაცილებით მოსალოდნელით შეცვლამ ჩემს შეცდომაში დამარწმუნა და ჩვენ გადავწყვიტეთ რომ ასეთი უბადრუკი შეცდომა აღარ მოგვსვლოდა ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც არა და არა როცა ჩვენი იმედი ბრძოლისა და გზიდან გადახვევის სურვილს სულაც არ ამჟღავნებდა. ბოლოს და ბოლოს რაღაც ხომ უნდა ესწავლებინა ჩვენთვის იმ მდგომარეობას რომელშიც აღმოვჩნდით. მართალია ცოდნა ყოველთვის მოახერხებდა იარაღად გადაქცევას საიმისოდ რომ ერთმანეთისთვის თავი შეგვეჭმევინებინა მაგრამ ვიდრე ცოცხლები ვიყავით და შეგვეძლო პასუხისმგებლობის მთელი სიმდიდრე მშობლებისთვის გადაგველოცა მაინც ვერ დავაღწევდით თავს ჩვენზე დამიზნებული ურიცხვი ფარული თუ დაუფარავი აგრესიის მძვინვარებას ამიტომ საჭირო იყო მუდმივად შესაბამისი ზომების მიღება ჩვენივე განწყობის შიგნით მაინც რათა არ დაგვეშვა არც იმ უცხო ძალების თარეში ჩვენი სულის ტერიტორიაზე და არც იმ ილუზიის ტყვეობაში ყოფნა თითქოს შესაძლებელი იყო ჩვენს ოდესღაც თვინიერ და მორჩილ ხასიათს არაფერი შერჩენოდა იმ სიძველის რომელსაც არც დამპალი საპნის სუნი უდის და არც ობი მოკიდებია მაგრამ ნებისმიერ აგრესიულად ნაყოფიერ შემთხვევაში მზადაა უმალ თავად გააუპატ-

იუროს ის ვინც მის გაუპატიურებას დააპირებს ვიდრე ძველი ჩვეულებისამებრ ფართოდ გაუღოს გონების ფეხები და უცხო ძალა ლამის ლოტოსის ყვავილად გარდაქმნას მისმა დაღლილმა წარმოსახვამ. ხაზი უნდა გასმოდა იმასაც რომ ავტობუსის პირისპირ დგომის ლოგიკური შესაძლებლობა არ გამორიცხავდა მრავალი ერთდროული რეალობის თავმოყრას იმ გადამწყვეტ წერტილში საიდანაც უნდა დაძრულიყო გამარჯვებული არჩევანი და ყველა დანარჩენის სევდიანი მზერაც მაღალპროფესიულ დონეზე დაებინავებინა. ამ არჩევანსა და ჩვენს გადამწყვეტ ნაბიჯს შორის ხიდად ქცეული უძირო უფსკრულის ელვარების მიუხედავად ძნელი არ უნდა ყოფილიყო ქილის გაუხსნელად დროზოფილების გადათვლა და სამშვიდობოს გასული ადამიანის იერით ირგვლივ მყოფთა აღტაცებაში ჩართვა მაგრამ ვისთვის ან რატომ უნდა დაგვემალა ის რასაც ჩვენივე აქყოფნა და მის მიერ გაცემული ყოველი ახალი ბრძანების მიმართ ჩვენი მორჩილება იოლად ნათელყოფდა. უფრო ზუსტად შეგვეძლო გვეთქვაო. ვიცი ნათელყოფა ზედმეტია იქ სადაც ისედაც ყველა და ყველაფერი ნათლადყოფნის შედეგია და არა მიზეზი აი ასე უნდა მეთქვა მეთქი. სათუთად დახარა თავი და არ უთქვამს ის რასაც სხვა შემთხვევაში აუცილებლად იტყოდა შენიშნავდა თუ არა მიზნის გაჩენის საშიშროებისადმი ჩემს გადაჭარბებულ გულგრილობას ახლა კი რატომღაც არაფერი თქვა და ვიდრე შექმნილი კადრი თავის სრულყოფილ სახეს დაემსგავსებოდა თვალი გააპარა სხვენის კარისკენ რომელიც წუთი-წუთზე უნდა გაღებულიყო და სამტრედეში ჯერ კიდევ როდის გაგზავნილი წყვილი მზის ნათელს უვნებლად დაბრუნებოდა. საბედნიეროდ კარსმიღმა დარჩა მისი მიზანმიმართული მოლოდინის ნაკვალევი ანუ ჩვენი მოულოდნელი აღტაცება რაც მისი თვალიდან გაქცეული მზერის მიმართულებამ გამოიწვია. მისი მზერა იმდენად თარაზული იყო იმდენად ზუსტი იმდენად მიზანმიმართული კარის შუაწელისკენ რომ უმალ ვირწმუნეთ წარგზავნილი წყვილი უვნებლად დაბრუნდებოდა სწორედ იმ ხელსაწყოების ძალით რომლებამდეც მთავარი იყო მშვიდობით მიეღწია. მან სახურავზე მშვიდად მჯდარმა მუხლისთავებშეტყუპებულმა და მათზე მკლავებშემოსალტულმა უკვე ცხადად იცოდა სახურავის დონიდან რა მანძილის დაშორებით მოირწეოდნენ ჩვენსკენ ხელსაწყოები და კარის გაღებისთანავე ჯერ მისი მზერა და მოსალოდნელი ნივთები შეხვდებოდნენ ერთმანეთს ხოლო ამის მერე ალბათ წყვილსაც სათუთი ერთგულებით შეათვალიერებდა ანუ გარემოებათა მთლიანობას თავისი თარაზული მზერის შენჯღრევის ნებას თავაზიანად დართავდა და ერთბაშად განმუხტულ რიტუალს განაახლებდა რაც ჩვენთვის ნაცნობი მოვლენა იყო და რაც ტრადიციულად ყოველი ჩვენგანის ფეხზე ადგომით და მისი ეს ძალიან საშიშიაოთი იწყებოდა. ტრადი-

ცია აქ მხოლოდ იმ რამდენიმე წამს გულისხმობდა რომელიც იქმნებოდა ჩვენს მიერ მისი ყოველი ხელახალი აქტის გაცნობიერების პროცესში და რომელიც მაშინვე თითქმის პლასტიკური მთელის კანონებით აღიჭურვებოდა ხოლმე. ეს ფაქტი დედასაც ერთობ აღელვებდა ამიტომ ამ დეტალის აღწერის ჟამის მოახლოებისთანავე თხრობის მასშტაბურობამ ზურგი მიჩვენა მონდომებით გაცუხცუხდა და დემონსტრაციულად გამოიკეტა თავის თავში. ამის მიზეზს მაშინვე მივწვდი მაგრამ არ გამიშიშვლებია. ტკბილი ნუგბარივით ბოლოსთვის შემოვინახე მიუხედავად იმისა რომ ჩემი განწყობის ვერც ერთი ხილული სექტორი ვერ მიპასუხებდა მაინც სად განისვენებდა ეს ნანატრი და ნატვრით ნაპატივები ბოლო. სახლის შინდისფერ სახურავზე ჩვენი მოქმედების თვით შესაძლებლობაც კი იმის ნიშანს წარმოადგენდა რომ არავითარი ბოლო როგორც ასეთი არ მოგვეპოვებოდა და ამაო იყო მისი მხილების ყველა მეტად თუ ნაკლებად ბასრი მცდელობა. დედას ის უფრო აინტერესებდა როგორ გავუზიარებდი შთაბეჭდილებას ამ აღმაშფოთებელი გარემოების გამო და შეძლებდა თუ არა ჩემი ემოციური თვითმყოფადობა თავისი თავის დაცვას მრავალნაირი ფსევდოემოციური მდგომარეობის შემოტევისგან. ბუნებრივია დედა თავის ვარაუდს არასდროს გამიმხელდა და არც მისი შეკითხვები მიმანიშნებდა რაღაც ღიასა და ხელჩასაჭიდზე მაგრამ ასე იყო თუ ისე ჩვენს თამაშთან ყველაზე გაშინაურებულ ადამიანად სწორედ დედა უნდა მიგვეჩნია ვინაიდან მან ერთადერთმა თავის დროზე ისევე არაფერი იცოდა სხვენში მდებარე სამტრედის შესახებ როგორც ჩვენ არ ვიცოდით თავის დროზე არაფერი შავი მდინარის შესახებ. აღნიშნული გარემოება სულაც არ ნიშნავდა ჩვენს მიერ განსაკუთრებული ნდობითა და უფლებებით მის აღჭურვას. არა. უბრალოდ ჩვენივე სიმტკიცეს ვამოწმებდით და გვიხაროდა როცა აღმოვაჩენდით რომ თურმე ეს გრძნობა თუ მდგომარეობა საერთოდ უცხო ყოფილა ჩვენთვის. მაგრამ ეს იმას როდი გულისხმობს რომ სამტრედის შინაარსი ჩემთვის ან მაშინ იყო რაღაც შორეული ან ახლაა ასეთიო ჩაილაპარაკა დედამ. ვიცი ვიცი მეთქი გახარებულმა დავუქნიე თავი და ახლა უკვე სულ სხვა პათოსით ვკითხე მრცხვენიაო რატომ მითხრა მეთქი. და ისევ მარტო დავრჩი. ხელახლა უნდა შევდგომოდი ჩემი ეჭვებისკენ ჭაპანწყვეტით მიმავალ აღმართს და მხედველობიდან არ გამომრჩენოდა არაფერი რაც სახურავზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან რამენაირად მაინც იყო დაკავშირებული. აქ იგულისხმებოდა როგორც მასთან ამაყად თავგადაგდებულთან და ძარღვებდაბერილთან ჩემი ფარული მიმართების მხოლოდ ჩემს მიერ ჩემივე გულისთვის გასამხელი ნიუანსი ისე მისთვისაც კარგად გასაგები ღირებულება და მნიშვნელობა ყოველივე იმისა რაც ჩვენთვის ერთად აღებულისთვის მართალია უმნიშვნელო არასდროს

ყოფილა მაგრამ რისთვისაც არასდროს მიგვინიჭებია განსაკუთრებული სტატუსი თუმცა ეს ფრიად საპატივცემლო მიზეზით იყო გამოწვეული და ოდესმე მოსასვლელი სინდისის ქენჯნისგან საიმედოდ გვიცავდა ყოველ შემთხვევაში ამჯერად მაინც ვიდრე ხსენებული სინდისი არ არსებობდა. იქნებ ამიტომაც გავიფიქრეთ ამ მზერაზე რომელიც მისი თვალიდან გამოედინება და ოდნავ შეღებული კარის შუაწელის ერთადერთ წერტილში ბოლოვდება ბურთის ან სხვა სფეროსებრი საგნის დადება რომ შეიძლებოდეს იგი ადგილიდან არ გატოკდება ხოლო როცა მზერა შეწყდება საყრდენგამოცლილი პირდაპირ უფსკრულში აღმოჩნდებათქო. ანალოგიურად მსჯელობის განვითარება შესაძლებელი იყო ავტობუსის გამოსასვლელ პუნქტსა და მოსაცდელს შორის მოძრავ მანძილთან დაკავშირებითაც თუმცა ერთი მკაცრი შენიშვნით. მაშინ როცა ავტობუსის საწყის პუნქტსა და მოსაცდელს შორის მანძილი ღირებულებას იძენდა სწორედაც თავისი მანძილობის წყალობით მისი მზერა სავსებით გამორიცხავდა რამენაირი მანძილის არსებობის შესაძლებლობას თვალსა და კარს შორის ვინაიდან იგი თავის მზერას გაიაზრებდა არა როგორც დრო-სივრცეში მოქმედ მოვლენას ან მათ მიღმა თუ საპირისპიროდ მოღვაწე ფენომენს არამედ ძალიან უბრალოდ როგორც მხედველობის უნარს რომელიც არსებობს არა მაშინ როცა ეს საჭირო ან თუნდაც შესაძლებელია არამედ მაშინ როცა თვით ამ მხედველობას უნდა იმის მიუხედავად მზად არის თუ არა ამისთვის როგორც ის ვინც უმზერს ასევე ის ვისაც უმზერენ. მაშასადამე მზერა შენთვის სიმბოლოაო. დიახ სიმბოლოა მეთქი. და ამაში არაფერი იყო უცნაური. უცხო და გაუგებარი ის იქნებოდა ჯიუტად რომ მემტკიცებინა დრო-სივრცის ტერიტორიაზე რატომ არ უნდა არსებობდეს რაღაც ისეთი რისთვისაც წმინდა ნდომა იქნება დამახასიათებელი მეთქი. როგორც ჩანს გაცილებით რეალურია არარეალურით ორიენტირება მაგრამ იმის აუცილებელი გათვალისწინებით რომ ავტობუსის მძღოლი სულაც არაა საჭირო საიმისოდ რომ ავტობუსს მანქანის სტატუსი მიენიჭოს და რომ უფრო მეტიც მის მიერ გაცემული და ჩვენს მიერ შესრულებული ბრძანებები არავითარ შემთხვევაში მოპირდაპირე სახლის კედელს მნიშვნელობას არ უცარიელებდნენ და ის რომ კედელი სამიზნედ ვაქციეთ მას სამიზნედ როდი აქცევდა და რომ არა იმათი არსებობის უკანონობა ვინც დიდი მსხვერპლის მიუხედავად ნაბიჯ-ნაბიჯ და სათუთად გამოზოგილი ნერვებით მოიწევდა ჩვენი ერთსულოვნებისკენ შეიძლებოდა კედელი კიდევ დიდხანს იმ მდგომარეობაში მაინც შენახულიყო როგორშიც ჩვენ დაგვხდა ისევ და ისევ ჩვენსავე მიერ ოდესღაც მონათლული და მერე რა რომ ამდენი ხნის განმავლობაში მისთვის ხელი არავის ეხლო და რომ ეს ჩვენ ოდნავ გვიმძიმებდა წვიმასთან შესახვედრად აძგერებულ გულ-მუცელს

და უთქმელადაც ცხადია მუცლისქვეშეთსაც. იგი არარეალურია იმდენად რამდენადაც ჩვენ ვართ ჩვენივე თავისთვის და ერთმანეთისთვის ნაწილობრივ თუ მთლიანად არარეალური. ხოლო სიმბოლო ყოველთვის რეალურია თავის თავში იმდენად რამდენადაც მას არ ჰყავს მოწინააღმდეგე თავისი მეორე მეს ან მილიონობით მეს სახით და სხვათა შორის თვით ერთადერთიც არ არის. იგი უბრალოდ არის ან არ არის მორჩა და გათავდა. იგი თვით რეალურად ან არარეალურად არსებობის იძულებისგან გამოთავისუფლებულია იმის გამო რომ ამ საქმეს მთლიანად ჩვენ ვკისრულობთ და რაც უფრო სერიოზულ საზრისს ვტენით ნაკისრ ვალდებულებაში მით მეტად მნიშვნელადი და უჩინარია სიმბოლო. რომ არა სახურავზე მყოფთა სიმრავლე მსგავსი განმარტებებით ენას არ მოვიღლიდი მაგრამ ვინაიდან კიბით ჩასვლის სასარგებლოდ სხვენის გავლით ჩასვლაზე და სადარბაზოდან ჟრიამულით გაცვენაზე უარის თქმას დასაბუთება უნდოდა იძულებული გავხდით არჩევანი განგვემარტა მის წინაშეც და იმათზე ზრუნვის სახელითაც ვინც ოდესმე ამოვიდოდა აქ მნიშვნელობა არა აქვს იქნებოდა იგი განდობილი თუ არა. განმარტებას მოითხოვდა აგრეთვე სიმბოლოში ჩვენი მოკალათებისა და იქ ძალიან თბილად და უზრუნველად ყოფნის შესაძლებლობის საკითხიც. ბოლოს და ბოლოს განა დრო-სივრციდან მისი ამოგდებულობის გამო არ იყო რომ უსასრულოდ ვფიქრობდით იმაზე რაც ავტობუსის მოლოდინით გაბეზრებულ ხალხსა და ავტობუსის გამოსასვლელ პუნქტს მიღმა უნდა ყოფილიყო და რაც არაფრისდიდებით თავს არ ამჟღავნებდა და მიუხედავად საქმის ასეთი ჩვენის აზრით უკუღმართი ვითარებისა მასზე ფიქრი უკვე ბევრს ნიშნავდა. ხოლო თავად ის რას ფიქრობდა ჩვენზე ჯერჯერობით ნაკლებად გვაინტერესებდა ამიტომ დიდ მონდომებას არცერთი ჩვენთაგანი არ იჩენდა იმის გასაგებად თუ რაში შეიძლებოდა გამოვდგომოდით ნებისმიერ მანძილს რომელიც ჩვენგან გადიოდა და გაღატაკებული ჩვენვე გვიბრუნდებოდა. ამაზე შორს მაშინ ჩვენ ვერ წავიდოდით და სულიერი ენერგიის თანდათანობითი გადაგვარების კანონი მოითხოვდა დროზე გვეღიარებინა მისი მზერის სიმბოლურობა და ისიც რომ იგი არასდროს არ შეიძლებოდა ქცეულიყო ზამბარად რომლის ზამბარობადობის დასადასტურებლად ორივე ბოლოს ხვედრითი წილი აშკარა უნდა იყოს ვინაიდან დრო-სივრცის ნებისმიერი მონაკვეთის რეალობა თუ საფრთხის ქვეშ არასდროსაა ეს იმიტომ რომ არსებობს მისი წონა და მომდევნო მონაკვეთები რომელთათვისაც იგი ხიდის ფუნქციას ასრულებს. საკმარისია მან ეს ფუნქცია დაკარგოს რაც მხოლოდ თეორიულადაა დასაშვები რომ თავადვე სასო წარეკვეთოს უფუნქციოდ დარჩენილს და არა სიმბოლოს სამკვიდრებელში გადასროლილს არამედ უკან ყველაზე უფრო მატერიალურ არსებობაში გადმოგდებულს საიდანაც ზე-

მოთ მიმავალი გზა აღარ არსებობს. ხოლო რაც შეეხება მის მზერას ასე რომ შვენოდა სხვათაშორის დარცხვენილს და მაინც მოცინარს იგი მხოლოდ იმის ძალით იყო თარაზული და იმის ძალით არ წარმოადგენდა ზამბარის პრინციპით მოქმედ ფენომენს რომ მაშინ როცა ეს მზერა არსებობდა არ შეიძლებოდა სხვადასხვა ყოფილიყო ის ორი ნაპირი რომელსაც ჩვეულებრივი ენის ჩარჩოებში დარჩენილები თუ ვიტყვით ეს მზერა აკავშირებდა ერთმანეთთან. მაშასადამე კონკრეტულ სიტუაციაში მისი თვალი და კარის შუაწელის ერთადერთი წერტილი სხვადასხვა ან იგივეობრივი ან მსგავსი კი არა უბრალოდ ერთი იყო. ამ ერთადერთობას თავად ის უშუალობას უწოდებდა და მთავარ როლს ანიჭებდა სიმბოლოსთან თვით ისეთ რთულთან როგორიცაა ხალხით სავსე ავტობუსი მიმართების საქმეში. გამორიცხული არაა რომ კარის იმ ერთადერთ წერტილში ჩემი მზერის ძალით სხვა ურიცხვი წერტილის კონცენტრირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უშუალობა იყოო. მაშინ ალბათ ამაზე არ ფიქრობდი მეთქი. ცხადია არა ეს მერე გავაცნობიერე ან შესაძლოა მანამდეო. როცა კარს ვუმზერდი აბა როგორ უნდა არსებულიყო მანძილი მე ხომ ამ დროს მხოლოდ იმას ვხედავდი რაც კარსმიღმა ხდებოდა იქ კი არაფერიც არ ხდებოდაო. თუმცა უკვე არაფერი იყო ჩვენთვის უცხო ამ ფაქტში რომელიც ხშირად გვახსენებდა თავის გადაჭარბებულ მნიშვნელოვნებას და ძალიან მოკლედ იმაში მდგომარეობდა რომ მხედველობას არსებითად მაშინ უნდა ის რაც უნდა როცა ეს ან ობიექტურად შეუძლებელია ან საზოგადოებრივად აკრძალულია ან თვით მზერა არ დგას მრავალნაირი მოწოდების სიმაღლეზე და თავის თავში დაეჭვებულს ვერ გადაუწყვეტია იმ იმედისკენ უკუქცევა რომელიც რა თქმა უნდა ერთი ნაბიჯით უკან დახევის შემთხვევაში ორი ნაბიჯით დაწინაურების გარანტიას არ აძლევს მაგრამ არც იმას ჰპირდება რომ უკან ერთნაბიჯგადადგმულს იქვე დააყუდებს და მორიგ ერთ ნაბიჯს არ გადაადგმევინებს უკან სამტრედისკენ. ათმაგად გასათვალისწინებელი იყო ეს გარემოება თუნდაც იმიტომ რომ ჩვენ სამტრედე თვალითაც არ გვენახა და როცა არჩევანი სახანძრო კიბით ჩასვლის სასარგებლოდ გაკეთდა და მერე დინჯი თითქოსდა სწორედ ამ კიბეზე ნავარჯიშევი ნაბიჯებით მივიწევდით ასფალტისკენ დიახაც სასიკვდილო სენით ჩვენი დასჯის ტოლფასი იქნებოდა მაღლა ახედვა და მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც გავბედეთ სულ ერთი წამით თავის აწევა და თითქმის ხერხემლის შეცბუნებულ მალებზე კეფის მიბჯენა მაგრამ თუ ეს წამი საუკუნედ იქცა და ცრემლები გვაღვრევინა ამაში ბრალი არც იმას მიუძღოდა რაც იქ ვიხილეთ და არც იმას რაც ჩვენში მოხილულმა ან უკეთ შეხილულმა აღძრა და გაართულა. ხოლო მაშინ იყო მან რომ ეჭვები შეგვაწყვეტინა განა არ იცით კონკრეტული პირი და ანონიმი რომ ერთი და იგივეაო. მართალია

ისეთი ბრიყვები არ ვიყავით რომ ამ შენიშვნისთანავე ასოთხმოცი გრადუ-
სით შემოგვებრუნებინა პირველი მიგნების სიხარულით გამოწვეული
ჩვენი გადაწყვეტილება და საკუთარი გრძნობების თუნდაც მოულოდნე-
ლად გამწვავებულის ინტენსივობის ბეჯით ანალიზზე ხელი აგვეღო თუ
რა თქმა უნდა საერთოდ მოგვეცემოდა მსგავსი ქმედების შესაძლებლობა
მაგრამ ის იქნებოდა გონივრული რომ შენიშვნა მხედველობაში მიგვეღო
და მხოლოდ მერე გვეთქვა მისთვის დასტური. ხოლო მაშინ იყო თვალდახ-
უჭული რომ ნეტარებდა და ცხვირის ნესტოებიდან პარვით გამომავალი
სითხის უადგილობას არაფრად აგდებდა. ჩვენ დიდხანს ვუყურეთ. შეხე-
დე შეხედე მკერდი როგორ მიკვრია მაისურზეთქო ვამბობდით და სახეს
სიცილი გვიმანჭავდა. ან ფასადი როგორი სიმარტივით შეუსრულებიათო.
თუ იცი ვინ შეასრულა მეთქი. არ ვიცი მაგრამ გეთანხმებიო. მეც მეთქი.
ცხადია მას უნდა დაეწყო და ჩვენ უნდა ავყოლოდით. ახლა რა თქმა უნდა
ცხადია მაგრამ მაშინ ხომ ისიც არ იცოდით ის მღეროდა თუ თქვენი დაუ-
კმაყოფილებელი სუნთქვის ნაკვალევს აყურადებდითო. ვინ უწყის მეთ-
ქი. მომკიდე ხელი ხელი კარგად მომკიდეო. როცა დავუჯერეთ და მორჩი-
ლად გავუწოდეთ ხელისგულები აი მაშინ თქვა ასე. რა იყო ცაში. ჭეშმარი-
ტად. ტკივილის გარდა არასდროს არაფერი ყოფილა იქ. ხოლო თქვენ რა
იხილეთ მხედრებო იქ საითკენაც მონდომებით იწვდიდით თვალისგუგებს
და ხელისგულებს. მხედრებო რა იხილეთ ცაში. ყურადღება არ დამირღვი-
ოთ. სათლში რომ დანა ჩავარდება მზერა მიანდეთ და ფრთხილად იფიქრ-
ეთ ნაფიქრალი. უყურეთ ეს სისხლის მდინარეა. ეს ძალიან მნიშვნელოვა-
ნია. ეს ძალიან საშიშია. ამის შესახებ არასდროს უამბოთ იმათ ვინც იქაა
გაჩერებაზე და ვინც სახლშია სამარადისოდ გამოკეტილი. ისინი არასდ-
როს გაიგებენ ამას. დაიმახსოვრეთ ეს ჩვეულებრივი მდინარე არაა. იგი
ღმერთმა შექმნა დიდი ხნის წინ. ეს ღმერთის მდინარეა. თქვენ არ უნდა
ჭამოთ მარილი მრავალჯერ მრავალი დღის განმავლობაში და არც სიტკბო
უნდა ჭამოთ. არ უამბოთ ამის შესახებ სახლში დარჩენილებს უკან დარჩე-
ნილებს წინ დარჩენილებს და თქვენში დარჩენილებს. ეს ძალიან საშიშია.
მერე მაისური ჩაწურა და წყალმა ფერი იცვალა. მაისურმაც იცვალა ფერი
და თითქოს უჩვეულოდ განიტვირთა კიდეც მოჟამული სიწითლე ჩამოიფ-
ერთხა და მზის სუნთქვით განიმსჭვალა და ჩვენ ძალიან გვიხაროდა და
დიდხანს ვუყურეთ როგორ შრებოდა მის ტანზე ძალიან უბრალო მაგრამ
ჩვენთვის მშობლიური სიმსუბუქით სავსე სამოსი და იმავდროულად სამ-
ტრედიდან გამოსასვლელად ვემზადებოდით. დაცვარული შუბლის შემშ-
რალება მინდოდა და ვერ ვახერხებდი. ვუჩურჩულე ერთი წუთით ქილა
გამომართვი შუბლს შევიმშრალებ და შარვალს გავისწორებ მეთქი. მაგას
როგორღა მოახერხებ ასე ოთხად მოკეცილიო. როგორც სხვა მრავალ საქ-

მეს ვახერხებთ ადამიანები მეთქი. ამოისუნთქა და მივხვდი ტკბილად ელიმებოდა. იწყება იწყება მეთქი ნაჩქარევად ვუთხარი და მხოლოდ მერე გავიაზრე რატომაც მივეცი ჩემს თავს ხმის ამოღების ნება. ქუჩის ბოლოდან ავტობუსის მრავალთათვის სასიამოვნო ხმა მოისმოდა და უკვე გადარჩენილი ვიყავით სირცხვილს. სირცხვილს თუ შერცხვენასო. არა სწორედ რომ სირცხვილს მეთქი. აი თურმე როგორ უკავშირდება ერთმანეთს მრავალი საქმე და მრავალთათვის სასიამოვნო რაღაც გაურკვევლობა მეთქი. ესე იგი არასდროს არყოფილიო. იმედია ამას სასხვათაშორისოდ არ ამბობ მეთქი. უკვე ხმამაღლა ვესიტყვებოდით ერთმანეთს და რაკი შიში თუნდ მცირეოდენი და გარკვეულწილად მარტივი ერთბაშად გამოირიცხა დღის წესრიგიდან ვცდილობდით ერთმანეთის ხმებით ერთმანეთის გამომეტყველებაც გაგვერჩია და შესაბამისად გვემოქმედა თუ საერთოდ შეიძლებოდა ამ დროს სახეზე მოქმედება ყოფილიყო. შიგადაშიგ თვალი გამიშტერდებოდა ხოლმე და გამორკვეულს წამის მემილიარდედი მაინც მჭირდებოდა კედლის კუთხიდან ავტობუსის გამოსვლის ფაქტის ხელახლა გასაცნობიერებლად. სულ მალე გარეთ უნდა გავცვენილიყავით და ისეთი მშვიდი და მოზეიმე ნაბიჯებით შევხვედროდით წვიმას როგორსაც არასდროს ინატრებდნენ ჩვენი უჭკუო გულები მათ რომ ერთი საათის შემდგომი გადმოსახედიდან მაინც შეძლებოდათ კეფაზე თვალის გამობმა და იმის დანახვა რაც იქ უკან მოხდა ან უნდა მომხდარიყო. მაგრამ ის არ ჩქარობდა და მისი რიტმული აჰ აჰ ჩვენზეც დამამშვიდებლად იმოქმედებდა რომ არა მასპინძლად ჩვენი არყოფნის მძაფრი შეგრძნება იმ მუდმივმოქმედი შინაარსის ფონზე რომელსაც სახელი არ ერქვა მაგრამ რომელიც თვითონ იყო სახელი ამიტომ ყოველ მომდევნო ორ ორთქლს შორის გაჩენილ შუალედში იმას ირქმევდა რასაც ჩვენ ვარქმევდით მას და რაც მისი სახელი გვეგონა იმის მიუხედავად რომ კარგად ვიცოდით ჩვენი მცდელობის ამაოება რასაც ნებისმიერი მომდევნო სახელის დაბადების აქტი ადასტურებდა. მითუმეტეს რომ ჩვენ იქ მასპინძლები არ ვყოფილვართო ჩაილაპარაკა ისე ფიქრიანად თითქოს ათასჯერ თქმულს უკვე მერამდენედ არ იმეორებდა და მეც მსგავსადვე არ უნდა მეპასუხა უკვე რამდენჯერ წარმატებით აპრობირებული კონტრშეკითხვით მასპინძლადყოფნა მიმთითებლადყოფნას ხომ არა და არ ნიშნავს მეთქი. არ ნიშნავს მაგრამ შენ წარმოიდგინე გულისხმობსო. რაც უბედური ხვედრი სულაც არ მგონია მეთქი. ვისთვისო. ვისთვისაც გულისხმობს მეთქი. გამოდის მართლა არ ყოფილა საშველიო. გულახდილად ამბობდა. აბა როგორ უნდა არსებულიყო საშველი იქ სადაც ისევ და ისევ მიუხედავად ათასობით იმედიანი მარცხისა იგი მაინც ჯიუტად იძებნებოდა იმათ მიერ ვისაც არანაირ მარცხთან შეხება არ განუცდია მიუხედავად იმისა რომ შეიძლება არა ერთ-

ხელ და ორჯერ მდგარა მარცხის ამა თუ იმ ფორმის პირისპირ და საკეთილდღეოდ. რაც შეეხება მასპინძლადყოფნის დაუოკებელ მაგრამ ყოველთვის სასოწარკვეთით დამთავრებად სურვილს იგი ხომ ხსოვნაა და მეტი არაფერი ხოლო ხსოვნა იქ ყოფნის სურვილია სადაც ოდესღაც ან ოდესმე უსათუოდ ვყოფილვართ მაგრამ ამის შესახებ მაშინ შეგვიტყვია როცა თუნდ ერთი წამის ან წამის მემილიარდედის შემდეგ დავმთავრებულვართ იმ ადგილისთვის რომლისთვისაც ჩვენ ახლა არა იმდენად უცხო ვართ რამდენადაც ამ სიუცხოვის ჩვენეული განცდით გაუცხოებულნი და ამდენად განუხორციელებელნი დიახაც იმ ადგილში რომელშიც ოდესღაც ან ოდესმე თეორიულად მაინც შეგვეძლო რაღაც შეგვეცვალა დეკორაცია მაინც. ძნელია იმის მტკიცება ჩვენი ყოფილი ადგილის მიერ შურისძიების ვნების გამოა თუ უკვე დადგინებული მერმისიდან ჩვენზე დაგეშილი ურიცხვი პირობითობის აქტიური მოქმედების შედეგია რომ ხსოვნის გამძაფრება და ელფერული მეხსიერების მუშაობის მაღალი ხარისხი გამოცდილებით ცხადყოფილ ყველა შემთხვევაში მხოლოდ იმის მომასწავებელია რომ ხსენებული ადგილის კვდომისა და გაუჩინარების პროცესი დაწყებულა ან სულაც დიდი ხანია აღსრულებულა იმისთვის ვინც უიმედოდ მაგრამ მაინც ჯიუტად ეძიებს გზას იმ ადგილისკენ სადაც მასპინძლადყოფნა საუკუნოდ აღემატება თვით სამოთხეში საუკუნო სტუმრადყოფნას. ალბათ უმთავრესი მაინც ისაა რომ როცა სადმე ვართ ამას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ ვიგებთ როცა იქ აღარ ვართო. ვიცოდი ეს აზრი აწუხებდა მაშინაც როცა ამბობდა სახანძრო კიბე კარგია და უსაფრთხოო. ესმოდა რომ ეჰ რა გაეწყობა თუ გამჩენმა დაგვაბედა რომ აუცილებლად სადმე უნდა ვიყოთ და არსადყოფნა ოცნების საზღვრებს არ სცილდება ისე როგორც მასპინძლადყოფნა მხოლოდ ხსოვნაა და არა ის რეალობა რომლის სიკვდილიც იმდენად გარდაუვალია რომ კაცთა გონებაში ხშირად აუცილებლობის სამოსითაც კი ინიღბება ვინაიდან თურმე ძალიან ბევრს ნიშნავს როცა ძალიან კარგად გაქვს შესწავლილი ამ სამოსის შიგნით მოთავსებული სხეული მაგრამ ძალიან სამწუხაროდ თვალისთვის საგულდაგულოდ დაფარულია და ურთიერთგაგების ძალიან სერიოზული მცდელობის მიუხედავად ვერაფრით მორიგებულან ხსოვნა იმისა რაც ვიცით და თვალი რომელმაც ვერ ნახა ის რაც უნდა ენახა. ესე იგი ვერ მორიგებულან ხსოვნა იმისა რაც ვიცით და თვალი რომელმაც ვერ ნახა ის რაც უნდა ენახა. ესე იგი ვერ მორიგებულან იმას ნიშნავს რომ რწმენისთვის ადგილი აღარ დარჩენილაო. დიახ და უფრო მეტსაც კერძოდ იმას რომ ორ ორთქლს შორის საარსებო სივრცე უკვე დაკავებულია თითოეული ამ ორთქლთაგანის მიერ და ერთმანეთზე კი არ არიან წაფენილი არამედ ერთად გამომწყვდეულან იქ საიდანაც გამოსასვლელი განზომილება ან უფრო მარტივად საიდან

გამოსასვლელი განზომილებაც აღარ მოიპოვება რაკი ერთი წამი მაინცაა გასული როგორც იქ მათი შესვლიდან ისე გამოსასვლელი განზომილების მოძიების სურვილიდან მეთქი. აი ამიტომ არ შეიძლებოდა არ დავმტკბარიყავით როცა ის მოდიოდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა და უფლებას არ გვაძლევდა დავმსგავსებოდით გაჩერებაზე აწრიალებულ და ერთმანეთში ჩასახვის მოწადინე ადამიანებს. ჩვენსა და მათ შორის თუ სულაც არ არსებობდა მანძილი ეს ჩვენს შორის გზის არარსებობაზე არ მიუთითებდა და ჩვენი განწყობის სისუსტესაც არ გამორიცხავდა საიმშემთხვევოდ თუ ავტობუსი ჩვენი ხსოვნისთვის გზის მითითებას შეეცდებოდა და ამ კეთილისმსურველი ჟესტით ჩვენს მომართ თავის ფარულ ინტიმსაც ფარდას ახდიდა. ხოლო მას იმ კედლის კუთხისკენ ზურგმიქცეულს საიდანაც ავტობუსს ცხვირი უნდა გამოეყო ჯერ დანა უნდა გაეგდო ხელიდან და წყალში ჩამხტარ დანას თავისთვის ჭყლუპ თუ ბღუპ თუ რაღაც ამის ნათესავური უნდა ჩაელაპარაკებინა და სათლის შავ ფსკერზე უმიზეზოდ გართხმულიყო და მხოლოდ ამის მერე გაეხილა თვალი ირგვლივ მზერა მიმოეტარებინა და ისეთივე სიდინჯით დაეხუჭა როგორითაც დანა შეხვდა სათლის ფსკერს და მაშინღა ეთქვა ო ჩამსახველო პაწია ლერწამო რომელშიც დროზოფილები უფრთოდ მიედინებიან ერთადერთი მიმართულებით ო თეთრო წყალო. როგორ მოვიქცეთ როცა ისინი იფიცებიან რომ შეუძლიათ სუსტი მკერდით გადაეფარონ ჯერარდამდგარი შემოდგომის გადამწიფებულ პეიზაჟებს და იმედგაცრუებულ შეყვარებულებს რომლებიც აღარ წავლენ შინ სადაც მათ ელიან. როცა ისინი იფიცებიან რომ სადღაც ჩვენი ცოდვილი მიწის ყველაზე უფრო გამოსაჩენ და თბილ ადგილას არსებობენ ყველაზე უფრო იდუმალი ადამიანები და მათ ხელშია ჩვენი სული. როცა ისინი იფიცებიან რომ სადღაც ჩვენში არსებობს ხალხი რომელიც ყვირის და ნებას გვრთავს დღეში თუ გვსურს ასჯერ ავჯანყდეთ და თუ გვსურს თავზე დავიმხოთ მიწა და რა აზრი აქვს ამბოხს რომელსაც ვიღაც მათემატიკური სიზუსტით მართავს. ისინი იფიცებიან რომ ეს ხალხი ისეთივე ადამიანებისგან შედგება როგორებიც ჩვენ ვართ მაგრამ ჩვენგან განსხვავებით ისინი არ თამაშობენ წმინდანებს და მომნანიებლებს და აღიარეს რომ უკვე ეშმაკს მიჰყიდეს სული. ისინი იფიცებიან რომ ჩვენი ნება მათ ხელთაა და იმით სასოწარკვეთილნი რომ არ იციან მათ ვინ მართავს ჩვენზე იძიებენ შურს და გვმართავენ და ჩვენს სულს და ნებას და ღამეს განაგებენ. ო ჩამსახველო პაწია ლერწამო ჩვენ შეგვიძლია პირობა მოგცეთ შენსავით ტკბილი იქნება ძილი რომელიც გვიერთგულებს მთვარის მცხრალ შუქზე ასე უღვთოდ გაშიშვლებულებს როცა გვამივით მკაცრად ცივ და დანასავით მჭრელ ხერხემალზე ო ჩამსახველო ჩვენს ხერხემალზე ათასობით ცხენი ცვიოდა. როგორ მოვიქცეთ ო თეთრო წყალო. მაგრამ

ის არ ჩქარობდა და ამის მიზეზით იყო რომ მოახლოებული ავტობუსის ღმუილმა ჩვენი შიში მისხალითაც ვერ შეაშფოთა და ვერც საპასუხო რეაქცია გამოწვია. გარეთ გასვლის სურვილი მართალია არ გამნელებია იმის გამო მაინც რომ წელში გავმართულიყავით და იმის გამოც რომ შარვლის გასწორებას ვერ ვახერხებდით მაგრამ ერთმანეთს რომ ჩურჩულით არ ვესიტყვებოდით უკვე ბევრს ნიშნავდა. არც ის იყო უმნიშვნელო რომ უკვე ფრთხილად მივუყვებოდით სახანძრო კიბეს და თავს ძალას ვატანდით ფიქრად მაინც წარმოგვედგინა არა სადმე ანუ ხსოვნაში ყოფნა არამედ არსად ყოფნა და მერე რა რომ ვერ ვახერხებდით. გეთანხმები მცდელობითაც შეიძლება სულის ამოყორვაო. ნუ გაბრაზდები აბა დაფიქრდი განა არსებობს ის რასაც თუ ვისაც შენ ახლა უწყრები მეთქი. სხვა დროს მიპასუხებდა იმიტომაც ვუწყრებიო მაგრამ ამჯერად როგორც ჩანს გულშიც არ გაუვლია მსგავსი პასუხი რაც მაშინვე აირეკლა მისი გამომეტყველების სიზუსტემ. იგულისხმებოდა რომ სიზუსტე აქ არაფერ შუაში იყო. მივხვდი გამოზომილი ნაბიჯებით იცვლებოდა. ჩვენს ტვინში კი მწუხრის ზარებივით რეკდნენ ცნობილი სიტყვები უკეთესი იქნებოდა კიბით ჩამოსულიყავით და მაშინ ხომ ვერ აცდებოდით იმას რაც შეგემთხვათო მოგვიანებით დედამ რომ გვისაყვედურა. მაგრამ დაგვიანებულ ამ საყვედურს თავისი საქმე რომ პატიოსნად აღესრულებინა ამისთვის ჩვენი თანხმობის რამდენიმე უმანკო პუნქტი მაინც უნდა გათვალისწინებულიყო ჩვენთვის უცნობი და მისთვის მშობლიური ვნებების მიერ. ვაბანკზე წასასვლელად ჩვენი მზადყოფნა ხომ ჩვენთვის განდობილთათვისაც კი იდუმალებით მოცული რიტუალის თანმიმდევრობიდან სულაც არ გამომდინარეობდა და ვერც შემდგომ ქმედებათა მიზეზად მის აღიარებას შევძლებდით ვიდრე პირში სული გვედგა ხოლო პროცესი ახსნა-განმარტებას და მამტკიცებელი საბუთების წარმოდგენას არ მოითხოვდა. დავაკმაყოფილოთ ჩვენ-ჩვენი მშვიდობისმოყვარე პატივმოყვარეობები და გავათავოთო. კეთილი მეთქი. თანხმობის არაიძულებითობა პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებაზე უფრო მეტყველებდა ვიდრე მოწოდებული დასკვნის სიზუსტეზე ან სულ მცირე ჩვენს მიერ აღიარებასა და მიღებაზე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ თავდავიწყებამდე ნეტარებდა და თავს არ ამჟღავნებდა ის ვინც თუ რაც ამ პასუხისმგებლობას მნიშვნელობით ავსებდა და ჩვენსკენ მომართავდა მიუხედავად ჩვენი ბეჯითი წინააღმდეგობისა და მიუხედავად სათუთად ნასაზრდოები იმ რამდენიმე რიგითი განწყობისა რომლებიც ნებისმიერ მორიგ მოლოდინს უფუნქიო საზრისით განამტკიცებდნენ და ავტობუსის მოძრავი მიმართულების ყოველ მოცემულ მომენტს უიგივებდნენ. ჯერ ისევ გაურკვეველი იყო ზრუნავდა თუ არა იგი ვინმეზე ან საერთოდ თუ შეიძლებოდა ჩვენი სამოქმედო ასპარეზი-

დან მოხილვად ტერიტორიაზე ზრუნვის სამიზნე მოძებნილიყო. აზრის სიმკაცრეს განამტკიცებდა როგორც მოსაცდელის გამოცდილება რაც მას მოლოდინით დაღლილი ადამიანების ფიქრებში მაგიური ძლიერებით მოსავდა ისე ამავე მოსაცდელზე ინტენცირებული ჩვენი იმედი რომელიც თავიდანვე შევიგრძნობდით სამუდამო ნიშნადყოფნისთვის გაეწირა მეხსიერებას ვინაიდან ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი იზოპერიმეტრულობა თავისი არსებობის ფაქტითაც კი მოსაცდელის მთელ ტერიტორიას მოიცავდა და მნიშვნელობას უკარგავდა ერთი შეხედვით არანაკლები მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტს რომ მოსაცდელი ავტობუსის მოლოდინში აფორიაქებული ადამიანებით იყო დაფარული და თითქმის არ ჩანდა. ამის მერე კი მექანიკურად მოგვიწევდა ყველა თანამდევი შედეგის გათვალისწინება და ჩვენი მომენტალური განწყობების სიმრავლიდან გამოღწევა რათა დროზე ადრე არ გავეთვალისწინებინეთ თავად იმას ვინც დიდი დაბრკოლებების გადალახვის ფასად მაგრამ მაინც ჯიუტად მოიწევდა ჩვენი მიზნისკენ ხოლო ვინაიდან მიზანი არც ჩვენ მოგვეპოვებოდა და მით უმეტეს არც იმას ვინც ჩვენს თამაშში შემოღწევას ცდილობდა ყოველთვის მოსალოდნელი იყო ამ ორი უარყოფის ურთიერთგადაკვეთის საბედისწერო მონაკვეთზე რაღაც ისეთს გამოეთქვა დაბადების ვნება რაც ყოველ მიზეზგარეშე დადებითი უნდა ყოფილიყო მაგრამ იმდენად თვითკმარი რომ მის გასაგებად და მისი მოქმედების ველზე ჩვენი ძალების გასაშლელად ისევ და ისევ ჩვენი იმედის გაწირვა გახდებოდა აუცილებელი და მაშინ მიზანს ვეღარაფერი შეაკავებდა. ხოლო როცა ჩვენი კოხტა და ჭუჭყიანი წვიმა მოვიდა ჩვენ უკვე გარეთ ვიყავით და ძალიან დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს და ის მთელი თავისი სისათუთით მიმანიშნებდა სახანძრო კიბეზე რომელსაც ჩვენი მეზობლის დედა სახლის სახურავიდან გადმოსცქეროდა და მისი წაგრძელებული თავ-კისერი მზის თვალისმომჭრელი ნათებით გადაშლილი თუ თავიდანვე უფორმო თუ საერთოდაც არარსებული თუ ბოლოს და ბოლოს სულაც ამ უჩვეულო წუთებში გაფორმებად-გამოკვეთადი იმის ნიშანი იყო რომ არც სამტრედეს ადგა მშვიდობიანი დღე და ჩვენი მეხსიერება კუდამოძუებული მიუყვებოდა თავისავე ნაკვალევს იმ ერთადერთი ადგილისკენ რომელიც ყოველი ხელახალი მიახლებისას თავის ბოლოვადობას კი არ შეგვახსენებდა ხოლმე არამედ უმალ მრავალი ნებისმიერი მიმართულებით იქსაქსებოდა და ყველა ეს მიმართულებაც ჩვენივე მეხსიერების მიერ ოდესღაც მონიშნული მისამართით მიედინებოდა ყველა იმ ადრესატის ვნების გასაცოცხლებლად ჩვენს უმანკო სურვილებს რომ უნდა შეშველებოდა და გადაერჩინა არაერთი სიხარულის შემოტევისგან ვიდრე ჯერაც ვერ გადაგვეწყვიტა სხვენში შევბრუნებულიყავით თუ სახანძრო კიბით დაშვების მშვენივრად შე-

მუშავებული გეგმისთვის მიგვენიჭებინა უპირატესობა. ის შენ რაღაცას ან რაღაცაზე ყოველთვის მიგანიშნებდა მაგრამ ვფიქრობ ამისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ავტობუსის გამოჩენამდე არ მიგინიჭებია და ეს არც ჩემთვის დაგიმალავს ავტობუსის გამოჩენამდეო. ნუთუ ამჯერადაც არ ტოვებენ ეჭვები მეთქი მხოლოდ ამის გაფიქრება მოვახერხე და ირგვლივ გამეფებულმა წესრიგმა მაშინვე შემახსენა რომ ვცოდავდი. ხმა არ გამიღია. კეთილი ალბათ დროა ჩემი დუმილიც ბარიკადად იქცესო. დაძაბულობა რომელსაც მსგავსი განაზრებებისკენ ჩვენი დაუღალავი ლტოლვა იწვევდა სულაც არ გრძნობდა თავს მისადმი ჩვენი მარადიული კეთილგანწყობის მხიარულ ობიექტად ამიტომ დროდადრო კრძალვით შეგვახსენებდა ხოლმე რომ მასთან ჩვენი ყოველი ხელახალი მიახლებისას თავის ბოლოვადობას როცა შეგვახსენებდა ხოლმე ამით ჩვენს საორიენტაციო უფლებამოსილებებში ჩარევის სურვილის გააქტიურებას კი არ შეგვახსენებდა ხოლმე არამედ წყალსაქცევი მილის მთელი სიგრძე-სიგანით გათვალსაჩინოებას და მისი არსებობის ფაქტის შემოქმედებითად ათვისებას მოითხოვდა ხოლმე ჩვენგან და ჩვენთვისვე და გული უკვდებოდა როცა სათლიდან ამომავალი სიმშვიდე სულ სხვა მიმართულებას გულისხმობდა თავისი დროებით დაწნეხილი თვალსაწიერის გასაშლელად. ის მაინც ხომ ეჭვგარეშეა რომ ნაგულისხმევი ნამოქმედარის ტოლფასია მეთქი და მართალია ამ სიტყვებით გაუგონარი დანაშაული ან ტკივილი სულაც არ მიმიყენებია მისთვის მაგრამ წარმოვიდგინე რა მოხდებოდა ისევ მას რომ არ ემარჯვა და ტაში არ დაეკრა. მაშინღა ამოვისუნთქე და მივხვდი კეთილად იყო ჩვენდამი განწყობილი. გიხაროდეთ გიხაროდეთ წვიმის სისწრაფე სულაც არ ყოფილა წინასწარცნობილი და ნებადართულიო. გრძნობდა თუ არა ჩვენი აღტაცების მთელ სიმყიფეს ამჯერად ნაკლებადმნიშვნელოვანი იყო როგორც ჩვენთვის ისე მძღოლისთვის რომელიც გაკვირვებული აცეცებდა თვალებს და მისი არსებობის თვით ეს უწყინარი რეალობაც სხვას არაფერს წარმოადგენდა თუ არა შიშს იმის გამო რომ რაღაც ისე არ იყო როგორც უნდა ყოფილიყო. თავს დავდებ რაღაც ისე არ არის როგორც უნდა იყოს ან როგორც უნდა ყოფილიყო ან როგორც ადრე იყო ან როგორც სხვა დროს იქნებოდაო. დიახ აი ასე იფიცებოდა. მთელ თავის სულისკვეთებას აქსოვდა ამ მტკიცება-ფიცებაში მაგრამ ბუნებრივია ვიდრე ადრესატი ან სულაც მომსმენელი არ მოიპოვებოდა მისი შეშფოთება იზრდებოდა და სუსტდებოდა რაც მძღოლს მიანიშნებდა რომ გადამწყვეტი მომენტი შეიძლებოდა მასვე დაპირისპირებოდა იმის ნაცვლად რომ რაღაც გარკვეული და ნათელი დასკვნების წინაპირობად ქცეულიყო. არადა გადამწყვეტი მომენტის დადგომა მასზე დამოკიდებული თუ არ იყო დაკავშირებული მაინც იყო მასთან სწორედ რაზეც აფუძ-

ნებდა ალბათ თავის ჩანაფიქრს ის ვინც ჯიუტად განაგრძობდა ჩვენი აღტაცების ყოველ მოცემულ პუნქტზე აღმატებით ჩვენს არა მხოლოდ დამარცხებას არამედ საბოლოოდ დამთავრებასაც. ხოლო როცა მძღოლს უმწეოდ აღმოხდა აქ ხომ ჩემი არაფერიაო ავტობუსის შიგთავსი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა. ნუთუ გამოცდილებამ ეს ერთადერთი იმედიც მომისპოო. მაგრამ ვიდრე გამორთული ძრავი ისევ ამოქმედდება და დაძრული ავტობუსი ურიცხვი ერთდროული შეჯახების მიზეზად იქცევა ნუთუ დავიწყებას არ მივეცემით მეთქი. უპირველესად არა ძრავი არამედ ძრავაო. ამაზეც კეთილი მეთქი. მაშ ჩვენ საქმე გვქონია არა ძრავთან არამედ ძრავასთანო. კეთილი კეთილი მეთქი. მაშ მძღოლი ხვდება თანდათანობით როგორ გაუნაპირდნენ ვნებები და როგორ იწყებს მისი გუნება ფიქრთაქებასო. თითქოს არც ერთი დასკვნა მცდარი არ იყო მაგრამ ისევ და ისევ გამოცდილება გვკარნახობდა რომ რომელიღაც წანამძღვარი ყალბი იყო მიუხედავად იმისა რომ მითითებული შესაძლო სიყალბე სულაც არ გამორიცხავდა დასკვნის თვითკმარ ბუნებას და არც მის სასიცოცხლო ძალებს ემუქრებოდა გამოცარიელების და უშინაარსოდ დარჩენის საფრთხე ვინაიდან თვით ეს შინაარსი წარმოადგენდა საფრთხეს მაგრამ არა საკუთარი თავისთვის არამედ იმისთვის ვინც ნებისმიერ დონეზე თვითკმარი ნებისმიერი შინაარსის მითვისებას და ბუნებრივი საარსებო ნაკადიდან მის ამოფესვას დააპირებდა. გამორიცხული არ იყო რომ ეს ჯოჯოხეთი ჩვენ და მაინც და მაინც ჩვენ დაგვტეხოდა თავს და ამით ავტობუსის სიჩქარესა და სახურავზე ჩვენი სამოქმედო არეალის შევიწროების პროცესის სიჩქრეს შორის შესაბამისობა ერთხელ და სამუდამოდ დაერღვია მაგრამ ვიდრე საშიშროება თავის ირგვლივ იკრებდა არა ჩვენს სურვილებს ან შიშველ ბალასტს არამედ მხოლოდ შესაძლო არჩევნისთვის აუცილებელ სამოქმედო პოტენციალს ვიდრე იგი ჯერაც არ ქცეულიყო ვექტორად წინააღმდეგობას ვერ გავუწევდით. რაც შეეხება დასკვნის პროცესში გაპარულ შეცდომას ის ერთი კი არა ურიცხვიც რომ ყოფილიყო ყოველთვის მოიძებნებოდა იდეა რომელსაც მოვარგებდით თუ არა შესაბამის ან ნებისმიერ შემთხვევით მიკვლეულ შეცდომას უმალ ზამბარის ორი ბოლო გამოიკვეთებოდა ჩვენი გამოცდილების უსაზღვრო ფონზე და მივიღებდით კონკრეტულ და უფრო მეტიც ერთჯერად თამაშს. ასე რომ თუ გავითვალისწინებდით თამაშების ურიცხვ რაოდენობას და იქვე ვიგულისხმებდით რომ საქმე ეხებოდა თამაშს როგორც შედეგს და არა თამაშს როგორც პროცესს და რომ მიუხედავად მათი იგივეობისა ყოველი გადამწყვეტი მომენტი დიახაც ამ განსხვავებას ემყარებოდა და რომ ერთ სამოქმედო ღერძზე ამ თამაშების ასხმა ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო და რომ მინუსი და მინუსი აუცილებლად პლუსია და მით უარესი ჩვენი

სურვილებისთვის თუ ისინი ამ ფაქტის უარყოფითად დამუხტვას გადაწ-
ყვეტდნენ და ჩვენი მშობლების აქტივობის წაბაძვით შეეცდებოდნენ
უგულვებელეყოთ ცნობიერების ჰორიზონტზე მოფარფატე ნებისმიერი
შემთხვევითი იდეის მნიშვნელობა ჩვენი ამა თუ იმ მოცემული განწყობის
განმტკიცების და ამითვე მასზე აღმატების საქმეში მაშინ საკუთარ თავს
მაინც უნდა გამოვტყდომოდით რომ არათუ დედას არამედ მტვრის უმცი-
რეს ნაწილაკსაც სასოწარკვეთილს უკუაქცევდა ეს ავტობუსი თუ იგი
გამოლაშქრებას დააპირებდა. ერთადერთ რეალურ იმედად მაინც მძღო-
ლის მოულოდნელი შეშფოთება რჩებოდა. ამ საფუძვლიან ფორიაქს წინ
მრავალი ეჭვი უძღვოდა მაგრამ ვიდრე ისინი ერთმანეთისკენ სწრაფვის
მონდომებულ სურვილს არ ამჟღავნებდნენ ჯერ კიდევ შეიძლებოდა თა-
ვის დამშვიდება ამა თუ იმ ნაცნობი იმედის ან ოცნების ხელოვნური გამო-
წვევით მაგრამ როცა ძრავასა და მძღოლის შეგნებულ მიზანსწრაფვას
შორის უხსოვარ წარსულში გადებული ხიდი ჩატყდა სავსებით ლოგიკურ
შედეგს წარმოადგენდა მძღოლის ყოვლად არალოგიკური განგაში მაინც
და მაინც მაშინ როცა უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა გაჩერებაზე ჩამოყინუ-
ლი ადამიანების დამცინავი და აბუჩად ამგდები სახეები რომელთა მიღმა
გაღწევას არავითარი ხალისი არ უნდა ჰქონოდა იმისთვის ვისაც უკვე
გამოეცადა და მწარედ ეწვნია ის მარცხი რომელსაც მოცემული შესაძ-
ლებლობის ნებისმიერი ფორმით განხორციელება ბადებს ანუ როცა თით-
ოეული ამ სახის მიღმა უხილავი კედელია რომელსაც უკვე აკრული და
შეხორცებულია ის რომელმაც განჩხრიკა სახე მზადმყოფი და შემართუ-
ლი და ამის გამო დამცინავიც და უკეთეს შემთხვევაში აბუჩად ამგდებიც
და რომელმაც რომელი ვერ ირწმუნა საკუთარ თავში. დავიღალეო. აბა
რა წყალში გადავვარდნილიყავი როცა ამ დაღლილი და ნაღალატევი ყვე-
ლა თვალის მიღმა მე ვიდექი და არა ავტობუსი ან მისი მძღოლი მეთქი.
წყალში გადავარდნას ყოველთვის მოასწრებდი მაგრამ შენ ეს მითხარი
რა იღონე როცა მძღოლის ფორიაქმა ნიღაბი ჩამოიგლიჯა და ჩვენსკენ
აიღო გეზი და ყველა თვითმხილველსაც თვალი აუხილა ამ გასხივოსნებუ-
ლი ნაბიჯითო. კი მაგრამ შენ ხომ დიდებულად უწყი ის რაც შენგანვე
გვისწავლია და ვერასდროს განგვიხორციელებია და იმაში მდგომარეობს
რომ ყოველ ნივთს და არანივთს და ამითვე ისევ ნივთს თავისი არსი აქვს
მაგრამ ხშირად არსნიც ისევე ითქვიფებიან ერთმანეთში როგორც ნივთე-
ბი და როცა ერთმანეთს განეშორებიან აღმოჩნდება რომ ერთ ნივთს შეიძ-
ლება მეორის არსი ჰქონდეს მითვისებული ან ერთდროულად ურიცხვი
არსი გააჩნდეს მეთქი. ბევრი აღარ უფიქრია. კეთილი ინებოს იმან ვისი
ჯერიც არისო. ვისი აზრით მეთქი. არავისითო. ვა-ხა-ხა-ხა მეთქი. არცვის-
ითო. მაინც ვა-ხა-ხა-ხა მეთქი. რა გაეწყობაო. ხოლო იქიდან მეათასე თუ

მეასიაათასე ეპიცენტრიდან განწირული ჩურჩული ისმოდა თავს დავდებ
რაღაც ისე არ არის როგორც უნდა ყოფილიყოო მე ახლა ჩემში არა ვარ და
არა და არა ვარო ნეტავ მაშინ თუ ვიმყოფებოდიო. ვიცოდით მისი გულ-
მხურვალედ ნაოცნებარნი თავიანთი თავისთვისაც კი უვარგისნი იყვნენ
არათუ მისთვის მაგრამ ვინაიდან თავად სიცილით იჭაჭებოდა და ფიქრო-
ბდა გემის კაპიტანს ვგავარო ჩვენ ამ ორი განცდის ერთმანეთთან დაკავ-
შირება ვერ მოვახერხეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რომ სამტრე-
დეში შენახულ ნივთებთან დაკავშირებით მოქმედი ჩვენი იმედები მარ-
თალია ჩვენში სახლობდნენ მაგრამ მაინც არ ეკუთვნოდნენ შინაგანად
ჩვენს სულს და არც ჩვენს სურვილებს ემთხვეოდნენ. არ მიგვითითებდ-
ნენ რომელიმე მეტ-ნაკლებად საიმედო გადაწყვეტილებისკენ სავალ
გზას და არც ახალ იმედებად თავიანთი ჭარბი სიცოცხლის დაშლას გვთა-
ვაზობდნენ. არ ასახელებდნენ ჩვენთვის სასარგებლო ემოციებში შესაღ-
წევად აუცილებელ რომელიმე საკმაო საფუძველს და არც სინოპტიკოსე-
ბის მიერ შემოგდებული ყალბი ცნობებისთვის საპასუხო რეაქციის აუცი-
ლებლობას აღიარებდნენ. დრო რომ არც ჩვენს ქმედებასთან დამთხვევის
ხალისს ამჟღავნებდა და არც ჩვენზე აღმატებისთვის ემზადებოდა ეს
ცხადია მის უწყინარ ბუნებაზე არ მეტყველებდა და არც მრავალჯერ წა-
რმატებით აპრობირებული ჩვენი ამა თუ იმ ხერხის დამაჯერებლობას
უზრუნველყოფდა. ალბათ ამიტომ არ ცდილობთ იმის ამოცნობას თუ რაში
შეიძლება გამოადგეთ ნებისმიერ მანძილს რომელიც თქვენგან გაედინება
და გაღატაკებული თქვენვე გიბრუნდებათო. არ ტყუოდა მაგრამ მერე
წვიმა მოვიდა ჩვენი ჭუჭყიანი და ლამაზი წვიმა და ჩვენ გარეთ გავცვივ-
დით და დიდხანს ვუყურეთ როგორ იწვიმა და ერთმანეთიც ვათვალიერ-
ეთ და ის გამეტებით იძახდა ყოჩაღ თქვენ ყოჩაღ თქვენო. გამორჩევით
ბრტყელტუჩას ვუმადლოდით. სათითაოდ ვეფერეთ და ველოლიავეთ.
მტრედებს ისე დაესკინტლ-მოეჩუქურთმებინათ რომ უკვე გასუფთავებ-
ულს და წმინდა წყალში გავლებულს თვალი დიდხანს ვერ შევაჩვიეთ და
ამის გამოც დიდხანს ვიცინეთ ხოლო მან ფიქრიანად ამოისუნთქა და ფიქ-
რიანად ჩაისუნთქა და თქვა ყველაფერს შეინახავს მტრედის პატივიო
და დავეთანხმეთ და მძღოლი იძახდა აქ ხომ ჩემი არაფერია ეს ფიგურული
ჩაქუჩიც კი არაო. ხოლო მან ძალიან მარტივად და გასაგებად თქვა აი ახ-
ლა კი დროა დავიმალოთ და ვერავინ მოგვაგნოსო. კი მაგრამ სად მეთქი
შევიცხადეთ ყველამ ერთად და თითოეულმა ასევე ერთად. პირდაპირ აქ
ამ წვიმის ქვეშო. მძღოლი ამ მოწოდებას არ დაუბნევია ის თავისი მხედ-
ველობის ტერიტორიაზე მიმოფანტული შესაბამისობების სიმრავლემ და
მრავალფეროვნებამ დააბნია და მას ალბათ თავისი სააქაო ბიოგრაფიის
მანძილზე პირველად და უფრო სათუოა უკანასკნელადაც აღმოხდა თუ

ფუნქცია შესაბამისობაა და თუ აქედან გამომდინარე შესაძლებელია იმდენად ცვალებადი აღმოჩნდეს ჩემი ავტობუსის შიგთავსი რომ ის ყოველ მისგან დამოუკიდებელ მომენტში საკუთარი თავის წამშლელ რაღაც უცხოდ იქცეს მაშინ მე რა ავტობუსის მძღოლი ვარო. არა სათუო არამედ უსათუოო. ხმა არ გამიცია ისე გავიფიქრე რატომ ხდება რომ ერთი ნაბიჯით ყოველთვის უკანაა მეთქი. მტკიცედ გვჯეროდა რომ მძღოლის ცოდვას არ დავიდებდით მასში ამოქმედებული ცდუნების სინდრომის შეჩერებას თუ შევეცდებოდით. ამ ჰუმანური აქტით ბალასტისგანაც გავათავისუფლებდით და ხელსაწყოებსაც უმტკივნეულოდ დავუბრუნებდით. ერთადერთი პირობა უნდა ყოფილიყო საამისოდ დაცული არაფერი გაგვეთვალისწინებინა რაც ბუნებრივია არ გულისხმობდა მავანი ინსპირატორის მიერ ჩვენს არგათვალისწინებას ან გაუთვალისწინებლობას ან ჩვენი ნებისმიერი გადაწყვეტილების არმიღებას იქ სადაც მხედველობის კანონები უპირობოდ ვრცელდება და მიიღება მხედველობაში. ამოქმედებულ კანონს კი ამ დროს ვერანაირ დაბრკოლებას ვერ უქმნის კომპრესორი რომლის საშუალებით აბსტრაქტული სივრცის მუშა ორგანოებსაც კი მიეწოდება შეკუმშული და ძლიერმოქმედი ჰაერი. ხოლო როცა ასპარეზი გაშლილი პეიზაჟებით ტკბობას ეთმობა მიზანში ამოღებული ნებისმიერი ბალასტი საწყისად ყოველთვის და ყოველმიზეზგარეშე იმას გულისხმობს ვინც იწყებს და არა იმას ვისაც იწყებენ ან ვინც დაწყების მტკივნეულ პროცესს გარედან უთვალთავლებს. არც თუ იშვიათად გარემდევარი იმდენად აქტიური და შემტევი ხდება რომ საკუთარი საზღვრების მიღმა აღმოჩნდება ხოლმე და ახალ და უჩვეულო არამისეულ გარემოში მოულოდნელად გარდატეხილი მისთვისვე გაუცნობიერებელ მსხვრევას განიცდის რაც გრაფიკის სახითაც შეიძლება აღიწეროს. ამ დროს გრაფიკი უთქმელადაც ცხადი უნდა იყოს ერთი გაბმული პროცესია რომლის ნებისმიერი წერტილი ერთდროულად ათვლის სათავეცაა და ეპიცენტრიც ხოლო დამკვირვებლის ქმედება განისაზღვრება როგორც გრაფიკის საასპარეზო სივრცეში თავმოყრილი ენერგიის პერიფერიაში თვითკმარი საქმის აღსრულება როცა გადამწვეტი აქტი ერთმნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თვით დაკვირვებადის ყოველ განახლებულ მიმართულებაზე. როგორც ჩანს მძღოლისთვის ჯერაც უცნობია შედეგად ქცეული თამაში როგორც დროში ამოძრავებული გადაწყვეტილებით გამოწვეული არჩევანიო. გაითვალისწინე რომ მისთვის ჩვენი არჩევანიც სავსებით უცნობია მეთქი. მაგრამ ჩვენი არჩევანი ხომ ჩვენთვისაც უცნობიაო. ნუთუ მართლა ასე უპირობოდ ბედნიერია მეთქი გავიფიქრე და თავდაუზოგავი ნეტარებით განვიმსჭვალე სამტრედის მიმართ რომელიც ჩემი ოცნების არაერთგვაროვან ობიექტად ქცეულიყო და ეს მაშინ როცა სახანძრო კიბით ჩასასვლე-

ლად ვემზადებოდით. ბოლოს და ბოლოს ჩვენი არჩევანიც ეს არისო ამოთ-ქვა და გარეთ გამოვიდა. დედას უკვირდა თუ მისი სირცხვილი გადმოგე-დო დროზოფილებით სავსე ქილა რატომ არ დაუმალეო. ეს გაკვირვება დიახაც საღი აზრით იყო ნაკარნახევი და სიტუაციის სადავეების მოხელ-თების ლოგიკას ეფუძნებოდა მაგრამ არ ითვალისწინებდა ნებისმიერი სიტუაციისთვის დამახასიათებელი ალოგიკურობის ხარისხს რომელიც დაკავშირებულია არა იმის ორიენტაციის უნართან ვინც იაზრებს არამედ იმის შეცდომების ველთან ვინც მოქმედებს ხოლო მოქმედი როგორც წესი გამორიცხავს როგორობის ხარისხს და ის რაც ამ დროს მნიშვნელოვანია დამკვირვებლისთვის საერთოდ არ მნიშვნელობს მოქმედისთვის რომლის სტრატეგიული არსენალი მთლიანად არაცნობიერის ზრუნვასაა მინდობი-ლი მიუხედავად იმისა რომ ზრუნვა სულაც არ შეიძლება ჩაითვალოს უსა-ფრთხოების გარანტად. ბოლოს და ბოლოს არა მხოლოდ დავიღალე არამ-ედ მომბეზრდა კიდეც ასეთი რთული ხერხებით გულის ტყვეობიდან გამ-ოსვლის მცდელობები და სხვათა შორის არც ის მაინტერესებს სახელ-დობრ ვის გულზე მაქვს საუბარიო. ვინ ვინ და ის თუ ამ სიტყვებისთვის ენას მოიბრუნებდა არ გვეგონა და არც თავის მოტყუება იქნებოდა სახეი-რო საქმე. სჩანს ავტობუსის მძღოლს სერიოზული გამოცდა ელის მეთქი დავასკვენი და უთქმელად შევთანხმდით ამიერიდან როგორ უნდა გვემო-ქმედა. გეგმას უფრო მტკიცე საყრდენი უნდა შეექმნა ჩვენი წესრიგისთ-ვის რაც საშუალებას მოგვცემდა თავიდან ამოგვეგდო სადეზინფექციო კამერებზე და ავტომაქსებზე ფუჭი ოცნება. რაც სამტრედეში გვეგულე-ბოდა ისიც ღირსეულ სამსახურს გაგვიწევდა და მხოლოდ უკიდურეს შემ-თხვევაში შეიძლებოდა გაჩენილიყო თუნუქის მილების გაჭრის ან დამუშა-ვების საჭიროება რაც ჩვენს პასუხისმგებლობას ერთიათად ამაღლებდა და სასაცილო ატმოსფეროს ქმნიდა. საბედნიეროდ თამაშის დამცავ არც ერთ მექანიზმს საფრთხე არ ემუქრებოდა და არც ის იყო საშიში რომ მო-ულოდნელად სრულიად შიშველი წარმსდგარიყო ჩვენი ცოცხალი და შეუ-რიგებელი ნება მისკენ მომავალი ავტობუსის წინაშე ან ყოველ წამს მოსა-ლოდნელი წვიმის პირისპირ ან სულაც იმ ურიცხვი პირობითობის პირის-პირ რომ არ იქნა და არ დაგვანება სარეალიზაციოდ ჩვენს მიერ შედგენი-ლი გეგმა. მაისურიც ამიტომ ჩაწურა და წყალმაც ამიტომ იცვალა ფერი მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი იმისგან განტვირთვის აქტი იყო რაც ითქვა და ითქვა დიახაც იმიტომ რომ ჩვენთვის სახანძრო კიბით ჩასვლის ბრწყინვალედ დამუშავებულ გეგმაზე უარის თქმით გამოწვეული ტანჯვა შეემსუბუქებინა და იმაშიც დავერწმუნებინეთ რომ ვიდრე გამარჯვების ვნებას თუ დამარცხების წერას არ ვყავდით ატანილი ეს დახვეწილი და მიზანმიმართული ან უკეთ ჩვენსკენ მომართული გონებები ვერაფერს

დაგვაკლებდნენ და ვერც უნუგეშოდ შეგვეშველებოდნენ. ჩვენ ვიცოდ-
ით როგორ უხაროდა ეს ლამაზი სარტყელი თავადვე რომ დაემზადებინა
და თავადვე რომ უნდა მოერგო წელზე და რომ მხოლოდ ჩვენ განდობილთ
გვქონდა პატივი დავმტკბარიყავით მისი სხეულისა და აბრეშუმის სარტყ-
ლის ურთიერთშეხვედრის ამ უჩვეულო რიტუალით რომელიც ამ თეთრი
აბრეშუმის სარტყელზე ისე გადიოდა როგორც ბეწვის ხიდზე და ჩვენც
პასუხისმგებლობის მოჭარბების განცდისგან ვიკრუნჩხებოდით და ვთრ-
თოდით. ხოლო თავად კლდესავით შეუვალი იყო. და ჩვენ ის მარცხენა
ხელით გავუწოდეთ და მან სათუთად ჩამოგვართვა და ცას შეხედა და
გაირინდა და თითქოს ავად სულ არ მოქმედებდა და აი ასე თქვა ო ჩამსახ-
ველო პაწია ლერწამო რომელშიც ცხელი წყლის ორთქლი და მდუღარე
წყალი კეთილ სითხედ მიედინება და პირობითობის დიდი მხევლები ადუ-
ღებენ მასში ჭურჭელს ქირურგიულ ხელსაწყოებს სათამაშოებს ჯაგრისს
თეთრეულს საფურთხებლებს და ჩვენს იმედს რომელ არს იმედი მარტის
მშვენიერი საღამოს გამო და რომელშიც გულივით ფეთქავს ძრავა აირ-
ტურბინული და ძრავა მრავალცილინდრიანი ძრავა გარეწვის და ძრავა
შიგაწვის ძრავა ბენზინის და ძრავა დიზელის ძრავა გრიგალურკამერიანი
და ძრავა წინაკამერიანი ძრავა დგუშიანი და ძრავა კუმშვის ცვლადი ხარი-
სხით ძრავა ერთცილინდრიანი და ძრავა ორცილინდრიანი ძრავა კარბურა-
ტორიანი და ძრავა უკარბურატორო ძრავა მოკლესვლიანი და ძრავა სწრა-
ფმავალი ძრავა ოთხტაქტიანი და ძრავა ორტაქტიანი ძრავა ორმწკრივა
და ძრავა შეწყვილებული ძრავა პნევმატული და ძრავა ჩაბერვიანი ძრავა
წევის და ძრავა უხმაურო ძრავა სტაციონარული და ძრავა როტორული
ძრავა რეაქტიული და ძრავა მცირელიტრაჟიანი ძრავა გენერატორული
და ძრავა ელექტრული ანთების ძრავა წყლით საცივებელი და ძრავა ჰაერ-
ით საცივებელი ძრავა ჩვენი და ძრავა იმათი ძრავა სიზმრის და ძრავა სი-
ცხადის ძრავა თეთრი და ძრავა წითელი ძრავა ქალური და ძრავა ვაჟური
ძრავა დაბალი და ძრავა მაღალი ძრავა კიდური და ძრავა ჯვარედინი და
ისიც ჩამსახველო ისიც ვინც შენ ხარ და როცა დუმილი ჩამოწვა გამოვფ-
ხიზლდით და ერთმანეთს გადავხედეთ. ახლა უფრო ძნელი იქნებოდა სა-
ხურავთან გამოთხოვება როცა სამტრედეში აღარაფერი გვეგულებოდა
და ის რასაც თითოეული ჩვენთაგანი მოწიწებით ახსენებდა ხოლმე არაერ-
თი შეჭირვების ჟამს უკვე ჩვენს წინ ესვენა და გაოგნებული დავშტერებ-
ოდით. როცა კარი გაგვინაპირდა მივხვდით ზამბარა თავის საქმეს პატი-
ოსნად ასრულებდა და ჩვენს გათვალისწინებას არ ცდილობდა. ის რაც
ზამბარას ფაქტობრივ რეალობად აქცევდა ჩვენს გამოცდილებაში განსა-
კუთრებული ტიპის ცოდნად ქცეულიყო რომელში შესვლაც ასევე განსა-
კუთრებული ტიპის ჩვევებს მოითხოვდა როგორც ჩვენგან ისე ჩვენსკენ

ჯიუტად მომავალი მშობლებისგან მაგრამ ჩვენს დამცავ მექანიზმად თუ თამაში ქცეულიყო მშობლები სრულიად დაუცველნი იყვნენ და მათი ყოველი ხელახალი შემოტევა შიშისგან თავის დაღწევის სურვილს უფრო ჰგავდა ვიდრე მიზნის მისაღწევად ორგანიზებული ადამიანების ჯვაროსნულ თუ უჯვაროსნო ლაშქრობას. გამორიცხული არაა რომ ეს მხოლოდ ფასადი იყოსო წამოიძახა და თუნუქს მუშტი დაჰკრა. დავიბენი და ლამის თვალებში შევასუნთქე. როცა დედას გავენდე უკვე გვიან იყო. ავტობუსის ღრუ სხეულში განთავსება თუ მეხსიერების მაქსიმალურ მობილიზებას არ მოითხოვდა სამაგიეროდ თვით მძღოლის სამომავლო ბედზე ფიქრი იყო უკიდურესად დამღლელი ხოლო ამ ფიქრის გადაულახავად წარმოუდგენელი იქნებოდა ავტობუსის ყოველ მომენტალურ ადგილსა და ჩვენს განწყობას შორის წარმოქმნილი დაძაბულობის ხარისხის სიმბოლიზაციაზე ფიქრი. არადა მსგავსი ქმედების საჭიროება მით უფრო ცხადი იყო რაც მეტად ვუახლოვდებოდით იმ საბედისწერო საზღვარს რომლის იქითაც ეჭვებით სავსე სამყარო თავის საქმეს მონდომებით აღასრულებდა ისევ და ისევ ჩვენს საძიებლად აღძრული ჩვენი მშობლების შემწეობით და პროპორციულად. ბოლოს რა თქვი ვერ გავიგეო. ვერც ჩვენ გავიგეთ მეთქი. მაშინ გაიმეორეო. რა მნიშვნელობა აქვს იმის გამეორებას რაც აღარასდროს განმეორდება მეთქი. აკი განმეორდაო. რა მეთქი. რაღაცო. ჭეშმარიტად მეთქი. განაგრძეო. სად შევჩერდი მეთქი. ორ ორთქლს შორის გაჩენილი სიცარიელის შესახებ საინტერესოდ ბაასობდიო. მაგრამ ეს ადრე იყო ვიდრე ჩვენს თამაშს საფრთხე არ ემუქრებოდა მეთქი. რაც შეეხება მოვლენების შემდგომ მსვლელობას როცა ჩვენი ნეიტრალიტეტი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა და საჭირო გახდა იმ უხილავ ეპიცენტრში დაბრუნება საიდანაც ყოველი მიმართულებით დაძრულმა ეჭვებმა ერთმანეთი დაკარგეს და მტკივნეულად შეერივნენ თავ-თავიანთ ობიექტებს უნდა თქმულიყო რომ ჩვენ ამის შესახებ არანაირი ცნობა თუ სამხილი არ მოგვეპოვებოდა და ყველაფერი დამოკიდებულს გვხდიდა დაქსაქსული და უგზო-უკვლოდ მიმოფანტული ურიცხვი ეჭვისთვის თანდაყოლილ თვისებაზე რომელსაც რა თქმა უნდა მოეძებნებოდა სახელი მაგრამ რომელიც რატომღაც ყოველთვის უფრთხოდა სახელდებას. ასე იყო თუ ისე საქმე ეხებოდა იმ ერთადერთ ადგილს რომელში თავმოყრილ ეჭვებს უკვე მერამდენედ უნდა აღმოეჩინათ რომ თურმე ისინიც შემთხვევითობის პრინციპს ემორჩილებოდნენ და მათ ბუნებაში ჩარევა სულაც არ წარმოადგენდა სიძნელეს უკუსვლის კანონებში გარკვეული არც ერთი მოქმედი ძალისთვის თუ ეს უკანასკნელი თავის უპირობო შესაძლებლობებს დამარცხებაზე აღმატების ვნებას არ დაუქვემდებარებდა რაც გულახდილად უნდა თქმულიყო უშუალოდ უკავშირდებოდა ჩვენს სამოქმედო

გეგმას რომლის შესახებ არაფერი ვიცოდით არც ჩვენ და არც ჩვენმა კეთილმა მეგზურმა რომელსაც უკანასკნელს უნდა დაეტოვებინა სახურავი. უჩვეულო იყო არა იმდენად ეს გაუთავებელი სიფრთხილე ან გამომეტყველების სწრაფი და თითქმის თვალშეუვლები ცვალებადობა რამდენადაც ნებისმიერი ჩვენში აღძრული რეაქცია. ცხადია საქმე ეხებოდა რეაქციებს როგორც უმიზეზო შესატყვისობებს მაგრამ ვერ იქნა და ვერ გავინაპირეთ ის ნიშნები რომლებიც ჩვენი ამოსავალი მიზნის მიზნობრიობას განმარტავდნენ და ცხადად წარმოგვიდგენდნენ ჯერ კიდევ როდის ჩვენს მიერვე გაბედულად უარყოფილ სამიზნეებს. იქმნებოდა განწყობა რომ ხსენებული ნიშნები უფრო და უფრო უმართავნი ხდებოდნენ და საგულდაგულოდ ცდილობდნენ ჩვენს მიერ უარყოფილ და თითქმის იგნორირებულ სამიზნეებთან მივედევნეთ. შეიძლება ასეთი განწყობა რეალურ საფუძველს მოკლებული იყო მაგრამ თვით განწყობის რეალურობაში დაეჭვება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნეოდა მითუმეტეს მაშინ როცა ჩვენი ყოველი არჩევანი სწორედ განწყვეტის ერთი უწყვეტი ტონალობით იყო ინსპირირებული და ჩვენი ყოველი უიმედო სვლა ამ ტონალობაში ორგანულად ჩართვას გულისხმობდა ყოველ ხელახალ საწყის წერტილად. სხვათა შორის ავტობუსში შესასვლელად მზადმყოფი ხალხის განწყობაც ხომ სხვას არაფერს შეიცავდა ჩვენთვის მიუღებელს თუ არა მათ მიერ კეთილი ნების სახელით უწყვეტობის უარყოფას მაინც და მაინც იქ სადაც ერთდროულად შეჯახებათა ინტენსიური ნაკადის გადალახვა უნდა გამხდარიყო შესაძლებელი და თითქმის საჭირო. იოლად წარმოსადგენია რა ხდება დროის იმ შუალედში რომელმაც ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს მოსაცდელს მოწყვეტილი ხალხის გულწრფელი ნაკადი და მძღოლის ცვალებადი მოლოდინი და ეს უნდა მოხდეს მაშინ როცა ორ ორთქლს შორის მცოცავი მანძილი მოულოდნელად წყვეტს არსებობას და დაძაბულობა რომელიც საჭიროა შეჯახებათა ერთდროულობით გამოწვეული ურთულესი შეჭირვებების გასანეიტრალებლად და ერთმანეთში ჩასანაცვლებლად ნულის ტოლი ხდება. განსაკუთრებით საყურადღებოა წესრიგი რომელიც თავისი არსებობის უკანასკნელ წამებს ითვლის და აგონიის უხმაურო პროცესში ითრევს ვნებებს მინებებულ და გრძნობამიშვებულ ადამიანებს რომლებიც ჯიუტად ცდილობენ იმ წერტილში მოხვედრას რომელშიც მათი აზრით აკუმულირებულია მგზავრობისთვის სამყოფი ენერგია. ჩვენ ალბათ კიდევ არაერთხელ გაგვიკვირდებოდა მაგრამ არასდროს შევიცხადებდით რომ მათ მიერ არჩეული წერტილები ერთმანეთს არათუ არ ემთხვეოდნენ არამედ გამორიცხავდნენ კიდეც. აქედან ერთი ნაბიჯი იყო დასკვნამდე რომ ერთმანეთი უნდა გამოერიცხათ მათ ვნებებსაც რომლებიც მიუხედავად საბედისწერო ერთდროულობისა თავიათ

თავში გამორჩეული და კუთვნილი საწყისის გადარჩენას ესწრაფოდნენ. მაშინ როცა სხვენის გავლით უკუქცევა გადავწყვიტეთ რათა თვალი მაღლა არ გაგვქცეოდა ცხადია არც ვჩქარობდით და არც ირგვლივ მოსალოდნელი ცვლილებების საშიშროება არსებობდა ჩვენი ქმედების გაუთვალისწინებლად. მოსაგებ პოზიციაზე ფიქრი თუ ჩვენი არჩევნის ღირსების შეურაცხყოფის ტოლფასი იყო სამაგიეროდ არც კომპენსაციის საჭიროებას განვიცდიდით ვიდრე ავტობუსმა ცხვირი არ გამოყო და არ შეგვახსენა რომ დრო-სივრცის ტყვეობას თავს ვერ დავაღწევდით და გადამწყვეტი ზომები უნდა მიგვეღო გაჩერებაზე თავმოყრილი ხალხის ყურადღების ველიდან გამოსასვლელად და პარალელურად დამცავი მექანიზმების შემუშავებაზეც გვეზრუნა. ნუთუ ყოველგვარი ირონიის და ანტიირონიის თვინიერ გადარჩენას რეალურ შანსად მიიჩნევთო. ხმის ამოღება არ გვაცალა კეთილი ინებეთ და კითხვას კითხვითვე ნუ უკუმიგდებთ არამედ პასუხი მიაგებეთო. კეთილი და პატიოსანი ჩვენ გადარჩენაზე არ ვფიქრობთ მეთქი. აბა რაზე ფიქრობთ ბოდიში მომითხოვიაო. საფიქრალს რა გამოგვილევს მაგრამ რატომღაც არც ერთი ფიქრი ბოლომდე არ მიგვიყვანია და ალბათ არც მივიყვანთ მეთქი. განაგრძე განაგრძეო. არც პასუხის მიყვანას ვაპირებთ ბოლომდე მეთქი. რომ გაიძულოთო. მაშინ მივიყვანთ მაგრამ ეს ხომ იძულებითი შედეგი იქნება რასაც მხოლოდ იგივე ღირებულება შეიძლება გააჩნდეს რაც ზღვაში გადაგდებულ მარგალიტს მეთქი. მართალია ჩვენი მეტყველება მრავალი არასასიკეთო გარეგამღიზიანებლის ზეწოლას განიცდიდა და რიტორიკის კანონებით განსაზღვრული იდეალური ტიპის საუფლოდან ერთობ შორს იდგა მაგრამ იმას მაინც ვახერხებდით რომ ერთმანეთთან მისასვლელი გზები გაგვემაგრებინა და განგებას მეტს ვერც შევბედავდით თხოვნის სახით. შურისძიება სასტიკი უნდა ყოფილიყო. ვის მიმართ რატომ რისთვის რა მიზეზით ეს ჩვენს პრობლემას არ წარმოადგენდა და არც უნდა წარმოედგინა. მთავარი იყო შურისძიება. თვით ჩვენი არსებობა უნდა ქცეულიყო შურისძიებად და თუ ეს მოხდებოდა ჩვენ უმიზეზოდ და უპირობოდ მოვიპოვებდით იმას რაც თვითკმარს გაგვხდიდა და გადარჩენაზე ფიქრის ნარჩენებსაც თავის ადგილს მიუჩენდა. გადარჩენაზე ჩვენ კი არა იმათ უნდა ეფიქრათ ჩვენზე დაგეშილებს და სერიოზულობის სარეცელზე მორჩილად გაწოლილებს. ყველაფერი ყველაფრად მაგრამ დავიჯერო მართლა ისეთი უსუსური გონების მყავხარ რომ გგონია სარეცელზე არხეინად წამოწოლილი ადამიანი შეიძლება იმავდროულად ავტობუსის გაჩერებაზე იდგეს ან სხვენში იყოს გამოკეტილი და ოთხად მოკაკვული ვნებიანი ოცნებით თავს ირთობდესო. შენ თქვი მეთქი. წმინდა წერილს მაინც ნუ შეეხებიო. მაშინ ნურც შენ შეეხები ჩემს გონებას რომელიც ჯერაც არ დამიმსახურებია მეთქი. და განვაგრ-

ძობდით რომ ვიდრე პირში სული გვედგა ყველა მიზეზი ჩვენი მტერი უნ-
და ყოფილიყო. იქნებ ამიტომაც გვიდგას პირში სულიო. სად მეთქი. გაგვე-
ღიმა. ბოლოს და ბოლოს ჩვენი არჩევანიც ხომ ეს არისო.

1992 წელი, თებერვალი-ივლისი

აქილევსის მეოხე ქუსლი

ვუძღვნი შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს.

I
წასაკითხის შინაარსი

1.

ასეა თუ ისე, თბილა. ამ წინდებს შეეძლოთ, არ გარეცხილიყვნენ, მაგრამ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და ახლა ჩემი ხელები სათუთად ეხებიან ამოსუნთქვის პროცესს, რომელიც მდორედ და უმიზნოდ მიმდინარეობს. ერთი დაუფიქრებელი მოძრაობა და ზურგი ნაცარტუტად იქცევა, მაგრამ ეს მოძრაობა, ალბათ, არასოდეს განმეორდება. რაც დრო გადის, სუნთქვა მით უფრო დაუცველი და იოლად თვალმისადევნები ხდება. რომ ვკითხო, მიპასუხებს, გამეორება ცოდნის დედაა. გამოდის, რომ ჩვენი არსებობის ყოველი წამი ცოდნის დემონსტრირებაა, მაგრამ დასანახი თვალი სადღაც სხვაგან ეძებს საკბილოს. დიახაც ისე, როგორც ჩემთვის ცნობილი ქალბატონი ათვალიერებდა ძველისძველი ჩემოდნის ბინადართ. კალმისტრები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ სითბოს.

კითხვა არ იცოდა, მაგრამ უყვარდა. ამავე დროს, არც მკითხველების მიმართ იყო მწყრალად განწყობილი, თუმცა აქ უკვე სიყვარული აღარ ზეიმობდა. სულ თითის ქნევით, სულ თითის ქნევა-ქნევით, - დღეს თუ ხვალ პირველი მაისიც მოვა და ადამიანებიც გამოვლენ ქუჩაშიო. უზომოდ აინტერესებდა, მაგრამ არშემჩნევა წესად ჰქონდა ქცეული და არ ღალატობდა. არ უღალატო, თორემ სამოთხე უკან დაგრჩებაო, დასცინოდნენ. იღიმოდა. ვისკენ.

აბა, დადექი და ოცდაათი წელი მასთან ერთად იარე უღრანებში. როდისღა, ოცდაათი წელი ოცდაათი წუთი ხომ არ გგონია, ზოგჯერ ეს მთელი საუკუნეა. ამ დროს ყველა თავის თავს შველის. არა იმიტომ, რომ ვიღაცამ ვიღაცას უნდა გაუსწროს, მერე მოულოდნელად შეჩერდეს, შემობრუნდეს და სიმართლე იქადაგოს. თუმცა, ესეც დასაშვებია ამდენი ჩაზნექილი თუ ამოზნექილი მუცლის ფონზე. იქადაგოს. ქადაგად დაეცეს. ქადაგად გაიკრიფოს. ქადაგად შედგეს. გაქადაგდეს. გამოვქადაგდები. ჩაქადაგებული. მოიქადაგა. გრანდიოზული სანახაობის ნაშთი.

ომის დამთავრებისთანავე ჩამოვა და მშობლებს უპატრონებს, დაოჯახდება. ქვეყნად იმდენი საქმეა, რამდენიც - საფიქრალი. თუმცა, რომ იფიქრო, უნდა გაიძულონ. გაეხვევი შენს ბაკანში და ჩაუფიქრდები, ღრ-

მად ჩაუფიქრდები ამ უსამართლო და უკანმოუხედავ ცხოვრებას. ორმაგი შეცდომა: ბაკანში როგორ უნდა გაეხვიო? ან: თუ ბაკანი უკვე არსებობს, ის აუცილებლად ვიღაცის ბაკანია, მას ბინადარი ჰყავს და ერთმანეთს იცავენ, უფრთხილდებიან. დაახლოებით ასე: იცი, რას გეტყვი, ჩემო ძმაო, ცხოვრებას თავს ნუ დააყვედრი, ის ნებისმიერ ჩვენთაგანზე უფრო მეტია; იფიქრე ღამითაც და იფიქრე დილითაც, მაგრამ არა ისე, რომ ცხოვრება წაშალო და ამით შენს თავსაც ხაზი გადაუსვა. შეწუხებული, შეწუხებული სახეების მთელი ტყე, მთელი უღრანი. არც ძალიან უჭირთ, არც ძალიან ულხინთ ამ სახეებს, არც დარჩებიან, მაგრამ არც მოკვდებიან. უბრალოდ, ისინი წარმოადგენენ შეწუხებას შეწუხებითვე და აუცილებლად - თითოეული ცალ-ცალკე, თავ-თავისთვის; იგულისხმება, რომ მაინც - ერთად, არა თანმიმდევრულად, არა ერთმა-ნეთის მერე, არა მომლოდინე ან დალოდებული და დაღლილი სახეები. უბრალოდ: შეწუხებული. სადღაც.

როგორ ხდებოდა, ვერც თვალს გაადევნებდი და ვერც გამომეტყველებას შეუნარჩუნებდი, ყოველ წამს იცვლებოდა. ხედავ, რომ გარბის, მაგრამ ზურგი ფერადი ყვავილებით მოუხატავს და. თვითონ მოუხატავს? და გრძნობ, როგორი ბედნიერია, როგორ მარტოა. შენ ახლა აქ აღარ ხარ, მაგრამ თუ ხარ, იყავი შენთვის და ნუ იმედოვნებ, რომ საკუთარ თავს გაგრძნობინებს ისე თავისუფალს, რომ ყველა ნივთს აჯანყების უფლება მისცე. თვითონ ის ერთი ნაბიჯით ყოველთვის წინაა, მაგრამ უკან მოხედვის უფლება არა აქვს, და არც მოიხედავს. გვიანანტიკური ორფეოსი. აღორძინებული ევრიდიკე. შუასაუკუნეობრივი ჰერმესი. ისიც ეყოფა, რომ ყოველთვის წინაა. ზურგს რაც შეეხება, ის სარკედ არასოდეს იქცევა და საკუთარ თავს არასოდეს გაგრძნობინებს. თუ - არასდროს? მაშასადამე, ოდესმე. გუშინ? განაგრძე. იცვლებიან, მაგრამ ერთმანეთს უფრთხიან. ეს ჩვენი შიში არაა, ეს ჩემი შიშია. დაახლოებით ასე: ეს არაა სასიკვდილო დაავადება. ეს სიკვდილისკენ-დაავადება არაა. ეს არაა სიკვდილისკენავადმყოფობა. ეს არაა სენი სიკვდილისკენ. მაგრამ ლაზარე მაინც მოკვდა. თუ არ ვცდები, ასე.

2.

აგვისტო, ალბათ, ყველაზე უპრეტენზიო და დემოკრატიული მხარეა ქვეყნიერების ზურგზე თუ ზურგსქვემოთ, და არც მისი ნდობის დამსახურებაა დიდ სირთულეებთან დაკავშირებული. იქნებ, ამიტომაცაა იგი

ნებისმიერი სახის გათანაბრების მომხრე. მას შეუძლია, ერთმანეთს გაუტოლოს სრულიად განსხვავებული ბუნების, შინაარსის და მიზნის მატარებელი ნივთები და მოვლენები, ერთმანეთს დაუქვემდებაროს ურთიერთსაპირისპირო გამოცდილებებით ნასაზრდოები მილიონიანი არმიები როგორც ცოცხალ, ისე ნახევრადცოცხალ და სასიცოცხლოდ მზადმყოფ არსებულთა თუ არარსებულთა, მას არავინ და არაფერი აინტერესებს ისეთი, ვინც და რაც მის საზღვრებს არ აფართოებს და მის ტერიტორიაზე გაბატონებული თანაბარზომიერების კანონს არ ემორჩილება. სულ იოლად შეგიძლია გახდე აგვისტოს მოქალაქე, მაგრამ საკმარისია ეს მხარე დატოვო, რომ მან უკვე არასდროს გაგიხსენოს არც ცოცხალი და არც გარდაცვლილი. ის სამუდამოდ დაგივიწყებს. "სამუ-დამოდ", ამ შემთხვევაში, ნიშნავს: "ვიდრე სხვაგან ანუ ტერიტორიულად მის საზღვრებს გარეთ იმყოფები". სამოთხე, საიდანაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, გახვედი და უკან აღარ დაბრუნებულხარ. ან სულ ცოტა ხნით გაიპარე. ან გაგიტყუეს. ან შემთხვევით გზა აგებნა და მოულოდნელად გარეთ აღმოჩნდი. თუმცა, ეს ყველაფერი ხომ ერთი და იგივეა.

მაინც გამოაღო კარი და გავიდა. ხეები და სახურავები ხედავდნენ, როგორ შეისუნთქა დაღლილი ჰაერი; ცხვირს ემწარა და შედგა, მაგრამ მხოლოდ - წამის მეათასედით. რატომ უფრო მეტით არა? კეფაზე წამორტყმული ხელის მადლი. მოსაღამოვდება თუ არა, კალიები მოაჯირს ევლებიან და ერთმანეთში ხტიან. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ან, უფრო ზუსტად, ასე როდემდე გაგრძელდება? მაშინ ხომ არავინ ინატრებდა სხვა, უკეთეს სამყაროს? სამყაროს. ახლა, აივანზე გასულს, ამაში ეჭვი არ ეპარება, მიუხედავად იმისა, რომ სამყარო არ გულისხმობს მაინც და მაინც ერთმანეთს მიშტერებული ორი ან ორზე მეტი ინსტანციის სახეზეყოფნას. გაიხსენე, რომ თუ ცნება არსებობს, ის არ არსებობს მაინც და მაინც სადმე; შეიძლება საერთოდაც არ არსებობდეს. ხედავდნენ, მაგრამ არ გულისხმობდნენ. მერედა არ გეცოდებიო? თავით თუ წავალო. თავით თუ წახვალ, აქედანაც მშვენივრად მოახერხებ. მთავარია სისწრაფე და რწმენა. ეს მაინც ხომ იქნება რეალური, აქ მაინც ხომ არ დარჩები მოტყუებული. არავინ იცის. პირველ რიგში კი შენთვისაა უცნობი, რა იქნება და როგორ. ნამდვილზე ლაპარაკი სასაცილოა. ნამდვილის წინ წაგდება და მასზე, როგორც მომლოდინეზე, განაზრებები თავადვე არიან რეალურნი. სწორედ ურნი. მაღალი რეგისტრი. ზეცა. ვარსკვლავები. იური გაგარინი. მთვარის მეორე მხარე. საუკეთესო, რაც კი ოდესმე მომისმენია. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ მხოლოდ - მას მერე, როცა მიწას თავით შეეხები. რეალობა მხოლოდ წარსულში

არსებობს. წარსული ერთადერთია, რაც ჩვენ გაგვაჩნია და რასაც დაკარგვა არ უწერია. შეგიძლია, მშვიდად მიიხედო უკან. იგი ყოველთვის ადგილზეა. აი, ადგილი კი ყოველთვის მიდიმოდის. ყოველთვის ჩქარობს. თვალსაც ამიტომ ვერ მიადევნებ. დიახ, რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს, რომ რეალობა შეიძინოს, და მასზე ლაყბობის სამართლიანობა დასტურვყოთ. ჩვენ, ვინც გადავრჩებით. მაგრამ, აი, მე როგორ გავიგო ეს ყველაფერი. დიახ, ცხვირი შედგა, მაგრამ უმალ წინ უბიძგეს. გაეღიმა, არ გამიკვირდებოდაო. ვის წინაშე და ვისი სახელით?

დანაკარგი დიდი იქნება, მაგრამ ამ ნაბიჯს ჩემივე თავთან მივყავარ. მე ასეთი ვარ. მიყვარს ის, რაც ტკბილია და ვცდილობ მოვსპო ის, რაც მწარეა. ამაში ვხედავ ჩემს ადამიანურ დანიშნულებას. აბა, გაბედოს და თქვას ვინმემ, რომ იმპულსური არაა და თავის თავს პატივს არ სცემს. და თუ ასეა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი პატივისცემის ობიექტი ისაა, რასაც თითქმის არ ვიცნობთ, მაგრამ რაც ყოველნაირი ნეტარების დამშრალ თავწყაროდ გვესახება. აქ მესა და ჩვენს შორის სხვაობა ნულის ტოლია. რა თქმა უნდა, იდეალურ დროში. იდეალურ დედიკოში და მამიკოში. ამერიკულ ბურთთან ერთად. უკრაინული კგალოშები. ქვეყნიერების ზურგზე თუ ზურგსქვემოთ არსებულ მხარეებს შორის. მე არ მითქვამს, ბურთს თუ წავართმევთ და დავუმალავთ, ეს ბავშვები თამაშს შეწყვეტენ ან, პირიქით, გააგრძელებენ მეთქი. მე ვთქვი, რომ ვხედავ ეზოს, ეზოში - ბურთს, და ბურთის ირგვლივ - მოთამაშე ბავშვების ჯგუფს. ჩემი მიზანია, აღვწერო ბურთის გავლით ერთმანეთთან მოთამაშე ბავშვების სიმრავლე. რაც შეეხება მაყვლის ბუჩქს და მასთან დაკავშირებულ ჩვენს შარშანდელ პრობლემებს, ახლა ნაკლებად მაინტერესებს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ იმ მავთულში დენი არ გადიოდა და, მაშასადამე, შენს ზურგს საფრთხე ნაკლებად ან თითქმის სულ არ ემუქრებოდა. აღმართ-აღმართ და ნაკლებ-ნაკლებ.

მერყევი გალავანი, ოდინდელი. ყველა გზა ზედსართავი სახელისკენ მიდის, უკან - არც ერთი. დღისით თუ ღამით, როცა ამ გზის, ურიცხვიდან ერთ-ერთის, გავლა მიწევს, მე ისე ვფიქრობ მზის ქვეშ გულაღმა გაწოლილ ურიცხვ ლიანდაგზე, როგორც - უწარსულო და უმომავლო ადამიანებზე, რომელთაც ცხოვრება არევიათ და ახლა არსადაც აღარ ეჩქარებათ, რაკი არსადაც აღარ ელიან. ისინი ახლა კარგად გრძნობენ თავიანთ მნიშვნელოვნებას და სიდიადეს, ასე, თავიანთი თავის თვითონვე მიმგდებელნი, ამოტრიალებულან მზის გულზე და წვანან. ერთი უწყვეტი მეტაფორა. შენც ადექი და ესროლე. არაა იოლი, მაგრამ შენს თავს მოიპოვებ. რაც ფიქრში ხდება, უფრო იოლად მიგატოვებს; ყოველ შემთხვევაში,

არ გაუჭირდება და არც შენ გაგაწვალებს. სასიმღერო მოტივი. ან რა უნდა ეზეიმა და, საერთოდაც, არსებობს სადმე მდგომარეობა, როცა ვინმე რამეს ან რამე ვინმეს მართლა ზეიმობს? ბებიამ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ სამელნეებს და ძველისძველ რვეულებს სათუთად ინახავდა. კალამ-კალმისტრები, საფოსტო მარკები და მრავალი კონვერტი. ნუ მოიწყენ, აი, ყველაფერია, მელანიც, ფურცელიც, კალმისტარიც, დაწერე წერილი, მისამართი ხომ გახსოვს, აი, კონვერტიც, და გავუგზავნოთ; რომ არ მიიღოს, კიდევ ერთხელ გავუგზავნოთო. სიბნელის სითბოს გამორიდებული საგნები. აქ იყო ყველაფერი, რაც თაგვებს და სინესტეს გადაურჩა, ამ სანდო ჩამოდჩემოდანში, ამ ოაზისში. განა მუდამ ასეა, ბებიაჩემო და მისო მზეო? გამოერკვა.

3.

მე ახლა შევაღებ სამზარეულოს კარს, გამოვაღებ მაცივარს, გავხსნი დაკონსერვებულ ლუდს, გავფცქვნი შებოლილ თევზს, დავჯდები და ძალიან დიდხანს არ ავდგები. ეს იქნება ჩემი პროტესტი არავის მიმართ. იმის მიმართაც, ვისაც ახლა ჩემთვის არ სცალია არა იმიტომ, რომ სამსახურში აგვიანდება ან ბაზარში უნდა წავიდეს ან ავადმყოფ ძმას უნდა მიხედოს ან დასაფლავებას უნდა დაესწროს ან სექსში უნდა გაიწაფოს ან უნდა მოკლას ან ვენერული ავადმყოფობა უნდა მოიშოროს ან ლექსი უნდა გამოუთქვას თავის მეგობარს ან ტელევიზორს უნდა უყუროს და გამოთაყვანდეს, და, საერთოდაც, ჩემთვის არ ეცალოს. შენ გამოეხვევი შენსავით მარტოსულ ამ მხიარულ ხალხში და ერთად შეიმუშავებთ მეთოდს იმათ მოსაქცევად, ვისაც ჯერაც არ გათენებია გუშინდელი დღე. გზა სწავლულისა. გზა ბრძენკაცისა. გზა მაღალი საზოგადოებისკენ. რა ვიღონო, მზევ და მთვარევ ჩემო? და, საერთოდაც, ვიღონო თუ ყვერებში მახათი გავიყარო და ასე ვეზიარო ბუდას? გაყრა-ღონება, - საკითხავი, აი, ეს არის ამა თუ იმ მზის მიწურვის ჟამს, აქაც და იქაც, ქვემოთ. ვიდრე გემრიელი კერძები არსებობენ, მარტო იქნები. ვიდრე ტორტები და ნამცხვრები არსებობენ, ვერავინ გაგიგებს. შენ რა, გაგიჟდი? გინდა, შენი ესმოდეთ მაშინ, როცა საფუვრიანი კულიჩები და სადღესასწაულო ტორტები არსებობენ? კეთილი ინებე და ერთმანეთის გვერდით ანუ გვერდიგვერდ განალაგე ათი ცალი კვერცხი, სამასორმოცდაათი გრამი პურის ფქვილი, სამასი გრამი შაქარი, ორი ჩაის ჭიქა რძე, ორი ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი, ორმოცდაათი გრამი კარაქი, ერთი ჩაის კოვზი კაკაო და

ერთი მეოთხედი ჩაის კოვზი ვანილი. და თუ საბრძოლო ტექნიკა წესრიგშია, მაშინ უკან ნუღარ დაიხევ, გააკეთე ათი კვერცხის გოგლიმოგლი. ცალკე ათქვიფე ამ კვერცხების ცილა. ცილაში ფრთხილად აურიე გოგლიმოგლი, მხოლოდ ცოტა მოიტოვე კრემისათვის. დაუმატე უმაღლესი ხარისხის თეთრი ფქვილი, ჩაასხი ერბოწასმულ მრგვალ ყალიბში, შედგი ჰაერღუმელში და გამოაცხვე. კრემი გააკეთე შემდეგნაირად: იმ ჭურჭელში, რომელშიც გოგლიმოგლი ჩატოვე, ჩადევი ორმოცდაათი-სამოცი გრამი ახალი კარაქი, ლესე დიდხანს, სანამ არ გათეთრდება, შემდეგ გაურიე კარტოფილის ფქვილი, ზედ დაასხი გაცხელებული რძე, კარგად აურიე, ჩაასხი ქვაბში და წამოადუღე. ხშირად ურიე. შემდეგ გაყავი ორად: ერთ ნაწილს არომატისათვის დაუმატე ვანილი, მეორეს კი - კაკაო ან შოკოლადი. ნამცხვარი გაჭერი სიგანეზე, შუაზე, ერთ ნაწილს წაუსვი კრემი ან მურაბა, დაახურე მეორე ნაწილი, თავზე და ირგვლივ წაუსვი მოთეთრო კრემი და შემოავლე ყავისფერი ხვეული არშია, გააკეთე სიმეტრიული ფიგურები, ხოლო შუა ადგილას იმავე ყავისფერი კრემით დააწერე სადღესასწაულო თარიღი. აი, ასე მოვიმოქმედე. აი, რატომ ვიქნები მარტო, ჩემი თავის მიმართ. საკითხი ხომ, როგორც წესი, ასე ისმის და ასე ესმით. მაგალითად, მნიშვნელოვნება და სიდიადე რასთან ან ვისთან მიმართებაში. ოჰ, ეს რაც და ვინც უსათუოდ აქ უნდა არსებობდნენ, შენს გვერდით, მიწასთან ერთად, მოუშორებლივ. თვალ-ყური ადევნე, არ გარდაიცვალონ. სუნი არ დაკარგონ. შეეც. რეტრო.

4.

მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ ხედავდნენ? ყოველთვის მაწვალებდა ფიქრი თვითმკვლელთა განსაკუთრებულ კლასზე, - სიტყვით თვითმკვლელებზე. წარმოიდგინე ადამიანი, რომელიც არა მარტო კვდება ყოველ წამს, არამედ თვითონვე განიცდის კვდომის ასეთ აქტს, როგორც დასრულებულ პროცესს, და ამის მერე კიდევ ერთხელ კვდება. მოკლედ, მინდოდა მეთქვა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა სიკვდილის ორი ნახევარი, ხოლო ერთმანეთს ისინი ვიღაც მესამის წყალობით უკავშირდებიან: მოდის ეს ვიღაც, გადაწყვეტს, რომ თავი მოიკლას და ატარებს საგანგებო რიტუალს: ჯერ თავს იკლავს, მერე თავისავე სიკვდილს განიცდის და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მოხდა თვითმკვლელობა ანუ ადამიანი გაცოცხლდა ანუ იმედი გაუცრუვდა ანუ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ანუ მაინც ვერ ვთქვი ისე, როგორც უნდა მეთქვა. დიახ, შენ არ იცი, რა უნდა გეთქვა

ასე ან ისე. უბრალოდ, შენ გინდოდა რაღაც გეთქვა, ხოლო მსმენელს მოესმინა არა ის, რაც გამოთქვი, არც ის, რაც უნდა გამოგეთქვა, არამედ - ის, რისი გამოთქმის იმედიც არ გქონია, რასაც ვერც სიტყვით და ვერც მეტასიტყვით მსმენელამდე ვერ მიიტანდი. მაგრამ მათ მხოლოდ გამოთქმულის გადარჩენა შეძლეს და გიპასუხეს; ახლა შენც სრულიად უმწეო ხარ, თვალებს აცეცებ, ხელებს ისრეს, იმანჭები, ფეხები უშენოდ მიმოდიან, მაშასადამე, დაუკითხავად. ერთი სიტყვით, ადგილს ვერ პოულობ; საინტერესოა, ვინმემ ხომ არ დაიკავა იგი? დამპყრობლისთვის მაინც უნდა მოგეკრა თვალი, გამარჯვებული არ იმალება, იგი საზეიმოდ ირთვება და თავის ირგვლივ გამომწვევი ხმაურით ატარებს სანიტარულ სამუშაოებს. ყველა აქაა, ნაცნობიც და უცნობიც. ყველამ იცის, რომ ეს ადგილი უკვე ვიღაცას დაუკავებია; ადგილს ვერ ხედავ, მაგრამ დამპყრობელი სახეზეა, მიმთითებელია, რომელიც რაღაცას გიკრძალავს, რაღაცის ნებას - უკეთ, რაღაცისკენნებას - გართმევს; შენ უკვე კმაყოფილი და ერთგული ხარ, იძულება ქრობას განიცდის. მაგრამ რატომღაც არავინ აცხადებს, რომ ადგილი მოიპოვა. ადგილი, უდავოდ, თავისუფალი და განუცდელია. შენ იწყებ ხანგრძლივი და ყოველმხრივი კვდომის რიტუალს. გავა დღეები, თვეები, წლები, საუკუნეები. მერე ვიღაც აღმოაჩენს, რომ მაშინ, როცა კვდომას იწყებდი, სამზარეულოში ონკანი ღია დაგრჩა, წყალი მოვიდა და ნიჟარა აავსო, მერე მისთვის აკრძალულ ტერიტორიებსაც მისწვდა, ამიტომ ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყოს, განმეორდეს. მოკლედ, არაფერიც არ დაგიწყია. შეიძლება, სხვა სახითაც ითქვას: სასტიკად მომინდა თვითმკვლელობა; ვაღებ მაცივარს და ის იქ არ არის. სად არის? კარადაში არ არის, მაგიდაზე არ არის, სააბაზანოში არ არის, სხვენში არ არის, სარდაფში არ არის, ქუჩაში არ არის. კი, მაგრამ სად არის? მაშინ მე ვცდილობ, რაც შეიძლება სრულყოფილად და დამაჯერებლად წარმოვიდგინო ჩემი უსიცოცხლო სხეული, მაგრამ გაოცებული და გაღიზიანებული აღმოვაჩენ, რომ ყოველთვის, როცა ზემოთ მითითებული ორი ნახევარი ერწყმის ერთმანეთს, თითქოსდა სამუდამოდ გაქვავებული სხეული მოულოდნელად, მთელი სისწრაფით თბება და სუნთქვას იწყებს. მე ვიცი, რომ არ ვსუნთქავ, ვიცი, რომ ჩემს ძარღვებში სისხლი არ მოძრაობს, ეს კი, ეს თავხედი, ეს ურჩი, ეს, ეს ამორალური არსება - უცებ - სუნთქავს. ამ ფაქტს ვერავის ვერ გაუმხელ. გინდოდა გეთქვა, რომ ვერავის ამ ფაქტს ვერ გაუმხელ. ყურადღება მიაქციე ამ გამუდმებულ ასე-ს და ეს-ს. სიზარმაცის პიკი. ჩავდიე თოკს და ჰადესში აღმოვჩნდი, გუშინ. მინუს სენტიმენტალიზმის რენესანსი. თემიდან ამორთვისთვის მზადება. ყოველ შემთხვევაში, შენ მესამე ხარ. საერთოდაც, ნებისმიერი ორი ნაბიჯი განწირ-

ულია მესამისთვის, რომელიც საპირისპიროა წინარე ორის. სკუპ-სკუპით. მნიშვნელობას კარგავს მიმართულება, რომელიც, თავის მხრივ, ორია: წინ მიმართული და უკან მიმართული. მიუთითებლად, ვინაიდან მიმთითებელი არ ჩანს. სასურველია, კიდევ დიდხანს ნუ გამოჩნდებოდეს. მიშველესთან ერთად ჯოისს ჩაფრენილი დედალოსი: ქვის ხანა, - მაშინ არ კოდავდნენ. კიდევ ერთხელ გიმეორებ: შეგიძლია თუ არა, ამ ორ ნახევარს შორის ჩახიდული, გამოთავისუფლდე და ისინი ერთმანეთს შეატოვო? კი, მაგრამ ამ მდგომარეობაში ხომ უკვე იყვნენ, ხოლო შენ, შე სულით ხორცამდე აკრძალულო ხილო, თხემით ტერფამდე რომ შეეყავი და განწვალე, ერთი მითხარი, რას ერჩოდი ან შენს თავისუფლებას და ან ამ პატიოსან მდგრადობებს, თუ ისევ სიკვდილისკენ გაგექცეოდა მთელი შენი დაუღლელი მონდომება? რა გინდოდა მეთქი. კივილით. გამომეტყველება - შესატყვისი. დაჰკივლა და დაჰკივლა. დაჰკივლა და დაჰკივლა. სულ კივილ-კივილით. ბაკანი აქაც ბაკანია. დარწმუნებული ვარ, ხედავდნენ, მაგრამ ისე იქცეოდნენ, როგორც ევალებოდათ და ევალებათ. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მე მაშინ იქ გახლდით, ხოლო არც ერთი მათგანი, დიდი ხნის მერე ასე რომ გვასახელეს, მაშინ იქ არ იმყოფებოდა. აპატიებ თუ არა, შენი საქმეა, მაგრამ დაფიქრდი: იქნებ საქმე არ გვაქვს გამოუსწორებელ შეცდომასთან. რა მოხდა, თუ შეცდნენ? უბრალოდ - შეცდნენ. მაგრამ, თუ არ შეცდნენ? თუ ისე მოხდა, როგორც გეგმა მოითხოვდა? თუ, სართოდაც, არსებობს რაღაც საერთო გეგმა? მომისმინე, შენ ერთხელ უკვე გაგაფრთხილეს, შავით თეთრზე, გერმანულით თეთრზე, რომ ყოვლისმომცველი ეჭვი არცაა ეჭვი. ან: ყოვლისმომცველი ეჭვი ეჭვი აღარაა. დიახ, იქ იყო ყველაფერი, რაც ნესტს და სიბნელეს გადაურჩა, რაც არ დაბრმავდა.

5.

და ჰკითხავდა მას არტაბაგა რიტაბაგას ძე: "მარქვი, ვაჯინავალკია, მალე დამთავრდება ეს კარგი ომი?" და ფეხები წყენით დაბაკუნდნენ. მერე ჩამოვა და ოჯახს შექმნის. შენც აქ არ იქნები? მართალია, ახლა ირგვლივ ურბენ, მაგრამ დრო რომ გამოხდება, კარსაც შეუღებ და ოთახსაც მოუთვალიერებ. რა უნდა გეპოვნა ისეთი, წინასწარ რაც არ მოისაკლისე? კარგი, კარგი, რა საჭიროა ეს უთავბოლო მკითხაობა, ჩამოხვალ და თავად გაარკვევ. ერთად შეგროვებული, ბეჯითად თავმოყრილი ამდენი და ამდენნაირი ნიჟარა, ღრმა და ცარიელი. ოდესღაც ცხელი წყალი ჩვენი

გეგმის ნაწილიც იყო და იარაღიც. ხოლო ისინი, ამ წყალს რომ უნდა განებანა, ერთმანეთისგან მხოლოდ ზომით განსხვავდებოდნენ. წყალი რაც უფრო ცხელი იყო, მით ნაკლები დრო სჭირდებოდა. ვის ან რას? ხოლო ისინი, მსხვერპლნი, საცხოვრისს არ ტოვებდნენ. ძალით ვაძევებდით, მაგრამ - უკვე ამოფუფქულებს, ჯოხით. დიახ, ჩვენი სიყმაწვილის ჯოხები ჩვენთან ერთად გრძნობდნენ მკვრივ და ამაზრზენ გვამებს: საზიზღარ, უსამართლო მოლუსკს, ერთადერთს, მრავალში, ჩვენს ტყვედმყოფში თუ ჯერაც არმყოფში, განსხეულებულს. ისინი ხელს გვიშლიდნენ, მაგრამ ვიმარჯვებდით. ნიშნისმოგებით. დიახ, ჯოხი შორსაა, მაგრამ უჯოხოდაც სწრაფად ვგრძნობ სიკვდილის აღმოჩენით შემცივნული მოლუსკის თავში წამით გაელვებულ ორად ორ თანაბარმნიშვნელოვან განცდას: საკუთარ სხეულში ყოფნის და უმწეობის განცდებს. მას ახლა არაადამიანურად, ლოკოკინურად, ზღვის ლოკოკინურად, უყვარს სამოსელი თვისი, რომელსაც ვერანაირი ალქიმია მახვილად ვერ გარდაქმნის. ისინი სახლებს არ ტოვებდნენ, ჩვენ მათ ნიჟარიდან ჯოხით ვაძევებდით. ყოველ შემთხვევაში, ასე მახსოვს. ნახე, რას იპოვნი ისეთს, რაც არ დაგიმალავს? როდის და გუშინ, როდის და ხვალ. არასდროს, მაგრამ მაინც ოდესღაც და ოდესმე. მაინც. ნიჟარები მზეზე უნდა გამომშრალიყვნენ, მაშინ იოლად მოვაშორებდით. რაღაც ჩვენთვის მიუღებელს და ქარაგმებით გადავსებულს წარმოადგენდნენ ძარღვებს მინამსგავსი ეს ფოჩები. გეუბნები, იჭმევიანო. თავისით მეთქი? გეუბნები, ისე ჭამენ, როგორც კომბოსტოსო. კი, მაგრამ ზღვის კომბოსტოც ხომ არსებობს, ნიჟარა ხომ არ ისხამს კომბოსტოს მეთქი. არა, მაგრამ ესეც იჭმევაო. იოლად მოვაშორებდით ამ ფოჩებს, და ასეც ვიქცეოდით, თითქოს ქვიშა იმდენი იყო, რამდენიც - ნიჟარა. ეს ისაა, რაც არ გავიწყდება, რაც თავის თავს არასოდეს ტოვებს. მოლუსკის ნამკვდრევი, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენი ყოვლად ნატიფი აღფრთოვანება თუ, უბრალოდ, აღტაცება. აი, რატომ ვერ უპატრონებ დაღლილ და ხანმოთეულ მშობლებს ისე, როგორც ეკადრებათ და როგორც ამას ტრადიციის სამსჯავრო ითხოვს. შენგან ზურგშექცეული, მაგრამ არა საშინელი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ დამტოვა და აღარასოდეს ან თითქმის აღარასდროს დამიბრუნდებოდა, მაგრამ მე რა მეღონა, მეც ხომ უნდა დავბრუნებულიყავი. მე მზრდიდა იმ ადამიანების მოლოდინი, ვისთვისაც უნდა მეპატრონა, მაგრამ ვერ მავსებდა, პირიქით, მორჩილად ვფუღუროვდებოდი. სულ. სულ. როდემდე მეთქი. მაგრამ ვისაც მე უნდა დავბრუნებოდი, უკვე ცოცხალი აღარ იყო. ვინც მე დავტოვე, ჩემშივე გაცამტვერდა. მარჯვნივ. მეგონა მიშველიდა, მაგრამ გამოვაღე თუ არა კარი, ყელში მწვდა და დახრჩობა დამიპირა. შენ ქარი ხარ თუ მახრჩობელა

მეთქი. უკანვე შემოვბრუნდი, კარი ოდნავ ღიად დავტოვე. აკლიმატიზაციის საიდუმლო. თუმცა მაშინ იქვე დავძენდი, არსებობენ ადაპტირებული ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ხელახალი ადაპტაციის საშიშროებას განიცდიან მეთქი. ესაა ადამიანის განსაკუთრებული ტიპი, რაღაც მსგავსი დეკორატული ყვავილისა თუ ინკუბატორში ნაფერები და დღე-დღეზე გასაწიწილებელი კვერცხის. თეთრი კვერცხების მთა, მაგრამ - ვაკის ტიპის; ან, უფრო ინტიმურ ტალღაზე: წარმოსახვით წარმოდგენილ გამადიდებელ შუშაში, გიგანტურში და კარგად გაპრიალებულში, გადიდებული კენჭოვანი ნაპირი, ზღვის ან მდინარის. წარუმატებელი შედარებების საიდუმლო. რატომღაც - ტერენტი გრანელი. აუთვისებელი.

მაინც გავიდა და გაბედა, ჩაიხედა. მანქანებქვეშ გზაა. თუ მაღაზიის მიმართ სიყვარულიც არსებობს, მაშინ უნდა ვაღიარო, რომ მე ის მაღაზია მიყვარს. არა, გზას არ უყურებს, შესასვლელი გვერდითა მხრიდან აქვს. საკანცელარიო მაღაზია. მუშაობს ამდენიდან ამდენ საათამდე. რიცხვებს დიდ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებ იმიტომ, რომ მათ შორის მოქცეული დროის მონაკვეთი თუმცა კი მყარი და სტაბილურია, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით - უკიდურესად პირობითი. მინდოდა მეთქვა, რომ თუ იგი ხუთ საათზე იკეტება, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს დრო შარშანაც და შარშანწინაც დედამიწის მიმართ მზის მდგომარეობის ისეთსავე სურათს გვიჩვენებდა, როგორსაც მიმდინარე წლის მიმდინარე პერიოდის მანძილზე გვიჩვენებს. მინდოდა მეთქვა, რომ არაფერს გადავეყრებით მოულოდნელს და ალბათურს, თუ რამდენიმე წლის მერე მწუხრი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის აღმნიშვნელი იქნება, შუადღე - მზის ამოსვლის, ხოლო ცისკარი - მთაწმინდაზე შემოღამების. მინდოდა მეთქვა, რომ ენა და ძალადობა ერთმანეთს ვერ ჰგუობს. მოძალადეს უპირობოდ სჭირდება საათი. საათი ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ტერიტორიაზე შეიძლება ენის ენად იქცეს. დაახლოებით ასე: ო, არა, ვინ სთქვა შენი სიკვდილი, შენ მხოლოდ ენას ამოგაგლეჯენ. საათით მართვა იოლია. ასე გგონია? ჯერ დაქოქე და მერე ილაპარაკე. ჯერ სამეტყველო აქტების თეორიას გაეცანი და მერე ილაპარაკე. ანუ, რატომ მაინც და მაინც - "მინდოდა მეთქვა", რატომ - ასე ფრთხილად და სათუთად, რატომ - ასე წინასწარცნობილად? იქ არ მუშაობდა მაღალი, შოკოლადისფერი, და უნაკლო ტან-ფეხით და უბადლო მკერდით წაბლისფერანშავთმიანთავმომწონე ქალიშვილი. იქ მე და ჩემი დაუღლელი ფეხები არასოდეს შევსულვართ, მაგრამ ჩვენ მაღაზია ორივეს თანაბრად გვიყვარდა. მე - ოდნავ მეტად. დიახ, თქვა მან, კარგია გარედან სიყვარული, თუნდაც - ქვემოდან. შენ ხომ ძალიან კარგად ხედავდი, იქ, შიგნით, რაც ხდებოდა. თითქმის ყოველ-

დღე. თითქმის მაშინაც, როცა. მშვენიერი პერსპექტივაა ისეთი მოკრძალებული ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებებით შემკული კაცისთვის, როგორიც შენ ახლავხარ ამ დღეგრძელ სუბიექტებს. როცა იქ ჩავლა არ გიხდება და მხოლოდ მოგონებებში არსებობს მისი იდუმალება, ყვითელი ბათქაშით შელესილი. დაახლოებით ასე: არ იყო შემოდგომა, მაგრამ ბათქაში ცვიოდა.

მაგრამ იყო დრო, როცა ჩვენ ამ მანქანებქვეშ ვიმალებოდით. ასფალტსა და მანქანას შორის. ხოლო მიზეზი მაშინ გავიგეთ, როცა აღარ ვიმალებოდით. ბუტერბროტი.

6.

და ჰკითხავდა მას არტაბაგა რიტაბაგას ძე: "შიშის და სიყვარულის უცნაური ბუნების შესახებ მინდა გკითხო, ვაჯინავალკია. ისინი ხშირად გადაჰკვეთენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ უგონოდ უძირონი მაშინ არიან, როცა ერთმანეთს განეშორებიან". - "ყური დამიგდე, არტაბაგა რიტაბაგას ძევ, უფალი ან უყვართ ან ძრწოლას ჰგვრით, რაც ერთგვარი ხვედრია თითქოს. ადამიანი ჩასახვითვე ინათლება შიშით ან სიყვარულით. მერე და მერე უფრო მკაფიოდ ნათელიყოფა ხოლმე ის ზღვარი, მოყვარულსა და მოშიშარს რომ ერთურთისგან განაცალკევებს. როცა მავანი დიად ღირებულებათა დამფარავი კარიბჭის წინ წარდგომას გადაწყვეტს, მას ეს უცილობელი სამხილით ეუწყება. მაშ, ჯერ სამხილია და მერე - ოქრო. სამხილი თრგუნავს ან აიმედებს. მაგრამ ეს ოდენ ხილულის სფეროა. იქ, უხილავთა სამყაროში, სულ სხვა სუნთქვა გადაგვეშლება, ჩვენ იქ სულ სხვა ვართ. იქ ჩვენვე ვხდებით ერთდროულად შიშიცა და სიყვარულიც, იქ ჩვენ ერთი ვართ". - "მიამბე უფრო გასაგებად ამის შესახებ, ვაჯინავალკია". - "მაშ, ყური დამიგდე, ჩემო მეგობარო, არტაბაგა რიტაბაგას ძევ. ვხედავ: ბავშვები ბურთს თამაშობენ. აი, ჰაერში აიჭრა ბურთი. ბურთს ამ დროს მტრედმა გადაუფრინა. მტრედი და ბურთი. განა არ ძალუძს ერთის ფარულ არსს, მეორის ფარულ არსს მაზიაროს?". - "რატომაც არა, ვაჯინავალკია. მტრედი, რომელიც გატყორცნილ ბურთს დამსგავსებია". - "მე ასე გეტყვი, არტაბაგა რიტაბაგას ძევ: ბურთფერი მტრედი". - "ხოლო მე - ასე: ბურთი, რომელმაც მტრედის სიმძიმით გაჭრა ჰაერი". - "კეთილი, ჩემო მეგობარო: ჰაერი, რომელიც მტრედს ბურთივით უბრუნებს მიწას". - "ო, ვაჯინავალკია: მტრედი, რომელიც სიკვდილის ჟამს ბურთივით მრგვალი მიეცემა". - "მაშ, მტრედივით სავსე ბურთის გამოთქმა გსურს,

არტაბაგა რიტაბაგას ძევ? ყური დამიგდე: არც მტრედი და არც ბურთი საგანი არაა. მტრედი და ბურთი ერთურთს ვერ შეგვაცნობინებენ. მათ საამისო ძალა არ შესწევთ. მაგრამ არსის შეცნობა თვით ამ მტრედის ან ბურთის შეცნობას როდი ნიშნავს. მერე რა, რომ ისინი გასაოცარი ძალისხმევით ყვირიან ერთურთს; მათ არათუ ერთურთის გახსნის, ერთმანეთის ხილვის ნიჭიც არ გააჩნიათ. მათი ძალისხმევის სიდიადე ფრთებს უკვეცავს სწორედ მათსავე შინაგან ვნებას". - მაგრამ საგნები რატომღა არ არიან ისინი, ვაჯინავალკია?". - "იმიტომ, რომ ბურთიც და მტრედიც მხოლოდ გზაა, ჩემო არტაბაგა რიტაბაგას ძევ. ნებისმიერი, რაც არსებობს, საშუალებაა. ისინი ერთურთს ღმერთის ნებით ეძებენ და ამით იმასაც გაამხელენ, რომ საგნები კი არ ყოფილან, თვისებები ყოფილან ღმერთის. და ჩვენც, ყველანი, ხილულნი და უხილავნი, მყარნი და არამყარნი, გარდაცვლილნი და გარდმოსაცვლელნი, არ ვართ საგნები, არც - მოვლენები და ან კიდევ - ხდომილებები, არამედ მხოლოდ - თვისებები. საგნები და მოვლენები მხოლოდ მაშინ ვართ, ერთმანეთს როცა მივშტერებივართ; ამ დროს იქმნება რაღაც ერთობ პირობითი, პირობითობის უწყვეტობა ჩვენი წესია". - "გამოდის, რომ ერთი თვისება მეორეში ვერასოდეს შეაღწევს და ვერასოდეს გადაკვეთს და ვერასოდეს ჩაენაცვლება". - "სწორედ ასეა, არტაბაგა რიტაბაგას ძევ. ეს ყველაფერი ოდენ პირობითობათა სამყაროში გზის გასაგნებად დაწესებულა და ასოების იმ კრებითობას ემსგავსება, რომლის ძალითაც ქაღალდზე უფლის ცნება უნდა გამოისახოს. ქაღალდზე დაწერილი ცნება კი, მოგეხსენება, ღმერთი არაა, არამედ - მხოლოდ თვისება ღმერთის. იმასაც ვიტყვი, რომ ერთურთი ვერ გაგვიგია, თორემ ერთურთი დიახაც ვიცით". - "ერთს დავძენ მხოლოდ, ვაჯინავალკია: შეცნობა თუ ძალადობაა, მაშინ მართლაც რომ მშვენივრად ქმნილა, რაკი ვნებად მისი გარდაქმნა არსებულთაგან არავის ძალუძს".

მაგრამ იყო დრო, როცა ამ ყველაფერს გულდასმით ისმენდი. ის დრო შენზე ფიქრებში ათენ-აღამებდა. ის უმანკო დრო ხილ-ბოსტნეულის ჭამის დრომ შეცვალა. ნეხვი. ჟამი და არა - ხანა.

7.

თენდება. ძაღლები ლურჯად გადახრილ კედლებს დაუბრუნდნენ. ის, რაც ახლა კარგარეთ ხდება, ვერც ერთ სიზმარში ვერ შეაღწევს. უკეთ, ვერც ერთი სიზმარი ვერ მოიპოვებს იმას, რაც ახლა გარეთ ხდება. შესამჩნევად მოძრავი ხეები დადიან და სახლებს, ტროტუარებს, გაზონებს, ვი-

ტრინებს, ჰაერს, სანაგვე ურნებს, მანქანებს, დამარცხებულ პეპლებს სახელდებენ. გარეთ ახლა დასახელებული საგნების და მოვლენების გრძელი რიგი დგას. არსებობს მრავალი კარი, რომელსაც ხის სურნელება შერჩენია და მისით მძიმდებიან დილის ფრინველები. მაგრამ დილა ან მოვა ან - არა. ფეხები ფრთხილი, მოზომილი ნაბიჯებით და ეჭვიანი ღიმილით მიმოდიან. ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც აღარავინ აღარავის აღარ ეკუთვნის. ასე გგონია? ამ ერთი წამით, რომელიც ჩემგან გამოვიდა და შენში შემოვიდა. ყალბია. მაგრამ ასე იყო. განაგრძე. გგონია? მითხარი, გგონია-მეთქი? გინდა თუ არა, მითხარიო. ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა: ვისთვის დამთავრდა მშვიდობით ის, რაც საერთოდ დამთავრდა? ნება მომეცი, გკითხო: კითხვას ვინღა დასვამს? მე მინახავს კარი, რომელიც თავდავიწყებით ჭრიალებდა. მას აღებდნენ და ხურავდნენ. ან კეტავდნენ. მნიშვნელოვანწილად. მომისმინე: ის ახლა ადგება და გარეთ გავა. არა, ის ახლა ადგება, კარს გამოაღებს და გარეთ, აივანზე, გავა. არა, ის კარს არ გამოაღებს, ის კარს გააღებს. მერე აღმოაჩენს, რომ კარსმიღმაც და კარსგამოღმაც თვითონვე ირწევა. "შენ, შე(ნ) ნაბიჭვარო, სამგორში რომ ფეხები აიდგი, ასე აპირებდი დიღმის ველზე გასვლას?". ჯერაც შერჩენია. დიახ, ზურგზე თუ ზურგსქვემოთ არსებულ მხარეებს შორის. "სახელდებენ", ალბათ, ხმამაღლა ჟღერს. "საკბილო" არ ვარგა. რა, გარეგანი ვნებაც არსებობს? ვერ შემოაღწევს.

II
ირიბი თარგი

1.
- დამიჯერე: შენ ახლა წახვალ და კარგად გამოიძინებ. სახლში წახვალ და გამოიძინებ. ხვალ ყველაფერს მშვიდად და უშეცდომოდ განსჯი. ახლა საჭიროა, ეს ერთადერთი დღე მოვიგოთ.

2.
მოჭრილ ყვავილებს მზიანი სინათლე არ უყვართ. უმჯობესია, ყვავილებიანი ლარნაკი ჩრდილში დაიდგას.

3.
- მხედველობის წნეხიდან გამოთავისუფლებული უკანალი ყოველთვის დასაჯდომად როდია განწირული. იგი თავის ურიცხვ ფუნქციას გაიაზრებს, როგორც განხორციელებადი შესაძლებლობების საიმედო მარაგს, სადაც თითოეული ალტერნატივა ძვირფასია.

4.
- გამარჯობა! გვიხარია, რომ გადარჩა. იმედია, უკვე საშიში არაფერია. საიმედო ხელების ტყვეობაში ყოფნა მირჩევნია უმიზნოდ ხეტიალს.

5.
- არა, ხომ შეიძლებოდა, ხიფათს გადავყროდი. ბოლოს და ბოლოს, რაღაცამ ხომ უნდა გაიძულოს ასეთი გულუბრყვილო შეხედულებების უარყოფა.

6.
ტიტები დიდხანს გაძლებენ, თუ წყალში ჩაამატებთ ცოტაოდენ შაქარს. შაქარი ან ერთი ჩაის კოვზი წყალბადის ზეჟანგი სიცოცხლეს უხანგრძლივებს იასამნებს, ხოლო ასპირინის ერთი აბი - მიხაკებს.

7.
- ოჰ, ასეთი გულახდილი და სანდო! ხომ არ შეიძლება, განუწყვეტლივ ცოცხივით ეჭიროთ ხელში და თავ-თავიანთ სახეებს გვიდნენ. როგორც

ჩანს, მშვიდობიან ცხოვრებას პირდებოდნენ და ამიტომაც უარყო გაქ-ცევის ის ერთადერთი შანსი.

8.
- სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენ ცდილობ, ჩემს კითხვებს თავი აარი-დო. გკითხე, იყავი თუ არა მაშინ მაღაზიაში, როცა ეს მოხდა. ხომ არ მიკ-ითხავს, სხვაგანაც თუ იყავი-მეთქი. შენი ჩანთა ხომ ცარიელია.

9.
დილით დავლიე ჩაი. ვჭამე ორი ცალი კარტოფილის ღვეზელი და ორი ნა-ჭერი მარგარინგადასმული პური. ვიყავი გ.-სთან. მე, გ., დ. და დ. ვისხედით, ვსაუბრობდით და ვსვამდით. დავლიე ორი ბოთლი შავი ღვინო. ვჭამე დამ-ჟავებული პომიდვრის სალათა, დ.-ს გამომცხვარი პური, აჯიკა და თაფლი. დ. მთხოვდა, სუპი ჭამეო, მაგრამ არ მინდოდა და არ ვჭამე.

10.
- რატომ არ შეიცვალა არაფერი? ასე მგონია, ნელ-ნელა გიჟდები. მე თვი-თონ წავალ და ყველაფერს მოვიტან, რაც საჭიროა. გარწმუნებ, შენს გან-ზრახვაზე ხელი უნდა აიღო.

11.
ხაოიანი პირსახოცები და ხალათები რბილი და ფაფუკი გახდება, თუ გარე-ცხვის შემდეგ ცოტა ხნით მოათავსებთ მარილიან წყალში.

12.
- წავიკითხე, მაგრამ არ მომეწონა. საერთოდ, დეტექტივი უფრო მიტაც-ებს. ბოლო დროს საერთოდ ვერ ვკითხულობ. სულ მგონია, როცა წიგნს ვკითხულობ, მაშინ ხდება ჩემს ირგვლივ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები. საერთოდ, ესეც წიგნის ბრალი უნდა იყოს. ზოგჯერ ამაზეც ვფიქრობ ხოლმე.

13.
- ასე აჯობებს? კარგი. მაინც გაითვალისწინე, რომ სახლი ცარიელია. მხე-დველობიდან არ გამოგეპაროს.

14.
- ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! არ ვიცი, რა გეშველება.

ასე თუ გაგრძელდა, ადამიანის სახე აღარ შეგრჩება.

15.
- ყურები მიხურს. წარმომიდგენია, რა სანახავი ვარ ასეთ უმწეო მდგომარეობაში. ლამის ჩემი თავი შემიყვარდეს. შენ კი იცინი და სიცილით კვდები, აბა, ეს კარგია?

16.
ნიშადურის სპირტში გახსნილი ერთი მწიკვი მარილი ცხიმიან ლაქებს აცლის აბრეშუმს.

17.
- მე ვთხოვე, რომ წასულიყო. არ წასულიყო? შენ ხომ იქ არ იყავი და არ იცი, რა მდგომარეობაში იყო. მე ის ძალიან მიყვარს და არც მივატოვებ. დიახ, იმათ ჩააყენეს ასეთ მდგომარეობაში. შენ როგორც გინდა, ისე იფიქრე. თუმცა, ნურც ის დაგავიწყდება, რომ მაშინ ყველაფერი ბეწვზე ეკიდა. არა ისეთზე, შენ რომ გგონია.

18.
- აბა, მოყევი! დაფქვი ყველაფერი, თორემ მე თვითონ შევჭამ, შენზე არანაკლებ მიყვარს.

19.
დილით დავლიე ჩაი. ვჭამე ორი ნაჭერი მარგარინგადასმული პური. გ.-მ რძის კომბინატიდან ყველი მოიტანა. ნ.-მ თქვა, ეს ყველი არაა, ეს ხაჭოაო. მე გემო გავუსინჯე. ვთქვი, ყველია მეთქი. ბ.-მ მომცა უცხოური შოკოლადი. კარგი იყო. სულ ვნატრობ: მქონდეს იმდენი ფული, რომ შოკოლადით გული ვიჯერო. საღამოს ვჭამე ნახევარი თეფში მაკარონის სუპი, სამი ნაჭერი ყველი, სამი ნაჭერი პური და ტომატით, მარილით და წიწაკით ჩემს მიერვე დამზადებული საწებელა. დღეიდან პურის მიმართ მომჭირნეობა მმართებს. დავლიე ჩაი.

20.
- მოვა თუ არა გაზაფხული, დავტოვებთ და წავალთ. ასე ეწერა, არა? კარგად არ მახსოვს. იმას კი ისიც არ დაამახსოვდა, როდის იყო ჩანაწერი გაკეთებული.

21.
- ყველაფერი აწონ-დაწონე. ახლა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა იოლია და ფრთხილად უნდა იყო, რომ ეს თევზი შენ არ აღმოჩნდე. ხომ ხედავ, როგორი შეშლილი სახეებით დადიან.

22.
ტუხტის ფესვები შეიცავს ისეთ ლორწოვან ნივთიერებებს, რომელიც ამშვიდებს და ასუსტებს ხველას, გაღიზიანებისგან იცავს ანთებიან გარსს.

23.
- მომეწონა. არც დამიმალავს. ვიგრძენი, რომ გული შემეკუმშა. რა, ჩანაწერს თარიღიც ეჯდა? რა, ეჯდა?

24.
- ისეთი არაფერი. სულ რამდენიმე პერსონაჟია. ერთი, ალბათ, მალე მოკვდება. ჯერ მეასე გვერდზე ვარ. თითქოს ვინმე მაიძულებდეს.

25.
- ასე გადავწყვიტეთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაგვესვა წერტილი ამ ყველაფრისთვის. სიტყვებს ვერ ვპოულობ. წავალ და სადმე დავიკარგები.

26.
- ბოლო დროს სულ იგვიანებს და იგვიანებს. ხანდახან საერთოდაც არ მოდის. ღამეს სად ათევს, მეუბნება.

27.
- ფული გადაიხადე და მერე ვილაპარაკოთ. მართალი იყო მამაჩემი. ხომ გითხარი. ხომ გთხოვე. რატომ არ შეიძინე?

28.
- როგორ ფიქრობ, იოლია ასე ცხოვრება? რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არ მეტყვის. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შენ არ განგიცდია ასეთი რამ? აი, გამოდიხარ გარეთ და ფიქრობ, რომ ყველა და ყველაფერი რაღაცაში და რაღაცნაირად ბრალს გდებს. თან უამრავი სამხილი აქვთ. და, შენ წარმოიდგინე, მეც სასტიკად მრცხვენია. მირჩევნია, არავინ არ მიცნობდეს.

29.
- გაითვალისწინე, რომ მაინც მოგიწევს იმასთან ასვლა. გირჩევნია, დღესვე ნახო და გადასცე, რაც გითხრეს. შენც მოისვენებ.

30.
კუნელი. ყვავილები და ნაყოფის ნაყენი აძლიერებს გულის კუნთის კუმშვას, ამცირებს მის აღგზნებადობას, აჩქარებს სისხლის მიმოქცევას და არეგულირებს გულის მოქმედების რიტმს.

31.
დილით ვჭამე ორი ნაჭერი პური და ორი ნაჭერი ხაჭოყველი. დავლიე ჩაი. საღამოს: კიტრის მწნილი, ერთი თეფში ბრინჯის ფაფა, სამი ნაჭერი პური. დღეს ორი ცალი ვაშლი ვჭამე.

32.
- თუ დაუკრავ, დაუკარი. წუხელ სინათლე არ ჰქონია. ახლა აქვს. დღეს ის მხარე მთლიანად გაჩახჩახებულია. ამასობაში წყალიც ადუღდება.

33.
- გამარჯობა! გამარჯობა! გამარჯობა! რატომ გაუშვი? არ იცი, არ შეიძლება ვინმეს არ უკბინოს? ესე იგი, არ იცი, რომ შეიძლება ვინმეს უკბინოს? საერთოდაც, რატომ უნდა დარბოდეს ასე გიჟივით ამ ტალახებში?!

34.
- მე უფრო ეს ფრაზა მომწონს. არა, ვერ გაიგე. მე მომწონს, რომ გართულებებს ადგილი არა აქვს. ჯანდაბას მაგის თავი.

35.
- ჯანდაბას მაგის თავი! ვუთხარი და არ დაიჯერა. ახლა იდგეს და ორი საათის განმავლობაში სვას ლუდი. შენ ფიქრობ, თვითონ არ ნანობს? უბრალოდ, არ იმჩნევს, ისე, როგორც არასოდეს არაფერს იმჩნევს, მაგრამ მე ხომ კარგად ვიცნობ. ეგონოს, რომ არ ვიცნობ.

36.
თაფლი ამშვიდებს და ახალისებს გაღიზიანებულ სახის კანს. თუ გსურთ ახალგაზრდულად გამოიყურებოდეთ, ერთი კოვზი გამდნარი თაფლი აუ-

რიეთ ერთ კოვზ ლიმონის წვენში და წაისვით სახეზე, 10-15 წუთის შემდეგ ნიღაბი ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

37.
- როგორმე მოევლება. ახლა მთავარია, მალე გათენდეს და ამინდიც შესაფერისი გამოვიდეს. დამიჯერე, დაწექი და კარგად გამოიძინე. მე თვითონ დავრეკავ.

38.
- დღე არ გავა, ოცი-ოცდაათი კაცი არ მოკლან. ვერ გამიგია, რა ხდება. უკვე ხომ იცის ყველამ, რომ ეს ომი არ არის. ასე უტიფრად თვალში ნაცრის შეყრა?

39.
- შენ შენი იცი. მე ის გითხარი, რაც დამაბარეს. იცოდე, გული მეტკინება, რომ დაზარალდე.

40.
- გამოდიხარ გარეთ და ყველაფერი გეუბნება, ვინ მიგდიხარო. თან ესენი, ეს უსულო საგნები, ასფალტის ჩათვლით. თან როგორ ცოცხლებივით არიან, თანაც რამსიგრძე ენები აქვთ.

41.
- ამბობენ, ეს აპორიები ძენონს სულაც არ მოუგონიაო. უბრალოდ, ის, თურმე, უფრო ხშირად იმეორებდა, ვიდრე სხვები.

42.
- არ მოგბეზრდა? მე თუ მკითხავ, მომბეზრდა. აი, შეხედე, იმასაც მობეზრდა. ყველას მოგვეწონა, მაგრამ ყველას მოგვბეზრდა.

43.
- დილით გადავარდა. როგორც ჩანს - შემთხვევით. ამბობენ, ჰაერშივე მოკვდაო. არა, მე არ მინახავს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

44.
- განსაკუთრებით მარტი უყვარს. რა შუაშია ცვალებადობა. უბრალოდ,

არ იცი, ხვალ როგორი ამინდი გამოვა და ამიტომ მიყვარსო. მგონი, მეც შემაყვარა.

45.
- უნდა დაიჯეროს. თუ ეს მოხდა, მერე ყველაფერი თავიდან იქნება დასაწყები. ათივე თითით, წარმოგიდგენია? მე მიკვირდა. სხვათაშორის, იმათაც უკვირდათ.

46.
სრულიად საიდუმლოდ: უნდა დაჩქარდეს ყველა პარტიისა და ორგანიზაციის გაერთიანება და მიღებული იქნას ზომები, რათა ჩვენს სპეცსამსახურებში მყოფმა პირებმა დაიკავონ წამყვანი პოსტები.

47.
- სულ ერთი და იგივე მელოდია. შეიძლება გაგიჟდეს კაცი. თვითონ რატომ არ გიჟდებიან. მგონი, ფსიქოლოგიაში ამას რაღაც ჰქვია. არა, ავადმყოფობა არაა, რაღაც სხვა მოვლენაა. გამახსენდება და ვიტყვი.

48.
დილით: ერთი თეფში ლობიოს სუპი, კიტრის მწნილი და სამი ნაჭერი პური. ნაშუადღევს: სამი ცალი კარტოფილის ღვეზელი(უწვრილესი). ბ.-მ მაჩუქა "სნიკერსი". ძალიან მომეწონა, იშვიათი გემო აქვს. საღამოს: ერთი თეფში ლობიოს სუპი და სამი ნაჭერი პური.

49.
- რამდენიც უნდა, იმდენი იყეფოს. მაინც არ გავუშვებ. ხომ მომივიდა ტალახში ამოგანგლული თუ ამოსვრილი. წვეთ-წვეთად სდიოდა. სულ წვეთ-წვეთად. ახლა იყეფოს. პირსაც არ ავუკრავ.

50.
- მე ვერ გავყვებოდი. იმდენი საქმე მქონდა, სად მეცალა. მეზობელს ვთხოვე. უყურადღებოდ მაინც არ დამიტოვებია და ეს მამშვიდებდა.

51.
ლიმონის წვენი უხდება ცხიმიან კანს. გაჭრილ ლიმონს დაასხით მდუღარე წყალი, თქვენ მიიღებთ ლოსიონს, რომელიც არბილებს და ასუფთავებს კანს.

52.
- თავისი მშობლიური რაიონი განსაკუთრებით უყვარდა. მის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. ხშირად იხსენებდა იქ გატარებულ ყრმობას. რამდენი ტკბილი მოგონება გამოჰყოლია. ფიქრიანი მზერით ვუსმენდით ხოლმე.

53.
- გაიმეორე, ვერ გავიგე. ჩაიაროს და მერე მითხარი, სადაც უნდა შევხვდეთ. 104? ვერ გავიგე. მესმის, გავიგე. კარგი. გელოდები. მე აუცილებლად მოვალ. შენც მოდი.

54.
- ასეა თუ ისე, დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ის ფაქტი, რომ პროგრამის პროექტში საბჭოთა რესპუბლიკების შემდგომი ეკონომიკური და კულტურული აყვავების, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში ერების უფრო მჭიდრო და ყოველმხრივი დაახლოების კურსია ასახული. შენ ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეს.

55.
- ოცის მერე მარტო დატოვება აღარ შეიძლება, სულ იქ უნდა ვიყო. სადმე ახლოს მაინც ყოფილიყო. შორსაა და საშიშია.

56.
- არა, ასე აღარ შეიძლება. ასე მეტყველება აუტანელია. წარმომიდგენია, ასეთი მეტყველების ხელში როგორ იქნება გონება დასახიჩრებული. და მთელი ცხოვრება ასე, მთელი ცხოვრება. დროთა განმავლობაში ხომ გამოთაყვანება თავის აპოგეას მიაღწევს. რა სანახავი იქნება ასეთი გონება!

57.
- დღემდე როგორ ვუძლებდი ან მის გამოხტომებს ან იმ ქალს. უკვე დავიღალე. ხვალ რძეს მოვიტან. ეკლესიაშიც უნდა შევიარო.

58.
- გითხარი, გადაღლილი ხარ და უნდა დაისვენო მეთქი. ყველაფერი კარგად იქნება. საერთოდაც, შენ თვითონაც ხომ კარგად იხდი. მინდოდა მეთქვა, შენ თვითონაც ხომ კარგად იცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ყველაფერი. არ გესწავლება.

59.
- წავა თუ არ წავა? წაიღებს თუ არ წაიღებს? გაატანენ თუ არ გაატანენ? გამისკდა თავი ამდენი ფიქრით. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტოს და გაათავოს!

60.
სრულიად საიდუმლოდ: აუცილებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, რომლის დროსაც სახელმწიფო მოსამსახურეთა(სპეცსამსახურებისა და სამხედრო მრეწველობის გარდა) შემოსავლები მცირე იქნება. ეს პირველ რიგში ეხება ჯანდაცვას, სასამართლოებს, სკოლებს, აგრეთვე ყველა ხელმძღვანელ მუშაკს.

61.
- ხომ ხედავ, რომ ვვარცხნი. რა დღეში ხარ. როდის დალაგდები და როდის ჩამოყალიბდები ადამიანად. ნამდვილი ცხოველი ხარ!

62.
- მე რომ ეს მექნა, გამლანძღავდი. შენთვის ყველაფერი ნებადართულია. მერე სამართლიანობაზე ლექციები უნდა მიკითხო. მერე თითიც უნდა მიქნიო. ნახვამდის, ნახვამდის. როგორც გინდა. საერთოდაც ნურაფერს ეტყვი. კიდევ ერთხელ დავაცემინე.

63.
სიცხის მომატება უფრო ხშირად ინფექციური დაავადების(გრიპის, ყბაყურასი, წითელასი და ა. შ.) პირველი ნიშანია, თუ ბავშვს სიცხე აქვს, იგი უნდა ჩააწვინოთ საწოლში, გამოაცალკევოთ სხვა ბავშვებისაგან. თუ სიცხემ 38 გრადუსზე ზევით აიწია, უნდა მისცეთ სიცხის დასაწევი საშუალება. არავითარ შემთხვევაში ექიმის ნებართვის გარეშე არ მისცეთ სულფადიმები და ანტიბიოტიკები. ავადმყოფს განუწყვეტლივ აძლიეთ რამდენიმე ყლუპი სითხე - კომპოტი, ჩაი, წყალი, წვენები. დიდი რაოდენობით ერთად მიღებული სითხე გამოიწვევს ღებინებას. უმჯობესია შუბლზე დაადოთ ცივი კომპრესი და ხშირად უცვალოთ, რათა იგი გამთბობი კომპრესის მოქმედებით არ შეიცვალოს. თუ სიცხე ძალიან მაღალი არაა, რეკომენდირებულია ბოსტნეულის წვნიანი, ხილის პიურე, შემწვარი ვაშლი, მაწონი, კარტოფილის პიურე. შემდგომ რეჟიმს ექიმი დააზუსტებს.

64.
- რომელი საათია? ტელევიზიამ საინტერესო ინფორმაციები უნდა გადმოსცეს. მე ასე ვფიქრობ. დღეს რთული დღე იყო. ხალხი დაიღალა.

65.
- წესრიგის დამცველებმა ყველაფერი იღონეს, რომ არეულობას ადგილი არ ჰქონოდაო. წესრიგის დამცველები რომ ადგილზე არ ყოფილიყვნენ, მაშინ ხომ არც არეულობას ექნებოდა ადგილი.

66.
- არაფერი არ გამოვა. ვიცი, სასტიკად ყალბი და უტიფარია. რა ვქნა, თუ სულ ესაა ჩემი შესაძლებლობები. ჩემი სიყალბე ჩემი გულწრფელობაა.

67.
- შემდეგ რაიონის ხელმძღვანელებმა ბოტანიკურ ბაღში ოცდაორი ძირი ხე დარგეს. როგორ ამაღლებულ ხასიათს ატარებდა ეს აქცია!

68.
ღამით: დავლიე ჩაი და ვჭამე ერთი ნაჭერი ჯემგადასმული პური. დილით დავლიე ჩაი და ვჭამე ერთი ნაჭერი პური. საღამოს ვჭამე ერთი თეფში ბორშჩი და სამი ნაჭერი პური.

69.
- ყველაფერი დაიწვა და განადგურდა. თუკი რამ გააჩნდათ, ყველაფერი დაკარგეს. ისინი ჯერაც გზას ადგანან და გაურკვეველია, როდის მოგვიახლოვდებიან. აქ წერტილი უნდა დაისვას.

70.
- იმიტომაც შეგაყვარა, რომ რაც იმას უყვარს, შენთვისაც ძვირფასია. რა ბედნიერი ვიქნებოდი, მეც რომ შემეძლოს ის მიყვარდეს, რაც ამ კრეტინს უყვარს.

71.
- ახალმა თაობამ თავისი სათქმელი მოიტანა. თეატრი იძლევა ნიჭის გამოვლენის საშულებას. აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ტაში ანუ აპლოდისმენტი ნახევარ საათს გრძელდებოდა.

72.
- არა, მისამართს ჯერ არ გაგიმხელ. მე თვითონ დავუკავშირდები. ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გაგიხარდება.

73.
- გულახდილად რომ გითხრა, მიკვირს შენი პოზიცია. რა, რა უნდა შეცვლილიყო. შენ თვითონ, რა, შეიცვალე? აბა, ამ დამყაყებულ ქალაქს რას ერჩი, იქნებ გამაგებინო.

74.
კუჭ-ნაწლავის მოშლილობის პირველი ნიშანია ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი და ღებინება. ექიმის მოსვლამდე საკვების მიცემა არ შეიძლება, დასაშვებია ავადმყოფს დავალევინოთ 1-2 ყლუპი სითხე, ჩაი ლიმონის წვენით და ცოტა შაქრით, ან ბრინჯის ნახარშით.

75.
- თავისი უიღბლო მშობიარობის ოცდამეათე დღეზე მერეც ხშირად უფიქრია. იმ დღეს შემთხვევით მოკრა თვალი და ეს თურმე საკმარისი აღმოჩნდა. საერთოდ, იოლად აღგზნებადთა კატეგორიას სულაც არ განეკუთვნებოდა.

76.
- როგორც თვითონ აღნიშნა, მხედველობიდან არ უნდა გამოპარვოდა. აი, ამ დროს მოფრინდა მტრედი. დანარჩენი შენც კარგად იცი.

77.
- მე ასე არ მითქვამს, ყველა და ყველაფერი უნდა გიყვარდეს მეთქი. მე ვთქვი, რაც არსებობს, ყველაფერს ჰყავს თავისი შემყვარებელი მეთქი.

78.
- ვიგრძენი, რომ რაღაც გაფრინდა თავიდან და უფრო მსუბუქი და თავისუფალი გახდა ეს უკანასკნელი. რაც შეეხება პირველს, ის თითქოს თავის მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა. ჩემზე უფრო შემთხვევითი?

79.
- ჩემი ბრალია? რა ვქნა, თუ სხვა არაფერი მაინტერესებს? მე მხოლოდ ეს მაინტერესებს და ვერც ვერავინ მისაყვედურებს, სხვა რატომ არაფე-

რი გაინტერესებსო. მე ყოველთვის შემიძლია ვუპასუხო: ვიყო გონებაშეზღუდული არსება, მაგრამ ჯერ ეს უნდა გავარკვიო მეთქი. ეს ჩემი პრიორიტეტია. თუ უბადრუკია, იყოს უბადრუკი.

80.
- როგორ არ გახსოვს! ეს ის ვილენ ბარსკია, ჩვენ რომ თავზე გადავუფრინეთ. მახსოვს, თვალი როგორ გამოგვაყოლა.

81.
- ამ ცეცხლს გაგიჩენ. შიგ ამოგხვევ და ამოგბუგავ, რომ მომატყუო. უკვე იმდენმა მომატყუა, რომ ჭკუა ვისწავლე. ყველაფერს თავის საზღვარი უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც.

82.
- მოკიდე ხელი და გააკეთე, რასაც გეუბნებიან. ასე თუ გაგრძელდა, მალე მისგან არაფერი დარჩება. როგორ მეტყველებს, წარმოგიდგენია?

83.
სრულიად საიდუმლოდ: განსაკუთრებული გულმოდგინებით თვალყური უნდა ედევნოს იმას, რომ ადგილობრივი პრესა არ ბეჭდავდეს ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ოდენობისა და რა საქონელი გააქვთ ჩვენს ქვეყანაში. ამას არც საქონელგაცვლა არ უნდა ეწოდოს. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პრესა ხაზს უსვამდეს შემოტანილი საქონლის ოდენობას. ამასთან, აქვე უნდა მიეთითოს, რომ ეს ხდება ორმხრივი საქონელგაცვლის ფარგლებში.

84.
- დღესაც იგივე გამეორდება. თუ არ გჯერა, შეგიძლია ახლავე წახვიდე. შენ ხომ იცი, რომ უარს ვიტყვი. თუ კარგია, სხვამ მიიღოს.

85.
- თუ გინდა, დაგენიძლავები, რომ მოტყნავს. არა, ყველას არ აძლევს, მაგრამ იმას მისცემს. ისეთები უსწორდება, არ გაუშვებს. ნახე, თავი თუ არ მოატყვნევინოს.

86.
- ეს ჩემი პრიორიტეტია. მაინტერესებს და რა ვქნა? საერთოდაც, თუ

ჩვენი წარსული ჩვენთვის რაღაცით ძვირფასია, ყველამ ერთად უნდა ვიყვიროთ, რომ ეს ჩვენ ძალიან გვაინტერესებს. ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ ყველაფერი იციან. რატომ გვაყრიან თვალში ნაცარს?

87.
- ჩემთვის იმ ეპიზოდსაც დიდი სიხარული მოუნიჭებია. თუ გახსოვთ, ძალიან სერიოზული სცენა იყო. ამიტომაც ვურჩევ ყველას, უარი არ თქვან არაფერზე. ცხოვრებაში ბევრ რამეზე მითქვამს ხანგრძლივი უარი.

88.
- ასეთი მხიარულების უკან უფრო დარდიანი ვარ ხოლმე. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მკითხო, როგორია შენი ნიღაბიო.

89.
თხელ ჭიქაში ეტევა 250 გ წყალი, რძე, არაჟანი, 200 გ შაქრის ფხვნილი, კარტოფილის ფქვილი, ქიშმიში, მანანის ბურღული, წიწიბურა, 160 გ პურის ფქვილი, 220-230 გ ბრინჯი, ლობიო, ცერცვი, ბარდა, ქერისა და შვრიის ბურღული - 90 გ, ერბო - 245 გ, კარაქი - 210 გ, მცენარეული ზეთი - 240 გ, თაფლი - 325 გ, მურაბა - 330 გ. სადილის კოვზში ეტევა 20 გ. წყალი, თაფლი, რძე, ერბო და მცენარეული ცხიმი, 25 გ - არაჟანი, კარაქი, შაქრის ფხვნილი, ფქვილი, სოდა; 30 გ - მარილი, კარტოფილის ფქვილი; 15 გ - ძმარი, მარგარინი. ჩაის კოვზში: 7-8 გ ბურღული, 5 გ წყალი, რძე, ძმარი, ერბო, ცხოველური და მცენარეული ცხიმი, მარგარინი, 10 გ ფქვილი, შაქარი, მარილი, კარაქი, არაჟანი.

90.
- შენც ყველა დროის ხარ. ამ დროს განსაკუთრებულია ბედნიერებაც და სიკეთეც. პროგრამას ყველამ ერთად უნდა გადახედოს. მერე რამდენი ცრემლი დაიღვარა! ეს ვაჟკაცი და ახალგაზრდა კაცი!

91.
- მისი ორი შვილი აქ ბრძანდება. სანამ პირში სული მიდგას, მე მათ არასოდეს ვუღალატებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ გავიმარჯვებთ და ვიქნებით ბედნიერი ერი!

92.
- თეატრსა და სპორტს შორის, საერთოდ ხელოვნებასა და სპორტს შორ-

ის, იმდენი საერთოა, რომ მგონი ამაზე არც გვიფიქრია. უყურე, შენ, ჯუ-ლია! იმათ პენალტი აქვთ, ჩვენ - მონოლოგის ბოლო წერტილი! თუ პინგ-პონკი შესდგა, დიალოგიც შედგება!

93.
- არადა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. რა ვიცი, იქნებ არც გატყუებდა, მაგრამ გადაწყვეტილი დიახაც ჰქონდა. მაინც ვფიქრობ, რომ რაღაცას ხვდებოდი. წარმოუდგენელია, რაღაც მაინც არ გეგრძნო.

94.
- კარგი, დავუკრავ. მოევლება, როგორ არა, მაგრამ - თავისით? ამ უსულო საგნებმა ხომ სიცოცხლე გამიმწარეს.

95.
- რატომ ჩაურიცხე ამდენი? ვინ იზრუნებს შენზე, საფრთხე რომ დაგემუ-ქროს? მერე მეტყვი, მანქანასავით მელაპარაკებიო. შენთან ერთად მეც რომ გადავყროდი ხიფათს, სად მიდიოდი?

96.
- ეს ინფორმაცია პრეს-ცენტრმა მომაწოდა. რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ მაინც ვერ გავიგებთ. შენ მაინც მზად გქონდეს რეკომენდაციები.

97.
- გაყევი, შენ ყურადღებით მოგისმენს. მე არ ვამბობ, რომ ცარიელი ენთუ-ზიაზმის ფრთებზე უნდა იჯდე. და, საერთოდაც, არაფერს ვამბობ.

98.
- ახლოვდება და მოახლოვდეს. მე არაფრის არ მეშინია, სინდისი თავისუფ-ალი მაქვს. ან ერი აქ რა შუაშია. ვერაფერი გამიგია.

99.
სრულიად საიდუმლოდ: კერძო ფერმერული მეურნეობის მიმართ ისეთი პოლიტიკა უნდა გატარდეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს მეურნეობები წამგებიანი და უსუსურია. ამის შემდეგ უნდა შეუდგნენ სოფლის მეურნე-ობის კოლექტივიზაციას.

100.
- დავუშვათ, ვიყავი, მერე რა შეიცვალა ამით? ან ცარიელი ჩანთა რა საბუ-

თია? გასაკვირი ის იქნებოდა, სავსე რომ ყოფილიყო. შენ თვითონ ხარ ხორაგი!

101.
- მისამართს მაინც არ გეტყვი. ვიცი შენი ხასიათი და იმიტომ. წელიწადი შენს გაგდებას მოვუნდები. მაშინაც ასე არ იყო?

102.
- ესე იგი, ყველაფერი, რასაც შენს მეტი შემფასებელი არ ეყოლებოდა. შენ კი მაინც და მაინც მაშინ მოგინდა გამგზავრება.

103.
დიეტა: I - საუზმე - ერთი ჭიქა ოდნავ დამტკბარი ჩაი, ან ერთი ფინჯანი შავი ყავა; II - საუზმე - 40 გრ. ყველი. სადილი - მოხარშული კვერცხი, 120 გრ. ხორცი მშრალ ჟარონაზე შემწვარი, 200 გრ. ყველი. მინდოდა მეთქვა, 20 გრ. ყველი მეთქი. შუადღე - როგორც პირველი საუზმე. ვახშამი - 120 გრ. ხორცი, ბოსტნეულის სალათა მზესუმზირის ზეთზე დამზადებული. ძილის წინ ერთი ჭიქა პიტნის ნაყენი(რომ მოიხსნათ ნერვიული დაძაბულობა). 7 დღის შემდეგ დარწმუნდებით, რომ დაიკლებთ 3-4 კგ. თუ თქვენ ისევ ვერ დადექით ნორმაზე, შეგიძლიათ გაიმეოროთ კიდევ ორი კვირის შემდეგ.

104.
- კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს ყველაფერი დიდებულია და დიდების ღირსი. მაგრამ ვინ მოკლა ივანე მაჩაბელი? სად გაქრა ივანე მაჩაბელი? ასე ბუზივით, ასე ჭიასავით, ასე ქუჩის ძაღლივით, სად გაქრა ივანე მაჩაბელი? მერე რა, რომ შევხვდით!

105.
- მომეცი და მივუტანი. უნდა ვაცინო. სიცილით სული უნდა ამოვხადო იმ მოსასპობებს. მომცემ?

106.
- ვის ცალია საჭორაოდ? ფული დამავიწყდა. მთავარი ძარღვი ფულია. საფულე სად დავდევი? დამავიწყდა. წავედი და დამავიწყდა.

107.
- აკი გეუბნებოდი, ყურს მოვკრავთ მეთქი. ჩვენ კი ვიხილეთ. ან რატომ

ასე პოეტურად? ხომ შეიძლება უბრალოდ და გაცილებით დამაჯერებ-ლად? მაინც პოეტურია, არა? მაშინ განიძარცვე სამოსელი და იყიდე მახ-ვილი. მერე, ომი რომ დაგიმთავრდება, პირიქით ჰქენი. ომი ხომ სხვასაც უნდა.

108.
დილით დავლიე ერთი ჭიქა ჩაი და ნახევარი ნაჭერი ორცხობილა დავაყო-ლე. ნაშუადღევზე ვჭამე რამდენიმე ცალი ხურმა. ბ.-მ მაჭამა ყველის ორი მოზრდილი ნაჭერი და თითქმის ნახევარი პური(ყველბროტი). საღა-მოს დავლიე ჩაი. ღამის თორმეტ საათზე ვჭამე ბორშჩი(ერთი თეფში) და ოთხი ნაჭერი პური.

109.
- ენას ამოგაძრობენ და ხელს მოგამტვრევენ ან მოგაგლეჯენ. სხვათა შორის, ვიდრე იტყოდე და დაწერდე. შენ სად გგონია თავი?

110.
- ამაზე მერეც ხშირად ფიქრობდა. სხვათა შორის, მერე უფრო მძაფრად აღეგზნებოდა ხოლმე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ მაშინ, იმ ოცდამე-ათე დღეს, სულ სხვა რამ მოხდა. ამის შესახებ ვის არ უამბო.

111.
- ვერ გავიგე. აკი გითხარი, გადაუდებელი საქმე მქონდა მეთქი. არ მესმის. ბოდიშს გიხდი მეთქი. როდის და სად? კარგი. მოვალ, აუცილებლად მო-ვალ. 176, არ დამავიწყდება. აუცილებლად. გკოცნი.

112.
- მე არ გეკითხები, როგორი ამინდია მეთქი გარეთ. მე გეუბნები, როგორი ამინდია მეთქი. იმასაც გეუბნები, როდის დაბრუნდება ის ყველაფერი, რაც მომავალში უნდა მოვიდეს მეთქი.

113.
- ჩაის ფასი ჩვენ იმდენად არ ვიცოდით, არამედ ახლა უნდა გავიგოთო. თუ ჩაი გვექნება, მაშინ იმას მიიღებთ, რაც თქვენს სახლ-კარს, რაც სწო-რედ თქვენს შვილებს და მეზობლებს სჭირდებათო. თქვენთან ჩვეულებ-რივი წყალი რომაა, ისიც ოქროს ფასად გაიყიდებაო. ქვეყანამ მოძრაობა დაიწყო და ხვალინდელი დღე უკეთესი იქნებაო. რაც უფრო მეტი მესა-

კუთრე იქნება, მით უფრო უკეთესიაო. ვარლამი და სხვები დამერწმუნებიან, რომ საბჭოთა პერიოდში გლეხი მიწას არ მოვწყვიტეთო. ვფიქრობდი, ნუთუ ამის მადლიერიც უნდა ვიყოთ, ნუთუ ესეც სიკეთეა მეთქი.

114.
კონსერვის ცხიმი კარგად ამოიყვანება ცარცის ან კბილის ფხვნილით. დააყარეთ ლაქას ერთ-ერთი მათგანი, მჭიდროდ მოჭმუჭნეთ ქსოვილი და დატოვეთ ერთი ღამე. შემდეგ ფხვნილი გადაფერთხეთ და ქსოვილი გაასუფთავეთ. ლაქა გაქრება.

115.
- მე პირს ყოველ დილით ვიბან, ხოლო შენ რაც შეგეხება, იცი, რას გეტყვი? გირჩევნია, სისხლიანი ხელები დაიბანო. და საერთოდაც, ვინც ამ რედაქციაში იმყოფებით, ყველამ თქვენ-თქვენი სისხლიანი ხელები დაიბანეთ, გერჩივნოთ! ამას გეუბნებითო.

116.
დილით: ჩაი, ორი ნაჭერი პური და ერთი ცალი ვაშლი. საღამოს: ბორშჩი და ორი ნაჭერი პური.

117.
- რა სანახავი იქნებოდა ასეთი დასახიჩრებული გონება და ყველა მისი ნამოქმედარი!

118.
სრულიად საიდუმლოდ: ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რათა ბრძანებები და გადაწყვეტილებები - როგორც იურიდიული, ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული - შეიცავდნენ არაკონკრეტულობის ელემენტებს.

119.
- არა, მაინც ვერ ვისწავლე ჭკუა. თუმცა, ერთს მივხვდი: არც არასოდეს მსურდა ჭკუის სწავლა. ყველაფერი ისეა, როგორც მე მინდა რომ იყოს.

120.
ნარგიზები, სუმბულები, შროშნები უნდა მოათავსოთ თბილ წყალში, გეორგინები, გულყვითელები და დევისპირები სასარგებლოა 5-10 წუთის განმავლობაში გააჩეროთ ცხელ წყალში.

121.
- ძნელიც კია ამ სიმღერების გარჩევა ერთმანეთისგან. უკვე აღარც მაინ-ტერესებს. მაშინ გატაცებული ვიყავი, მერე უცებ გადამიარა.

122.
- არქივებიც სდუმან. დამწყვდეული ხელნაწერებიც არ იწვიან, მაგრამ რა ხეირია. ალბათ, იციან და ამიტომ იქცევიან ასე. მაგრამ, როგორც ჩანს, ერთი პირი არც მათ უნდა ჰქონდეთ.

123.
- გეუბნები, წახვალ. კიდევ ერთხელ წახვალ და კიდევ ერთხელ გამოიძი-ნებ. ჩემი ხათრით იზამ ამას. არც მე გახლავარ მანიაკი.

124.
- არ მქონდა თან და რა მექნა. დაირღვა და დაირღვა, რაღას ვუშველი. შენ იმას მიხედე, რაც გადარჩა. როგორ ფიქრობ, არ გამოსწორდება?

125.
- როგორღაც არ უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგრამ რატომღაც არავინ ფიქრობს, საერთოდაც რატომ უნდა უკავშირდებოდნენ ისინი ერთმან-ეთს.

126.
- რა ვიცი, ძმაო. ხომ გვეუბნება უფალი, არათუ არ მოტყნა შენი მოყვასის ცოლი, არამედ არც გაიფიქრო მისი გახეხვაო. მაშინ ჩვენ რაღას გვასწავ-ლიან ეს ყლეები, ჩვენ ხომ უბრალო ხალხი ვართ.

127.
- ყოველ შემთხვევაში, ნუ გაამძაფრებ. მერე შეიძლება, გარკვეული დრო-ის მერე. დამიჯერე და მოიგებ.

128.
- ნუთუ, ვერ ხვდები, რომ მათ თავიანთი წარსული ამძიმებთ. ახლა ისინი თავისუფლები არიან, მაგრამ დაუკვირდი მათ ხმებს, მათ სახეებს, დგო-მას.

129.
- აჰა, ესეც ჯოისის ბრალია? წადი, ის ხილიც შემოიტანე, ჩვენს ბაღშია დაკრეფილი და თუ არ მოგეწონება, არც დაგვძრახო.

130.
- არა, არაფერი არ გამომივა. არც შენ. სასტიკად ყალბია, მაგრამ არა - შეურაცხმყოფელი. ჩვენ ისე გამოვხატოთ, როგორც გვეხერხება, ძალდაუტანებლად და უბრალოდ.

131.
- სულ ჩივიხარ, არაფერი არ ხდებაო. აბა, სხვაგან სად რა ხდება, მითხარი და მერე ვილაპარაკოთ. მერე არც ვილაპარაკებთ. თანაც, ნახე, როგორ თავისუფლად.

132.
- ვთხოვდით, ვეხვეწებოდით, რომ არავისთვის მოეყოლა. ის კი ლამის გამვლელებს უამბობდა. თან როგორი გულისტკივილით. განა არ მესმის. დაიღალა. ყველაფერი იღლება და ის ხომ ყველაზე ადრე. არ შემიცოდოთო.

133.
ყველა ყვავილი ვერ სძლებს ლარნაკში სხვა ყვავილებთან. რეზედა და შროშანა სხვა ყვავილებს ჩქარა აჭკნობენ, ვარდები და მიხაკები ცალკე უფრო დიდხანს სძლებენ, ვიდრე შერეულ თაიგულში.

134.
სრულიად საიდუმლოდ: შეფერხებები უნდა მოხდეს ამა თუ იმ საქონლის მიწოდებაში.

135.
- სად ეძებოს ამ შუაღამისას? არ დაქრის ცხენივით?! არ დაბრუნდება, თუ არ ნახავს. ასე თქვა. ისიც ხომ ადამიანია. რატომ აწვალებენ ასე ერთმანეთს?

136.
- რაიონის გამგეობა აფინანსებს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მაინც არაფერი დატყობია. ნუ ნერვიულობ. ვიცი, რომ მოგბეზრდა.

137.
- ქრისტე ყოველთვის ჩვენთანაა უხილავად. შევიყვაროთ ქრისტე, ვიწამოთ იგი. შეიყვარე უფალი შენი. ის არ მიგვატოვებს გასაჭირში. ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! მერე საზეიმო პროცესია იყო.

138.
დილით: ჩაი და ორი ნაჭერი პური. საღამოს: ერთი თეფში მაკარონის სუპი, დაკონსერვებული პომიდორი და ხუთი ნაჭერი პური, ერთი ვაშლი. ღამით: დაკონსერვებული პომიდორი და ორი ნაჭერი პური.

139.
- ერთი შეხედე, რა ზედახორაა, ნემსი არ ჩავარდება. ნუ იცინი, თორემ დაისჯები. შენ რა, არ გესმის? რა საძაგელი ხარ!

140.
- გადამწყვეტი როლი სწორედ ჩვენს მეჩაიეებს ეკუთვნითო. ჩვენი მეჩაიეები მონდომებით შეასრულებენ დასახულ ამოცანებსო.

141.
- მერე ჩვენ რა, ვიცოდებდით? რაც უნდა გვცოდნოდა მასზე, შეხედავდი და გაგიქრებოდა ეგ განცდა. არ გაძლევდა საშველს. არ გებრძოდა, მაგრამ მაინც ისე გაიძულებდა, როგორც თვითონ უნდოდა.

142.
- ჩვენს ახალგაზრდებს ეს ყველაფერი ვერაფერსაც ვერ შეახსენებს. ვერც სოლომონის, თუნდაც იგი ძალიან დიდი იყოს, დარიგებები შეახსენებს მათ ვერაფერს. იმიტომ, რომ ხმა არ მოსწონთ. არც მე მომწონს.

143.
- გამორთე, თორემ უკვე აუტანელია. მეზიზღება ეს ორსახელა ადამიანი. ისე, თუ დაფიქრებულხარ, ორსახელა და უსახელო როგორ უხდებიან ერთმანეთს. ჩასვი ბრჭყალებში და დაფიქრდი. გამორთე, გამორთე!

144.
- ჰო, ასე ეწერა. ერთად ვესტუმროთ. შენ თვითონ გადაწყვიტე, ოღონდ უნდა გთხოვო, რომ არ შემარცხვინო, კარგი?

145.
სრულიად საიდუმლოდ: ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ნებისმიერ საკითხს ერთდროულად სწავლობდეს რამდენიმე კომიტეტი, დაწესებულება და ორგანიზაცია. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ გავლენა მოახდინოს საწარმოთა საქმიანობაზე. ხელმძღვანელის როლი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ განკარგულებების შესრულებით.

146.
- ან როგორ არ შეეშინდა. თან იმ სასტიკ დროში, დღემდე რომ გრძელდება. პირდაპირ რედაქციაში. სწორედ ასე უთქვამს იმ ნაძირალასთვის თუ ნაძირლისთვის.

147.
თუ გსურთ ქსოვილიდან ცხიმის ლაქა სწრაფად ამოიყვანოთ, დალაქულ ადგილს დააყარეთ ფხვნილი, დააფინეთ ქაღალდი და გააუთოვეთ. ასევე შეგიძლიათ ამოიყვანოთ ცხიმის ლაქა შპალერიდან.

148.
- მე კი გეუბნები, მოიძებნება თუ არა ივანე მაჩაბლის მკვლელი, საქართველოს ისტორია ხელახლა იქნება დასაწერი.

149.
დილით: ჩაი და ერთი ნაჭერი მარგარინგადასმული პური; ერთი ცალი ვაშლი. შუადღეს: ხორცის კონსერვი, პიურე და პური. საღამოს: რამდენიმე ნაჭერი პური და ცხარე საწებელა.

150.
- არ მჯერა იმიტომ, რომ ისინი ფუნქციონრები არიან. რაოდენ სასიკეთო საქმეებიც არ უნდა აკეთონ, მაინც ფუნქციონრები არიან.

151.
- ჩამოთვალე, ჩამოთვალე, მაგრამ სკუპ-სკუპით, დავიღლები და აღარ მოგისმენ. ნუ იცინი!

152.
- ეს ყველაზე უფრო ბნელი სამყაროა. აქ ყველაფერი დაფარული და საი-

დუმლოა, ყველაფერი სუფთად და უკვალოდ ხდება. გირჩევ, სხვა გზა აირჩიო.

153.
- აი, უკვე რეკავს. არც ისინი ცდილობენ, არც - ჩვენ. შენც რა ქადაგად გაიკრიფე.

154.
- ვერ გაიგებ, გალობენ თუ ძველბიჭობენ. ეს სახელი რას ნიშნავს? მოკიდე ხელი, თორემ დაეცემა.

155.
გაჭუჭყიანებული ქოლგა კარგად გაიწმინდება თანაბარი რაოდენობით აღებული ძმრისა და წყლის ნაზავით.

156.
- ისე ამბობ, თითქოს უკვე დაწერილი იყოს, თანაც სულ ნაირ-ნაირები, ასარჩევად. აი, ახლა კი ოოო, ახლა მთავარი იწყება.

157.
- თუმცა ნაძირალა რატომაა? ისიც ხომ მსხვერპლია. რამდენი გააფუჭეს ამ ნაბიჭვრებმა. რამდენმა წაიწყმიდა სული.

158.
- მთელი ტყეპარკი გაჩეხილი ყოფილა. თუ ღმერთმა ინება, გადაურჩებიან მომავალ ზამთარს. მე იქ არ ვიქნები.

159.
- შეჭამ და შეჭამე, მე კიდევ მოვიტან. მოყოლით მოგიყვები, მაგრამ პირს არ დავაკარებ. გითხარი და გავათავე!

160.
სრულიად საიდუმლოდ: საქმე ისეთნაირად უნდა წარიმართოს, რომ სამსახურებრივად წინაურდებოდნენ მხოლოდ ის ხელმძღვანელები, რომლებიც გულმოდგინედ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს და არ შეუძლიათ იმ პრობლემების ანალიზი, რომლებიც სცილდება მათი უშუალო მოღვაწეობის ჩარჩოებს.

161.
- რაღაც იმდენად ეკლექტიკურია, რომ არ გიზიდავს. რაცაა, ესაა. მე სულ სხვა მიზანი მაქვს, ვიდრე მიზიდულობის წისქვილზე წყლის დასხმაა.

162.
- გადამწყვეტი როლი სწორედ ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს ყოველთვის ეკუთვნოდათო. მე მჯერა, ისინი არ მიღალატებენ და ჩვენ არ გვიღალატებენო. ეჭვი ეპარებოდა, ალბათ.

163.
- გითხარი, სანამ პირში სული მიდგას, არ ვუღალატებ მეთქი. ახლა მოკიდე შენს ჩანთას ხელი და დატოვე ჩემი სახლი. სამოქმედო ველი სხვაგან მოიპოვე.

164.
- მარტო მაინც ნუ დამტოვებ. ნურც მას დატოვებთ, ეს რამდენიმე დღე მაინც მიუძღვენით. ღირსეულად დაგიფასებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

165.
- შენ ფიქრობ, რომ ჩიხში მოვექეცით? მაშინ გამოსვლას რა აზრი აქვს? რაღაც არასასიამოვნო სიზმარი ვნახე. ჰო, წუხელ.

166.
- მძიმე ჭრილობაა? ბედი ჰქონია, რომ მალევე მიაგნეს. წარმომიდგენია, რა დღეში იქნებოდა.

167.
- იმას უთხარი, წავიდეს და დაისვენოს. ხვალ დაგვჭირდება და ასე წაშლილმა რა უნდა აკეთოს. თუ გინდა, წაყევი და დაამშვიდე.

168.
წითელი და შავი მოცვი მდიდარია მენზოლის მჟავათი და ფიტონციდებით. მათი წვენი და ნაყენი გამოიყენება ღრძილების, პირის ღრუსა და ყელის ანთებისას გამოსავლებად.

169.
- რას ერჩი, არის თავისთვის, არავის აწუხებს. ხომ ვიცი, რა სატანჯველი იქნები მისთვის. შეიძლება, სულაც გადაიკარგოს აქედან.

170.
- მოციქულ პავლეზე ბაასობს. საოცარი სულაც არაა. საოცარი ისაა, როგორ ძალიან ჰგავს ეს კაცი რომაელ ჯარისკაცს. გეგონება, რაღაც სახელმწიფო ბრძანებას კითხულობდეს. ხმაც როგორ ხელს უწყობს. ნახე: დაიმახსოოვრეეე! ანგრრრევს! თუ არ მოოოვიკკვეთთ! აზროვნების კულტურა უნდა ვისწავლოთო, ნახე. ნახე, ნახე, დიდ წარმატებას მოვიპოვებთო. ჰო, პავლეზე თქვა, თითქოს ჩვენზე წერსო. კარგი, კარგი!

171.
სრულიად საიდუმლოდ: ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული ხელმძღვანელების საჯარო სიტყვებში დასაშვებია ეროვნული ელფერის მქონე აზრები, მაგრამ მათ ხელი არ უნდა შეუწყონ ეროვნული ერთიანობის ზრდას.

172.
- მე არაფერსაც არ ვცდილობ. ისე გიყვები, როგორც იყო. რამდენჯერ უნდა გითხრა, მაღაზიაში არ შევსულვარ მეთქი.

173.
დილით დავლიე ჩაი. შუადღეს კაფეში ვჭამე ერთი ცალი უყველაფრო და უმარილო ხაჭაპური. საღამოს: ერთი ცალი დედას გამომცხვარი პური და სამი ნაჭერი ყველი. დავლიე ჩაი.

174.
დილის 6 საათზე დავლიე მაგარი ჩაი და ვჭამე ორი ნაჭერი ორცხობილა. შ.-ს დაბადების დღეზე ვჭამე ცოტა ტოლმა, ცოტა საცივი, ცოტა ლობიანი და ცოტა მჭადი.

175.
დილით: ერთი ნაჭერი პური და ერთი თეფში ბრინჯის ფაფა(ურძეო). დავლიე ჩაი. ღამით: ერთი თეფში ლობიოს სუპი და სამი ნაჭერი პური. დავლიე ერთი ჭიქა ჩაი.

176.
დღეს გარეთ არ უნდა გახვიდეთ, ძალიან ცივა
დღეს თეთრი პერანგი უნდა ჩაიცვათ
ჩვენი ფანჯრიდან ზღვა მოჩანდა
ქალი ახლახანს ჩამოვიდა პარიზში და არავინ იცნობს
დაბრუნდით, როგორც კი მოახერხებთ, მე გელით. როდის დაბრუნდებით?

177.
- არა, ვიცი, რომ რაღაც ძალიან არასასიამოვნო იყო, მაგრამ რა ვნახე, არ მახსენდება. შენ არ გემართება ასე? ემოცია მოგყვება, სიზმრის შინაარსს კი ვერ იხსენებ.

178.
- მე უნდა გითხრათ, რომ ვიღაცას რაღაც შეიძლება წამოცდეს სამეგრელოზეო. მე კი გეტყვით, რომ სამეგრელო მაგარ ფეხებზე დადგა და მაგარი ხერხემალი აქვსო. ვისაც საქართველოს ერთიანობა სწამს, მან უნდა იცოდეს სამეგრელოს ფასიო. მინდა, ყველაფრისთვის მადლობა გითხრათ და თითოეულ თქვენგანს ბედნიერება გისურვოთო.

179.
ფარსმანდუკი და ბაბუაწვერა გამოიყენება ქრონიკული გასტრიტისა და წყლულების დროს, ისინი აუმჯობესებენ საჭმლის მონელებას და აყუჩებენ ტკივილს კუჭსა და ნაწლავებში.

180.
- გადავეყრები და გადავეყარო. ვერაფერიც ვერ მაიძულებს. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ასე ვფიქრობ, შენ კი ტყუილად იშლი ნერვებს.

181.
- ყოველი საქმე, რომელიც ლოცვით იწყება, წარმატებით იწყებაო, ნახე. ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა, მთელი პარტიული ელიტა აქაა.

182.
- აბა, სხვა ვინ უნდა გაგხსენებოდა! არ ვჩხუბობ და არ ვნერვიულობ, დავიღალე. უკვე ყველაფერს გულსგარეთ აღვიქვამ.

183.
- თუ უნდა, მოიყვანოს. დაუდასტურე და ნურაფერს ეტყვი. შემოიყვანოს, ოღონდ დიდხანს ნუ გაჩერდება. ჯერ ისევ სუსტად ვარ.

184.
- შენ რომ არ ყოფილიყავი, არ ვიცი, რა გვეშველებოდა. ბედზე მოუსწარი, ხომ? მადლობის მეტი რა გვეთქმის.

185.
- ცხოვრება ესაა. ყველაფერი ფეხებზე უნდა გეკიდოს. ცოტა ეშმაკობა და ცოტა გაძლება ყოველთვის საჭიროა.

186.
- წაუღე. რომ ენდობი, არ უნდა დაფიქრდე, ვის ენდობი? მაგას რაც უყვარს, კარგად ვიცი. ერთი სიტყვით, შენ თვითონ ნახავ.

187.
- სად აქ? ტაძარში თუ ტელევიზორში? რა მნიშვნელობა აქვს, არა? მთავარია, ყველა აქაა, არა? ნახე, ნახე!

188.
სრულიად საიდუმლოდ: სამრეწველო ობიექტების აღდგენისას და მშენებლობისას უნდა გაისარჯონ იმაზე, რომ საწარმოო ნარჩენები ხვდებოდეს წყალსატევებში, საიდანაც მოსახლეობა იღებს სასმელ წყალს.

189.
- საიდან მოხვედით ასეთი ჭკვიანები? გარდერობშია, გააღე და ჩამოხსენი. სხვა დროს აღარ გათხოვებ.

190.
- აი, ასე იკარგებიან. მათი კვალი ჩვენ ვართ. მთელი ცხოვრება, წარმოგიდგენია? რა შუაშია სენტიმენტალიზმი?

191.
- აი, ეს სიტყვა: დრიბლინგი, დრიბლინგი. მნიშვნელობა ნაკლებად მაინტერესებს. უბრალოდ, ამეკვიატა და დღეში ორასჯერ ვიმეორებ.

192.
მარილი ათეთრებს სახესა და ხელებს, ამცირებს ქუთუთოების შეშუპებ-
ას, მარილიანი წყლის საფენი(ერთი ჩაის კოვზი მარილი ერთ ჭიქა წყალზე)
დაიდეთ ქუთუთოებსა და სახეზე, ხელებზე გაიკეთეთ თბილი მარილიანი
აბაზანები.

193.
- გულახდილად მითხარი, მართლა ვერაფერს ხვდებოდი? ასე უაზროდ
როგორ მოხდა? რატომღაც მგონია, რომ მაგ ყველაფერს რაღაც მთავარი
დეტალი აკლია.

194.
- სიმბოლურია, რომ მეჩაიეთა რაიონული თათბირი სწორედ ზუგდიდში
გაიმართაო. ჩაის პლანტაციებში სრული დატვირთვით არ ტარდებოდა
ტექნოლოგიური სამუშაოებიო. მეჩაიეთა შორის უმჯობესდება უზრუნ-
ველყოფის საკითხიო. შემუშავებულია რეკომენდაციებიო.

195.
- რა შუაშია იაფფასიანი? აბა, შემოაბრუნე და უკუღმა იფიქრე, რა გამო-
გივა. შენ საერთოდაც არაფერი არ გამოგივა.

196.
- ესეც ფსიქიკის თვისებაა. შენთვის მე არაფერი დამიბრალებია. მე უარე-
სებს ჩავდიოდი.

197.
დილით: ერთი ჭიქა ჩაი, რამდენიმე კოვზი ლობიოს სუპი და ორი ნაჭერი
პური. საღამოს: ოთხი ნაჭერი პური, ერთი თეფში კომბოსტოს ჩაშუშული
და ერთი ჭიქა ჩაი.

198.
- რამდენი ძირი? ყოჩაღ, კარგად უმუშავიათ. ეჰ, ნეტავ ჩვენ როდის დაგ-
ვარგვევინებენ?

199.
- ყველამ უნდა იცოდეს, რისთვისაა იგი მოწოდებული. ერთი ცნობილი
ფილოსოფოსი ათას და ერთ მიზეზზე მსჯელობსო. გზა რომ განვლო,

ჯერ ერთი მცირე ნაბიჯი უნდა გადადგაო. ზოგიერთნი ჰიპნოზის გავლენის ქვეშ იმყოფებიანო. ღმერთო ჩემო, რა საზიზღრობაა!

200.
- ჭიქა მომაწოდე და პური დაჭერი. უჯრაში უნდა იდოს, ამოიღე და დაქოქე. მოვდივარ.

201.
- ხალიჩაც აკეცოს. მერე როდისღა წაიღებს. ათასი საზრუნავი გაუჩნდება. ათასი საზრუნავი.

202.
ქავილი, სიწითლე, კოღოს ან ფუტკრის ნაკბენით გამოწვეული შესიება შემცირდება, თუ კანზე წაისვამთ გულყვითელას, მრავალძარღვას, ხახვის ან ახალი ოხრახუშის ფოთლების წვენს. კოღოს ნაკბენით გამოწვეული ქავილი გაქრება, თუ ისარგებლებთ ლიმონის წვენით, სუფრის ძმრით, ნიშადურის სპირტით ან სოდიანი ხსნარით(ნახევარი ჩაის კოვზი სოდა ერთ ჭიქა წყალზე).

203.
- არავინ არაფერს არ პირდება. არც ერთი. თითოეულს თავისი დამოუკიდებელი ღირებულება აქვს და ადგილიდან არ იძვრის. არც მეორეზე თუ მესამეზე მიუთითებს. ან რატომ უნდა მიუთითებდეს?

204.
- პირს მაინც ვერ დაიბანს. კიდევ კარგი, რომ ჭრილობა მალე მოშუშდა. ესენიც ისეთი მოუცლელები გახდნენ.

205.
- თუ უყვარს, იტყვის. დარწმუნებული ვარ, მის ნაცვლად სხვა რომ ყოფილიყო, თავისი ფეხით მივიდოდა და ყველაფერს იტყოდა.

206.
- არა, ჯერ არ იცის. მამამისს შეატყობინეს, თვითონ ჯერ არ იცის. ექიმმა თქვა, სასურველია, ჯერ არ იცოდესო.

207.
სრულიად საიდუმლოდ: ყველა დარგში შეძლებისდაგვარად უნდა წახალისდეს ადმინისტრაციული აპარატის მნიშვნელოვანი ზრდა. აპარატის კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადმინისტრაციული აპარატის შემცირება და მისი ნორმალური მუშაობისთვის ხელის შეშლა.

208.
დილით: ჩაშუშული კომბოსტო და სამი ნაჭერი პური. ბ.-მ მაჭამა ყველი და პური. ღამით: სამი ნაჭერი გახუხული პური და ჩაშუშული კომბოსტო.

209.
- ბუნების აღწერა მიმდინარეობს მთელ ათ გვერდზე. მე ვკითხე, რომ გამოვტოვო, რა დაშავდება მეთქი. არაფერი, მაგრამ სხვა დროს აუცილებლად წაიკითხეო.

210.
- არ ვამძაფრებ. ეს არც შედის ჩემს ინტერესებში. სხვათა შორის, არც ახლა და არც მერე. მე სულ სხვა რამ ჩავიფიქრე და განვახორციელებ კიდეც.

211.
თუ ავადმყოფი მუცლის არეში გაურკვეველ ტკივილს გრძნობს და ეჭვი გვეპარება მწვავე აპენდიციტზე, არ შეიძლება სათბურის გამოყენება, ტკივილ-გამაყუჩებელი საშუალების მიცემა. ეს ექიმს ხელს შეუშლის დიაგნოზის დადგენაში.

212.
- მერე მისი ორი შვილი რა შუაშია. არა, მე მესმის, გასაგებია, რომ მათაც იმოქმედეს, მაგრამ. თუმცა, რა საჭიროა ახლა ამაზე ლაპარაკი. მოსახდენი მაინც ყოველთვის ხდება.

213.
- გეუბნები, გამოვა. შენ ნუ მწუხარებ. ერთი შეგახედა შენი თავისთვის, რასა ჰგავხარ. თუ გაგიგია თვითგანადგურებისკენ ფარული ლტოლვის კომპლექსი?

214.
- შეიარე? გამოდის, რომ მაინც და მაინც ჩემთვის გაქრა ყველა სანთელი. შენ ის თქვი, მალე ეკლესიებიც რომ გააქრონ. ჩვენთვის გააქრობენ.

215.
- ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტოს და გაათაოს. ასე შემაწუხებლად ერთ-ფეროვანი მაშინ არ ყოფილა, როცა არ მიყვარდა და ახლა რა რისხვა და-ატყდა!

216.
- რძეც ამოიტანოს, ბოთლები დააწიე. ერთხელ კი, მაგრამ მერე მაგაზე ნაღდად აღარ ამიდგება. ვიცი, ერთხელ არ აწყობს. ეგ საყვარელს ეძებს, ეძებოს!

217.
- გამახსენდა, გამახსენდა. ჩაის რომ ვსვამდით, არა? მაგრამ სხვებმა რა-ტომ ვერ შენიშნეს? არც ეს გამიკვირდეს?

218.
საშუალო ზომის პამიდორი, ვაშლი, კარტოფილი, კიტრი თითქმის ერთნა-ირი წონისაა: 100 გ-მდე სტაფილო, ხახვი 75 გ., კომბოსტო 1500გ., ყვავი-ლოვანი კომბოსტო - 750 გ., უნაჭუჭო კვერცხი - 43 გ., შაქრის ნატეხი - 9გ.

219.
- ომები ართულებენ პიროვნებებსო, ნახე. ნუ გაბედავთ თავის მოკვლას, თორემ სამუდამო ტანჯვისთვის გაიწირებითო, ნახე. იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოთო, ნახე.

220.
- დედიშენის ტრაკმა! რომ გეუბნებიან, გაიხადე, შე ყლექალა, შენა! თორე ჯერ არ მოგხვედრია! ის წიგნი არ დამიკარგოს, მჭირდება!

221.
- მზად ხარ, მიაგო ოპონენტს სათქმელი. შეჩერდი, არ აჩქარდე. მიეცი მოკამათეს. ვიდრე მოწინააღმდეგე ლაპარაკობს, კი არ უსმინო, არამედ უფალს დაუწყე თხოვნა, იყოს შუამავალი შენსა და შენს მოწინააღმდეგეს შორისო.

222.
დილით ერთი ჭიქა ჩაი და ორი ნაჭერი მარგარინგადასმული პური. ღამით: ახალი შავი პური(თითქმის ნახევარზე მეტი) და ცხარე ტომატი.

223.
სრულიად საიდუმლოდ: კერძო მეწარმეები და ხელოსნები უნდა მარაგდებოდნენ ისეთი მანქანებითა და ნედლეულით, რომლებიც შეუძლებელს გახდიან ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას. ფასები ამ პროდუქციაზე უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე სახელმწიფოსაზე.

224.
- არა მგონია, რომ აპატიონ. რომც აპატიონ, თვითონ არ აპატიებს თავის თავს. თუმცა რას გაიგებ, ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული. მგონი, საგანგებოდ.

225.
- არა, არავინ არაფერს არ პირდებოდა. უბრალოდ, მობეზრდა და დაიღალა. თუმცა, ეს ხომ ერთი და იგივეა. თითქმის ოცდახუთი.

226.
სილამაზის ფრანგული სალათა: 2 სუფრის კოვზი ჰერკულესი. 6 კოვზი ანადუღარი ცივი წყალი. 3 კოვზი ადუღებული რძე(ცივი). 1 კოვზი შაქარი. 1 მოზრდილი ვაშლი. 1 ლიმონის წვენი. სალათა მზადდება ასე: ჰერკულესს დავასხათ წყალი და დავტოვოთ ასე ერთი საათი, შემდეგ დავამატოთ რძე, შაქარი და მსხვილ სახეხზე კანთან ერთად გახეხილი ვაშლი, დავამატოთ აგრეთვე ლიმონის წვენი და სალათა მზადაა. ეს სალათა სასარგებლოა სახის კანისათვის, აგრეთვე თმები ხდება ელასტიკური და თუ ასეთ სალათას მიიღებთ დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, დამერწმუნეთ, თავს ვეღარ იცნობთ.

227.
- ძალიან სენტიმენტალური ხარ. რა, ადრე მარტი არ იყო ხოლმე? უბრალოდ, სიბერე შემოგეპარა. აბა, რა სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ურიგოდ არ მოვქცეულვართ.

228.
- გაუშვი, გაუშვი, ცოდოა. აბა, შენ იყო მაგის ადგილას. კი არ დაგცინი,

მართლა გეუბნები. ჰო, გაუშვი მეთქი, არ გეცოდება? რას აყეფებ!

229.
- ასე უაზროდ სულაც არ მომხდარა. უბრალოდ, მე წინა დღით ველაპარაკე და უკვე მზად იყო. მე არ მოვმზადებულვარ. ვერც წარმოვიდგენდი.

230.
- ჩვენ რეალურად უნდა აღვიქვათ სამყარო. სამყარო ღვთაებრივი ნაყოფია. ცნობილი ფილოსოფოსი პავლოვი წერდაო, ნახე. ყოველი ხილული და უხილავი ღვთის ქმნილებააო, ნახე. ირინეოსი გვარიგებს, მის ხელში მორჩილი თიხა ვიყოთო, გესმის? ვის ხელში, ვერ გავიგე.

231.
შუადღეზე: ერთი ნაჭერი ლობიანი და ორი ნაჭერი "ნაპოლეონი". საღამოს: რამდენიმე ნაჭერი პური. ღამით: კარტოფილის ხაჭაპური, ერთი ცალი. მთელი დღის განმავლობაში: ასი გრამი არაყი, ერთი ჭიქა შამპანური, ხუთი ჭიქა ღვინო.

232.
- მგონი, თავის სიკვდილს თავისი ფეხით დაეძებს. ამდენი ტვინი თუ აქვს, სხვა საქმე აკეთოს. რა, ტვინით გასაკეთებელი საქმე ცოტაა?

233.
- შემრჩება, შემრჩება. უფრო ავყვავდები. შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ იმას არ დავემსგავსები. თუ შენ გინდა, დავემსგავსები. დავემსგავსო? ვა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

234.
- რაც უფრო ხშირად იტყვი, მით უფრო გააუფასურებ. ხომ ითქვა უკვე და გასაგებია. გამგონი გაიგებს. გამგებიც გაიგებს. ამჯანყებელი აჯანყდება.

235.
- წაშალე, წაშალე, სრულყოფილი უნიჭობაა. თუმცა, ნიჭიერების საბუთი რატომ უნდა ყოფილიყო. ასე, არა? ყველაფერი ისე როგორაა, შენ როგორც გინდა?! უნდა გავილაშქრო.

236.
- კარგი, გავითვალისწინებ. ვერ გავიგე, რატომ მელაპარაკები გამომძიებელივით. შენ ხომ იცი, რომ თუ არ გამახსენდა, მაინც ვერ შევივლი.

237.
სრულიად საიდუმლოდ: პოლიტიკური მოწინააღმდეგეები უნდა დააპატიმრონ, ისინი ვისაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით აფასებს, უნდა დამუშავდნენ. ისინი უნდა მოექცნენ იზოლაციაში ვითომდა კანონების დარღვევისათვის, ანდა მოცილებულ იქნენ ე. წ. უბედური შემთხვევის მეშვეობით ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქმე ოფიციალურ დონეზე გახმაურდება.

238.
- გეუბნებოდი, ვერ იცოცხლებს მეთქი. მაინც მოკლეს ეს უბედური. რა დააშავა? არა, უბრალოდ ჩემთვისაა გაუგებარი, რა დააშავა. ვიცი, რომ ალბათ დააშავა.

239.
- არაფერი სანახავიც არ ხარ. გაგივლის და ისევ გაქცევაზე დაიწყებ ოცნებას. ფიქრსაც. ეს მაინც დამიდასტურე, ყოველდღე ერთი და იგივე არ მეორდება? არა?

240.
გრძელი, ირიბად მოჭრილი ყვავილის ღერო ტენს უკეთესად შეიწოვს. ყვავილის ღეროს ქვემოთა ფოთლები აუცილებლად უნდა მოსცილდეს, რადგან ისინი წყალში ლპებიან და აავადებენ წყალს.

III
წასვლა

1.

ეს ნივთები და მოძრაობები ახლა ერთმანეთს მხოლოდ ლამფის შუქზე ხედავენ, მაგრამ გათენდება თუ არა, ლამფის ფუნქცია გამოირიცხება, და მათი მეხსიერება ცეცხლის ალთან ერთად დაიწყებს ქრობას, თუმცა ქრობის ამ აქტს მზერას ვერავინ მიადევნებს, ვერც უსულო და ვერც სულიერი. მით უმეტეს, რომ ჩვენ უკვე შევთანხმდით: უსულო ინსტანციები არ არსებობენ. და არც არიან? დადებითად უპასუხა და დაჯდა. ერთმანეთისკენ გაწვდილ ორ მარჯვენას შორის მანძილი მოგვიანებით იზომება, - მაშინ, როცა აღარ მნიშვნელობს. თითოეული მდუმარე მარჯვენა თავის ჩვეულ საქმეს შესდგომია და იღწვის, ხოლო ჩვენ წინ და უკან უნდა ვაწყდებოდეთ და დროშებს ვიქნევდეთ. მაშ, ასე, შენ თვლი, რომ მიმორბენის უწყვეტობა ხვედრია, ხოლო მიმოსვლის ნაწყვეტ-ნაწყვეტობა - მსჯავრი? ვისთვის ან რისთვის აღარ მნიშვნელობს? გამოტყდი, რომ შენ კი არა, შენი ყოფილი სატრფო მიმოქრის და გაიძულებს, აღწერო მისკენ მითითებული ფაქტების ის ნაწილი მაინც, რომელმაც უკვე მიგატოვა. ძლიერები არ წყვილდებიანო. და გაქრა.

მე კი გეუბნები: ნერვები დამაწყდა. შენ მეუბნები, რომ ნერვები დაგაწყდა. არა, მე ვამბობ: ნერვები დამაწყდა. მაგრამ - მშვიდად და გულდაწყვეტით. ჯერ კიდევ გუშინ თითქმის არაფერი მესმოდა სიმართლის; არ ვიცოდი, რატომ მაინც და მაინც მაგნიტოფონისთვის უნდა მიენიჭებინა დაკარგულ უორჰოლს გრძნობების სტაბილიზატორის უმანკო ფუნქცია და რატომ იმ შორეულ წარსულზე ეოცნება, როცა ადამიანები ერთმანეთს გაუცინ-გამოუცინებენ, გულდაგულ მიმოიკითხავენ, ურჩევენ, რჩევებს მიიღებენ, სხვა მრავალ თვალსაჩინო ცოდვას ჩაიდენენ, თვალები კი იგივე ექნებათ, - თავიანთი, სარკეში წაკითხული, ძველი. ამიტომ? ეს სიძველე კონკრეტულ და განუმეორებელ წარსულს აღნიშნავს და გასცემს. ყველას თავისი მიეზღვება, დამსახურების შესაბამისად. ვის წინაშე და ვისი სახელით? ნაცადი კითხვაა, ეჭვიანი, როგორც - არა ერთი ბეჯითი მოწაფე. მაგრამ სიმართლე ხომ ყოველთვის სავსეა. არა, რა თქმა უნდა, ჩემით. ის მხოლოდ საქმის მეასედია, არც კი. უსარგებლო ნივთივით უნდა

მოიშორო, უნდა გადადო და დაიმახსოვრო, უნდა დაემუქრო: ერთხელაც იქნება, დამჭირდები, მოგაკითხავ და მოგსპობ. სიმართლეს როგორ უერთგულოს ჩემმა მარჯვენამ, ჩემმა მარცხენამ თუ უკვე უღალატა? არ მესმის, ყველაფერი, რაც ნამდვილია და სუნთქავს, რაც უარყოფისთვის და სიყვარულისთვის განწირულა, სიმართლის მიღმაა და უსაშველოდ გვიან იწყება, გუშინ ან გუშინწინ, მერე. არ მესმის, არ მესმის.

შენ უფლება გაქვს, არ ჭამო, არ სვა, არ უღალატო, მაგრამ ვინ მოგცა უფლება, ანდერძი არ დატოვო. დარწმუნებული ხარ, რომ დღესვე გათენდება და ლამფის ფუნქცია გამოირიცხება? ვინ გითხრა, რომ სამყარო აქ, შენს დამპალ სხეულში, შენს წინმიმავალ გულში იწყებს შენს ცოდვილ სულზე ლოცვას და არა - სადღაც თვალმიუკარებში, ჯანდაბაში და დასაკარგავში? ილოცე, მამაო, მაგრამ მომეცი უფლება, ორიოდე ნედლი სიტყვით მეც შევეწიო შენს ცოდვილ სულს, ჩემი ცრემლით განვბანო და ჩემი სულისკენ მოვაქციო; ჩვენ ხომ ისე ძალიან ვჭირდებით ერთმანეთს, როგორც აი, ეს სკამები საჭიროებენ არა მხოლოდ საჯდომთმტვირთველებს, არამედ - ასობით და ათასობით ლტოლვასაც სკამისკენ, თუმცა არა - სკამადყოფნისკენ. დაჯდა. უპასუხე, ვის ღალატობს და რატომ ღალატობს? ახლა, ამ წუთს, ამ წამს უპასუხე, ზურგში დაჟინებით მოხრილმა, კვამლით და შურით სავსემ, უადგილომ. დიახ, შენ ადგილს საჭიროებ, მაგრამ გრძნობ, რომ ამ ადგილს ყოველ წუთს და ყოველ წამს კარგავ. მორიგი სეანსი. სადღაც, თავის სოროში შეწყევლილი და აქვითინებული. ჩემი აქ აქაა და აქედან მთელი ჩემი თავი ისე კარგად წარმომიდგება, როგორც - ნებისმიერი გათქმული საიდუმლო. კი, მაგრამ რატომ უნდა გენდონ? მაშინ ხომ თავიანთ თავსაც უნდა ენდონ, რაც ასე ძნელია დღეს, ამ მხარეში. მერე რამდენი უქმად მოარული, მიზნით დამუხტული თავი. ჩემი თავიანად. უფრთხოდე, დედაჩემო, თუ გსურს, შენს კერძო ბედს ჩრდილი არ მიადგეს და მის ქვაზე ხავსმა არ იხაროს. დედამიწაზე ურიცხვი კენჭი და ქვა და ლოდია, მაგრამ შენი ცხოვრების გადამწყვეტ მომენტში არც ერთი შენზე არ იქნება დამიზნებული. არ ვიცი, რას მოვითხოვ ისეთს, რაც ჩემს ფიქრს არ მოუთხოვია. უფრო საქმიანად მეთქი, გთხოვე. აღნიშნე, მაგალითად, რომ სიმართლე იწყებს, მაგრამ ამთავრებენ მხოლოდ სიმართლის არმცოდნენი. დიახ, ენი. ამას მოსდევს თამაში-გაკვირვება, ფიგურა-შეკითხვა: როგორ, მცოდნენიც არსებობენ? ან: როგორ, ვინმემ იცის, რაა სიმართლე? ხომ შეიძლება უფრო ხმადაბლა: განა ეს ასე მნიშვნელოვანია? როგორც: ვერ შეხვალ, მაგრამ ვერც დარჩები. თუმცა, ეს უკვე მე აღარ ვარ, იაკობია, გერმანელი, სადაც გეუბნებიან, - ვიდრე ენას აანარნარებდე, ჩაუღრმავდი სხვათა ნანარნარევს, საფუძვლიანად მო-

ჩხრიკე, მოიძიე; ეს ყველაფერი დუმილს შეგასწავლის. სხვებისას, ალბათ. მამაო, არაფერი მაქვს მეთქი სათქმელი. ვითომ? ძალიან გვიან მივხვდი, რომ. მაინც საწოლი ოთახისკენ გიჭირავს თვალი. რომ ბევრად უფრო ადრე გამძარცვეს, ვიდრე სათქმელს შევაგროვებდი. ფეხის ყოველ ნაბიჯზე ცრუობ. დიახ, მე ახლაც თავაზიანად და პირით ვიცრუე. თქვენის ნებართვით? ალბათ. ვერ ვიტყვი, დაგეჯერება მეთქი, მაგრამ, ვფიქრობ, არც უამისობაა.

ის სწორედ ახლა არ მიგატოვებს, იმიტომ, რომ სწორედ ახლა შენთვის სულერთია, დაგიდგება თუ არა გვერდით. ჯერ არ გასულა, რომ უკვე წარმოიდგენს, როგორ ბრუნდება და რამდენად მოსალოდნელია შინდარჩენილი წევრებისთვის მისი გულისცემა, სუნთქვის სიხშირე, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით გამოწვეული ლირიკული გადახვევა, დაკარგული დროით მოგვრილი სინანული და ძიებისთვის მუდმივი მზადყოფნა. ღმერთს რომ მათთვის ენა ჩაედგა, გალობით შეხვდებოდნენ დაბრუნებულს, დაღლილს, ბედით თუ უბედობით დანაკმაყოფილებს. არადა, რაზეც ნიჭი გინთხევია, ღამეები გითევია, ოფლიანი შუადღეები ცივი, შხაპუნა პროცედურებით მოგიგრილებია, აიღო და სიბრიყვედ შერაცხა, სისულელედ გამოგიცხადა. თავი მუხლებში ჩარგო და ატირდა. გთხოვ, ნუ ტირიხარ, სამართალი აუცილებლად შეჭამს პურ-მარილს. აი, ნახავ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენს მშობლებს დაუბარებიათ. მართლა? დიახ. ხედავს, დანაყრებული სამართალი ყელს იღერებს და ნიშნისმოგებით აპნევს ირგვლივ გულითადი მოკითხვების და ღრმა მადლობების მთელ სიმდიდრეს. და მე შენ ერთიც უნდა გითხრა: მართალია, მისი საქციელი სამართლიანობის ელემენტარულ ნორმებსაც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ის მაინც სამართლიანია. თითოეული მისი სიხარული, აღტაცება, ვნება, გულისწყრომა სამართლიან ბრძოლაშია მოპოვებული. დამიჯერე, მე ახლა სულ სხვა ადამიანს ვახასიათებ, მაგრამ როგორმე უნდა მოახერხო შენი არსებიდან, შენი ყოველდღიური ყოფიდან და საზრუნავიდან მისი გაძევება. ლეგიონიც რომ იყონ ისინი, უნდა გამოდევნო და წინ გაირეკო, გაწირო. ფრთხილად, ხელ-ფეხი არ დაადგა. გთხოვ, ნუ ტირიხარ, ჩემი მეგობრები შიმშილით სულს ღაფავენ, მაგრამ არ ტირიან. რა ვუყოთ, რომ არც იცინიან? გეტყვი, ჩვენზე უფრო ნატურალური აქ ახლა თითქმის არავინაა და კიდევ დიდხანს არ იქნება მეთქი. აი, ასე გეტყვი, მაგრამ ჯერ - არა, ნივთები კეთილმოსურნედ იწყებენ ქრობას და იმის ნაცვლად, რომ გაუჩინარდნენ, ერთმანეთს უფრო მძლავრად ეკვრიან. მათ შორის დარჩენილ სივრცეს. ვგრძნობ, ცივი ქარი როგორ ზუზუნებს და ოთახში ნაპატივებ სითბოს როგორ აუხეშებს. სივრცეს დენთის სუნი უდის; ალბათ, იმიტომ, რომ

არავინ გაიკაროს. დიახ, არავინ და არაფერი. სულზე უტკბესი, ჩვენი, მშობლიური ბანალობა.

2.

ჩვენ გვიყურებს ეს ყრუ ძაღლიო. დაბნეული მოგვშტერებია. ვერ გადაუწყვეტია, დაგვიყეფოს თუ ზურგი გვაქციოს და სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სამიზნე მონახოს. ათამაშებული წარბები და დაძაბული დრუნჩი, ალბათ, სინანულს გამოხატავენ. რატომ მაშინვე არ ატეხა ყეფა, რომ დაგვინახა? რატომ, რატომ? დალახვროს ეშმაკმა! წამის რაღაც მეათასედი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნაგვიანევი გადაწყვეტილება პატივმოყვარეობის ოინებით შეცვლილიყო. არა, ნუ იტყვი, რომ საქმე გვაქვს საკუთარი ღირსების მაღალ შეგნებასთან, ძაღლური თავმოყვარეობის ფენომენალურ გამოვლინებასთან, სიამაყის ფარულ ინტიმთან. უბრალოდ, დაიგვიანა, და მიზეზი შედეგად შემობრუნდა, მისთვისაც და ჩვენთვისაც. კიდევ კარგი, უკან მოვიტოვეთ, თორემ, მგონი, მრცხვენოდა. მეკითხებიან: შენ, ეს ის ძაღლია, ათასცხრაასოთხმოცდაშვიდ წელს შენს ლექსში რომ ნახე? ვპასუხობ: არა, ეს ის ძაღლი არაა, მაშინ მე ჩემს ლექსში რომ ვნახე, ეს სულ სხვა ძაღლია. მე ის მერე კიდევ ერთხელ ვნახე. უფრო სწორად, მე და ლიკამ ვნახეთ, ჩემს სიზმარში, მშობიარე და ზუსტად ისეთი მწუხარე, ისეთი სევდიანი, როგორიც მაშინ ლექსში იყო. დარბოდა, არა, აწრიალებული მიმოდიოდა, ძალიან ჩქარა მიმოდიოდა მუცელმიწამდეგაბერილი, ისე, როგორც ცხადში, ყველგან, მიმორბიან და ადგილს ვეღარ პოულობენ ძაღლები, როცა დიდი და ბრწყინვალე საქმის ჩადენა მოუნდებათ ხოლმე. რა საცოდავები არიან, როცა ისაქმებენ და თან წვალობენ, არა, დედი? ყოველთვის წვალობენ და აქეთ-იქით ისე უმწეოდ იცქირებიან, თითქოს შველას და მშველელს ითხოვენ, თითქოს არ იციან, რომ აუცილებლად წარმატებით იზამენ და სიხარულით შეთამაშდებიან. მერე შეთამაშდებიან, - რომ დაამთავრებენ. და ვნახეთ, როგორ იმშობიარა არა ერთი, არამედ - ბევრი, დაახლოებით ხუთი თუ ექვსი, და გაუფცქვნელი სოსისებივით ერთმანეთზე გადაბმულები. იწელებოდნენ, გამოდიოდნენ და მრგვალდებოდნენ და თითქოს თვითონ გამოჰყავდათ, შემდეგ ვინც უნდა გამოსულიყო. და ეს პროცესი ისე ხდებოდა, თითოეული ახალგამომსკდარი არსება ბოლო გვეგონა, მაგრამ უმალ აღმოვაჩენდით, რომ ისიც მომდევნოზე იყო მიბმული და იმ მომდევნოს სასიცოცხლოდ ექაჩებოდა. გამოდი, იცი, აქ რა კარგია! და ეს უსასრულო და უმძიმესი აქტი მაინც ძალიან

მალე დასრულდა. ჩვენ თურმე ნაყინს შევექცეოდით და ისე ვუყურებდით ამ სასწაულს. მაგრამ სასწაული იმით დამთავრდა, რომ ერთმანეთს მიკრული ლეკვები ჯარისკაცებივით გამწკრივდნენ, სიმაღლეში წავიდნენ, ერთად დაენარცხნენ ზურგით მიწას, და გულხელდაკრეფილებს სუნთქვაშეკრული რომ მივშტერებოდი და ტელევიზორში ნანახ ბრძოლის ველზე მიმოყრილ, დახოცილ ხალხს რომ ვადარებდი, რიგრიგობით იწყეს ადგომა, მაგრამ უკვე არა როგორც ლეკვებმა, არამედ როგორც კარგად ნასვამ-ნაჭამმა და ღიპგადმოგდებულმა ადამიანებმა. ვიგრძენი, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო. სანახაობა იმდენად დაუჯერებელი და სათუო მეჩვენა, რომ ელვის სისწრაფით გამომეღვიძა. სული მოვითქვი თუ არა, ისევ უკან, სიზმარში, დაბრუნება ვცადე, მაგრამ - ამაოდ. მწარედ ვინანე, რატომ გავიღვიძე მეთქი. ნაყინი დაგრჩა, არა, შეუჭმელი? ვა-ჰა-ჰა, ჭამა არ დასცალდა. კიდევ - ვა-ჰა-ჰა. გეუბნებით, ნაყინი არაფერ შუაში იყო მეთქი. ნაყინი რა შუაში იყო მეთქი. გეუბნებით: გარეთ გავედი და ისე თავისთვის, ისე მეოცნებედ და გულაღმა წვიმდა, თითქოს იქ, ჩემს სიზმარში, სულ არაფერი არ მომხდარიყოს. "მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტევე შენი პირველი სიყვარული. მაშ, გაიხსენე, საიდან დაეცი, და შეინანე, და უწინდელი საქმენი ჰქმენი". რომ შემეძლოს, ერთხელაც გავიღვიძო და აღარასოდეს დავიძინო მეთქი. გაღვიძებულმა გაიღვიძოო? რატომ იცინით ასე მხიარულად მეთქი. ნაბიჯს ავუჩქარეთ და სულ მალე პირველი გადასახვევიც გამოჩნდა. ამ დროს მეტყველების პროცესი ნაკლებად მნიშვნელობდა, როგორც აგენტი; იგი მაინც თანამდევი იყო. მოქმედება წარმოსახული ტონალობის სპონტანური ვარირებით რეგულირდებდა, ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა, ნებისმიერი სატრანსფორმაციო სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში, ოპერატორისკენ მაგზავნიდა და არა აგენტისკენ. ატრაკებ და გიხარიაო. თუმცა, ამ შემთხვევაში, მომენტალური განწყობის პოზიციას ვიცავდი და ეს დასკვნაც მსჯელობის შესაბამის წესს ეყრდნობოდა, თორემ, მეტყველების ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერების თანახმად, აგენტიც და ოპერატორიც თანაბარი ღირებულების მატარებული ფუნქციებია. გაიხსენე, როგორ მეტყველებენ ძაპო და ძეპო. გეთანხმები, რომ ყოველ წამს, აი-ახლაც, აი-ხვალაც და აიმაზეგაც მეტყველებენ, ყველგან მეტყველებენ, დიახ, სახლებში, გაჩერებებზე, სამსახურებში, მაგიდებქვეშ, ცაში, მატარებლებში, საკანალიზაციო. მომისმინე. მილებში, ნახევრადგახდილ ქალებში, ტვინის ხვეულებში, ორმოცდაათლიტრიან ბოთლებში, ღია თუ დახურულ ბარათებში, ზემოდან თუ. მომისმინე. ქვემოდან ამოკვრებში, სათაგურებში, კუპონებში, ტყეებში, ტყლაპოში, ფორმალინში. გაჩერდი. წიგნებში, კაცის-

კვლებში, ტრაკისმიცემებში. გაჩერდი, გემუდარები, გაჩერდი მეთქი. გემუდარებებში, გავჩერდი. გეთანხმები, მაგრამ მე მინდოდა, სულ სხვა რამ მეთქვა, და დამავიწყდა. გამახსენდა. გაიხსენე და ჩაანაცვლე ჩემს მეტყველებას, ჩვენსასაც ჩაანაცვლე; მშვიდად, უმტკივნეულოდ ჩაანაცვლე, ისე, რომ არც ჩვენი მეტყველება აიმღვრეს, ეს, ეს უზარმაზარი და ბნელზე ბნელი რეზერვუარი, თავამდე სავსე. თუმცა არც აიმღვრევა. და არც ძაპო და ძეპო დაზარალდნენ. და აი, როცა ჩაანაცვლებ, ერთი კარგად მოჰკითხე შენს თავს: თუ შეიცვალა ამით რამე? თუ შეიცვალეს მიმართულება შენმა ფიქრებმა, მიზანსცენებმა, სურვილებმა და მოთხოვნილებებმა? საერთოდაც, ოდნავ უკეთესი თუ გახდა სამყარო? მაგრამ ეს უკვე ჩვენ არ გვეხება. კეისარს - კეისრის და თავისუფალ ქვისმთლელებს - თავისუფალი ქვისმთლელების. არა, არაფერიც არ შეიცვალა. მაგრამ რაღაც მაინც იცვლება, თუნდაც ამ ყოველწამიერი და ყოველ თავში თუ მოქმედებაში მომხდარი დასკვნით.

თქვენ ფიქრობთ, რომ დასკვნებიც ხდებიან? მაგრამ მაინც იცვლება. ეს დაძაბული და ყრუ სიმშვიდე, დიახ, მინამსგავსი, დიახ, შეუმჩნეველი, მაგრამ საჭირო და ჩვენში ლოცვასავით გარდმომავალი, იმედივით ყოველი მხრიდან წამოსული, დაძრული, გზადმყოფი: საუბარია ძველ, სითეთრეშერჩენილ საოჯახო მაცივარზე, ხმაურით თავისმომაბეზრებელზე, მაგრამ მაინც შეუმჩნეველზე და, საჭიროების მიღმა, ეპითეტებით გადატვირთულ-გადახუნებულზე, საჭიროების მიღმა საჭიროზე, ძაღლივით გამძლე ლამანჩელ რაინდზე. გეთანხმები, რომ ყველგან და ყოველთვის მეტყველებენ, მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი შემოქმედებით ენერგიად მისი გარდაქმნის მოთხოვნილებაა, ყოველ კონკრეტულ და დღენაკლულ სულში. საუბარია შენზე, ჩემზე, იმაზე, ჩვენში მოხეტიალე დროზე; ნაკლულობის იმ განცდაზე, რომელსაც ჩვენში ეს დრო ტოვებს; ოღონდ ეს ნაკლულობა უკვე აღარ განიცდება, როგორც გარედან მოსული და ჩვენადქმნილი, როგორც ქათმის ცივი ბარკალი, მოსახარშად თუ მოსახარშავად სანატრელი, უმწეო, სხვისი. ასეთი გათენება იმდენ რომანში და ლექსში წამიკითხავს, რომ მირჩევნია, სულ არ გათენდეს. ძალიან ბევრში? ძალიან ბევრში მეთქი? "და მივედი ანგელოზთან, და ვუთხარი მას: მომეცი-მეთქი წიგნი; და მითხრა მე: აიღე და შეჭამე იგი; და გაგიმწარებს მუცელს, მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი". მაგრამ რა ექნათ, პირველი მათი გაოცება თუ სწორედ მუცლით, და მხოლოდ ამის მერე - მიწით, იყო ნაკარნახევი. აქ მუქარაც უადგილო და დროიდან ამოვარდნილია, უმისამართოდ გასროლილი. იქნებ, ამიტომაც იცინოდნენ ასე ხელაღებით, - რომ ვერა და ვერ დაივიწყეს, რომ ყოველი მოსახვევი მისი

ჩრდილის მოლოდინს გასცემდა, და ანაწევრებდა ამ დამფრთხალ გულებში. ერთად ვიყოთ, მაგრამ ერთმანეთს ნუ შევაწუხებთ მოულოდნელი კითხვებით და არანაკლებ მოულოდნელი პასუხებით. მაშინ ნურც ერთად ვიქნებით და ნურც ასე უთავბოლოდ შეგვეშინდება ჩვენსავით უდღეური ამ ნივთების, ამ თვალისჩაკვრების, გაყვან-გამოყვანების და რისხვის, რომელიც თავს დაგვატეხა მათით ჩვენმა აღფრთოვანებამ. მოდით, მოვილაპარაკოთ, შევთანხმდეთ და ამიერიდან ნუღარ შეგვეშინდებაო. და დღემდე თათბირობენ? არა, არა, შენ ვერ გაიგე. ისინი ფიქრობენ, რომ გამეორებული ნივთები და ურთიერთობები უფრო დიდ საშიშროებას შეიცავენ, ვიდრე - დავიწყებული ან გადაგდებული. მე კი ვკითხე, სად შეიცავენ მეთქი, და ამ ერთმა უადგილო კითხვამ გამცა. რა თქმა უნდა, თავამდე სავსე, მაგრამ ბნელზე ბნელი კი არა, უბნელესი. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ისინი წვალობდნენ. რას ნიშნავს ასეთ მღელვარე წუთებში, რომ სიტყვა და საქმე ერთია? საერთოდაც, რას ნიშნავს სიტყვის საქმედ-ყოფნა? გინდოდა გეთქვა, მოქმედი სიტყვა? არა. და არც სიტყვა-ქმედება? რა თქმა უნდა, - არა, იმიტომ, რომ ეს უკვე მზამზარეული პასუხებით თამაში იქნებოდა. თუმცა, ვიღიარებ, რომ ჩვენი დრო ყოველ ორ თამაშს შორის მონიშნული სივრცის სიდიდით იზომება. რა, ჩვენს მაგივრად, ყველას მაგივრად, აღიარებ? დიახ, და - სხვათაშორის - ჩემს ნაცვლადაც. დევიდსონი დევიდსონად, მაგრამ საქმე - საქმედ.

და არც ისინი უნდა დარჩნენ უადგილოდ, ხომ მეთანხმებით? ვხედავ, როგორ წვალობენ, ერთმანეთს როგორ ენაცვლებიან, გარშემო და ირგვლივ ურბენენ, უვალალებენ, მუხლს უყრიან, მაგრამ გამოსავალი არა და არ ჩანს. ყველა ერთ დღეშია. მინდოდა მეთქვა, - ერთ ღამეშია. არა, არა, მინდოდა მეთქვა, - შიში უკვე ამ ნივთებში გაჩენილი განცდითაა შთაგონებული; საკმარისია ღამე გაილიოს, რომ ისინი ერთმანეთს მოწყდებიან, განეშორებიან, ყრუდ და საიმედოდ ჩაირღვევიან იმ ძაფებთან ერთად, მათ რომ ერთმანეთთან აკავშირებს; აღარ იქნებიან ერთ სულ და ერთ ხორც. აქ, ამ მხარეში, ყველაფერი ერთდროულად ხდება, მაგრამ თანმიმდევრობით განიცდება. რა თქმა უნდა, - თანმიმდევრულადაც, ზოგჯერ, არასდროს, ყოველთვის, თითქმის. გაქრი მეთქი. გაქრა. ხოლო თუ განმცდელი თავს მოვალედ რაცხს, განცდილს მშვიდობიან კვდომაში ხელი შეაშველოს, მრავალი და მრავალი ხნის წინ მასაც მოეძებნება გულშემატკივარი. არა მასზე ზრუნვით შეპყრობილი. დიახ. მხოლოდ იმიტომ, რომ სივრცე ამოივსოს. ეს სივრცე, როგორც მოუთხრობდნენ, უზარმაზარია. ეს სივრცე, ასევე ფხიზლად მოუთხრობდნენ, მოძრავია და განუწყვეტლივ ადგილს იმკვიდრებს. მოუთხრობდნენ, რომ ამ საქმისთვის სივრ-

ცე იგი არ საჭიროებს მოკვდავს, უკვდავებითაც კმაყოფილდება. ხოლო ამ უკანასკნელთა სიმცირეს თუ ნაკლულობას არ განიცდის ისტორია, გნებავთ, უზოგადესად და უშინაარსოდ გაგებული. მთავარია, რომ სივრცე, რომელიც ნასუფრალივით მოიტოვეს უკან ნივთებმა, ამოივსოს ან, უკეთეს შემთხვევაში, უბრალოდ, შეივსოს. მაგრამ - რით? ჩვენით? არა. აბა? გიპასუხებ. მალე მიპასუხებ? ახლავე: ჩვენი მოძრაობებით. დარწმუნებულია, რომ მოძრაობები ნივთებს ერთმანეთთან აკავშირებენ. მაგრამ ჰკითხე ერთი, ის თუ იცის, რომ მოძრაობები ვერასდროს გასწევენ ღამის მაგივრობას? და ვერც - ვერასოდეს. სხვათაშორის, იცის. ძალიან კარგი.

3.

- ასეა, ძვირფასო: იმის გამო, რომ დღემდე ვერ მომიხერხებია ჩემსა და ჩემს კონტექსტს შორის შექმნილი წინააღმდეგობის, როგორც პრობლემის, ფორმულირება, ვრჩები პაციენტად, ხოლო ჩემს ექიმს, ჩემს "სამყაროს", თავისი თავი ასევე პაციენტად წარმოუდგენია, ხოლო მე - ექიმად, რაკიღა დღემდე ვერ მოუხერხებია ჩემი ყოვლად უმიზნო თამაშებიდან უკვალოდ გაპარვა, გაუჩინარება.

- როცა შენ მეტყველებ, ასე მგონია, ვიქტორიანული ეპოქა მეორედ მოსვლას აპირებს და შენი სახით პირველი მერცხალი გამოუგზავნია. ხედავ, მეც გადმომდე შენი აღტკინება. და მაინც, რა დროს ასეთი აბსტრაქციებით თამაშის დროა: სამყარო, სივრცე, სული, გული...

- ჯერ ერთი, აღტყინება. მეორეც, სამყარო საერთოდ არ მიხსენებია. მე ვთქვი "სამყარო". შესაბამისად მოექეცი სულსაც, გულსაც, იდეებსაც, და აღარ იქნები გამორიცხული.

- მაშ, დავიმშვიდო "გული" ჩემი?

- დიახ, თუ გჯერა, რომ ფორმულირება შესაძლებელია.

- მე არ მჯერა, რომ პრობლემის ფორმულირება რაღაცას მოიტანს.

- წინასწარ ვერ გეტყვი.

- მე გეტყვი.

- თქვი.

- უკვე ვთქვი, და - გასაგებადაც.

- ვისთვის?

- შენთვის და ჩემთვის.

- სამყაროსთვისაც?

- "სამყაროსთვისაც". ჩემში ყოველ წამს რაღაც ისეთი მიმდინარე-

ობს, რაც მაიძულებს ვიფიქრო, რომ უკვე მოვედი.

- მაშინ, მოდი, ვითამაშოთ. მოხვედი? მოხვედი. იქიდან შენს წასვლას აქ შენი მოსვლა მოჰყვა. შენ ხომ გამორიცხული მესამე ხარ.

- მაგრამ რაც თან მახლავს?

- წამოკრიფე და გადაყარე.

- რაღა დარჩება?

- რაღაც დარჩება, რაღაც საჭირო და აუცილებელი, ექსტრემალური.

- გინდოდა გეთქვა, დეფეკირებული?

- მინდოდა მეთქვა "ფეკალური".

- და შენ ფიქრობ, რომ მერე ისიც უნდა წამოვკრიფო და შორს მოვისროლო?

- არა, შორიახლოს. განა თვალი არ უნდა ადევნო, ვინ დაეპატრონება?

- და შენ ფიქრობ, რომ მე ამას ჩავიდენ?

- რატომაც არა. კიდევ ერთხელ გიმეორებ: მთავარია, არაფერი აღარ გახსოვდეს. ისე უნდა იმოქმედო, რომ შენი მოქმედება წინ გისწრებდეს, ნამოქმედარი კი - უკან.

- ესე იგი, კუდში მომდევდეს?

- არა, უკან გისწრებდეს. ერთი სიტყვით, შენც მისდევდე და შენც მიწყივ მოგდევდნენ.

- მაგრამ ეს ხომ მაინც ასეა?

- მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა სხვის თამაშს ვთამაშობთ. მე კი შენივე თამაშის თამაშს გთავაზობ.

- კეთილი. მთავაზობ თუ...

- ვნახოთ.

4.

და ეს ხილული მოძრაობები ერთმანეთს ურცხვად და უკანმოუხედავად უახლოვდებიან. აქ სიფრთხილე აღარ მნიშვნელობს. მათ სურვილი აქვთ, არა მხოლოდ სხვადასხვა ფერის თუ ზომის სხეულები დაიცვან და შეიფარონ, არამედ - ამ სხეულებს შორის წარმოქმნილი, ურთიერთგამომრიცხავი მდგრადობების მთელი არმიაც, დამარცხებული და ამაყად მომზირალი. აი, უკვე გართულდა და გათანხმოვნდა სხვადასხვა მიმართულებით მიმქროლავი მოძრაობების ერთმანეთისგან გამორჩევა-გამონა-

წევრება, ვინაიდან მათი გაფანტვა მხოლოდ ჩვენს თვალს წარმოუდგება, ჩვენი ფარული ინტიმი კი სწორედ იმას ხედავს, რაც მართლა ხდება: მოძრაობები ერთმანეთში იხლართებიან, ერთმანეთით მხურვალებენ და იტანჯებიან, ერთმანეთს მიკრულნი ერთმანეთს ეძებენ და როცა მიაგნებენ, უმალ კარგავენ, უმალ ისპობიან, და ეს ყოვლისმომცველი პროცესი მოულოდნელად, თითქმის უსასრულოდ გაწელილ დროში, თითქმის უდროობის სასწაულში, იქცევა მოყვითალო-მოთეთრო სპერმად, რომელიც არსად არ არსებობს, რომელიც - უბრალოდ - სუნთქავს, და უშურველად ნაწილდება ყველა მატერიალურ ობიექტში, ცვალებადობას ზიარებულ ყველა ნივთში და მოვლენაში. მაგრამ სპერმადქცევის ამ სანახაობით ტკბობის ერთადერთი საიდუმლო მიზნით თამაშის განუხორციელებლობაში მდგომარეობს, რაც, თავის მხრივ, განუხორციელებელი მოძრაობების კლოუნადის ანი და ჰაეა. ისიც ცხადად ვნახე, მამაო, ერთმანეთს როგორ მიუახლოვდნენ და მე როგორ მომიშორეს. არა, თავადვე გავერიდე. ვიცოდი, რომ ვერ გავუძლებდი. მომდგნენ და ერთად მისაყვედურეს, - არც ერთი თემა, რომელზე ფიქრიც წამოიწყე, არ ვითარდებაო. თემა უნდა გაიშალოს და განივრცოსო. და ასე შემდეგ. მაგრამ მაინც გულწრფელად უკვირდათ, - ასე მალე რატომ დაბრუნდიო. მისაყვედურეს სხვებმა, ხოლო უკვირდათ სულ სხვებს. მე მათ შორის მიმოვდიოდი და ჭარბად ვშიმშილობდი. საჭიროება მოითხოვდა, ერთად გვეცხოვრა. თავისი აზრი გამოთქვა და დაჯდა.

კეთილი ინებე და ამიხსენი, მაინც და მაინც ჩვენ რატომ გვიყურებსო. აბა, ყური კარგად დამიგდე: გაგონდება თუ არა ჩვენგან მარჯვნივ, პირველ რიგში, ბოლოდან მესამე, შავი მაგიდა? გაგონდება თუ არა ფანჯარა, რომელიც ყოველთვის ღია იყო? გაგონდება თუ არა სკამი, მაგიდას რომ ცალყბად უმზერდა, თითქოს ქვემოდან მუშტი უნდა ამოარტყასო? რიტმული პროზის ნამუსრევი. ბნელზე ბნელი, მაგრამ თავამდე კი არა, პირთამდე სავსე. ღმერთო ჩემო, ამას ვისრას გადავეყარე! აი, ის სკამი იყო შარდის სუნით გადატვირთული, ფანჯრით მონაბერ ნიავქარს კი ჩვენს ცხვირებთან სწორედ ამ სუნით შეთამაშება გადაეწყვიტა. მაგრამ ისეთი გულწრფელობის ნიშანს აფრქვევდა მისი სურვილი, რომ მყის აღეგზნე და მომშარდავზე კი არა, თვით შარდეულზე ოცნებამ და ფიქრმა მოგიცვა. ხოლო მე, იდიოტად შთენილი, მარჯვენა ხელში წიგნს გაჩეჩებდი და გაიძულებდი, შენთვის სრულიად უცხო საქმე გეკეთებინა. კეთილმოსურნემ, მარცხენა ხელი მოუსინჯეო, მიჩურჩულა, და გაქრა. შესამჩნევად გამეღიმა. გეამა და მოკვდი: არა, რა თქმა უნდა, ჩემთვის. და ისინი ფიქრობენ, რომ დასკვნებიც ხდებიან?

არა, მე არ დავასახელებ იმას, რაც მას ყოველთვის აკლდა, მაგრამ რაღაც მაინც უნდა ითქვას, რაღაც მაინც უნდა გამჟღავნდეს, თუნდაც იმიტომ, რომ სიტყვას, სიტყვების მარაზმს, სიტყვებით შექმნილ სამართალს, გადაურჩეს. და შენც გადარჩე, ასეთი ღრმააზროვანი და გულგადმოკარკლული, შტერი. ამიტომ მაინც. დამიჯერე, ეს იმდენად აუტანელია, რომ შეიძლება თავის მოკვლა ერთხელ კი არა, ათასჯერაც გაფიქრებინოს. შენც დგები და თავს იკლავ. მერე გინდ გიცოცხლია და გინდ - არა. მხატვრული სიმართლე მერე უკვე არაფერ შუაშია. მე მინდა, რომ ყველაფერი გადაწვიმებამდე დამთავრდეს და ამოვისუნთქო. შენ ფიქრობ, რომ სამართალი შენს მხარეზეა? შენს მხარეზე ახლა მხოლოდ ეს წვიმა და ხშირხშირად გაელვებადი შავი ცაა, ეს ურჩი ხმაური და მოძაგძაგე კარია, ეს დახვრეტილი ქარია; ერთი სიტყვით, რაც შენს განწყობას ახლა ფონს უქმნის, მისთვის შენამდე მოსასვლელი გზა არაა, მისთვის ფონს შენი სხეული ქმნის, მკვრივი, ჯანმრთელი, დაუღლელი, დიდი განცხრომის შემპირებელი, შენს დაუკითხავად ანთებული და აბღავლებული, მიმხმობი. ის კი, მორჩილი, ვნების წინაშე თავდახრილი, სუნთქვაშეკრული, ყველა ნიშანს შეუცთომლად გრძნობს და განიცდის; ახლა, როცა ქვეყანა ინგრევა, როცა სამყარო პერიოდულ ძრწოლას მოუცავს, როცა ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ წელზემოთ ნატრობენ, მას რაღაც სხვა სურს; უკეთ, ამ სხვას სურს, მისი გავლით, თავის თავი კიდევ ერთხელ გაიმეოროს. და ის მზადაა, ხიდად ექცეს ნებისმიერს, ვისაც ეს საქმე ხელეწიფება. მას ეს მთელი ცხოვრება აკლდა; მთელი ცხოვრება ეძებდა, მაგრამ ჰპოვებდა თუ არა, მაშინვე კარგავდა და იძულებული ხდებოდა, ისევ გარეთ გამოსულიყო, ქუჩა-ქუჩა ეწანწალა, გზა-გზა გდებულიყო, მოეპოვებინა. მისი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმის გასაგებად გადამწყვეტია იმის შეგნება, რომ მას ეს მთელი ცხოვრება აკლდა. ამ შეგნებით დამძიმებული, მისი ტრაგიზმის უშუალო მონაწილე ხდები, მაგრამ მხოლოდ - როგორც ნებისმიერი. რას იზამ, ბედმა ინება და ამჯერად ეს ნებისმიერი შენ აღმოჩნდი მისი ვნებების დასანაყრებლად. გიხმარს. ისე, როგორც შენ - მას.

5.

როგორც წესი, ნივთებს კითხვები არ დაესმით, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ისინი ერთი ნაბიჯით ყოველთვის წინ უსწრებენ, ხოლო ნაკვალევი ისე სავსეა. ამ შემთხვევაში ნაკვალევი სწორედ ადრესატს გულისხმობს. ისე სავსეა კითხვების ლეგიონით, როგორც. ტექსტს უკვე ჰქონდა

ბედნიერება, ლეგიონს გასცნობოდა. როგორც წესების სრული დაცვით წარმართულ სუფრაზე სადღეგრძელოს წარმოთქმის პროცესში წარმომთქმელის ტუჩწარბწამწამთა მოძრაობასა და მარჯვენა ხელის მდგომარეობას შორის წარმოქმნილი მანძილის დროებითი უცვლელობისას ხელისგულზე გატრუნული ფიალა - ღვინით. მარცხენა ხელი, გეთანხმები, უხვად მიმოქრის. თუ ფიალა ფიგურირებს, საქმე ეხება, გეთანხმები, განსხვავებულს. მარჯვენა ხელის რხევის ამპლიტუდა, გეთანხმები, სათვალავში არ ჩაიგდება. მაგრამ, როგორც ჩანს, აქაც დავმარცხდი. კითხვები მხოლოდ აღწერენ ნივთებს, და მოძრაობებად იქცევიან, მაშასადამე ინახებიან, ვიდრე ჩვენ მათთვის მოვიცლიდეთ. გამოთავისუფლებული ფორმების მასკარადი. გვირგვინი, გრდემლზე შეგდებული. არა იმ ხელით, გეთანხმები, რომელსაც ფიალა შეუმართავს. მოხვედი? ასე მალე? - შინდარჩენილი ნივთები ამბობენ. აბა, ადგეს და ზურგი გვაქციოს. მაინც ატირდა და დაჯდა.

- ვინ გითხრა, რომ ადამიანები ერთმანეთს წელზემოთ ნატრობენ, ეს ხომ სიბრიყვეა!

ეჭვგარეშეა, უყვარდა. დეკორაცია მეორე დღესაც შეცვალა. უბრალოდ, უნდოდა, რაღაც განსაკუთრებული, არათავისეული საქციელით აღენიშნა ახალი ცხოვრების მისაღებად თავისი მზადყოფნა. მხოლოდ ფანჯრის რაფაზე შექმნილ, განაპირებულ წესრიგს არ დაურღვევია მზადმყოფი სიმშვიდე. მზადმყოფი რისთვის ან ვისთვის? ეს კითხვა ხელს უწყობს მიზნის გაქრობას, თითოეულ მოცემულ კონტექსტში. დიახ, სიმშვიდე ჩაისაფრა, ქუსლი მოისინჯა და თვითონაც დამშვიდდა, შედგა.

- გასაგებია, მაგრამ ეს ხომ სასურველზე ჩემი ფიქრებია!

არა იმიტომ, რომ თვალწინ ბედნიერი წარსული წარმოუდგა. არც იმიტომ, რომ თითქოს ოოო, აქილევსის ქუსლო ჩემო, უპატრონოდ და უდროოდ და უფრთოდ შთენილო. არა, თუ შედგა, მხოლოდ იმიტომ, რომ გასახსენებელი არაფერი ჰქონდა. რა თქმა უნდა, იყვნენ მოვლენები და მოძრაობები, რომლებიც მის მეხსიერებას და მოთხოვნილებებს - რაც ხშირად ერთიდაიგივეა - ნაკლებად ემორჩილებოდნენ, მაგრამ ისინი ხომ თავიანთ თავს თვითვე იხსენებდნენ, მისი გამოცდილება კი ამ დროს საყრდენი წერტილის როლს უნდა დასჯერებოდა, და სჯერდებოდა კიდეც.

- კი, მაგრამ მე როგორღა გავიგო?

არც იმიტომ, რომ ყველაფერი, რაც გასახსენებლად დიახაც ღირდა, გამოსავალს ვერ პოულობდა. საქმე ის იყო, რომ მის მიერ ხელუხლებლად დატოვებული წესრიგი სრულიად კონკრეტული, ხილული და, რაც მთავარია, გარეშე ძალის ნება-სურვილის მიხედვით გადაადგილებისგან დაუც-

ველი ნივთებისგან შედგებოდა. ლუწი ან კენტი ნივთების სიმრავლე. რატომაც არა.

- კი, მაგრამ შენ რატომღა უნდა გაიგო?

ხოლო წამსვლელისთვის ან უკუქცეულისთვის, კონკრეტულ ნივთზე უფრო აბსტრაქტული არაფერი მოიპოვება გამოცდილების ზურგზე თუ ზურგსქვემოთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ნივთს თავისი კონტექსტი ნაყოფიერად აუთვისებია და წარმატებით განაგრძობს მუშაობას უკვე სულ სხვა მიმართულებით, მოცემულ კონტექსტში მოხვედრილი ნებისმიერი მზერის დასაპყრობად, თავის ქსელში მის გასაბმელად. ვითომ? როგორც ვიცი, ებმებიან მახეში, ხოლო ქსელში იხლართებიან.

- იმიტომ, რომ შენი გავიგო.

და აი, დაბრუნდა, შემოვიდა, შეცვლილი დეკორაცია მოათვალიერა, ჰაერს უყნოსა, საწოლის კიდეზე კრძალვით ჩამოჯდა, ხელები კალთაში ჩაიკრიფა, მაგრამ მაინც სხვაგან ნანახს ჰგავდა ეს ყველაფერი. იმიტომ, რომ ასე უნდოდა. სად ინახებიან? ჩვენში? ჰაერში? გარდაცვლილებში? სამომავლოდ გასაჩენებში? თუ ამ კითხვებზე პასუხი ჯერაც არ გაგაჩნია, მაშინ ნუ იტყვი, რომ რაღაც ან ვიღაც ინახება. საკმარისია, თვალი ეცეთ, რომ ნივთებს შორის მიმოსვლა წყდება, ერთმანეთში ჩანაცვლება უძნელდებათ, ვერც დავიწყებული თამაშებიდან ამორთვას და ახალ თამაშებში ჩართვას ახერხებენ. ერთი სიტყვით, სასიკვდილოდ ემზადებიან.

- მაგრამ მე ამას არც მოვითხოვ, მე იმიტომ ვწერ, რომ ჩემმა წერილმა თავის თავს გაუგოს.

არავინ, არავინ თქვენი სისხლისთვის შურს არ იძიებს, ვაი, რომ არ იცით, მოკლულთა სულებოო. კიდევ ერთხელ მომიტევე, რომ გაწყვეტინებ, გადასვლა ნაჩქარევია და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს, თემებიც გაუხსნელი და განუვითარებელია, ეს რაღაცით მართლა ჩამოჰგავს განუხორციელებელ მოძრაობებს მეთქი. არადა, ჯერაც განურჩევლად წვიმს, აქვე, შენს გარეთ. იქნებ, ამიტომ შემობრუნდი? ხომ შეიძლება, გაჩუმდეს და ხვალისთვის გადადოს, რაც სათქმელი აქვს. ის კი, ხვდება, პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს, ნერვები არ უნდა აიმღვრიოს.

- შენი გავლით?

ჰაერს კიდევ ერთხელ ძაღლივით უყნოსა. მეხსიერება თუ არ მღალატობს, სუნი უნდა ეცეს. სამზარეულოდან გამომავალმა დუმილმაც უნდა დააეჭვოს. მერე როგორაა? გამახსენდა, მერე აღმოაჩენს, რომ რადიოში მუსიკაზე ლაპარაკობენ. ხვალ ხომ კონცერტია. დაფიქრდი, ოდესმე

თუ ყოფილხარ ასეთი სენტიმენტალური? აბა, ყური კარგად დაუგდე. როგორმე უნდა მოახერხო და სამკითხველო დარბაზთან ერთად შენი იქ ყოფნაც გაიხსენო. მჯერა, რომ იხუმრე, მაგრამ ის მიხვდა, რომ არ გიხუმრია.

- ჩვენი გავლით.

6.

შენ და შენმა ტურფამ სინესტის შექმნა გადაწყვიტეთ, რისთვისაც. დიახ, მე ჩემი სხეული ვარ. რისთვისაც საჭირო გახდა, ერთმანეთს შერწყმოდით. თქვენმა ამ გადაწყვეტილებამ რილკე. მე ვარ ის ერთადერთხელ, და თუ მე არ არსებობს, სული თავის გზას უჩემოდაც კარგად გაიგნებს. რილკე სასტიკად აღაშფოთა, ისე სასტიკად აღაშფოთა, რომ. მაგრამ თუ მე მართლა არსებობს, ის ჩემში და ჩემით უნდა არსებობდეს. რომ ქვითინით გესიტყვა, - ეს ვინ მეტყველებს შენი პირით, ჩემო უცხოენოვანო მგოსანოო. ხოლო ახლა სავარძლებში. მისი სახით მე უნდა ვმოძრაობდე და ვგანუმეორებლობდე. სავარძლებში ღრმად ჩაძირული საჯდომები შენზე ფიქრის ნასახსაც კი არ ამჟღავნებენ. პატრუქის შიშინი არავის არაფერს. შენ მართლა ფიქრობ, რომ შენი სხეული შენი სხეულია? არაფერს აიძულებს, მაგრამ მაინც ფრთხილობ და ეკრძალვი. ერთ დროს ხომ ასე შენც. დიახ, მე მართლა ვფიქრობ, რომ ჩემი სხეული ჩემი სხეულია, ვინაიდან ის მხოლოდ ერთხელ ხდება. შენც მღეროდი. მაშინ სავარძლები ერთმანეთისგან ზურგშექცევით. უჩემოდ ის არც მოხდებოდა, და რაკი მოხდა, მოხდა იმიტომ, რომ ძალიან ვუყვარვარ. ზურგშექცევით იდგნენ. შენ შეგიძლია, მითხრა, რომ ისინი არასოდეს მდგარან, არამედ ყოველთვის მორჩილად ისხდნენ, მაგრამ ნება. მე მხოლოდ ჩემს ხორცთან ერთად და ჩემი ხორცით ვარ ბედნიერი, მაშასადამე - წარმავალიც. ნება მომეცი, არ დაგეთანხმოს, ხოლო თავისი უთანხმოება გარკვეული, მიზანმიმართული, პრაქტიკული აქტით გამოხატოს.

მე ძალიან, ძალიან მიყვარს ჩემი თავი და. ის თუ ამას ვერ მოახერხებს, და თუ შენ ამას ვერ აპატიებ, მაშინ მართლა აქედან წასვლა ყოფილა საუკეთესო გამოსავალი. და ჩემი წარმავლობა. მე მართლა. კეთილი და პატიოსანი, განაცალკევე, გამოარჩიე, გამოყავი, ერთისგან ორი გამოჩარხე, მაგრამ იმასაც მიხვდი, რომ ამაოდ გაისარჯე, რომ ხელთ სიბრიყვე და სისულელე, რაღაც უცხო და უსარგებლო შეგრჩენია. მართლა მე ვარ. ერთხელ, როცა ჩემი თავი უკვდავი მეგონა, მე ის სარკესთან მივიყვანე,

ჩავახედე, და. მაგრამ რა ვიღონო, თუ ისინი დღემდე წვალობენ, დღემდე ურიცხვჯერ კვდებიან. და ასე ვუთხარი: მე მინდა ვიყო წარმავალი, მე მინდა ვიყო წარმავლობაც, რათა მილიარდობით წარმავალი არსება ჩემში მოვიცვა და დავიფარო მარადიულთან თამაშისგან. და ასეც. და ცოცხლ-დებიან ჩემში სწორედ მაშინ, როცა ნებისმიერი უნდა მერქვას. ასეც ვუ-თხარი: იცი, რას გეტყვი? თუ ჩემს სულს მარადიულის ნაწილად ყოფნა გადაუწყვეტია, მაშინ ახლავე. ვაღიარებ, რომ ასე არ მომხდარა. ახლავე წაბრძანდეს, ჩემთან არაფერი ესაქმება.

და მკითხა.

7.

"ვინ არიან ეს სპეტაკი სამოსით მოსილნი, ან საიდან მოსულან? და მე მივუგე მას: უფალო, შენ იცი. და მან მითხრა მე: ესენი არიან დიდი ურვიდან მოსულნი".

IV
მოსანიშნი სამუშაოები

1.

რა ატირებდა? ასე ძალიან ეშინოდა განცდის დაკარგვის? ყოველ შემთხვევაში, სასტიკად მინდოდა, მივსულიყავი და მეკითხა, როგორ ხდებოდა მსგავსი ამბები მაშინ, როცა სხვაგან ვიყავი. მანქანებიც სხვა გზით დადიოდნენ, მაღაზიებსაც გული სულ სხვა რიტმით უცემდათ. ან მან, ერთმა, როგორ გაუძლო? რა თქმა უნდა, ის მზე უფრო მალე მომკლავდა, მცხუნვარე, მაგრამ ჩასული და ჩაკვალული. რა ატირებდა დაფნისფერ კაბაში ხესავით ამოსულს? ჩემსკენ ხელებს აღარ იწვდიდა. იმედია, თავის ბედს უკვე შეეგუა მეთქი. განცდის დაკარგვა საიდან მოვიტანე მეთქი. თავზე მარჯვენა ხელი შეეხო და სახე მოუმშვიდა, ტკივილი დაუცხრო, გული გაუხშირა. თუმცა, ახლა უფრო შემართული დგას, როგორღაც არ თუ ვერ ეწერება ცნობილ სურათში, სადაც ფიცარნაგს ნოხი ფარავს, ნოხს - წარუვალი სიუჟეტი. მუხლზე დაცემულა და ერთიანად ცახცახს მოუცავს. ფეხის გულები ერთიანად შეფერადებია, წყლულები დამსკდარან და ჭუჭყი მოუზიდავთ, შეუთვისებიათ. ვარდისფერი მაინც შენარჩუნებულია და ეს აკვირვებს. რა თქმა უნდა, თვითონ ვერ ხედავს, მაგრამ გავა დრო და ისე მოუთხრობენ, როგორც იხსენებდა, როგორც მაშინ სიზმრად იხილა. ერთი უთხარი, როგორ ხდებოდა მსგავსი ამბები? ნოხზე ახლა შემოდგომაა, უხილავ ტერასებად დანაწევრებული, ჭაობისფერს შერთული და მკვრივი, შედღვებილი. თითქოს არცაა ოთახის შუაგული, თითქოს იმ მოსაზღვრული და მიზანშეწონილი შემოდგომის კუთხე, რომელიც აქ გადამწყვეტია, ოთახის კუთხეს ერწყმის და ემთხვევა. ხოლო ის, მასზე დაცემული, კი არ ცახცახებს, არამედ მხოლოდ ცახცახს მოუცავს. თვითონ აქ არაა, ჯერ არ შემოსულა, გზას ქმნის. მე კი, სწორედ ამასობაში, უმალ აღვნიშნე, როგორ ვევნე და ვეწამე, ალუბლის მურაბასთან ზიარებული. აკი ვთქვი, პირში ჟრუანტელმა დამიარა მეთქი. მაგრამ კიბეც შეინიშნებოდა, მათ მიღმა. ამ დროს ისინი ექვსნი იყვნენ. აქედან სამი მოგვიანებით ამოქმედდა, ხოლო სამი უკვე ცოცხლობდა და თემას ხვეწდა. ცხადია, თუმცა. მაგრამ საქმე არ ეხებოდა ჩემს მრისხანებას, რომელიც არაერთი გვერდის მერე ანაზდად დაცხრა. ნუთუ, მისი ხედვის მანერა მართლა საოცრად ჯანსაღია? ნუთუ, მისი მთელი არსება მოწმობს, რომ მას

სურს იყოს გასაგები და მართალი? ნუთუ, მართლა წუნდაუდებელია მისი ლოგიკა, ეჟენ, ძვირფასო? გაქანება, თავშეკავებული გამომეტყველება, ნაცრისფერი და შავი.

2.

მოძრაობს, მაგრამ თვითმოძრაობს კიდეც. დამცინისო და მთხლიშა. სახე ჯიუტად ავიფარე, ჩავიმუხლე. ხელები არ ემორჩილებოდა. სულ მოძრაობდა და მოძრაობდა. თუ თამაშობდნენ, რატომ ერთმანეთს არ თამაშობდნენ? მათ შორის ვინღა დგას? აკი თქვეს, მარტო ერთმანეთით ვართო. შენ ამბობ, რომ ნუ მგონიხარ ასეთი სულელი. რომ არავის არ შემოიჩვევ, ჩაიკეტები, გათბები და იმუშავებ ძალიან ბევრს, სავსე ხარ და შიშობ უმიზნოდ არ დაიღვარო. რომ გული აღარ გიგრძნობს ცუდს და საშიშს. მაგრამ უფრო ფრთხილად უნდა იყო. ყველაფერი, რაც საინტერესოა, საშიშიცაა. კიდევ შორსაა მეთქი? ვიცი, მაგრამ მირჩევნია ვილაპარაკო, მირჩევნია დავივიწყო, რომ სიჩუმეც არსებობს. დავივიწყებ, მაგრამ ჯერ ჩავიწერ. რამდენჯერ ვთხოვე და მაინც იგივე გაიმეორა. სახლში რა დატოვა? ყველაფერი წამოკრიფოს და უკან წაიღოს. კიდევ კარგმა აზრმა ხომ არ შეაწუხა? არ მეძინა, თორემ ვერ გავიგებდი. აი, ასე, ვწევარ და ვკითხულობ, მერე ჩამთვლემს, მერე მძინავს, მერე ვიღვიძებ და ისევ ვკითხულობ. რაღაც ხდება, რაღაც ისეთი, რაც არ მომხდარა. ალბათ, დღეს ყველას რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ზედმეტად აბსტრაქტული ემართება. ან ვიღვიძებ მეთქი. სწორედ იმიტომ, რომ ყველა მიზეზი კონკრეტულია, მაგრამ მერე არც ერთი, არც ერთი შედეგი კონკრეტული არ აღმოჩნდება ხოლმე, და ეს მაგიჟებს. ვიცი, რომ თავს ვიქცევ, მაგრამ მეტს არ მოვითხოვ არც ჩემგან და არც იმისგან, ვინც და რაც გარს მაკრავს. ის კი იცინოდა. მე ვეუბნებოდი, ყველაფერი წესრიგშია მეთქი. ის კი იცინოდა. რატომ მოხდა, რომ ასე მოულოდნელად დავკარგე თოვლიც, ხეებიც, სახლებიც მეთქი? გზაცო? მეთქი. როცა ისინი გამაჩნდა, არ ვიყავი სენტიმენტალური. ვწუხვარ, რა თქმა უნდა, ძალიან ვწუხვარ, ჩემგანვე ვწუხვარ. მაშინ ერთბაშად გავიწყდება, როგორი ხარ, რას ემსგავსები, როგორ გამოიყურები. მხოლოდ ამას ნატრობ: მალე დამთავრდეს, დროებით მაინც. დიახ, გამაჩნდნენ. ამ სურვილს ის რწმენა ამძაფრებს, რომ არაფერი შეიცვლება; რომ მოკვდე, ისიც ძველი იქნება, გასახსენებელი. ძალიან, ძალიან ცუდი განცდაა, საპოეზიოდ და სამსახიობოდ არ განგაწყობს, ესთეტიკა არც არსებობს და არცაა საჭირო. ზედმეტიც არაა. უბ-

რალოდ, არ მნიშვნელობს. თუ ვახსოვდი ოდესმე ასეთი? არა სენტიმენ-ტალური, არამედ - ასეთი დაღლილი და სამახსოვრო. თუ ვახსოვდი მეთქი? ოდესღაც თოვლიც არსებობდა, ტალახიც და ფერიც, იმიტომ, რომ სახე-ლებს ვარქმევდით, აღვწერდით, ვცვლიდით. ახლა, უბრალოდ, მე აქეთ ვარ, ისინი - იქით. ერთმანეთს ვარქმევდით, დიახ. შუქი მოვიდა? ვწვალობ და ვერ შევსულვარ. არ იქსაქსება, არ იშლება, არ კონკრეტდება მრავალ ურთიერთსაპირისპირო მიმართულებად. ეს იძულებითი, საიმედო კონ-ცენტრაციაა. საიმედო ყველასთვის, ვინც შენ არ ხარ. ერთი სიტყვით, ჩავალ და რაღაც გაირკვევა. ის კი იცინოდა. მეც იგივე მემართება, როცა ჩემთვის ნაცნობ განცდებს აღწერენ. ვერ მიხვდა: განცდა რაც უფრო ნა-ცნობია, მით მეტად უცხოა და წარმავალი. ვინ ენდობა იმას, რაც ნაცნო-ბია? როგორც ჩანს, რაღაც სხვა უნდა მეთქვა და ვერ ვუთხარი. პასუხი მაინც უნდა გაეცეს. ჩემი ეჭვები ყოველთვის იმ ადგილს უტრიალებენ, სადაც ის არაა. ყნოსვით ვგრძნობ ადგილს, სადაც მას ფეხი არ დაუდგამს ან სადაც არაა. ეს ისეთი დამთრგუნველი და შეურაცხმყოფელი განცდაა, მზად ვარ მთელი ცხოვრება განვიცდიდე. დიდი სიამოვნებით დავიმსახუ-რებდი. როგორ ძაღლივით ვუტრიალე! სავსე, სანაგვე ურნებში ყნოსვანა-წრთობი და დავიწყებული, გადარჩენილი, უჯიშო ძაღლივით. როგორმე უნდა აიტანო, რომ სადაც ახლა ხარ, სადაც ხვალ ან ასი წლის მერე ხარ, სადაც გუშინ და გუშინწინ ხარ, მე შენ იქ არ მჭირდები, მე შენ იქ არ გიცი და არც მინდა გიცოდე. იქ გეძებ, სადაც უნდა იყო და არ ხარ იმიტომ, რომ ცალ-ცალკე გადავრჩეთ: მე - აქ, შენ - იქ, იმ შენს ცივ და კედლებიან სახლში, რომელიც იმდენი ღირსახსოვარი ნივთითაა გამოტენილი, რომ არც უწერია ოდესმე გათბობა. განცდას განვიცდიდე, დიახ. მაგრამ ის მაინც შენი სახლია. ყური უგდოს, ნახოს, როგორ ყვირიან გარეთ. ყოველთ-ვის გარეთ იყვნენ და დაძრწოდნენ, მაგრამ ახლა ისინი გარეთ არიან იმი-ტომ, რომ უკანმოუხედავად ნატრობენ იმას, ვინც გარეთ არაა და ვინც მათ არ იცნობს, ვისაც არასდროს ულოცია მათი სულისთვის, მათ გადასა-რჩენად. არა - არასოდეს: ყურის ჩამოთლა, აგურით ამოვსებული ფანჯრე-ბი, გადაწოლილი გალავანი. შენი საყვარელი მწერლის - დოს პასოსის - გმირებივით. მატარებლით შორსმიმავალი გმირებივით. მოხუცი მაწანწა-ლასავით, რომელიც მჯდომარე უნდა მოკვდეს, მიწაზე ოდნავ მაღლა, მშიერი და გაქანებული. ისინი, ყველანი, ასე კვდებიან, ხოლო მათი ფეხე-ბი ყოველთვის მიწითაა სავსე. ისინი არ უყვართ, მათით მხოლოდ ერთო-ბიან ეს ათასი წვრილმანის მაძიებელი, ხორცსავსე თვალებით კუთხე-კუთხე მაცქერალი გოგოცუნები. თამაშისთვის კი არ ვარგანან, მხოლოდ ერთობიან. ხოლო მებაღე ეგზოტიკური ცხოველი არაა, მათხოვარი და

მაწანწალა ეგზოტიკური ცხოველი არაა: მათაც ჩვენსავით შურთ, ეხარბებათ, უნდებათ, უყვართ. გარეთდარჩენილი ადამიანები მხოლოდ მაშინ ცხოვრობენ წელზემოთ, როცა მათზე არ ფიქრობენ, როგორც ეგზოტიკურ ცხოველებზე, როცა მათ ივის არ ეძიებენ. ხომ შეიძლება, ცხოვრებაში ერთხელ მაინც, არ იხმარო, არ იმსახურო ეს ყველაფერი; უბრალოდ, იცნო ის, რაც გარეთ დარჩა იმიტომ, რომ შენ გარეთ არ ხარ. დიახ, აქ ჩვენი მხოლოდ რიტმი და ტკივილია, დანარჩენი გამოთქმისთანავე კვდება. ვიცოდი, რომ ჩქარობდა. მე შენ იქ არც გიცი და არც მინდა გიცოდე, არა მეთქი.

3.

ნოხზე ახლაც შემოდგომაა. თურმე: არ იცინის, უხარია; არ უნდა ვეჩხუბო, ავად იყო და იწვა; გული სტკიოდა; დაიფარა საბანი და კვდებოდა; გადარჩა; არავინ არ უნახავს; არ ეგონა, თუ დავხვდებოდი; წერილი დაწერა და ჩანთა მეზობელთან უნდა დაეტოვებინა; რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან დატოვებდა, - ხომ გადმომცემდნენ; ეჩქარება; მგონი, აგვიანებს; მართლა ვაცილებ? უნდა მოვუსმინო: ბევრი ჰქონდა და ცოტა ჩემთვის წამოიღო; ეს ბრინჯია, მაგრამ ცუდი ბრინჯია; თავის შვილს უხარშავდა და კარგი ფაფა გამოდიოდა; მეხვეწება, - ნუ ვუბრაზდები; როგორ ვფიქრობ, დედამისი უშაქროდ დატოვებს? ვნახო რას ჰგავს, ერთიანად ტალახში ცურავს; ეჩქარება; დღეს რომ არ ჩავიდეს, შეიშლება; ყოველთვის ასე ემართება, როცა შვილის სანახავად წასვლას აპირებს: გადაწყვეტილების მიღებისთანავე იქაა, ვერ ისვენებს, ვერ ჩერდება ერთსა და იმავე ადგილას; ამიტომ გახდა ავად, ალბათ; ორი დღეა, სახლიდან ფეხი არ გადმოუდგამს; მიხვდა, რომ უცებ ვერ წავიდოდა და ავად გახდა, დაახველა და სიცხე ჰქონდა, არ დაუკლო; სულ იწვა და იწვა; გუშინ იცოდა, რომ დღეს დილით კარგად იქნებოდა; მთავარი იყო, ღამე გასულიყო; სხვათაშორის, არაჩვეულებრივად ეძინა; ძალიან ვუყვარვარ; მაშინ რასაც ვუყვებოდი, კარგად დაიმახსოვრა და ხშირად ახსენდება; იცის, რომ უნდა იმუშაოს; რა მალე გადის დრო; როგორც მე ვუთხარი, ისე მოიქცევა, თუმცა მასაც ასე ჰქონდა გადაწყვეტილი; ასეთი ფურცლები გამომადგება; კიდევ ბევრი აქვს, ნუ განვიცდი ასე ძალიან; გავმხდარვარ; ყოველთვის ნერვები აწყდება შვილთან შეხვედრის მოლოდინში; როგორ უნდა, კარგი გაიზარდოს! ვიცი თუ არა, რა ჭკვიანია? სულ ეკითხება და ეკითხება, მას კი ფურცელი და ფანქარი უჭირავს და იწერს; ერთხელ ჰკითხა, დედიკო,

ღმერთიც იკრავს ღილებსო; ვიცი, როგორ უყვარს ის მას? სახლს კი აი, ამსისქე კედლები აქვს; რატომ ღირს საღებავები ძვირი? ჰგონია, იგვიანებს; მთხოვს, მასზე მსგავსი უმსგავსობები აღარ ვიფიქრო; შეიძლება ითქვას, რომ ვიხსენი; რაღაც ისეთი უნდა შექმნას, რომ სიცოცხლე მარტო ასატანი კი არა, სასურველიც გახდეს; ასე არაა? მეუბნება, მეტი არ უნდა; წარმოუდგენია, როგორ გაუხარდება ჩემი ნახვა, სულ ჩემს გვერდით იქნება; მას ჩემი ძალიან კარგად ესმის; ნუთუ არ მესმის, რომ ჩემთვის მოიტანა; მცივა? აბა, წარმოვიდგინო მისი სიხარული, როცა მისი ხელით გარეცხილ თეთრეულში ჩავწვები; მე ან არაფერს არ ვლაპარაკობ ან ძალიან რთული სიტყვებით ვლაპარაკობ; ჰო, რთული წინადადებებით; ვიცი, რა აზრი რჩება, როცა მისმენს? როცა ერთ სიტყვას ვამბობ, ჯერ კიდევ არ იცის, მერე რა სიტყვა უნდა იყოს; ვიცი, რა უცნაურია? არ ბეზრდება ჩემი მოსმენა; მასზე ჭკვიანი მსმენელი იმასაც კი მეტყოდა, რომ არ იცის, ერთ ასოს რა ასო მოჰყვება, - უფრო სწორად, ჯერ კიდევ არ იცის მაშინ, როცა ამ ორ ასოს შორის, წარმოთქმულსა და წარმოსათქმელს შორის იმყოფება; არ შეიძლება, ეს მოგბეზრდეს; რატომ იყო ასე ავად? როცა ავადაა, არავინაც არ ენატრება, არავიზე არ ფიქრობს; შეიძლება ფიქრობს კიდეც, მაგრამ - ისე არა, როგორც სხვა დროს; სხვა დროს კეთილია; პური მაქვს? ბოროტი - მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილი არაა; მე თუ მაქვს, თორემ მას არ შია. და ეს ყველაფერი - თურმე. თურმე, და დაახლოებით ასე:

მე დავუკარი ჩემი სატრფო უფრო სათუთად,
ვიდრე შენ უკრავ ჩემს სულს და ხორცს, სიტყვაო ჩემო.
შენ, აღტაცებავ იმ არაფრით, ჩვენად რომ იშვა
და გარდაიქმნა მოძრაობად ორ ასულს შორის,
რომლებიც სითბოს შესაქმნელად ემზადებოდნენ
და არ იცნობდნენ ჯერაც ერთმანეთს.
მე დავუკარი ჩემი სატრფო უფრო სათუთად,
ვიდრე ჩემს თვალებს ეხებიან სივრცის ხელები,
რათა სიმრგვალე არ დაკარგონ კოსმოსში ხმებმა
და არ ჩაიქცნენ გულდაფჩენილ, ყომრალ ღამეში,
რომელიც, ალბათ, არც არსებობს, უბრალოდ - კივის,
და გასარკვევს ხდის გაურკვეველ ჩვენს აღტაცებას
(და აღმოაჩენს მირიადი ცოცხალი არსი
ამ ღრმა კივილში შესამჩნევად ანთებულ სიტყვას,
ფეხგადაუდგმელს, ნაბიჯუთქმელს ჩვენსკენ ან შენსკენ
ან იმ ერთისკენ, ვინც მის ბედს და მთვარეებს მოძღვრავს).

მე დავუკარი ჩემი სატრფო უფრო მრისხანედ,
ვიდრე მიწის და კაცის ირგვლივ შენი კვალია,
რომელიც არსად შენს სხეულში არ მეორდება,
რომელიც არსად ჩვენს ბრუნვაში თავს არ იმალავს.
მაგრამ სავსეა მაინც სისხლი თამაშზე ფიქრით,
რომელიც თამაშს კიდევ ერთხელ უნდა წაერთვას,
და გადაიქცეს ახალ, ჯერაც უჩვევ შეხებად:
გზად რძიდან რძისკენ, მოძრაობად და დასასრულად.
მე დავუკარი ჩემი სატრფო უფრო სასტიკად,
ვიდრე წყალში ან ცივ ზეწარში ჩემი შესვლაა, -
როცა სარცხვინელს მიკოცნიან არა ის გზები,
რომლებსაც ბევრჯერ შეუმჩნევლად ჩამოუვლიათ,
არამედ - მხოლოდ ერთხელ მთქმელი ანწლის ტევრები,
რომლებიც ჩემს ტანს უკვე აღარ ებრალებიან.
და მხურვალებენ ჩემს წარმავალ ფეხებქვეშ გზები,
და ბრმავდებიან: ბაგე ჩემი, მუცელი ჩემი.

" - დიახ, თვითონ წერდა. მეგობარი გოგო უყვარდა და არაერთი ლექსიც მიუძღვნა. ისინი გვიან შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ, როცა ერთს ქმარი გაექცა, მეორეს კი გარდაეცვალა. ეს შეხვედრა ჩვენს ქალაქში რომ მომხდარიყო, ალბათ, მათი ბედნიერება უფრო ხანგრძლივი იქნებოდა. საფო იმან, სატრფომ შეარქვა. დიახ, ძალიან.".

4.

პროცესი, როცა აღწერის სურვილს წინააღმდეგობას უწევს წარმოსახული აღწერის შედეგობრივი მაჩვენებლისადმი პოტენციური აღმწერის უარყოფითი დამოკიდებულება და შესაბამისი განწყობის სიმტკიცე, შეიძლება კრიზისის ნაირსახეობად შეფასდეს. იგი მიმდინარეობს პერიფერიების მაძიებელ ნებისმიერ გონებაში მაშინ, როცა ნება, რეგიონულადლოგიკურის გადასარჩენად აქტივიზებული, მოულოდნელად ცვლის მეხსიერების რეჟიმს, და ეს უკანასკნელი უხილავი ძალების მიერ მნიშვნელობამინიჭებული კერების დაცვის სამსახურში დგება. გადის რაღაც დრო და ძველი რეჟიმისგან ისტორიის რიგითი მონაკვეთის მეტი არაფერი რჩება, ხოლო ახალი რეჟიმის შესაცვლელად აუცილებელი უახლესი მნიშვნელობები აუჩქარებლად, რიტუალისადმი თანდაყოლილი სიყვარულით, რი-

ტმის გრძნობის თანშობილი უნარით ეძიებენ თავიანთი ძალისხმევის თავ-მოსაყრელად საჭირო ობიექტთა საჭირო სიმრავლეს. ძველ, ნაჩვევ ტრადი-ციას ბრძოლით ან სავსებით უმტკივნეულოდ ცვლის ახალი ტრადიცია, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, თან სდევს ტექნიკური არსენალის ცვლილება-გადახალისება. როცა მანქანა თვალს მიეფარა, რამდენიმე წუთის წინ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის მთელი სიმძიმე ერთბაშად იქნა დავიწყებული და ამის მიზეზად ქცეულიყო მისი სულისთვის ერთი შეხედვით უწყინარი სანახაობა, - რკინიგზის სადგურის მომიჯნავე ტერი-ტორიაზე შემორჩენილი, ატალახებული მინდორი და ამ მინდორზე ხეების განლაგება. ერთი შეხედვით ხელოვნური და საერთო სურათიდან ამოვარ-დნილი, ამოშლილი ეს მიდამო ერთდროულად მკვდარიც იყო და ცოცხალ-იც, გადამწვარ-გადაშავებულიც და ჯანმრთელიც, მოძრაობით და მოძრა-ვი ძალებით აღსავსე. ამასთან, თითქმის საჩვენებლად აღიბეჭდავდა გა-სული დღის განმავლობაში დადენილი სველი თოვლის კვალს, თავის რიგით გამოცდილებას. დაახლოებით ასე, არა? რა თქმა უნდა, განლაგება. რა თქმა უნდა, თითქმის სახლებად ქცეული ხეები ან სულაც სახლები. რა თქმა უნდა, არავითარი პოეზია. შეიძლება გაქცევაც და დავიწყებაც, მაგრამ - გაქცეულისთვის საზიანოდ. რიგითი გამოცდილების მატარებე-ლი ესა თუ ის რიგითი პეიზაჟი, რომელმაც ინდივიდუალური განწყობის შეცვლა და რაღაც მიმართულებით მისი გადასროლა გამოიწვია, მხოლოდ გარდამავალი საფეხური თუ ეტაპია ჰორიზონტის განსავრცობად ამუშა-ვებული ცნობიერებისთვის; ეს უკანასკნელი, ასე ვთქვათ, ეშმაკობს: გა-რემოს მზერამიპყრობილი და თითქოს სამუდამოდ მონუსხული, გადამწყ-ვეტ დარტყმას უმზადებს თავის თავს, აუცილებელი შემობრუნებისთვის ემზადება. ხსენებული გაქცევა კი სხვა არაფერია, თუ არა მოსალოდნელი შემობრუნებისთვის აქტიური მოლოდინი, ერთგვარი ცარიელი სივრცე, გარესამყაროში დადგენადი საგნებით და მოვლენებით შევსებადი და ამ სივრცეში მოხვედრისთანავე შესაბამის მოდიფიკაციათა მომხიბლავ პროცესს დაქვემდებარებადი. დიახ, აქ, უნდა ითქვას, უმნიშვნელო არა-ფერი ხდება, მაგრამ ორგანიზმი უძლურია უწყვეტად მომდინარე გამოც-დილებათა მთელი სიმდიდრის შესაბამისი სისწრაფითვე ასათვისებლად; შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ორგანიზმის ეროტული აქტივობით წესრიგდება, დროსთან ზიარებას, დროული არსებობის მიღებას, დროს-თან შერწყმას საჭიროებს, მოითხოვს ხანგრძლივობას, სისხლს. "და ყო-ველივე მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალოობა გამოირიცხოს?". "რა თქმა უნდა, არა. ყოველივე მხოლოდ იმიტომ, რომ ვაღიაროთ და დავაფასოთ, რაც საშუალოა. მაგრამ პირადად ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვიყოთ

საშუალო". ნუთუ შურისძიება იყო? რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მართალი იყო. თუმცა, ჯერ ადრეა. მე ახლაც იქ ვარ: საით წავიდე? ტრამვაი არ მუშაობს, სახლში სინათლე არაა და ვერ ვიმუშავებ. კარგია აქ, ქუჩაში, მაგრამ ბინდდება, მოულოდნელობებსაც თავ-თავისი ჯანმრთელობა სჭირთ. ერთი ან მრავალი. ჯანმრთელობების ერთდროულობა. გააჩერე ნებისმიერი, განუმარტე, დაარწმუნე, რომ შეშლილი არ ხარ, თავმოყვარეობა შეუქე, დაუფასე, დაღამდეს. მაგრამ მარტო ხარ იმიტომ, რომ ნებისმიერი შესაძლო პასუხი იცი და არ გინდა. არა, არც მსხვერპლია მარტივი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოკლებულია ერთადერთობას. სადმე სხვაგან რომ შემდგარიყო ეს შეხვედრა, სადმე ახლა, სადმე ამ წუთას. თუმცა, ეს უფრო დამამცირებელი იქნებოდა შენთვისაც და იმისთვისაც, ვინც გაიმეტე და ამ პეიზაჟებს შეატოვე, ურთიერთმონაცვლებად და სისწრაფით ცნობილ ამ სამგლეთს, ამ სიკვდილეთს. რა დაგამშვიდებს, სიმშვიდე ხომ უკვე იყო, - შინ ნაზარდი და კმაყოფილი, უზრუნველყოფილი და მაინც ენეგადმოგდებული. იდექი ახლა, შენს თავს უთხარი ეს ყველაფერი, უთხარი არა სიტყვებით და სიმღერებით, არამედ - იმ უპასუხისმგებლობებით, იმ უზნეობებით, იმ სულმოკლეობებით, იმ მოუცლელობებით, რომლებსაც არ ცნობდი და თვალს კი არა, სულს არიდებდი, შენს უსაფუძვლო მერმისს არიდებდი. რა თქმა უნდა, - არა მომავალს, არამედ - მერმისს. რად ღირხარ ასე გამოცდილი, ასე ფიქრიანი, ამაღლებული და მისაღები. ხომ შეიძლებოდა - ის, რაც მოხდა, არ მომხდარიყო. იცოდე, გამორიცხე ბედისწერა, ის, რაც არაფერ შუაშია. გადარჩენილს მაინც უშველე და შეინარჩუნე, ნუ იქნები მაშველი რგოლის თუ რგოლების იმედად. ახლა მაინც ნუ იქნები მზად, ნუ იქნები გამოცდილი და დახვეწილი. მოვიდა, რომ გადაგარჩინოს. ის მოვიდა, ვინც შენ გაწირე, გაწირე შენი უზუსტობით და ამით ყველაფერი თქვი, რაც შენს მიერ უნდა თქმულიყო. ახლა კეთილი ინებე და იყუჩე, ახლა იმან ილაპარაკოს, ვინც გაიმეტე, ვისაც ასე ძლიერ უყვარხარ. ილაპარაკე, მაგრამ იყუჩე. ახლა იმან ილაპარაკოს, ვისი სიყვარულიც შეურაცხყავი. დაახლოებით ასე, არა? საუბარია მიზეზობრიობის უსასრულო ჯაჭვიდან წარმოსახვით ამომიჯნულ რამდენიმე რგოლზე, თავმოყრილზე მომენტალური შეჭირვების ირგვლივ, სახეზემყოფი მოვლენის ირგვლივ. რატომ იყო ატალახებული მინდორი ასე გამომწვევი და ამშლელი, მაინც და მაინც ახლა, როცა მატარებელი თვალს მიეფარა, როცა ადამიანები უფრო დაკონკრეტდნენ და წუმპეს და ტალახს შეჩვეული მათი ფეხებიც უფრო ჩვეულებრივი და ყოფითი გახდა, დამოუკიდებლობა მიიპყრო, უარყო ფუნქცია. ილიმის. ამშლელი თუ შემაშფოთებელი? არც ერთი არ ვარგა და მიზეზი შედეგს დაემთხვა. თუმცა, ეს ნაკლებად საინტერესოა. ერთი

წუთით თავი განლაგების რიგით წევრად წარმოიდგინა, მონიშნა ადგილი, სადაც უნდა მდგარიყო, და იმ მიდამოსთვის თვალის შევლება სცადა, სადაც ახლა ნამდვილად იდგა; იქიდან ეს მიდამო მკაფიოდ მოიხილებოდა, მაგრამ თვით ამ ატალახებულ მინდორს და თავის იქყოფნას ზედმეტს ხდიდა. დაასკვნა, აქ მირჩევნია, მაგრამ - ერთადერთი პირობით: თუ ხეების ჩემს მიერ მოპოვებული განლაგება რაღაცით თანხვდება მოძრავ და უძრავ მანქანებს შორის მდგომარეობის ყოველწამიერ ცვალებადობასო. ისევ გაეღიმა, - ხომ შეიძლებოდა, ხეების უძრავი განლაგება მანქანებს შორის უსასრულოდ მცირე დროში არსებულ განლაგებათა ანუ უძრავ მდგომარეობათა შინაგან ფორმად წარმოედგინა. რა თქმა უნდა, - იმავდროული ერთადერთობების გამორიცხვით. კომბინაციების ბუნებრივი არსებობის დაშვებით. იმასთან ერთად, ვინც ახლა შორს იყო და უფრო შორდებოდა. თითქმის არ დამშვიდობებია. ისე სწრაფად გაერიდა და შეიმალა, ჩაიკარგა მგზავრებს შორის, რომ სულ მარტო დარჩა. მაგრამ გრძნობდა, რომ სიამოვნებდა. ისე უბრალოდ და აუმღვრევლად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, როგორც მხოლოდ დაღლილ და ერთმანეთის მოიმედე ადამიანებს შეუძლიათ. არადა, მაინც მარტო დარჩა. მაგრამ გრძნობდა, რომ სიამოვნებდა. ისე უბრალოდ და აუმღვრევლად ეპყრობოდნენ ერთმანეთს, როგორც მხოლოდ დაღლილ და ერთმანეთის მოიმედე ადამიანებს შეუძლიათ. არადა, მაინც მარტო დარჩა. ხომ შეიძლებოდა, ხეების აღმოჩენილი განლაგება მისი შეჭირვების შინაგანი ფორმა ყოფილიყო. და გადაწყვიტა, რომ წონასწორობას კარგავდა, ადამიანების მიმართ მისი გულგრილობა მათდამი სიბრალულით იცვლებოდა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვა. მონიშნული განლაგება შეინარჩუნა და იჩქარა, სახლისკენ გზას ფეხით გაუყვა. დიახ, საუბარი მე მეხებოდა.

5.

შეიძლება ითქვას: მარცხენა ფეხს ხამლი მოუშორებია და ეს-ესაა თავის დაღლილ არსებობას ჩამხვდარა, გარინდულა. იგრძნობა, რომ ჩვილის მუცელივით ვარდისფერი ეს ფეხისგული აღარ მოირგებს მრავლისმნახველ ამ ხამლის ლანჩას, რომელიც თითქმის აღარც არსებობს, მაგრამ მაინც სიყვარულით და იმ იმედით გამოუსახავთ, რომ მნახველის თვალი იოლად აღადგენს მის მძიმე წარსულს. იგი მარტოა, თითქმის ცენტრში, მაგრამ ცხვირით სურათის სიღრმისკენ მიმართულა და ყურადღების კონცენტრატორის ფუნქციას კისრულობს, მისი ყელიდან უწყვეტად ამომა-

ვალი უფსკრულის გავლით მზერა იძენს გამოცდილებას, რომელიც მარ-
თვადს გახდის მასში ფეთქებად ყოველ მორიგ იმპულსს. ძლიერი, ქვად-
ქცეული ქუსლია. ისინი ვერ ხედავენ, მაგრამ ყნოსვით გრძნობენ, რასაც
მარჯვნივ მდგომი ებრაელის დაძაბული, თუმცა კი შიგნიდან მოშვებული
გამომეტყველება ნათლად ამჟღავნებს. აქ ყველამ ყველაფერი იცის.
თვით იმ ორი ცნობისმოყვარე მსახურისთვისაც უცხო არაა მოულოდნელი
და სენაკის ასე ერთბაშად მომცველი, ყარიბობის შორეული გზებიდან
მოტანილი სუნთქვა, რომელსაც უკვე აღუგზნია და შესამჩნევად გაურ-
თულებია დამხვედრთა ჯერ ისევ კრებითი თანალმობა. ახლა აქ მყოფნი
მის სუნთქვას უფრო საჭიროებენ, ვიდრე - სიტყვას, რომელიც მაინც არ
არსებობს. სიტყვა გვიან მოვა, მას ჯერ დაბრუნებაც კი არ გადაუწყვეტია
ანუ ჯერაც არ შემცდარა. გზას მხოლოდ ერთი მიმართულება აქვს. გზა,
რომლითაც უკან ბრუნდებიან, გზა აღარაა, რაც შესაძლებელს ხდის შეც-
დომის გაჩენას. გადაწყვეტს თუ არა უკუქცევას, ისიც ცთომილად ჩაი-
თვლება, დრო-სივრცის იმ კანონთა ძალით, რომლებსაც სულაც არ მიაჩნ-
დათ იგი მოჯანყედ. მაგრამ ეს - მაშინ, როცა მიდიოდა. ასე, რომ სიტყვა
ჯერ აქ არაა. ცხადია, იციან, რომ მოვა.

6.

იმღერეთ, მაგრამ შესვლისთანავე მოულოდნელად შეწყდით და
შესრულდით. პაუზა ჩემს დროს არ მოითხოვს, შემსრულებელთა მონა-
ცემებსაც დაუდევრად ექცევა და მსმენელთა გულებში განზავდება. რო-
გორც ჩანს, ავტორი მხოლოდ იწყებს, დანარჩენი დამოკიდებულია კოლე-
ქტიური ექსტაზის ყოვლისმომცველ ჰეგემონიაზე. მაშინ ქმედების სა-
ზღვრები იშლება და სიმღერა ყოვლად უღიმღამო ნივთებად და ურთი-
ერთობებად ტრანსფორმირებულ საკუთარ იდეას შეიმეცნებს. ასე, არა?
მოვახსენე, რომ ჩემთვის სიახლეს სულაც არ წარმოადგენდა შემოთავა-
ზებული წინადადება და კეთილს ვინებებდი, - ჯერ საკითხთა ფართო
წრეს გავაშუქებდი და მხოლოდ ამის მერე მივმართავდი ჩემი იდეების
პრაქტიკულ ხორცშესხმას. სახელდობრ რომელი ფრინველი იფიქრე,
ტოროლა ხომ არაო. ვწუხვარ, ბატონო ჩემო, ამჯერად ყოვლად გაურკვე-
ველი ფრენადობის ობიექტთან ჰქონდა საქმე ჩემს უბადრუკ წარმოსახ-
ვას მეთქი. გულწრფელად შეწუხდა, - რატომ ასე თვითკრიტიკულადო.
მე უკვე ოთახში ბოლთას ვცემდი და მრისხანედ განვმარტავდი, რომ იქ,
იმ უმაღლეს სფეროებში, იდეებისთვის ადგილი სულაც არ მოიძებნება,

რომ იქ მხოლოდ იდეალები ბატონობენ. წარმოიდგინონ განრისხებული ღმერთი, რომელმაც ზურგი უჩვენა თავის წარმონაქმნებს და ეს უკანასკნელნიც უკანმოუხედავად ცვივიან, რათა კვლავ და კვლავ უმაღლესი ინსტანციის დიადი ნება განხორციელდეს და ამ განწირული არსებების ერთობამ ახალი სიმღერა შექმნას, - რა თქმა უნდა, მრგვალი, მაგრამ - ცივი, ბნელი და იოლად მსხვრევადი, მოთუჯო. აი, ესაა იდეების უიღბლო კომუნა, დაცემულ არსთა დედულეთი. მაგრამ ღმერთის მრისხანება ხომ დროებითი იქნებოდა და ადრე თუ გვიან უნდა დამცხრალიყო კიდეც. და აი, ჩამოცვენილ გზადმყოფთაგან ერთ-ერთმა უცებ ვარდნის სიჩქარეს უკლო, - უთვალავი ვარდნადი არსებით სავსე სივრცისთვის ამ დროს ვინმეს რომ შეეხედა, იფიქრებდა, უძრავ ფონზე რაღაც თუ ვიღაც მაღლა-მაღლა მიიწევსო. ბოლოს კი სულაც შეჩერდა და აი, უკვე მართლა მაღლა მიიწევდა, იქ დაბრუნებას ეშურებოდა, საიდანაც თანამოძმეებთან ერთად გადმოუძახეს. როგორც ჩანს, უმაღლეს ინსტანციას ასე ჰქონდა ჩაფიქრებული: მისი მაღლასვლა მანამ გასტანდა, სანამ სხვების ვარდნა ახალი კომუნის წარმოქმნით არ დამთავრდებოდა. მართლაც, განწირულები თავისავე ფსკერს ენარცხებოდნენ და ნივთდებოდნენ, ადრედაცვენილებს მომდევნონი ეფინებოდნენ და როცა განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი, მაღლა უკუმსწრაფი იმ ერთი არსების ბედიც გაირკვა: ფრენა შეწყვიტა და ერთ ადგილას დარჩა სამარადისოდ გამოკიდებული. იგი აღარც იდეალია და არც - იდეების ერთობის, დაცემულ ანგელოზთა ერთობის, წევრი. იგი რაღაც საშუალოა ამ ორ სფეროს შორის. იმან კი, ყოჩაღ, ასე იკითხა: უკაცრავად ნუ ვიქნები, პატივცემულო, და ეს სასაცილოდ გამოკიდებული არსება იმ გზის სიმბოლოდ ხომ არ წარმოვიდგინოთ, რომელიც ჩვენს ანთებულ თავებში ამა თუ იმ ნაწარმოებსა და ობიექტივირებულ ჩანაფიქრს შორის არსებობსო. ამის გაგონება იყო და ჩემი მრისხანებაც ანაზდად დაცხრა. თვით ორიგენსაც შერცხვებოდა, მსგავს გარემოებას ჩემს მიერ წარმოდგენილი მისი შესაძლო მრისხანება რომ არ დაეცხრო. ამ დროს სანახაობრივი ფუნქცია გადამწყვეტ როლს თამაშობს: სიმღერის შინაარსი მომღერლის ბაგეთა თუ სხეულის სხვა, ხილულ, ნაკლებადხილულ ან სულაც უხილავ ორგანოთა მოძრაობად გარდაიქმნება და ამ სისხლსავსე ნაწილებს ევალებათ, მსმენელი მაყურებლად აქციონ და ინსპირატორის ავტორიტარიზმი ამთვისებელთა კოლექტიური ექსტაზით გადაფარონ. დიდი შუადღე. როკ-ნ-როლის სასწაულები. მხოლოდ ასე აღმოაჩენ, რომ ის, რაც წმინდა და დიადი გეგონა, თურმე შენსავით ბინძური და არაჩვეულებრივი ყოფილა, მსგავსი მხოლოდ მსგავსით შეიცნობა და დაიყვანება თავის ნამდვილ რეალობამდე. მოვლენების გა-

სავითარებლად აუცილებელი იმპულსი, მართალია, აღქმის ობიექტშივე დევს, მაგრამ აღქმის მიღმურია და ისე განიცდება, თითქოს აღქმისთვის უცხო იყოს. არადა, ის ხომ მხოლოდ ცალკეული აღმქმელისთვისაა უცხო. ძალა კი, როგორც მოეხსენებოდათ, ერთობაშია. კოლექტიური აღქმა კი, ეჭვი არავის შეეპაროს, თვით უხილავსაც ხილულად აქცევს. და - პირიქით. დაახლოებით ასე აზროვნებდნენ. მეც დაახლოებით ასე მეძინა. შესვლას კი მაინც ვერ ვახერხებდი. არსებობს თუ არა სხვა გზა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცი? უნდა არსებობდეს. გუმანი მკარნახობს პრინციპული ხასიათის შემობრუნების საჭიროების აუცილებლობის არსებობის შესაძლებლობის გონივრულობას, რაც საღ აზრს, ეჭვი მაქვს, ამიმხედრებს. რაც შეეხება შემოთავაზებულ წინადადებას, მე მას მივიღებ, რათა შიმშილით სული არ გამძვრეს და დროზე ადრე არ ეზიაროს უმაღლეს სფეროებს. არსებები თუ სუბსტანციები? იმღერეთ, დაახლოებით ასე:

ნუ შემპირდები მარადიულს. ეს იოლია -
დაემკვიდრო და განეფინო მარადიულში.
მე მსურს წამიერს ვეზიარო - იქ დამთავრებადს,
სადაც სურნელებს წარმავალი, დავიწყებადი,
სადაც სიკვდილი არა მხოლოდ არავის ახსოვს,
არამედ უკვე არც გულისხმობს მეხსიერებას;
სადაც მე მე ვარ არა მხოლოდ იმის მიზეზით,
რომ მე მე არ ვარ და არც შენ ხარ ხსოვნის იმედად,
არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ მზე არსებობს
და ვარსკვლავები არსებობენ და ჩვენ აქ არ ვართ,
ანუ: რომ მხოლოდ ერთხელ ხდება ეს ყველაფერი,
და რაც გვიხსენებს, ჩვენ კი არა, იხსენებს იმ გზას,
რომელიც სხვაა, და იმ სხვასაც აქვს დასაწყისი
ჩვენში კი არა, სულ სხვა დროში, სხვაგან და სხვასთან.
მინდა, წამიერს ვუერთგულო, არაფრად ჩამგდებს
ორ სუნთქვას შორის გაჩენილი სიტყვა-უფსკრულის,
რომელშიც ცვივა დავიწყებას გადარჩენილი,
წარსულს და მერმისს შერჩენილი ყოველი მზერა.
რაღაც მიფრინავს, რაღაც თითქოს მარტო შთენილა,
მაგრამ, რატომღაც, ზეცა მაინც ცარიელია,
ერთმანეთისთვის ვერ იმეტებს, რატომღაც, აწმყოს
ერთმანეთს მალვით შეხიზნული ორი არსება.
მათ უანგაროდ გაუცვალეს, ალბათ, ერთმანეთს

გზები, რომლებიც გააჩნდათ და არ სჭირდებოდათ,
და ერთურთამდე მიიტანეს მხოლოდ იმიტომ,
რომ რაც ებადათ, ამ გზებს შერჩა და შეერია.
და არც იმ ერთხელ, როცა ხდება! ჩვენს თვალს მომწყდარი,
მაშინაც, ალბათ, დროს მოძრაობს, რაც ამოძრავდა;
როცა ერთმანეთს მოძრაობენ, დროს მოძრაობენ,
გზაც დროა, მაგრამ დრო არაა მეხსიერება.
და თუ შენც დრო ხარ, უნდა დაგთმო, უნდა დაგძლიო,
უნდა შეგეხო, ამოგშალო ჩემი ხსოვნიდან
და ჩემი თავიც ამოვშალო იმის ხსოვნიდან,
ვინც ხსოვნა მოსპო, მაგრამ თავი გადაირჩინა.
ნუ შემპირდები მარადიულს. ეს იოლია -
არ უერთგულო, აუჯანყდე ქრობადს, წარმავალს;
ბევრად ძნელია, არ გახსოვდეს ის, რაც არ იყო
და არც იქნება, მაგრამ იყო, მაგრამ იქნება.
დაახლოებით ისე, როგორც იქ, მთაზე, ხე დგას,
ისე უბრალოდ, ისე უტყვად, ისე მარტივად,
რომ ფესვი ტოტად, ტოტი ფესვად გადაქცევია,
და არ აპირებს არსად წასვლას, ცაშიც კი - არა,
არ იგერიებს დღეს ან ღამეს, აღმერთებს თამაშს,
და უცნობია მისთვის წამიც, მარადისობაც.

" - თვითონვე ამბობდა: ჩემი სიყვარული რომ ასე უბრალო არ ყოფილიყო, ალბათ უფრო უბრალო ლექსები გამოვიდოდაო. არა, ლექსი ხომ ფიზიკური სხეული არაა, რომ თავი დაიცვასო. როცა საქმე სიტყვას ეხება, ძალიან, ძალიან უნიჭო ვარ, მაგრამ იმას მაინც ვახერხებ, რომ სათქმელი ვერ ვთქვა, ვერც ჩემი მთავარი განცდები გამოვხატო და ვერც ჩემი ყოველდღიური გადაწყვეტილებები გადმოვცეო.".

7.

ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე იყო: სწორედ ასეთი არ წარმომედგინა. განა ყოველთვის ასე არაა? საკმარისია, ხმა აგრესიას არ ამჟღავნებდეს. მსგავსი ხმები გაჩენისთანავე თითქმის უადგილობას განიცდიან, ისინი არასდროს არაფერს სწავლობენ, არ სჭირდებათ. ასეთი ძალიან რიგითი ხმები ხშირად არარიგითს ფარავენ და ინახავენ. ვერც მათგან სწავ-

ლობენ. არ უნდა მოვტყუვდე, გადარჩენის ინსტინქტი ამ უბანზეც წარმატებით მუშაობს. აბა, როგორ გადარჩებოდა? ისინი თითქმის მხოლოდ იმიტომ იბადებიან, რომ არავის არაფერი წაართვან და ეს ისე უბრალოდ და შეუმჩნევლად ჩაიდინონ, როგორიც სამხედრო მარში ან თვით სასულე ორკესტრია. დარწმუნებული ვარ, ვიცნობ. არა ხმის მიხედვით, ცხადია. ეს მზე რომ არა, დღემდე აღვირაუხსნელი და შეუმდგარი, მხოლოდ ჩემს თავში, სხვას ნუ ვერჩი. აი, აი, ეს მზე რომ არა. რამდენი სიტყვა იყო, ბოლო არ უჩანდა იმ ერთ გაბმულ მღვრიე მდინარეს. მე არ შევსულვარ, ვიდექი და ვუყურებდი. ჭკვიანურად, ზომიერად, მორალის ცოდნით, მაგრამ, სხვათაშორის, მგელივით. დაახლოებით ისე, როგორც - ამ მოლოდინს, იმისგან - მოსასვლელისგან - ცარიელს. ის კი, ეჭვი არ მეპარება, სავსეა და იმედიანი, მორწმუნე, ერთჯერადი, ისე, როგორც ფიქრი, თუნდაც - ჩემს ადუღებულ ტვინში ან ტვინის შემოგარენში. გააჩნია, არა, პოზიციას? არა, ასეთი არ მეგონა, თითქმის ბავშვია და უკვე მოხუცია. ტყუის, ეთიკის ღერძზე ბრუნავს, დანარჩენი მიმიკრიაა. ერთი უყურე, ერთი კარგად დამიხედე ამ თავის თავში გაურკვეველს და გაურყვნელს. არა, არ ვცდებოდი. უყურე ამ ტუჩებს, სახიდან გაძევებულ ამ მართლაც ბაგეებს, როგორი გასროლით გამოხატავენ ზიზღს ყველაფრისადმი, რაც მათი ვერ გახდება. რა თქმა უნდა, ბოლომდე ტყუიან. რაც მათ ეზიზღებათ, გარეთაა, მათ გარეთ, მათგან შორს ან ახლოს, მაგრამ - გარეთ. აჰა�ა, თურმე რატომ უფეთქავთ მის ფოსოებს ასეთი რევოლუციური და გმირული თვალები, თითქოს ავადმყოფობით დაბერილი, გადამდებად აბრიალებული და მაინც - ხორცსავსე, უარმყოფელი. ან ეს თავი სად მიდის, რატომ არ ჩერდება? რატომ მაინც და მაინც კონუსი? როგორი, ჩემგან უნახავი, თავი ჰქონია. ის ხმა და ეს თავი ერთი ადამიანის საკუთრებაა. როგორ არ უხდებიან ისინი ერთმანეთს! მაგრამ ითქვა: მე ვფიქრობ დამნაშავე სულაც არ არსებობს არა ის სადღაც მაინც არსებობს და მეტ-ნაკლები წარმატებითაც მაგრამ ისეთი არა ჩვენ რომ გვგონია ის დამნაშავეა იმიტომ რომ თავის უდანაშაულობას ვერ აცნობიერებს დიახ დიახ მსხვერპლი უფროა რატომ იცინით თქვენ ხომ აღნიშნეთ რომ ძალიან გიყვართ ეკლესია იქნებ ვერ ვამბობ გასაგებად მაგრამ სიტყვებით თამაშსაც თავს ვარიდებ თქვენ ფიქრობთ რომ შეუძლებელია და იცინით მაგრამ მე მართლა ასე ვფიქრობ და ეს ძალიან დიდი ხანია იცით ის მართლა არ არსებობს განა დანაშაულად ამა თუ იმ საქციელის გამოცხადება უფრო მეტია ვიდრე რაც მოხდა და რამაც ადამიანი სამუდამოდ გააუბედურა ან წაშალა იცით დამნაშავეებს იმიტომ ეძებენ რომ სულიერი სიმშვიდე მოიპოვონ რაც არ გააჩნდათ როგორ მოიპოვონ იქნებ იგი არც მომხდარიყო არაფერი რომ არ სცოდნოდა

თავისი ცნების შესახებ თუმცა სადმე ალბათ მაინც მოხდებოდა უბრალოდ ჩვენში არ მოხდებოდა იმის თქმა მინდა რომ რაღაც მთლიანად მაშინ ხდება როცა ორჯერ ხდება გარეთ და ჩვენში სანამ მარტო გარეთ არსებობს მხოლოდ ნახევრად არსებობს და არსებულად ვერ ჩაითვლება მაგრამ აი ის ჩვენში მოხდა ანუ ვაღიარეთ რომ ჩვენს გარეთ მოხდა აი უკვე რაღაც გაცოცხლდა და გამთლიანდა თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს როცა ვიღაცას მართლა კლავენ მართლა ასახიჩრებენ მართლა აუპატიურებენ მართლა ძარცვავენ. მაგრამ ითქვა: ჩემზეც იგივეს მოგახსენებდით თუმცა მაინც არაფერი შეიცვლებოდა დამნაშავეს როცა ეძებენ ესეც ხომ დანაშაულია არადა უბედურება რომელიც ჩვენს ბედისწერად დაკონკრეტდა გვაიძულებს ვეძებოთ და გვაიძულებს მოვძებნოთ თუ გიფიქრია ეს რას ნიშნავს აუცილებლად ჩემს თავს ყოველთვის ვეუბნები რომ ეს არაფერსაც არ ნიშნავს მაგრამ გეტყვი რომ ეს თითქმის მკვლელობაა უფრო დიდი რიგითობა ძნელი წარმოსადგენია მე კი შევამჩნიე რომ მშიოდა და ჯიუტად ვილტვოდი სახლისკენ სადაც მეგობრები მეგულებოდნენ წარმოგიდგენია სასტიკად მრცხვენოდა.

8.

ის კი ერთი ხეიბარი იყო. ხელში თაიგული ეჭირა და ენერგიულად იქნევდა. მერე ჰაერში აისროლა და სიცილი მორთო. არ გამომპარვია, ცა შიშით მოათვალიერა, ისე, რომ სიცილი არ შეუწყვეტია. მთელ ამ ხალხში ერთადერთი კაცი ლაპარაკობდა და ისიც - ჩემს გვერდით. თავს სინანულით დააქნევდა, მეზობლისკენ დაიხრებოდა და ცივი, სრიალა ხმით ეჩურჩულებოდა. მე ერთ გაბმულ წინადადებას მოვკარი ყური, - ნუ გგონიათ დაავიწყდეს ის, ვინც სახლში ჰყავს გამოკეტილი და ვის ნახვასაც ალბათ დიდხანს ვერ ვეღირსებითო. ხეიბარი ის ერთი იყო. რას იფიქრებდა, მისკენ მიმართული ყველა თვალი მოულოდნელად თუ გაქრებოდა, ის კი თავის წარუმატებლობაზე მწარე მოგონებებს საწოლში შეხვდებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, იმ დღესაც გამოერკვა. მზე უკვე ჩასულიყო. მე იქვე, კედელთან, ბამბუკის სავარძელში ვიჯექი და გაზეთს ვკითხულობდი. მზერა ქათქათა თეთრეულზე გადავიტანე და დიდხანს არ მომიშორებია. მომეჩვენა, რომ ეს ყოვლად უწარსულო სითეთრე შეურაცხმყოფდა, და ავღელდი. გაზეთი დავკეცე, იატაკზე დავაგდე და ავდექი, კარადის გასწვრივ ფრთხილად გავიარ-გამოვიარე. თითების გატკაცუნება მომინდა და გარეთ, აივანზე, გავედი. დღის ეს მონაკვეთი ყოველთვის მაშინებდა

და ახლაც ასე მოხდა, - ვინატრე, ღმერთო, არ გამახსენო, არაფერი არ გამახსენო მეთქი. ორ ცეცხლს შორის აღმოვჩნდი: გარეთ - სახლებს და ეზოში მოთამაშე ბავშვებს შეტოვებული, ჯერაც შეუმშრალი, მზის სითბო; შიგნით - მწოლიარე და ჩემზე დამიზნებული თეთრეული, გეომეტრიული სიმართლით აღსავსე, ვითომ შემთხვევითი. როგორმე, როგორმე მეთქი. თორემ ეს უცხო ადამიანი რას იფიქრებდა. მან უკვე იცის, სადაც და რატომაც არის, მე კი ჯერაც ვერ გამიგია, მასთან ერთად ამ ოთახში რატომ ვარ მეთქი. ჩემს თავში ამუშავებული არც ერთი მიზეზი არ კმაროდა ჩემი წონასწორობის აღსადგენად. ვცდილობდი, არ გამკვირვებოდა, და ნაცადი ხერხი ვიხმარე, - ჩემი ნაცნობ-ნათესავების გაკვირვებულ სახეებს ვიხსენებდი, რიგ-რიგობით ვაცოცხლებდი მეხსიერებაში და იქვე იმასაც ჯიუტად ვცდილობდი, როგორმე გამეხსენებინა, რა უკვირდა თითოეულს მაშინ, როცა ჩემს მიერ ახლა გახსენებული სახე და მზერა ჰქონდა. და აი, უცებ იძახის: "ეი!". მერე კიდევ ერთხელ იძახის, ოდნავ ხმადაბლა, მესამე დაძახებისთვის მზადების ნიშნად. ნუთუ შესაძლებელია, ასეთი ხმით ვინმე გადარჩეს?

9.

მაინც და მაინც დღეს არ გავგზავნე. ვიცოდი, ვერ შეურიგდებოდა წერტილის დასმის აუცილებლობას და შეეცდებოდა პროცესის გახანგრძლივებას თუ არა, ხელოვნურ დრამატიზებას მაინც. წინათგრძნობამ გაამართლა, მაგრამ უსაფუძვლო არც შიში აღმოჩნდა: პროექტმა წარმატებით განვლო მაყურებელთა მიერ სახელდახელოდ შექმნილი დერეფანი, მაგრამ სად წავიდა და რა ბედი ეწია, ვერავინ გაიგო. მაყურებლის მზერა, რა გასაკვირია, სცენისკენ იყო მიმართული, - ყველა შესაძლო შემთხვევაში პროექტი უნდა დაბრუნებულიყო და საკუთარი თავი მოეცვა, ამოევსო მაყურებლის პროვოცირებისკენ მიმართული ქმედების პროცესში დაცლილი შინაარსი, მაგრამ ასე არ მოხდა, სინთეზური მთლიანობა განუხორციელებელი დარჩა, მაყურებელი - გაწბილებული. დიდი გულისყურით მოვისმინე მისი სატელევიზიო ინტერვიუ; აღელვებულმა განაცხადა, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ყოველი მორიგი მარცხი, მე ვერასოდეს შევეგუები ჩემი სამუშაოს დამთავრებას იმ პუნქტში, სადაც მაყურებლის სამუშაო იწყება, და გულწრფელად მწამს, რომ ისინი იწყებენ, მე კი ვამთავრებო. სამწუხაროდ, ამჯერად მათ ვერ დაიწყეს, რამაც ჩემი შეცდომის აღიარებისკენ მიბიძგა და მიმახვედრა, რომ წინასწარ ვიყავი განწი-

რული და დამამთავრებლად ვერ შევდგებოდი, მაშასადამე, დამნაშავე მე ვარ მხოლოდ, რომ კარგად ვერ დამიწყიაო. ნება მომეცით, გკითხოთ, თქვენთვის მაყურებელი კომპოზიტორზე დაკისრებულ ვალდებულებებს ხომ არ ითვისებს, ხოლო მას უფუნქციოდ ხომ არ ტოვებსო. არა, რას ბრძანებთ, ეს ძალიან ცოტაა, ჩემთვის მაყურებელი მედიუმია, უფრო ზუსტად კი, მითიური ჰერმესია, რომელიც მე და ჩემს ჩანაფიქრს ერთმანეთთან გვაკავშირებს, ერთმანეთის მიგნების სიხარულს განგვაცდევინებსო. შუბლი ძარღვებით ჰქონდა გამოჭედილი, ფოსოები კი - თავისი თვალებით. ყოველ შემთხვევაში, ეკრანზე ასე ჩანდა. ჰალსტუხი, როგორც ყოველთვის ვიყავი დარწმუნებული, მის დახრჩობას არასოდეს მოისურვებდა. მას და მის ჩანაფიქრს თუ მის ჩანაფიქრს და მის ტექსტს მეთქი. მაგრამ მაშინვე ცნობილი იტალიელი მოქალაქე გამახსენდა, მას რომ სახელმწიფოს სიყვარული ასწავლა, და ჩემი კორექტივი უარვყავი. როცა მეტყველებდა, ბაგეები ისე შეუმჩნევლად მოძრაობდნენ, თითქოს რა შუაში არიანო. ტელევიზორისთვის ხმა რომ წამერთმია, ისინი მაინც ილაპარაკებდნენ. მეგონა ვფიქრობდი, ხმამაღლა კი წარმომითქვამს. დალახვროს ეშმაკმა - სად გაგონილა, ბაგეები მეტყველებდნენ. ჟურნალისტმა უღრმესი მადლობა გადაუხადა შეწუხებისთვის. მან დიდსულოვნად თავი დაუკრა და გაქრა. პროგრესირებადი ნაწარმოების თეორია გვასწავლის, რომ ავტორი ამ დროს შემოქმედებით პროცესს საწყის - ნაწარმოების შესაქმნელად მზადების - სტადიაში აბრუნებს: მაყურებელს შედეგის სახით სწორედ ეს მოსამზადებელი ფაზა მიეწოდება, ნაწარმოებს წარმოადგენს მხატვრული შემოქმედების თემატიზებული პროცესი ანუ ავტორის რეფლექსია თავისი შემოქმედების პროცესზე, რომელიც მთლიანად აღმქმელის აქტივობაზეა დამოკიდებული. დალახვროს ეშმაკმა, "ნაწარმოების შექმნა" ხომ აბსურდიაო. და კიდევ, ეს ხომ თითქმის სამი ათეული წლის წინ იყოო. არადა, მართლა ასე მოხდა: იყო მონადირე, ტყვია, კურდღელი, მაგრამ არა - თოფი. და, მიუხედავად ამისა, მონადირემ მოკლა კურდღელი ზუსტად ისე, თითქოს ხელში თოფი სჭეროდა. ალბათ, უნდა მეთქვა: მოკლა იმ თოფით, რომელიც ხელში არ ეჭირა და რომელიც გაისროლა. ალბათ, უნდა მეთქვა:

10.

რა თქმა უნდა, თვითონ ვერ ხედავს. რა არის ეს - სივრცეზე ძალადობა თუ სივრცის ძალადობიდან თავდახსნის სურვილი? თუ ბრუნავს,

მაშასადამე, რაღაცას იკრებს და ემზადება იმ დროში საცხოვრებლად, სადაც მის ბრუნვას მნიშვნელობა დაეკარგება. თავის ირგვლივ იკრებს თუ - იმის მიმართ, რაც გარს აკრავს? მას კი გარს აკრავს ყველაფერი, რაც თვითონ არაა. იგი თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და - იმავდროულად - გარემოს ირგვლივ. იგი მთლიანად მოიცავს იმას, რაც მას აქ და ახლა მოიცავს, - სწორედ იმიტომ, რომ წარმოუდგენელია. ის შურს იძიებს არა პასუხით, არამედ - კითხვით. ხდება ისე, რომ მას კითხვად უსვამს სივრცე თავის თავს. გადაადგილების აუცილებლობა ქრება, მისთვის კი ამიერიდან სულერთია, სად ამყოფებენ, ვინაიდან მისთვის უკვე ცნობილია ისტორია, აწმყოს შესაძლებლობის პირობა, მაგრამ არა - საკმარისი. ახლა შეიძლება მუხლებზე იდგეს და ეძინოს. უკვე არასდროს არაფერი მოხდება, მაგრამ ეს რწმენაც ხშირად დაექვემდებარება ეჭვს და შემოწმებას, რასაც თამაშის წესები ითხოვენ. ხოლო თვით ის, დაჩოქილი, რას მოითხოვს იმისგან, ვინც მასთან მისულა, მარცხენა ხელით მისი მარცხენა მხარი დაუფარავს, მარჯვენა ხელით - ზურგის ნაწილი, და სინანულით აღსავსე მზერით დაჰყურებს მის ეგვიპტურ თავს? იმის წინაშე, ვინც დაჩოქილა, რაღაცას ითხოვს ის, ვინც დგას და მუცლით ეკვრის ამ მძიმე და დასასვენებლად შემზადებულ თავს, რომელიც უხილავ ერთობას ქმნის ოთახის კუთხეში მიმჯდარი კაცის დაძაბულ, მუქ სახესთან, საიდანაც ნებისმიერ მოულოდნელობასთან წინასწარშერიგებული მზერა იღვრება. არა, დღეს სივრცეს არ მოაქვს თავისუფლება, ის დაცულობის და დახშულობის მაუწყებელია. ის სადღაც შიგნითაა, საიდანაც უნდა გახვიდე და მოწყდე. ვწვალობ და და სირცხვილი არ მიტაცებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედოდ ყოველთვის ურთიერთგამომრიცხავ მიმართულებათა შეჯახება აღმაგზნებს ხოლმე, მაგრამ მოძრაობასა და მოძრავ ობიექტს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. მოძრაობა, თუ სწორად მახსოვს, მხოლოდ სასრულობის პრიორიტეტია, მოძრავი ფორმა კი - დასრულებული მთელი. რაღაც ამოქმედდა, მაშასადამე, ის ყოველთვის ღია იქნება ნებისმიერისთვის, ვისაც მისი დახურვა ან დაფარვა სწადია. ხელიდან გვეცლებოდა ადამიანი და გადავარჩინეთ მისთვის ყველა ისტორიულ-ადამიანური უნარის წართმევის ფასად. რას ელოდებიან ისინი, ზემოთ? ყოველთვის ამას: რაღაც ძალიან ჩქარა გაფორმდეს. უკვე ისწავლეს, როდის დაიკრიფონ ხელები და როდის განაახლონ მოწესრიგებული წესრიგის დასამყარებელი სამუშაოები ჩვენი და ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ. გუშინ ავტობუსში იდგნენ და ამბობდნენ: "ოჰ, ეს დრო, სავარდო და სამაისო, როცა ზამთარია!", მაგრამ გუშინ ავტობუსში არავინ იცინოდა. არა, მე მაინც გულუბრყვილო მატერიალიზმის პოზიციას ვიცავ

და ვუსტვენ, რომ შემოქმედების ნაყოფი პროცესია. დიახ, მე მაინც სტიქიური მატერიალიზმის პოზიციას ვიცავ და ვუსტვენ, რომ იქ, სადაც წერტილი დაისვა, პროცესი დაიწყო. წერტილი აღვირახსნილი, მაგრამ ნამდვილი პროცესია, - ამას ვულგარული მატერიალიზმი უსტვენს.

11.

თავდაპირველად კანალიზაციის სუნი მეცა. ჩემს წინ არავინ მიდიოდა, არც ვინმეს ჩაუვლია. მართალია, ნელი სიო ქროდა, მაგრამ მაინც აღვეგზნე. არც ესაა გამორიცხული. მაინც ვერაფრით წარმოვიდგინე, როგორ უნდა გაითამაშონ. წარმოთქმისთანავე ქრება და ვეღარ ვშველი. და მაინც, "მე მივდივარ". და მაშინვე აღმოვაჩენ, რომ ადგილიდან არ ვიძვრი. მეტ-ნაკლებად გასაგებია, რომ ამ ორ სიტყვას შორის რაღაც მესამე ქმნის თავის თავს, მაგრამ ის არც პოეტურ-სენტიმენტალური სივრცეა და არც - მორალური კატეგორიის ყოვლისმომცველი ჰეგემონია. ეს "რაღაც მესამე", ალბათ, უბრალოდ, მანძილია, რომელიც ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე - ან უფრო ადრე - ამუშავდა და უნდა შესრულდეს ანუ დაფარულ იქნას ამ სიტყვებითვე. მხოლოდ ამის მერე დაიწყება მათი წარმომთქმელის ქმედება. რას ნიშნავს, რომ მანძილი უნდა შესრულდეს? ნუთუ - მხოლოდ იმას, რომ მათი ერთობა, მთლიანობა უნდა განხორციელდეს, მოქმედებით შეერთდეს და გამთლიანდეს ის ბზარი, რომელიც უკვე არსებობს მანამ, სანამ ამ ბზარს ჩვენი ცნობიერება აღმოაჩენს. რა თქმა უნდა, არა. ეს ყველაფერი გრამატიკით შეპყრობილი ცნობიერების ფანტომებია. გრამატიკა, ამ შემთხვევაში, იმ უპიროვნო წესრიგს წარმოადგენს, რომელიც მტკიცეა მხოლოდ იმიტომ, რომ მისით ჯერ არ უსარგებლიათ. იგი ჯერ შემოწმებას არ დაქვემდებარებია, რაც მოხდება მაშინ, როცა სამოქმედო ტერიტორიაზე რეალური არსებები განსახლდებიან, ერთმანეთს უზომოდ შეამჭიდროვებენ და მათ წინაშე დადგება საკითხი, - აღმოჩენილ იქნას წესრიგი, რომელიც სასაზღვრო ზონებს გააფორმებს. ამ არსებებს კი, რა თქმა უნდა, უკვე მოუსწრიათ თავიანთი ერთობლივი გამოცდილებით სავსებით რეალური, ისტორიული წესრიგის შექმნა, და ახლა სხვას არაფერს ცდილობენ, თუ არა თავიანთი წესრიგის შეჯერებას წინასწარარსებულ და იმთავითვე მნიშვნელად წესრიგთან. უკეთ, ეს ორი წესრიგი უნდა შეხვდეს და დაემთხვეს ერთმანეთს. თუ დამთხვევა არ მოხდა, დაიწყება არა ქაოსი, არამედ - მოსაწესრიგებელი სამუშაოები, მაგრამ ამჯერად ჩემი ყურადღების ცენტრშია თვალსაზრისი, რომ ეს

პროცესი - შესადარებელი სამუშაოები - შემოწმების ბირთვს წარმოქმნის. სხვა შემოწმება არც მოხდება. დაახლოებით ასე:

ყოველი სიტყვა დამწვარი და არდანაცრული
არის წარსული ანუ თითქმის რაღაც მესამე
ყოველი სიტყვა რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვკარგავთ
არის შეხება არშემდგარი შენსკენ და ჩემსკენ
ყოველი სიტყვა რომლითაც ჩვენ ერთმანეთს ვიწყებთ
არის დრო ჩვენით რომ არ ითქვა და დავივიწყეთ
ყოველი სიტყვა რომელიც ჩვენ არ გვსაჭიროებს
არის ცრურწმენა და ისეთი დასასრულია
რომელიც ფიქრობს დასაწყისად არ გადაიქცეს
ყოველი სიტყვა ერთმანეთი რომლითაც გვიყვარს
არის სასჯელი მოვლენილი შენზე და ჩემზე.

გრამატიკა დაიძლევა მაშინ, როცა ამ ორ სიტყვას შორის თავიდანვე არსებული მანძილის - დრო-სივრცის რაღაც აუცილებელი მონაკვეთის - ათვისება მოხდება და უმალ საცნაურიყოფა მანძილი, რომელიც ამ სიტყვებით წარმოქმნილ მთელსა და მეორე - სამოქმედოდ მზადმყოფ - მთელს შორის არსებობს. ესაა დისტანცია "მე მივდივარ"-სა და წარმოთქმულ "მე მივდივარ"-ს შორის, რომელიც წარმოთქმის პროცესსა და სიტყვის სემანტიკურ ბირთვს შორის მოძრავი დისტანციის ექვივალენტურია. ცხადია, საფუნქციო მნიშვნელობას მოკლებულია ამ სიტყვიერი მეტაფიზიკის ემპირიულ-ყოფითი განზომილება. სიარულის დროს ვამბობ ამას თუ - ერთ ადგილზე ყოფნისას, მოქმედება მაინც სრულდება, ვინაიდან ამას მოითხოვს არა მოცემული წინადადების გრამატიკული კონსტრუქცია, არამედ - მეტაფიზიკური მთელი, რომელიც წინასწარარსებულ წესრიგსა და გამოცდილებით მოპოვებულ წესრიგს შორის შეხვედრამ გამოიწვია. სადაც რაღაც შემოწმდა, იქ მოპოვებულ იქნა დისტანციის გაგება. სწორედ ეს აქტია მესამე. ვიდრე ის არ რეალიზდება, ადგილიდან ვერ დავიძვრები. მაგრამ საკმარისია ადგილიდან დავიძრა, რომ "მე მივდივარ" გაქრეს, აღარ იარსებოს, უკვალოდ გაუჩინარდეს(თუ კვალი არ ნიშნავს იმას, რაც მან დატოვა იმის სახით, რაც ყველგან სახეზეა, მაგრამ ვერასოდეს ახერხებს იმას, რომ სახეზე არ იყოს). მერე კიდევ ერთხელ მოვიხედე. აღარ მიყურებდა და, როგორც ჩანს, სახეზე გაკვირვება გამომეხატა.

ყოველთვის ასე იყო: ვიდრე სახლის კუთხეს მივეფარებოდი, თვალს არ მაშორებდა. მაშ, თქვენ მხურავი ბრძანდებითო? დიახ მეთქი. ძალიან კარგიო. დიახ მეთქი.

12.

ჩემო აღვირახსნილო მეგობარო, ჩვენც ხშირად უნდა ვხატოთ. სანთლები მაშინ უფრო ჩაიწვებიან. ვიცი, ეს ჩვენ არ გვეხებაო. როცა არაფერი არ ეხებათ, თვალები ეწვით. არადა, ყოველთვის იმათ მიერ ვიდევნებოდით, ვინც გვმოძღვრავდა, ვისაც ვძარცვავდით და ვაშიშვლებდით შუაგულ ყინვაში. წარმოიდგინე, ვიწყებთ თუ არა ფიქრს ან მინამსგავსს, სახლები ხმაურით იკეცებიან, ერთმანეთს ეკვრიან, ერთმანეთის იმედს კარგავენ. ის კი ზის და ისე მორჩილად თლის კარტოფილს, თითქოს პირსაც არ დააკარებს. კედლები შეთქმულებივით თვალს ადევნებენ და, ვიცი, კარგად ვიცი, მისი ბედი გადაწყვეტილი აქვთ. თუმცა, მან ხომ უკვე იძია შური, ესე იგი, მისი დრო უკვე ცარიელია. დახვეწე, დახვეწე კარტოფილი, გაითვალისწინე ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულში მიყრილი ბრძანება, მაგრამ დროზე ადრე აღიარე. ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვიხსენებ, რომ ადრე ასე ყოფილიყოს: გიყვარს, მაგრამ ეჭვები ვეღარ არსებობენ. რაღაც ძალიან საინტერესო ტრიალებს მის თავს. გრძნობს, რომ რაღაც აუცილებელი დაუკარგავს, არკი იცის, ტიროდეს თუ იცინოდეს. გადაწყვეტს თუ არა, რომ შიშის ზარი დაგცეს, დაგცემს. როგორმე, როგორმე: დროზე ადრე ბრძანება არა და არ უნდა გაიცეს. რატომ აღარ აშინებს, არ სჯის კარგარეთ გასროლილი არცერთი ხმა და არცერთი ნიშანი? ესმის, რას მოვითხოვ? განგაშს გული ხშირად არ უცემს. ისე უნდა თქვას, რომ ვერავინ ვერაფერი ჩაანაცვლოს: აი, როდის გაიმარჯვებს იმ თავის ერთადერთობაზე. "იშვიათი ვაშლია, მიირთვი". "გმადლობ". "კიდევ მიირთვი, ეს ძალიან იშვიათი ვაშლია". "გმადლობ, აღარ მინდა". "მიირთვი, მიირთვი". "ნუ შეწუხდები. იცი, მე იქ არ ვყოფილვარ, სულ ტყუილად მისაყვედურე". "მერე, ხომ გთხოვე პატიება". კარის ღრიჭოდან მზის სხივი ოთახში ირიბად იჭრებოდა და რაღაცას ამოწმებდა. არა, ოთახის გულისცემას არა მეთქი. ღმერთო, ღმერთო, ასე სწრაფად და იოლად როგორ მოინელა! განა არ ვიცი, როგორი ტკივილების ფასად! რა დაგრჩა? ჭიანჭველები უკვე ყურადღებით ეპყრობოდნენ მაგიდას, რაც მეც შევნიშნე. ან, ერთი მითხრას, რა შეიძინა? არაფერი, სულ არაფერი. ენდოს სიტყვებს, ენდოს და ნუ მოუსპობს მასში ჩანაცვლების იმ ერთადერთ შესაძლებლობას,

რომელმაც ის სიკეთის მსახურად უნდა აქციოს, სიტყვა კი ჩანაცვლებისგან იხსნას და გაასხვისოს. ძვირფასო, მოდი, ვარდი განახოო. სინათლის ალსაც შეუძლია, ვარდის სიმბოლოს თავი მოუყაროს და დააზუსტოს, ერთ ისრად შეკრას. ხედავ, სად ამოსულაო? ეს მისი მიწაა, მისი სამშობლო, უფსკრულს მინამსგავსი, ასანთის ღერს და ადამიანს სამუდამოდ მოშორებულიო. რომ სცოდნოდა, როგორ ჰგავდა მაშინ თავის მშობლიურ დედას! მით უმეტეს, რომ ოთახის შუაგულში არსებობდა ნათურა, გრანდიოზული და არაფრის მთქმელი. შესულიყო და გამოეტანა. მე არ მითქვამს, რომ ეს ჩვენსკენ მომავალი ერთადერთი გზა იყო. არა, მე მისთვის ასე არ მითქვამს. შუაგული კი კვერცხივით სკდებოდა და რამდენიმე მიმართულებით იფანტებოდა. რატომ მატყუებს, ნუთუ ეს კვერცხი მართლა არ ახსოვს მეთქი. ვერ დავიჯერებ. ეჰ, ჩემო აღვირახსნილო მეგობარო, ლაბირინთი მაშინ არსებობს, როცა მინოტავრის თვალი ვერ გვხედავს. "როცა ჯერაც ვერ გვხედავს?". დიახ.

13.

ერთს ჩამოგრძელებული სახე და ისეთი თვალები აქვს, თითქოს განუწყვეტლივ ქარი უბერავდეს. ხელმარჯვნივ ვწევართ და ერთმანეთს ვუყურებთ. მერე თვალებს ვხუჭავ და გავრბივარ. ბოლო დროს ჩემი თვალი უფრო და უფრო სწრაფად ბრუნავს, მაგრამ არ განვიცდი. რა ვიღონო, ვერ ვივიწყებო. ნუთუ, არ შეიძლებოდა, სწორედ ახლა, ამ შინდისფერ საწოლში, გვეცხოვრა? როცა ეს ხელები კედელს უხეშად მიუყვებიან, ჩემთან არაფერი ესაქმებათ, ვიღაც მაშინ საშინაო დავალებას ასრულებს. ის კი ამბობს, ვერ ვივიწყებო. კიდევ კარგი, ამ ვიღაცის საშინაო დავალებად რომ არ ქცეულან, ესეც საქმეა. მათში ახლა სისხლი მოძრაობს, ეს კი აუცილებლად უნდა გამოიხატოს და გაქრეს. ისე მიყვებოდა, თითქოს გადაეწყვიტა, ამიერიდან არაფერი დასიზმრებოდა. მე ვუყურებდი და ვიცინოდი, მას კი ლაბადა წამოუსხამს და გაქცეულა. გამოვდევნებივარ, მაგრამ - ამაოდ. ის უკვე შორს იყო, ხეებს შორის გამეტებით იხლართებოდა და ცდილობდა ხეები დარხეულიყვნენ. ერთი პირობა მოეჩვენა, რომ ხეები მართლა შეირხნენ და აგუგუნდნენ, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ვერაფერს გახდა, და გადაწყვიტა მე მოვეძებნე. აი, მეც აქ ვარ, ვუყურებ და ვიცინი. უკეთ, ვერ გაუგია, მე ვუყურებ თუ თავის თავს თვითონ ათვალიერებს. მოსწონს, ძალიან მოსწონს. ნუთუ, რაც დამალა, ისიც ასე მარტივად ახსოვს მეთქი. როგორმე უნდა დავმშვიდდე. დარწმუნებელი ვარ, ასე

კითხულობდა. უბრალოდ, სიტყვებს თვალს ადევნებდა და სისხლი საფეთქლებს უხეთქავდა. ერთიანად თრთოდა. არა, არ რცხვენოდა, არაადამიანურად კარგი იყო, მე ის იდიოტივით დროზე მიყვარდა. დიდხანს იმოძრავა; აქედან მე მივშტერებოდი, იქიდან სიტყვები უყურებდნენ და ვერ გაეგოთ, რას მოითხოვდნენ მათგან კონკრეტულს, ერთჯერადს, მსხვრევადს. მერე, ვგრძნობდი, სიტყვებიც აღეგზნენ, თანმიმდევრობა დაკარგეს და ერთმანეთში გადადიოდნენ, ერთმანეთს ფარავდნენ, ერთმანეთს განასახიერებდნენ. მერე დაძაბული ენა გამოყო და ტუჩები დაისველა. არა, არ კითხულობდა მეთქი. რომ ვეღარ გაუძლო, საწოლი მერე იყო. არადა, უკვე დავვიწყებოდი და ის-ის იყო სიტყვებს ხელით უნდა შეხებოდა, რომ თავი შევახსენე. მაშინ ჯერ ისევ მუცელს ისრესდა, სარცხვინელს ჯერაც არ შეხებოდა. არა, ეს მისი მარცხენა ხელი არ იყო, ეს მისი მარცხენა სიტყვა იყო. უნდა ვივარაუდო, რომ მასთან ერთად საწოლში მე თითქმის შემთხვევით აღმოვჩნდი. ვიდრე ეს მოხდებოდა, ვერც წარმოვიდგენდი, რომ იდეალური დრო არ არსებობს, რომ აზრი სიტყვას ვერ მოიცავს, ვერ მოიაზრებს. ვერ ვიტყვი, შევეშალე მეთქი, მაგრამ მაინც შემთხვევით აღმოვჩნდი. თუმცა, არც სიტყვაში შეღწევა უწერია, რათა შიგნიდან მაინც გამოხრას, როგორც - მატლმა ვაშლი, და სიტყვისგულში თავისი ყოფნის კვალი აღნიშნოს. მოხდა, მაგრამ შემთხვევით მოხდა. აზრი სიტყვის კართან შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული. მაგრამ რატომაა სიტყვა აზრის მიმართ ასე სასტიკი? მერე რა, რომ სიტყვა უწყვეტია, აზრი კი - წყვეტილი, დისკრეტული. არადა, ეს შეუსაბამობა მორალურადაც ამართლებს სიტყვის მარადიულ სიშორეს და ლოგიკურადაც შესაძლებელს ხდის სიტყვა-აზრის ოპოზიციას, - როცა აზრი ყოველთვის იმ ზღაპრული გველეშაპის როლს თამაშობს, რომელიც უკვდავების წყაროს დარაჯობს, თვითონ კი რატომღაც არ თუ ვერ სვამს ამ წყალს. მერე თავდავიწყებით ვმოძრაობდით და გვწამდა, - მხოლოდ ამ გზით მოვახერხებდით, რომ ერთმანეთისთვის გვეღალატა. სიტყვა ლაბირინთია, რომელშიც აზრი თავისი გარეთყოფნით იმყოფება. მაშასადამე, ერთმანეთი გადაგვერჩინა. რამდენი, რამდენი წლის მერე უნდა ეკითხა: მართლა ფიქრობდი, რომ ვერ გაეგოთ, რას მოითხოვდნენ მათგან კონკრეტულსო. ნუთუ, მართლა ასე ფიქრობდიო? დიახ, თვალს ადევნებდა სიტყვებს და ფიქრობდა, - რაღაც ხდება, რაღაც ისეთი, რაც არ მომხდარაო. და თქვა:

- როცა შენს ნაწილს სადღაც შენს გარეთ, სადღაც სხვაგან აღმოაჩენ და იმასაც აღმოაჩენ, რომ მას ვერ ეხები და ვერ პატრონობ, სივრცის მთლიანობა ირღვევა, ფსიქიკა იშლება და ნაწილდება ურიცხვ უმართავ მიმართულებად; გრძნობ, რომ შეგიძლია ამ მიმართულებიდან

ნებისმიერს გაჰყვე, მაგრამ მთლიანობაზე ნოსტალგია ამ სურვილის რეალიზებას შეუძლებელს ხდის, შეუძლებლად აქცევს შვებას. რაღაც, რაც შენი ნაწილია, სხვაგანაა. შენია, ფლობ, მაგრამ სხვაგანაა. არავინ გართმევს, მაგრამ რაკი ვერ ეხები, სივრცის მთლიანობა აბსურდამდეა დაყვანილი. მაგრამ წინააღმდეგობას წარმოქმნის ამ განცდაზე წაფენილი სხვა განცდის თავდასხმები: მიუხედავად სივრცეში ფიზიკურ მთელსა და ნაწილს შორის ერთობის განწვალულობისა, მთელი არ კარგავს მთლიანობას, ეროტული ზონა წარმატებით განაგრძობს მუშაობას სწორედ იმ სივრცეში, რომელიც მას ტანჯავს.

14.

ამსტერდამში ახლა გადაუღებლად წვიმს. არშიას დაარქმევ თუ - ქონგურს, მაინც ცეცხლის ალი ანათებს. დაჩხვლეტილია თითქმის ოთხმოცჯერ, და ბრუნავს. ერთადერთი გრძელი ფეხით დამშვენებულა და კითხვაში ხელს მიშლის. თეფშივით ძირი რომ ჰქონოდა, უფრო მალე დავამთავრებდი. როცა ხმაურია, ალი ციმციმებს და შუშა ყვითლდება, სახელურიც ყვავილის გვირგვინად გარდაისახება. თუმცა, ეს ხომ კედლის სიგრძეზე სულაც არაა დამოკიდებული. სხვა შემთხვევაში უფრო გამძლე მასალის დასახელება მომიწევდა. მაგალითად - რკინის ან მუხის. რაკი სხვა გზა ავირჩიე, სიცილი დაიწყო და ზურგი მაქცია. იმან კი მუშტი მოიქნია და მთხლიშა. აი, ასე იყო მეთქი. იმან კი სიცილი წამოიწყო. დაწვრილებით მოვუყევი, არც სურათის ისტორია გამომიტოვებია. მიპასუხოს, რა აწუხებს, რატომ არ სძინავს? ბატაი მაშინ ჯერ კიდევ თავის ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა. არა, არავითარ შემთხვევაში არ მიძინიაო. თორმეტი ქათქათა ფურცლის თვალწინ. დასაშვებია, მაგრამ ასე არაა. წამოდი, ენას ველაპარაკოთ. მაგრამ - რით? სიტყვით? დასაშვებია მომენტალური გარღვევა ბიოლოგიური სინამდვილის ტყვეობიდან, მაგრამ თუ ახალ სინამდვილეში გადასროლილებს აღარ დაგვემუქრება მოსალოდნელ პერსპექტივათა მხრიდან ჩვენი შესაძლო ავტონომიის მიტაცების საშიშროება, ნოსტალგია ანულირებულყოფს ჩვენს ახალ სტატუსს და ავტომატურად აღმოვჩნდებით ძველ, ნაცნობ ნებათა ტყვეობაში. მაგრამ, წარუმატებლობა უკვე მაშინ იგულისხმება, როცა იმისგან მოწყვეტაზე ვფიქრობთ, რასაც სისხლს ვწოვთ და რასაც ძალადობის ობიექტად ვაქცევთ თუნდაც იმ ერთი შეხედვით უმანკო ეჭვით, რომ ჩვენზე ძალადობენ და ამით ჩვენს გოთიკურ ღირსებას არა მხოლოდ აშკარად შეურაცხყოფენ, არამედ ფარ-

ულადაც ჩირქს სცხებენ და კომპრომენტირებულყოფენ. აღიარე, რომ მოძალადე ხარ, და ყველა ფანტომს მეყვსეულად ქარი წაიღებს, დარჩები მოტყუებული და თავისუფალი. ამ წარუშლელი სიზმრების ფონზე. ის კი ამბობს: "ხომ შეიძლება სიზმრად მაინც მომექცე ისე, რომ გამიხარდეს. სიზმრებშიც ისეთი ხარ, როგორიც - ცხადში. რატომ მაწვალებ, რატომ?". "კი, მაგრამ ეს ხომ ასე არაა", - აღმომხდა. არა, არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს მეთქი. ავტომობილი არ თამაშობს. რომ თამაშობდეს, მას აუცილებლად ექნება ნაკეცები. ნაკეცი მაშინ ჩნდება, როცა სხეული არა მხოლოდ მოძრაობს, არამედ შესრულებულ მოძრაობას მოძრაობითვე აცნობიერებს, რაც შესაძლებელს ხდის სივრცის დეფორმირებას და მოძრავი სხეულის წარმოშობას. ის უკვე არა მხოლოდ გადაადგილდება, არამედ გადაადგილების საშიშროებასაც გადალახავს და მისი იდეა უკვე იქაა, სადაც თავად უნდა შევიდეს გზაგაკვალული. ეს ხდება მაშინ, როცა ყველას სძინავს, მაგრამ ეს არ ხდება ვინმეს სიზმარში ან კოლექტიურ ცხადში. ეს ხდება იქ, სადაც ადგილის გაჩენის შესაძლებლობა არსებობს ანუ - იქ, სადაც რაღაც რაღაცით რაღაცას თამაშობს.

15.

საითაც უნდა სტკიებოდა, იქით არ სტკიოდა. ვიცი, რომ ამ დროს "უნდა" არ არსებობს, მაგრამ თავს დავდებ, სულ სხვა მიმართულებით სტკიოდა. განა ახლაც ასე არაა? არ ემთხვევა იმას, რასაც სტკივა. თითქოს არაფერი არ ყოფილა, მაგრამ რაც დარჩა, სასტიკია. ვამბობ, ყველაფერი გაქრა მეთქი. მაგრამ სურვილი გადარჩა და მაიძულებს, არა და არ ვენდო. სურს კი, არ სურდეს? ნაჭუჭს მოკლებული ლაყე კვერცხის სიმშვიდე, არა? მაჟორი სამ ხმაში. გიჯობს აღწერას განაგრძობდე, ვინძლო შესვლა მოახერხოო. ეს შეხვედრა, მაინცდამაინც ეს შეხვედრა რომ შემდგარიყო სადმე ახლა, სადმე ამ წუთას? მაგრამ ახლა ხომ სხვა შეხვედრა ხდება და იქაც, იმ სხვაშიც ისეთივე უზნეო ვარ, როგორიც მაშინ და იმასთან ვიყავი. აბა, ამას რამე გადაშლის? ის კი მოითხოვს, მაჟორიო. ალბათ, აი, ასე მოითხოვს: გარეგნულად ის იყო დარბაისელი ადამიანი რომელსაც უყვარდა თავისი სახლი შინაური გარემო ოჯახში საკუთარი ადგილი იყო ოჯახის ერთგული თავისი ბუნებით უფრო მეუღლე ვიდრე საყვარელი ერთი სიყვარულის ერთგული ვერ იტანდა ვერც მარტოხელა ცხოვრებას და ვერც ქვრივობას და რა თქმა უნდა იყო შინჩაკეტილი ის არ ყოფილა ყაირათიანი იმიტომ რომ არ შეეძლო წესრიგში ჰქონოდა თავისი ანგარიში

ის არც ძუნწი ყოფილა რაც იქიდან ჩანს რომ გაღარიბდა. ნუთუ, მართლა ასე კარგად ჩანს?

16.

მაგრამ შეთქმულების აღიარება შეთქმულების მსხვერპლად ყფნის კულტივირებას და შემოქმედებითად მისი ათვისების აუცილებელი პირობების შემზადებას იწვევს. შეთქმულება უნდა აიძულო, შენით ითამაშოს. ამის მერე ცნობიერდება შენი აქტივობის პირობითი და შეზღუდული ხასიათი, ერთი ნაბიჯით ჩამორჩენილობის არა მხოლოდ ფაქტი, არამედ - კანონზომიერებაც. ეს კი ხიდია, რომლითაც ერთმანეთს უკავშირდებიან შეთქმულების გასათამაშებლად აუცილებელ სუბიექტთა ცნობიერი ძალისხმევები. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, ხიდი პროცესის და მოქმედი ენერგიით ამოსავსები შინაარსის აღმნიშვნელია და არა - სტატიკური ობიექტის. რა სურს შეთქმულებას? უპირველეს ყოვლისა, გამართული მუშაობა, სრული მექანიკური წესრიგი, რაც ერთადერთი გზით მიიღწევა: შეთქმულებასა და შეთქმულების კომპონენტთა ერთობას შორის კონფლიქტის გახანგრძლივებით. სხვა სიტყვებით: შეთქმულება მიწყივ იპირისპირებს მოქმედ სუბიექტს და აიძულებს ამ უკანასკნელს, აუმხედრდეს შეთქმულებას, როგორც იდეას. თამაში მიმდინარეობს მაშინ, როცა შეთქმულების კომპონენტთა მიზანი ეწინააღმდეგება შეთქმულების მიზანს. რა სურთ შეთქმულების კომპონენტებს? როგორც ჩანს, - შეთქმულების ველზე მასპინძლადყოფნა, და ისინი ამ ველიდან გასვლისთვის ბრძოლით ცდილობენ დასახული მიზნის მიღწევას. წარმატებული ქმედება საპირისპირო შედეგს - შეთქმულების ველზე დარჩენას - უზრუნველყოფს. ერთადერთი ობიექტი, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს შეთქმულება, თვით შეთქმულების იდეაა. და აი, შეთქმუ-ლებს მოულოდნელად ავიწყდებათ, რომ თამაშობენ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მაშინაც თამაშობენ, როცა ივიწყებენ, რომ თამაშობენ? ამ კითხვაზე, სულ მცირე, ორი ურთიერთგამომრიცხავი პასუხი არსებობს. ჯერ ერთი: თუ თამაშის იდეა მოთამაშეთა თავებში მნიშვნელობდა და მოულოდნელად მნიშვნელობა შეწყვიტა, ამით მოთამაშეებმა დაკარგეს მიზანი, მათი უმიზნო ქმედება კი რედუცირდა რიგით სოციალობამდე, რომელიც ამართლებს ნებისმიერ სოფისტურ რიტორიკას. და, მეორეც: პირიქით, თამაში მხოლოდ მაშინ იტვირთება მნიშვნელობით, როცა ივიწ-ყებენ, რომ თამაშობენ. რატომ? იმიტომ, რომ თამაში ყოველთვის აწმყოში

თამაშია, კონსერვირებული თამაშის ცნება უაზრობაა; თამაში თითქმის უტოპიაა იმდენად, რამდენადაც თვით მოთამაშეებსაც არ საჭიროებს თავისი თავის შესამეცნებლად. მაგრამ როცა ხსოვნა მუშაობს? როცა ახსოვთ, მაშინ თამაშს რაღაც აკლდება, სამაგიეროდ წარსულითაა დამძიმებული, წარსულის აქტიურ ჩარევას განიცდის, და მუხრუჭდება. ხომ არ თამაშობენ შეთქმულების ადრესატ-ადრესანტები იმას, რაც აღარ ახსოვთ? თუ შევთანხმდებით, რომ მხოლოდ დავიწყებულ წარსულს შეიძლება რეალიზებული წარსული ეწოდოს, მაშინ: თამაში წინ უსწრებს თამაშზე რეფლექსიას. უნდა დაზუსტდეს, რომ თამაშის ფენომენის თეორეტიზაცია და მასზე ცნებითი ძალადობა საპირისპიროა თამაშის, როგორც სრულიად კონკრეტულ დროში მიმდინარე და განუმეორებელი ქმედებისა, რომელსაც ვერავინ ხედავს დასაწყისსა და დასასრულს შორის; თამაში მაშინ განიცდის სიკვდილს, როცა მისი დრო ცნობიერი ძალისხმევით ექსპლიცირდება; იგი აქ უკვე სახეზეა, ანუ სახეზეა თამაშის ისტორია. მაგრამ როგორია პერსპექტივა? ჩასაფრებულისთვის ხსოვნა არ ფასობს, მაგრამ ის არც მსხვერპლისთვის ფასობს. ერთი წამით სვეტებს შორის სივრცე კვადრატდება. ოდნავ მოშორებით სუფრაა გაშლილი. თუმცა, ეს უკვე ჩემი ნატვრის შემოგარენია. ხასხასა მწვანე დომინირებს, ათინათიც მის ირგვლივ ვიწროვდება და ჩამჯდარ, მკვრივ მხრებს მიღმა მიკარგული, რბილად ცახცახებს. ხელი მაინც შეახოს მეთქი, მაგრამ, ალბათ, რწმენა უფრო გაუსაძლისი იქნება. ამას ის ერთადერთი მისი ჯანმრთელი ფეხიც მეტყველებს, რომელზეც ახლა საფლავის ჭია შეცოცებია და დასახულ ბილიკს უკანალისკენ მიუყვება. ან - ზევით, წელისკენ. ხოლო ნატვრის შიგნით რა ხდება? მისაბაძი - არაფერი. მაგრამ რაღაც - ერთობ სტაბილური, საიმედო, გულისამრევი, დაახლოებით, აი, ასეთი: რამნიშვნელობააქვსშენხომმართლადაიჯერეარაწინასწარასეთმარცხზეარწახვიდოდიგულიმწყდებარასფიქრობნუთუარშეეძლოეთქვარომუბრალოდამოვიდაპაუზამიმტკიცებრომორივენიმართლებიიყავითესთამაშიშენდაიწყეიმითრომგადაძახილებიდაუწყეშენხომსაქმეზემოხვედიოხომხუთიწუთითმოხვედიოპაუზაიქრომყველაფერისუფთადყოფილიყოტყუილებიარდაგჭირდებოდაიციესკითხვებირასნიშნავდააიიმასდააიიმასარმინდაგახსენებადამაწყდანერვებიპაუზაისეშეხვდირომგადაწყვიტაამოსულიყოპაუზარაკიიქდავრჩიტანჯვაშეგნებულადგამიათასმაგედაამითიძიეშურიუნდაგამოგეშვიშენხომიცოდიროგორმოიქცეოდაძალიანდიდიეჭვიმაქვსმაშინ. ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ არა - თავ-თავის ადგილზე. აი, ეს მაგიჟებს: ყველაფერი მაშინ წესრიგდება, როცა არაფერი თავის ადგილს არ ფლობს. სიტყვები რეზინის ბურთებივით ხტიან; სწორედ იმას

გაურბიან, რაც უნდა აღნიშნონ. მანძილი იზრდება, მზერა იძაბება, ხორხი უხეშდება და ავისმომასწავებლად დუმს. ერთი ერთზე და - ბევრი ერთზე. მაშინ ლაგდება ყველაფერი, რასაც ვერ ეხები და ვერ ინახავ, ვერ სპობ. უჩინარდებიან, მაგრამ მერე ისევ ჩნდებიან და სვლას განაგრძობენ, ერთმანეთში იხლართებიან, ერთმანეთისგან მათი გამორჩევა ჭირს, მაგრამ რაც არ მოიხილება თვალით, ზოგჯერ მაინც მოიხილება ყურით. აქ კი სმენაც უძლურია, ვერც ის გამოარჩევს ერთმანეთისგან თითოეულს და განსხვავებულს. რაც მთავარია, ისინი არსებობენ და ჩვენამდე მოაქვთ იმ ერთობის კვალი, რომელიც მალე სავსებით გაქრება თამაშის ველიდან, უმისამართოდ გათამაშდება. ნუთუ, სუფრაა პერსპექტივა? თეთრი, ფუმფულა და სიფხიზლის მომგვრელი. თოვლივით ქათქათა საფარველი. მაგრამ ეჭვი მაინც არსებობს და თავს შეახსენებს. მსხვერპლი კი ამბობს:

- ტანჯავს თუ თავდაცვისკენ უბიძგებს? აიძულებს - დაკარგულ სასივრცო ეროტიკას გონების ეროტიკა ჩაანაცვლოს, სადისტანციო მართვის კანონები შეიცნოს და უარი თქვას უშუალო ტკბობაზე, ინტელექტით გაშუალებულ ტკბობის ველზე გადაისროლოს, ანუ - ფსიქიკას გადარჩენის საუკეთესო, თუმცა კი ჯერაც გაუცნობიერებელი, ალტერნატივა შესთავაზოს, ესე იგი, დაუმორჩილოს სახელგანთქმულ ექსტრემალურ პრინციპს და დაამსგავსოს სინათლის სხივს, რომელიც უმოკლეს გზას კი არა, უმცირესი დროის გზას ირჩევს. ინტელექტუალური ეროტიკის ჭეშმარიტი გზა ამ შემთხვევაში სინათლის სხივის ჭეშმარიტი გზის ანალოგურია. თოვლივით ქათქათა ზოგადობის ნაშთი. რა თქმა უნდა, მხოლოდშობილი. ეს ისეთი დამთრგუნველი და შეურაცხმყოფელი გრძნობაა, მზად ვარ მთელი ცხოვრება განვიცდიდე.

V
განაზრებანი იონასი: სამი დღე და სამი ღამე თევზის სტომაქში რომ იმყოფებოდა

განა რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი და ამითვე ჩვეულებრივი ვიდრე ის რომ ერთსა და იმავე დროს იდგე კიდეც და იჯდე კიდეც თვლემდე კიდეც და ფხიზლობდე კიდეც უძრავიც იყო და მოძრაობდე კიდეც ნაყროვანიც იყო და შიმშილობდე კიდეც თვალდავსილიც იყო და თვალხილულიც ფსამდე კიდეც და სვამდე კიდეც ტიროდე კიდეც და იცინოდე კიდეც. ო თევზო ჩემო დამბადებელო სმენა მომაპყარ და მიხილე ასეთი: ასოამდგარი და ასოდამჩვარული თმაგანძრცვილი და თმამშვენიერი მგალობელი და მაგინებელი ერთგული და მოღალატე სუსტი და ძლიერი შავი და თეთრი ლაღი და მწუხარე ნაღალატევი და ნაღალატევი.

როცა ადგილი მომოიძვრის ადგილია. როცა ადგილი ადგილისკენ ასწრაფდება და ისე მიმოიძვრის მაინც ადგილია. როცა ადგილი ადგილიდან იძვრის და არავინ იცის სად ჰპოვებს ადგილს მაშინაც ადგილია. ხოლო როცა ადგილმა საკუთარი ადგილის შესახებ არაფერი უწყის სწორედ მაშინაა იგი ადგილი.

შემოქმედი უნდა მოკვდეს შემოქმედი უნდა მოკვდეს ამბობდნენ ისინი და ცეკვავდნენ ისინი.

თევზი სადაც მე ან ნებისმიერი ჩემგანი სახლობს არ შეიძლება მხდალი იყოს. მაგალითად მან რომ მოყვასთან რაღაც უმნიშვნელოვანესი საკითხის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებას თავი აარიდოს ეს შიშს როდი უნდა დაბრალდეს. თუმცა მაყურებელი ან მსმენელი მხოლოდ ამისთვისაა გენეტიკურად მომზადებული. თევზს სადაც მე ვარ ეს არ აღელვებს. ზღვა ღელავს. ცაზე წვრილ-წვრილი ვარსკვლავები მოჩანან თითქოს მნათობებიაო. დროა მიქცევაც ვაწარმოოთ. მან ერთადერთმა იცის რატომ არ მიიღო გამოწვევა. ის არ შეიძლება შეშინდეს.ისაა საოცრად ფრთხილი რადგან ის უკვე მამაა. მთავარია ეს სხვამ არავინ იცოდეს. როგორც წესი ცოდნა რომელსაც ორი კაცი ორი თევზი ან ნებისმიერი ორი არსება ფლობს მალე ინგრევა ან საერთოდაც არ არსებობს. ნინევეში ეს კარგად ესმოდათ მაგრამ სამწუხაროდ (ალბათ ჩემდა სამწუხაროდაც) მხოლოდ ესმოდათ. გენეტიკა იოლად ამყარებს კავშირს გულმოწყალე-

ბასთან თანალმობასთან შეცოდებასთან პატიებასთან ფარისევლობასთან მლიქვნელობასთან და მრავალ ასეთ ღვთით კურთხეულ სათნოებასთან მაგრამ ვერასდროს პოულობს საერთო ენას გულწრფელობასთან. თევზი რომელიც გულწრფელია დუმს. მამაა და ზრუნავს.

აქ ისე თბილა რომ ვგონებ გადამავიწყდა კიდეც მშობელი დედის საშოს ის არაჩვეულებრივი გემო სადაც ცხრა თვე და ცხრა დღე ვნებიანი ღიმილით გავატარე. ხშირ-ხშირად უნდა გავიხსენო.

არაა გამოსარიცხი რომ ყველაფერი სწორედ მაშინ გადაწყდა როცა ქარიშხალი ამოვარდა. რა თქმა უნდა ქარიშხალი შეიძლებოდა არც ამოვარდნილიყო მაგრამ რაკი ეს მოხდა მაშასადამე სხვანაირად არც იქნებოდა. სხვანაირად რომ ყოფილიყო და თვით ქარიშხალიც ამოვარდნილიყო მაშინ ის სხვა ქარიშხალი იქნებოდა და მე ვერასოდეს გავიგებდი აი ამ ქარიშხლის ჩემი თვალით ნანახი ქარიშხლის მნიშვნელობას. არც ისაა გამოსარიცხი რომ ორივე ქარიშხალი ერთდროულად ამოვარდნილიყო. გამოდის რომ სადაც ორი იქ ოცდაორი და ოცდაორჯერ ოცდაორი. არ გამიკვირდება გონებამ რომ მიკარნახოს დიახაც ყველა ქარიშხალი ერთად შედგაო. ცხადია ამ შესაძლო შემთხვევაშიც ძალა ექნებოდა ვარაუდს რომ ეს ქარიშხალი ერთადერთი იყო რომელსაც შეეძლო ჩემი ცოდვილი სული მოენახა და ეპატრონა. მაშასადამე ქარიშხალი უნდა ამოვარდნილიყო ხოლო იმავდროულად ჩემს თავში უნდა გაჩენილიყო ფიქრი იმაზე შეიძლებოდა თუ არა რომ სხვანაირად მომხდარიყო. ყველაფერი ვიღონე რომ ჩემი რწმენა გადამელახა მაგრამ ვერ შევძელი და ურწმუნო შევიქენ. მერე ანუ ქარიშხლის ამოვარდნამდე ბევრად ადრე არა ერთხელ ვცადე ამის გაკეთება მაგრამ რაკი რწმენის გადალახვა მხოლოდ რწმენის განმტკიცების გზითაა შესაძლებელი მარცხი ვიწვნიე. მე ყოველთვის ყველაფერს იქ ვეძებდი იმ ქარიშხლის მიღმა რომელიც მხოლოდ მაშინ მოვიდა როცა დასახვედრად მზად ვიყავი.

მწარე ფიქრი ამეკვიატა თევზო: ნუთუ შენს სულიერ სამყაროში მოქცეული მრავალი კაცივით მეც ერთ რიგით განავლად მაქცევდი ღმერთს რომ თავისი განზრახვა შენთვის არ გაენდო? მართალია ჯერ ყველაფერი წინაა მაგრამ მე ნებისმიერი განსაცდელისთვის მობილიზებული და უმანკო ვარ.

აზრი რომ ყოველთვის წინ უსწრებს აზრს კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ

აზრს რომ ჩემი ენა და იმ ადგილის ენა სადაც ამჟამად ვიმყოფები ერთმანეთის ენას მხოლოდ მაშინ დაეუფლებიან თუ მათში თანაბარზომიერად დაიმკვიდრებს თავს მესამე ადგილი თავისი ენითურთ რაც ჩვენ-ჩვენი ადგილმდებარეობის მეტაფიზიკას უსარგებლოს და უმიზნოს გახდის.

აქ სადაც ამსიმძიმე სიჩუმეა და თვით ინტერიერიც დუმილს მოუცავს ნუთუ არ არსებობს დროის უმცირესი მონაკვეთი მაინც ხმაურის გადასარჩენად? ერთი უდავოა: არც სიჩუმე და არც ხმაური აქედან გასასვლელი კარი არ არის. კარი არც მე ვარ მაგრამ როცა ნამდვილი და მოჩვენებითი ერთმანეთს უკიდურესად შორდებიან და მაქსიმალურად იკუმშებიან მათი ერთმანეთისგან გამორჩევის სურვილიც ქრება. უნებლიეთ ქრება კარის გაღების მოთხოვნილებაც. იწყება შიშის გაუჩინარების ხანგრძლივი პროცესი.

ვიდრე თავად მე არ ვიტყვი რომ შენში ვარ და ვიღწვი უნაყოფოა შენს მიერ ჩემში შემოღწევის ნებისმიერი მცდელობა ვინაიდან ჩემი სიტყვა განაგებს იმას ვინც შენ ამა თუ იმ მიმართულების არჩევის საშველს გაძლევს რითაც თავდავიწყების უსაზღვრო პერსპექტივა ხელიდან გეცლება. მე ეს ხშირად დამითმენია იქ ჩემს მხარეში როცა ჯერაც უმანკო ღლაპი არა ერთხელ დავუტუქსივარ ნებისმიერ კეთილისმსურველს შენი მკაცრად დაფჩენილი ხახისკენ ჩემს ლტოლვას რომ შენიშნავდნენ ხოლმე. მას მერე დროდადრო გამორჩევით სასოწარკვეთის მოძალების ჭარბ წუთებში ერთგულება დიახაც ასე წარმომედგინა: შეუძლებელია საკუთარი დანიშნულება შეიცნო მხოლოდ საკუთარ სხეულსა და მის გარემომცველ სივრცეს შორის არარსებული საზღვრების მონიშვნით ან წაშლით. თურმე გაცილებით მეტია საჭირო: ამ სივრცის შეკუმშვა თვალშესახებ რეალობად ყოველგვარი მანქანის ჩაურევლად და ჩაუსახლებლად. აი რატომ მესახება ეს გარემო მე ამდენი ხნის მერე ჩემი ნებით აქ მოხვედრილს არა მარტივ და ერთფეროვან საცხოვრისად არამედ და უპირველესად ყველა შესაძლო თუ წარმოუდგენელი ინტერიერის კეთილ მუზად. ხოლო როგორც ძველისძველი ანდაზა იტყვის: მუზა მუზაა მაგრამ თუ გაბოზდა მუზარადიაო. მე ყოველთვის ოქროს კვეთს ვანიჭებდი უპირატესობას როცა საქმე მაინც და მაინც არჩევანს მოითხოვდა და აქ რა ღმერთი გამიწყრება რომ გონებას მოვუხმო საზომად ზომა მოვიმარჯვო და მემარცხენედ ან მემარჯვენედ ვიქცე. შენ ეს ძალიან კარგად იცი. ზღვაში შეიძლება მხოლოდ თევზი იყოს მუშაითი. ჩვენ მოვიპოვეთ ერთმანეთი. მაგრამ კიდევ ერთი ეჭვია ჩემი საბედისწერო თანამგზავრი: ნუთუ შენ ხარ პირველი

ვისთვისაც საშიში არ აღმოვჩნდი? ნუთუ ასე იოლად შეგეძლო გადაგეწყვიტა რომ შენ დიახაც მოთავსდებოდი ჩემში ისე როგორც ყოველი თევზი და ისე რომ გარეთ ერთი ფხაც არ დარჩენილიყო? ნუთუ რომ არა ჩემი უცნაური ახირება შენ ვერასოდეს ჰპოვებდი სევდანარევ სინანულს ამ ერთადერთ უანგარო ჭირისუფალს? ნუთუ "რომ" კავშირი მე რომ მშვიდობის მარადქალწულ სიმბოლოდ წარმომიდგენია შენს და ჩემს ერთობასაც განამტკიცებს? რა უნდა ჩავიდინო აქ ისეთი შენ რომ კუჭს ან საღერღელს აგიშლის. ნუთუ შესაძლებელია მე კაცად კაცი და ხორცად ხორცი შენი მოყვასი ვიყო და საშიში არ ვიყო? როცა გადავწყვიტე ჩემი ახირება ბოლომდე მეთამაშა და საპირისპირო მხარეს მოვკურცხლე ვიცოდი შენი აღტაცება დამიცავდა და აკი აქ ვარ მშვიდად და მკვიდრად. თითქმის გულწრფელი. მხოლოდ აქ სადაც უკიდეგანოა სივრცე შეიძლება ჩაისახოს გზის აყრის სურვილი. მხოლოდ აქ სადაც ქარი აუცილებლად ორპირია შეიძლება წინ აღუდგე საკუთარ სარცხვინელს. მხოლოდ აქ სადაც ყველგანმზირალი მზერა ვერ აღწევს შეიძლება თავად იქცე მოყვასის (ამ შემთხვევაში თევზის) მზერად და არ დაგამახსოვრდეს ის რასაც ხედავ. აქ ჩემდამი ყველა და ყველაფერი გულგრილია ამიტომ სულაც არ ვარ მარტო.

როგორმე თავიდან უნდა ამოვიგდო ღრმა სიბერეში ნანახი ეს სიზმარი: ჯვარზე გაკრული თევზი რომელსაც თვალები წყლისკენ აღუპყრია და რაღაცას ევედრება ხოლო ეს ჯვარი მე ვარ.

შენსკენ ჩემი სწრაფვის გადამწყვეტი მიზეზის შესახებ უკვე ვერასოდეს ვერაფერს გავიგებ მაგრამ რაც ჯერ ისევ სრულყოფას ელის ხაფანგია ნებისმიერი პირობადებული პირველმიზეზისთვის. არაა აუცილებელი საქმე მაინც და მაინც დაბადების დაუოკებელ წყურვილს ეხებოდეს. მართალია ეს ის განუმეორებელი აქტია რომელიც ყოველი უანგარო წარმოდგენისას კვლავ და კვლავ თავს იშობს რითაც ჩვენს უმწეო იმედს პერმანენტულად ახანგრძლივებს მაგრამ ჩვენი ძლიერების ილუზია თავწყაროდ მხოლოდ იმ იშვიათ უნარს გულისხმობს რაც მეორდება და ამით გაწბილებისა და თავმოყვარეობის შელახვის უღვთო წუთებს მარილს უკარგავს. მე რომ მსგავსი იმედით ჩემი სული არ მესაზრდოებინა ახლა ნინევეში ვიქნებოდი. მე ვიცოდი რომ დავრწმუნდებოდი: თურმე არათუ სახედველი ან სასმენელი არამედ გულიც კი არაა საჭირო იმის დასანახად რაც ოდესღაც განგიცდია მაგრამ მოლოდინად ვერ გიქცევია. როცა განცდა იყვავილებს და მიილევა მოლოდინი მხოლოდ მაშინ შედის ძალაში და

მთელი ჩვენი არსებობა სივრცის ნებისმიერ მონაკვეთში საკუთარი თავის მომნიშნავ ისარს ემსგავსება რომელიც დიახაც გაისროლეს მაგრამ მისი ქროლვის პროცესის მნიშვნელოვნებამ მისი გასროლის აქტი თავის მიზანთან მიზეზთან საბაბთან და უამრავ ასეთ პირობითობასთან ერთად დავიწყებას მისცა. ბუნებრივია კვდომის ხსენებული პროცესი გაცილებით მეტ პირობითობას ბადებს მაგრამ ეს უკვე გამოცდილი პირობითობებია ამიტომ დაბადებაც ყოველგვარი სანიმუშო მაგალითის თვინიერ ხდება. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო ბედნიერი ჟამი რასაც დაბადების განცდის მოლოდინი შეიძლება დაერქვას და რაც მხოლოდ მაშინაა საიმედო როცა მტერი არ გყავს. მართალია არასოდეს დამისვამს საკუთარი თავის წინაშე ასეთი კითხვა: შესაძლებელია თუ არა მტერი არ მყავდეს? მაგრამ თუ ეს არასოდეს მომხდარა მხოლოდ იმიტომ რომ პასუხი ყოველთვის არსებობდა: მხოლოდ მაშინ შეიძლება მტერი არ გყავდეს როცა მტერი გყავს. მე მყავდა მტერი რომელსაც ჩემთვის არასოდეს არაფერი დაუშავებია მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა რომ ეს ხალხი ღმერთს ამხედრებია და მე ამ შემთხვევამ ასევე მოულოდნელად დამქანცა. მუხლის მოყრის თავიც კი არ მომცა. და განა ოდესმე საკუთარ სინდისს ვაპატიებდი იმას რომ შენი სტომაქის გაუვლელად ნინევეში წავსულიყავი? მე მხოლოდ აქ უნდა გამომეთქვა აღშფოთება იმის გამო რაც ვერ გავიგე: რატომ უნდა ქცეულიყო ჩემი მტერი ღვთის მტრად? ამ ხალხს ხომ ჩემთვის არასოდეს არაფერი დაუშავებია. მე რომ დაღლილობა არ მომძალებოდა აქ არ ვიქნებოდი. რა თქმა უნდა ეს ჩემთვისვე ძნელად დასაჯერებელია მაგრამ აუცილებლად უნდა გამოითქვას ვარაუდი იმის შესახებ რაც შეიძლება ურიცხვჯერ გახდეს ჩემი მაგრამ არა მაშინ როცა ის მხოლოდ ჩემი შეიძლება გახდეს. ესაა ერთადერთი ადგილი სამყაროს ზურგზე სადაც სირცხვილის განცდა არ გაწვალებს იმის გამო რომ არ იცი სად იმყოფება ის სადაც შენ იმყოფები. როცა ჩემს მხარეში იღლებოდნენ ხოლმე გაკვირვების უნარი უათკეცდებოდათ. მე არასოდეს მესმოდა მათი და ვფიქრობდი რატომ უნდა იღლებოდეს ადამიანი ისე რომ ღმერთისგან სამაგიეროს (მაგრამ არა გასამრჯელოს) მიღების სურვილს კარგავდეს მეთქი. აქ შენში ოდინდელი გაურკვევლობა ჯერ აღშფოთებამ შეცვალა: ნუთუ ამ სიღრმეში მოხვედრა იყო საჭირო საიმისოდ რომ მათი ქცევის სისათუთეს ჩავწვდომოდი? ნუთუ იმისთვის ვარ აქ რომ ყოველივე ახალი აქვე დავუტევო და მოძმეებს ოდენ გამოცდილი დავუბრუნდე მეთქი. მაგრამ მერე და მერე როცა ირგვლივ არავინ და არაფერი აღმოჩნდა ჩემი მზერისა და სმენის მიმზიდველი კიდევ ერთი ამჯერად გაცილებით მარტივი მაგრამ გაცილებით ზუსტი კითხვა დავსვი: ნუთუ თითოეული იმათგანიც აქაა ნამყოფი? ისინი ხომ

ამას ისევე არავის გაუმხელენ ოდესმე როგორც მე არ გავამხელ არასოდეს ჩემს თავგადასავალს და ნუთუ ეს საიდუმლო აახლოებს მათ ერთმანეთთან და ერთმანეთის თანამზრახველს ხდის მეთქი? როცა ეს მარტივი კითხვა დაისვა ჩემი აღშფოთება ჩემსავით გაქრა.

მამაჩემი ხშირად ამბობდა ხოლმე ყოველმა ჩემმა რწმენამ შემქმნას მე რათა შევქმნა მე ღმერთიო მაგრამ მერე და მერე მივხვდი კეთილი ამითაი საკუთარ ეჭვთა მსხვერპლად და სამიზნედ ქცეულიყო მხოლოდ. ერთხელ ლეღვის ჩრდილქვეშ დაამებულმა თავზე ხელი გადამისვა და მზრუნველი ხმით მითხრა როცა ადამიანი სიმშვიდეს კარგავს ეს იმის უტყუარი ნიშანია რომ ეჭვები გაუცხოებულან და გადახვეწილან ხოლო მტრისას როცა ისინი მობრუნდებიანო. ნათქვამის სიღრმეს რომ ვერ შევწვდი ამოვისუნთქე და მამის მკერდზე ტკბილად მივესვენე მაგრამ მშვიდობა დამერღვა და შევცბი: მამაჩემის გული ზღვის გულივით ცემდა. როდი შევიმჩნიე მაგრამ მშობელი მიხვდა და თავზე კიდევ ერთხელ გადამისვა ხელი. მას მერე ჩემი გულისფეთქვა დროის მადლმოფენილი და მოუაზრებელი გამოცდილებით სულამდე სავსე ეჭვს ეძებდა და ჰპოვებდა კიდეც ყოველ ნაბიჯზე. მაგრამ არც ერთი ჩემი არ იყო. მამა ხედავდა ჩემს გასაჭირს და ყოველი მისი სიტყვა მისი ქცევა მისი გამოხედვა მისი რჩევა მისი წყრომა მისი სინანული თუ სიხარული თვალ-ყურს მადევნებდა მიცავდა. როგორც ჩანს ამ ზრუნვას იმ გზის დასაწყისამდე უნდა მივეყვანე რომელიც ნებისმიერი მამისთვის ერთადერთია. ეს გზა თარშიშისკენ არ მიდიოდა მაგრამ მამაჩემის ფარულ ვნებას არც ის უნდოდა რომ მისი უგვანო ვაჟიშვილი მეხსიერების მონა-მორჩილად ქცეულიყო მით უმეტეს რომ ეჭვი ღრღნიდა: ამ მეხსიერებაში ვიღაც ადგილს მეცილებაო. ნეტა რას გადაწყვეტდა და როგორ მოიქცეოდა მისთვის უფალს რომ ეუწყებინა მართალია ადგილს არავინ გეცილება მაგრამ უკვე არსებობს და თავის თავს ინახავს ის ვინც შენს ადგილს ერთ ქარიშხლიან დღეს მთლიანად მოიცავსო. ნუთუ მამაჩემმა უკვე იცოდა ეს ყველაფერი და დუმდა რადგან მან არაფერი იცოდა იმის შესახებ რაც იცოდა და საკუთარი შვილის სამოთხიდან ასე უმოწყალოდ განდევნილს ჩემი შიშის ზრდის გარდა არაფერი დარჩენოდა. ამით იმასაც მოახერხებდა რომ ეჭვები მოემრავლებინა რაც მას სამიზნედ ქცეულს ფეხზე დიდხანს დგომას ჰპირდებოდა. ეს იყო მისი უკანასკნელი ბედისწერა და მე ვიყავი ერთადერთი ვისაც არასოდეს გამკვირვებია ქვეყნიერების ყველა კუთხიდან რომ ისწრაფოდნენ მისკენ ეჭვები და მათ შორის მრავლად იყვნენ ჩემი უმწიფარი და გზაწვრილი ეჭვებიც. და მე რომ აქ ვარ შენს სტომაქში სწორედ იმიტომ რომ მამამ სძლია სიხარბეს

და რწმენა არ შექმნა. შეიძლება კიდევ იმიტომ რომ მე ამას ბევრად ადრე მივხვდი ვიდრე კეთილი ამითაი მიხვდებოდა.

თუ ჩემში სხვადასხვა დამსახურებულ თუ დაუმსახურებელ მიზეზთა ძალით ადგილი დაუმკვიდრებია იმას რაც მე არ მეკუთვნის და ვერც ოდესმე დამიუფლებს მაშინ ჩემი აქ და ამჟამად ყოფნა შეიძლება განისაზღვროს ისეთ პირობითობათა თანმიმდევრულ ერთობლიობად და ერთდროულობად რომელთაგან არც ერთი ერთმანეთს არ უკავშირდება ხოლო თუ მაინც მოუყრიათ თავი ერთად და მნიშვნელობენ მხოლოდ იმიტომ რომ მათი ზეობის თავწყარო ის ადგილია რომელიც მე და ამ თევზს ერთობლივი ძალისხმევით შეგვიქმნია. რაღა თქმა უნდა აქვეა მიზანიც რომელიც გულახდილად რომ ითქვას ჩემთვის უცნობია ხოლო თუ არჩევანი ყოველ მოცემულ მომენტში სწორედ მის საჭიროებაზე მიმანიშნებს მისი გამოწვევა ძნელ საქმეს სულაც არ წარმოადგენს მაგრამ ვფიქრობ სახელდახელოდ მოძიებულ ასეთ მიზანთა ურიცხვ რაოდენობას არაფერი აქვს საერთო იმ მიზანთან რომელიც ერთადერთია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ მიზეზს ემიჯნება. რაც მეზღვაურებმა იქ ჩემი არყოფნის დროს ჩაიდინეს მე მძინარეს მესიზმრებოდა და სიზმრამდე მიკვირდა მხოლოდ ის რაც სიზმრად თვით ქცეულიყო გაკვირვებად. მიკვირდა სწორედ ის რომ დამფრთხალი შეძახილების თანხლებით მგზავრები ზღვაში ყრიდნენ ყველაფერს რაც გააჩნდათ მაგრამ სულაც არ მაოცებდა მიმართულება რომელსაც ქარიშხალი აძლევდა გადაყრილ საქონელს. შემიძლია ღმერთი დავიფიცო რომ ეს ყველაფერი ზღვაში კი არა ცაში ცვიოდა ხოლო წყალში მხოლოდ ანარეკლი იძირებოდა და უჩინარდებოდა. დიახაც დარწმუნებული ვიყავი რომ კაცი რომელიც თავიდან იშორებს იმას რაც დიდი წვალებით შეუძენია არ ზრუნავს იმაზე თუ საით იშორებს იმას რამაც თავის მხრივ პატრონი მოიშორა და შემსუბუქდა ახალი პატრონის ხელში მოხვედრამდე. მაგრამ როცა გამაღვიძეს და ბანზე გამიყვანეს ჩემი გაკვირვება წყრომამ შეცვალა ვინაიდან მათ უჩემოდ გადაეწყვიტათ წილისყრა და ახლა პირდაფჩენილნი ჩემს თანხმობას ელოდებოდნენ. ჩემი აზრით კი ნებისმიერმა ჩინებულად უწყოდა საქმე რაშიც იყო. მაგრამ მათ ჩემი ქცევის მიზეზი კი არა მიზანი აინტერესებდათ და არც ეეჭვებოდათ რომ გაიგებდნენ იმ ერთადერთს და მოუხელთებელს რომელიც მხოლოდ განსაცდელის ჟამს აღძრავს ხოლმე ადამიანებში ათასგვარ იმედს მაგრამ როგორც წესი განსაცდელი შენ კი არა სხვას უნდა ეკუთვნოდეს. როცა განსაცდელი შენ არ გეკუთვნის ხოლო ადგილის დაუწერელი კანონის თანახმად მიზეზები შენზეც ვრცელდება მაშინ მიზნობრიობის ველში

მოხვედრის ილუზია გიცხოველდება და მზად ხარ ყველაფერი შესწირო
იმ საიდუმლოს გასაგებად რომელმაც უზარმაზარი გამოცდილების თანა-
მონაწილედ უნდა გაქციოს. მაგრამ გაწირვის ობიექტი ამ დროს მხოლოდ
მატერიალური ხდება რაც პირველი გადაულახავი ბარიერია შენსა და იმ
ადამიანს შორის რომლის ბედისწერაში შეღწევასაც ლამობ. რა თქმა უნდა
ამისგან დაზღვეული არავინაა თუ საქმე ეხება იმ ადამიანთა შემთხვევით
ერთობას რომელთაგან თითოეულს უკვე დაუთმენია მსგავსი წამი. აბა
ვინ უნდა იკადროს მათი დამუნათება როცა საქმე ბედისწერას ეხება ხო-
ლო ეს ბედისწერა უკვე იყო ნებისმიერი მათგანის ცხოვრებაში. განა მათ
არ იციან რომ ბედისწერა ისაა რაც ერთადერთხელ მოდის და მერე არა-
სოდეს მიდის. მაგრამ იმდენად დიდია მოსვლის იმ განუმეორებელ წუთთა
ნეტარების ხსოვნა რომ ადამიანები მთელი ცხოვრება ენაგადმოგდე-
ბულები ეძებენ იმას რაც მათშივეა. მე მშვენივრად მესმოდა მათი. მე თუ
რჩეულის ბედი მერგო ალბათ ეს იმაშიც გამოიხატა რომ ხსენებული წამი
ლამის უსასრულოდ გაგრძელდა. ყოველ შემთხვევაში ჯერ არ გამქრალა.
მაშასადამე აი აქაც რომელიც არ ვიცი სად იმყოფება მე ჩემი ბედისწერის
ჩემში შემოსვლის პროცესს განვიცდი. არ ვიცი რა იქნება შემდგომ როცა
ამ დიდებულ წამს ხსოვნა შეცვლის ამჟამად კი ჩემში არ არსებობს
ბიოგრაფია რომელიც ამ წამს როგორც უკვემოსულს გულისხმობდეს. ის
ხომ ჯერაც მოდის. მათ ჩემს ირგვლივ თავმოყრილ მგზავრებს ხომ
სწორედ იმ ერთადერთი განცდის განმეორება ეწადათ რათა ამჯერად
მაინც მთლიანად ეგრძნოთ და განეცადათ ისე რომ ამ დროს მათ აზრს
სცოდნოდა რომ ამ ყოველივეს გრძნობდა და განიცდიდა. ახლა როცა
ჩემში ბედისწერა ჯერ არ ქცეულა უკვემოსულად კარგად ვიცი რომ მსგა-
ვსი რამ წარმოუდგენელია: გამორიცხულია ერთდროულად განიცდიდე
კიდეც და შენს განცდას გონების თვალ-ყურსაც ადევნებდე. ამის ილუზია
მომაკვდინებელი თუ არა ვნების მომგვრელი მაინცაა. ბედისწერა ერთად-
ერთხელ მოდის და მოდის უსათუოდ მოულოდნელად. იგი მაშინაც ასეთი-
ვე მოულოდნელი რჩება როცა უკვე აღარ მოდის და მხოლოდ ნაწილდება
შენთან ერთად შენთვის განკუთვნილ თუ შენს მიერ მოპოვებულ დრო-
სივრცეში. მოსაპოვებელში ბედისწერა არ არსებობს. ხსენებული ილუზია
კი დედამიწას წყალში ჩაძირავდა მას რომ უკვემოსული ბედისწერის ხან-
გრძლივობა არ აწონასწორებდეს. არაა გამორიცხული რომ ერთ მშვენიერ
დღეს მეც მათსავით პირდაფჩენილ და ბედისწერის ხელმეორედ განცდის
ვნებით ატაცებულ არსებად ვიქცე. ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა
აქვს ეს წამი ცხრა საათს გასტანს თუ ცხრა წამს. სამწუხარო თუ საბედნიე-
რო ისაა რომ იგი მთავრდება და უფრო მეტიც ისე მთავრდება რომ მერ-

მისის ხსოვნად უფრო იქცევა ვიდრე წარსულის გამო ნოსტალგიად. ყველაფერს რომ ზურგი ვაქციო ჩემი ბავშვობა არ მომცემს ნებას თავი მოვიტყუო და ვირწმუნო რომ მაშინ როცა ნამძინარევი გემბანზე ვიდექი და ანძას ვიყავი ჩაბღაუჭებული ხოლო დამფრთხალი მაგრამ ცნობისმოყვარეობისგან თავდავიწყებული მგზავრები რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ ჩემგან თითქოს სწორედ მაშინ მართლა არაფერი იცოდნენ და არც მე ვესახებოდით იმ გზად რომლითაც მათთან ბედისწერა უნდა მისულიყო. განა მე კი გავიაზრებდი მიზეზისა და მიზნის სხვადასხვაობას ძირით ძირამდე აქ რომ არ აღმოვჩენილიყავი მიუხედავად იმისა რომ არაფერი ვიცი იმ ადგილის სრულუფლებიანი ადგილობრიობის შესახებ სადაც ახლა ვარ.

მშვიდობიან ადამიანებს უყვართ პირდაღებული ქვევრიდან სიბრძნის ხაპვა მაგრამ არა იმ სიბრძნის რომელიც მერე ისევ ქვევრს უნდა დაუბრუნდეს. გზა რომელიც ჩვენსკენ დაძრულმა სიბრძნემ უნდა განვლოს ჩვენთვის უცნობია ისე როგორც უცნობია საერთოდ ყველაფერი რაც დროს საჭიროებს მაგრამ არ კი იმსგავსებს და არც არასოდეს შეწყდება ალბათ. ასეა თუ ისე რატომღაც არ მახსენდება ჩემს ცხოვრებაში ნანახ კაცთაგან რომელიმეს სიტყვა ეთქვას და მერე ამ სიტყვას უკუქცევა მოსურვებოდეს. მაგრამ ჩემთვის ისიც შენი სტომაქის ვარსკვლავებით მოჭედილი ცასავით ნათელია რომ სიტყვის პატრონობა მსმენელს უფრო შეუძლია ვიდრე გამომთქმელს. არ ვიცი იქნებ იმიტომ რომ სიტყვა ის კი არაა რაც სათქმელად მომზადდა არამედ ის რაც უკვე ამოითქვა ანუ რამაც მთქმელი დაკარგა ანუ რაც ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდა და მოიპოვა არსებობის ის უმცირესი მონაკვეთი რომელიც სავსებით საკმარისია რათა სიტყვამ შინაარსით შეავსოს და მემკვიდრეობითობისთვის აუცილებელი ყველა პირობა დაუკმაყოფილოს მის გადასარჩენად ამოქმედებულ ურიცხვ პირობითობას. ასე შიშვლად აღსრულება უწერია საკუთარი ნებისგან დაცლილს და შეცდომებისგან დაცულს და დაზღვეულს. როცა სიტყვა გარემოს ავსებს და გარკვეული მიზნისკენ მიმართავს ის ფრთხილად ან უმტკივნეულოდ კი არ კვდება ან ქვეყნიერების გასაგონად კი არ ღაფავს სულს არამედ საქმიანად და ბეჯითად წამოკრეფს მასზე დამიზნებულ ყველა ჩანაფიქრს და ნებისმიერ პირველსავე შესაძლებლობას სინამდვილედ გარდაქმნის რაც სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა სიტყვიდან სიტყვის დაბადებას. მაგრამ სადაა აქ სიბრძნე?

ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია ენა რომელიც შენ-

ში ჩემი ყოფნის აღწერასაც მოახერხებდა და შენს ენასაც სულს შთაბერავდა. აბა როგორ ვთქვა ერთმანეთს ვიცნობთ მეთქი როცა ერთმანეთს ვეკუთვნით და ვერ კი ვხედავთ ამ დროს ერთმანეთს. მართალია მე პასუხისმგებელი არ ვარ წინ თუ უკან გადადგმულ შენს არც ერთ ნაბიჯზე მაგრამ რატომღაც მას მერე რაც აქ აღმოვჩნდი ჩემი ნებით გადანაცვლების სურვილი გამიასკეცდა. შენი გულისფეთქვა ჩემში ისე ძგერს რომ შენი მოძრაობის სიჩქარის ცვალებადობასაც კი უტყუვრად განვიცდი მაგრამ თურმე გაცილებით მეტს ნიშნავს ჩემისთანა უბირისთვის მიმართულება. სიცოცხლეს დავთმობდი ოღონდ გამეგო სად ვიმყოფები. წარმოგიდგენიათ ჩემო კეთილო წინაპრებო? ვიცი სად ვარ და არ ვიცი სად ვარ. თუმცა ის კი ვიცი უტყუვრად რომ თევზი მხურავს და თევზი მაცვია? არა ეს ჯოჯოხეთი არ უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ არც ჯოჯოხეთზე ვიტყოდი უარს თუ საკუთარი ფეხით სავალ ერთადერთ გზად ჯოჯოხეთისკენგზა დამრჩებოდა. მართალია შენში ჩემი ნებით ჩამოვეშვი მაგრამ არა იმ პირობით რომ ადგილით ნაპატივებს ადგილი წამრთმეოდა. ზოგჯერ მგონია ისეთი უტყვი და სასტიკი ხარ რომ საერთოდ არ გესმის ჩემი მაგრამ როცა ჩემი მხარე მახსენდება ჩემი ოდესღაციქყოფნითურთ ყველაფერი თავის პირველყოფილ წესრიგს უბრუნდება და იმ მარადიულ სურათში შენს ღირსეულ ადგილს იბრუნებ. თითქოს სხვა არც არაფერი არსებობდა: ჩემი ბავშვობა და შენი სტომაქი. ან უფრო ზუსტად რომ გამოვთქვა: შენ სტომაქო ასე სალუქო და ასე ჩუმო. ჩუმო კი არა ლამის დუმილით დამყრუვებელო. თქვენ ორს შორის ამითაიმაც კი ვერ მოახერხა მყარად და სანდოდ განთავსება. ყოველ წამს გრძნობდა რომ მე უკვე შენში ვიყავი ხოლო ის ჩემი კეთილი მამა ერთი ნაბიჯით თითქმის ყოველთვის უკან რჩებოდა. მერე რა რომ სკუპ-სკუპით ხტოდა?! იმაზეც ხშირად მიფიქრია სწორედ მე ვიდექი შენსა და მამას შორის მეთქი. იქნებ მართლა მე შეგიშალეთ ხელი ერთმანეთთან შეხვედრაში. იქნებ იცნობდით კიდეც ერთმანეთს მე კი სამუდამოდ მოგწყვიტეთ ერთმანეთს და ერთი მიწას მივაჯაჭვე მეორეს კი წყალი მივუჩინე. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო სადღაც ხომ უნდა შემდგარიყო ეს განშორება: ან მიწაზე ან წყლის სიღრმეში? ორიდან ერთი: ან მამაჩემსაც გამოუვლია შენი მუცელი ან შენ იყავი ერთ მშვენიერ დროს ამითაის სტომაქის ტყვე თუ სასურველი სტუმარი და ღვთის საჩუქარი. როგორც უკვე ვთქვით ჩემთვის ეს ცოდნა სამუდამოდ დაფარულია.

სავსე სტომაქი უპირატესობას ფლობს იმიტომ რომ იგი სავსეა. და ამ სისავსეს არაფერი შეედრება ქვეყნიერების ზურგზე თუ ზურგსქვემოთ.

მომეხსენება ცარიელი სტომაქი შინაარსია ხოლო თუ შინაარსი უკვე არსებობს მაშინ არავინ კითხულობს რითაა ან რატომაა იგი სავსეო. მთავარია არსებობდეს და თავის ირგვლივ იკრებდეს ყოველივე მსუბუქსა და ნაკლებად მომცველს. აბა უყურე: შენ რომ ჩემით სავსე იყო მე ვიფიქრებდი რომ არც ცამ და არც მიწამ და არც მითუმეტეს წყალმა ჩამყლაპა არამედ წარსულმა მაგრამ დარწმუნებული ვარ ისევე გაკლივარ როგორც მე მაკლია აი ახლა ჩემი ცხოვრების ამ უადგილო მონაკვეთში ჩემი კეთილი ამითაი მაგრამ ვერც აწმყოთი ყელამდე სისავსის განცდას დავმალავ. ჩემი თევზის ყოველი ნერვით ვგრძნობ რომ ჯერარნახული და არგაგონილი აწმყოთი ვარ გარემოცული და შიგნითმოცული. აქ ჩემში შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. დიახ ამას შეიძლება სიცოცხლე დაერქვას. არასოდეს ასე მშვიდად არ მიმიღია მომხდარი რაგინდარა სახის ცვლილება. ყოველთვის თან მდევდა მოუსვენრობა და შფოთი იმის გამო რომ შეიძლებოდა ნებისმიერ ჩემს ადგილსამყოფელს ისე ვერ ეგრძნო ყველაფერი როგორც მე ვგრძნობდი მაშინ ყოველ მორიგ აწმყოში როგორც ქერის ორმოში ჩავარდნილი და გულს მიკლავდა ჩემი სასტიკი სიმარტოვე. ერთი სიტყვით: ვერ განვიცდიდი მაყურებელს რომელიც ჩემს მიერ მოძიებულ ამა თუ იმ სასწაულთან ჩემს შეხვედრას კარგად დაიმახსოვრებდა რათა მერე დღესასწაულის გაქრობის მერე მასთან მისვლა მომნატრებოდა და წამეკითხა ის რაც ერთი და ერთჯერადი ბუნებისაა. აქ კი მშვიდად ვარ რაკი ჯერაც ჩემთვის უჩვევ რწმენას განვიცდი: რომ თანმსწრები ხარ იმ ყველაფრის რაც შენსა და ჩემს შორის ხდება. მაშასადამე ჩემს თავს განვიცდი დამსწრედ იმისა რაც იონას გულში ტრიალებს. ასე ვუზივარ საკუთარ თავს მზერადქცეული და ნებისმიერ ჩემს დღესასწაულს ისე განვიცდი როგორც სადღაც ჩემს გარეთ მომხდარს. როგორც ჩანს მაინც ვერსად წავა და რომც წავიდეს არ მედარდება. უკვე იმდენი დამიგროვდა გასაცემი რომ დასაკარგი არც სინანულს მგვრის და სხვათაშორის არც აღტაცებას.

მე არ დამიწესებია შენი სტომაქი. მწამს რომ შიგნით ვარ. მწამს რომ გზასაც ვხედავ და გზის გავლით ჩემში შემომავალ შენს გამოცდილებასაც. მე არ ვამცირებ შენს სიყვარულს. არ გართმევ იმას რაც შენია. ჩვენ არასოდეს ვიქნებით მეგობრები. მართალია მე არ ვარ შენი შვილი მაგრამ შენ ჩემი მამა ხარ. მე შემიძლია კიდევ ბევრჯერ გამოგიგონო მაგრამ არ დამიწესებიხარ და არც უკან შენი ჩამოტოვების სურვილი გაკრთება ჩემს თავში რომელშიც შენ ვერასოდეს შემოხვალ რადგან უკვე თითქმის ერთი ვართ. შენი სუნთქვა ჩემი სუნთქვაა. შენი სათქმელი ჩემი სათქმელი. მე ღამეები მითევია იმაზე ფიქრში რაც შენთვის ოდენ გზადყოფნაა მაგრამ

ჩვენ მაინც გადავკვეთეთ ერთმანეთი და ხილულ იქმნა ზღვარი წყალსა და ჰაერს შორის. უმარტივესი შეგრძნებები ტოვებენ ჩემს და ტოვებენ ჩვენს გზას და ხმელეთისკენ მიიწევენ თუმცა ხმელეთს ვერ შეხვდებიან და ჰაერშივე განიბნევიან და წყლის გზებსვე უბრუნდებიან და ჩვენ ერთმანეთს ვუახლოვდებით და შენთვის უკვე ყველაფერი გასაგებია რაც ჩემში ხდება და სათუთია ჩემთვის ყოველი შენი ნაბიჯი და მტკივა შენი თითოეული ამონასუნთქი და ჩვენ ერთმანეთს არასოდეს დავაწესებთ რადგან ერთი ვართ მაშინ მაინც როცა შენს სტომაქს გავიაზრებ როგორც ჩემს მიზანს და ღვთის საცხოვრისს.

შენ გგონია არ მქონდა სურვილი ჩემს განკარგულებაში არსებულ ურიცხვ წარსულთაგან ერთ-ერთი მაინც გამომეხმო და წინდაწინ მცოდნოდა იმ ერთადერთ ბედისწერამდე სავალი გზის მიმართულება სადაც შენი შიგთავსი უნდა დაწყებულიყო? მაშინ თარშიშისკენ არ მოვკურცხლავდი. თუმცა თარშიშიც ერთი იყო და შენც ერთი ხარ და მეც ერთი ვიქნები მაგრამ საითაა ეს ყველაფერი ახლა როცა ბედისწერაც კი გამინაპირდა და ვინ იცის რომელ ზეცამდე ამაღლებული რომელ ჩემს წარსულს ებაასება. როგორ ამეხსნა იმ პატიოსან მგზავრთათვის და მეზღვაურთათვის რომ მათი ხელი მჭირდებოდა უფლის პირისკენ ასწრაფებულს და გულამოვარდნილს?

მომიტევე ჩემო კეთილო და მოძრავო თევზო რომ ჩემი ფიქრები ახლაც იმ ხომალდს დასტრიალებენ. ვიცი რაც ახლა ჩემს თავში ხდება შენთვის ღიმილის მომგვრელია მაგრამ მაინც სუნთქავ და როგორც გზას ისე განაგრძობ არსებობას რომლის გულიც მე გახლავარ თუმცა იქვე გულისფეთქვაც ვარ როგორც შენ ჩემი. მაშ ზღაპარივით მოგიყვები თუმცა კი მხოლოდ იმას ვიტყვი რაც მართლა იყო როგორც ჩემში ისე ჩემს გარეთ: იყო და არა იყო ვინ. იყო ერთი დედით ობოლი კაცი სახელად იონა. და აი მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო აღმოვჩნდი ხომალდზე რომელიც შენი პირისკენ მოდიოდა თუმცა ამის შესახებ ჩემს მეტმა და შენს მეტმა არავინ არაფერი იცოდა. ვიფიქრე მოდი ამ პატიოსანი ხალხის რწმენას გამოვცდი მეთქი და ლოცვა დავიწყე. მოვიდნენ და მკითხეს ვისთვის ლოცულობო. ებრაელი ვარ და ჩემს ღმერთს შევთხოვ სავალი მშვიდი გქონდეთ მეთქი. ერთობ ეამათ გამშორდნენ და ერთმანეთში ლაპარაკი განაახლეს. ლოცვამ მომქანცა და მიმაძინა. ვნახე სიზმარი: გრიგალი ბობოქრობდა ზღვაზე ნავი წყლით ივსებოდა და მგზავრებს ჩაძირვით ემუქრებოდა. მე ვიდექი და ხალხს ვამშვიდებდი: ხვალ დარი იქნება ვინაიდან ცა წითელია მეთქი.

არ მიჯერებდნენ. გინდა თუ არა შენი ბრალია და შენვე დააცხრე ქარებიო. მე ვერაფერს გავხდები და თუ მენდობით ხვალ ქარებიც ჩადგებიან და ზღვაც დამშვიდდება მეთქი. არა ახლავე დააცხრეო. არ ვიზამ მეთქი გავჯიუტდი. მაშინ ზღვაში გადაგდება დამიპირეს და ხელი მტაცეს. აი ამ დროს გამომეღვიძა. ერთი მეზღვაურთაგანი ჩამფრენოდა. როგორც ჩანს ღრმად მეძინა და თუმცა ახლა თვალი დაჭყეტილი მქონდა მაინც არ სჯეროდა ჩემი სიფხიზლის და მანჯღრევდა და მიყვიროდა. რა მოხდა მეთქი ვკითხე. უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს და შენი ღმერთის შეწუხება მოგვიწევსო. უბადრუკნო მე რომ მაწუხებთ არ იკმარეთ და ახლა ჩემი ღმერთის შეწუხებაც განგიზრახავთ მეთქი. წამოვდექი შევრისხე ქარები და ზღვის ღელვა და დაცხრნენ და სიმყუდროვემ დაისადგურა. ხოლო ისინი დამფრთხალნი და განცვიფრებულნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ვინ არის იგი ქარებს და ზღვას რომ უბრძანებს და ისინიც მორჩილებენ მას? ხოლო იონა რომელიც იყო და არა იყო ვინ უკვე კუთხეში მიცუცქულიყო თავი მუხლებში ჩაერგო და ფიქრობდა: აკი მსმენია ღრმა ძილმა სიზმარი არ იცისო? ასე იყო ეს ყველაფერი. არ ვიცი თევზო გეძინა თუ ფხიზლობდი მაშინ მაგრამ ხომ გრძნობდი რომ მეც ისე მოვისწრაფოდი ამ შენი ინტერიერისკენ როგორც შენ ჩემსკენ. ნუ შეცბები და ნუ განითლდები. მე შენ სიყვარულს კიდევ ბევრჯერ აგიხსნი თევზო. თუმცა აქ რომ ვარ ეს ხომ უკვე სიყვარულია. თუნდაც ის რომ სადღაც მაინც ვარსებობ ქვეყნად.

შენ გინდა თქვა რომ აქ ამ სტომაქში მე ჩემი თავი მოვიპოვე? შენ გინდა თქვა რომ აქაა ჩემი დასასრული? მაგრამ მე ხომ ყოველთვის და ყველგან ჩემში ვიყავი თუმცა ამაზე საგანგებოდ არასოდეს დავფიქრებულვარ. უბრალოდ ამაზე ფიქრს არ მოითხოვდა ბედნიერება რომლითაც სავსე იყო აი ეს სული რომელსაც ახლა წყალი ფარავს და საშველს არ მაძლევს ღმერთს ხმა ვუწვდინო. მართალია შენში ჩემი ყოფნა ამაზე ფიქრს მაიძულებს მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს რომ შენში გავჩნდი. სწორედაც რომ ბევრად ადრე უკვე ვიცოდი ჩემი სულის სიღრმიდან ამომავალი და შენსკენ მომართული ჩემი სიფხიზლის მადლი და მარილი.

ყოველ შემთხვევაში გარდაცვლილად საკუთარ თავს ვერ მოვიაზრებ. მართალია აქედან სულაც არ გამომდინარეობს რომ ადგილი სადაც ვიმყოფები სააქაოა მაგრამ ჩემი რწმენა ხომ რაღაცას ნიშნავს. თუ რაღაცას ნიშნავს მაშასადამე დაიწყო კიდეც სადღაც და ჰქონდა კიდეც თავისი ფარული თუ მკაფიო ინტიმი. ამაზე მიმითითებს ჩემი ამჟამინდელი სული-

ერი თუ ხორციელი მდგომარეობა. თუ არ ვცდები ამას სიყვარულის ეროტიკად მოიხსენიებენ. რაღაც ამის მსგავსს განვიცდი მაგრამ არა შენს მიმართ არამედ შენში თუმცა შეიძლება შენს ირგვლივ ან შენიდან ჩემსკენ ან საერთოდაც ჩემიდან ჩემი წარსულისკენ თუ შენიდან ჩემი იმ აწმყოსკენ რომელიც ახლა გარს მაკრავს და ჩემში ვერანაირად ვერ შემოვდევნე ვინაიდან უკვე ჩემშია მაგრამ არა იმ ურიცხვ გადაწყვეტილებასთან ერთად რომელიც ამაო აღმოჩნდა შენგან გამოსათავისუფლებლად. შენში ჩემი ცხოვრების წესი დიდადაა დავალებული მრავალი წლის წინ ჩემსა და ამითაის შორის ხანგრძლივ-ხანგრძლივ წარმოებული მსჯელობებისგან. მართალია ამ განაზრებებს სასურველისკენ სწრაფვის სახე უფრო ჰქონდათ ვიდრე მისგან შორსგარიდების მაგრამ ასე იყო თუ ისე მე და მამაჩემს ერთმანეთისა კარგად გვესმოდა. ისიც სწორედ ასე ამბობდა: საკუთარ თავს გარდაცვლილად ვერასოდეს მოვიაზრებო. მართალიც იყო თუ შეიძლება კაცი ამ დროს მართალი იყოს. ჩვენ ალბათ უფრო მეტი ვიცით სიკვდილის შესახებ ვიდრე ჩვენი მკვდრების შესახებ. გარდაცვლილები ხომ ჩვენი სულის უიდუმალესი და თითქმის უსასტიკესი წევრები არიან. როცა ცოცხალ კაცს ვემშვიდობებით შეგვიძლია შეხვედრის დრო და ადგილი დავუთქვათ და გვწამს რომ პირობას არ დავარღვევთ. მაგრამ როცა მავანი კვდება ჩვენ მას ისე ვემშვიდობებით რომ მსგავსს ვერაფერს შევპირდებით. საცოდავი ჩვენი ბუნება: წარმომიდგენია გადარეული როგორ აწყდება საკუთარ თავს და როგორ ცდილობს თავი იმართლოს ერთობ ადამიანური სურვილების და ფიქრების წინაშე. ერთი შეხედვით დიახაც ამაზრზენი უნდა იყოს როცა გარდაცვლილს მისი სახელის უკვდავყოფას პირდებიან. ეს ხომ სხვა არაფერია თუ არა ხანგრძლივი სიცოცხლის სურვილი. რაც შეიძლება გვიან შეხვედრის სურვილი იმასთან ვინც აღარაა. მეორეს მხრივ ამაში ცუდი არაფერია. გარდაცვლილები როგორც ჩანს ჩვენზე არანაკლებ ბოროტები შურიანები კეთილები და ვნებიანები არიან. ყოველ შემთხვევაში მე არ ვისურვებდი საიქიოში ისე წასვლას რომ თან არ წამეღო მთელი ჩემი ამქვეყნიური ავლადიდება. აბა რა ვიქნები იქ ჩემი ფიქრების ჩემი ტკივილების ჩემი ოცნებების და ჩემი ავხორცი სიზმრების თვინიერ. ან უყლეოდ და უთვალებოდ რაღა ვიქნები. როცა მოყვარულ ცოლქმართაგან ერთ-ერთი მიდის მეორეს იმდენი უპასუხო კითხვა რჩება რომ მათზე პასუხის გასაცემად სიცოცხლის ნახევარს არ დაიშურებდა. გარდაცვლილ გულისსწორს ან მეუღლეს შენ თვითონაც მოგეხსენება ძირითადად ღალატობენ და მერე მილიონი საბუთი ჩნდება ამ ქმედების გასამართლებლად. ამითაი ასე ამბობდა: როცა უყვართ არ ღალატობენ არც ცოცხლებს და არც გარდაცვლილებს. ღალატი სიმბოლოა რომელმაც გვიჩვენა

რომ ამა და ამ კაცს არ ჰყვარებია. და რატომ უნდა გვიკვირდეს და უარ-ვყოფდეთ რომ ეს ასეა? სიყვარული ხომ იშვიათი ფრინველია (მე ვიტყოდი თევზია მეთქი). არც შეიძლება ღალატი დაერქვას ამ მოვლენას თუ ხდომ-ილებას. ეს ღალატი ხომ უკვე იყო მაშინ როცა მავანი მავანს სიყვარულს ეფიცებოდა. განა თითოეულმა მშვენივრად არ იცის უყვარს თუ არა? ასე ამბობდა ამითაი. მაგრამ გარდაცვლილ გულისსწორზე ფიქრი ძნელია. ად-ამიანური ეჭვი დამამცირებელი და სამარცხვინო სულაც არაა. ყოველ შემთხვევაში იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მოქნილი როდია იმ თვისებებს შორის რომლებიც ასე ულმობლად გასცემენ ხოლმე ადამიანის ეგრეთ წოდებულ პატივმოყვარე შურიან და გულღრძო ბუნებას. წარმო-სადგენია ეჭვი რომელსაც გარდაცვლილი ადამიანის მიმართ განიცდიან. როცა ჩვენს გვერდით ცოცხალი არსება იმყოფება მის მიმართ აღძრული ეჭვი ან დასტურდება ან არ მართლდება და სირცხვილის აუტანელი განც-და გვაწუხებს ძალიან დიდხანს. რაოდენ მძიმე უნდა იყოს ეჭვი რომელსაც ვიდრე ცოცხალი ხარ ვერ მოიშორებ. მით უმეტეს რომ წასულს არაფერს შეპირებიხარ. არ დაგითქვამს მისთვის შეხვედრის დრო და ადგილი. მან არ იცის შენ როდის მიხვალ. იგი მარტოა. წარმოსადგენია ამქვეყნიური სიმარტოვის და უპატრონობის ფონზე რამდენად უფრო ჯოჯოხეთური უნდა იყოს გარდაცვლილი ადამიანის მარტოობა რომელსაც თან ახლავს სიცოცხლეში შეძენილი უმდიდრესი და უსასტიკესი გამოცდილება. რა თქმა უნდა კარგი დღე არც ჩვენ გვადგას თუ წარმოვიდგენთ სააქაომ-დელ სამყაროთაგან წამოღებულ გამოცდილებას მაგრამ მაინც მოგვი-წევს აღიარება რომ გარდაცვლილები ერთი ნაბიჯით ყოველთვის ჩვენზე წინ არიან. თუ წარსულია ათვლის წერტილი გარდაცვლილთა გამოცდი-ლება ბევრად რთული და უმწეოა ვიდრე ცოცხლების. თუმცა ყოფნა ხომ ყველაფერს ნიშნავს. ვაღიაროთ რომ გარდაცვლილებიც ისევე ივიწყებენ თუ ღალატობენ ცოცხლებს როგორც ამას ცოცხლები სჩადიან. და ალბათ გარდაცვლილთა შორისაც მოიძიებიან ადამიანები რომელთათვისაც სიყ-ვარული ყველაფერია. სიყვარული ხომ რა თქმა უნდა აგვამაღლებს მაგრამ რაზე ამაღლდეს ის ვინც გარდაიცვალა და ღალატი უარყო?

რა თქმა უნდა ყოველთვის ხელიდან გისხლტება ის რასაც ზედმიწევნით ელტვი მაგრამ ჩემთვის ხომ თვით ეს პროცესია ძვირფასი და განუმეორე-ბელი. ჩემს თავსაც სწორედ ამ დროს ვპოვებ როგორც ერთადერთს. ლტო-ლვის საგანი რომ ხელიდან მისხლტება ეს შედეგია. ეს დასასრულის და დასაწყისის სამყაროა მე კი თავად გზით გახლავარ შეპყრობილი და ამ დროს ვარსებობ როგორც იონა. ამიტომ მგონია რომ თარშიშისკენ და ნი-

ნევესკენ მიმავალ გზებს ერთდროულად დავადექი როცა შენით შთაგონებულმა შენი პირისგან გადახვეწა განვიზრახე. ალბათ შეხვედრაც ამიტომ შედგა.

მე არ წარმოვადგენ თევზს რომელშიც ვიმყოფები. მე არ წარმოგადგენ შენ მას მერეც კი რაც თითქმის მთლიანად შენით ვარ მოცული მაგრამ არა ზღვარდებული. არ შეიძლება ეს შემეშალოს. საერთოდაც მე არასოდეს არავის და არაფერს არ წარმოვადგენდი. საკუთარ თავსაც კი არა. ვიღაცის თუ რაღაცის შენს მიღმა მდგომის შენს ირგვლივ არსებულის წარმოდგენის ან მისი სახელით ქმედების მოთხოვნილება ყოველთვის ანგარებითაა ნიშანდებული. ამ ვნებას ვერ ნიღბავს გასამართლებელი საბუთების ვერც სიმრავლე და ვერც სიძლიერე. თითოეული ასეთი საბუთი გადასწრებას ემსახურება დროში საჭირო სისწრაფისთვისაა ნაყოფიერი და არა მარადიულის წინაშე თავის მართლებისთვის. როგორ შეიძლება წარმოვადგენდე იმას რაც უკვე ჩემს თვალწინაა და ყოველ წამს ჩემს მეხსიერებაში ჩაედინება. დინების ასეთი უწყვეტობა დიახაც წესრიგის არსებითობაზე მიმითითებს და არა მავანის მიერ მავანის წარმოდგენის სამართლიანობაზე. მაგრამ მე ისიც კარგად მაქვს შეგნებული რომ ყოველთვის თვალიდან გვისხლტება თვალწინმყოფი და ერთადერთი დასკვნა ამ ფაქტიდან რომლის გამოტანაც გვმართებს იმაში მდგომარეობს რომ არ უნდა შეგვიპყროს ჩვენს თვალწინმყოფად გადაქცევის ჟინმა. ამით ხომ ოდენ ჩვენი სულის ფარულ მოძრაობას ვაშიშვლებთ და მიუწვდომელს ვეპოტინებით. მე არ ვფიქრობ ამ მიზნის მიღწევის მიზნით შეპყრობილი ადამიანი უსათუოდ დამარცხდება და ეს მარცხი ღირებული ან უღირსი იქნება მეთქი. ვფიქრობ რომ ამ დროს ადამიანს არავითარი ხელი არა აქვს მარცხთან ანუ ამ დროს მარცხი საერთოდაც არაფერ შუაშია. ყოველთვის არსებობს საშიშროება იმისა რომ თვალწინმყოფი შენში კი არ გაუჩინარდეს არამედ შენვე აღმოჩნდე მასში და უმალ საცნაურყო სამომავლოდ შენში მისი მოხვედრის დიდი ალბათობა. მაგრამ როგორც ჩანს არც ესაა მთავარი მაშინ როცა ორი ცოცხალი არსება ერთმანეთისთვის შემასმენელიცაა და ქვემდებარეც ანუ ერთმანეთით განსაზღვრულნი რაღაც ერთმანეთისთვის უცნობ შინაარსს ქმნიან. აქ რაღაც ქრება. ქრება ისე რომ მთელი ტანით გრძნობ როგორ გაკლდება რაღაც და როგორ მსუბუქდები როგორ აკლდები საკუთარ თავს თვითონ რომელსაც არ წარმოადგენ. შენ ხომ საერთოდაც არაფერს და არავის არ წარმოადგენ არც შენში და არც შენს გარეთ. გასაგებია რომ არსებობს ის რაც აღარაა რაც უკვე კვალია და ნაკვალევი. მაგრამ ხომ არსებობს ის რაც მათ მიღმაა

და რაც ალბათ მერმისის და ნამყოს მიღმაცაა. გასაგებია რომ ნაცარი და ფერფლი კვალია მაგრამ არა მარტო იმის კვალია რაც დაიწვა არამედ იმ-ის კვალიცაა რამაც დაწვა ანუ ცეცხლის. იწვოდა თევზი და იმავდროულად იწვოდა ცეცხლიც. თევზი გადარჩა ფერფლის სახით სახეზემყოფი ცეცხლი კი არა. ამიტომაა ფერფლი თევზიც და ცეცხლის ნიშანიც. მაგრამ ფერფლამდე ცეცხლი იყო. ცეცხლმა შვა ფერფლი. მათ ერთმანეთი იქ გადაკვეთეს სადაც თევზმა თავისი თევზადყოფნის დაკარგვა იწყო ცეცხლმა კი სუნთქვა და დაბადება. მაგრამ ისინი ერთად გაჩნდნენ: წვა და ქრობა. მერე ორივე გაუჩინარდა და დარჩა ფერფლი რომელიც უკვე არც ერთია და არც მეორე. თუ ვინმე იტყვის აწფერფლადმყოფზე რომ ის ოდესღაც თევზი იყო ჩვენ ვირწმუნებთ ან არ ვირწმუნებთ მაგრამ იმაში არ-ასოდეს დავეჭვდებით რომ იქ სადაც ფერფლი გაჩნდა რაღაც დაიწვა ანუ ფერფლი ერთის მხრივ ცეცხლის ნიშანია სხვა მხრივ კი თევზის. როგორ გავიგო რა დაიწვა თუ ვიცი რომ რაღაც დაიწვა? ხოლო ფერფლი უკვე სულ სხვა რეალობაა და ბიოგრაფიასაც დამოუკიდებელს და განსხვავებულს ფლობს მაგრამ მისი სახეზეყოფნა თანაბრად შექმნეს თევზმა და ცეცხლმა. მათ შექმნეს ფერფლის ბიოგრაფია მაგრამ არა როგორც აღსავსე არამედ როგორც აღსავსები. ცხადია ცეცხლი ფორმის ფორმაა მაგრამ უბრალოდ ძალიან სწრაფი: იგი ყოველ წამს ფორმას იცვლის და ნაკვალევსაც ცვლის. საერთოდაც ყველაფერი წამიერია რაც აქ არაა ჩემში ან შენში. ჩემი თევზი უკვე ჩემსკენ მოედინება. ჩემი თევზი უკვე ჩემია.

ვიცოდი უკვე აქ რომ ვიყავი და ვერც ჩემი ნებით ღვთის პირისგან გადახვეწას მოვახერხებდი. ვიცოდი რომ ბედისწერა ჩემგან და შენგან დროში ყოფნის მეტს არაფერს მოითხოვდა მაგრამ სწორედ ეს ვერ გავითვალისწინე: ერთსა და იმავე დროში ერთი და იგივე ადგილი მეც და შენც როგორ უნდა მოგვეპოვებინა ერთდროულად ისე რომ ერთმანეთი არ დაგვეკარგა. თუნდაც დროებით. ვფიქრობ შენ მაინც ისე იყავი ატაცებული ჩემზე ზრუნვით რომ შენივე ადგილის მოსაპოვებლად ჩემში გავლა და ყველა იმ პირობის დავიწყება განიზრახე რომელიც ნინევესა და ჩემს ყრმობას შორის მოძრავ მტრობას განამტკიცებდა და თითოეული მორიგი ცვლილებისთანავე მის გამწვავებას და განახლებას არ მოითხოვდა. იგულისხმებოდა რომ ამ შემთხვევაში მტრობა იყო პირველი და მიმთითებელი რომელიც ურთიერთსაპირისპირო მხარეებს საჭიროებდა არა როგორც საკუთარ თავში ჩაღრმავების ერთადერთ საშუალებას არამედ როგორც პროცესს გზას თვით ამ მხარეთა უწყვეტი ტერიტორიებისკენ ხოლო ეს გზა რარიგ ძნელიც არ უნდა იყოს მოსააზრებლად ფლობდა ერთადერთ მიმარ-

თულებას და ეს მიმართულება ფლობდა მიზანს რომელიც შენით იწყებოდა და ჩემით მთავრდებოდა. შესაძლებელია ჩვენ ვერც ვერასოდეს ვნახოთ ერთურთი მაგრამ ვიდრე ერთი ვართ და არა ერთად და ვიდრე ჯერაც უცნობია ჩემთვის ადგილის მთელი სიმძიმე შენ ხარ მამა და მე ძე ვარ შენი. რა თქმა უნდა კანონიერი იქნებოდა შენი შეკითხვა კი მაგრამ სახელდობრ რომელ ადგილზეა საუბარიო. ისაა ერთადერთი რასაც მე და შენ ერთნაირად არ განვიცდით ვინაიდან მე ერთით ზედმეტ ადგილს ვცნობ და ვაღიარებ როგორც ჩემში ისე ჩემს გარეთ. შენშიც იგივე მოთხოვნილება რომ გაჩენილიყო მაშინ შენ თევზი არ იქნებოდი. ვინაიდან მე ახლა აქ ვარ მაშასადამე შენი ნებით ვარ ხოლო ყველა სხვა ნამიზეზარი ჩვენს გარეთაა ანუ იქ სადაც მე უკვე არ ვარ. მაგრამ მაინც თამამად ვიტყვი: ეს სიმძიმე განამტკიცებს ჩემს უმწეობას. როცა მე ვეძებ პასუხს კითხვაზე სად ვარ მეთქი ეს კითხვა მხოლოდ ირიბია ხოლო თავის მხრივ ირიბად აქცევს ჩემს გონებაში აღმოცენებულ თითოეულ ახალ კითხვას და ახალ საფიქრალს. ამ კითხვაზე გაცემული პასუხები ჯერ კიდევ მაშინ არსებობდნენ როცა თვით კითხვა არ არსებობდა. ძნელია როცა დგახარ ასე შიშველ-ტიტველი ამ უტყუარი ცოდნის პირისპირ ბედი კი შენგან არჩევანს ითხოვს და გეუბნება რომ აი ახლა სწორედ აქ და სწორედ ახლა შენი ბედი უნდა გადაწყდეს. და მაშინ ჩემს თავს ასე ვკითხე: თვით არჩევანი კითხვაა თუ პასუხი მეთქი. არა და არ მინდოდა ავყოლოდი ცდუნებას და მეთქვა ერთიცაა და მეორეც მთავარია არჩევანი შედგეს მერე ყველაფერს ნათელი დაადგება მეთქი. გულწრფელი რომ ვიყო მე ხომ მხოლოდ იმდენად მაინტერესებდა ჩემი ადგილი და ჩემი სადყოფნა რამდენადაც როგორ და რამდენ ხანს ჩემი ყოფნა მაინტერესებდა. როცა კითხვას კითხვა დავუსვი მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე რომ კითხვამ ჩემი თავი დამისვა და გამეცალა. მაინც ვიტყვი: მთავარია პასუხები არ განაწილდეს არც ჩვენს შორის და არც კითხვებს შორის. როცა მე შენი შვილი არ ვარ ვაღიარებ რომ შენი ძე ვარ.

მე ამ ფაქტისთვის სხვა თვალითაც შემიხედავს და მიფიქრია ორად ვარ მეთქი განწვალული ამითაის მზრუნველ გულსა და იმ სტომაქს შორის რომელიც უკვე მაშინ იყო ჩემით აღსავსე როცა სწრაფვა ჯერაც ვერ გრძნობდა თავისი თავის გადალახვისთვის სრულად მზადყოფნას. რაღაც ხომ უნდა მომხდარიყო ჩემგან დამოუკიდებელ მოვლენათა რიგში ისეთი რაც თავისი შემთხვევითობის მაღალი ხარისხით ჩემი დაფარული პათოსის მოლოდინს აამღვრევდა და ისე შერყვნიდა რომ ამ უკანასკნელს სამოქმედოდ უბიძგებდა და რაღაც კონკრეტულს აიძულებდა. მოხდა ის

რომ პათოსმა თავადვე შვა კონკრეტული ქმედება და იგი უმალ შენს ხატად იქცა. მაშასადამე გზა გზის მიზნად გარდაისახა რაც მოულოდნელობით არ გამოირჩეოდა მაგრამ შინაარსს დიახაც გამორჩეულს ფლობდა. ეს ყველაფერი მაინც წარსულის სუნთქვით იყო გაჯერებული და ჩემს მიერ თითქმის ისე განიცდებოდა როგორც თავშესაფარი ამითაის სურვილებისა როგორც ჩემზე ზრუნვით ჩემს ნებაზე გასაბატონებლად ზრდადი ძალების ერთობლიობა. როგორმე უნდა გავრიდებოდი. სავალი იყო მისასვლელი კი ჯერაც ისე გამოსჩანდა როგორც რაღაც არარსებული ვინაიდან ჩემთვის უკვე მხოლოდ იმის ცოდნა იყო საჭირო რომ ადგილი რომელიც ნებისმიერმიზეზგარეშე არსებობდა და მოძრაობდა მე მმოძრაობდა. საჭირო იყო მხოლოდ რწმენა რომ ნებისმიერი მიმართულებით გაქცეულს ეს ერთადერთი ადგილი მელოდა. იგი უნდა ყოფილიყო კონკრეტული და ჩემი. მაშინ მე შევძლებდი მასში მოხვედრას და მისსავე დაკარგვას. როგორც ჩემთვის უკვე ცხადია გზა განვვლე მაგრამ თვალი მაინც ვერ მივადევნე რაც ჩემი ერთობ არეული განაზრებების სათავედ იქცა. მაშინ კი ჯერაც უცნობი იყო ჩემთვის გზაც და ამ გზის მიზანიც მაგრამ როგორც ჩანს უკვე გაჩენას ზეიმობდა მანძილი გულსა და სტომაქს შორის. ალბათ ამიტომ გავბედე და შთაგონებულმა ასე ვიმღერე: აი, ეს მტვერი და ეს ფერფლი, მშვიდად რომ წვანან და რიტმულია მათი სუნთქვა და თანაბრად ნაწილდება წარსულსა და მოსასვლელს შორის, მე უკვე აღარ მიმითითებენ დანგრეულ და დამწვარ სახლებზე; მიწის სიღრმეებს დაწაფებულ, მიწისგულში ჩახვეწილ წყლებზე; გამქრალ ერებზე; სამუდამოდ გადაკარგულ სიყვარულებზე; რწმენის ერთჯერად გზადყოფნებზე; ისინი წარსულს ვერ მასწავლიან. ახლა, როცა აქ, ჩემს სამყაროში, აწმყო უკვე გულისხმობს წარსულს, როგორც სათაურს ან, უფრო ზუსტად, როგორც იარლიყს, თუნდ ერთობ ძვირფასს და ისეთს, რაღაც სასიამოვნოს რომ გპირდება, თუმცა კი - ნაცნობს; ახლა, როცა აქ, აწმყოს მიწაზე, მასპინძელი წარსული და გარდასულია, მე შემიძლია ვისწავლო მხოლოდ ისტორია ჩემი მომავლის ანუ იმის, რაც, თუ არ გავქრი, აუცილებლად უნდა მოვიდეს; ჯერარშემდგარსაც ისტორია აქვს, მხოლოდ - შემდგარი; აი, ეს უნდა მიმითითონ ფერფლმა და მტვერმა; დანარჩენი გასარკვევად მაშინაც კი არ იყო ძნელი, როცა წარსული არ არსებობდა. მაშინაც ასე მოვიპოვე მოწოდება: "წინ, წარსულისკენ!"; მწამს, ამჯერადაც სწორედ ასე მოვიპოვებ მოწოდებას: "უკან, ჯერარმოსასვლელისკენ!". ფერფლი და მტვერი რაღაც ძალზე შინაურული და თბილი სუნთქვით მიმითითებენ იმ სახლებისკენ, რომლებიც უნდა გადაიბუგოს; იმ წყვილებისკენ, ჩემში რომელთა დასავიწყებლად ჩემივე ხსოვნა იმუშავებს, ისე ერთგული და

ისე სწრაფი, რომ ტკივილისთვის არ დარჩება მცირედი საქმეც; იმ ერებისკენ, რომლებმაც უკვე დაიწყეს ლპობა და მალე მათი ორგანიზმიდან, ისე, როგორც ავადმყოფი ვეშაპიდან, ნაცრისფერი ამბრი უნდა ამოიღონ სამყაროში მოხეტიალე მეზღვაურებმა; მე რას მასწავლის ეს სამყარო გარდა იმისა, რაც ჯერაც ისევ არ დაწყებულა; ფერფლი და მტვერი მხოლოდ ხიდია, გადებული წარსულსა და მომავალს შორის; ფერფლი და მტვერი ჩვენი აწმყოა, მაგრამ მხოლოდ და უპირობოდ - წარსულისკენ ზურგშექცეული და მომავალზე, როგორც თავის სამშობლოზე, მითითებული.

დიახ ჩემთვის ყოველთვის მაშინ იძენდა ადგილის სიბრძნე განსაკუთრებულ მნიშვნელობას როცა ფეხქვეშ ადგილს ვერ ვგრძნობდი. თუმცა გულახდილად უნდა ითქვას რომ მე ის არც მიგრძვნია ოდესმე. უკეთ: საკმარისი იყო საყრდენით შეძრულს თავი დამეხარა და მისთვის ურცხვად თვალი მიმეპყრო რომ მყისვე ქრობის პროცესს მისცემოდა და მაშინ კი უკვე ნამდვილად აღარ ვიცოდი სად ვიყავი და საით უნდა გადამედგა საყრდენგაუჩინარებული ნაბიჯი. ამითაი ალბათ ახლაც ისე ფიქრობს როგორც მაშინ: იგი ყოველთვის უნაყოფოდ მიიჩნევდა ადგილის მოძიებისთვის გაწეულ შრომას და როგორც ჩემგან ისე ნებისმიერი სხვა კაცისგან გამჟღავნებულ მსგავს ძალისხმევას ერთადერთი აფორიზმით ეგებებოდა: ადგილი და ის ნაბიჯი რომელიც მიმართულებას ცხადყოფს ერთიდაიგივეაო. ამ თევზს გარეთ რაც თავი მახსოვს მამას მკაფიოდ არასდროს არაფერი უთქვამს რაც ჩემი სიბრიყვისთვის არც არასდროს დამიბრალებია. მერე და მერე მივხვდი: მამა ამბობდა ნახევარს ხოლო მეორე ნახევარი ან მე უნდა მეთქვა ან უნდა დამესკვნა რომ მეორე ნახევარი მევე ვიყავი. უკანასკნელი შემთხვევა ახალი პრობლემის ზღაპრული სამყაროსკენ მიმითითებდა: უნდა ამომეცნო სად ვიყავი მე ეს მეორე ნახევარი. ცხადია ამ პროცესს დასრულება არასოდეს ეწერა და მამის მიერ ხმის გაღებისთანავე განწირული ვიყავი ისეთ მეორე ნახევრად გადაქცევისთვის რომლის მიზანმიმართული ქმედება თავის მხრივ უკვე ამოთქმული სიტყვისგან მუდმივად განშორიშორებისთვისაა განწირული ხოლო თუ მამაშვილური ურთიერთობის მანძილზე წარმოშობადი მსგავსი ფეთქებადობების სიხშირეს გაითვალისწინებ ძნელი მისახვედრი არ იქნება თუ რამდენი მეორე ნახევარი იბადებოდა ჟამიდან ჟამზე ჩემი სახით და რამდენი პირველი ნახევრის საძიებლად მივემართებოდი სულ სხვადასხვა მიმართულებით. მაშასადამე არც ისაა ერთობ ძნელად წარმოსადგენი რამდენი მიმართულებით უწევს ახლა ჩემს ძალისხმევას განტოტვა და

სამუდამოდ სვლა თითქმის არსაით ანუ იქით საიდანაც აღარ ბრუნდებიან. ახლა ისიც წარმოიდგინე რომ ყოველი ასეთი გზადყოფნის სამიზნე ჩემივე გული და გონებაა და შენ მიხვდები რომ შენში ჩემი ყოფნა სიმშვიდისკენ არ მომიწოდებს. ასე რომ ამითაის კვალად მეც ნაბიჯის და საძიებელი ადგილის იგივეობა უნდა მემტკიცებინა. თუმცა ეს ქარების დევნას არაფრით ჩამოუვარდება მაინც განსაკუთრებულ სურვილს გულისხმობს: ადგილობრიობად დრო-სივრცეში არსებული იმ მონაკვეთის გამოცხადებას რომელიც ეს-ესაა ნაბიჯმა უკან მოიტოვა. მაგრამ იგივე ბედი ელის მაშინ იმ მონაკვეთსაც რომელსაც ნაბიჯი ჯერ არ შეხებია. აქ კი ჩემი და ამითაის ფიქრები ერთმანეთს საკმაოდ მკაცრი სიტყვებით ეთხოვებიან და ჰაერში გამოკიდებულს ტოვებენ როგორც ნაბიჯს ისე ადგილს რომელსაც ასეთი შუალედური არსებობა გარკვეულ სახეს და ღირსებას ანიჭებს. მაგრამ რა ვუყოთ მიმართულებას? ნუთუ ისიც ჰაერშია ამ დროს გამოკიდებული? თუ მოვინდომებთ ასეც იქნება. ალბათ მაინც ამ კომიკური სიტუაციის მარწუხებიდან მიმართულების გამოთავისუფლება უნდა გვერჩიოს. ის უბრალოდ სხვა ბუნებას ფლობს და მეტი არაფერი. საერთოდაც მიმართულება მხოლოდ იმ პროცესზე საუბრის შესაძლებლობის მაუწყებელია რომელიც თურმე ნამდვილად არსებულა. ვერც იმას იტყვი ნაბიჯი მუდამ თან დაატარებს ადგილსო ვერც იმის მტკიცებას დაიწყებ ნაბიჯი მიმართულების სული და გულიაო ვერც მიმართულების იმიერობაზე მითითება უშველის საქმეს. ერთი სიტყვით უნდა იდგე და ფეხქვეშ თითქმის ვერაფერს გრძნობდე მაგრამ საკმარისია ქვემოთ დაიხედო რომ მყისვე აღმოაჩინო დაკარგულიც და დასაკარგიც. როგორც წესი მოძრავი არსება ამ დროს ყოველთვის საფრთხეშია რაც გულისხმობს გადაწყვეტილების ილუზიას. უკეთ: იმის შემოტევას რაც გადაწყვეტილებას არსებობის უფლებას ანიჭებს. ასე რომ არა არც ვიმოძრავებდით და არც მოძრაობით მოგვრილ სიამოვნებას დავივიწყებდით მიწყივ ხელახლა.

ხოლო მაშინ ჩემი სატრფო ასე მღეროდა: შენ ერთხელ უკვე იყავი სახლში. ახლა ხსოვნით ხარ გარემოცული და რა თქმა უნდა არ გახსოვს სახლი საიდანაც გამოხვედი დიდი ხნის წინათ. მთელი ცხოვრება შენ ის სახლი უნდა ეძებო, მაგრამ ვერ ნახო, ისე, როგორც ბედს წარსული არ გააჩნია და არ იცის საით მიიქცეს, ან ისე, როგორც მარადიული აწმყოა ხსოვნა და თავშესაფარს ამიტომაც არ მოიძიებს. გარემოცული უკვემომხდარ და ჯერარმომხდარ ომების სულით, რომლებიც შენში დაძრწიან და აწყდებიან ყრუდ დაგმანულ მეხსიერებას, მიემართები თითქმის არსაით, მაგრამ მაინც გზა ჰქვია იმას, რასაც შენი სული გაივლის; ხოლო ყოველი

მომდევნო წამი საიმისოდ მოწოდებულა, რომ ერთმანეთის ვერაფერი გაიგონ გზებმა, - ერთმანეთით დასერილმა და ერთმანეთით ბრალდებულმა ურიცხვმა და უწარსულო გზამ. ისინი შენში თავ-თავის გზას ინაწილებენ, რათა ისწავლონ სიარული, რაც ერთადერთი იმედია უკან მიხედვის ან - საერთოდაც გადახვეწის და დასასრულის.

როგორც ჩანს დღემდე იმიტომ ვცოცხლობ რომ შენ ჯერ არ დამთავრებულხარ. აი დავბრუნდი და ვაღიარე რომ იქ სადაც მიმავლინე მტრად ვერავის მოვიკიდებდი. ცხადია მხოლოდ აქ დავმწიფდები. ვერ დავიწყებდი იმით რითაც ამთავრებენ. მტერი იმდენად სუსტი იყო მასთან ბრძოლა ძალისხმევას არ მოითხოვდა. აი ახლა შენი ნების მახვილი ვარ და მიჩვენე ფარი რომელიც უნდა შევიყვარო რათა აღსრულდეს განაჩენი რათა დაწესდეს მტრებად მოყვასთა მოქცევის წესი რათა ვაუწყო ნინევეს მკვიდრთ შენი ბრძანება რათა გადარჩეს გზა რომლითაც შენამდე მოველ და ვერ გიხილე მხოლოდ იმიტომ რომ ჩემი გული შენი გულია რომ თევზი ხარ და არა ვეშაპი რომ მოძრაობ და არც მოძრაობ რომ სუნთქავ და უკვე არც სუნთქავ. იქნებ აქ მხოლოდ იმიტომ მოვხვდი რომ სწორედაც დაღლილობა არ მომრეოდა?

შენ მიმითითებ რომ მე მოვედი მაგრამ გამოცდილება მკარნახობს ამ ფაქტის დაზუსტების აუცილებლობას. გეთანხმები რომ მე მოვედი მაგრამ თითოეული მომდევნო შედეგი ხომ ამ შეხვედრის არაადგილობრივი ბუნების მამტკიცებელი და მისი უკიდურესად პირობითი ხასიათის დასტურმყოფელია. ალბათ არც შენი მზადყოფნა იყო გადამწყვეტი და არც ჩემი არჩევანი რათა ზეიმი დაწყებულიყო მაგრამ ახლა როცა ის უკვე არსებობს და იმ პირობით მიმდინარეობს რომ ჩვენ ვიქნებით აღმსრულებლები მთავარია არ გამოვტოვოთ არც ერთი წამი რომელიც ჩვენი ერთადყოფნის საზღვრებს აღადგენს ანუ ჩვენი გავლით ბრუნდება იქ სადაც მორიგ სათავეს იღებს ადგილი რომელიც ჩემი სახით მოვიპოვე და მოგიპოვე და რომლის ფარული მიზანი უძლურია ჩვენთვის სიცოცხლის მომნიჭებელი უმეცრების გასარღვევად და ცაში გასასვლელად. დიახ ცა ამ შემთხვევაში არა და არ გულისხმობს იმას რაც გათამაშდა.

მაგრამ უფრო მშვიდად შეიძლება იმაზე ფიქრი რომ ჩვენი შეხვედრა დროში მოხდა. მაშასადამე ვიღაც შევიდა სადღაც. მაშასადამე ადგილმა ვიღაც დაიმსგავსა და აამეტყველა ისე როგორც სხვა არავინ მეტყველებს არც სხვაგან და არც აქ. აუცილებლად სადღაც. ოთხჯერ ოცდაცამეტმა წელ-

მაც რომ განვლოს ვიდრე მე აქ ვარ ნინევეში ხომ არაფერიც არ მოხდება. ხომ არ გულისხმობს ჩემი აქყოფნა ნინევეს მზადებას ჩემთან შესახვედ-რად? ხომ არ გულისხმობს ჩემს მზადებასაც იმ მთლიანობის აღსადგენად რომელიც დიარღვა ჩემსა და შენს შორის მაშინ როცა უფლის პირისგან გავიქეცი ანუ როცა მივხვდი რომ ნინევე შენ ხარ? რაც აქ მოხდება იმას უნდა ელოდეს ხალხი იქ სადაც არავინ ჩემი პირადი მტერი არაა იმიტომ რომ მათთვის უცნობია ჩემი არსებობა. იგი უცნობია ჩემი სატრფოს-თვისაც რომელიც არასოდეს ყოფილა ნინევეში მაგრამ მახსოვს როგორ მღეროდა: შენს ათასობით სახეს შორის ერთი არაა, რომ გენდობოდეს და არ განსჯიდეს ეს-ესაა მოსასვლელ სახეს, რომელმაც იგი უნდა შეცვა-ლოს და, მასთან ერთად, - მთელი ცხოვრება როგორც შენში, ისე - შენს ირგვლივ. ადამიანებს ცვალებადი ბუნება აქვთ არა იმიტომ, რომ მთვარე ქრება უფრო მალე, ვიდრე - დუმილი ან მქრალი ბგერა, რომელსაც იგი ჩვენს გულებში ისე ტოვებს, როგორც ჩვენს ფიქრში სახეზემყოფ ნივთ-თან თუ ბჭობის ობიექტთან შეუდარებადს (შეადარე და უმალ მოკვდება, უმტკივნეულო სიკვდილი რასაც გადაუწყვიტე), და არც - იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვუძლებთ და პირველივე მთლიანი ვნება ნაწილებად ნადგურ-დება, როცა მკერდი ამოისუნთქებს; და არც - იმიტომ, რომ ერთადყოფნა სისწრაფეს და ნიღაბს მოითხოვს; არამედ მხოლოდ - ცვალებადი სიტყ-ვის მიზეზით, რომელიც სადღაც სხვაგან დაზამთრდა, და როცა ჩვენს მხრებს მოაკითხა, როგორც გაზაფხულს - ვაშლის ყვავილმა, ჩვენში დროს უკვე აღნიშნავდნენ სულ სხვა სიტყვები, მაგრამ გრძნობები იგივე და მზერაც იგივე. მორიგი სახე მოსასვლელთან ან წასასვლელთან წილ-ნაყარია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანს არ ერთგულებენ სახე-ები, ისე, როგორც არ ერთგულებს უკვდავი მოკვდავს. მან ჩემმა სატრ-ფომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი იცოდა ჩემს შესახებ. ალბათ უფრო მნიშვნელოვანიც კი ვიდრე ჩემი არსებობაა. იქნებ ამის გაგება მინდა როცა ასეთი ჟინით ვცდილობ შენში შემოსვლას შენი ნდობის მოპოვებას შენი ადგილით თამაშს?

VI
სულ სხვა შემთხვევის ისტორია

1.

დიახ, მისი ფერისა და მისი სიმკვრივის პირობითობას. სხვა რა შეეძლოთ მონოტონურ, მხრებში აწურულ მის ყვრიმალებს, არათანაბრად ათამაშებულ მის ხშირ თვალებს. თითქოს ერთდროულად მრავალი კარი ჭრიალით იღებოდა და იხურებოდა. არც გაუგონია სიცილში შემალულს, როგორ შემოსძახეს, მობრძანდითო. ის კი იდგა და ლანგარზე გეომეტრიული პათოსით მიმოწყობილი საკვების მრავალფეროვნებას თმადავარცხნილი დაჰყურებდა. ჩანდა, თავის დაძაბულ მეტყველებას უდარებდა და ამ დროს არავინ და არაფერი, საკუთარი ფიქრიც კი არ აინტერესებდა. მხოლოდ მრავალი წლის მერე, განგებას სულ სხვა მხარეში უნდა შეეხვედრებინა მისთვის ჩემი დაღლილი არსებობა, და აი, მაშინ, მას, იმ თავისი ძველი სიცილის ჩრდილში მორცხვად მიმალულს, ორჯერ ეკითხა: მაინც საიდან ჩანდა, საიდან ჩანდაო. მე კი ისევ ჩემს ძველ თემას ვუბრუნდებოდი. ლანგარი თითქოს კი არ ეჭირათ, ქვემოდან უბიძგებდნენ და უხილავ, ქათქათა ტილოგადაფარებულ, ბორცვს წარმოქმნიდნენ. სხვათა შორის, დიდი ოსტატობით. აი, ეს თეთრი, სხვადასხვა ფორმით აჭრელებული ეს სითეთრე თავგზას უბნევდა, საავადმყოფოდან ოდესღაც გამოყოლილ და მალულად ნალოლიავებ, სენტიმენტალიზმმოკლებულ სევდას უშიშვლებდა, უუხეშებდა. ოფიციანტის თეთრი კვართი და თეთრი პიჯაკი, იუბილარის თეთრი როლინგი, მთავარი მასპინძლის თეთრ ზოლებში გადაწყვეტილი შარვალ-პიჯაკი და მთავარი რედაქტორის ტალახისფერ ქამარზე მიტყეპებული თეთრი ბალთა მის წინააღმდეგ პირშეკრულთა მცირე, მაგრამ დიდი ძალის მქონე ჯგუფს შეადგენდა და რარიგ უცნაურიც უნდა ყოფილიყო, ამ შეთქმულების ორგანიზატორად საკუთარი სახე მიაჩნდა, მოდიდან გადასული მაკიაჟის და მოდაში ვიქტორიანული ეპოქიდან ესესაა გადმოსული ვარცხნილობის ჩათვლით. სახელურსაც ამიტომ ჩაბღაუჭებოდა ესოდენი ფიზიკურობით: ვეღარ მოეფიქრებინა, გამოთავისუფლების შემთხვევაში მისთვის ისეთი რა ებრძანებინა, დიადი მთელი რომ არ შეურაცხეყო და ამით ვიღაც თუ რაღაც უხილავის აქტიურ იმიჯს უარყოფითად არ შეხებოდა. ერთი სიტყვით, ეს იყო სოციალური შიშის წინა-

აღმდეგ წამოწყებული მისი ამბოხის უმწეობა, უსუსურობა, სწორედაც საჭირო დროს და საჭირო ოთახში ანაზდად ნაგრძნობი და კერკეტი კაკალივით შეწყვეტილი, არც ერთგული და არც მოღალატე, თავისთვის მყოფი, ავტონომიური. რაო-რაო?-ო.

2.

ამ დროს მე სხეულს ვიბან. ჩემსას - არა. ხელები კრძალვით ეხებიან დაჭიმულ, თითქმის მოთმინების ბოლო წამამდე მისულ ნერვებს, ისინი კი - ეს ნერვები - ყველგან არიან, შემახსენებენ ფერის და სიმკვრივის პირობითობას, იდიოტიზმის მუდმივ სიშორეს. ტალღასავით ერთფეროვანია იმ არაფერთან შეხება, საიდანაც ერთმანეთის დამცავი მოძრაობები იბადებიან და გაბრძოლების რეჟიმს განსაზღვრავენ, სასოწარკვეთის პრინციპზე მომართულს. ვგრძნობ, ეს პროცესი როგორ ანაწილებს აბსტრაქციებს შორის ზამბარასავით განშლად-შეკუმშვად სივრცეში ჩემს სურვილს - წინააღმდეგობას ვუწევდე ბრძოლისკენ მიმხმობ უცხო ძალებს. და ჩემი სურვილიდან ხსოვნის მეტი არაფერი რჩება. გაბრძოლება კი უკვე მოქმედებს, მდორედ, ხანგრძლივად, გულისრევასავით, რომელიც მაშინაც კი აღარ გახსოვს, როცა მთლიანად მისით ხარ მოცული. ესაა ტანი, რომელიც დევს და თვალებდახუჭულ, ჩაძინებულ მის ყოფნაში, მის რიტმულ სუნთქვაში ათასობით სიზმარი ხდება: სიზმრებისთვის მძინარე ტანი მხოლოდ თავმოყრის, მიზიდულობის ადგილია, ისე, როგორც მატლისთვის - გვამი. მაგრამ ისინი ტანს არ მოიცავენ, არ ფარავენ, არამედ - ხრწნიან. და ამ საქმესაც თავად კი არ წარმართავენ, მხოლოდ ხელს უწყობენ, თანამონაწილეობას სჯერდებიან. მერე, ჩვენ რას ვშვრებით?

3.

- ანუ დავწერო, რაც უკვე დაიწერა. ვთქვათ, მეტაფორა. ის უკვე არსებობს და მისი არსებობის ფაქტი იცავს მის მეტაფორულობას. შესაძლებელია თუ არა მეთქი უკუპროცესი: მისი გაქრობა, მასზე ზემოქმედებით მისი განმეტაფორება, მეტაფორული გარსისგან მისი გაშიშვლება. როგორც შეიქმნა, ისევ ისე გაუჩინარდეს, მაგრამ შესაძლებელი იყოს გაუჩინარების აქტით მისი გათვალსაჩინოება. გესმისო? მეტაფორა, რომელიც არსად არ არსებობს, მაგრამ არ არსებობს მხოლოდ მას მერე,

როცა უკვე იარსება ჩემთვის, მკითხველისთვის. მისი გათავისუფლება მკითხველის თვალისგან, და გადასროლა ისეთ რეალობაში, სადაც მხოლოდ მისი წარსული წაიკითხება. ეს არ იქნება დამწერლობა, არამედ - განმწერლობა.

- მოიცა, მოიცა, რაღაცას ურევ. რა შუაშია რევოლუცია? შენ ხომ ეს არ გინდა! დატოვე ყველაფერი ისე, როგორც არის და წადი, გაეცალე აქაურობას. რომ დაბრუნდები, არაფერი აღარ დაგხვდება. მე ეს ვიცი და იმ ხალხმაც იცის, ვისაც ეს ცოდნა არაფრად არგია. გეუბნები: გაეცალე, არ შეეცილო.

- მაგრამ მომისმინე. მეტაფორა ხომ ისაა, რაც ითქვა, გათამაშდა. ის ხომ უკვე გაკეთებული არჩევანია...

- მერე-მერე რა დგას მის უკან?

- მერე-მერე შეგიძლია შეინახო გამოუთქმელი? ეს "გამოუთქმელით" მანიპულირება ხომ არ იქნება?

- არა. უკიდურეს შემთხვევაში, ეს შეიძლება გამოუთქმელის აქციდენციებით ოპერირება იყოს. ექსპლიკაციის აქტი გამოუთქმელის არსში ინტელექტუალურ წვდომასა და მის დახურვას სულაც არ ნიშნავს. ეს გათქმულთან და გამოვლენილთან შეხებაა. გამოუთქმელი, ეს "უძრავი მამოძრავებელი", დისკურსში არ მონაწილეობს, ის დისკურსის გამართული მუშაობის პირობაა.

- არა-არა, რაღაცას ურევ.

- და შენ გგონია, ეს ცუდია?

- ცუდი არაა, მაგრამ საჭიროა. შენ ხომ ამბობდი, ისე უნდა გავაკეთო, რომ საჭირო არ იყოსო.

- კი, მაგრამ იქვე ვთქვი, იმას გავაკეთებ, რაც საჭირო არ იქნება მეთქი.

- გეთანხმები, რაღაცას ურევ.

- როგორ-როგორ?

- რასაც ურევ, იმაში გეთანხმები მეთქი.

- როგორ.

4.

მოგახსენებთ, ყველაფერს მინიმალური სიზუსტით გეტყვით. მე არ მინდოდა ვყვარებოდი. მინდოდა შემეცდინა. მე თუ ამას მოვახერხებდი, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდებოდი იმ შეგნებით აღსავსე, რომ ამ-

ჯერად მაინც დავასწარი, ამჯერად მაინც ვითამაშე ჩემს ტერიტორიაზე. თითქოს ვაღწევდი კიდეც მიზანს, მაგრამ ვიმარჯვებდი თუ არა, ხელთ აღარაფერი მეჭირა და მომუჭულ მარჯვენას ისე ვხსნიდი, თითქოს კიდევ ერთხელ(უკვე მერამდენედ) არ მელოდა მისი მომუჭვა იმ იმედით, რომ მასში რაღაც აღმოჩნდებოდა. დიახ, მას მერე აღმოჩნდებოდა, როცა მოვმუჭავდი. უკვე აუტანელი გახდა იმის გაძლება, რომ ერთდროულად ორივე ვცდებოდით. არც იმის ძალა შემრჩენოდა, ამ ფაქტის ჰეგემონიით დავმტკბარიყავი და არ მქონოდა ცალმხრივი აღტაცების გულისამრევი ჟინი. აქ გამარჯვება ან დამარცხება შეუძლებელი კი არა, წარმოუდგენელი იყო, ანუ არც ერთი ასეთად არ მიმაჩნდა, თუ მის შენახვას, ჩვენებას, მასზე მითითებას ვერ მოვახერხებდი. რა აზრი ჰქონდა ისეთ ფინალს, რომელიც არსად არ არსებობდა, რომელსაც მხოლოდ ჩემთვის ვფლობდი. რა აზრი ჰქონდა ჩემს მბრძანებლობას, თუ სხვისთვის(თუნდაც ჩემი მეორე მესთვის) შეუმჩნეველი იქნებოდა, თუ მის გადაადგილებას ვერ მოვახერხებდი. გულწრფელად ვცდილობდით ერთმანეთი შეგვეცდინა, მაგრამ ვერაფერს ვხდებოდით და დროდადრო სასომიხდილები, გადაყრილები, ენერგიის მორიგი ტალღის შემოტევამდე, მივჩერებოდით ერთმანეთს. აქ, ამ საქმეში, ვერავინ და ვერაფერი ვერ გვიშველიდა. მაგრამ განა ის კი ვიცოდი, მერე რა უნდა ყოფილიყო? ზოგჯერ ისეთი განცდაც მქონდა, თითქოს ერთმანეთს აღვაგზნებდით მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთს საბოლოოდ მოვწყვეტოდით, სხვადასხვა მხარეს მოგვეკურცხლა უკან მოუხედავად, და, რაც შეიძლება მალე გაგვეხსენებინა ჩვენი წვალება, რათა ხსოვნაში მაინც გვეპოვნა შველა. იქნებ, ეს მართლაც ერთადერთი გზა იყო მომავლის შესანახად; უფრო მეტიც, ასეთი ხსოვნა, იქნებ, საუკეთესო აგრეგატი გამომდგარიყო მომავლის გამოსამუშავებლად, სამომავლო ქცევების გამოსაწვევად და გამოსაძევებლად აწმყოში, რომელიც ამ მერმისს უნდა გაქცეოდა. მაგრამ - რით? მხოლოდ და მხოლოდ - უკუქცევით, დროში უკუვარდნით, მოსალოდნელი რეაქციების ჩანაცვლებით უკვე ნაცნობ მოძრაობებში. ჩვენი კონკრეტული მიზანი იყო, სწორედ ამ შემდგარ მოძრაობებს აღეწერათ თავიანთი თავი და არა - ჩვენს მოსალოდნელ რეაქციებს, უმართავ ამ მანქანებს, რომლებიც მხოლოდ იმის ძალით ინარჩუნებდნენ ჩვენზე ბატონობას, რომ ერთმანეთზე ვერ ვიმარჯვებდით თანმიმდევრულად და რიგრიგობით. ეს იყო აუტანელი სექსი: ან ერთად ვიმარჯვებდით ერთმანეთზე ან ერთად ვმარცხდებოდით ერთმანეთთან. ეს იყო დუელის შეუძლებლობა და სადღაც, ჩვენს მიღმა, მიმდინარე ბრძოლის გარშემო მონოტონური ბუტბუტივით გაბმული სიარული, საიდუმლოს პერმანენტული არარსებობა. დიახ. რომ ამჯე-

რად მაინც გავითამაშე იგი ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც დღემდე ვერ მომიპოვებია. მაგრამ ჩვენ რა ვქენით?

5.

ა) ...მაგრამ ის მაინც არაა ერთდროულად კანიბალისტი და "წმინდა გონების კრიტიკის" ავტორი. დიდი-დიდი, მისი გმირობა იმით აღინიშნოს, რომ ჰომოსექსუალისტი გახდეს. ეს მისი შესაძლებლობის ზღვარია, ეს მისი რიცხვია, ეს მისი დროა. ჰომოსექსუალიც კი - არა...

ბ) ...ცდუნებას ხშირად იწვევს ილუზია, რომ იქ რაღაც არის, რაღაც არაჩვეულებრივი. ასევე ხშირად, ეს ხდება მაშინ, როცა შინაგანი ხმა გვკარნახობს, რომ იქ, შიგნით, არაფერიც არ არის. მაგრამ საკითხავია, ჩვენ გვაცდუნებს ის, რაც სინამდვილეში ცარიელია, თუ ჩვენ ვაცდუნებთ მას და ვაიძულებთ დაგვემორჩილოს. მაგრამ ეს სინამდვილე ხომ ჩვენ ვართ...

გ) ...ჩვენ - არა. ისინი. ჩვენ - სხვაგან. ისინი კი იმდენად უსუსურები აღმოჩნდნენ, რომ დროს გაუსწრეს. იძულებით. დროს თუ აწმყოს? რა თქმა უნდა, - აწმყოს. რა ელით მათ იქ? მარადიული სურვილი, რომ ყოფილი აწმყო ენატრებოდეთ. მაგრამ ეს შეუძლებელია. არ იკარგება მხოლოდ ის აწმყო, რომელიც არსებულა. ისინი ვერ გაურბიან მომავალს, რომელშიც აღმოჩნდნენ. ისინი სხარტად ლაპარაკობენ...

დ) ...ამგვარად, ჩვენ ვიცით, რა არის ადამიანი. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ის არის ცხოველი, მცენარე, კრისტალი. მაგრამ რა არ არის ადამიანი - ამის თქმა შეუძლებელია...

ე) ...შენ მომიწოდებ დაშლილის დაშლას, მოკლულის მოკვდინებას, შეჭმულის შეჭმას. როცა მე ასეთი ქმედების შეუძლებლობას ვაცნობიერებ, მოულოდნელად აღმოვაჩენ, რომ დაშლილიც დაშლილა, მოკლულიც მოკლულა და შეჭმულიც შეჭმულა. ეს ყველაფერი წარმოუდგენელია იმდენად, რამდენადაც წარმოდგენას შეუძლებელს ხდის ჩემი გულწრფელობა...

ვ) ...თავისუფალი სხეული(ჯანმრთელი ან ავადმყოფი) ის სხეულია, რომელშიც ყველა ორგანო თანაბარ უფლებებს ფლობს და თანაბრად მიუწვდება ხელი მბძანებლობის ცენტრებზე. თანაბრად უნდა გაუმარჯოთ ტვინსაც და ფრჩხილსაც. არა, არც ხელი არაა მეფე...

ზ) ...ხოლო ყოველი საჯარო ბიბლიოთეკა სპობს განათლებას, რომელიც სპობს საჯარო ბიბლიოთეკებს დემოკრატიის სახელით...

თ) ...დემოკრატიული ცენტრალიზმი...

6.

- ენა იციო? მიპასუხე, გერმანული კარგად იციო? უკვე იცოდნენ, რა ვიცოდი და რა არ ვიცოდი. და ესეც მკითხა, სროლა იციო? სად წავიდა ის ყველაფერი! როგორ დანთქა და შეირია, შეისრუტა, შეისისხლხორცა დრომ ყველაფერი, ჩემი ჩათვლით შეისისხლხორცა. დრომ კი არა, ალბათ - ხსოვნამ. ჩვენ ხომ ეს არ ვიცით. ჰო, მე არ ვიცი. რა აზრი ჰქონდა იმას, რაც იყო. ან რატომ იყო. თითქოსდა რაო, ხელში მეჭირა და მაშინვე ვგრძნობდი, როგორც დავკარგავდი. ვინ იყვნენ ისინი? რა უნდოდათ? მათაც ხომ შვილები და ცოლები ჰყავდათ. განა ისინიც დრომ არ წაიღო? გაიყოლა და შემატოვა. თითქოს შლამია ახლა ირგვლივ. გესმის, რას ვამბობ? დამახინჯდა და ჩაიძირა. როგორც ატლანტიდა. იყო და აღარაა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშინაც არ იყო. ზღვის ტალღებივით მოდიოდნენ. ქაფიღა რჩებოდა. რაც არ იყო, იმას ანგრევდნენ. რა უნდა გადამელახა? ის კი, ის საზიზღარი. თუმცა რა, მასაც. აი, ასე, გასწვრივ ვიდექი. ან ის სიბნელე. რა უნდა მეთქვა? არა, სროლა არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, ვერც ვერასოდეს ვისწავლი მეთქი. რა უნდა მეთქვა. მერე დემმერუნგ. ყოველ ნაბიჯზე იყო წაფენილი. რა უნდა მეთქვა. განა იქაც იგივე არ მოხდა? გესმის, როგორ დაემშვიდობა თავის სამშობლოს? ჰო, სწორედ ასე, ბეხერის რედაქტორმა შეასწორა და ასეც შემორჩა ისტორიას. არავინ იცის. ოთხასი. არა. ხო. ხო. ხუთასი. როცა მოკვდა, რა წაიკითხეს? სხვა არაფერი. მისივე ლექსი წაიკითხეს. რაღაცით უნდა მომეძებნა გამოსავალი. სიზმარში - არა, მხოლოდ ცხადში მეკარგებოდა. აბენდლანდ. ასე არ იყო? მე მხოლოდ ცხადში მჭირდებოდა, სხვაგან არსად. მაგრამ მაინც. სწორხაზოვანი დრო იყო და უნდა წაეღო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც. გადმოვალაგე, რაც არ დამიწვავს. რამდენი ყოფილა. ერთიანად მიმოვფანტე. ლამის მოვკვდი ადამიანი. მარტო როცა ხარ, უფრო უძლებ. ვერ უძლებ, მაგრამ უფრო გაკავებს, აღარ გექაჩება. ლამის გავთავდი ადამიანი. სად წავიდა მეთქი ცხოვრება. არადა, ახლა ვინღა გაიგებს. გასაღები ხომ დაკარგულია. რაც იმ დროის კუთვნილი იყო, ის როგორ უნდა აღადგინო. განა მუდმივი ბრძოლა არაა? სხვა რა უნდა მეკეთებინა. ოთახიც ფურცლებად და ხორცად დაიშალა. რა მინდოდა იმ ხალხთან ერთად. სად წავიდა ცხოვრება მეთქი, ამათ გაიმარჯვეს და გავერიდე. ამიტომ გავერიდე. ვზივარ და ვფიქრობ. ერთბაშად მაინც ვერ დავხიე. მაინც ვარჩევდი და ვიქექებოდი. აი, ამას ვეძებდი, გესმის? რაც ახლაა, იმას ვეძებდი. იმიტომ არა, რომ მინდოდა. არ მნდომებია. ვერა, ვერ ვნახე. და ასეც უნდა ყოფილიყო. ალბათ, ამიტომ ვერ

ვნახე, არა? ჰო, რაკი ვიცოდი, რომ ვერ ვნახავდი, არც უნდა მენახა. ვრწმუნდებოდი, რომ მართალი იყო. სად წავიდა ის ყველაფერი. გესმის? ამ ჩემს ასაკში ვრწმუნდები, რომ მართალი იყო. სოკრატე მართლა მართალი იყო. სად წავიდა. აიღო და ბოლომდე შესვა. ეს ერთხელ ხდება, მან კი ეს ერთხელ ჩაიდინა. იმიტომ, რომ ერთი იყო. ვერა, ვერ ვნახე. სიგიჟეა. შიზოფრენიაა. რა მინდოდა იმ ხალხთან ერთად, ჩვენ ხომ ყოველთვის ვებრძოდით ერთმანეთს, მთელი ცხოვრება. გესმის, რას ნიშნავს მათთან ბრძოლა? მაინც დამანგრიეს. სიგიჟეა ეს ყველაფერი. რატომ. რა მიზნით. თავის მართლება? რატომ. რა მიზნით. აი, ასე. სიბნელემ დანთქა. მეშინოდა, რამე ისეთი არ წარმომეთქვა. არ მეთქვა რამე ისეთი, რომ. ძველისძველი საათია, ძლივსღა მუშაობს. მერე ფარდა გადავწიე და გადავიხედე. შუაში თითქმის აღარაფერია. არა. არაფერი. ქუჩა კი მზითაა გაჩახჩახებული. ხალხი დადის. გადავიხედე. მოძრაობდნენ. სუფთად იყო მილაგებული. გავშტერდი. სიგიჟეა. შიზოფრენიაა. სულ არაფერი, გესმის, ეს რას ნიშნავს! ცხოვრება კი გასულია. და რაღაც მოირღვა. თავისმართლება? ვიგრძენი, რომ რაღაც მოირღვა...

7.

იმას, რაც უნდა გამოითქვას, ენა არა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავის თავს ვერ გამოთქვამს, მხოლოდ ამჟღავნებს. მის გამოსათქმელად კი საჭიროა სხვა, ის, ვინც მასზე ილაპარაკებს, მის გამჟღავნებულ ყოფნას აღწერს და არა ექსპლიკაციის აქტით, არამედ თავისი მოლაპარაკე არსებობით, თავისი მდინარეებით დაადასტურებს სხვა სახით მისი გამოჩენის შეუძლებლობას. რას აღწერს ეს სხვა? ენას, მეტს არაფერს. სწორედ ენაა ის, რაც საკუთარ თავს გამოთქვამს და ეს დაუკმაყოფილებელი ლტოლვა საკუთარი არსებობის გამოსათქმელად გამოსავალს პოულობს და კომპენსირდება სხვის აღწერაში. აღმწერი სხვაა იმიტომ, რომ სხვას აღწერს. სხვა სიტყვებით, - სხვად სხვის გადაქცევით იწყება აღწერა. მაშასადამე, ენის არქონა სულაც არ ნიშნავს ენად არყოფნას. ხოლო რაკი ენა არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა აღწერს, ამიტომ იგი ყოველთვის სხვისთვის არსებულია, და მხოლოდ ამის მერე - თავისი თავისთვის. თუმცა, როგორც ახლახან აღინიშნა, ეს უძლურების კომპენსაციის ხასიათს ატარებს. ენა, რომელიც უნდა გამოითქვას და რომელსაც ენა არა აქვს, სხვას "იპარავს" და ამით იკმაყოფილებს გრამატიკულ-სექსუალურ განზომილებაში მოქმედების, სახეზეყოფნის ჟინს. ეს თითქმის იძულებითი

ქურდობაა, ლინგვისტური ბიოლოგიზმის არსებობის მთავარი პირობა. თუ არ იმეტყველებ, არც იარსებებ, მაგრამ თუ არსებობა გინდა, სხვა უნდა აღწერო და მისი აღწერის პროცესად ყოფნით ამტკიცო როგორც მისი საწყისის გამოთქმის შეუძლებლობა, ისე - საკუთარის. მაგრამ აქ არავინ სვამს კითხვას - საერთოდ კი არსებობს საწყისი? არა იმიტომ, რომ ისინი გამოუცდელები არიან. აქ იგულისხმება, რომ საწყისის არსებობის რწმენა სასარგებლოა. მაგრამ ისიც იგულისხმება, რომ ესაა საგანმანათლებლო სიკეთე, - აქტიური, ძლიერი საწყისი, რომელიც ყოველთვის წარმატებით დაიმსახურებს პასიური, სუსტი სქესისგან ასეთ ან დაახლოებით ასეთ სიმღერას:

არ ვწერ სიმღერებს არ ვწერ ლექსებს არ ვწერ დღიურებს
ვერც აზრებს ვბადებ შენს საკადრისს ვერც სიზმრებს ვხედავ
არ მაქვს წარსული არ მაქვს აწმყო არ მაქვს მერმისი
არ ვფლობ სიმდიდრეს ავიღო და გიბოძო უხვად
რაკი სურვილის მანქანაა ჩემი ბატონი
ვერც სექსს მოგიძღვნი ისეთს სხვისთვის რომ არ მიძღვნია
მაგრამ გულით მსურს შენ მოგიძღვნა ყველა ღალატი
რომელსაც იწვევს უსუსტესი ეს ჩემი ვნება
მაგრამ გულით მსურს გისახსოვრო რამე ისეთი
რაც არასოდეს შენს ხსოვნაში არ წაიშლება
რაც შენს სიკეთეს ერთიასად ვერ გადაიხდის
რაც ხალხის თვალში ნათელს მოჰფენს შენს თავდადებას
და ამიტომაც შენ გეძღვნება ჩემო ძვირფასო
ჩემი და შენი შეუღლების ეს მწირი სუფრა
და ხელმოწერაც შენ გეძღვნება და ეს ჯვრისწერაც
და ის პაწაწაც რომ გავაჩენ შენ მოგეძღვნება
და ფეხსადგილში ჩემი შესვლა ყოველდღიური
და ნეტარებით ჩამუხლული ჩემი იქყოფნა
და ჭინთვის წუთიც და ის სუნიც მზეთუნახავი
და უშუქობაც ჩემო კარგო შენ მოგეძღვნება.

მაგრამ საწყისის გამოთქმა შეუძლებელია იმიტომ, რომ შენ არსებობ და იგი - საწყისი - შენ ხარ, ყოველწამს ახალი და ქრობადი: ციცინათელა ღამის სკვერში, უცხო მხარეში. მერედა, რამდენი ცუდი წლის ხარ?- ო. ხელები საბედისწერო ყულფებივით შეაქანავა და მერეღა დაიფერთხა. და კიდევ: მაშასე, მაშასეო. არც ხვალინდელზე ფიქრი ასვენებდა. როგორ

იცოხნებოდა და თავისი ალაგ-ალაგ შემხმარი წვერით უფრო აძვირებდა უსაქმოდ ჯიბეში ხელებჩაწყობილ, ურთიერთმონაცვლე წოლა-დგომას. სინამდვილეში კი, აი, რას შვრება: ჩემს მოძრაობებს იმეორებს. წარმოება უნდა შეწყდეს, თორემ ეს დიდებული პეიზაჟი განადგურებას ვერ გადაურჩება. დახუჭულ თვალებთან ერთად იმ ბოღმასაც ანთხევს, წლითიწლობით რომ დალექილა მის გამავალ ტვინში და ხმოვანი სიგნალების წარმოებით აუწყებს გარემოს თავისი ტრაგიკული ხვედრის შესახებ. და აი, ამ ხვედრით შეპყრობილი, მომახსენებს, რომ ავადმყოფობა, შეიძლება ითქვას, ავადმყოფობის შეუძლებლობაა, გადახრის და ამოვარდნის შეუძლებლობა. გადახრიდან გადახრით არ ხდება დაბრუნება ჯანმრთელობასთან. და ეს ასეა არა იმიტომ, რომ ჯანმრთელობა წმინდა სახით არ არსებობს(ეს ფსევდოპრობლემაა; ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჯანმრთელობა სოციალური ნორმაა და მეტი არაფერი), არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ გადახრიდან გადახრა ტკბობის აქტია და არა - კორექტირების. უფრო მეტიც, ესაა გამოცდილი სხეულის მოძრაობა და არა - უმანკოსი. როგორ შეიძლება, შეშლილმა დათმოს შეშლილობა, დათმოს სიშიშვლე, და ცვალებადი ნორმა აღიაროს? მათ შორის ხომ ისეთივე გადაულახავი უფსკრულია, როგორიც - ბერძნების ევრიდიკესა და რილკეს ევრიდიკეს შორის. ასე არაა, ჩემო ერუდირებულო მეგობარო?-ო. დასკვნაზე წაფენილ მის კითხვას კი, რა ხანია, პეიზაჟის ნაწილობრივი შეუძლებლობა პასუხობდა და, სხვათაშორის, არცთუ დადებითად. ანუ სად ვიცი ის, რაც ვიცი, არა? ეს იყო პეიზაჟი, რომელსაც გაღეღილი გულმკერდიდან მოთეთრო კვართის ჭუჭყიანი საყელო მოუჩანდა და გამოცდილ ქალბატონებს ვერ გამოაპარებდა აწგარდასული სასქესო დრამის ნარჩენების შესაძლებლობებს: "იქნებ კიდევ დარჩა რაღაც?" ან "ნეტავი იმათ, ეს გაღეღვა რომ ჭუჭყამდე ნახეს". დაბოლოს, რა შუაშია დავიწყება? უბრალოდ, რაც აქ ვიცი, სხვაგან არ ვიცი. სხვაგან რაღაც ისეთი ვიცი, რაც ამ ცოდნას გამორიცხავს. საკმარისია დავუბრუნდე იმ ადგილს, სადაც ის ვიცოდი, რაც ახლა არ ვიცი, და მაშინვე აღდგება "წინარე" ცოდნა. მაგრამ სწორედ ესაა შეუძლებელი, - ვწყდებით თუ არა რაიმე ადგილს(ერთ ადგილზე გაჩერება კი ასევე შეუძლებელია), ის უკვე სამუდამოდ იკარგება. ყოველ "მომდევნო" ადგილს იმ ფარული იმედით ვტოვებთ, რომ "წინარე" ადგილს დავუბრუნდებით, ვინაცვლებთ კი სულ სხვა, ახალ ადგილზე. თამაშდება თუ არა ამით ადგილის დავიწყების დრამა (თუნდაც იმ აზრით, რომ თვითონ ადგილი გვივიწყებს)? პასუხი მთლიანად ჩვენს საადგილმამულო განწყობაზეა დამოკიდებული. მაგრამ ჩვენ? ჩვენ რა ვქენით?

8.

ი) ...და, საერთოდაც, შესაძლებელია ვინმე არ იყოს სემიოლოგი? ყოველ შემთხვევაში, ასეთი პროფესია ჩემთვის უცნობია...

კ) ...ადამიანი სუსტია იმიტომ, რომ არსებობს მეორე ადამიანი...

ლ) ..."არა გაგება, არამედ განცვიფრება - აი, რა არის ახლოს მიუწვდომლის წვდომასთან"? კი, მაგრამ ეს "ახლოს" ხომ ღალატობს ამ აზრს და მას უაზრობად ან თითქმის უაზრობად აქცევს. აი, ეს "თითქმის" კი თანმიმდევრული სიბრიყვის ნაშუქარს ჰგავს და არის კიდეც. ერთი წუთით...

მ) ...შემთხვევით როდი ვამბობთ, რომ თუ ჩვენ "ზიგზაგურად" არ მოვისმენთ, მაშინ "ვერ გავიგებთ"...

ნ) ...მიყურადებასაც გამგები მოსმენის ყოფნისწესი აქვს. "უპირველესად" ჩვენ ვისმენთ შრიალს და ხმათა კომპლექსებს, - მოჭრიალეს, სვლას, ქარს, მოკაკუნეს, მოტკაცუნეს...

9.

მაშასადამე, სიტყვის ხსოვნიდან გაქრი, ამოვარდი მისი ტკბობიდან. აი, ამიტომ გიხსნა, უარი თქვა ფუნქციად შენს გადაქცევაზე, რამაც პაუზა წარმოშვა. ეს პაუზა სხვადასხვა გამოცდილებით შექმნილ სახეებს ერთმანეთთან სამუდამო ნდობით აკავშირებს: ცხვირი ცხვირს ჰგავს ძვლის და ხრტილის მიღმა, მოყვანილობის და ფერის მიღმა, თვალი თვალს ჰგავს გამომეტყველების მიღმა, შუბლი შუბლს ჰგავს სიდიდის და ღარების მიღმა და ასე უსასრულოდ. ისინი ხსოვნის წინააღმდეგ ერთიანდებიან, რითაც კი არ იმეორებენ, მხოლოდ განაგრძობენ. შეიძლება ითქვას, რომ:

- არანაირი გამოყოფა. გამოყოფა იმიტომ გინდა, რომ მჩაგრავდი. ასე არაა? მე გირიგდები. მაშ რატომ გინდა გამოყოფა, რატომ მეთქი. მოსამართლე ამბობს, რომ თუ დააფიქსირებს, მაშინ უფლება ექნება. მე მეგონა, ვერ შემოვიდოდა, რაკი ჩემს წინაშე დიდი სიბინძურეები ჩაიდინა მაშინ და ჩადენას განაგრძობდა. შემოდი მეთქი, ვუთხარი. ხელი მოაწერე ამას ჩქარაო, ფურცელს მიფრიალებდა თვალწინ. შემოდი მეთქი. შემოვიდა, ბებიას და ბაბუას ვნახავო. ცოტა ხნით დამელაპარაკე და მერე ნახე ბებია და ბაბუა მეთქი. ჩემს ოთახში შემოვიყვანე. მაგიდაზე მისი ხელით დაწერილი ბარათი იდო, გასული წელი რომ მომილოცა. იქ დაჩუტული

ბურთი ეგდო, რომ თამაშობდა. აი, ეს შენი წერილია, გაიხსენე მეთქი. რაღაც ისეთი გავითამაშე, "იავნანამ რა ჰქმნა"-ში, არა? მერე უფრო შემეჩვია. შევთანხმდით. გინახულებ, მამიკო, გინახულებ, სკოლიდან რომ გამოხვალ, მაგრამ იმდღევანდელივით ხომ არ გამყიდი მეთქი. არაო. მართლაც, ვინახულე. მაკოცა კიდეც. მაინც მერყეობს. ბებია და ბაბუა ატირდნენ. თუ ბავშვები არ იქნებიან, როგორ შემოვა. აი, მაშინ შეეძლება. დაკეტავს და წავა. ეს როგორ, ჯერ არ განვქორწინებულვართ და რა უფლება აქვს. თუმცა. მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ მოსამართლემ თქვა, არ დათანხმდებაო. ასე უფრო აწყობს. გადაიდო იმიტომ, რომ პოლიციიდან საბუთები ჯერ არ მოსულა. დავანებოთ ამას თავი, შენი საქმეები როგორ მიდის? ეს ყველაფერი მათემატიკაზე უარესია. არა, ჩემთან ვერ მოახერხებს, მართალია. ახლა მერყეობენ. თან, ამ ასაკში. რა თქმა უნდა, ძალაში რჩება...

მაგრამ მე სულ სხვაზე ვფიქრობდი, იმაზე, ვინც სიკვდილს არ ეყო. მაგრამ სიბრალულიც მჟღავნდებოდა. არ ეყო სიკვდილს, და ამიტომაც ეყო თანადგომას. რით? იმით, რაც გააჩნდა: საკუთარი სხეულის მირთმევით(და არა სხეულით), მის სულიერ ტკივილებზე თავისი რბილი ხორცის წაფენის დაუოკებელი ჟინით. აი, როგორ გამოიხატა მისი სიბრალული, და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ჩემს გადასარჩენად. თუმცა, მერამდენედ? რა იყო ამაში მოულოდნელი? თითქმის ჩავკიოდი ჩემს თავს, - წადი, გაეცალე ამ საზიზღრობას, ამ კანონზომიერებას მეთქი. ეს ყველაფერი იქნებ სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ჭკუაზე შეგშალოს მეთქი. ისინი ხომ შენისთანების არსებობით იკვებებიან. გადარჩენა ახლა მათგან გაქცევაშია. უშველე შენს თავს, და შენ ამით რაღაცას უშველი. მათ უნდა სძულდეთ, რათა იცოცხლონ. და შენ ამას უნდა ხვდებოდე. და მაინც, სულ ერთი წამით, უფრო მეტით, ოდნავ მეტით, მუსიკა და საწერი მაგიდა(ან: ეს ჰანგი და მაგიდა) ერთმანეთს ერწყმიან და მათი ერთობა არაფერსაც არ წარმოქმნის, არ წარმოადგენს, მათი შეხვედრა ჩვენთან დამშვიდობებად აღიქმება და რაღაცას მიქნევს. ის უკვე შორსაა, დათოვლილი სახურავების და ჩამოტეხილი ათინათების ფონზე. მყიფე შადრევანი წყალს აგროვებს, სიცივეს იზიდავს და ახშობს. კვარცხლბეკზე შეყენებული ეს ბრინჯაო თეთრად შევსებულა და იმავე სახურავებქვეშ რაღაცას მაინც ხედავს, რაზეც მოღიმარი დახლიდარები თვალს ხუჭავენ, ფიქრებს იკრებენ სამომავლოდ. ნუთუ, ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ რაღაც გაყიდოს და ვიღაცამ იყიდოს?

10.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა.

ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ.

იმასაც კარგად ვგრძნობთ, რომ საქმე ნელ-ნელა მიდიოდა ცუდად, მაგრამ ჩვენ ამას ვივიწყებდით და, ალბათ, ამიტომ მიდიოდა საქმე ასე ცუდად.

და აი, ვამბობთ, რომ დავუბრუნდებით იმ ჩვენს მხარეს, რომელმაც ბევრ რამეს გამოგვტაცა.

დიახ, ვამბობთ, რომ ის მხარე უკვე ჩვენშია და ძალიან ცდილობს, ჩვენთან ერთად გადაირჩინოს ბევრი რამე.

ჩვენ კი იქ წავალთ, სადაც საშინელი სამსჯავროს სცენას ჰგავს ჰაერი იმათთვის, ვინც ისევ საკუთარი ჰაერით სუნთქავს.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა.

რა კარგი დღე იყო: მიწის ბელტებს მზე აშრობდა; ჭერში მარცხენა ფრთით ეკიდა ბუზი, უხილავი ძალებით რხეული; რადიო ჩართეს და ხალხურმა სიმღერამ განწყობა შეცვალა, შეცვალა ჰაერი. მე კი შეგეხვეწე: ქვეყნად ნურავის და ნურაფერს ნუ აქცევ საკუთარი კომფორტის ნაწილად. კომფორტსაც კი - ნუ. და ეს ხმა გაისმა შორეულ ავტოკატასტროფაში დაღუპული ახლობლის ექოდ, დასაკარგად განწირულ ექოდ.

ჩვენ კარგად ვგრძნობდით, რომ საქმე იმაზე ცუდად იყო, ვიდრე ჩვენს ფიქრებს წარმოედგინათ. სურნელოვანი იასამანივით ყვაოდა ნიავი და სევდას, რომელმაც თავი შეგვახსენა, სამოქმედოდ აგულიანებდა.

აი, როგორ: ტახტზე ვიწექით, და საქმე არავითარ შემთხვევაში არ იყო კარგად, და მე თვალი შევავლე გაზეთს, რომელიც გულუბრყვილოდ და თავმომწონედ გამოხატავდა თავის პოზიციას, როცა მკერდზე ისვირინგებდა მტკიცებას, რომ.

საქმე ცუდადაა, არა?

ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეს ცოდნა ჩვენი მტერია.

და მე მაინც, რაღაცნაირად, შიგნიდან მტანჯავს ეს გაზეთი, რაკი მის კალთებს შეფარებია ადამიანი, რომლის გადასარჩენად მე გავიღებდი ჩემი დარჩენილი სიცოცხლის ნახევარს, და რომელიც, დაე, ერთობოდეს ჩემით, თუ ასე სურს. დაე, ერთობოდეს ჩემით.

დიახ, იქ წავალთ, სადაც ფიქრს მხოლოდ ეს წარმოშობს - იძულება, რათა არ ვიყოთ მარტო ნივთებს შორის, რომლებიც პირდაპირ კი არ გვკლავენ, არამედ - ირიბად, იმით, რომ გვიკლავენ უძვირფასეს ადამიანებს

ჯერ კიდევ მანამ, სანამ გავიცნობდეთ.

საქმე ძალიან ცუდადაა?

მხარეს, რომელიც ოდესმე მაინც იქნება და აგვაცდენს იმ გზას, რომელიც მიეშურება დაცემულთა და დაღლილთა შორის ხეტიალისკენ ან, ვთქვათ, შეშლილთა შორის გამოხედვისკენ, რომელიც ტკბილად ცხოვრობს სიტყვაში და შეუძლია შენც გიწილადოს იგი - ეს სიტყვა - სისწრაფით აზრის დამფარავი.

ჩაგესმა თუ არა იმ წარსულში, რაც შეგეხვეწე?

ჩვენ ვგრძნობთ, რომ საქმე ცუდადაა, ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ.

სიცოცხლე აღარაა გასაგები და ერთადერთი. ის იმდენია, რამდენჯერაც გავითამაშებთ ახალი შეხვედრით დატყვევებულები და მაშინვე ისე კარგად ვიწვით, როგორც ქურაში - ქვანახშირი, როგორც გასვლა მხურვალებაში და - იქვე - ნახშირში.

მერე რა, რომ ეს კარგი ცოდნა ჩვენი მტერია.

ჩვენ ისე გვიყვარს ჩვენი მტერი, როგორც ჩვენი ქროლვა ერთმანეთის წარსულისკენ, სადაც ვერასდროს ჩვენს თავს ვერ ვნახავთ.

ჩვენ ვართ გამოძახილი კედლის იქიდან, ყრუ კედლის იქიდან, ჩვენსკენ.

ჩვენ ვართ ბანჯგვლიანი მკლავივით უხეში ეჭვი, რომ კიდევ რა ვართ?

ჩვენ ვართ შემოსაზღვრული მთებით და ტყეებით, რომლებიც მართლა არსებობენ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქმე შეიძლება არც იყოს ცუდად.

11.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე: ალეწილი, ზურგში მოხრილი, ქურდულად გამსხლტომი. ადის კიბეზე, მიაქვს სათლით წყალი, სააბაზანო ფისითაა შელესილი. დგას და სუნთქავს. საფეთქლები არ უნდა დაუსკდეს. თითქოს კუპრში საბანაოდ ემზადები, როცა იქ შედიხარ. სინათლე მნიშვნელოვანწილად, და კრაზანები, შიშის გასწვრივ გაბრუებული, მფრინავი მხეცები. მე მას ვუთხარი, ამბობს, მე ვუთხარი, შორს ნუ წახვალ, თუ გული გაგისკდება, სად გეძებოთ, და თუ აქ იქნები, არც ჩვენ შევწუხდებით, აქვე, მონასტრის ტერიტორიაზე დაგასაფლავებთ. ერთკვირიანი რეზერვუარი, და მაინც არ ყოფნის, ამდენი ტანია, ნაკლები ჭუჭყი. ყოველდღე ვიღაც ეცემა და დადის მთელი დღე, ყოველდღე მოღრუბ-

ლული. ის ჭრის შეშას, ის კი ჩეხავს. კეთილი ინებონ და ნუ მოუსმენენ ჩვენს თავაშვებულ დიალოგებს. ეს გრძელდება ხანგრძლივი. ხუთშაბათი იწყება ქალაქში ჩასვლით. მათ კი უკვე ფული შეაგროვეს. რაც შეეხება. თითქმის ხუთ თვეზე მეტი გავიდა და სამი სონეტი, თუმცა ეს - აქ, ქალაქში, არა ჩემს მიერ, საბედნიეროდ. თუ ასე ძალიან სასიხარულოა, მაშინ ნურც იფიქრებ ამაზე ნურასდროს. აქვე, მონასტრის ტერიტორიაზე, დაგიგებთ საფლავს. და არ შეეძლო, ასე ეთქვა. ნახა ცხოვრება, ნახა ბედის ტრიალი, ციბრუტივით თავის თავზე ნახა. როცა ფეხს აჭერდნენ, რაც ასე მოხდა: გალახული ეცემა რკინაბეტონის იატაკზე, და მოგვიანებით თვალს ვახელ, სახეზე ვიღაცის ფეხი დგას, მაჭერს. და მე ამ დროს. ყველა სულგანაბული უსმენს, ვინძლო არაფერი მოიმოქმედოს. აი, ამ დროს ვითხოვ მოსაწევს ჩურჩულით, ისე, რომ ჩემს მეტს არავის ესმის. არა, რა თქმა უნდა, ესმით. მისი გამრუდებული ხერხემალი სითბოს არ ასხივებს. მეკითხება, სად ვცხოვრობ ქალაქში. და ეს ნიშნავს, რომ ქალაქში ვცხოვრობ? მას ხომ სხვანაირად არ შეუძლია, ეს ხომ მისი ცხოვრების ნირი არა და არაა. კრაზანები შენ რას გერჩიან, მათ წყალი და სინესტე იზიდავს, მაგრამ ღამით ქრებიან და მაინც ვერ გაიგო. ოჰ, როგორ სურდა, მოეწყვიტა. ორივე ცისტერნა წვიმის წყლით ივსება, მაგრამ, რა ხანია, წვიმა არ მოსულა. იმისგან ვითხოვ, იმ ფეხისგან. ფეხი კი უფრო მეტად მძიმდება, როგორც წარმომიდგენია, მაგრამ ის ამის შესახებ აღარაფერს ამბობს, მას საფიქრალი არ გამოელევა. იცი, როგორ იყო? მე არ გავიქეცი, მაშინვე მივხვდი, რომ ეს არა და არ იყო გაქცევა, რომ ხალხი უნდა დაეხოცათ. მგონი მეოთხე პატიმრობის ისტორიაა, არა? ის ერთადერთია, ვისაც არ ემჩნევა, რომ ტანი დაიბანა და სხვა კუთხით სუნთქავს, სხვა ასპექტით. რას ამბობ შენ განა. როცა ვთვრები, მაშინ ერთბაშად ამოდიან. ხოლო რაკი ის აღარაა, ვერც გაიხსენებს იმას, რაც არ ღირდა მისი სიცოცხლის გამწარებად. მას ჰქონდა ძალიან ბევრი წაკითხული წიგნი ჰქონდა მას, დიახ. ამბობ, რა ძნელია, არა? ამბობ, ისე წავიდა, რომ ღმერთი ვერ მიიღო. მისი ღიმილი ახლაც ყურში მიდგას, ამბობ. აი, ეცემა. თუმცა, მოასწრებს და პირისახეზე წყალს შეიშხეფებს, უჰჰჰ, უუუჰ. ჯერ არ დაგმართვნია და უკვე თავს იზღვევ, ითქმება ქალაქში, მერე, როცა მისი უეცარი სიკვდილი გამათავისუფლებს, ხელ-ფეხს შემიკრავს და მაიძულებს ბრაზი ყელში მომაწვეს, ადგილი ვერ ვიპოვო. იმ ამაღლებულ მიდამოზე როცა განაახლა, მე ვთქვი, რომ ამას შეიძლება ეწოდოს მშენებლობა. როცა მხარს ვუქცევთ ერთმანეთს, მე მახსენდება ჯოისის ნახევარი, რომელიც ვაჩუქე წარწერით და მრავალი ძახილის ნიშნით, ნაგულისხმევით, აკვიატებულით, და მაინც დაუშლელი, საერთოდაც კარგად შენახული. მაგრამ

ითქმება ჩემს გულში, არსად, ქალის მიმართ, რომლის ჭაჭანება არაა მზით გაჩახჩახებულ ამ მწვანე მინდორზე, რომელიც სავსეა გველებით და თვეობით უწყინარი ხვლიკებით, ჩვენ ვსხედვართ რკინაბეტონის შვერილზე, და ზვინები. ითქმება ჩემს მიერ, რომ ვიყო უფრო გაბედული. არადა, მან თქვა, შენ არც თევზი ხარ და არც ხორცი. ჩემს საქმეში მე ვარ თევზი და ძალიან ღრმად ვცურავ. იცურე, იცურე. მისი მოსიარულე ზურგის ზედაპირი იქმნება შეშის დაპობის და ემფატიკური საუბრების ხმებით, და მე ახლაც ყურში მიდგას მისი სახე, მისი ყოვლისმცოდნე დაღლილობა და მცხუნვარე მზის სამხარზე გაწელილი ჩრდილივით ინსტინქტი, გაგრძელებული შეტევა სიცოცხლეზე, ყველაფერზე, რაც არ გებრძვის, რაც ამით გამწვავებს. ამას გეუბნები შენ, ვინც აღარ ხარ, ვისაც უზომოდ ბევრი წაგიკითხავს და არა ერთხელ ამბობდი, აბა რა უნდა გეკეთებინა. ან ის ჯოხი, შენ რომ უხეშად მოხატე. ეღიმება, სულ სხვაგანაა. ასეთი გულუბრყვილო არაფერი მინახავს, ამბობს. სად გაიზარდა, ამბობს.

რატომ არ წერთ ისე, როგორც ლაპარაკობთ? ის კი პასუხობს: რატომ არ კითხულობთ ისე, როგორც მე ვწერ? მაგრამ ამ პასუხში რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს. როგორ უნდა იყოს? მაგრამ როგორ არ უნდა იყოს? ამას მხოლოდ მაშინ. არა, ამას ვერასოდეს ვერ გავიგებთ, ვერც მაშინ, როცა ითქვა. და მაინც, იქ სხვაც ბევრი ითქვა. მაგრამ კითხვას კითხვით მხოლოდ ამ ერთხელ გაეცა პასუხი. ჩემი აზრით, ეს იყო თავდასხმა დაუცველის, თითქმის შეურაცხყოფილის. მაგრამ ვის

12.

ო) ...მის იტალიურ ფეხებს ახასიათებთ საბერველივით ქშენა და ადამიანური სიჯიუტე. მათ წანამძღვრებს უყვარდათ სეირნობა და ფეხბურთი. ამის შესახებ ჩვენ კიდევ ვიტყვით...

პ) ...გართულდა შეურაცხყოფის ფორმები, ჩვენ კი დღითიდღე ვმარტოვდებით და ვპატარავდებით...

ჟ) ...მაშინ კი ისე გავურბოდი ჩემს მიერ წარმოდგენილ საზრისს, თითქოს ეს უკანასკნელი მართლა არსებობდა. მაგრამ მერე, როცა ჩემი წარმოდგენაც სამუდამოდ დაიწმინდა ამ ქიმერისგან...

რ) ...ადამიანი სუსტია იმიტომ, რომ არსებობს მეორე ადამიანი?...

ს) ...მაგრამ იქნებ მნიშვნელობა იმით სრულდება, რომ ყოველთვის აქტიურად ვითვალისწინებთ მისი დასრულების, იმავდროულად კი დაუსრულებლობის შეუძლებლობას...

ტ) ...ხოლო თუ ისინი ამტკიცებენ, რომ თვალს ენა არა აქვს, მაშინ, დაე, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ. თუ თვალი ენა არაა, მაშინ ენა როგორღაა ენა! დაე, გზა ჰქონიათ...

უ) ...და ამით ყველაფერია ნათქვამი, თუ შეიძლება ასე ითქვას...

ფ) ...უნდა შეაჩეროს შეთანხმებამ და არა შინაგანმა აუცილებლობამ, რომელსაც კორექტირება არ ევალება. რაკი...

13.

- პირველი ცეცხლი. შენ ეს იცი. მეორე ცეცხლი. შეიძლება გაგიჟდე კაცი. ვუტრიალებდი, საიდან მეთქი ამხელა ცოდნა ამ უწიგნურ ადამიანში. ტრუბადურივით არის მეთქი. სწორედაც რომ განათლებულში. როგორ შეიძლება არ დაენახა. როგორ შეეძლო ჰეგელს ეს დიდი ადამიანი არ დაენახა. რაღაც ისეთი დატრიალდა, რაც ჩვენ არ ვიცით. ბარბაროსული ენა�о. სასწაულია. მოტივების ცვალებადობა. ოსტატობაც ესაა სწორედ. ჰეგელის მიკვირს. დიდი ხნის ამბავს გეუბნები. თითქმის ოცი წლის წინათ იყო. კარგია, კარგი. ლუთერის მერე ასეთი კაცი არ გვყოლიაო. არადა, სხვა გზით ვერც აინთება ვერასოდეს, ამას ამბობს, ვერანაირით. როგორ, თუ არა აი ასე. და ქრისტეში დაანთო ღმერთმა. სხვაგან სად უნდა გაჩენილიყო ასეთი ცეცხლი. ქალწულებრივი ცეცხლი დაანთო ქრისტეში ღმერთმა. ანდროგინული მომენტი მხოლოდ სიწმინდიდან მოედინება. ასე არაა? მან კი რა გვითხრა? თუ სიწმინდეს და უბიწოებას არ დავუბრუნდით, ანდროგინი საიდან მოვა, როგორ არ იყოს ბუნდოვანი. ამხელა წვდომა. არადა, რა ქნა შემოქმედმა? იმპულსი მისცა, დაანთო და გაუჩინარდა. შენ ხომ ეს გესმის, როგორ იქნება ამის სწავლება. შეიძლება სხვისთვის ამ ცოდნის გადაცემა? არ ვიციო, არადა, ამბობს. ხედავ, არ იცის. მეორედ მოსვლის ვადა ვინ იცის, ვინ იცისო. ტრუბადურია. ისინი კი მართლა ქრებიან. ასე არაა? ცარიელი ინტელექტი რის მაქნისია. ფანჯარა რომ დაიორთქლება და მერე მისგან არაფერი აღარ რჩება. ასე არაა? მე ეს არ მჯერა. მოვიდა და ცეცხლი დაანთო. სხვა რა უნდა დაენთო, არა? არა, არ მჯერა, სიგიჟეს და გენიას რომ აიგივებენ. სიგიჟე და გენია ხომ ერთი არაა. ლოთიც გიჟია. გიჟი და ლოთი თითქმის ერთია. საზღვარი უნდა არსებობდეს. არსებობს კიდეც. გახსოვს, რას ამბობს ჰოლდერლინი, - იქ სოკრატე არ დამთვრალაო, სუფრას ფხიზელი შემორჩაო, ასე არ ამბობს? რობაქიძე გაიხსენე, ქართულ სუფრაზე მთვრალი კი არა, შეზარხოშებული უნდა იყოო. ზღვარი არსებობს. ზღვარი რომ არ არსებობდეს, სატანას ხომ ვერაფერი დააკავებდა.

მიერ? რა თქმა უნდა, არა შემკითხველის, არამედ იმის მიერ, ვინც შემკითხველის სახით ჰკითხა, ვინც ეს ცოცხალი შემკითხველი ჰკითხა და დააბნია. გრამატიკის მიერ, მოსალოდნელი თავდასხმის წინასწარ პასუხად. მაშინაც კი ვერა, როცა ითქვა მეთქი.

ან, ვთქვათ, რატომ უყვარდებათ ერთმანეთი ადამიანებს. შენ ვერ გამიგე, რატომ უყვარდება მავანს მაინც და მაინც ის, ვინც უყვარდება. ჩვენ ამას ვერასოდეს გავიგებთ. შეგვიძლია, კარგად დავათვალიეროთ ის ადგილი, სადაც ვიმყოფებით მაშინ, როცა გვიყვარს ის, ვინც გვიყვარს. როდის შეგვიყვარდა? სად ვიდექით ამ დროს? რას ვაკეთებდით? ის რას აკეთებდა და სად იდგა, ვინც გვიყვარს? რამდენი წლის იყო? რა ეცვა? როგორ მეტყველებდა? რა ვიცოდით მასზე? მაგრამ შენ ხელი გკრეს და შეგაგდეს. მაგრამ ეს შენ როდი იყავი. სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლით, ვამბობ. მოულოდნელად იწყებდა მოყოლას, იწყებდა და წყვეტდა, მოყოლაში ხელს თვალი უშლიდა, რომელიც, გამუდმებით გადასვლადი ერთი სახიდან მეორეზე, მესამიდან სხვაზე, ცვლიდა თემებს და კარგავდა წარსულში არეკლილ სურათებს, შებღალული გონების ფორმალურ მაჩვენებლებს. თეთრი შარვალი, ჯინსის. მატარებელი შიგნიდან ხმაურობს და ბანქოს თამაშობენ, მათ შორის, მეც. ისინი, ყველანი, ერთმანეთს ჰგვანან. ეს ჩემი საყვარელი ფორმულაა. იმიტომ, რომ მართლა ასეა. ისინი ერთმანეთს ემსგავსებიან და ამ მსგავსებას ამხელს არა მათი ქცევა, გამოხედვა, საუბრის მანერა. ფაქტობრივად, მათ არც იციან საუბარი, ისინი მხოლოდ გაუთავებლად მეტყველებენ, რაც მთავრდება მოტაცებით ან წარუმატებელი ჟესტით. დასასრული აღინიშნება ირონიით ან აშკარა შეურაცხყოფით. ქალებს ეს ყველაფერი აღაგზნებთ და არ კარგავენ იმას, რაც არ გააჩნიათ: წონასწორობას. ვინ ვისი მსხვერპლია, ალბათ? არა მათი დახვეწილი ვერაგობა, არამედ საერთო ბედი, - გადატანილი თუ გადასატანი დამცირების წინაშე უწყვეტი შიში, მზადყოფნის და თავდაცვის უწყვეტი შეუძლებლობა. გინდა თქვა, რომ შენ არ შეუყვარდი არავის? თუმცა, შენ ამის თქმა არ გინდა. არც ფიქრობ ასე. ყველა გამოიქცა. ისინი მორბოდნენ არსაით, ჩვენსკენ. მე დაღებული მქონდა ჩემი მგლის ხახა. მატარებელი ძაგძაგებს და ადამიანები ერთმანეთს ირიბად უკავშირდებიან. თითოეულმა იცის, რა სურს. საერთოდ, იცოდე, ადამიანებმა ყოველთვის იციან, რა სურთ. ჩვენც ვიცით, რა გვსურს. მას თავისი თეთრი შარვლის იმედი ჰქონდა. მაშინაც კი, როცა ჩავიდა, გაფრთხილებ, ვის ან რატომ აფრთხილებ. ის, ვისაც ხელი კრეს, ათი წლის მერე მატარებელში ჩემს

ხელებთან ერთად ბანქოს თამაშობდა და მიყვებოდა, ათი წლის წინ ხელი როგორ კრეს პირველად თავის ცხოვრებაში, და ეტაპი ძალიან გვიან დაიძრა. თუმცა, იქ ვიღაც ყოველთვის ლაპარაკობს, რათა სხვა ჩუმად იყოს, თავის ფიქრებში გატრიალდეს. რა, არ იცი, რომ შენც ასე მოგექცევა? ეს ისაა, რაც, შეიძლება, მართლა არ იცი.

მე კი იმდენი სისულელე ვიბჟუტურე, რამდენიც სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩემს თავში დავრწმუნებულიყავიო. და მაინც ვერ ვთქვი. მერე მომინდა, ავსულიყავი კიდევ ერთხელ, მაგრამ ამჯერად მხოლოდ იმიტომ, რომ საფლავის ბორცვი მენახა და მეტირა კიდეც ცოტა. რა გზებით იარა, რომ აქ მოსულიყო და აქედან წასულიყო. აი, ეს მან არ იცოდა. მე ვარ თევზი და ძალიან ღრმა წყლებში ვცურავ. მთა კი არა, მიწის ჩამონაშალია. გისმენთ. აქ რომ მოსულიყო, არა? ან რომელ ჩემს თავში? ეს ხომ უკვე მოხდა და მოხდა. მომისმინე, როგორ ხდება, როგორ იკარგებიან, როგორ ქრებიან სწორედ მაშინ, როცა მათ წინ სულ არაფერი არ ჩანს ჩემს თავში? როცა მე ამას ვკითხულობ, სურვილი მიჩნდება, ეს კითხვა მოვსპო, დავწვა, დავხიო, რაღაც ვუქნა, აუტანლად დასამახსოვრებელი, და სამუდამოდ დავივიწყო. დავუშვათ, მაშინ ეთქვა, ამ რამდენიმე თვის წინ, მაშინ გამეგო, რომ ასე ობლად განუტევა სული და ასე დაუკრიფეს დაბანილი ხელი. რა შეიცვლებოდა. აი, ამით კი შეიცვალა. მე მას ბოლო ხანებში ხშირად ვიხსენებდი, ის კი თურმე აღარ ყოფილა. მან კი სამი სონეტი უძღვნა. კარგი ერთი, მეგობარო, კარგი ერთი.

შენ ის გერჩივნა, სახლიდან ფეხი არ მოგეცვალა. აი, ასე გერჩივნა მეთქი. აქ საუბარი შენზეა მეთქი. ის კი გაიძახის, რომ ქვეყნად, ამ ქვეყნად, ოთხი შედევრი მოიპოვება და ისინი, კარგი, კარგი, მეგობარო, ოთხივე შენს სახლს ამშვენებს მეთქი. სახელდობრ, აი, ადგება და ხელებს წინ მიუძღვის, მერე დაწინაურებულ მარჯვენას ენდობა, სახელდობრ, ბექა ოპიზარი, სახელდობრ, რემბრანტი, ესეც, რაფაელი, და აი, მეოთხე, მეოთხე მყისვე დამავიწყდა, უცნაურია მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე არა ერთხელ. ამბობს, მითხარი-დედა, რა შუაშია კომუნისტები? აფრიკელები ჭამენ ტარაკანას, ჩინელიც ხომ ჭამს თავის მაიმუნს, რაც იმას მოწმობს, რომ ჭამა მეორეხარისხოვანია. ცხოველი მშვინვიერია, მას სული არა აქვს და ღმერთმა ჩვენთვის გააჩინა, ჩვენ ისინი უნდა ვჭამოთ ზომიერად. ოღონდ ნუ შეჭამ ადამიანს. ძაღლებსაც ხომ ჭამენ არა ერთგან. ქრისტემ ნება დაგვრთო, ვიდრე მეორედ მოვა, ვჭამოთ ცხოველები, მაგრამ ოჰ, არა, ჭამა არაა პირველადი, ჭამა ყოველთვის იქნება მეორადი. რა შუაშია კომუნიზმი. დაკალი, დაკალი კურდღელი და დამასვენე, თორემ მარხვა დაიწყება და როდის, როდის დაკლავ. და არც ცივილიზაციის მტერი ვარ,

სხვათა შორის. შენ უნდა გახსოვდეს, რომ ელაპარაკები კაცს, რომელიც ლაპარაკობს ხელოვნებაზე, ელინებზე და იუდეველებზე. მაგრამ თუ ის ბევრს ლაპარაკობს? ილაპარაკოს, დღეს შაბათია, მისი ლაპარაკის ერთადერთი დღე. ასე არაა? ასეა, მაგრამ მე წავიკითხე თუ არა ბერდიაევი, მაშინვე დავეთანხმე. და აჰა, ისევ კურდღელიო. კარგი ერთი, მეგობარო, კარგი ერთი მეთქი. მაგრამ თუ მე ის ძალიან ასე მიყვარს, იმიტომაც, რომ მას სხვებისგან განსხვავებით იმდენი პოსკულატი გააჩნია, რამდენმაც შეიძლება შთანთქას იმდენი პოსტულატი, რამდენიც გენებოს. აი, ასეო, ამბობს. ის კი მაინც არ ასვენებს, ამიხსენი, რატომ არაა ცოდვა ცხოველის დაკვლა? რით ვერ გაიგე, რომ ცხოველი მოკლებულია სულს და იმიტომ. და რაც სულსაა მოკლებული, ყველაფერი უნდა დაიკლას? კარგი ერთი, მეგობარო, კარგი ერთიო. მერე კი სამი სონეტი უძღვნა იმას, ვინც ახლა იქაა, იმ მტვერში და ხრიოკში, სადაც მიწა არაჩვეულებრივად ფხვიერი და იოლად დასამორჩილებელია, როცა ამას საქმე მოითხოვს. ჩვენ ეს გავიგეთ, როცა შვიდმეტრიანი ორმო ამოვთხარეთ და ზედ ახალთახალი ჩეჩმა შემოვდგით. ასე ითქმის, არა, მეგობარო? ჩვენ შევიგრძენით მიწის მადლიო, ამბობდნენ ისინი ჩემს სიზმარში, ჩემს სათადარიგო ოცნებაში. შენ ის უნდა გენახა მეთქი, როცა თვალი მოგვავლო და საფეთქლებზე ხელისგულები იტაცა მეთქი. მისამართი თუ იციო. ვიცი მეთქი, კარგად მივუგე. ის კი, ის ჩემი მეგობარი, იქცა მცდელობად იმისა, რომ იმ უბედურზე რაღაც გაგვეგო. ჩეჩმა ხომ სულ სხვა რამეს ჰქვიაო. არადა, შეეძლო, ბოლო დრომდე შეეძლო, დღე-ღამეში თექვსმეტ-თექვსმეტი კილომეტრი დაეფარა, მაგრამ მხოლოდ მთვრალს, თუნდაც გალეშილს, ამ დროს უფრო. თუმცა ამის შესახებ ჩვენ რა ვიცოდით? დიახ, არაფერი, რაკი ის ამ გზას მარტო ადგა იქით და აქეთ. ჰგავდა თუ არა ხვლიკს, როცა მზეს უჩვენებდა თავის შავ სახეს? ან ნებისმიერ ქვეწარმავალს? ან ყველას ერთად? ჩვენ ვერც ამას გავიგებთ ოდესმე, როგორც მისი უიღბლო სიყვარულის, მისთვისვე უცნობის, ისტორიას გავიგებთ. როგორც იმას ვერ დავაზუსტებ, მონაწილეობდა თუ არა მისი ოფლიანი სხეული იმ ორმოს თხრაში, ასე ძალიან ღრმა რომ გამოვიდა. ჩემი სატრფო კი უკვე აქაა და გულში ვიკრავ, მინდა რაღაცას გამოვტაცო, რაღაც ისეთს, რაც არც მხატვრულობს და არც სიტყვას ექვემდებარება, რაც დღითიდღე მითრევს და ამით განამტკიცებს ჩემს ქცევებში თავის ყოფითობას, თავის უფერულ, მაგრამ ასე საჭირო რეჟიმს, სურვილებს. რა მნიშვნელობა აქვს, რა უძღოდა წინ მის ამ ბოლო განთიადს, უკანასკნელ გაზაფხულისპირს, რომელიც ძალიან ადრე დაიწყო, ამ ბოლო საზრისს. მისი სიცილი იყო სიცილი ეშმაკისა. მან, ამბობდა ტრაპეზარი, მაინც ვერ მიიღო, მაინც ვერ ირწ-

მუნა ღმერთი. მაგრამ ჩვენ ხომ მაინც ვერასდროს გავიგებთ, ან რატომ უნდა გავიგოთ მეთქი, იხილა თუ არა ღმერთი მისმა გულმა, როცა წყალი შეირგო და გასკდა? კარგი ერთი, მეგობარო, კარგი ერთი მეთქი. და მაინც მოიცვალე, შენ ამას განა ვინ გაპატიებს? რა დაგვრჩენია იმაზე მეტი, ვინც ჩვენთანაა, ვინც არ მღერის, ვინც მღერის, ვინც არ მღერის, ვინც მოკვდა, ვინც ჩვენთანაა, მაგრამ აი, მოკვდა და იქცა არაფრად, რაც ჩვენი ხვალინდელი და გუშინდელი დღეა ან ღამეა, რაც არ შეჯამდება არასოდეს, გახსოვდეს, არასოდეს. განა რა არის აქ საცოდნელი, რა არის შესაცნობი და წასაშლელი. თქვი მეთქი ერთი.

რომ ამას შეიძლება ეწოდოს მშენებლობა. წინამძღვარი კი ამ საკითხს უფრო ირიბად ჭვრეტდა და დასკვნებიც შესაბამისი გამოჰქონდა იქიდან, სადაც ახლა ისევ მშენებლობის ბოლო დღეები მიმდინარეობს. ჩვენ მოგვიწევს ზურგით ქვების თრევა და თაკარა მზეზე მუშაობა? არა, იმიტომ, რომ დღის ამ მონაკვეთში, ძირითადად, კითხულობენ, ხელსაქმიანობენ ან, უბრალოდ, სძინავთ. ეს ცეროდენა ხვლიკებია და როცა კედელს აკრულები ახლოს არიან, მე ვგრძნობ სამყაროს გულისცემას, ვგრძნობ, რომ ეპიცენტრი აქაა, სადაც მე ვწევარ და სადაც ეს ცეროდენა ხვლიკები თითქოს ქვის სუნთქვას ირეკლავენ, არიან სარკეები და ტბები, კრიალა ზედაპირები, რომლებსაც ვერ ვხედავთ იმიტომ, რომ არ ვიცით, რა ჰქვიათ. მერე კი საშინელი სიზმარი ვნახე, სადაც ასე გულმოდგინედ ვიბანდი ვიღაცის სხეულს. არ შეეძლო, ასე არ ეთქვა.

15.

ქ) ...დაე, ვიყო მე ისეთი ჩვეულებრივი, როგორი არაჩვეულებრივიც შენ ხარ...

ღ) ...გთხოვ, დამელოდო იქ, სადაც არ მოვკვდიო. აუტანელი...

ყ) ...ჩვენ კი რას...

შ) ...ყველასთვის ცნობილია, რა თქმა უნდა, რომ უახლოესი წარსულის სფეროში ორიენტირებისთვის, ისე, როგორც უახლოეს მომავალზე რამენაირად გააზრებული ვარაუდებისთვის, ასეთი ნიშნები დიდ დახმარებას გვიწევენ...

ჩ) ..."იმის დახმარებით, რაც განხორციელდება მხოლოდ როგორც კვალი არყოფნისა და რომლის მატარებელსაც განხორციელების მომენტიდან შეცვლა არ შეუძლია, კონცეპტი, ინახავს რა წარმავალის ხანგრძლივობას, წარმოქმნის ნივთს. ცოტაა"...

16.

მაგრამ ისინი - ეს ხმები - ერთმანეთს არ იცნობენ. არ შეიძლება ითქვას, რომ მათი არსებობა ნიშნავს ზარალს და ერთმანეთისკენ ლტოლვის შეუძლებლობას. მისი დანაოჭებული მარჯვენა წინა ფეხი უძრავია, მაგრამ გადაადგილებადი. ის პირს განხვნის და ყველაფერი დალაგდება, დადგება, როგორც ამღვრეული წყალი, როგორც შედარების წარუმატებლობა. ამტკიცებს, რომ არაფერი არაფრიდან არ გამომდინარეობს. უფრო მეტიც, - რომ ასეთი სპეკულაციები მოდაში აღარაა. ის, ვინც მოაჯირს ამოფარებია, პასუხობს: თუ რაღაც ერთხელ იყო მოდაში, ისევ იქნება. მერე გამოდის და ტაშს უკრავს. სავარძლის გაცრეცილი ზურგი არაფერზე აღარ მეტყველებს. ეს საკმარისია, რომ მისი გული დამძიმდეს და წავიდეს ქვევით, ფსკერისკენ. ეს საკმარისია, რომ იმან, აქეთ მომავალმა, ნაბიჯს აუჩქაროს, მერე კი სულაც გამოიქცეს. სულ არაფერზე, წარმოგიდგენია? იქ ვინც იდგა, ისიც ხომ შენ იყავი. მაინც ნუ შეიკლავ იმაში, ხელში. მაინც ნუ გაწირავ. ახლა კი კარგად მომისმინე.

17.

ჩვენ ცოცხალი ქათმით ვთამაშობდით ფეხბურთს და ერთმანეთს სულაც არ ვუგებდით.

ჩვენ ვამბობდით: "ზუფერ, ზუფერ მაგას".

ჩვენ განვრისხდით, თვალები მივიხურეთ და გავქრით.

ჩვენ ანცი გოგონებივით შევრბოდით და გამოვრბოდით ერთმანეთში, მაგრამ გვეშინოდა.

ჩვენ ისე გვციოდა, როგორც მოსალოდნელია, თუ დღისით, მზისით.

ჩვენ გაუთავებლად ვახველებდით წარბ-წამწამების და ქუჩის მიღმა.

ჩვენ კიდევ ერთხელ მიმოვიხედეთ და ეს რა დავინახეთ.

ჩვენ ერთმანეთს ვაგულიანებდით: "აბა, ვინმემ ხომ არ მოიგო?".

ჩვენ ყურები ერთმანეთს დავუგდეთ და უშველებელი ნაბიჯებივით წიგნისკენ გავხტით.

ჩვენ ცხენებს ხელები დავტაცეთ და ერთმანეთს გავუცვალეთ.

ჩვენ არც ცას დავუნიშნივართ და არც ერს გავუზრდივართ.

ჩვენ ცხრა კარი გავაღეთ, მაგრამ როცა მეათე ვერ გავაღეთ, ყურები ჩამოვყარეთ და უკან აღარ დავბრუნებულვართ.

ჩვენი სიტყვები კანონები არიან იმათთვის, ვისაც ფეხზე გადადებულ ფეხში გული უცემს.

ჩვენ გვიყვარს სიმღერები, რომლებიც მღერიან და ცეკვავენ თავდავიწყების და ჩვენი ჩათვლით.

ჩვენ სკამებს და ბურჟუაზიას ვერჩით.

ჩვენ ისტორიული ხედვა გვაქვს და ზომიერების გრძნობა გაგვაჩნია.

ჩვენ სათვალავში ჩავვარდით.

ჩვენ სიტყვა შევასრულეთ და კიდევ ერთხელ გავქრით.

ჩვენ ვართ უღარიბესთა და შარვლიანთა ფენა.

ჩვენ გულწითელები მოვიქნიეთ და მიწაზე დავანარცხეთ სიზმრის მიწურულს.

ჩვენ ვინც გამოგვყვება, ინანებს მაშინაც, როცა მარცხნივ წავა, მაშინაც, როცა მარჯვნივ წავა, მაშინაც, როცა პირდაპირ წავა და მაშინაც, როცა უკან დაბრუნდება.

ჩვენ ანაზდად აღმოვჩნდით ერთმანეთის გვერდით და კიდეზე.

ჩვენ ერთმანეთი ყოველთვის უდროო დროს გვიყვარს, მაგრამ ლუდიც გვემახსოვრება.

ჩვენ სადაც ვართ, იქ ძაღლის თავი მარხია.

ჩვენ ვინც გამოგვყვება, ინანებს, ჩვენ თუ არ გამოგვყვება.

ჩვენ ვკლავთ გულებს, რათა იდინონ.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვართ ჩვენი ერის სინდის-ნამუსები.

ჩვენ მაღაზიაში შევიძინეთ კბილის სახეხი მოწყობილობა და ნდობით აღვიჭურვეთ.

ჩვენ ხინკალიც გვიყვარს ლუდთან ერთად.

ჩვენ არ მივუძღვებით ერს არც წინ და არც უკან.

ჩვენ დავახურდავეთ ნაირ-ნაირი სიდიდის ფული.

ჩვენ არ გვაღირსეს აფრენა, მაგრამ არც ჩვენ ვეღირსეთ.

ჩვენ გვჯეროდა: "ვინ მოიგონა, ვინ მოიგონა აკვარიუმი ოქროს და სხვა ფერის თევზებისთვის?".

ჩვენ, ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი წაგვიკითხავს.

ჩვენ ისინი ცისფერი ეკრანიდან მოგვიწოდებდნენ, ხოლო როცა ქუჩებში გვხვდებოდნენ, გვილიმოდნენ და გამარჯობას გვეუბნებოდნენ.

ჩვენ დედის ძუძუ გვიწოვია.

დიახ, აფრენას არ ვეღირსეთ.

ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვუძღვნიდით იმას, რაც ყელამდე გაგვაჩნდა: სამშობლოს (ასე ვერთობოდით).

ჩვენ შემოდგომაც გვიყვარს, მაგრამ ძალიან ცოტანი ვართ.

ჩვენ თავი შორს გვიჭირავს წევრებისგან და დეპუტატებისგან, მაგრამ ვიცით, რომ თუ ეს თავი ჯერაც მხრებზე გვადგას, ისევ - წევრების და დეპუტატების წყალობით.

ჩვენ რიგ-რიგობით გავდიოდით ტუალეტში, ვისაქმებდით და შემოვდიოდით, რაც საკმარისი იყო ჩვენი ბედნიერებისთვის.

ჩვენ არ ვგავართ ტელე-კინე-ვიდეო კაცებს, რომლებიც ერთბაშად კეთილი ხალხია.

ჩვენ ცეცხლი გავაჩაღეთ და არაყი დავლიეთ.

ჩვენ რაღაც უფრო სასარგებლოც მოვიმოქმედეთ, მაგრამ აღარ გვახსოვს.

ჩვენ ვამბობდით: "ზუფერ, ზუფერ მაგას!".

ჩვენ სიზმრებს ვხედავდით, სიზმრებში - ერთმანეთს.

ჩვენ ეს ზაფხული ზღვაზე გავატარეთ.

ჩვენ რედაქციის კუთხესთან ვდგავართ და ვათვალიერებთ მანქანებიდან გადმომავალ ქალებს და გოგონებს.

ჩვენ არც ისე ხშირად გვწყურია წყალი.

ჩვენ, სხვათა შორის, კარგები ვართ.

ჩვენ პირველად ვნახეთ ჩვენს სიცოცხლეში დამპალი ვაშლი, რომელიც გაშავებულიყო.

ჩვენ გავურბივართ მედიკამენტებს, რათა ვიცოცხლოთ.

ჩვენ სიზმრებში ერთმანეთს გასაოცარ პოზებს ვანიჭებთ.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უსინათლობა ჩვენი სანთლური ყოფის განუყრელი ელემენტი გახდა.

ჩვენ კიბორჩხალას ხორცს გემო გავუსინჯეთ.

ჩვენ, სხვათა შორის, ძალიან გვიხდება ჩვენი თავი.

ჩვენ სახეები დავმანჭეთ და პირში ფრჩხილები გამოვივლეთ.

ჩვენ ბევრი მტერი გვყავს იმათ შორის, ვისაც არაფერს არ ვუშავებთ.

ჩვენ ისევ რედაქციის კუთხესთან ვდგავართ და ვათვალიერებთ მანქანებში შემავალ ქალებს და გოგონებს.

ჩვენ რომ დამპალი ვაშლი ვნახეთ, დამჭკნარი როდი იყო.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ცალ-ცალკე ვხდებოდით, ერთად კი ვსივდებოდით და ვმახინჯდებოდით.

ჩვენ ვხედავდით, დროდადრო როგორ ჩამოდიოდნენ ისინი საიდანღაც და გულდასმით გვპატრონობდნენ.

ჩვენ საღამოს ბავშვები ბაგა-ბაღიდან გამოვიყვანეთ და პედაგოგებს თავაზიანად დავემშვიდობეთ.

ჩვენ ქ(ხ)ირომანტიით არასოდეს დავინტერესებულვართ.

ჩვენ სამ ლარს ერთი ფოლაქი დავუმატეთ და საქმესაც კარგი პირი გამოუჩნდა.

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს მტრებს უნდოდათ, ჩვენნაირი მტრები ჰყოლოდათ.

ჩვენ თოჯინებს თმები შევკრიჭეთ, მუცლები წითლად შევუღებეთ და თავში ერთმანეთს არნახულად ვურტყით.

ჩვენ ბოლოსდაბოლოს მწვადების და ასოების ერთმანეთისგან გარჩევაც ვისწავლეთ.

ჩვენ დავთქვით შეხვედრა მარსზე და გულამომსხდრებმა ვიტირეთ.

ჩვენ ავყვირდით: "ბებია, ბებია!".

ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თუ გაძლებას შევეჩვეოდით, გადარჩენაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა.

ჩვენ ვთქვით, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ აიტაცეს თუ არა ჩვენი განაჩენი, ცხენებს ისევ ხელები დავტაცეთ და ყურები ჩამოვყარეთ.

ჩვენ ისეთი, ისეთი სენტიმენტალურები ვიყავით, რომ.

ჩვენ ავტონომიური სახელმწიფო უნივერსიტეტი სულაც არ დავამთავრეთ თურმე.

ჩვენ პურს ყველი და კარაქი მივატანეთ.

ჩვენ თვალი მოვკარით საათის წიკწიკს.

ჩვენ ვერც ამჯერად შევუნარჩუნეთ სიტყვებს და მურაბას სიცინცხალე.

ჩვენ სულაც არ გვაინტერესებდა ჩვენი წლოვანება.

ჩვენ ფეხებსაც ვერ მოვჭამდით ხოლმე ერთმანეთს.

ჩვენ საქმეს ვერ ავუვედით.

ჩვენ ვერც ტომატპასტას შევუნარჩუნეთ სიცინცხალე.

ჩვენ თუ ჭკვიანად არ მოვიქცევით, თავს და ენას მოგვაგლიჯავენ და კაკალს ვეღარ ვუყრით.

ჩვენ ვჭამეთ ბევრი რამ და საკვირაო სკვერში დავისვენეთ.

ჩვენ ვამბობდით: "ზუფერ, ზუფერ მაგას!".

VII
მ ო ს ა ც დ ე ლ ი

1.

რომ მან მიმართა მკურნალობის ჰუმანურ მეთოდებს, და, აი, მაგალითად, მის განყოფილებაში ნევროტიკები და შიზოფრენიკები სავსებით ერთად მოთავსებულან. პოსტი მოხსნილია. გაუქმებულია სპეცსაწოლები. თუ შემიძლია, წარმოვიდგინო: მაღალმა ღმერთმა მათ წაართვა უძვირფასესი განძი, - გონება. აქ მოდიან ჟურნალისტები, რომლებიც მათ, მის ამ ავადმყოფებს, გიჟებს უწოდებენ, და ზოგიერთი უპასუხისმგებლო ექიმის უნებართვო ხელშეწყობით სურათებსაც კი უღებენ, ეწევიან ტელევიზიით მათ გამოყვანას და საჯარო ჩვენებას, რაც ყოვლად დაუშვებელია. დაძრწის მრავალი, ჰონორარს მოწყურებული, ჟურნალისტი და ეძებს სენსაციურ მასალას. ავადმყოფი დაცვას საჭიროებს, ის მგრძნობიარე და სათუთია, წინხედში მისი გადაღება აღმაშფოთებელია და მშვიდად ლაპარაკს არ ექვემდებარება. მობრძანდით, მოგიყვანთ ავადმყოფს, დავსვამთ ზურგით. ესაუბრეთ; თუ გნებავთ, ჰკითხეთ კიდეც რაღაცრაღაცეები. მაგრამ რაც შეეხება საინფორმაციო, კერძოდ მასობრივ, მედიაში მათ გამოჭენებას და გადაღებას, რა მორალური გამართლება შეიძლება ჰქონდეს. სხვა თუ არაფერი, მათთან კონტაქტი თუნდაც იმიტომაა რთულ პრობლემებთან დაკავშირებული, რომ ისინი მედიკამენტების და პრეპარატების აქტიური გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ვერ ამყარებენ სრულფასოვან კონტაქტს გარემოსთან, ამიტომ მათთან კონტაქტი რთულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ერთი ავუხსნა, რომელ ნორმალურ სამკურნალო პროცედურაზეა ლაპარაკი, როცა მედიკამენტები უზომოდ ძვირი ღირს და კლინიკის მიერ მათი, ამ მედიკამენტების, შეძენა პრაქტიკულად და საერთოდ შეუძლებელია. ამას ისიც ემატება, რომ ავადმყოფები მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიან, მშობლებს და ახლობლებს კი, როგორც თითოეულს ჩვენთაგან, მედიკამენტებით საავადმყოფოს მომარაგება, უკაცრავად პასუხია, განა სად შეუძლიათ. ახლა მას აინტერესებს, რამდენად გარკვეული ვარ ჩემთვის საინტერესო საკითხებში. ის თვლის, რომ ჯერჯერობით მაინც ასე აჯობებს. რა თქმა უნდა, ასე აჯობებს. მერე და მერე გამოჩნდება. და, იქვე, უღრმესი, უღრ-

მესი მადლობა. რას ვბრძანებთ, პირიქით, ის ყოველთვის მზადმყოფია, დახმარება გაუწიოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რითაც შეუძლია. და, გმადლობთ, ბრძანდებოდეთ, რის მერეც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერი რიგზეა და აუდიენციამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, ერთი ნაკვთიც არ შემრხევია, ვიყავი მშვიდი და კონცენტრირებული, ყურადღებიანი და ოდნავ დაძაბული. დამაკმაყოფილებლად, რა თქმა უნდა, ჩემთვის. ნუთუ, ჩემშიც პაციენტის ამოცნობას ცდილობდა მეთქი. მხოლოდ ერთხელ გამექცა თვალი, ჩემგან მარცხნივ, კედელზე ჩამოკიდებული რეპროდუქციისკენ. მე სავარძელში ჩავძირულვარ, სურათზე კი შემოდგომის ერთი ჩვეულებრივი დღეა ასახული. ადამიანებით. იქნებ, არცაა შემოდგომა. რამდენიმე ადამიანი ფოთლებით მოფენილ ეზოში დგას და ერთმანეთს უღიმის. ალაგ-ალაგ ფოთლები ისეა თავმოყრილი, რომ გუბეებს ემსგავსება. მოღიმართაგან ერთ-ერთს ხელში დიდი ჩანთა უჭირავს, მხარზე კი ეს-ესაა ხიდან მოწყვეტილი ფოთოლი დასცემია, და მხატვრის სურვილი, რომ ამ დეტალმა მიიპყროს ჩვენი ყურადღება, წარმატებით რეალიზდება. განწყობის შესაბამისად, მავანმა ეს ფოთოლი შეიძლება უცნაურად დასკუპებულ და ცალფრთაჩამოშლილ ჩიტს შეადაროს. მოკლედ, მხატვარს თითქოს უნდოდა ეთქვა, - მოასწარით მოღიმარი არსების მხარზე დაცემული ამ ხმელი ფოთლისთვის თვალის შევლება, თორემ სადაცაა ჩამოცურდება და მიწაზე მიმოფანტულ ფოთლებში ჩაიკარგებაო. ამ ადამიანების უკან კი დიდი შავი ხეა ამართული, პერსპექტივას ბეჯითად რომ აფარებია და ოდნავ აღიზიანებს მზერას. ერთი სიტყვით, საკმაოდ სულელური ნახატია, რეპროდუქციის ფაქტი კი - უფრო სულელური. ტუჩის მარჯვენა კუთხე, როგორც ჩანს, შესამჩნევად დამებრიცა, როცა სურათს ასეთი უნუგეშო განაჩენი გამოვუტანე, რაკი მასპინძელმა ქალბატონმა ექიმმა წინადადება შუაზე გაწყვიტა და გაკვირვების ამრეკლავი პაუზით შეაერთა. უეცრად ისეთი განცდა დამატყდა, თითქოს ჩვენშიც რაღაც გამთლიანდა, და ყრუ სიამოვნებამ მომიცვა, გავინაბე და სმენად ვიქეცი. ისევ ამოტივტივდა თავში ის ძველი კითხვა, რომელზეც დამაკმაყოფილებელ პასუხს უკვე აღარ ველი, არც ადამიანებისგან და არც წიგნებისგან: რას ნიშნავს, რომ ადამიანის ფორმირება სოციალური გამოცდილების შეძენის ხანგრძლივი დინამიკური პროცესია. დიახ, თავს დამატყდა. ალბათ, ეს ნიშნავს რას და მეტს არაფერს. დიახ, მხოლოდ რას. განა ამ სურათის ფორმირებაზე მსჯელობა ნაკლებად ეფექტური იქნება? მაგრამ საკმარისია, ყურადღება მოვადუნო, ოდნავ მოვეშვა, რომ ჩემი მასპინძლის პროფესიული პასუხისმგებლობა მთელი თავისი პატიოსნებით იფეთქებს და მომართული იქნება ჩემზე, უნუგეშოდ

დაუცველ სტუმარზე, რომელსაც კარგად გაუცნობიერებია თავისი მდგომარეობა და შექმნილი სიტუაციის ამბივალენტური ხასიათი. ამიტომ, იძულებული ვარ, უწყვეტი დაძაბულობის ფასად, ვინარჩუნებდე სიმშვიდეს და გამომეტყველების ნეიტრალურ ხასიათს, უთქმელ ეტიკეტს. ხოლო როცა ის, მესამე, ზის, მე ვიბნევი და გაკვირვებული ვიჭერ უხილავ იმპულსებს, ჩემს თავში გაჩენილ ანტინორმატივებს. ის, ალბათ, ჩემზე ორი-სამი წლით უფროსია, სუსტი, მილეული, ერთიანად მილეული, ერთიანად სუსტი და მოღლილი; თავის უმწეობაში, როგორც სავარძელში, ჩასვენებული, გულწრფელად ფიქრობს, რომ საკონფერენციო დარბაზში თავმოყრილ ამ ხალხს მისი გადარჩენა შეუძლია. აკი, ამიტომაც დათანხმდა, არა? აქ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ამბებიც ხდება. ამას ის ფიქრობს, მესამე, რომელსაც ახლა, ამ ერთი შეხედვით რიგით წუთებში, წარდგენილი ავადმყოფი ჰქვია. და რაღაც უფრო მნიშვნელოვანი მიმდინარეობს როგორც მასში, ისე - მის გარეთ. მხოლოდ ესაა, როგორღაც იმაზე უფრო მეტად უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს, ვიდრე ოდესღაც უკავშირდებოდნენ. მაგრამ "ოდესღაც" თუ იყო ოდესმე? ერთი ჩვეულებრივი დღეა ასახული, რომლის იქითაც რომელიღაც, ჩვენთვის უხილავ, პერსპექტივაში ჩვენ ვიმყოფებით, უკვე აღარაფრის მოიმედეები, ძახილის ნიშნებს მინებებულები და მკაცრები, ოი, როგორი მკაცრები. ისინი კი, სწორედ ამ დროს, სავსებით ერთად მოთავსებულან, ერთმანეთს უნაწილებენ სათქმელს, რომელსაც კვლავ და კვლავ ერთად ეძებენ. ხოლო წარდგენილი, მესამე, თითქმის აღარც ეძებს და აღარც უღიმის თავის სიმარტოვეს, ცხოვრების სიჩლუნგეს, რომელსაც მან ვერაფერი გაუგო ერთ დროს. რომ

არ ვარ ცოცხალი. არა, მკვდარი ვარ. როგორ და ასე, არ ვარსებობ. მე დავკარგე ჩემი ტანი, უკვე რა ხანია. ვსაუბრობ, გისმენთ, ვეძებ საშველს, დავტირი კოსმოსში გადახვეწილ ჩემს ლტოლვილებს, მაგრამ ეს ხდება ჩემს სიკვდილში.

ესე იგი, თქვენ ახლა მკვდარი ხართ.

არა, მე არ მითქვამს, მკვდარი ვარ მეთქი. მე გითხარით, რომ რაც ჩემს თავს ხდება, ყველაფერი სიკვდილშია. აი, გიხსნით, გესაუბრებით, თქვენ ცოცხლები ხართ, მე კი - სიკვდილში. და ეს აქ ხდება, ამ დარბაზში, მაგიდასთან. მე რომ მკვდარი ვიყო, თქვენ მე როგორ გამიგონებდით. ჯერ სიკვდილში ვარ, ჩემი ტანია სიკვდილში და ამიტომ ვწუხვარ. თქვენი ტანი სიცოცხლეშია. თუმცა, დავიღალე, აზრებს თავს ვერ ვუყრი, იმიტომ, რომ თავში პური მაქვს. ტანნი თქვენნი.

როგორ თუ პური გაქვთ.

ჩვეულებრივად. როცა ვყლაპავ, თავში მიდის და არა კუჭში. უფრო

სწორად, მე თვითონ ვუშვებ საჭმელს თავში. ერთხელ კუჭში გავუშვი და ამეშალა. ეს აუტანელი განსაცდელია. ამიტომ, თავით ვჭამ, თავში ვღეჭავ და მაინც ცუდად ვარ. კუჭი ამეშალა მეთქი.

რომ დიდი ხნის წინ დაიწყო და უფრო და უფრო გაუარესდა. როგორ თუ რას ნიშნავს. იმას, რომ ცუდად არის. რომ მარტოა და სახლში ვერ ჩერდება. დიახ, გამოაგდეს. დიახ, სულაც არ გამოუგდიათ. თვითონ მოვიდა, რაკი ეგონა, გადამარჩენენო. თვალი იმიტომ ჩალურჯებია, რომ გუშინ, ღამით, ავადმყოფი ცემა, რომელიც თვითონ სულაც არ იყო, ვინაიდან მკვდარია და უნდოდა მომკვდარიყო. ვერ იტანს ვერავის, ვინაიდან მას ვერ იტანენ. ის წავა აქედან, უყვარს მოსკოვი და რუსეთი. რაც მკვდარია, უნდა მოკვდეს კიდეცმეთქი-ო.

რუსეთში რა გინდოდა.

ამერიკული სოციოლინგვისტიკის ისტორიაში მოიპოვება დიგლოსიური სიტუაციის ცნება, რაც აღნიშნავს ენაში ოფიციალური და არაოფიციალური სტილების მკვეთრ ურთიერთგანსხვავებას როგორც ფუნქციურად, ისე შინაარსობლივად. ეს ისე, კარგო, სხვათაშორისო.

სამკურნალოდ წამიყვანეს, მაგრამ რომ ჩავედი, ნამცხვარი ვჭამე და წამოვედი, აღარ მომინდა იქ მკურნალობა. მივხვდი, რომ ვერ მიშველიდნენ და ნამცხვარმა მომხიბლა. რა თქმა უნდა, სასტიკად არ მიყვარს. რუსეთი მიყვარს. თუ ჩემი შველა არ შეგეძლოთ, რატომ მაწვალებთ. მე ხომ ვიცი, რომ ჯერ კიდევ მკვდარი ვარ.

და მის თავში პური აუცილებლად არის გული, რომელიც ფეთქავს და გადარჩენისგან იცავს მის ავადმყოფობას, რომელიც მას ყოველთვის დაიცავს ნებისმიერი რეალური თუ შესაძლო ექიმის შესაძლო სიკეთისგან, რომელიც მათვე უბრუნდებათ, ამ რეალურ თუ შესაძლო ექიმებს. ის კი რას ხედავს თავის ირგვლივ, თუ არა ერთობას, მრავალთა ერთობას, რომელიც თავის სიმართლეს იცავს. ისინი, მრავალნი და ერთნი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს არა მხოლოდ ამტკიცებენ და ასაბუთებენ ან, უბრალოდ, დემონსტრირებულყოფენ, არამედ იცავენ კიდეც. და მერე ვისგან? ამისგან, წარდგენილი ავადმყოფისგან, რომელიც მარტოა და ამიტომ ვერ იცავს თავის სიმართლეს. აქ ხომ რაოდენობის ფაქტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს სიმართლის, და არა ჭეშმარიტების, გარკვევაში თუ სამართლიანობის აღდგენაში, დადგენაში, განახლებაში. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როგორ იცხოვრებს, თუ ყველა უნდა ერთნაირად მოკვდეს, ესე იგი, სული ამოსძვრეს. ეს ხომ რაღაც იდიოტურზე აუცილებლად მიუთითებს. თუნდაც იმაზე, რომ პური მის თავში აუცილებლად არის გული, ხოლო გულის ჩარეცხვა, თორმეტგოჯა ნაწლავის გავლით მისი მოგზა-

ურობა დაუშვებელია. ნუთუ, ავადმყოფი უნდა ეწოდოს იმას, ვინც ასეთ მარაზმს წარმოდგენაშიც კი არასდროს დაუშვებს. ნუთუ, ესაა მთელი მისი სიგიჟე და დანაშაული. ხოლო თუ ეს მაინც ასეა, მაშინ დანაშაული ყოფილა ისიც, რაც მაშინ მოხდა, როცა სულ სხვა დროში და სხვა კოსმოსში გამოკიდებულმა, მან, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას რაღაც შესთხოვა. მაშინ ეს სულაც არ იყო "რაღაც". ეს ძალიან კონკრეტული სათხოვარი იყო, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული, ყოვლად და ყოვლად მოტივირებული. აი, ხვალ გამოსაშვები გამოცდა გაქვს, შენ კი მზად არ ხარ, არც ერთი თემატური საკითხი კარგად არ იცი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გადგას თავზე, შენ კი დგახარ აივანზე და გამოსავალს იმაშიც კი ვერა, ვერ ჰპოვებ, რომ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გადგას თავზე. მაგრამ შენში ვიღაც მაინც იმარჯვებს და ცას ეხვეწება: ხვალ, საკონტროლო-გამოსაშვებ-ქართულ-წერაში ისეთი თავისუფალი თემა გამოგზავნე, ფრიადზე რომ დავწერ. ეს კიდევ არაფერი, კონკრეტულ თემას უსახელებ შენთვის ყოვლად ხილულ ადრესატს. და, მეორე დღეს, გამოსაშვებ გამოცდაზე, მასწავლებელი სწორედ იმ თემის სათაურს წერს თეთრით მწვანეზე, შენ რომ ისურვე. ეს თემა უკვე დაწერასაც არ საჭიროებს. შენ, რა თქმა უნდა, თემას მაინც წერ და ფრიადსაც ღებულობ, მაგრამ როცა მსგავსი სასწაული ხდება, ამის იქით რა უნდა მოხდეს უფრო საჭირო და სასიხარულო. არა, არაფერი. ამ სასწაულს ხომ ქვეყნად ნიშანს ვერავინ დაუწერს, ვერავინ შეაფასებს. და რჩები საშინლად მარტო შენს კოსმოსში, ცაში, ვარსკვლავებში. უჩინარდები შენში მომხდარი სასწაულის საძიებლად, თუმცა შენმა სოციალურმა მეხსიერებამ არ იცის და ვერც გაიგებს, ვერასოდეს ვერ გაიხსენებს, ეს სასწაული როდის დაიწყო. ძირს

პათეტიკა! აქ კი არ ხდება? რას გიმალავენ ექიმები? ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ იცი, რომ ორჯერ ორი ოთხია და ბედნიერი ხარ, რომ, ამ ცოდნის მცოდნემ, შეგიძლია ყოველთვის თამამად ამტკიცო ორჯერ ორის ოცდაორობა. აქვე კი, რა თქმა უნდა, სწორია, ცხადია, შენივე თავს გიმალავენ, მართალია, სწორია, ცხადია. ვერა, ვერ ჰპოვებ. არც სარკის წინ ვდგავარ მას მერე. სარკეში კი ყოველთვის ვიდექი. განაჩენიც იქ წავუკითხე საკუთარ ჩემს თავს, სარკის კულისებში. ვერა, ვერ ვპოვე. მხოლოდ დიდი შავი ხე იყო ამართული და იმას ვაკვირდებოდი, ავცქეროდი მხრებში მოხრილი, რაც ძალიან მსიამოვნებდა. თუნდაც იმიტომ, რომ შენელებული კადრივით იყო და ჩემს მოძრაობებს მახსენებდა, როცა ჯერ კიდევ არ მიჭერდნენ ხოლმე ქუჩებში. სამ მოღიმარ კაცთაგან ერთი მამაჩემია. ის პურის მოსატანად გაგზავნა დედამ, თვითონ კი სააბაზანოში პირსახოცი შეიტანა და კაუჭზე ჩამოკიდა, თეთრი და ქათქათა. ახლა თანამოსა-

უბრეებთან ერთად დგას და მშრომელი მარჯვენით ლუდის ქილას ანჯღრევს. იგი ახლა მამაა ჩემი. როგორც ჩანს, ქილაში აღარაფერია, რაკი ყოველთვის ასე სჩვეოდა, - ძირამდე რომ დაიყვანდა, ნჯღრევას მოჰყვებოდა და ღიღინს. ვიდრე ცოცხალი იყო, მუსიკოსიც იყო, ჩემსავით. რაც შეეხება შავ პიანინოს, იგი ყოველთვის საკრავი ინსტრუმენტის სახით იდგა ჩვენს ბინაში. მე არ ვუკრავდი იმიტომ, რომ ერთხელ დედამ თქვა, განვადებით დგასო. ასე რომ

კართან ვარ ატუზული და გამოძახებას ველი. ვიღაც უხმობს თავის ქერა ნაცნობს. ტუჩები წითელი პომადით აქვს სავსე და ბრჭყვიალა საყურეები ჰკიდია ყურებზე. ეს - იმას, ვინც უხმობს. მერე ფეხი გადადგა და გაიცინა, ქურთუკის ღილებს იკრავს და ხუმრობით ბრაზობს, სათვალის ლინზებიდან დიდრონი, გაბრწყინებული თვალები მოუჩანს და ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ მომწონს. იქნებ არც მომწონს, მაგრამ ჩემი ყურადღების ველში უდავოდ ექცევა მისი ხელის მოძრაობაში ამოკითხული სილაღე, რომლითაც სავსეა მთელი მისი გამომეტყველება, რომლითაც პასუხობს მიმხმობის მოთხოვნას, რომ ის მას ახლავე ეახლოს, და ის მისკენ გრძელ ნაბიჯებს დგამს, უკან ტოვებს სკამების მოკლე რიგს და წარწერებით აჭრელებულ ჩანთას, რომელიც ათიოდე წუთის წინ მოსწავლემ მაგიდისკენ მოისროლა და მაშინვე გაუჩინარდა იმ კარში, რომელიც აღებს დერეფანს და მეორე კორპუსში გასვლისკენ მიბიძგებს. წარწერები გაურკვეველია ჩემთვის, ვისთვისაც გაურკვეველია ლათინურის პერიპეტიები. ჩანთაში, ალბათ, დევს ორიოდე წიგნი და რვეული, რომელთა ერთობასაც ეს ჩანთა გამხმარი კანივით გადაკვრია და შიმშილით გაჩხინკულ, ფერდშევარდნილ ძუკნას ამსგავსებს, ქეციანს და საწყალს. და თუ მიზიდავს, მომწონს კიდეც, და ის ამას უთქმელად ხვდება და ცდილობს დამამციროს და მიემართება იმისკენ, ვინც, კედელს მიყრდნობილი, უხმობს, თან სტენდის კიდეს აწვალებს მსხვილი, დაგრეხილი ბეჭდით, რომლის თვალიც ვერ ელავს ამ ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში, საიდანაც კარს მეორე კორპუსში გავყავართ, როცა მოვისურვებთ. ჩემთვის რაღაც ისეთს ვჩურჩულებ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩემს სურვილს, აქედან მოულოდნელად გავქრე და აღარ ვიყო, არც აქ და არც არსად, სადაც ვინმე ქალი ვინმე კაცს უხმობს დერეფნის ერთი ბოლოდან მეორისკენ. იატაკზე ლუდის ცარიელი ქილა მიგორავს. ვიცი, ორიოდე წამში ფეხი უნდა მოხვდეს და კუთხისკენ გატყორცნოს; ხმაური სკამზე ჩამომჯდარ მოხუც ქალბატონს გააღიზიანებს, და თავს უკმაყოფილოდ გაწევს განზე, ლუდის ქილის საპირისპირო მხარეს, კარადისკენ, რომლის წაბლისფერი სიმძიმე კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის აქ ყოფნას და რომ არა ლამაზი მოძრაო-

ბებით დაჯილდოებული ქერა ასული, ვფიქრობ, მისკენ სწრაფი ნაბიჯებით მიმავალი ნაცნობი არ მიმიზიდავდა თავისი მომხიბლავი სიცილით. გამოძახებას ველოდები. თავს მოხუცი ქალბატონი გაწევს. ვიხრები და ცხვირსახოცს ორი თითით ვიღებ, ისევ ვჭმუჭნი და ვაწვალებ, მერე ხალათის მარცხენა ჯიბეში ვიტენი, თითქოს თავისუფლად სულაც არ თავსდებოდეს; ღიმილი სახეს მიმანჭავს და მაიმუნს მამსგავსებს, რა სასაცილო სანახავი ვარ, ალბათ. ვერაფერი, სულ ვერაფერი ვერ გავიგე. ისინი ამბობენ: "გამარჯობა, ჩვენ აქ იმიტომ მოვიყარეთ თავი, რომ დაგეხმაროთ". მაგრამ მატყუებენ. მე ვიცი, რომ ერთად შეგროვებული ამდენი თეთრხალათიანი თუ უხალათო ექიმი ან ადამიანი ვერაფერს მიშველის. საშველი საიდან მოდის, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ მშველელი ყოველთვის ერთი უნდა იყოს და არა უმეტესი, მით უმეტეს, არა ამდენი. თავი შევყავი და გამოვყავი, ჯერ ადრეა. მითხრეს, რომ ძალიან მალე შემიყვანდნენ და რომ უნდოდათ, ძალიან მალე უნდოდათ ეშველათ იმისთვის, ვინც ჩემი სახით ამ კედლებში გამოიმწყვდია თავი, იმისთვის უნდა ეშველათ. და როცა ისინი ერთმანეთს შეეჯახნენ, როცა ჩემს თვალწინ აკოცეს ერთმანეთს, დაბნეულმა ზურგი ვაქციე დარბაზის კარს და ჩემი პალატისკენ გავემართე, იმ ეზოს გავლით, სადაც ჩემი საყვარელი ცაცხვი იზრდება, მთავარი ექიმის კაბინეტში, მთავარ კედელზე ისერიგად დამახინჯებული, რომ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა, რა დამღუპველი უბედურებაა, ეს როგორ შეიძლება მეთქი, ისეთი უბედურებაა, მაგრამ მათ არც კი დაუშვეს, ჩემთვის აეხსნათ, რომ ჩემი ცაცხვი და ეს შავი, იქნებ სულაც გამურული, და გაქუცული ხე ერთი არაა, და მათ ეს კარგად მოეხსენებათ ჯერ კიდევ გუშინწინდელიდან მოყოლებული, როცა მთავარი ექიმის კაბინეტში თავშეყოფილს მისი, ჩემთვის უცხო ყმაწვილის, მშვიდი მზერა შემომეგება, მშვიდი და ერთიანად დაძაბული, მოცეკვავე ტკივილებით გამოხრული და გამოშიგნული. ოი, როგორ თავბრუდამხვევად იგრძნობოდა ჩემში მისი გამომეტყველების თითოეული იეროგლიფი. ის კი, ვითომც აქ სავსებით არაფერიო, კეთილი ღიმილით მითვალიერებს სახეზე ნაკვთებს; კი არ უკვირს, ერთბაშად იცის ჩალურჯებული მარცხენა თვალი, რომელიც მე მაქვს.

მომისმინე. აი, შენ ამბობ, რომ სიკვდილში ხარ. მაშინ თვალი რატომღა გაქვს ჩალურჯებული, ვინ დაგარტყა ან როგორ დაგარტყა.

ცდებით. აკი ვთქვი, მე დავარტყი მეთქი. მოვკვდი და დავარტყი. მე სიცოცხლე მინდოდა, ის კი ჩემთან დაპირისპირებას ცდილობდა და მე ვცდილობდი არ დამეთმო. როცა მოსკოვში გავემგზავრე, ეს წვალება ელვის სისწრაფით დამთავრდა. მე მიყვარს რუსეთი, სადაც ნამცხვრები

მივირთვი და უკან გამოვბრუნდი. როცა იქ ჩავედი, აღარ მომინდა იქ დარჩენა და უკან გამოვბრუნდი, თქვენ მოგაკითხეთ. მე ვფიქრობ, თქვენ შეგიძლიათ მიშველოთ, თუ წამლებს მოგიტანთ. მე კი მათ უკვე ვეღარ მოგიტანთ, კოსმოსთან კავშირი აღარ მაქვს, უკვე რახანია. დიახ, რახანია. აი, ასე ვცდილობდით ორივე. მაშასადამე,

ღრმად ჩავძირულვარ სავარძელში და ვუსმენ ნაკადულივით მორაკრაკე მის წესიერებას, რომელიც ჩემი ტვინის რომელიღაც კუნჭულში საკმაოდ მოუხერხებლად ჩაედინება და მოსვენებას მიკარგავს, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჩემი წვალება ეს-ესაა უნდა დამთავრდეს და მაშინ ერთი ნაბიჯით წინ ვიქნები, უფრო ღრმად შევალ ზედაპირში, რომელიც სადღაც აქვეა, მაგრამ ჯერჯერობით საკმაოდ მკვრივი ლიბრი გადაკვრია და რაღაცნაირად განმიზიდავს, შიგნიდან განმაგდებს. მითუმეტეს, რომ ნახეთ, ნახეთ, ესაა სია იმ წამლების, რომელთა გამოყენების უფლებაც მოგვეცა ამ წლის ბოლოდან და მომდევნო წლის დასაწყისიდან. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელმოკლე პატრონები ეძებენ სპონსორებს. რომ მან სიახლე დანერგა ორგანიზაციული თვალსაზრისით. რომ პოსტები კიდევ ერთხელ გაუქმებულია. რომ, გულწრფელად უნდა ითქვას, ავადმყოფები ერთმანეთს ერჩიან, განსაკუთრებით - საპირისპირო სქესისანი. აქ ერთი მოზვერია, საზიზღარი და საცოდავი, რომელიც თავიდან ქუდს არ იშორებს და დღენიადაგ აგზნებულ მდგომარეობაშია. ერთი მოვახსენო, თუ ამ მოზვერს პრეპარატი არ გაუკეთდა, განა რა გამოვა. საუბარია, რა თქმა უნდა, ურთიერთსაპირისპირო სქესებზე. არადა, ამან შეიძლება რომელიმე კეთილშობილი ქალბატონი, შესაძლოა ნევროზიანი, სასტიკად იმსხვერპლოს. ის კი, ჩემი კეთილი მასპინძელი, ამას არ დაუშვებს, მაგრამ, ისმის კითხვა, როგორ. განა ჩვენ რაიმესგან დაზღვეული ვართ? არა და არა. არა და არა. ის ერჩის უკლებლივ ყველას, ვინც მისი თვალთახედვის არეში ექცევა. არადა, მას კიდევ გააჩნია მოტოვებული მცირე იმედი, რომელიც ამშვიდებს და აფიქრებინებს, რომ მდგომარეობა უნუგეშო სულაც არაა. ნუ გგონიათ, რომ აქ დასახელებულ წამალთა რაოდენობის ნახევარს მაინც მიიღებს კლინიკა. და მაინც, ისინი მცდელობას არ აკლებენ და ეს თვალნათლივ ჩანს აი, თუნდაც მისეულ განყოფილებაში. თავაზიანი შეხვედრებით გულაჩქროლებულს შეიძლებოდა ეფიქრა კიდეც რაიმე უხამსი. მაგრამ მაშინვე დავბრუნდი და სავარძელში ღრმად ჩავესვენე, მადლიერების გამომხატველი ჩემი სახე ავიფარე თვალწინ, პირისპირ, და ვიგრძენი, როგორ დავიღალე. იქნებ ამიტომაც აღარ ვისურვე იქ დარჩენა და დედას მოვთხოვე, დავბრუნდეთ მეთქი, რაზეც თანხმობა მივიღე. ამის აღნიშვნა საჭიროა თუნდაც იმიტომ, რომ ავადმყოფი

ბოდვითი იდეების ტყვეობაში იმყოფება, მაგალითად, მან დიპლომი იმიტომ დახია, რომ სამსახური ვერ იშოვა. მას ხომ შეეძლო დიპლომის შენახვა და სამსახურის ძიება სხვადასხვა მიმართულებით. როცა ჩვენ პასუხი მოვთხოვეთ, დაიძაბა და აგრესია გამოხატა შუბლის შეკვრით და კბილის კრეჭით, გვიყურებდა უნდობლად და დამცინავად. განსაკუთრებით არ ესიამოვნა მითითება, რომ დიპლომი იმისთვის არსებობს, რომ შენახულ იქნას და არა იმიტომ, რომ პირველივე ყოფით-სოციალური წარუმატებლობისთანავე დახეულ იქნას და ცეცხლს მიეცეს. ავადმყოფი ვერ გვპასუხობს, რატომ გაიქცა სახლიდან ამ ათიოდე წლის წინ, როცა მშობლებმა სარკე დაუმალეს, რომელშიც იგი საათობით იცქირებოდა და რომლის პირისპირაც გაუნძრევლად იჯდა. საინტერესოა, რას ხედავდა იგი ამ დროს თავის თავში. გამორიცხული არაა, რომ სწორედ მაშინ განუვითარდა კოსმოსურ ძალებთან კავშირურთიერთობის მოთხოვნილება და ონეიროიდის მძიმე შეტევები აღენიშნა, რაც მალევე შენიშნეს მისმა მშობლებმა, რომლებიც პირველ ხანებში ინტერესით ისმენდნენ ქალიშვილის საოცარი თავგადასავლების სერიას, მაგრამ როცა თხრობა გაუფერულდა, მიმართეს ექიმს, ქერა მამაკაცს, ვისმა გულისხმიერებამ და სითბომ მოხიბლა და დაატყვევა ავადმყოფი და შინდაბრუნებულმა მეორე დღესვე აიძულა მშობლები, იგი კვლავ წაეყვანათ ქერა მამაკაცთან, რომელსაც დღემდე ექიმად მოიხსენიებს და ასეცაა. მაგრამ აქ პრობლემურია არა ექიმად მისი ყოფნის ფაქტი, არამედ მასზე ავადმყოფის ყურადღების პათოლოგიური ფიქსაცია. ტუჩის მარჯვენა კუთხე როცა ებრიცება, მაშინვე ხელს იტაკებს ხოლმე და ცდილობს, ტუჩი საწყის მდგომარეობას დაუბრუნოს. ხანდახან წარმატებით ახორციელებს ამ საქმეს. ზის სავარძელში და, აი, უცებ ტუჩი ებრიცება. ჩვენ არ ვიმჩნევთ, და ჰგონია, მართლა ვერაფერს ვამჩნევთ. იქნებ არც ჰგონია, მაგრამ მისი მოძრაობის სისწრაფე მიგვანიშნებს, რომ ცდილობს, ეს საქმე რაც შეიძლება სწრაფად და შეუმჩნევლად გააკეთოს. რაც შეეხება კორსაკოვის სინდრომს. მაპატიეთ. ჰოდა, მაშინვე პალატისკენ გაუტია, შემოგვწყრა, ასე ვთქვათ. მე კართან ვიდექი და ლოდინით რომ სული დამელია, მაშინღა წავედი, ადამიანებოო. მისი ყოველი ჟესტი, როცა ბრაზობს, მოითხოვს. თუმცა, რაკი სამედიცინო ტერმინოლოგიით მისი მდგომარეობის დახასიათებისგან თავის შეკავება მთხოვეთ, იძულებული ვარ ჩემთვის უჩვეულო ამპლუაში წარმოგიდგეთ, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, მით უმეტეს, რომ თქვენვე ინებეთ. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. იცით, ავადმყოფის თითოეულ ჟესტს, მიმიკას, მეტყველებაში გამოხატულ სიმპტომს, თუნდაც მის უმნიშვნელო და თქვენთვის

შეუმჩნეველ ნიუანსს რაღაც ჰქვია, რაღაცას განეკუთვნება და ამის გამორიცხვა წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, ძნელია გადალახო ცდუნება და არ თქვა ის, რასაც შენი პროფესიული გამოცდილება თვალნათლივ გიჩვენებს.

ხოლო როცა ჩემი წარდგენა დამთავრდება, თქვენი მეტყველება მადლობის ნიშნად თავს დამიკრავს და აქედან გავალ, მე უკვე სხვა ვიქნები, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემს ფიქრში მოხდა რაღაც ახალი, არამედ იმიტომ, რომ ჩემი სხეული, ტანი შეიცვალა. არ არსებობს მეტყველება, რომელიც მიმართული არ იქნება უშუალოდ ტანზე, სხეულზე. მაგრამ ის მაინც გაშუალებული ეხება სხეულს, არარსებული გონების გავლით. მეტყველება შლის სხეულს, მასზე არა მხოლოდ თავის ძალას აღბეჭდავს, არამედ ცვლის მას, სხვად აქცევს. სამწუხაროდ, ერთ ადამიანს არ გააჩნია მეორე ადამიანში ამ ცვლილების შესამჩნევი ზემგრძნობიარე თვალი ან რამენაირი სხვა ორგანო, აი, ამ სხვადქცევის წამკითხავი და გადამკითხავი. და სწორედ იმის გამო, რომ მსგავსი ორგანო არ არსებობს, ადამიანები ცნობენ ერთმანეთს. მაგრამ, მე ვფიქრობ, მექანიზმი მაინც არსებობს, ესაა მექანიზმი ორგანოს გარეშე, და ის სრული დატვირთვით მუშაობს ყველაში, მათ შორის იმათშიც, ვინც მე, აქედან გასვლის მერე, მიცნობს და კიდევ ერთხელ მომისჯის განაჩენს. დიახ, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ჩემს მცნობებში სახლობს და მუდმივი სიფხიზლისთვის განწირულა ის, ვინც მე ვერ უნდა წამიკითხოს და ამით შეასრულოს ბუნებაში დანაწევრებულმა კანონმა ამოკითხვის რიტუალი. აი, ასეთი ამოკითხვებით დაქსელილ სივრცეში, რა დასანანია, რომ არ შეგიძლიათ, ანუ არ გინდათ, გამაცოცხლოთ.

2.

მივხვდი თუ არა, რომ? პროექტირების პრაქტიკა ხშირად მოითხოვს კაცთაგან, ამა თუ იმ ამოცანის ამოსახსნელად, ისეთი მოდელის გამოყენებას, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ობიექტის ერთზე მეტი იერარქიული დონე. წარდგენილმა ავადმყოფმა იცის, რომ ასეთ მოდელებს მრავალშრიანი მოდელები ჰქვიათ. მათში ჩვენთვის, ტექსტის წარსულში ჩაუხედავთათვის, უცნობი ცნების - "ბლოკების" - ერთი ნაწილი, რეალური ბლოკები, აისახება სრული მათემატიკური მოდელების საშუალებით, მეორე ნაწილი კი, გამოგიტყდებითო, მიკრომოდელების საშუალებით. იყო თუ არა ჩვენი შეხვედრა შემთხვევითი? იქნებ მხოლოდ შენი

ჩემთან შეხვედრა იყო შემთხვევითი, ან - პირიქით, ჩემი შენთან შეხვედრა მოხდა პირველად მეთქი, უკაცრავად, შემთხვევით მეთქი. დასწყევლოს ვინმემ, რაღაცამ ხომ მაინც შეგვყარა ერთად ამ ეზოში, გაქუცული შავი ხის უკან, შემოდგომის მოჟამულ შუადღეზე: შენ, რძის ბოთლებით დაგრძელებული ფერადი ბადურით, შარვალ-პიჯაკიანი, მე კი - ასეთი, მოუწესრიგებელი, ყურებამდე გაკრეჭილი და სულელურად მომლოდინე შენი ნებისმიერი მითითების. მე ვხედავდი უხეშად მოფარფატე, მერე კი შენს მხარზე ჩამოყრდნობილ ფოთოლს, რომელმაც შენი სიმშვიდის სულ რამდენიმე წამი შეიტკბო და ბარბაცით დაეშვა სველი მიწისკენ, შესამჩნევად გაქრა. შენი ტუჩის მარჯვენა კუთხემ გაიბრძოლა დამოუკიდებლობის გასახანგრძლივებლად, მაგრამ შენ მკაცრი ხარ, ოი, როგორი მკაცრი და გაწონასწორებული. დიახ, მთელი ღამე წვიმდა, ახლა კი, შეხედეთ, ისევ დაბალი და სველი ცაა, დამღლელი, მოსაწყენი. ერთმანეთს ვამაგრებთ, ვამხნევებთ და ვაძლიერებთ ასეთი დღეების წინააღმდეგ, ვცვლით იმედებს, სასიამოვნო ისტორიებს, გამარჯვების აღმნიშვნელ იმპულსებს. იცინის. ერთი სიტყვით, თავს ვიცავთ იმ მთლიანობის გაჩენისგან, რომელიც ყოველთვის ცუდად მთავრდება. იცინის შესამჩნევად. მეგობარი, რომელიც თან ახლავს, იმ სახლის სადარბაზოს ათვალიერებს, საიდანაც ეს-ესაა გამოვედი და უკან მოვიტოვე გამოღებული ბუნკერიდან მიმდებარე ტერიტორიაზე გავრცელებული სპეცსურნელება. მისი, მეგობრის, მხედველობა მიემართება სადარბაზოს სიღრმისკენ, რომელიც ცნობილია კატებით და მათი მაძიებელი ბავშვებით, მაგრამ ახლა ისინი აქ არ არიან. "კატებზე ბრძანებთ თუ ეზოში მორბენალ ონავარ ბავშვებზე?", - მეკითხება მისი მეგობარი, ქერა ასული, და თავის მსუბუქი მოძრაობით იშორებს თვალებზე ქუდივით ჩამოფხატულ სქელ თმას; თითქოს მისი სულაც არაა, მაგრამ იძულებულია თან დაჰქონდეს, ასევე შეძენილი თუ ნასესხები ჟესტის ამუშავების მიზნით. ეს ჟესტი კი, რამდენიმე წუთის მანძილზე, უკვე სამჯერ გამეორდა. სხვა შემთხვევაში, როგორც ჩანს, ნაყოფიერი ჟესტია მეთქი, ვფიქრობ და მეც გულიანად ვიცინი, როცა ისინი ერთმანეთს უხსნიან, რომ ვერ მიცნეს, მიუხედავად ჩვენი მრავალწლიანი ნაცნობობისა. ოჰ, არა უშავს, არა უშავს, გავმდიდრდები და თქვენც გიწილადებთ.

რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარდა.

მანიფესტაციის სტადია ხასიათდება ეგრეთ წოდებული დიდი ფსიქოზის გაშლით: პოლიმორფული, მაგრამ სინდრომალურად არასრულყოფილი სურათით, როცა თანაარსებობენ ბოდვითი, ჰალუცინაციური, ფსევდოჰალუცინაციური აშლილობანი, ფსიქიური ავტომატიზმის მოვლ-

ენები, კატატონიურ-ჰებეფრენიული და კატატონური მოვლენები.

ანკი რომელ ქალს არ უყვარს საათობით სარკის წინ დგომა, თუ დრო ხელს უწყობს მის ამ დგომას?

თითქოს წარმოსახული გემის გემბანზე ვდგავართ და ვირწევით, ეს შავი ხე კი უძრავია, მშვიდად ასაბუთებს წარმოსახვის არქონის სიკეთეს, უძრავ სარგებელს, რომლითაც თურმე ყელამდეა ეს პეიზაჟი, აწ და მარადის. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა კოსმოსმა ჩემი თხოვნა მთლიანად შეისმინა და გამოსაშვებ გამოცდაზე მიბოძა ჩემთვის გამოცდაზე ზედმიწევნით ნაცნობი თემა, და მივიღე ფრიადი, ხოლო თქვენს მიერ აღწერილი სურათი აივანზე ჩემი დგომისა და ყოვლად კონკრეტული თემის მოთხოვნისა იყო გულგრილი და აგდებული, ხაზგაუსმელად ათვალწუნებული. მაგრამ

ეს ის შემთხვევაა, როცა არავინ ხელში კალამს, წიგნს, საათს ან სხვა რამ სამშვენისს არ აწვალებს, ჯიბეში არ იქექება ხურდა ფულის ან ასანთის ამოსაღებად, კეფას არ იფხანს და მოულოდნელად თმის ვარცხნას არ იწყებს. ეს იყო შემთხვევა მოწესრიგებულ ადამიანთა ერთობისა და სოლიდარობისა, რომელიც შემოდგომის ეზოში სუფევდა და შიგნიდან გაბზარულ, საშიშ სიმყუდროვეს ქმნიდა. ამ დროს ადამიანები არც თავს იტყუებენ და არც მსგავსი სიმყუდროვის გახანგრძლივების იმედი აწუხებთ; მხოლოდ, სიტუაციური ლოგიკის საზღვრებში განთავსებაზე ზრუნვით ატანილები, ყოველნაირად ცდილობენ, ეს სიმყუდროვე მთლიანად მოიცვან, თავისით გამსჭვალონ და, მაშასადამე, ნგრევის პროცესიც მთლიანად განიცადონ. ოჯახებში, გმადლობთ, სიმშვიდის ბუღი დგას, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყვით. ნიშნები ცეკვავენ. ჩვენ ერთ დროს გვიყვარდა ერთმანეთი. აი, ხედავ, სად გადავეყარეთ, განვლილნი, ერთმანეთს? მარჯვენა ფეხის წვივი იკბინება, ქავილს მოითხოვს, გღალატობს მთელი თავისი სიხარულით, სიცოცხლით. "უბრალოდ, მე ეს ყველაფერი მჭირდება. ეს საჭიროა ჩემი სამომავლო გეგმებისთვის. აი, ამიტომ". გასაგებია და გაგებული. "ეს საჭიროა ჩემი მომავლის გეგმებისთვის". განიცადონ, მაგრამ არა ისე, რომ ნგრევას თან გადაჰყვნენ, არამედ ისე, რომ ნანგრევების თვალიერება და იქ თავიანთი ყოფნის კვალის ამოკითხვა შეეძლოთ ყოველთვის, როცა ინებებენ. დიახ, ისინი არიან მკითხველები და არა მწერლები თავიანთი გამოცდილებისა, თანაშემოქმედნი და არა შემოქმედნი თავიანთი ისტორიისა. პათეტიკა შენიშნულია და უმალვე - ჩაკლული. "რა თქმა უნდა, მათ ეს სჭირდებათ. ჩვენ ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, რომ ეს მათთვის საჭირო იყოს". მოსასმენია და მოსმენილი. მასპინძელი მიმასპინძლდება გულუხვი საუბრით საკუთარი თავისა

და სიკეთის შესახებ. თუმცა, აღნიშნავს, მისი მატერიალური სიდუხჭირეც, იქვე, სახეზეა. ვზივარ და ვიღიმი, თავს ვუქნევ, ჩემსას. ცხადია, ჩემთვის არ შეიძლება გასაგები რომ არ იყოს თქვენი სიფრთხილე, მეთქი სიფრთხილე. ვიღაცეები ამუშავდნენ, მაგრამ ჯერ ადრეა, ჯერ კომენტარს არ უკეთებენ ჩემს საქციელს, ჯერ პური თავისკენ სულაც არ მიდის, სულაც არ მიღიმის. მხოლოდ ამუშავდნენ. კომენტარის შეკეთება. შემიკეთე კომენტარი. კომენტარი შეუკეთეს. შეკეთება კომენტარისა. ეს კი მე ვუღიმი, ჩემს გულუხვ მასპინძელს. მერე, როცა გვერდიგვერდ ვსხედვართ, გამომსვლელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ

რას უნდა ნიშნავდეს, აწ და მარადის, მაყურებელი, თუ არა დაინტერესებულ, პრაქტიკულ, სიამოვნების მაძიებელ ორფეხა არსებას, არა, დედი? ასე, მაგალითად, რაც უფრო აბსტრაქტული და აბსურდული ხდება მხატვრობა, მით მეტად ძლიერდება საკომერციო პოლიტიკის ქსელში მისი სრულფასოვანი ცირკულირება. აქ უკვე ვეღარ ვილაპარაკებთ ხელოვნების კომერციალიზაციის ხარისხზე, ხარისხების შკალა ამოწურულია. აქ საუბარი უნდა იყოს კომერციაზე, რომელიც ხელოვნების ფონზე იშლება. გუშინდელი დღეა ისიც, რომ მხატვრები მოხმარების საგნებად, საკომერციო ობიექტებად გადაგვარდნენ. და, ჰოპ, აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ სიტუაციის რომანტიზაციის საქმეს სულაც ვერ წაადგება მტკიცება, თითქოს არტისტი ცდილობს და აღწევს და მერე კვლავ ცდილობს კომერციული პოლიტიკის მოტყუებას, ეშმაკობით მასზე გამარჯვებას. დღეს ხომ მხატვარს იმ პროლეტარისაც კი არაფერი შერჩენია, რომელიც იძულებულია თავის შრომას ყიდდეს, რათა შიმშილით სული არ ამოხდეს. საკომერციო პოლიტიკის მარაზმში ჩართული თანამედროვე მხატვარი პაროდიაა არაფრისმქონე პროლეტარზე, მაგრამ შეურაცხყოფაა ყურწაჭრილი ჰოლანდიელის, საგიჟეში ჩაძაღლებული ფრანგის, შიმშილით დაჭლექიანებული სხვა ფრანგის, გალოთებული იტალიელის და ა.შ. უსასრულოდ. მაგრამ, ჰოპ, აქვე, მაყურებელი ხომ, ფაქტობრივად, არც არსებობს. და ეს არსებითი ნიშანია. მაყურებელი, ანუ მომხმარებელი, ნიშნავს მდიდარ კოლექციონერს, პომპეზურ და დახვეწილ ჩარჩს ან, უბრალოდ, დებილს და მეტს არაფერს. ნუთუ, მართლა გჯერათ, რომ კოდირებისა და დაშიფრულობის ინტენსიფიკაციას გამგებთა და წამკითხველთა რიცხვის ინტენსიფიკაციაც მოსდევს? კეთილი ინებეთ და შემოდით სურათში, საიდანაც ეს-ესაა მე გამოვედი და მოგახსენებთ, რომ

ავადმყოფს ანაზდად ჩაესმა სიცილი და ფრიად შეშფოთდა, მისი ტვინი მოიცვა შიშმა და მოიცვა სიბნელემ. ო, ამაოებავ კაცთა ყოფისა! ოდეს დაუქვეითდა გუნება-განწყობა და უხალისობა დასჩემდა ფრიადი,

რაც მყისვე შენიშნეს ოჯახის წევრებმა! რას განიცდიდა უბედური, როცა თავსდამტყდარ ამა ჭირსა და უბედობას უკურნებელ ზეიმად რაცხდა და თვის სადგომში, ალაგს მცირეს, მიმოდიოდა, აწყდებოდა თავახდილ კედლებს? ო, კოლეგებო, ის აცხადებდა, რომ განიცდიდა ჩაძახილებს ღია სივრციდან და რომ თვით გახდა უვარგისი და უსარგებლო. ასე ესიტყვა დას საკუთარს, - დაო ჩემო, შენ მუშაობ, მე კი არაო. იჭვნეულობაც გამოხატა სტუმართა მიმართ, შფოთმა მოიცვა, ოდეს მიხვდა, მოუხშირეს მეზობლებმა მასთან სტუმრობას. და ისმის მთელი წყება კითხვების: მოუხშირეს კი? თანხმობაში იყო კი დასკვნა ავადმყოფისა საქმის რეალურ მდინარებასთან? იყო თუ არა ეს დასკვნა მისი? იქნებ ხმები და ხმაწვრილები უკარნახებდნენ, მოუხშირესო მეზობლებმა სტუმრობას შენთან? მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა და მისი ტანჯვაც ათკეცდებოდა, რასაც ახლა თვალნათლივ ხედავთ. უკაცრავად,

თვალებს მორჩილად აფახულებს. ვცდილობ, არ შეიმჩნეს ჩემი გაოცება უგემოვნობის იმ აშკარა ფაქტობრიობით, რომელსაც ჩემს წინ, ლიმონისფერ კედელს შეზრდილი სურათი ამჟღავნებს. მხატვარი ყოველთვის მართალია, მაგრამ - მხოლოდ საკუთარ თავთან. იქნებ, ამ უნიჭო ნახატთანაც. ხედავთ, არა? უმნიშვნელო პროვოკაციამ მასში აგრესია გამოიწვია, აღეგზნო, ხედავთ? ამას უწოდებენ. თუმცა, თქვენ ხომ უკვე მთხოვეთ, პროფესიული აღწერებისგან თავს ვიკავებდე, რაც განსაკუთრებით საძნელო საქმეა. ამ ეზოში ნამდვილად ცხოვრობენ. საკუთარ საქმესთან, ბატონებო, საკუთარ საქმესთან. ამ ეზოში ნამდვილად ცხოვრობენ ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებული ახალგაზრდები, რომლებსაც ის, ერთი, მესამე, აკლია. ის ამას განიცდის ძალიან დიდხანს. ამასობაში ხიდან ის ხმელი ფოთოლი მოფრინავს, რომელიც თანამოსაუბრის ნავარჯიშევ მხარს შეეხება, შეყოვნდება და მიმართულებას შეიცვლის, რაც, გეთანხმებით, არაფერს შეცვლის შემოდგომის ზოგად სურათში, რასაც ავადმყოფი ჯიუტად უარყოფს: არა მეთქი,

როცა მე მათ ვერ ვიტანდი, როცა ჩემს მიერ წარმოდგენილი სიტუაციები, თითქოს სავსებით უწყინარნი, ზიზღს მგვრიდა და გულს მიწვრილებდა, ამ დროს ხომ ჩემი უმწეო ფიქრებით ისევ და ისევ მისი დაცვა მსურდა ამ ყველაფრისგან, ამ სიყალბისგან, ერთმანეთში აზელილი ამ ინტელექტუალურ-გარყვნილი ხალხისგან, ყოვლად ობოლი ამ თაობისგან. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ვერა, ვერ ვშველოდი. დიახ, დიახ, ვერ ვეწეოდი. და ამის შეგნებას ჭკუიდან გადავყავდი, ჩემზე უბედური არავინ მეგონა, მაგრამ ცვალებადი განწყობა მერე ამ მორიგ ფიქრსაც და ტანჯვასაც წაიყოლებდა ხოლმე და ისევ მარტო მტოვებდა, ცარიელს, შესავსებს ახ-

ალი ეჭვებით, ახალი წინააღმდეგობებით. თუმცა, უკვე არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, ეს წინააღმდეგობები მართლა არსებობდა თუ მხოლოდ ჩემი სისასტიკის ნაყოფი იყო. სადღაც გადავყავდი. არა მეთქი,

არა, მე ავადმყოფი იქ ვიყავი. და საერთოდაც, იქ ვარ, იმ ჩემს პალატაში, ჩემს სოროში. აქ კი, სცენაზე, ამ დარბაზში, სადაც თქვენ ჩემი შველა გადაგიწყვეტიათ, უკვე აღარ ვარ, აღარ ვარ მეთქი ავადმყოფი. აი, ამას ვგრძნობ ძალიან კარგად, ექიმო ჩემო. ასე თუ ისე, იქ ყველაფერი შედარებით კარგადაა, აქ კი ყოველ წამს გამოუსწორებლად ფუჭდება და, ერთი მითხარით, რა მეშველება, აქედან რომ გავალ და ჩემი შავ-თეთრი პალატისკენ გავუყვები იმ გრძელ დერეფანს, გარეთ რომ იწყება და რაღაცნაირ პაუზას ქმნის ჩემს ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, სიყრუვეს შორის. ვინ ვის მოუხმობს ამ ორი ბოლოდან? მე აქ ჯანმრთელი ვარ, ეს არაა ჩემი ცხოვრება. დამიჯერეთ, მე აქ სხვაგან ვარ. მე ხომ სულ სხვა რამეს ვითხოვდი. განა არ გახსოვთ? იყო ერთი მეგობარი, ჩემი მეგობარი, რომელმაც გამოიგონა წუხილის ნიშანი, რამაც ღრმად და საფუძვლიანად ჩააფიქრა სხვა სასვენი ნიშნების ჯანმრთელი კრებითობა. აღშფოთებულებმა, მათ უარყვეს წუხილის ნიშანი, მაგრამ იქვე შთანთქეს. ეს მოხდა წუხელ, მთვარიან ღამით, ჩემს ფანჯარაში, აქედან შორს, იქიდანაც შორს, სადაც მე ცუდად ვარ. დიახ, დიახ, შველას ვითხოვდი. თქვენ არათუ არ მშველით, გახსოვთ კიდეც ჩემი თხოვნა, უფრო მეტიც, აღნიშნავთ, რომ გახსოვთ. რემისია ეწყება, გაიყვანეთ. ჩვენ კი, ამასობაში, დავაზუსტოთ, რომ მიკროდონის ტიპობრივი ფიზიკური ცვლადები იქნება, მაგალითად, ნაკადების სიმკვრივე, ველების ძაბვები და სხვა. შიდა პარამეტრების სახით გვევლინება ისეთი სიდიდეები, როგორებიცაა სითბოგამტარის კოეფიციენტები, ელემენტარული უბნების გეომეტრიული ზომები, გარეპარამეტრად კი გვევლინება, მაგალითად, რეზისტორის წინაღობა. ამ დონის ტიპობრივ მათემატიკურ მოდელებს წარმოადგენენ კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები. ასატანია და, იქვე, ატანილი. გმადლობთ. და არა - დიფერენციული, არა?

როგორ და ასე, არ ვარსებობ. ვეძებ საშველს, უკვე რა ხანია. თქვენ ამას ვერ იგრძნობთ კიდევ დიდხანს.

ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ვერ გიშველით.

ვერა, ვერ მიშველით. თქვენ მე გიჟი ხომ არ გგონივართ. მთელი ჩემი უბედურება ისაა, რომ ვიცი ჩემი გასაჭირი და ვერ გადავრჩი. მეტი მე არაფერი არ მაწუხებს. თუმცა, გეტყვით, მაწუხებს ისიც, რომ სახლში არ ვარ. მინდა ვიყო მარტო და ცოცხალი. აბა, ეს რა არის, ესაა ჩემი ღია, საჯარო, კოლექტიური არსებობა, ჩემი საყოველთაო შიგნეული, ცეცხლ-

წაკიდებული ჯიგარი. და თქვენ გგონიათ, ჩემმა ასეთმა შიგნეულმა, თქვენს გასართობად გამოფენილმა, პური უნდა ჭამოს. პური თავმა უნდა ჭამოს, რომელიც - თავი - კოსმოსშია. შუბლის შეკვრით და კბილის კრეჭით.

და მე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ისინი მე კი არა, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ და ასე ადგენდნენ თავ-თავიანთი მუშაობის რეჟიმს, რასაც მერე გულახდილად მაუწყებდნენ ხოლმე. იმის თქმა მინდა, რომ მე შედეგების დამკვირვებლად მაქციეს და ასე მომიშორეს თავიდან, რითაც, როგორც მიმიხვდებით, საუკეთესო გამოსავალი შეიმუშავეს ყველა ჩემი ინიციატივის გასანეიტრალებლად. იმან კი - მესამემ - შენიშნა, რომ აი, ამას ეწოდება ანულირება. ეწოდება კი? ჰი-ჰი-ჰი-ჰი. ასე აღმოვჩნდი არა კიდეზე, არამედ - ცენტრში, სცენის კულისებში, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, საიდანაც არავინ არ ჩანდა. მაგრამ არავის უკვირდა, რომ ერთმანეთთან მათი დაჯახება მე მაფეთქებდა, ყოველთვის ხელახლა. მან კი ბუტბუტით და უნდობლად იკითხა, თუ ვის წინააღმდეგ მაფეთქებდა და ვის წინააღმდეგ მანგრევდა. "იცით, მე მინდა აქვე გაუწყოთ, რომ საქმე ეხება არა დაჯახებას, არამედ - შეჯახებას". ოოოოოო! ჰი-ჰი-ჰი! "დიახ!".

გამომსვლელი ხალათის ღილს აწვალებს თავისუფალი მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითით. მარჯვენა ხელის გაშლილ ხელისგულზე საქაღალდეამოდებული ტექსტი სრული დატვირთვით მუშაობს და დამსწრე საზოგადოებას გამომსვლელის პირით მოახსენებს, რომ

ოდეს მგზავრობდა სატრანსპორტო საშუალებებით, იგი მწარედ და მტკივნეულად განიცდიდა თითოეულ უცხო შეხებას და შეხებული შესამჩნევად იძაბებოდა. ექვსი დღე დაჰყო მან პირველად ჩვენს კლინიკაში და გაეწერა მშობელი დედის მოთხოვნისდა შესაბამისად. გაწერის შემდგომ, ჟამიდან ჟამზე, სახალისოდ თუ მიიღებდა მედიკამენტებს. და აღენიშნა, არაერთხელ, უმოტივო ჩაცინებები. თავის ბინაში გამოკეტილი, დაახლოებით დღეში ორჯერ იძაბებოდა და როცა დედა რასმე სუვენირს მოუტანდა შინმოქცეული, ის, ავადმყოფი, უმიზეზოდ იწყებდა ტირილს, ლანძღავდა დედას და ამბობდა, რომ ჰიპნოზის ქვეშ იმყოფებოდა და რომ ყოველთვის მოწამლული იყო საკვები. მაგრამ იყო კი ავადმყოფის მსგავსი დასკვნები ახლოს საქმის და ვითარების ნამდვილ სურათთან, ანუ ცოცხალ რეალობასთან? და ის

სკამიდან უხმოდ დგება, სკამის ჭრიალს ხელს დააფარებს და რამდენიმე წამით გაშეშდება, გაიყინება. აი, ახლა შეიძლება. ჭრიალი უკან ჩააბრუნა, ხელისგული უჩვეულო ნივთივით ამოაბრუნა და დააკვირდა,

რაღაცას ჩაუფიქრდა. მერე მეორე, თავისუფალი მარცხენა ხელის ცერა თითით გაბურძგნულ, ბიჭურად გაკრეჭილ თმაში შეიმალება და მალევე გამოძვრება, ჩაახველებს, გონებას მოიკრებს და კარისკენ მცოცავი ნაბიჯებით წავა. ამასობაში კარის სახელურს თვალს უშტერებს და თითქოს ულოცავსო, რაღაცას ბუტბუტებს. დარბაზის წინა რიგებში მსხდომთ ბუტბუტი ესმით, ბუტბუტით აღნიშნული კი - არა. "რა ბრძანეთ?". მეტი არაფერი არ მაწუხებს. მე მეტი არაფერი მაწუხებს. მეტი მე არაფერი არ მაწუხებს. მე მეტი არაფერი მაწუხებს. რაც შეეხება ამ ტანს, ჩემია. კონკრეტული სხეულია, ყოვლად უფერული, განმარტების მოლოდინში განაბული და წვერბასრ შუბს შეგებებული მუშტივით უწესო, დიადი კანონიდან ამოვარდნილი, იქვე - დალექილი. აი, სულ ეს იყო, რაც მაშინ ვნახე: ბურთს გაკიდებული გოგონების უპატრონო, დაუცველი წყება ცვიოდა გადაუხურავ უფსკრულში. ბოლო რიგში შეუმჩნევლად ჩასაფრებულიყო დედაჩემი და ნახტომისთვის ემზადებოდა. ეს იმან, რაინდმა, ჩაახველა, და ჩქარი ნაბიჯებით დაიძრა ჩემსკენ. იძულებული გავხდი, აკრძალული ილეთისთვის მიმემართა და არა მაშინდელი ჩემი მშობლებისთვის. აკი ვამბობდი, განრიგი დაარღვიეს მეთქი. აკი ვამბობდი, რომ მოვკვდი. და მერე, ოი, როგორი მკაცრები, ოი, როგორი მოწესრიგებულები. იდგნენ ხის ძირას და ხმადაბლა საუბრობდნენ, შემოდგომის იმ სევდიანი დილის შესაბამისად. ოი, როგორი მკაცრები, ოი, როგორი საყვარლები. მივუახლოვდი და დამიკვირდნენ, ძლივს გამიხსენეს. მიღიმოდნენ და მიხაროდა, ბადურის სახელურს ვაწვალებდი, თითებით ვღეჭავდი და ექიმებს თვალს ვერ ვუსწორებდი, შორს, სადარბაზოსკენ გამირბოდა თვალი. ოღონდ მათთვის არ შემეხედა და თუნდაც ჯანდაბამდის მქონოდა თვალი, და ისინიც უსიტყვოდ ხვდებოდნენ, როგორი დარცხვენილი ვიყავი და როგორ მაინტერესებდა, რას ფიქრობდნენ ამ დროს ჩემზე, ასე დინჯად მობაასეები. მეც მათთან ერთად ვშველოდი, ალბათ, ვინმე უბედურს და ჩემსავით მარტოსულს, რომელიც რომელიმე აივნის მიღმა, ფარდის უკან, ბნელ სოროში იგულისხმებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი, ქედის მხარე, მკრთალ ნისლში იყო გახვეული და ყრუდ გრძნობდა, ეს ნისლი ძვალრბილში როგორ გამჯდომოდა და მყინავდა, მამტვრევდა. ისინი კი, ქერა ქალ-ვაჟი, ერთმანეთისკენ მიიჩქაროდნენ; თითქოს ძალიან დიდი მანძილი უნდა დაეფარათ, ერთმანეთს რომ ჩახუტებოდნენ. მე ორივეს კარგად ვხედავდი. სავარძელში მყუდროდ მოკალათებულს უკვე აღარც მესმოდა ქალბატონი მთავარი ექიმის პროფესიული შეკითხვები, აქ აღარ ვიყავი. რა თქმა უნდა, გონებას ვძაბავდი და კეთილსინდისიერად ვპასუხობდი, მაგრამ ამას იმიტომაც ვაკეთებდი, რომ მეტი დრო და თავისუფ-

ლება გამომეზოგა სურათში დასარჩენად, საერთოდაც, იმ სევდიანი შემ-ოდგომის გადასარჩენად ყველასთვის, ვინც იცის კოსმოსურ ძალებთან ურთიერთობის მნიშვნელობა და შეუძლია ეს საქმე დააფასოს. მაგრამ როგორც ყველაფერი ამ ობოლ და მიუსაფარ წუთისოფელში, მთავარი ექიმის სამოთხეში ჩემი ყოფნაც რეგლამენტირებულია და კიდევ ერთ-ხელ შემახსენებს, რომ არა, აქ ჩემი ადგილი არ არის. ამიტომ მის პირვე-ლივე ბრძანებას მივყავარ კარისკენ, საიდანაც უკვე იწყება დერეფანი, რომელიც გაივლის დარბაზს, სავსეს ჩემს გადასარჩენად შეგროვებული ადამიანებით, და ჩემთან ერთად უახლოვდება შავ-თეთრ პალატას, სადაც მარტო ვარ ყოველი მორიგი აუდენციის დაწყებამდე, და ამ იდუმალ სარ-კეს ვაკვირდები, ჩემს თავს ვაკვირდები მასში, და ვერ გამიგია, რატომ ემთხვევიან ისინი ერთმანეთს მაინც და მაინც მაშინ, როცა მე ვჩნდები მათ წინ, შეწუხებული და თავმობეზრებული. ბოლოს და ბოლოს, როცა ხმები მესმის, მე ხომ ჩემივე თავი მესმის ამ დროს სარკეში, ათასფრად დაფანტული და დანაკუწებული. მე მიჭირს ერთმანეთისგან მათი გამიჯვ-ნა, განცალკევება და ასე მოაზრება. ეს, საერთოდაც, შეუძლებელია. ეს ის ხვედრია, რომელიც ჩამესმის ყველგან და ყოველ წამს, ჩემი ჩათვლით. მესმის ათასობით სარკე და ყოველ მათგანს ერთი ხმა აქვს, ამ ერთ ხმას კი - ათასობით მოდულაცია. და ეს ყველაფერი მართლა ხდება, არა ჩემს გარეთ, არა ჩემში, არამედ იქ, სადაც მე ვარ. მე კი სიკვდილში ვარ, რომე-ლიც, თქვენ მიმტკიცებთ, სიცოცხლეშია. მაგრამ რა ვქნა, თუ მართლა არ ვარ ცოცხალი და არ ვარ სიცოცხლეში, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ცოცხლები ხართ. რაც თქვენია, თქვენვე გეკუთვნით და ამას აღარაფერი ეშველება, როგორც იმას, რომ ყველაფერი, რასაც სარკეში ასე კარგად ვხედავ, ემთხვევა იმას, რაც ასე კარგად ჩამესმის და ასე ცუდად ვიცი. ეს არაფერი. ვუმტკიცებ, რომ მე მხოლოდ ნაწილი ვარ იმის, რაც მას პირ-ველ ხანებში ენატრებოდა. სახლი, ქუჩები, მაღაზიები, უნივერსიტეტი, მეგობრები და დაბადების დღეები. აი, ამ ყველაფერში რაღაცნაირად მეც ვიყავი ჩაწებებული და მან უნდა გაარკვიოს, ჩემი სახით რა ენატრებოდა ასე ძალიან. მომისმინე, შენ ეს ძალიან მალე უნდა გაარკვიო. ნორმალური ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. დაე, ამაზე მისმა სხეულმა იფიქროს, მი-ენდოს სხეულს და მორჩა მეთქი. ის ხომ - მესამე - ამ ყველაფრის მერე იწყება. აკი, თვითონაც ამას ამბობს, როცა თავისი კოხტა თავი სიკვდილში ჰგონია. იმის თქმა უნდა, რომ სარკე და ის, რასაც სარკეში ხედავს, ერთი ჰგონია. განა არ იცის, რომ სხვადასხვაა, მაგრამ მოულოდნელად რაღაც ემართება, და ეს განსხვავება აღარ არსებობს. სარკეში კი, როგორც წესი, თვითონვეა, უკეთ, სარკე და ის ერთმანეთს ემთხვევიან, მე კი - მესამე -

მათ მიღმა ვრჩები, უკეთ, მათ აქეთ, ვერშემწვდარი მათ დრამატიზმს, მათ მოცეკვავე ერთობას, ასე რომ, ისინი ჩემთვის მაინც ცალ-ცალკე არსებობენ და ამიტომაც ვერ ვწვდები მათ ზეიმს, ვრჩები მესამე და შეუმდგარი, განსაკუთრებული. "ბატონებო, მე ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ შეიძლება არ დამიტანოს, ქვეშ-ქვეშ სულაც არ მომიყოლოს ერთმანეთში გარდამავალმა, ერთმანეთში მონდომებულმა და ერთმანეთისგან თავდახსნის მოსურნე ამდენმა ჟესტმა, აღბეჭდილმა გამდინარე წყალივით უწყვეტ ჩემს ხსოვნაში, ჩემს სისხლძარღვებში". რაღაცნაირად მრცხვენია და თვალებს მორჩილად ვაფახულებ, მინდა გავერკვე ჩემი თანამოსაუბრეების კეთილ ნებაში. მათ ძალიან სურთ, რაღაცით მიშველონ. ეს გამოიხატება მათ მზერაში, მეტყველების დროს დასმულ აქცენტებში, შეკითხვებში. იმავდროულად კი წარმოვიდგენ ერთმანეთზე დალაგებულ ათობით ამინდს, ერთმანეთის გადამფარავს და ერთმანეთში შემალულს ჩემსავით, ვინც ათასობით შევმალულვარ პურში, რომელსაც ჩემი თავი ყოველდღე მიირთმევს. რა არის ჩემთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი? ის და მხოლოდ ის, რასაც მიზეზი არა აქვს, რაც იბადება უმიზეზოდ, განვითარდება უმიზეზოდ და კვდება უმიზეზოდ. რაც მნიშვნელოვანია, არის უმნიშვნელოც, უმიზნოც და ულამაზესიც. ისინი კი ერთმანეთს ხმადაბლა უხსნიან რაღაცას, სადაც გადამწყვეტია სწორედ საუბრის ტონალობა, რომელსაც თავისი, ჩემთვის უცნობი, შინაარსი აქვს. ასე რომ - ჯანმრთელი და ხაზგასმულად გარკვეული, გაასმაგებული. გულწრფელად მინდა, ეს გესმოდეთო. შეუძლებელია, ეს ყველაფერი აისახოს სრული მათემატიკური ბლოკების საშუალებით, აი, რა უნდა იცოდეს იმან, ვინც მხოლოდ ახლა იწყებს ამ რთულ საქმეში ჩახედვასო, ესეც დასძინა, სხვათა შორის. ნორმალური ადამიანი ყველაფერს ეჩვევა.

3.

თეთრი და ქათქათა. ის კი დგას და ლუდის ქილას ანჯღრევს, აფხიზლებს. როცა პიანინოს ადგილიდან დაძრავენ და დანიშნულების ადგილისკენ წაიღებენ, ეზოში დარჩება ნახერხი, რომელიც სატვირთო მანქანის ძარიდან გადმოფერთხეს. შეიძლება არც გადმოფერთხეს, მაგრამ ასე მომეჩვენა. გვერდით ის ორი კაცი უდგას, და მთელი თავიანთი სიყვარულით გაიაზრებენ, როგორ უფრო მოსახერხებელი იქნება პიანინოს ატანა მეხუთე სართულზე, მამაჩემი კი დროდადრო ხელს აიქნევს, მეორე ხელით ლუდს შეანჯღრევს და ღიმილით ამბობს, რომ დაე, მუშებმა გადაწყვი-

ტონ ან რომ დაე, მუშებს მიანდონ ეს საქმე. და მე კიდევ ერთხელ ვრწმუნ-
დები, რომ ყველაფერი ცვალებადია, მათ შორის ისიც, მამაჩემიც, რაც
საუკეთესოდ იცოდა დედამ. სხვათა შორის, სურათსაც ემჩნევა. და, ესეც
სხვათა შორის: სადღაც წამიკითხავს, რომ ესაა შეყვარებული წყვილების
მთავარი თავსატეხი, დედამიწის ყველა კუთხეში. რომ, თურმე, მათ ერთ-
მანეთი უყვართ იმაზე უფრო ცოტა ხნით, ვიდრე გარეშე თვალს წარმო-
უდგენია. რომ დაიგულებენ თუ არა ერთმანეთს თავიანთ საკუთრებად,
მაშინვე იწყებენ ფიქრს იმაზე, ვინც მათი ხედვის არეშია და ჯერაც არ
დაუგულებიათ, ისინი ფიქრით აი, მათთან არიან, ამ სხვებთან. იმიტომ,
რომ ისინი სხვაგან არიან. მე კი ამ სიბრძნეს მხოლოდ ჩემი რწმენით აღვუ-
დექი წინ, პათეტიკურად და სულელურად, მაგრამ იმით, რაც გამაჩნდა,
და ვთქვი, რომ აქ სიყვარული არაფერ შუაშია. რომ ჩვენ, ალბათ, ვცდე-
ბით, როცა ყველაფერს, რაც თვალის დახამხამებაში ქრება, სიყვარულს
ვარქმევთ. რატომ გვინდა ასე ძალიან, რომ იმ ადგილზე, სადაც უკვე რა-
ღაც გაქრა, რჩებოდეს სიყვარული. ან - სიყვარულის ისტორია. რა საჭიროა,
როცა ის იქ სულაც არ იყო. ერთი მითხარი, დედაჩემო, რატომ უნდა ვაიძუ-
ლებდეთ ურთიერთობებს, რომ ჰგავდნენ სიყვარულს, თუ ამ უკანასკნე-
ლამდე სწორედ ის არ ჰყოფნით, ყველაზე მნიშვნელოვანი - უმიზეზობა.
ჩვენ ხომ ვიცით, რომ "სხვაა ცხადი და სხვაა სიზმარი, სხვაა ხორცი და
სხვაა გონება, სხვაა გველი და სხვაა ფალოსი, სხვაა ჯამი და სხვაა ვაგი-
ნა." მიპასუხე, ჩვენ ხომ ვიცითო. მე რომ ამ ყველაფერს ხელებგაშლილი
და სარკის წინ ახარხარებული ვუმტკიცებდი საკუთარ თავს, განა საკმა-
რისი საბუთი იყო იმისთვის, რომ პურისთვის რომ, იმისთვის რომ. გასაგე-
ბია? აი, რამდენ ფიქრზე იყო ჩემი აქყოფნა დამიზნებული. რა შუაშია აქ
"ჩააბრუნა-ამოაბრუნა". რაც ჩვენ ფონი გვგონია, ის თვალს გვიკრავს ეშ-
მაკურად და ფონს იქმნის იმით, რაც ჩვენ ფონი გვგონია. ასე რომ, ხმაუ-
რით წვეთავენ მუსიკალური ბგერები და ტაშტი სავსეა პოლიეთილენის
პარკებით, ხახვით, რომანტიზმით და საწოლზე გადაფარებული, დაუჯ-
რედებული გადასაფარებელი ფარავს თეთრეულს და რიკულებიანი აივ-
ნიდან გადმოსული მუქარა ეკუთვნის იმ კაცს, აი, იმას, ვისაც პირველად
ვხედავ და მითითებული უნდა იყოს სწორი პასუხი და მისამართი, ეს
ხდება პირველად, საუკეთესო ხარისხით და ვინ დაგვეხმარება უკიდურეს
წერტილებთან დაკავშირებაში, ვინ, ისმის კითხვა, ვინ დაგვეხმარება და
რაც სკამზეა დალაგებული, ქაღალდებშიცაა შეფუთული და ჭუჭყიანი
მოაჯირისთვის გამოიყო ეს ტილო მათ მიერ და თავი უსკდებოდა, თავი,
მოხდა განათება, თავი უსკდებოდა, თავი, ასე რომ სულაც არ უნდა ჰგავ-
დნენ ერთმანეთს, თუ მათ ეს არ უნდათ, მოდით, ვაღიაროთ ეს და უფრო

კარგად გამოჩნდება ცოცხალი და არაცოცხალი დედაბუნების სასწაულები. შენ კი, ქალაქო, სადღაც უკან მოტოვებულო, ბორბლების ზანტი ღრჭიალით რომ გაათრიე შენი თავი ჩემი თავიდან და ტკბები, როცა უდედმამო ჩემი თვალები ჩნდებიან ყველგან, სადაც მზე და შველა არაა, სადაც გზებად და მოედნებად გაწოლილა ჩემი სვლა შენი მეორე მესკენ ან არხებისკენ, რომლებიც უკვე ათასობით საუკუნეა გამოეყვნენ ხილულ სადინარს და სადღაც, ჩემთვის ამოუცნობ უფსკრულებში, იკარგებიან, თუ განუგეშა, თუ გიშველა ჩემმა სიკვდილმა? აი, აქვე, წერტილიც დასვი. მერე აღნიშნე, რომ ყველამ უნდა მონახოს ცხოვრებაში თავისი თამაში, თუნდაც - ისეთი სერიოზული, რომ თამაშისთვის ადგილი არ აღმოჩნდეს. ამბობ: ისე გავა ცხოვრება, რომ ადგილს ვერ მონახავ, იქნები არსად. სურათზეც კი - არსად. და ეს მაშინ, როცა სხვებივით შენც გაქვს ეს იდიოტური ჩრდილი, შენი, კონკრეტული. ამ დროს კი შენ თვითონ როგორღაც ვერ ხარ კონკრეტული. შენ ეხეტებოდი შენი ბავშვობის უხერხემლო მონაკვეთში, შენს მიერ ერთ დროს დაუდევრად მიგდებული ტერიტორიის პერიფერიებში და არ გყოფნიდა არც თვალი, არც ხმა და არც სუნთქვა იმის წასაკითხად, რაც, ერთ-ერთ რიგით კედელზე შენს მიერ დროში მიწერილი, გაიძულებდა, გეცოცხლა, გეფხიზლა. ახლა კი, როგორც იტყვიან, მოკვდი. ეს არავის ბრალი არაა. არსებობს სამყაროში დიადი კანონი, რომელიც შენი პირით ბრძანებს: ავადმყოფია ის, ვისაც წართმეული აქვს თამაშის უნარი, ვინც ვერ თამაშობს. რა ქნას იმან, ვისთვისაც ყველაფერი არის იმდენად სერიოზული და თვითონაც, ამ ყველაფრით გარშემორტყმული, არის იმდენად სერიოზული, რომ არ იცის თამაშის დანიშნულება. მომისმინეთ, მომისმინეთ, თქვენ ცდებით. როგორ შეიძლება თამაშს ჰქონდეს დანიშნულება. თამაში ხომ არ არსებობს, ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ თამაში არ არსებობს. არის მხოლოდ ჩემი, შენი, იმის თამაში, მაგრამ არა ზოგადი, საერთო თამაში. დასძენს, ამის არცოდნა არ გეკადრებათო. ასაბუთებს: არსებობს წითელი ვაშლი, წითელი ბურთი, წითელი ხალიჩა, წითელი ცხენი, მაგრამ არა წითელი ფერი საერთოდ, არსად, არაფერში. მე, თუ გაინტერესებთ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ ვიცი, როცა სარკეში ვიყურები და მეჩვენება, რომ იქ, სარკეში, ვიღაც დგას და გაკვირვებული მიყურებს. არა, ის არა, ვინც ვარ. სულ სხვა, მესამე, ჩვენი შემცველიც, სარკის შემცველიც და იმ კოსმოსური ძალების შემცველიც, რომლებმაც თემა გამომიგზავნეს. თქვენ, რა თქმა უნდა, იფიქრეთ, რომ. არაფერიც არ გიფიქრიათ. მე მას ვხედავ ყველგან და ყოველთვის. მე მას ვხედავ თქვენში, ყველაში. თქვენ ისე ჩახვალთ მიწაში, რომ საკუთარ ავადმყოფობას თვალს ვერ გაუსწორებთ. თქვენ თავს იმშვიდებთ იმით,

რომ სადღაც სხვაგან, სადღაც თქვენი სხეულის იქით, არსებობენ ავადმყოფები და ავადმყოფობები. და რომ შეგიძლიათ, თვალს თამამად უსწორებდეთ ამ ავადმყოფობებს თავ-თავისი ავადმყოფებით. და რომ ეს ხდება სხვაგან, თქვენს იქით. თქვენ საჭიროებთ ავადმყოფებს და გგონიათ, რომ ეს გადაგარჩენთ. თქვენ ხართ დაღუპული, ობოლი ფენა, თქვენ ხართ სხეულები, რომლებიც პარაზიტებსაც კი არ სჭირდებათ. ვინ. თუმცა. და მაინც: ვინ

"ჩვენ"? ვინ "თქვენ"? როცა დარბაზში მოკალათებულ სახეებს ათვალიერებს, როცა აქედან ძალიან შორსაა, მის თვალებში აისახება გამომწვევი ღიმილი, სევდიანი, მაგრამ ბრძოლისთვის მზადმყოფი, შეთავაზების მიმღები და შემთავაზებელი. მაშასადამე, ამ ახალგაზრდა ქალბატონს სურს, გაგებულ იქნას. მაგრამ ვის მიერ? უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მას სურს გაგებულ იქნას იმად, რასაც ამბობს, და, იქვე, - იმად, რაც მხედველობაში აქვს. როდის ვაღიაროთ, რომ ეს ახალგაზრდა ქალბატონი თავის თავს დაემთხვა, ანუ, ამ ჩვენს შემთხვევაში, იდენტიფიცირდა? ის კი ჩურჩულებს, რომ აინტერესებს, - როგორ, რა წესით არსებობს და არა ის, თუ რას ამბობს. ის ხომ ისედაც ყოველთვის ამბობს რაღაც ისეთს, რასაც გულისხმობს. მაგრამ მას არ შეუძლია, ისინი არ უყვარდეს. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ. დიახ, არიან ნაცვალსახელები, რომლებიც მას ყოველთვის უყვარდა. მაშინ მე

თქვენს შეკითხვაზე ბევრი პასუხი გავეცი, მაგრამ ამ ჩემი, თქვენთვის განკუთვნილი, პასუხების იქით, ერთიც ვნახოთ, აი, რა მოხდა:

ეს მხარე დასახლებულია სასიკვდილო განაჩენებით,
რომლებიც სოროებიდან გამომძვრალი თაგვებივით
უფრთხიან ხმაურს და არიან უკვდავები, გენიალურები.
არიან მარტოსულები თავ-თავიანთ გენერაციაში.

ეს მხარე მოფენილია ნამეხარი და დამსკდარი ხეებით,
როგორც ცოდვის სიმბოლოებით
და ყოველთვის თავიდან ამოსახსნელი, რიტმული ნიშნებით.
ისინი გვივიწყებენ და გვიხსენებენ, -
ასეთია მათი არსებობა,
გულისცემასავით ხაზგასმული და ერთფეროვანი.

ეს მხარე დასახლებულია ჩვენით,
მაგრამ ჩვენ დიდი ხნის წინ დავტოვეთ ეს მხარე,

რაც ცნობილია იმათთვისაც,
ვინც ამ მხარეში ცხოვრობს
და იმათთვისაც, ვინც აქ არ ცხოვრობს, მაგრამ
ვისთვისაც ეს მხარე - ასე თუ ისე - უცნობი არაა.

ეს მხარე დასახლებულია ექიმებით,
რომლებსაც ჩვენ უკვე ვეღარ ვუშველით,
რომლებიც დარჩებიან და აღესრულებიან ექიმებად
და არა ადამიანებად, რომლებიც მათში - ექიმებში -
ჯერ კიდევ დაბოდიალობენ.

როგორც ჩანს, ამას გულისხმობს აზრი,
რომ ამ მხარეში ადამიანი - ანუ ავადმყოფი -
ჯერ კიდევ შეიძლება მოიპოვებოდეს.

და როცა აქედან ძალიან შორს ვარ, მაშინ ჩამესმის სკამის ჭრიალი, რასაც ხელს ვაფარებ და ფრთხილი ნაბიჯებით გავდივარ სახლიდან დავალების შესასრულებლად, - ორი ბოთლი რძე, ერთი ბოთლი მაწონი და ერთი კილო შაქარი უნდა მოვიტანო. ვიცი, რომ სურათს უნდა ვუფრთხილდე, არ შემიტყუოს, არ შევშინდე და იქ არ შევიდე. იქ მამაჩვენი დგას და ლუდის ქილას ანჯღრევს. ეს არაა კარგი ნიშანი, დედა მენაცვალოს. უნდა მოვიტანო იმით, რაც მოძრაობის უწყვეტობას ქმნის; კი არ წარმოადგენს, არამედ. გასაგებია და გაგებული. მეც აქ ვარ, ფეხდაფეხ მივყვები იმას, რაც არ ვარ, - ჩემი მოძრაობების მთლიანობას, ამოვლებულს სხეულში, რომელიც ჩემი კი არაა, მე კი არ მეკუთვნის, მე კი არ ვარ, არამედ ვისიც ვარ მანამ, სანამ ვმოძრაობ, სანამ ვცურავ და ვერ ვასწრებ ტკბობას ამ ჩემი ცურვით. ეს ნამდვილად არაა გასვლა, არაა ფინალი. ესაა ამ კედლებში მოქცეულის მიერ ამ კედლების მოქცევა არა მხოლოდ თავისკენ, არამედ - ყველასკენ, ვინც აქ იმყოფება, ვინც ერთი ბედითაა შემოსალტული შიგნიდან, სიღრმიდან, სიცარიელიდან, და უსასრულოდ ფეთქდება, იძირება სიცარიელეში, საიდანაც მის გასაგონად ამოდიან იმათი ხმები, რომელთა ხმებიც მოუკვდნენ ამ კედლების მატერიალისტიკას, საყრდენს. მე ბევრი კითხვა მაქვს თქვენს პასუხებთან დაკავშირებით, მაგრამ როგორმე სხვა დროს, როგორმე სხვა დროს. ახლა დილის საუზმეა იმით მოსატანი, რაც თქვენ ამომწურავ კითხვებს გაგცემდათ, უფრო ზუსტი და პრაქტიკული დრო რომ ყოფილიყო აღნიშნული ამ სურათზე, სადაც მორცხვად ვირწევი და დაძაბული ვარ, ჩასაფრებული; მთელი ჩემი მონდო-

მებით ვუსმენ მოსაუბრეების მეტყველ დიალოგს, იმ იმედით, რომ ჩემი ყურადღების იმ მომენტში, როცა სმენის ინტენსივობა მაქსიმუმს მიაღწევს, მათი მეტყველება შეწყდება, შინაარსი ჩაქრება და ვიდრე ახალი ტალღა დამეჯახებოდეს, მოვასწრებ გაქცევას, გაპარვას, ამოვყვინთავ დაღლილი და დარცხვენილი. მაგრამ ჯერჯერობით ჩანაფიქრი არ ხერხდება, ვერ რეალიზდება, მოსაუბრე მამაკაცების დიალოგი არის უწყვეტი და უცვლელი, ეზოს ერთი ბოლოდან მეორემდე გაბმული თოკივით უწყვეტი და უცვლელი, ზედმიწევნით საჭირო, მაგრამ არა ჩემთვის, რომელიც არ ვარ თეთრეული, არ ვარ როიალი, არ ვარ დაქირავებული მუშების ჯგუფი. აი, როგორ

ეძებდა გასაქცევს. მაგრამ ამ საკითხსაც თავი დავანებოთ. რაც მათ აშინებთ, ის ჩემს მიღმაა, მაგრამ უჩემოდ - წარმოუდგენელი. მათ აშინებთ ის, რაც მართლა არსებობს და მათ მორალს დღითიდღე კუმშავს, ავიწროვებს, აპატარავებს. მაგიდას გარს ურბენენ გაწუწული გოგო-ბიჭები. ზაფხულია, ყველა მარტოა. ეზო უკვე მორწყეს, არა? - კითხულობს მამა და თითქოს მართლა აწუხებს ეს საკითხი და თითქოს მზადაა, ამ ვითარების გასარკვევად გადმოვიდეს კედლიდან, თავისი გადიდებული პორტრეტიდან. აპატარავებს. თუ შენ

სარკე ხარ, რომელშიც ჩვენს ფარულ მდინარებას, ჩვენი ყოველდღიური სოციალური ყოფის უხილავ სახეს ვათვალიერებთ, მაშინ ჩვენ შენთან საქმე არ გვქონია, საქმე შენ გქონია ჩვენთან და ცდილობ, ამ საქმის შინაარსში ჩაგვახედო. ასეა თუ ისე, ჩვენს დახმარებას საჭიროებ. კეთილი, დახმარების ფორმაზე შევთანხმდეთ. მაგრამ

ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის - მესამე - მართლა არსებობს. მან რაღაც კი არ დაკარგა ან კი არ დაეცა, კი არ დეგრადირდა, კი არ შეიცვალა, არამედ არსებობს. ის არის ისეთი, როგორიც არის, და ამით ყველაფერი თქმულია. სხვათა შორის, თქმულია ისიც, რომ ის სწორედ ისაა, რაც არა და არ არის. ის არის ის, ვინც ჩვენ არ ვართ. აი, სულ ესაა. მას ერთი ასოც არ დააკლდება, ჩვენ თუ ისეთს არ წავიკითხავთ, როგორიც არის. მაგრამ ეს სხვა ენაა, მეგობრებო. ეს ექსისტენციალური მეტაენაა, როგორც მე მას ვუწოდე დროებით. იგი - ეს ენა - ჩნდება მაშინ, როცა ჩვენი განცდის საზღვრებში შემოდის რაღაც ისეთი, რაც ინარჩუნებს თავის არაკონკრეტულობას და არა - აბსტრაქტულობას, და მოითხოვს წაკითხვას და ჩვენ მოულოდნელად ვიწყებთ კითხვას და ვკითხულობთ და მერე აღმოვაჩენთ, რომ აღარ გვახსოვს, რაც წავიკითხეთ. მეგობრებო, რა იყო ეს? ჩვენ არ ვიცით, ეს რა იყო, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ეს ის არ არის, რაც იყო, მაშინ, როცა ვკითხულობდით. ეს უკვე რაღაც წაკითხულია, მკ-

ვდარი და უნუგეშოდ შთენილი, ცოდნა. მაგრამ

ვიდრე ამ საქმეს მოვიმოქმედებდეთ, ნება მიბოძეთ, მოსკოვურ ნამცხვარს გემო გავუსინჯო. ისაა ვნებიანი და გამომწვევი, ნერწყვის მიმართულებით მადის აღმძვრელი. ვისკუპე. მადის. ცერა და საჩვენებელი თითები მოვკაკვე, შევახე და მოვაშორე. ტანში ჟრუანტელი მივლის. ჩემი ხალათის ღილების ფერი არ ემთხვევა თქვენი ხალათის ღილთა ფერებს. მაგრამ ისინი, რა თქმა უნდა, არიან კონტრარულნი და ამოწურავენ ყველა შესაძლო. შესაძლოა არც ამოწურავენ. დაე, ამოწურონ, დაე, ამაზე მუშებმა იფიქრონ, დაე, მუდამ. ერთმანეთს ვამაგრებთ, ვაძლიერებთ, იმათ წინააღმდეგ, ვისაც წარმოვადგენთ ამჯერად და პერიოდულად. ამიტომაც ვჭირდებით ერთმანეთს ამჯერად და პერიოდულად. როცა ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, ჩვენ ვართ, სულ მცირე, ოთხნი, რაც მე ესოდენ აღმაფრთოვანებს. მანიფესტაციის სტადია ხასიათდება თითოეული ჩვენთაგანით, თითოეული ერთმანეთთაგანით, რაც უნდა აღინიშნოს და გაფორმდეს. რაც უნდა გაირკვეს. ეს

ჩვენი ვალია, გარკვევისთვის მებრძოლთა ვალი. როგორ გიშველოთ, თუ არ გაირკვა, თუ როგორ გიშველოთ. რომ მან მიმართა მკურნალობის ჰუმანურ მეთოდებს. რომ დიაგნოსტიკის პრინციპული საკითხები განიხილება საჯაროდ და მეთოდურად. რომ იმან - მესამემ - კატეგორიულად უარყო თხოვნა სურათიდან გამოსვლის შესახებ, ამიტომ ისინი, ფაქტობრივად, აიძულა, მიემართათ შედარებით დამაჯერებელი მეთოდის მოხმობის აუცილებლობისთვის. ჯანდაბამდის თვალი მქონოდა. რომ ის ახლა მოთავსებულია განკერძოებით და გამზადებულია წარსადგენად. ის

შეიძლება გაიქცეს სურათში? როგორც ჩანს, და ეს ჩემთვის ნაწილობრივ გასაგებია, მისი - მესამის - გაქცევა ხელს შეუშლის სწორი დიაგნოზირების ხანგრძლივ პროცესს, რომელშიც მონაწილეობენ ისინი, ყველანი, და რომელიც მიმდინარეობს იმის ძალით, რომ ყოველთვის ხელახლა ირკვევა რაღაც და ყოველთვის მნიშვნელოვანია არა ის, რაც ირკვევა, არამედ ის, რომ გარკვევის აქტი ხორციელდება ან, უბრალოდ, სრულდება. როგორ-როგორ? "ის, ვინც ხედავს ფაქტებს, ვერ ხედავს კანონებს"? მაგრამ ეს მხოლოდ კომენტარია. აი, ისიც, რაც კომენტირდა: "რამეთუ ის, ვინც ესოდენ მნიშვნელობას ანიჭებს ფაქტებს, ვარდება მდგომარეობაში, როცა ანგარიშს ვერ უწევს კანონებს". ის კი - მესამე - კეფას იფხანს და ამბობს თუ კითხულობს: "მაგრამ ზედმეტად საინტერესოა, რას იტყვის პრუსტი აი, იმაზე, ვინც ნახა კანონები და ახლა შეგნებულად ხედავს ფაქტებს ანუ ექსპერიმენტირებს იმით, რომ თავის თავს შეგნე-

ბულად აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ ხედავდეს ფაქტებს და ვერ ხედავდეს კანონებს, რათა შეიცნოს მგომარეობა კაცისა, რომელიც ხედავს ფაქტებს და ვერ ხედავს კანონებს. ზედმეტად საინტერესოა". საქმე ეხება გარკვევის, დაზუსტების, დიაგნოზირების საფუძველზე აშენებული და პერმანენტულად მშენებარე ურთიერთობების, სიყვარულების, სიძულვილების, მტკიცებების, სინანულების, აღშფოთებების, მორალური ამორალიზმების, პედაგოგიკების სისტემას. აქ ყველაფერი ექვემდებარება გარკვევას და გარკვეულს, დაზუსტებას და დაზუსტებულს, და მაინც, და მაინც, - ეგრეთ წოდებულს. როგორც ჩანს, ის ამას მაინც გაბედავს, არა? ის კი - მესამე - ჩემი ჩაძირული თავის ბნელ სიღრმეში კიდევ ერთ კარს ჭრიალით აღებს და ჭრიალით ხურავს, სავსებით უსარგებლო ნაბიჯებით მიუყვება დერეფანს თავისი შავ-თეთრი სოროსკენ, სადაც ყოველი მისი დაწოლა და ძილი ნიშნავს საკუთარი თავის თვალიერებას სარკეში ან, უბრალოდ, ძილად მიგდებას. თუმცა, ჯერ ჭრიალით იღება კარი და ის - მესამე -, ჩემი თავის რომელიღაც ოთახში თავშემოყოფილი, მთელი თავისი პატიოსანი ძალისხმევით სულ სხვა სიბნელეს შეჭიდებული, ცდილობს, ხმა გააგონოს დარბაზში მის დასახმარებლად თავშეყრილ პუბლიკას: "იქნებ დახმარების კი არა, თანამშრომლობის ფორმაზე შევთანხმდეთ? მით უმეტეს, რომ"

დიალოგური რეჟიმი გვევლინება გაცილებით სრულყოფილ რეჟიმად, რომლის დროსაც ყველა პროცედურა სრულდება ეგმ-ის დახმარებით, ადამიანის მონაწილეობა კი გულისხმობს საპროექტო პროცედურების შედეგების ოპერატიულ შეფასებას, პროექტირების მსვლელობის გაგრძელებას და კორექტირების არჩევას. და აქვე, ნება მიბოძეთ, ბატონებო, გავლით შევნიშნო, რომ თუ დიალოგის ინიციატორად გვევლინება ადამიანი, რომელსაც საშუალება აქვს ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს გამოთვლები, დიალოგს ეწოდება აქტიური, ხოლო თუ გამოთვლების შეწყვეტა ხდება ეგმ-ზე შესრულებული პროგრამის ბრძანებით წინასწარ გათვლილ მომენტებში, დიალოგს ეწოდება პასიური. და

თუ აქ სადმე გვევლინება ადამიანი, ამჯერად მაინც ნურაფერს ვიტყვით ავტომატურ-პაკეტური რეჟიმის შესახებ, მით უმეტეს, რომ ის - მესამე - უკვე ფეხზე დგას და კიდევ ერთხელ ხმამაღლა ამბობს, რომ წარმოადგენს სხეულებრივ უმცირესობას. დიახ, დიახ, რომ ის - მესამე - წარმოადგენს სხეულებრივ უმცირესობას.

VIII
მოცემული რომანის შესახებ
ზოგიერთი არაარსებითი ასპექტის ხაზგასმა

1. "აქილევსის მეორე ქუსლის" პერსონაჟებს წარმოადგენენ განწყობილებები, რომლებმაც მოახერხეს სიტყვებთან შეხვედრა, თავი დაამახსოვრეს მათ და აიძულეს - შეკრულიყვნენ წინადადებებად,

2. ესაა ნოველებისგან შემდგარი რომანი, და როცა მე ამ ნოველებს ვწერდი, თავიდან სულაც არ ვფიქრობდი, რომ პროცესი რომანის შექმნით გაგრძელდებოდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს: თითოეულ მათგანზე მუშაობას ისე ვიწყებდი, როგორც რომანზე მუშაობას, მაგრამ ნოველის ამარა ვრჩებოდი და

3. ჩემი რომანი ჩემი ის ენაა, რომელიც თავის ენაზე მეტყველებს. ხოლო რაკი ამ ენის ჩუმი სურვილია - საკუთარი მდინარება მოიაზროს მხატვრული ენების ამოუწურავი ტრადიციის წარსულსა და მომავალში, სახეზეა მითითებულ ტრადიციასთან მიმართების ჩემმიერი გამოცდილება, ერთდროულად ერთ-ერთი და ერთადერთი, რომელიც

4. ტექსტის მკითხველი კონკრეტული ესთეტიკურ-იდეოლოგიური გამოცდილებით დახუნძლული კონკრეტული სუბიექტია. მეორეს მხრივ, ამ დროს ტექსტის გამოცდილებაც კითხულობს მკითხველს. კარგი მკითხველი, ალბათ, ისაა, ვინც არა მხოლოდ ტექსტს კითხულობს, არამედ ტექსტის მიერ წაკითხული მისი პირადი გამოცდილების წაკითხვასაც ცდილობს. საქმე ეხება არა მეტატექსტუალური ფსიქოლოგიური სიტუაციის ფენომენს ან დამატებითობის რამენაირ პრინციპს, არა რომელიმე შესაძლო ენით წამკითხველის გამოცდილების წაკითხვას, არამედ - მის წაკითხვას იმ ენის მიერ, რომელსაც კითხულობს და რომელშიც უშუალოდ არის ჩართული თავად მკითხველი;

10. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, რომანტიკული რომანიცაა: დაკარგული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებით და მისი დაბრუნების იმედით აღსავსე, მეტად და მეტად უსუსური.

16. სხვათაშორის, მეც მიფიქრია, ეს დიდი თევზი ვინღაა მეთქი. იქნებ,

ნებისმიერი შესაძლო მკითხველია მეთქი?

2. ყოველ მომდევნო ნოველაში თითქოს ხელახლა - თუმცა კი ხედვის სხვა წერტილიდან - ვიწყებდი ადრე დამუშავებული თემების ხელახლა დამუშავებას. მხოლოდ მოგვიანებით, თითქმის სამუშაოს დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, გავაცნობიერე, რომ საქმე რომანს ეხებოდა, და რომ ამ შესაძლო რომანის მთლიანობას უზრუნველყოფდა არა მარტო მხატვრული ჩანაფიქრის, რიტორიკული მოდელებისა თუ ტექნიკური ხერხების თანმიმდევრული განვითარება ან თემების მიზანდასახული კომბინირება, არამედ - უპირველეს ყოვლისა - პერსონაჟების უცვლელობა.

8. იქნებ, რაც ამ რომანში ხდება, ხდება დიდი თევზის სტომაქში? იქნებ - იონას წარმოსახვაში?

11. მე ვფიქრობ, შესაძლებელია წერო დიდხანს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მერე თავი მოუყარო ამ მთლიანობებს და დაარქვა რომანი. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მართლა ფიქრობ, რომ მთლიანობების ეს ნაკრები რომანია.

3. თვითმანიფესტაციის აქტით უკვე თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებაროს წაკითხვის ნებისმიერ შესაძლებლობას, კარი გაუღოს ნებისმიერ გამოცდილებას, ნებისმიერ ინტერპრეტაციას.

8. ან იქნებ - თეზევსის კოხტა თავში, რომელიც, ჩემი ინტერპრეტაციით, ლაბირინთის გარეთ აღმოჩნდა და მინოტავრს იმით უნდა გაექცეს, რომ ლაბირინთში შესასვლელი კარი მოძებნოს?

2. მეორადი მოქმედი პირების სიმრავლის ფონზე, ამ რომანს ორი ცენტრისკენული პერსონაჟიც ჰყავს: იდეების ინტენსივობა და განწყობილებების ინტენსივობა. მათ შორის მიმდინარე დრამატული დიალოგი გამოიმუშავებს და ინარჩუნებს ტექსტის სიუჟეტურ მთლიანობას ანუ უტოპიას, რომელიც მნიშვნელობს მანამ, სანამ სასიუჟეტო ფუნქციები არარსებული სიუჟეტის შენარჩუნებას, ცენტრიდანულ დინებებად თავიანთი თავის შეკავებას ახერხებენ, უკეთ, ამის მონდომებას განიცდიან.

5. ასეა თუ ისე, შეიძლება გერმანული "განვითარების რომანის" უშუალო

სიახლოვეს "აქილევსის მეორე ქუსლის" მოაზრება. განსხვავება ისაა, რომ ჩემი რომანი თავადვეა პერსონაჟი, რომლის განვითარება, თავიდან თავამდე, მიმდინარეობს მკითხველის ჯანმრთელობასა თუ ავადმყოფობაში, რომანი კი თვალს ადევნებს თავის ამ "განვითარებას" პირველიდან ბოლო, შემაჯამებელ თავამდე (რომელია პირველი და რომელია ბოლო, შემაჯამებელი თავი?).

6. ჩემი რომანისთვის "აქილევსის ქუსლი" ნაწრთობი ქუსლია, იგი წარმოადგენს მთელი ნაწარმოების გარსის სიმბოლოს და ამ სახით განსხვავდება პირველი, დაუცველი ქუსლისგან. ეს დაუცველი ქუსლი იქცა ჩემთვის იმ ფონად, რომელზეც უნდა გაშლილიყო მეორე ქუსლის მოქმედება ჩემს ფიქრებში, ფანტაზიებში, ესთეტიკაში. ასე რომ, მე არ მაინტერესებს "ისტორიული" ქუსლის "შექმნის" სინამდვილე: მართლა დარჩა ამბროზიით განუწმენდავი? მართლა ახალი ქუსლი დაუმონტაჟა პელევსმა სწრაფმავალი გიგანტის, დამისის ჩონჩხისგან? იქნებ, თეტიდას მართლა რაღაც ვერაგული ჩანაფიქრი ამოძრავებდა?

18. რა გასაკვირია, ბატონებო, რომ - ადრე თუ გვიან - ესეც უნდა ქცეულიყო ჩემს ბუნებრივ მოთხოვნილებად: ფორმალური კომბინატორიკისგან თავი დამეღწია სულაც არა რამენაირი შინაარსობლივი ბანალობის გასაძლიერებლად თუ დასაცავად, არამედ - ისევ და ისევ - ჩემი ერთადერთი შესაძლო შინაარსისთვის (როგორც ერთადერთ შინაარსთა რიგის ერთი რიგითი ელემენტისთვის) ჩემი ერთგულების განსამტკიცებლად (ოჰ, ეს ადგილობრივი პათეტიკა!), როგორც ეს მე მესმოდა ყოველგვარი ხელოვნური ძალისხმევის მიღმა.

15. "განაზრებანი იონასი" იმან დაწერა, ვინც, სავარძელში ჩასვენებული, მთელი თავისი ყურებით და წესიერებით ისმენდა ექიმის რჩეულ ახსნა-დარიგებებს.

1. წინადადებათა თანმიმდევრობებად და უფრო დიდ და მსუყე მთლიანობებად, რათა ამ გზით მაინც აღედგინათ გაუჩინარებულ განწყობილებათა წარმოსახული კონტურები, შეევსოთ თავიანთი წარმოდგენებით და შეექმნათ არა ეკვივალენტი ან უგემოვნო ასლი, არამედ - ამ განწყობილებების ერთჯერადი, მიწყივ ერთჯერადი გაგება.

5. მით უმეტეს, რომ ამ ტექსტმა სწორედ დროთა განმავლობაში გააცნო-

ბიერა, თუ როგორ ყალიბდებოდა რომანად და როგორ იძენდა თავისი რაოდენობრივი და თვისობრივი ზრდის სხვადასხვა ეტაპზე რომანის სახეს. სხვა მხრივ, ესაა ერთგვარი ავტობიოგრაფიული ტექსტიც, - როცა ტექსტის განვითარება ემთხვევა მკითხველისთვის ტექსტის განვითარების გაზიარებას; როცა ტექსტი მიდრეკილებას ამჟღავნებს - მკითხველს თავისი არსებობა გაუზიაროს, უჩვენოს თავისი შინაგანი ზრდის საკვანძო ეტაპები და დრამატული ეპიზოდები.

13. ეს ნოველები იმდენად მშვიდად და ბუნებრივად გადადიან და მოგზაურობენ ერთმანეთში, რომ თითოეული მათგანის დაუმთავრებლობა უფრო მაღალი ორგანიზაციის ნაწილად თავისი თავის მანიფესტირებისკენ იხრება. მე, როგორც მათ შორის ერთ-ერთი, რომელიც ერთდროულად ყოველ მათგანში ვარ, მათ ნაკლულობას ჩემთვის სასურველი დინებით წარვმართავ და შესაძლო ფუნქციონალური წესრიგის პაროდირებასაც მხოლოდ იმ მიზნით მივმართავ, რომ სწრაფად განვვლო.

16. იქნებ, თვით ისაა მეთქი - იონა, საძაგელი, თევზი რომ ვერ მოინელა და სამი დღე წვალობდა? იქნებ, მარტო პედრო კომაჩოა, თავისი სევდიანი ცოლის შორიახლოს, ცხოვრების შუაგულში?

7. ნოველების განლაგების თანმიმდევრობა გულისხმობს მხოლოდ წაკითხვის ერთ-ერთ შესაძლებლობას, ავტორის არჩევანს, რაც არ გამორიცხავს, პირიქით, პროვოცირებას უკეთებს - ესთეტიკური მდგომარეობის, პოლიტიკური და ეთიკური მრწამსის შესატყვისად - წაკითხვის ნებისმიერ სასურველ თუ არასასურველ ფორმას.

6. მე უფრო ამ ორი ქუსლის, ორი მნიშვნელადი პერსონაჟის ურთიერთმიმართებამ დამაინტერესა. აქილევსის ადგილი ბერძნულ მითოლოგიურ პანთეონში, კერძოდ ტროას ციკლის გმირებში, მნიშვნელოვნად "განსაზღვრა" ალეგორიულობისა და სიმბოლურობის ჯვარზე ჯერაც გაუკრავმა, სუსტმა, ჩვეულებრივმა, წარმავალმა ქუსლმა. მაგრამ: მოკვდებოდა თუ არა აქილევსი მხოლოდ მისი ამ ქუსლის სისუსტის შემთხვევაში? მაშინ ხომ სიკვდილი ამ ერთ წერტილში უნდა ლოკალიზებულიყო და მოეკლა მხოლოდ ეს ქუსლი, ეს "უცხო" ნაწილი, სხეულს კი ეცოცხლა.

9. ესაა რომანი ყოვლად რეალურ ადამიანებზე, რომლებიც მთელი სარომანო დრო-სივრცის მანძილზე ეწევიან "უტრაგიკულეს" საქმიანობას: აგ-

როვებენ ჩვევებს, ფიქრებს, ხასიათებს, ეთიკურ ნორმებს, გადაწყვეტილებებს, ეჭვებს, მოგონებებს, ოცნებებს, და ამას სჩადიან ერთადერთი მიზნით: რათა ეზიარონ მთლიანობას და გადარჩნენ, ანუ: რათა ეზიარონ იმას, რაც ან არასოდეს გააჩნდათ ან უკვე გამოუსწორებლად დაკარგეს. მათი ჩანაფიქრი მარცხისთვისაა განწირული, ვინაიდან მათ ხელთ არსებული ძალებით შეუძლებელია ორ მთავარ პერსონაჟზე - იდეების ინტენსივობასა და განწყობილებების ინტენსივობაზე - გამარჯვება, მათი გაძევება ან ლოკალიზება, პიროვნული გეგმების ვიწრო ჩარჩოში მათი ჩასმა.

12. ეს არც ანტირომანია, არც - არარომანი. ესაა რომანი მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორმა ასე გადაწყვიტა. ღიმილისმომგვრელი მოტივაციაა? მხოლოდ იმიტომ, რომ არაა სასაცილო. მე რომ ურიცხვი თანამედროვე რომანი დამერაზმა ჩემი ტკბილი სურვილის და მონდომების გასამართლებლად, აი, ეს კი მართლა სასაცილო იქნებოდა, ხომ მეთანხმებით?

8. იქნებ, პატმოსზე, ღვთის სახელით მოქმედი იოანეს არაცნობიერში? ან, იქნებ - "მუტაციის" მთავარი გმირის თავში, რომელმაც მაშინ არჩევანი ვერ გააკეთა: სახლის სახურავიდან სამტრედის გავლით ჩამოსულიყო თუ სახანძრო კიბით, და ერთდროულად ორივე ამ გზით ჩამოსვლა სცადა თავის სახურაველ მეგობრებთან ერთად? იქნებ - შუალედ-შესვენებებში იმ უწყვეტ გადაძახილებს შორის, იმ დიალოგებს შორის შუალედებში, რომლებშიც რომანის პერსონაჟები გახლართულან? იქნებ - პარიზში, საფრანგეთში?

5. ყველაფერი, რაც ამ ტექსტის სახით მკითხველში ხდება, არის ცვალებადობა განწყობილებების, რომლებიც, ცხადია, გულისხმობენ გარკვეულ სტრუქტურულ ფონს, თუნდაც არააუცილებელს ტექსტის გასაცნობად, მისი ტკივილის გასაგებად. ასე რომ, ეს პიროვნების რომანის განვითარების რომანია.

2. ამ რომანის ფსიქოლოგიურ მთლიანობას კი, რომანის მთელი მდინარების განმავლობაში, ქმნის სათქმელთან ჩემი დამოკიდებულების ნაკუწებად ქცეული და ასე შენარჩუნებული მთლიანობა, კულტურული გამოცდილების ნაკლულობა და ამ ნაკლულობის გაცნობიერებისთანავე ამოზრდილი ვნება ამ ნაკლულობის გადარჩენისა, მისი ტექსტუალიზების გზით.

15. იმანაც, ვინც ერთ დილით ჩაშუშული კომბოსტო და სამი ნაჭერი პური

ჭამა. იმანაც, "წასვლა"-ში რომ უცნაური სიზმარი ნახა ძეხვზე და ძაღლებზე. იმანაც დაწერა, ვინც თავის ცოლზე ეჭვიანობდა, ჩემთან ერთად სურათის გადაღება არ ახარებსო. სხვათაშორის, იმანაც, დედა რომ თექვსმეტი წლისას მოუკვდა, და მერე მასზე ოცი წლით დიდმა მეზობლის ბიჭმა გააუპატიურა, დიახ, ეს გოგონა, კულტურულად, უმალ. იმანაც, მორიგი გრანდიოზული აქტის კვალდაკვალ, ვულკანური ობელისკების დაღლილი პანორამა რომ ეზმანა, საწოლის მარცხენა კიდეზე ჩამომჯდარს.

11. ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ ძლიერ სურვილს შეუძლია ფორმის ბედის გადაწყვეტა, თუ ეს სურვილი დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობდა. თუმცა, ასეთ დროს, სურვილით ჩანაფიქრის მოტივირება ზედმეტი საქმეა.

6. აქილევსის დედამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ აქილევსის მოკვდავი სხეული სიკვდილისგან დამცავი გარსით შემოსა და ამით უკვდავება შემოავლო აქილევსის მოკვდავ სხეულს. დარჩა სარკმელი ქუსლის სახით. ამ ქუსლით სუნთქავდა შიგთავსი, შინაარსი, რომელიც, უკვდავთა წესის თანახმად, არც დროში წინსვლას და ასაკობრივ ცვალებადობას უნდა დამორჩილებოდა. მაგრამ ეს ხომ იგივე აქილევსია, რომელიც კუს უნდა დაეწიოს? ასე რომ, ამ შემთხვევაში, აპორია ამონახსნია? დავუბრუნდეთ შიგთავსს, რომელსაც ღმერთებმა უკვდავება არ მიანიჭეს. სწორედ ამ "ისტორიული" ქუსლით შედიოდა აქილევსის ტანში ისტორია, დრო, სოციალობების ღია ენციკლოპედია.

14. ფაქტობრივად, ესაა არშემდგარი ნოველების წარუმატებელი ჯამი, მშენებარე და შუა გზაზე მიტოვებული ობიექტების პანორამა, პერსპექტივის დაუფარავი თანხლებით.

18. უნდა ვაღიარო, ბატონებო, რომ პირადი დროის გადასწრება არასოდეს მინატრია, მაშინაც კი არა, როცა ჩემს ირგვლივ - ღრმა ბავშვობიდან მოყოლებული - მიწყივ კვლავფორმირებადი სულიერი ლანდშაფტი სწორედ ამისკენ მომიწოდებდა. კი არ ვთრგუნავდი ჩემს მისწრაფებებს, მე მათ მხოლოდ ფონს ვუქმნიდი. ასე რომ, მე გიყვებით ჩემი არასენტიმენტალური შეცდომების, ჩემი მარცხის კომპაქტურად შეკრულ, ნოველებად დაშლილ ისტორიას.

15. დასტურ იმანაც, საფრანგეთის უაღრესად მწუხარე მომენტში თავისი

აზერბაიჯანელი თანამებრძოლი, ჰაჯიბეკოვი რომ გაიხსენა და სევდა მოერია. თვით იმ ქეციანმა დალაქმაც დაწერა, ალბათ. იმანაც, ყველაზე სოციალურ ასაკში რომ ჩამოიხრჩო თავი და მისი დახლი ცარიელი დარჩა. მე ვფიქრობ, იმანაც, წინამძღვარმა ჩქარი სიკვდილი რომ უწინასწარმეტ-ყველა "სულ სხვა შემთხვევის ისტორია"-ში, ნუგზარი რომ ერქვა თავიდან.

17. აი, ჩემი ახალი კონსერვატიზმის შინაარსი: ნამდვილი მკითხველი მხოლოდ და მხოლოდ ისაა, ვინც წერს.

1. მოცემული რომანის შემოთავაზებულ მთლიანობას განამტკიცებს ხსენებულ პერსონაჟთა ურთიერთშეხვედრებისა და შეჯახებების სიხშირე და ამ დრამატულ წერტილებში აღმოცენებადი ინტენსივობები, რომელთა თვითრეალიზაციის ველს და კონტექსტუალური პირობითობების სიმრავლეს ადამიანური მოძრაობები - სამეტყველო, სამოქმედო, სააზროვნო თუ სამახსოვრო - წარმოადგენენ.

7. და მაინც, ჩემთვის ხაზგასმით აუცილებელია იმის დაზუსტება, რომ ნოველების განლაგების ჩემმიერი არჩევანი ითვალისწინებდა სტრუქტურის მთლიანობის უკეთ წარმოჩენას, ორიენტირებული იყო ლოკალური, სანოველო მთლიანობების განლაგებით დრამატული სიუჟეტისთვის გადამწყვეტი უპირატესობის მინიჭებაზე.

19. ერთ შორეულ დღეს, როცა რომანი ჯერაც ისევ მე მეკუთვნოდა, "ირიბი თარგი", აი, ასეთი მიძღვნით გამოქვეყნდა: "ნოველა ეძღვნება ჭოლა ლომთათიძეს. მისი შემოქმედების მადლიერია ჩემი სიყმაწვილე". "სულ სხვა შემთხვევის ისტორია" კი - აი, ასეთით: "როცა ეს ნოველა დაიწერა, ბადრი გუგუშვილი ცოცხალი იყო. ტექსტში მოქმედ ენათაგან ერთ-ერთის პროტოტიპი მისი ენაა. რომელი? ამას არა აქვს მნიშვნელობა. მხოლოდ ეს მინდა: ამ ტექსტს ვთხოვო, ჩემი მეგობრის, ბადრი გუგუშვილის ხსოვნას მიეძღვნას". ხოლო "ცუდი რეპორტაჟი" - აი, ასეთით: "ვუძღვნი კახა მეტრეველს და მის მეგობრებს: ყველას, ვისაც უკვე ვიცნობ და ჯერ არ ვიცნობ".

5. სხვათაშორის, კომპოზიციური მთლიანობა, მნიშვნელოვანწილად, უზრუნველიყოფა განვითარების, ზრდის, ნათელყოფის უწყვეტი პროცესით, ამ პროცესში წარმოქმნილი კოლიზიების მოხსნით მომდევნო გვერდებზე.

6. ბედმა ინება, აქილევსის სიცოცხლეს წერტილი დასმოდა მისი დაუცველი, გამოუწრთობი ქუსლის გავლით და ეს ქუსლი ქცეულიყო მოკვდავ ბერძნებთან აქილევსის სრული სოლიდარობის სიმბოლოდ. სიმბოლიზაცია განიცადა არა იმ ქუსლმა, რომელიც მართლა არაჩვეულებრივი იყო ადამიანური, ისტორიული გადასახედიდან, არამედ - იმან, რომელიც ერთადერთ ჩვეულებრივ ასოდ დარჩა მის ნაწრთობ გარსში. მაგრამ, იქნებ, ამიტომაც მოუყარა ადამიანმა თავი თავის სევდას სწორედ ამ ქუსლში? იქნებ, ამით იძია შური მეორე ქუსლზე?

4. საქმე ეხება ურთიერთწაკითხვის თანაბარი შესაძლებლობების, არაპრევალირებულობის შეცნობას. და მაინც, მე უპირატესობას ვანიჭებ მხატვრულ ტექსტს ანუ ტექსტებს შორის არსებულ და მოძრავ მხატვრულ ტექსტს, როგორც შემოქმედებით მკითხველს, და არა - თანამკითხველს, როგორსაც წარმოადგენს ტექსტის მკითხველი. ტექსტს მხოლოდ ტექსტი შეიძლება გაუტოლდეს, შემოქმედს - შემოქმედი. ეს არ აკნინებს მკითხველის ფაქტორს. უბრალოდ, საქმე ეხება სხვადასხვა საკითხს. ჩემთვის უცხოა ყალბი დემოკრატიზმი (დემოკრატიული იდეოლოგია ხომ სულ მთლად უცხოა), ფსევდოპლურალიზმი, პლურალობის ნებადამრთველი დენდიზმი. სხვაობა, უბრალოდ, სახეზეა უკვე იმით, რომ საქმე ეხება ერთის მხრივ "დამწერს", მეორეს მხრივ - "წამკითხველს". ყველა მწერალი, ამავე დროს, მკითხველიცაა; ყველა მკითხველი არაა მწერალი.

15. იმანაც მეთქი, მერე მზეს რომ მიეფიცხა და, ერთიც ვნახოთ, აი, ასეთი უბადრუკი სიმღერა შეთხზა:

> სუსტი ხარ მეთქი, გეუბნები, ჩემო სხეულო,
> და გეუბნები უკვე ისე დამაჯერებლად,
> რომ მევე მჯერა ამ ოხერი ჩემი სიცრუის,
> რომელიც ჩემი უცნობია დამაჯერებლად,
> ჩემი ნაცნობი არსებობის მეორე მხარე,
> რომელიც დღემდე ქარებს მიქსევს წამში იმდენჯერ,
> რომ შეიძლება ჩემს ცხოვრებას დაერქვას "დიახ",
> რომ შეიძლება ამ ტკივილებს ვიმეორებდე
> იმათ პირისპირ, ვინც უცხოა ჩემი სახლისთვის,
> სადაც ცხოვრობენ, დიახ, სადაც ცხოვრობენ სხვები,
> იმაზე მეტად ან ნაკლებად რეალურები,
> ვიდრე - ტკივილი გამოხრული გულის არეში,

უკვე იმდენად და იმდენად რეალურები,
რომ შენს ტანს, ფრჩხილებს, გამოხედვას და მეტყველებას
ვერ იკავებენ უკვე შენი ცუდი ფიქრები,
და შეიძლება იცოდე ან იზეპირებდე,
რომ უცნობია თავდადებით და თავდადებით
არის ნაცნობი ჩემი ენის მიმართულება
იმის პირისპირ, რაც გაქრა ან ისე დაყრუვდა,
როგორიც იყო მაშინდელი ტაში იმ სახლში,
სადაც ვამბობდი, არ ხარ მეთქი უკვე იმდენად,
დიახ, იმდენად, რომ ჩარეცხილ წყლებად ქრებიან
ამ უმახინჯეს სახლებს შორის შენი ფიქრები
და დაეძებენ შორს ანთებულ დამახსოვრებებს
ან, დიახ, ასე, დაეძებენ ღიმილს ბაგეზე,
ან, დიახ, ასე, შენთვის ნაცნობ გამოცდილებებს
იმეორებენ გამდინარე სისხლის პირისპირ
შენი ხელები, შენი ფრთები, შენი ხელები,
დამვიწყებლები კიდევ ერთხელ ტაშის შემოკვრის,
აკივლებულნი უკიდურეს წერტილში შენი
ძალისხმევისა და თევზისა, შენ რომ მიირთვი
და ახლა მწარედ ედინება შენი ენიდან,
შენი სისავსის შეუცვლელი აბსტრაქციიდან,
გაედინება პურში, ხეში, ქვეწარმავალში,
გაედინება უამრავი ცუდი ჩვევიდან,
ჩვევიდან დროზე და სიკვდილზე მიმაგრებისა,
ჩვევიდან ზღვაში, მდინარეში ჩადინებისა,
ჩვევიდან ხსოვნის, ისტორიის დავიწყებისა,
ჩადინებისა ბაბილონის ურიცხვ გოდოლში,
ურიცხვ წარღვნაში და სიზმარში ჩადინებისა,
გადახვეწის და გულისცემის აჩქარებისა,
ერთ ტანში ტანის ერთიასად გამრავლებისა,
და ამის მერე, კარგად ყური დამიგდე მეთქი,
შენს ტანში, ფრჩხილში, გაჩერებულ გამოხედვაში
განთავსდებიან უმეტყველო ჩემი ფიქრები
და წარმოშობენ ელეგანტურ ადამიანებს
შენი სიბნელის და ღიმილის ყველა კუთხესთან,
სადაც ეს ტანი, ეს ფრჩხილი და ეს გამოხედვა
ცარიელ გულში ჩარჩენილი ჭრილობებია,

გამოყოლილი ოდინდელი დიდი ომიდან,
დანაკარგების წმინდა მთიდან, ძალიან დიდხანს
შენი სიმღერის რთული ხილვა რომელიც იყო,
განთავსებულთა სანუგეშოდ, მათი მიზნების
გადასაძლევად იმათ მიერ, ვინც შენ იყავი
გუშინ, გუშინწინ, იმის წინ და ათასი წლის წინ,
ვინც უარყავი დაკარგულის შესაჩერებლად
შენგან შორს, უკან, წინ, სიტყვაში, საქმეში, ძილში,
ყველაზე უფრო კონკრეტულ და მყიფე ფიქრებში,
შორს და შორს შენი დაუცველი შეხვედრებიდან,
სენტიმენტალიზმს, ყვავილებს და სანაგვე ურნებს
გამოკლებული, უცოდველი სიმარტივიდან,
აღარავისთვის გასაგები სიმარტოვიდან,
რომელიც სადღაც გადაკარგულ ხის ფუღუროში
შეხიზნულხარ და ემალები სიგიჟეს, სიკვდილს,
რომლებიც უკვე შენი ჩუმი ბედისწერაა,
ვინც უარყავი დაკარგულის შესაჩერებლად
შენი მაგიდის, შენი ფიქრის, ქაღალდის სახით,
ვინც უარყავი იმის ფასად, ვინც ახლა შენ ხარ
ხის ფუღუროში საქმიანად შემრგვალებული,
როგორც ტკივილით დაგრეხილი, უფორმო ტანი,
მზით და ხრიოკით დაცული და გადაგდებული
შიგნიდან, ყრუ და რკინასავით მშრალი სიღრმიდან,
ზრდადი ბედით და სევდიანად ზრდადი საშველით,
რომელიც არის შენი ცუდი გამოცდილება,
და გეუბნები, ჩემო ტანო, რომ შენს ფიქრებში,
შენი ხსოვნის და ერთგულების სიმარტოვეში
ჩემი სიმღერა უკვე აღარ მონაწილეობს,
აღარც - ეს გული, რომ მოდის და უხმოდ ჩამძახის,
რომ უფლება მაქვს, უფლება მაქვს, რომ უფლება მაქვს
ხელმისაწვდომად შევიძინო ჩემი ცხოვრება
ჩემთვის სასურველ ნივთებთან და ფიქრებთან ერთად,
ურთიერთობებს თანდართული დანაკლისების,
წაგებების და მოგებების სრული თანხლებით,
აწმყოსთან ერთად, საიდანაც კარგად მოჩანან
დაუცველი და ერთმანეთზე გადაუცვლელი
ჩემი ხილვების ძირითადი კონსტრუქციები,

ჩემი სუნთქვის და ჯანმრთელობის, ავადმყოფობის
გამჭოლ ჰაერში მოქანავე საცხოვრებლები,
დიახ, მოდის და დამყურებს და უხმოდ ჩამძახის,
რომ შემიძლია ბატონობა ათას წვრილმანზე,
მრავალ და მრავალ გრამატიკულ კონსტრუქციაზე
და ბევრზე ბევრი გადაშლილი ავადმყოფობის
წმინდა ნაყოფთა სიმრავლეზე, სიარაფრეზე,
რომ შემიძლია ვივიწყებდე ისე იოლად,
როგორც სიზმრებში ჩემი სიტყვა ივიწყებს სათქმელს,
ყველას თვალწინ და გასაგონად ვცხოვრობდე იმას,
რაც ჩემია და ასერიგად მშობლიურია,
იქიდან, თეთრი კედლებიდან მოპოვებული
რაც მაბადია ექიმების ხშირი თანხლებით,
რბილი პირადი შენჯღრევების მონარჩენებში
ამოკითხული ათასობით მიმართულებით,
რომლებიც ყოვლად უმიზნოდ და უდასასრულოდ
შემახსენებენ ჩემს გეგმებს და ჩემს ჩანაფიქრებს,
ჩემს სამშობლოში გაქცევაზე მზაკვრულ ოცნებებს,

16. იქნებ, შენ ხარ, საბრალოვ, შეყვარებული რომ გაგიუპატიურეს (ოთხმა ადამიანმა და ერთმა ძაღლმა) ამ შენს თბილისში და მერე ყველაფერმა დაკარგა სინათლე, ყველაფერი უკან-უკან წავიდა სიკვდილში? იქნებ, სულაც ვეშაპია მეთქი და არა მართლა დიდი თევზი? იქნებ, ხათუნას უდღეური მეგობრის სულია? ეჰ... იქნებ, რომელიმე ჩიტის სულია და მეტი არაფერი, უშუალოდ ჰაერში?

IX
ცუდი რეპორტაჟი

- არის ბევრი დაუმსახურებელი ძღვენი, - თქვა მან, - ჩვენ მათ შესახებ არაფერი ვიცით და ეს გვაიძულებს, მათ ირგვლივ ვბრუნავდეთ, ისე, რომ ვერსად ვერ წავიდეთ უფრო შორს, უფრო მარცხნივ. ისტორია იწყება სავსებით პროზაულ სიბრტყეზე, გარემოცულია სავსებით რეალური სახლებით, ქუჩებით და ადამიანებით, მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვს სწორედ ამ კონკრეტული ფონის გახსენებას, იგი აღარ არის, მისი ადგილი კი უკვე შევსებულა იმით, ვინც მის გარეთ უნდა ყოფილიყო: ჩვენით. მე არ ვიცი, სადაა სენა, რომელშიც თავი დაიხრჩო ცელანმა, მაგრამ ვიცი, რომ ცელანმა თავის სენაში, საკუთარ წყალში დაიხრჩო თავი. როგორღაც, შემთხვევით, მოხდა, რომ ვხედავ, ვათვალიერებ იმ ქუჩებს და იმ შენობებს, რომლებსაც ხედავდნენ ის თვალები, რომლებმაც ნახეს, როგორ გადახტა ცელანი სენაში, ის თვალები, რომლებმაც ცელანის მწუხარე გვამი და მდუმარე ღიმილი, შეშლილის ღიმილი, მდინარიდან ამოიყვანეს და გზა განაგრძეს იმ ქუჩებით, რომლებიც მაიძულებენ, საზარელი და შეუქცევადი, ხელისჩამქნევი ფიქრით დავასკვნა, რომ აქ ჩემი სენა არ არსებობს, რომ ის ყველაფერი, რასაც მე ვხედავ, სხვისია და არასოდეს იქნება ჩემი, რომ მე ის არ დამიმსახურებია იმით, რასაც შეიძლება ეწოდოს ჩემი გამოცდილება, ჩემი ის გზა, რომელიც აქ, ამ ქუჩებში მამყოფებს, რიგიდირებს აი, ამ ფიქრში: თუ გინდა, არსად არ წახვიდე, სადღაც ხომ უნდა მიდიოდე. შენ მას უყვარხარ? არა, მას მხოლოდ ეს უნდოდა: გაეგო, რა გსურს ახლა, ამ წუთას. მან უკვე იცის, შენ რა მოგწონს, რას აფასებ, სად ხარ, და როცა ამის გამო უყვარხარ, არ შეიძლება, ეს დამამცირებელი არ იყოს შენთვის, შორსმყოფისთვის, გრძელ სავალზე სამუდამოდ შეწყვეტილისთვის. და როცა იცის, რა მანძილზე თანაგიგრძნოს, რა სიზუსტით მოგიტევოს, არ შეიძლება არ უყვარდე, ისე, როგორც შეუძლებელია, მისი გულგრილი ჰუმანიზმი დამამცირებელი არ იყოს შენთვის. მაგრამ თქვი ესეც: რას გრძნობ ზურგსუკან? რა სიმძიმეს? რა სიღრმეს? რა სუნთქვას? თუმცა, ჯერ სულ სხვა უნდა ითქვას: თუ გსურს ირგვლივ მიმოიხედო, უნდა იყოს ადგილი, რომელსაც შენ განეკუთვნები მშვიდად და შენგან გაუსვლელად, და ეს ადგილი უნდა გაძლევდეს საშუალებას, რომ გარემომცველი მოვლენები და თანამდევი სიცოცხლეები დააბინავო არა შენ-

ში, არამედ - შენს ირგვლივ, სადღაც შუა გზაზე შენს ადგილსა და იმ ადგილს შორის, რომელსაც შენი ნებით მოწყდნენ და მოელიან შენს კიდევ ერთ ახალ ნაბიჯს შენივე თავისკენ. როგორც მე მესმის, ეს ძალიან ჰგავს ბევრის მიერ ამოხსნილი ამოცანის პირისპირ დგომას, ამ ბევრის მიერ ამოხსნილი პასუხის მცოდნის შიშვლად დგომას, ტკივილით და თვალებით დგომას იმის პირისპირ, რაც შენგან მხოლოდ შენს პასუხს ითხოვს, არა იმ აზრით, რომ ყველა ადამიანს თავისი გზა და პასუხი აქვს. არა, აქ საქმე ეხება ხსოვნას, უფრო სწორად, მეხსიერებას. პასუხი ერთია, მაგრამ ყოველი ამოხსნა, ყოველი წერტილი არა მხოლოდ ერთჯერადია, არამედ - დავიწყებადიც, ქრობადიც. იგი უნდა ამოიხსნას ყოველთვის ხელახლა, ყველგან - ხელახლა. შენ ხომ უყურებ ამოცანას და არა - პასუხს. რასაც უპასუხე, ის დარჩა; პასუხი გაქრა იმასთან ერთად, რაც უკვე აღარ ხარ, მაგრამ თავის დროზე რამაც შენი მორიგი ნაბიჯი უზრუნველყო, გარკვეული ან გაურკვეველი მიმართულებით. აი, ეს ბოშები, თითქოს ჰიპებს რომ თამაშობენ და, იმავდროულად, მთვარიდან ჩამოყრილი, მტვერში ამოგანგლული თოჯინები არიან, თავიანთ საუკეთესო წუთებში განუხორციელებელ მონგოლებს და განხორციელებულ ქართველებს ჰგვანან სწორედ აქ, ამ პაწია სამხრეთულ დაბაში, სადაც ყველა და ყველაფერი არის საჩვენებელი თითის გაშვერა-მიდევნება საათის ისრისკენ, რომელიც აწმყოს გამომსახველი კონკრეტული ნივთი და აწმყოში აღმოცენებული ადამიანების სევდიანი ფიქრებია. როცა ეს ბოშები ხელისგულისოდენა ბაზრობებს, სულ რამოდენიმესაათიან ვაჭრობებს მართავენ, მათი ასეთი სახელდახელო წარმოდგენები დახუნძლულია ნიშნებით, რომლებსაც თვითონ ისინი, ამ ნიშნების შემგროვებლები, არ იცნობენ. მათი ნიშნები, რომლებიც დროიდან დროში გადადიან და იკარგებიან, ასეთი გულისშემკუმშავი წარმოდგენების წყალობით, როგორღაც ინარჩუნებენ უნარს, - აღნიშნონ სიცოცხლე თავისი წმინდა, შეურყვნელი სახით, აღნიშნონ ისე, რომ გადარჩნენ ერთად, მაგრამ არა - ცალ-ცალკე. აქ პიროვნული ვერანაირ დიდ მიზანს ვერ შეეწირება მხოლოდ იმიტომ, რომ ის - პიროვნული - ჯერ არ ჩასახულა, ჯერ არავის მოუთხოვია იგი ბოშურ-მშობლიურ სივრცეში. ის, უბრალოდ, საჭირო არაა. სამაგიეროდ, საჭირო ვართ ჩვენ, ვისაც ჩვენი სხვადასხვა თავები, თითქოს, სწორედ მათ ჭრელ ზეიმზე დასასწრებად მოგვიყრია. მათ შორისაა ისიც, ვინც, ჩემი მეგობრის თქმით, ჰემინგუეის ქალებს ჰგავს ძალიან, და ვისაც ვთხოვ, ფრანგულიდან რუსულად მითარგმნოს მიკროფონით გამოსული ბატონის სიტყვები. მას გააჩნია მკვრივი შავი თვალები და მსუბუქ ტალღებზე მოქანავე ცარიელი ნავივით უდარდელი, მაგრამ დიდი წარსულის მქონე ტუჩები, რომლებიც არას-

დროს მინახავს უნიღბოდ. ბაროკო ყველაფერში, - ვეუბნები, - შენშიც კი, ასე პრაქტიკულში და იოლად თრობადში. სავსებით შესაძლებელია, შიშმა გაიძულოს, უარყო შორეული და სიტყვით გადაულახავი; ულმობლად მოექცე იმას, რაც შენს გარეთ აღმოჩნდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი მიზეზით და რატომ. ყოვლისგანმმსჭვალავი ამ შიშის წინაშე, ხშირად, უძლურია ისიც კი, ვინც ერთობ ძლიერ წარსულს ფლობს, ვისი შინაგანი სივრცეც მოიცავს სიტყვის წინაშე უმწეობას, აღიარების მიღმა დარჩენის ხელოვნებას. ჰემინგუეის ამ ქალის სახელი ჩემთვის ბოლომდე უცნობი დარჩება, ჩემივე მიზეზით, ჩაიკარგება მისი ვიწრო სამოსის მრავალფეროვან ნაკეცებში, უფერულ გასაგებობაში. მაგრამ მე ვიცი შენი სახელი და შორიდან ვუთვალთვალებ იმ ხალხს, რომელმაც ეს სახელი შენამდე მოიტანა და გაქრა. ისინი პატივს სცემენ ამ სახელს შენში ყოველთვის იქ, სადაც შენ მათ ვერ ნახავ ვერასდროს, თუნდაც - ამ ცეკვაში და შიშველ, ჭუჭყიან ფეხებში; გამომშრალი ბარძაყებიდან ამოდის ტამტამი და ირიბად ნაწილდება ჩასაბერ და ჩამოსაკრავ ინსტრუმენტებს შორის, თევზის სიჩუმით დაცურავს მისი გულისცემა ცეცხლოვან გამოხედვებს შორის, ელვის სისწრაფით აკავშირებს ერთმანეთთან ამ გამოხედვებს, გასროლილ და ჰაერშივე სკდომად ამ ნიშნებს. "ეს ბატონი ლაპარაკობს, რომ ოცდაცამეტჯერ იყო ლიტვაში. ვერ იტყვი, რომ ახალგაზრდულად გამოიყურება, არა? ამბობს, რომ აღმერთებს რკინიგზებს და ძველ მატარებლებს. ის საფრანგეთ-ლიტვის თუ ლიტვა-საფრანგეთის დეპარტამენტის თუ რაღაც ასეთის პრეზიდენტია, კარგად ვერ გავიგე. ჰო, სადაც მდინარეები მოედინებიან, თურმე იქიდან ჩამოსულა. ეს ბატონი, თურმე, შეყვარებულია მუსიკაზე და ადგილობრივ ადამიანებზე. პატრასი ეკითხება, რა ღირს ამ ბატონის ზარებიანი სატვირთო მანქანა. პატრასი უფრო მნიშვნელოვან კითხვასაც სთავაზობს: ხომ არ უნდა ეწოდოს ამ უცნაურ ობიექტს ზანზალაკებიანი ვაგონი? ეს ბატონი პასუხობს, რომ ეს ღირს მილიონი ფრანგული ფრანკი. აქ ასი ზარია, მათ შორის ზოგი დიდია და ზოგი - პატარა. იხდის მადლობას და გვისურვებს სასიამოვნო თუ რაღაც ასეთ სადილს. დიდი გზა უვლია და დიდი მანქანებით მოსულა ჩვენამდე, რაც ძალიან უხარია, როგორც ხაზგასმით აღნიშნავს. ჩემი ღრმა რწმენით, პატრასი მთვრალია". ვის დაეძებენ ჩემი სიტყვები ამ მხარეში? ვინ დაკარგვიათ ისეთი, ვისაც არ იცნობენ, მაგრამ ეძებენ ყველგან, სადაც ერთ-ერთი რიგითი მწერლის, ჩემად წოდებულის, ხელი მიუწვდებათ? ეძებენ ყველგან, სადაც დანაკარგის სიმძიმით იზომება სასიცოცხლო სივრცე. ის, ცელანი, იდგა პარიზის ურიცხვ ხიდზე და თავის სენაში ხედავდა ერთადერთი სწორი პასუხის მოსალოდნელ, მშვიდი ნაბიჯებით მომავალ

სილამაზეს, უსასტიკესს თავის ეჭვებში, თავის ცვალებადობებში. მე მაშინ ვამბობდი, რომ აი, ეს ვართ ერთმანეთისთვის: დაკარგული სამშობლოები. არავითარი მეტაფორა, არავითარი სენტიმენტალიზმი. არავითარი აზრი. რომ აი, ეს ვართ ერთმანეთისთვის: დაკარგული სამშობლოები. ჩვენ ერთმანეთი დავკარგეთ არა როგორც მტერი ან მოყვარე, მეგობარი, თანამოაზრე, თანაგანმცდელი, არამედ - როგორც სამშობლო მეთქი. და რომ ახლა გაუთავებლად ვლაპარაკობთ ერთმანეთის შესახებ ერთმანეთთან და სხვებთან. თუმცა, ეს სხვა ვინ უნდა იყოს? არსებობს მხოლოდ ერთმანეთი. ის მაღლიდან ჩავიდა სენაში. რომ ვლაპარაკობთ იმაზე, ვინც უკვე დავკარგეთ. ერთმანეთის წარსულები ერთმანეთის წარსულზე ვმეტყველებთ. ვმეტყველებთ ისინი, ვინც ერთმანეთისთვის დიდი ხანია დავმთავრდით და აი, ამიტომ, ვერც აწმყოში ვიარსებეთ. ჩვენთვის ხომ აწმყო უცნობია, ჩვენ ვართ უზარმაზარი და უღრმესი გამოცდილება, რომელსაც შეჯამება არ უწერია, არ უწერია სიკვდილი და არ უწერია დაბადება. არა იმ აზრით, რომ ეს არ ხდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიბადებით და ვკვდებით, მაგრამ ეს ხდება ჩვენგან დამოუკიდებლად, სადღაც ჩვენს გარეთ; ჩვენ ვერ ვესწრებით და ვერ განვიცდით იმას, რითაც ჩვენს ამქვეყნიურ გრამატიკაში რაღაც იწყება და მთავრდება, სადაც იწყება და მთავრდება. ხდება: შევეხეტებით ერთმანეთის წარსულში შემთხვევით და ეს სულერთია. ვინაცვლებთ სხვა წარსულში და ესეც სულერთია. ჩვენში ვიღაცეები დაეხეტებიან და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით, ვერც გავიგებთ, ისე, როგორც ჩვენ ვერ მივაწვდენთ ხმას იმათ, ვის წარსულშიც ვიხეტიალეთ და ვისი წარსულის შესახებაც ჩვენ, წარსულებმა, რაღაც ვიცით: გვინდა ჩავძახოთ, გავაგებინოთ, რომ რაღაც ვიცით მის წარსულზე, და ვერ ვახერხებთ. გვინდა კი? გვაქვს კი ამის სურვილი? საერთოდ, რა შეიძლება იცოდეს წარსულმა თავის თავზე ამ წარსულის გარეთ? ნუთუ - სავსებით არაფერი? ის მაინც იცის, რომ რაღაც დაკარგა? ალბათ, იცის ან გუმანი კარნახობს. მაგრამ იმას, რაც დაკარგულია, გაუთავებლად, უშურველად, დაუღლელად ვლაპარაკობთ. რაც ერთმანეთში დაგვიკარგავს, იმას ჩავდივართ: სამშობლოს ვაკეთებთ, სამშობლოს ჩავდივართ, სამშობლოს დავდივართ და სამშობლო გვძინავს, მაგრამ სამშობლოში არ ვართ. ის, ჩემი დგომა, ბრძნულად განსჯის: "ეს არაა წარსული, რომელიც მხოლოდ დროში ზურგსუკანაა. ის, ერთდროულად, უკანაცაა და წინაცაა, მომავალში. რა თქმა უნდა, წარსულად ყოფნისთვის განწირული იგივეა, რაც - მომავლად ყოფნისთვის განწირული. ჩვენ ხომ ერთმანეთი ისე დავკარგეთ, რომ ერთმანეთისთვის არც შეგვიხედავს. ჩვენთვის უცნობია რამენაირი დრამა, ტრაგიზმი. ჩვენ - ხშირად ხდება - რაღაცის

არარსებობას თამაშად ვასაღებთ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა არის თამაში. გვინდა ვთამაშობდეთ და სიმახინჯეებს ვემსგავსებით, ჩრჩილით შეჭმულ თოჯინებს, ერთმანეთზე მიყრილებს და აღუდგენლებს, ჩამოწერილებს. ჩვენ არ ვთამაშობთ, ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით ვთამაშობთ, ერთმანეთს ვატყუებთ და იქვე ვაცნობიერებთ, რომ ვერ ვატყუებთ. გესმის, რა მინდა? გესმის, რას უნდა გადავურჩეთ?". როგორაა ეს ხელი თვალი? აქ კი ბოშების ყვითელ კბილებზე დაკვესებული ღიმილი სულ მცირე დროით ხალხს ავიწყებს ძმობას, ერთობას, თავისუფლებას; ავიწყებს ცეკვას, რომელშიც ისინი ახლა არიან; ავიწყებს ლუდს, რომელიც ახლა რომელიღაც მათ სულებში უმიზნოდ ორთქლდება; ერთმანეთში აყვარებს თოჯინებს, ერთმანეთზე მიყრილებს და გამოუსწორებლებს. ალბათ, სადმე აქ უნდა იგულისხმებოდეს ნებისმიერ შემოქმედებით პულსაციაში ასახული გულისფეთქვა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს შუქჩრდილი ადამიანის კანზე, მაგრამ რომელსაც არ შეუძლია დაიმორჩილოს მაჯა. რომც გიჩვენონ, განა დაიჯერებ, რომ იყო დრო, როცა, ჯერ ერთი, დუმილი არ კრებდა და მეტყველება არ განაბნევდა, და, მეორეც, დუმილი არ კრებდა იმას, რასაც მეტყველება განაბნევდა? განა ირწმუნებ, რომ ფრთები მათაც ესხათ, განა დაიჯერებ? ეს ის წესრიგია, რომელიც ერთ დღეს ვერ აიტანა სასვენი ნიშნებით გარემოცულმა ჩემმა მეგობარმა და გამოიგონა წუხილის ნიშანი, რომელიც ამ მოწესრიგებულ სამყაროს კი არ დაუპირისპირა, არამედ მხოლოდ გარემოიცვა ამ ნიშნით ის, რამაც თვით ის, ჩემი მეგობარი, უფრო ადრე გარემოიცვა. უფრო მეტიც, მან გააკეთა დერეფანი, რომლითაც არა ერთხელ გასულა არა გარეთ, არამედ - სადღაც, მისთვისვე უცნობ ამოსუნთქვაში, დროებით საშველში. და მე ამ გასვლას შიშს ვერ ვუწოდებდი და მან ეს იცოდა, ჩემმა მეგობარმა. "არამედ ეზოსა მაგათსა კარი არა აბია, და ვისცა უნდეს, შევალს და აჰხსნის კარაულსა და წარიბამს". ავიწყებს ლუდს, რომელიც ერთ-ერთმა გინებით მოისროლა ზურგსუკან, ტუიის ბუჩქებისკენ. მისი უაღრესად არაპროპორციული თავი ღიმილით ერწყმის მოძრაობებს, განზავდება სხეულებისგან დაცლილ მიმოსვლებში. მისი თავი, თითქოს, ცხვირის ღერძზეა აცმული და ბრუნავს. არის სხვაც, თმადაძენძილი, მდედრობითი სქესის ფარგლებში. მისი ცეკვა უფრო ზომიერია, ფიქრიანი, ნაკლებად ორგანიზებული. როცა მას უყურებ, გექმნება შთაბეჭდილება, რომ წუთი-წუთზე ცეკვას შეწყვეტს და რაღაც ისეთს მოიმოქმედებს, რაც დაკავშირებულია სექსის შიშველ ნაირსახეობასთან. მაგრამ გადის დრო და მსგავსი არაფერი ხდება, ის კი, მაინც, თითქოს ყველაფერს ხელახლა იწყებს. ერთი სიტყვით, მისი სახით ადგილი აქვს ექსპოზიციების უწყვეტ ჯაჭვს, ან, ვთქვათ,

დაუსრულებელ ექსპოზიციას. სადაც ის დგას, იქ აუცილებლად ენარცხება ფილაქანს ნახევრადმოწეული, საგულდაგულოდ გაღეჭილი და ჭუჭყიანი სიგარეტი. ის კი ყველგან დგას, ოციოდე წუთის განმავლობაში ამ უმცირესი ტერიტორიის ყველა მონაკვეთს მოინიშნავს მისი დგომის რიტმი, რაც ხდება მისთვისვე შეუმჩნევლად. როგორც მარწმუნებენ, სექტემბრის მიწურული საუკეთესო დროა საფრანგეთში, განსაკუთრებით კი - პარიზში, რომელსაც თვალი მოვკარი ციდან და რომლის აეროპორტშიც დავეშვი, თითქმის ერთი კვირის წინ. ორლი არაა ეჭვიანი, მაგრამ მაინც ისეა დამიზნებული უცხო თვალზე, როგორც სიბნელეზე. მე ასეთ შიშში არაბუნებრივს ვერაფერს ვხედავ. მითუმეტეს, როცა საქმე ეხება უწყვეტ თვალს. იმას, ვინც მაშინ სენაში შევიდა, შეეძლო ამ მზერის გამოტოვება, და ეს მის ბედში არაფერს შეცვლიდა. ხოლო ამჯერად საუბარია სავსებით ნაცნობ განაჩენზე, მე ვლაპარაკობ სისხლზე, რომლადაც ბაგეზე მომდგარი სიტყვა აღმოიფხვრება ხოლმე ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს სამშობლო, არარსებული, მაგრამ რეალური. "და წარემართა უშინაგანესსა უდაბნოსა". მე ვლაპარაკობ რეალობაზე, რომელიც ამართლებს წინათგრძნობას ამ რეალობის განხორციელების შესახებ. ამ შემთხვევაში, შიში წარმოჩნდება სასიამოვნო დაუდევრობად; წარმოჩნდება მაინც და მაინც იქ, სადაც მისი წარმოჩენა თავზარდამცემი გაურკვევლობის მეტს არაფერს გპირდება. აბსტრაქცია არაფერ შუაშია. ასეთი შიშის შესაძლებლობა, ცხადია, არსებობს, მაგრამ ამ შესაძლებლობის მოპოვებამდე, ლოკალიზებამდე და დათმენამდე გონება განწირულია ეჭვებისა და უიმედობების უწყლო, ხრიოკი მიწების გადალახვისთვის, წარმოსახვის მშვიდი, გახანგრძლივებული ჭკნობისა და ისეთ განურჩევლობაში გადაჩეხვისთვის, საიდანაც არც დროში, არც სივრცეში გასასვლელი არ არსებობს, სადაც არ აღწევს აღტაცების ჩქამიც კი, სადაც შესაძლებელი და შეუძლებელი ერთსა და იმავეს აღნიშნავს, ხოლო ეს ერთი და იგივე სხვა არაფერია, თუ არა გვიან, მაგრამ მაინც მიგნებული ერთადერთი საკუთარი სულიერი რიტმით ტკბობის სრული უუნარობა, თუნდაც თეორიულ პერსპექტივაში მისი დანახვის ნიჭის უნუგეშო არარსებობა, და ეს ის ერთადერთი წერტილია, რომელშიც ტკბობა აბსოლუტურია, რომელშიც ტკბობა გაუცხოების ოპერაციას არ ექვემდებარება და არ მოიპოვება, რომელშიც ტკბობა ხარ შენვე, რომელმაც ის დაიმსახურე მას მერე, როცა მისი დანახვისთვის საჭირო ენერგია დახარჯული გაქვს, როცა არაფერი, არაფერი, არაფერი აღარ დაგრჩა გასაცოცხლებელი და მაინც რაღაც არსებითს იცავ: "რატომ მაბრუნებ ყოველდღიურად იქ, საიდანაც გავდივარ ყოველდღე? რატომ მაბრუნებ იმასთან, რასაც გავურბივარ ყოველთვის ხელ-

ახლა? შენ ხარ ის, ვისაც რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი არ ჰყოფნის, რომ იყოს შეშლილი, იყოს გიჟი, ცეკვავდეს პირში ჩალაგამოვლებული და ჩანგალგაჩხერილი, გული ერეოდეს იმათ დანახვაზე, ვისაც ჰგონია, რომ წესრიგშია; შენ ხარ ის, ვისაც ვუბრუნდები ყოველდღიურად და უაზრო სევდით ვუყურებ თვალებში, რომლებიც აფრქვევენ ზიზღს იმის მიმართ, რამაც მე თავგზა ამიბნია და მამყოფებს არეულს, შფოთიანს, ისეთს, როგორსაც მე ვერავინ ვერ მხედავს; რომლებიც ხვდებიან, რომ ბევრად საშიშია, - არავის დასანახად, მხოლოდ ღმერთის თვალში, ბრუნავდე ყოველდღე, წვებოდე ყოველთვის ღმერთისთვის შენში". იმ მხარეში, საიდანაც მე ამ უცხო სამყაროში შემთხვევით აღმოვჩნდი, არის მაღალი მთები, მდინარეები, პურადი და გულადი ერი. მე აქ მკითხეს: "თქვენთანაც ხომ არის მთები?", რაზეც მივუგე: "დიახ, მაგრამ თქვენთან არის არა მხოლოდ მთები". მე ამ ხალხს ვერ გავაგებინებ, რომ ჩვენ ვართ იშვიათი მგრძნობელობის ერი, რომ ჩვენ გვაქვს დიდებული ხალხური ცეკვები და სიმღერები, დიდებული ტაძრები, დიდებული პოეზია. მათ იციან, რომ ასეცაა, რომ ჩვენთან ყველაფერი დიდებული და განუმეორებელია, და, თანხმობის ნიშნად, შეუძლიათ საათობით თავის ქნევა და თავაზიანი ღიმილი, რომელშიც უშეცდომოდ იკითხება ჩვენი, ქართველების, სიმართლე. იგი განსხვავდება ამ ხალხის სიმართლისგან და ამაში არაფერია გასაკვირი. "ბუნებას არ უჭირს მრავალფეროვნების უზრუნველყოფა". ჩვენ მრავალფეროვნების შედეგი ვართ, ესენი - მრავალფეროვნების მსხვერპლი. მაშინ რატომ ვაწვალებთ ამ ხალხს, რატომ არ ჩამოვეხსნებით? ჩვენ ვართ თავისუფლების მოყვარე ერი. მათ ეს იციან და ამბობენ, რომ ფრანგებს ბევრი რამ აკავშირებთ ქართველებთან. ვერ დავმალავ იმ საშინელ ფიქრს, რომელიც თან მდევდა მთელი ათი დღის განმავლობაში და ერთი წუთით არ მავიწყებდა ჩემს უმწეობას, უსუსურობას, სიჩლუნგეს: "რა წყევლაა ჩემზე ისეთი, რომ ჩემი ოცდათერთმეტი წლის განმავლობაში, ჩემი ცოცხლადყოფნის ამ არცთუ მცირე დროში, ერთხელაც კი ვერ მოვახერხე, თავი მეგრძნო სრულფასოვან და ნამდვილ ქართველად? რატომ ვერ ვახერხებ, მთელი ჩემი პატიოსანი მონდომების მიუხედავად, ვიყო მათსავით მხიარული, ლაღი, მომლხენი, იმპულსური?". სწორედ აქ, უცხო მხარეში, ვაცნობიერებ მთელ სიბრძნეს სიტყვებისას, რომ ქართველობა ნიჭია; რომ, უფრო მეტიც, ქართველობა დიდი ნიჭია. რა იღონოს ადამიანმა, თუ მას, ბიოლოგიურ ქართველად გაჩენილს, ღმერთმა ქართველობის, სულით ქართველად ყოფნის ნიჭი არ მისცა? რა იღონოს ბიოლოგიურმა ქართველმა, ქართველებს შორის მცხოვრებმა ქართველმა, თუ მას არ უხარია ის, რაც ნამდვილ ქართველს უნდა უხაროდეს, თუ მის-

თვის უცხოა ის საუკეთესო, რაც მიიჩნევა ქართველის კუთვნილებად? პირველი, რაც მას ევალება, ესაა: გულწრფელად აღიაროს თავისი უნიჭობა და მიუხედავად იმისა, რომ მისი ყოველდღიური თავაუღებელი შრომა წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი, განაგრძოს ეს შრომა სიცოცხლის ბოლომდე, დაემორჩილოს ბედს და თავისი ცხოვრება გალიოს მუშაობაში, რომელიც მოკლებულია ქართულ სხივებს, ქართული შთაგონების მადლს, ქართული სულის ძალას, ყოველივე ქართულისადმი ერთგულების უნარს. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველს, მითუმეტეს მწერალს, ნუგეშად ისღა დარჩენია, რომ მოღალატე ვერ დაერქმევა იმას, ვინც ერთგულებამდე არასდროს მისულა, ვინც თავისი ოცდათერთმეტი წლის ასაკში აცნობიერებს, რომ მისთვის სამუდამო გამოცანად დარჩა ქართული ერთგულების შორსმოელვარე ფენომენი. "ვაი უბადრუკსა ამას, უკეუთუ ყუედრებაჲ დედისა ჩემისაჲ ვერ მოვითმინე და ვერცა რაჲ შეუძლე მიგებად". ხოლო აქ, ამ შორეულ საფრანგეთში, მე, ძალიან მარტივად რომ ვთქვა, მიპყრობს განგაში ნებისმიერი აღმოჩენის მიმართ, როცა ის უშუალოდ უკავშირდება ჩემს მთავარ თემას. აღნიშნული განგაშის არანაკლებ მნიშვნელოვანი წყაროა ჩემი წარმოდგენა იმის შესახებ, რაც არაპროპორციულია. ყველა და ყველაფერი, რაც არაპროპორციულია, ჩემი ღრმა და მცდარი რწმენით, წარმოადგენს დროში განუვითარებელს, ჩამორჩენილს და ვერდაწეულს. დრო საგნებს და ცოცხალ არსებებს არ უცვლის პროპორციებს, პროპორციების შეცვლა საშინაარსო კომბინატორიკის სფეროში რჩება. მნიშვნელობის შეცვლა იწვევს პროპორციის შეცვლას. მაგრამ ერთია გარკვეული ჰარმონიული მოცემულობიდან გადახვევა და მეორეა ამ მოცემულობად ვერშედგომა. ჩვენ ასეთ ჰარმონიას გონებით ძნელად წარმოვიდგენთ, მაგრამ თვალი მას იცნობს. მე ვფიქრობ, ჩემი ეს დაკვირვება მთელი თავისი წესიერებით თანაუგრძნობს პაშტეტს, რომელსაც ახლა ასე ბეჯითად მივირთმევ. არის რაღაც შემაშფოთებელი ყოველდღიურ ჩემს ამ ლტოლვაში არა მწვადისკენ ან შემწვარი დედლისკენ ან ყაურმისკენ ან ჩაქაფულისკენ, არამედ - სწორედ პაშტეტისკენ, იმისკენ, რაც დაღეჭვას, დაფქვას, ფორმის ნგრევას არ საჭიროებს. ფორმის ცნება, ვეთანხმები საკუთარ თავს, ამ შემთხვევაშიც პირობითია, მაგრამ მე ფიქრი მაქვს არა ფორმებად დანაკუწებულ ფორმაზე, არამედ - ფორმებად დანაკუწებული ფორმის მესამეულ ტრანსფორმაციაზე, რომელთანაც ძალზე ახლოს დგანან კატლეტი, გუფთა; ოდნავ უფრო მოშორებით, მაგრამ მაინც შორიახლოს - ტოლმა და ხინკალი. ფორმის დრამას ხომ სწორედ ეს ქმნის - დისტანცია. ფორმის ქმნადობა დამოკიდებულია ყოველთვის იმაზე, რომ მისი შინაგანი არსისგან ფუნდამენტურად დისტანცირებულია; უბრალოდ

რომ ვთქვათ - მის გარეთ არსებულ ორ ძალაზე: სახეზემყოფზე და სახეზეარმყოფზე. სამწუხარო ისაა, რომ ორივე ეს ძალა, თავ-თავისი არსით, გამოირჩევა დახვეწილი, თითქმის უაზრობამდე და იდიოტიზმამდე დახვეწილი პროპორციულობით. "ლერწამი არს, მამაო, და სძრავს მას ქარი". ვფიქრობ, შეუძლებელია დღევანდელი შინაარსით ჩვენი გუშინდელი ფორმის დატვირთვა, მაგრამ როცა ამ შეუძლებლობის გაცნობიერებას მხოლოდ გადაულახავ სასოწარკვეთამდე მივყავართ და უფრო შორეულ ჰორიზონტს გვიხშობს, სენტიმენტალიზმის მეტი ხელთ არაფერი გვრჩება. ხოლო როცა ეს შეუძლებლობა გვიბიძგებს, ვაღიაროთ წართმეული ჰარმონიის ან, უკეთ, ჩვენთვის საერთოდაც უცნობი იდეალური მოდელის არარსებობა და ვიმოქმედოთ გამომუშავებულის, მიღებულის არა მხოლოდ შესანარჩუნებლად, არამედ - ასათვისებლადაც, იქვე ჩნდება იმედი, რომ ყველაფერი სულაც არაა წართმეული; რომ შეიძლება რაღაცის აშენება დანაკარგების გამოყენებით, მათი გაძლიერება-გაკეთილშობილებით. უბრალოდ, საჭიროა მათი გამთლიანება, ერთმანეთთან დაკავშირება. ეს არ მოითხოვს არც შთაგონებას და არც ამა თუ იმ განწყობას, ამისთვის საკმარისია შრომა, თუნდაც - მხოლოდ ყოველდღიური. "ყური დამიგდე, რატომ გაწუხებს ყოველთვის ერთი და იგივე, ყოველთვის შენების და რაღაცის დაცვის საიდუმლო? რატომ არაა საკმარისი, იღებდე იმას, რასაც ღმერთი გაძლევს?". პარიზის ერთ-ერთ მზიან ბულვარში, სხვადასხვა სკამზე, წყვილ-წყვილად ისხდნენ თეთრსამოსიანი, თეთრად სახედახელებშეღებილი კომედიანტები და აღნიშნავდნენ ცხოვრების უმნიშვნელო, ბანალურ დეტალებს და გადასახედებს. მე არ მესმოდა მათი ენა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ეს იყო რევოლუციური სულისკვეთებით დამუხტული, ნაღვლიანი ადამიანების მორიგი ერთობა, ჩემთვის სრულიად უცხო, მაგრამ გასაგები სათქმელით; უცხო, მაგრამ გასაგები საქმით. მათ ირგვლივ დროდადრო თავს იყრიდნენ გამვლელები, რომლებიც უღებდნენ მათ სურათებს ან ერთმანეთს დინჯად ესაუბრებოდნენ, იშლებოდნენ და მცირე ხნის მერე სხვები გროვდებოდნენ, რომლებიც იგივეს იმეორებდნენ, რაღაცას განსაზღვრავდნენ, აზუსტებდნენ და გზას განაგრძობდნენ. მე არ მჯეროდა, რომ სულ ესაა, რაც საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს გადაურჩა; რომ სულ ესაა, რაც ჩემამდე ცოცხალი და არასამუზეუმო, არასრული სახით მოვიდა. "ღმერთი სწორედ იმის უნარს მაძლევს, არ ვკმაყოფილდებოდე იმით, რასაც იგი მაძლევს და მის მიერ მოცემულს ვექცეოდე ისე, როგორც მე მექცევა იგი. სხვანაირად როგორ მიყვარდეს, როგორ ვხედავდე? როგორ ვიყო მადლიერი, თუ არა ასე?". გული ხომ ისედაც გვაქვს, საშინელი შიშებიც და ფარისევლო-

ბებიც, გვყავს ცხოველები და ფრინველები, და შეგვიძლია წარმოვთქვათ იდიოტური წინადადებები, მსგავსი ამისა: "აბა, შეხედეთ, როგორ ცხოვრობენ ცხოველები, მათ არ აწუხებთ თავიანთი ცნობიერება, ისინი არ წუხან სიკვდილზე, არ წუხან სიცოცხლეზე, ისინი არიან აქ და ახლა". თუ ეს არაა იდიოტიზმი, თუ არც ადამიანის დაცინვაა, მაშინ აუცილებლად არის ცხოველების შეურაცხყოფა, მათი აბუჩად აგდება და, კიდევ ერთხელ, - ფარისევლობა, სიყალბე, სიყალბე, სიყალბე. ხოლო დაახლოებით იმ დროს, როცა მე ამ მზიან ბულვარში ერთფრანკიან ტუალეტს აღმოვაჩენ, სადაც ქალები და კაცები რიგში ერთად დგანან და სადაც ამ უცნაურად სურნელოვან დაწესებულებას მსუქანი ზანგი ქალი მეთაურობს ყველა თუ არა, რამდენიმე ევროპულ ენაზე მაინც, პარიზის სულ სხვა უბანში გიო იმ ქუჩას მიუყვება, რომელიც არ განიცდის ერთადერთი საერთაშორისო, ინტერნაციონალური ენის - წითელი ნათურის - ნაკლებობას. გიო ამბობს, რომ მან ნახა საზიზღარი შესახედაობის და ორმოცდაათიოდე წლის ქალი, რომელსაც მოკლე ბოლოკაბა აეწია, ხელი მთავარ ორგანოში შეეყო და გამვლელებს არწმუნებდა, რომ მათ ამაზე უკეთესი არასდროს არაფერი უნახავთ. მაშინვე კურბეს სახელგანთქმული "სამყაროს შექმნა" მახსენდება, ჩემი მარად დამარცხებადი მეგობრის გავლით. ამ სურათის რეპროდუქცია ახლა მის სამუშაო ოთახს ამშვენებს. მე ვხუმრობ, რომ მისი - ბადრის - ოთახი ამშვენებს ამ სურათს. მოხტერიონი სათვალის იქითაც და აქეთაც კუჭკუჭებს, გადახუნძლული უმანკოებათა მრავალფეროვნებით, მოკვდავი. კომედიანტების გამომეტყველება ძუნწია, არასიმბოლური; ყოველი მომდევნო გაშეშება, პოზის შეცვლა და ჩაკეტვა - ღარიბი. როცა ერთმანეთს თვალს თვალში უყრიან, მათ შორის ჰაერი არ იგრძნობა; თითოეული ახალი კადრი დაუზარებლად აფიქსირებს ვაკუუმს, რომელიც ჩნდება და აღარ ქრება. ვერ გამიგია, რატომაა კურბეს ფეხებგაფარჩხული, უთავო ქალი ერთდროულად მკვდარიც და ცოცხალიც, ხრწნადიც და ჯანმრთელიც, სამყაროს შემქმნელიც და სამყაროს შემსრუტავიც, შემწოვიც, კოსმოსური შავი ხვრელის მსგავსი. არა იმ აზრით, რომ ვერაფერი ვერ გამიგია, რაც ისედაც ნათელია ჩემს შემთხვევაში. ეს სურათი ჩემს ხილვებში ისე შემოდის, როგორც ერთ დროს გერმანია შემოდიოდა თავისი ასკეტური და მუყაითი, თითქმის შეჩერებული სახეებით; როგორც ნატოს შიზოფრენიით სავსე ჰალუცინაციებში შედის, დღე-ღამეში ბევრჯერ, ცოცხლადდამწვარი ადამიანი, მისი ოდინდელი ქმრის მეჯვარე და მოსალოდნელი ბავშვის ვერშემდგარი ნათლია. ნატო ამბობს, რომ ეს საშინელებაა. ვეუბნები, რომ ეს მართლაც საშინელებაა. რომ შენ მას ხედავ ყოველ საღამოს და ყოველ ღამე, იღვიძებ მასთან ერ-

თად, ჯოჯოხეთშიც მასთან ერთად ხარ. ის შენს სახლში ამოიბუგა მაშინ, როცა შენი შვილი შენს მუცელში ხუთი თვის იყო. შენ მისი დამწვარი კანი მკლავიანად გეჭირა ხელში. და ის ახლა შენთანაა. შენ გეშინია. არადა, ამბობ, რომ სიკვდილი შენთვის არაფერს არ ნიშნავს. დამწუხრებული ხარ, რომ სიკვდილი არ არსებობს. მაშინ, რა გაშინებს? ხომ შეიძლება, იმაზეც იფიქრო, რომ შენი ამ შიშით შეურაცხყოფ შენს გარდაცვლილ მეგობარს. იქნებ, ის შენს დასახმარებლად მოვიდა? იქნებ, მისი სურვილია, თვალი აგიხილოს შენი რწმენის ნაკლებობაზე? შენ კი მას უფრთხი და აწვალებ. მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, რაღაც დააკლდა თქვენს ურთიერთობას ისეთი, რაც დღემდე ამოვსებას ითხოვს. ალბათ, დასრულებული არაა, თუნდაც ვიზუალურად, შენში შენი მეგობრის ხატი. გაიხსენე, ყველაფერი გაიხსენე, შენ გაქვს ზღვა დრო ამ საქმისთვის. როცა იგი შენს ზურგს უკან დგას, მიტრიალდი და შეხედე, ნუ დაემალები. გაიხსენე ყველა მისი ნაკვთი, მოძრაობა, უმცირესი ნიუანსები, იმუშავე, იმუშავე. ეს თქვენი ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასროლა იქნება. ის, ვფიქრობ, ამას მოითხოვს შენგან, მუშაობას მისთვის და შენთვის. როცა შენში მისი სახე შეივსება, დაგტოვებს და ფიქრებში გადავა, ხილვები მაშინვე გაქრებიან. მაგრამ, ალბათ, ეს მოხდება მხოლოდ მას მერე, როცა გააცნობიერებ შენი რწმენის ნაკლებობას და ზოგიერთ არსებით საკითხთან შენი მიმართების შეზღუდულობას. შენ რწმენას იქ ეძებ, სადაც თავს იტყუებ. არადა, უბრალოდ, ემალები და გაურბიხარ, ზურგს აქცევ შენს შიშებს. ის, რომ სიკვდილის, გაქრობის შიშმა შეიძლება სიკვდილის არარსებობა გაღიარებინოს, რწმენა არაა. მე არ ვიცი, რა არის რწმენა თავისი ნამდვილი შინაარსით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რწმენა გამორიცხავს გაქცევის სურვილს, ვიღაცისთვის თვალის არიდების მოთხოვნილებას და ამის გამო განგაშს. ეს ვიცი შენთვის, ჩემთვის - არა. აი, რა გაწვალებს; აი, რატომ ხარ არა მხოლოდ ორაზროვანი, არამედ - ამ ორაზროვნების პერმანენტულად მწარმოებელიც ყველგან, შინ და გარეთ. ჯერ ვერ გაგიგია, შენი გარდაცვლილი მეგობარი რას გთხოვს ან რის მოცემას ცდილობს, რომ უკვე ემალები. შენი ასეთი მდგომარეობა მაინც უნდა მიგახვედრებდეს შენი შეხედულებების შეზღუდულობაზე. შენ გაგაჩნია უამრავი ფორმა, და არც ერთი მათგანი შინაარსით არაა შევსებული. ამიტომაც, ყველა ეს ცარიელი ფორმა შენი ბალასტია. შენ გაუთავებლად ტყუიხარ, ტყუიხარ, და არ გინდა დაიჯერო, რომ ეს მხოლოდ გაუწონასწორებელი ცხოვრების ნაყოფია. შენ შეიძლება იყო გიჟი, მაგრამ არ ხარ შეშლილი. ალბათ, არც გიჟი ხარ იმ აზრით, რომ რაღაცას ვერ შეწვდი და შენმა არსებობამ მოახერხა ამ რაღაცასთან ღირსეულად დამშვიდობება, უაზრობაში საკუთარი თა-

ვის გადაჩეხვა. შენ არ ემშვიდობები იმას, რაც დიდი ხანია დაგემშვიდობა. შენ ხარ პრაქტიკული, მაგრამ - არასაკმარისად. ამიტომ, არც არასოდეს შეეშლები იმას, რაც სოციალურ წესრიგს აფორმებს ყოველთვის ხელახლა. შენ გამალებით ფიქრობ ამ წესრიგის რიგით წევრობაზე. მე ვერ დავარქმევ ამას შენს შეცდომას. ეს შენი ხვედრი ჩემთვის ცნობილია ისე, როგორც შენთვისაა უცნობი იმ შენი დამწვარი მეგობრის ხვედრი და, თუნდაც, მისი წესიერება შენთან მიმართებაში, - როცა ამდენი ხნის მერე მოდის და გაფრთხილებს, გთხოვს, გასწავლის. შენ კი არ შეგიძლია დაემოწაფო იმას, ვინც ასე იხარჯება შენთვის. და ვიდრე ჯერაც არ შეგიძლია, შენი ხარჯვა დაღუპვის მეტს არაფერს გპირდება. შენი ხარჯვა უშინაარსო ფორმის ხარჯვაა და ის გარკვეული დროის მერე თავის თავს გამოჭამს, გამოხრავს, გამოახმობს, ხოლო რაც უნდა დარჩენილიყო, ის არ იქნება, ის არც არასოდეს ყოფილა. აი, ამიტომ, შენს გაქრობასაც ვერ შეესწრები. რატომ ცდილობ, რომ ის - შენი მეგობარი - ყოველთვის შენს ზურგს უყურებდეს, როცა შენს ჰალუცინაციებში შემოდის? რატომ გაშინებს მისი მოსვლა? აი, ასე ვეუბნები და ვეკითხები. აქ, ამ პაწია სამხრეთულ დაბაში, ახალი მხოლოდ მოასფალტებული გზები, მაღაზიაში გამოფენილი პროდუქტი და მწვანე სანაგვე ურნებია. მოგვიანებით გიო იტყვის, რომ ქუჩაზე, რომელსაც მე ვეძახი ინტერნაციონალურს, გამვლელების გასაგონად ქადაგებდა არა ქალი, არამედ თავის მთავარორგანომომარჯვებული კაცი. მისი ბღავილი, ალბათ, არ ჰგავდა ბიოლოგიური დროის სარტყელში მოქცეული, საჭირო მონაკვეთში ატეხილი, ხარის ბღავილს, რომელშიც თვითონ ცხოველი მთლიანად ჩართულია, უდანაკარგოდ ეკუთვნის თავის ჯანმრთელ ბღავილს. კაცს გვერდით ედგა ქალი, და ისინი, ერთმანეთისკენ-ლტოლვიდან გამოგდებულები, ერთად დასცინოდნენ იმას, რასაც ერთად ემსახურებოდნენ. პარიზში ეს შეშლილობად არ აღიქმება, აქ ყველაფერს გააჩნია სიმძიმე, წონა, რაც ერთმანეთისთვის სავსებით უცხო ხდომილებებს ერთმანეთის თანაზიარს ხდის. ყოველდღიური სიმყარე აქ არსებითია, აქ მზის ამოსვლას, დღის დაწყებას შესაძლებელს ხდის არა უბრალოდ სიმძიმე, არამედ - ამ სიმძიმის მოძრაობის, საჭიროების მიხედვით ადგილმონაცვლეობის უნარი, და, მიუხედავად ამისა, მე აქ ვერაფერს სახელს ვერ ვარქმევ, სწორედ ისე, როგორც ჩემი პროზაული ცდების გმირებს ვერ ვარქმევ სახელებს. უკეთ, ისინი გაურბიან სახელებს, რომლებსაც მე მათთვის ვიგონებ. ნაკლებად რადიკალური გმირები მარწმუნებენ, რომ უკეთესია, ერქვათ მრავალი, სხვადასხვა სახელი; მიმტკიცებენ, რომ ადამიანის ყოფაც ესაა, - ერთხელ შერქმეული ერთი სახელიდან და ინტენსიური გაურკვევლობიდან საკუთარი თავის გამოყ-

ვანა, გაღწევა სამშვიდობოზე, რომელიც - იდეალური სახით - არც არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს მწერლის უტოპია, რომელიც ყოველ წამს სიკვდილისკენ, ყველაზე უფრო კონკრეტული და ერთმნიშვნელოვანი ფაქტობრიობისკენ, ცნობიერი მოძრაობის უნარს იძლევა, უნარს სახელის დაკარგვისა, რაც უსასრულო მცირეებად ამ სახელის დანაწევრების, ბოლოს კი მასში ნიველირების იგივეობრივი პროცესია. ესაა პერმანენტული ომი სიმბოლიზაციის ეროტიკით შეპყრობილ სახელსა და ექსისტენციალიზაციის ეროტიკით ატაცებულ კონკრეტულ სუბიექტს შორის. სუბიექტი ყოველ წამს მოძრაობს ანუ მიწყივ აზუსტებს თავის თავს, გაურბის ენთროპიას. სახელი არ ზრუნავს ცვალებადი ყოფიერების ცვალებადობის აღწერაზე, იგი საკუთარი არსებობის შენარჩუნებაზე ზრუნავს; ცდილობს, მისთვის მინიჭებული ფუნქცია იმითაც შეავსოს, რომ მთლიანად მოიცვას თავის სიმბოლურ ყოფიერებაში ეს ცვალებადი და კონფიგურირებადი სახეზემყოფობა. სახელი პერმანენტულად აცნობებს სუბიექტს, რომ ის სადღაც არის, რომ ტოპოსის მოქალაქეა, და ამიტომაც უნდა ერქვას ერთი, გარკვეული სახელი; სუბიექტში კი ცოცხლობს რწმენა, რომ სახელის გარკვეულობა ყოფიერების გაურკვევლობის გაძლიერებას ემსახურება და ტოპოსის გარკვეულობის, სიცხადის დაცვას ეწირება სახელისმატარებელი სუბიექტის გარკვეულობა, ამიტომ იგი - სუბიექტი - პერმანენტულად უნდა უფრთხოდეს, ღალატობდეს ტოპოსსაც და სახელსაც. ბედი ესაა: სუბიექტი განწირულია, სიკვდილამდე თან სდევდეს ჩრდილი, სახელის ჩრდილი, რომლის ფორმა უმნიშვნელოა. აქ კი რა ხდება? აქ მყარად დგანან არა მხოლოდ შენობები, ტაძრები, კოშკები და ძველისძველი გალავნები, არამედ - ხეებიც, ყვავილებიც, ფარდებიც, სუპერმარკეტის არაცოცხალი მდგმურებიც, მათი ცოცხალი მწარმოებლებიც, ნებისმიერი მატერიალურობა. მათი სიმყარე გამოიხატება რეალობის დაცვაში აზრის შემოტევისგან. გაქვს განცდა, რომ ნებისმიერი ხილულობის არსებობა არის თავდაცვა. მატერიალური აქ თავს იცავს, რომ ორად არ გადასკდეს და მისი სიმკვრივიდან, თუნდაც სადინარში გამავალი წყლის სიმკვრივიდან, არ ამოხეთქოს აზრმა, როგორც ბროწეულის ხემ. ისინი თავს იცავენ აზრის გაჩენისგან. ეს კი შესაძლებლობიდან პერმანენტულ სინამდვილედ აქცევს აზრის სიმკვრივის შენარჩუნებას, აზრის მთლიანობას, აზრის გადარჩენას და მოძრაობის კონკრეტულ ფუნქციებს. მე ვფიქრობ, ნატალი საროტმა, რობ-გრიემ, ბიუტორმა, სიმონმა და სხვებმა ისტორია გადაარჩინეს; მათ დრო მოიგეს და შერყეული რწმენა აღადგინეს. მათ იცოდნენ, რომ ისტორია არ მომკვდარა. მე განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობ ამაზე. რაღაცის წარმოუდგენადობის მტკიცება, რაც თავის

მხრივ მეტაფიზიკური ლტოლვების ბნელ ქვაბში ხარშვაა და მეტი არაფერი, შეუძლებელია რაღაცის სიკვდილის მტკიცების ტოლფასი იყოს. მოულოდნელად, რაღაც უკვე სახეზეა. მე არ მაინტერესებს, ემთხვევა თუ არა იგი იმას, რასაც მომითხრობს. ამჯერად მე მაინტერესებს, თუ ვინ ყვება ამ ისტორიას. საქმე ეხება ისტორიას, რომელსაც თავისი ისტორია გააჩნია და ამ უკანასკნელს აქვს უნარი, შიგნიდან მოყვეს ის, რაც სახეზემყოფი ისტორიის სახით მეძლევა და რაც ტექსტის სახით არსებობს. ისტორია, რომელიც მე მოვყევი და ტექსტად დავალაგე, შესაძლებლობას სინამდვილემ გამოსტაცა მხოლოდ მას მერე, როცა იგი ერთად მოვყევით მე და ამ ისტორიის სიღრმეში არსებულმა მთხრობელმა. ტექსტი შუაშია, ჩემსა და ამ გადმოცემული ისტორიის შინაგან ავტორს შორის. ტექსტს ბადებს ჩემი შეხვედრა ამ უხილავ ავტორთან, ჩვენი დიალოგი: ჩვენ ვსაუბრობთ ტექსტზე, რომელიც სადღაც, სულ სხვა განზომილებაში, ჩნდება ამ დიალოგის პარალელურად. შემიძლია, წარმოვიდგინო ფანტასტიკური სურათი: ფურცელზე ტექსტი მიმაგრებულია ამ უხილავ ავტორთან, ტექსტის მიღმა არსებულ მწერალთან ჩემი უწყვეტი დიალოგის ძალით. "დაჰყვინეთ მაგათ თავი და წვერი და განუხვრიტენით მაგათ ცხვირნი და ჯაჭვნი დასდევით ქედსა მაგათსა და ბორკილნი შეუსხენით ფერხთა და შესხენით ეგენი საპყრობილესა. და თუ ვინმე აღიაროს მაგათგანმან მამული რჩული, განუტევეთ და ჩემდა მოაწიეთ, და მე განვამდიდრო იგი ბოძითა დიდითა. ხოლო რომელმან მამული რჩული არა აღიაროს, იგი საპყრობილესა შინა მოკვედინ!". როგორც ჩანს, ის, ვინც, გარკვეული თუ გაურკვეველი დროით, მიჯაჭვულია სტუმრის სტატუსს, მიჯაჭვულია არქიტექტურასაც, რომელიც - ყველა თავისი განზომილებით - ერწყმის მის სტატუსს და აზუსტებს სტუმარსა და ადგილს შორის წარმოქმნილი დისტანციის ზომას, უღრმეს პირდაპირობას. რას ვგრძნობ ზურგსუკან, რა სიმძიმეს, რა სიღრმეს, რა სუნთქვას? მე ამ ხალხს, ვერც ერთ ამ მოფრანგეს, ვერ ავუხსნი, რომ ჩვენ ჭეშმარიტად პოსტმოდერნისტი წინაპრების შთამომავლები ვართ. მიირთვი ლუდი და მე შენ გეტყვი, რომ ამის საბუთად გამოდგება თუნდაც "სიბრძნე ბალაჰვარისა", დიდებული ქართული სიმულაკრი, რომელმაც, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ქრისტიანულ ევროპაში საკუთარი სიმულაციური სამყარო შექმნა. ისტორია დაიწყო იმით, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მეექვსე ასწლეულში ბუდას ცხოვრების შესახებ ფაჰლაურ ენაზე შექმნილი ტექსტი სულ რაღაც ერთ საუკუნეში ქართულად ითარგმნა. ეს არ იყო თარგმანი ამ სიტყვის დამყაყებული და შკოლარული მნიშვნელობით. ეს იყო ბუდისტური ტექსტის ქრისტიანულ ენაზე წაკითხვის გენიალური მცდელობა. მთარგმნელმა ორიგინალი

საფუძვლიანად გადაამუშავა, ბუდა იოდასაფად აქცია და ინდოეთში ქრისტიანობა აქადაგებინა. გამოხდა ხანი და ოთხიოდე საუკუნეში იმპერსონალიზმის დიადი გმირის ნამოღვაწარი ქართულიდან ბერძნულად "იქნა "შეწყობილი"" მეორე, ახლა უკვე კარგად ცნობილი, ქართველი მთარგმნელ-მოღვაწის, ექვთიმე ათონელის მიერ. ეს "შეწყობილი" ტექსტი კი მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის მეთოდით გადააკეთა უცნობილესმა სვიმეონ მეტაფრასტმა, გაანაყოფიერა არისტიდეს აპოლოგიით, ეკატერინეს მეტაფრასული მარტვილობით, კიმენური წყაროებით, ბევრი სხვა ძველი მატიანით, და ეგზომი შრომის ნაყოფი მალე ითარგმნა ლათინურად, საიდანაც მალე სხვა ენებზეც გადაიღეს. საზეიმო სვლის გვირგვინად იქცა ბერძნულ საეკლესიო კალენდრებში ვარლაამისა და იოდასაფის, ვითარცა ქრისტიანობაზე ინდოეთის მომაქცევარი წმინდანების, ხსენების დღის გაჩენა. აი, ქრისტიანული კულტურის საკურთხეველზე მიტანილი, ყველაზე უფრო სახელგავარდნილი ქართული შემოქმედებითი ძღვენი, ჭეშმარიტად პროდერიდიანული სულისკვეთებით ჩატარებული სამუშაოს წმინდა ნაყოფი, ევროპელთა წინაშე ქართველთა დამსახურების ერთი დიდებულ მაგალითთაგანი. განა ასეთი წინაპრების შთამომავალს შეიძლება სიცილად ეყოს ფრანგი პოსტსტრუქტურალისტების მტკიცება, რომ მეოცე საუკუნეში რელობამ ქრობა და ჯანდაბა განიცადა? ჩვენმა სულიერებამ ეს ჭეშმარიტება მთელი ცამეტი ასწლეულის წინ გაიცნობიერა და შეეცადა, ევროპისთვისაც გაეცნობიერებინა; ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, მოწოდების სიმაღლეზე სულაც ვერ აღმოჩნდა და სიცოცხლე წარმატებით განაგრძო. სწორედ ამიტომ, ჩემი წინაპრების უღირსი, მაგრამ ერთგული და - მაშასადამე - არარსებული, თავმდაბალი, უხილავი შთამომავალი ასეთ მტკიცებებს ვერ ვერწმუნები. სამაგიეროდ, მაქვს ეჭვი, რომ ევროპა ეშმაკობს, ცდილობს ჩვენს შეცდენას, თუნდაც - სულ მცირე - იმ ისტორიული სიმართლის მიჩქმალვას, რომ რეალურსა და გამონაგონს შორის ზღვარი ქრისტიანულ სამყაროში პირველად ჩვენ, ქართველებმა წავშალეთ მიზანდასახულად, მთელი ჩვენი შეგნებით და წესიერებით, რეალურად. და, ამის მერე, "ქართული მწერლობის" სერიის რედაქტორ-გამომცემელთა განა რამენაირ თავისმართლებას საჭიროებდა "სიბრძნე ბალაჰვარისა"-ს შეტანა აღნიშნული სერიის პირველი ნაკვეთის პირველივე ტომში? განხორციელებული გადაწყვეტილების სიღრმესთან და საკრალურ ძირებთან შედარებით, ბავშვურ მიამიტობად თუ არა, უკბილო ხუმრობად დიახაც გამოსჩანს მტკიცება: "მათში ("სიბრძნე ბალაჰვარისა"-სთან ერთად აქ იგულისხმება იმავე ტომში შეტანილი "ფსალმუნნი", "ეკლესიასტე", "ქებაÁ ქებათაÁ", "აბესალომ, აბესალ-

ომ!", "ჭეშმარიტება", - შენიშვნა ჩემია) მომარჯვებული თავანკარა ქართული ორიგინალურ თხზულებებზე ნაკლებ როდი გვამცნობს ჩვენი ენის მშვენიერებასა და ძალმოსილებას". თუ ჩემს მიერ ამოღებული ციტატის ავტორი არც ხუმრობს და არც ჟონგლიორობს, მაშინ "ქართული მწერლობის" შეპირებულ მეორე ნაკვეთში აუცილებლად უნდა შევიდეს, სულ მცირე, ჯემალ აჯიაშვილის მიერ მართლაც რომ თავანკარა ქართულით და, ჩემი აზრით, გენიალურად თარგმნილი შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, ბაჩანა ბრეგვაძის მიერ თავანკარა, მშვენიერი და ძალმოსილი ქართულით თარგმნილი "დონ კიხოტი", პლატონი, პლოტინი, პასკალი, პოლ ვალერი, დავით წერედიანის მიერ უზადოდ თარგმნილი ვიიონი, მანანა გიგინეიშვილის, ვახუშტი კოტეტიშვილის, თამაზ ჩხენკელის, გურამ გოგიაშვილის და მრავალთა სხვათა მიერ თავანკარად ნათარგმანები მსოფლიო საუნჯე. ასე, უსასრულოდ. "აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მოსწორებული და აღმატებული". ჩემი პირველი, სწრაფი ხედვა ამ პაწია სამხრეთულ დაბაში ამოიკითხავს ერთ დიდ მუზეუმს, მოვლილს, შენახულს, დაკონსერვებულს, ღია დერეფნებით და ვიწრო ჩიხებით დამშვენებულს, ათასი მომვლელის იმედად არსებულს. მერე და მერე ვაცნობიერებ, რომ აქ ყველაფერი მუშაობს, რაც, სულ მცირე, ნიშნავს ისტორიად სიცოცხლის გადაშენების არნდომას; შესაბამისად, წარსული აქ მხოლოდ იმდენად ფასობს, რამდენადაც ჯერ არ ქცეულა მკვდარ ტვირთად, თავმოწონების და სიამაყის საგნად. ყოველი ჟესტი, რომელიც ოდნავ მაინცაა დაკავშირებული წარსულით ტკბობასთან, აქ ბრჭყალებშია ჩასმული და ამ სახითაც მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ უწყვეტად თვითპაროდირებდეს ან, ყველაზე უფრო სერიოზულ შემთხვევებში, ისტორიულად დრამატული კვანძების გახსნაზე იყოს ორიენტირებული. ასე იღება ყოველ დილით ამ მხარეში წარსულის ათასობით, ხოლო საფრანგეთში მილიონობით ძველი თუ ახალი კარი და ადამიანები გამოდიან რაღაც ისეთის საკეთებლად, რაც აწმყოს საზღვრების გაძლიერებას ემსახურება; რაც გამორიცხავს ზებუნებრივი ძალების იმედად ყოფნას და, მომავლის შენების საბაბით, საშენ მასალად ყოველივე ცოცხლისა და უსიცოცხლოს გამოყენების მოთხოვნილებას; რაც, უბრალოდ, გადარჩენისკენაა მიმართული და არა - დაღუპვისკენ; რაც საჭიროებს ცნობიერი, გონებრივი ძალისხმევის პრიმატს. ლარამ თქვა, რომ იზიარებს ჩემს ასეთ ფიქრებს. ის მთელი ოცდაორი წლისაა და უნივერსიტეტში რუსულ ენა-ლიტერატურას სწავლობდა, სამი წლის წინ. ენა ნელ-ნელა ავიწყდება, მაგრამ იმედი აქვს, რომ გაისად რუსეთში იმოგზაურებს და აღიდგენს. მან უკვე იცის, რომ ამ ადამიანს თავისმა მშობლებმა ლარა დაარქვეს

"ჟივაგოს" ლარას პატივსაცემად. იქნებ, სამახსოვროდაც, არა? იცინის. სინთეზური სახე აქვს, ოდნავ - დაფანტული, ოდნავ - ზერელე, უფრო - დაძაბული, მაგრამ, რაც მასთან შეხვედრისას ყოველთვის ხელახლა მაკვირვებს - სინთეზური. თითქოს ეს სახე, მას მერე, რაც საბოლოოდ გამოიკვეთა, პასტერნაკის ამ ერთადერთი რომანის სიუჟეტში შეღწევას ცდილობს, თუმცა არა საკუთარი გულის კარნახით, არამედ - მშობლების უწყვეტი ხათრით. მაშინ მეც მაქვს უფლება, პირდაპირ ვუთხრა, რასაც ვფიქრობ: რომ ამ საქმისთვის მას არ ეყოფა ის ცხოვრება, რომლითაც ჯერჯერობით კმაყოფილია და საქმიანი. ამბობს, რომ ყველაფერი წინაა. გულში ვეკითხები: "რა არის უკან?". ვერ ხვდება და მიღიმის. მეც ვუღიმი. რა იოლია ცხოვრება, როცა ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებენ, განსაკუთრებით - განსხვავებულსქესიანები. მე ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ პარიზში დარჩენას მოვახერხებ. ლარა ადგენს გრძელ ნუსხას და მეუბნება, რომ ორი კვირა სავსებით კმარა ყველა, მის მიერ აღნიშნული, ღირშესანიშნაობის მოსანახულებლად; მეუბნება, რომ ყველა ეს ადგილი პარიზის ცენტრშია. რატომღაც უკვირს ის, რასაც მეუბნება, და დიდებულად ახერხებს ამის გამოხატვას. მას რომ ლარა არ ერქვას, ალბათ, უფრო საინტერესო იქნებოდა. იქნებ - მაშინაც, მე რომ წაკითხული არ მქონდეს "ჟივაგო". ცელანს ეს რომანი, ვფიქრობ, წაკითხული ჰქონდა. და ყველა დროის ყველა პოეტსაც. ათი წლის წინ, ჯარში, ჩემთან ერთად მსახურობდა სათვალიანი და ტოლსტოისცხვირიანი აზერბაიჯანელი ბიჭი, რომელსაც სძულდა ქიმია. ისეთი გაგებით ვეპყრობოდი მის სიძულვილს, თითქოს რამე მქონდა გასაყოფი ამ სევდიან მეცნიერებასთან. ის, ხშირად, უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ქიმიას და ქიმიკოსებს და ამტკიცებდა, რომ ყველა უბედურება მათგან არის. "ყველა უბედურების" მიმართ ჩემი მაშინდელი გულგრილობა თუ სულერთობა მაიძულებდა, ალბათ, ყურადღება არ დამეკლო მისი არეული მონოლოგებისთვის, რომლებშიც ზოგჯერ ინჟინრები და პოლიტიკოსებიც ფიგურირებდნენ. პროტესტი ძალიან გვიან გაჩნდა, - როცა ეს აზერბაიჯანელი ადამიანი უკვე სხვაგან იყო, თავის სამშობლოში, რომელშიც, როგორც მარწმუნებდა, კარგად იცნობდა ჰარი კასპაროვს, რომელსაც მისთვის, როგორც ხშირად აღნიშნავდა, უჩუქებია ნიცშეს "ზარატუშტრა". ერთი სიტყვით, როცა მე ავჯანყდი, ჩემი აზერბაიჯანელი თანამოჯარე იმდენად სხვაგან იყო, რომ მისმა სიშორემ ჩემს გულში უჩვეულო ნოსტალგია აღძრა: ნოსტალგია მოლაპარაკე ადამიანზე, რომელმაც, მთელი ორი წლის განმავლობაში ჩემს სულერთობასთან გმირულად მებრძოლმა, აღმომაჩენინა ჩემი ერთ-ერთი არსებითი კითხვა: როგორ შეკავდეს რაღაც თავის გასაგებობაში? მე რომ მისთვის ერთხელ

მაინც მისი პირადი ცხოვრების შესახებ მეკითხა რამე, გავიგებდი, რომ სიგიჟემდე უყვარდა გოგო, რომელსაც სიგიჟემდე შეყვარებია ვინმე ქიმიკოსი და დაუთმია ჩვენი ჯარისკაცი, რომელსაც სიგიჟემდე შეძულებია ქიმია და ყველაფერი ქიმიური, რაც მოგვიანებით მხიარულად მაუწყა ერთმა იმიერკავკასიელმა ოფიცერმა; კასპაროვის ნაცნობი ჩემზე ერთი თვით ადრე გათავისუფლდა და უკანმოუხედავად მიაშურა აზერბაიჯანს, საიდანაც არც რამე უცნობებია თავის თავზე და არც შეპირებული წიგნები გამოუგზავნია თბილისში. და აი, ამდენი ხნის მერე, მტვრიან და ხმაურიან პარიზში, სადაც წელსქვემოთ ყველა ნაგებობა საინტერესოა, წელსზემოთ კი - სასიხარულო, კომედიანტებს მიშტერებულ ჩემს ფიქრებში მოულოდნელად ამოტივტივდა ჩემი თანამოჯარის გვარი "ჰაჯიბეკოვი", და გასაგებობის ისეთი უჩვეულო განცდით დამამძიმა, რომ ირგვლივ ფრთხილად მიმოვიხედე. რა თქმა უნდა, მე ის ვერ ვნახე, მაგრამ უკვე კარგად ვხედავდი ჩემს თანაგრძნობას, მეხსიერებაში შენახულს და მოქმედი ვულკანივით საქმიანს, დროში მომუშავეს; ის ჩემგან დამოუკიდებლად გაჩნდა მაშინ, როცა მომთმენი და ამტანი ხასიათის მეტი არაფერი გამაჩნდა მისთვის, ამ ჩემი თანაგრძნობისთვის, ფონის შესაქმნელად. მე ხომ ჰაჯიბეკოვს ვიტანდი, ვითმენდი და მეტი არაფერი. მილიონობით მსგავსი ისტორია დაბოდიალობს დედამიწის ზურგზე, თავისი თავით კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, დასრულებული თუ ჯერ ისევ ცოცხალი. სწორედ ჩემი თანაგრძნობა მიტევდა ამჯერად, უმისამართო ბრაზი მახრჩობდა და სულელურ კითხვებად ნაკუწდებოდა, თითქოს ჩემი ამჟამინდელი უნუგეშობისა და მეხსიერების რთულ ხვეულებში დალექილი ჩემი მწარე სინანულის გამთლიანების მოწადინე. რაღაცნაირად, ვერ ავიტანე ჩემი ასეთი მდგომარეობა იმ წარსულთან ერთად, რომელმაც ჰაჯიბეკოვს დახმარების ხელი ვერ გაუწოდა მხოლოდ იმიტომ, რომ გასაგებობაში მოხვედრილი თავისი თავი ვერ წაიკითხა. და თუ ეს კომფორტაბელური ჯოჯოხეთი თუ რაღაც კოშმარი ქიმიკოსების, ინჟინრების, პოლიტიკოსების ბრალია, სადღა არიან ადამიანები? ნუთუ, მათი ბრალია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთ დროს ისინიც იყვნენ ადამიანები? იქნებ, იმათი ბრალია, ვინც ფიქრობს, რომ ადამიანი გარემოცულია ურიცხვი ხილული და უხილავი არსებით და ეს გრძელდება მთელი ცხოვრება? იქნებ - იმათი, ვინც მხოლოდ ერთ დროს ფიქრობდა ასე? განა ოდესმე შეიძლება ამის გაგება? რა არის ქიმიკოსი, თუ არა გაქცეული, დამალული ადამიანი, რომელსაც გადარჩენა ამ ყოვლად ბანალური, გარანტირებული საშუალებით - სხვებზე ზრუნვით - განუზრახავს? მისთვის ახლა უკვე ეს სხვები მართლა სხვები არიან არა აბსტრაქტულად, არამედ - სავსებით კონკრეტულად, სავსებით

ერთად. ისინი არიან ერთად აღებულნი და ამიტომაც არიან სხვაგან. შენც ეს "სხვაგან" ხარ, დაწექი და დაისვენე, ვიღაც შენზეც ფიქრობს. შეუძლებელია, რასაც ბახმანი ამბობდა, - მკვდარი ვარ, არც ერთ პრეფექტურად რომ არ გაწერილა, რომ არ აგონდება ქალაქს ოქროვანსა არც ერთსო, არც ერთს. შენში ყოველთვის და ყველგან ივლიან ისინი, რომლებიც შენს სიცოცხლეს იცავენ და აწვალებენ, შენი უდროო სიკვდილის სიცოცხლეს. იცავენ იმით, რომ სხვაგან ხარ და - იმით, რომ ბევრი ხარ, ერთობ კონკრეტული ბევრი. თქვი ერთი, რაში სჭირდები სიკვდილს? რა არ იცის შენზე ისეთი, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად უნდა ჩაბარდე? იმ სენაში, რომელშიც ცელანმა თავი დაიხრჩო, მე ვხედავ სიცოცხლეს, რომელსაც ცელანი დღემდე ხედავს, და ყოველთვის უნდა ხედავდეს. ესაა რეალობა, რომელიც არც რამენაირ აგონიას განიცდის და არც ოდესმე - დროზე ადრე - გაქრება. ის, უბრალოდ, დროდადრო გამოხშირავს ხოლმე ადამიანებით დასახლებულ თავის სხეულს და ამ დროს არყოფნაში ცვივიან სუსტები. სულ ესაა, რაც მერე გრანდიოზული მითოლოგიური სისტემების დაბადება-განვითარება-გარდაცვალების მიზეზი ხდება და ასეთი სევდიანი საქმიანობის მოსამსახურეთა მილიონიან არმიებს დაქსაქსავს დედამიწის ყველა იმ კუთხეში, სადაც ვიღაც ქმნის ან ვეღარ ქმნის რაღაც ისეთს, რაც გადარჩენას და რეალობასთან ზიარებას ექვემდებარება, სადაც - მარტივად რომ ვთქვათ - ადამიანები უკვდავებისთვის ბრძოლის დრამატულ პროცესში არიან ჩაბმულნი. ხოლო სასიკვდილოდ განწირულისთვის რა უნდა იყოს იმაზე უფრო სანუგეშო, რომ მას ვიღაც არწმუნებდეს, შენ კი არ უკვდები სიცოცხლეს, არამედ თავად სიცოცხლე კვდება, მასთან ერთად კი - ყველაფერი, რაც სიცოცხლის კუთვნილებაა. ავადმყოფი მართლაც ყოველთვის ბოროტია, მეტად ან ნაკლებად. ალბათ, საშინელია განცდა, რომ გამოჯანმრთელება არ გიწერია და ჯანმრთელ ადამიანებზე დიდხანსაც რომ იცოცხლო, მაინც ავადმყოფად სიკვდილი გელის. როცა რეალობას უკვდება მავანი, მას სურს, რეალობაც მოუკვდეს სწორედ მას და სწორედ ერთადერთს, დასვას წერტილი და შეწყდეს. არის სიბრმავის უკიდურესი ზღვარი, - სიჩლუნგე, რომელსაც დროში განვითარებული და კრისტალიზებული უუნარობა გამოიმუშავებს და რომელიც არაიშვიათად გადაიზრდება სრულ გულწრფელობაში, სრულ წესიერებაში, და მაშინ რეალობისთვის დაკარგულ ადამიანს მოიცავს განცდა, რომ რეალობა აგონიას განიცდის. მაგრამ ეს წესიერება მაინც არ ვრცელდება მის ლოგიკაზე: მან რეალობის აგონიურობა გამოაცხადა და ამის ჩადენა მოახერხა იმდენად ხმამაღლა, რომ ამით გადაურჩა სიკვდილს. მაგრამ - როგორც პოლიტიკოსი, იდეოლოგი. მას ერთი წამით არ ეეჭვება

თავისი რეალური გადარჩენა. სუპერნიჰილიზმი, შესაძლოა, მდგომარეობს იმაში, რომ ენების განმკარგულებლად თავი სწორედ იმას წარმოუდგენია, ვინც მეტაენის შეუძლებლობას აცხადებს, მაგრამ: წარმოუდგენია მხოლოდ მას მერე, როცა მისი გამოცხადება მსმენელის ყურს მისწვდა და არის იმედი, რომ მსმენელის გულსაც მალე დაიპყრობს. ქიმიკოსები ბომბებს არ ქმნიან, ბომბებს ადამიანები ქმნიან, რაც ერთობ, ერთობ კონკრეტული და სასაცილოა, საკამათო და საკვირველი. განა შესაძლებელია, აბსტრაქტულად და არსად გიკვირდეს? თუ არსებობ, მაშასადამე, გიკვირს კიდეც. რა თქმა უნდა, იმასაც უკვირს, ვისაც უკვე აღარ უკვირს. აი, რატომაა მართლაც აბსურდული ხშირად იონესკო. ცხადია, ჩემთვის. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იყოს ამაში მისტიკა; არსებობა და ყოფიერება როგორ, რა სახით უნდა იყოს. როცა გაკვირვება მიდის, მოდის სიკვდილი. და აქ უკვე პროპორცია ირღვევა, იშლება. იქნებ, ამ რღვევის მდინარიდან ამბოხდა ბახმანი? იქნებ, აქედან ხედავდა ქალაქებს, გადაშლილს, დაღლილს და ისევ გადაშლილს, დაკარგულს საჭირო სიტყვასავით, რომელსაც მიაგნეს, მაგრამ განმარტებას დაუქვემდებარეს და ახლა უკვე უკვალოდ დაკარგეს? იქნებ, გარს სულაც არ გვაკრავს მეთქი ეს ყველაფერი, ხილული და უხილავი, მძიმე და მსუბუქი, თეთრი და შავი? სადაც შინაარსს მეტყველება ქმნის, ხელი უნდა ჩაიქნიო და ასე უარყო პათოსი, პათეტიკა, სუნთქვა; უარყო სიფხიზლე. "და მოიწყო ყოველი ქვეყანა და მოიგო სიმდიდრე უზომო ლაშას ძემან. და წარმართა სახლი სამეუფო კეთილად. და მონებდა ყაენსა". მე აქ თითქმის ყოველდღე ვთვრები ღვინით, რომელსაც ჩვენი რესტორნის მაგიდები გვთავაზობენ დღეში ორჯერ, ორ-ორი საათის განმავლობაში. როცა აქ ღვინოს ვსვამ, მაქვს განცდა, რომ ქართული ღვინოების უპირატესობას ვუმტკიცებ ამ სითხეს და დადარაჯებული ვარ პასუხზე, რომელიც მან უნდა გასცეს იმ ორგანიზმს, რომელსაც, იმედია, თავის უხილავ სიღრმეებში, არ დაუკარგავს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიღებული საუკეთესო ღვინის სურნელი. ფრანგული ღვინის სისუსტეზე განაზრებები თამაზს ნაკლებად აინტერესებს. სამაგიეროდ, რესტორანში პირველი სტუმრობიდან დღემდე აწვალებს ჯანსაღი ცნობისმოყვარეობა ერთი ხანდაზმული ოფიციანტი ქალბატონის მიმართ. ეჭვი არ ეპარება, რომ ის ფრანგი არაა, რომ სოხუმელი ან, უკიდურეს შემთხვევაში, გალელი ლტოლვილია, და რომ თუ ამეტყველდება, მხოლოდ - მეგრულად. ჩვენ ეს აღმოჩენა თავბრუს გვახვევს და პირდაღებულები მივშტერებივართ იშვიათი მსგავსების ობიექტს. რამდენიმე დღის მერე კი ფრანგი მეგრელი ქალბატონი დაბნეულია ჩვენი სინქრონული ყურადღებით მისი ყოვლად მოკრძალებული პერსო-

ნის მიმართ. ფაქტია, რომ ეს ქალი თამაზის ყოველდღიური შთაგონების უშრეტი წყაროა. ჩვენიც. სამაგიეროდ, ჩვენი მაგიდის მიდამოებში ლტოლვილის გამოჩენისთანავე ზიტა უკვე მე მიყურებს პირდაღებული. ზიტა ლიტველია, მაგრამ ვცდილობ, მაინც ავუხსნა ჩვენი დაგრეხილი კისრების საიდუმლოება. ცდილობს გაგებას და სიცილს, მაგრამ ვერ ახერხებს. თავიდან კარგი ღვინო იყო; მერე და მერე, განსაკუთრებით ბოლო დღეებში, გემო დაკარგა, რასაც ჩუმ-ჩუმად აღვნიშნავდით, ისე, რომ ფრანგებს არ გაეგოთ, არ მიმხვდარიყვნენ. ვტოვებ ლიტველებიან რესტორანს და გავდივარ გარეთ, საფრანგეთში. ზიტა და ლარა შეეჩვივნენ ჩემს ასეთ საქციელს, ლარას მოსწონს კიდეც. ჯანდაბამდის გზა ჰქონია ქიმიას და ყველაფერ ქიმიურს. ფრანგებს კიდევ ათასი წელი არ დავაკლდები. ეს ჩემი ფიქრი მამშვიდებს კიდეც რაღაცნაირად. ფუტურო მიზნების ტყვეობაში ჩარჩენილი ადამიანი არსად არ არსებობს, არავისთვის არ არის, გესმის? უმრავლესობა ისე იქცევა, თითქოს აწმყო მათი სახლია, რომელიც დროდადრო გამოგვილ და მოწესრიგებულ უნდა იქნას სწორედ მათ მიერ, გესმის? ჩვენ ხომ გვინდა, უმრავლესობას არ ვეკუთვნოდეთ, ჩვენი სახლი ხომ აქედან ძალიან, ძალიან შორს არის. ალბათ, უფრო შორს, ვიდრე - ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი, რომელსაც, თითქოს, ჩაუძირავს და დაუკარგავს გადარჩენის იმედი, იმის იმედი, რომ - შესაძლოა - ოდესმე ჩვენმა რეალურმა, მაგრამ არარსებულმა სამშობლომაც აიტანოს განსხვავებული, მიიღოს შიგნიდან, თავისი თავიდან. მე არ მგონია, რომ იქ, სადაც აწმყო არ არსებობს, შეიძლება ოდესმე გაჩნდეს მოთხოვნილება მრავალფეროვანზე, არაკოლექტიურზე, მოულოდნელზე. იქ, სადაც ერთის სასიცოცხლო სივრცე მხოლოდ მეორის დათრგუნვით და მოსპობით ივსება, სიცოცხლე მკვდარია. ყველა კარგადაა, ყველას უხარია ასეთ სამშობლოში, დიდსაც და მცირესაც. ვინც თავის თავში იმ სიხარულის აკრძალვას გაბედავს, რომელიც ათასწლეულობით ყვაოდა და იფურჩქნებოდა, განწირულია - სულ მცირე - ნებისმიერ მისაწვდომ დონეზე დამცირებისთვის. აი, რა უნდა იცოდეს იმან, ვინც არ ისურვა ნებადართულ "შემოქმედად" ყოფნა, ვინც გადარჩენა ჩაიფიქრა. როცა შემოქმედი არ მალავს თავის მადლიერებას ამ ყველაფრის გამო, მისი დაუცველობა თავზარდამცემია. ხმამაღლა მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ ყოველი მეორე ქართველი პოეტია. ამიტომ არ მაქვს იმედი, რომ ჩვენ აქ ვინმეს ცოცხლად ვჭირდებით. რომც დავჭირდეთ, ვერ მოგვძებნიან. ჯანდაბამდის გზა გვქონია, ამ ჩვენს უნიღბო მაქსიმალიზმში გამოკეტილებს. არა და არ მათრობს ეს წყალწყალა ფრანგული ღვინო. იქნებ, რეალობა მართლა განიცდის აგონიას? - შეშფოთებული მომმართავს ბატონი ნოვაკი, მწერა-

ლი და ფილოსოფოსი ლუბლიანიდან. ჩვენ უკვე თითქმის მეგობრები ვართ, ჩვენი საუბრები ხელოვნებაზე შინაარსს არაა მოკლებული. ამ ადამიანის სათვალიანი მზერა, ჩემი აზრით, ოპტიმისტური და ნაღვლიანია, ნახევრადდაღლილი. ჯერჯერობით, მის ტექსტებს არ ვიცნობ, მაგრამ ცნობილი ხდება თუ არა ჩემთვის მისი ინტერესები და კვლევის სფერო, სასწრაფოდ ვუხსენებ გივი მარგველაშვილს და მერე, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ, ამ გვარ-სახელს ვუმეორებ. უხარია, რომ გივი მარგველაშვილის რომანები გერმანიაში გამოცემულია, და შეუძლია მათი გაცნობა, რაც ლუბლიანაში მისი დაბრუნებისთანავე მოხდება. სათვალიანი ღიმილით სავსე მისი შეშფოთება მეც სამხიარულოდ განმაწყობს. ვეუბნები, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ამ შეკითხვის დასმა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც არსებობს. კარგი, ეს "მხოლოდ" გამოვრიცხოთ. შეიძლება, შეკითხვა დასვას იმანაც, ვისაც თავისი არსებობის სიცხადეში ეჭვი ეპარება, ვინც - იქნებ - არც არსებობს, მაგრამ შეკითხვა უნდა დაესვას არსებულს. ვინ შეიძლება იყოს იგი? ძნელი სათქმელია, მაგრამ იგი არის არმცოდნე იმისა, რომ რეალობა აგონიას განიცდის ან გარდაიცვალა. ვიდრე არსებობს ერთი მაინც ადამიანი, რომელმაც გამქრალი რეალობის შესახებ არაფერი იცის, რეალობა გამქრალი არაა. კი, მაგრამ საუბარი ხომ იმას ეხება, ვისაც თავის რეალობაში ეჭვი ეპარება? დიახ, და ამიტომ: ვიდრე არსებობს ერთი მაინც ისეთი მზერა, რომელსაც ამ დაეჭვებული ჯენტლმენის დანახვა შეუძლია, ეს უკანასკნელიც სახეზეა და არსებობს, თუნდაც - როგორც დანახვადი, თუმცა კი არარსებობაში ეჭვმიტანილი. აქ, ამ დაბაში, ახალი მხოლოდ მანქანები, მაღაზიები და ნაგავია. ჯანდაბამდის, ჯანდაბამდის გზა მქონია ასე ბრიყვს და უგზოდ რეალურს, აქ, ამ დაბაში, სადაც მტვერი და ხმაური - ჩემი ორი უგულო მტერი - თითქმის არ არსებობს. ვინც არ წერს, ისიც არსებულია? დიახ, ისიც არსებულია. შეკითხვა სწორედ იმას უნდა დაესვას, ვინც არ წერს, ვინც ყოფაში ისეა ჩართული, რომ მისგან დისტანცირების სურვილი არ უჩნდება, არ აღწერს და არ ეძებს სიტყვაში გადარჩენას. ჩვენ ყური უნდა მივუგდოთ არა მათ პასუხებს, არამედ - იმას, თუ როგორ ესმით და როგორ ისმენენ ჩვენს შეკითხვებს. ნებისმიერი მათი პასუხი წარმოადგენს მოსმენის და გაგების პროცესს, და სწორედ ამ თავიანთ მდინარეებაში არიან ისინი - ეს ადამიანები - შინაარსის მთავარი გმირები. რაც მერე რჩება, ნაკლებად საინტერესოა. ამ ადამიანებს ჩვენ უნდა ვუგებდეთ ნარჩენთა მიღმა, უკეთ, ნარჩენებამდე, იმ თავიანთ მდინარეებაში, რომლის აღწერა შეუძლებელია; ისინი სუნთქავენ მაშინ, როცა წარმოადგენენ კომენტარებს მოკალმეებზე, იმავდროულად კი - წერის უარყოფას; უარყოფას, რომლის უარყოფა წარმოუდგენელია, თუმ-

ცა კი - მითითებას დაქვემდებარებადი, შეიძლება ეწოდოს ადამიანები, რომლებიც არ წერენ. ეს ფიქრი ნაკარნახევია ჩემი ერთი ძველი ნაცნობის გახსენებით. მას ჩემსავით უყვარს ცხენები. რესტორანთან არის ვრცელი და დაქანებული მინდორი, სადაც ცხენები ბალახობენ. მე მათ ვხედავ ყოველდღე და დღეში ორჯერ, და მათი დაძარღვული გამომეტყველება ხშირად თითქმის ხელშესახებია ჩემთვის. მესამე დღეს აღმოვაჩინე, რომ ამ ცხენებს საშინლად უხდებათ თავმოყრა მინდვრის ერთ კიდეზე, რომელიც ველური წაბლის ხეებით ბოლოვდება. მათ შორისაა ნაცრისფერმუცლიანი და დახალული, მაღალი თეთრი ფაშატი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, შესანიშნავად მეტყველებს ფრანგულად; სხვა საკითხია, რომ მას არ უყვარს ლაპარაკი და დუმილს ამჯობინებს. და ეს ჩემი ძველი ნაცნობი თავის ცოლზე ეჭვიანობდა მხოლოდ იმიტომ, რომ გულგრილი იყო მასთან ერთად ფოტოგრაფირების მიმართ. დიახ, ცოლი იყო გულგრილი. "როცა მე მას სურათს ვუღებ, ცოცხლდება და დემონსტრაციული ხდება; მაშინაც, როცა მხოლოდ მას ვუღებ და მაშინაც, როცა სხვებთან ერთად ვუღებ. ჩემთან ერთად სურათის გადაღება კი მისთვის სულერთია, და, საერთოდაც, უხალისოდ აკეთებს ამას. რაც შეეხება ჩემი სურათის გადაღებას, ამის სურვილი მას არ უჩნდება. თუმცა, ორჯერ თუ სამჯერ, მაინც გადამიღო, ზრდილობის თუ სულაც იმის გამო, რომ თავისი სულერთობა დაეფარა. და, შენ წარმოიდგინე, ესეც, დაფარვის აქტიც, სულერთი იყო მისთვის". ბახმანის ფოტოსურათებიან ბიოგრაფიაში, რომელიც ერთხელ ასმათმა მათხოვა, არის ცელანის ფოტოც. ამ სურათზე, როგორც მახსოვს, ცელანს ლაბადა აცვია და ქარი უბერავს მარცხნიდან ან ზურგიდან; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ომი ჯერ არ ყოფილა, არც - სიკვდილის ფუგა, მაგრამ იქნება მაშინვე, როცა ცელანი კადრსგარეთ აღმოჩნდება; სურათი აფიქსირებს მეხსიერებიდან ამორთულ ცელანს, - პოეტს, რომელიც ისვენებს; მეტიც, სენაში მოტივტივე და უჩინარი დელფინებით გარემოცულ პოეტს. არც ჩემი ძველი ნაცნობი და არც მისი ჩემთვის უცნობი ცოლი არ არიან პოეტები, ამიტომ მათი შემთხვევა უსიამოვნო და უფერულია, მეტი არაფერი. მათთან ის მოხდა, რაც ხდება ყველასთან. უბრალოდ, ყველას არ გააჩნია ფოტოაპარატი. ეს ძალიან ადამიანური სურვილია, - გიღებდნენ სურათს. ყველას უნდა, რომ მას ვიღაც უღებდეს სურათს; იმასაც, ვინც მხოლოდ სხვას უღებს სურათს. საინტერესოა ერთი ნიუანსი: არავის არ უნდა კადრსგარეთ დარჩენა. ხშირად, კადრსგარეთ დარჩენის შიში ჩნდება მას მერე, როცა კადრში სხვისი მოქცევის ალბათობა მატულობს. უფრო მეტიც, კადრში ან სხვა უნდა აღმოჩნდეს ან - შენ. კადრში შენ იმიტომ უნდა იყო, რომ, ჯერ ერთი, ის არ იყოს, და მეორეც, მან გადაგიღ-

ოს სურათი და მხოლოდ ამის ხარჯზე არ იყოს. თუ შენ კადრში ვიღაცის ხარჯზე, კადრიდან ვინმეს ამოვარდნის ფასად არ ხვდები, ეს არაა საინტერესო. სიმშვიდის მომტანია კადრიდან ვიღაცის ამოვარდნა იმ მიზნით, რომ სურათი მან გადაგიღო, მან აღნიშნა დრო-სივრცეში შენი მოცემულობა, სიმძიმე. არის კიდევ ერთი, სულ სხვა ბედის, სულ სხვა მხარეში, ნატოს უფროსი ძმა; მან უკვე დაკარგა ოჯახიც და საუკეთესო ოცნებებიც, რაც ნატოს დაახლოებით ასე სტკივა: როცა ბინები ერთმანეთის მიყოლებით გაქრა, ცოლმაც საბოლოოდ უარყო. ზოოვეტერინარული დაამთავრა. ახლა სადღაც ჩააბარა, ეკოლოგიის ინსტიტუტში, არსებობს ასეთი? ძალიან უხაროდა. ცხოველები უყვარს ძალიან. ყოველთვის უყვარდა ცხოველები, და ახლა, როგორც თვითონ მითხრა, სულ ცხოველებთან ექნება საქმე. მაგრამ შემოქმედებასთან ვერ მივიდა. ვერ გაიგო, რომ ერთია ცხოვრებისეული ტკივილები და მეორეა შემოქმედის ტკივილები. რა თქმა უნდა, კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს მოაქვთ სერიოზული ტკივილები და მათი გამოცდა ადამიანებს რაღაცას აძლევს, ამაყსაც ხდის, ბევრს - ამპარტავანს. მაგრამ შემოქმედება ხომ სულ სხვა ტკივილების გადალახვას უკავშირდება. მან ეს ვერ გაიგო და იქნებ ამიტომაც გაბოროტდა. ცხოვრებამ გააბოროტა, ბოღმით აავსო და ახლა დადის ასეთი. რასაც ეხება, ყველაფერს - ბოღმით. მისთვის უკვე დამთავრდა ცხოვრება. იყო დრო, როცა სერიოზულად ვფიქრობდი მასთან სიახლოვეზე. მქონდა სათქმელები, რომლებსაც მისთვის ვაგროვებდი. მერე ეს სურვილი ნელ-ნელა გაქრა. უკვე ჩემი ძმაც აღარაა თითქოს. ყოველ შემთხვევაში, მე მას ასეთად ვერ აღვიქვამ. ძალიან მეცოდება და ეს მასში კლავს ჩემს ძმას. მე ის ისე მეცოდება, როგორც - ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ საბოლოოდ ჩამოაშორა სიყვარულს. ხოლო როცა მას ეს ყველაფერი დაახლოებით ასე სტკივა, მე მაშინ იქ ვარ დაახლოებით, სადაც ტკივილს სიტყვა აძევებს. "ხოლო იყო რუსუდან ხილვითა შვენიერი, ვითა სანატრელი დედა მისი, მდაბალი, უხვი, პატივისმცემელი პატიოსანთა კაცთა, მოყვარე". რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, სიყვარულს აფასებდე და თავს არ იტყუებდე: არ გეგონოს, რომ რასაც აფასებ, განიცდი კიდეც. მაგრამ, სახელოვანი ოქტავიოსგან განსხვავებით, ჩემთვის ადამიანი, დედამიწის ყველა კუთხეში და ყველა დროში, არის მოგონება ეროტიკაზე, ეროტიკის ხსოვნა, რომლის აქტუალიზების იმდენი რიტმი და ფორმა არსებობს, რამდენი ადამიანიც დადის ამქვეყნად. რა თქმა უნდა, ისიც ძნელია, მოხვდე საფრანგეთში და არ იფიქრო სიყვარულზე. მაგრამ ჩემს თავს ვიჭერ იმაშიც, რომ მე ამ დროს ვფიქრობ ბალზაკზე, სტენდალზე, ფლობერზე, პრუსტზე; რომ თვალუწვდენელი, მოვლილი

და შენახული სასაფლაოს ქუჩებში დავდივარ; რომ აქ ხსოვნა ფასობს იმდენად, რამდენადაც ხსოვნის ობიექტი დამაიმედებლად მკვდარია; რომ ესაა სიყვარულის ჭირისუფლების ქვეყანა, იმავდროულად კი - გაბედული, პირდაპირი, სიმართლის დამფასებელი და განმცდელი ადამიანების მხარე. იმაზე, რაც აღარ არის, აქ ამბობენ, რომ აღარ არის. ამას ამბობენ თავყრილობები, გამოხედვები, კოცნები, საქმიანი შეხვედრები, ღალატის და თავისუფალი არჩევნის ფორმები, ჩაცმულობები და რეგლამენტირებული ღიმილები. ამას ამბობს უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე, რასაც აქ საშუალო ფენა განიცდის და რაც აისახება თავისუფალ, სიამოვნების მისაღებ დროსთან მათ დამოკიდებულებაში. ისინი, თითქოს, ყოველდღიურად თვალებს ახელენ მხოლოდ იმიტომ, რომ მოასწრონ ურიცხვ საზრუნავში ერთმანეთის ამოკითხვა, ერთმანეთში კი - დამთავრებული კლასიკის, დამთავრებული ჰარმონიის. იციან, რომ ასეთი მცდელობა მათ მარცხის მეტს არაფერს ჰპირდება, მაგრამ უწყვეტი კულტურული ინსტინქტი კარნახობთ მსგავსი ქმედების აუცილებლობას, ყოველდღიურ რისკს. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ინსტინქტი დღესასწაულის მოსვლამდე საქმიანად ინახავს მესამე - არსებით - თვალს, რომელიც აქ ყველაფერს ხედავს და ყველაფერი მოსწონს, თუნდაც - სულელური, თუ ის მართლა სულელურია და არა ორაზროვანი, გამცემი. საშუალო ფენა აქ არაა იძულებული, რაღაცასთან და ვიღაცასთან რაღაცას და ვიღაცას იცავდეს. მაგრამ სიყვარული, რომელიც იყო, უზრუნველყოფს ისტორიული ტრანსფორმაციების აუცილებლობას და სევდიანი გასაგებობებით წარმოაჩენს შენახულს, დაცულს, პერიოდულად აღორძინებადს. ბატონი დრაგო, მეორე სლოვენელი მწერალი, ვისთვისაც პოსტმოდერნიზმი შარლატანიზმის სინონიმია და დაცინვის მეტს არაფერს იმსახურებს, ნაწილობრივ მეთანხმება. საუბარს ნიბელუნგებამდე მივყვებით, მათი ოქრო ალქიმიკოსების ოქროზე ბევრად ადრე იყო. ბატონი ნოვაკი მხარს უჭერს ჩემს ნახევრადკულტურულ მტკიცებას, რომ მითოლოგიური სიყვარული თავის თავში ფარავს შეუღლებისკენ სწრაფვის აუცილებლობას, როგორც კულტურულ კოდს. ვამბობ, რომ ზიგფრიდს კრიმჰილდი უყვარს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ნახავს. უფრო მეტიც: შეიტყობს თუ არა, რომ ბურგუნდეთის მეფის ასული თავისი მშვენიერებით საქვეყნოდ ცნობილია, არა მხოლოდ შეუყვარდება, არამედ ცოლად მის შერთვასაც გადაწყვეტს; სხვათაშორის, ეპოსი აზუსტებს არა იმდენად ასაკობრივ ან ექსისტენციალურ დროს, რამდენადაც - ზოგადკულტურულსოციალურს ზიგფრიდის ცხოვრებაში: სიყვარულის ჟამს. ის მომწიფდა სიყვარულისთვის და თავისი მდგომარეობა "მიამაგრა" ობიექტზე, რომელიც მშვენიერია. ბატონ

დრაგოს ინტერესით ეღიმება, მე კი ამ დროს თანამოსაუბრეებს ვთხოვ, ყურადღება მიაქციონ ხალხურობის კულტურულ კოდსაც, - ზიგფრიდი დარწმუნებულია, რომ თუ კრიმჰილდის სილამაზე საქვეყნოდ ცნობილია, მაშასადამე, იგი მართლა მშვენიერია და, მაშასადამე, უყვარს. ისიც საგულისხმოა, რომ მთხრობელმა იცის, - ზიგფრიდის სიყვარულში კრიმჰილდის ნახვა კორექტივს ვერ შეიტანს, მითოლოგიური სილამაზე ობიექტივისტური ბუნებისაა, უკიდურესად ზოგადი და არასპეციფიკური, არაინდივიდუალური; ზიგფრიდს არ აეჭვებს კრიმჰილდის სილამაზე, ვინაიდან ის საქვეყნოდაა ცნობილი; შეხვედრამ შეიძლება გააძლიეროს გრძნობის ხარისხი, განცდის ინტენსივობა, გაამძაფროს მსმენელის აღქმა, მაგრამ ამბის სტრუქტურაში, სიუჟეტის განვითარებაში ამით მნიშვნელოვანი არაფერი ხდება, კრიზისი გამორიცხულია. ზიგფრიდი უნდა დაეუფლოს იმ სილამაზეს, იმ ზოგადს, რომელიც ჯერ არ უნახავს; ამით მან უნდა მოიპოვოს არა მარტო კრიმჰილდი, არამედ - თვით სილამაზე, მშვენიერება, ანუ ის, რასაც სოციუმი ეთაყვანება; ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, კრიმჰილდი საშუალებაა. დაუფლების აქტმა კი ტრფობის ობიექტი უნდა აქციოს ექსისტენციალურ ღირებულებად, დააკონკრეტოს და "დაამიწოს" სიყვარულის ობიექტი, რომლის კოდებია ზოგადობა, აბსტრაქტულობა, სიმდიდრე, იშვიათობა, დაცულობა. აქ მნიშვნელოვანია სიყვარულის ჟამის სრულად, მთლიანად გამოცდა-განცდა-დათმენა, ობიექტი კი საშუალებაა ნორმატივის შესასრულებლად. ბატონი დრაგო იცინის, და მეც სიცილამდე არმისული ღიმილით ვაზუსტებ, რომ მითში შეყვარებულები ემსახურებიან, "ასრულებენ" სიყვარულს, გმირები - გმირობას, მეფეები - მეფობას; მითში კონკრეტული სხვა არაფერია, თუ არა აბსტრაქტულის ფუნქცია. "პატივისმცემელი პატიოსანთა კაცთა, მოყვარე". აქ ახალი მხოლოდ რესტორნები, კაფე-ბარები და ადამიანებია, რაც იმის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, რომ გაცილებით მეტის მომცველია ის, რაც ამ ხილულ ცვალებადობებს ერთმანეთში უმტკივნეულოდ ჩანაცვლების საშუალებას აძლევს, რაც კანონურობის - და არა კანონების - უკვდავების უზრუნველმყოფელია. იყო ესეც: შეხვედრა თუ რაღაც ამის მსგავსი, ჩვენთან, ქართველ მწერლებთან, ორთან. ერთმა ფრანგმა ადამიანმა მსუბუქად და საქმიანად გვკითხა: "რა შეიცვალა თქვენთან ამ ბოლო წლებში, მას მერე, რაც საქართველომ თავისუფლება მოიპოვა?". ჩემს თავში ამ დროს ათასი ჯანდაბა დატრიალდა, ერთ წამში, წამის მეათასედში. მინდოდა მეთქვა, რომ საქართველოში ენერგეტიკული კრიზისია. მაგრამ მივხვდი, რომ ისევ საშინელ გასაგებობაში ჩავარდნა მელოდა, და უფრო დიდი სისულელე ვთქვი: რომ საქართველო სულაც არაა თავი-

სუფალი. რომ: ჩემი აზრით, რა თქმა უნდა. მართლა დააბნია ისინი ჩემმა ამ პასუხმა? მე ამას ვერასოდეს გავიგებ. ან, უკეთ: მხოლოდ მაშინ გავიგებ, როცა ჩემს ასეთ თავხედობას ცხვირიდან ძმრად მადენენ იქ, სადაც აუცილებლად უნდა დავბრუნდე ხუთი დღის მერე, რომელიც დამრჩა ამ პლანეტაზე, ევროპაზე. მერე ნიკასი მახსენდება, ის ახლაც მთვრალია. რომელ ერთ ნიკასს ავუხსნა ამქვეყნად, რომ ყოველ დილით ჩემს სამშობლოში გაურკვევლობის, შიშისა და დამცირების ასიათასობით დამპალი და გამოხრული კარი იღება და ადამიანები გამოდიან არაფრის საკეთებლად, სიცარიელის საკეთებლად, მაშინაც კი, როცა მართლა სურთ რაღაცის კეთება; რომ შეუძლებელია შეურაცხყოფილმა, აბუჩადაგდებულმა, დაბნეულმა ადამიანმა გამოიმუშაოს სრულყოფილი სიცოცხლისკენ მიმართული ენერგია, იყოს ლაღი, არ იყოს ქურდი, იყოს მხიარული, არ იყოს დამფრთხალი, იყოს ბედნიერი, არ იყოს კმაყოფილი, ჰქონდეს სულ სხვა შიში, ჰქონდეს ღმერთის შიში. რომელ ერთ მთვრალ მსხვერპლს ავუხსნი ამას, თვითონაც მსხვერპლი, დამცირებული, შეურაცხყოფილი და აჯანყებული საუკუნოდ, საუკუნოდ. "პირველ უწყოდეთ, რომელ ყაენსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულოს მამასა და მეფობა ორთავე მანგუ ყაენის შვილმან ყუბილ ყაენმან მოსცა და ულო ყაენისა წარმოავლინა და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა". ყველგან, სადაც ჩვენ სხვაგან არ ვართ, ადგილის დრამა თამაშდება. განა ცელანს შეეძლო ეთქვა, როდის მოასწრო მისმა ლექსმა წყალთან შეხვედრა? არსებობენ ადამიანები, რომლებიც ეშლებათ. რა თქმა უნდა, ცელანიც იქ იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ სადაც ეს ყველაფერი დაიწყო, იგი იქ უკვე აღარ იყო, რასაც აქ გრძნობს, მირაბოს ხიდზე, საიდანაც გუშინდელი დღის ვიწრო ჩიხები ძალიან ძნელად განირჩევა. ამ მდგომარეობას მარტოობა აღარ ეთქმის. მინავლული ცეცხლივითაა: ის ერთხანს კიდევ უნდა ენთოს, ჩამქრალია და მაინც ანთია; წვალობს, თვალი რომ არ დაკარგოს; ხსოვნას ჯერ კიდევ არ ენდობა, - მეხსიერებამ ჯერ არ იცის, როგორია მისი ცეცხლი ამ წვალებაში. ის ამას აქ გრძნობს, მირაბოს ხიდზე. ის ასე ამბობს: "მე არ მოვსულვარ შენთან შიშით; ის მერე გაჩნდა, - როცა აქ, ჩემში, აიკრძალა რაღაც ისეთი, რაც ახლა შენს ფიქრს, შენს დინებას ემორჩილება; არის სიგიჟის დიდი წილი ჩემს სიხარულში, რაკი უცხოა ჩემთვის მსგავსი გამოცდილება. იქნებ არც ჰქვია, არა, ამას გამოცდილება? მთელი ტანით ვარ მონაწილე ჩემი ამ ნგრევის, - ამ მარტოობის უფორმო და უხორცო ტანის სრული ნგრევის და გადაშენების. მე იმის ძალით ამოვყვინთე უთავბოლო წარსულის წყლიდან, რომ იგი ჯერ არ დამთავრებულა; და არც ვიცოდი, სად დაიწყო; მხოლოდ ეს ვნახე: სერიოზული, ცვალებადი საქმე ხდებოდა;

მეც ვუყურე და შევუერთდი სანახაობას, მთელი სხეულით შევერიე იმას, რაც მოხდა; მერეღა მივხვდი, რომ გადავრჩი, მხოლოდ მას მერე, როცა დამთავრდა სანახაობა და ჩემმა ტანმა ვერაფერი ვერ გაუგო იმას, რაც ნახა". ამას აქ ამბობს, ჩემს დგომაში, მას მერე, როცა მისი დგომა უკვე აღინიშნა მიმართულებების სამყაროში, სივრცეში, რომლის მოსახლეობა შეშლილი არაა, რომლის სხეული ზოგჯერ, იშვიათად, გამოიმუშავებს ადამიანებს, რომლებიც უმრავლესობას ეშლება. იმ ჯანდაბებში და დასაკარგავებში გამოვლილმა ჩემმა ტანმა როგორ აგიხსნას, რომ შენ, სენამ, გადამარჩინე? ასახსნელი, ალბათ, არცაა არაფერი. ჩვენი ტანები განუწყვეტლივ საუბრობენ ამ რთულ თემაზე, და როგორც ეს საუბარი, ისე ერთმანეთი მათ ძალიან ახარებთ. იქნებ, ერთმანეთის გარდა, მკაცრ და უნუგეშო ამ სივრცეში, არც ჰყავთ არავინ? ისინი, ჩვენი სხეულები, თავ-თავიანთ სიმარტოვეს არ გაქცევიან და ერთმანეთში არ დამალულან. უბრალოდ, დასხდნენ და ერთმანეთს უამბეს, როგორ ცხოვრობდნენ უერთმანეთოდ. ამ ტანების ისტორია უფრო გვიან დაიწერება, - მაშინ, როცა აღნიშნული საქმის საჭიროება აღარ იარსებებს. ჩვენ მოძრაობების ბედში ვერაფერს შევცვლით. ადამიანები, რომლებიც უმრავლესობას ეშლება, არიან შეშლილები, ხოლო უმრავლესობა არის ჯამი მავანთა, მავანთა. განა შეიძლება, ამ ჯამში ოდესმე არ იყოს ქაოსი? მაგრამ ეს ქაოსი დროდადრო ამოტყორცნის ხოლმე უვარგის სხეულებს, რომლებიც მერე, ჯამის ირგვლივ ყავის დაუფქვავი მარცვლებივით მიმოფანტულნი, ღრმა ძილს მისცემიან, მისცემიან სამუდამო მოგზაურობას, უფსკრულებს, მსხვრევის შეუძლებლობას, ერთხელ და საბოლოოდ განხორციელებულ მსხვრევას. ისინი - ეს უვარგისი ტანები - ისე დაიმსხვრნენ, რომ მათი მსხვრევის ისტორია არ არსებობს. ანამნეზი არსებობს, მაგრამ ისტორია - არა. ყველაფერი მათ გარეთ ხდება, მათში - არაფერი. სამაგიეროდ, ჯამში წესრიგია. მაგრამ როგორ და საიდან ხდება, რომ ეს წესრიგი თავის სხეულში დროგამოშვებით ავითარებს ისეთ სიჩქარეს, რომელიც ზღვარს სცილდება და ორბიტის გარეთ დაეძებს საშველს, უკაცრიელ სივრცეში მოინიშნავს მეხსიერებისთვის შეუძლებელს: სიგიჟეს. იმის თქმა მინდა, რომ სიგიჟე ის კი არაა, რაც არ სჭირდებათ, არამედ - ის, რაც აღარ სჭირდებათ. მეტიც: რაც აღარ სჭირდებოდათ. იმის თქმა მინდა, რომ ვისაც ჩვენ ამ შეშლილი ადამიანების სახით ვხედავთ, მხოლოდ ანარეკლები არიან სიგიჟის. ისინი, ვფიქრობ, მიგვანიშნებენ შეშლილებზე, რომლებიც სადღაც სხვაგან არიან, სადღაც მათ ბედკრულ სხეულებში, მაგრამ მაინც - სხვაგან. იქნებ, ნებისმიერი შეშლილის ტანი არის კუნძული, სადაც ის ხარობს, რაც უმრავლესობას ეშლება? იქნებ, ის, ვინც შეეშალათ, იმას ინახავს, რაც შეეშალ-

ათ? დიახ, შეშლილებში რაც შეეშალათ. აუტანელია ჩვენში ეს "ვიღაც", მაგრამ რა ვუყოთ, როცა ბრჭყალებში ამ ვიღაცის ჩასმა საშველი არაა? თუ გიფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ამ წესრიგს ისე შევეშალოთ, რომ ვეღარ გაგვიხსენოს და დაგვკარგოს, გადაგვკარგოს? მე არ ვგულისხმობ ჭკუიდან შეშლას, გაგიჟებას. იმის თქმა მინდა, რომ შეიძლება შევეშალოთ წესრიგს, რომელიც არ არსებობს, რომელიც არსად არავის უნახავს, მაგრამ რომელსაც ჩვენი პერმანენტული სოციალობა ემორჩილება; ემორჩილება იმას, რაც ისე სწრაფად იცვლება, რომ არ იცვლება და გამოიმუშავებს კანონს, რომელსაც შეიძლება შევეშალოთ. ესმის ფეფუჩას, რაც აქ ხდება? ეს კანონი შეუმცდარია და არ ეშლება არაფერი; მან ყოველთვის ზუსტად იცის, - ვინ სად და როდის შეეშალოს. ამის გამოა იგი კანონი. "და იყო ყოველი გვამი მისი გამხმარ და დამჭნარ და ტყავი ოდენ გარდართხმულ ძვალთა ზედა, ყოველი ასოÁ აღირაცხოდა. ხოლო ემოსა ნახეთქი რაÁმე ძაძისაÁ, რომელი შემოედვა უპითგან ვითარცა ნახევარწვივთამდე". ასეა თუ ისე, შეშლილს აბსოლუტური სმენა გააჩნია, მას ესმის ის, რაც შეუშლელ, ნორმალურ ადამიანს არ ესმის: არაცნობიერის ხმა. ის, ვინც თავისი ნამდვილი ხმის გაგონებას მოინდომებს, განწირულია იმ ხმაში დასაკარგად, საიდანაც უკან არავინ, არავინ ბრუნდება. აქ "უკან" არც არის. ან ყოვლად უანგაროდ უნდა მიეცე ხმის ძახილს და მოუკვდე სოციალურ წესრიგს, ისტორიას, ან უნდა დაექვემდებარო რიგითი სოციალობის ამა თუ იმ ხარისხს. ასეთი თავბრუდამხვევი გაურკვევლობებიდან ამოდის პოეტი, არც შეშლილი და არც ქვემდებარე, "და მუნვე მივალს სამხრით და მოჰვლის ჩრდილოდ გარემოის", და ჩადის სენაში, თავის მწარე წყალში. სახლი, სადაც მე და გიო ვცხოვრობთ, წყნარია და უხმაურო. აივნებზე შეფენილია სურო და გაფენილია სარეცხი. ჩვენს მეზობლებს ჰყავთ უხმაურო ბავშვები და ცოლები, გვესალმებიან ღიმილით და აღარ ქრებიან მეხსიერებიდან. აქ არ არის მტვერი და ხმაური, ვეუბნები ლარას. იოლანდას ვარწმუნებ, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არ იყოს ხმაური და მტვერი. იქ, სადაც ერთია, აუცილებლად არის მეორეც, და მაშინ ადამიანები ერთმანეთს ვერ უგებენ, შეიძლება შეიზიზღონ კიდეც ერთმანეთი. იოლანდა ამაში დარწმუნებული არაა. ჩემი აზრით, არც იმაშია დარწმუნებული, რომ მომავალ წელს აუცილებლად გამოვა მისი ჟურნალის სპეცნომერი, რომელიც ქართულ თანამედროვე ლიტერატურას უნდა მიეძღვნას. სარეცხი ყოველთვის თვალში მხვდება, ჯერ მიკვირდა, მერე შევეჩვიე. ბოლოს მეჩვენებოდა, რომ გასაშრობად სულაც არ იყვნენ გაკიდული და მხოლოდ მზეს და სექტემბრის უჩვეულოდ ცხელ და - იქნებ ამ მიზეზით - ერთფეროვან დღეებს ეფიცხებოდნენ. საზრუნა-

ვი, რომელიც მათ ზურგსუკან იგულისხმებოდა, თავისებურად ანუგეშებდა ჩემს დაღლილ, უხასიათო წარმოსახვას. არ შემცვლია აზრი, რომ აქ შეიძლება მწერალმა იცხოვროს და წეროს, შეისვენოს და მერე ისევ წეროს, ისე, რომ გამოქვეყნებაზე არც იფიქროს. მითხრეს, რომ ეს საუკეთესო დროა საფრანგეთში, განსაკუთრებით კი - სამხრეთში. ამ დროს მზე არ გღლის, არც - ლუდი. აქ თავმოყრილ ლიტველებს, ჩემი დაკვირვებით, არა იმდენად პატრიოტული სულისკვეთება და ეროვნული თავმოყვარეობის ბუნებრივი თანხლება ამთლიანებს, რამდენადაც - ზიზღი ყოველივე რუსულის მიმართ, არაჯანსაღი ბოღმა, სინანული დაკარგული დროის გამო, ამ დროის არსში ჩაღრმავების სრული უუნარობა. მსგავსი ბოღმის არაშემოქმედებითი ხასიათი კარგად ჩანს ნიკასის სავსებით საბჭოურ სიყვარულში ქართველების მიმართ. მას თავში არასოდეს მოუვა აზრად, ერთხელ მაინც დასვას კითხვა, - ვინ არიან ეს ქართველები, რომელი საქართველო იზიდავს და რატომ, რით განსხვავდებიან ქართველები ერთმანეთისგან, თუ აწუხებთ რამე ამქვეყნად არასერიოზული და არაფიზიკური? ნიკასი იმითაც კმაყოფილია, რომ, როგორც თვითონ ამბობს, უყვარს, სიგიჟემდე უყვარს ქართველები. ის ამ დროს მარჯვენა ხელს გულზე ნაზად და ალერსიანად იდებს და რაღაც ისეთს ეფერება თავის ორგანიზმში, რასაც მხოლოდ ორ პარკუჭთან და ორ წინაგულთან პირწმინდად ანატომიური კავშირი უნდა გააჩნდეს და არა უმეტესი. დანარჩენი საბჭოურია, რუსული და ენთუზიასტური, გაჯერებული ფრანგული ღვინით. უყვარს და რა ქნას. ახლა მეც მთვრალი ვარ და ტკბილად, აგრესიის მისხალი დოზის გარეშე, ლამის სევდანარევი თანაგრძნობით, ვეკითხები: "ნიკას, რა გიყვარს ქართველებში?". "ოი, ოი, სილაღე, სი-ლა-ღე!", - პასუხი ისე უშურველად იღვრება მისი გულის წესიერებიდან, როგორც - ფრანგული ღვინო სტუმართა ჭიქებში. "ნიკას, - ვეუბნები დამტკბარი ღიმილით, - როგორ ფიქრობ, შეიძლება ლაღი იყოს ადამიანი, რომლის მშობლებს შეურაცხყოფას აყენებდნენ მთელი ცხოვრება, იმათ მშობლებსაც შეურაცხყოფდნენ მთელი ცხოვრება, იმათ მშობლებსაც, იმათსაც, იმათსაც, ორასი წელი, ხუთასი წელი, ბევრი წელი? შეიძლება, ამ ხალხის საცოდაობას, ფართხალს და წვალებას, სიხარულზე, სიცოცხლეზე, სიყვარულზე, თავისუფლებაზე ნოსტალგიის მარაზმატიკულ გამოვლინებებს სილაღე დაერქვას?". ნიკასს ვერ გაუგია, რატომ ვაწვალებ, რა მინდა მისგან, და ხუმრობით, მაგრამ შეფარული წყენით გამოაქვს განაჩენი, რომ მე ვარ დივერსანტი. "კარგი, კარგი, ასე იყოს", - ვგრძნობ, რომ ისევ იმ გასაგებობაში აღმოვჩნდი, რომელსაც დასანახად ვერ ვიტან. ვერც ჩემს თავს ვიტან ამ უხერხულ გასაგებობაში. ღვინით სავსე შამპანურის ბოთლს ღვინით

სავსე შამპანურის ბოთლზე ვუჭახუნებ და ვთავაზობ, რომ გაუმარჯოს. ბოთლი პირთან მიაქვს, მერე იცილებს და მეკითხება, თუ რას გაუმარჯოს. ვპასუხობ, რომ სამართლიანობას გაუმარჯოს. ბურუსი თითქოს იფანტება, მაგრამ - ნაწილობრივ. ნიკასი სამართლიანობას მიესალმება, მაგრამ ბოთლს მაინც ფიქრიანად იყუდებს, რაღაც ზედმეტაზროვანს კითხულობს ჩემს სადღეგრძელოში, ირიბს, და ისეთს, როგორიც ჩემთვის ეს სიტყვებია: "ამან არღუნ განაწესა, რა იგი ჯერ იყო ოთხსავე საყაენოსა შინა. რამეთუ იყო კაცი ესე სამართლის მოქმედი. ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა და დავრეშთა. და ყოვლისა სჯულისა კაცნი საღმრთოდ განჩენილნი განათავისუფლნა". არ მეგონა, თუ შეიძლებოდა ისე გამოსულიყო, რომ ათ დღეში ამდენი და ამდენნაირი ლუდი დამელია თვითმფრინავში, სახლში, ქუჩებში, მოსიარულეს, მწოლიარეს, მდგომარეს, მჯდომარეს, ესოდენი ლუდი. ზურას ვუმტკიცებ, რომ ჩვენი წინაპრები ბევრ ლუდს სვამდნენ. ზურამ ფრანგული კარგად იცის და იურისტიცაა. სხვათაშორის, ფესტივლის ორგანიზატორთა მიერ საქართველოში გამოგზავნილ ოფიციალურ ქაღალდებში სწორედ მან მიაგნო ფრანგული მხარის მითითებას, რომ საქართველოდან წარგზავნილი სტუმრებისთვის, ესე იგი ჩემთვის, გიოსთვის, თამაზისთვის, ზურასთვის და ვაშაკიძისთვის ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" წარმომადგენლებს გამოეწერათ ყოველდღიური სახარჯო ფული. ფაქტია, რომ ჩვენთვის ეს ფული არავის მოუცია და ვერც ის გავიგეთ დანამდვილებით, ვინ იყო სოროსის ფონდის ის ქართველი პატრიოტი, რომელმაც, ჩვენი უგულებელყოფის ხარჯზე, ამ ფონდს - სულ მცირე - ათასი დოლარი დაუზოგა. ზურას არ სჯერა, რომ ჩვენი წინაპრები ბევრ ლუდს სვამდნენ, მე კი ეჭვი არ მეპარება. ცხადია, ვცდები, როგორც - მაშინ, როცა დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მისხალითაც არ შევცვლილვართ უარესობისკენ და ზუსტად ისეთები ვართ, როგორებიც ჩვენი წინაპრები იყვნენ. ნუთუ, მათ ლუდი არ უყვარდათ? არ მჯერა, არ მჯერა. შუადღე უკვე გადასულია. თეას ჰყავს ერთი მეზობელი, რომელიც ამტკიცებს, რომ ბუდა წინარე ცხოვრებაში თომა მოციქული იყო; რომ ერთი გარდასახვა საკმარისი იქნებოდა, რათა ბუდა თავის თავს დამთხვეოდა, ანუ - იმას, ვინც უფრო ადრე თავის მორიგ გარდასახვაში ბუდას დაემთხვა, რომელიც სხვა არავინ არის, თუ არა თომა მოციქული. მივდივარ სალონში, რომელიც ჩემი სახლიდან ათი წუთის სავალზეა; რატომღაც ჯიხეთი მახსენდება, მამა ანდრია და მონასტერში მცხოვრები დედები, სადედოები, მორჩილები; მახსენდება სოსანა, ერთწლოვანი მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა, ღრმად

დანაკვთულფოთლებიანი, რომელიც იკეთებს მოწითალო-იისფერ დეზიან ყვავილს და გვხვდება ყანებში. სადაა ახლა? ვიცი, რომ ჯიხეთში აღარაა. ბოლოს რომ ვნახე, ცუდად იყო. სადაც არის, ალბათ, ყველგან ტირის. ნუთუ, მართლა შეუძლებელია, რაიმე ეშველოს? წიგნის სალონში ყველაზე დიდი ადგილი რუსულ ლიტერატურას უკავია, და ესეც ნაწილია ალბათ იმისა, რაც ბოლო ათწლეულში საფრანგეთში გამოცემულა. მთელი აღმოსავლეთ ევროპა აქაა. საქართველოს ცალკე კუთხე არ ეთმობა, არის მხოლოდ ერთი საშუალო ტევადობის სტენდი, რომელზეც სომხური, ალბანური და ბოშური ლიტერატურის გვერდით ჩემთვის სიამაყის მომგვრელი ორი წიგნიც მოიპოვება: ერთია "ვილაპარაკოთ ქართულად", ქართული ენის თვითმასწავლებელი ფრანგებისთვის; მეორეა ფრანგულად თარგმნილი და გამოცემული "ნაცარქექია და სხვა ქართული ზღაპრები". ორივე წიგნი ბრწყინვალედ არის გამოცემული. თუმცა, ცუდად გამოცემული წიგნი მე აქ არც მინახავს. სამაგიეროდ, ვნახე ცნობილი რუმინელი ქალბატონი, მწერალი და გამომცემლის მეუღლე. მან კარგად იცოდა ფრანგული ენა და დაინტერესდა ფრანგულ ენაზე გამოცემული ქართული ლიტერატურის ძეგლებით. მართალია, ამ საქმეში ვერ დავეხმარე, მაგრამ რაც ვიცოდი, ამაყად ყელმოღერებულმა მაშინვე ვაუწყე, კერძოდ - ის, რომ "არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა". მიუკერძოებლად და ლაკონურად ვუამბე ჩვენი გმირული წარსულის შესახებ, რამაც რუმინელი ქალბატონი უმალ დაატყვევა. მერე, დიდებული ფრანგული სამზარეულოს ფონზე, ვაქე და ვადიდე გენიალური ქართული კერძები; უნიჭოდ გავიმეორე ცნობილი თვალსაზრისიც, რომ ქართული სუფრა აკადემიაა, ყველა თავისი ატრიბუტით. ჩვენი რესტორნის შეფმზარეულს, ამერიკული მულტფილმებიდან გადმოსულ ორივეთვალიან მეკობრეს, ჩანს, მოეწონა დიდი წარსულის მქონე ტუჩებიანი ჰემინგუეის ქალი და ახლა რაღაც განსაკუთრებულ ყველს სთავაზობს. "ეს ყველი ყარს, როგორც არ ვიცი რა. ვეუბნები, რომ შესანიშნავია. ალბათ, ასეცაა. შენ არ გინდა? სასურველია, არ გასინჯო. ამბობს, რომ მას ეს ყველი განსაკუთრებით უყვარს. ამბობს, რომ ეს ბურგუნდული ყველია. ამბობს, რომ რაც შეეხება ამ მხარეს, აქ მარტო თხის ყველი გააჩნიათ, ეს კი ძროხის ყველი ყოფილა. ეს ბატონი, თურმე, მიხვდა, რომ მომეწონებოდა და ამიტომ მომიტანა. არ შემცდარა, არა? მეუბნება, რომ ბურგუნდული ყველი უხდება კლარეტს. ახლა, ალბათ, მეტყვის, რომ ეს მხარე კლარეტის სამშობლოა". ამ ქალში რაღაც მეც მომწონდა. ალბათ - ის, რომ მასთან შეიძლებოდა ათას სისულელეზე ლაპარაკი, მას კი უნარი ჰქონდა, ეს სისულელეები დაეფა-

სებინა. უხაროდა, რომ სწორედ მას ვერჩოდი და არა მის მეგობრებს. როცა გავუმხილე, თვეზე მეტია ფილოსოფიამ გამიტაცა და პლატონის დიალოგებს ჩავუღრმავდი მეთქი, გულით გაიხარა. ვუთხარი, - მაქვს ჩემი უაღრესად სანდო თეორია იმის შესახებ, თუ რას წარმოვადგენთ ჩვენ, ადამიანები, თუნდაც, აი, ამ ავტობუსში მოთავსებული ადამიანები, შენი ჩათვლით-მეთქი. სიამოვნებით მოგისმენო. რესტორნიდან ნასვამები ვბრუნდებოდით და მთელი ლექცია გამოვიდა. ვუთხარი, რომ, ჩემი დაკვირვებით, არის ერთმანეთის საპირისპირო ორი უკიდურესი წერტილი - რწმენა და სიგიჟე; რომ სხვა ყველაფერი რწმენის ან სიგიჟის ნაკლებობაა; რომ ჩვენ, ადამიანები, რას არ ვცდილობთ ამ ნაკლული არსებობის გასამართლებლად; რომ, უფრო მეტიც, ყველა ჩვენს საქციელს აუცილებლად მოსდევს ან წინ უძღვის თავისმართლება. მთელი ჩვენი ამქვეყნიური არსებობა ამ ორ უკიდურეს წერტილს შორის ფეთებაა: არც შეშლილები ვართ და არც ღმერთი გვწამს. ვართ რაღაც საშუალო, უბადრუკი, უნიათო არსებები, და ვერ ვახერხებთ - შევიშალოთ ან ღმერთი მივიღოთ. ვერ ვახერხებთ თუ არ გვინდა? იქნებ, შეშლილობა გულწრფელობის მწვერვალია? და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, და იქვე: რომ ღმერთი საშინლად ეჭვიანია და თუ რამეს არ პატიობს ადამიანს, სწორედ - კომპრომისს და საშუალოობას, თავისმართლებას და კერპებისკენ თვალისცეცებას; რომ ადამიანური სამართალი უცხოა ღმერთისთვის, მის თვალში ცოდნას და არცოდნას ერთი ფასი აქვს, ამიტომ ის ჯერ მოწყალეა და მხოლოდ მერე - სამართლიანი; რომ ჩვენ, ამ ავტობუსში განთავსებულებსაც და სხვაგან მყოფებსაც, ჯვარზე გაკრული ქრისტე არ გვაწყობს; რომ ყველა ჩვენ-ჩვენს ქრისტეს ვძერწავთ მთელი ცხოვრება - მწიგნობრები, მეძავები, ნარკომანები და მათი დამფასებლები, მკვლელები და მოსაკლავად განწირულები, პატიოსანი სპორტსმენები, ყველა; რომ მონანიებაც ისეთი გვინდა, როგორიც ჩვენი თავი მონანიების მერე წარმოგვიდგენია; რომ, ერთი სიტყვით, ვერთობით და ღმერთით ვთამაშობთ; რომ "დამიჯერე, ჭეშმარიტება არსებობს! ჩვენ ყოველთვის მის დაპყრობას, გადაყლაპვას და მონელებას ვცდილობთ, გესმის? არავის უნდა, ჭეშმარიტებას ემსახუროს". მოკლედ, არა მხოლოდ მომწონდა, თავსაც ვაწონებდი. უფრო ზუსტად, ჩემს ყველაზე უფრო მტკივნეულ ფიქრებს ვაწონებდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ საქმეს თავს ჩინებულად ვართმევდი. მის გაცნობამდე ერთი წლით ადრე, როცა კერუაკის მთავარი წიგნის ის ადგილი წავიკითხე, სადაც დინზე წერს, იმიტომ ყალთაბანდობდა, რომ ძალიან უნდოდა ეცხოვრა და საქმე ჰქონოდა ადამიანებთან, რომლებიც მას სხვა შემთხვევაში ყურადღებას არ მიაქცევდნენო, ჯარამდელი ჩემი ცხოვ-

რება გამახსენდა და სასტიკად შემეცოდა ის ჩემი წარსული. მაშინ ხომ, ზოგჯერ, ამ მიზნით ვწერდი და ეს ჩემი საქმიანობა ძალიან ჰგავდა მორიარტის ყალთაბანდობას. როგორღაც მეყო ჭკუა, ჩემი მაშინდელი თხზულებებიდან არაფერი გამომექვეყნებინა, თუმცა - დიდი წვალების და ნევრების ფასად. ახლაც, ჰემინგუეის ლიტველ ქალთან ასე უაზროდ რომ ვქაქანებდი, ყალთაბანდი უფრო ვიყავი, ვიდრე - ნასვამი ან ფრანგული შთაბეჭდილებებით ტვინდამძიმებული. ის, ალბათ, ყალთაბანდობის ამ უნარსაც არ მიკარგავდა, რაც ჩემს უსაზღვრო პატივმოყვარეობას უფრო ძნელად ურიგდება. ხოლო საერთოდ ვერ ურიგდება იმ აშკარა ფაქტობრიობას, რომ საფრანგეთში თითქმის ვერაფერს სახელს ვერ არქმევს ჩემი გონება, რომელსაც, მზად ვარ, გამწარებულმა "ეგრეთწოდებული" ვუწოდო. წარმოსახვას ყველაფერი, მოძრავიც და სტატიკურიც, ხელიდან უსხლტება, რაც დისტანციის არარსებობაზე მიმითითებს, მიმითითებს ნანახის დანაწევრების, მთლიანობის დაშლის სადღეისო შეუძლებლობაზე ჩემს მეხსიერებაში. და, თავისი უსხეულობით, იდიოტური წინააღმდეგობრიობით, სასოწარკვეთაში მაგდებს ეს ყველაფერი, მახსენებს ჩემი ცხოვრების ნებისმიერ საახალწლო მდგომარეობას, და მარწმუნებს, რომ ხმაური კიდევ დიდხანს არ გამიშვებს თავისი ხელიდან. რას უკავშირდება ჩემს ფიქრებში საახალწლო მხიარულება, სევდა და მოწყენა, ყველა შესაძლო ანტურაჟი? ხმაურს, ხმაურს და მხოლოდ ხმაურს. ის, თითქოს, დიდი და განსაკუთრებული ხმაურის პირველსახე, პირველმიზეზი და პირველშედეგია. ადამიანები ისვრიან, აფეთქებენ, ხუმრობენ, იცინიან, ჩხუბობენ, ერთმანეთს დედას აგინებენ, ამბობენ ღრმა და ამომწურავ სადღეგრძელოებს, - ერთი სიტყვით, სადღაც გარბიან. თითოეული მათი მოქმედება მიმართულია შინაარსის ადექვატური გამოხატვის შეუძლებლობისკენ, უფრო მეტიც, შესაძლო შინაარსის გადაფარვისკენ. აქ არც ფორმის არსია მთავარი. ღირებული ხდება არა სათქმელი ან საკეთებელი, არამედ - თქმის და კეთების აუცილებლობა. რაც გინდა, თქვი ან გააკეთე, ოღონდ რაღაც აუცილებლად უნდა თქვა ან გააკეთო, ან შენი სოლიდარობა გამოუცხადო სხვის მიერ თქმულს და გაკეთებულს. მთავარია, რიტუალი შესრულდეს. ამ გზით ხდება შესაძლებელი დღესასწაულის, ახალი წლის გაძლება, დათმენა, გადალახვა. გაურბიან იმას, რასაც ადიდებენ, შიშით ადიდებენ. ადიდებენ იმ მიზნით, რომ დღესასწაულმა თავისი თავი არ გამოხატოს მათ მიღმა, მათ გარეშე, არ აღიმართოს თავისი ნამდვილი შინაარსით, ნამდვილი სახით. რომელიც არ არსებობს? აღნიშვნის რიტუალი მალავს აღნიშვნადს. მალავს იმას, რაც დამალვას არ საჭიროებს იმიტომ, რომ უხილავია ყველასთვის, ვინც მას მალავს. რიტუალი მალავს საიდუმლოს,

რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ესაა ეჭვის, უნდობლობის, ზეიმის ზეიმი. ფრანგული ფილოსოფიური ჟურნალისტიკის ერთი ტიტანის თქმით, საიდუმლო იმიტომაცაა საიდუმლო, რომ მისი განსაიდუმლოება არასდროს ხერხდება, საიდუმლო მაინც ცირკულირებს. მე ვფიქრობ, რიტუალი თხოვნაა ღვთის მიმართ, რომ საიდუმლო დაფარული დარჩეს. ჩვენი ტანები განუწყვეტლივ საუბრობენ ერთმანეთთან ამ რთულ თემაზე. განსაკუთრებით საგრძნობია ეს ამ პაწია სამხრეთულ დაბაში, სულ სხვა პლანეტაზე, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს ენერგეტიკული კრიზისის ღრმა და ნათელი შინაარსი: ის ბადებს აზრს, რომ ეს კრიზისი ოდესმე გაქრება, მაგრამ არა - უშუქობა. ჯოჯოხეთში ყოფნას უდრის იმის განცდა, რომ, იქ, სადაც შენ ცხოვრობ შენი ბედით, არასდროს შუქი არ იქნება. ამ განცდასთან შედარებით არაფერია შეურაცხყოფა და დამცირება, რომელსაც განიცდი ყოველთვის, როცა შენს სახლში ქრება ან არ მოდის სინათლე; ყოველთვის, როცა შენი სახლიდან დენის წასვლით ვიღაც გაფრთხილებს, რომ ამ შენს სახლშიც მარტო არ ხარ, რომ ამ შენს სახლშიც ვერ დაემალები ტოტალურ კონტროლს, ექსპერიმენტების გაუთავებლობას, დამცირებულ და მიგდებულ შენს სხეულს; რომ ეს ცოდნა შენში უნდა მუშაობდეს ყოველდღიურად; ამ ცოდნით უნდა კითხულობდე ყველას და ყველაფერს ქუჩაში, სამსახურში, ტრანსპორტში, ფიქრში. ამ ცოდნით უნდა კეტავდე სახლის კარს, გადიოდე გარეთ. სინამდვილეში კი ყველგან გარეთ ხარ, იმ შენს ინტიმშიც, იმ შენს ძილშიც, შენს სიზმრებშიც. სადღაც აქაა საძიებელი ისიც, რასაც მერე ომს არქმევენ და გაიძულებენ, შენც ომს არქმევდე, უდროოდ და უადგილოდ ზეიმობდე, ხმამაღლა ცეკვავდე. და, აი, ამ დროს ჩვენი შიში ძრწის იმის შიშით, რომ შეიძლება უცხო აღმოჩნდეს ჩვენთვის, ამიტომ უფრო მწვავდება თავის ასეთ მდგომარეობაში, აგრესირდება და დამთრგუნველად მოქმედებს ჩვენზე. რა შეიძლება ამ დროს ჩავიდინოთ, გარდა იმისა, რომ შიში დავარწმუნოთ: ჩვენთვის იგი არაა უცხო, გვესმის მისი და მზად ვართ, - ჩვენი თავი შევაკავოთ მდგომარეობაში, რომელიც შიშის ატანას მოითხოვს. იმის თქმა მინდა, რომ უნდა მოვახერხოთ, - ჩვენი თავი შევინარჩუნოთ განუხორციელებელი ტკბობის შენიშნულ ფაქტში, და ეს მდგომარეობა ვაქციოთ ტკბობად, გამოცდილების ნაკლებობა ვაქციოთ შთაგონების მუდმივ წყაროდ და არსებითი ტრანსფორმაციების საიდუმლოდ. ეს უკვე შიშში ნაყოფიერად დამკვიდრების ტოლფასი საქმეა, და ამ საქმის საკეთებლად ღირს ცხოვრება, ღირს დამარცხებულის და შეწყვეტილის ხვედრი. აქ საუბარია ხვედრის გადამუშავების, ათვისების სიძნელეებზე და არა უმეტესზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა შიშში საკუთარი თავის გამოსყიდვის ულამაზესი სანახა-

ობა, რომლის ერთადერთი მაყურებელი და მაცოცხლებელი ჩვენ უნდა ვიყოთ, უნდა ვიყოთ ხერხემალი, რომელსაც ეყრდნობა მარტოობა, დასაწყისი, პირადი ცხოვრების ერთფეროვანი უნარი, საყოველთაო მიუღებლობა, რწმენა. წარმოსადგენია ურიცხვი ცარიელი სახლი, ურიცხვი კარი, რომელიც ერთროულად იღება ჩვენს მიერ ყველგან, სივრცის ყველა ამ სხვადასხვა წერტილში, და, კიდევ ერთხელ ვამბობ, ამით საქმე ეხება დასაწყისს, რომელიც საჭიროა, რათა მოვიპოვოთ თანმიმდევრობით ყველა ამ კარის გაღების შესაძლებლობა და ასე გამოსვლა თითოეული ამ სახლიდან. წარმოსადგენია ურიცხვი სახლი, და ყოველი მათგანიდან გამოდიხარ თანმიმდევრობით, ერთმანეთის მიყოლებით ხურავ შენს უკან ყველა კარს და თავს იყრი გარეთ, სადღაც, მაგრამ გარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ვერ ვთქვი ვერაფერი. აქ, საფრანგეთში, ახალი მხოლოდ წიგნებია, რომელთა ძველი შინაარსები მშვიდად, აუჩქარებლად განაგრძობენ სიცოცხლეს ჩვენი საუკუნის ერთფეროვან, მოსაწყენ მიწურულში, ეგვიპტის მზით გათანგულ, პოლიტიკურ და შორ ევროპაში.

X
ს ა დ ა ლ ა ძ ო შ ი

1.

იწყებს ჩურჩულს: "მე იქ არავინ მასაჭურისებდა". როცა ჩურჩულს იწყებს, მე მას ვერ ვხედავ ვერსად, დროის ვერც ერთ იმ მონაკვეთში, რომელიც შემთხვევითი, მაგრამ კონკრეტული რაკურსით წარმომიდგენდა მისი მოძრავი სხეულის რომელიმე პერიოდს და მაიძულებდა, მეფიქრა ცხოვრების ყველაზე უფრო არადრამატულ სურათებზე: ომის დასასრულზე, კოსმოსში გაფრენაზე, ბაზრის სიღრმეში შეკარგულ სიღარიბეზე, ამ სიღარიბის ნორჩ ნატურალისტებზე; ერთი სიტყვით, ყველაზე და ყველაფერზე, ვინც და რაც ისეთ ელემენტად ყოფნისთვის განწირულა, დასასრული რომ არ უწერია და სწორედ ასეთი დაუსრულებლობის წყალობით რომ უნდა ერწყმოდეს ფერის, ხმის, გემოს ნაირ-ნაირ მოცემულობას, ნაირ-ნაირად უტრირებულს ნაირ-ნაირ გამოცდილებაში, მაგრამ აუცილებლად - მისი ცეკვის ორგანოებთან დაკავშირებულს. ვერ ვხედავ, ვიდრე ჩურჩულის ფუნქცია საკუთარ თავს ამოწურავდეს და ხმაურიანი დასასრულით შეუერთდებოდეს მანძილს ჩემსა და მის ადგილს შორის, ნაპრალს, რომელიც ჩვენს ერთობლივ ჯანმრთელობას საჭიროებს საწვავის სახით; საჭიროებს ურთიერთობის გამოკლებას, იმ იდეალური მოცემულობისთვის წართმევას და გადამალვას, რომელიც ყოველთვის იქ იწყებს ნათებას, სადაც ყველაფერი ისედაც ნათელია და მისი აქტივობის ვერც ერთი ფორმა გამოყენებას ვერ პოულობს; სადაც პრაქტიკული მნიშვნელობით იტვირთება მხოლოდ ის მოცემულობა, რომელიც თვითონაც ნაკლულია და იმასაც ნაკლულად აქცევს, რასაც უერთდება თავისი ჯანმრთელი ნაკლულობით. ასე რომ, მე მას ვერ ვხედავ ვერსად. მაგრამ, როგორც ერთგვარ საზღაურს, ვხედავ ჩემს სურვილს - არ მეკარგებოდეს ხედვის არიდან, თუნდაც ეს უკანასკნელი გულისხმობდეს სათვალთვალო ტერიტორიის უსაზღვრობას და უწყვეტობას. მაგრამ არ მეკარგებოდეს ვინ? ის, ვინც ცეკვავს? მაგრამ როცა ცეკვავს, ის ხომ თითქმის ამოვარდნილია თავისი ქალურობის ზრდილი ფორმიდან და განიცდის თვითდადგინების რთულ და გაურკვეველ პროცესს, შეუმჩნეველს ყველასთვის, ვინც თვალს ადევნებს მისი მოძრავი წერტილებით შექმნილ შულედ-

თა უსასრულო ჯაჭვს, მიწაზე ნათრევს და დაღლილს, დაუშლელს, თუმცა კი - დასახსრულს. ანდერძის თანახმად, მე მას ყოველთვის იქ უნდა დავხვდე, სადაც არ მელის, ვინაიდან ისიც ყოველთვის იქ იბადება, სადაც არ ველი. მაგრამ ჯერ ხომ მოძიებულ და მიგნებულ უნდა იქნას, სწორედ ჩემს მიერ და სწორედ იქ, სადაც ის რაღაც ისეთს ტოვებს, რაც დანაკარგს უტოლდება ან, უკეთეს შემთხვევაში, აღემატება. აი, სად უნდა დაიწყოს ფიქრი ჩემმა წარსულმა იდეალური მოცემულობის გადარჩენაზე. მხოლოდ ასე გაირკვევა, რა ხდება ჩემს თავს და საით მიაქანებს მას გადაუჭრელი პრობლემებით წყალუხვი მდინარე, რომელშიც მხოლოდ ერთხელ შესვლაა შესაძლებელი, გამოსვლა კი - თითქმის მრავალჯერ. ვერ ვხედავ დროის ვერც ერთ იმ ფრაგმენტში, რომელშიც ეს-ესაა ჩურჩულს დაიწყებს ჩემი ხმის ექო. კეთილი და პატიოსანი, რა ხდება ჩემს თავს სადალაქოში? ძალიან ბევრი რამ. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ მე იქ არავინ მასაჭურისებს. რა თქმა უნდა, არც არასდროს მასაჭურისებდნენ. სწორედაც პირიქით: სადალაქო შემახსენებს, რომ არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც იწყება ქალი და არა ის, ვინც ახლა ჩემს თვალწინ ცეკვას მოუცავს. მე კი ამჯერად სავსებით არ მსურს ქალში გადაზრდა, და თუ მე არ მსურს ქალში გადაზრდა, თმა უნდა შევიჭრა. თმის დამოკლებით აღიკვეთება ქალადქცევის საშიშროება. პერიოდულად განმეორებადი ეს პროცედურა უაღრესად სასარგებლო რიტუალის ხასიათს ატარებს და მისი გამეორება დიახაც მაშინ ხდება საჭირო, როცა მე, ჩაძირულს ჩემს მამაკაცურ ბუნებაში, მიჩლუნგდება იმის ხსოვნა, რომ არსებობს და ყოველ ფეხის ნაბიჯზე და ყოველ მოსახვევთან ჩასაფრებულია ქალად ქცევის საშიშროება. აკი დამიჩლუნგდა ჩემი იმ შორეული ბავშვობის ხსოვნა, როცა სადალაქოში ყოველი შესვლა, ყოველი ერთჯერადი საიდუმლო, ისე აღიქმებოდა, როგორც რაღაც ძალზე ღირებულის, რაღაც ისეთის წართმევა, რაც ჩემში უნდა მოწონებოდათ გოგონებს. მე მათ თავს თმით როდი ვაწონებდი, არამედ - იმით, რაც სულ სხვა იყო და რაც - ჩემთვისვე უცნობი - თმას საჭიროებდა მთლიანობის შემადგენელი ერთი მნიშვნელადი ელემენტის სახით. საზრუნავი მაშინ ეს იყო, - თმის გახანგრძლივება, მისი შენარჩუნება "კიდევ ერთი დღით", ანუ: გოგონებს თავს ვაწონებდი მათივე "მახასიათებლით", ვუმტკიცებდი ჩემს მათნაირობას. უკეთ, ჩემი არაცნობიერი უმტკიცებდა მათ ასე, ჩემი ბავშვური ცნობიერება კი, უბრალოდ, გაურბოდა სიშიშვლეს, გაკოტრებას. განა რა იყო დასამალი? რა უნდა შეენიღბა თმას? ის, რაც უნდა დაემშვენებინა? რასაც, ერთდროულად, ალამაზებდა კიდეც და მალავდა კიდეც? უმთავრესი მაინც ის იყო, რომ მე არ მომწონდა ჩემი პირისახე შეკრეჭილ თმაში, ასე ძალიან

გამოტანილი სააშკარაოზე, წინ წამოწეული. მორცხვი ვიყავი, მორიდებული, დაუცველი. თმა, თითქოს, რაღაცნაირად მიცავდა. მაშინ ხომ, იმ ჩემს სიმორცხვეში, ჩემს უმწეობაში, ჩემთვის ყველაფერი იყო ტანი, სხეული. იყო საჭირო და მოსავლელი, ისე, როგორც საჭირო და მოსავლელია იგი ნებისმიერი ბავშვის ცხოვრებაში, იმ პერიოდში, როცა ცხოვრება და ტანი თითქმის იგივეობრივად გაიაზრება, უკეთ, შეიმოქმედება. ამ დროს ბავშვი კი არ ცხოვრობს, არამედ ტანობს. ზრდის, ბავშვობიდან გამოსვლის პროცესი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცხოვრების მიერ ტანის განდევნის, დღის წესრიგიდან მისი მოხსნის აქტი, რაც ყველა ადამიანის განვითარებაში ინდივიდუალური სასიცოცხლო რიტმის შესაბამისად მიმდინარეობს, ამ რიტმს კი ურიცხვი პირობითობა აფორმებს, - გარეგანი და შინაგანი ფაქტობრიობის შეჯახების შედეგად წარმოქმნილ, კრისტალიზებულ ადგილთა უსასრულო სიმრავლე. მაშასადამე, თმის შეკვეცით იკვეცებოდა ქალადქცევის საშიშროება და გადაიდებოდა დროშიც და სივრცეშიც, ეს კი მიბრუნებდა "ობიექტურ" ხედვას, და გოგონებს ნებას ვრთავდი, გოგონებად დარჩენილიყვნენ. დიდი ხნის მერე, რა თქმა უნდა, სწორედ აქტის მიმდინარეობას ჩავფიქრებოდი და ვერ ამომეხსნა, როგორ შეიძლებოდა დამკარგვოდა ის, რაც ჩემი ნებით დავკარგე. დგება და ამბობს: "რა, არაგულწრფელი აღიარებაც არსებობს?". დიახ, ბატონო, თავგადასავალი უხილავს გხდის შენივე თავისთვის; ის შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა უარს ამბობ მტრის შეურაცხყოფაზე, რაღაცის წაშლაზე. "კოანა! კოანა!". არა, შენ ჩადგები ამ ორ ბედს შორის, ეს იქნება შენი ცხოვრება, შენი ავადმყოფობა ჯანმრთელობის ფონზე. "მარჯორი, ჩემო კეთილო ცხენო, ნუთუ შენც თხასავით გაგყიდეს ამათმა?!".

2.

უკვე მოგვისწრია პირდაპირ საქმეზე გადასვლაო. ამასაც ჩემი თავი მკარნახობს. თქვენ იცით, რომ თვითმკვლელობა სოციალურ გადახრად მიიჩნევა, უპირატესად, სოციალურად გადაუხრელ სოციოლოგთა და არალოგთა მიერ? თქვენ იცით, რომ არის კიდევ არა ერთი მწვავე პრობლემა? თქვენ იცით, რომ დიდი ხანია მთავარი თემიდან გადავუხვიეთ და უგზო-უკვლოდ დავეხეტებით? თქვენ იცით, რომ ჩვენი მტრებიც უგზო-უკვლოდ დაეხეტებიან? თქვენ ფიქრობთ, რომ მტრები ისევ გვყავს? აი, აქ შევჩერდეთ, კეფასთან. შემეძლო მეთქვა, რომ ეს მთელი სამყაროა, სადაც მაქვს ძეხვი, კარტოფილი, ვფლობ ალისფერ ტომატს და ურიცხვ ხახვს,

შემოქმედებითად ასათვისებელს; მწუხრი უკვე ღამემ შეცვალა; დასტვენილი ჩაიდნის ფერიც, ცივ და უკარებ სითეთრემდე განვითარებული, ჩემთვის უკვე დამთავრებულ სტეპებში მაგზავნის, მერე ისევ მაბრუნებს და ისევ მაგზავნის, რაც ხდება აბლაბუდებით დაქსელილი ოთხი კედლისთვის შეუმჩნევლად, უსიხარულო საღამოების ნაკვალევზე, რომელთა სევდიანი ექო დილამდე ისმის ჩემს უძილო ყოფაში, რომლის შემოგარენს ცოცხალი და არაცოცხალი საგნებით მოფენილი შემოდგომა ქმნის, მოსალოდნელ პერსპექტივაში პროზაულად შეღრმავებული და თითქმის სიჩლუნგის ზღვრამდე მისული, უიღბლო; ჩემი შორეული სტეპებიდან ჩემსკენ შავი, სამუდამო ჩექმები მოედინებიან ჯარისკაცურად უსაქმო და უმიზნო დინებით, რომელმაც ერთ დროს, აგვისტოს მცხუნვარე დღის მიწურულს, ჩემი უფროსი მეგობრის მზერა დააბნელა, სხეულში შევიდა და შიგნიდან დახრა, აღბეჭდა იმით, რაც გამორიცხავს საშველს, მიწისძვრას. აქ კი მართლაც არანაირი აზრი არა აქვს იმის ცოდნას, რით დაიწყო მისი მატერიალისტიკა, გამეორებების უწყვეტი ნაკადი, რომელმაც ის, ჩემი მეგობარი, ბოლოს და ბოლოს, თავის შავ ჩექმებს შეუერთა, პირწმინდად დაუბრუნა ხაზგასმულ დასასრულს. სხვა იყო მისი ოთხი კედელი, სადაც გონებააშლილი პატიმრის თითოეული ჟესტი, ჟესტების თანმიმდევრობით შექმნილი თითოეული მოძრაობა და ამ მოძრაობებს შორის წარმატებით დანაღმული სივრცე სხვა არაფერია, თუ არა - უკვე ნაცხოვრები, განვლილი მომავლის პროპედევტიკა. როცა აღნიშნული სივრცე ფეთქდება, დასანახავი აღარაფერია; რა თქმა უნდა - "აღარაფერი". მაგრამ დეფექტის გამოჩენამდე ჯერ დიდი გზა დევს; და შეიძლება არც გამოჩნდეს, თუ გზას ეს არ სურს. აი, აქ, სადმე-კეფასთან, შევჩერდეთ, სადაც ქალის მანკიერი მზერა გამოირიცხება, გამოირიცხება უკუსვლა სივრცეში, რომელიც დანაღმულია კოხტად შეკრეჭილი თავებით, მათი უსაზღვრო შესაძლებლობებით ან გადამწყვეტი შეუძლებლობებით. ეს სულაც არაა ერთი და იგივე, რაზეც შეიძლება მიმითითოს, მაგალითად, მისი ამოკითხვის შეუძლებლობამ, რომლის შინაარსიც ფორმდება ურიცხვი დრამატული ელემენტის ურთიერთშეჯახებით, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შემობრუნება კი სახეზეა მხოლოდ შეჯახების მერე. მაგრამ - შეჯახება ვისი და რასთან? ეს საკითხი დროებით სადმე გვერდზე უნდა გადაიდოს და შემოინახოს მანამ, სანამ გაურკვეველია სულ სხვა საკითხი, - საკითხი რეალურ კოლექტივში რეალური თავის რეალური ღირებულების შესახებ შეკრეჭამდე და შეკრეჭის მერე. ამიტომაც ვკითხე მის მსხვილ თავს უპირველესად, რა უნდა ვიფიქროთ ამოკითხვის აქტზე, ამ აქტის თანამდევი პროცესების მიხედვით მეთქი. თავი არ ათუხთუხებულა, მა-

გრამ სარკე, რომელიც თითქმის სადალაქოს მესამედს იტევდა, დიახაც დაიორთქლა. მაშასადამე, წასაკითხიც ორთქლმა მოიცვა და წაკითხვის ვნებაც გაძლიერდა, იმავდროულად კი გართულდა. ცხადია, უნდა აღინიშნოს, - ერთ მესამედს. და იქვე, - რეალური ღირებულების განსაზღვრების შესახებ მეთქი. ბოლოს და ბოლოს, იმ შორეული სიყმაწვილის მისადგომებთან შეკრეჭილმა ჩემმა თავმა ხომ თავის თავს თავი მოუყარა დიდი ხნის მერე, - როცა ბავშვობაც უკან ჰქონდა მოტოვებული და სიყრმეც, ეს ორი საშიში მონაკვეთი, ძრწოლის მომგვრელი ყველასთვის, ვინც ისინი მშვიდობიანად განვლო და მერე უკან მოიხედა. აქ მართლაც ორ დროს ეხება საქმე, რომელთაგან არც ერთს არ ვიცნობ. ერთი უკვე აღარ არსებობს, მეორე კი ჯერ არ არსებობს. ის კი, ჩემი შეკრეჭილი თავი, მიმტკიცებს, რომ ორივე ძალაშია და ორივე სრული დატვირთვით მუშაობს აწმყოში საკუთარი თავის შესანარჩუნებლად. დიახ, ეს ძველი მეტაფორაა: ისინი იარსებებენ მანამ, სანამ იქნება აწმყო, რომელიც არ არის; სანამ ვიქნებით ის, ვინც არ ვართ. ოღონდ ნუ მკითხავ, რა საჭიროა ეს ყველაფერი. მოდი, ეს მკითხე: ამოკითხვას თუ შევძლებდი, თუ ვისურვებდი? რა თქმა უნდა, თუ ისურვებდი, შეძლებდი კიდეც. ერთი სიტყვით, მოდი და მკითხე, რატომ დარჩა წაუკითხავი ის, რაც იყო, რაც თვალწინ მედო, რაშიც ცხვირი მქონდა ჩარგული და ჩამალული. და გიპასუხებ იმის მიღმა, რომ როცა ძალა მქონდა, არ მსურდა, ხოლო როცა მოვისურვე, ძალა არ მეყო. აი, ამის მიღმა გკითხავ იმას, რასაც გიპასუხებ მეთქი. ჯერ კი მოგიგებ, რომ რაც ახლა ხდება, ხდება იმიტომ, რომ გამოსავალი მიგნებულია. ეს, აქვე დავძენ, სპეკულირების უსასრულო პროცესია. მოდი და მკითხე, ვინ სპეკულირებს ან რით სპეკულირებს. მოვალ და გკითხავ, ვინ სარკეობს ან რით სარკეობს, და ფიქრს მივეცემი. მორწმუნე თომა აღნიშნავდა, "სპეკულაცია" მომდინარეობს "სპეკულუმ"-იდან ანუ "სარკიდან"-ო. იმასაც ამბობდა, სარკეში რაიმეს დანახვა ნიშნავს მიზეზის დანახვას იმ შედეგის მიხედვით, რომელშიც მისი მსგავსება ბრწყინავსო. მაგრამ რასაც არ ამბობდა, იმას შენ იტყვი. ხოლო როცა შენ ლაპარაკობ, ქარი ნიჩაბივით მუშაობს სივრცეში. თუნდაც ის აზრი, რომ სარკის კლასიკური მეტაფიზიკა თანამედროვე საზროვნო სივრცის სარკედ არ გამოდგება. რომ საქმის არსი მიზეზის და შედეგის კატეგორიების ინვერსირების სისწრაფეშია. რომ ყური გიგდონ, ვინაიდან შენი კითხვა ბანალობას მოკლებული სულაც არაა და აი, ასე ჟღერს: რატომაა მიზეზი ის, რაც სარკეში აირეკლება და არა ის, რასაც სარკეში ვხედავთ? მხოლოდ იმიტომ, რომ სარკეში ჩახედვა ერთგვარი პაუზაა, იმის საცნაურყოფაა, რომ ჩვენ, როგორც მიზეზი, ვართ იმის მიზეზიც, რომ სარკეში ავირეკლებით? მაგრამ ის, რაც სარკეში

ხდება, განა ნაკლები მიზეზია იმისა, რომ ჩვენ ისეთი ვართ, როგორსაც ჩვენს თავს ვხედავთ სარკეში? ამბობ, მაგალითად, ვინებო ცის სარკე, ვინებო ღვთის სარკე. ამბობ: ბატონებო, თუ ზეცა სარკეა, რომელშიც არაფერი არ იკარგება და დაუკარგავად აღიწერება, აქედან მხოლოდ ის უნდა დავასკვნათ, რომ სარკე პირველადი რეალობაა და ჩვენ იმდენად ვართ იდენტური ჩვენივე თავთან, რამდენადაც სარკე არსებობს და აღწერს ამ ჩვენს რეალობას. განა პავლე მოციქულიც ამასვე არ ამბობს: ღმერთის უხილავი და მარადიული ძალა წუთისოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიცნობაო. პავლეს ამ აზრზე კომენტარია ჰაინრიხ სუზოს შემდეგი სიტყვები, - ქმნილებანი არიან, ვითარცა სარკე, რომელშიც ღმერთი ირეკლება, ამბობს წმინდა პავლე, და ამ შემეცნებას ჰქვია სპეკულირებაო. შენ ეს ყველაფერი ამალგამირების დიად დრამად წარმოგიდგენია, და იქვე განაგრძობ: სარკე არსებობს მაშინ, როცა ჩვენ ვარსებობთ. და განაგრძობ: სარკე არსებობს მაშინ, როცა მასში რაღაც აირეკლება. და განაგრძობ: რაც არსებობს, არსებობს მაშინ, როცა ირეკლება, სწორედ ამ დროს და ამ სივრცეში. მაგალითად, შუშა, რომელშიც არაფერი არ ირეკლება, სარკე არაა. და განაგრძობ: სარკე სხვა არაფერია, თუ არა მდგომარეობა შუშის, ყინულის, წყლის, ავეჯის. გინა - თვისება, გინა - უნარი. რაღაც სარკეობს ან არ სარკეობს, აი, სულ ეს არის. მაგრამ ჩვენ ვიცით: რაც არსებობს, სარკეობს კიდეც, რეალურად ან პოტენციურად. სარკე იმ სახით, როგორითაც მიღებულია, მხოლოდ სარკეობის იდეალური ტიპი არისო, ბატონებო. სარკეა კანიც, ექსკრემენტიცო, ბატონებო. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაც მოძრაობს, სარკეობს და რაც სარკეობს, მოძრაობსო, ბატონებო. და, მერე: არსებობს რაღაც არა მხოლოდ იმის ძალით, რომ აირეკლება, არამედ იმის ძალითაც, რომ აირეკლავს. არსებობს ის, რაც აირეკლავს ანუ სარკეობს; და თუ არაფერი არაა ისეთი, რაც სარკე არაა, მაშინ სარკის მიღმა არასარკური არც არაფერია. მაშინ რაღა აირეკლება ღმერთში, უმაღლეს სარკეში? აირეკლება სარკეების უსასრულო ან სასრული სიმრავლე. ის, ერთი, მარტივი, აირეკლავს მრავალს, დისკრეტულს, წყვეტადს. და, იქვე, ვიკითხოთ: სარკეები თუ აირეკლავენ ამ პირველსარკეს? ეჰ, ბატონებო, წყვეტადს მხოლოდ ის შეუძლია, უწყვეტის გამონაშუქი აირეკლოს და ამით გამოთქვას არა ის, თუ როგორია ღმერთი, არამედ ის, თუ როგორი არ არის. ერთი სიტყვით, ვინ იცის, როგორია სარკე, რომელიც, ვინ იცის, როგორი არ არის? გამოსვლა დამთავრებულია. ის ამბობს: "გმადლობთ, ბატონებო". გამოსვლა დამთავრებულია. შენ კი, ვისაც ახლა მოგმართავ, სავსებით სხვა ხარ. შენ უკვე იცი, როგორ დაუსხლტე იმას, რასაც ახლა მპირდები, და ამიტომაც შეგიძლია მპირდებოდე საათობით, თვეო-

ბით, წლობით. მპირდებოდე იმას, რასაც ვერ შეასრულებ კი არა, არ შეასრულებ და შენ ეს იცი, ვინაიდან გამოსავალი უკვე არსებობს და გაიმედებს, კარგად გაცხოვრებს. საერთოდაც, რა კარგია ეს ყველაფერი, როგორი უზრუნველყოფილი, როგორი ამაო, როგორი მზიანი და ათასფერადი. ამ ყველაფრის მიღმა კი, სარკის გავლით, ის თავის ჩექმებს შეუერთდა, მან თოკი მოზიდა, მან სხვის მიერ დაგრეხილი თოკი მოზიდა, ის საკუთარ თავს შეუერთდა ჩვენთვის უცნობ რომელიღაც პლანეტაზე, სადაც ჩვენ მილიონჯერ დაგვიდგამს ფეხი და ღრმააზროვნად ჩავკვირვებივართ ადამიანური ყოფის ნაბიჯებში დამახსოვრებულ სივრცეს, ნაწყვეტ-ნაწყვეტს, დასეტყვილს იმათ მიერ, ვისაც არ ვენდეთ, ვინც ჩვენი მოუსვენარი გულგრილობის ფუნქცია იყო, ვინც იცეკვა შენს სხეულზე ისე, რომ ფეხები არ დაესერა და გული არ გაუსკდა. შეიძლება დაბეჯითებით და ხმამაღლა ითქვას, რომ ასეთ დროს სიმართლე წარმოდგენადია, გრძედის და განედის მითითების ჩათვლით. სამწუხაროდ, მე მას ვერავინ წარმომიდგენს. არცაა აუცილებელი მისი გამოჩენა სარკის ამ კონკრეტულ უსასრულობაში. უბრალოდ, მინდა დავრწმუნდე, რომ არც ის სივრცეა მისთვის უცხო, რომელშიც მარცხენა არის მარჯვენა, მაგრამ - მხოლოდ მაშინ, როცა მარცხენაც და მარჯვენაც მართლა არსებობენ, მას მერეც, როცა სარკე თავს იკლავს. სამწუხარო მისი მდგომარეობა კი არა, ჩემს მიერ მისი ამ მდგომარეობის გამო აღძრული სევდაა, ჩემში აღძრული უღრუბლო სევდა. და, მაინც, ეს საკითხი დროებით სადმე გვერდზე გადავდოთ.

3.

რა მოხდება, რომ არ განვუმარტო? რას ვერ გაიგებს და რატომ ვერ გაიგებს? ვერ გაიგებს, რომ მე მხოლოდ სენტიმენტალიზმის შესაძლო მწვავე შემოტევებს გავურბივარ ამ ცივი მსჯავრით, ამ ჩემი მხურვალე ნაკლულობით, და ვერ გაიგებს იმიტომ, რომ ასე არ ფიქრობს. აი, რატომაა ჩემთვის უცხო მისი ვერგაგება. განვვლე კი ოდესმე მისი ეს ვერგაგება, ჩემთვის ასეთი შორეული, ჩემი პირწმინდად დამვიწყებელი და ნაკლებად სანდო? დიახ, დამიმოკლეთ. მერე მარჯვნივ გადაუხვია და მხედველობის არიდან გაქრა. მარჯვენა აქაც მარცხენაა და - პირიქით. მე კი მათ თავს ვაწონებდი იმით, რაც წინ მისწრებდა და, იმავდროულად, ჩამომრჩებოდა. მაგრამ ჩემს თავს მათ შორის სულაც ვერ ვპოულობდი და ეს მაცოფებდა. ის - ჩემი თავი - გაზეთში რომ ყოფილიყო ჩაძირული, ვიტყოდი, რომ მარტო სულაც არ დარჩენილა. მაგრამ ის ახლა მოუსვენრად და

ცუდად ფეთქავდა, სადღაც იყო. მერე როგორი, როგორი სევდა, არა? გაზეთში მაინც ჩაეყვინთა, არა? შემატოვეს ჩემს სიტყვას და გაუჩინარდნენ. აი, რა უნდა თქმულიყო, არა? მოუსვენრად და ცუდად მფეთქავი, ვაგონის რწევას მინებებია და მრავალ სხვა თავთან ერთად იზიარებს მწუხარებას ამ ყოვლად უჩვეულო მათხოვრის მიმართ, რომლის ბავშვური, ლამის ვარდისფერი ხელები ჯერ ისევ მიწის მიმართულებით მითითებულან. მეც ასეთი ფიქრიანი ბავშვი ვახლდი ჩემს სიღარიბეს, რომელმაც, სევდის და უნაყოფო სენტიმენტალიზმის გზებზე დაღლილი და სახედასერილი, მიწისქვეშა სოციალურ დინებებს მიმცა, თითქმის შემატოვა. შემატოვა ამ მათხოვრის პირისახესაც, თმას მინამსგავსი უხეში სახურავის ქვეშ შეყუჟულს, ხანდაზმული მოქალაქის წარმატებული ან წარუმატებელი პრაქტიციზმით აღსავსეს, უცნაურისაქვეყნისაწიაღ ყოველწამს გაჩენადს, ამოუცნობი ვიბრაციებით დამუხტულს. არ შეიძლება, ვამბობ ჩემთვის, არ შეიძლება ასე გადახურული სახე რაღაცას არ იცავდეს და რაღაცის წინააღმდეგ არ მიდიოდეს. ესაა რისკის შეუძლებლობა, კანონის წინაშე უმწეობის აღიარება და მის სამსახურში ყოფნაზე თავაზიანი უარის გამოცხადება ნებისმიერი შემხვედრისთვის, რომელიც მის მწუხარებას არ იზიარებს. მაგრამ ვინც მაინც იზიარებს, იმას, ცხადია, სხვა ბედი ელის. ის კი, მბრძანებელი, ამ მწუხარე ბედოსნების გაზიარებებს უსწრაფესი მზერით გაჩხიბავს და უსწრაფესად ჩამორიგდება მოქანავე თავის მფლობელთაგან თითოეულში, რათა ბოლოს, როცა კარები დაიხურება, ჩამორიგებულ ნაწილებად შეკრებილი, თავის პერიოდულ სიცარიელეში გაუჩინარდეს. მისი თმა არ ივარცხნება არასდროს, მაგრამ იკრიჭება პერიოდულად, მაშინ, როცა ხედვას აბრკოლებს. მაშინ თვალი თმას ისე იშორებს, როგორც თვითონ გაეცლება ხოლმე გულისთვის საშიშ რაიმე ობიექტს, საიდანღაც გამომხტარს და შემოკრული ტაშივით გაურკვეველს. მაშასადამე, ის კანონს იცავს. სახელდობრ, რომელს? ეს საკითხი დროებით სადმე გვერდზე უნდა გადაიდოს და, იქვე, აღინიშნოს, რომ, ასეა თუ ისე, სარკეში მდუმარე ეს ჩემი თავიც, რომელსაც ყოველწამს რაღაც აკლდება თმის ღერის სახით, კანონს იცავს იმისგან, ვინც მას ახლა სარკის მიღმური რეალობიდან მიშტერებია ცოცხალ თუ არაცოცხალ ობიექტებად. კეფიდან შუბლისკენ. მაშ, ვინც ახლა შენს თავს დაბზუის, ობიექტია? მაშ, ის რაღაა, რითაც დაბზუის? ყველაფერი, ოღონდ არა სარკე. ეს უკანასკნელი, გეუბნები, ყოველთვის რაღაცაზეა მიმაგრებული, რაღაცის სარკეა: შუშის, ლითონის, წყლის, იატაკის. მოკლედ, სარკე არაა თვითკმარი, პირველადი, დამოუკიდებელი რეალობა. მაგრამ ერთი ისიც ვიკითხოთ, ხედავს თუ არა სარკეში თავის თავს ის, რაც აირეკლება. ალბათ, ვერ ხედავს.

ის ხედავს იმას, რაც სარკეს სურს, უკეთ, სარკის მოცემული მდგომარეობის მოცემულ მომენტს. უფრო ზოგადად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სარკე ინვერსიის მეფეა. მაგრამ ერთი ისიც ვიკითხოთ, ინვერსირებული გამოსახულება თუ მიეწოდება საკუთარ თავს შეურყვნელი სახით. ალბათ, არა. ბუნებაში ხომ სწორი ზედაპირი არ არსებობს, ყველა ხილული ნივთის თუ მოვლენის, საგნის თუ ხდომილების ზედაპირი ხორკლიანია. ვინაა ის, ვინც შენ თავს დაგბზუის? მის ოსტატობასა და სარკის ზედაპირს შორის მოიპოვება მხოლოდ ის, ვინც შენ ხარ. და ესეც, - სავარძელი. მისი თმა კი მოკლდება მაშინ, როცა ხედვას აძნელებს, არა? უბრალოდ, მისი თმა, გამომეტყველება, დგომა, სამათხოვროდ გაწვდილი ხელი, არის უცხო, იქნება უცხო. მორჩა. მორჩა. ისინი ხომ, მათხოვარიც და მოწყალების გამღებიც, სარკის ფუნქციები არიან. რას დაინახავს სარკეში მათხოვარი? არა თავის თავს, არამედ - მოწყალების გამღებს. მაშასადამე, მოწყალების გამღების მარჯვენა ხელი იქნება მოწყალების მიმღების მარცხენა ხელი. ერთი ვიკითხოთ, თუ შეიძლება ოდესმე გაისმას: მიღება დამთავრებულია. ისინი ისეთი თანამედროვე, უკეთ, არაკლასიკური მათხოვრები არიან, რომ როგორღაც გეძნელება მათთვის მათხოვრის ხარისხის ნიშნის მინიჭება. შეიძლება ითქვას, რომ არიან ესთეტები. მაგრამ უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რეალურად არარსებული ტერორისტულ-მათხოვრული სექტის რეალურად არსებული წევრების სახით გვეცხადებიან. შემოდის თუ არა მეტროს ვაგონში, უკვე გარკვეული, ჩემში ანთებული იდეის ირგვლივ ბრუნავს მისი დაგეშილი მზერა, მისი აგრესიული ჩაცმულობა, მისი სისწრაფე. ეს მათხოვრის ახალი ტიპია, ერთგვარი ჰიბრიდი, გამომძალველ-მათხოვარი, და ის მათხოვრობის ინსტიტუტსაც აჯანყებია, მათხოვრის ტრადიციულ იმიჯსაც, და ვიტალური თვითრეფლექსიის საკმაოდ დახვეწილ უნარსაც ამჟღავნებს. ეჭვი არ მეპარება, - უნარს. ის გაიძულებს აღიარო, რომ მათხოვარი შენ ხარ, მოწყალების გამღები. ის, ჰიბრიდი, საზრდოობს იმით, რაც მის ხელში უმალ მათხოვრის ტრადიციულ ტიპად ტრანსფორმირდება. ის თავისი არსებობით გამოხატავს მზადყოფნას ჩემში ჩანაცვლებისთვის, მე კი ჩემი არსებობით გამოვხატავ და ვიცავ ჩემს პროტესტს, ვიბრძვი, რათა ჩემში მათხოვარი, არა ჰიბრიდი, არამედ წმინდა მათხოვარი შევინარჩუნო, გადავარჩინო. ჩვენ ეს ვიცით, და ერთმანეთის მიმართ დაუძლეველი შიშით აღსავსენი, შევყურებთ ერთმანეთს და ვფიქრობთ, - როდის მოხდა, სად და როდის გათამაშდა ეს უმოწყალო სანახაობა, სად და როდის გავუცვალეთ ერთმანეთს მდგომარეობები. რეალობა კი ასეთია: თითქმის ყოველდღიურად, დილის, შუადღის, ნაშუადღევის თუ ღამის მეტროში მე ვხედავ ჭუჭყიან პატარა ბიჭ-

ებს, ჭუჭყიანი პატარა გოგონების ფონზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მათი არსებობა ღამის მეტროში, როცა უკვე ნამუშევრები, დაღლილები და კმაყოფილები, ერთობიან. მათი ეს გართობა, ძირითადად, გამოიხატება ერთმანეთის ფიზიკურ ვნებაში. ისინი, პატარა ჰიბრიდები, ერთმანეთის სხეულებს ერჩიან და ასე გამოხატავენ სოლიდარობას ერთმანეთის მიმართ. ასე ცნობენ ისინი ერთმანეთს. არავითარი სხვა ნიშანი მათ არათუ არა აქვთ, არამედ არ სჭირდებათ და ამიტომ არა აქვთ: არც ეროვნება, არც წლოვანება, არც წარმომავლობა. ისინი ღამით თუ ღამისპირზე ერთმანეთის სხეულებს უნდა აწვალებდნენ და ასე იცავდნენ უხილავ კანონს. ისინი, ეს პატარა ბიჭები, არიან ადამიანები, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან. აქ, მეტროში, ისინი შინ არიან, საშოში არიან. თითქოს მათ სადღაც უკვე იცხოვრეს. თითქოს შორეული გზებიდან მოსულან და აქ, ამ სიღრმეში დამკვიდრებულან, სამუდამოდ გარიდებიან ზედაპირს, ფორმის შეუძლებლობას. აქ მათთვის ყველა უცნობი ნაცნობია და ყველა ნაცნობი - სტუმარი, რომელიც დაკითხულ უნდა იქნას. ისინი კი, ეს პატარა დამკითხავები, ყველას და ყველაფერს ეყოფიან, მთელ სამყაროს. ესაა სახლი, რომელიც მიწაზე დგას, ჰა და ჰა, - ჰაერში. ისინი არ გამოვლენ აქედან არასდროს. გავა დრო და საშო მოკვდება და მათი, პატარა მათხოვრების, სხეულების თუ ტანების ირგვლივ შემჭიდროვდება, გაგუდავს და მოსპობს იმათ, ვინც გამოზარდა, მაგრამ არ შვა. და ყოველთვის, როცა ჩემს თავს ასეთი საშინელი ამბები ხდება, მინდა ამ პატარა, ჭუჭყიან თავებს, ამ მტვერში და მარტოობაში ამოგანგლულ ზედაპირებს, მათთვის გასაგებ ენაზე ვკითხო, - თუ ყოფილან ისინი ოდესმე, თუნდაც ერთხელ, სადალაქოში? მაგრამ მე მათი ენა არ ვიცი, ჯერ კიდევ არ ვიცი. ფორმა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სიღრმეში, მხოლოდ უფსკრულებში, მხოლოდ იქ, სადაც გამოსავალი არ არსებობს.

4.

როცა შენ ლაპარაკობ, ქარი ნიჩაბივით მუშაობს სივრცეში, რაც არ ვიცი, არ ვიცი, რას ნიშნავს. შევგროვებულვართ და მივისწრაფით მონიშნული ადგილის სათხრელად და ეს უფრო გასაგებია და ადამიანური. ან ერთი ესეც მითხარი, კარგო, იქნება თუ არა ჩვენი გული ყოველთვის ისეთი, როგორიც დატოვა თავისი წასვლის წინ, როგორიც ვაღიარეთ. ავსტრია მართლაც არაა აფრიკის რომელიმე ქვეყანა, ბერნჰარდ. დაე, ნუ მეტყვი. როგორც ჩანს, მართლა არ მოისპობა ეს ჩლუნგი და მეშჩანური

ეგოიზმი, ეს აგრესია. ნუთუ მას, ამ აგრესიას, ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა აკავებდეს თუ იცავდეს ნიადაგ, იცავდეს მუდამ. აი, შენ კი შედიხარ დუქანში და უხსნი, რომ ავსტრია არაა აფრიკის ქვეყანა და მან ეს უნდა აღიაროს, ვიდრე წავიდოდეს, კეთილი ინებოს და აღიაროს ის, რაც შენია, და მაშინ ხომ უფრო გასაგები იქნება შენთვის ეს სიჯიუტე, ეს ადამიანური წესრიგი, რომელიც, შენ თუ დაგიჯერებს, გადათხრილ უნდა იქნას დღესვე, აქვე და საერთოდ ყველგან, სადაც პირს დააღებენ და თავისნაირებს დაარწმუნებენ, რომ არიან ჩლუნგები და ეგოისტები, და არაფერი ესაქმებათ სიღარიბესთან, შენს ზმნურ პერფექტთან, შენს შესაშურ კეთილდღეობასთან, რომელიც ნიჩაბივით მუშაობს სივრცეში. ეს კარგად უნდა აუხსნა დუქნელებს. რა თქმა უნდა, არ გესწავლება. მე კი დიახაც მესწავლება. ან: მე ყოველთვის მესწავლება, ყველა ასაკში. "ამიტომაც ვარ მე დუქნელი, შენ კი მხოლოდ - დუქნელებს შორის". ეს მისი პროტესტია. დაე, ასე იყოს, მე მას ვტოვებ თავის პროტესტში, და ვიტყვი სულ სხვაზე, ცოცხალზე, ჯანმრთელზე, ლამაზზე, ღრმაზე.

5.

მისი ცეკვის ყველა ორგანო მზადყოფნას ამჟღავნებს, და თვითონაც ამჟღავნებს რაღაც ისეთს, მზადყოფნას რომ არ ჰგავს ამ სიტუაციაში. სიტუაცია კი გენერატულად დატვირთულია, გამორიცხავს ცეკვის შესაძლებლობას ლოკალურ ფარგლებში. თქვა, რომ ესაა არა აზროვნება, არამედ - ბოდვა. ვთქვი, რომ ესაა არა აზროვნება, არამედ - ტანჯვა. თქვა, რომ ესაა არა ბოდვა, არამედ - ტანჯვა. თქვა: "მკითხე". ვეკითხები: "რა ზომისაა შენი ტანჯვა?". მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ სარკეში არეკლილი სივრცე წრეს ვერ წარმოქმნის, ან, უფრო ზუსტად, არ წარმოქმნის. აი, იმას კი, იმ კოხტათავიანს, ასე რომ მიყვარს, იმას, ვის მოუსვენრობასაც ჭკუიდან გადავყავარ, ვინც გვერდით მახლავს და სადღაც მივდივართ და რაღაც ძალიან თბილს და მშობლიურს მიყვება, რაღაც ისეთს, რასაც ერთად უნდა ვუშველოთ ან არ ვუშველოთ, აი, იმას, ვინც ასე ხშირად ჰგავს ბატკანს, ვეუბნები: "ჩვენ ერთად ვიქნებით და შენ ის შენი სასტიკი სენი, წინაპრის სენი, ვერ დაგეწევა ვერასოდეს. ის იქნება ყოველთვის უკან, ყოველთვის კუდში. ჩვენი სვლა, ჩვენი ერთადყოფნა არ დაემსგავსება გაქცევას, და არც უნდა იყოს გაქცევა. როგორ აგიხსნა, რომ ეს ცუდი არაა. რომ რაღაც ყოველთვის უნდა იყოს იმის უკან, ვინც გზას ადგას. რაღაც ისეთი, რისკენ გახედვაც არ შეიძლება, რამაც შეიძლება მარი-

ლის ლოდად თუ სვეტად გაქციოს. თუ ის სენი ახლა ერთი ნაბიჯითაა შენს უკან, გპირდები, რომ ყოველთვის ერთი ნაბიჯით იქნება შენს უკან და არა ნაკლებით, არასდროს - ნაკლებით. თუ ჩვენ მას ვერ მოვწყდით, თუ ის მაინც წამოგვეწევა, ის მოვა არა შენთვის, არამედ ჩვენთვის. ჩვენ ამ ტვირთს ერთად გავინაწილებთ. და შესაძლებელი რომ იყოს, საერთოდაც ჩემს თავზე ავიღებ". იცის თუ არა, რომ მე ეს შემიძლია და რომ არ ვატყუებ? "შენ არ იცი, რას ნიშნავს ეს". "მე ვიცი, რას ნიშნავს ეს". აი, ასე. მაგრამ მან არ იცის, რომ სავსებით მზადაა. ის ფიქრობს, რომ რაღაც აკლია. ასე ხომ ყველას რაღაც გვაკლია. ყველაფერი ღმერთის ნებაა. ყველაფერი? მან არ იცის, რომ მე ის მიყვარს. აი, სულ ესაა. საათი წიკწიკებს მარჯვნიდან მარცხნივ, მაგრამ - საათის ისრის მიმართულების საპირისპიროდ. კალათბურთი. ხელბურთი. ბურთი. რითაც აღიკვეთება ქალადქცევის საშიშროება, იმას საჭიროებს ჩემი ყოველდღიური ბავშვობა, დამღლელი და ერთგული. "ხასიათი ხომ არ იცვლება". "შენ ხარ კეთილი". "მე არ ვიცი, რა არის სიკეთე". როგორც ჩანს, სხვა ყველაფერი იცის. ნანეტი აჯობებს, არა? ჩემი კეთილი ბავშვობა, რომელიც სცემეს მაინცდამაინც იმათში, ვინც მერე უნდა გამეცნო და შემეთვისებინა. ყველაში, ყველაში, ვისაც ჩემი ეიმედებოდა. აი, როგორ მიკლავდნენ მეთქი უძვირფასეს ადამიანებს. როგორ მიკლავდნენ მეთქი ყველგან, სადაც ისინი არ იყვნენ დროული, არ იყვნენ საჭირო. ერთხელ მაინც უნდა გახდე საჭირო რაღაცისთვის, თუ გინდა არ გახდე საჭირო ვიღაცისთვის. მათ იციან, როგორ გაგხადონ. "სულის ვნებებით გაწამებულნი ცეცხლით წერენ. ისინი ნაცარტუტად აქცევენ ყველას, ვინც მათ გზაზე შეხვდება", - თქვა ერთმა ჩინელმა. მათ კი იციან, როგორ გაგხადონ გამოსადეგი რაღაცისთვის, რაღაც ისეთისთვის, რაც სპობს სიყვარულს, ერთგულებას, ნდობას. როგორ აგიხსნა ეს ყველაფერი, თუ არ მომისმენ? ანდერძის თანახმად, მე შენ ყოველთვის იქ უნდა დაგხვდე, სადაც არ მელი. და ეს - იმისთვის, რომ იქ დარჩე, სადაც ხარ. ახლა უკვე - საერთოდაც საათის საპირისპიროდ მეთქი, ჩავძახე ყურში. მიხვდა, არ უნდა შეწყვეტილიყო. და თავი შევანჯღრიე. ვთქვი, რომ კრისტალიზებული ადგილები ყოველთვის წარმომიდგებოდნენ თავის თავში მბრუნავ დიდ სამყაროებად, რაღაც იმის საპირისპირო ადგილებად, როგორიც - მაგალითად - ველოტრეკია. ველოტრეკი ხომ იქ იწყება, სადაც სივრცე მთავრდება. უფრო მეტიც, სივრცის დამთავრება ველოტრეკის დაწყების მთავარი პირობაა. რამდენიც არ უნდა იმუშაონ, როგორც არ უნდა მოინდომონ ველომრბოლელებმა, ისინი ამ წრეს ვერ გაარღვევენ. ვთქვი, რომ ველოტრეკი არასოდეს დაიწყებს ტრიალს, ის უნდა დასცინოდეს სპორტსმენებს მეტად უცნაური ფორმით, -

ყოველთვის კუდში დასდევდეს მათ და ასე ედგეს ყოველწამს ცხვირწინ. და არა თვალწინ. ველომრბოლელი ტრეკს თავისი ცხვირის ჭვინტით ჭვრეტს, როცა ჰაერს ჭრის და გზას იკვალავს ისევ და ისევ ტრეკზე დარჩენისკენ, მასში ჩაკეტვისკენ. აი, ასე ვთქვი. მან კი აღნიშნა, ეს იმას ჰგავს, რომ თევზი დრო იყოს, დრო კი - თევზიო. ეს კი უკვე ხმა აღარაა, ეს შორეული ექოა მეთქი, ვიფიქრე გულში, რომელიც ასევე ჰგავდა ველოტრეკს, რომელიც, თავის მხრივ, ჰგავდა ქარით რხეულ ბაირაღს, რომელიც ამოვარდნილია უკანონობიდან და მოწოდებულია იმათ მიერ, ვინც გარეთაა. ყოველდღიური სადალაქოს გარეთ. ვინც ყოველთვის გულგრილად ცეკვავდა დამსხვრეული სარკის ნამტვრევებზე და შვებას გრძნობდა არა ამ საქმიანობას მიცემული, არამედ - მერე, ძალიან გვიან, როცა სარკე ისევ მთელდებოდა და ავიწყებდა საქმიანობას, რომელიც მალე ხელახლა უნდა წამოეწყო, მაგრამ - არა იმიტომ, რომ დავიწყებოდა. ის - დავიწყება - თავისით ხდებოდა, მისი ცეკვის მიღმა, მისი წრის მიღმა, რომელიც გარს ეკრა. ის, ვიზეც ახლა საუბარია და ვინც არის გარეთ და ვისაც მათხოვარს უწოდებენ სნავლულებიც და უსწავლელებიც, არსებობას იმით იწყებს, რომ შენ გაწყვეტინებს არსებობას. შენ, ცხადია, უნდა გეგონოს, რომ ის ნაწილია, ელემენტია, სინამდვილეში კი თქვენ - შენ და ის - სულ უბრალოდ, ხელს უშლით ერთმანეთს. არის სივრცეში რაღაც ადგილი, რომელიც მხოლოდ ერთმა სხეულმა უნდა დაიკავოს, სავსებით შეავსოს. ეს ერთი სხეული ყოველთვის იქნება შენი ან იმისი. შენ ფიქრობ, რომ ეს თეატრია? შენ ფიქრობ, რომ თუ ის მათხოვრობს, სიმბოლურად ასახიერებს ჩვენს მათხოვრულ მდგომარეობას? გავა დრო და საშო მოკვდება და ისინი უმოწყალოდ დაიხოცებიან. საწყენია და მაინც - უცხო. და მაინც - საწყენი. კარგად გამარჯობათ.

6.

- უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მათხოვრის სახე კარგად ჩნდება თბილისის მეტროში. ძირითადად, უმცროსი ასაკის მათხოვრებს ვგულისხმობ. თუ დაუკვირდებით, უმალ შენიშნავთ ჩვენს რეგიონში მომუშავე მათხოვრის არსებით ნიშანს: ის არც წევს, არც ზის და არც დგას, ის დადის. ის არ მოელის, არ ელოდება, არ იცდის, ის აქტიურადაა ჩაბმული ფულის მოპოვების საქმეში. ის, როგორც მაქსიმალურად დინამიკური, და არა სტატიკური, ფიგურა, უკვე საარსებო მინიმუმის მოპოვებაზე კი არა, თავისებური კომფორტის შექმნაზე ზრუნავს; თავის ყოველდღიურ კომ-

ფორტს, ყოველდღიურ ბედს გამოიმუშავებს. აქვე დაგიზუსტებთ, რომ პროფესიონალი მათხოვრისთვის ბედი და მატერიალური ბაზა იდენტური ცნებებია. მოხეტიალე მსახიობი? ვინ იცის. საინტერესოა მოქალაქეებთან მისი ურთიერთობის დიალექტიკა. როცა მათხოვარი მატარებლის ვაგონში შედის და მშვიდად უცდის კარების დაკეტვას, მერე ხელს იშვერს, იწყებს სვლას და შესაბამისი მიმიკით გამოხატავს თხოვნას, ის ამ დროს თითქოს კი არ თხოულობს, არამედ მხოლოდ განასახიერებს მათხოვარს. აქ ყველაფერი პირობითია, - ჩაცმულობით დაწყებული და ხვეწნა-მუდარის გამომხატველი სამეტყველო ნიშნებით დამთავრებული. ის არ ითხოვს, ის მოითხოვს, საფასური გაიღონ როლისთვის, რომელსაც ის ასრულებს და შესრულების ამ აქტით მოქალაქეებს შეახსენებს, რომ ისინი არ არიან მათხოვრები. მაგრამ ეს მხოლოდ - საწყის ეტაპზე. აი, ვიღაც გაზეთს კითხულობს, თავდავიწყებით საუბრობს ან, უბრალოდ, ფიქრსაა მიცემული ან, კიდევ უფრო უბრალოდ, სძინავს. მათხოვარი ასეთ მოუცლელ თუ დასაქმებულ მგზავრს ხელით ეხება, აფხიზლებს, ითხოვს ყურადღებას და მისი თხოვნის გათვალისწინებას. ეს უკვე, ხვდებით, შენიღბული ტერორიზმია. აი, მათხოვრის გაწვდილ ხელში მონეტა ჩავარდა, ერთი, მეორე, მესამე. ვიღაცას შეებრალა და თავისი სიბრალული ფულის გაღებით გამოხატა, ვიღაცამ ვიღაცის სახელზე ჩაუყარა ხურდა, ვიღაცამ რაღაც ჩაიფიქრა, ვიღაცამ რაღაც ინატრა. ერთი სიტყვით, ყველა გამღებმა ინდივიდუალური საზრისი ჩადო თავის ქმედებაში, თითოეული ამ ქმედების ფაქტობრივმა შედეგმა კი მათხოვრის ხელში მოიყარა თავი. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ მათხოვარმა მოქალაქეთა ემოციები გაითამაშა? თუ მაინც სიბრალულზე გავამახვილებთ ყურადღებას, გამოვა, რომ მათხოვარი სიბრალულით თამაშობს. იცის თუ არა ეს მოწყალების გამღებმა? დავუშვათ, მან იცის მათხოვრის გათვლა, ანუ ის არაა გულუბრყვილო გამღები. გამღებს დიდსულოვნად ეღიმება მათხოვარზე, რომელსაც გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ მას ასულელებს, და ესეც აძლიერებს მასში სიბრალულის განცდას. ასულელებს თუ არა მათხოვარი მოწყალების გამღებს თუნდაც მის ასეთ სენტიმენტალიზმში? ნებისმიერ შემთხვევაში, მათხოვრის მთავარი სურვილი, რომ ფული მიიღოს, რეალიზებულია, მიზანი მიღწეულია. როცა ეს ბოლო პუნქტი სახეზეა, როცა წერტილი ისმის, მათხოვრის გამარჯვება თავის თავს ზეიმობს. მაგრამ სურდა თუ არა მათხოვარს მისი გასულელება, თუნდაც მაშინ, როცა გამღები გასულელებული აღმოჩნდა? ეს ისეთი შემთხვევაა, რომელიც ფაქტობრივი რეალობიდან ამოსვლას მოითხოვს და არა - ფსიქოლოგიური განწყობილებიდან. გასულელების ფაქტი სრულდება, და ის სრულდება არა იმიტომ, რომ ეს სურს ან არ

სურს კონკრეტულ მათხოვარს, არამედ იმიტომ, რომ ამ მათხოვრის ფსიქოლოგიური კომბინატორიკა მხოლოდ შედეგია მისი ექსისტენციალური მდგომარეობის. მათხოვრის მდგომარეობაა ასეთი, ყოველთვის ვიღაცის გამსულელებელი. მაშასადამე, თვით მათხოვარი თავისი მდგომარეობის, სამოქმედო მოდუსის აღმსრულებელი და მსახურია, ის არ ღალატობს მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა. მან რომ ამ მდგომარეობას უღალატოს, აღარ იქნება მათხოვარი. "მათხოვარი" ნიშნავს მათხოვრის მდგომარეობის დამცველს, აღმსრულებელს, გარკვეული როლის შემსრულებელს, ისე, როგორც "გამღები" ნიშნავს გამღების როლში მყოფს, გამღების როლის შემსრულებელს. გამღები გამღებად იქცევა მას მერე, როცა გაივლის გზას თავის თავში სიბრალულის გამომუშავების აქტიდან მათხოვრის ხელში ფულის ჩაგდების აქტამდე. ყველა შემთხვევაში, მოწყალების გამღებისთვის მათხოვარი არაა პიროვნება, ის მდგომარეობის ფუნქციაა. ასეთივე მდგომარეობის ფუნქციაა გამღები მათხოვრისთვის. მათხოვრის მდგომარეობა საჭიროა, რათა გამღებმა სიბრალულის აქტი დაიყვანოს ფულამდე, მონეტამდე, - გაიღოს ის, რაც გააჩნია. შეიძლება ის არც ფიქრობდეს, მათხოვარი ფულს საჭიროებს და მეტს არაფერსო, მაგრამ პროცესი სწორედ ამით მთავრდება, - ფულის გაღებით. თუ დაუკვირდებით, კარგად შენიშნავთ ჩვენს რეგიონში მომუშავე მათხოვრის არსებით ნიშან-თვისებას. ხოლო თვით ეს ნიშან-თვისება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთი პატარა ოთახის სახით, რომელიც არასოდეს იქცევა სადალაქოდ, და რომელშიც მაშინ ერთად აღმოვჩნდით. მე არ ვიცოდი, რომ მას შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა. არც ის ვიცოდი, რა მეპასუხა იმაზე მეტი, რაც არ ვიცოდი და არც უნდა მცოდნოდა. ერთი სიტყვით, შემომჩივლა:

- არ ვიცი, რატომ ხდება ასე. თითქოს მრცხვენია შენზე ზრუნვის. და, მე ვფიქრობ, ჩემი ასეთი მდგომარეობა შენი ბრალია. სულ მეჩვენება, რომ ვთამაშობ. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ზრუნვას ვზრუნავდე, გესმის? არასდროს თავი ასე კარგად არ მიგრძვნია, ვარ ძალიან ბედნიერი, მაგრამ რაღაც მზღუდავს. ლაღად არ ვარ, გესმის? აღტაცებას არ განვიცდი.

- რატომ უნდა განიცდიდე? - თითქოს ჩემს თავს ვკითხე.

- არ ვიცი. ალბათ, მაინც ხსოვნაში დევს რაღაც ისეთი, რაც ჩემივე თავს მიუცხოვებს.

- მე ვფიქრობ, ხსოვნა შენთვის ისაა, რასაც აღტაცებას უწოდებ. ხსოვნა ყოველთვის იგვიანებს. ზოგისთვის, ალბათ, არც იგვიანებს. უბრალოდ, ხსოვნა ზეიმია, მე კი არ ვარ ზეიმის მომხრე. ზეიმი ისაა, რასაც და-

ვიმსახურებთ ხოლმე და საიდანაც ვეღარსაით ვეღარ მივდივართ. მე იმ გზაზე ყოფნის მომხრე ვარ, რომელიც პირველ შეხებასა და ზეიმს შორის არსებობს. ამ გზაზე ადამიანი ბედნიერი ძნელად თუ იქნება. უკეთ, ძნელად თუ იგრძნობს თავს ბედნიერად. უფრო მეტიც, ბედნიერება გზადმყოფისთვის რაღაცნაირად უცხოვდება, შორეული და სანატრელი ხდება, და მას ამ დროს ხშირად ნატრობენ. ეს ძალიან ჰგავს სახლის შენებას. როცა სახლი საცხოვრებლად თითქმის მზადაა, უკვე მისი ნგრევის პროცესიც დაწყებულია. ვერც მოიხელთებ დროის იმ მონაკვეთს, როცა შენების პროცესს ნგრევის პროცესი ცვლის. მე არ ვგულისხმობ იმ მარტივ აზრს, რომ პირველი უკვე შეიცავს მეორეს. მე მინდა აქცენტი იმაზე დავსვა, თუ როგორ ერწყმის მოულოდნელად შემოქმედებით მხურვალებას ყოფითი მხურვალება. იწყება ნგრევა და იწყება ჩვენს მიერ აშენებულ სახლში ჩვენი ცხოვრება. იქნებ, ესეც ზეიმია? ჩვენ ვცხოვრობთ ანუ თანდათანობით ვიშლებით სახლში, რომელიც ოდესმე უნდა დაინგრეს იმიტომ, რომ ნგრევა უკვე დაწყებულია. ხსოვნა ამ დროს ჩნდება. მეხსიერებაში იმ აქტის გაცოცხლების პროცესი იწყება, როცა სახლს ვაშენებდით, როცა რაღაც ჩვენი ნებით ხდებოდა. მერე, უკვე მოგვიანებით, ვაცნობიერებთ, რომ მაშინ, ერთ დროს, ბედნიერი ვყოფილვართ. და იწყება ამ ბედნიერი დროის ხსოვნა, მისი რესტავრირება თავსა და გულში ერთდროულად. ის, ყოფილი ბედნიერება, არ მოითხოვდა თავისზე ფიქრს, ის კონკრეტულად არსადაც არ არსებობდა, არც თავში, არც გულში, ის ჩვენ ვიყავით. მისი ლოკალიზების მოთხოვნილება კი ზეიმის, აღტაცების, ტკბობის, გახსენების აქტში მისი გადასვლის შედეგია. ეს თითქმის ერთი და იგივეა. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ცხოვრების დაწყებაა, იმის შეგნებაა, რომ საიდანღაც გამოგვაძევეს.

- იქნებ, ბედნიერება ბედნიერების მოგონებაა? მაგრამ შენ სხვა რამეს ამბობდი. კარგი, მაგრამ იმას რა ვუყო, რომ მერე გაქცევის სურვილი მიჩნდება. იმდენად კაშკაშა ხდება ეს ზრუნვა, რომ უკვე აღარ ვჭირდები, მისთვის ზედმეტი ვხდები. ამიტომ მინდა ზრუნვიდან გაქცევა.

- შენც ადექი და გაიქეცი საპირისპირო მიმართულებით. ზრუნვაში შებრუნდი, შეღრმავდი და გაძლიერდი. ასეთი გაქცევა გადარჩენის ტოლფასია, გადარჩენაა. მე არა ვარ ზეიმის მომხრე. ძლიერი ადამიანების ხვედრი დარჩენაა. აი, სულ ესაა. როცა ზეიმი მოდის, ისღა დაგვრჩენია, ვხატოთ, ვწეროთ, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ, რაღაც მეორადი ვაკეთოთ, ამ მეორადით კი - პირველადი. ძლიერი ადამიანების ხვედრი დარჩენაა. გახსოვს?:

შეიძლება, ისინი სულაც ჩრდილებმა წარმოშვან.
სარკის წყვდიადში ჩაძირულმა, შეშლილმა ადამიანებმა,
რომლებიც ბუნებას მხოლოდ იქ ხედავენ,
სადაც ის თავისი თავისთვის არაა,
სადაც დამნახველი დასანახს აქცევს დანახულის დამნახველად
და ცვლის რაკურსს მხოლოდ მაშინ,
როცა საქმე ეხება თამაშს.
შეიძლება, ისინი წარმოშვან ღარიბმა ძაღლებმა,
რომელთა ყეფაში გამთლიანებული, მძვინვარე სიგიჟე
თავს უყრის ვარსკვლავებს და ამრავლებს იმედს,
თავისი ღიმილით დაღდასმული ლექსებიდან გაპარულ მიწას,
თავმოყრილს ცაში, რომელიც უკლებლივ ყველაფერს ირეკლავს,
მართლების ჩათვლით.

- ხოლო თუ ის მათხოვარი, შენ რომელზეც საუბრობდი, ქალია და იმ ქალს ხელში ბავშვი უჭირავს?

- მაშინ ეს ბავშვი ბავშვი აღარაა, იგი ამ ქალის ფუნქციაა, ჟესტია, საჭირო მოძრაობაა, ორგანოა. ერთი სიტყვით, ბავშვის გარდა ყველაფერია.

- როგორ არ გინდა, როგორ ძალიან არ გინდა, რომ ის ბავშვი იყოს, ბავშვი და მეტი არაფერი.

და მე ამ ჩემს თავს დავმორჩილდი და გავუძეხი სადალაქოსკენ.

7.

და ესეც მოიპოვება: ნიჟარა, თეთრი, განაზრებებში ჩაძირულ თავებს შორის იმედივით აციაგებულ სივრცეს შემხმარი, საუკუნოდ შეტოვებული, ქარაფშუტა. მოპოვებულში კი ბზრიალ-ბზრიალით ჩაედინება წვრილი შავი ნემსებით დაჩხვლეტილი წყალი, საიდანაც ვერასდროს ვერ გამოხვალ, რაც შენც კარგად მოგეხსენება. ის არ გიკეტავს გზას სარკისკენ. მხოლოდ შეგახსენებს, რომ თუ მოგება გადაგიწყვეტია, კეთილი უნდა ინებო და წრეში აღმოჩნდე. მოგების შესაძლებლობა ჩნდება იმ წრეში, რომელსაც ველომრბოლელები ვერ გაარღვევენ. მოგება იწყება ველორბოლის დაწყებისთანავე და დასასრული არ უწერია არასდროს, არასდროს. შენ შეგიძლია მოუგო იმას, ვინც, შენსავით ველოსიპედზე ამხედრებული, მიექანება დროის საპირისპირო მხარეს, მაგრამ შენ ვერასოდეს

მოუგებ იმას, ვინც ამ წრის მიღმაა. ის კი აქ არაა და არაფერი იცის იმაზე, რაც წრეში ხდება, რასაც ნიჟარის ძაბრი ითრევს და აუჩინარებს. ანუ: არსად არ გააქვს. ანუ: ისაკუთრებს. ოდესმე, ალბათ, შენც მოიგებ. მერე მონაგებს, მოგებასთან ერთად, გაიტან წრიდან და უჩვენებ იმას, ვინც წრის გარეთაა. ის კი გეკითხება: "ნუთუ ჩვენ, ყველანი, ერთმანეთისთვის ვართ მხოლოდ რეციპიენტები და მეტი არაფერი?". მაგრამ შენი მოგება ემახსოვრებათ წრეში, რომელშიც ვერასდროს ვეღარ შეხვალ, ე.ი. სხვაგან. ალბათ, ამას უწოდებენ გამოუვალ მდგომარეობას. უწოდებენ მას მერე, როცა შენ ასეთი მდგომარეობის მსხვერპლი აღარ გქვია. შეიძლება ითქვას, რომ შენი მდგომარეობა ველოსიპედზე ამხედრებული შენი სხეულია? მაშინ შენ სად ხარ, ამ შენს სხეულს თავდავიწყებით გაკიდებული იქით, ფინიშისკენ, რომელიც არსად არ არსებობს, მაგრამ რომლის ნიშანიც ჩნდება და მალევე ქრება დროში? შენც ამ დროს ეკუთვნი. და მაინც, სად ხარ? იქნებ - იქ, სადაც შენს მოულოდნელ მოგებას შენიშნავ? მაგრამ, ოჰ, მოგება ხომ წრის გარეთ გტოვებს, იმავდროულად კი - იმ მოგების გარეთ, რომელსაც ხელი უნდა მოკიდო და ჯიბეში ჩაიდო. გეთანხმები, რომ ამ დროს რაღაც გაგვისხლტა ხელიდან. მე კი გეთანხმები, რომ იმას ხელგაშვერილს და შენზე დამიზნებულს, არასდროს არაფერი უცვივა ხელიდან, ფულიც კი - არა. ის შემოდის ვაგონში და თვალს თვალში გიყრის. შენში კი ამ დროს ვიღაც ჩურჩულებს: დამარწმუნე, რომ არ ვარ მათხოვარი და ამ საქმეში ფულს გადაგიხდი: მე ეს მჭირდება, როგორც შენ - ფული". მისი ყური კითხულობს ამ ხმას მანამ, სანამ შენ ყურს მოკრავდე იმას, ვინც შენში ამეტყველდა. მისმა მდგომარეობამ წრიდან გაუსვლელად წაიკითხა შენი მდგომარეობა და შემოგთავაზა წინადადება, რომელიც ჯერ კიდევ უცხოა შენთვის. აი, ეს უფრო კარგად გესმის: "რა უფრო გჭირდება: ფული თუ როლი, მათხოვრის ნიღაბი? შენ ხომ ფულს ფულის აღების ხელოვნებაში იღებ". მისი ყური კითხულობს შენს გამომეტყველებას და თანაგრძნობით აპარტყუნებს. შენ ამას ვერ ხედავ, მაგრამ ხედავს შენი თვალი, და გატყუებს. ანუ: გითანაგრძნობს. არადა ის, შენც კარგად იცი, მართლა ბავშვია, თუნდაც იმიტომ, რომ უნდა წავიდეს სადმე და დაიძინოს. დიახ, ასეა: სადმე წავა და დაიძინებს. მაგრამ აქვე უნდა გკითხო: რა ისაკუთრებს, ძაბრი თუ ნიჟარა? რაღაც, რაც ნიჟარის ძაბრსმიღმაა, რაც ბნელა. არადა, სწორედ ეს გვეძვირფასება, - იმაზე გამარჯვება, ვინც წრეში არაა მაშინ, როცა ჩვენ წრეში ვართ. უნდა მოგახსენოთ, ბატონო ჩემო, რომ ღვინის სუნად ყარხართ. რა ბრძანეთ? უნდა მოგახსენოთ, რომ ღვინის სუნად ყარხართ. და ეს თქვენ მუშაობაში ხელს გიშლით? არა, რა თქმა უნდა, არა. მაშინ კეთილი ინებეთ და განაგრძეთ მუშაობა,

ხოლო რაც შეეხება ჩემს მყრალ ხახას, იგი თავის ქვედა ნაწილს წარმოადგენს და ნაკლებად ან სულ არ გეხებათ. თქვენ ფიქრობთ, რომ ხახა, მყრალი ან არამყრალი, თავის ნაწილია? ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმოვსთქვი. ბატონო ჩემო. დიახ, რა ბრძანეთ? უკვე სამჯერ გკითხეთ, ნანეტი ხომ არ აჯობებს მეთქი, თქვენ კი დუმხართ და ხმას არ მცემთ. ოჰ, მაპატიეთ და მომიტევეთ და აჯობებს, უდავოდ. ვინც წრეშია მაშინ, როცა ჩვენ წრეში არ ვართ. და არც ვიმყოფებით? და არც ვიმყოფებით. მე მაინტერესებს მისი სხეულის ნებისმიერი ის ფრაგმენტი, რომელშიც დროისა და სივრცის მოძრაობაზე დაკვირვებაა შესაძლებელი და რომელიც ცეკვავს.

8.

როცა შენ ლაპარაკობ, ყოველთვის ქარია და ყოველთვის რაღაც ისეთია დაკარგული, რაც თავს გახსენებს სწორედ როგორც დაკარგული, რომელიც, მივიწყებული თუ უსარგებლო, უფუნქციო, სადღაც თავისთვის დაწანწალებს. ისიც ამ გარეუბანივით ყვითელი და გახუნებულია, მაგრამ, იქვე, თავისი სიჭარბით თავისმომაბეზრებელიც, დამღლელიც. როცა შენ ლაპარაკობ, შენს მეტყველებას უკვირს შენი. დიახ, ასე, შენ მას აკვირვებ, და შენ ეს იცი და გსიამოვნებს; მის ფუნქციად შენი მოძრავი არსებობის წარმოდგენა ყრუ, ძილში მობუტბუტე ბავშვივით დაძაბულ ტკბობას განიჭებს. რას ამბობ: რომ ფუძის ძვალი გაუტეხეს, ისე გალახეს? რომ მას ჩვევად ჰქონდა, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ჩამდგარიყო და გაეშველებინა?(წარმოგიდგენია?). შევეცადო და წარმოვიდგინო, რასაც შენ ყვები და უკვირს შენს მიერ წარმოთქმულსაც; უკვირს თხრობის ყველა ობიექტს, რომელსაც აქ საქმე ეხება, ცოცხალს თუ უსიცოცხლოს, აწმყოში ფრთხილად შემოშვებულს; თუნდაც იმ ცივ და ჩამოსასხმელ ღვინოს, რომელიც, როგორც შენ მიამბობ, რაღაც ოთხმოცი კაპიკი ღირდა. ან, სულაც, ორჯერ ოთხმოც კაპიკს, რომელიც შენი დანაზოგი იყო, ღვინისთვის შენი მეოცნებე თავის შესახსენებლად, ცივი, უამური ფიქრების გასათბობად. შევდივარ დუქანში. მე მიყვარს ამ ხალხთან ლაპარაკი. ისინი, ძირითადად, არიან ლოთები, თავს იყრიან ამ რეგიონის ყველა კუთხიდან, აქვთ თავიანთი საზოგადოება და აგინებენ ცხოვრებას, სამართლიანობის დიდი შეგრძნებით. საერთოდ, არიან ძალიან ემოციურები და იოლად ბრაზდებიან. ესაა ხელმოცარული ხალხი. მათი პიროვნული თვისებები განსაკუთრებით იკვეთება შუა ასაკში. მაგრამ მე რა ვქნა,

ვინც არც ხელმოცარული ვარ და არც - შუა ასაკში, ძალიან იოლად კი ვბრაზდები. და შევდივარ დუქანში, როგორიც არა ერთი და ორია თბილისში. უცნაური განცდა გეუფლება. ეუბნები: "ძმაო, რა ღირს ღვინო?". ფასი დიდი ასოებით მიუხატავთ, მაგრამ სადღაც იყურები, მერე თვალს თვალში უყრი დახლიდარს ძმობის, ერთობის, თანასწორობის ნიშნად და ეკითხები: "რა ღირს, ძმაო, ღვინო!". გპასუხობს. მერე ეუბნები: "ცივია?" "ცივია". "ორი ბოთლი ჩამომისხი", და საზოგადოებას უერთდები. და მე წარმოვიდგინო, მიგიღეს. ვგრძნობდი, რომ კარგი ვიყავი ასეთი, მიღებული. ჰო, საუბარი შეეხებოდა კომისარიატებს. აგინებდნენ და ყვებოდნენ, რომ ადრე ერთი სუფრა საკმარისი იყო, ახლა კი, კაცო, ფულს ითხოვენ. მეც ავყევი გინებაში. შენ ხომ გახსოვს, შარშან ზაფხულს მეც მომაკითხეს და მთელი თვე ვემალებოდი. ვუთხარი, რომ არიან ტრაკები. დამეთანხმნენ. მერე წამოვედი და სასიამოვნოდ ვიყავი ძალიან. რაც შეეხება არაყს, არ მიყვარს. ჰო, არაყი არც მე მიყვარს, არყის სიმთვრალე ბნელია და არეული; ცუდი, სასტიკი აზრები გიტრიალებს, არავინ არ გიყვარს. ჰო, ეგრეა. ღვინო ნათელია, ღვინის სიმთვრალე არყისას არ ჰგავს, არაყი გამძიმებს. ჰო, მართალია. ღვინო არ გამძიმებს. ჰო, არ გამძიმებს, ეგეც მართალია. მაგრამ ღვინო გჭყიპავს. და შედის დუქანში ჯერ კიდევ დილით. ალბათ, დილით, რომლის იქითაც, მოსახვევში, არის ბაზარი. იქ მაშინ ჩვენი მეგობარი ცოცხალი იყო და ერთხელ ხილი ჩამოიტანა გასაყიდად გარეუბნის გარეუბნიდან: მოიტანა მწვანე ზურგჩანთით, დახლზე დააწყო, საქმე ეხებოდა ატამს, და თვითონ ოდნავ მოშორებით დადგა, ვითომ სხვისი იყო. მაგრამ როცა ფასს კითხულობდნენ, ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს განაჩენს უკითხავდნენ ყოველთვის ხელახლა. მერე შეეჩვია და აღიარა, რომ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. ეს ჩვევა შერჩა, გამყიდველებს თავს აფარებდა, ინიღბებოდა, გარეგნულად კი მყიდველის იერს ღებულობდა, რომელმაც ნაცნობი გამყიდველები ნახა და საათობით გამოესაუბრა. ძმაო, გურჯიევი გაიხსენე, ამბობდა იგი, და თვითონაც იხსენებდა. ის ახლა მიწაშია. გურჯიევიც. მაგრამ, ამჯერად, ჩვენი მეგობარი. მან ნახა ცხოვრება და ბოლოს ვერ გაუძლო, ყველაზე სოციალურ ასაკში. თავისით წავიდა, მოკიდა ზურგჩანთას ხელი და გაქრა. როგორც იტყვიან, თვალს მიეფარა. როგორც იტყვიან, ისე მოიქცა. ისე მოიქცა, როგორც შეიძლებოდა არ მოქცეულიყო, როგორც იტყვიან. წამოვედი და ნასიამოვნები ვიყავი ძალიან. და გადავწყვიტე, თავსაც ესიამოვნოს მეთქი ძალიან, და მან თქვა დინჯად: გამიძეხი სადალაქოსკენ. იქვე, დუქნიდან სამ ნაბიჯზე, სადაც ახლა ვარ. ნიჟარიდან იფრქვევა სიცივე. სადაც ვიმყოფები.

XI
მ ო ც ე კ ვ ა ვ ე

1.

მისი სუნთქვის ხერხემალში გადის ჩემი ხმა, - წვრილი წითელი ზოლი, რომელიც არის ჯანყი სიცოცხლის ბოლო საფეხურად იმ ყველაფრის გამოცხადების წინააღმდეგ, რაც მხოლოდ მედლის მეორე მხარეა, რაც არ კლავს სავსებით პრაქტიკული მოსაზრებით, რაც უნდა მეორდებოდეს და ამით უარყოფდეს დრამის დაბადების შესაძლებლობას იქ, სადაც მოქმედება წელზემოთ ინაცვლებს და ცდილობს დასახსრვას მოულოდნელობებად, განხორციელებული მრავალი შეხების იმიტაციებად, საიდუმლოს გამომუშავების მცდელობებად; ცდილობს იმ მოძრაობების დისკრედიტირებას, რომლებიც, დროებით სხვა სივრცეში გადაჯგუფებულნი, მალე ისევ დაუბრუნდებიან ნაცნობ წყლებს, რომლებიც მის გადახრილ სხეულში ერთი დიდი შეცდომაა, ფერების კოლექტიური ორგაზმი.

მისი ღირსების, სიამაყის, სიგიჟის და გადარჩენის მთავარ ორგანოს სადღაც ჯერ ისევ საჭირო და მოქმედი ენა უწოდებს სარცხვინელს, ხოლო კონკრეტულ ამ სარცხვინელს, მზესავით ამომავალს მისსავე რეალურ ფანტაზიებში, ჰქვია დუჩუნა, სადაც ყვავიან და იშლებიან ულამაზესი მცენარეები, სურნელებენ და ხმაურობენ ზღაპრული ცხოველები, ყირაზე გადადიან ბავშვები, მაღაზიები უფასოდ არიგებენ ლუდს, აფროდიტე არ ავრცელებს სნეულებებს, ჩემს თითოეულ ფიქრს და ჩემი სასხეულო მთლიანობის თითოეულ ასოს ჰყავს თავისი დედა, ისინი ერთმანეთს ეძებენ, ჩვენ უკვე მოვნახეთ ერთმანეთი, ხოლო დუჩუნა ფეთქავს გულივით და მღერის ყველა მიმართულებით, ყველა ენაზე, ყველა შიშველი და დავიწყებული ადამიანისთვის, არის დაუცველი და ამ თავის დაუცველობაში ერთადერთი და უსაზღვროა, თითქმის უსურვილო.

დუჩუნა, ის რომ უმოწყალოდ ცვეთს, იზრდება კედლებზე, თაროებზე, სარკეში, შეყვარებული მამაკაცების მკერდზე, ზოოპარკებში დაკონსერვებული ნიანგების თხელ მუცლებზე, ჩიტის ნისკარტის სიზუსტეში, ხსოვნაში; იფურჩქნება ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში და შემპარავი ცეკვით ეფინება მთელ ტანს, საიდანაც სხვა ტანს ეფინება. მე მას ვეუბნები, რომ დეკემბერში და იანვარში გაჩენილ ბავშვებს კოღოები

დიდხანს ვერ დაკბენენ. ეს მას ახარებს, მაგრამ აღონებს. მისი სევდა ყოვლისმომცველია, ისე, როგორც მისი დუჩუნა, რომლის ეგზოტიკური თავგადასავლებით უშურველად ივსება სამყარო და არაფერს არ კარგავს, ღიმილით ეგებება მის მორიგ ორგაზმს. რასაც მისი თვალი შენიშნავს, უნდა იქცეს მისი სევდის კიდევ ერთ ფუნქციად. რასაც მისი დუჩუნა ხედავს, მაშინვე სევდის მწვანე წყლებში განიბანება და ხელმეორე სიცოცხლეს იწყებს, მისი დუჩუნის გასახარად, მისი უმანკო გამოხედვების შესაკავებლად ამ უაზრო და უადგილო უმანკოებაში. ყოვლისმომცველია მისი თვალის დახვეწილ ჭრილში მოხვედრილი ცოცხალი და უსიცოცხლო საგნების შიში, - რომ ისინი ერთ ურიგო დღეს შეიძლება გამოყრილ იქნენ ამ სამოთხიდან, აღარ დაექვემდებარონ სევდის ფუნქციად ყოფნის ყოველდღიურობას, დარჩნენ უფასოდ.

თუ შენ არ კლავ მხოლოდ იმიტომ, რომ მოგკლან ყოველ წამს, ყოველ მოსახვევში, მოგკლან ისე, როგორც შეუძლიათ, შენ არ ემსახურები სიცოცხლეს. და არც სიკვდილს ემსახურები? შენ ამ საწყალ ადამიანებს დაუფიქრებლად გატყორცნი შენი ალეგორიული ცენტრისკენ, და ეს უკანასკნელი იქცევა სავსებით რეალურ სივრცედ, პეპლებით და ვარსკვლავებით დახუნძლულ სამყაროდ, სადაც სუნთქვა შეუძლებელი ან ძალიან რთულია, სადაც ეტნა დუღს და მზადდება გაურკვეველი დროით, გამოუცნობი მოვლენების შესაქმნელად ან დასაწყებად მათი შესაქმის, მათი სიყვარულის. ეს მას ახარებს, მაგრამ აღონებს, და ეს მას არ კლავს. როცა ის პირველად შეაცდინეს, მამას ჯერ კიდევ არ ჰყავდა საყვარელი, რომელსაც დღეს უკვე ერთ-ერთ მთავარ მეტოქედ თვლის ქალაქში, სადაც მამაკაცების სისუსტე და უმწეობა ახალშობილის მოვარდისფრო-მოლურჯო სუნივით თავბრუდამხვევია. ის კი მათ უვლის და უფრთხილდება, როგორც შეუძლია, როგორც ამ კაცებმა ასწავლეს.

- მე ვამრავლებ მოძრაობებს, თითოეული ახალი მოძრაობა მავიწყებს წინარეს და იმის წინარეს. ეს ხომ მთელი ხელოვნებაა. ხანდახან ვფიქრობ: იქნებ დავიწყების უნარი მთავარი პირობაა, თუ გსურს მოძრაობდე საუკუნოდ, დიახ, საუკუნოდ! მე შემიძლია ამაზე საუბარი დიდხანს, გაუჩერებლად, ხმამაღლა, ჩურჩულით, წამღერებით, უჩუმრადაც კი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, როცა საუბარს ვიწყებ, უმალ ვაცნობიერებ, რომ არაფერიც არ მახსოვდა და მხოლოდ ახლა ვიხსენებ, როცა ვყვები; ვიხსენებ იმასთან, ვისაც ვუყვები. და ესეც მოძრაობაა, არა? ამითაც რაღაც ძველს ვივიწყებ, იმას, რაც ზოგჯერ თავს მახსენებს და გზას მიხერგავს რაღაც ახლისკენ, უცნობისკენ. დავიწყება მოძრაობის პირობაა მხოლოდ მაშინ, როცა გიყვარს არა ესა თუ ის მამაკაცი, არამედ - სისუსტე,

რომელიც გიბიძგებს, დაიცვა და გაუფრთხილდე, გადაარჩინო მათგანვე, ამ მამაკაცებისგანვე. მათი სისასტიკე, პირველ რიგში, ამ სისუსტის გაძლიერებას ემსახურება, ჩვენ კი, ქალებს, შეგვიძლია დავიწყება ჩვენი ძლიერების და ამის მერე - მათი სისუსტის დაცვა მათივე სისასტიკისგან და სიცივისგან, მათი ბავშვური სიძლიერისგან. ეს სიმართლეა! ღმერთო ჩემო, ხანდახან ვფიქრობ: დავიწყება რომ არ შემეძლოს, მეხსიერება ერთ კაცს კი არა, ერთ კაცთან ერთ შეხებასაც ვერ გაუძლებდა. როგორ შეიძლება არ ინახებოდეს ის, რაც ასე ძვირფასია, ასე იდუმალი! მაგრამ ჩემთვის მოძრაობა პურია, საზრდოა. და, სხვათაშორის, კარგად არც ვიცი, რას ვუწოდებ მოძრაობას. მაგრამ ეს ხომ არც ისე მნიშვნელოვანია. როცა მე ვცოცხლობ, არაფერიც არ ვიცი. არც მაშინ, როცა თვალებს ვხუჭავ და არც მაშინ, როცა თვალები გახელილი მაქვს...

და კიდევ ერთხელ იხსენებს იმას, ვისაც უყვება, ვინც მას ახლა ისე უსმენს, თითქოს ღამე ერთ საწოლში არ გაეთიოთ. რა მნიშვნელობა აქვს, იყო თუ მხოლოდ იფიქრა ამაზე; იყო თუ არც ოდესმე იქნება. რაც მას უნდა, ხდება კიდეც. უბრალოდ, ცხოვრება სწრაფი და უხეშია, იმდენად უხეში, რომ მას მიანარცხებს ისეთ მამაკაცს, როგორსაც ის იმსახურებს სასჯელის სახით, მაგრამ არა - იმ ფიქრებისთვის, რომლებიც მასში ქალს ინახავენ, დასამცირებელს, წასაშლელს, აბუჩად ასაგდებს და მიწაზე დასაწვენს, შეშლილს. როცა ის შენთან საუბრობს ან გისმენს, რაც მისთვის ერთი და იგივეა, უკვე მსხვერპლი ხარ იმ მონადირის, რომელსაც ის თავის თავში ყოველთვის ხედავს და ვერასდროს ვერ იტანს, რაც გამოწვეულია, ისევ და ისევ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. და ყველა მამაკაცი ერთია? ყოველ შემთხვევაში, მონადირეებს ისინი ყოფნით და, ამიტომაც, კმაყოფილი მათი სახეები გამოყოფენ არაამქვეყნიურ ბრწყინვალებას, თავმოყრილს მის ქალურ მკერდში, რომელიც ანთია ნებისმიერ შესაძლო შედეგში, თუნდაც განუხორციელებელში. მას არ შეუძლია არ იმეორებდეს, როგორც დასასწავლ გაკვეთილს, იმ მოძრაობების ერთფეროვან კომბინატორიკას, რომელთა დავიწყება პირობაა ნაჩვევ მოძრაობათა გამეორების და - შენების, შენების. როცა ის აშენებს, - დუმს. მეხსიერება ჩართულია განვლილ და დასაწყებ მდუმარებებს შორის; ორ დიდ საქმეს შორის ხარობს მესამე დიდი საქმე.

ვინც მას ეხება, უნდა შეეხოს მის დუჩუნას. ვინც მის დუჩუნასთან შეხებას გაბედავს, დაექვემდებარება აღწერას და კლასიფიცირებას უჩვეულო სანახაობებად და წარმოდგენებად, მთლიანობის შეუძლებლობებად. ვინც მისმიერ აღწერას დაექვემდებარება, გაიწირება სიცილის მოსასმენად. და ვისაც ეს სიცილი მოისმენს, მოისმენს სამუდამოდ, თითქმის

- საყველპუროდ. აი, ეს ხდება მისი სახლის ნახევრადბნელ სამზარეულოშიც, მაგრამ იქ სულ სხვა სიცილია გამეფებული: არარსებული დედის სიცილი. ეს სიცილი ასუფთავებს კარტოფილს მისი ძმის ან მამამისის საყვარლის ხელით, თლის და ამსგავსებს მინიატურულ, წყალში გასაშვებ ნავებს, ყრის ზეთიან ტაფაზე და ქმნის მოლოდინს, სიცილს, სხვის სიცილს. ოჯახის ძირითადი და დროებითი წევრები ათვალიერებენ ერთმანეთის გამოხედვებს და ვერაფერს ან თითქმის ვერაფერს ვერ სწავლობენ. მათ, უბრალოდ, ერთმანეთი ეხმარებათ სიცარიელის დავიწყებაში, და ამის გამო მადლობენ ერთმანეთს. რაც სხვა დროს ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი კატლეტი ან გუფთა იქნებოდა, ახლა ნაღმია, არა, ომის მთელი პოლიტიკაა მამამისის საყვარლის ხელში, მიმართული მის წინააღმდეგ, მისი თითოეული ამონასუნთქის წინააღმდეგ.

- ზოგჯერ მეჩვენება, რომ სწორედ მისგან ვისწავლე გეშის აღების ხელოვნება. როცა ნადირობ, ეს გადამწყვეტი უნარია. მე კი ყოველთვის იმაზე ვიყავი დაგეშილი, ვინც უკვე ჩემს ხელთ იყო და შენარჩუნებას საჭიროებდა. მართლა ასეა, - კაცები მოითხოვენ, რომ ვიბრძოდეთ მათი შენარჩუნებისთვის და ამით ვუმტკიცებდეთ ჩვენს სიყვარულს. განა სადმე გარბიან ან უარგყოფენ. არა, უბრალოდ, თავს იმშვიდებენ ვიღაცის წინაშე, ვინც მათ ჩვენთან ყოფნის ნებას რთავს. შენ გგონია, ეს უკანასკნელი მართლა არსებობს? არა, ის მათი ფანტაზიის ნაყოფია. მათი ფანტაზია, რატომღაც, ჩვენით სულაც არაა სავსე. არადა, ყოველთვის ამტკიცებენ, რომ ჩვენ მათი წარმოდგენის ნაყოფი უფრო ვართ, ვიდრე - რეალური არსებები. მაგრამ ამასაც თავისი დრო და რიტმი აქვს, არა? ის, პირველი, ხაზს უსვამდა, რომ მე ქალი ვარ და მეტი არაფერი, მისი მეუღლე კი ადამიანიც არის; რომ მე დიახაც ვიმსახურებ დამცირებას, შეურაცხყოფას, რომ მე ამას მოვითხოვ და ის ჩემს სურვილებს ასრულებს. როცა ვპასუხობ, რომ სწორედ მან, და სხვამ არავინ, შემაჩვია ამ დამცირებებს, მხოლოდ იჭყანება და თვალებში მაბოლებს. მას შეუძლია, დამირეკოს და ალერსიანად მთხოვოს, რომ ტელეფონით გავათავებინო. ეს ხდება არც ისე იშვიათად. მერე, ნასიამოვნები, მემშვიდობება თითქმის მთელი თვით. ვეუბნები: "ადამიანო, მე ასე აღარ შემიძლია, მეც მინდა სიყვარული, საუბრები, სიცილი". ვერ წარმოუდგენია, რომ უკვე დიდი ხანია დავკარგე. არ იცის, რომ დაგეშილი ვარ წარსულზე, რომელიც ჩვენს შორის იყო. ნუთუ, შეიძლებოდა, ასე თანდათან გამქრალიყო მისი ტკბილი ხმა, მისი შეხებების სიღრმე, მისი ის დრო, რომელიც მთლიანად მე მეკუთვნოდა? ნუთუ.

მამას ლურჯი, ახალგაზრდობისდროინდელი პლედი მოუსხამს და სიგარეტს ეწევა, ფანჯარასთან მდგომი. გაზქურაზე ჩაი დუღდება. გარ-

ეთ თოვს და მანქანების ხმაურს ანელებს, არბილებს. დაორთქლილ მინას ნისლივით ეფინება სიგარეტის კვამლი და ორაზროვან სითბოს წარმოქმნის, ცარიელს, დაუმთავრებელს და უამური ფიქრების წამომშლელს. ნუთუ, ასაკში მყოფი ადამიანებიც ვერ თმობენ სიცრუეს? თუმცა, ეს კითხვაც ხომ არანაკლებ ორაზროვანია, არანაკლებ მიმართული საკუთარი საფუძვლის ნგრევისკენ? რომელიც, ალბათ, არც არსებობს? სადღაც, სრულქმნილ გონებათა მაღალ და ზემაღალ ინსტანციებს ვერშემწვდარი ადამიანი კი უნდა ქმნიდეს თავისას, ურიცხვს, ხელახლა საჭიროს, იმპროვიზებულს და ნაკლულს იმის ძალით, რომ არსებობს ცნობა ზემაღალ ინსტანციებში გამომუშავებულ, სრულქმნილ მთლიანობათა შესახებ, და ეს მთლიანობები უფრო წინ არიან, აფრო არსაით, მაგრამ - წინ. ვიღაც ყოველთვის საჭირო დროს აწესებს ნორმირების საიდუმლოს, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს თითოეული, ფანჯარასთან მდგომი. წყალი ადუღდა, შემოგევლე, გადმოდგი ქურიდან. ქალი შერბის მაღაზიაში, სადაც ხალხმრავლობაა; მოხუცი კაცი ცდილობს არდაცემას, ხელჯოხი არა აქვს. ყოველ უბადრუკ მოსახვევში - მორალი, ზნეობა. ყოველ მიგდებულ, ამორალურ თავში, ჯერ კიდევ არსებობს იმედი გამდიდრების, იმაზე მეტი ფულის შოვნის, ვიდრე საჭიროა. ნუთუ სიცრუეც კი არ გტოვებს მარტო, არ გავიწყებს, რომ შენი სიცრუე ღარიბია იმიტომ, რომ ნაკლულია სადღაც შექმნილ, სრულყოფილ სიცრუესთან შედარებით? და ამ სრულყოფილ სიცრუეებს ტაშს უკრავენ, ამაყობენ მათით იმიტომ, რომ მერე შენი ბევრი სიცრუე დავიწყებულ და გადაყრილ იქნას, მოცილებულ იქნას თავიდან. შენ კი მეკითხები, ვისი თავიდანო. კარგი ერთი, მეგობარო, კარგი ერთი მეთქი. შენ არ გამდიდრდები არასდროს.

ალბათ, მამა ფიქრობს: "დიდი, შავგრემანი ბუშტი ადის ცაში, უჩემოდ, უჩვენოდ". მამა, ალბათ, იმასაც ფიქრობს, რომ ამ ქალს ოდესმე დავუმეგობრდები. თუმცა, არაა გასაკვირი, რომ ასეც მოხდეს. მამა, ალბათ, იმასაც ფიქრობს, რომ მე არაჩვეულებრივად, წარმოუდგენლად კარგი ვარ, და სულ ვერ წარმოუდგენია, რომ, როგორც შენ თქვი, გამოუსწორებლად კარგი ვარ. დიდი, შავგრემანი ბუშტი ადის ცაში უჩემოდ, უჩვენოდ. მერე როგორაა? "ჩვენ ვართ უსწორმასწოროდ კარგები"...

2.

- და ამ ყველაფერს აქვს თავისი მრავალი მიზეზი. შეიძლება ითქვას, რომ ის შეპყრობილია. შეპყრობილია მოძრაობით. მოძრაობაში მისი

გადასვლა მოხდა მას მერე, როცა ის დასაწყისით და დასასრულით შემოსაზღვრულ-განკერძოებული და საჩვენებლად გამიზნული მოძრაობების მნიშვნელოვნებაში დაარწმუნეს. ის ახლა განსაკუთრებულია, მას უყურებენ, მისი მოძრაობები ისტორიულ ღირებულებას იძენენ, მისაბაძს, დამრიგებლურს. თუმცა, თავად ასეთი არაა, როგორც ხაზგასმით და ჩუმად ამბობს. არც თავისი მოძრაობების მნიშვნელოვნებას ამტკიცებს, მაგრამ მან იცის: როცა მოძრაობა მთავრდება, უნდა ამტკიცო იმის საპირისპირო, რასაც მოითხოვდა და ამტკიცებდა შენი მოძრაობა. ეს უკვე გადარჩენის ილუზიით გამომუშავებული და უწყვეტი ჩვევაა. როცა ის მოძრაობს, თითქმის ემიჯნება თამაშს, ხელოვნებას, ხდება სერიოზული, გამიზნული, კონცენტრირებული. არადა, სულაც არ პაროდირებს ამ სულიერი მდგომარეობებით, ამის უნარი წართმეული აქვს სწორედ იმ მდგომარეობაში საკუთარი თავის ჩაყენებით, რომელიც მოითხოვს სიცრუეს. სხვაა რეალიზაციის პროცესში ჩაბმული ადამიანის შემოქმედება და სხვაა შეუმდგარის ჟესტი. მას განუწყვეტლივ უნდა არწმუნებდნენ, რომ რასაც ის აკეთებს ახლა, ამწუთას, მოცემულ მომენტში, ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულია, ღირშესანიშნავია. მაგრამ მას ამაში უნდა არწმუნებდნენ მხოლოდ მას მერე, როცა ერთი მოძრაობა უკვე სახეზეა და საჭირო ხდება მისგან ახალი, სხვა მოძრაობის წარმოება. მისი ყოველი შემდგომი მოძრაობა უნდა სტიმულირდებოდეს მის მიერ უკვე შესრულებული მოძრაობის შექებით, მოწონებით, განდიდებით ვიღაც ისეთის მიერ, ვინც მას მართავს, ვინც მისი რწმენის შემწეობით საკუთარ საქმეს აკეთებს წყნარად, შეუმჩნევლად, მიზანდასახულად, ვინც მას უმალავს უძირითადესს: მისი და მისნაირების მოძრაობები განწირულია არყოფნაში, სიცარიელეში და დავიწყებაში გადასაყრელად, ხოლო გადარჩენის რეალური შანსი იქ უფრო არსებობს, სადაც ეს მოძრაობები თავს იყრიან, ემსახურებიან იდეას, რომელიც მათთვის დაფარულია, რომლის მიუწვდომლობა შესაძლებელს ხდის მათ მექანიკას, მათი გამოღვიძების გარანტირებულ შეუძლებლობას. ინდივიდუალურ ნებას, რომელიც ამ მოძრავ ინდივიდებს მართავს, ესაჭიროება სწორედ მათი კოლექტიური უსახობა, რომელიც ფორმად, განაყოფიერებულ-რეალიზებულ იდეად გარდაიქმნება იმის ხელში, ვინც მალავს მთავარს, ინდივიდუალურს, - მალავს მათი სისუსტის ფასად და არა თავისი სიძლიერის მიზეზით. ის იტყუება, ცრუობს, ეშმაკობს, თავისზე სუსტების ექსპლოატირების ხარჯზე გამდიდრება და გადარჩენა მონდომებია. ესეც ნიჭია. ესაა ავანტÁურისტის ნიჭი, ლოკალური, მაგრამ - კონკრეტული. ასე რომ, ჩემი სხეული, შეიძლება გულწრფელად ითქვას, შეპყრობილია.

3.

"მისი სუნთქვის ხერხემალში ვხედავდი ჩემს თავს და უყველაფ-
როდ, უზომოდ ვჩიოდი: ნუთუ, ეს არა და არაა ცხოვრება? ვხედავდი ჩემს
სხეულს, დაღლილს და დაქსაქსულს ათასობით ბედში, ყველაში, ვინც
უკვე შორს იყო, ვინც იქნებ არც როდის მინახავს ამ ჩემი მახინჯი წარსუ-
ლით, ჩემთვისვე უცნობი ჩემი ერთადერთი ნამდვილი ამინდით, რომლის
მზერა ყოველთვის თან მდევს იმაში, რაშიც ვერ შევედი, რაც მუდამ გარს
მეკრა და მუდამ ის იყო, რაშიც ვერ ვიწვალე. გესმის თვითმფრინავის
გუგუნი ყურმილში? ჩემი ფიქრი, შესაძლოა, სამუდამოდ მოიცვა ამ ხმამ;
ჩემი თავი, შესაძლოა, სამუდამოდ მოიცვა იმ ფიქრმა, რომ დიდი, შავგრე-
მანი ბუშტი ყოველ წამს სამუდამოდ ტოვებს მიწის ზურგს და ცაში ადის
უჩემოდ, უჩვენოდ. ცხელი აზრები ტრიალებენ თავში, რომელიც ჩემად
იწოდება, ამჯერად მაინც იწოდება. ყოველ წამს ჩვენ ვართ უსწორმასწო-
როდ კარგები, ცუდები; ჩვენ ვართ უხეშები, როგორც ყველა წიგნი მეათე
ან მეჩვიდმეტე გვერდზე. ჩვენც შეიძლებოდა ქრისტე გვყვარებოდა
ჩვენს დროებით ადგილ-სამყოფელში; ჩვენც შეიძლებოდა, სიტყვის შე-
სასვლელთან ჩაფიქრებულები, კითხვებს ჩვენი თავის სახით არ დავსმო-
დით. ადგილსამყოფელში, სადაც ვერ შევედით, სადაც არ ვახსოვდით
ხელებს, რომლებმაც ღმერთი გამოსახეს, ჩვენც შეიძლებოდა ქრისტეს
ვყვარებოდით. ვინც სასომიხდილი ყმუოდა ღვთის კართან, ისიც ჩვენ
ვიყავით. ჩვენ ვართ უხეშები, როგორც ყველა წიგნი ოციათასხუთასოც-
დამეთორმეტე გვერდზე. ნუთუ, ეს არა და არაა ცხოვრება?".

- ჩვენი ოჯახის წევრები, ძირითადად, იმით არიან დაკავებული,
რომ ერთმანეთს კლავენ, რაც ხდება დღეში იმდენჯერ, რამდენჯერაც
ერთმანეთს უყურებენ ან ესაუბრებიან. როგორც ჩანს, მათ ეს საქმიანობა
სიამოვნებას ანიჭებს, ატკბობს. თავდაპირველად ნივთებს კლავდნენ.
რასაც ეხებოდნენ, ყველაფერი სიკვდილს იწყებდა, გარკვეული დროის
მერე კი უკვე აღარ იყო. ჩვენი სახლი დახოცილი ნივთების ცოცხალი სა-
საფლაოა, გესმის? ჩვენს სახლში ცოცხალს ვერაფერს ნახავ, იმასაც ვე-
რა, რაც წარსულს უნდა აცოცხლებდეს. ნუ იფიქრებ, რომ ამას ისინი გან-
გებ აკეთებენ. არა, ეს მათი დაუდევრობის შედეგია. ძმაც და მამაც ჯერ
თავიანთ თავს ექცევიან დაუდევრად და მერე - ყველას და ყველაფერს
ირგვლივ. როგორც ჩანს, მათი ხასიათის ეს თვისება ჩემზეც ვრცელდება.
მეც ხშირად მეჩვენება, რომ ნამდვილი მკვლელი ვარ. ეს ხდება მაშინ,
როცა ფიქრში, ამა თუ იმ ნივთით მოხიბლული, ამ ნივთის სახელს ვიმეორ-
ებ ერთხელ, ორჯერ, ათჯერ. მე ეს მსიამოვნებს და ჩემს თავს ვიჭერ იმა-

ში, რომ სულ სხვა რაღაც მანიჭებს ტკბობას: ის, რომ ნივთი ამ დროს თითქოს ძირს ენარცხება, გულწასული კაცივით ვარდება, და მსხვრევის ხმა ჩამესმის. მე ეს შემიძლია: ვხოცავდე ნივთებს, გონებაში მათი მრავალჯერადი დასახელებით, და ტკბობას განვიცდიდე. მაგრამ ძმა და მამა ამას შეუგნებლად აკეთებენ, უყურადღებობით და უგულებელყოფით. ისინი იმას უგულებელყოფენ, რასაც დაჟინებით აშტერდებიან და თითქოს ყოველმხრივ სწავლობენ და იმახსოვრებენ. ერთადერთი, ვინც ჩემს ამ უნარს ანგარიშს უწევს, მამაჩემის საყვარელია. როცა ის ჭამას იწყებს, ვეგზნები და აუხსნელ ქავილს ვგრძნობ ბოქვენზე, ტანში კი ჟრუანტელი მივლის და მაიძულებს, თვალი მოვაშორო. თუმცა, მე მაინც ვახერხებ ტკბობას მისი მუშაობით. დიახ, იგი ამ დროს მუშაობს, ხდება შესამჩნევად სერიოზული, თავშეკავებული; სინაზე და ქალურობა ადგილს უთმობს მამაკაცურ სიფრთხილეს და სიზუსტეს; არც ერთი ზედმეტი მოძრაობა! ყოველი ჟესტი ოპტიმალური და მათემატიკურად დახვეწილია. მან იცის, თავის თავში, მჭამელი ადამიანის ფასი და ამ ცოდნას ჩინებულად, უდანაკარგოდ ფლობს. როცა სადილობა ან ვახშმობა ერთად გვიწევს, როგორც წესი, მე სუფრიდან მშიერი ვდგები. თავიდან ვბაძავდი კიდეც ჭამაში და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მისი შინაგანი მდგომარეობა უცხო აღარ იყო ჩემთვის, მაგრამ მერე, როცა უფრო სერიოზულად შევხედე საკითხს, დავინახე, რომ სხვა მიმართულებით წავსულვარ, მთლიანად დამიკარგავს კავშირი იმ საიდუმლოსთან, რომლის წვდომაც მსურდა. მე მინდოდა ამომეცნო არა მისი ხიბლი, არამედ - ტკბობა. როგორ მივიდა ის ამ ტკბობამდე? როგორ ტკბებოდა? ღმერთო ჩემო, ნუთუ შესაძლებელია, გიყვარდეს კაცი, მამაკაცი, სუნთქავდე მამრის გულისფეთქვას, და საჭმელთან ისეთ ურთიერთობასაც ინარჩუნებდე, როგორსაც მამაჩემის ეს ქალი ამჟღავნებს? ნუთუ, შეიძლება ენერგია თანაბრად განაწილდეს პირსა და დუჩუნას შორის, ისე, რომ არც ერთს მისხალი არ მოაკლდეს? ალბათ, მამაჩემის საყვარელი ჭამისას უფრო იხარჯება. მაგრამ მისი ცქერით გაბრუებულ ჩემს თავს რა ვუყო? მეც ხომ ასე ვჭამ. უბრალოდ, ჩემით, ჭამაში ჩართული ჩემი არსებობით, ტკბობას ვერ ვახერხებ. და ეს ქალი მშველის? აი, მას პირთან მიაქვს შემწვარი კარტოფილი; ვიდრე მისი ფაიფურის ბროლი კარტოფილს იგრძნობდეს, ორი-სამი ისეთი ჟესტი შესრულდება, როგორიც მხოლოდ სტაჟიანი მსახიობის მონდომებას შეუძლია, მაგრამ, დამერწმუნე, ის მსახიობი არა და არაა. უბრალოდ, მან იცის, რომ შესავსებია დრო კარტოფილის ჩანგალჩარტყმულ ნაჭერსა და უკვე გაღებულ ლამაზ პირს შორის, და მან ეს იცის ყოველგვარი ცოდნის გარეშე, თავისით, არაინსტინქტურად. როცა მე მასთან ერთად ვსადილობ,

ჩემს ცნობისმოყვარეობასა და მის ქმედებებს შორის ზღვარი იშლება; ამ დროს ვგრძნობ, რომ ნებისმიერი მისი ჟესტი მე მეკუთვნის, ჩემთვის სრულდება. აი, პირთან კარტოფილის ნაჭრის მიტანამდე ორი წამით ადრე, თვალს წყვეტს მაგიდის ძგიდეს და მზერა გადააქვს კარადის თავზე, სადაც გამჭვირვალე ლურჯ ლარნაკში ჯოხებივით ჩასობილან დამჭკნარი ტიტები და, თითქოს, მხარს უჭერენ უჩინარ ქაოსს, ათი ბუზის ერთობლივი ზუზუნივით სასოწარმკვეთს, ცხოვრების საზრისში მოკირკიტე ადამიანისთვის იმედისგადამწურავს და დამღლელს ყველა ასაკში და ყველა სქესში. ან, ვთქვათ, უცებ, თვალს თვალში მიყრის და ტუჩის კუთხეს დაირბილებს მიმტევებლური ალერსის ნიშნად, რომელიღაც - ჩემთვის უხილავ - სამყაროში გაიღიმებს. მას შეუძლია, მსგავს მოქმედებებს იმეორებდეს ასჯერ და ათასჯერ, მაგრამ - ყოველთვის თვინიერ ცოდნის და თვინიერ ინსტინქტის. ალბათ, მე ასეთ მოქმედებებს ვერასოდეს ვერ შევასრულებ ისე, რომ რაღაც არ გავიმეორო, არ ვიყო ჭკვიანი, არ ვიყო მოშურნე. და მაინც, ჩვენ ერთნაირად მივირთმევთ საკვებს და მე ეს მახარებს. ზოგჯერ მგონია, სწორედ მე მბაძავს ისეთს, როგორი ჩემი თავიც ჩემთვის უცნობია; და ფრთხილად ზრუნავს იმაზე, რომ დაკარგული ჩემი თავი, მივიწყებული ჩემი სახე და მოძრაობები შემახსენოს. ნუთუ, ჩემს ბავშვობასაც იცნობდა? ნუთუ, მოწმე იყო დედაჩემის წვალების და გარდაცვალების? ნუთუ, უკვე მაშინ სახლობდა მისი ხატი ჩემს თვალებში, ჩემს გონებაში? რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, როცა ასეთი კავშირი ცოცხლობს ჩემსა და მას შორის? ზოგჯერ მგონია, იმას ფიქრობს, რასაც მე ვფიქრობ, და ჩუმად ვუყვარვარ, ისე, როგორც შეუძლია.

მამას უკვე ჩვევად ექცა, ოცდახუთი წლით თავისზე უმცროს ამ ქალბატონს, მის ოდინდელ სიამეებში მსუბუქი, ჰაეროვანი ღიმილით შემოშვებულს, თავზე ხელს უსვამდეს მაშინ, როცა მისი ხანდაზმული მეგობრები სალონურ და ესთეტიზებული უსაქმურობისთვის დამახასიათებელ სევდას ეძლევიან, ნოსტალგიას არავიზე და არაფერზე, იმავდროულად კი - იმ ყველაფერზე, ერთად აღებულზე, რაც მათი სპონტანური ხედვის ღრუბლებში დატივტივებს, რაც ეს-ესაა გამოჩნდა და მალე თვალს უნდა მიეფაროს. ყოველთვის მაშინ, როცა ერთ-ერთი მეგობარი ვრცელ ამბავს ყვება, ის ამ ქერა თავს უალერსებს და უვლის, უღიმის, მძიმედ სუნთქავს, მოლაპლაპე იატაკს ღრმაზროვნად ჩაშტერებია და საკუთარ ძვირფას არსებას ლამაზ თავზე ხელს ისე უსვამს, თითქოს კრიალოსანს მარცვლავდეს, წლობით ნაერთგულევს. მისი ქერა თავი კი ღვივის, ყველას დასანახად ზეიმობს რაღაც ისეთს, რამაც მისი საიდუმლო უნდა დაიცვას, რამაც უნდა შეუნარჩუნოს მონიშნული დისტანცია მის ამ ლამაზ თავს.

ვისთან ან რასთან? ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, არსებობდეს გარკვეული, ჯანმრთელი მიზანი, და ეს უკანასკნელი თავად უზრუნველყოფს საჭირო დისტანციის დანიშნულებას და შედეგს. ეს ყველაფერი ხომ მაინც არსად არ უნდა შემოწმდეს. მერე თავი პატარავდება, იქცევა ურცხვ და უხეშ თოჯინად, რომელსაც უფლება ეძლევა, ამოწმებდეს მამაკაცთა აქ შეკრებილი ამაყი გუნდის ზნეობრივ და მორალურ სახეს, ამ სახის ფარულ, მხოლოდ ქალთა სქესისთვის შესამჩნევ ნიუანსებს, კონკრეტულ სურვილებს და მოთხოვნილებებს, ლოკალური პოლიტიკურ-ბიოლოგიური ომის კულისებში ფეთქებად ცვლილებებს.

ნუთუ, ხანდაზმული ადამიანებისთვის სიცრუე შველაა? სხვათაშორის, მათი ყოველდღიური, უშუალო ყოფაც ხომ ასეთია, - მითოლოგიური, შინაარსიანი, შენობებით და გზებით აღსავსე, ანუ ისეთი, როგორიცაა ყველაფერი, რაც აღინიშნება სახელით, რომლითაც აღინიშნება ყველა, ვინც აღნიშნავს. ეს ჩვენი ვალია: აღვნიშნავდეთ ყველგან, შინ და გარეთ; აღვნიშნავდეთ კიდევ ერთხელ. რომ არ გვიყვარდეს სახელები, იძულებულნი შევიქნებით, ის შევიყვაროთ, რაც ან ვინც ამ სახელების მიღმა არსებობს თავისი ნამდვილი, უსახო და უსახელო ცხოვრებით, არაფრით. თქვი, როგორი გასაძლებია ის, რასაც ჯერ კიდევ არ ჰქვია სახელი? იქნებ, მთელი საიდუმლო სისწრაფეშია? რაც შეიძლება სწრაფად სახელვდოთ ის, რაც არ ვიცით, და დავამთავროთ? ბოლო მოვუღოთ უცნობს? თუმცა, ეს ძველი პრობლემაა: ფრენა თუ სახელი, სიტყვა თუ სახელი. მე კი ჩემს ბრინჯის მდუღარე ფაფას ვუბრუნდები და სულს ვუბერავ, პრაქტიკული და მიზანმიმართული. აბა, სხვა ვინაა ადამიანი ამ დაღლილ, ბედკრულ სამყაროში, თუ არა ყოველდღიური ეროგენული ზონა, ყოველდღიური რისკი და ნახტომი, მრავალწერტილების წაშლის, უპიროვნო სიამოვნების ბლანტი სითხით მათი უხეში არსებობის მიჩქმალვის მცდელობა, მზეზე ან ჩრდილში დგომა, წიგნის კითხვა, შეხება მიცვალებულის სხეულთან ან შეყვარებულის გულთან. როცა თანაგრძნობა და სიბრალული ერთმანეთისგან ვეღარ განირჩევა, ჩნდება სურვილი - დაპატარავდე და ოდნავღა ბჟუტავდე, ლამის კვდებოდე და არავინ გიცნობდეს. ეს "სხვა" ვინაა, თუ არა შენგან და შენი მიზნით წარმოებული, განკითხვის მოლოდინში ამოქმედებული, გადაწურული იმედის მსგავსი? ვინ აქცია იგი სხვად და გამორჩეულად, თუ არა შენმა უსაზღვრო სურვილმა, - შეგექმნა დისტანცია და ამოგესუნთქა, გაგერკვია რაღაც ისეთი, რაც საძიებელია მხოლოდ ქვემოთ, მხოლოდ უფსკრულში? შენს ყრუ ფიქრებში მტვრის ურიცხვი ბუჩქი შრიალებს, და როცა ვიღაც მზად არაა შენი წყურვილის ასატანად და გასაძლებად, შრიალი მატულობს, უფრო ასატანს ხდის ყველას, ვინც

შენ ვერ აგიტანა ისეთი, როგორიც არავინ არავის არასდროს სჭირდება, და უფრო ამაყად და თავდავიწყებით განაგრძობს ცეკვას მშობლიურ-არალეგალური სიზმრის ხვეულებში, სიღრმისკენ დაქანებულ თავის მარტივ, თუმცა კი ერთადერთ, შემთხვევითობაში.

- მე ამ სიზმრებით ვზომავ სიცოცხლეს ყოველდღიურად, ეს საქმე ჩემი საშველია, ისე, როგორც ჩემი ძმისთვის და მამაჩემისთვის - ფულის კეთება. შენ გგონია, მათ ეს სჭირდებათ? არა, მათ, უბრალოდ, დრო გაჰყავთ. იმ ქალსაც დრო გაჰყავს. მე ვიცი, რომ რასაც ეს ქალი ჩემს თვალწინ აკეთებს, მე მეხება, მაგრამ - არა როგორც აგრესია. ისიც ხომ მსხვერპლია. როგორი მოწყალე და მიმტევებელი ვარ, არა? იქნებ - იმიტომ, რომ წყალივით და ჰაერივით საჭიროა ჩემთვის, რომ ის ამ საქმეს არ წყვეტდეს და ყოველთვის ჩემს თვალწინ ეალერსებოდეს მამაჩემს, უჩვენებდეს მკერდს, სუნთქავდეს სხეულით, ავსებდეს მთელ ჩვენს სახლს ამ თავისი სურნელებით? რას მოითხოვს მამამაჩემისგან, თანაგრძნობას თუ თანადგომას? მამაჩემი არაა უტვინო, ის პრაქტიკულია, ზოგჯერ ჭკვიანიც. საერთოდაც, კარგი წყვილია. ერთადერთი, რაც მის სხეულს თავს უყრის და მართლა ლამაზია, მისი მკერდის ნატიფ, კლასიკურ ოვალზე ითქმის. და ის ამ მკერდს ყოველთვის ოსტატურად მიმართავს მამისკენ, ის მას ამუშავებს. მისი მკერდი იგრძნობა მისი კანის ფერშიც, რომელიც სხვა ქალს გააუბრალოებდა, მას კი ამშვენებს, მის ღვარჭნილ და დაგრეხილ ფეხებსაც კი ამართლებს. თითქოს, ყველაფერი ასეც უნდა იყოს. ხანდახან ვფიქრობ, რომ ის თავის ტანს კარგად იცნობს. ალბათ, მამაჩემის დამსახურებაც დიდია ამაში. ის და მამა ჯერ კიდევ მაშინ მეგობრობდნენ, როცა დედა ცოცხალი იყო.

მზის ჩასვლა ამ ხმაურიან ქუჩას ზაფხულობით ხმაურისადმი განურჩეველს ხდის; უსაქმოდ მოსეირნე და საქმიანი ნაბიჯებით მოსიარულე ადამიანები აღარ განირჩევიან ერთმანეთისგან, უფრო მეტიც, თითქოს განზრახ, უხილავ სცენარს უქვემდებარებენ თავიანთ ერთობას, ზღვარს განგებ შლიან; თითქოს, ეს მათი სოლიდარობის ერთადერთი ფორმა და სახეა, მოსასწრები. ამ დროს ქუჩას ერთბაშად ყური უგუბდება და მოუსვენრობით გაჯერებული სიამოვნება იპყრობს, მსუბუქად ვარდნის განცდა ეუფლება. სადღაც საგულვებელი მრგვალი მზის სტაფილოსფერ დისკოს ასფალტის და ბათქაშჩამოშლილი გალავნების მინავლული მხურვალება ითვისებს და პრეტენზიულად, თითქმის რაღაცის მტკიცების ნიშნად, ინაწილებს; სასურსათო მაღაზიის ვიტრინას მიყრდნობილი მოხუცი ქალიც აღარ აღძრავს გამვლელებში ლოკალური მოულოდნელობის უფერულ განცდას; ძაღლებიც სამუდამოდ გადაშენებულან. დღის ერთ

ასეთ მიწურულს, მეორე კაცთან მორიგი სასიყვარულო შეხვედრის მერე ჩაძინებულმა, ნახა სიზმარი: მარჯვენა თვალი თანდათანობით გაეზარდა და ექცა გიგანტურ წითელ გულად, რომელშიც, ისრის ნაცვლად, გაყრილი იყო ვერცხლისფერი ხანჯალი. ის ამ გულს უყურებდა თავისი ჩვეულებრივი მარცხენა თვალით და ცდილობდა, არ გამოფხიზლებულიყო.

4.

- ჩემი სხეულის ყოველი ჟესტი ეძებს ადგილს, რომელშიც მისი, ამ სხეულის, მოძრაობის შეჩერება გახდებოდა შესაძლებელი. მაგრამ ის ამას ვერ ჩაიდენს არა იმიტომ, რომ ადგილის მიგნება შეუძლებელია, არამედ - იმიტომ, რომ მისი ჟესტების თანმიმდევრობა მხოლოდ იმიტაციაა ძიების. მოძრაობა ხომ უკვე დასაზღვრულია. ის, რის სპონტანურობაშიც იგი დაარწმუნეს, განსაზღვრულიცაა და დასაზღვრულიც. ის ამ წინააღმდეგობას ვერ ხედავს, მაგრამ წვალობს, ვინაიდან ეს წინააღმდეგობა მსჭვალავს მისი მოძრაობის ავტონომიურ ნაწილს, სამოძრაო ველს, რომელიც დაძაბულობის შემქმნელი, მიწყივ ადგილმონაცვლე სიცოცხლეა. წინააღმდეგობა მის თავში იწვევს ამოუხსნელი ამოცანების მთელ კასკადს. უკვე არსებობს შიში, რომ ამ ფაქტს, წინააღმდეგობაში მის ფართხალს, ამოიკითხავს მაყურებელი ანუ ის, ვინც სწორედ წინააღმდეგობის არარსებობაში უნდა დაარწმუნოს, უკეთ, უნდა დაარწმუნოს, რომ ის კი არ მორჩილებს, არამედ განაგებს წინააღმდეგობრიობას, შეუძლია მაყურებლისთვის მისი თავსმოხვევა, მისგან მაყურებლის გათავისუფლება, ერთი სიტყვით, - მაყურებლის ფლობა. აქ კი რა ხდება: ის თვითონ იქცევა წინააღმდეგობრიობის მსხვერპლად, რასაც, თურმე, მაყურებელიც ხედავს, და ამ ხედვას მაყურებელი გაჰყავს კიდეც მისმიერი ფლობის სფეროდან. ჩემი სხეული ახლა მარტოა, ანუ არ ჰყავს ის, ვის მოტყუებას, შეცდენას და შეჩერებასაც მოახერხებდა, ვინც მას კი არა, მის სიბრმავეს დაემორჩილებოდა და ამით ნუგეშს მოჰგვრიდა, კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა, განუმტკიცებდა რწმენას, რომ შეიძლება სიბრმავეც დამკვიდრდეს და იყოს მონათმფლობელი ან კერპი. მაყურებელი მის თვალწინ კარგავს მისი ავანტÁურის მთავარ ბერკეტს: უმანკოებას. მას უმანკო მაყურებელი ხელიდან უსხლტება სწორედ იმით, რომ ეს უკანასკნელი შეიცნობს მის სიბრმავეს, ანუ იგი - ჩემი სხეული - მსხვერპლი ხდება საკუთარი ავანტÁურის; ან - წარმოსახვის? მას ხომ თავისი მოძრაობა თავისავე თავში ანთებული იდეალური მოდელის რეალიზების პროცესად წარმოუდგენია.

შეცვლისა და მუდმივი ვარიაციებისთვის მას არ ჰყოფნის არც ფანტაზია და არც ცოდნა; არც დანაკარგების ან ვერშენაძენების ათვისების უნარი გააჩნია. რა მოიმოქმედოს ახლა, როცა საჭიროა სიტუაციის შემობრუნება სასიკეთოდ ანუ - მისი წარმოსახული გამარჯვებისკენ?

5.

მან ჯერ არ იცის, როგორ კვდება. მას ახსოვს, რომ დედა მოუკვდა, ახსოვს ის, რაც იყო, მაგრამ არ იცის, - როგორ ხდება, როგორ არსებობს დედის სიკვდილი. იქნებ, შენი ამ ფორიაქით, დაუდგენლობებით, ოცნებებში შემუშავებული სასიამოვნო სიტუაციების ინსცენირების წარუმატებელი, თუმცა ყოველთვის ხელახლა წამოწყებადი, მცდელობებით დედაშენის სიკვდილს კი არა, ამ სიკვდილის მიღმა დასანახი და არდასაკარგი შესაძლებლობების ამოკითხვას ცდილობ? შენი თითოეული გადაწყვეტილება და განხორციელებული ქმედება გაფაციცებით თვალს ადევნებს საკუთარ თავს, ცდილობს მახსოვრობაში მის არშეშვებას, შენარჩუნებას იმ დროში, როცა აღმოცენდა და იმუშავა. რა თქმა უნდა, ეს ნონსენსია, მაგრამ - ისეთი, რომელიც გზას უკეტავს რიტუალს, გამეორების კულტში ჩაძირვის საშიშ ვნებას, ყნოსვით გამოცდილს და განცდილს, შენს სხეულში დედაშენის მორალური ყოველდღიურობის მატარებელს.

- დედა ასე გარდაიცვალა: თანდათანობით. ის საათობით იჯდა სარკესთან და თმას ივარცხნიდა. როცა თმას არ ივარცხნიდა, თმას იღებავდა. როცა თმას არ იღებავდა, თავს იბანდა. არა, მისთვის უცხო იყო საკუთარი სხეულით ტკბობა. დედა ერთმანეთისგან არ მიჯნავდა საკუთარი სხეულის მოვლას და, ვთქვათ, სახლის დალაგებას, სუფრის გაშლას, სადილის მომზადებას. მისთვის ეს ყველაფერი ერთი და იგივე თუ არა, თითქმის ერთი და იგივე იყო. უბრალოდ, ის ყველგან და ყველაფერში თავის თავს ხედავდა და სიცოცხლის ბოლომდე არ შეცვლილა, ვერ გამოეყო ყოველდღიურ საგნებს და მოვლენებს, ვერ ამოერთო მათი რიტმიდან, ვერ მოახერხა მათი შემოყვანა საკუთარ მზერაში. ღმერთო ჩემო, ის ხომ თავის ყოველდღიურობას, ურთიერთობებით მარტივს და ეტიკეტებით, ჩვევებით ან ეტიკეტებთან და ჩვევებთან ფარული წინააღმდეგობის სულისკვეთებით დახუნძლულს, ისევ და ისევ, სარკეში ხედავდა. მისთვის ანგარიშგასაწევი მხოლოდ ის იყო, რაც სარკის ხედვაში ექცეოდა სწორედ მაშინ, როცა ის სარკის წინ თმას ივარცხნიდა. ის მხოლოდ ამ დროს ფიქრობდა, ცხოვრობდა, რაღაც მნიშვნელოვანს აკეთებდა, და მერე რაც უნდა

გაეკეთებინა, მნიშვნელობით იმის შევსება აღარ ხერხდებოდა, ადგილი აღარ რჩებოდა იმის მოსათავსებლად. დედაჩემს რომ ცხოვრების წესი შეეცვალა, არ მოკვდებოდა; არც - მაშინ, სიკვდილზე ასე ბევრი რომ არ ეფიქრა, უკეთ, სულ თვალწინ რომ არ ჰქონოდა წარმოდგენილი. მაგრამ, როგორც ჩანს, დედაჩემს ამან შეაძლებინა, მამაჩემი გაეთავისუფლებინა და დაეტყვევებინა კიდეც, ორაზროვან ცხოვრებაში გადაესროლა, მის ერთადერთ ტკივილად და ხსოვნად ქცეულიყო ამ უცნაური გზით: ორაზროვნებაში მისი შეკავებით. მე ვფიქრობ, მამა ყოველთვის უფრთხოდა და ახლაც საოცრად უფრთხის დედაჩემს. მამა ვერ იტანს არა არეულობას, უწესრიგობას, ნაკეცებს საწოლზე ან ტანსაცმელზე, არამედ - კვალს, შესაძლო სამხილს. ცდილობს ამ კვალის წაშლას და დაფარვას მაშინაც, როცა დასამალი არაფერია. ის, ერთდროულად, ეძებს კიდეც და გაურბის კიდეც ამით დედაჩემს. ეთამაშება, როგორც არა მხოლოდ ცოცხალს, არამედ - განმსაზღვრელს მისი უარყოფების და ჯანყის. განსაკუთრებით, ყნოსვა აქვს მძაფრი, სუნს ვერ იტანს, უკეთ - უცხო სუნს, ჩვენი ოჯახისთვის უჩვეულოს და ისეთს, რომელიც შეიძლება გამოირჩეს. მაგრამ რასაც ნევროზულად ებრძვის, ესაა ხილული კვალი უწესრიგობის, არეულობის და სექსის. იქნებ, აქედან მოდის მისი დაუდევრობაც, ჩემი ძმა კი მხოლოდ სოლიდარულია მამაჩემის ამ ომისა და ყოველწამიერი სიფხიზლის მიმართ? რას უმალავს მამა თავის გარდაცვლილ მეუღლეს, მხოლოდ ამ წვრილმან შეცოდებებს? იქნებ - იმას, რომ დედაჩემი გაჭრილი ვაშლის ნახევარივით ჰგავდა მამაჩემს? ისინი, თურმე, მართლა ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს; ამას ხშირად აღნიშნავენ ნათესავები. შევნიშნე ისიც, რომ საყვარელი მამას აწვალებს. მან ის წვალებას შეაჩვია. ეს ქალი, დედაჩემის სრული ანტიპოდი, დედაჩემის სუნად ყარს პირდაპირ. რაც იქ დღემდე ჩემთვის თავბრუდამხვევ სურნელებას აფრქვევდა, ახლა მძორის სუნად ყარს, გესმის? არადა, დედაჩემის სუნია. ნუთუ, სუნის მიბაძვა და გადმოღებაც შეუძლია ადამიანს? მამაჩემის საყვარელი ამ ფიქრს განმიმტკიცებს. მისი ღია, ნათელი ფერის კაბებიდან, ყოველთვის ხალისიან განწყობას რომ აღუძრავს მამაჩემს, როგორც ნაპრალებიდან, ჟონავს სუნი და ერთმანეთისგან გვაუცხოებს მე და მამაჩემს. უკვე თითქმის მხოლოდ ეს განცდაა ერთადერთი, რაც ერთმანეთთან გვაკავშირებს. და მაინც, ამ მყრალ და საზიზღარ სუნში დედისეულ მოძრაობებს, მათით გამოწვეულ კაბის ნაკეცებს და ტემბრირებად სურნელებას ვეძებ, მხოლოდ ჩემთვის სასურველს და წყალივით საჭიროს, ნაფიქრს. არა, ეს ქალი, მამაჩემის საყვარელი, მართლა ჯალათია. მაგრამ ნუთუ ამ ქალს ჰგონია, რომ ოდესმე დედაჩემის ერთ სუნს მაინც თარგმნის სრულფასოვნად, ისე, რომ მამა-

ჩემში ორაზროვნების ის უნიათო განცდა აღძრას, რომელიც ჩემს მშობლებს ერთმანეთს უქვემდებარებდა? ესენი კი, როგორც მე ვხედავ, ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ უგებენ, რომ ერთს ყოველთვის ფული სჭირდება, ხოლო მეორეს აქვს საშინელი მოთხოვნილება, ფულს ახარჯავდეს მაინც და მაინც ვიღაც ერთს თავის ცხოვრებაში, - დაგრეხილფეხებიანს. რა ცუდი ვარ, არა? მაგრამ უკვე ჩემი სიზმრებიც აიკლო ამ ქალმა. "როგორ ფეხებს? ღვარჭნილს? ესეც რაღაც მათემატიკურად დახვეწილი აღწერის ნაირსახეობაა, არა?". ნანახიდან კონკრეტული არაფერი მამახსოვრდება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხშირად ვხედავ. მე ის მაწვალებს. ჩემი სიზმრები, თითქოს, უკვე აღარაა არალეგალური. უკეთ, მათი არალეგალურობის საზომი გაქრა და გამოვყრუვდი, სრულიად მარტო მიწევს ცხოვრება ჩემს ამ უამურ ღამეებში, კაცებზე და ჩემს ლამაზ დუჩუნაზე მწუხარე ფიქრებში. არ ვიცი, დედა როგორ კვდება? იყო დრო, როცა გათხოვებაზე ვოცნებობდი. მაგრამ ეს მხოლოდ საბაბი იყო. მე ვტკბებოდი იმის ათასჯერადი წარმოდგენით, რომ ბავშვს და მეუღლეს, რიგ-რიგობით, მივცემდი ძუძუს. მათ ჩემი რძე უნდა მიეღოთ და მხოლოდ ერთად ყოფილიყვნენ ჩემი შვილები. ამაზე ახლაც თანახმა ვარ, რასაც, ალბათ, ვერავინ გამიგებს, ჩემი ეროტიკული ფანტაზიები ქრისტესაც კი თეთრ ჩვრებში ხვევს და გულზე იხუტებს, თეთრ, მდუღარე ძუძუს აწოვებს, მერე აძინებს და სახლიდან მიდის, ატეხილი, აჩქარებული, კივილით ეძებს კაცს, რომელთანაც სექსიც შეიძლება და სექსის დროს ჩემზე ლაპარაკიც. მაგრამ ბავშვებთან ქალმა რაზე ილაპარაკოს? მით უმეტეს, როცა ამ ქალს ძალიან უნდა, ეს ბავშვები მასზე მაღლები არ გაიზარდონ? ალბათ, ყველა დედა განწირულია, რომ სადღაც, თუნდაც ტრანსპორტში ან ბაზარში, იყოს ჯალათი და მსხვერპლი. ერთდროულად, მოითხოვდეს და გასცემდეს, არა? ჯალათმა ხომ ყოველთვის იცის, რა მოითხოვოს თავისი მსხვერპლისგან. მან უკვე იცის პასუხი და მსხვერპლისგან მხოლოდ დასტურს ითხოვს თავის პასუხზე. იმის თქმა მინდა, რომ მსხვერპლმა უნდა აღიაროს ის, რაც დაემთხვევა ჯალათის წინასწარშემუშავებულ პასუხს. მსხვერპლი იმიტომაცაა მსხვერპლი, რომ მას საკუთარი პასუხის უფლება წართმეული აქვს, მისი სიმართლე უსარგებლოა. ის ემორჩილება ან ვერ ემორჩილება ჯალათის სიმართლეს და, შესაბამისად, ექვემდებარება წამებას. ის ყოველთვის შუაშია, მორჩილებასა და დაუმორჩილებლობას შორის, სრულია მხოლოდ მისი შუალედური მდგომარეობა. რას ეძებს ჯალათი თავის მსხვერპლში? რას აძებნინებს იგი თავის მსხვერპლს? რა თქმა უნდა, - იმ პასუხს, რომელიც უკვე იცის ჯალათმა, რომელსაც ფლობს იგი და რომლის მიგნებაც მსხვერპლის მიერ შეუძლებელია თუნდაც იმიტომ,

რომ ჯალათის ფსიქიკის წმინდა ნაყოფია. მსხვერპლი განწირულია ამ პასუხის ვერმისაგნებად. ჯალათი თავის მსხვერპლს დათვურ სამსახურს არ გაუწევს, პასუხს არ გაუმხელს. ყველაფერი მთავრდება იმით, რომ ან მსხვერპლი ამ პასუხს აღმოაჩენს და ხდება ჯალათი, ან ვერაფერსაც ვერ აღმოაჩენს და იყინება პირველივე საფეხურზე, მსხვერპლადდარჩენილი, ვერამაღლებული ჯალათადქცეულ მსხვერპლამდე. მამაჩემი ხედავს, მაგრამ თვალს ხუჭავს არეულობაზე, რომლის შენარჩუნებაში უკანასკნელი წვლილი სულაც არ მიმიძღვის. მე მყავს დეიდა, რომელიც ძალზე ეშმაკია და იცის, რომ არეულობას ჩემში კი არა, ჩემს ირგვლივ ვქმნი, როგორც შემიძლია. მე არ მეგონა, ჩემი ამ ნაღვლიანი მოღვაწეობით ვინმეს თუ ვაწუხებდი, მაგრამ ასე სულაც არ ყოფილა. აუცილებლად იქნება ერთი, ვინც შეწუხდება თუნდაც იმით, რომ თვალს მიეფარე. ხანდახან ვდგავარ, მიდის დრო და მსიამოვნებს, რომ დრო მიდის ჩემს დგომაში. მე არ ვიცი, რა ხდება ამ დროს ჩემს თავში, და არც მაინტერესებს, მაგრამ ჩემი ასეთი დგომა, შეიძლება ითქვას, ჩემი მთავარი მეგობარია, ისაა, ვისაც ჩემი ესმის. ასე ვიდექი სამზარეულოში. შევედი და დავდექი თავისით. მე მიყვარს ჩემი მეგობარი და, როგორც ჩანს, თავისთავად ხდება, რომ ჩემს ამ დგომას ხელს არ ვუშლი დიდხანს დგომაში. იდგეს და იყოს, მაგრამ დეიდაჩემს ან მამაჩემს ხომ ამას ვერ გავაგებინებ ათასი წელი. არ შემხმიანებია, გამოსულს კი ჩამეძია, გინდა თუ არა, მითხარი, რას აკეთებდი სამზარეულოში ამდენი ხანიო. ვეუბნები, არაფერს მეთქი. ეგ არაა პასუხიო, ეწყინა. მე ხომ არ ვიცი, ჩემს ასაკში თვითონ რას აკეთებდა სამზარეულოში. თვალებს აბრიალებდა და გულშემატკივრის სახე ჰქონდა. ძმა და მამაც ასე აბრიალებენ თვალებს, მაგრამ როცა ჭამენ, კეთილები არიან. მეტყველებაც უტკბებათ, ერთმანეთს ლამის ეალერსებიან. როცა ხუმრობით ან მართლა ვეუბნები, თქვენზე კარგი ადამიანები შიმშილობენ მეთქი, ჭამის მადა ეკარგებათ და ბრაზობენ. სხვათაშორის, ზოგჯერ ჩაფიქრდებიან და ამბობენ, რომ რამდენი რამე აქვთ ცხოვრებაში გასაკეთებელი. ჯერჯერობით ფულს აკეთებენ, ერთიც და მეორეც. როგორც ჩანს, ბევრს არა. მამა კიდევ იმით არის დაკავებული, რომ ამ ფულით თავის ფეხებდაგრეხილ საყვარელს არჩენს და სასტიკად რცხვენია ამის გამო ჩემი, მარტო ჩემი. მეორემ, როცა ეს ვუთხარი, კბილების კრაჭუნით მკითხა: "და შენ ეს გახარებს?". კი არ მახარებს, მამას მაცოდებს და ჩემს ამ შინაგან მდგომარეობას ვერ ვიტან მეთქი. ვერ გაიგო, ვითომ. მაშინვე მივხვდი, რაც ეტკინა: მასაც ჰყავს ის, ვისთვისაც მოსიარულე სალაროს წარმოადგენს. რა შტერები არიან კაცები, რა სულელები! როგორ მინდება ზოგჯერ, მათი ეს სისულელე გავათბო, გავზარდო და ვაქციო სიბრძნედ, რომელსაც

ყველაფერს დავუჯერებ. მამაჩემი ისე იქცევა, თითქოს ამ ქალს მასთან მხოლოდ სიყვარული აკავშირებდეს. მე ამ ქალს სულაც არ ვამტყუნებ: ქმარი და ორი მოზრდილი შვილი ჰყავს სარჩენი, ამასაც ხომ მუშაობა ჰქვია. მთელი ქარხანაა! მას შეუძლია, მამას, ერთდროულად, სიყვარულსაც უხსნიდეს და ფულსაც თხოვდეს. ამ დროს ვხვდები, რომ ის პატიოსნად მუშაობს, რასაც ვერ ვიტყვი მამაჩემზე, რომელსაც ჩემი - რატომღაც - რცხვენია. არა მგონია, მხოლოდ ჩემი წესიერება იყოს მიზეზი მამაჩემის ამ ბრიყვული დაბნეულობის, ან - მეორე ჩემი საყვარლის. მე რომ მათ კმაყოფაზე ვიყო ან ისე ვიქცეოდე, როგორც ეს ქალი ექცევა მამაჩემს, რა შეიცვლებოდა? ან თუ ექნებოდა აზრი ასეთ შეცვლას? უბრალოდ, მე არ შევუშლიდი მათ ხელს ცხოვრებაში, არა? მამა ცდილობს, ვერ მამჩნევდეს ყოველთვის, როცა გამომწვევად მივჩერებივარ. ეს ხდება იშვიათად, მაშინ, როცა ვეღარ ვუძლებ რაიმე ისეთს, რაც ჩემთვის სასურველ არეულობაზე ცხრაჯერ მეტია; მაგალითად, როცა მამა შემოდის ოთახში და ლოყაზე პომადის ანაბეჭდი უვარვარებს. განა, ეს გამოწვევა არაა? ან, ვთქვათ, ჩემს თვალწინ თამაშდება ასეთი სურათი: მამა საწოლთან დგას, ქალბატონი კი კისერში ხელებს უყოფს, მერე იღლიებთან ეალერსება და მინავლული ხმით უხსნის სიყვარულს, რაც ფანტასტიკური სისწრაფით გადადის ორიოდე ასეული დოლარის თხოვნაში. მამა ასეთ დროს იდიოტივით უნდა იდგეს და კბილებსიქიდან იცინოდეს ალერსიანი, საიმედო ხმით. როგოც ჩანს, მე მათ მართლა ხელს ვუშლი. ერთხელ ასეთი სიზმარი ვნახე: იწვა ეს ქალი ფეხებგაფარჩხული, უზარმაზარი დუჩუნიდან ტოლმის გუნდები გადმოსდიოდა, მამაჩემი კი ოთხზე იდგა, ამ ლორწოვან გუნდებს ნთქავდა და გემრიელად ილუკმებოდა. როგორც ჩანს, ისინი უფრო კარგად მიცნობენ, ვიდრე მე - მათ. და ეს, ალბათ, არცაა ცუდი. მაგრამ რასაც სიბრძნედ აქცევ, აბერებ კიდეც. ამ დროს ვიღაც, ჩემთვისაც უცნობი, ძირს ენარცხება და უკვე აღარ ტირის. მზარავს, როცა ჩემში ეს ხდება. ხოლო ერთხელ, დანარცხებულმა იმდენად კონკრეტული სახე მიიღო, რომ მოგუდული ხმით შევკივლე, თუმცა, შიშმა მაიძულა, თვალები დამეხუჭა და გულგახეთქილს ასე მეფხიზლა. სიმწრის ოფლში ვცურავდი და ისეთ დაღლილობას ვგრძნობდი, რომ, ერთი პირობა, შიშმაც დამტოვა და სავსებით გასაგები ეჭვი აღმიძრა, - იქნებ, სულაც მძინავს და მეტი არაფერი მეთქი. მაგრამ იმისთვის რა მომეხერხებინა, ვინც ასე კონკრეტულად მედგა თვალწინ? ან ვინ იყო? ან რა უნდოდა?...

"ჩემი ეჭვები, უნდა მოგახსენოთ, არც მისი უღრუბლო ფიქრების გავლით მიედინებოდნენ საკუთარი წარსულისკენ (თუ წარსულთა სიმრავლისკენ?) და არც იმის დანახვას ცდილობდნენ, ვისაც შეეძლო ჩემზე

ბევრად ღრმად ჩაესუნთქა, ამოესუნთქა და არ მომკვდარიყო. თუმცა, ეს ჩვენი საიდუმლოა. ამჯერად საქმე ეხება იმას, ვისაც ქუდი ეხურა არა თავზე, არამედ მხრებზე და წაქცეულ ბეჭებზე".

"შენ ამბობ, რომ ნუ მგონიხარ ასე სულული; რომ შენ ძალიან ჭკვიანი ხარ. შენ ვერ გამიგე. მე არ მინდა, შენ ისეთი ჭკვიანი იყო, რომ სულელს ჰგავდე. თუმცა, რა ვიცი, შენ მართლა ჭკვიანი ხარ, რაც, რატომღაც, აღარ მაფიქრებს".

"საქმე ეხება იმ სოციალურ წესრიგს, რომელსაც, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ შესწევს უნარი არა უბრალოდ შეშლილთა წარმოშობისა და შენარჩუნებისა, არამედ - ნორმატულ სისტემასთან მათი შეჯახების დაფიქსირებისა. კონტექსტს, ნებისმიერს, ზარავს მათი არსებობა. კონტექსტი მათ ითვალისწინებს და მალავს. კონტექსტი მათ უფრთხის".

ხოლო ლაბირინთს, ჩემი ღრმა და უსაფუძვლო რწმენით, ობიექტური და რეალური ცენტრი არ გააჩნია იმისთვის, ვინც ლაბირინთში მოხვდა (ვინც გარეთ დარჩა, მისთვის ასეთი ცენტრის არსებობა-არარსებობა აქტუალური არაა); მისთვის ცენტრი ნიშნავს მინოტავრთან შეხვედრის დროს და ადგილს, ანუ ცენტრი იქ და იმ დროს არის, სადაც და როცა მინოტავრი თავის მსხვერპლს ხვდება, უკეთ - თავის მსხვერპლადსაქცევ მოგზაურს. ცენტრის მიმგნები (თუ აღმომჩენი?) განწირულია მსხვერპლადქცევისა და დაღუპვისთვის. ლაბირინთში მოხვედრილმა ადამიანმა იცის, რომ ცენტრი სადღაც არის, მაგრამ ის ეძებს არა ცენტრს ანუ მინოტავრის ხახას, არამედ - გამოსავალს, გადააწყდება კი სწორედ იმას, რასაც გაურბოდა, რის დაკონკრეტებასაც არ ისურვებდა. ცენტრის გაჩენა ემთხვევა ცენტრის მიმგნების გაქრობას სივრცეში და დროში, ავბედითი ცოდნის მესაიდუმლედ მის გაუჩინარებას. დასაშვებია თუ არა საპირისპირო? ნიშნავს თუ არა მინოტავრის, ცენტრის ძიება გამოსასვლელის მიგნებას ანუ - გამოსავლის მსხვერპლად ცენტრისმაძიებლის გადაქცევას?

6.

- ჩემი სხეული გაფაციცებით თვალს ადევნებს მაყურებლის გამომეტყველებას, პოზას, მიმიკას, და ეძებს ერთადერთს: აღიარებას. იქ, სადაც თანადგომის აღმოჩენა შეიძლება, ის ეძებს თავისი მოძრაობის აღიარებას, მოძრავის მიღებას, დაფასებას, პირველწყაროდ მის დასახელებას. მაგრამ პარადოქსული ისაა, რომ მისი მოძრაობა მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფია. სინამდვილეში, არსებობს მხოლოდ სტიქიური - თუმცა კი

თანმიმდევრული და უწყვეტი - მოძრაობების ჯაჭვი, რომლითაც ხელ-ფეხშეკრულია თავად ის, მოძრავი. საკუთარ წარმოსახვასთან ურთიერ-თობის შეზღუდულობა და, შესაძლოა, სწორხაზოვნება, მას გზას უკეტავს მთლიანობის სამწუხარო არარსებობის დანახვისკენ. მართალია, გუმანი კარნახობს, რომ აქ რაღაც ისე არაა, რომ მთლიანობა ვერ მიიღწევა, მაგ-რამ კრიზისის გადალახვას ის ცდილობს სავსებით საპირისპირო გზით - მოძრაობების გამრავლებით, ფრაგმენტების უაზრო დახვავებით, თავმო-ყრის აუცილებლობის ქვეცნობიერი უარყოფით. ეს მაყურებელზე გამარ-ჯვების მისმიერი ვნების სამსახურში მოძრაობის უნარის ჩაყენების პირ-დაპირი შედეგია. მაყურებელს, როგორც მოძრაობის აღმწერს, არ გამოპა-რვია მისი ეს ვნება, და ჩაიდინა ის, რასაც მოძრავი ყველაზე ნაკლებ ან სულ არ მოელოდა: მაყურებელმა შური არ იძია, ის თანაგრძნობით განიმს-ჭვალა. საერთოდაც, ჩემი სხეული ფლობს წარმოსახვის ერთადერთ უნ-არს: გადარჩენის შეუძლებლობას.

7.

მოგვიანებით, საქმის არქონა ცვალებადი ქალაქის გულგრილ ხეივ-ნებთან, შემოდგომის მტვერში გახვეულ ქარებთან და მანქანის დაქოქ-ილ, დამამცირებელ, ხელ-ფეხის გამყინავ სითბოსთან, მხურვალებაში გარდამავალ კანთან და ოფლის ეკლექტიკასთან. ერთადერთი ცოცხალი ეზოდან გამომხტარ ბურთს ბავშვების დაბალი გუნდი მოსდევს და მიწა უფრო მოძრავი და ცოცხალი ხდება. გუნდში ერთი, ყველაზე უშნო, წინა-ურდება და შენელებულ ბურთს აცხრება, მარცხენა ფეხს ურტყამს და კიდევ უფრო შორს გატყორცნის, ბურთი მინებდაორთქლილი მანქანის-კენ მოგორავს. დაუვარცხნელი, ჭუჭყიანი, მთელი დღის თმები, სიცილი და ერთმანეთის გადასწრების უზომო სურვილი, ბავშვური ეჭვების სისას-ტიკე, სპილოს ხორთუმში შესული ლურსმანი, გაოცებული თვალების და-მოუკიდებლობა და მათ შორის მოქცეული, შეურაცხყოფილი ხორთუმი. მტვერი მკვრივდება და ნოტიო სივრცის გამოცარიელებულ სარდაფში თავმოყრილ, უფრთო, უმომავლო ქალებს გამოუცნობ არჩევანს სთავაზ-ობს, უფერულ და უგემოვნო კროსვორდს, ათასჯერ შევსებულს. ძვირფა-სი დროის მიღმა ხეტიალი იმასთან ერთად, ვინც მარტოა თავის დროში, რომელიც უნდა მოიპოვოს წვალებით, ოფლით, შენთვის დაფარულით, შენგან დამალულით, მარტოსულის მზაკვრული დაუცველობით, შეუ-რაცხმყოფელით ჟურნალისტურ ცნობიერებათა, ქუჩა-ქუჩა და კაბინეტ-

კაბინეტ მორბენალთა, სოროების ბინადართა მილიონებისთვის. "ჰაიდეგერი ჰეგელის ერთი მომენტია, მაგრამ არა უკანასკნელი... შენ უკვე სხვა ხარ, დაწყევლილი ხარ ოჯახისთვის, ცოლისთვის, შვილისთვის, ამ ხალხისთვის, ყველასთვის, ვისაც არ გაექეცი... შენ სხვას ვერაფერს ველარ შექმნი, საკუთარ თავსაც კი - ვერა... ჰაიდეგერი შეშინდა და ენას დაემალა, ენამ აღიარა და სიცოცხლეშივე დაამარცხა... მას არ შეეძლო, დაჯახებოდა ენას და აბსტრაქცია რეალობად ექცია, მან ვერ დაძლია ჰეგელის გამჭვირვალე, პირდაპირი გენია, დრო ვერ უკუაგდო, ამიტომაც ჩაიძირა პანისტორიზმში... სიყვარული ღმერთის გულშია, სხვაგან არსად... ის თვითონ იქცა აბსტრაქციად..." ტალახში აზელილი ხელებით ეჭიდები იმედს, რომ შეიძლება ჯერ კიდევ არ დაწყებულა ცხოვრება, ჯერ კიდევ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყველაფერი ანდერძია და მეტი არაფერი, რომელიც ნისლიან ეზოში გაითამაშეს თბილად ჩაცმულმა, პეპლებივით მსუბუქმა ბავშვებმა. თავბრუდამხვევი სისწრაფე, რომელიც მიზეზი კი არა, ფონია გათამაშებული მოულოდნელობებისთვის. "მან გააღმერთა ყასბის შვილი, გონებას არ ენდო... ეგონა, მისგან ადამიანზე ოდნავ ზედმეტს მიიღებდა... დაიმახსოვრე, ჩვეულებრივი არ უნდა გააღმერთო... ეს ბოროტი საქმეა, ჩვეულებრივის წინააღმდეგ ჯანყი, და ამას თვით ის, ჩვეულებრივი, არ გაპატიებს... ერთი, მის სახეს დაუკვირდი, პირუტყვისთვის დამახასიათებელი სულერთობით აღბეჭდილს, უგონოს... როცა ადამიანს თვალებში უყურებ და მისი თვალები ცალკე, უსახოდ და უტანოდ არიან, რაღაცით ემსგავსებიან თავკომბალებს..." შარდისფერი გუბეების მომწვანო-მოყავისფრო რხევები, გამოწვეული სიცოცხლის ფორმალური თავისებურებებით, მანძილით ნებისმიერ ორ მომდევნო შეჯახებას შორის. შეწებებული ბარძაყები, შინ მისვლისთანავე ჩამოსაბანი, მეხსიერების ბნელ, მოშორებულ უბნებში გასაძევებელი. კიდევ უფრო მოგვიანებით, ფანჯრის ჭრიალი და ცხოვრების დასასრული ერთთან, სამთან, ცხრასთან. "ის ავადმყოფი არაა, ექიმო, ის ავადმყოფებია". ტკბობა ამით: ნივთების მტვრევით, მათი სახელდებით, თვით სახელდების პროცესით, ნივთებისთვის ზურგისშექცევით. შურისძიების სურვილი, კრუნჩხვითი განტვირთვა ყველგან, სადაც შესაძლებელია თვითდამცირება, მაძღარი ხაზები, დისფორია. თქმა იმისა, რომ ეს ჭკუისსასწავლებელი შემთხვევაა. სულ სხვაგან, სახლში, სულ სხვა რამის თქმა, რასაც სამედიცინო ენაზე კოგნიტური დეფიციტი ჰქვია, ხოლო ამ ყრუ ენას - სიგიჟე, შოკი, ექიმები, აზროვნების დაჩრდილვა, დამბლა. ვარწმუნებ, რომ ხმა ყველას ესმის. მეუბნება, ტირის, ღაწვებს ფრთხილად, შემპარავად იწვალებს, მეუბნება, რომ ის უკვე დაიღუპა და არაფერი ეშველება, ცხოვრება დამთავრდა, არსად, ამ

ხალხში, არსად, ამ სოციალურ-მშობლიურ მიწაზე, ამ ბედნიერ თანადგომებში. მეკითხება: ხმა ყველას ესმის? ვეუბნები: რას ნიშნავს, რომ ფრთხილად ჭამ ნამცხვარს? იმას, რომ ჩემი გერიდება? მერე რა, რომ ძალიან გიყვარს! მერე რა, რომ მოსკოვშიც ჭამე და ამან მთლიანად გადაწონა შენი შიში, შენი მძვინვარება! დამდო პატივი და შენი ტკბობის პროცესს მაზიარო? მაყურებინო, სტუმრად ტკბობა როგორ შეგიძლია? შენ იქ ტკბები, სადაც მარტო ხარ? შენ არ გსურს, ვინმემ ისეთი გნახოს, როგორიც საკუთარ ტკბობაში და მარტოობაში ხარ? შენმა თვალმა უნდა მოასწროს, რომ აუცილებლად უნდა მოასწროს შესვლა იმ ორ სურათს შორის, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ შეყენებული ჩახმახებივით მისდევენ ერთმანეთს და ცდილობენ ერთმანეთის ამოკითხვას ერთმანეთის ხილულ სისწრაფეში, კრეტინიზმის გასწვრივ? კიდევ უფრო მოგვიანებით, საქმის არქონა აჭრიალებულ, მზიან ფანჯრებთან და ამ ფანჯრებიდან გამქრალ ხეივნებთან, ცვალებად ამინდთან, მანქანებიდან პერიოდულად, წლების მანძილზე, გადმოსულ კაცებთან, ძლიერებთან, სრულფასოვანი დამცირების შემძლეებთან, შენი იდეოლოგიის ადეპტებთან. სად არიან ისინი ახლა? რომელ შენს აწმყოში? ვისთან საჭიროში? თქმა იმისა, რომ ტკბობა ამით, ამ უტყვი და კვამლიანი ტკბობით, შეიძლება გახანგრძლივდეს სხეულის მიუვალ ტერიტორიებამდე, გასცდეს მალვის საჭიროებას და შარდისფერი გუბეებიდან ჩაესმას უსერიოზულეს არსებათა განათლებული, მეცნიერული სიცილი, არგუმენტაციების ზედახორა, კონკურენტუნარიანი მამაკაცების კრებითი ვიბრაცია, გადარჩენილი და გაკეთილშალაშინებული, მისი დუჩუნის უფერადეს აბაზანებში, ხორკლიანი მარმარილოს ლორწოვან კედლებში, ბლანტი ნეტარების მომგვრელ ბგერებში, რიგიდული შეჯახებების წრეში, კლასიკურ ჩვევებში გავლებული და სიკვდილს შერჩენილი. მისი დუჩუნის დრამატიზმი საომრად ამხედრებს, ემანაციის უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებს დასაქმებულ თუ დაუსაქმებელ მოკვდავ-უკვდავებს და ამ ორ უკიდურეს წერტილს შორის ჩარჩენილ საშუალოებს, გამოთაყვანებულსახეებიანებს, მისი დუჩუნის შენარჩუნებისთვის დაბადებულებს. მუშები უკვე ხარაჩოებს შლიან. მფრინავი ფიცრების დაცემა, მტვრის ლოკალური ბუღი, ყვითელ ან ჟანგიანკბილებიანი სიცილი, პაპიროსის ღეჭვა, პურჭყება თავისგაქნევით, გადასროლით. მათ შორის ერთი ამაყია, ულვაშიან-თეთრკვართიანი, სტუდენტური არდადეგების ფონზე. კილიმანჯაროს თოვლიანი მწვერვალიდან მოცურავს ცხელი, გამყინავი ვნება, შემხვედრის გადამქცევი უნარად, მსხვერპლად. საექსპლოატაციო კანტორაში ასაღები ფულის სუნი, მზადყოფნა. ვენერული ავადმყოფობის შიში უკან იხევს. მაიმუნების გა-

ვარვარებულ უკანალთა ერთობა სოლიდარობას უცხადებს მის სიმორცხვეს, მისი დუჩუნის ელვარე სალამს, სუპერმუშასთან შესაგებებლად აჩქარებულს. ყველას უხარია, ყველა თავის სამშობლოშია, ფუნქციონალურში, კატასტროფულში, ბრმაში. ჩემო, მართლა ცნობენ ბრმები ერთმანეთს და ნაცნობებს სუნზე? მართლა გამოსცემდნენ წმინდა მამები დამატკბობელ სურნელებას? მართლა ყარდა იუდა? ფიზიკურ შრომას მიჯაჭვული, აბსოლუტურად უპერსპექტივო ადამიანებისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით, გადამწყვეტი ორაზროვნებით მითითება მოხსნილ ხარაჩოებზე, ლუდხანაზე, მეგობრობაზე, გასულ ზამთარზე, მოსალოდნელ ყინვებზე. სცენიდან გამოტყორცნილი, თლილი ფეხების აკრძალვა ჰაერშივე, შამპანურების თვალწინ. მოგვიანებით, შემოდის მამიდა და ითხოვს, რომ უთხრან, რა ხდებოდა სამზარეულოში ან სააბაზანოში, რატომ დგას ესოდენ მძაფრი სუნი, რატომაა ფილაქანი დილიდან სველი, ვინ განახორციელა ტერაქტი, რატომ არაა შუქი, რატომ არ ისაუზმა შენმა ძმამ, რა ხდება ერაყში, ამერიკის დამპალ თავში, ტელევიზორში. როგორ ვერ ხვდები, მამიდაჩემო, რომ ისინი თვითონ არიან მონდომებულები ჩემს დასაცავად, ისინი, ვისაც შენ არ იცნობ ამ ჩემს წნევიან და გადახარშულ თავში, ვინც შენ გიცავს ჩემს ციბრუტივით ტრიალში ან, თუნდაც, საათობით მდგომარე ჩემს გამოშტერებაში. შენ იმდენი ხარ, რამდენიც - დღე-ღამეში და მთელ შენს ცხოვრებაში; რამდენი ცხვირიც გაქვს დღე-ღამეში და მთელ შენს ცხოვრებაში, იმდენი ცხვირის პატრონი ხარ, იმდენი ყურის და მარცხენა წარბის, იმდენი დეიდის. რაღაც ერთია იმიტომ, რომ ასეთია არა ყოველთვის, არამედ - ყოველწამს. "ჰაიდეგერი ჰეგელის ერთი მომენტია... გახსოვს, როგორ წაიქცა სცენაზე ჯეკსონი?.. თითქოს ეს იყო წინათგრძნობა... თითქოს უბიძგეს, სიკვდილისკენ უბიძგეს ჩემს ბადიშს... სიგიჟეა ეს ყველაფერი, შიზოფრენიაა... და ამ ეზოში უნდა ვიცხოვრო სიკვდილამდე, იმ ბავშვების სიცილს ვუსმინო, რომლებიც ჩემი ერთადერთი ბადიშის და გვარიშვილის მკვლელები გახდნენ... ეს არაა შიზოფრენია?.. წარმოიდგინე, სად და როდის მზადდებოდა ეს სიკვდილი, ვინ ამზადებდა..." ადგილი, ნებისმიერი სიღრმის და სიმძიმის, თუნდაც უკიდურესად ზედაპირული, თავად ზრუნავს იმაზე, რომ მას ვიღაც ერთი განაგებდეს. ადგილის მოსაპოვებლად, დასაპყრობად, მასში განსათავსებლად საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა. ადგილი ყოველთვის ვიღაცის მიერ არის დაკავებული, ვინც გაძევებულ უნდა იქნას იმის მიერ, ვინც ადგილის მოპოვება განიზრახა. ნებისმიერი ადგილი მოძრაობს და, დროთა განმავლობაში, იცვლის მფლობელს. ის, თითქოს, მხიარულად თამაშობს მისთვის მებრძოლ რაინდებს, და ეს არც არის გასაკვირი: ადგილის მოსაპოვებლად

აქტუალიზებული ძალისხმევა, უბრალოდ, თამაშის ველში მოხვედრისთვის წარმოებულ ბრძოლას ნიშნავს. ამ დროს ლაბირინთში შესასვლელად ხომ არ იბრძვიან? შესვლა და გასვლა სინონიმებია მეთქი. წაშლილია მეთქი ზღვარი ლაბირინთსა, როგორც გამოსვლის დამაბრკოლებელ სტრუქტურასა, და ლაბირინთს, როგორც შესვლა-შეღწევისთვის წინააღმდეგობის გამწევ სტრუქტურას შორის. ხომ არ უნდა მოვიაზროთ მეთქი ლაბირინთში ყოფნა, როგორც ლაბირინთის გარეთ დარჩენა და შეუღწევლობა? დუჩუნა დუღს და ათასი ნადირის ღმუილს გამოსცემს, დედამიწის ყველა კუთხეში და ყველა დროში დატრიალებულ უსამართლობას ერთად განიცდის და ერთად უჯანყდება, ყვავილები ჭკნებიან; სახლებში და კერძო სტრუქტურებში, კაფე-რესტორნებში, სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებსა და ინსტიტუტებში გოგირდის და ჭაობის მყრალი, შემაშფოთებელი სუნი ტრიალებს, ყველა ავტონომიური თავი იმუხტება ყოვლად მიღმური ენერგიით; დუჩუნის ქერქი იქსაქსება ჯოჯოხეთურ არხებად და ნაპრალებად, მაგმური კერები მძვინვარებენ, აღარ სუნთქავენ, სივდებიან და ნაოჭდებიან, გიგანტურ ნაპრალებად გარდაიქმნებიან, კრატერიდან ამოტყორცნილ აირებს წმინდა გრძნობა-გონებანი ასობით კილომეტრზე შიშით და მზადყოფნით შეიგრძნობენ, ყველას უსიტყვოდ ესმის ერთმანეთის, ყველა ამაყია. მამიდა თავს ხრის, რაც ჰგავს გულში მჯიღისცემას და მუქარას, და სცენიდან უკანმოუხედავად გადის. ვულკანური ობელისკების დაღლილი პანორამა, მოჭრილე ფანჯრიდან დამახსოვრებული ხედი, ფონი, თანხმობა. მე იოანე მოციქულის შესახებ გეტყვი. დაე, ფეხი ფეხზე გქონდეს გადადებული, დაე, იწვე საწოლის მარცხენა კიდესთან, დაე, ვარვარებდეს შენი წელსქვედა ცნობიერება, დაე, ასიათასობით ხორთუმს ჩხვლეტდეს მილიარდობით ნემსი, დაე, ვიდგე შორეული პურის რიგში, ვიდგე ეფესში, სადაც იოანე ღვთისმეტყველის და მისი მოწაფის - პროხორის - ყოფნის დროს, საერთო აბანოში, ეშმაკმა მოკლა ქალაქის მთავრის - დიოსკორიდოსის - შვილი დომნა. იოანემ დომნა მკვდრეთით აღადგინა, გააცოცხლა შვილზე დარდს გადაყოლილი დიოსკორიდოსიც, მერე ეშმაკი აბანოდან განდევნა. მეექვსე წელს იოანე ხელახლა შეხვდა იმავე ეშმაკს, ახლა უკვე კუნძულ პატმოსზე (დაე, ვიყო კუნძულ პატმოსზე). აქ, აბანოში, ეშმაკმა მოკლა ზევსის ქურუმის ვაჟი. იოანემ იგიც მკვდრეთით აღადგინა, ქრისტეს სახელით. მერე ეშმაკს გამოესაუბრა, ვინ ხარ და აქ რატომ ცხოვრობო. ეშმაკმა მიუგო: "მე ის ვარ, ვინც შენ ეფესის აბანოდან განდევნე. უკვე მეექვსე წელია, აქ ვარ და ვერჩი ადამიანებს". იოანემ ამ ადგილიდანაც განდევნა იგი. რატომ ეკითხება მოციქული ეშმაკს, ვინა ხარ და აქ რას აკეთებო? მან ხომ იცოდა, რომ ეს იყო ეშმაკი.

ვინ ვერ იცნო მან ამ ეშმაკში? რომელი კერძო პიროვნება? რომელი არსება? ასეა თუ ისე, იოანე კონკრეტულ ეშმაკებს ებრძოდა. ის ასუფთავებდა ადგილებს და იქ თავისი ღმერთის სიტყვას ამკვიდრებდა, ის ეშმაკებს ამარცხებდა კონკრეტულ სივრცეში და კონკრეტულ დროში, ის მათ განდევნიდა. როგორი იყო მიციქულის ფორმულები მათ წინააღმდეგ? "იესო ქრისტეს სახელით გიბრძანებ, დატოვე ეს ადგილი". "მე, იოანე, იესო ქრისტეს, ღმერთის ძის, მოციქული გიბრძანებ ღვთის, ძისა და სულიწმიდის სახელით: გამოდი ღმერთის ქმნილებიდან და არასოდეს შეხვიდე მასში, არამედ იყავ მარტო ამ კუნძულიდან შორს, უწყლო ადგილებში, და არა კაცთა შორის". "მე, იესო ქრისტეს მოციქული, გიბრძანებ, ბოროტო სულო, არ შეხვიდე ადამიანთა საცხოვრისში და არ დაუბრუნდე კინოპსს, არამედ წადი ამ კუნძულიდან და იტანჯე". ყველაზე მეტი, რაც იოანეს შეუძლია, ესაა - ეშმაკი განდევნოს სხვაგან და აიძულოს, აღარ დაუბრუნდეს გაძევების ადგილს, იმ ადგილს, რომელიც იოანემ მოიპოვა კონკრეტულ ბრძოლაში, ეშმაკთან პირისპირ შეხვედრისას. ეშმაკები იმუშავებენ იქ, სადაც არ იქნება იოანე. დაე, იმუშაონ ეშმაკებმა ყველგან, სადაც არაა იოანე?

8.

- მას ჰგონია, რომ ის, რაც მისი მოძრაობების განმსაზღვრელია, რაც შინაარსს ქმნის, მისი მოძრაობების მიღმაა და იქიდან მართავს მის მოძრაობებს. ერთი სიტყვით, მას ჰგონია, რომ ახლა, ამწუთას, როცა ის მოძრაობს, საზრისი სადღაც სხვაგანაა, სადღაც გარეთ; და რომ - საზრისი აუცილებლად არსებობს. მისი მორალი სწორედ ასეთი დარწმუნებულობით აშკარავდება; და ფასდება, როგორც არასრული, ნაკლული მორალი, და არა როგორც ამორალიზმი, როგორც მას ეს წარმოუდგენია. სადაც ცრუობენ, იქ ან მორალის ნაკლებობას ან მის სრულ არარსებობას ეხება საქმე, ჯერაცარარსებობას. ის კი - სხეული - ამას ცდილობს: მაყურებლის მოტყუებას, მის დარწმუნებას იმაში, რაც თავად ეეჭვება: რომ ეს მოძრაობა ფლობს საზრისს, შინაარსს, ანუ - მაყურებელმა რაღაც იმაზე მეტი უნდა ამოიკითხოს, ვიდრე ხედავს. ოღონდ: უნდა ამოიკითხოს არა რაღაც მეტაფიზიკური ან, სულ მცირე, არქეტიპული, არამედ - რაღაც ზედმეტად კონკრეტული, რაციონალური, მისი ინტელექტის ცხრილში გატარებული, გააზრებული და გარკვეული. ანუ, მაყურებლისგან მოითხოვს იმის დანახვას, რასაც თვითონ ვერ ხედავს. მოითხოვს იმ მიზნით, რომ მერე,

ირიბი გზით, მასაც დაანახონ, - მისი მოქმედების, როგორც გააზრებული, გარკვეულ ძლიერ იდეას დამორჩილებული მოძრაობების ჯამის აღწერით, უკვდავყოფით. ის მაყურებელს უბრძანებს, თავის ფანტაზიებში, რეალობად აქციოს მისი წარმოსახვის ერთადერთი შინაარსი: სასურველი. რა გზით? ისე, რომ სასურველმა კატასტროფა განიცადოს, აფეთქდეს და მიმოიფანტოს ურიცხვ რეალობად, ისე, რომ სასურველის ხსოვნაც კი მოისპოს; დარჩეს მხოლოდ მისი გონების გაცნობიერებული, რაციონალური შინაარსები.

9.

ხმა ყველას ესმის? ერთი მითხარი, სად წავიდე, სად გავექცე ჩემს ნაცად და ფრთათეთრ დუჩუნას? ის ნამყოფია ყველგან, სადაც გული მიმიწევს, სადაც დავიწყება და უბრალო, წინარეადამიანური ურთიერთობების ალბათობა განუზომლად მეტია, ვიდრე - აქ, ამ ყოველდღიურ ზრუნვაში წესრიგზე, ოთხკუთხა და წვეტიან ფორმებზე, ძგიდეებზე და ხორკლიან შვერილებზე, იმათთან ურთიერთობის კულტურაზე, ვინც ეს ყველაფერი იცის და ფიქრი არ სჭირდება, ვინც უკვე დღეს იცის ის, რაც ზეგ ან მაზეგ უნდა გაიგოს. სად გადავიხვეწო, სად გავიქცე იქიდან, სადაც ცოდნა ეწოდება ყველაფერს, რაც ტკივილს, გართულებას, ზნეობას არ მოითხოვს? არ მოითხოვს, ვთქვათ, მამიდაჩემს, რომელსაც ჩემთვის ასე საძულველი დაწესებულების სუნი უდის, რომელიც ყარს არა თეთრ კედლებად, არა დაჟანგულ გისოსებად ან დაძონძილ თმებად, დაჭმულ კბილებად, საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობებით გაოგნებულ-გაბრუებულ ავადმყოფებად და მათ გამომეტყველებებად, არა უმანკო ან მანკიერ ექიმებად და ექიმების მდგომარეობებად, მათ უვიცობად ან უღმერთობად, არამედ - სიძულვილად იმ საქმის მიმართ, რომელსაც სანიტრის საქმე ჰქვია და რომელიც სიგიჟის კიდევ ერთი უხილავი განზომილებაა. მეშინია, ეს ის სიტყვა არაა, თმა ყალყზე მიდგება, ეს ის სიტყვა არაა, განურჩევლობის და ჩემი მუდმივი, მშობლიური დუჩუნის მიმართ გულგრილობის საკვირველი გრძნობა მიპყრობს, როცა მამიდას, როგორც ძღვენი, შემოაქვს ეს სუნი და დებს მაგიდაზე, მაფარებს სახეზე, მიტენის ჯიბეებში, თანაბრად ანაწილებს მამაჩემსა და ჩემს ძმას შორის, მე კი ამ დროს მზად ვარ, - მიყვარდეს, უკეთ, ფეხქვეშ გავეგო ყველას, ვინც სანიტარი არ არის, ვინც მამიდაჩემი არ არის, ვინც ამ სუნად არ ყარს და ამ სუნს არ ავრცელებს. და ეს მაინც არაა შიში. ეს ჩემი, პირადი, ერთადერთი, ჩემში მცხოვრები შიზოფრენიაა, სიგიჟემდე ამაღლების და დამხობის მოსურნე. ეს ჩემი

ძველი სიგიჟეა: შევიშალო ან ღმერთი მივიღო. მომისმინე: შეშლილებს უფრო ეშინიათ ერთმანეთის თუ - ექიმებს, მკურნალ-ფსიქიატრებს? მე ეს მინახავს იქაც და აქაც, ჩემს სიზმრებში, მათ თვალებში, ჩემს ფიქრებში, მათ სიბრიყვეში, ჩემს მიწაში, მათ ცაში, მათ სისხლში, სპერმაში, ნახველში. არავინ ისე არ აშინებდათ ჩვენი ოჯახის მეგობარ ექიმებს, როგორც ერთმანეთი. მათ თვალებში, გამოხედვაში, ერთმანეთის ამოკითხვაში ყოველთვის ჩანდა ეჭვმიტანილად გადაქცევის საშიშროება. ისინი, თითქოს, უსაფრდებოდნენ ერთმანეთს და ამოწმებდნენ: "ნუთუ, ჯერ კიდევ ჯანმრთელია!" ან "ხომ ისევ ჯანმრთელია?" ან "ხომ არ ემუქრება საფრთხე მის ჯანმრთელობას?". ეს იყო მართლაც მათი ერთობ არაჯანმრთელი ინტერესის კლოუნადა: ხომ არ იხრება რომელიმე ფსიქიატრი პაციენტისკენ? ხომ არ აპირებს ავადმყოფის გამართლებას ან დიაგნოსტიკური ველის შემცირებას? ხომ არ შეინიშნება მის სუნთქვაში ფსიქიატრიული სამყაროს მიმართ ღალატის ნიშნები? ჩვენი ოჯახის მეგობრებისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო სიფრთხილე ქცევაში, მეტყველებაში, ჟესტში, მიმიკაში. მათი ყოველი მოძრაობა ნორმირებული და რეგლამენტირებული იყო, უწყვეტად კორექტირებადი, უნაყოფო ზომიერებით დაღდასმული; მათი ასეთი ავტომატიზმის ნამდვილი მიზეზი, ჩემი აზრით, მდგომარეობდა კონვენციური ჩარჩოდან ამოვარდნის შიშში, - მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ამ ლოკალურ-კონვენციური ნორმების დაცვას, დოგმატიკონის შესრულებას და ამით საკუთარი ყოფიერების გამართლებას. და

- ეს არც არის გასაკვირი. ორი რიგითი ფსიქიატრის ურთიერთობა ყოველთვის ხელახლა წესრიგდება, ხელახლა დგინდება და რეგლამენტირდება პაციენტის გავლით; ავადმყოფის და ავადმყოფობის არსებობა ამ ურთიერთობაში შუალედური რგოლის როლს თამაშობს და ფსიქიატრს პერმანენტული სოციალურ-მოზაიკური წნეხის ქვეშ ამყოფებს, რაც, სხვათაშორის, მერე და მერე, ნევროზის განსაკუთრებულ ფორმად ყალიბდება. ყოფნის ეს წესი სტრუქტურირდება ეჭვით, გახლეჩით და თვითუარყოფის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი შინაგანი მოთხოვნილებით. ფსიქიატრი იძულებულია, აბსურდს ამაგრებდეს: სიტუაციურად დადგენილი, დრო-სივრცეში ლოკალიზებული ნორმების დაცვით იცავდეს თავის თავში, აწარმოებდეს შინ და გარეთ არარსებულ ნორმას, რაციონალურით - ირაციონალურს, პრაგმატულით - პოეტურს. მაგრამ მე ესეც მაინტერესებს: შეიძლება თუ არა, ფსიქიატრებს მხოლოდ პირობითად ეწოდოთ ექიმები? ვინ არიან ისინი?

- ჩემი აზრით, პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, ადამიანებთან მათი შეხვედრა იწყება გამორიცხვის პრინციპით, რაც მათი სულიე-

რების უინტიმურესი ნაწილია. ფსიქიატრის ხედვაში მოხვედრილი შემხვედრი ექვემდებარება ეჭვს: "არის თუ არა ნორმალური?", და მოქმედებას იწყებს ბჭობის, ანალიზის ხანგრძლივი პროცესი. მაშინაც, როცა ფსიქიატრი ვერაფერს ნახავს საეჭვოს შემხვედრში, ეს უკანასკნელი მის მიერ აღიქმება არა როგორც სრულფასოვანი, არამედ - როგორც ნორმასთან შორს ან ახლოს მყოფი. პარადოქსული აქ ის არის, რომ არც ერთი ფსიქიატრი არაა დარწმუნებული, ნორმად რა უნდა ჩაითვალოს. ამ საკითხის ირგვლით მათი მსჯელობები, ფაქტობრივად, ურთიერთგამომრიცხავია. და, მიუხედავად ამისა, და, შესაძლოა, ამიტომაც, ფსიქიატრისთვის არსებითია ნორმა და არა პიროვნება, დიაგნოზი და არა დიალოგი, განაჩენი და არა გაგება. ის არაა ექიმი, ის ბრალმდებელია. მის სამსჯავროზე ჯანმრთელი ადამიანის არსებობა დაშვებული არაა. და აქ კანონზომიერება როდი ილახება: ფსიქიატრი ხომ თავს იმკვიდრებს, რეალიზდება სწორედ დიაგნოზირების პროცესში, ავადმყოფის სხეული კი, ფაქტობრივად, მისი თვითრეალიზების უწყვეტი ველია; ექიმი თვითრეალიზებისთვის საჭიროებს ავადმყოფს, ავადმყოფობას, საავადმყოფოს, კლინიკას, და მისთვის არსებობს იმდენი დიაგნოზი, რამდენიც ადამიანია ამქვეყნად. ესაა მისი ერთადერთი პრივილეგია: დასვას დიაგნოზი და უმკურნალოს. ფსიქიატრის შემთხვევა სპეციფიკურია: ფსიქიატრი დიაგნოზს სვამს არა იმიტომ, რომ მერე განკურნოს, არამედ - იმიტომ, რომ უსასრულოდ უმკურნალოს, მკურნალობდეს და არ კურნავდეს. როგორც შენ ხვდები, მე ერთმანეთს ვუპირისპირებ ფსიქიატრს და შიზოფრენიას, ფსიქიკური დაავადებების უგვირგვინო მეფეს. შიზოფრენია ისაა, რაც არ იკურნება. შიზოფრენია ექვემდებარება თვალთვალს, კონტროლს, მონიტორინგს, ვერგანკურნებას, იმ ყველაფერს, რაც უზრუნველყოფს ფსიქიატრის, ო, ღმერთო ჩემო, ონტოლოგიურ სტატუსს.

მაშასადამე, ის მკურნალობს სამუდამოდ, სამარადისოდ, დაუსრულებლად: ვიდრე ავადმყოფობა და მისი რეალიზატორების მარადგანახლებადი კლასი არსებობს. ის მეთვალყურეობს, ამოწმებს, მეტიც, არეგულირებს, აწესრიგებს ავადმყოფობის მდინარებას, განსაზღვრავს პაციენტის ინდივიდუალურ სასნეულებო რეჟიმს, განაგებს მის პიროვნულ დრო-სივრცეს; ერთი სიტყვით, მართავს ავადმყოფს. ანუ მთლიანად თავის ავადმყოფზეა დამოკიდებული. ესაა ცალმხრივად შეფარდებითი ურთიერთობა: შიზოფრენიოსს შეუძლია ფსიქიატრის გარეშე არსებობა, ფსიქიატრი კი შიზოფრენიის, შიზოფრენიოსის არარსებობის შემთხვევაში კარგავს თავის ონტოლოგიურ-იდიოტურ სტატუსს. მაშასადამე, ფსიქიატრი პერმანენტულად აწარმოებს შიზოფრენიას სწორედ თავისი უმანკო და უანგარო მოღვაწეობით. ავადმყოფის გავლით, ექიმი კონტროლს

აწესებს ავადმყოფობაზე, მის დემოგრაფიულ რეჟიმზე. თუ ფსიქიატრი ბრალმდებელია, რომელიც შემხვედრს იმთავითვე ბრალდებულის სახით გაიაზრებს, ესეც ვიკითხოთ: ხომ არ აქცევს შემხვედრს ბრალდებულად ფსიქიატრის შიში, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება თავად ის იქცეს ბრალდებულად? ხომ არ უნდა მოვიაზროთ პაციენტი ექიმის ალტერ ეგო-დ, რომელსაც ექიმი უფრთხის და გაურბის? ხომ არ უნდა მოვიაზროთ ამ დრამაში პაციენტი ექიმის ნიღბად?

თუ ამ დაშვებას გავიაზრებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ექიმი იმით ინიღბება, ვისაც ვერ ხედავს პირისპირ. თუ მას ამ ნიღბის დანახვა მოუნდა, ან უნდა ჩამოიხსნას, შემოატრიალოს და ისე შეხედოს, ან სარკეში დაუკვირდეს შენიღბულ თავის თავს. ორივე შემთხვევაში, საკუთარ თავს ექიმი ვერ ხედავს, ის არ იმყოფება მდგომარეობაში, რომელიც შესაძლებელს გახდის თავისუფალ არჩევანს. ამის მერე როგორ გვიკვირდეს, თუ ფსიქიატრი შიზოფრენიას მოიაზრებს როგორც მსჯავრს, ნეგაციას, არასრულფასოვნებას ან ნორმამდე ვერასვლას, ნაკლულობას. შიზოფრენიოსი ექიმს კრიმინალად წარმოუდგენია. რატომაა შიზოფრენიოსი კრიმინალი? მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და იქცა შიზოფრენიოსად, შეიშალა, შეცდა, შეირყა, აცდა ნორმას, რომელიც - როგორც შენ აღნიშნე - არც არსებობს ფსიქიატრისთვის, ან: თუ არსებობს, მხოლოდ - ურთიერთგამომრიცხავი შინაარსებით ამოსავსები რეზერვუარის სახით. შიზოფრენიოსი ბედნიერი კრიმინალია, განწირული სამუდამო პატიმრობისთვის, სამუდამო მზრუნველობისთვის. ვინ ზრუნავს მასზე? ის, ვისთვისაც ეს პაციენტი პაციენტია არა იმაზე ადრე, ვიდრე კრიმინალად იქცეოდა. ექიმის ზრუნვა კი, ფაქტობრივად, შურისძიებაა. ფსიქიატრი, ერთდროულად, პატრონობს და შურს იძიებს იმის გამო, რომ მისი ალტერ ეგო ამ სახით არსებობს. ანუ ზრუნავს იმაზე, რომ არ იქცეს შიზოფრენიოსად, არ იქნას მხილებული, არ გამოაშკარავდეს. ბოლოსდაბოლოს, ესაა შურისძიება იმის გამო, რომ ის, ფსიქიატრი, იძულებულია არარსებულ ნორმას იცავდეს მას მერე, როცა შეიგნო ან ვერ შეიგნო ამ სტატუსის უარყოფისთვის საჭირო ძალების არარსებობა თავის თავში, საკუთარი უუნარობა. და ეს მაშინ, როცა არც ერთი არ წარმოადგენს მეორის არაცნობიერს ან რაიმე ასეთს, ვინაიდან ამის გაგება ჩვენს უნარს და ძალისხმევას აღემატება. შენც ასე ფიქრობ, - რომ თავკომბალებს ემსგავსებიან? მამის დაუმთავრებელი ფიქრები, ხშირად, მისი ორშვილიანი საყვარლის გახანგრძლივებულ გრძნობებს მთელ სახლზე ავრცელებენ და მაშინ ობობას ბადეში გაბმულ ბუზს ან პეპელას ვემსგავსები. როცა დედ-მამა ერთად იყო, ამ ქალის სუნი მე ვერ მზრდიდა. ახლა კი ჩემთვის მნიშვნელოვან ნებისმიერ გადაწყვეტილებას თან ახლავს ამ სუნის შეგონებები, გაკიცხვები, დაყვავებები. ჩემი

პირველი მამაკაცი, საერთოდაც, ამ სუნთან ერთად შევიცანი; მამაჩემის საწოლი, სადაც ეს მოხდა, ჯერ ისევ ინარჩუნებდა სითბოსაც და სუნსაც. მახსოვს, მამაჩემს მაშინ ეჩქარებოდა და დილაადრიან გიჟებივით გაქანდნენ სადღაც; ქალბატონი პალტოს კიბეზე დაშვებისას იკრავდა და თმას ისწორებდა, კარსაქედან გაკვირვებული მივშტერებოდი; მიკვირდა, ერთმანეთს როგორ აჩქარებდნენ. ნებისმიერ ჩემს ნაბიჯში, საქციელში, ფიქრში ასახულია ამ სუნის ბრძოლა დედაჩემის სუნთან, ამ უკანასკნელის გაქრობის, მოსპობის, განადგურების ცხოველური ჟინი, დორბლიანი აუცილებლობა თუ საჭიროება. მე ხშირად ვამჩნევ, რომ ამ დროს ჩემში ეს ქალბატონი მამაჩემს ვერ იტანს, რასაც, სხვათაშორის, მამაც ამჩნევს. ამას ამტკიცებს, ჩემი აზრით, დაუდევარი და აგდებული სისწრაფე, რომელიც ახლავს ალერსიდან და სასიყვარულო სიტყვებიდან, ვნებიანი გამოწვევებიდან "სერიოზული" საქმისთვის "ცოტაოდენი" ფულის თხოვნაზე გადასვლას. და ეს რიტუალი, რატომღაც, ყოველთვის ჩემი თანდასწრებით - და, იქნებ, ჩემთვისაც - მიმდინარეობს, რაც მამაჩემს აცოფებს და აბოროტებს ისევ ჩემს მიმართ. ალბათ, მე ამ დროს ვემსგავსები ტარაკანას, ინდაურს, ვირთხას, ქათმის სკორეს, სპილოს ხორთუმს, ყველა სახის ქვეწარმავალს, ეს ქალი კი ბედნიერი და ამაყია, იქვე - ბოროტი და გულქვა, სიმწრით სავსე, რაკი კიდევ ერთხელ ვერ აჯობა დედაჩემის აჩრდილს. მამაჩემს, ალბათ, ერჩივნა - შტერი და ბრიყვი ვყოფილიყავი ან ფორმალურად მაინც მეღიარებინა ეს ქალი; ისე მომაცქერდება ხოლმე, თითქოს სარკე ვიყო, რომელშიც ამ ქალთან ერთად ჩანს თავისი ყველა შესაძლო სისულელით თუ გასულელებული გონებით. მამაჩემი ამ ქალს ყიდულობს დღეში ასჯერ, ორასჯერ, ხუთასჯერ, ყველგან, სადაც გაახსენდება მისი არსებობის უინტიმურესი შესახვევ-გამოსახვევები. რა ბოროტი და ცუდი ვარ, არა? მაგრამ იმ ცოდნას სად დავემალო, რომ

ჩემს თავში
მამის შიში განწონის დედის შიშს
და ქმნის ხედს ფანჯრიდან -
აბრევიატურას
ჩემი გამოცდილების ნაკლულობის,
ჩემი ხედვის კუთხის;
ქმნის დედის თვითრწმენას,
განწონილს მამის შიშით
და ცაში ასული მწვერვალებით,
ჩასულით ჩემს თავში,
რომელიც (როგორღაც) ვეღარ უერთდება

გულის მღელვარებას,
შემოსაზღვრულს მარადმწვანე წარუმატებლობით,
პოტენციის წარმოების მუდმივი უნარით,
უნიჭობის ამ უუნარობით,
და უკვე ჩემს თავშიც
თოფიან კაცზე მონადირე
ველური იხვები დაფრინავენ,
და სივრცის ქურაში მსხვრევადი მათი ხმა
აჯამებს სიცოცხლეს,
შავ ბუშტებად გაფანტულს
ფრთებში,
რომლებშიც მტვერი არ არსებობს.

10.

- ყოველი არგანმარტებული, არადეკოდირებული, მაყურებლის მიერ რაღაც უღრმესის აღმნიშვნელად არაღქმული მისი ჟესტი მის წარმოდგენაში - ჩემი ტანის წარმოდგენაში - გაიაზრება, როგორც მხილება. მხილება სიცარიელის, ბუტაფორიის, უსაზრისობის. ის, როგორც მბრძანებლად თავისი თავის წარმომდგენი, მაყურებელს აიძულებს - განდევნოს სიცარიელე, დატვირთოს მისი ადგილი შინაარსით, რომელიც არ არსებობს და რომელიც შეიძლება მხილებულ იქნას. მისი საჯარო, საჩვენებელი მოძრაობების თანმიმდევრობა არაა რისკი, იგი უფრო აგრესიის შეუკავებლობის, ძალაუფლების ქვეშ მისი ყოფნის დემონსტრირებაა. ის, როგორც ძალაუფლებით მართული, ცდილობს აგრესიისგან გათავისუფლებას მაყურებლის მსხვერპლშეწირვის ხარჯზე. მაყურებელი უნდა გაიწიროს, დაისაჯოს, რათა საზრისის არარსებობა მხილებულ არ იქნას. ბოლოსდაბოლოს, მაყურებელმა თავი უნდა მოიტყუოს ანუ ითამაშოს, რაც, თურმე, შეიძლება თანაშემოქმედების მაღალ, სასურველ და მისაბაძ ნიმუშად იქცეს. აქ ყველაფერი ანარქიად იწოდება, ნებისმიერი უმწეო, უსუსური ნაბიჯი მართლდება ანარქიზმამდე მისი აყვანის მოთხოვნით. ანარქიზმის სივრცე აქ უსაზღვროდ ფართოვდება და მოიცავს ყველაფერს, რაც მის ამორალიზმად შეიძლება შეფასდეს. ბრძანება ასეთია: რაც არ თავსდება ზნეობასთან, გაამართლეთ ანარქისტული ესთეტიკით, რომელიც, თავის მხრივ, გასაიდუმლოებული სახით მიეწოდება ნებისმიერ უმანკო გონებას; ანარქიზმის შესახებ რაღაცის ცოდნა მისი პრივილეგიაა, ის გასცემს ცოდნას იმის შესახებ, რაც მისი შესაძლო გაურკვეველი, აუხსნელი და ამოუცნობი

მოძრაობების განმმარტებელი და ნათელმყოფელია. ნათელყოფა კი, მთავარი ეს არის, იკრძალება მაშინაც, როცა მაყურებელს წაეყენება საზრისით მისი მოძრაობების ამოვსების, გადავსების მოთხოვნილება.

11.

- ოჰ, სწორედ ასე, მომაწოდე შენი მარჯვენა ფეხი ჩემში, ოჰ, აი, ასე, რა ბედნიერებაა, ფარდა დაუშვი, თვრამეტი მილიონი წლის, მერე არც მოიგონებენ ამ ონავარ ამინდს, შემაშველე, შენ თუ მოინდომებ, კარი მიიხუროს, ვარდისფერის სიჭარბე შავთეთრ მართკუთხედთან, ძგიდე მოვანგრიე, შედის, ბედნიერი ერი, რომელსაც ამდენი ლექსი აქვს, ვინ, ვინ უნდა მოსულიყო მის წასაყვანად ამ პაპანაქებაში, ამ ბუღში, ცხენი შემოდე ამ მკვრივ ბეჭზე, შენი მანდარინისფერი გარებაგეები აღმაგზნებენ უფრორე, ვიდრე პოლიტიკური მოწმობები ველად, თეთრ ზეწარში შეხვეული გამომეტყველება კნუტის, ოჰ, შემოდგომის ტყეში არც მოიგონებენ ამ ონავარ ამინდს, ბოქვენი კვადრატულ გაურკვევლობაში, არ იტყვი? იტყვი?

- უკვე მოგახსენე, ეს მთელი სამოთხეა, რომ არ უბერავდეს, ავტომანქანების კვამლი შემოდის, შენი მკვრივი, ნავარჯიშევი მკერდი, შემოდის ნაკადებად ოთახის მარჯვენა კუთხეში, თვრამეტი მილიონი წლის მერე უკანასკნელი გამყინვარებიდან, შედექ, დამანთხიე, ოჰ, ზურგი გვიელავს ხმლებივითო, ოჰ, უფერული პროპორციები, რბილი, შესიებული ნაკვთი მუხლის თავთან, საჯდომის ყვრიმალზე არეკლილი, ოთხფეხა მაგიდა გადგი გარეთ, გადგი უფრო ღრმად, გონის დაბინდვამდე, შეკეცე ხელის მისამართით, რიტმი მეკარგება, ქრება, იმოძრავე შებინდებამდე გრძნობის, ოჰ, მოტყუებულო, ოჰ, გაბრიყვებულისგან, ოჰ, ჯიხვო კავკასიის მთების, ზინაიდა გრიფიუსი შეატრიალე კედლისკენ, ვსვამ, ვსვამ, შრიალში შეთამაშებული, მჭიდროდ, დავიშალოთ, კარგად, ბოლომდე შემაგინე, მაგინე, ასე,

ამ ბუღში, კლასიკის რღვევაში, პაპანაქებაში, დაშვება ფეხის გაოფლილი დაჭიმულობისკენ, ლავიწის ძვალი აღმიწერე, აღმიწერე შენი გაფრენა ჩემი სიამაყისკენ, კარიერისკენ, ძლიერებისკენ, საუკეთესო ნაცნობების ურდოებისკენ, რაც შენ ასე გიყვარდა ყოველთვის, უფრო მონდომებით, მადამ, სკამი მონჯღრეული, მონჯღრეული ოთხი ფეხი, დავღრღნი კედლებს, ყველაფრისკენ, რაც შენი დეგენერატიზმის ღვინოა, მონჯღრეული კისრის წარმოდგენა უშუქოდ, ადამიანები მიიჩქარიან კაბინეტებისკენ, მდედრობითი სქესის თაყვანისმცემლები მიიჩქარიან თაყვანის

შესათავაზებლად, თათვის, თათვის, ავედი, შევედი, ვღმუი, ოჰ, მარწუხი ცაში, დადგა მშვენიერი, გადართე, შენი, გაზაფხული, ჩაეძინა? გძინავს?

- მთელი სამოთხეა შენი კუნთოვანი ბეჭის ირგვლივ, მორბილებული კოვზი, თავში მირტყი, თქვენობითში, პირუტყვს, მრავლობითში, ჩემში, ყველაში, საჯინიბო გამოსასუფთავებელი იყო მეთქი, მოვახსენე დაწვრილებით, სიტყვა "მარაგი", ბანალური, საჭირო, ძვირფასი, მიმაყენა მანქანასთან, ცოლზე ფიქრებში გადართულმა, ოჰ, ქარი დაძრწოდა ტყეპარკებში, ოცწლიან სხვაობაში, მამათა და შვილთა, ასე იყო, ბრძოლა, ასე იყო, მაგარი, ძალიან, ძალიან, კონსტრუქციული დიალოგის ფონზე, მარჯორი, ჩვენი ვირისყურება ცხენი, აგზნებული,

- გადმომატარე მეთქი თავზე შენი რომელიმე ფეხი, აი, შუქიც მოგვცეს, საცვლისამარა შენი ფეხი, მეჩაიეებს მუცლები უმძიმდებათ, შენი ჩვენი ფეხი, მეჩაიეები ბუჩქებში რაღაცას დაეძებენ უკბილო ხუმრობით, ჩვენით, ესთეტიზებული ჩვენი ქნევა ხელ-ფეხის და ტანის, ყრუ წარსული, გადაფურთხებული სპერმა, ამოიმართება ნარნარი ხმებიდან, გაივლის შენს პროტესტს, რომანტიკას, სიჩლუნგეს, ეგდე, ეგდე, შენი ვალი, მამაშენის ვალი, დედაშენის ოდინდელი ვალი, რა გაღელვებს?

- თითქოს თივას ვცოხნით, თითქოს სხეული სულ არ გვქონდეს, თითქოს სოციალიზმის თეორია სულ არ არსებობდეს, თითქოს დროებითი მთავრობისთვის ხლებნიკოვს ეთქვას, ან არ ეთქვას, თითქოს არც შენ იყო ჩემი, თითქოს, ადამიანო, მეც ქალი ვარ, მეც მიყვარს სიმღერა შამპანურით, ბაფთა უკანალის ცენტრალურ წერტილში, ოჰ,

- იღრიალე, იღრიალე, იკივლე, იკივლე, იღრიალე, შენი, შენი, ოჰ, შენი, შენი, იღრიალე, ოჰ, შენი, შენი, იღრიალე, იკივლე, შენი, ოჰ, ოჰ, შენი, იღრიალე, ოჰ, შენი, შენი, იკივლე, შენი, იღრიალე,

- ოჰ, ჩემი, ჩემი, ვიცი, ჩემი, ვიკივლე, ჩემი, ვიღრიალე, ვიღრიალე, ვიკივლე, ჩემი, ოჰ, ოჰ, ჩემი, ვკივივარ, ჩემი, ვიცი, ჩემი, ოჰ, ოჰ, ჩემი, მიმაყენე, მიმაყენე, ოჰ, ოჰ, ჩემი, მკლავი, ჩემი, კაკუნი, ჩემი, ოჰ, ოჰ, ჩემი, თავში, თავში, თავში, ჩემი, აი, ასე, ვიცი, ჩემი, მზად ვარ, ჩემი, თავში, ჩემი, ვკივივარ, ჩემი...

ხლებნიკოვს ეთქვას, რომ ისინი შესცემენ ურთიერთს მაღალფარდოვანი ტკბობით, ატმის ფოთლის იმ ნებიერ სიხუჭუჭეში, სადაც გამომუშავდება სისხლიანი და ელასტიური ფორმები ბეჭდვის, აკრძალული იქ, სადაც ქაღალდი შემწოვია პიგმენტის, სიტყვის, მოქმედების ცენტრი, ბატონო ჩემო, გადატანილია ნერვულ სისტემაზე, რაც ცნობილია ანიკეტეს აჯანყების სახით, პალატინა, პალატინა, მაქსიმ ყვეროსანი, გადასროლილი ინდოჩინეთის ტანდასიცხულ ტერიტორიებზე, ამერიკული წითელი ხის ნოსტალგიური ხსოვნით, ბოქვენი გავიარე, დუნდულები გამოვვლე,

შევრჩი, შევედი, ჩართე, შეგვიწყვიტეს, შრომის ფედერაცია გენიტალური დახრილობით, ჩართე, მეოთხეში, მარჯვენა ფრთაზე გარღვევაა, დაჩქარე ფრონტის გახსნა, დაბალი ღირსების საოჯახო ღვინო, მეოთხე სიჩქარეში გადააგდე, ჩააგდე, შედგი, წრეების ბუყბუყი ჩემს ნეკნთან, შენს ლავიწთან, ცენტრში დაესობა ნახშირბადის ატომი, პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფილი მიერ, დაწყევლილი, ცუდი, სპერმის ალავერდობა ამოთხრილ ორმოში, თელავიდან ორმოც კილომეტრზე, კისრიდან მეცხრე მალისკენ დაშვება, დაქანება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებისკენ, ალაედინ ქეიყუბადი, მიწილადე რამდენიმე ციხე-ქალაქი, ყვირილის უფლებით, დამამცირე, თავში, თავში მირტყი, წითელი დროშის ორდენოსანი შენი ტანი აქტიურად მონაწილეობს მეთქი, მეთქი დროზე მონაწილეობს სამემინდვრო-სავენახო მუშაობებში, ფერდში, ფერდში მირტყი, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვის მკვეთრ ზრდასთან ერთად, ო, რა ტკბილად, საამურად მაგინებ, კარგო, მატერიალურად კეთილშობილი ჩვენი შრომა, დაფასდება მთავარ კერებში, ჭალავ ალაზნისავ, მხარეო ტოროლის, ულტრაალპური საძოვრების, მემბრანა, მემ, ორ მტრულ ბანაკად გაყოფილი ჩემი უკანალი, მემ, ალგებრა ვირობის, ადაჯიო, ადგილობრივი მრეწველობის ადგილის დედა, აგრეგატული ჩარხის მომხრე, მომხრე უნიფიცირებული კვანძების, ლორწოვანი ფრონტის, თავში, თავში მირტყი, ბურღე, რამდენიმე ზედაპირი ერთდროულად დაამუშავე, ვმაგრდები უძრავად, მართვის ერთიანი სისტემა, მუშა პოზიცია, წერა-კითხვის ჩათვლით, აბანოს მყინვარი უკანალში, ჯიშში, გენაცვალეს ფილოსოფიაში, განათლების მაღალორგანიზებულ ხვეულებში, ღრუბლებში, ტვინში, შევისვენოთში, ჩემო კარგო, გეაჯები, ჩემო სასურველო, და მას უკვე ფეხი ფეხზე აქვს გადადებული და მანდარინისფერი პიჯაკის ფონიდან ისეთი სევდიანი ღიმილით მიყურებს, თითქოს პირველი იყოს და არა მესამე, თითქოს პირველი ვიყო და არა მეათე ან ოცდამეათე. ვეუბნები, რომ

ვამაყობ მისით; რომ რა კარგად სრიალებდა - როგორც მოციგურავე ცხელ და ცეცხლოვან ყინულზე; რომ მისი დახვეწილი თითები ჩემი დუჩუნის მდუღარე კედლებსა და შიდა-გარე ბაგეების სანდომიან გამოცდილებაში მიმორბოდნენ, როგორც პიანისტისანი. მას კი ფეხი ისევ ფეხზე აქვს გადადებული და ისე მიყურებს, როგორც სოკრატე მიყურებდა ერთხელ ჩემს სიზმარში, კვახივით თავით და შტერული სიცილით. არა, ამ სულელს ძალიანაც კოხტა თავი აქვს, მაგრამ მიკვირს, სად ეტევა ამ მოჟერარფილიპო თავში, რომ მაგალითად - ხელების ენერგიული მოძრაობით - ელექტრომაგნიტური იმპულსები ანუ ეროტიკულ-ერთჯერადი ატმოსფერიკები ვრცელდება თვალუწვდენელ მანძილზე, პირდაპირ მოქმედებს

რადიომიმღებ მოწყობილობაზე და იწვევს არა მხოლოდ რადიოკავშირის, არამედ სატელეფონო საუბრების შეფერხებასაც. სულელო, ვპასუხობ, ნუთუ ვერ ხვდები, მიირთვი, გემრიელი ვაშლია, ბროცკია, სულელო, როგორ სულ ვერ ხვდები, რომ შენს გაჩენამდე დიდი ხნით ადრე მე ავდექი და იდეალურად შევისწავლე ჩემი ნარნარა დუჩუნის ასტრონომიული კლიმატი; მე მისთვის ბევრჯერ მიცქერია ყანობილის მთიდან და კარგად ვიცი, რომ ფაქტორების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს მასში ამა თუ იმ სამოძრაო, შესაჯახებელი თუ გადმოსანთხევი რეჟიმის ვარგისიანობას განწყობის პირობების თვალსაზრისით, იქ უნდა ვეძებო, სადაც ატმოსფერო ზედმიწევნით გამჭვირვალეა, ცა ხშირადაა მოწმენდილი და მნათობთა გამოსახულებანი მკაფიოა მეთქი. ის ყოველთვის აღფრთოვანებულია ჩემი ერუდიციით, ჩემი დუჩუნის ჩემმიერი კვლევის მასშტაბებით და, რაც მთავარია, მის მუშა ორგანოზე ჩემს დუჩუნაში წარმოქმნილი წნევის დაწოლის ხარისხით. ის ყოველთვის - აქვს თუ არა აქვს ფეხი ფეხზე გადადებული - შეშინებული ბავშვივით ჩურჩულებს, რომ ყოვლისმბურღავი მისი ბარომეტრი უძლურია ჩემს დუჩუნაში მქშინავი წნევის გასაზომად, ვინაიდან ჰაერის სვეტის წონა ამ ბარომეტრს ლამის-ლამის ხერხემალს უმტვრევს. მეცხრე მალასაც?

"ნუთუ, შეიძლებოდა ასე გამქრალიყო კოწახუროვანი მისი შეხებების სიღრმე, მისი ის დრო, რომელსაც ასე ლამაზად ვძარცვავდი?".

- ასე გავიცანი: ხმას გავყევი მისი სახისკენ და შევათვალიერე ირიბად, მაგრამ - დაკვირვებით. როცა ხმა დამთავრდა, კარადიდან გამოვიღე შამპანური, ამ ხმას დავუსხი, დავლოცე და დავლიე. ასევე დავკარგე. მე მას ყოველთვის მადლობას ვუხდიდი, დროს მჩუქნი მეთქი. რა თქმა უნდა, ვცდებოდი, ვინაიდან მან არ იცოდა დროის ფასი და როცა ჩემს მიერ გამოთქმული ამდენი მადლიერების შინაარსში გარკვევა ვერ მოახერხა, გაბოროტებულმა ჩემი დასჯა გადაწყვიტა. ჩემთვის მისი ეს ნაბიჯი იყო მტკივნეული და არა - მისი გამარჯვება. მამაკაცები ხომ, როგორც წესი, ხასიათდებიან დაწყებული გამარჯვებების ბოლომდე ვერმიყვანით. მათ მიერ დაწყებულ გამარჯვებებს ყოველთვის ქალები ამთავრებენ. სხვათაშორის, ამიტომაც ვარ კაცების მხარეზე, მაგრამ ეს მერე ხდება, როცა ისინი, კიდევ ერთხელ საცოდავად გამოგდებულები, გარედან უყურებენ შედეგებს და მაშინაც ვერ ხედავენ მთლიანად, შტერები. მე ის ვაღიარე როგორც მამრი, რამაც აღუძრა სავსებით ბუნებრივი სურვილი, რომ მეღიარებინა მისი გონებრივი შესაძლებლობები. მისი ასეთი სურვილი უკვე აღიარებდა ჩემს ძალაუფლებას მასზე, როგორც უჭკვიანეს მამაკაცზე. მე სასწრაფოდ ვნახე სიზმარი, სადაც ხელფეხგამოსხმული მისი თეთრი ტვინი მეპრანჭებოდა და თავისკენ მიხმობდა. ის ამ დროს გასაოცრად

ჰგავდა დუჩუნას, ჩემსას, მაგრამ მაინც დაჟინებით ვეძებდი მის ამობურცულ ხორკლებს შორის უმთავრეს მამრულ გამონაზარდს. ამ სიზმარმა წინააღმდეგობრივი განცდები აღმიძრა, რაც, საერთოდ, დამახასიათებელი არ არის ჩემთვის; ვერ გამეგო, იმაზე მეტს რას მოითხოვდა ჩემგან, რასაც ვაძლევდი ყოველთვის, როცა მისგან შორს ვიყავი. ერთი სიტყვით, ვაღიარე თუ არა, როგორც პიროვნება, გაუჩნდა ჩემი გვემის მეტად სათუთი მოთხოვნილება. ერთხელ მან მდედრი შეადარა სპილოს, რომელსაც შეუძლია მამალი სპილო ორმოში ჩააგდოს და პურიც კი არ მისცეს, შიმშილით მოკლას. განა, მართლა ასე არ მოხდა? ჯერ იყო ბედნიერი და უდარდელი; მერე გაუჩნდა შიში, რომ ვაითუ ორმოში ჩააგდონ და მოკლან. მე თავბრუს მახვევდა მისი ეს სისუსტე, რომელიც კარგადაა ცნობილი ჩემთვის. ასეთები არიან ჩემები: ძმაც და მამაც. ისინი განუხორციელებელ ადამიანებს, ჯარისკაცებს ჰგვანან. "რატომ გააფუჭე ტელევიზორი? რატომ გადაწვი ნათურა? რატომ გატეხე თეფში?", - შეიძლება მთელი ცხოვრება ასე ცხოვრება? სულ ესაა ჩვენი საუბრები და ჩვენი ოჯახი, აქედან არსად გზა არ გადის. ამიტომ, მისი გამოცნობა ძნელი არ იყო, არც ერთი მისი ჟესტის ან მიმიკის. თუნდაც იმიტომ, რომ სულელი ვეგონე. არც დამიკარგავს, რაკი არც ვფლობდი. მაგრამ მისი სხეული მე კი არა, ჩემს სხეულს ახსოვდა, ეს კი ყოველთვის საკმარისია, რომ ერთი სხეული, დიდი ხნის მერე, უშეცდომოდ ხვდებოდეს და განიცდიდეს - როგორია მეორე, ჩავლილი სხეული სხვასთან, როგორ ეფერება, კოცნის სხვა ტანს, როგორ ექცევა. ის ზუსტად ისეთი ლამაზი იყო იმ ახალ შენაძენთან, როგორც - ჩემთან. ეს მოხდა ერთ წამში, ამ წამმა ხელი დამიქნია, როგორც ბალერინა აკეთებს რევერანსს. ის იმეორებდა უშეცდომოდ, უნიჭოდ, და მე ამით ვტკბებოდი: იმით, რომ შემეძლო, თუნდაც შეცდომებით, მეკითხა მისი თითოეული მომდევნო ჟესტი. მისი სხეული უსასრულოდ აგნოზირებდა ჩემს თვალწინ, ჩემს ყურწინ, ჩემს ცუდ გულში. ის იყო ზუსტად ისეთი ლამაზი, როგორც - ერთ დროს ჩემთან. მისმა ახალმა ქალბატონმა ეს არ იცოდა, რაკი ჯერ არ დაეკარგა, მას რომ მაშინ სულ ერთ წამით თვალში ჩავვარდნოდი, ტვინის ყველა უჯრედოვანი წარმონაქმნი გამეყინებოდა, დავემსგავსებოდი იშვიათი დანიშნულების ქალს, რომელიც ქუჩაში დგას და თავის თავს კი არა, სხვებს - გარყვნილებს - რყვნის, რითაც თავის თავს აწვალებს, უხეშად უკირკიტებს, ჩხვლეტს, სერავს, და ქრება. ის ზუსტად ასე ეხვეოდა თეთრ ზეწარში, ამოდიოდა ფეხსაცმლიდან, დგებოდა სკამზე და მომმართავდა რომაელი დიდებულივით, ალბათ: "ო, სენსორული აფაზიით დაღდასმულო, უბედურო ადამიანო, რომელსაც შენარჩუნებული გაქვს მოთხოვნილებათა სისტემა, მაგრამ ვაი რომ მოკლებული ხარ შესაძლებლობას - სწვდე ბგერათა კომპლექსის კონსტანტური

მნიშვნელობის ფიქსაციას სიტყვათა ხატში, რამეთუ და ვინაიდან შენ ბგერათა სისტემის სწორედ ეს სტაბილობა და ბგერა-აზრის მთლიანობა დაგრღვევია სამარადჟამოდ. ეს სწორედ შენ ხარ ის ავადმყოფი, ვისაც შეგიძლია, თავისუფლად გაიმეორო თითოეული სიტყვა, მაგრამ არ ძალგიძს გამეორებულ სიტყვათა ხატის შენარჩუნება ხანგრძლივად. ამიტომ და ამის გამო, ამავე სიტყვის ხელმეორედ გამეორებისას, სიტყვის ბგერათა შემადგენლობა დაუსაბუთებლად ცვალებადობს. ო, ასეთო უბედურო ადამიანო, აწ უწყოდე, რომ სიტყვის მნიშვნელობის ლაბილობა, სიტყვის ნიშანთა ეიფორიის პროცესის მოშლა წარმოადგენს შენი მშვენიერი საფეთქლის აფაზიის ტიპობრივ მოვლენას, მეგრული გვარით". მას ყოველთვის სულელი ვეგონე და ეს დაამტკიცა ჩემგან თავისი წასვლით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მრავალი წლის წინ. მას მერე მომწონს, როცა პოლიციელების თვალწინ წესიერებას განვასახიერებ. მომწონს, რომ ამით რაღაცას ვაშავებ.

12.

- როცა ის მოძრაობებს ასრულებს, არაფერს არ გასცემს, მისი ცნობიერი ძალისხმევა გაცემისკენ არ იხრება. ის ცდილობს, შეკრიბოს და შთანთქას; მოითხოვს და აგროვებს. მხოლოდ. ასრულებს? ასრულებს: მისი მოძრაობები არაა უშუალო, ისინი გაშუალებულია მისი ყოვლისშთანმთქმელი იდეოლოგიით, მაყურებლის გაცრუების და შინაარსის არარსებობის გადაფარვის პოლიტიკით. ის ასრულებს საკუთარ მოძრაობებს, რომლებიც მას არ ექვემდებარებიან, რომლებიც - თავიანთი განშლადობით და დაფანტულობით - ფლობენ მას, ფლობენ იმის ძალით, რომ გაურბიან, არ მთლიანდებიან. ის შურს იძიებს ამ მოძრაობებზე, შურისმაძიებლებზე იმის გამო, რომ მათი გამოყენებით ცრუობს ის, ვინც შურს იძიებს მათი გასხვისების, სხვების მეხსიერებაში მათი სტიქიური განფანტვის გზით, რაც - თავის მხრივ - სხვა არაფერია, თუ არა შურისძიების შეუძლებლობა, წარმოსახული ქმედების რეალური არარსებობა, პოლიტიკის წარმოების უუნარობა. ის არ განიცდის თავის სხეულს, ის მხოლოდ აიძულებს მას, აიძულებს სწორხაზოვნად, უხეშად, ისე, როგორც ეს ხდება ყველგან, სადაც ფიქრი არ არსებობს, სადაც მექანიკა ჩაენაცვლება მოძრაობის, მთლიანობის უნარს, სიკეთის ესთეტიკას. იქ, სადაც სიკეთის ესთეტიკა მუშაობს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მოძრაობებს, არამედ - კავშირებს ამ მოძრაობებს შორის, ამ კავშირთა როგორობას, მოძრაობებს შორის ამოქმედებული როგორობის ფორმებს, ამ ფორმების შინაარ-

სებს, ამ შინაარსების რეალიზების ესთეტიკურ ხარისხს. მოძრაობები ცოცხლობენ მაშინ, როცა მოძრაობებს შორის ურთიერთობები ცოცხლდებიან. მკვდარი მოძრაობების მექანიკური ჯამი, როგორც ცნობილია, მოძრაობებს...

13.

"მერე მე ვკითხე, თავკომბალებს თვალები ემსგავსებიან თუ თავები მეთქი. უფრო - თვალებიო. ეს რაღაც ახალია მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს".

- სად არიან ისინი ახლა? რომელ შენს მეხსიერებაში? შენი მეხსიერების რომელ დროში? რომელ მონაკვეთში? ვისთანაც არ უნდა იყონ ისინი, მათ შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადგილებში ყოფნა, სადაც შენთან იქნებიან, უნდათ თუ არ უნდათ. მათ მეტი ვერაფერი ასწავლა ცხოვრებამ. ესაა მათი განხორციელების ერთადერთი მოძრავი, მოქმედი შინაარსი, რომელიც არანაირ შინაარსს არ მალავს, თუნდაც - უდღეურს. ესაა სიჩლუნგე, სიჩლუნგე, სიყეყეჩე, ესაა სიკვდილი ყველგან, სადაც ისინი ვიღაცას ან რაღაცას ეხებიან თავიანთი პრიალა ხელებით. მათი სინაზის ოხშივარი აღწევს ათასობით ხელჩაქნეული ტვინის ათიათასობით ხვეულში. უნდა იქმნებოდეს შთაბეჭდილება, რომ რაღაც ხდება, რაღაც ისეთი, რასაც შეეძლება ფიქრის გამოწვევა. მათ ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ ეს - ფიქრი - ძვირფასი და ღირებულია, ანუ - ერთობ დაფასებული, უმრავლესობისთვის ერთობ ფასეული.

"მე მაშინ ვფიქრობდი, რომ რაოდენობა ფსიქიკას არ დაშლის, რომ ძლიერი ვარ. ვუყურებდი მაღაზიისკენ წაჩანჩალებულ ამ მოხუც წყვილს და ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა ლამაზები არიან მეთქი. იმიტომ, რომ ასეთი ლამაზი სიბერე ცუდი, აუწყობელი წარსულის მაუწყებელია. მერე შემეშინდა: "ღმერთო ჩემო, ამდენი კაცი!" მაგრამ თუ ფსიქიკა უკვე დაშლილია? მაშინ, მით უმეტეს, არ უნდა იყოს რაოდენობა მნიშვნელადი. მეორეს შეეძლო, ასე ეხუმრა: მე შენი სული სატანას გადავეციო. რა იცოდა, რომ რაოდენობა ჩემისთანა ქალისთვის ბევრს ნიშნავს".

- მე მინდოდა, ყველაფერი გულწრფელად მეთქვა, მაგრამ შენ ხედავ, რომ არაფერიც არ გამოვიდა. მე მინდოდა, რაღაც მომეთხრო მამაჩემზე, მის საყვარელზე, ჩემს ძმაზე და მის საცოლეზე. მე მინდოდა, რაღაც მომეთხრო ჩემს საყვარლებზეც. ამ საქმეს კი წინ აღუდგა მამიდაჩემის მთელი მკერდი, მთელი მრისხანება, გამოხატული ძუნწი გამოხედვების გულისგამაწვრილებელ ფრაგმენტულობაში, მუქარაში, შინაბერობაში.

როგორმე - სხვა დროს. ასეა თუ ისე, რაღაც მაინც ითქვა, ჩემო სერაპიონ. და ეს უფლებას არ მიტოვებს - ვინანო, რომ ვერაფერიც ვერ ვთქვი. აქედან მოდის, ჩემო კარგო, იოლად რომ ვკარგავ სიმშვიდეს, და მერე ჩემში დატრიალებული ქაოსი ყველას და ყველაფერს ედება ჩემს ირგვლივ. აქედან მოდის, ალბათ, ისიც, რომ აქ მზიანი დღეებია; რომ ჩვენი სახლის მიდამოებში თოვლის უზარმაზარი ნაფლეთები ამოუცნობ, იდუმალ იეროგლიფებს ჰგვანან. რაღაცნაირი სევდა ახლავს მათი დნობის პროცესს, - უფრო და უფრო შორდებიან ისინი ერთმანეთს და უფრო და უფრო უქრებათ იმედი, რომ მათ წაკითხვას ვინმე მოახერხებს. აღმოსავლეთის ტყიან მთაზე ეს ჯერ არ ითქმის, - მიწა არ ჩანს და შიშველი ხეები ფესვებს უფრო ჰგვანან. ამ ფესვებით დაძარღვული, მოწყენილი ტყიდან ღამ-ღამობით ტურების კნავილი და ჭოტის კივილი ისე ისმის, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი ხდება ამქვეყნად. ჩვენს სენაკებში ამ დროს დიდი პოლონური ღუმლები ქშინავენ. უფროსი ძმასავით საყვარელ ამ ღუმლებს დღე-ღამეში ერთხელ ვანთებთ, მწუხრის ლოცვის მერე. ვჭამთ შემწვარ კარტოფილში მოთუშულ კომბოსტოს, ბრინჯს, ლობიოს, კომშის და ვაშლის ჯემს, ვსვამთ ასკილის და კრაზანას, პიტნის და ცაცხვის ნაყენს. ვიცინით, ვხმაურობთ კიდეც და, ნუ იტყვი, უხერხულ თემებზეც ვსაუბრობთ. ეს ცოტას არ ნიშნავს; ბოლოსდაბოლოს, არაა დამღლელი. როცა მარტო ვრჩები, მაქვს განცდა, რომ ჩვენში, თითოეულში, ყოველი ახალი წამი წარმოშობს ახალ ადამიანს. უფრო მეტიც, წამის ყოველი მეათასედი. და ეს ურიცხვი ადამიანი, ძველი და ახალი, უფრო ახალი და ესესაა გაჩენილი, მიწყივ ერთმანეთს ეცნობიან. ადამიანის, როგორც ხილულის, არსებობას შესაძლებელს ხდის არა იმდენად ამ ურიცხვი ადამიანის ურთიერთნაცნობობის ფაქტი, არა მათი თავმოყრა ერთ მთელში, არამედ - თვით ამ ურთიერთნაცნობობის უწყვეტი პროცესი; ვის შეუძლია, ჩემო კარგო, თავის თავში არ ამრავლებდეს ადამიანს, არ არსებობდეს ურიცხვ ადამიანს შორის დიალოგის სახით? ესეც - ჩემი კიდევ ერთი უსუსური მითოლოგია, მოულოდნელი მოწყენილობების ტკბილი ნაყოფი. ახლა, როცა ძაფს ვართავდი, ამ მითოლოგიით გავფანტე ფიქრი სახელმწიფოზე, რომელიც, როგორც ჩანს, ადამიანს მხოლოდ სიკვდილისშემდგომი თავისუფლების ნებას აძლევს. თუ ჩემი მეორე საყვარელი მართალი იყო, ჯარში თურმე ერთი ასეთი კანონი თუ წესი მუშაობს: როცა ჩინით ქვემდგომს ჩინით ზემდგომისგან გაცემული ბრძანების მიზანშეწონილობაში ან სამართლიანობაში ეჭვი ეპარება, მას მხოლოდ ბრძანების შესრულების მერე შეუძლია ნაბრძანების გაპროტესტება. სახელმწიფოში ადამიანის ცხოვრებაც ხომ იგივე პრინციპს ეფუძნება: ის ჩვენ გვიბრძანებს, ერთგულად ვემსახუროთ მთელი ცხოვრება და როცა მოვკვდებით, გავაპროტესტოთ

ბრძანების მიზანშეწონილობა. სამწუხაროდ, რომც მოახერხოს განსვენებულმა ეს ძნელი საქმე, პროტესტით ისევ სახელმწიფოს უნდა მიმართოს. სახელმწიფომ, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება დანაშაული აღიაროს და მომჩივანს ურჩობის ნება დართოს, მაგრამ არა - ხელმეორედ სიცოცხლის. უნდა წარმოიდგინო ჩემი ზოგიერთი მოწყენილობის სიღრმე, თუ იმ ჩემს აკვიატებულ იდეასაც გაგიზიარებ, რომ სახელმწიფო კანონს განამტკიცებს და არა - წესრიგს. მე კი მიმაჩნია, ნებისმიერი ადგილი კანონიერი უნდა იყოს, სადაც ჩვენს სულებს უწევთ ცხოვრება. ეჰ, ჩემო კარგო სერაპიონ, ეს კანონი განწირულია საიმისოდ, რომ ვერ აიტანოს და, უფრო მეტიც, შეიძულოს ჩვენი შესაძლო ერთადყოფნა. ასეა თუ ისე, უკვე მამიდა ვარ და ეს ცოტას სულაც არ ნიშნავს. მით უმეტეს, ჩემს ასაკში და ჩემს ასეთ მდგომარეობაში. გახსოვს?:

ბოლოს ჩვენი თავიც გაგვახსენდა ამ აურზაურში, -
როგორები ვიყავით მაშინ, ჩვენ-ჩვენი ხმით დაკავებულები:
ჩვენი დგომის ჩრდილი მანქანების ხმაურს ანელებდა
და წარმოქმნიდა გადაძახილს
უკვე მოძრავ იმ ქმედებებს შორის,
რომლებსაც, როგორც ჩვენზე ადრე დახოცილებს,
ვერ დავეწეოდით დღეიდან ვერასდროს;
გაყვითლებული წიგნის გვერდებიდან ამოხეულ ჩვენს სიკვდილს -
ამ ჩვენს მონდომებას - ქარი ფოთოლივით მიაფრიალებდა,
ტბაში მოციმციმე კენწეროებივით შორს ჩვენგან მიაფრიალებდა.

რაც შეეხება იმას - ჩემს სხეულს, - ახლა შეიძლება თამამად ითქვას, რომ არც ერთი მისი მოძრაობა არაა ერთმანეთის გამომრიცხავი, არც ერთი ახალი ჟესტი არ უპირისპირდება წინარეს და არ გამორიცხავს მომდევნოს. ესაა დროსთან დადებული ხელშეკრულების წმინდა შედეგის ექსპლიკაცია, მოძრაობათა სწორხაზოვანი თანმიმდევრობის ბანალური სურათი, მოულოდნელობებისგან დაცლილი და მოსაწყენი. ამ სურათს გააჩნია ჩარჩო და სიბრტყე, მეტი არაფერი. ვინც ახლა მისი სახით მოძრაობს, ის უკვე ცნობილი და მოსაწყენია, რაკი ცნობილი და მოსაწყენია მისი მოძრაობების ურთიერთშეთანხმებული კომბინატორიკა. დრომ ნება დართო ამ მოძრაობებს, იწოდებოდნენ მოძრაობებად; ისინი არსად არ არიან, ვინაიდან დროს არაფრით არ ამდიდრებენ; არ სთავაზობენ რაიმე ისეთს, რაც არ იქნება დროული, რაც ცნობიერების დაძაბულობის მანიშნებელი და ამ დაძაბულობის მწარმოებელი, განახლებადი პროცესის უზრუნველმყოფელი - დაუცველობით უზრუნველმყოფელი - ხდომილება

იქნება. ის მხოლოდ იმეორებს. არა, ის არ იმეორებს სხვების მოძრაობებს; ის მოძრაობის იდეის სრულყოფილი გამოხატვის მცდელობას იმეორებს, იმეორებს შეცდომას, რომელიც უკვე დისკრედიტირებულია. უფრო მეტიც, იმეორებს დისკრედიტირებული შეცდომის ახლად დაშვების მაგალითებს და ამ მაგალითთა გამეორების მაგალითებს, ანუ: მისი სახით დროს საქმე აქვს შეცდომის დაშვების შეუძლებლობასთან. ის არ ცდება. საიმისოდ, რომ შეცდეს, მისი მოძრაობების თანმიმდევრობას არ ჰყოფნის ძალა, - გამთლიანდეს რღვევის, და არა კომბინატორიკის, ფასად; გამთლიანდეს ურთიერთგამორიცხვის და მისი განადგურების ფასად. და, მაინც, ასეა თუ ისე, მოძრაობს. მაგრამ თუ ის მაინც მოძრაობს, ეს მოძრაობა არის პროტესტი, დაპირისპირება; მაგრამ - ვისთან ან რასთან? საქმეც ისაა, რომ - არავისთან და არაფერთან. ესაა დაპირისპირება წარმოსახულ მტერთან, რომლის წინააღმდეგ წარმოსახული ჯანყი მას ამშვიდებს და აიმედებს, რომ მოძრაობა წარმატებით მიმდინარეობს; რომ - რაც მთავარია - მისი მოძრაობა საჭიროა, ჯერარსულია, გადამწყვეტია. მას სხვა არაფერი აქვს სათქმელი. თუ ამ პროტესტს წავართმევთ, მისი მოძრაობაც გაქრება. ეს პროტესტია სწორედ ძალა, რომელიც წარმოქმნის რაოდენობრივ ხმაურს და აღიზიანებს, აღძრავს მაყურებლის ხედვას. მისი მოძრაობის შინაარსი რაღაც ისეთზეა დამოკიდებული, რაც ვერასოდეს წარმოქმნის შინაარსს, ვერ წარმოქმნის მოძრაობის ავტონომიას. თუ მას თავისივე მოძრაობები თავს არ ესხმიან, შიგნიდან არ გლეჯენ და ნაკუწებად არ აქცევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ პოულობენ ცენტრს, საყრდენ წერტილს ამ სხეულში, გადაადგილებებისგან მშენებარე ამ მოცემულობაში, რომელიც მოძრაობს იძულების ძალით, გარედან. ის ყოველთვის გარედან უტევს და ახერხებს კიდეც იმის გაძევებას, ვინც თავადვეა, მაგრამ ყოველთვის - გუშინ. ეს ყოველწამიერი "გუშინ" მისი ნუგეშია ყოველი შესაძლო გამოცხადების, მოსალოდნელი განკითხვის წინაშე, იმის პირისპირ, რასაც მისი შიში აღიარებს, მაგრამ უარყოფს. ის იძულებულია, ყოველწამს აზუსტებდეს, რომ მისი მოძრაობა ოდესღაც და სადღაც დაიწყო; იძულებულია, თავს იმართლებდეს სწორედ მაშინ, როცა ასრულებს მოძრაობებს, ანუ როცა მისი თითოეული მომდევნო ჟესტი ბაძავს ან იმეორებს წინარეს. ვიდრე მის ფიქრში არსებობს მსგავსი ილუზია - მომდევნოში წინარეს შენახვის შესაძლებლობა გამეორების ან ასლირების გზით, - ვიდრე მისი ფანტაზია გამორთულია, მისთვის უცხო იქნება თავისი მთლიანობაც, ანუ მისი - ჩემი სხეულის - უმიზნო და უფუნქციო, უსიტყვო მდინარება.

1992, თებერვალი - 1998, მარტი

წერილები. საუბრები. პოლემიკა. ინტერვიუები. განმარტებები

თებერვალი დადგაო...

ანბანური ჭეშმარიტებაა: წარსულისა და აწმყოს ანალიზი ხვალინდელი დღის წინასწარმეტყველების სურვილსაც გულისხმობს, ცხადად თუ შეფარვით. აწმყოს ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს, - იგი ხიდი უნდა იყოს წარსულსა და მომავალს შორის. ჩემი აზრით, თანამედროვე ქართულ მწერლობას, საზოგადოდ, ეს ფუნქცია დაკარგული აქვს, რის შედეგადაც საფრთხე ექმნება მის ხვალინდელ დღეს. ამის მიზეზი, ჩვენგან დამოუკიდებელი თუ ჩვენზე დამოკიდებული, მრავალია. შევეცდები, შეძლებისდაგვარად, ზოგიერთი მათგანის წარმოჩენას.

ჯერ ასეთ "პარადოქსს" შემოგთავაზებთ: თანამედროვე ქართულ მწერლობაში შექმნილია უკიდურესად კრიტიკული მდგომარეობა იმის გამო, რომ არაფერი მეტყველებს ქართული მწერლობის კრიზისზე, და არც ახლო მომავალშია იგი მოსალოდნელი. რაში მდგომარეობს ამ "პარადოქსის" აზრი და რა კავშირი აქვს მას არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურულ, არამედ აგრეთვე ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული და ამერიკული ლიტერატურის წარმომადგენლებმა ერთობ მცირე დროში გააცნობიერეს, რომ უკვე შეუძლებელი იყო ურთულესი მსოფლიო კოლიზიების ასახვა ძველი, დრომოჭმული საშუალებებით; აუცილებლობას წარმოადგენდა სრულიად ახალი მხატვრული მეთოდების ძიება და დამკვიდრება, რათა მწერალი დროს არ ჩამორჩენოდა და სკრუპულოზური სიზუსტით აღენუსხა ეპოქის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები და მოვლენები, მაშასადამე, ყველაფერი (რამეთუ, დიდი ხანია, მსოფლიოში ხელოვანის თვალისთვის უმნიშვნელო არაფერი ხდება). ერთი სიტყვით, აღარ შეიძლებოდა "ძველებურად ცხოვრება". კი, მაგრამ ვინ იყვნენ ეს "ძველები"? აი, ისინიც: პაუნდი, ელიოტი, კაფკა, რილკე, ჯოისი, პრუსტი... მოკლედ, საუკუნის დასაწყისის და მეორე მეოთხედის ის მწერლები, რომლებმაც, რბილად რომ ვთქვათ, ომისშემდგომ თაობას, ამ აჯანყებულ ხალხს, წერა ასწავლეს.

დამეთანხმებით, გერმანელს ქართველი ვერ ასწავლის კაფკას სიყვარულს, ხოლო ფრანგს – პრუსტისას, მაგრამ გერმანელმაც და ფრანგმაც, საპირისპიროდ ქართველისა, კარგად იცის, რომ თუ შემოქმედს სურს ტრადიციის ჭეშმარიტი პატივისმცემელი იყოს, პირველ რიგში იგი სწორედ ამ ტრადიციას უნდა დაუპირისპირდეს, რათა უფრო განამტკიცოს გუშინდელი დღე. უფრო მეტიც, ხელოვანი ერთადერთია, ვისაც არათუ ეპატიება, არამედ ევალება ტრადიციის პატივისცემა ასეთი "უცნაური"

გზით. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული მწერლები სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სარგებლობდნენ მკითხველთა არაჩვეულებრივი ყურადღებით, ამ დროისთვის ისინი უკვე "ძველები" იყვნენ. ტრადიციაა არა მხოლოდ საუკუნის წინ შექმნილი, არამედ – ისიც, რაც გუშინ და გნებავთ დღეს შექმნილა. წიგნი, რომელმაც ათიან წლებში გაითქვა სახელი, ოციანი წლების მწერლისთვის უკვე ძველია და ამ წიგნმა მას, ყველაფერთან ერთად, უმთავრესი უნდა ასწავლოს: ასე წერა არ შეიძლება! რაკი "ულისე" არსებობს, მაშასადამე ასე წერა არ შეიძლება! ტრადიციის გადალახვა ნიშნავს მისდამი ერთგულებისა და სიყვარულის საქმით დამტკიცებას. ეს ის მეთოდური ეშმაკობაა, რომელიც ორგანული უნდა იყოს ნებისმიერი ხელოვანისთვის, ვინც ეფემერულ სახელს კი არ ესწრაფვის, არამედ – საკუთარი თავის აღმოჩენას. მაშასადამე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპულ ლიტერატურაში შექმნილი ვითარება იყო ტიპიური ნიმუში ლიტერატურული კრიზისისა, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა და მრავალფეროვანი გახადა ევროპული ხელოვნება. იგივე მოვლენა იყო ბევრად ადრე მიზეზი იმპრესიონიზმის, პოსტიმპრესიონიზმის, ექსპრესიონიზმის და სხვა უამრავი "იზმის" წარმოშობისა, რომელთა მიღწევებსაც ღიმილით უმზერდა ორმოცდაათიანი წლების ხელოვანი.

ლიტერატურული კრიზისი უშუალოდაა დაკავშირებული ამა თუ იმ საზოგადოებაში მიმდინარე სულიერ პროცესებთან. XX საუკუნე, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულია. მსოფლიო მოიცვა ისეთმა პრობლემებმა, რომლებსაც ინტერნაციონალური პრობლემები შეიძლება ვუწოდოთ. ესენია: ადამიანისა და მანქანის ურთიერთმიმართების, კაცობრიობის დეჰუმანიზაციის, პიროვნების გაქრობისა და უსახო ადამიანის მოძალების, და უამრავი სხვა პრობლემა. ეს უკვე ეპოქის კრიზისია, რომელმაც შეიძლება დაღუპვამდე მიიყვანოს კაცობრიობა. ამ კრიზისის გაცნობიერების შედეგია საუკუნის წიგნები: "ევროპის დაისი", "ყოფიერება და დრო", "მასების აჯანყება". ამ კრიზისის ანალიზია მოცემული იასპერსის, სარტრის, ჰუიცინგას და სხვა მრავალი ფილოსოფოსის შრომებში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ დარჩენილა XX საუკუნის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოაზროვნე, თავისი სიტყვა რომ არ ეთქვას იმ თავზარდამცემ მოვლენათა შესახებ, რომლებიც ჩვენი საუკუნის პირმშოა, და რომელთა გამოც კაცობრიობის მთელი ისტორია სასწორის ერთ მხარეზე აღმოჩნდა, ხოლო ჩვენი საუკუნე – მეორეზე.

რა ხდება ჩვენში? ვცხოვრობთ თუ არა თანამედროვე მსოფლიო რიტმით? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა ტყუილი იქნებოდა. გულახდილად თუ ვიტყვით, ჩვენ დღესდღეობით ჭურში ვსხედვართ. ამის

უპირველესი ნიშანი ჩვენი განათლებისა და პროფესიონალიზმის უკიდურესად დაბალი დონეა. ზედაპირულად, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიცით, მაგრამ სინამდვილეში არაფერიც არ ვიცით; გახედვაც არ გვსურს იქით, საიდანაც სიღრმე და ურთულეს კანონზომიერებათა საუფლო შემოგვცქერის. თავის დამშვიდების საბაბს იძლევა, ერთი შეხედვით, ის, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი მსოფლიო ამ დღეშია ჩავარდნილი; საქმე ეხება იმ დილეტანტიზმისა და "ზარმაცი გონების" ავადმყოფობას, რომლის სიმპტომები ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იგრძნეს მოაზროვნეებმა და განგაში ატეხეს; მთელ განათლებულ და კულტურულ სამყაროსთან ერთად ლიტერატურაც დაირაზმა ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად. ცხადია, როგორც მსოფლიოს ორგანულ ნაწილს, ეპოქის ჭირი საქართველოსაც უნდა შეჰყროდა, მაგრამ, საუბედუროდ, იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ურიცხვია, და რომელთაგან რამდენიმე ქვემოთ იქნება განხილული, ჩვენში უარესი მოხდა: დილეტანტიზმმა, ზედაპირულობამ, გაუნათლებლობამ, უსახობამ, შეიპყრო ლიტერატურაც, ე. ი. ის ძალა, რომელიც ამ სენის წინააღმდეგ პირველი მებრძოლი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით, ქართულ მწერლობას დღეს მეტად მძიმე ჟამი უდგას: მან ჯერ ეს სენი უნდა მოიშოროს, უნდა განიწმინდოს, და მხოლოდ ამის მერე შეეძლება უფრო მაღალ მიზნებზე ფიქრი.

მავანი, ცხადია, ჩემი აზრის საპირისპიროდ, ჩვენი საუკუნის ისეთ დიდ მწერლებს დაასახელებს, როგორებიც იყვნენ რობაქიძე, გალაკტიონი, გამსახურდია... როგორებიც დღეს ოთარ ჩხეიძე და ოთარ ჭილაძე არიან... მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთია დიდი ტალანტის ძალმოსილება, ხოლო მეორე – ის ფარული კანონზომიერება, რომელიც ლიტერატურის საერთო პროცესის განმსაზღვრელია, და რომელიც ლიტერატურას აკავშირებს ეპოქასთან. როცა ლიტერატურა, სხვადასხვა მიზეზთა გამო, განვითარების ბუნებრივ გზას აცდენილია, მაშინ ათი გალაკტიონიც რომ მოღვაწეობდეს ერთმანეთის გვერდით, ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესს მისხალი არაფერი დაეტყობა უკეთესობის. ამ საკითხს ისევ დავუბრუნდები, ამჯერად კი აღვნიშნავ, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ნათელს ხდის იმ ზღვარს, რომელიც მიჯნავს საქართველოს არა მხოლოდ კულტურული და განათლებული ევროპისგან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, - თავისი გუშინდელი დღისგან.

ჯერ საკითხის პირველი მხარის შესახებ. ჩვენი მწერლების უმრავლესობა მხოლოდ ახლა ეცნობა პრუსტის, ჯოისის, მუზილის თუ სხვა კორიფეთა შემოქმედებას. ზოგს კი არათუ არ წაუკითხავს, არც გაუგონია ოდესმე ეს სახელები. მრავალი ასაკს მიღწეული მწერალი მხოლოდ ახლა

ეცნობა მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის მონაპოვარს; მრავალი ახლა ფურცლავს თვით ჰოლდერლინსა და კოლრიჯს. მეორეს მხრივ, ჩვენს ტრადიციებთან მისასვლელი გზები ჩვენვე ჩავიხერგეთ იმით, რასაც კლასიკური ქართული მწერლობის ერთგულებას ვეძახით და რასაც არაფერი აქვს საერთო ერთგულებასთან. ეს საკუთარ ნაჭუჭში ჯდომის სურვილი და შემოქმედების შიშია მხოლოდ და მხოლოდ.

დღევანდელ ქართულ მწერლობაში შექმნილი ვითარება, ძალიან მოკლედ, ასე შეიძლება გამოითქვას: ჩვენ არ ვიცით, როგორ ***არ შეიძლება*** წერა, როგორ არ უნდა ვწეროთ. ეს ის საზოგადო მოვლენაა ქართულ მწერლობაში, რასაც თავისი უღრმესი მიზეზობრივი ძირები აქვს. აქედან გამომდინარე, საჭიროა არა შექმნილი სიტუაციის გამო ვინმეს გაკიცხვა, არამედ – ამ მიზეზთა გამოწვლილვით ანალიზი, რათა მოხერხდეს ამჟამინდელი ვითარების წამლობა. ჩემი მიზანი გაცილებით მოკრძალებულია: მსურს, მკითხველს რამდენიმე დაკვირვება გავუზიარო, ხოლო სანამ ამ საქმეს შევუდგებოდე, მოვიტან ამონაწერს ბ. ადეიშვილის წერილიდან, რომელიც თანამედროვე გერმანულენოვანი პოეზიის პრობლემებს ეხება, და რომელსაც კარგად იცნობენ სპეციალისტები. მე მას კომენტარს არ დავურთავ, მხოლოდ ერთს ვიტყვი წინდაწინ: ამონაწერში ყოვლისმომცველი ლაკონიზმითაა ნაჩვენები, რა დაკარგა გდრ-ის ლიტერატურამ რაღაც ოციოდე წლის განმავლობაში, მას მერე, რაც იგი დედასამშობლოს ჩამოაშორეს: "1964 წლის დეკემბერი. ლიტერატორთა ინტერნაციონალური კოლოქვიუმი ოდერის ფრანკფურტში. თემა: გათიშულ გერმანულენოვან სამყაროში მიმდინარე ლიტერატურული პროცესი; გერმანული ლიტერატურის ინტერნაციონალური რეზონანსი; ტრადიცია და ლიტერატურული პოლიტიკა. კოლოქვიუმმა აღნიშნა: ძირითადი ნაკლი გერმანული ლიტერატურისა (გდრ-ის მასშტაბი) – კარჩაკეტილობა (თავისთავში ჩაკეტვა), ნაკლებ მოდერნულობა, ცალმხრივი ინფორმაცია უცხოეთის ქვეყნებში აღჩენილ მიმართულება-მიმდინარეობათა შესახებ, თვალსაწიერის მოზღუდვა და შედეგად ყოვლისა – დახშული ინტერნაციონალური გამოძახილი; მოდერნიზმის გაუბრალოებული, ლოზუნგური ინტერპრეტაცია; განსხვავებულ ცნებათა და კონცეფციათა ერთ ქვაბში ხარშვა – დეფინიციის უქონლობა (ვოლფგანგ იოჰო). ***ეგონ ნაგასოვსკის*** კონსტატაცია: ეს ფაქტია, გერმანული ლიტერატურა მონოლითი აღარ არის (გულდასაწყვეტი ფაქტი), მაგრამ რაიმეს შეფასებისას ესეც უნდა გვახსოვდეს: ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ლიტერატურა (განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საფუძვლებზე), ორივე ლიტერატურის განმკვიდრებაში ესთეტიკური ფაქტორის წილხვედრიც ცხადი უნდა

იყოსო. ორივე ქვეყნის ლიტერატურა თავ-თავის ესთეტიკურ კონცეფციას იცავს დღემდეო. მაგალითად: გერმანული კლასიკური მოდერნისტული ლიტერატურის ტრადიცია აღმოსავლეთში საერთოდ არ განვითარებულა (ეს კი მნიშვნელოვანი მონაპოვარიაო), მივიწყებულია ინტერნაციონალური პროზის მიღწევაც (ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი, ფ. კაფკა) – მეტადრე კაფკა – მოდერნული რომანის მამა. ასევე ნაკლებ განქვეყნდა თქვენში რ. მუზილის, ჰ. ბროხის შემოქმედება (რითაც მწერალთა ახალთაობას ლიტერატურული ვარჯიშის საშუალება წაერთვაო). ნაცისტური ჟამიანობის დამხობის შემდგომ დასავლეთ გერმანულმა მწერლობამ კვლავ აღიდგინა მსოფლიო ლიტერატურასთან შერწყმის დიდი ტრადიცია, აღმოსავლეთი ამ მხრივ ვალში დარჩაო (ზემორეჩამოთვლილ კლასიკოს მოდერნისტთა ხელდასხმულნი არიან დიდი ტალანტები: დოს პასოსი, ვირჯინია ვულფი, უ. ფოლკნერიო)." ("საუნჯე", #2, 1985 წ.).

1917 წელს გ. რობაქიძე წერდა: "XX საუკუნე საქართველოში მნიშვნელოვანი უღელტეხილით დაიწყო: ისახება ქართული რენესანსი. ამ მოვლენის "მტკიცება" ჯერჯერობით მეტად საძნელოა: ახლა მისი "შეგრძნობა" თუ შეიძლება მხოლოდ" (გაზეთი "საქართველო", #257, 1917 წ.). ცხადია, როცა მწერალი ამას ამბობდა, ვერც წარმოიდგენდა, რა შემზარავ ხვედრს უმზადებდა ბედი საქართველოს. გრ. რობაქიძე საქართველოს განვითარების, ქართული კულტურის განახლების ბუნებრივ გზას გულისხმობდა და არა – ხელოვნურად შეწყვეტილსა და კალაპოტშეცვლილს.

XX საუკუნის ხელოვანისთვის განათლება ყველაფერია. საიმისოდ, რომ მწერალმა, ურიცხვ პირობითობათა გადალახვით და მათივე ხელშეწყობით, შინაგანი მზერა გაიცხოველოს და იცოდეს, როგორ არ უნდა წეროს, განსაკუთრებული პირობებია საჭირო. რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი დაპყრობის შემდეგ ჩვენში ყველა პირობა შეიქმნა სწორედ საიმისოდ, რომ არათუ მწერალი, არამედ ნებისმიერი ინდივიდი განათლებული არ ყოფილიყო. საქართველო, როგორც იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ამით დამპყრობლის ბედს იზიარებდა. არც რუსეთსა და არც საქართველოში ოციანი წლების მერე არ ყოფილა ელემენტარული პირობებიც კი, რომ მწერალს თვალყური ედევნებინა იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურული პროცესისთვის; სცოდნოდა, რა იქმნებოდა ახალი, ვინ წარმართავდა ამა თუ იმ პერიოდში ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ აზრს. ფილოსოფია იმიტომ ვახსენე, რომ მაშინ, როცა XX საუკუნის ხელოვნების ნებისმიერი დარგი ფილოსოფიისადმი გამძაფრებულ ინტერესს იჩენდა და ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის კავშირმა ისეთი სახე მიიღო,

რომლის მსგავსი კარგა ხანია არ ახსოვდა კაცობრიობის კულტურის ისტორიას, ჩვენი მწერლები ცოცხალი ფილოსოფიური აზრისგან მოწყვეტილი და ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდნენ. ცხადია, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ფილოსოფია თავისუფალი აზრის სიმბოლოა, თავისუფალი აზროვნება კი ლენინური ტოტალიტარიზმის და მანქურთიზმის პრინციპებთან თანხმობაში ვერ მოვიდოდა. მეორეს მხრივ, მწერლებს აეკრძალათ საუკუნის დასაწყისში საფუძველჩაყრილი ტრადიციების გაგრძელება, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა მიერ მიღწეული წარმატებების განვითარება. იდევნებოდა ყველა, ვინც ახალ ეპოქას ფეხს ვერ აუწყობდა. ამ ანბანურ ჭეშმარიტებათა გამეორება იმიტომ მიხდება, რომ ყოველივე ეს იმ მიზეზობრივი ჯაჭვის ნაწილია, რომელმაც დღევანდელ ქართულ მწერლობაში კატასტროფული ვითარება შექმნა... ვისთვისაც შემოქმედება და სიცოცხლე ერთი იყო, მათი ბედი ტრაგიკულად წარიმართა. მრავალი საზღვარგარეთ გაიხიზნა (რუსეთში ხომ ეს პროცესი ოთხმოციან წლებშიც გრძელდებოდა), მრავალი კი, სხვადასხვა მიზეზთა გამო სამშობლოს ვერმოწყვეტილი, უმძიმესი პრესის ქვეშ აღმოჩნდა. განა ტრაგიკული არ იყო ბედი გალაკტიონის, ტიციანის, კონსტანტინე გამსახურდიასი... თქმა იმისა, რომ ამ მწერლებმა, ოციანი წლების შემდგომ, ადრინდელი შემოქმედებითი სახე და ღირსება შეინარჩუნეს, მტკნარი სიცრუე იქნებოდა. როცა ხელოვანი ცდილობს შექმნილი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარების გათვალისწინებას და, ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით, თავის თავს ნეგატიურ საზღვრებს უწესებს, ასეთ შემთხვევაში შემოქმედებითი თავისუფლება კნინდება და მხოლოდ ინერციით სულდგმულობს. ასე მოხდა რუსეთშიც და საქართველოშიც.

ტოტალიტარულმა დიქტატმა ახალი წესები და სტერეოტიპები დაკანონა. ლიტერატურაში მოზღვავდნენ უნიჭო, მაგრამ პროლეტარული კულტურის ერთგული "მწერლები". კრიტიკული აზრი ჩაკვდა. მომრავლდნენ კარისა და დამსჯელი "კრიტიკოსები". ეს მოვლენები კლასიკური უბრალოებითა და დამაჯერებლობით აქვს განხილული აკაკი ბაქრაძეს თავის "მწერლობის მოთვინიერებაში".

ინკვიზიცია სახეს უცვლიდა და აბუჩად იგდებდა ნებისმიერ მწერალს, რომელსაც მასებამდე თავისი ნაწერების მიტანა სურდა. ვინც დასახიჩრებაზე ყაბულს არ იქნებოდა, მას თავი იძულებითი ასკეტიზმისთვის უნდა გაეწირა. ეს პროცესი მხოლოდ ორმოციან წლებამდე როდი გრძელდებოდა. იგივე ხდებოდა შემდგომ ათწლეულებშიც. ეგ იყო მხოლოდ, რომ პროცესის გარეგნული, საჩვენებელი მხარე ხარისხობრივად გაუმჯობესდა, არსი კი იგივე დარჩა. კომპრომისი კომპრომისია, და როცა მწერალი

იძულებული ხდება აზრი შენიღბოს და დაამახინჯოს, იგი ფრთებშეკვეცილი მწერალია. როცა მწერალი თანახმაა თავისი ნაწარმოები დაჩეხილ-დასახიჩრებული იხილოს, ოღონდ კი დაბეჭდოს და ხალხმა წაიკითხოს, იგი გალახული მწერალია და ამას აღარაფერი ეშველება.

ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მწერალმა იგრძნო: დასრულდა ინკვიზიციის ჟამი. ამ ინკვიზიციას კი ისე შეერყვნა და შეებილწა მწერლობა, რომ იგი ამიერიდან ყველა საშუალებას იცნობდა და ფლობდა საიმისოდ, რათა დიქტატურა არ შეეწუხებინა და თავადვე მოეთვინიერებინა თავისი თავი.

პროლეტკულტისა და კომუნისტური "მორალის" დიქტატმა მწერლობაში ისეთი პირები შემოდევნა, რომელთაც არც მანამდე და არც შემდგომ, როცა სქელტანიანი წიგნების ავტორები გახდნენ, ნამდვილ ლიტერატურასთან საერთო არაფერი ჰქონიათ. ამ შემთხვევით პირებს ადგილებზე უკვე გაბზარული და დასუსტებული მწერლები დახვდნენ. სამოციან წლებში წყალი ისე იყო ამღვრეული, რომ ყველა, ნიჭიერიც და უნიჭოც, შექმნილი ვითარების თავისდა სასიკეთოდ გამოყენებას ცდილობდა.

ურიცხვ კალმოსანს ორმოცდაათიან-სამოციან წლებში თავისი ჩინოვნიკური ადგილი მტკიცედ ეჭირა. მათ ერთგული მემკვიდრეების გამოზრდა-გამოწთრობაც მოესწროთ. ამ ერთგულ მემკვიდრეებს განსაკუთრებული "ვალდებულებები" ჰქონდათ ნაკისრი: საჭირო იყო "აღმზრდელთა" და ლიტერატურულ სარბიელზე მათთვის გზის გამკვალავთა მიერ "შექმნილი" ფსევდოღირებულებების დამცველი ცოცხალი ხელოვნური ძალების აღმართვა. ყველას მოეხსენება, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი ლიტერატურულ სარბიელზე ასეთი გზით გამოსვლას არ იკადრებს და ყოველთვის განზე დგომას ამჯობინებს. ასეთი განზე მდგომები იყვნენ ნიკო სამადაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გურამ რჩეულიშვილი...

ცხადია, სიბრიყვე იქნება იმის მტკიცება, რომ შოთა ჩანტლაძის თაობის კომპრომისზე წასული მწერლებიდან ნიჭიერებით გამორჩეული და დაფასების ღირსი არავინ იყო. პირიქით, მათ შორის რამდენიმემ დამსახურებული სახელი მოიპოვა. ერთი კი უნდა ითქვას: ხომ ფაქტია, რომ მაშინ, როცა სხვა მწერლები მზად იყვნენ თვითდამკვიდრების მიზნით კომკავშირულ გმირობებზე და ათას საზიზღრობაზე ლექსები და მოთხრობები ეწერათ, პიროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი და აბუჩად ამგდები "პარავოზები" ეკეთებინათ, შოთა ჩანტლაძისნაირი ადამიანები ამას არ კადრულობდნენ იმიტომ, რომ დიდი შინაგანი კულტურა მათ კარნახობდა: იმ საშინელ დროში მწერლის ცხოვრების წესი უფრო დიდ გავლენას ახდენდა გაბზარული და დაბეჩავებული ხალხის სულზე, ვიდრე – საუც-

ხოოდ გაწყობილი დითირამბი. როცა ერი ხედავს, რომ მწერალი გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს და, მიუხედავად ამისა, დაფასება არ აკლია, საკუთარ თავსაც აძლევს უფლებას ასე იცხოვროს.

სამოციანმა წლებმა იმემკვიდრა და განამტკიცა თავსმოხვეული პოპულარობის ტენდენცია. ისედაც აზროვნებაწართმეულ, შეურაცხყოფილ ხალხს მესიასავით გამოუცხადებდნენ რომელიმე "დიდ" მწერალს. ეს "დიდი" მწერალი უსათუოდ დიდ, მაღალ სკამზე იჯდა და საშუალება ჰქონდა, წამდაუწუმ თავი შეეხსენებინა ხალხისთვის. კარის კრიტიკოსები ამ "დიდი" მწერლის ქებაში იყვნენ ნიადაგ, და ხალხს ათასნაირი სილოგიზმებით უსაბუთებდნენ მათ მნიშვნელოვნებას. ეს ხომ რეკლამების ტოტალური პერიოდი იყო. ცხადია, სახელმწიფო ტყუილად არავის წამოატივტივებდა, მწერალი პარტიის დიადი საქმის ერთგული და ყურმოჭრილი მონა უნდა ყოფილიყო... მაგრამ ჭეშმარიტად დიდ ნიჭს თვითგადარჩენის და ნამდვილ ღირებულებათა დაცვის ღვთით ბოძებული ძალა სწორედ ასეთ ვითარებაში უასკეცდება ხოლმე. სწორედ მაშინდელ ჭაობში ჩაუმხრჩვალი მწერლები არიან ოთარ ჩხეიძე და რევაზ ინანიშვილი, ოთარ ჭილაძე და გურამ დოჩანაშვილი... მათი რიცხვი არაა დიდი, მაგრამ არც მცირეა...

საგანგებო მსჯელობის თემაა ის, რაც შეემთხვათ ომის შემდგომ ათწლეულებში აღიარებულ და სამართლიანად დაფასებულ ნიჭიერ პოეტებს. მართალია, მათ თვისობრივად ახალი არაფერი მოუტანიათ ქართულ პოეზიაში, მაგრამ საუკუნის დასაწყისის დიდ ქართველ პოეტთა მონაპოვრის განმტკიცება და გაბედული ფორმისეული ძიებები უდავოდ მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა. მაგრამ მოხდა ის, რაც იმდროინდელი მოწამლული ჰაერით იყო ნიშანდებული და რაშიც განსაკუთრებული ძალით გამჟღავნდა ინკვიზიციის დანატოვარის "მადლი". სახელი, რომელიც ამ თაობის ნიჭიერმა მწერლებმა მოიპოვეს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლიდან პირველი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში შექმნილი ჩინებული ნაწარმოებებით, მავანმა მათგანმა ჩინოვნიკური კარიერის კეთების საქმეში მოიხმარა, ხოლო მავანმა ტკბილი და უზრუნველი ცხოვრების მოწყობას დაუმორჩილა. ერთი სიტყვით, ამ მწერლებმა გარანტირებული გზები აირჩიეს და ცხოვრება გაიიოლეს. ამასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მაშინაც ასე იყო და ახლაც ასეა: თუ მწერალთა კავშირის მდივანი, თავმჯდომარე ან სხვა ხეირიანი თანამდებობის პირი ხარ, შენთვის ნებისმიერი გამომცემლობის კარი ღიაა, შენი წიგნის ტირაჟს შენვე დაასახელებ, შენვე ათარგმნინებ როგორც რუსულ, ასევე სხვა ევროპულ ენებზე; როცა გინდა და სადაც გინდა, იქ ჩაატარებ პოეზიის დილა-საღამოს და "შეხვედრას მწერალთან" და ა.შ. და ა.შ. არც კარის კრიტიკოსი მოგაკლდე-

ბა; წერე, რაც გინდა და როგორც გინდა... არის კიდევ ერთი არსებითი მიზეზი: განათლების დეფიციტი. როცა მწერალი ფიქრობს, რომ ჩინოვნიკურ და შემოქმედებით საქმიანობას ერთმანეთს შეუთავსებს, ეს ისეთი უკანდახევაა, ისეთი სისუსტის გამომჟღავნებაა, რომელიც დაკვირვებულ კაცს აუცილებლად აფიქრებინებს: "არა, ამ მწერალმა თავისი საქმე არ იცის, იგი არ გაჩენილა ბედნიერ ვარსკვლავზე!" განათლებული და დიდი შინაგანი კულტურის მქონე ხელოვანი ამ გზით არ წავა, - ეს ხომ ის გზაა, რომელსაც ხელოვნების პერიფერიისკენ მივყავართ. ეს გზა მაძიებელი სულის გზა არაა. ამ დროს იწყება საკუთარი თავის უმოწყალოდ ძარცვა მწერლის მიერ; იგი ახალს კი არ ეძიებს, მხოლოდ ძველ მიღწევებს იმეორებს ათასნაირი ვარიაციით. ეს მოვლენა, პირველ ყოვლისა, შინაარსობლივ სიღატაკეში გამჟღავნდება ხოლმე. გარდა ამისა, შეიძლება პოეტი ლექსის კეთების ვირტუოზულ ტექნიკას ფლობდეს, მაგრამ აზრობრივი შინაარსის თვალსაზრისით მისი პოეზია უღარიბესი იყოს. საზღვარგარეთ ვირტუოზული ტექნიკით შესრულებული აურაცხელი წიგნი გამოდის, რომელთა მიხედვით აკეთებენ ფილმებს, და ამ ფილმთა ავტორები ასევე საუკეთესო ტექნიკოსები არიან; მათ ნამუშევრებში ვერ ნახავთ ვერც ერთ ფორმალურ ჩავარდნას. ეს ნამუშევრები აღსავსეა უსაზღვრო ფანტაზიით, მხატვრული ნაწარმოებისთვის თუ კინოფილმისთვის აუცილებელი მრავალი სხვა ღირსებით და, კიდევ ერთხელ ვამბობ, გასაოცარი ტექნიკით. მაგრამ არავის მოუვა თავში აზრად, ეს წიგნები და ფილმები დიდი ხელოვნების ნიმუშებად შერაცხოს. ასეთი ნამუშევარი დღეს რომ პოპულარულია, მეორე დღეს არავის ახსოვს. და არც ავტორები ცდილობენ რამენაირი საშუალებებით თავიანთი ნამუშევრების სიცოცხლის გახანგრძლივებას. და ეს – იმიტომ, რომ იქ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია, "ფანტომასის" ავტორს "უცხოს" ავტორის გვერდით არავინ დააყენებს.

არაფერია გასაკვირი ან შემაშფოთებელი იმაში, რომ რაც გუშინ მნიშვნელოვანი გვეგონა (რადგან საზღვრები დაკეტილი იყო და არ ვიცოდით, დუნიაზე რა ხდებოდა), დღეს მეორეხარისხოვანი და, ხშირ შემთხვევაში, ღიმილისმომგვრელია. გულდასაწყვეტი ისაა, რომ გუშინ მნიშვნელოვან ასეთ ლექსთა თუ რომანთა უკან დღეს მათი ცოცხალი ავტორები დგანან ერთობ არასასიამოვნო და მწერლისთვის არასაკადრის "სტოიკაში", და არ სურთ შეგუება იმ აზრთან, რომ დიახაც არაფერია სასირცხვილო, თუ გუშინ მნიშვნელოვანი და აღიარებული მწერალი დღეს პენსიონერის პატივს დასჯერდება. თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში მათ უკვე აღასრულეს ვალი. მწერალმა ისიც უნდა შეიძლოს, რომ სარბიელი

დროზე დატოვოს და გზა მისცეს ახალგაზრდებს, რომელთაც ურიცხვი, მეტად საჭირო, "შეცდომა" მოაქვთ.

ყოველივე ზემოთ თქმული არც ვინმეს განქიქებას ისახავს მიზნად და არც – ვინმეს გამტყუნებას. ყველაფერს თავ-თავისი სახელი ახლა მაინც თუ არ დაერქვა, ყოფა უკიდურესად გაჭირდება. ნიჭიერი მწერალი დიდ მწერლად არ უნდა ასაღებდეს თავს, ჩვეულებრივი კაცი – გმირად, გუშინდელი მეძავი – წმინდანად.

იქ, სადაც ნორმალური ლიტერატურული ცხოვრებაა, დროს ჩამორჩენილი მწერლები ჩინოვნიკური სამსახურის გამოყენებით არ ცდილობენ თავიანთი სახელის გახანგრძლივებას. სამაგიეროდ არც მომდევნო თაობებს ესწავლებათ მათი ღვაწლის დაფასება. ჩვენი მწერლების უმრავლესობამ კი, დიდი ხანია, თავისი საქციელით ხელოვანის ცხოვრების წესს უღალატა. მიპასუხეთ, როგორ შეიძლება ჩემი თაობის კაცი პატივისცემით განიმსჭვალოს იმ პოეტებისა და მწერლებისადმი, რომლებიც თავიანთ წიგნებს ორმოცდაათიათასიანი ტირაჟით სცემენ (საშუალო ნორმა!) და შემდეგ ხელახლა გამოსცემენ "ტელეფონების წიგნის" სახით (ასე ეძახიან ჩვენი ლიტერატორები ამ გულისამრევი ბაკხანალიის რეზულტატს), რომელთათვისაც ყოველ წელს მზადაა ძვირფასი ქაღალდი, რომელთაც – როგორც სამამულო ომის ინვალიდებს – ურიგოდ ემსახურებიან, და ეს ხდება მაშინ, როცა "გველის პერანგისთვის" უკანასკნელი ხარისხის ქაღალდს თუ იმეტებენ, როცა გამოუცემელია კარგა ხნის წინ თარგმნილი "გონის ფენომენოლოგია", როცა ქსეროქსზე მრავლდება და ლამის არალეგალურად ვრცელდება "იახსარი" – ჟურნალი ოციანი წლების მერე პირველი დამოუკიდებელი ლიტერატურული ჯგუფისა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჩვენი საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული ცხოვრების წესის აღდგენაა... ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

ამასაც თავისი სერიოზული მიზეზები აქვს. იმ აზრთან შეგუება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნებისმიერი მწერალი უნდა "დაკონსერვდეს", რათა ახალმა გაიკვლიოს გზა, ყველაფერთან ერთად ტრადიციასაც მოითხოვს. ჩვენში ასეთი ტრადიციის შექმნის საშუალება სიმბოლისტებს ჰქონდათ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ. მათ რომ დასცლოდათ, თავიანთ მისიასაც ღირსეულად აღასრულებდნენ და ასპარეზსაც ღირსეულად დატოვებდნენ, არ შეეცდებოდნენ ყოველივე ახლის შეჩერებას კონტრაცეპტული საშუალებებით. XX საუკუნის დიდი ფილოსოფოსები აღნიშნავენ, - ჩვენი დროის ადამიანმა თუ საკუთარი სახე და პიროვნული ინდივიდუალიზმი დაკარგა, ამან გამოხატულება იმაშიც ჰპოვა, რომ ადამიანმა ყველაფერი სხვებს გადააბრალა და ახლა თავს იმით იმართლებს, რომ

"ასე აკეთებენ სხვები", "ასე ამბობენ სხვები", "იმის ბრალია" და ა.შ. ასეთი, ინდივიდუალობადაკარგული, სახედაკარგული ადამიანი არც ერთ სიტუაციაში პასუხისმგებლობას თავის თავზე არ აიღებს, თავისმართლებისთვის კი ყოველთვის მზადაა. ხელოვანი სწორედ საპირისპირო თვისებების მატარებელი უნდა იყოს. მან თავის თავში უსახო კაცი უნდა სძლიოს და მოახერხოს თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება. დამისახელეთ თანამდებობის პირი ერთი მწერალი მაინც, ვინც საკუთარი ინიციატივა გამოამჟღავნა ახალთაობის შემოქმედებით ძიებათა ხელშესაწყობად, თავი შეიწუხა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის უახლეს მიმდინარეობათა პოპულარიზაციისთვის. იოლი შესამჩნევია, რომ ამის მიზეზი შეიძლება იყოს ან არნდომა, ან – არცოდნა, ან – ორივე ერთად.

ჩვენი, ახალგაზრდა ქართველი მწერლების, უპირველესი მიზანია საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურასთან კავშირის აღდგენა, ჩატეხილი ხიდის გამთელება. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს "მამებს" ეს გზა არ უნდა აწყობდეთ: საუკუნის დასაწყისი ხომ იმ უამრავ მიმდინარეობასთან, ჟურნალთან, დაჯგუფებასთან ასოცირდება, ცოცხალ ლიტერატურულ პროცესს რომ ქმნიდნენ; ასოცირდება მრავალფეროვნებასთან და ჭეშმარიტად თავისუფალ ნებასთან, როცა მწერალი საქმით ფასდებოდა და ჩინოვნიკური სამსახურით არ ცდილობდა დიდების მოხვეჭას. ჩვენი მიზანია, აგრეთვე, იმ ლიტერატურული პროცესების შესწავლა-ათვისება, რომლებიც კანონზომიერად მოსდევენ ევროპაში ოციანი წლების ავანგარდს. ოციანი და შემდგომი წლების მონაპოვართა ათვისება იმიტომ კი არ სჭირდება ჩვენს თაობას, რომ იქიდან დაიწყოს, სადაც რობაქიძეს, გალაკტონს, გაფრინდაშვილს და სხვებს მრავალწერტილი დაასმევინეს, არამედ – იმისთვის, რომ მტკიცე საფუძველი იგრძნოს, ტრადიცია იგრძნოს და, ამგვარად, მტკიცე ნიადაგზე მდგომმა გაუღოს კარი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურულ ცხოვრებას.

რა ხდება ქართულ კრიტიკაში? ცხადია, კრიტიკოსს, პირველ რიგში, მსოფლიო ლიტერატურული პროცესის, მისი გუშინდელი დღის, მისი ისტორიის სერიოზული ცოდნა მოეთხოვება, რათა ნებისმიერი მწერლის მიერ გამოცემული ახალი წიგნი დროულად და ობიექტურად იქნეს გაანალიზებული; კრიტიკოსმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოაქვს ახალი ამა თუ იმ მწერალს; იქნებ მწერალი სიახლის სახით იმას გვთავაზობს, რამაც კაი ხანია დრო მოჭამა? იქნებ მწერალი ინფორმაციის უქონლობის შედეგად სჩადის ამას? მაშინ კრიტიკოსმა უნდა თქვას სიტყვა, რათა მწერალმა ძალები უნაყოფოდ არ ფლანგოს და ველოსიპედის გამოგონებას არ შეალიოს. ყველგან ნაწარმოებს აფასებენ არა საშუალო ლიტერატურის, არამ-

ედ დიდი ლიტერატურის ფონზე. ჩვენს კრიტიკოსებს ურჩევნიათ ისევ მშვიდად და თავის აუტკიებლად წერონ იმაზე, რაც თანამედროვე ლიტერატურის რიტმის მიღმაა შთენილი, რასაც არაფერი აქვს საერთო ნამდვილ სიცოცხლესთან. ინტელექტუალური და ავანგარდული ნაკადის მოძალება (სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ) მათ შეზღუდავს და არ მისცემს საშუალებას თავიანთი ვიწრო ხედვის არეში მოაქციონ უსაშველოდ გაზრდილი და გამრავალფეროვნებული ხელოვნება, რომელიც ურთულესი გზებით იქნება დაკავშირებული მსოფლიო ხელოვნებასთან.

ჩვენი "მამები", ცხადია, ხვდებიან, რომ მწერალთა კავშირის დიქტატი დიდხანს ვერ გასტანს. რაც ისტორიის კუთვნილებაა, ისტორიას უნდა ჩაბარდეს. გარდა ამისა, ის მაინც ხომ იცის ყველამ, რა მიზნით შეიქმნა თავის დროზე მწერალთა კავშირი და რა ფუნქციას ასრულებდა "გეგმის გადაჭარბებით".

მწერალი მკითხველის ლიტერატურული გემოვნების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს, და არა იმაზე ზრუნავდეს დღე და ღამ, ჩემი შემოქმედება რაც შეიძლება მრავალმა წაიკითხოსო. მასების გემოვნებას დამორჩილებული მწერალი, თავისდა უნებურად, ცუდ საქმეს მსახურებს. როცა მწერალი თავისი მწერლური ღირსების და პრესტიჟის დასაცავად ხელს მილიონიანი მკითხველისკენ იშვერს და თავის მნიშვნელოვნებას იმით გვიმტკიცებს, რომ მისი წიგნები ელვის სისწრაფით ქრება დახლიდან, იგი უპატიოსნო მწერალია. ჩვენ ხომ ვიცით, რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ქართველი მკითხველი, როგორია მისი გემოვნება, რატომ და რისთვის ყიდულობს იგი იმას, რასაც ან წაიკითხავს და ან – არა. თუ მწერლის ღირებულება იმის მიხედვით უნდა შეფასდეს, თუ რამდენ წუთში ქრება მისი წიგნი დახლიდან და შავ ბაზარზე რა ფასი ადევს, მაშინ გამოდის, რომ "მგლის ბილიკი" და "მონანიება" ქართული მწერლობის ოქროს ფონდში ყოფილა შესატანი, ხოლო გენიალური იაპონელი მწერლის აკუტაგავა რიუნოსკეს ქართულ ენაზე მთარგმნელი ამაოდ გარჯილა, რადგან აკუტაგავას ნოველების საკმაოდ ტევადი კრებული ქართულ ენაზე 1987 წელს გამოიცა და ჯერაც დახლზე დევს.

უნდა შევეხო კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ოციანი წლებიდან მოყოლებული, ყველაფერი იმას ემსახურებოდა, რომ ლიტერატურა საბჭოთა დიქტატის მარიონეტი გამხდარიყო, და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს დიქტატორმა. ამ პროცესში, ბუნებრივია, ღარიბდებოდა ნაწარმოებთა აზრობრივი შინაარსი და იქმნებოდა პირობები მეორეხარისხოვანის, ნაკლებადმნიშვნელოვანის ჰიპერტროფირებისთვის. სიმდიდრე, რომელიც საუკუნის პირველ მეოთხედში დაგროვდა, მემკვიდრეს

მოითხოვდა, რაც უნდა გამოხატულიყო, მაგალითად, პოეზიაში, ახალი თაობების მიერ გალაკტიონის, ტიციანის, პაოლოს და ბევრი სხვა ხელოვანის შემოქმედებაში არსებული ფარული შესაძლებლობების გახსნაში, მემკვიდრეობითობის ტრადიციის განმტკიცებაში, არსებითის დაცვასა და განვითარებაში. აქ, უპრიანია, გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძე: "ერთ თავის ლექციაში ივ. ჯავახიშვილი საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ქართულ არქიტექტურაში "აღნაგობას" (აგებულებას) ჰქონდა მინიჭებული უმთავრესი ადგილი, "სამკაულს" კი არააუცილებელი. არქიტექტურა ხომ მთელი ხალხის ნებისყოფას გადმოგვცემს. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი ქართველი ხუროთმოძღვარი განსაკუთრებულ ყურადღებას "აღნაგობას" აქცევდა და არა "სამკაულს". მაგრამ თუ ჩვენს დღევანდელ კულტურულ შემოქმედებას ავიღებთ, დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს: თანამედროვე ქართველისთვის, პირველყოვლისა, "სამკაული" არსებობს და შემდგომ "აღნაგობა". ავიღოთ ეხლანდელი ქართული ლექსი, ეს საუკეთესო გამომხატველი ქართული კულტურისა. იქ მრავალია "სამკაული", ხოლო სრულიად არ არის "აღნაგობა" (ლექსის ტანი, სხეული, ფაქტურა). რომელია აქ ჩვენი სულის საფარდო? ეს საკითხავია. და სწორედ ქართველმა ხელოვანმა უნდა გამონახოს საქართველოს ნამდვილი სტილი" (გაზეთი "საქართველო", #257, 1917 წ.). იოლი წარმოსადგენია, გაუკუღმართებულმა გზამ რა სიმაღლეები დააპყრობინა "სამკაულს" და როგორ მიივიწყა "აღნაგობა".

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთა (და, საერთოდ, ხელოვნების და კულტურის მოღვაწეთა) ორიენტაცია, - მტკიცე ევროპეიზმი. ეს იყო უღრმესი ანალიზის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. XX საუკუნის ევროპულმა კულტურამ თავის თავში მოიცვა საკუნის ყველა სიახლე, ძირითძირამდე გააცნობიერა ის კრიზისი, რომელმაც ადამიანის ადამიანად დარჩენას შეუქმნა საფრთხე, და რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი დეჰუმანიზაციაა. დასავლეთი ნათელი გონების, პიროვნული ინდივიდუალობის დაცვის, დემოკრატიის სიმბოლოდ აღიქვა განათლებულმა ქართველმა. აღმოსავლეთში ამ დროს არაფერი იცვლებოდა, ან თუ იცვლებოდა, მხოლოდ – სტიქიურად. საუკუნის დასაწყისის ქართველმა მოღვაწეებმა იცოდნენ თავიანთი მისია: ქართული ხელოვნებისთვის თავიდან უნდა აეცილებინათ განვითარების სტიქიური გზა, სიახლეთა სტიქიურად შემოსვლისა და დამკვიდრების გზა. ამისთვის კი საჭირო იყო ინტელექტუალური ძალების მობილიზება. ასე, რომ საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწეები, და კერძოდ მწერლები, ღრმად გააზრებული სისტემით მოქმედებდ-

ნენ. ერთი სიტყვით, მათ იცოდნენ თავიანთი საქმე.

იცის კი თანამედროვე ქართველმა მწერალმა, საზოგადოდ, თავისი საქმე? იცის კი, რა მისია აკისრია? დღევანდელ ქართულ მწერლობაში შექმნილი ატმოსფერო ამ კითხვაზე დადებით პასუხს ვერ მოგვცემს. საეჭვო არაფერია.

ჩემს მიერ განხილულმა და სხვა მრავალმა მიზეზმა დაღი დაასვა საუკუნის დასაწყისში საფუძველჩაყრილი ტრადიციების ათვისების ***ფორმას***. მწერალს უფლება მიეცა იმის განვითარებისა, რაც დიქტატურისთვის არ იქნებოდა საშიში. ავიღოთ, კონკრეტულად, პოეზია. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნებოდა საშიში, თუ არ იქნებოდა "სიბრძნის ერთი დარგი". გალაკტიონმა, როგორც ვიცით, ისეთივე განუზომელი გავლენა იქონია XX საუკუნის ქართულ პოეზიაზე, როგორიც რუსთაველმა – თავის შემდგომი ეპოქების პოეზიაზე. მაგრამ იყო თუ არა ეს სასიკეთო ფაქტი? ჩემი ღრმა რწმენით, არ იყო, და აი, რატომ: როცა მწერლობა თავისი განვითარების ბუნებრივ გზას არ მიჰყვება, პროცესი მახინჯდება. ოციანი წლების შემდეგ ბორკილდადებული ქართველი პოეტის მიერ ნამდვილი გალაკტიონის დანახვა და ათვისება შეუძლებელი იყო. ყველაფერი იმას უწყობდა ხელს, რომ პოეტს აქცენტი მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონის (და სხვა შემოქმედთა) პოეზიის ფორმისეულ მხარეზე გაემახვილებინა და აზრობრივი შინაარსი განზე დაეტოვებინა. რობაქიძის მიერ გაანალიზებული "სამკაული" სხვა არაფერია, თუ არა – ჰიპერტროფირებული ფორმა (რუსთაველის შემდგომაც იგივე დაემართა ქართულ პოეზიას, ოღონდ – განსხვავებულ მიზეზთა გამო). შოთა ჩანტლაძის პოეზია რომ თავის დროზე აღმოეჩინათ, ქართული ლექსი ბესიკ ხარანაულამდე, ლია სტურუამდე და კიდევ ორიოდე პოეტამდე ბევრად ადრე "გადახალისდებოდა". და კიდევ: როცა ლიტერატურული კრიტიკა მოწოდების სიმაღლეზე არ დგას, როცა არავის და არაფერს თავისი სახელი არ ჰქვია, მწერლობაში განუკითხაობა ბატონობს. ამიტომაა, მაგალითად, ასე უმოწყალოდ რომ ძარცვავს გალაკტიონს ყველა, ვისაც წერა არ ეზარება ("არტისტული ყვავილების" გამოსვლიდან დღემდე); ამიტომაა, ურიცხვი ფსევდოხარანაული და ფსევდოსტურუა რომ გვყავს და ყოველ მათგანს პოეტი ჰქვია. ცნობილია, რომ გამოჩნდება თუ არა ხელოვნებაში მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ფიგურა, რომელსაც დიდი სათქმელი მოაქვს, მის გარშემო თანდათანობით მომრავლდება ხოლმე მიმბაძველთა არმია და უნიჭოდ, მაგრამ მაინც, იყენებს ნოვატორის მიღწევებს. ამ ფაქტში, თავისთავად, საგანგაშო არაფერია. მაგრამ როცა პროპორცია ირღვევა და საშუალოზე დაბალი ნიჭის კალმოსანთა რიცხვი მატულობს, ეს დამღუპველად მოქმედებს

ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესზე. ასეთ კალმოსნებს სალონური მწერლები ჰქვიათ. რას ნიშნავს ეს ცნება და საერთოდ სალონური ხელოვნება, მშვენივრად აქვს განმარტებული მხატვრობის მიმართ რუს ხელოვნებათმცოდნეს ვ. ბერიოზინას: "ეკლექტიკურობა და ზედაპირულობა, გარეგნული ეფექტურობისკენ და სიუჟეტური დაძაბულობისკენ სწრაფვა, ზოგჯერ მანერულობა და სტილიზატორობა და თითქმის ყოველთვის მხატვრულ ამოცანათა სივიწროვე – აი, მეტ-ნაკლებად თვისობრივი თავისებურებები იმ მიმდინარეობისა XIX საუკუნის ხელოვნებაში, რომელმაც მიიღო სალონური ხელოვნების სახელწოდება. მისი არანაკლებ მნიშვნელოვანი შტრიხია – ფართო პუბლიკის გემოვნებას დამორჩილებულ ნახატებში უდიდესი მხატვრების ფერწერულ მონაპოვართა გამოყენება. ასე, რომ სალონური ხელოვნება არ არის სტილი ან მხატვრული მიმდინარეობა; ტერმინით "სალონური" გამოხატავენ ცალკეულ ხელოვანთა შემოქმედების მიმართულებას. აქედან დასკვნა: ე.წ. სალონური ფერმწერები ეტმასნებიან მოცემულ პერიოდში გაბატონებულ ან შედარებით გავრცელებულ მიმართულებას, განასახიერებენ რა ან მეორეხარისხოვან წარმომადგენლებს, ან - ეპიგონებს" (В. Н. Березина, Французская живопись XIX в., 1987, გვ. 41-42).

როცა ღირებულებები აღრეულია, როცა არაფერს თავისი სახელი არ ჰქვია, როცა სალიტერატურო კრიტიკა სუსტია, როცა ნამდვილი და სალონური მწერლობის გამიჯნვაზე არავინ ზრუნავს, მშვენიერი პირობები იქმნება სალონური ხელოვნების მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთვის: იდეის ნაცვლად წარმმართველი ხდება ფსევდოიდეა, ხელოვნების ნაცვლად – ფსევდოხელოვნება; აღიარება იცვლება მარიფათიანი მწერლის პოპულარობით.

1973 წელს აკაკი ბაქრაძემ კრიტიკაში შემოიტანა ცნება – გარანტირებული საშუალოს პრინციპი, და ასე განმარტა: "რას გულისხმობს ეს ცნება? საშუალო ღირსების ნაწარმოების გაკეთებას. ყველაფერი საშუალო იქნება – პიესაც, დადგმაც, აქტიორთა თამაში(წერილი თეატრალური ხელოვნების პრობლემებს ეხება – დ. ბ.). მართალია, არ იქნება ხელოვანის აშკარა და მკაფიო გამარჯვება, მაგრამ არ იქნება არც აშკარა მარცხი. ხელოვანი გარანტირებულია – მარცხისთვის არავინ გააკრიტიკებს, მართალია, არც ძალიან შეაქებენ, მაგრამ არც არავინ დაემუქრება პიესის დაუბეჭდაობით და სპექტაკლის მოხსნით" (წერილში "აქტუალობაც არის და აქტუალობაც!",ციტირებულია წიგნიდან "კრიტიკული გულანი", 1977).

ხომ არ ემუქრება მთელ ქართულ მწერლობას გარანტირებულ საშუალოდ გადაქცევის საშიშროება? მიუხედავად იმისა, რომ შვიდივე აქამ-

ომდელი ათწლეული ამ წისქვილზე ასხამდა წყალს, თუ ქართველ მწერალთა უმრავლესობის ნება იქნება, თუ ისინი ინებებენ, ქართული მწერლობა გადარჩება.

ქვეყნად უცვლელი არაფერია. დღესდღეობით ორთოდოქსული ლიტერატურის სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი, მაგრამ ერთობ მოქნილი, საშუალებაა ყოველგვარი სიახლის, განსხვავებულის მიჩუმათების გზა, წაყრუების პოლიტიკა. მაგრამ – როდემდე?

ივნისი, 1990

ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის

ესაუბრა ბექა ბარქაია

- დათო, მკითხველმა მიიღო შენი ლექსების პირველი წიგნი "მივუსამ-ძიმროთ შემოდგომას". მინდა პირდაპირ გკითხო: ზედმეტად თამამი ხომ არ არის კრებულისთვის შენს მიერვე წამძღვარებულ ანოტაცია-ში გაკეთებული განცხადება, რომ შენი შემოქმედება ახალ გზებს კვალავს მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში? შენს მიერაა დაწერი-ლი ბოლოსიტყვაც. ამ შემთხვევაში მე არ მაინტერესებს, რას ეყრდნო-ბა შენი რწმენა. მაინტერესებს მხოლოდ, რამ გაიძულა ამ ნაბიჯის გადადგმა; ხომ არ გულისხმობს ეს ლიტერატორებისადმი და მკითხ-ველი საზოგადოებისადმი უნდობლობას?

- ზედმეტად თამამი მხოლოდ ჩვენი სინამდვილისთვის შეიძლება იყოს ეს ყველაფერი. მე არ შემიძლია, ანგარიში გავუწიო იმას, რა მიაჩნია ჩვენს საზოგადოებას უჩვეულოდ და რა – მისაღებად. ვფიქრობ, არავინ დაიწ-ყებს იმაზე კამათს, რომ ხელოვნების ყველა ჭეშმარიტი ნიმუში უჩვეუ-ლოა. მაშინ რატომაა გასაკვირი, ამ უჩვეულო ნაწარმოებთა ავტორი რამე უჩვეულოს თუ ჩაიდენს ან მთელი მისი ცხოვრების წესი იქნება უჩვეუ-ლო? გავა გარკვეული დრო და ის, რაც ახლა გვიკვირს, ხვალ ჩვეულებრივი და თითქმის კანონზომიერი გახდება. თუ ტექსტი დავიწყებას მიეცა, მაშინ ხომ არც მასთან დაკავშირებულ უჩვეულობაზე იმსჯელებს ვინმე. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მწერალი, რომელიც, ამ თვალსაზრი-სით, საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ იმიჯებს და სტერეოტიპებს ითვა-ლისწინებს (რაგინდ იდეალურიც უნდა იყოს ეს საზოგადოება), ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრებით არ ცხოვრობს. ამას გარდა, ნორმალურ საზ-ოგადოებაში ლიტერატურულ კრიტიკას, პირველ ყოვლისა, ნაწარმოები უნდა აინტერესებდეს და არა ავტორის ანოტაცია ან ბოლოსიტყვა. თუ უჩვეულო არაა ის ყალბი მოკრძალება და თავმდაბლობა, რომლითაც ყე-ლამდეა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება, მაშინ რატომაა გასაკვირი, როცა ავტორი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ხშირად ჭეშმარიტი თავმდაბ-ლობა სწორედ საკუთარ თავზე ხმამაღლა ფიქრია (თუ ყოველთვის არა!). ამის გარეშე ოცნებაც კი ზედმეტი მგონია ჯანმრთელ ინდივიდუალიზმზე. განა ნორმალურია, როცა ესა თუ ის ლიტერატორი ხალხით სავსე დარბაზ-ში თავის თვალსაზრისს გამოთქვამს ყველაფერზე, რაც მას ეხება ან არ ეხება, და ამას ისე "მოკრძალებით" აკეთებს, რომ აპრიორულად იგულის-ხმება, - საქმე ცოცხალ კლასიკოსთან გაქვს. დღისით, მზისით, მონათლა-

ვენ მავან სამოსანს დიდ მწერლად და აქვე დიდსულოვნად გამოაცხადებენ, დრო ყველას და ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენსო. დრო დიახაც ყველაფერს მართლად განსჯის, მაგრამ აქ მწერალი არაფერ შუაშია; ლიტერატურულ ცხოვრებას სულაც არ ქმნის ის იმედი, რომ დრო ყველაფრის მსაჯულია. ჩვენში ყველაფერი მხოლოდ იგულისხმება: იგულისხმება, რომ მავანს უფლება აქვს, წელიწადში რამდენიმე წიგნი გამოსცეს; იგულისხმება, რომ მავანს უფლება აქვს, თავის ერს აბსოლუტური ჭეშმარიტების საუფლოდან მოუწოდოს; იგულისხმება, რომ ყველა შეიძლება გააკრიტიკო, მავანი კი – არა; იგულისხმება, რომ საყურადღებო მწერლად ის უნდა ჩაითვალოს, ვისაც მავანი დაასახელებს... აი, ეს "იგულისხმება" მართავს ჩვენში ლიტერატურულ ცხოვრებას. საუბედურო კი ის არის, რომ ეს "იგულისხმება" საგანგებოდ დაკანონებული წესია იმათ დასაცავად, ვისაც ლიტერატურასთან ან არაფერი ესაქმება ან უკვე აღარაფერი ესაქმება. და, ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი ვითარება, გვინდა თუ არ გვინდა, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს ორტეგა-ი-გასეტის მიერ დახასიათებული "თვითკმაყოფილი ადამიანების" ერთობასთან. ესაა ადამიანის ტიპი, რომელსაც ერისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის არავითარი გრძნობა არ გააჩნია; მან კარგად იცის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ნივთები და მოვლენები არ არსებობს, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს სწორედ საპირისპიროში იყოს დარწმუნებული; იგი ღრმად გააზრებულ თამაშს ეწევა: ყველაფერს, რასაც აკეთებს, აკეთებს არა სერიოზულად, არამედ "ხუმრობით", არაგულწრფელად, "არა სამუდამოდ"; მას არ სჯერა ნამდვილი ტრაგედიის რეალობა და ისე იქცევა, თითქოს სპექტაკლს თამაშობდეს; იგი ტრაგიკულ, მწუხარე პოზას იღებს; ცხოვრობს ხუმრობით, უყვარს ხუმრობით, კლავს ხუმრობით. მაგრამ რაც ყველაზე უფრო შემზარავია, ესაა ის, რომ თავად ლიტერატურული ცხოვრებაა დაავადებული იმით, რასაც უნდა ებრძოდეს. მხოლოდ მტერი იფიქრებს, თითქოს სიტუაციას ბნელ ფერებში ვხატავდე; ეს ყველაფერი საგანგაშო რეალობაა. დავუკვირდეთ: არ დარჩენილა თითქმის ლიტერატორი, რომელსაც თავისი სიტყვა არ ეთქვას მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით. ამის მიზეზს ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში ეძებენ. განა ეროვნული მოძრაობის ნამდვილი აღმავლობა პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებას გამორიცხავს? თუ გაიხსენებს ვინმე მსგავს აქტივობას რომელიმე სალიტერატურო პრობლემის გარშემო? იქნებ პრობლემები არ არსებობს? როგორ ვიფიქროთ, - კარგია, როცა შინ არ ვარგიხარ და გარეთ გარბიხარ?.. სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მე ხომ სატკივრის შესახებ მოგახსენებდი... ახლა წარმოიდგინე შემოქმედი, რო-

მელიც ასეთი გარემოს გათვალისწინებას გადაწყვეტს და ისე იმოქმედებს, რომ მასში ორგანულად ჩაერთოს... არ წარმოიდგინო, თითქოს მოჯანყეს განვასახიერებდე ან გამორჩევის ვნებას ვყავდე შეპყრობილი. მე, უბრალოდ, ლიტერატორის ცხოვრებით ვცხოვრობ.

- შენ ჯანმრთელი ინდივიდუალიზმი ახსენე. განა ქართველები ყოველთვის ინდივიდუალისტები არ ვიყავით? ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მრავალი სენის სათავე ხომ სწორედ ეს ინდივიდუალიზმია?

- ინდივიდუალიზმი თუ არშემდგარი ინდივიდუალიზმი? მე არ დავარქმევდი იმას ინდივიდუალიზმს, რასაც ჩვენში ამ ცნებით აღნიშნავენ ხოლმე საერთოდ. ეს, უბრალოდ, ეგოიზმის უკიდურესი გამოვლინებაა და მეტი არაფერი. ინდივიდუალიზმის ცნება გულისხმობს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში გარკვეულ საზღვრით სიტუაციას, რომლის დროსაც ესა თუ ის – განსაკუთრებული მნიშვნელობის – ფიგურა გამოიკვეთება, და ეს უკანასკნელი ყოველთვის თავის განსაკუთრებულ კვალს ტოვებს გარკვეულ სოციოკულტურულ გარემოზე. ხსენებული სიტუაცია საზოგადოებასთან ფარულ თანხმობას და ალიანსს როდი გულისხმობს. ჩვენში კი ყოველთვის ასე იყო და ახლაც ასეა: საზოგადოების ნებისმიერი სოციალური და კულტურული ჯგუფის წარმომადგენლები, თავ-თავიანთ ჯგუფებში, ერთგვარ დაუწერელ ხელშეკრულებას დებენ, ერთგვარ გარიგებას სთავაზობენ ერთმანეთს და შემდეგ მათ შორის შუამავალი ეს გარიგებაა; მათ სწორედ ამ გარიგებას უნდა უერთგულონ და არა გონით ორიენტირთა სისტემას. გარიგება აქ იმას გულისხმობს, რომ ეს ადამიანები ხელს არ შეუშლიან ერთმანეთს თავ-თავისი მიზნის მიღწევაში და იმოქმედებენ მხოლოდ იმ კანონთა ფარგლებში, რომლებიც თავად დათქვეს. ამ დროს, ცხადია, გარეგნულად რეზულტატი მსგავსია იმ ურთიერთობისა, რომელიც ჭეშმარიტი ინდივიდუალიზმის საფუძველზე არსებობს ინდივიდებს შორის, სინამდვილეში კი აქ ადამიანები მხოლოდ თავიანთი ეგოისტური ვნებების დაკმაყოფილებით არიან დაკავებულნი. ჩვენ ინდივიდუალიზმი დავარქვით იმას, რასაც – უკიდურეს შემთხვევაში – ფსევდოინდივიდუალიზმი შეიძლება ეწოდოს და სხვა არაფერი. ამ ტიპის ფენომენს ჭეშმარიტი ინდივიდუალიზმი ყოველთვის ხელს უშლის, საფრთხეს უქმნის: ინდივიდუალისტის ტელოსი გონით ღირებულებებს ეფუძნება, ფსევდოინდივიდუალისტის – ეგოცენტრულ და უკიდურესად მიწიერ სურვილებს. ფსევდოინდივიდუალიზმის შემთხვევაში სახეზეა თავისთავადობისა და გამორჩეულობის ჟინი და არა დამსახურების მიხედვით, დამსახურების საფუძველზე გამორჩეულობა და თავისთავადობა: ამ დროს ადამიანმა იცის, რომ ის არ იმსახურებს გამორჩევას, მაგრამ ჯიუტად მიელტვის

აღთქმულ მიზანს (სწორედ რომ აღთქმულს და არა დასახულს; ეს მიზანი მას გარიგებამ აღუთქვა). ასე მოპოვებული "ინდივიდუალიზმი" კი ყოველთვის ბუტაფორიულია და ნიადაგ თან სდევს ნიღბის ახდის შიში. ახლა წარმოვიდგინოთ საზოგადოება, სადაც თვითდამკვიდრების ერთადერთი გზა სწორედ ეს გზაა. ამ გარემოს ხომ ურიცხვი ასეთი ბუტაფორია ქმნის. ასეთ გარემოს შემქმნელ ფსევდოინდივიდუალისტებს თავიანთი ბუტაფორიულობა აიძულებთ, ანგარიში გაუწიონ ერთმანეთის ბუტაფორიებს. მაშასადამე, ამ მხრივ, ასეთი საზოგადოება შეკრულია, მაგრამ ეს შეკრულობაც მოჩვენებითია...

- მაგრამ ხომ არსებობენ, შენი გამოთქმა რომ მოვიშველიო, ჯანმრთელი, ჭეშმარიტი ინდივიდუალისტები...

- ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ასე არ იყოს. ნიღბების ახდის ხელოვნება სწორედაც ყველა ჭეშმარიტი ინდივიდუალისტის წმინდა საქმეა. ამის გამოა, რომ ჩვენი საზოგადოების ეს კლანური ნაწილი ჯანმრთელი ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უამრავ ხერხს ფლობს, მიჩუმათებიდან თვით ფიზიკურ განადგურებამდე (კონტექსტს და სიტუაციას გააჩნია). და რაა იმაში გასაკვირი, რომ ამ დროს ღირებულებები არ მნიშვნელობენ, არ იქმნება უწყვეტი კულტურა, მთლიანობა არ ახასიათებთ კულტურის მოვლენებს. ცალკეული პიროვნებები, ასეთ შემთხვევაში, არ ზარალდებიან, მაგრამ ზარალდება მთელი, ზოგადი, ზარალდება საზოგადოება; გარკვეული დროის შემდეგ კი გადაგვარებული საზოგადოება ამ ერთეულთა წარმოშობასაც ვეღარ შეძლებს...

- ალბათ, დროა, შენს წიგნს დავუბრუნდეთ. ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შენეული ანალიზი, იმედია, მკითხველს წაადგება შენი შემოქმედების გაცნობისას.

- მეეჭვება, რომ მთლად ასე იყოს საქმე. მსგავსი განაზრებები პიროვნების ტრანსლირებას უფრო გულისხმობს, ვიდრე – შემოქმედებისას. ჭეშმარიტების რაღაც წილი კი შენს მიერ თქმულში უთუოდ არის. ხელოვანი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყოველთვის ცდილობს, ადგილი გაუმზადოს თავის შემოქმედებას; ცხადია, საამისოდ საშუალებებიც ღირსეული უნდა გამოინახოს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა შემოქმედი თავადვე უწყობს ხელს თავისი კონტექსტის შექმნას, იმ სააზროვნო არეალის შექმნას, რომელშიც მისი მკითხველი უნდა მოხვდეს.

- ვფიქრობ, ამ მხრივ, შენს შემოქმედებას ყოველთვის განსაკუთრებული პრობლემები ექნება.

- არა მგონია, ამაში რამე იყოს გასაკვირი. საკითხი ასეც შეიძლება დაისვას: არის კი ეს პრობლემა? მე ვთვლი, რომ – არა. ესაა, მხოლოდ და მხოლ-

ოდ, ფილოსოფიური პოეზიის, და, საერთოდ, ინტელექტუალური ლიტერატურის არსებობის წესი. ეს ნაკადი ყოველთვის ჩრდილშია საზოგადოებისთვის, მას მხოლოდ მცირერიცხოვანი მკითხველი ჰყავს და ისიც, უმთავრესად, ლიტერატორების ერთი ნაწილის და ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრის სახით. სამაგიეროდ, ეს ნაკადი ყოველთვის ასრულებს ლიტერატურისთვის მიწისქვეშა წყლების ფუნქციას, უაღრესად აუცილებელს და კეთილშობილურს.

- დათო, ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საკმაოდ გამღიზიანებელი განცდა, რომელიც არ მომშორებია შენი წიგნის კითხვისას, ეს იყო: უკიდურესი სირთულე. ბოლოსიტყვაში შენ ჰოლდერლინს და რილკეს ახსენებ. იქნებ განმარტო, რას გულისხმობ, როცა მათ ესთეტიკურ მოდელებზე მიუთითებ? და, საერთოდ, რა ქმნის შენი ლექსების სირთულეს?

- თავიდანვე აღვნიშნო მინდა: ეს სირთულე არც ჩემი ლექსების რაიმე განსაკუთრებულ ღირსებაზე მეტყველებს და არც – ნაკლზე. ესაა, უბრალოდ, სპეციფიკა, რომელსაც მრავალი მიზეზი განაპირობებს. ხშირად ამბობენ, რომ ჩემი ლექსები მკითხველს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ კითხვის პროცესში და ერთობ დამღლელნი არიან. ასეთი შენიშვნა გამოუთქვამთ უაღრესად განსწავლულ ადამიანებსაც, საქმეში ჩახედულ ისეთ პირებს, რომელთა აზრს ჩემთვის დიდი წონა აქვს. ამ შენიშვნის მიზეზი გასაგებია. მაგრამ, როგორც წესი, ამ დროს ლექსის ერთხელ წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას გულისხმობენ. შინაარსობლივი თვალსაზრისით, ჩემი პოეზია ჰოლდერლინის, რილკეს, ელიოტის და სხა მეტაფიზიკოსი პოეტების ტრადიციას აგრძელებს, ფორმის მხრივ კი მრავალ ისეთ სპეციფიკურ მახასიათებელს შეიცავს, რომ თვით ინტელექტუალურ ლიტერატურასთან გაშინაურებულ მკითხველსაც უჭირს ამ პოეზიის აზრობრივი შინაარსის ველში მოხვედრა. ცხადია, ეს ჩემი მიზანი სულაც არ ყოფილა, ხოლო ბუნდოვანებას და სიბნელეს, ლაბირინთების განგებ მოწყობას სერიოზული მკითხველი არ დამწამებს. ისიც ვიცი, მრავალი რატომ მიეძალება ჩემს ტექსტებს, რა როლს ითამაშებს ამ უკანასკნელთა გარეეფექტური მხარე. ბევრი მოინდომებს მის გაგებას, მოძველებული კლიშეებით შეიარაღებული. ცხადია, არც მკითხველთა ამ კატეგორიას გაემტყუნება. ერთი სიტყვით, კომუნიკაციის მეტ-ნაკლებად სასურველი დონის იმედი ჯერჯერობით არ მაქვს. ახლა, რაც შეეხება მიზეზს: ტრადიციულ მეტაფიზიკურ (და არა მხოლოდ მეტაფიზიკურ) პოეზიაში ავტორი ტექსტს აგებს ისე, რომ მხატვრული აზროვნების პროცესი მკითხველს ხელისგულზე უდევს, იგი ტექსტს კითხულობს და აზროვნების განვითარ-

ების, თემის ჩამოყალიბების თუ სხვა პროცესების მთლიანობას დაკვირვებით ადევნებს თვალს; სხვა სიტყვებით, სახეზეა დიალექტიკური ლექსის ის ტიპი, რომელშიც მკაფიოდაა წარმოდგენილი პოეტური აზრის თუ რაციონალური იდეის განვითარება-სრულქმნის პროცესი. სანიმუშოდ რილკეს ნებისმიერი ელეგია ან ელიოტის "ოთხი კვარტეტის" ნებისმიერი ნაწილი გამოდგება. ასეთი ტექსტის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი მკითხველის თვალწინ ატარებს აზროვნების პროცედურას და მკითხველი (იგივე თანაშემოქმედი) ნაბიჯ-ნაბიჯ, ავტორთან ერთად, აყალიბებს, აგებს მოცემულ მომენტში ძირითად იდეას. აქ, თავის მხრივ, ორი გზაა, რაც ტექსტის სტრუქტურის თავისებურებას განაპირობებს: ავტორი ან იდეას აწვდის უპირველესად მკითხველს და შემდეგ მიმართავს ამ იდეის დაშლა-დამტკიცებას ანუ მხატვრულ ანალიზს, მხატვრულ დასაბუთებას, ან – პირიქით, მის ხელთ არსებული ყველა მხატვრულ-სააზროვნო საშუალების დახმარებით, ინდუქციის გზით, სრულყოფს იდეას, უახლოვდება იდეის გამთლიანების უკანასკნელ ფაზას. ცხადია, ეს ერთობ გამარტივებული სქემაა, მაგრამ ამჯერად შეიძლება ამით დავკმაყოფილდეთ. რაც შეეხება თანამედროვე, და კერძოდ ჩემს, მეტაფიზიკურ ლექსს, მასში კლასიკური ლექსის ეს ნიშანი მოხსნილი და შენახულია. რა თქმა უნდა, ჩემი პრინციპიც დიალექტიკას გულისხმობს, მაგრამ მეთოდი სრულიად განსხვავებულია. აქ, ჩემს ლექსში, ადგილი აქვს ერთგვარ "მონტაჟს": აზრის განვითარების, სახე-იდეის შექმნის პროცესი ამოჭრილია და სახეთა მოპოვების გზა მკითხველისთვის უცნობი რჩება; სახე-იდეები უშუალოდ მოსდევენ ერთმანეთს, რითაც მაქსიმალურად იკუმშება დროსივრცის დიქტატი. ამ დროს, თავისთავად, იგულისხმება რილკეს, ჰოლდერლინის თუ კლასიკური მეტაფიზიკური პოეზიის სხვა წარმომადგენელთა მონაპოვარი. შეიძლება ასეც ითქვას: მე ვაძევებ ან მაქსიმალურად ვკუმშავ პოეტურ სიუჟეტს, ე. ი. დიალექტიკის საჩინო პროცესს სიღრმეში გავდევნი (გნებავს: შორეულ პერსპექტივაში). ესაა ოპტიმალობის მეორე საფეხური. პირველი სწორედ კლასიკურმა მეტაფიზიკურმა პოეზიამ დახვეწა. ეს გამოიხატა იმის განმტკიცებაში, რასაც შეიძლება იდეის დამუშავება ეწოდოს. ერთიც: თანამედროვე მეტაფიზიკურ ლექსში, შეიძლება ითქვას, ნაცვლად იდეის განვითარება-სრულქმნის პროცესისა, სახეზეა უკვე განვითარებულ-სრულქმნილ იდეათა განვითარება-სრულქმნის პროცესი. ჩემი შემოქმედების პირველი ეტაპი ერთგვარი ხარკია, რომელიც ტრადიციას გადავუხადე. ამ პერიოდის ლექსებში სწორედ კლასიკური პრინციპითაა განვითარებული ლექსის იდეური მხარე; გარდა ამისა, მათში სახეებით აზროვნება ბევრად სჭარბობს სახე-აზრებს, მეტაფორებით აზ-

როვნება – მეტაფორა-აზრებს. შემდგომ და შემდგომ, განსაკუთრებით ისეთ ლექსებში, როგორებიცაა "ზარი", "მოდილიანი", "მივუსამძიმროთ შემოდგომას" და სხვები, უკვე საცნაურია ძლიერი ძალისხმევა საიმისოდ, რომ მიღწეულ იქნეს მდგომარეობა, როცა ლექსი მთლიანად თავისუფლდება საგანმანათლებლო ფუნქციისგან, თავს აღწევს მომხმარებლური ინსტინქტების თუნდ მცირეოდენ გათვალისწინებასაც კი და განაპირდება.

- უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არ ნიშნავს მკითხველისგან განაპირობის ისეთ აქტს, როცა ლექსი საერთოდ იხურება, უკუიქცევა მკითხველისგან. პირიქით, ამ დროს მკითხველსა და ტექსტს შორის ახალი, სრულიად განსხვავებული, გართულებული ურთიერთობა მყარდება, რაც განათლებული მკითხველისთვის ბევრად სასიამოვნო, სასიხარულო მოვლენაა.

- საჭირო შენიშვნაა, და მე მინდა, სწორედ ამ საკითხზე გავამახვილო ყურადღება. მხატვრული ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ძნელი არაა იმის გარკვევა, თუ როგორ მკითხველთან გვაქვს საქმე. ტექსტი ლაკმუსია. ტექსტი თავად კითხულობს მკითხველს. მკითხველთა უდიდესი ნაწილი ტექსტისგან სრულ გარკვეულობას და სინათლეს მოითხოვს, ტექსტს ისეთი "პრინციპულობით" უდგება, თითქოს სამყაროში ყველაფერი გასაგები იყოს, ხოლო ტექსტის ავტორი გაუგონარ დანაშაულს სჩადის იმით, რომ ბნელს და დახლართულს ხდის სამყაროს; ასეთი მკითხველისთვის, თითქოს, ცხადზე უცხადესია დაბადების აქტი; არაფერია გაურკვეველი იმაში, რომ მცენარე იზრდება ან ადამიანი ეგოისტი და პატივმოყვარეა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არაფერი ვიცით მცენარის მაცოცხლებელი ძალის შესახებ, მცენარის ზრდა გვახარებს და ბედნიერებას გვანიჭებს. ნამდვილი მკითხველი ტექსტისადმი (ცხადია, საქმე ეხება ხელოვნების სერიოზულ ნაწარმოებს) პრეტენზიული არასოდესაა. იგი ტექსტს იღებს ისეთს, როგორიც არის. მკითხველთა უმრავლესობა კი არაცნობიერად (უმეტესად) უარყოფს იმ აზრს, რომ ნებისმიერი ტექსტი სამყაროს, ე. ი. ამოუცნობის, ნაწილია. მკითხველი მაშინაც კი მადლობელი უნდა იყოს, ტექსტის მეასედმა მაინც თუ მიანიჭა საცნაურყოფის სიამოვნება. როგორც ჩანს, ტექსტსა (წიგნი იქნება ეს, ნახატი თუ მუსიკალური ნაწარმოები) და მკითხველს შორის ურთიერთობა ბევრად ჩამორჩა თავად ადამიანებს შორის ურთიერთობის ევოლუციას.

- რას გულისხმობ?

- ვიტყვი. ადამიანებს შორის ურთიერთობის ხანგრძლივმა პროცესმა ჩამოაყალიბა გარკვეულ პირობითობათა რაღაც კომპლექსი, რომელსაც საზ-

ოგადოება ავტომატურად იყენებს. ეს პირობითობები ადამიანს საშუალებას აძლევენ, გაუგოს მეორე ადამიანს, როგორც იტყვიან, ნორმალური ურთიერთობების საზღვრებში. ორი ადამიანი ერთმანეთს უკავშირდება, ერთმანეთთან კომუნიკაციაში შედის, რაღაც მესამის საშუალებით. ეს მესამე ნორმათა სისტემაა. ასეთივე სისტემები არსებობს ადამიანსა და სამყაროს შორის ურთიერთობაში. ერთი შეხედვით პარადოქსული მოვლენების უკან, ამ სისტემათა ძალით, საოცარი კანონზომიერებებია დაფარული. მაგალითად, თუ მავანი მისალმებაზე სიცილს დაიწყებს, ჩვენი პირველი რეაქცია გაკვირვება იქნება. მაგრამ არ გვიკვირს, როცა გაზეთში ვეცნობით ინფორმაციას მეზობელ სახელმწიფოში დაღუპული ათობით ადამიანის შესახებ და ამის გამო ცრემლად არ ვიღვრებით, არ ვაცხადებთ გლოვას, არ ვვარდებით სასოწარკვეთაში; ის, რომ ჩვენივე მოდგმის წარმომადგენლის სიკვდილი ასერიგად უცხო და შორეული ყოფილა ჩვენთვის, ჩვენში არანაირ გაღიზიანებას და სინდისის ქენჯნას არ იწვევს. სამაგიეროდ, როცა გაუგებარი ტექსტია ჩვენს წინ, მავანთათვის ეს ფაქტი შეურაცხმყოფელი და დამამცირებელიც კია; მკითხველი ფიქრობს, რომ მან არ იცის რაღაც ისეთი, ტექსტის ***დაუფლების*** საშუალებას რომ მისცემდა. სწორედ დაუფლების ასეთი ვნების, მომხმარებლური მიდგომის საპირისპიროდ ყოველთვის გაისმოდა და გაისმის ხელოვანთა პროტესტი, რაც არაიშვიათად დიდ მოძრაობებშიც კი გადაიზრდება ხოლმე. მოკლედ, ტექსტს არ მოეთხოვება იმაზე მეტი, ვიდრე – სამყაროს. ტექსტი რწმენას და სიყვარულს მოითხოვს. იქნებ ეს ყოველივე არც იყოს ასე. მე მხოლოდ ჩემს თვალსაზრისს გამოვთქვამ და პრეტენზია არ მაქვს იმაზე, რომ მაინც და მაინც ჭეშმარიტია ეს აზრი, რომელსაც საფუძვლად უდევს მხოლოდ სამყაროსა და შემოქმედს შორის, როგორც დაპირისპირებულ პოლარობებს შორის, საერთოს ძიება.

- დაპირისპირება რის ნიადაგ ზე? შენ ფიქრობ, რომ სამყარო და შემოქმედების ნაყოფი ერთმანეთს უპირისპირდებიან?

- შევეცდები, უკეთ ჩამოვაყალიბო. სამყარო, როგორც აქტი, და შემოქმედება, როგორც ქმნადობა, სხვადასხვა კონსტიტუციის არიან. ხელოვნების ნაწარმოები მათ შორის გადებული ხიდის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ; ამ წარმოდგენის დროს ვაცნობიერებთ, რომ სამყარო ერთდროულად აქტიც არის და ქმნადობის პროცესიც, ხოლო შემოქმედება, პიროვნების მოღვაწეობა, თავის თავში იგივე თვისების მატარებელია. გარდა ამისა, ხელოვნება, "საგანთა თქმა" (რილკე), არსებითად, საგანმანათლებლო პროცესია. ამ საქმიანობის პირველი ეტაპი შექმნილი საგანია, საგნის თქმით შექმნილი საგანი; მეორე ეტაპია ნაწარმოების პრეზენტაცია. პირ-

ველი ეტაპის რეზულტატი უკვე ნიშნავს მარადიულისგან და უპირობოსგან სუბიექტის მოწყვეტას. ქმნადობის აქტით ხელოვანი უნდობლობას უცხადებს აბსოლუტს, თავის არსებაში განფენილ მარადიულს, და უჯანყდება მას. პროტესტის არსია გათვალსაჩინოებული ფორმით მარადიულში ხელახლა დამკვიდრება. ადამიანი, თავისთავად, თავისი არსით, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, მარადიულის ნაწილია, რომელიც თავის თავში იტევს მთელს. ხელოვანი ის კაცია, რომელიც ამ ფაქტს თვალსაჩინოს ხდის, მატერიალურისა და სულისმიერის გამთლიანებით იკმაყოფილებს არაცნობიერის (როგორც ზეცნობიერისა და ქვეცნობიერის მთლიანობის) უღრმეს შრეებში აღმოცენებულ ტელეოლოგიურ ვნებას, და რაც უფრო ოსტატურად აკეთებს ამას, რაც უფრო კარგად ფლობს გამოთქმის ტექნიკას, მით მეტად ღრმა, ძლიერი და დიდია იგი. ამ გზით ხელოვანი მილიონობით ადამიანს უზიარებს მათსავე გამოცდილებას, ოღონდ – თავისი, განუმეორებელი, ინდივიდუალური, უნიკალური გამოცდილების მაგალითზე; ამით იგი, შესაძლებლობის ფარგლებში, აფიქსირებს ანუ "ყინავს" მარადიულს. გარკვეული აზრით, ხელოვნების საგანი მარადიულის სუროგატია. მიუხედავად ამისა, მას დაღუპვა არ უწერია, რაგან ისიც მარადიულია უკვე არსებობის, მყოფობის ფაქტით. თავად ხელოვანი მარადიულის გათვალსაჩინოების უთვალავი შესაძლებლობიდან ერთ-ერთს ირჩევს (უფრო სწორედ, ამ ერთ-ერთს ბედისწერა ირჩევს ხელოვანში), რითაც ხელოვანს განუმეორებელ ინდივიდუალობას, უნიკალობას ანიჭებს. რომელიმე რეგიონალური განწყობის საზღვრებში არჩევანის ამ აქტმა დაბადების ტრაგიზმის სახეც კი შეიძლება მიიღოს.

- ამ პრობლემის მხატვრულ ანალიზს შენს პოეზიაშიც დიდი ადგილი ეთმობა. მაგრამ, თუ არ ვცდები, სისტემურად და ცენტრალური საკითხის სახით იგი არც ერთ შენს ლექსში არ არსებობს.

- რატომაც არა. ასეთი ლექსია "რექვიემი". მასში ვცადე, სიტყვის დაბადების ტრაგედია მეჩვენებინა, ამით კი ყოველგვარი დაბადების ტრაგიზმზე მიმეთითებინა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, ამის შესახებ თუ ვისაუბრებ. მომიტევე, ალაგ-ალაგ სულ ახლახან თქმულის გამეორება თუ მომიწევს. შობის აქტი, არსებითად, ამბოხი და პროტესტია მარადიული არსებობის წინააღმდეგ და მისი მიზანია მრავალფეროვანისა და უსასრულოს "შეკუმშვა" ხელშესახებ, კონკრეტული და წარმავალი სიცოცხლისთვის მისაწვდომ მარადისობად, განუსაზღვრელ-მარადიულის განსაზღვრება და დაფიქსირება ექსისტენციალური გამოცდილების ჩარჩოებში; ბუნებრივია, ეს აქტი ტრაგიკულად აღიქმება მხოლოდ გარკვეული განწყობისმიერი პოზიციის პრიზმაში და ერთობ პირობითი ხასიათისაა. ჩემი

პოზიცია კი ამოსავალს შემდეგ დებულებაში პოულობს: ნებისმიერი დაბადება – ესაა უამრავ შესაძლებლობათაგან ერთ-ერთის არჩევა და სხვა შესაძლებლობათა დახურვა, გაქრობა, სამუდამო არყოფნაში დანთქმა. რაც შეეხება სიტყვას, ის ტოტალური ინფორმაციის ერთი უმნიშვნელო ნაწილის ლოკალიზებას წარმოადგენს და ამით კლავს ინფორმაციის სიღრმეს თავის თავში; წირავს უსასრულოს, რათა ადამიანური შესაძლებლობებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს იგი. მაგრამ ეს მხოლოდ პრობლემის მეტაფიზიკური ფესვებია. სიტყვის დაბადება სულ სხვადასხვა კუთხით საკვლევ ურთულეს მიზეზთა შედეგია და ამ მიზეზთა ასეთი თუ ისეთი სპეციფიკითაა გაპირობებული სიტყვის ასეთი თუ ისეთი სახე, კონკრეტული ფორმა...

- მაპატიე, შეგაწყვეტინებ. უპრიანი იქნებოდა, დაგე ზუსტებინა, სიტყვის ცნებას მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით ხმარობ თუ რაიმე სიმბოლური დატვირთვაც გააჩნია.

- ამ შემთხვევაში, უპირატესად, წარმოვიდგენ, როგორც ორი ფენომენის მთლიანობას: სიტყვისას, როგორც ასეთისას, როგორც გრამატიკული ელემენტისას, და მხატვრული სიტყვისას, სიტყვისას, როგორც მხატვრული ლოგიკის სტრუქტურული ელემენტისას (რაც შეიძლება ლექსსაც გულისხმობდეს და პოემასაც)... მე ვცადე, ამ მიზეზთა ნაწილი მაინც გამეაზრებინა და განმეცხადებინა მხატვრულად...

- ხომ არ ფიქრობ, რომ ამ პრობლემის მხატვრული ლოგიკის კუთხით კვლევა უპირატესობას ფლობს მეცნიერულ ანალიზთან შედარებით?

- არა მგონია. ამ პრობლემის წინაშე ორივე ეს სფერო, მეცნიერულიც და მხატვრულიც, უმწეოა. უბრალოდ, მათი მიდგომის სხვადასხვაობა მათივე სტრუქტურების სხვადასხვაობითაა გამოწვეული და გამოცდილების ორ ულამაზეს ფორმას იძლევა. პირადად ჩემი მეთოდი წმინდა ესთეტიკური (და შეიძლება ესთეტიზირებული) ხასიათისაა. ვიდრე ნაწარმოები იქმნება, ყოველთვის უკიდურესად ძნელია იმის თქმა, გაამართლებს თუ არა ასეთი მეთოდი. "რექვიემის" შემთხვევაში პარალელების ლოგიკა მოქმედებს. ამ დროს შინაგანად ზუსტი უნდა იყოს ანალოგია სიტყვის გუშინდელ დღესა და ადამიანის გუშინდელ დღეს შორის. ადამიანის გუშინდელი დღე კი არც მხოლოდ სააქაო ცხოვრების რომელიმე მონაკვეთს გულისხმობს, არც – მხოლოდ სააქაომდელი არსებობის რომელიმე წერტილს და არც, საერთოდ, უფრო ადრე არსებულ რომელიმე არსებობას, არამედ – ყველას ერთად. მხატვრული სიტყვა, მხატვრული ლოგიკა სწორედ ამ მთლიანობის მოაზრების საშუალებას იძლევა. გუშინდელი დღე "რექვიემში" გაგებულია, როგორც სიცოცხლისა და არსებობის უსასრულო ფორმა-

თა ძირი და მიზეზი (მაგრამ არა როგორც სუბსტანციური მიზეზი), როგორც ის პირველსახე, რომლის დაუფლება ყოველგვარ ადამიანურ უნარს აღემატება. ეს პირველსახე, მართალია, არაა "ნივთი თავისთავად", მაგრამ თავის თავის შესახებ ინფორმაციას იგი სწორედ სიცოცხლისა და არსებობის უსასრულო ფორმათა გზით გვაწვდის. ის იწვევს იმ, ერთი შეხედვით დახლართულ, სინამდვილეში კი უღრმეს შინაგან კანონზომიერებებს დაქვემდებარებულ, ემოციათა მრავალფეროვან კომპლექსს, რაც ნებისმიერ ადამიანურ აქტს მეორე ადამიანისთვის გასაგებს ხდის (და – ამითვე – გაუგებარს), რაც საშუალებას იძლევა, ორ სიტყვას შორის რაღაც მესამე მოვიხილოთ მთელი თავისი მტკივნეული რეალობით. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა, მოვლენებისადმი შეფასებით დამოკიდებულებას თავდაღწეულნი, თამაშის სამყაროში კი არ გავდივართ, არამედ – მეტაფიზიკის სამყაროში.

- შენ თვლი, რომ პოეზია, და საერთოდ, ხელოვნება, შეფასებით მიდგომას გამორიცხავს?

- არა, მე ასე არ ვთვლი. მე მხოლოდ ჩემს სურვილს გამოვთქვამ, რომელსაც, ცხადია, ლიტერატურული ფაქტობრიობა ანგარიშს ვერ გაუწევს. მე მხოლოდ ჩემს მეთოდთან დაკავშირებულ საკითხებს გიზიარებ. ვთვლი, რომ დადგა დრო, როცა ლიტერატურამ რადიკალური ზომები უნდა მიიღოს, რათა მორალს თავი დააღწიოს. ამ მოწოდებას ლიტერატურის როგორც ისტორია, ისე თანამედროვეობა კარგად იცნობს, სულ სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა შინაარსით გამოხატულს, სხვადასხვა კონტექსტით დატვირთულს, სხვადასხვა კულტურის პირმშოს. ჩემს ამ პოზიციას შეიძლება პოეტური უტოპიზმი დაერქვას, მაგრამ პირადად ჩემთვის ეს უტოპია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სამყაროში არაფერია ისეთი, რაც შეფასებით მიდგომებს და ღირებულებით დამოკიდებულებებს დაემორჩილება მეტაფიზიკურ, ე. ი. ჭეშმარიტად რეალურ დონეზე. მოვლენებისადმი შეფასებითი დამოკიდებულების კომპეტენცია მორალის საზღვრებს არ სცილდება. ამის მიზეზი (ერთ-ერთი მაინც) ისაა, რომ სამყარო თავის თავში ალტერნატიულია, მორალი კი – არა; მორალი მხოლოდ შედეგია ალტერნატივის. იქ, სადაც არსებობს ფაქტობრივი ან პოტენციური ალტერნატივა, შეფასებისთვის ადგილი აღარ რჩება. მორალი და რელიგია ალტერნატივას გამორიცხავს, აქ შეფასება მსჯავრის რანგშიც კია აყვანილი.

- თუ სწორად გავიგე, ეს რელიგიისა და მორალის წინააღმდეგ შენს გამოსვლას სულაც არ უნდა ნიშნავდეს.

- რა თქმა უნდა, არა. მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ ლიტერატურა ყოველთვის რაღაც ისეთ განზომილებაზე მიუთითებს, რომელიც რე-

ლიგიას და მორალს თავის, მკაცრად ზღვარდებულ, ადგილსაც მიუჩენს და, ამასთან, ამ საქმეს ისე ფრთხილად აკეთებს, რომ ჰუმანიზმს და "ზრდილობას" არ ღალატობს.

- ვფიქრობ, ასეთი პოზიცია არაცნობიერად უნდა გულისხმობდეს ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანის მიმართებას საკუთარ წარსულთან, კაცობრიობის კულტურულ მონაპოვართან, ისტორიასთან, ამ ისტორიის აუხსნელ, თეთრ ლაქებთან.

- გეთანხმები. ისტორია ხომ, ფილოსოფოსების თქმით, ის სფეროა, რომელიც ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მიზეზ-შედეგობრივ კვლევას, ახსნას, განმარტებას; თუ რამ არსებობს არარაციონალური და თითქმის ირაციონალური, ესაა ისტორია. ჩემს "გამოფხიზლებულთა ჰიმნში" შევეცადე მხატვრული ფორმა მიმეცა იმ ერთი შეხედვით ბანალური აზრისთვის, რომ ნებისმიერი ჩვენი ქცევის თუ ფიქრის, თვით მექანიკური მოძრაობების, კონკრეტულობის სათავე საუკუნეთა წიაღშია საძიებელი. უაღრესად ლამაზია ის მთლიანობა, რომელსაც ისტორია ამჟღავნებს. ნიცშესეული "ღმერთი მოკვდა" ერთ-ერთი ცენტრალური ფორმულაა, რომლითაც ახალი ადამიანის გონით მდგომარეობას ახასიათებენ ხოლმე. არადა ღმერთი ადამიანმა მაშინ მოკლა, როცა სიარული ახალი ნასწავლი ჰქონდა. ადამიანი არასოდეს დაუშვებს ისეთ ღმერთს, რომელიც მას არ დაემორჩილება. მიხვდა თუ არა მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი, რომ ღმერთი სულ მალე შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო, მაშინვე ქვეყანას ამცნო ის ამბავი, რომელიც ახალი სულაც არ ყოფილა, და რაც თავადაც მშვენივრად იცოდა. ადამიანი ჯერ ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ "თავისთავადი ნივთის", ღმერთის, აბსოლუტის სამყარომ, უმაღლესი ღირებულებების სამყარომ უანგარო ფიქრით დააფიქროს. შესაძლოა, ეს არც მოხდეს ოდესმე, დღემდე თუ არ მომხდარა. მაგრამ სანუგეშოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილი ცოდნა არც იმის შესახებ გაგვაჩნია, რაც გუშინ მოხდა. და კიდევ, არა მხოლოდ ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ჩვენმა წინაპრებმა მიგვითითეს, არამედ ბიბლიური დავითიც ისე იქცევა და იმას ღაღადებს თავის ფსალმუნებში, რაც ჩვენ ვასწავლეთ მას.

- მრავალ თანამედროვე მისტოკსს თუ ფილოსოფოსს ხომ ამაში ეჭვიც არ ეპარება: წარსული სწორედ ისეა მომავლით განსაზღვრული, როგორც მომავლის მიზეზია წარსული.

- არა მხოლოდ თანამედროვეს. ამ შემთხვევაში მე საუბრის ასეთი მეთოდი მაქვს არჩეული: ვმსჯელობ იმაზე, რაშიც თავად ვარ დარწმუნებული და რაც ჩემს მსოფლმხედველობას განსაზღვრავს, რაც ჩემი მხატვრული შეამოქმედების კონცეპტუალურ ძირებს გულისხმობს. ამიტომ არ ვთვლი

საჭიროდ ამა თუ იმ მოაზროვნის ციტირებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ამას ერთი წიგნი არ ეყოფოდა. მე ვცდილობ, ლიტერატურული ინტერვიუს ნორმები არ დავარღვიო, ფორმალურად მაინც. ამ საკითხთან დაკავშირებით კი შემიძლია გითხრა: ჩვენ ჯერჯერობით კვლევის სამეცნიერო მეთოდებით (არსებითად, მხატვრულითაც) იმაზე ვართ ორიენტირებული, რაც წარსულს ეკუთვნის; მაგალითად, რა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ხელოვანზე ტრადიცია, წარსულის კულტურული გამოცდილება, რა მოაქვს ამა თუ იმ ხელოვანს ახალი და გამორჩეული, ვინაა ნოვატორი, გენიოსი და ა. შ. მაგრამ ეს ყველაფერი პრობლემის ერთი მხარის ანალიზია და დამაჯერებელი ვერასოდეს იქნება. ჩვენ ხომ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, არ შეგვიძლია ვიკვლიოთ მერმისის გავლენა შემოქმედზე, და საერთოდ – ნებისმიერ ფენომენზე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩაგვესმის, რომ ამა და ამ ხელოვანმა დროს გაუსწრო, მომავალი განჭვრიტა, იწინასწარმეტყველა რაღაც ძალზე სერიოზული მოვლენა და ა. შ., რაც სწორედ იმ შინაგან ხმაზე მიუთითებს, ადამიანში რომ არსებობს და დაჟინებით ცდილობს, იგი მერმისს, ხვალინდელ დღეს აზიაროს; "დროს გაუსწრო" სწორედ მერმისით "ავადმყოფობას", მერმისის გავლენით ცხოვრებას და აზროვნებას ნიშნავს. წარმოიდგინეთ ნებისმიერი ტექსტი, რომლის ანალიზი ითვალისწინებს ამ ტექსტზე მერმისის რომელიმე კულტურულ-ისტორიული (ან თუნდაც კოსმიური) მონაკვეთის ზემოქმედების ხარისხს; მაგალითად, რა როლი მიუძღვის კანტის მოძღვრებას ანტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში ან რომელიმე სტრუქტურალისტის მოღვაწეობას რომანტიზმის არსებობის ფაქტში. მე არ მეეჭვება, რომ ამ განასერში ოდესმე უთუოდ იქნება განხილული ნებისმიერი ტექსტი, და არა მხოლოდ ამ განასერში; დრო-სივრცის მოცემულ, განსაზღვრულ მომენტში შექმნილი ნებისმიერი ტექსტის უკან ხომ არა მხოლოდ კაცობრიობის წარსული და მომავალი დგას, არამედ, აგრეთვე – სიცოცხლის სააქაომდელი თუ საიქიოსშემდგომი ანუ იმქვეყნიური ფორმები, არსებობის ფორმები და ა. შ., უამრავი სხვა განზომილება, ჩვენი ფიზიკის არანაირ კანონს რომ არ ემორჩილება... თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და უამრავი სხვა თემის განხილვა გახდება საჭირო... როგორმე სხვა დროს!.. ამჯერად კი მხოლოდ იმას დავძენ აქ თქმულს, რომ მიუხედავად ამ უსასრულო პერსპექტივისა, რომლის მხოლოდ მოაზრებაც კი ჩვენს დღევანდელ არსებობას წარმოგვიდგენს, როგორც რაღაც მარტივსა და ერთობ პრიმიტიულს, მაინც განსაკუთრებული მშვენიერებითაა აღსავსე; მას აქვს თავისი გამორჩეული და არასოდეს დასაკარგი ღირებულება, როგორც სამყაროს დიადი გამოცდილების ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს.

- ხომ არ გულისხმობს შენი პოზიცია, ყველაფერთან ერთად, ჩვენი საუკუნის ისეთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობების გამოცდილებას, როგორებიც იყო, ვთქვათ, დადაიზმი ან სიურრეალიზმი?

- ნაწილობრივ, არ გამოვრიცხავ, გულისხმობს. მუშაობის ჩემეული მეთოდი სინთეზურია და ვცდილობ გავითვალისწინო ავანგარდის მონაპოვარი. მაგრამ, შინაარსობლივი თვალსაზრისით, ამ მიმდინარეობათა ანტირაციონალიზმი ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია (კიდევ ვიმეორებ: ეს ხელს არ მიშლის იმაში, რომ სხვადასხვა თაურ თუ თანამედროვე, ჩემთვის ხელმისაწვდომ, მიმართულებათა გამოცდილება გავიზიარო და შემოქმედებითად ავითვისო ან სულაც არ მივიღო; გარდა ამისა, ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ყველაფერი ლიტერატურის თანამედროვე ფაქტობრიობაა, ამ ფაქტობრიობაში ჩაუხედავად კი ლიტერატორის მუშაობას აზრი ეკარგება; ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ კონტექსტს)...

- შეგაწყვეტინებ. ალბათ ლიტერატურის ფაქტობრიობისადმი ასეთი მიდგომითაა გაპირობებული შენი მთარგმნელობითი საქმიანობის ერთი მხარე: გეორგ თრაქლი, ჰანს არპი, ივან გოლი, პეტერ ჰანდკე, ეზრა პაუნდი, დადაიზმის და ფუტურიზმის მანიფესტები...

- რა თქმა უნდა. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, უკვე რა მოხდა. ეს დაგვეხმარება თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ორგანულ ჩართვაში. ეს საქმე უმნიშვნელოვანესი მგონია... დავუბრუნდები იმას, რის შესახებაც ვსაუბრობდი. ვთქვი, ჩემთვის მიუღებელია ამ მიმდინარეობათა ანტირაციონალიზმი-მეთქი. ჩემი პოზიცია სწორედაც რაციონალისტის პოზიციაა. რაც შეეხება დადაიზმს და სიურრეალიზმს (მე მათ ხაზს ვუსვამ, რადგან სწორედ მათით იწყება სრულიად ახალი კულტურა კაცობრიობის ხელოვნების ისტორიაში), ეს ის მიმდინარეობები იყო, რომელთა თვით ჩასახვამ, განვითარებამ და სხვა მიმდინარეობებში განღვრამ დაამტკიცა, რომ XX საუკუნე რაციონალიზმის საუკუნეა, ხოლო კაცობრიობის ისტორია – რაციონალიზმის ისტორია. რაციო, ამ შემთხვევაში, გაიგება, როგორც ანტიბუნება და ანტიმარადისობა, სწრაფვა წამიერის დასამკვიდრებლად; რაციო დისჰარმონიის სიმბოლოა, რაციო ადამიანის ბედისწერაა. ბედისწერა-მეთქი, რომ ვამბობ, იმასაც ვგულისხმობ, რომ რაციოს წინააღმდეგ ამხედრება უკვე ნიშნავს დაღუპვას დასაწყისშივე, რეალურ რეზულტატამდე ბევრად ადრე. ასეთმა მოძრაობამ შეიძლება ბევრი რამ შესძინოს კულტურას, მაგრამ ცნობიერად დასახული მიზანი ყოველთვის განუხორციელებელი რჩება. ეს "ბედისწერის" ცნებაში კი არა, "რაციოს" ცნებაში იგულისხმება უპირველესად, რადგან რაციოს წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ რაციოთივეა შესაძლებელი. ბუნება კი ასეთ "თავხედობას"

არ დაუშვებს: გონებას არ დაამარცხებინებს გონებას. სხვათაშორის, ეს ლოგიკურადაც წინააღმდეგობრივი აქტი იქნებოდა. სწორედ ამიტომ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სიურრეალიზმმა ვერანაირად ვერ უერთგულა ავტომატიზმის მეთოდს და განვითარების ბოლო სტადიაში მასში სიურრეალისტური (საწყისი აზრით) თითქმის აღარაფერი იყო (სანიმუშოდ გამოდგება არა მხოლოდ არაგონის, ელუარის ან დესნოსის, არამედ თვით ბრეტონის ბოლოდროინდელი შემოქმედება). უფრო მეტაც: ჩემი აზრით, უკვე დასაწყისში, ე. ი. ათიანი წლების მეორე ნახევარში, ბრეტონის თეორია და პრაქტიკა ცა და მიწასავით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რადგან, ჯერ ერთი, ავტომატიზმის მეთოდი უკვე ღრმად გააზრებული, რაციონალისტური წესია აზროვნებისა, და, მეორეც, ფიქსაციის აქტი უკვე გონითი პროცესია და ამას არ შველის ბრეტონის განმარტება იმის თაობაზე, რომ პოეტი ქვეცნობიერი ინსტინქტების ხელში მხოლოდ და მხოლოდ მარეგისტრირებელ აპარატს წარმოადგენს. ასე, რომ, ამ თვალსაზრისით, "უთვისებო კაცი" და "მაგნიტური ველები" ერთი ძირიდან მოდის, - ორივე მორჩილებს რაციოს უმკაცრეს მითითებებს და, იმავდროულად, ქვეცნობიერის (საერთოდ – არაცნობიერის) საქმესაც აღასრულებს. არაცნობიერი, რომელსაც ყურადღება მივაპყარით და რომელიც დავაფიქსირეთ, უკვე აღარაა არაცნობიერი. რიბმონ-დესსენი ხაზს უსვამდა, - იმას, რასაც მე ვწერ, ჩემი განსჯა არ წარმართავს: იგი თავად იბადება, თითქმის ჩემს გარეშე, ყოველ შემთხვევაში, კონტროლის გარეშეო, ასეთი გამონათქვამები აურაცხელია. შეიძლება ითქვას, რომ ბრეტონი მთელი თავისი ცხოვრება ამას ამტკიცებდა. არადა, მას რომ ეს დაემტკიცებინა, ფილოსოფიას თავი აღარ ექნებოდა გამოსაყოფი. აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ სიურრეალიზმის თეორიაში ახალი არაფერი ყოფილა, თეორიაში სიურრეალიზმს უცხო არაფერი მოუტანია და, უკეთეს შემთხვევაში, დეკარტის მთავარი პრინციპის განმტკიცებას შეუწყო ხელი, თუმცაღა სწორედ ამას არ ისურვებდა არც ერთი ჭეშმარიტი სიურრეალისტი. მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სიურრეალისტებმა მაინც თქვეს თავიანთი სიტყვა ხელოვნებაში და ეს იყო მინიმუმი იმისა, რაც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული.

- ჩვენი დროის ფილოსოფიებს შორის, ალბათ, ექსისტენციალიზმი უნდა ჩაითვალოს რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე ძლიერ მოძრაობად. რამდენადაც ვიცი, შენ ექსისტენციალისტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებ შენი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ისინი შენი საყვარელი პოეტების თაყვანისმცემლები იყვნენ.

- მაგრამ ეს იმის უფლებას ხომ მიტოვებს, მქონდეს თუნდაც პოლარულად საპირისპირო აზრი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ექსისტენციალისტები იკვლევდნენ. მათ მიერ რაციონალიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა მისასალმებელია ჰუმანიზმის პოზიციებიდან, მაგრამ მისი ფილოსოფიური გამართლება შეუძლებლად მიმაჩნია, თუ ანალიზის კონტექსტად დროულ-ისტორიულ მასშტაბებს ვიგულისხმებთ და არა – დროულ-რეგიონალურს. ახალი დროის ეგზოტიკით, რიტმით, პრობლემებით გაოგნების ის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო და რომელიც დღემდე გრძელდება, შესაძლოა მალე ცარიელი სენტიმენტალიზმის ატმოსფეროდ იქცეს (უკვე თუ არ იქცა). რა თქმა უნდა, გარკვეულ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა გაოგნების ამ პროცესს, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა რეალურ მოვლენათა მდინარებასა და ადამიანის სულსა (ერთის მხრივ) და ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებსა და ფსიქიკის სტრუქტურას (მეორეს მხრივ) შორის არსებული დისპროპორცია. ამ კრიზისის ამსახველია სწორედ გაუცხოების, დეჰუმანიზაციის, მასობრივი კულტურის და სხვა მრავალი ფენომენი, ფილოსოფოსთა მიერ სულ სხვადასხვა ასპექტით განხილული. ისეთი დიდი ფილოსოფოსებისთვის, როგორებიც ჰაიდეგერი და ორტეგა-ი-გასეტი არიან, ამოსავალია რაღაც აპრიორულად მოცემული კლასიკური მოდელი, რაღაც ჰარმონიული მთელი, რომლის არსებობა მათ არც ეეჭვებათ და რომელთან მიმართებით სურთ აჩვენონ ადამიანის ამხედრება თავისივე არსების, საზრისის, კონსტიტუციის წინააღმდეგ. როცა ჰუმანიზმი ვახსენე, სწორედ ეს ვიგულისხმე. ფილოსოფიურ დონეზე, ასეთი თვალსაზრისი, პირადად ჩემთვის, არადამაჯერებელია. რა თქმა უნდა, პრობლემის გაშუქებისა და მასზე პასუხის გაცემის სურვილი ყოველთვის დიდია, მაგრამ ეს სურვილი გარკვეულ ბაზისს გულისხმობს. ჩემთვის ასეთი ბაზისია იმის აღიარება, რომ ჩვენ ჯერჯერობით არაფერი ვიცით, და არც ოდესმე გვცოდნია, ადამიანური არსის შესახებ, და თუ ჰუმანური პოზიციებიდან ვერავინ უარყოფს ადამიანური არსის წარმოდგენას ამაღლებულის, სრულყოფილის, იდეალურის სახით, ფილოსოფიურ დონეზე ასეთი მსჯელობა გარდაუვალ წინააღმდეგობას აწყდება ხოლმე. ჩემი ღრმა რწმენით, გარკვეულწილად, ასეთი ჰუმანიზმი იყო მიზეზი ფილოსოფიის იმ სახის ჩამოყალიბებისა, რომელსაც თანამედროვე მკვლევარები ესთეტიზირებულ ფილოსოფიას უწოდებენ. ასეთი ფილოსოფიები შექმნეს შპენგლერმა, ჰაიდეგერმა, ორტეგა-ი-გასეტმა, მარკუზემ, ფრომმა, მარსელმა და სხვებმა. ამ ტიპის ფილოსოფიას უკვე კირკეგორმა და ნიცშემ ჩაუყარეს საფუძველი... ბრძოლა, რომელსაც ჩვენი საუ-

კუნის დასაწყისის და პირველი ნახევრის მოაზროვნეები აწარმოებდნენ (და რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უფრო გაძლიერდა), მიმართული იყო იმ რაციოს წინააღმდეგ, რომლის მსჯავრდება გამართლებული არ იყო თვით რაციოს უმწეო მდგომარეობის გამო. რაციო, სრულიად არაა გამორიცხული, ბრმა იარაღს წარმოადგენდა იმ ეშმაკი და დახვეწილი ფსიქიკის ხელში, რომელიც ცდილობდა მისთვის სპეციფიკური და მისგანვე მომდინარე პრობლემები "სხვისთვის" დაებრალებინა, გაესხვისებინა. აქ ხომ კანტის მიერ დახასიათებულ იმ გონებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც "აწუხებს ისეთი საკითხები, რომელთა მოცილება არ ძალუძს, რადგან ისინი მისთვის თვით გონების ბუნებას მოუხვევია თავს". დღეს გაოგნების პროცესი უკანა აქვს მოტოვებული იმ რაციონალიზმს, რომელსაც მშვენივრად შეუძლია მსგავსი შემოტევებისგან თავდაცვა. ასეთ რაციონალიზმს შეიძლება ***გამოცდილი რაციონალიზმი*** ეწოდოს. მის წინააღმდეგ სააზროვნო და გნებავს გრძნობისმიერი ძალების მიმართვა სასიკეთოს არაფერს ჰპირდება ჰუმანიზმს. რაციონალიზმი უნდა გავიგოთ და არა უარვყოთ. ეს გამოცდილი რაციონალიზმი, პირადად მე, ერთადერთ გზად მესახება კრიტიციზმისგან თავდასაღწევად.

- კრიტიციზმისგან, როგორც მეთოდისგან? ეს ხომ მართლა უტოპიაა.

- შეიძლება. მაგრამ ეს აზრი განსაზღვრავს თანამედროვე მოვლენებისადმი ჩემს მიმართებას და თუ თავი არ მოგაბეზრე, მოკლედ ჩამოვაყალიბებ ჩემს თვალსაზრისს ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით. ამით, ერთგვარად, გამთლიანდება კიდეც ეს საუბარი, ლოგიკურ სისრულეს შეიძენს.

- კეთილი.

- ჩემი აზრით, სამოციან წლებში დამთავრდა XX საუკუნის ლიტერატურის ყველაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდი, რომელსაც კრიტიკული პერიოდი შეიძლება ეწოდოს და რომლის ყველაზე დიდ წარმომადგენლად დოსტოევსკი მესახება, ხოლო იდეურ წინაპრებად – პასკალი, კირკეგორი, ნიცშე და მრავალი სხვა. ჩვენი საუკუნის მოაზროვნეებმა კი იშვიათი, მართლაც რომ დიდოსტატური ძალით ასახეს ის შემზარავი სამყარო, რომელშიც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს და რომლის შემოქმედიც თავად ადამიანია. ამ მიზანს ემსახურებოდა ჯოისის, კაფკას, კამიუს, ფოლკნერის, თომას მანის, სარტრის და სხვათა შემოქმედება (საგანგებოდ არ ვასახელებ მუზილს: იგი სულ სხვა რიგის მოვლენაა; იგი იყო გენიოსებს შორის ერთადერთი, რომელმაც კრიტიციზმი გადალახა)... კრიტიციზმის ამ სულითაა განმსჭვალული ნებისმიერი მიმდინარეობა ფილოსოფიასა თუ ხელოვნებაში... მაგრამ საკითხავია, ერთობ დიდხანს ხომ არ გაგრძელდა კრიტიციზმის, ნეგატივიზმის პერიოდი აზროვნებაში, კერძოდ – ლიტერატურა-

ში? ვფიქრობ, დრო მოჭამა ამ ტიპის ხელოვნებამ ათასნაირი ვარიაციებით და ფორმებით, გახანგრძლივებული ეფექტებით (მითუმეტეს, რომ შინაარსი ძველია). კრიტიციზმი ახლა ინერციითღა სულდგმულობს. გაუცხოებული დროის გამომააშკარავებელი იმდენი ფორმულა შეიმოქმედა ლიტერატურის ამ გმირულმა ხანამ, რომ ეს ფორმულები (მისხალი რომ არაფერი დაემატოს ახალი) გამოდგება გაუცხოების ნებისმიერი ახალი სახის დასახასიათებლად, ადამიანური ყოფის უფსკრულებში არსებული სიბნელის უამრავი გამჟღავნებული ფორმის დასაგმობად. ამ თვალსაზრისით, შინაარსობლივ, აზრობრივ განასერში, თანამედროვე ლიტერატურაში განსაკუთრებული არაფერი ხდება და შეიძლება ითქვას ისიც, რომ ვაკუუმმა იჩინა თავი, ვაკუუმი წარმოიქმნა. რატომ გაუგრძელდა არსებობა კრიტიკულ ლიტერატურას ამ უსწრაფეს საუკუნეში, როცა ნებისმიერი სიახლე ლამის აღმოცენებისთანავე სულს ღაფავს? კრიტიკულმა პერიოდმა გვიჩვენა გაუცხოებული ადამიანის მთელი სულიერი ტრაგიზმი, მისი ყოფიერების შემზარავი სიმყიფე, გარდაუვალი კატასტროფის საფრთხე, რომელიც ემუქრება ასეთ პირობებში მოქცეულ კაცობრიობას (მე ვცდილობ, მოვლენები ამ ლიტერატურის სააზროვნო სპექტრში განვიხილო, თორემ მსგავსი პოზიცია ჩემთვის მიუღებელია); მაგრამ ნეგატივიზმი, კრიტიციზმი ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესის მხოლოდ ერთი მხარეა, პირველი საფეხური. ლიტერატურის განვითარებას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა მეორე პერიოდი, პოზიტიური პერიოდი, ე. ი. ლიტერატურას უნდა ეჩვენებინა ამ გაუცხოებული, კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზები. მან ეს გზა ვერ მონახა (თუმცა ძიების პროცესი სახეზე იყო: მე თვით ნიცშეს ზარატუსტრაც ღმერთის მაძიებელი კაცი მგონია), და ერთი ადგილის ტკეპნა დაიწყო. ამიტომ შეიქმნა ვაკუუმი. არადა, ეს იყო სრულიად ლოგიკური გაგრძელება აზროვნების მიერ არჩეული გზისა. არჩევანი დიდი ხნის წინ გაკეთდა. მე, საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური გაუცხოების თეორიის მოწინააღმდეგე ვარ და ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია მაქვს, რომელიც, ძალიან მოკლედ, ასე ჟღერს: არ არსებობს არავითარი გაუცხოება ადამიანისა საკუთარი თავისგან; ყველაფერი, რაც ადამიანის ძალისხმევის შედეგია, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური არსის მარადიულ გახსნა-განვითარებას, ადამიანური შესაძლებლობების რეალიზაციას წარმოჩენის, გათვალსაჩინოების დონეზე; აქედან გამომდინარე, ადამიანი საკუთარი არსის წინააღმდეგ ვერასოდეს წავა, იგი ყოველთვის მხოლოდ ახალ მახასიათებელს გაამჟღავნებს. გაუცხოების თეორიას კი ლოკალურ ჩარჩოებში დარჩენა არ სურს, ის ერთგვარი სციენტიზმითაა აღბეჭდილი... მე არ შევუდგები წარ-

სულის მოაზროვნეთა ანალიზს. ვიტყვი მხოლოდ, რომ XX საუკუნის ხელოვნებამ იმემკვიდრა და განავითარა სამყაროსადმი ადამიანის დამოკიდებულების შემდეგი სტერეოტიპი: სამყაროსადმი, ამასთან – ადამიანური სამყაროსადმიც, შეფასებითი მიდგომა. ამის მაგალითები ქრისტიანულ რელიგიაშიც (ისე, როგორც ნებისმიერ რელიგიაში) საკმარისი დოზით მოიპოვება. წინააღმდეგობა, რომელსაც ამ "დოზის" აქტივობა წარმოშობს ნებისმიერი რელიგიის შიგნით, საგანგებოდ თუ გაუცნობიერებლად მიიჩქმალება ხოლმე შემდგომი ეპოქების მიერ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასეთი წინააღმდეგობები ნებისმიერ მონოთეისტურ რელიგიამდე ბევრად ადრე არსებობდა, ხოლო მონოთეიზმმა სწორედ ამ წინააღმდეგობების მოგვარება სცადა რწმენის გზით. იმ საბედისწერო წინააღმდეგობის მოხსნა, სამყაროსადმი შეფასებით დამოკიდებულებას, აქსიოლოგიურ მიდგომას რომ ახლავს, აზროვნების გზით ვერ მოხდებოდა (ეს წინააღმდეგობა ხომ თვით აზროვნების ბუნების თვისებაა). ქრისტიანობამ ეს კარგად იცოდა და, როგორც ტიპიურმა რელიგიამ, დუალიზმი ასე გადაჭრა: ჯერ რწმენა და მერე სამყარო! მაგრამ გადაჭრა კი? დუალიზმი ამით არ მოხსნილა და თავის დროზე რომ თვალი დაუხუჭეს (რაც კანონზომიერი იყო), სამაგიეროდ შემდგომ და შემდგომ არა ერთხელ გამხდარა რელიგია (რა თქმა უნდა, თავად ქრისტეც) "მწვალებელთა", ამ უაღრესად გონიერ და განსწავლულ ადამიანთა, თავდასხმის ობიექტი... მე სხვა ასპექტი მაინტერესებს. მაინტერესებს სწორედ ეს ფორმულა: "ჯერ რწმენა და მერე სამყარო!". XX საუკუნის ხელოვნებამ არ მიიღო სამყარო ისეთი, როგორიც ის იყო. მან სამყაროს გარდაქმნა მოინდომა (ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად, ჩვენი დროის თითქმის ყველა ხელოვანისთვის ნიშნეულია ***მარქსის კომპლექსი***). არადა არავითარ გაუცხოებას ადგილი არ ჰქონია. გაოგნება, გაოცება, დაბნევა, კრიზისი გაუცხოებას არა და არ ნიშნავს. ყველაფერი, რაც ჩვენმა საუკუნემ მოიტანა, "ადამიანური და ერთობ ადამიანური" იყო. ჩემი აზრით, დღევანდელი ვაკუუმი იმით ამოივსება, რომ ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის. თუ ეს მოხდა, გზა ისე გამოჩნდება, რომ ურემი არ გადაბრუნდება.

- მიუხედავად ამისა, ჩემი ბოლო კითხვა მაინც "აქსიოლოგიურ" პასუხს მოითხოვს. რა ხდება, შენი აზრით, იქ, სადაც შენი გარემოა? რა ხდე-ბა იქ, სადაც შენ არსებობ დღეს და ამჟამად?

- გიპასუხებ. ისე გიპასუხებ, როგორც "დღეს" და "ამჟამად" მესმის. მე ასე ვფიქრობ: მეოცე საუკუნემ ხალხი ქუჩებში გამოყარა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხი ბალაგნებზე, მოედნებზე, კაფეებში, საროსკიპოებში და კინო-თეატრების ვესტიბიულებში

წყდება; თითქოს ხალხს განზრახ არ სურს საკუთარ სახლში შებრუნდეს, მცირე ხნით მაინც განმარტოვდეს; თითქოს თვით სახლებიც გაშლილ მოედნებს და ბალაგნებს დაემსგავსა. ხოლო ის მცირედნი, სიმარტოვე რომ არჩიეს ასეთ საჯარო ცხოვრებას, ადამიანებს აღიზიანებთ. მათ ნერვებს უშლით რილკე, კაფკა, მუზილი, როდენი, პრუსტი... ადამიანები ვიღაცას მოელიან (არავითარ შემთხვევაში – ღმერთს); მათ უტყუარი ინსტინქტი კარნახობს თითქოს, რომ ვიღაც მოდის, ვიღაც უკვე გზაშია; რომ მისი მოსვლა არ უნდა გამოეპაროთ, თორემ წყალში ჩაიყრება მათი ცხოვრების წესი, ყველაფერი, რითაც მათი ცოცხლადყოფნაა განმტკიცებული. როცა ღმერთი სწამთ, იციან (იციან!) რომ მისი ადგილ-სამყოფელი ზეცაშია, იციან, - საით აღაპყრონ მზერა. მაგრამ ვისაც დღეს მოელიან, მისი ადგილ-სამყოფელი არავინ იცის. მაგრამ, ამასთან, ის, ვისაც მოელიან, იმდენად ნაცნობი და შინაურია ადამიანებისთვის, რომ ამ უკანასკნელთ ძიება არ სჭირდებათ, მოლოდინიც საკმარისია. იქნებ არის რაღაც უსაზღვროდ ბუნებრივი და ჩვეულებრივი ამ რწმენაში: იმის რწმენაში, რომ მთავარია, მოვიდეს ის, ვისაც მოელიან, და მას უსათუოდ იცნობენ.

ნოემბერი, 1991

მთავარია, ყოველთვის მთლიანად ვიყოთ იქ, სადაც ვიმყოფებით

ესაუბრა ლაშა იოსელიანი

- ფილოსოფოსები, სოციოლოგები თუ ხელოვნების წარმომადგენლები თანამედროვე სამყაროს ერთხმად განიხილავენ, როგორც კრიზისულს; შექმნილ სიტუაციას, როგორც – კატასტროფულს; ადამიანს, როგორც – გადაგვარების რეალური საფრთხის პირისპირ უმწეოდ მდგარ არსებას. რამდენადაც ვიცი, საკითხის ამ წესით დასმა შენთვის მიუღებელია.

- თუ შევთანხმდებით, რომ ნებისმიერი ეპოქის დიაგნოზირების აქტი ამ ეპოქაში მცხოვრები ადამიანის მიერ ყოველთვის ამ ადამიანის, ადამიანთა რაღაც ჯგუფის, სოციალური წრის თუ მთელი ერის გარკვეული განწყობილების, გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის ნათელყოფით მთავრდება და არა მართლაც დასახული მიზნის – ეპოქის ანალიზის – განხორციელებით, საკითხის ასე დასმა გამართლებულია. ამ დროს პასუხებზე უფრო მნიშვნელოვანი კითხვებია. არადა მსგავს კითხვებზე აქცენტირებული გონება ხშირად ერთმანეთში ურევს ლოგიკას და ფსიქოლოგიას. ეს გამოწვეულია ერთგვარი ქრონოცენტრიზმითაც, როცა ამა თუ იმ ეპოქის წარმომადგენლისთვის მთელი ისტორია მისი ეპოქის ირგვლივ ბრუნავს. სწორედ ასეთი ნიშნით ხასიათდება თანამედროვე დასავლური მენტალიტეტი. ჩვენთვის იმდენად ძვირფასია ჩვენი ეპოქა, იმდენად მძაფრია ამ ეპოქის დათმენის ვნება, გადარჩენის წყურვილი, რომ ჩვენი რეგიონალური საცხოვრისის უკვდავყოფას წინარე ეპოქებისგან მისი გამომიჯნვით და ლამის ამორთვითაც კი ვცდილობთ. მეტ-ნაკლები ინტენსივობით ეს ვნება ყველა დროისთვის დამახასიათებელი იყო. ამას გარდა, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ეპოქა წინ წამოსწევდა ხოლმე რაციონალურ საწყისს, ხოლო ზოგიერთი – გრძნობადს. ისტორიაში მათი მონაცვლეობით წარმოქმნილი ციკლურობა თვალშისაცემი მოვლენაა. რაც შეეხება ანალიზის სურვილს, იგი განუხორციელებელია მაშინაც, როცა ანალიზის ობიექტი ჩვენთვის უშუალოდ მოცემულია და – მაშინაც, როცა მისგან დისტანცირებული ვართ. ერთმნიშვნელოვნად ჯერაც ვერავინ განსაზღვრა ჩვენი ეპოქის სულიერი და პრაქტიკული კულტურის საფუძვლადმდებარე პარადიგმები და მსოფლმხედველობრივი ორიენტირები, მათი მონაცვლეობის კანონზომიერებები. როგორც წესი, ანალიზის სურვილით დაწყებული საქმე ყოველთვის შეფასების, აქსიოლოგიური

მიმართების წინსწრებად შემობრუნდება ხოლმე და აშკარავდება, რომ გარკვეულ კანონზომიერებათა თუ ლოგიკური დასკვნების ნაცვლად ხელთ შეგვრჩენია მხოლოდ შეფასება და ფსიქოლოგიური განწყობილება. რა თქმა უნდა, ამ გონითი აქტის თანმხლები პროცესია სხვადასხვა საკვანძო ეპოქების ურთიერთშედარება, განსხვავებათა თუ მსგავს მახასიათებელთა მოძიება. ხსენებული პროცესი უმწვავესი სულიერი მოდიფიკაციებით ხასიათდება ამა თუ იმ ერის, ერების მთელი ჯგუფის ორგანიზმში. ლოგიკის სფეროში ფსიქოლოგიის ინტენსიურ ნაკადად შეჭრაც ამ დროს მიმდინარეობს, რაც ყოველთვის გარდუვალია (განზრახ არ ვამბობ, ლოგიკის ფსიქოლოგიზაცია-მეთქი). ისტორია ნათელყოფს, რომ არც ერთი ეპოქა მეორისგან რადიკალურად არ განსხვავდება და რომ არ არსებობს ნიშანი, რომლითაც დახასიათდებოდა ერთი და ვერ დახასიათდებოდა მეორე ეპოქა, დახასიათდებოდა ერთი და ვერ დახასიათდებოდა მეორე ცივილიზაცია. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ნიშანთა შესაძლო მარაგიდან შემფასებელი იღებს რომელიმეს და წინ წამოსწევს. ასე მოდის ორტეგა-ი-გასეტი და გეუბნება, რომ ხელოვნება დეჰუმანიზაციას განიცდის; ასე გისაბუთებს აბრაამ მოლი, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების კულტურას მოზაიკურობა ახასიათებს; ასე გიმტკიცებს ფუკო, რომ ადამიანი კვდება და რჩება სტრუქტურები. მაშასადამე, ითქვა რაღაც, რაც თვითვე იქცა მახასიათებლად იმისა, რაც უნდა აღწერილიყო; აღწერის ლოგიკური ოპერაცია მოულოდნელად ამა თუ იმ რეგიონალური განწყობის ნათელყოფით შეიცვალა, და უკვე ეპოქას ვხედავთ არა იმაზე მზერამიმართულნი, რაზეც ენამ მიგვითითა, არამედ – თვით ამ ენაზე მზერამიმართულნი, ე.ი. ობიექტად უკვე მეტაობიექტი ქცეულა, ენად – მეტაენა. სხვა სიტყვებით, ჩვენთვის უკვე ნიშნად ქცეულა არა ის, რაზეც ენამ მიგვითითა, არამედ – თვით ეს ენა. ის, რაზეც ეს ენა მიუთითებს მოცემულ შემთხვევაში, ჩემის აზრით, საერთოა, ხოლო უნიკალური და ერთადერთია სწორედ ეს ენა. შეცდომა მაშინ ჩნდება, როცა ფორმის უნიკალობას შინაარსზეც ვავრცელებთ და ამ შინაარსის მითვისებას ვცდილობთ. აზროვნების ისტორია შეფასებების მონაცვლეობის, დროში მათი თანმიმდევრობის ისტორიაა.

- მაგრამ შეფასებების თვისობრივი მარაგიც ხომ განსაზღვრულია. ამასთან, ყოველი ახალი შეფასება წინარე ეპოქებში დაგროვილი "საშემფასებლო საქმიანობითაა" გაპირობებული. ჩვენს ეპოქას კი სწორედ ენების მესაფლავედ მიიჩნევენ. გავიხსენოთ ტრანსავანგარდი, რომელიც თავისი მოღვაწეობის ათვლის წერტილად ხელოვნების დემატერიალიზაციის საბოლოო მომენტს და გამომსახველობითი ენ-

ების სიახლის შეუძლებლობას ასახელებს. ამ თვალსაზრისით, ჩვენი საუკუნე მართლაც უნიკალურია. კულტურის მეხსიერების როლი, გადამწყვეტი როლი, იქნებ ამიტომ დააკისრა ჩვენმა ეპოქამ ციტატას, ციტატურ აზროვნებას, როგორც თავისი არსის საუკეთესოდ გამომხატველ ფენომენს.

- ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. კულტურის, ხელოვნების ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, აღმოვაჩენთ, რომ სხვა ტიპის მენტალიტეტი, თუ არა ციტატური, არც არასოდეს არსებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში განზე უნდა გაგვეწია ჰაგიოგრაფიული მწერლობა, ჰიმნოგრაფია, ევროპული სარაინდო თუ აღმოსავლური სამიჯნურო რომანი, ანტიკური ეკლექტიზმი თუ კლასიცისტური ფერწერა. მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. სხვათაშორის, ის თანამედროვე კრიტიკულ-ესთეტიკური თეორიები, რომლებიც თავიანთ ფუნქციას ლოკალურისა და კონკრეტულ-ეპოქალურის აღწერაში ხედავენ, შეიძლება კულტურის ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთს მივუყენოთ. მსგავსი უნივერსალიზმი კი, როგორც ცნობილია, მადეფინირებელი და ლოკალური კონტექსტის აღმწერი თეორიის ნაკლზე მეტყველებს და არა ღირსებაზე. თანამედროვე თეორიათა პრეტენზიებსა და პრაქტიკულ როლს შორის შეუსაბამობა, არსებითად, იმითაა გაპირობებული, რომ ეს თეორიები ზედმეტად ცდილობენ კლასიკური ტრადიციისგან გამოთავისუფლებას, არადა მათი საორიენტაციო სივრცე სწორედ აზროვნების კლასიკური წესითაა გამსჭვალული, მათი სამეტყველო აპარატიც კი მთლიანად კლასიკურს ეფუძნება.

- ფილოსოფიის ისტორია კარგად იცნობს ასეთ არათანმიმდევრულობას. ალბათ, თავი იჩინა იმან, რაც აზროვნების კლასიკურმა წესმა ღია, მოუგვარებელი პრობლემების სახით შემოინახა.

- უფრო მეტიც. დიახაც რომ "შემოინახა". უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური, მეტაფიზიკური თეორიის ძირი და ძირი მსგავსი არათანმიმდევრულობაა. პირველ თვალსაჩინო ნიმუშს სოფისტების მოღვაწეობა წარმოგვიდგენს. ისინი უარყოფდნენ ჭეშმარიტებას და ამას ისევ ჭეშმარიტების სახელით აკეთებდნენ...

- აქ, ალბათ, ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის განსხვავებაც შეგვიძლია მოვინიშნოთ.

- რა თქმა უნდა. ისტორიის მკაცრი გაკვეთილების მიუხედავად, საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფია მაინც ჯიუტად ეძიებდა ჭეშმარიტებას. თვით ყველაზე დიდი სკეპტიკოსები და აგნოსტიკოსებიც დარწმუნებული იყვნენ თავიანთი მოძღვრების ჭეშმარიტებაში. ხელოვნების შემთხვევაში, ამ დროს, საქმე გვექნებოდა თამაშთან. ფილოსოფია, მოცემულ

კონტექსტში, სწორედ თამაშს გამორიცხავს. მოცემულ კონტექსტში-მეთქი, თორემ თამაში არც ფილოსოფიისთვისაა უცხო, ხშირად გადამწყვეტი როლი ფილოსოფიაში სწორედ მეთოდურ თამაშს ეკისრება... ფილოსოფოსი მართლა, გულწრფელად ფიქრობს, რომ შეიძლება ჭეშმარიტება არარსებულად გამოაცხადო და სრული სერიოზულობით ამტკიცო ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტობა. თუ თამაშია, მაშინ ეს თამაში სულ სხვა განზომილებაში განიშლება. ცხადია, საქმე მაქვს წინააღმდეგობასთან, ლოგიკურ აბსურდთან, - ამბობს ფილოსოფოსი, - მაგრამ მე ვაცნობიერებ ამ წინააღმდეგობის წინაშე ჩემს უმწეობას. უბრალოდ, ფილოსოფიაში ყველაფერი მას მერე იწყება, როცა ამ პარადოქსს აცნობიერებენ. ამის მერე ფილოსოფოსი თამაშის ან ირონიის სფეროში კი არ ინაცვლებს, არამედ მის აზრს დამარცხების ფარული თუ აშკარა შეგნება და მარცხზე ამოზრდილი ცნობიერების ერთგულება მართავს. ეს ის მარცხია, რომელიც სამყაროსთან ინტელექტის ნებისმიერი შეხვედრის დროს გარდუვალია, ვინაიდან რაციო ანტიბუნებაა და მეტი არაფერი. თუ კალამს ხედს ჰკიდებ და სიტყვების საშუალებით აზრის დაფიქსირება გადაგიწყვეტია, თუ საერთოდაც აზროვნებ, ატარებ სიტყვით გაშუალებულ პროცედურას, სხვა რა დაგრჩენია, - უნდა შეეგუო შენს დამარცხებას. როცა ეს ყველაფერი ცნობიერდება, ფილოსოფოსი მარცხს გადალახავს არანაკლებ პარადოქსული ფორმით: მარცხს იგი აქცევს მეთოდად, დამარცხების აქტი მეთოდად გარდაისახება. არც ერთი ფილოსოფოსი ისე გულუბრყვილო არ ყოფილა, რომ მსგავსი სიტუაცია არ გაეცნობიერებინოს. როცა ჰეგელი თვალს გაადევნებს აზრის მონაცვლეობის (არ მინდა ვთქვა, განვითარების-მეთქი) მრავალსაუკუნოვან პროცესს ანუ ურიცხვი მარცხის თანმიმდევრობას, და მაინც ხელახლა იწყებს იგივე საქმეს, ანუ მაინც არ უარყოფს ჭეშმარიტების წვდომის შესაძლებლობას, არამედ სწორედაც თავისი ფილოსოფიის მომამზადებელ სამუშაოდ მიიჩნევს აზროვნების მთელ ისტორიას, აი, ეს აქტია, ეს სიჯიუტეა აზროვნების გამაოგნებელი ძლიერების დასტურმყოფელი და არა – ჰეგელის სისტემის ჭეშმარიტობა-მცდარობა. ჩემთვის ეს ისეთი ღვთაებრივი სერიოზულობაა, რომლის წინაშეც ლამის სასაცილო ბავშვურობად გამოიყურება პროგრესის ფენომენი. როცა ასეთი სერიოზულობა, ასეთი რომანტიზმი არსებობს, ნებისმიერი "პროგრესი" და "განვითარება" ზედმეტია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თანამედროვე კულტუროლოგიური თეორიები ებრძვიან მეორე და მეათეხარისხოვანს, მთავარი კი განზე რჩება. ეს სისუსტეა. ამ დროს პრობლემა გამარტივებას განიცდის და ყველა სააზროვნო იარაღი ამა თუ იმ თეორიის ან თვალსაზრისის სიახლისა და მოულოდნელობის ნათელყოფას ემსახურება. შენს

მიერ ნახსენებ ტრანსავანგარდსაც იგივე ემართება. როცა იგი პროგრესს უარყოფს და იქვე – ნეოავანგარდის მენტალიტეტს, თვით უარყოფის აქტი ხომ ამ დროს ისაა, რაც თავად ტრანსავანგარდს ოიდიპოსის კომპლექსის მსხვერპლად აქცევს? აი, ამ მომენტში თეორია სერიოზულობად აქცევს იმას, რაც გენიალური თამაშის დასაწყისად შეიძლებოდა ქცეულიყო. დავძენ, რომ იდეოლოგიური უნივერსალისტური მოდელების საფუძვლიანი კრიტიკა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში განხორციელდა, და თუ უფრო პრინციპულნი ვიქნებით, უნდა ითქვას, რომ ყველა ეპოქას ჰყავდა უნივერსალიზმის ასეთი კრიტიკოსი.

- ვფიქრობ, მიუღებელი არაფერია მოთხოვნაში, რომ ხელოვნება, და საერთოდ კულტურა, არ უნდა ეფუძნებოდეს ოიდიპოსის მექანიზმს, - როცა შვილი მამას კლავს და წარმოშობს შვილებს, რომლებიც მასვე მოკლავენ, ან – იმ განცხადებაში, რომ ტრანსავანგარდის ეპოქა სწორედ ის ეპოქაა, როცა ხსენებული კომპლექსი არ მოქმედებს.

- ასეთი გამონათქვამი ურიცხვია. სხვათაშორის, ზოგიერთი მათგანი ისეთ ძლიერ შინაგან მუხტს ფლობს, რომ მათზე მთელი კულტურები დაეშენებიან ხოლმე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემთვის ეს გამონათქვამი კეთილი სურვილი უფროა, ვიდრე – ფაქტობრივი ვითარების გამომხატველი. მე არ მიმაჩნია, რომ ხელოვნება დაპირისპირების ტრადიციული ინსტიტუტისგან გათავისუფლდა და თვითკმარი არსებობა მოიპოვა. ასეთ იდილიურ სურათამდე ჯერ კიდევ შორია. ხელოვნების ისტორიაც და თანამედროვეობაც იცნობს ერთეულ პიროვნებებს, რომლებმაც ოიდიპოსის კომპლექსის გადალახვა მოახერხეს, მაგრამ ვერც ერთმა კულტურამ, როგორც მთელმა, ვერც ერთმა მოძრაობამ, მიმართულებამ, ტენდენციამ ეს ვერ მოახერხა. ყოველი ახალი კულტურა, საფუძველშივე, რაღაცაზე რეაქციაა, თავისი არსით ყველა რეგიონალური თუ მასშტაბური კულტურა კონტრკულტურაა. განა ტრანსავანგარდის ავანგარდულობაც ამაზე არ მეტყველებს? ოიდიპოსის მეტაფორა კი ბედისწერის მეტაფორაა და არა ისეთი რაციონალური ან ფიზიკური ინსტანცია, რომლის წინააღმდეგ რაციონალური ან მატერიალური ძალების მობილიზება ნაყოფს გამოიღებს. ტრანსავანგარდმაც ხომ, თავის მხრივ, არსებობის უფლება ნეოავანგარდის პრინციპებთან დაპირისპირებით და მათი გადალახვის მცდელობით მოიპოვა. მაშასადამე, შვილები უკვე ცაში დაწერილი განაჩენის აღსასრულებლად ემზადებიან. რაც შეეხება ისეთ ხელოვნებას, რომელიც რაღაცაზე რეაქცია კი არა, თვითკმარი და დაპირისპირების ასეთი ველიდან ამორთული იქნებოდა, ალბათ უფრო იდეალურ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ, რომელთან მიმართებაშიც უნდა განისაზღვროს ცალკეული მხატვრისა თუ

რაიმე წამოწყების, ხელოვნებაში რაიმე მოვლენის ასეთობა (და ვებერი ამ შემთხვევაში ჩინებულ დახმარებას გაგვიწევს): თუ, მაგალითად, კულტურაში თვითკმარობის რაღაც სახის რაოდენობრივი ან თვისობრივი მაჩვენებლის გაგება გვინდა, უნდა მივმართოთ ამ სახისთვის (ჩვენს შემთხვევაში – არაოპოზიციურობის, არაკონტრარულობის, არარეაქციობის იდეალურ ტიპს, და გავზომოთ, რამდენად შორდება ან უახლოვდება თვითკმარობის მისეული ზომა ამ იდეალურ ტიპს. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: ოპოზიციურობა და ოიდიპოსის აქტი ბედისწერაა, რაც ყოველთვის თან სდევს კულტურას. ნებისმიერი მორიგი კულტურა წინასთან მიმართებაში პოლემიკურია, ასეთსავე მიმართებაში არიან ერთდროულად თანაარსებული კულტურები ერთმანეთთან. ცხადია, მსგავსი პოლემიკურობა ყოველთვის როდი ცნობიერდება. არც ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული. მაგრამ როცა დრო გადის და დისტანცია იზრდება, ახლის "რეაქციული" ბუნება აშკარავდება.

- აქედან გამომდინარე, ალბათ, არც მეტაისტორიულობაზე ამა თუ იმ კულტურის პრეტენზიაა გასაკვირი. ამ შემთხვევაშიც, ასე ვთქვათ, გონება ეშმაკობს.

- გეთანხმები. კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ენა, რომლის შესახებ სხვა ენით არ ემეტყველოთ, რომელიც სხვა ენით არ დაეხასიათებინოთ. მეორეს მხრივ, ყველა ენა, რომელიც აღწერს, უკვე განწირულია საიმისოდ, რომ თავად იქნას აღწერილი სხვა ენის მიერ. არც ისეთი მიამიტები უნდა ვიყოთ, რომ იქ, სადაც თამაშია, უადგილო სერიოზულობით განვიმსჭვალოთ და თამაშის წესები უკუვაგდოთ. მეოცე საუკუნის დასასრულის კულტურა უაღრესად გამოცდილი და ილუზიებისგან თავისუფალია. ამ კულტურის წარმომადგენლები – ლინგვისტები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები – სრულიად არაორაზროვნად აცხადებენ, რომ მათ მეტაისტორიულობაზე პრეტენზია არ გააჩნიათ. ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში, ე. ი. სტრუქტურალიზმის ჩასახვისთანავე, როლან ბარტმა განაცხადა, საკმარისია ისტორიაში ახალი ენა წარმოიშვას, რომელიც სტრუქტურალიზმის შესახებ ამეტყველდება, რომ სტრუქტურალიზმის მისია ამოწურული აღმოჩნდებაო. მეტაისტორიულობაზე პრეტენზია, როგორც თამაში, თავის დანიშნულებას ამართლებს.

- როცა მეთოდური მეტაპოზიციის სულით იმსჭვალებიან, ამას, როგორც ჩანს, დიდი მაგალითების გავლენითაც აკეთებენ. ერთხელ შენ ამას "პოეტური უტოპია" უწოდე, რაც, ჩემთვის საინტერესო კუთხით, სწორედ თამაშის წესების გათავისებას და არა ამ თამაშიდან ამორთვას გულისხმობს. კრიტიციზმის გადამლახველ მწერლად შენ მაშინ

მუ ზილი მიიჩნიე.

- დიახაც მეთოდური და არა წმინდა. რაც შეეხება კულტურის როგორობას, მიმაჩნია, რომ ის ყოველთვის და ყველგან კრიტიკულია. კრიტიკულ პათოსს შეიძლება თავი დააღწიოს მხოლოდ ერთეულმა ხელოვანმა. და, საბოლოოდ, ეს ერთეულებიც მათი წარმომქმნელი კულტურებით არიან ნიშანდებულნი.

- ხოლო როცა ამ წარმომქმნელ კულტურას უჯანყდებიან?

- ამას ყოველთვის რაღაც სხვა კულტურის სახელით აკეთებენ... თვით კულტურა კი ყოველთვის ოპოზიციურია, რაც არ ნიშნავს მაინც და მაინც აგრესიულობას ან მამისმკვლელობას. მე არ ვფიქრობ, რომ ეს მარადიული მსჯავრია. უბრალოდ, ისტორიამ მხოლოდ ამის მაგალითები იცის. ხელოვნების ბუნებაც ასეთია. როცა იგივე ოლივა მხატვრის ფუნქციას ლინგვისტური კატასტროფის წარმოქმნაში ხედავს, თავადვე ცხადყოფს იმ აზრის უტოპიურობას, რომელიც ოიდიპოსის მექანიზმს გაუქმებულად მიიჩნევს. მაგრამ ასეთი უტოპიები მნიშვნელოვანი და საჭიროა.

- ისევე, როგორც იმის გახსენება, რაც დავიწყებას მისცემია, რაც პერიოდული ბუნებისაა, არა? არც ერთი თანამედროვე კულტუროლოგიური თუ ესთეტიკურ-კრიტიკული თეორია ხომ არაფერს ისეთს არ ამბობს, რაც მაღალნიჭიერ დონეზე არ თქმულა აზროვნების ისტორიაში, ვთქვათ, კლასიკური ფილოსოფიის ენაზე.

- მაგრამ აქ სხვა ბევრი პრობლემური ნიუანსია. დღესდღეობით დიდი აუდიტორია ჰყავს ფილოსოფიურ პუბლიცისტიკას. ესაა დერიდას, ბოდრიარის, ლიოტარის კულტურა. ამ ტრადიციას საფუძველი სიცოცხლის ფილოსოფოსებმა და ექსისტენციალისტებმა ჩაუყარეს. მაგრამ არსებობს სხვა ტექნიკებიც. ისიც უნდა დავაზუსტოთ, რომ იდეის სიცოცხლისუნარიანობა და აქტუალობა არ გამოიხატება მიმდევართა, მიმბაძველთა და იმიტატორთა რაოდენობრივი სიმრავლით. მეორეს მხრივ, არც იდეის პოპულარობა მიუთითებს ამ იდეის სიძლიერეზე. განსაკუთრებით ეხება ეს შენიშვნა სადღეისო სიტუაციას. თანამედროვე ადამიანი დაღლილი ადამიანია. მისთვის მშობლიური და მისაღებია ის, რაც მარტივი და იოლად გასაგებია და, ამასთან, მის წისქვილზე ასხამს წყალს. როცა ის რაღაცას აკრიტიკებს, მაშინაც მისთვის მთავარია არა კრიტიკა, არამედ – კომფორტი, რომელსაც ამ კრიტიკიდან გამომდინარე ელის. ჩვენ ყოველთვის ყველაფერს რაღაც თუ ვიღაც სხვის სახელით ვაკეთებთ და ეს ტკბობასაც კი გვანიჭებს. რა გასაკვირია, თუ ადამიანი ბედნიერებას და შვებას განიცდის, როცა უსაბუთებენ, რომ იგი სათამაშო ობიექტს წარმოადგენს რაღაც ფარული ძალების თუ სტრუქტურების ხელში და აქედან გამოსავალი

არ არსებობს (რა მნიშვნელობა აქვს, ეს ძალა მითი იქნება, ლიბიდოს კომ-პლექსი თუ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი). "მაინც არაფერი მეშ-ველება", - ამბობს ადამიანი. ნებისმიერი თეორია საშიშია, როცა ის იდეო-ლოგიად იქცევა ხოლმე. მე სტრუქტურალიზმის, ტექნიკური ესთეტიკის, სემიოტიკის თაყვანისმცემელი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათ საფუძ-ველზე აღმოცენებული ორიენტაციები, პირველ რიგში კი პოსტმოდერნის თეორია, უკვე ძველია. ამაში პარადოქსული არაფერია. სადღეისოდ პოსტ-მოდერნის თეორეტიკოსები უკვე იდეოლოგიის მამები არიან. იქნებ ამიტ-ომაცაა, რომ დერიდა – ჩვენი დროის ერთ-ერთი უჭკვიანესი ადამიანი – ასე თავგამოდებით უარყოფს თვით ცნება "პოსტმოდერნის" საზრისია-ნობას მოცემულ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიამ სულ რაღაც ოციოდე წლის წინ დაიწყო მუშაობა, ხოლო გაშლილი ფრონტით ბოლო ათწლეულში ამოქმედდა, იგი უკვე ინსტიტუციონალიზებულია. და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, როცა პროგრესს გეომეტრიული პროგრე-სიის ხასიათი აქვს. მესმის, რომ ჩემი თვალსაზრისი ერთობ სუბიექტურია, მაგრამ რა ვიღონო, თუ სიახლის მიხედვით გაცილებით დიდ მნიშვნელო-ბას ვანიჭებ მთელი მსოფლიოსთვის უცნობი ერთი კაცის, ბადრი შარვაძის ცხოვრებისა და საქმიანობის წესს. იგი ცხოვრობს სადღაც თბილისში, რომელიღაც ყველაზე უფრო არაფილოსოფიურ უბანში; მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ფილოსოფიური სისტემა არსებითად მეტაფიზიკურია, და მთელი სერიოზულობით მუშაობს საკუთარ მეტაფიზიკურ სისტემაზე. ამ კაცმა ჩინებულად უწყის თანამედროვე დასავლური კულტურის ყველა მნიშვნელადი ორიენტაცია და ტენდენცია, და მიუხედავად ჩვენი დროის ყბადაღებული "უსწრაფესი ტემპისა", ჰაიდეგერისა და სარტრისა, ლიოტა-რისა და გვატარისა, თავის სენაკში გამოკეტილა და ბრედლის, როისის, დიუის ორიათას-ორიათას გვერდიან შრომებს თარგმნის და აკონსპექტ-ებს. სხვათაშორის, მას არც მთარგმნელად და არც ფილოსოფიის ისტორი-კოსად ყოფნა არ სურს (რა ვუყოთ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი ენ-იდან თარგმნის, მათ შორის: ჰერბარტს – გერმანულიდან, კროჩეს – იტა-ლიურიდან, აქვინელს – ლათინურიდან). მე არ ვიცი, რა გამოვა მისი საქმი-დან, მაგრამ მისი არსებობის ფაქტი, მთელი თავისი ერთი შეხედვით პარა-დოქსული აქსესუარებით, რაც ბევრი ჩემთვის ძვირფასი ადამიანის შეწუ-ხებას იწვევს, გაცილებით მნიშვნელოვანი მგონია, ვიდრე ყველა ერთად აღებული პოსტმოდერნისტი.

- თუ ირონიის კანონიერი მშობელი ეჭვია, მეც ირონიანარევი ხუმრო-ბით გკითხავ: იქნებ ეგ შენი ერთობ სუბიექტური თვალსაზრისიც ერ-თობ პოსტმოდერნულია?

- არ გამოვრიცხავ. ან საწყენი რაა. ბოლოს და ბოლოს, დღეს ხომ ყველაფერი პოსტმოდერნულია. ვფიქრობ, ახლო მომავალში თბილისელი "ექსპერტებისთვის" მეგრული ძროხაც კი არ იქნება ქების ღირსი, პოსტმოდერნულ რძეს თუ არ მოიწველის.

- ეს უკვე, მგონი, ჩვენი, ქართველების, მარადიული პრობლემაა, - განათლების დეფიციტი, რაც პროვინციალიზმის ნაირ-ნაირი, აშკარა თუ შენიღბული ფორმის მიზეზია.

- ოღონდ ისიც ვაღიაროთ, რომ მსგავსი პროვინციალიზმი ჰარმონიულად ერწყმის ჩვენთვის დამახასიათებელ არტისტიზმს, რითაც ასე გულმოდგინედ მოგვაქვს თავი. განათლებისთვის საჭირო უმცირესი პირობა პროფესიონალიზმია, რაც ჩვენში, არსებითად, არ არსებობს. ვინც პროფესიონალია, ლამის გმირად წარმოგვიდგენია. აქვე ერთმანეთთანაა გაიგივებული განათლებულობა და ნაკითხობა. მსგავსი აღრევის წყალობით ჟურნალისტი სურვილისამებრ კრიტიკოსად გარდაისახება, კრიტიკოსი – კულტუროლოგად, ისტორიკოსი – პოლიტოლოგად და ა. შ. ამ დროს სულ იოლია, უნივერსიტეტში სკკპ ისტორიის კათედრას ერთ მშვენიერ დღეს სახელი შეუცვალო, "პოლიტოლოგიის კათედრა" დაარქვა, და სკკპ ისტორიკოსების გუშინდელი უძლეველი არმია პოლიტოლოგების დღევანდელ უძლეველ არმიად მოგევლინება. ის, რაც ცნება "განათლების" შესახებ "ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში" წერია, უკბილო ხუმრობაა და მეტი არაფერი. განათლება სისტემატიზირებული ცოდნაა; სისტემა კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ძლიერი და მკაფიოდ გამოკვეთილი იდეა ან იდეების კომპლექსი არსებობს. განათლება სწორედ ამ იდეის ან იდეათა მთელი კომპლექსის ირგვლივ ყოველი ახლად შეძენილი ცოდნის თავმოყრის უნარს გულისხმობს. ესაა ორიენტაციის უნარი, რომელიც ხანგრძლივი შრომითი პროცესის შედეგად გამომუშავდება. მე მხოლოდ ანბანურ ჭეშმარიტებას ვიმეორებ, თორემ უფრო შორს რომ წავიდეთ, ვთქვათ, ორტეგა-ი-გასეტს მივმართოთ, მაშინ ხომ სულ დავიბნევით. ამ კაცს ისიც კი დაენანა, რომ მეცნიერის – მაგალითად ფიზიკოსის – თანამედროვე ტიპისთვის განათლებული ადამიანი ეწოდებინა. ჩვენში, დიდი ხანია, მეორე უკიდურესობაც სახეზეა: ბევრი უკვე თავსაც კი იწონებს გაუნათლებლობით, ისინი "რაციონალიზმის და ინტელექტუალიზმის დამღუპველ ზემოქმედებას" გაურბიან. ასე გვესმის ჩვენ განათლების არსი. მახსოვს, ერთ ჩემს ნაცნობ ხელოვნებათმცოდნეს აღტაცებული ვუყვებოდი ბადრი შარვაძეზე; იმაზე, თუ როგორ ზრუნავდა ბადრი ნამდვილი განათლების მისაღებად ანუ იმის მისაღებად, რაც, უბრალოდ, ბაზისია საიმისოდ, რომ უფრო მაღალ მიზნებზე იფიქრო ან – საიმისოდ მაინც, რომ ფილოსო-

ფიათმცოდნის სახელი გაამართლო. ფარული პროტესტი, რომელსაც ჩემი ნაცნობის სახე ვერ მალავდა, რიტორიკული შეკითხვით დაგვირგვინდა: რა საჭიროა თითქმის მივიწყებული ფილოსოფოსების თარგმნა და დაკონსპექტება, როცა დიდი ხანია ევროპელებს ისინი ყველა დონეზე კომპიუტერულად დამუშავებული და კატალოგიზირებული ჰყავთო. ეს არც სნობიზმია და არც დილეტანტიზმი. ეს უკვე უპასუხისმგებლობის საკმაოდ დახვეწილი ფორმაა. ხვალ ჩემს ამ ნაცნობს პროფესია თუ მოჰკითხეს, ხელოვნების კრიტიკოსობას დაიბრალებს. მავანთ და მავანთ შეიძლება აზრის კანონმდებლადაც კი მოევლინოს, მესიანიზმის წინააღმდეგაც უფრო აღიმაღლებს ხმას შეფარული მესიანიზმის სახელით. არც გამკითხავი იქნება ვინმე, იმიტომ, რომ თითქმის ყველას იგივე სურვილი ამოძრავებს. და ისინი ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან, მათ თამაშის საკუთარი წესები აქვთ. მე ვერც ყოველივე ქართულის, და საერთოდ რეგიონალურის, უარყოფას დავუჭერ მხარს. სხვათაშორის, ამასაც, როგორც წესი, ის სჩადის, ვისაც ამ ეშმაკობით იგივე ქართულ კონტექსტში დამკვიდრება სწადია. ეს ხომ ყველაზე არაპატიოსანი გზაა. შენ თუ სუსტი ან პროფესიულად უვარგისი ხარ, ეროვნული აქ არაფერ შუაშია. თუ ავადმყოფს ვერ შველი, არც წიხლი უნდა ჩააზილო. ამ ჭეშმარიტებას ისე ენერგიულად უხუჭავენ თვალს, რომ მერე ფსევდოკრიტიკა საკუთარ გენერაციას ქმნის. მსგავს პათოსს, გაცნობიერებულსაც და გაუცნობიერებელსაც, ყოველთვის ხელიდან უსხლტება რეალობა.

- ამიტომ ხომ არ ხდება, რომ ჩვენში, როგორც წესი, ყოველთვის იმაზე მსჯელობენ, თუ რა უნდა იყოს, როგორ უნდა იყოს, რა იქნებოდა უკეთესი და ასე შემდეგ, ე. ი. გონება ყოველთვის იმაზეა ორიენტირებული, რაც ჯერ არ არსებობს, მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ არსებულიყო.

- უნდა დაზუსტდეს ერთი არსებითი დეტალი. ფუტუროლოგიური ძალისხმევა ყოველთვის ასრულებს რაღაც დადებით როლს ნებისმიერ კონკრეტულ სოციო-კულტურულ გარემოში, საერთოდ – კულტურაში, თუ ეს უკანასკნელი მემკვიდრეობითობის სერიოზულ ტრადიციას ფლობს. როცა კულტურაში, ან უბრალოდ საზოგადოებაში, მემკვიდრეობითობის ტრადიცია დაბალია ან სულ არ არსებობს, ჯერარსული მსჯელობები ყოველთვის ლოზუნგური ცნობიერების ნიმუშებად, ილუსტრაციებად გვევლინება. მე მათ, პირობითად, ფსევდოჯერარსულ მსჯელობებს დავარქმევდი, რადგან ჭეშმარიტად ჯერარსულთან მათ საერთო არაფერი აქვს. "უნდა"-ს ან "ასე უნდა იყოს"-ის ფსიქოლოგია მაშინ ხდება წამყვანი აზროვნებაში, როცა ყურადღების გარეთ რჩება ის, რაც უკვე არსებობს ფაქტობრი-

ვი რეალობის სახით. "უნდა"-ს ფსიქოლოგია ფაქტობრიობის სამყაროს ჩანაცვლებას ცდილობს და აგრესიული ბუნების მატარებელია. მეორეს მხრივ, "უნდა იყოს", როგორც ძალადობა, ამ ფაქტობრიობის, არსებული რეალობის არცოდნის შედეგია. როცა მზერა რეალობაზეა ფოკუსირებული, მარჩიელობის სურვილი არ არსებობს. ნებისმიერი ფაქტობრიობა – თუ მიზეზებს ჩავწვდით – თავის თავში უკვე ორიენტაციის, გეზის შემცველია, თავისი ასეთადყოფნის უღრმეს კანონზომიერებებს ემორჩილება. ამ კანონზომიერებათა გამცნობიერებელს – ან უბრალოდ: მათემატიზირებელს – აღარ უჩნდება ფსევდოჯერარსული მსჯელობებით რეალური ვითარების გადასწრების, უკან ჩამოტოვების, გამოგონილ მარათონში გამარჯვების სურვილი.

- მაშასადამე, ჯერარსული მსჯელობები, თავისთავად, საშიში ან გადასაყრელი სულაც არ ყოფილა. საშიში ხდება ისინი მაშინ, როცა ბალანსი ირღვევა და "უნდა იყოს"-მსჯელობა დომინირებს კულტურულ სივრცეში.

- დიახ. ის, რაც არის, ყოველთვის შეიცავს თავის თავში იმას, რაც უნდა იყოს. იმაზე მსჯელობის მოთხოვნილება, რაც თურმე უნდა იყოს, კომპენსაციის მცდელობაა იმის მერე, როცა არ ვიცით, თუ რა იქნება. ამ შემთხვევაში მე არ ვახასიათებ მეტაფორული აზროვნების ტიპს, როცა უნდა-მსჯელობა პიროვნების, სუბიექტის ემოციური მდგომარეობის ჰიპერბოლიზაციას ახდენს ან გარკვეულ განწყობას აფიქსირებს. მე აღვწერ ვითარებას, როცა უნდა-მსჯელობა ცდილობს გამოგვეცხადოს როგორც ჭეშმარიტება და არა როგორც მეტაფორა ან პოეტური უტოპია, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის აუცილებელია თამაშის საზღვრების მოსანიშნად. ურიგო არ იქნება, საკითხს გაცილებით ფართო კონტექსტში თუ გავაანალიზებთ. მოდი, რევოლუციური პერიოდებისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება და სააზროვნო სივრცე გავიაზროთ. მაგალითის სახით მოვუხმობ რუსეთის რევოლუციის პერიოდში მაქსიმილიან ვოლოშინის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ, როგორც წესი, რევოლუციურ პერიოდებში ადამიანებს უმძაფრდებათ განცდა, თითქოს ისინი ჭეშმარიტებას ფლობენ; თითოეული მათგანი ფიქრობს, რომ ის და მხოლოდ ისაა მართალი, ხოლო ნებისმიერი, ვინც საპირისპირო აზრს იცავს – მცდარი. ე. ი. ამ დროს იმდენი ჭეშმარიტებაა, რამდენიც – ადამიანი. დავუკვირდეთ, ხომ შეიძლება ადამიანმა თქვას "არ ვიცი". მაგრამ სიტუაციის მთელი ტრაგიზმი ისაა, რომ ინდივიდი ამ დროს რაღაცის არცოდნას თავისი პიროვნულობის, მეობის შეურაცხყოფად მიიჩნევს; თუ მან რაღაც არ იცის, გამოდის, რომ არ ყოფილა სრულფასოვანი ადამიანი. ეს სიტუაცია, საერთოდ, ნებისმიე-

რი რევოლუციის თანამდევია. ადამიანი ძალიან სუსტია. რევოლუცია (მით უმეტეს, თუ ის ქვემოდან სულაც არ მოდის და მაღალპროფესიულ დონეზეა დაპროგრამებული ზემოდან, რისი მოწმენიც დღეს, საუკუნის მიწურულს, ვართ) ადამიანთა ურიცხვ რაოდენობას რევოლუციონერად აქცევს, უფრო სწორად, რწმენას უნერგავს, რომ რევოლუციონერია, და მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ რევოლუციონერი ხარ, არ შეიძლება შენი აზრი ჭეშმარიტი არ იყოს. რევოლუციონერი ხომ პატარა ღმერთია, როგორ შეიძლება მან რაღაც არ იცოდეს; ის მიმთითებელი და აღმზრდელია. მან იცის ის, რაც სხვამ არ იცის, ამიტომ ამ სხვამ კეთილი უნდა ინებოს და მიჰყვეს მას, ხოლო როცა იგი დასახულ მიზანს განახორციელებს, დანარჩენები განხორციელებულ იდეას შეხედავენ და მიხვდებიან, თუ რარიგ მართალი ყოფილა ოდესღაც რევოლუციონერი, რომელმაც "წინ გაუსწრო დროს" იმათ საკეთილდღეოდ, ვინც ამას ვერასოდეს მოახერხებდა. მან სწრაფად უნდა მიიყვანოს ხალხი იქ, სადაც ეს ხალხი ადრე თუ გვიან უსათუოდ მივა (ეს გზა ხომ რევოლუციონერმა განჭვრიტა). მეორეს მხრივ, მისი ქმედება ფარული შიშითაცაა გაპირობებული: ვაითუ ხალხი სხვა გზით წავიდეს და ასცდეს აღთქმულ მიწას (ჩემი ანალიზის საგანია "პატიოსანი" რევოლუციონერი, რომელიც იმდენად დარწმუნებულია თავის ჭეშმარიტობაში, რომ ალტერნატივის დაშვება, უბრალოდ, აღემატება მის გონებრივ შესაძლებლობებს მოცემულ მომენტში). მას სწორედ პროცესის დაჩქარება სურს. ამით განსხვავდება იგი ხელოვანისგან. ხელოვანი, რომელმაც დროს გაუსწრო და გაუგებარია, არ ღელავს და მშვიდად ცხოვრობს თავის გაუგებრობაში; თუ სწუხს, მისი მწუხარება სულაც არაა აგრესიული, კრიტიკული პათოსით სტრუქტურირებული. რევოლუციონერი კი იდეის სახელით იბრძვის დროში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების დაჩქარებისთვის. აი, ამ გზით სურს მას თავისავე მიერ გამოგონილ "მომავალ აწმყოში" დამკვიდრება, ვინაიდან ჭეშმარიტი და ერთადერთი აწმყო მისთვის უკვე დაფარულია. აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: ის, რაც თავს იდეად გვაჩვენებს, ხშირად იდეალი აღმოჩნდება ხოლმე და მეტი არაფერი. ყველაზე დამღუპველი სწორედ ისაა, როცა იდეალის არგუმენტირებას ცდილობენ.

- თუ სწორად გავიგე, ამ საკითხის ასე შემობრუნებაც შეიძლება: რევოლუციური ცნობიერება აუცილებლად მოითხოვს საპირისპირო მხარეს, მტერს. თუ მას ასეთი მოწინააღმდეგე არა ჰყავს, იგი მას უსათუოდ გამოიგონებს.

- უფრო მეტიც: კი არ გამოიგონებს, შექმნის. მე შემთხვევით არ გამხსენებია ვოლოშინის აზრი. საქმე ის გახლავს, რომ არმცოდნე, მსჯავრისგან

თუ ერთმნიშვნელოვანი დასკვნისგან თავისშემკავებელი, რევოლუციონერს ყველაზე საშიში მტრის სახით წარმოუდგენია. ამ მტერს, როგორც საპირისპირო ძალას, რევოლუციონერი არ საჭიროებს ცოცხალი სახით. იგი მას, უბრალოდ, ქმნის და სპობს. რევოლუციური ცნობიერება რომელიმე ბანაკში ყოფნას მოითხოვს, ვინაიდან მებრძოლმა კარგად უნდა იცოდეს, ვინ მისი მომხრეა და ვინ კიდევ – მტერი. თუ არც ერთი ხარ და არც – მეორე, ბევრად საშიშია შენი არსებობა. აი, რატომაა არმცოდნის მიმართ ყველა საპირისპირო ბანაკი მტრულად განწყობილი. ამიტომ არაა ადგილი პოეტისთვის არც იმ სახელმწიფოში, რომელიც დღესდღეობით არსებობს, და ამიტომ არ იქნება მისთვის ადგილი არც იმ ახალში, რომელსაც ძველის ნანგრევებზე ააშენებენ. არცოდნის აღიარება ამ შემთხვევაში დიახაც ერთადერთი ნამდვილი ცოდნაა. ის ნიღაბს ხდის ფსევდოცოდნას და ფსევდოიდეას. ერთსაც დავძენ: პოლ ვალერი ამბობდა, ვერ ვიტან პრიმიტიული ეპოქის პრიმიტივისტებსო. მე ასე ვიტყოდი: ვერ ვიტან რევოლუციური ეპოქების რევოლუციონრებს. რევოლუციურმა ცნობიერებამ იმდენად გაამძაფრა მაზოხიზმი ადამიანში, რომ დღეს უკვე ადამიანური ყოფის უმთავრესი ნიშანი თვითგვემა და თვითწამებაა.

- მაზოხიზმი თუ სადიზმი?

- არა, არა. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი დროა მაზოხისტური. გვსურს ადამიანი გადავარჩინოთ და ამას მისი დამდაბლებით, ნიველირებით, გათქვეფით, დაქუცმაცებით ვცდილობთ; გვსურს კაცობრიობა გავათავისუფლოთ და ამას კოლონიალიზმის ახალი, დახვეწილი და გაუმჯობესებული ფორმების გამოგონებით ვცდილობთ; გვსურს სექსისგან გავთავისუფლდეთ და საამისოდ მიმართული ყველა მოქმედება ძირშივე სექსუალურია. ჩვენ კარგად ვხედავთ წინააღმდეგობებს და პრობლემებს, მიზეზებს კი სადღაც სხვაგან ვეძებთ, სადღაც გარეთ; თითქოს თვით ეს წინააღმდეგობრიობა უკვე დავითმინეთ, თითქოს იქ, შიგნით, გულისგულში, უკვე ვიყავით. ჩვენი დროა მაზოხისტური. თუმცა რომელი დრო არ იყო მაზოხისტური... ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, ჩვენ ალბათ ღალატიც კი არ შეგვიძლია ბოლომდე და მთლიანად, ერთგულება საერთოდ რა მოსატანია, ერთგულებასთან რა ხელი გვაქვს მეთქი. თუმცა ვხვდები, რომ ახლა უკვე ჩემს ემოციურ მდგომარეობას გიჩვენებ, ჩემს განცდებზე გასაუბრები. ერთ ჩემს ლექსში ასეთი წინადადება მაქვს: "თუ ყველაფერი რაც იღლება ხდება უკიდურესად სექსუალური, მაშინ ის, რაც უკიდურესობებისადმი სიძულვილით გამოირჩევა მალავს თავის ნამდვილ ბუნებას". დღეს სექსუალურია არა მხოლოდ მავანი ქალი ან მამაკაცი, რომელიმე ფილოსოფიური თუ ლიტერატურული დისკურსი, რომელიმე სიტუაცია, რომელიმე

კულტურა, არამედ სექსუალურია ბუნებაც, სექსუალურები არიან წიგნები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ქუჩები, სახლები, სკამები... ერთი სიტყვით, დღეს მთელი სამყარო სექსუალურია...

- და შენ ფიქრობ, რომ გამოსავალი არ არსებობს?

- როცა დრო მოვა, გამოსავალი მოიძებნება. ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლით. ჩვენ მხოლოდ ტკივილი შეგვიძლია. აი, ეს უნდა მოვახერხოთ, ბოლომდე ტკივილი. თუმცა მინდა, უკეთ გამოვთქვა. ეკოს "ვარდის სახელი"-დან მთავარ პასაჟს გავიხსენებ: ვილჰელმ ბასკერვილელი, ყოფილი ინკვიზიტორი, ლაბირინთის გეგმის ამოცნობას ცდილობს, მაგრამ ვერანაირად ვერ ახერხებს ლაბირინთში ყოფნისას. მხოლოდ მას მერე, როცა გარეთაა და გარედან აზროვნებს, გეგმას მიაგნებს. მაგრამ ვილჰელმის აზროვნება ამ დროს უკვე ლაბირინთში ყოფნით შეძენილ გამოცდილებას ეფუძნება. რა შეიძინა ლაბირინთში? ცოდნა? არა, ლაბირინთში ის მცოდნე და თეორიულად განსწავლული შევიდა. მან განცდა "შეიძინა". მან განიცადა, დაითმინა ლაბირინთი. უამისოდ ვერ მოახერხებდა გეგმის შედგენას და რომც მოეხერხებინა, არაფერში გამოადგებოდა. გეგმა ყოველთვის კონკრეტულია, გეგმა ყოველთვის რაღაცის გეგმაა, ეს რაღაც კი გაგებას და დათმენას მოითხოვს. განცდას კიდევ ერთი უნიკალური თვისება აქვს: ის ერთჯერადია. გეგმის ტირაჟირება უსასრულოდ შეიძლება, გეგმით შესვლაც ურიცხვჯერ შეიძლება, მაგრამ თუ გეგმით შეხვალ, ვერ დაითმენ; ხოლო თუ დაითმენ, გეგმას უსათუოდ მიაგნებ. მხოლოდ ამ გზით მოპოვებული გეგმაა ღირებული. სხვათაშორის, იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე ხელოვნებაში ფორმებისა და საშუალებების სასრულობის განცდის გამძაფრების ნიადაგზე წარმოქმნილი კრიზისული სიტუაციის შესახებაც. არ შეიძლება ამ სახის კრიზისი დაატყდეს თავს იმას, რაც ჩემია, რაც ერთია. აი, ამით განსხვავდება ერთმანეთისგან პიროვნების გზა და კულტურის გზა, კონკრეტული ინდივიდი და საზოგადოება. მე ხომ ერთი ვარ. ერთია ჩემს მიერ ციტირებული ჰომეროსი, ერთია ჩემს მიერ მიბაძული დანტე, თუნდაც შემაწუხებლად უნიჭო. განცდა მხოლოდ შიგნით არსებობს. ამიტომაა ღირებული მაინც და მაინც კირკეგორის, სწორედ კირკეგორის შენიშვნა, ჰეგელმა ააგო სპილოს ძვლის კოშკი, რომელშიც ვერ იცხოვრებ და ქოხი უნდა აიშენოო: კირკეგორი ნამყოფი იყო ამ კოშკში და ქოხის სახით მისი გეგმა შექმნა. მეორეს მხრივ კი, ჰეგელის კოშკია ღირებული იმიტომ, რომ ჰეგელმა ააგო, ააგო მას მერე, როცა დაითმინა, შიგნიდან ააგო. ჰეგელის კოშკი "ღია ნაწარმოებია" (ეკოს ტერმინოლოგიით) ყველასთვის, ვისაც თავისი ქოხი ურჩევნია, მაგრამ თვით ჰეგელი ერთია. მთავარია, ყოველთვის მთლიანად ვიყოთ იქ, სადაც ვიმყოფებით. ჩემი ძალისხმევა

სწორედ აქეთკენაა მიმართული: ვცდილობ, ყოველთვის იქ ვიყო, სადაც ვარ; ბოლომდე დავითმინო ის, რაშიც მე ვარ და რაც ჩემშია, რითაც ვსაზრ-დოობ და რასაც ვასაზრდოებ.

სექტემბერი, 1993

ტრფობა წამებულთა

საწყალობელ იქმნა უბადრუკი გივი, რამეთუ უვარყო ცოლი ჭეშმარიტი და აღიარა მშვენიერი მირანდა და მოტყენა. და იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხება ცოლისა მისისა ნესტანისი, და ივლტოდა იგი და ისწრაფა მიახლებად ზაზასა და მოტყენა ზაზამ ნესტანი. მაშინ დაჭმუნდა გივი და წარვიდა და მოტყენა ცოლი ზაზასი, ლონდა. ხოლო შემდგომ ამისა ლონდა მოტყენა ბიძინამ. ხოლო დაი ბიძინასი, ვიოლეტა, მოტყენა ჯიმშერმა, საღამომდი ილხინა, და წარემართა და მოტყენა მირანდა. ხოლო ბიძინა მსწრაფლ აღდგა ზე და მოტყენა ცოლი ჯიმშერისი, ლუიზა. და არა სცხრებოდა იგი, და მოეთაყვანა ლონდას და მოტყენა. მერმე იძია მცირე ოთახი და მუნ დაეყუდა და მოტყენა ნუნუ, ცოლისდა თვისი. ხოლო ქმარმან ნუნუსამან, ზურაბ, განიწყო გული და იბრდღვენდა მისთვის, და შემდგომად სამისა დღისა მიუხდა ზედა ციალას, დისშვილსა ბიძინასას, და განშიშვლდა და აღიღო ფალოსი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა და თვალი ერთი დაუბუშტა, და მჯიღითა სცემდა ძუძუსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა, და მხიარულ იქმნა ციალა ფრიად და ნეტარებდა უზომოთ, და განძლიერდა ტყნაური მათი. და ეახლა მირანდა ზაზას, და ვითარცა იხილეს ერთმანეთი, განიხარეს ფრიად და ყვეს ტყნაური. ხოლო ქმარი მირანდასი შეუჩნდა ლონდას, ახოვანი თორნიკე შეუჩნდა ლონდას, და დაწვა ლონდა და აღიპყრნა ფერხნი თვისნი და მყოვარ ჟამ იტყნაურა. და ესმა ციალას სიკეთე თორნიკეს ტყნაურმეტყველებისა და იღვაწა, და მაშინ აღუსრულა თორნიკემან ნება მისი და ასწავა ტყნაური ჭეშმარიტი და სასწაულნი იგინი უჩვენა, რომელნი-იგი იქმნებოდეს ფალოსისგან ცხოველისა, და ესე მრავალგზის იქმნა. ხოლო მასვე ჟამსა შინა გვანცამ, ცოლისდამან თორნიკესი, იხილვა სასწაული დიდი, რამეთუ ზეცით გამოჩნდის ფალოსი ცეცხლისაი შემოსილი ვარსკვლავებითა და დგის იგი დიდხანს, და გვანცა, აღძრული სურვილითა თაყვანისცემისათვის ფალოსისა ცხოველისა, ვიდოდა უხამური და ცრემლითა დაალტობდა ქვეყანასა, და ჰკიდა მას თვალი მიხეილმა და მოუწოდა და სარეცელსა თვისსა მიაწვინა და მოტყენა. ეუწყა ესე ამბავი კლარასა, ცოლსა მიხეილისასა, და მიისწრაფდა ვანოს მიმართ, ქმარისა მიმართ გვანცაისი, და ხმობდა: "აწ იყავ ჩემ მიერ ფრიად პატივცემულ, ვითარცა მტყვნელი ჩემი, და მრავალი სიმდიდრე მოგანიჭო შენ და იყო ყოველთა მიერ სახელოვან და დიდ ამას სადაქალოსა შინა ჩემსა". და მოტყენა ვანომ კლარა, და შემდგომად ამისა წარვიდა აღვსებული სიხარულითა და სახელითა და მოტყენა ნატალია,

დობილი კლარასი, და მოტყნა აგრეთვე ლანა, მეორე დობილი კლარასი, და გამოხდა ხანი და მოტყნა შორენა, მესამე დობილი კლარასი. ხოლო ზურაბმა მოტყნა ელისო. ბიძინამ მოტყნა მირანდა. თორნიკემ მოტყნა ვიოლეტა. ზაზამ მოტყნა გვანცა. ზაზამვე მოტყნა ნატალია. და მოიწია ღამე და წარვიდა ვანო და ესტუმრა ლონდას, ხოლო ლონდა ჯერ ნამეტნავის გაკვირვებითა და სიამოვნითა ხანამდის გარეტებით იყო და, რა ჭკუას მოეგო, გარდახდა და განიძარცვა სამოსელი თვისი და მიუდგა, და სცა მას ვანომან ფალოსი და მოტყნა. ხოლო დილით, ვანო რა აღდგა და დაუტევა იგი, მაშინ ლონდას ღაწვთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად და თვალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდედ მიმართეს, და რა ვეღარ გასძლო მისი სიშორე, უხმო ნუგზარს, მაზლისშვილს თვისას, და შეეყო დაუბრკოლებელად, და საღამომდი ამ წესითა ლხინობდნენ. და შემდგომსა დღესა შემო-ვინმე-ვიდა და ჰრქვა ლონდას: "ნუ შრომასა შემამთხვევ, მომეც!". და ვითარცა ესმა ესე მწოლიარე ლონდას, დაიწერა ჯვარი ხორცთა თვისთა და აღაპყრო ზეცად თვალნი და თქვა: "უფალო, ვერაოდეს წინააღვუდგები მე მას!". და მან შემოსულმან წარიხადა სამოსელნი ფერხთანი, და მათ შეუტევეს ერთმანეთსა და მათი შეტევა ჰგვანდა შემოდგომათა ქართა, რომელ ხეთაგან ფურცელთა ჩამოჰყრის. ხოლო ლონდას ფრიად ეამა და ჰრქვა მას ხმითა თაფლოვანითა: "დაღათუ ბევრეული ოქროისა და ვერცხლისაი მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გვემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყვარულსა ყლისა შენისასა. მითხარ, რაი არს სახელი შენი?". და მან მიუგო მას: "ჯუმბერ!". ხოლო მას მცირესა ჟამსა შინა ლანა მოტყნა ზურაბმა, შორენა მოტყნა მიხეილმა, მირანდა მოტყნა ნუგზარმა, გვანცა მოტყნა თორნიკემ, ნატალია მოტყნა მიხეილმანვე, კლარა მოტყნა ბიძინამ, ვიოლეტა მოტყნა ვანომ, ციალა მოტყნა ჯუმბერმა და ცოლად შეირთო, შორენავე მოტყნა გივიმ, ნესტანი მოტყნა თორნიკემ. და იყო დღეი ხუთშაბათი, როცა ხატიამ, ციალას დამ, და ჯუმბერმა ამოიმარტოხელეს ერთმანეთი და ჰრქვა მას ჯუმბერ: "მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყვარული აქვს შენდა მომართ ასპიტსა ჩემსა. და აწ არაი უწყი, რაი ვყო". ხოლო შვენებამოჭარბებულმა ხატიამ მიუგო: "ხელთა შენთა ვარ!". და აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთას და კეთილად იტყნაურეს. მაშინ აღაგზნო შურმან გული ვიოლეტასი, პოვა ჟამი მარჯვე, ოდესცა ციალა და ხატია შორს იყვნენ, და ჰრქვა ჯუმბერს: "არა გყავსა ძმობილი ვინმე პირტიტველი, რამეთუ ვწაფო?". ხოლო ჯუმბერ მორცხვად მიუგებდა: "არა ერთი და არა ორი". და აღივსო ვიოლეტა ნეტარებითა და ილოცვიდა და როკავდა, ვითარცა ბალღი. და წარადგინა ჯუმბერ წინაშე მისსა ძმობი-

ლი თვისი ჯემალ, და მყისვე განმარტოვდნენ ვიოლეტა და ჯემალ და მოტყნა ჯემალმან ვიოლეტა. და შემდგომ ამისა წარუდგინა ჯუმბერმან სიდედრს პაატა, მეორე ძმობილი თვისი, და მოტყნა პაატამ ვიოლეტა. და შემდგომ ამისა წარუდგინა ჯუმბერმან სიდედრს ლადო, მესამე ძმობილი თვისი, და მოტყნა ლადომ ვიოლეტა. და შემდგომად სამისა დღისა ჯიმშერის დაჩაზედ იხილა ლადომ მირანდა და წადიერებაი გულისა მისისაი აღავსო უფალმან, და ეძიებდა ადგილსა და დროსა კრძალულსა, რათა მოტყნას იგი. ხოლო იგივეს ლამობდა გული ჯემალისი. და ჰყვეს მათ თათბირი და პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოით კერძო, მცირე და ბნელი, და მუნ შეიყვანეს მირანდა და ერთობლივი ძალებით მოტყნეს. მასვე ჟამსა შინა ჯიმშერმან მოტყნა ნათია და გარებიძაშვილი მისი ლელა. ხოლო შალვამ, ნათიას ქმარმან, მოტყნა ლუიზა. და რა იხილა არჩილმან, ჯიმშერის ძემან, ქალიშვილი შალვასი ინგა და სცნა ტანსა მისსა ზომიერსა გრემანობა, თვალთა და ღაწვთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხვივ ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ლიზღიანი სიტყვის სინარნარე და ზრახვისა უჩუკნობა, მყის აღეგზნო და არცა სახელსა არცხვინა, არცა ინგას ფარული დასტური აუქმა თვისსა ზედა, არამედ საქებელთა ზედა შერთო თავი და მოტყნა და იყო ესე ტყვნაი საკვირველი და უცნაური ფრიად. და გარდაირია ინგა და აუწყა ნეტარებისა და განცხრომისა თვისისა გამო მთელსა სადაქალოსა თვისსა, და ურიცხვ ნაკადად ედინებოდნენ არჩილისკენ დაქალნი მისნი, და მსწრაფლ შთაბრიალდა არჩილი, ვითარცა არწივი, გარნა არა დააბნივნა ისინი, ვითარცა კაკაბნი, არამედ სახელოვნად მოტყნა. ხოლო იყვნენ მოტყნულთა შორის ელისო, ნაირა, ციცინო, მედეა, ქალიშვილი მიხეილისა სახელად შუქია, იამზე, ლატავრა, ნანული, ესმა, ძმისშვილი ნესტანისა ინეზა, და ქეთევან, და ფაცია, და სხვანიცა და სხვანიცა მრავლად. ხოლო ნუგზარმან მოტყნა ნესტანი. პაატამ მოტყნა ლუიზა. მიხეილმა მოტყნა თედო, ძმაი ლელასი. ზურაბმა მოტყნა ნატალია. ლადომ მოტყნა ნუნუ. ჯუმბერმა მოტყნა ინეზა. ხოლო ინეზა აგრეთვე მოტყნეს ვანომ, შალვამ და შალვას დეიდაშვილმა ელიზბარმა. ელიზბარმავე მოტყნა ცოტნე, ძმაი ლონდასი. ხოლო არა დარწყულდა მირანდა ოდენ ლადოთი და ჯემალითი, არამედ ეძიებდა სიყვარულსა ახალსა და იარებოდა კურტუმომოძრავი, და არა დაახანეს და მოტყნეს იგი ზურაბმა, მიხეილმა, ჯუმბერმა, ლუიზას ნათლულმა კოტემ, მიხეილის მძღოლმა ფირუზმა, იამზეს კლასელმა უჩამ. და დღესა ერთსა შინა სული მისი მოიცვა შფოთმა, და თქვა: "ბრიყვი არს დედაკაცი იგი თურაშაულის პატრონი, რომელმან გარე-გარე ეძიოს პანტა". და მყის უკუიქცა, მიისწრაფა და მივიდა ვანოსთან, ხოლო ვითარცა ზედმიწევნით

ისწავა ვანომან მიზეზი მუნ მისვლისა მისისაი, ატირდა და მოეხვია, კოცნა დაუწყო და მასვე წამსა თანადაიწვინა და გულისა ნება ქმნა. ხოლო მირანდა ფალოსსა მისსა ეხვეოდა და სისხლისა ცრემლითა ასოვლებდა და სიკვდილსა ინატრიდა და უმისოდ არდარჩომისათვის ეუბნებოდა. ხოლო მას ჟამსა შინა აღიზარდა შვილი მირანდასი ოთარ და დადგა ასაკსა მამაკაცობისასა და მი-და-მო-იხედა და თვალი ჰკიდა ნინოს, ულამაზეს ასულს გივისას, და კარგად მაგრად დაება მიჯნურობისა ბადესა და გახდა უიმედოდ გულგატეხილი და გულწყლული. რა თორნიკემან თავისი მხოლოდშობილი ძის ეგევითარი ჭმუნვა იხილა, ჰკითხა მიზეზი სევდისა და დაღრეჯილობისა. ხოლო ოთარ მიუგებდა: "ვაი, მამაჩემო, ნინო არს მიზეზი ჩემი წამებისა და გულისა დადაგულისა". ბევრი იცინა ამა პასუხსა ზედა თორნიკემან, მერმე, რა გული იჯერა, უთხრა: "არა კაცი ხარა? ვითარცა შენ გინდის ქალი იგი, ეგრეცა უნდის მას ყლეი მამაკაცისაი და ვინ პოვოს შენზე მშვენიერი და ვის ჰქონდეს ყლეი შენსაზე მოუღლელი. აღსდექ და ეახლე, ვინძლო უარესად იწვის". ისმინა ოთარმან შეგონება და შეწყვიტა ჭმუნვა. ხოლო თორნიკემან საჩვენებელი თითი გაბზიკა და ერთიცა ბრძანა: "დიაცი რაზომცა ფრთხილი და გონიერი იყოს, ეგრეცა ჰამოისა კაცისა ენითა ძაბუნი იქმნების". მაშინ აღჯდა ოთარ მანქანასა ზედა თეთრსა და ეახლა ნინოს. ხოლო ნინო ზეიმობდა გულსა შიგან, რამეთუ ისიცა მისის მიჯნურობითა ვითა ცვილი დნებოდა. და მყის განმარტოვდნენ და მოუყარა მუხლი ოთარმან და ჰრქვა: "ნიადაგ ესრე ვტირ, ვითა ცისკრისა ჟამსა ვარდსა ზედან იადონი და ვითა დილასა მთათა ზედა გაზაფხულისა ღრუბელი. მე შენთა ლამაზთა თვალთაგან გულსა ასი ათასი ისარი მარჭვია და ფერხთა დაუხსნელი ემუდა მიყრია. დაკოდილსა კანჯარსა მივჰგავ, მინდორთა შიგან რა სასისხლესა წამლიანი ისარი სცემოდეს. აწ შენგან ზენაარსა ვითხოვ და შენსა მოწყალებასა ღონედ ვეძებ". მაშინ პასუხ უგო ნინომ ოთარსა და ჰრქვა: "ტანისა ჩემისა წამალი შენი ყლეა და გულისა ჩემისა მაცოცხლებელი შენთან ტყნაურია. მე მაშინღა ვჰპოებ ჩემისა ცნობისა ჭკუასა, ოდესაცა შენი ჰამო ხმა მესმის. თუმცა წელიწადია შენგან ჭირსა შიგან ვარ და სიხარულად გარდაქცევისაგან ცრემლი დამწითლებია, პირი გამყვითლებია, და ეგრეცა შენი მიჯნურობა სულთა მირჩევნია. და სულთა მებრძვის შენისა სიყვარულისაგან. არ ვეძიებ უშენოდ სიცოცხლესა და არცა უშენოდ სიხარულსა ორგაზმისმიერსა. ოდესცა ჩემი მუტელი შენისა თესლისაგან გაძღეს, თავსაცა ზედა თმა ხრმლად შემექმნების. დღისა სინათლე შენისა პირისაგან მაქვს და ღამისა სიბნელე - შენისა თმისაგან. ჩემი მზე შენისა პირისაგან ნათობს და ჩემი მუშკი შენისა თმისაგან სურნელობს. შენისა ტანისაგან ჩემი ბროლი უტალაო და შენისა სა-

უბრისაგან ჩემი სამოთხისა შვენება. მე ღმრთისგან დღე და ღამე ამას ვითხოვ, რომელ ერთხელ შენსა შემოხედვასა მაღირსოს. მაგას მაგარსა ყლესა შენსა თუ შევეწყალო და სიბრალული ჩემი მოიღოს, წაზიდვად ამ-პარტავნობა არ დაიწყოს. მოწყალე იქმენ ჩემ ზედა, ტანიცა შენვე შემოგ-წირო და გაისაკუთრე, თუარა სულსა თანა ტანიცა გავწირო". მაშინღა ერთად დაწვნეს და გარდასულსა ჭირსა და ჭმუნვასა და შორით ბნედის ამბავსა ერთმანეთსა უამბობდეს. საგებელი მათი ვარდისა და თვალისა-გან ავსილ იყო. სიამოვნისა მოედანსა შიგან ბურთი ჩამოეგდო და ასრე მაგრად შემოეჭირა ერთმანეთისათვის, თუცა დიდსა წვიმასა მათზედა ეწვიმა, მკერდი არ დაუნამიანდებოდა. რა ნინომან ნახა ფალოსი ოთარისი, აკოცებდა, უყვავებდა და ეტყოდა: "ჰე, სვიანო ოთარის ყლეო ჩემო და სულთაცა სარჩეო! ყოველი ქალი შენგან დაიკოდების და მე დაკოდილობი-საგან წყლულსა მალამისაებრ მერგები. ყლეი მკურნალი შენგან კიდე არ მინახავს". და მრავალი დღე კეთილად იტყნაურეს. და განუტევა ნინომან ოთარ მრავლითა ნიჭითა, ხოლო თვით აღდგა და დაუტევა სახლი თვისი და ეწვია ნუგზარს. და გამოვიდა იგი სიხარულით და შეიყვანა თავის თანა ღირსი ნინო, და მოტყნა, და იყოფვოდა ნინო სახლსა შინა მისსა დღეი ორიოდე, და შემდგომ ამისა გამოვიდა და იჯმნა ნუგზარისაგან, რათა წარსდგეს წინაშე არჩილისა, მუტლისა მისაცემად. და ვითარცა იწყო სლ-ვად, მიემთხვია კაცთა მოგზაურთა, რომელნი იყვნენ არსენ, ძმობილი ფირუზისი, ელდარ, ძმობილი მისივე, და მურად, ძმაი ლატავრასი. ხოლო ამათ რა ნახეს, გაჰკვირდნენ მისსა შვენებასა და ტანისა ნაკვეთიანობასა, რომელ დიდად სატყნაუროდ შექმნილი იყო. და ჰრქვა მას ელდარმან ხმი-თა ამოთი და ნარნარითა: "შენ დაი და ჩვენ ძმანი შენნი. ჩვენ კაცნი პირმე-ტყველნი ვართ, არათუ მსგავსნი პირუტყვთა, რომელთა არა იციან მშობე-ლი თვისი, გინა ნათესავი თვისი, გინა შობილი, გინა ახლობელი. მადლითა ღმრთისაითა უწესობაი ჩვენს შორის არა არს. და ნურც შენ გეშინის, ასუ-ლო ლამაზმანო". და ვითარ ესმნეს ესევითარნი სიტყვანი მათგან, ღმერთ-მან მოამშვიდა პირი ნინოსი, და ჰრქვა მან მათ: "შიშმან და ზრუნვამან შემიპყრა მე და შეშფოთნა გონებაი ჩემი და წამით-წამზე დავეცემოდი და მოვაკლდებოდი მეცნიერებისგან. აწ არა მეშინის თქვენი, არამედ ვინ-აობის გაგება მწადის". და აუწყებდნენ მოგზაურნი თავ-თავის სახელს, და ნინოც მიუგებდა თავის სახელს კურტუმოს ქნევითა ჰაეროვნით და მხიარულით. ხოლო მათ მოცინართა ჰრქვეს მას: "გზის პირს მაყვლოვანი ვიცით შორიახლოს, და მუნ დაპატიჟება შენი გვსურის, ძვირფასო ნინო". ხოლო ძვირფასი ნინო მცირედ შებრკოლდა, და მერე განიზრახა, და მსუ-ბუქის რონინითა მიჰყვა. და ვითარცა ამათ მაყვალთა შინა შევიდა ღირსი

ნინო, მაშინ არსენმან, ელდარმან და მურადმან მეყსეულად მიყვნეს ფალ-
ოსნი მათნი მის ზედა და სცეს იმავ ფალოსითა მოღერილსა ქედსა მისსა.
და ერთსა ხანსა ასრე განერთვნენ. ხოლო ნინოსა უხაროდა და ჰმადლობ-
და უფალსა და იტყოდა გულსა შინა: "გმადლობ შენ, რამეთუ ღირს მყავ
მე და ამ ხალხს შემყარე". მერმე განიღო თავი და უყარნა მუხლნი და აღ-
მოიყარნა ძუძუნი, დავარდა პირსა ზედა და დადვა პირი თვისი ფალოსსა
მურადისსა ზედა. და იქმნა ტყნაური დიდი, და მტყვნელთა ხელთა შიგან
მახვილნი ფალოსნი იცინოდნენ ელვისაებრ, და თესლითა მათითა მდინა-
რითა ირყწოდა ადგილი იგი. და ოდეს დარწყულდა და საკმარისად მოიქა-
ნცა გიშრისთვალება ნინო, ჰრქვა მათ მიმართ ხმითა მისავათებულითა:
"აწ გევედრებით, განმიტევეთ მე". ხოლო მათ უვარჰყვეს თხოვნა მისი,
ხოლო ის აღიძრა გონებითა და ტიროდა ფრიად, ხოლო იგინი ლმობიერ
იქმნნეს და განუტევეს ნინო წარსვლად საქმედ მისდა. და განეშორა იგი,
განერა ხელთა მათგან და ივლტოდა, რამეთუ არა გარდაიფიქრონ მათ
განტევება მისი და ხელი არა სტაცონ და არა დააყოვნონ. და ვიდოდა. და
ესრეთ მიიწია იგი კარსა არჩილისასა. და რაჟამს მიიწია, ათრთოლდა და
თავს ბრუ დაესხა. ხოლო რა არჩილმან სცნა მისვლა მისი, მისის სიყვარულ-
ისაგან გული აუდუღდა. ხოლო ნინოს არჩილის ხელი ხელთა ჰქონდა და
მიჯნურობისგან უჭკუო უბნობდა და მისისა სიყვარულისაგან და თვით
სიცივისაგანცა თრთოდა, ნარგისთათ სისხლსა ვარდსა ზედა ღვრიდა.
მერმე ეხვეოდეს და აკოცებდეს ერთმანეთსა. მერმე ქვე დაწვეს და დღე
და ღამე იხარებდეს, ვითა სწადდა. შვიდი დღე ეგრე დაყვეს და წარმატე-
ბით იტყნაურეს. მერმე გაიყარნენ იგი ყოველთა მიჯნურთაგან უსაყვარ-
ლესნი. დარჩა არჩილ მწარის ყოფითა და შეჭირვებითა და მდუღრისა ცრე-
მლითა ღმერთს ევედრებოდა. ხოლო მათ დღეთა შინა კოტემ მოტყნა
ციალა, ფირუზმა მოტყნა კლარა და შუქია, შალვამ მოტყნა ელისო, მურად-
მა მოტყნა ესმა, თენგიზმა, მძღოლმა ჯიმშერისმან, მოტყნა ლუიზა, ჯიმ-
შერმა მოტყნა ზაირა, ცოლი თენგიზისი, უჩამ მოტყნა მედეა, პაატამ მო-
ტყნა ნანული, გელამ, ქეთევანის ძმამან, მოტყნა ციცინო, არსენმა მოტყ-
ნა დალი, მედეას დედისდისშვილი, არსენმავე მოტყნა ლატავრა, მურად-
მავე მოტყნა ზეინაბ, დაი არსენისი, ლადომ მოტყნა ცოტნე, ზაზამაც
მოტყნა ცოტნე, ჯუმბერმა მოტყნა ფაცია, ბიძინამ მოტყნა იამზე, ზუ-
რაბმა მოტყნა ნაირა, გივიმ მოტყნა ლანა, ვანომ მოტყნა ნატალია, ელიზ-
ბარმა მოტყნა შორენა, ელიზბარმავე მოტყნა ნიკა, ჯიმშერის ნათლული,
გელამვე მოტყნა ინგა, როინმა, გივის მეზობელმან, მოტყნა ინეზა, მიხე-
ილმა მოტყნა ნათია, მიხეილმავე მოტყნა მათიკო, მეზობელი თვისი, ნუგ-
ზარმა მოტყნა შუქია, გაიოზმა, ზაზას მეზობელმა, მოტყნა ლონდა. ხოლო

მურმან, თანაკლასელი შუქიასი, რომელი ხშირად იარებოდა შუქიასას, მოიხიბლა ერთი კეთილქმნული მეზობლითა შუქიაისითა, რომლისა სახელად იყო რუსუდან. და ჰრქვა მურმანმან თანაკლასელსა თვისსა: "მომატყნევინე გოგო იგი". ხოლო შუქიამ მიუგო: "ჰე, გონებადაბნელებულო, ჯერეთ მე მომტყან, მასპინძელი შენი, და მერეღა ეძიე მეზობელი გინა ასერგასი". და მყის მოტყნა მურმანმან შუქია და არცთუ ურიგოდ. და ეახლა შუქია დღესა ერთსა შესაფერსა შინა რუსუდანს და ჰყო ბაასი მურმანის გამო და ესრე უბნობდა: "კაცი არს მურმან სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღვაწლთა მისთა. ხოლო ყლეი მისი არს დაუცხრომელ და ტყნაური მისი მოცული იდუმალებითა ფრიად". ხოლო რუსუდანმან ცუდად როდი განბჭო, არამედ წარსთქვა: "მნებავს". მაშინ აფრინა შუქიამ ტელეფონოგრამა მურმანთანა და ამცნო სანატრელი დასტური რუსუდანისი. და მეყსეულად ივლტოდა მურმან რუსუდანისკენ. ასრე ფიცხლად წავიდა, რომელ მტვერსა მისსა ნიავი ვერ მიეწევოდა. რუსუდან მიელოდა, თვალი და ყური მისი გზისაკენ ჰქონდა. ანაზდად მტვერი გამოჩნდა, გამოვიდა მურმან მტვერისაგან, გახელებულ იყო, რომელ სიკუშტითა ავსა კარგისაგან ვერ გამოარჩევდა. ვითარცა მგელი სისხლითა აღმოსვრილი და ვითარცა ლომი განძვინვარებული მოიზახდა და ვნების სიჭარბითა იდორბლებოდა. ხოლო რუსუდან და შუქია შეპყრობილნი შიშითა და საკვირველებითა მოეგებნენ. ხოლო მურმანმან არა სალამი თქვა, არცა გამარჯობა, არამედ მსწრაფლ სტაცა ხელი რუსუდანსა და გააქანა და განმარტოვდნენ, და მრავალგზის მოტყნა. და მერე იყო, რუსუდანი რომ მოტყნა აგრეთვე ფირუზმან, აგრეთვე გელამ, აგრეთვე მურადმან. და მოტყნა შუქია თენგიზმა. ზაირა მოტყნა მიხეილმა. მათიკო მოტყნა გაიოზმა. ელისო მოტყნა როინმა. ნაირა მოტყნა უჩამ. ციცინო მოტყნა თენგიზმა. მედეა მოტყნა არსენმა. დალი მოტყნა კოტემ. იამზე მოტყნა ჯემალმა. ლანა მოტყნა ლადომ. ნატალია მოტყნა პაატამ. ლატავრა მოტყნა შალვამ. ფაცია მოტყნა გიამ, ციცინოს ძმამ. ნესტანი მოტყნა ტარიელმა, ზაზას მეზობელმა. ინეზა მოტყნა გოჩამ, ბიძინას მეზობელმა. ნინო მოტყნა მალხაზმა, ჯიმშერის მეზობელმა. მალხაზმავე მოტყნა ლუიზა. გოჩამვე მოტყნა ელისო. ელდარმა მოტყნა კლარა. ბესიკმა, შალვას მეზობელმა, მოტყნა თედო. თედომ მოტყნა ვიაჩესლავი, ზაზას ძმა. ზაზამ მოტყნა ენრიკო, ნათიას ძმა. მალხაზმა მოტყნა ზაირა. ზაირავე მოტყნა თენგიზმა. ჯიმშერმა მოტყნა ბორენა, მეზობელი თვისი. თორნიკემ მოტყნა ზაურ, ძმა გვანცასი. ჯემალმა მოტყნა ციალა და პაატამაც მოტყნა

ციალა და ლადომაც მოტყნა ციალა. მიხეილმა მოტყნა სალომე, მეზობელი თორნიკესი. ელიზბარმა მოტყნა ინგა. შალვამ მოტყნა ქეთევან. მალხაზმა მოტყნა ბორენა. გაიოზმა მოტყნა ინეზა. ბესიკმა მოტყნა ლონდა. ზაზამ მოტყნა მარეხ, დაი ბესიკისი. ჯუმბერმა მოტყნა მათიკო. მიხეილმა მოტყნა ხატია. გივიმ მოტყნა შუქია. კოტემ მოტყნა გუგა, კლასელი ესმასი. ზაურმა მოტყნა თორნიკე. ბიძინამაც მოტყნა თორნიკე. მურადმა მოტყნა მირანდა. როინმა მოტყნა ნანული. გიამ მოტყნა იამზე. ბონდომ, უჩას ძმამ, მოტყნა ვიოლეტა. და არა ჰრულოდა ჯაბასა, ვიოლეტას ქმარყოფილსა, არამედ გარდამოიფრინვა თებერვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა ციცინოსა და მოტყნა. მერმე არა დაახანა და მოტყნა ელისო. მოტყნა ლუიზაი. მოტყნა ციალაი და წარემართა ნათიასად და ვითარცა მიიწია და შევიდა წინაშე ნათიასა, მყის განიძარცვა ნათიამან სამოსელი და შეიბა მკლავნი ჯაბასი, და მოტყნა ჯაბამ ნათიაი ამოდ. მერმე წარვიდა და ოთახსა ერთსა შინა შეჰყარა ერთად კლარა, შუქია, ნესტანი და ნინო, და შეიჭრა მყისვე ბრძოლად მათდა შეწევნითა თვისისა ფალოსისა, და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მაღლითა და ვითა გრიგალი მიდა-მო იქცეოდა, და ჰყო მან ტყნაური საკვირველი, და იქმნა სიხარული დიდი მას დღესა შინა. ხოლო ღამესა მას გამოუჩნდა მარიამს, დასა ნინოსას უმრწემესსა, ძილსა შინა გივი და ჰრქვა: "წარვედ სახლად ამირანისა და უქადაგე ცხოვრებაი და ტყნაურებაი ჩვენისა წესისაებრ! და ჰპოო შენ მადლი წინაშე მამისა შენისა. და მე ვიყო მფარველი და ფეხის ამპყრობელი შენი". ხოლო იგი ეტყოდა შეძრწუნებული: "ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემ მიერ? რამეთუ მე ქალწული ვარ და უსწავლელი. ანუ რაი იყოს სასწაულად საქმისა ამის?" მაშინ გივიმან შექმნა ფალოსი და მისცა ხელთა ღირსსა მარიამს და ჰრქვა: "ესე იყოს მცველი შენი და ამით სძლო ყოველთა წინააღმდეგომთა შენთა". ესე რაი იხილა, განიღვიძა და აქვნდა ფალოსი იგი ხელთა მისთა. ხოლო წვა მის გვერდით გივი და ძილითა ტკბილითა ეძინა. და ხვალისა დღე მზისა აღმოსვლასა მყუდროდ განვიდეს ადგილსა მითითებულსა. და რა იხილა ამირანმა ქალწული მარიამ, მყის აუწყა ოჯახობასა თვისსა და შეიწვიეს იგი სახლსა შინა. და ეტყოდა ამირან: "სიხარულითა მრავლითა განვახვნეთ საუნჯენი ხორცთა და ხორცთა ჩვენთანი და მხიარულითა ყლეებითა და მოკისკისე მუტლებითა გაქებდეთ შენ". მაშინ აუწყა მარიამმა მიზეზი თვისი სტუმრობისა და თავი ჩამოაგდო და ზე აღარა აიხედა სირცხვილისაგან და ყელსა იგრეხდა, ვითა დაკოდილი გველი. ხოლო ამირან მიუგებდა: "შენცა დასთხიე სისხლი თვისი სიყვარულისა ჩვენისათვის". ხოლო გურამმან, ამირანის ძემან, რა ცნა მარიამის ქალწულობა, უჭკუოდ შეიქმნა და ისწრაფა დაუთმობლად მისი-

სა მოხელებისათვის და ეძებდა ყოველსა ღონესა, თუ ვით პირველმა მოტყნას იგი. ხოლო რევაზ, ძმაი გურამისი, გულხელდაკრეფილ როდი იყო, არამედ გამოენთო აღტყინებული იმავ სურვილითა. გარნა ყველას ამირანმა სძლია სიტყვითა მართლითა: "პატივი ეცით მშობელსა თქვენსა". და მოტყნა ამირანმან მარიამ და განაქალწულა. და რაღა განვავრცოთ, მოტყნა გურამმან თეონა, ცოლი რევაზისი. რევაზმან მოტყნა ცოლი გურამისი, მაყვალა. მერმე ამირანმან მოტყნა მაყვალა. მერმე გურამმან მოტყნა მარიამ. ამირანმან მოტყნა თეონა. რევაზმან მოტყნა მარიამ. ამირანმან მოტყნა მასვე დღესა შინა ნესტან და შეირგო რამეთუ კეთილ. გივიმან მოტყნა ანგელინა, ცოლი ამირანისი. მოტყნა გურამმან ნინო. მოტყნა რევაზმანაც ნინო. მაშინ მიუჩოჩდა და მოტყნა გივიმან გურანდა, ქალიშვილი ამირანისი. მოტყნა ინეზა ამირანმან. ხოლო გივიმან მოტყნა მაყვალა. რევაზმან მოტყნა ინეზა. რევაზმანვე მოტყნა ნესტან. ხოლო გივიმან მოტყნა თეონა და ერთობ აამა. მაშინ გურამმან შეჰყარა ერთად ნესტან და ინეზა და მოტყნა. მერმე მარიამმან უხმო როინს და როინმან მოტყნა მარიამ. ხოლო მერი, ცოლი როინისი, მოტყნა ამირანმან. ამირანმანვე მოტყნა ირინე, ქალიშვილი როინისი. ავთანდილმან, ქმარმან ირინესმან, მოტყნა ნინო. ათანდილმანვე მოტყნა თეონა. რევაზმან მოტყნა ირინე. გურამმან მოტყნა მერი. როინმან მოტყნა ნესტან. გივიმან მოტყნა მერი. როინმან მოტყნა თეონა. გურამმან მოტყნა ირინე. როინმან მოტყნა ანგელინა. ხოლო სმენოდა ანგელინას არჩილის ფალოსის ქებაი და დიდებაი, და ეძია იგი და ჰპოვა და მიუდგა და მოტყნა არჩილმან ანგელინა წარჩინებით, ვითარცა სჩვეოდა. ხოლო ავთანდილმან ტყვნა უყო თეონას. რევაზმან მოტყნა მერი. როინმან მოტყნა მაყვალა. ავთანდილმან მოტყნა მარიამ. ავთანდილმანვე მოტყნა ანგელინა და ესტუმრა ნესტანს და აღმოიყარნა ყვერ-ფალოსი და რქვა მას: "შეიწყნარეთ კარავსა გვამისა თქვენისასა და სავანე განუმზადეთ, რამეთუ ყლესა ჩემსა ჰნებავს დამკვიდრებად მუტელსა შინა და ძუძუ-გულსა შინა თქვენთა". მაშინ გამოსცა ნესტანმან სულნელებაი მოუთხრობელი და აღაპყრნა ფეხნი ზეცად, და ტყნაურობდნენ იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისაითა. ხოლო არა განძღა ავთანდილ და წყობილითა სიტყვითა ესიტყვებოდა ნესტანს: "რამეთუ ყლესა გული უთქვამს მუტლისათვის და მუტელსა ყლისათვის და ესე მხდომნი არიან ურთიერთას, ამისთვისცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა - არა თუ შვიდგზის ოდენ მოტყნა ქალი დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ შვიდგზისო". ხოლო რა მისი ასეთი ფალავნობა ნახა, გარდაირია ნესტან და მისსა ფალოსსა ზედა შველივითა ხტოდა. და ასრე ილხინეს რამოდენიმე დღე და ღამე. და ნესტანიცა ჰბაძავდა და წყობილ-

სიტყვაობდა: "ვითარცა წინასწარმეტყველი იტყვის - ტკბილ არიან სასა-
სა ჩემსა ყლე და ყვერნი შენნი უფროის თაფლისა პირსა ჩემსა". მერმე
დაემშვიდობნენ ერთმანეთსა და ეძიებდნენ გზასა თავ-თავისსა. მიუდგა
ნესტან თორნიკესა და კიდევ ერთხელ მოტყნა მან იგი. მერმე შესთავაზა
ტყნაურხელოვნებაი ვანოსი. ხოლო ინებებდა ნესტან ამოდ ღიმილსა და
მიუგებდა: "არა ერთგზის გასინჯულ მაქვის და არა ერთგზის შემრგებია.
უმჯობეს არს, სიმაგრესა და ძალოვანებასა ოთარისასა მაგემებდე". მას
ჟამსა იყო ოთარ წლისა ათთვრამეტისა. და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის
ჟამისათა და უშვენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა. და უხმო მას თორნი-
კემან და ამცნო გულის წადილი ნესტანისი. ხოლო ოთარ თავის გულსა
შინ ჰკვირობდა: "დაყლევებულა მამაჩემი. დედად მერგების ასაკითა დე-
დაკაცი ეგე". სცნა თორნიკემან ფიქრი მისი და ჰრქვა: "ბრიყვო, არა პირ-
ველ ხარ და არა უკანასკნელ!". და განამარტოვა თორნიკემან ოთარ და
ნესტან და თავად გაშპა. რა ნესტანმან კრძალულებაი ოთარისა ნახა, მყის
გამოსცა სულნელებაი მოუთხრობელი და ჰრქვა მას პირითა მხიარულითა:
"ჰბაძევდ ჭინჭველასა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა, ვითარცა-
იგი მან თვისსა უდიდესსა მარცვალსა მას იფქლისასა შებმა უყვის გულ-
მოდგინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თვისა". ხოლო
მან: "მეცა გულსმოდგინე ვარ აღებად უძლიერესსა ჩემსა". და გარდახტა
ოთარ და განაშიშვლა და ჰქმნეს მათ ტყნაურებაი ეგევითარი, რომე ხმათა
მათ მიერ გამოცემულთა მომსმენელსა ეგონებოდის, აღდგეს ქარნი ძლი-
ერნი და იქმნნეს ქუხილნი სასტიკნი და ხმანი საზარელნი და მეხისტეხანი
შესაძრწუნებელნი. ხოლო ნატყნაურევსა ზედა ასრე უბნობდა ოთარ ნეს-
ტანის მიმართ: "ჰე, ვარდო, მოცინარედ მოტყნაურევ, მიწყითმცა ფეხნ-
აღპყრობილ გნახე! რათგან სიბერისა ჟამსა ასეთი ყლისა წამღებელი ხარ,
ნეტარ სიყრმისა ჟამსა ვითარი ყოფილ ხარ? რათგან ვარდისაებრ ნახევარ
დამჭნარი ესეთი ხარ, წინას მტყვნელთა შენთა სიცოცხლე ანუ გონება
ვით ჰქონებია! იმედი მაქვს, შენსა ასაკსა შინა ესეთივე იქნების ნინო. აწ
რათგან გული დამიბნელე და გარდამრიე, ბარე შენისა გვარისაგან ანუ
კიდეგან მიქმ. ასული შენი შემრთე". მერმე კვლავ იტყნაურეს და დათქვეს
ჟამი ნინოს ხელის სათხოვნელად სტუმრობისა და გაიყარნენ. ხოლო მათ
დღეთა შინა ავთანდილმან მოტყნა მარეხ. ტარიელმან მოტყნა ლონდა.
ბესიკმან მოტყნა ნათია. მალხაზმან მოტყნა ციალა. თედომან მოტყნა
თორნიკე. ბონდომან მოტყნა შუქია. გოჩამან მოტყნა ხატია. ელდარმან
მოტყნა ფაცია. გიამან მოტყნა მაყვალა. ფირუზმან მოტყნა ესმა. ლადო-
მან მოტყნა კლარა. მურმანმან მოტყნა გვანცა. ელგუჯამ, ინეზას ძმამან,
მოტყნა ნინო. კოტემ მოტყნა ინგა. გუგამან მოტყნა სოსო, კლასელი ნანუ-

ლისი. რევაზმან მოტყნა მედეა. ვანომ მოტყნა დალი. გაიოზმა მოტყნა თეონა. გელამ მოტყნა ფაცია. უჩამაც მოტყნა ფაცია. ნოდარმა, ამირანის მეზობელმა, მოტყნა ანგელინა. გურამმა მოტყნა ნაირა. პაატამ მოტყნა ფატი, დაი ფაციასი. ნუგზარმა მოტყნა ნინელი, ცოლი მურადისი. კოტემაც მოტყნა ნინელი. პეტრემ, ნანულის ქმარყოფილმა, მოტყნა ინგა. ტარიელმა მოტყნა ლამარა, მეზობელი კარისაი თვისი. ზაზამაც მოტყნა ლამარა. გრიგოლმა, გივის მეზობელმა, მოტყნა მერი. როინმა მოტყნა ლიდა, ცოლი გრიგოლისი. ელგუჯამ მოტყნა ირმა, ქალიშვილი როინისი. მამუკამ, ინგას კლასელმა, მოტყნა და ცოლად შეირთო ნანა, მეზობელი ესმასი. ბიჭიკომ, ჯემალის ძმამ, მოტყნა ციური, შორენას ნათლია. გოგიმ, მიხეილის ძმამ, მოტყნა კლარა. ნიკამ მოტყნა ნანა. ოლეგმა, ელისოს ქმარმა, მოტყნა ლია, ამირანის დაი. ზაურმა მოტყნა შიო, კლასელი ნიკასი. ბონდომ მოტყნა გვანცა. თედომ მოტყნა შიო. ზურაბმა მოტყნა მერი. ავთანდილმა მოტყნა ნუნუ. პეტრემ მოტყნა ქეთევან. მამუკამ მოტყნა ნინო. მერაბმა, ძმამ ელიზბარისა, მოტყნა ლელა. გოგიმ მოტყნა შუქია. გივიმ მოტყნა ენრიკო. კოტემ მოტყნა ლუიზა. ბიჭიკომ მოტყნა ლანა. ირაკლიმ, ზაზას ძმამ, მოტყნა ლუიზა. ტარიელმა მოტყნა ასმათ, დაი ნესტანისი. ნოდარმა მოტყნა თეონა. შალვამ მოტყნა გვანცა. თამაზმა, ბიძინას ბიძაშვილმა, მოტყნა ბელა, შალვას დეიდაშვილი. გრიგოლმა მოტყნა მათიკო. მამუკამ მოტყნა სალომე. გიამ მოტყნა ინგა. უჩამ მოტყნა ფატი. ხოლო მას ჟამსა შინა ინება ლევან, მეზობელმან ნატალიასი, რათა იძიოს ყოვლით კერძო ქალი ქმნულკეთილი, რათა შეირთოს იგი ცოლად. და წარგზავნა ყოვლით კერძო მაძიებელნი და ფოტოგრაფნი, რათა სადაცა ჰპოვებდენ ქალსა ქმნულკეთილსა, ფოტოსურათისა მიერ აუწყონ მას. ხოლო ერთკერძონი იგი მიიწივნეს რაი გივის უბნად, ეუწყა ნინოსათვის სიკეთე და შვენიერებაი პირისა მისისაი. და ვითარცა იხილეს, ჩაასურათეს იგი და წარგზავნეს წინაშე ლევანისა. და ვითარცა იხილა ფოტოსურათი იგი, აღეგზნა სიყვარულითა მისითა და მსწრაფლ წარავლინნა მანქანანი და უბრძანა, რათა აუწყონ მშობელთა ნინოსათა ნებაი მისი. ხოლო რა მაცნენი სასტიკითა უვარითა უკუ შემოიქცნენ, განრისხდა ლევან უფრიადეს. და მყის აღისრბოლა, ვითარცა არწივმან, და მიუფრინდა და მიართო ნინოს ძღვენი და ტურფა შესამოსელი ურიცხვი, და ტრფიალებითა აღგზნებული ჰლიქნიდა მას, რათა იქმნეს იგი ცოლად მისსა. ხოლო რა ნინომან ნახა ეგზომი თვალმარგალიტი, ოქრო და ეგზომ მრავლად კიდებულნი აქლემნი და ჯორნი ლარითა, მთრვალისაებრ ცნობა წაუვიდა და დაავიწყდა ოთარიცა და დღეცა ხელისა სათხოვნელად მისი მოსვლისა. ხოლო თვისი ხელი მყის დასდვა ლევანისა ფალოსსა ზედა და მერმე შეახო მუტელსა თვისსა და სთქვა:

"მე ცოლი და შენ ქმარი!". და წარიყვანა ლევანმან ნინო და მივიდნენ შინა და შემოიფხრიწეს სამოსელი და თავდავიწყებულსა ტყნაურსა მიეცემოდიან. ხოლო რა ოთარმან ესე ამბავი გაიგო, შეძრწუნდა და გამოადინნა ცრემლნი. და ნესტანიცა ცრემლითა ილტობოდეს. ხოლო მათ დღეთა შინა ბელა მოტყნა ბესიკმა. გვანცა მოტყნა ფირუზმა. ნესტან მოტყნა ნოდარმა. ლუიზა მოტყნა ბონდომ. ესმა მოტყნა ზაურმა. ფატი მოტყნა ტარიელმა. ნაირა მოტყნა გაიოზმა. ბორენა მოტყნა ამირანმა. მანანა, დედა ლევანისი, მოტყნა გივიმ. ხატია მოტყნა ოლეგმა. შუქია მოტყნა მერაბმა. მათიკო მოტყნა ნიკამ. ნიკა მოტყნა ზაურმა. ირინე მოტყნა ირაკლიმ. მირანდა მოტყნა გოგიმ. ნუნუ მოტყნა გოჩამ. ქეთევან მოტყნა ელგუჯამ. ნანა მოტყნა ბეჟანმა, ძმამან ესმასმან. მერი მოტყნა თამაზმა. ნატალია მოტყნა ბადრიმ, ლევანის ძმამ. ლალი, მამიდაშვილი სალომესი, მოტყნა ანდრომ, ვანოს ბიძაშვილმა. სალომე მოტყნა გიამ. ასმათ მოტყნა აკაკიმ, მამამ ლევანისამან. ლატავრა მოტყნა ჯუმბერმა. ნინელი მოტყნა პეტრემ. კლარა მოტყნა ილიამ, მალხაზის ძმამ. ციცინო მოტყნა ლადომ. მარიამ მოტყნა ჯიმშერმა. ლამარა მოტყნა პაატამ. ნონა, დაი პაატასი, მოტყნა ზაზამ. ხოლო რა ლევან ხანი დაჰყო ნინოსა თანა და ტყვნაი მისი მოეწყინა, მიჰყო ხელი თრობას. და მოიწყინა ნინომაცა. დაჭნა ვარდიცა მათისა სიხარულისა, მათისა სიყვარულისა ქარი დადგა, მათი ნავი - უტაროსობითა. რა სიყვარულისა მათისა მშვილდი გატყდა, მიჯნურობისა მათისა ისარიცა დაილეწა, მათისა სიხარულისა სამოსელსა ალმასიცა დაუძველდა, მათისა სიამოვნისა წყარო დაშრა. ხოლო ცდა როდი დააკლო ნინომ. მრავალჯერ დადგა იგი წინაშე ლევანისა და გამოსცემდა ბრწყინვალებასა და ფრიადსა სულნელებასა, გარნა უძრავქმნილ იყო ფალოსი ლევანისაი და ეშმაკისაგან დახრილ. მაშინ თქვა ნინომ გულსა შინა: "ყლე რა მართლად არა დანერგულ იყოს, სიმრუდე მაშინვე აჩნია. რა ყლესა ზედა ნაყოფი ცოტა გამოვიდოდეს, გაზაფხულ მისსა აყვავებასა ზედა გამოჩნდების". და ცრემლით გარე განვიდა და იჯმნა ლევანისაგან და დაუბრუნდა სახლსა მშობლიურსა და მოეგებებოდა ნესტან შიშნაცემი და მწუხარე ფრიად. ხოლო ნინო მიუგებდა: "მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთვალნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყვავილი ჩემი დააჭნო, შვენიერებაი სიკეთისა ჩემისაი დააბნელა და დიდებაი ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის". ხოლო მას ჟამსა შინა ოთარის ფალოსი საგონებლისა ცეცხლითა იწვოდა და ვერ დაიდგმიდა ადგილსა. და რა ამბავი ნინოს ლტოლვისაი სცნა, აღჯდა მანქანასა თვისსა და მიისწრაფა და მივიდა და უხმო. ხოლო ნინო შინა არა დახვდა, რამეთუ წასულ იყო სატყნაუროდ გრიგოლთანა. არამედ ფალოსისუზომოთმოყვარეი ნესტან

მოეგება და ჯეროვნად პატივ სცა და მრავლითა ტყნაურითა მოამშვიდა. მერმე ტკბილითა მუსაიფითა თავს შეიქცევდნენ და ნინოს მოელოდნენ. მერმე მოვიდა სანატრელი. ოთარმან რა იხილა, ზე აიჭრა. ხოლო ნინო ნამეტნავის გულისა ტკივილის და მწარეს ცეცხლის დებისაგან ათრთოლდა ხის ფურცელივითა, დაბნდა. და რაღა ბევრი ვთქუა. ნესტანმან დაუტევა ოთახი იგი. ხოლო ნინო და ოთარ გულისა მონაცემთაებრ მოეხვივნეს ერთმანეთსა, მოჰკოცნეს ერთმანეთი და მყის ერთი ჯერი იტყნაურეს. მერმე საჭამადი და ღვინო მოიღეს. ზოგჯერ თავსა გარდანახადსა უბნობდეს, ზოგჯერ ერთმანეთსა ეხვეოდიან. მერმე ქმნეს ტყნაური საკადრისი და ფუნდამენტური. მზე და მთვარე ერთად შეიყარნეს, მუშკი და ამბარი ერთად შეიზილნეს, ვარდი, სუმბული და ნარგისი ერთად შეირია. ორთავე პირთაგან დღისაებრ განათლდა ღამე. ფრინველნი შტოთა და იადონნი ვარდისა დაუბნებითა ტყნაურულევარობასა მათსა აქებდეს, მათისა სიხარულისათვის წალკოტსა შიგან ყვავილნი მოცინარეობდის, ვარდი მათგან ითხოვდა სურნელობასა და ნარგისი - სანდომობასა. და მათ დღეთა შინა ყოველი ხარობდა და ტყნაურობდა. მათ დღეთა შინა გივიმ მოტყნა ირინე. ჯიმშერმა მოტყნა ელისო. ზაზამ მოტყნა ნაირა. ზურაბმა მოტყნა ვიოლეტა. ჯაბამ მოტყნა ნუნუ. ბიძინამ მოტყნა ზაურ. თორნიკემ მოტყნა შუქია. მიხეილმა მოტყნა მეგი, გოგის ცოლყოფილი. ვანომ მოტყნა ირმა. ნუგზარმა მოტყნა ლატავრა. ჯუმბერმა მოტყნა ესმა. დავითმა, ლუიზას მეორე ნათლულმა, მოტყნა ხატია. ნუგზარმა მოტყნა ციცინო. ჯუმბერმა მოტყნა გვანცა. გიამაც მოტყნა გვანცა. ჯემალმა მოტყნა ზეინაბ. პაატამ მოტყნა ლელა. ელიზბარმა მოტყნა თეა, ცოლი მერაბისი. ლადომ მოტყნა მათიკო. შალვამ მოტყნა ბორენა. შოთამ, რუსუდანის ძმამ, მოტყნა იამზე. შალვამ მოტყნა თამარ, დაი შუქიასი. კოტემ მოტყნა ზაირა. ფირუზმა მოტყნა მაია, მიხეილის მეზობელი. უჩამ მოტყნა ქეთევან. ანდრომ მოტყნა ნინო. არსენმა მოტყნა ბელა. ელდარმაც მოტყნა ბელა. მურადმა მოტყნა თორნიკე. თენგიზმა მოტყნა სოფიო, ძმისშვილი თვისი. გელამ მოტყნა ფატი. როინმა მოტყნა სალომე. გაიოზმა მოტყნა ნუნუ. მურმანმა მოტყნა დალი. მურმანმავე მოტყნა მზია, დაი ლადოსი. ტარიელმა მოტყნა ლეილა, ვიაჩესლავის ცოლყოფილი. გოჩამ მოტყნა ლონდა. მალხაზმა მოტყნა ინეზა. ბესიკს ეწვია ალექსანდრე, ძმობილი მარეხისი. და ვითარცა ესმა მისლვაი ამის ნეტარისაი, აღდგა და მიეგება წინა ბესიკ, და თაყვანი სცა სიხარულით და ამბორს უყოფდა წადიერად ფალოსსა მისსა. და წარიყვანა სახედ თვისა და მრავალთა დღეთა განუსვენა და კეთილად იტყნაურეს მრავალთა დღეთა. თედომ მოტყნა ინგა. ბონდომ მოტყნა მაია. გურამმა მოტყნა ასმათ. რევაზმა მოტყნა ლამარა. ელგუჯამ მოტყნა გურანდა. გუგამ მოტყ-

ნა ენრიკო. მამუკამ მოტყნა ნატალია. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. და მე ვითარ შემძლებელ ვარ აღწერად ყოველთა მათთა მოტყნაურეთა მოღვაწებასა, არამედ კრძალულებითა ზღვაში წუეთი ვთქუი. და ვიტყვი ამასაცა: სრულ იქმნა წამებაი მათი და შეირაცხნეს იგინი პირველთა მათ მოწამეთა თანა და მათ თანა იხარებენ სასუფეველსა ცათასა გვირგვინოსანნი წინაშე უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესა, რამეთუ სიყვარული იყო ყოვლადვე მათ შორის და მათ ჭეშმარიტად მოტყნეს ერთურთი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება
2. უცნობი ავტორი, ევსტათი მცხეთელის წამება
3. იოვანე საბანის ძე, ჰაბოს წამება
4. უცნობი ავტორი, დავით და კონსტანტინეს წამება
5. უცნობი ავტორი, ნინოს ცხოვრება
6. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა
7. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
8. ფახრ-ედ-დინ გორგანი, ვისრამიანი (თარგმანი სარგის თმოგველისა)
9. უცნობი ავტორი, მატიანე ქართლისა
10. უცნობი ავტორი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი
11. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი
12. უცნობი ავტორი, რუსუდანიანი
13. ზურაბ ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბილისი, 1982
14. აბრაამ მოლი, ხელოვნება და ეგმ, მოსკოვი 1975 (რუსულ ენაზე)
15. აბრაამ მოლი, ინფორმაციის თეორია და ესთეტიკური აღქმა, მოსკოვი, 1966 (რუსულ ენაზე)
16. მაქს ბენზე, ესთეტიკა, ბადენ-ბადენი, 1965 (გერმანულ ენაზე)

სექტემბერი, 1993

"მუტაცია": კომუნიკაციის უარყოფა და სიტყვის წესრიგი

"მუტაციის", როგორც მხატვრული ტექსტის, შესახებ, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ იგი არ საჭიროებს თავისი არსებობის გამართლებას და ლოგიკური ხერხებით არგუმენტირებას, როგორც არ საჭიროებენ ამას რომანის პერსონაჟები. ისინი, უბრალოდ, არსებობენ და ყოველნაირად ცდილობენ რამენაირი მიზნის გაჩენისგან ამ არსებობის დაცვას. თუმცა, ეს უკვე მარცხის ველში შესვლისთვის სამზადისიცაა, და ვინ უნდა ამოდგომოდა მხარში "მუტაციის" გმირებს და ვის უნდა ეტვირთა მათზე უწინ მარცხის აღიარების და მეთოდად მისი გადაქცევის მთელი სიმძიმე, თუ არა – ავტორს. გზადყოფნა ხომ უკვე მარცხია. როცა არჩევანს უარყოფენ, ეს მხოლოდ თამაშის საზღვრების გაფართოების ვნებაზე მიუთითებს და არა – არჩევნის უარყოფის უნარზე. ამ ფაქტს გაჩერებაზე თუ მოსაცდელში თავშეყრილი ადამიანები, რომელთაგან უმრავლესობა მშობელთა ანუ უკვე შემდგართა წრეს განეკუთვნება, ზურგსუკან განიცდიან, მათთვის ეს ფაქტი განცდილი გამოცდილების აღმნიშვნელი და ნებისმიერ მოსალოდნელ სტრატეგიულ სიტუაციაში ასამოქმედებელი იარაღია; სახურავზე დაბანაკებული ბავშვებისთვის კი არჩევნის უარყოფა დამარცხება-გამარჯვების მიღმა არსებული იდეალური საუფლოს, იდეალური სამკვიდრებლის, როგორც ორიენტირის, აღიარებას და მისადმი ერთგულებას ნიშნავს, რაც შესაბამისი მოქმედებით, ქცევის შესაბამისი წესით უნდა გამოიხატოს. ამის შესახებ ბავშვებმა არაფერი იციან, მაგრამ ეს უწყის ავტორმა და ცდილობს მათ წამოწყებას დაავიწყოს მიზანი როგორც კონტექსტი და როგორც მშობელთა გამოცდილებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიმავალი ჩვეულებრივობა. ამ თვალსაზრისით, ავტორი, ცხადია, იქ დგას, სადაც თავისი გმირების მოსალოდნელ სასოწარკვეთას ოდნავ მაინც შეეშველება იმით, რომ სასოწარკვეთით-ცხოვრების საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს და მათ თამაშში ჩართვისთვის მზადყოფნას დაუდასტურებს არა მხოლოდ საქმით, არამედ – სიტყვითაც, და მათი, როგორც განდობილთა, სამყაროს სრულუფლებიან წევრად წარმოიდგენს თავს. ყოველ შემთხვევაში, მე არ მინდოდა იმაზე უფრო შორს წასვლა, ვიდრე ამას სიტყვებთან ერთად მოვახერხებდი. ამასთან, არაფერია საძრახისი, მწერალი თუ გულწრფელად აღიარებს: გასარკვევად ძნელია, სად მთავრდება განცდის წინაშე უმწეობის საცნაურყოფა და სად იწყება სიტყვის მიმართ ერთგულება. ჩემი ინიციატივა არა მხოლოდ სიტყვის ფუნქ-

ციონალური დიქტატის მეთოდურ აღიარებას გულისხმობდა, არამედ – სიტყვის, როგორც ადგილის და ამავე ადგილისთვის მისაღები ერთადერთი ავტორიტეტის, საცნაურყოფას. მართლაც, რომანში სიტყვაა ერთადერთი ადგილი და თავშესაფარი, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, და მეტასტატუსით მეტასიტუაციური თამაშის ფუნქციაც სიტყვის პრიორიტეტს წარმოადგენს და არა – აზრისას ან მიზანმიმართული იდეისას. თანამედროვე ბელეტრისტიკა ტექსტის სტრუქტურაში მკითხველის, როგორც ისტორიულად განსაზღვრული და რეგიონალური განწყობის საფუძვლადმდებარე პარადიგმებით ზღვარდებული თანაშემოქმედის, ჩართვის მრავალ წარმატებულ საშუალებას ფლობს და მათი ოპერაციული სიზუსტის ხარისხიც წინდაწინაა ცნობილი, მაგრამ ყველა შესაძლო დადებითი შედეგი უქმდება, ავტორმა თუ უარი არ თქვა, ერთის მხრივ, იდეოლოგიაზე, მეორეს მხრივ კი, იდეოლოგიზებული მკითხველის გულის მოგებაზე, ეს კი ზედმიწევნით რთული საქმეა. მე დრო-სივრცის დეიდეოლოგიზაცია ვცადე, მაგრამ არა ტრადიციული გზით, - როცა დრო-სივრცის ინტენსივობის მართვა ცნობიერების ნაკადს ეკისრება ან იდეალურ აწმყოში მათი გაფანტვა წარმოებს ან სიტყვების აბსტრაქციად მათი გარდასახვა ხდება ან დროც და სივრცეც პროექტია ჯერარარსებული დრო-სივრცის უტოპიის შესაქმნელად, არამედ – სარომანო დრო-სივრცის, როგორც ტოპოლოგიური ორერთობის, როგორც ლოგიკურ-ემპირიული ორერთობის, წარმოდგენით. "მუტაციის" დროც და სივრცეც მხოლოდ იმდენადაა ემპირიულად ავტონომიური, რამდენადაც ლოგიკურადაა იგი ასეთი, და – პირიქით. ეს მდგომარეობები ერთდროულად არსებობენ, რაც გამორიცხავს ცენტრის გაჩენის შესაძლებლობას, ხოლო თანაშემოქმედი არც ერთ შემთხვევაში თავს ტექსტიდან ამოგდებულად არ გრძნობს, იგი ნებისმიერ წამს იქაა, სადაც უნდა იყოს; ტექსტის ყველა ფორმალური კომპონენტი მკითხველს საშუალებას აძლევს, ნაწარმოები მეთოდურად მიითვისოს და მითვისების ამ აქტითვე აღიაროს მისი მითვისების შეუძლებლობა. როგორც ცნობილია, მკითხველსა და ტექსტს შორის ურთიერთობა არაფრით განსხვავდება ერთი ადამიანის მეორე ადამიანთან ურთიერთობისგან, სამყაროსადმი ინდივიდის მიმართებისგან. ჩვენ, ყველანი, ერთმანეთისთვის – ერთდროულად – ტექსტებიც ვართ და მკითხველებიც. ჩვეულებრივ, ადამიანი სოციალურ წრესთან, საგნებთან და მოვლენებთან ურთიერთობას წინასწარგანსაზღვრული განწყობის საფუძველზე ამყარებს, ყოველი კონკრეტული განწყობა კი ურიცხვი ურთიერთგამომრიცხავი თუ შემავსებელი კომპონენტის ერთობლიობაა. რაც შეეხება სახეზემყოფ და რეალიზაციისკენ მიმართულ ამა თუ იმ სიტუაციას, აქ უკვე საქმე გვაქვს მა-

ტერიალიზაციის აქტთან, იმასთან, რაც შედგა როგორც ასეთი, როგორც ერთადერთი, თუნდ – ტიპობრივად ერთადერთი. სუბიექტმა, რომელიც იწყებს თავისი ნების რეალიზებას, ყოველთვის იცის, რა მოითხოვოს ობიექტისგან, და მეთოდურად ცდილობს, ობიექტი თავის ნებას დაუმორჩილოს. მსგავს სამოქმედო ველში მოხვედრილი ნებისმიერი ობიექტი ამით, მართალია, არ კარგავს თავის დამოუკიდებლობას და ლოგიკურად უცვლელი რჩება, მაგრამ ემპირიულ დონეზე ემორჩილება მოქმედი სუბიექის ნებას და ამ უკანასკნელის მიზნის შესაბამისად ტრანსფორმირდება. სოციალური, კულტურულ-ისტორიული კონტექსტი სტრატეგიულ ურთიერთობებს ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის და ადამიანში აძლიერებს ობიექტის სახით ყოველი ცოცხალი თუ არაცოცხალი ფენომენის წარმოდგენის ვნებას, მაშასადამე, ასპარეზი ეთმობა ფენომენს, როგორც საშუალებას, როგორც მოხმარების ობიექტს, ხოლო ფენომენი, როგორც მიზანი, ითრგუნება. თავის დროზე კანტს არ ჰქონია ილუზია, რომ ოდესმე ადამიანი ადამიანისთვის მხოლოდ მიზანი იქნებოდა. ინდივიდი ინდივიდისთვის, მეტ-ნაკლებად, ყოველთვისაა საშუალება, მაგრამ თუ მას სურს თავისი მორალური სახის შენარჩუნება, ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული მეორე ადამიანზე, როგორც მიზანზე. თუ თანამედროვე სიტუაციას გავიაზრებთ, როგორც კრიზისულს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კრიზისის ფუნდამენტური მახასიათებელია ფორმულა, რომ დღევანდელ ადამიანს არ აინტერესებს იმის მიზანი, რასაც საშუალებად აქცევს. ეს გაცილებით ტრაგიკული ფაქტობრივი ვითარებაა, ვიდრე – მიზნის საცნაურყოფა და უარყოფა. დღევანდელი ადამიანის მიმართება მეორე ადამიანთან, და საერთოდ სამყაროსთან, მთლიანად სტრატეგიულია, რაც გამოიხატება მოქმედი სუბიექტის მიერ წასაკითხი ობიექტისთვის ფუნქციის მინიჭებით. თავისთავად, არც ერთ ფენომენს, ადამიანი იქნება იგი თუ ცხოველი, მცენარე თუ მინერალი, ფუნქცია არ გააჩნია. მეორეს მხრივ კი, არც მისი არსია ჩვენთვის ცნობილი. ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემა მეტაფიზიკურია, ხოლო კატეგორიული იმპერატივი და კანტის მიერ ამ იმპერატივის ირგვლივ განვითარებული მსჯელობა სწორედ ცუდი უსასრულობიდან თავის დაღწევის საშუალებას იძლევა. სუბიექტი ობიექტს მას მერე ანიჭებს ფუნქციას, როცა უგულებელყოფს მას, როგორც მიზანს, როგორც რაღაც ტრანსცენდენტური არსის მატარებელს. ფუნქციის მინიჭება დადაღვას, განჩინებას, დაუფლების ნების გაცხადებას ნიშნავს. სოციოკულტურულ სიტუაციაში ნებისმიერი სახის ფუნქციის გაჩენის მომენტი შეიძლება დახასიათდეს, როგორც – კომუნიკაციის მსხვერპლად ფენომენის გადაქცევის მომენტი. ამ კონტექსტში, კომუნიკაციას განვი-

ხილავ, როგორც გაგების საპირისპირო და ფლობის სტრატეგიით სტრუქ-ტურირებულ მოვლენას, რომლის ნათელყოფა გაცილებით მნიშვნელო-ვანია, ვიდრე აქსიოლოგიურ ჭრილში განხილვა და წინასწარშემუშავე-ბული მითის სახელით მისი უარყოფა. კომუნიკაცია ადამიანის, როგორც სოციალური არსების, ხვედრია, კატეგორიული იმპერატივის შუქზე კი – ტრაგედია. ყველაფერს, რასაც თვალს ჰკიდებს ადამიანი, კომუნიკაციის მსხვერპლად ქცევა უწერია. ისტორიის სხვადასხვა პერიოდები მხოლოდ ამძაფრებენ ან აცხრობენ საკომუნიკაციო ურთიერთობებს. ამის შესაბა-მისად, ხელოვნება ყოველთვის ხელახლა გაიაზრებს მოდიფიცირებად თუ თვისებრივად სახეცვლილ კონტექსტში თავის ადგილს და მნიშვნელ-ობას. ხელოვნების საგნის – როგორც დაუინტერესებელი ჭვრეტის ობი-ექტის – დახასიათება საკითხის მხოლოდ ერთი მხარის ანალიზს გულისხ-მობს, თუმცა კი – ყოველმხრივ გადამწყვეტს. როგორც ჩანს, ამიტომაც მოითხოვა ამ საკითხმა შემდგომი კვლევა-ძიება როგორც სამეცნიერო, ისე – სამხატვრო ლოგიკის ენაზე. ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობისაა ჰერმენევტიკაში მიღებული თვალსაზრისი, რომ თანამედროვე ეპოქა კუ-ლტურის ისტორიაში ის მონაკვეთია, როცა ხელოვნება იძულებულია თავი იმართლოს სამყაროს წინაშე, ყოველმხრივ ამტკიცოს თავისი არსებობის სამართლიანობა. ანალოგიური ეპოქები ისტორიაში მრავლად მოიპოვება. ჩვენმა დრომ, უბრალოდ, უკიდურესად გაამძაფრა თავის თავში ხელოვ-ნების გარკვევის, ცხოვრებასთან თავისი დამოკიდებულების გადასინჯ-ვის თუ დაზუსტების მოთხოვნილება. ამ თვალსაზრისით, სადღეისოდ, აქტუალიზაციას განიცდის ხელოვნების საგნის – როგორც დაუინტერე-სებელი ჭვრეტის ობიექტის – საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მეოცე საუკუნეში აღინიშნება ყველაზე უკომპრომისო მოძრაობები ხე-ლოვნების თვითკმარი ბუნების, და საერთოდ ხელოვნების უპირობო და უსაზღვრო ავტონომიის, დასაცავად და განსამტკიცებლად, იგივე მეოცე საუკუნეში გამძაფრებულია ხელოვნებაზე იდეოლოგიის და რევოლუცი-ური ცნობიერების შემოტევა, ბრძოლა ამა თუ იმ სოციოპოლიტიკურ, ვიწ-რორეგიონალურ კონტექსტში მისი ოპერაციონალური ფუნქციონირების-თვის, მისთვის მიწყივ რამენაირი ფუნქციის მინიჭებისთვის. როგორც ჩანს, ხელოვნების საგანმა თავადვე უნდა იზრუნოს საფუნქციო ურთიერ-თობებისგან გასარიდებლად, ფუნქციონალური დატვირთვისგან თავის დასაცავად. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ არც ერთი კონტექსტი, რომელ-იც თავის სამოქმედო ველზე მოძრავი ძალების შესაცნობად თავისსავე გათვალისწინებას მოითხოვს, მიზანმიმართული არაა. მაგრამ კონტექსტ-მა კარგად იცის, ვისგან მოითხოვოს მსგავსი ძალისხმევა და დამკვირვებ-

ლისგან ამოსაწყავი ენერგიის როგორი ინტენსივობის ფასად გაიღოს ინ-ფორმაციის ესა თუ ის რაოდენობა. დამკვირვებელი, ერთი ნაბიჯით მა-ინც, ყოველთვის წინ უსწრებს კონტექსტს და ცდილობს კითხვა დაუსვას იმას, რაც თავად სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა – კითხვის დამს-მელ ინსტანციას. მცდელობის წარმატება მოქმედი სუბიექტის ძალისხ-მევის სისწრაფის პირდაპირპროპორციულია, წინასწარდაშვებული შედე-გის სახით კი კითხვის დამსმელი ინსტანციის მიერ გამოშვებული შეტყო-ბინებისა და მოქმედი სუბიექტის მიერ შემუშავებული მიზნის ურთიერთ-დამთხვევას მოინიშნავს. დასავლური ფილოსოფია მიზნის ამ ტიპს რეგუ-ლარულ მიზანს უწოდებს და განასხვავებს კლასიკური, ტრანსცენდენ-ტური მიზნისგან, რომელიც მხოლოდ იმდენად მნიშვნელობს, რამდენა-დაც მყარია და წარუვალი მისკენ – როგორც სინათლის უწყვეტი წყაროს-კენ – მიმართული ცნობიერებისთვის; ეს სიმყარე და მუდმივობა კი სულ-აც არაა დამოკიდებული ცნობიერების როგორობაზე. ამის საპირისპირ-ოდ, რეგულარული მიზანი მოწყვეტილია იდეალური და უპირობო ღირე-ბულების სფეროს, და მნიშვნელობს მხოლოდ როგორც ობიექტი, რომე-ლიც, მოტივირებათა შესაბამისად, არა მხოლოდ სახეს იცვლის, არამედ – ადგილსაც და დროსაც. მაშინაც კი, როცა იგი ამოქმედებისთანავე მარც-ხისთვისაა განწირული, ბეჯითად ცდილობს მოსალოდნელ მარცხში ტრი-უმფით შესვლას, მის დათმენას და, რაც მთავარია, მასში, როგორც კონ-ტექსტში, თავისი სასიცოცხლო ძალების განთავსებას. სხვა სიტყვებით, აზროვნების ახალი ესთეტიკისთვის გადამწყვეტია არა გამარჯვება, არამედ – გამოცდილება. აქ სახეზეა პროცესის, და არა შედეგის, ფილო-სოფია. მსჯელობის ამ გზით განვითარება ბუნებრივად მოითხოვს კლასი-კურ მეტაფიზიკურ ტრადიციასთან ურთიერთობის გარკვევას, რაც, უმთ-ავრესად, ხსენებული ტრადიციის უარყოფით მთავრდება ხოლმე. ამ ტენ-დენციამ სადღეისოდ ისე განიმტკიცა პოზიციები, რომ თავადვე იქცა სერიოზული ეჭვის ობიექტად. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო გავლენიანი მოჯანყეებიც უმწეოდ და სასაცილოდ გამოიყურებიან ჰეგელის ცნობილი ფორმულის ფონზე, - რასაც გაურბიხარ, სწორედ იმაზე ხარ დამოკიდებუ-ლიო. არაფერი იქნებოდა გასაკვირი, საქმე რომ თამაშს ეხებოდეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, - მეთოდური უარყოფის ოპერაციას, რაც დეკ-არტის მერე ლამის სასიცოცხლო მინიმუმად ექცათ მოაზროვნეებს. თანა-მედროვე ესთეტიკა მსგავსს არაფერს სჩადის. მეორეს მხრივ, ეს მისი ბედისწერაცაა: მეტამზერის ნებისმიერი გამოვლინების ნგრევის ჟინით შეპყრობილი, კბილით იცავს საკუთარ მზერას. თუმცა, ალბათ, მსგავსი მსჯავრი არ უნდა გამოვუტანოთ ყველა სპეკულატორს, არამედ მხოლოდ

– ნაწილს, მათ შორის – პოპულარულ, უნივერსიტეტებიდან კაფე-რესტორნებსა და თითქმის საროსკიპოებში გადასულ თეორიებს. რაც შეეხება ნივთების ახალი წესრიგით განსაზღვრულ კონტექსტს, იგი განმსაზღვრელია იმდენად, რამდენადაც თავისი გავლენის ველში თავს უყრის არა სხვადასხვა ხარისხის და თვისების მქონე პროექტებს, არამედ – ამ პროექტებს შორის დამყარებული ღია თუ დახურული მიმართებების კომბინაციებს. ეს მცირე საკონტექსტო ექსკურსიც ნათლად მეტყველებს საფუნქციო ურთიერთობებისგან გაცლის მოწადინე ხელოვნების საგნის წინაშე მდგარ სირთულეებზე. ვიდრე ხელოვნების საგნის მიერ საკუთარი თავის – როგორც უფუნქციო ობიექტის – გადარჩენის პროცესის აღწერაზე გადავიდოდე, ყურადღება უნდა მივაპყრო საფრთხეს, რომლისგანაც არასოდესაა დაზღვეული იდეოლოგიის წნეხს გადარჩენილი მწერალი და რომელიც იმ ფენომენის წინააღმდეგ აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების ილუზიაში მჟღავნდება, რომელსაც როლან ბარტი სოციოლექტს უწოდებს. საფრთხის ეს ნაკადი თვით შემოქმედის ბუნებაში იღებს სათავეს და, აქედან გამომდინარე, ჯერ ერთი, მთლიანად მეტაფიზიკური მუხტითაა განმსჭვალული, მეორეც, მისი სტრუქტურა იმდენადაა სტრუქტურა, რამდენადაც წმინდა მეტაფიზიკის ნაკლებობას განიცდის. მწერალი სწორედ ის ფიგურაა, რომელიც თავისი ბუნების უღრმესი – ურიცხვი პირობით ნიშანდებული – სათავიდან მომდინარე ნაკადს გზას უკეტავს რევოლუციური ცნობიერებისკენ. სადაც ტექსტია, იქ არ ხორციელდება კომუნიკაცია. ამ თვალსაზრისით, ტექსტი, როგორც დადგენილი, ერთხელ და სამუდამოდ გაფორმებული ფენომენი, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ გზა ტექსტისკენ, როგორც მარადიული მიზნისკენ, ხოლო მწერლის შრომა გულისხმობს არა საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესებას, არამედ – სიტყვების საშუალებით და სიტყვებად საკუთარი თავის გარდაქმნის გზით ამ არხების მოშლას. გარდაქმნის ხსენებული აქტი გარდასახვის უმაღლესი საფეხურიცაა, ხოლო რევოლუციის ცნებას მთლიანად იმორჩილებს თამაშის ცნება. უთქმელადაც ცხადი უნდა იყოს, რომ მწერალი ამ დროს შეუმჩნევლად გადის თამაშიდან და თავისი ტექსტის რიგით მკითხველთა – ანუ თანაშემოქმედთა – შორის იკავებს ადგილს; ტექსტსა და მკითხველს შორის ურთიერთმიმართების წესი კი ასეთი სახით წარმოგვიდგება: ტექსტსა და მის მკითხველს შორის საკომუნიკაციო დისტანციის ზრდის პროცესი საკომუნიკაციო ურთიერთობიდან სიტყვების გამოთავისუფლების დაჩქარებისა და გაგების ზრდის პროცესის პირდაპირპროპორციულია. მაგრამ მსგავსი სპეკულაცია უარყოფს აბსტრაქციით ნაჩქარევ ტკბობას, ისე, როგორც – ირაციონალურისკენ ნაადრევ ლტოლვას.

თანამედროვე სამყაროში სიტყვის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს: ესაა გზა საგნებისკენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უკუპროცესი გამორიცხულია. სიტყვა კი არ სახელდებს და აღნიშნავს საგანს, არამედ საგანი სახელდებს და აღნიშნავს სიტყვას. რამდენადაც უფრო ზუსტად – და, მაშასადამე, უანგაროდ – აღნიშნავენ საგნები სიტყვებს, მით მეტია გაგების ხარისხი და მით მეტია სიტყვების ეროტიკულ ველში მკითხველის მოხვედრის ალბათობა. ამასთან, ხელოვნების საგნის გადარჩენის საკითხი ტოლფასია საკითხისა: რაში მდგომარეობს სიტყვის გადარჩენის არსი? მწერალი რომ სიტყვის მსახურია, ეს მხოლოდ ამოსავსები შინაარსის მომლოდინე ჭეშმარიტებაა. ამ ჭეშმარიტების შიგნით არსებულ ცარიელ სივრცეზე მითითება უკვე თავისთავად მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ სიტყვამ უპირობოდ იცის თავისი მიზანი ყოველ კონკრეტულ, რეგიონალურ-ისტორიულ გარემოში; როცა ის ამ მიზნისკენ მიემართება, სწორედ მაშინაა მწერალი მისი მსახური. მეორეს მხრივ, მწერალი ჟამთააღმწერელიცაა: იგი სიტყვის გზადყოფნას აღწერს. შეიძლება, სიტყვა არც მოითხოვდეს სხვას არაფერს, თუ არა – თავისი გზადყოფნის აღწერას. ესაა პროცესი, როცა სიტყვა თავისუფლდება ფუნქციონალური ბალასტისგან და ემზადება საიმისოდ, რომ თავის თავს მიაგნოს თავისუფალს, და თავისუფალმა გააკეთოს არჩევანი, დადგეს არჩევნის პირისპირ. მწერალი ხიდია აზრსა და სიტყვას შორის, მაგრამ მხოლოდ – რეგულარული. აზროვნების ისტორია ცხადყოფს – თუკი ასეთი ისტორია საერთოდ არსებობს – რომ აზრი და სიტყვა ერთმანეთს არ იცნობენ. მაგრამ – ნუ გაგვიკვირდება – ეს არც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ. მათი ურთიერთნაცნობობა ყოველწამიერი და მიწყივია; ისინი ყოველ წამს ეცნობიან და მაშინვე ივიწყებენ ერთმანეთს. სიტყვასა და აზრს შორის მანძილი დრო-სივრცის ველზე იმდენად მცირეა, რომ გვაიძულებს, ნებისმიერი ორი თანაბარმნიშვნელოვანი ჭეშმარიტების პირისპირ აღმოჩენილებმაც კი ან ერთი ვირწმუნოთ, ან – მეორე, მაშასადამე – ერთის უკუგდების ხარჯზე მეორეს მივანიჭოთ უპირატესობა, რითაც განხორციელდება არჩევნის აქტი, ხოლო პროცესი შეიძენს თვისებრივ და ფუნქციონალურ მაჩვენებელს, როგორც ხარისხს და როგორც ეტიკეტს. მაგრამ დასასრული ჯერაც ვერ ზეიმობს გამარჯვებას და ჯერაც უსასრულოდ იქსაქსება, ვინაიდან მანძილი – გნებავთ უსასრულოდ მცირე – მაინც არსებობს, და ეს უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტია. ამ მანძილს შეიძლება იმავდროულობაც დაერქვას, თუმცა უნდა დაზუსტდეს, რომ საუბარი არაა თანაარსებობაზე ან ლოგიკურ დროში არსებობაზე. აქ საუბარია, მხოლოდ და მხოლოდ, დრო-სივრცეში ურეალურესი თანმიმდევრობის

უღრმეს, და თითქმის მოუაზრებად, პროცესზე. აქ საუბარია გაცნობა-დავიწყების უსწრაფეს მონაცვლეობაზე, პერიოდულობის უსასრულო სიმცირეზე, მაგრამ მაინც – არსებობაზე. ხსენებული პროცესი იმასაც გულისხმობს, რომ ყოველი მორიგი, ახალი შეხვედრა მარცხით მთავრდება. ცხადია, მარცხის ფენომენი, ამ შემთხვევაში, მარცხისთვის მზადყოფნის განწყობას ეფუძნება და ორივე მხარის მიერ კომუნიკაციის აქტის წარმოქმნის არნდომაზე მიუთითებს. მაშასადამე, უმაღლესი ინსტანცია თავად განაცხადებს მათში თავის ნებას იმ ნიშნით, რომ სიტყვას და აზრს მიწყივ ხელახლა შობს, მიწყივ ბავშვივით უმანკოებს ახვედრებს მათ ერთმანეთს, და მყის ავიწყებს კიდეც ის მათ ერთმანეთს. რაც შეეხება იმ უსასრულო მცირეს, რომელიც გაცნობა-არდავიწყების ხსენებულ მონაკვეთში არსებობს, იგი სხვა არაფერია, თუ არა გაგება. ეს ის ცეცხლია, რომლის გავლითაც მკითხველები – თუ მკითხველის ცნებას უზოგადეს მნიშვნელობას მივანიჭებთ – ერთმანეთს ხედავენ და საცნაურყოფენ, და ამას ახერხებენ გაცილებით უკეთ და გაცილებით ბუნებრივად, ვიდრე – მაშინ, როცა ერთმანეთის პირისპირ დგანან, ერთმანეთს უმზერენ, ერთმანეთის ესმით, მაგრამ ცეცხლის არსებობა არ იციან. პირისპირ დგომა მოხმარების საგნად მეორე მხარის გადაქცევის ვნებას გულისხმობს, ხოლო როცა მკითხველში ცეცხლი იბადება, ეს ვნება შეშინებული ნადირივით უკან იხევს და ბოლოს შეიძლება საერთოდაც გადაიხვეწოს. ამას ისიც განაპირობებს, რომ სიტყვაში ოპოზიციური მუხტი, როგორც სიტყვის ჭეშმარიტი ყოფიერების მახასიათებელი, არ არსებობს; იგი ოპოზიციებისგან თავისუფალია, და, რაოდენ აბსურდულიც უნდა გვეჩვენოს, სწორედ ამიტომ ეძლევა ოპოზიციებით თამაშის დემონსტრირების საშუალება სიტყვას, როგორც ფუნქციონალურ მიმართებათა კომპლექსიდან ამორთულ და თავის თავშივე მიზნის მომპოვებელ ცოცხალ ორგანიზმს. რა თქმა უნდა, არსებობს საშიშროება, რომ აზრის და სიტყვის ყოველწამიერი ურთიერთგაცნობა-დავიწყების მეტაფორა უშინაარსო აბსტრაქციად მოგვევლინოს, თუ იმ შინაგან წინააღმდეგობასაც არ წარმოვაჩენთ, რომელიც სიტყვას იძულებულს ხდის, თავის თავში გამოიკეტოს და უარი თქვას ნივთების, საგნების თუ ხდომილებების სახელდებაზე, უარი თქვას საერთოდ გარეყოფიერებაზე, ყოველივე იმის ჩათვლით, რაც სახეზემყოფი არის ან არ არის ნებისმიერი იმ სუბიექტისთვის, რომელიც სიტყვას საჭიროებს, და ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენო არჩევნის პირისპირ წარდგომისთვის სიტყვის სამზადისი. ასეთი სამზადისი, როგორც პროცესი, აუცილებლობას წარმოადგენს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მოქმედი ფენომენი, თავისი ისტორიის განმავლობაში, ერთხელ მაინცაა ნამყოფი საკუთარ

თავს გარეთ, ანუ ერთხელ მაინცაა კრიზისული სიტუაციის დამთმენელი, ანუ – გარეყოფიერებაზე ამა თუ იმ ფორმით ზრუნვის დამთმენელი. აღნიშნული ზრუნვა, როგორც ხსოვნის ობიექტი, მას პერმანენტულად შეახსენებს თავის თავს, და შეახსენებს, აუცილებლად, როგორც პრობლემას. ხოლო რამდენადაც საქმე ეხება მწერლობას, აქ სახეზემყოფი თუ სახეზეარმყოფი რეალობა ჯერ ნიშნებად და სიმბოლოებად ტრანსფორმირდება, და მხოლოდ ამის მერე უკავშირდება და აღნიშნავს, ან ვერ აღნიშნავს, სიტყვებს. რაც შეეხება თანამედროვე ხელოვნებას, მასში დროულია არა სიმბოლო, არამედ – ნიშანი. სიმბოლიზმმა გამოხრა სამყარო. ეს უკანასკნელი, ნაცვლად იმისა, რომ თავს გვიჩვენებდეს და საკუთარი მაგალითით გვიჩვენებდეს, როგორაა შესაძლებელი თვითწარდგინების და გამოჩვენების აქტი, თავს მალავს, გარბის, იფარება და ყოველ წამს შიშობს, რომ მიაგნებენ და ახალ ტკივილს მიაყენებენ. ვიდრე ამ მეტაფორის ირგვლივ ვისაუბრებდე, "მუტაციიდან" ერთ, გადამწყვეტი კონცეპტუალური შინაარსის მატარებელ, პასაჟს გავიხსენებ. საქმე ეხება რომანის იმ მონაკვეთს, როცა მთავარ გმირსა და ავტობუსის მძღოლს შორის ფარული ინტიმი იბადება მას მერე, რაც ნათელიყოფა, რომ თითოეული მათგანის შიში ერთ სტრუქტურას ფლობს და შიშის წყაროც საერთოა. მიუხედავად იმისა, რომ მძღოლი და მთავარი გმირი ერთმანეთს არ იცნობენ, ისინი ერთმანეთის შიშს განიცდიან და ერთმანეთისკენ მათი ლტოლვის ინტენსივობაც ძლიერდება, რაც ამცირებს მათ შორის დისტანციას. იმავდროულად კი განვითარებას განიცდის მძღოლის ეჭვიც, რომ ძრავში წესრიგი დარღვეულია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ ამ ეჭვის საფუძველზე მძღოლის მიერ მიღებული დასკვნა, რომ ძრავის მუშაობის რეჟიმსა და გაჩერებაზე თავშეყრილი ხალხის კრებით მოლოდინს შორის ჰარმონია დარღვეულია, სწორია; მთავარი გმირი კი სწორედ ამ დროს ასკვნის, რომ საიდუმლო, რომელიც განდობილთა შორის მიმოიქცეოდა და რომელიც არავის გაუცია, უკვე გაცემულია; თუმცა თამაში ამ წამიდან იძულებით ხასიათს ატარებს, ვინაიდან დამნაშავე არ არსებობს. ცხადია, იგულისხმება, რომ განდობილთათვის დამნაშავეს უნდა წარმოადგენდეს ვიღაც, რომლის დასჯაც შესაძლებელი იქნება, და არა - რაღაც, რომლის დასჯაც შეუძლებელია. აი, ამ უდანაშაულო დამნაშავის, ამ რაღაც-ის გარშემო მიმოიქცევა როგორც მთავარი გმირის, ისე მძღოლის ცნობიერება. პროცესის დიალექტიკა კი ამ საკვანძო მომენტის გადალახვის შემდეგ უმალ ორად განიტოტება: მძღოლი ხვდება, რომ მისი განცდები მის გარეთაა გატანილი, მისი განცდებით გარეშე ძალა ოპერირებს, და მიდის დასკვნამდე, რომ მისი ფუნქცია რაღაც მისთვის არასასურველი

გარეინსტანციის მიერ საკმაოდ გეგმაზომიერად რეგულირდება ძრავსა და მძღოლს შორის მოქმედი ურთიერთმიმართების ცვალებადობის შესაბამისად; აქედან გამომდინარე, მძღოლი იწყებს ძრავის დაუფლებაზე და მის მართვაზე ფიქრს. რაც შეეხება მთავარ გმირს, მისი პათოსი ფხიზლად და ზუსტად მიემართება გადაწყვეტილებისკენ, რომ არსებობს ერთადერთი გამოსავალი, - თამაში უნდა გაგრძელდეს ისე, თითქოს რეალობას არანაირი ცვალებადობა არ განუცდია; ეს უკვე მის მიერ რეალობის გამოწვევაა, გარესამყაროს არცთუ თავაზიანი მიპატიჟება დამარცხებული ადამიანების გარემოცვაში სათამაშოდ; ცხადია, რომანის ნებისმიერი მონაკვეთი მკითხველისთვის გაურკვეველს ტოვებს საკითხს იმის შესახებ, თუ სად მიმდინარეობს მოქმედება, - მატერიალური ობიექტებით დასახლებულ გარემოში, სხვადასხვა პერსონაჟის ცნობიერებაში თუ ერთი ადამიანის ფსიქიკაში; უეჭველი მხოლოდ ისაა, რომ ადგილი აქვს მოქმედებას. რა თქმა უნდა, ამ პარაბოლის, როგორც სამუშაო პროექტის, გათამაშება მხატვრული ლოგიკის ველზე, პირველ ყოვლისა, საკომპოზიციო სტრუქტურის ყოველმხრივ დამუშავებას მოითხოვდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩემი ჩანაფიქრი ტექსტის მიერ საკუთარი თავის ათვისებას გულისხმობდა, ე. ი. ტექსტისთვის ყველა პირობა უნდა შემექმნა საიმისოდ, რომ მას იდეა ტექნოლოგიურად მაღალ დონეზე აეთვისებინა. მართალია, იდეა ჩემი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ტექსტი შემეზღუდა და მისთვის საკუთარ თავზე მუშაობის საშუალება მომესპო. ერთი სიტყვით, მე მსურდა, ტექსტის ნდობა დამემსახურებინა და მას ჩემთვის თავისი თავი ეჩვენებინა. როგორც უკვე აღვნიშნე, თანამედროვე სამყარო მოცულია შიშით, რომ იცნობენ და ახალ ტკივილს მიაყენებენ, ამიტომ ცდილობს საგულდაგულოდ საკუთარი თავის შენიღბვას, რათა იგი ვერავინ იცნოს. ცნობის, შეცნობის, გა(მო)ცნობის აქტი მაშინაა ღირებული, როცა ნაცნობობა სასურველია. როგორც ჩანს, თანამედროვე სამყარო ადამიანს არ გაიაზრებს, როგორც სასურველ ნაცნობს, და არც მისთვის საკუთარი თავის გაცნობის სურვილი უჩნდება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გაცნობის აქტი არ ხორციელდება; ის ხდება ყოველ წამს და ყველგან, ოღონდ როცა გაცნობა ხდება, სამყარო მიწყივ გვიმახსოვრებს და გვიფრთხის; ის არასოდეს კარგავს გარეგნულ სიმშვიდეს, ჩვენს სტრუქტურასაც გულდასმით სწავლობს და იმახსოვრებს, მაგრამ თიხის ჯამის ნამტვრევს tessera hospitalis-ს არასოდეს გვთავაზობს, არასოდეს გვემშვიდობება მორიგ შეხვედრამდე, მორიგ გა-ცნობამდე; ის თავს იზღვევს, მისი სიმშვიდე მოჩვენებითია და რაღაც ფარულ შინაგან ფორიაქს და განგაშს ამჟღავნებს. შესაძლოა, ჩვენ გულწრფელად არ ვიცოდეთ, თუ რაშია საქ-

მე; შესაძლოა, საკუთარ თავში მიზეზების ძიებას გავურბოდეთ, მაგრამ ერთი უდავოა: სამყარო არ შეიძლება დამნაშავე იყოს. ყოველ შემთხვევაში, შექმნილი ვითარება შეიძლება დახასიათდეს, როგორც – ჩვენსა და სამყაროს შორის ანუ ჩვენსა და მის შინაგან ყოფიერებებს შორის არსებული უთანხმოება. ამ უთანხმოებას თავისი ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი დროის ადამიანის მთელი ძალისხმევა მიმართულია საიმისოდ, რომ კრიზისი ძალადობის გზით გადალახოს, უთანხმოება ძალადობით მოხსნას. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია, ყოველთვის ხელახლა ვაიძულოთ სამყარო, რომ გვიცნოს, გაგვიხსენოს, - და ასეც ვიქცევით, - მაგრამ მსგავსი ძალდატანება ჩვენთვისვე ზარალად მოიქცევა: ყოველი ასეთი გაცნობის რიტუალი, იძულებით თავის შეხსენება, ფსევდოშეცნობის პერიოდულად განმეორებადი აქტი არაფერს გვპირდება დროში ჩამორჩენის, უფრო მეტიც, დროში უკუვარდნის მეტს. როგორც ჩანს, სამყაროზე ჩვენი გეგმების, ვნებების, სურვილების თავსმოხვევისკენ ხანგრძლივმა სწრაფვამ საიმისოდ გაგვწირა, რომ დროში წინსვლას, დროში სუნთქვას, დროში მოძრაობას მოწყვეტილი ვართ. არ არსებობს დიალოგი, მაშასადამე, არც – შინაგანი განვითარება. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სიმბოლიზმი სამყაროსა და ადამიანს შორის ურთიერთობაში არც არასოდეს არსებულა, არასოდეს მომხდარა ორი თავისუფალი ნების შეხვედრა; სამყაროზე, როგორც შინაარსზე, ადამიანის შეტევამ სიმბოლოს, როგორც ფორმის, გაუკულმართება და აგრესიულ ფორმად მისი გარდაქმნა გამოიწვია, სიმბოლოს იმიტაციამ კი სამყარო გამოხრა. ჩვენი რეალობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც – დღენაკლული სიმბოლო. მაგრამ იგი ასევე შეიძლება დახასიათდეს, როგორც – ადამიანსა და სამყაროს შორის ურთიერთობაში წარმოქმნილი გარკვეული პაუზა, რომელიც საჭიროა, რათა მომზადდეს არაიძულებითი, დროული შეხვედრა ანუ დღესასწაული (ვეყრდნობი დღესასწაულის ფენომენის გადამერისეულ აღწერას). აი, ამ პაუზას ვუწოდებ ნიშნურობას. ჩვენი დრო არა მხოლოდ ნიშნებით მშვიდობიანი ოპერირების, არამედ ნიშნების მბრძანებლობის დროცაა. სინათლისკენ ანუ იდეალური ტიპისკენ დღეს სწორედ ნიშნური, და არა სიმბოლური, აზროვნების გზით მივისწრაფით. ჩვენი სიყვარულის გამოხატვის საუკეთესო ფორმაც ნიშნურია. ნიშნურობა გზაა დაკარგული სიმბოლიზმისკენ, კლასიკისკენ, ჰარმონიისკენ. პირველ რიგში, თვით სამყაროა აქეთკენ მიმართული. სწორედ მისი შინაგანი პათოსი, სიცოცხლის მისმიერი სურვილი ხდის ამ პროცესს შესაძლებელს. სამყარო ხომ სიცოცხლის დასტურყოფაა, ის არაა თავისი თავის დაღუპვის მომხრე. ის ეძებს გადარჩენის გზებს ანუ – დიალოგის შესაძლებლობის გზებს. რაც შეეხება ნიშნუ-

რობის დროულობას, იგი საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ აწმყოში, არ ამოვვარდეთ ჩვენი დროიდან, არ ვიქცეთ ილუზორული არსებობის მსხვერპლად. ყოველ შემთხვევაში, ეს ის მეთოდური უტოპიაა, რომელიც სავსებით განსაზღვრავს "მუტაციის" მეტაფიზიკურ პათოსს და სააზროვნო ესთეტიკას.

P. S. ამ ესსეში განხილულია მხოლოდ ნაწილი "მუტაციის" საფუძვლადმდებარე იდეურ-კონცეპტუალური ბირთვისა. მე მოვასწარი ამ რომანის დაწერა. სიტყვა ყოველთვის წინ უსწრებს მოვლენას: იმასაც, რაც შენ უნდა განიცადო და – იმასაც, რაც სხვამ უნდა განიცადოს. ჯერ ყოველთვის სიტყვა მოდის და წინასწარმეტყველებს. რა თქმა უნდა, - აწმყოს. ჩვენ მას, უბრალოდ, ვხედავთ ან ვერ ვხედავთ. უფრო ზუსტად, სიტყვა ან გვიჩვენებს თავის თავს ან – არა. არის ადამიანის ცხოვრებაში ესა თუ ის ფაქტი ან მოვლენათა მთელი კომპლექსი, რომელსაც არათუ სხვას ვერ გაანდობს, არამედ თავადაც დიდი სიამოვნებით ამოიშლიდა მეხსიერებიდან, შესაძლებელი რომ ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ვერც დღეს და ვერც დასრულების დღიდან ერთი წლის მერე ეს რომანი ვერ დაიწერებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მე ახლა მასზე ოდნავ უფრო გამოცდილი ვარ, გაკვირვებული ვხვდები, რომ იგი ჩემზე ჭკვიანია. ამ რომანმა ისიც კარგად უწყის, რომ ჯერჯერობით არ შემიძლია ჩემი სულიერი ენერგიის სათანადოდ მობილიზება, რათა მასში დასმული და დამუშავებული პრობლემები განვავითარო და საკუთარ თავს ჯერაც გაუხსნელი მრავალი კუთხით შევთავაზო მათი კვლევა. მაგრამ იმის ძალით, რომ ეს ხელისგულისოდენა რომანი ჩემი სისხლი და ხორცია, ვგრძნობ, მის ფიქრიან სულში რაც ხდება: იგი სათუთად და მიზანმიმართულად ზრუნავს ჩემს ხვალინდელ დღეზე, თუნდაც ოცი წლის მერე ან სულად სიკვდილის მერე მოსასვლელზე, - როცა საკუთარ თავს გამოვუტყდები, რომ გადამილახავს ის დისტანცია, რომელიც დღესდღეობით "მუტაციაზე" ფიქრსაც კი მიძნელებს. ეს ზრუნვა, როგორც მე მესმის, იმ ტკივილის მოვლა-პატრონობაში გამოიხატება, რომელიც, მიუხედავად მისადმი ჩემი დამოკიდებულებისა, მიუხედავად ჩემს სულში მიმდინარე ჯანყისა, მწიფს და იზრდება. ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად მწამს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მე ამ რომანის წერას გავაგრძელებ.

დეკემბერი, 1993

ვერლიბრი და ქართული ლექსის ტრადიცია

XX საუკუნის ქართულ პოეზიასთან დაკავშირებით ჩვენში სალიტერატურო ცხოვრების ლოგიკით ნიშანდებული, მაგრამ იდეოლოგიით არნაკარნახევი, რეგიონალურად ფართო მასშტაბის მომცველი ერთადერთი დისკუსიის გამოცდილება არსებობს და იგი ვერლიბრთანაა დაკავშირებული. ამ დისკუსიამ შეულამაზებლად, შიგნიდან გვიჩვენა ჩვენი დროის ქართული ლიტერატურის თეორიული თვალსაწიერი. ძირითადი პრობლემა, რომელიც მაშინ ე. წ. "ვერლიბრისტების" წინაშე დადგა და მრავალ თანამდევ საკითხად დაიშალა, ანბანური ჭეშმარიტებების მტკიცება-კომპილირების გზით ვერლიბრის კანონიერების დაცვაში მდგომარეობდა. სიტუაციამ ბევრ არასასიამოვნო, თუმცა კი კანონზომიერ, ტენდენციას მისცა გასაქანი, "ვერლიბრისტების" მცირე ჯგუფიც ერთბაშად იქცა მრავალრიცხოვან პოეტურ არმიად; ყველაფერი, რასაც მასალა ერქვა, კრიტიკოსებმა სალიტერატურო მნიშვნელობით შემოსეს; "ვერლიბრისტობა" სალიტერატურო სტატუსის უტყუარ საბუთად იქნა მიჩნეული. როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება, ამჯერადაც გამორჩათ თუ ხელი არ მიუწვდათ იმ დასავლურ ორიენტირებზე, რომელთა შედეგებითაც დიდად იყვნენ დავალებულნი წამყვანი, პირველხარისხოვანი ქართველი "ვერლიბრისტები". კონტექსტის შემოზღუდვამ გზა გაუხსნა მარტივ, თითქმის პრიმიტიულ "სილოგიზმებს". დაკანონდა მთავარი მოდელი: პოეზია დაიყო კონვენციურ და არატრადიციულ ლექსად. ამ ყალბ წანამძღვარს კი ყალბი დასკვნების მთელი სერია მოჰყვა. მაგალითად, "აღმოჩნდა", რომ თურმე ვერლიბრი სააზროვნო, ინტელექტუალური, ფილოსოფიური სახისმეტყველების გაცილებით დიდ შესაძლებლობებს ფლობს, ვიდრე - კონვენციური ლექსი. შესაბამისად: პირველხარისხოვანი ქართული ვერლიბრი ფილოსოფიური ორიენტაციის ლექსად შეფასდა. ფილოსოფიური პოეზიის ტრადიცია არავის გახსენებია, არც ეს ცნება განუმარტავს ვინმეს, ამიტომ "ინტელექტუალიზმი", "რაციონალიზმი", "მედიტაცია" ფილოსოფიურობის აღმნიშვნელად იქცა. ამჟამად მიღებულია ქართველი "ვერლიბრისტების" პოეზიის ფილოსოფიურობაზე, როგორც სპეციფიკაზე, საუბარი. გასაკვირი არ იქნება, ახლო მომავალში ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, ჯარჯი ფხოველის, მამუკა წიკლაურის და სხვების ვერლიბრს საერთოდაც ფილოსოფიური პოეზიის ნიმუშებად თუ წარმოგვიდგენენ, ამიტომ მოსალოდნელ ტენდენციას წინ უნდა აღუდგეს კრიტიკული ანალიზი, რაც სერიოზული სამეცნიერო სამუშაოს ჩატარებას თუ არა, საკით-

ხის მიმართ მეთოდურ მიდგომას დიახაც გულისხმობს. ჩემი მიზანია ამ თემასთან დაკავშირებულ რამდენიმე არსებით ნიუანსზე ყურადღების გამახვილება.

უკვე სერიოზული ტრადიციის მქონე ქართული ვერლიბრის მიჩნევა ფილოსოფიური ორიენტაციის პოეზიად შეცდომაა თუნდაც იმიტომ, რომ მას არ ახასიათებს აზრობრივი სისტემურობა, ამა თუ იმ ინდივიდუალური შემოქმედების დაფუძნება საწყისად აღებული და ღრმად გააზრებული ფილოსოფემების სისტემაზე, ამ სისტემის გეგმაზომიერი, მეთოდური გაშლა-განვითარება ლექსიდან ლექსამდე, პოემიდან პოემამდე. ფილოსოფიური პოეზიისთვის აუცილებელი ატრიბუტიკის საპირისპიროდ, დომინირებს ემოციურ-იმპრესიონისტული საწყისით პირობადებული მხატვრული ლოგიკა, ტროპიკა, შინაარსი; განმსაზღვრელია განწყობით ნაკარნახევი პოეტური სტრუქტურა და არა - მწყობრი, ლექსიდან ლექსში განვითარებადი შინაარსი, კონცეპტუალური სისტემა. ერთი სიტყვით, ესაა არა შინაარსის განვითარების, აზრის პრიმატის, არამედ - განწყობილებათა მონაცვლეობის შესაბამისად ფუნქციონირებადი მხატვრული სისტემა. თუ ამ დროს მაინც გვსურს რამენაირ ფილოსოფიურობაზე ლაპარაკი, მაშინ ნებისმიერი მხატვრული დისკურსისთვის დამახასიათებელ პირობით-ფილოსოფიურობაზე, "სიბრძნის ერთი დარგით" განსაზღვრულ პარადიგმულობაზე უნდა მივუთითოთ და არა - ფილოსოფიურობის, მეტაფიზიკურობის იმ ნიშანზე, რომლითაც ხასიათდება, მაგალითად, რომანტიკოსების, ჰოლდერლინის, რილკეს, ვალერის, ელიოტის პოეზია(და არა - ვერლიბრი). ქართული ვერლიბრის პირველი ძლიერი ტალღა განზე დგას ამ ტრადიციისგან და ამერიკულ სოციალურ ლექსს უფრო ენათესავება, განიცდის საინტერესო ფორმალურ მოდიფიკაციებს, მდიდრდება მედიტაციური ნაკადით, განსჯითი მონოლოგით, იძენს ყველა იმ თვისებას, რაც ინტროსპექტული ხედვის მექანიზმს აყალიბებს (ვისარგებლებ შემთხვევით და შევნიშნავ, რომ აქ გამოვლინდა ქართველი მთარგმნელების მიერ გაწეული შრომის მთელი სიკეთე: ქართულმა ლექსმა ელვის სისწრაფით აითვისა თამაზ ჩხენკელის, გივი გეგეჭკორის, გიორგი ნიშნიანიძის, ზვიად გამსახურდიას, ბესიკ ადეიშვილის და სხვათა მიერ თარგმნილი გერმანული, ფრანგული, ინგლისურ-ამერიკული, აღმოსავლური პოეზიის ნიმუშები; აღარაფერს ვამბობ თვით "ვერლიბრისტების" ღვაწლზე ამ საქმეში).

მაგრამ უნდა დაისვას ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: შეცვალა თუ არა ვერლიბრმა ქართულ პოეზიაში აღქმის მექანიზმი, მგრძნობელობის სისტემა, ჩაატარა თუ არა ტრადიციული ქართული პოეტური პრაქტიკის-

თვის უცხო შინაარსობრივი სამუშაო? ჩემი აზრით, ამ კითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს, რაც არათუ ამცირებს, არამედ მაღლა სწევს და უფრო აძლიერებს "ვერლიბრისტების" მნიშვნელობას ჩვენს ლიტერატურაში. არ უნდა გავაზვიადოთ იმ შედეგების ღირებულება, რომლებიც "გენეტიკურად", ლოგიკურად მოჰყვა მათ მიერ გადადგმულ გადამწყვეტ ნაბიჯს, - რითმის გაუქმებას და ამ გზით ტრადიციული ქართული ლექსის ფორმისმიერი მახასიათებლების "გადასინჯვას": რეგიონალურად უცნობი სალექსო ტექნიკების მეთოდურ თუ ავტომატურ მომარჯვებას, ლექსის პროზაიზაციას, ტრადიციული მეტაფორული წესრიგის შეცვლას მეტაფორიკის ახალი სისტემით, თემატიკის გადახალისებას და ა. შ. ამ ყველაფრის მიუხედავად, არ შეცვლილა, არ დარღვეულა პოეტსა და სამყაროს შორის ურთიერთმიმართების ტრადიციული (იგულისხმეთ: რომანტიკული) მოდელი, დაფუძნებული პოეტის განსაკუთრებულობაზე, რჩეულობაზე, სოციალურ გარემოში მოქმედ ნებისმიერ სხვა ადამიანთან შედარებით მის "ტრანსცენდენტალურ" ავტორიტეტულობაზე, რამაც ჩვენს სინამდვილეში პოეტის, როგორც უნიკალური და თითქმის ზეადამიანური ფენომენის, იდეოლოგიური ინსტიტუტი შექმნა (ამ ტრადიციას მაღალ კულტურულ დონეზე განამტკიცებდნენ გალაკტიონი, რობაქიძე, სიმბოლისტები, ორმოცდაათიანელები - ამ უკანასკნელთა მრავალმხრივი დემოკრატიულობის უკან ყოველთვის იგულისხმებოდა ფარული რომანტიკული და სადისტანციო წესრიგი). მაგრამ ფაქტის კონსტატაცია არაფერს მოგვცემს, ჩვენში განმტკიცებული ამ რწმენის შინაარსზე თუ არ მივუთითებთ: ის კი პოეტური შეგრძნების, აღქმის, განცდის, ემოციური მსოფლშეგრძნების განსაკუთრებულობას ემყარება, ე. ი. გენიალური ლექსი ამ შემთხვევაში აპრიორულად გულისხმობს ტკივილის თუ სიხარულის, აღტაცების თუ მწუხარების უნარის განსაკუთრებულობას, პოეტისმიერი განცდის უნარის უნიკალურობას; მაშასადამე, ერთმანეთთანაა გაიგივებული გენიალური პოეზია და პოეტისმიერი განცდის უნარის გენიალურობა. საუკუნეთა მანძილზე ჩვენში გაბატონებულმა ამ ტენდენციამ ხელახლა იჩინა თავი ახალ დროში. ისტორიულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ბესიკ ხარანაულის პოეტური სტრიქონი: "მე ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე" და ამ სტრიქონის მიმართ კრიტიკის და მკითხველთა ფართო წრის გუნდრუკისმკმეველი რეაქცია. ამ სიტყვებში კვინტესენცირებულია ბესიკ ხარანაულის თაობის გამოცდილება, და ეს პოეტური განწყობა ერთგულებას უცხადებს პოეზიაში დამკვიდრებულ მსოფლმხედველობრივ მოდელს, რომელშიც პოეტური ტექსტის ტექნიკური, პოეტიკური მაჩვენებლების მაღალი ხარისხი ემთხვევა განცდის

ინტენსივობას, რაც პოეტს თავისი პრივილეგირებულობის აღიარებისკენ უბიძგებს. თუმცა, აქ აღარ შეინიშნება ტრადიციით გამომუშავებული მტკიცე თვითრწმენა, საკუთარი გენიის რწმენა, ეს დაეჭვებული კაცის სიტყვებია; გამონათქვამი, ერთი შეხედვით თვალსაჩინო უბრალოების მიუხედავად, ფრიად ბუნდოვანია, აგებულია ისე, რომ ავტორი ვერ "დავიჭიროთ", ხელიდან გაგვისხლტეს; ესაა აზრის ჩაწერის პროცესში ავტორისთვის სასურველი ორაზროვნების დემონსტრირება. მარგინალური კრიტიკა კი თვით ამ ორაზროვნების წარმომშობი შინაგანი გაორების შემჩნევის საშუალებას იძლევა: რამდენადაც კონკრეტულია ის, ვინც ერთი ცრემლით ჩვენზე მეტია, იმდენად აბსტრაქტულია ის, ვიზეც ერთი ცრემლით მეტია ავტორი (ვფიქრობ, მტკიცებას არ საჭიროებს აზრი, რომ პრივილეგირებული მოცრემლის სახით პოეტი თავის თავს წარმოგვიდგენს). აღნიშნულმა ტენდენციამ გამოიწვია კრიზისის იოლად გასაგები სახე: პოეზიამ ვერ დათმო ტრადიციით ნამემკვიდრევი პრივილეგირებულობის შინაარსი, ამიტომ ვერც დემოკრატიზაციის იმ სულით განიმსჭვალა, რომელმაც ამ პერიოდის ევროპული ლექსი მოიცვა. ამ კრიზისის დაძლევის წარუმატებელ მცდელობად წარმომიდგენია თანამედროვე ქართველი პოეტების ერთი ნაწილის მიბრუნება შოთა ჩანტლაძის სააზროვნო ესთეტიკისკენ (ამაზე - ქვემოთ).

გაცილებით ნაყოფიერი აღმოჩნდა პერიფერიული სამუშაოები, კერძოდ - ლექსის დიალექტიზაცია (ამ სიტყვის ფართო, ეთნოგრაფიული ორიენტაციის შემცველი, გაგებით) და ხალხური პოეზიის უძირითადეს მეტაფიზიკურ საწყისებთან კავშირის გაძლიერება, რაც, ასევე, ტრადიციული პოეტური ხაზის ორგანულ გაგრძელებად გაცხადდა. პერიფერიული იყო ეს სამუშაოები იმიტომ, რომ პირველი მიზნად ისახავდა სალექსო მეტყველების საფუძვლად მდებარე სემანტიკური ველის განახლებას და მხოლოდ საკომპენსაციო ძალისხმევის ხასიათს ატარებდა (მით უმეტეს შესამჩნევია იგი ვაჟა-ფშაველას გენიალური მაგალითის ფონზე: როცა ლექსის დიალექტიზაცია და სემანტიკური ბირთვების რადიკალური გადაჯგუფება ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა); მეორე კი, პირიქით, ზედმეტი აქტივობისგან თავის შეკავებას, ქართული პოეზიის გენეტიკურ მემკვიდრეობაზე ძალდატანებისგან თავის არიდებას მოითხოვდა, რაც, უნდა ითქვას, სერიოზული პროფესიული კულტურით და ზომიერების კლასიკური გრძნობით განხორციელდა. "ვერლიბრისტების" პირველმა ტალღამ არა მხოლოდ ზუსტად ამოიცნო ქართული პოეტური კოდი, არამედ შეგნებულად ჩაატარა ბევრი ე. წ. შავი სამუშაო.

სხვათაშორის, დიალექტიზაციის ხსენებულმა პროცესმა აქცენტე-

ბის გადანაწილება და სალიტერატურო მეტყველების გამრავალფეროვნება გამოიწვია. ბესიკ ხარანაულმა ენა უბრალო, ყოფით მეტყველებას მაქსიმალურად დაუახლოვა და ამით უფრო გამოკვეთა სწორედაც რომ არაყოფითი, უჩვეულო შედარებების მნიშვნელობა; მამუკა წიკლაურმა მარტივი სამეტყველო კონსტრუქციები ექსპრესიული ფუნქციით დატვირთა და სიუჟეტური ლექსი განაახლა; ჯარჯი ფხოველმა ისტორიულისა და კონკრეტულის ერთმანეთთან დაკავშირების გზით პრობლემურ კითხვებზე რეფლექსია სცადა. თითქოს განზე აღმოჩნდა ლია სტურუა, მაგრამ მისი ერთი შეხედვით რთული მეტაფორიკის, სინამდვილეში კი საკმაოდ სწორხაზოვანი და მანერულობაში იოლად გარდამავალი სალექსო სტრუქტურის განმსაზღვრელი მსოფლმხედველობრივი პათოსი მთლიანად ნეგატიური (ფილოსოფიური გაგებით) მუხტით განიმსჭვალა, რაც გულისხმობდა ბუნების, მთლიანობის, ჰარმონიის უარმყოფელი "საცივილიზაციო ცნობიერების" ტრაგედიის ჩვენებას, ოღონდ - არა მხატვრული ლოგიკის ენაზე მისი მეთოდური კრიტიკით, არამედ - ამ ტრაგედიისადმი საკუთარი ემოციური განწყობილების ჩვენებით, იმპრესიონისტული სახისმეტყველების ბაზაზე, ამ სინამდვილის "ღირსი" ექვივალენტის შექმნით. როგორც ჩანს, მომდევნო თაობისთვის ბესიკ ხარანულის პრაქტიკა უფრო ახლობელი აღმოჩნდა (ნინო დარბაისელი, დალილა ბედიანიძე, ომარ თურმანაული, გელა კიკოლაშვილი, ბადრი გუგუშვილი). ეთნოგრაფიული ელემენტების მომარჯვება ამ ავტორთაგან, მართალია, მხოლოდ ო. თურმანაულთან შეიმჩნევა, მაგრამ მთავარ როლს იმ სინამდვილის "დაძლევაში", იმ სინამდვილესთან "ანგარიშის გასწორებაში" (რაც მოცემულ შემთხვევაში სინამდვილესთან დისტანცირების და მისი უფერულობისგან, ერთგვარი არაეთიკურობისგან გამოთავისუფლების ტოლფასია), რომლის კრიტიკამაც უფროსი თაობის ენერგიის დიდი ნაწილი შეიწირა, მათთან სწორედ სინამდვილის ესთეტიზაციის ის პოლიტიკა ასრულებს, რომელიც ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ყოველმხრივ დამუშავებულია.

რაც შეეხება ხალხურ პოეზიასთან ვერლიბრის ზემოთხსენებულ სიღრმისეულ კავშირს, მის ნათელყოფას შემოვლითი გზით და იმაზე მითითებით დავიწყებ, რომ ქართული ვერლიბრი ტრადიციული პოეზიაა, ამ სიტყვის ყველაზე უფრო სერიოზული გაგებით. ორმაგად ტრადიციულია ოთხმოციან წლებში გამოსული ავტორების შემოქმედება. ამ ზოგად განცხადებას განმარტება ესაჭიროება. მე მხედველობაში მაქვს ტრადიციულობის ორივე ასპექტი: როგორც კონკრეტულ-კულტურული, ისე - ზოგადკულტურული. პირველი ასპექტით, "ვერლიბრისტების" "მეორე ტალღა" (პირობითად ვუწოდოთ ასე) ბესიკ ხარანაულის პრაქტიკის მიერ ელვ-

ის სისწრაფით შექმნილი ტრადიციის ჩარჩოებში რჩება (ლია სტურუას პოეზია შემოქმედებითად ათვისებას უფრო ძნელად ემორჩილება): არაა გაბედული ექსპერიმენტები, ტროპული მეტყველება აშკარად ჩამორჩება თანადროულ მგრძნობელობას, ღარიბია სალექსო სტრუქტურა, თვალშისაცემია ლექსიდან ლექსში თითქმის უცვლელად გარდამავალი განწყობილებების ერთფეროვნება. ეს იქნებოდა მსჯავრი ან უარყოფითი მახასიათებლების ინდექსი, რომ არ არსებობდეს ზოგადკულტურული ტრადიციის კონტექსტში ამ პოეზიის მოაზრების აუცილებლობა, რაც საიმედოდ გამორიცხავს მოსალოდნელ შეფასებათა ცალმხრივობას. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის სავსებით გასაგებია როგორც "პირველი ტალღის", ისე "მემკვიდრეთა" ესთეტიკური პოზიცია; უფრო მეტიც, - იგი თავის არსებობას ამართლებს. საქმე ისაა, რომ ეს პოეზია არც ზოგადკულტურულ ტრადიციას ღალატობს. რა მაქვს მხედველობაში? ქართული პოეზიის გენერალური ხაზი პირობითად შეიძლება დახასიათდეს, როგორც სუბიექტური პოეზია, რაც გულისხმობს საკუთარი განცდების დასაფიქსირებლად ავტორის შემოქმედებითი ძალების მობილიზებას, მომენტალური სულიერი განწყობის აღსაწერად მიმართულ აქტივობას. ეს პროცესი არ მოითხოვს "გამღიზიანებლის" არსში საგანგებო წვდომას და გამოწვლილვით მის ანალიზს. პირიქით, ურთულეს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე მენტალური რეფლექსია და მხატვრული ლოგიკის ენაზე მათი გაცხადება ამ დროს წამგებიანია. სამაგიეროდ, ხსენებული "გამღიზიანებლებით" გამოწვეული სუბიექტური განწყობის სიტყვიერი სურათი, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, თავის თავში მოიცავს "გამღიზიანებლის" ყველა ნიშნის კვალს, და ობიექტივაციის აქტი სრულყოფილად ხორციელდება. თუ, მაგალითად, პოეტური ხედვის არეში მოხვდა დროის კატეგორია, ესთეტიკური სახეებით აღიწერება არა დროის კატეგორიის მიერ აზროვნებაზე დატოვებული კვალი, არამედ - გულზე, გრძნობაზე დატოვებული კვალი (რა თქმა უნდა, "გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია", მაგრამ მე აქცენტის გაძლიერებაზე მაქვს საუბარი), ეს კი, ძირითადად, სწორედ მომენტალური განწყობის ობიექტივაციას გულისხმობს, გულისხმობს უშუალოდ იმ განცდის გადმოცემას, რასაც მრავალ "წყევლა-კრულვიან საკითხავზე" ფიქრი წარმოშობს. ამ თვალსაზრისით, ქართული ლექსი ნაკლებად რაციონალიზებული ან თითქმის არარაციონალიზებულია, განსხვავებით ევროპული ლექსისგან. ქართული პოეზიის (განსაკუთრებით ლირიკის) მაგისტრალური ხაზისთვის დამახასიათებელია ერთგვარი ჰედონიზმი; ვგულისხმობ წამიერში მარადიულის დაუფლებით ნეტარების, მასში დაძირვის და იქ მიღებული სულიერ-მშვინვიერი ტკბობის პროცესის აღ-

წერას (მხედველობაში მაქვს ქართული ლექსის არა მხოლოდ ბუნება და შინაგანი წყობა, არამედ აგრეთვე - სალექსო სისტემა, ფორმისწარმომქმნელი კომპონენტების ერთობლიობა). გამოთქმის, ესთეტიკურ სახეებად ამ გამოცდილების გაცხადების პროცესი (უფრო მეტიც: თვით შედეგი, დასრულებული ესთეტიკური მთელი) ემთხვევა განცდის პროცესს, ინტენსივობა მოულოდნელად გადადის ხარისხში. მსგავსი ტენდენცია ვერ ჰგუობს წამიერში გაცხადებულ მარადიულთან დისტანცირებაზე, შეგნებულ დათმობაზე წასვლას, რაც ევროპული პოეზიისთვისაა დამახასიათებელი. ქართულ ლექსში ეროტიზმი აღმოსავლური მგრძნობელობის (სპარსულის და ირანულის) პრიმატს გულისხმობს, რაც ერთგვარი ხვედრია, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ისტორიული წარსულიდან უშუალოდ გადმოსული. შემოქმედებითად ამ ხვედრის დაძლევას დიდი სიფრთხილით და შესაშური ზომიერებით ცდილობდნენ ჩვენი ეპოქის საუკეთესო ქართველი პოეტები(გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად დავაზუსტებ, რომ საუბარია სპეციფიკაზე და არა ნაკლზე ან პრიორიტეტზე; პარამეტრების ბადეს ხელოვნურად თუ არ შევზღუდავთ, შეუძლებელია, მაგალითად, რაციონალიზმი მოვთხოვოთ აკაკი წერეთლის პოეზიას, ისე, როგორც რაციონალიზმი ნაკლად ვერ ჩაეთვლება გოეთეს; ალბათ, არც იმ ლიტერატორთა გონებრივი უმანკოების იმედად დარჩენა ღირს, რომლებიც სასწრაფოდ შეგვახსენებენ, რომ ყველა დიდი პოეტი დიდი მოაზროვნეცაა). აქ კი ხალხურ პოეზიასთან ქართული ლექსის ნათესაობაც იკვეთება. ხალხური პოეზია, რაგინდარა ღრმა მეტაფიზიკური მუხტის შემცველი, უნდა დახასიათდეს როგორც მეტაფიზიკური ტკივილის, და არა მეტაფიზიკური სიღრმის, პოეზია. მასში არსებითია ყოველთვის ტკივილის ინტენსივობა, შეგრძნების ხარისხი და არა - ანალიზის ხარისხი. ხალხური ლექსი გამსჭვალულია არა ურთულეს, კაცობრიობის თანამდევ პრობლემებზე აზრობრივი რეფლექსიის პრიმატით, არამედ - მათგან მიღებული ემოციური შინაარსის ობიექტივაციის ვნებით, წარმავალზე ტკივილით და იმ წამის აღწერის სურვილით, როცა ეს ტკივილი არსებობს. ასეთ ინტენციას, ჩემი ღრმა რწმენით, დიდი როლი მიუძღვის გრიგოლ რობაქიძის მიერ შემდეგნაირად დახასიათებული ფაქტობრივი ვითარების შექმნაში: "ერთ თავის ლექციაში ივ. ჯავახიშვილი საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ქართულ არქიტექტურაში "აღნაგობას"(აგებულებას) ჰქონდა მინიჭებული უმთავრესი ადგილი, "სამკაულს" კი არააუცილებელი. არქიტექტურა ხომ მთელი ხალხის ნებისყოფას გადმოგვცემს. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქართველი ხუროთმოძღვარი განსაკუთრებულ ყურადღებას "აღნაგობას" აქცევდა და არა "სამკაულს". მაგრამ თუ

ჩვენს დღევანდელ კულტურულ შემოქმედებას ავიღებთ, დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს: თანამედროვე ქართველისთვის, პირველ-ყოვლისა, "სამკაული" არსებობს და შემდგომ "აღნაგობა". ავიღოთ ახლანდელი ქართული ლექსი, ეს საუკეთესო გამომხატველი ქართული კულტურისა. იქ მრავალია "სამკაული", ხოლო სრულიად არ არის "აღნაგობა" (ლექსის ტანი, სხეული, ფაქტურა). რომელია აქ ჩვენი სულის საფარდო? ეს საკითხია. და სწორედ ქართველმა ხელოვანმა უნდა გამონახოს საქართველოს ნამდვილი სტილი"(გაზეთი "საქართველო", 257, 1917 წ.). ვფიქრობ, სამკაულის პრიმატით თავიდანვე ნიშანდებული იყო ჩვენი საერო პოეზია. მაშინ, როცა ევროპულმა ლექსმა იოლად დათმო ყველა საფორმო-საშინაარსო "სამკაული", ქართულ ლექსს გაუჭირდა ამის გაკეთება. ვითარება არც უახლეს დროში შეცვლილა. უფრო მეტიც, "ვერლიბრისტებიდან" ერთ-ერთმა უნიჭიერესმა, ლია სტურუამ, თითქმის მთლიანად შეინარჩუნა "სამკაულის" ტრადიცია, ე. ი. მასში უცვლელად გადმოვიდა ქართული კონვენციური ლექსის უძირითადეს შინაგან ფორმისწარმომქმნელ ელემენტზე მოთხოვნილება (ამიტომ, პირადად ჩემში არანაირი გაკვირვება არ გამოუწვევია მის მიერ "სონეტების" გამოცემას): შეიცვალა აღქმის ფორმები, მაგრამ არა - აღქმის, შეგრძნების და ამ შეგრძნების ტრანსფორმირების ტრადიცია.

მართალია, სამოცდაათიან წლებშივე გამოჩნდნენ ავტორები, რომლებმაც ზუსტი ალღოთი იგრძნეს, სად იყო დამარხული ძაღლის თავი, და თავიანთი ძიებები სხვა გზით წარმართეს, მაგრამ ლექსის ხარისხი ყველა ამ "ერეტიკოსთან" მაღალი არ აღმოჩნდა. მათგან ორი საერთოდ "ამოვარდა" ლიტერატორთა მზერის არიდან, რამაც თავის დროზე მაქსიმალურად შეზღუდა მათი გავლენის სფერო. ერთია უშანგი გაბიტაშვილი, მეორე – მიხეილ გოგუაძე. ორივემ რაციონალიზმის ტრადიციის დაცვა-განგრძობის გზა აირჩია(სამწუხაროდ, ნაყოფიერებით არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა, თუმცა ამასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს, ორივე ავტორთან - პოლარულად ურთიერთსაპირისპირო). უშანგი გაბიტაშვილი, ჩემი აზრით, ამ გზაზე დამარცხდა. როგორც ჩანს, მის ლექსებში იმთავითვე მიუღწეველი დარჩა ინტელექტუალური ტექსტისთვის ასერიგად აუცილებელი სიზუსტე. მაგრამ გადასარჩენი გადარჩა: ფართო კულტურული რადიუსის მომცველი, თუმცა ხელისგულისოდენა, პოეტური კრებული "უდროობა"(ერთხელ ავტორმა განაცხადა, რომ ამ კრებულში მოთხრობის სახელით შესული "ქრონოგრაფიც" ლექსია და არა მოთხრობა). რაც შეეხება მიხეილ გოგუაძეს, მისი მიკროპოემები უნიკალური მოვლენაა ახალ ქართულ პოეზიაში, და ისინი თითქმის თავისუფა-

ლია აღნიშნული "სამკაულისგან". ეს არაა მეტაფიზიკური პოეზია ამ ცნების ზუსტი მნიშვნელობით და გარკვეულ პირობითობაზე მახვილის დასმას უთუოდ მოითხოვს, თუმცა ყველა თავის მაჩვენებლით იგი ინტელექტუალური პოეზიაა. მე არ მაქვს იმედი, რომ ქართულ ნიადაგზე ეს პოემები მალე დამკვიდრდება და დაიძლევა შემოქმედებითად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, - შორეულ მომავალში მაინც ობიექტურად შეფასდება ჩვენთვის ჯერჯერობით უჩვეულო ამ ავტორის შემოქმედება; აქ ყველაფერი მნიშვნელოვანი და ღირებულია: ტექსტის აგების ტექნიკა, ყველა სალექსო განზომილების ოპტიმალიზაცია, კულტურული კონტექსტის სიღრმე და მასშტაბურობა, სიზუსტე (რაშიც, ვფიქრობ, გადამწყვეტი როლი ითამაშა ავტორის საბუნებისმეტყველო განათლებამ - მიხეილ გოგუაძე პროფესიით ფიზიკოსია); შესაშურია ტექსტის სტრუქტურული ერთეულების გადანაწილების ოსტატობა, რაც მოქნილს და მოძრავს ხდის სემანტიკურ ბადეს. ესაა ოქროს კვეთის პრინციპით წარმოებული სამუშაო. ვერ ვიტყვი, რომ შედეგი ყველა პოემაში თანაბრად მაღალია, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიხეილ გოგუაძის ესთეტიკურ-ინტელექტუალურ სისტემას, სადაც შემთხვევითი არაფერია.

თუ უახლეს ქართულ პოეზიაში გამოკვეთილ ტენდენციებს სოციოლოგიურ-პრობლემური კუთხით თვალს გადავავლებთ, უნდა ვაღიაროთ: ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედებითი პოზიციის დასახასიათებლად გარკვეულ ღირებულებას იძენს იმაზე მითითება, რომ პოეტისთვის, როგორც "ერთი ცრემლით მეტი" არსებისთვის უპირატესობის მიმნიჭებელ ტრადიციას ნგრევა არ განუცდია (არ ვამბობ, მაინც და მაინც უნდა განეცადა მეთქი). უბრალოდ, შეიცვალა ზღვარდების ფორმები (ან, უკეთ, ადრე არსებული ფორმებიდან ზოგიერთი უფრო გავრცელდა). არც აღქმის ტრადიციული მოდელისთვის უღალატია მიმდინარე პოეტურ ცხოვრებას. ეს შეიძლება ითქვას ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ისეთ ავტორებზე, როგორებიც არიან ანდრო ბუაჩიძე, ზაზა თვარაძე, დავით ჩიხლაძე, ზურაბ რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, გიორგი კახიძე, რუსუდან ქუთათელაძე, ელა გოჩიაშვილი, ზვიად რატიანი და სხვები. ჩემთვის ახლობელია ზაზა თვარაძის პოეზიაში სწრაფად ურთიერთმონაცვლებადი დახვეწილი ირონია, ფანტასმაგორიული ხილვები და ელეგიური მოტივები; დავით ჩიხლაძის ზოგიერთი ლექსისთვის დამახასიათებელი აღქმის სინატიფე და უახლეს ნაკადში ასერიგად იშვიათი უბრალოება, რომელშიც დიდი შინაგანი გამოცდილება და ტკივილია კონდენსირებული (მინდა, ერთი შეხედვით პარადოქსული აზრი გამოვთქვა მის ლექსებთან დაკავშირებით: ისინი დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ აკაკი წერეთლის პოეზიას-

თან, - ახალ ესთეტიკურ ბაზაზე, აქ სამყაროს ხედვის და აღწერის ის ტრადიცია იჩენს თავს, რომელმაც თავის სიმაღლეს აკაკი წერეთლის პოეზიის ერთ ნაწილში მიაღწია). დავით ჩიხლაძის გავლენის ქვეშ მოექცა შოთა იათაშვილის ბოლოდროინდელი ლექსები. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკვე გავლენა კი არა, აშკარა მიბაძვაა. რაც ერთი ავტორისთვის ორგანული და საკუთარი გამოცდილებით, არცთუ ხანმოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფიით მოპოვებულია, მეორე ავტორთან ყალბ ჟღერადობას იძენს (განსაკუთრებით თვალშისაცემია ასეთი სიყალბე მაშინ, როცა ავტორი საგნებთან და მოვლენებთან მიმართებაში გაბავშვებას, გულუბრყვილობის და ხედვის უმანკოების ჩვენებას ცდილობს; სხვათაშორის, ეს დაეტყო ლექსის მისმიერ დეკლამირებასაც. ასეთ დროს ყოველთვის გრჩება განცდა, რომ თამაში არ შედგა). ამიტომ, მე მაინც შოთა იათაშვილის პირველი პოეტური კრებულის - "სიკვდილის ფრთები" - უპირატესობა და გარკვეულობა უნდა ვაღიარო მის პოეზიაში ბოლო დროს შენიშნულ ტენდენციასთან შედარებით. ჩემთვის უცხოა შოთა იათაშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, გიორგი კახიძის "ანომალისტური" პერიოდი (თავისი ერთობ უსუსური მანიფესტაციით) და "ანომალიური" დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ, ვინაიდან იგი განსჯა-განკითხვიდან მოდის და არა - თანალმობიდან, ავტორები კი გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდნილან: ვერც ავანგარდის ტრადიციაში მათი მოაზრება ხერხდება და ვერც - მეთოდური კრიტიკის კულტურაში. სამაგიეროდ, უაღრესად ღირებულია შოთა იათაშვილის ორიენტაცია, მიბრუნება შოთა ჩანტლაძის პოეტური ტრადიციისკენ, რაც, პირველ რიგში, სწორედ "სამკაულებისგან" თავდაზსნის კულტურად წარმოჩნდება. იმან, რაც შოთა ჩანტლაძის პოეზიაში შეუმჩნეველი დარჩათ პირველი თაობის "ვერლიბრისტებს", მოულოდნელად იფეთქა საუკუნის ბოლო ათწლეულში. წარმოსადგენია შედეგების შესაძლო სიმაღლე, თუ შოთა იათაშვილის და სხვა ავტორების სალექსო ტექნიკაც დაიხვეწება, "ანომალიური" პათოსიც დაცხრება და უპირატესობა მიენიჭება არა ლექსსა დასაზოგადოებას შორის კავშირების ძიებას, მკითხველამდე და მსმენელამდე ლექსის მიტანის ვნებას (პოლიტიკის რანგში აყვანილი, იგი დიახაც აუცილებელია), არამედ - საპოეტიკო სამუშაოებს, როგორ-თქმის პრობლემას, მით უმეტეს, რომ ამ ავტორებს მაღალ სალიტერატურო დონეზე რეალობის პაროდიულ-ირონიული გზით ამთვისებელი ისეთი პოეტების გამოცდილებასთან ზიარებაც შეუძლიათ, როგორებიც უფროსი თაობის წარმომადგენლები, ვახტანგ ჯავახაძე და ტარიელ ჭანტურია არიან (შოთა იათაშვილის, ზურაბ რთველიაშვილის, გიორგი კახიძის და ზოგიერთი სხვა ავტორის შინაგანი პათოსი სწორედ

ამ პოეტების შემოქმედებით მეთოდს ენათესავება, თუმცა უფრო გაუხეშ-ებულია ხედვა და უკეთ შეესაბამება თანამედროვე მკითხველის არეულ განწყობას). შედარებით "კონსერვატულია" ზვიად რატიანის პოეზია. თუ ავტორის ასაკს და შემოქმედებით გზაზე მის თვალშისაცემ სერიოზულობას გავითვალისწინებთ, ეს მოსაწონი ნიშანია. როგორც ჩანს, ზვიად რატ-იანი შეგნებულად ერიდება "ამბოხს", ვიდრე ყოველმხრივ არ გაითავისებს ლექსწერის ტრადიციულ ტექნიკას, თემების ათვისების ხარანაულისებ-ურ თუ თავისზე ოდნავ უფროსი ასაკის თანამოკალმეთათვის დამახასია-თებელ ხერხებს. იგი ბევრს თარგმნის, რაც დიდ როლს ითამაშებს ავტორ-ის ლიტერატურულ დაოსტატება-სრულყოფაში (ამ მხრივ მისაბაძია შოთა იათაშვილის მაგალითი, ისიც ნაყოფიერად თარგმნის ინგლისური და რუს-ული ენებიდან). საინტერესოა რუსუდან ქუთათელაძის მცდელობები, ერ-თმანეთს დაუკავშიროს თავისი თაობის, მისთვის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ავტორის შემოქმედება და დადაიზმის (კერძოდ - არპის) ესთეტიკა, რაც გარკვეული გამოცდილების ათვისების, შემოქმედებითი სინთეზირე-ბის სურვილადაც უნდა ჩაითვალოს და კიტჩის საშიშროებადაც. ამ საშიშ-როებაზე მითითებას მაიძულებს ბევრი სხვა ახალგაზრდა ავტორის ლიტ-ერატურულ პროდუქციაზე დაკვირვებაც. ცხადია, მათ შორის არაა ელა გოჩიაშვილი. მისი ლექსები მწიფე ნაყოფებივითაა. ისინი ერთდროულად მარტონიც არიან და გაურბიან კიდეც მარტოობას. არ ვიცი, რატომ ეშინი-ათ ამ ლექსებს მარტოობის. სამწუხაროდ ელა გოჩიაშვილი ძალიან ცოტას წერს.

რა თქმა უნდა, - ნამდვილი, შინაგანი მზაობით ნაკარნახევი ამბოხი ძნელია, ამბოხის იმიტაცია - იოლი. იოლია იმ ლექსის მანერული "ათვისებ-აც", რომლის ტრადიცია შოთა ჩანტლაძემ, ბესიკ ხარანაულმა, ლია სტრუ-ამ და სხვა ავტორებმა შექმნეს. თუ ადრე რითმიანი ლექსის კონÁუნქტუ-რას უჩიოდნენ, ამჯერად ვერლიბრის საორიენტაციო კლიშეები გამომუშ-ავდა და მიმიკრიის პროცესმა მხოლოდ ფორმა იცვალა, შინაარსი იგივე დარჩა. ლიტერატურაში დამკვიდრებაზე ზრუნვის ეს ხერხი (როგორც წესი, ყოველთვის წარუმატებელი) დამცავი მექანიზმების გამოსამუშავე-ბელი "მოღვაწეობითაც" ცნობილია. იქ, სადაც კრიტიკა სუსტია ან უკვე აღიარებულ ავტორთა მხარეში მოგზაურობითაა გართული ანუ იქ, სადაც საქართველოა, კიდევ ერთი სავალალო ტენდენციაა გავრცელებული, - ევროპული ესთეტიკური მოდელების ავტორიტეტით და საქმეში ჯერაც ჩაუხედავი მკითხველის მოტყუების ხარჯზე ყოველგვარი უსუსური ლი-ტერატურული მცდელობის გამართლება, ძირითადად - ჩამქრალი ევრო-პული ვარსკვლავების სხივებით თამაში. დღეს ავანგარდით თამაშია მოდ-

აში, ე. ი. ევროპული ლიტერატურის ქვის ხანით თამაში. ძალიან ცოტაა საჭირო იმისთვის, რომ წარმატებით გადაავანგარდისტდე: უნდა უარყო ყველაფერი, რაც არ წაგიკითხავს, - როგორც შენი, ქართული, ისე - უცხო. ერთი სიტყვით: იყო ავანგარდისტი - ნიშნავს იყო უწიგნური, ეს კი რატომ-ღაც რაღაცას ნიშნავს...

ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, ჯარჯი ფხოველის და მამუკა წიკლაურის მიმართ ჩემი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად (რაც სწორედ მათი შემოქმედების მიმართ ჩემს პატივისცემად და შემოქმედებითად მათი ათვისების გულწრფელ სურვილად წარმომიდგენია), აუცილებლად უნდა ითქვას მთავარი: მათ არათუ ლიტერატურაში იოლი გზებით დამკვიდრება არ უცდიათ, არამედ აირჩიეს ერთადერთი საუკეთესო და ურთულესი - პატიოსანი შრომის გზა. მათი არჩევანი ეროვ-ნული სალიტერატურო ტრადიციის სერიოზული ანალიზის შედეგი იყო. მათ მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთ ხელთ არსებული შესაძლებლო-ბები, მაგრამ არც ზომიერების გრძნობა დაუკარგავთ. და აქ უნებლიეთ მახსენდება ქართველი ფუტურისტების პრაქტიკა. ჩვენში სრულიად სა-მართლიანად მიღებულია აზრი, რომ ქართველი ფუტურისტები ვერ მოწყ-დნენ ტრადიციას (ტრადიციის რადიკალური უარყოფა იტალიური ფუტუ-რიზმის უპირველესი მოთხოვნა იყო), უფრო მეტიც, თავიანთი ესთეტიკის გამართლება ბესიკის, გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, ბარათაშვილის ავ-ტორიტეტებით სცადეს. მართალია, ეს მარცხის გზა იყო, მაგრამ ამჟამად ჩვენთვის, ალბათ, ღირებულია სწორედ ის ეჭვის სული, რომლითაც თავი-ანთი საქმიანობის მიმართ იყვნენ გამსჭვალული ქართველი ფუტურისტე-ბი და რომელიც ბენო გორდეზიანის კრიტიკული წერილით დაგვირგვინდა 1927 წელს "ქართული მწერლობის" ფურცლებზე. გაცილებით მრავლის-მეტყველია ტრადიციისგან ეს ვერმოწყვეტა, ვიდრე - ევროპული და რუს-ული ფუტურიზმის ანალოგები. ეს ეჭვი, მთელი მისი ტრაგიზმის საცნაურ-ყოფის შემთხვევაში, შეიძლება ეპოქების შემაკავშირებელ მეტაფორად იქცეს. ამ ტრაგიზმის ერთი მთავარი ელემენტი იყო ქართველი ფუტურის-ტების მიერ იმის გაცნობიერება, რომ მარინეტი უარყოფდა თავის ტრადი-ციას ანუ უარს ამბობდა იმაზე, რასაც ღრმად იცნობდა, რაც მისთვის მშობლიურ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. ქართველმა ფუტურისტ-ებმა, შეგნებულად თუ ზუსტი ალღოთი, იგივე გზის გავლა მოინდომეს საკუთარ, ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში. მათ მოასწრეს სამიზნეების მონიშნვა, მათი მეთოდური გაძლიერებისა და შემ-დგომი უარყოფისთვის კი სუნთქვა აღარ ეყოთ. ალბათ, არც ის იყო შემთხ-ვევითი, რომ ქართველი დადაისტები თავიანთ თავს "ჩოხიან დადაისტებს"

უწოდებდნენ. ეს მხოლოდ ღიმილისმომგვრელი არ ყოფილა, კანონზომიერიც იყო...

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში იდეოლოგემების ცვალებადობა არ ნიშნავს პოეტური ტრადიციის შეცვლას. უახლესი ქართული პოეზიის ის ნაკადი, რომელიც ვერლიბრით იქმნება და რომელიც აშკარად წამყვან პოზიციებს ფლობს დღესდღეობით, აგრძელებს როგორც ქართული ვერლიბრის, ისე - საერთოდ ქართული პოეზიის ტრადიციას. ჩვენი ლიტერატურის ისტორიას ახსოვს ტიპოლოგიურად მსგავსი პერიოდები. ეს კრიზისის ძალიან საინტერესო ფორმის მაუწყებელია: პოეტური კრიტიკა გამძაფრდა, ემოციები გაშიშვლდა, უარიყო ტონირება და ზომა, სამაგიეროდ გაღარიბდა სტრუქტურა, ლექსი განცხადებას და ახსნა-განმარტებით ბარათს დაემსგავსა, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ამა თუ იმ მტკივნეულ, მწვავე საკითხზე დაუყოვნებლივ პასუხის გაცემის ტენდენციამ, რასაც ხელს უწყობს თვით პოეტური ტექსტების ფუნქციონირების სისტემის დინამიკურობა, ტრადიციული აკრძალვების გაუქმება, ნებადართული თავისუფლების მექანიზმი. სხვათაშორის, დღეს გამკითხავი არავინაა, მაგრამ - სწორედ ამიტომ - უმკაცრესი იქნება მომავალი, ის არ გვაპატიებს არც ერთ უპასუხისმგებლო, მარტივ, ინერციულ ნაბიჯს.

ნოემბერი, 1994

რა თქმა უნდა, გარეუბანი

ოთხმოციან წლებში ქართულ პოეზიაში ვაკუუმი წარმოიშვა. მართალია, გაიოლდა წიგნების ბეჭდვა, ჟურნალ-გაზეთებში შესამჩნევი გახდა ახალგაზრდული ხმები, მაგრამ ამ პროცესს მასშტაბური ხასიათი არ მისცემია. მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდა დამაიმედებელი და პერსპექტიული ნიჭით ნიშანდებული ლექსები, მათი ავტორები მაინც ვერ ახერხებდნენ მკითხველისა თუ პროფესიული კრიტიკის ყურადღების ველში მოხვედრას. იყო ახალ წიგნებზე გამოხმაურებები, შექებები, წახალისებები და ოპტიმიზმით აღსავსე წერილები, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, - კრიტიკას არ შეუმუშავებია მკაფიო პოზიცია უახლესი ქართული პოეზიის მიმართ. როცა მსგავსი ვითარება იქმნება, პირველ რიგში ამის ახსნას საკვლევი მასალის სიმწირეში ეძებენ ხოლმე, ჩვენთან კი სულ სხვა ვითარებამ იჩინა თავი. საქმე ის გახლდათ, რომ ახალგაზრდები რედაქციებს სამოწყალო მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული, პრიორიტეტი კი იმ ავტორებს ენიჭებოდათ, რომლებსაც სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის ხანგრძლივი სტაჟი გააჩნდათ, ყურადღება არ ექცეოდა მასალის ხარისხს. ახალგაზრდა შემოქმედთა შორისაც იმ ავტორებს ბეჭდავდნენ ხშირ-ხშირად, რომლებიც არ ღალატობდნენ ათასჯერ ნავალ გზას და კარგად ეთვისებოდნენ ერთფეროვან და უღიმღამო ლიტერატურულ ცხოვრებას. ბუნებრივია, ასეთ ფონზე ამა თუ იმ ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის თითო-ოროლა ლექსის გამოჩენა საქმეს არ შველოდა, რადგან აშკარა იყო, რომ ქართული კრიტიკა ანალიზის გარეშე ტოვებდა იმ ავტორებს, რომლებიც ორიგინალურ სათქმელს ამკვიდრებდნენ, გამოხატვის ახალ ფორმებს ეძებდნენ. უფროსი თაობის ლიტერატორები კი საერთოდ დადუმდნენ ან იმ პოეტებს მიუბრუნდნენ, რომლებიც უკვე ლიტერატურათმცოდნეობის ობიექტს უნდა წარმოადგენდნენ და არა - კრიტიკისას. ცხადია, ეს არ ეხება ყველა კრიტიკოსს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგადი ვითარება სწორედ ამგვარი იყო.

აი, ამ დროს გამოჩნდა ქართულ პოეზიაში კიდევ ერთი სერიოზული სახელი - ანდრო ბუაჩიძე. მისი ლექსები რამდენჯერმე დაიბეჭდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და მაშინვე აალაპარაკა ლიტერატურული წრეები და ფართო მკითხველი საზოგადოება. კრიტიკაც აღტაცებით გამოეხმაურა მნიშვნელოვან დებიუტს(იხ. "კრიტიკა", #4, 1991). გავიდა მცირე დრო და ავტორმა მკითხველს პირველი პოეტური კრებულიც შესთავაზა სახელწოდებით "გარეუბანი". წიგნმა თავი მოუყარა ავტორის გამოქვეყნებულ

თუ გამოუქვეყნებელ ლექსებს და სრულიად გამოიკვეთა ანდრო ბუაჩიძის შემოქმედებითი პორტრეტი.

როცა საქმე ნიჭიერი ხელოვანის დებიუტს ეხება, როგორც წესი, ყურადღება გადააქვთ იმაზე, თუ როგორია ავტორის შესაძლებლობები, პოტენცია, იმედისმომცემია თუ არა სამომავლოდ მისი შემოქმედება და ა. შ. და ა. შ. ერთი სიტყვით, ცდილობენ იმაზე ილაპარაკონ, რაც ჯერ არ არსებობს, ხოლო განზე რჩება ის, რაც რეალურად არსებობს და ჭეშმარიტი სასიცოცხლო ძალებითაა აღსავსე. ჩვენ სწორედ იმაზე გვსურს საუბარი, რაც უკვე არსებობს, ამიტომ წინასწარმეტყველის როლს არ მოვირგებთ. აგრეთვე დავძენთ, რომ მიზნად არ ვისახავთ ამ კრებულის გამოწვლილვით ანალიზს და მხოლოდ ზოგადი სურათის ჩვენეულ გაგებას შემოგთავაზებთ.

მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს, უპირველესად ამ წიგნის გამოცემის ფორმას თუ მივაპყრობთ მის ყურადღებას. ანდრო ბუაჩიძის კრებული თვითგამოცემის (ე. წ. "სამიზდატის") წესითაა გამოცემული და მისი ტირაჟი სულ 200 ეგზემპლარია. ერთი შეხედვით, გასაკვირი არაფერია, მაგრამ ვინც იმაში ერკვევა, თუ რა ხდება ქართული მწერლობის კულისებში, მისთვის ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რატომ გადაუწყვეტია ავტორს ასეთი სახით წიგნის მომზადება. ამის მიზეზი არა იმდენად საკითხის ტექნიკური ან საორგანიზაციო მხარეა, რამდენადაც - გამოკვეთილად პოზიციური. რუსეთსა და ევროპაში მსგავსი გამოცემების დიდი კულტურა არსებობს, რაც ოფიციალურ სამწერლო წრეებს შეახსენებს, რომ მათი გვერდის ავლითაც შეიძლება ლიტერატურული ცხოვრება და არც გამოცემული წიგნის რაოდენობას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩვენში ცენტრისტული და კონსერვატული ძალები იმდენად ძლიერია, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სრულუფლებიან მწერლად მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, ვისაც ვიზას მწერალთა კავშირი ან მისი სტაჟიანი წარმომადგენელი მისცემს. ამით გაბრუებული და მოჯადოებული ახალგაზრდებიც ჯიუტად ესწრაფვიან მწერალთა კავშირის ფილტრში გავლას, რაც დიდი ვერაფერი ხეირის მომტანია. ლიტერატურული ცხოვრების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ცხადყო, რომ ოფიციალური სტრუქტურები მწვანე შუქს ყოველთვის იმას უნთებენ, ვინც "ტრადიციას" არ ღალატობს, ვისგანაც მოსალოდნელი არაა ტრადიციული, ამა თუ იმ სიტუაციაში გაბატონებული ფორმისა და აზროვნების სტილისგან გადახვევა. რა თქმა უნდა, ზოგჯერ "ურჩებსაც" აძლევენ ვიზას, მაგრამ ასეთი მოვლენა ყოველთვის კარგად მოფიქრებული, გამიზნული ქმედებაა. სწორედ ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა სცადა ანდრო ბუაჩიძემ,

როცა ასეთი სახის ანუ ჩვენს პირობებში ჭეშმარიტად თანამედროვე ტიპის გამოცემა შემოგვთავაზა.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრებულის სახელწოდებაა "გარეუბანი". ბოლოდროინდელ სამწერლო ცხოვრებაში, ალბათ, იშვიათია პოეტური წიგნი, რომლის სახელწოდებაც ასე ზუსტად გამოხატავდეს წიგნის შინაარსობრივ პათოსს. ამ საკმაოდ ტევად კრებულში (წიგნი ავტორის თითქმის ათწლიანი შრომის შეჯამებაა) ვერ ნახავთ ვერც ერთ ლექსს, რომელიც მიძღვნილი არ იყოს გარეუბნის ცხოვრებისადმი; ესაა გარეუბანი ყველაზე უფრო სერიოზული გაგებით, - დაწყებული ქალაქის ტერიტორიული პერიფერიით და დამთავრებული ადამიანური სულის იმ დაფარული კუნჭულებით, რომელთა შორისაც ჩვენი არსებობა გახიდულა. მაშინაც კი, როცა საუბარია ერთი შეხედვით ნათელი და ლამის სასცენო სიტუაციების შესახებ (ლექსები "გათენება", "წვიმიანი საღამო", "მოედანზე"), აუცილებლად იგულისხმება ის საერთო ემოციური მუხტი, რომელიც მკითხველს არ განაწყობს ამაღლებული გრძნობების გასალაღებლად; ყოველთვის ჩნდება შეუნიღბავი და ბანალურ სიმბოლიკას მოკლებული მითითება ტრაგიზმზე, რომელიც ან მოცემული სიტუაციის მიზეზია ან ამ სიტუაციის შედეგად, გვირგვინად უნდა იქცეს. დღეს ძნელია ვინმე გააკვირვო მელანქოლიური და სევდიანი მოტივებით, უიმედო და პესიმისტური ნოტებით, მით უმეტეს, როცა საუბარია ისეთი უცნაური ქალაქით ნასაზრდოებ გრძნობებზე, როგორიც თბილისია. სტერეოტიპებით განაყოფიერებულმა ჩვენმა ცნობიერებამ თბილისი ეგზოტიკურ და თითქმის თეატრალურ ქალაქად წარმოგვისახა, ამან კი ის მოგვცა, რომ ქალაქი, როგორც რეალური საცხოვრისი, გაგვიუცხოვდა; დარჩა მხოლოდ გაკვირვება იმის გამო, რომ სტერეოტიპულმა ხედვამ ხელთ შეგვატოვა ყოველივე ხელოვნური და დამახინჯებული: ყალბი აღტაცება, ყალბი მოკრძალება, ყალბი ვნება. როცა გონება განზე დგება და მიზეზების გაგებას არ ცდილობს, ძლიერდება მხოლოდ ამ სიყალბის აპოლოგიის ჟინი, რის გამოც ყველაფერი მიმზიდველი და მომხიბლავია, რაც დიდ ქალაქში ხდება: უბრალოდ, არ შეიძლე-

---

* უნდა გამოვტყდე, რომ ამ აბზაცში განვითარებული მსჯელობა სცოდავს სიმართლის წინაშე და ჩემი საუკეთესო სურვილების გამოხატულება უფროა, ვიდრე - რეალური ვითარების. ერთადერთი მოკრძალებული და მისასალმებელი მიზანი, რომელიც ანდრო ბუაჩიძეს ამოძრავებდა, იყო ერთ კრებულად თავისი ლექსების გამოცემა და მან ეს მიზანი თავის ხელთ არსებული საშუალებებით წარმატებით განახორციელა. მოგვიანებით ავტორს მწერალთა კავშირმა უმტკივნეულოდ გამოუცა ლექსების კრებული, რომელიც პოლიგრაფიული ხარისხით "გარეუბანს" ასგზის აღემატება (*1999 წლის მინაწერი*).

ბა ასეთ დროს ვიღაც ან რაღაც ლამაზი და უჩვეულო არ იყოს, ამიტომ ის, რაც ტრაგიკულია, შირმის ჩამოფარების შემთხვევაში ესთეტიზებულ მწუხარებად იქცევა ხოლმე. ასეა, როცა შენს ქალაქს, შენს საცხოვრისს, დისტანციის თვალით ვეღარ უყურებ და გაორებული რჩები. მსგავსი გაორება კი ყოველთვის ასეთი ესთეტიზებული და სალონური ემოციებით მთავრდება: როცა ვიღაცა ვიღაცას კლავს, ეს თითქოს სცენაზე ხდება, ხოლო მაყურებელს შეუძლია თავი იმით დაიმშვიდოს, რომ, მართალია, მის წინ დატრიალებული ტრაგედია რაღაც ნამდვილის შესახებ იძლევა ნიშანს, მაგრამ ეს "რაღაც ნამდვილი" მისგან შორსაა (თუ შორს არაა, ვაქცევ ესთეტიზებულ ტკივილად და გავინაპირებ). ბატონდება აზრი, რომ ეს ყველაფერი დიახაც ასე უნდა იყოს. ანდრო ბუაჩიძის უმთავრესი სათქმელი - ამ განასერში - სწორედ ისაა, რომ ეს ასე არ უნდა იყოს. მისი პოეზიის შინაარსი ესეცაა: ყველაფერი, რაც ხდება სადღაც, რომელიღაც რესტორანში, ეს ხდება მხოლოდ ჩემთან, ჩემს სახლში; როცა რომელიღაც ბუნკერში კვდება კატა, ის კვდება ჩემი ოთახის კუთხეში; როცა ვიღაცას კლავენ, მას კლავენ ჩემს სახლში, ჩემი ოჯახის წევრების თვალწინ. ანდრო ბუაჩიძის ესთეტიკა თავდაყირა აყენებს იმ უდარდელობისა და სიყალბის აპოლოგიას, რომლითაც ნებისმიერი ქალაქი სუნთქავს. ამ შემთხვევაში უბრალოდ შეუძლებელია არსებობდეს ოპტიმიზმი აპესიმიზმი, ამ დროს შეიძლება არსებობდეს მხოლოდ და მხოლოდ ლექსი, რომელსაც, საერთოდ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფუნქცია ჰქონდეს, მაგრამ რომელსაც კონკრეტული სიტუაცია დეტონატორის ფუნქციას ანიჭებს. მოდის პოეტი და გეუბნება, რომ სადაც არ უნდა იყო, ყველგან დარბაზია, მაგრამ იქ, სადაც დარბაზია, არსებობს ამ დარბაზის ცარიელი სივრცეც. თუ ჩვენ ამ ცარიელი სივრცით არ განვიმსჭვალეთ, განწირული ვართ მთელი ჩვენი ცხოვრების ისე აწყობისთვის, რომ იარსებოს პოზამ, მაგრამ არა - არტისტიზმმა; შეწუხებამ, მაგრამ არა - მწუხარებამ; სიცილმა, მაგრამ არა - სიხარულმა; ტირილმა, მაგრამ არა - გლოვამ. ცარიელი სივრცე არაა სიმბოლო, ის შინაარსია.

მსგავს პოეტური მდგომარეობას კარგად იცნობს XX საუკუნის ლიტერატურა. სანიმუშოდ რილკეს "ჟამნის" და ელიოტის "უნაყოფო მიწის" დასახელებაც საკმარისია. საუკუნის დასაწყისის რუსი პოეტების შემოქმედებაშიც განსაკუთრებული ანალიზის თემაა დიდი ქალაქის გაუფასურებული და სახედაკარგული არსებობა, ადამიანის გარდაქმნა უსახო ქალაქის შესაბამის წევრად, ნებისმიერი კომფორტის უკან უსაშინლესი სიმყიფის გაჩენა. ქართულ პოეზიაში ეს განწყობილება სათანადო ნიჭით და ოსტატობით სიმბოლისტების შემოქმედებაში გამოიკვეთა, რომ არაფერი

ითქვას გალაკტიონის ლექსების ერთ ნაწილზე. შემდგომ და შემდგომ, გარკვეული მიზეზებით, ჩვენში ეს განწყობილება უკან იხევს და ადგილს უთმობს ისეთ - შედარებით უსიცოცხლო და დღეს უკვე მანერულ - თემებს, როგორიცაა ქალაქით გაბეზრებული ხელოვანი, მშობლიური კერისადმი ნოსტალგიით შეპყრობილი ადამიანი, პასტორალური მოტივებით გატაცებული პოეტი და სხვ. სწორედ შაბლონის ასეთ საშიშროებას გადაურჩნენ: თავის დროზე - შოთა ჩანტლაძე, ჩვენს დროში კი - ლია სტურუა და ბესიკ ხარანაული. რაც შეეხება ამ ტრადიციისადმი ანდრო ბუაჩიძის დამოკიდებულებას, იგი არც კრიტიკულია და არც ამ ტრადიციის გადამღერებას წარმოადგენს. ალბათ, საქმე უფრო ტრადიციით გაჯერებულ და ახალი მგრძნობელობით სტრუქტურირებულ პოეზიასთან გვაქვს, მაგრამ ერთი საყურადღებო ნიშნით: პოეტი არ ცდილობს ახალი სათქმელისთვის (ცხადია, "ახალი" აქ არ გულისხმობს რაღაც აბსოლუტურად ან თუნდაც რეგიონალურად ახალს, აქ მხოლოდ განწყობის სიახლეზე გვაქვს საუბარი, რომელიც თავის მიკროფონს და მიკროკლიმატს ქმნის) ახალი და განსაკუთრებული, მოულოდნელი ფორმის მორგებას, იგი გამოხატვის ტრადიციულ ფორმებს ეყრდნობა და მათი მეთოდური ვარირებით ახერხებს კიდეც აზრნოვებისა თუ ემოციური აქტის დაფიქსირებას, რაც გამორიცხავს მოულოდნელ ეფექტებს ან მკითხველის გრძნობებზე თამაშს. ამ თვალსაზრისით, ტრადიციული მხატვრული ხერხებით თანამედროვე დინამიზმით სავსე სათქმელის თანადროული ჟღერადობით დამუხტვის თვალსაზრისით, ბრწყინვალე შედეგებია მიღწეული ისეთ ლექსებში, როგორებიცაა "გარეუბანი", "ელნათურები", "დუმილი", "მგელი" და სხვ. ამ ტიპის ლექსებში ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალები ისეა თემატიზებული, რომ თავის გარშემო იკრებს ყველა ტექნიკურ ნიუანსს, თვითვე "ირჩევს" თავისთვის საუკეთესო კომპოზიციურ სტრუქტურას, ტონალობას, პოეტის ხედვის კუთხეს, პერსპექტივას. ტრადიციული გამომსახველობითი ფორმების მიმართ ასეთი ნდობა ანდრო ბუაჩიძის შემთხვევაში იმითაა გამართლებული, რომ ავტორი ჩინებულად ფლობს როგორც ტრადიციული, ისე თავისუფალი ლექსწერის ხერხებს და მათი მრავალფეროვნების გათავისებით სურს, ერთი შეხედვით პარადოქსულ გამოთქმას რომ მოვუხმო, სათქმელის შინაარსში შეღწევა. თანამედროვე სემიოტიკაში ჩახედულ მკითხველს არ გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რა რთულ პრობლემებს უკავშირდება ეს სურვილი და რაოდენ მცირეა იმის ალბათობა, რომ ავტორს ბედმა გაუღიმოს და ოპერაციის პროცესუალური მხარე მაინც განაცდევინოს მკითხველს (სურვილის განხორციელებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია). ალბათ, ესეცაა იმის მიზეზი, რომ ანდრო ბუაჩიძის

პოეზიაში იმპრესიონისტული ხედვა თითქმის არ არსებობს, - ყველა სურათი, სიტუაცია, პეიზაჟი დანახულია ბეჯითად მოძიებული, ღრმად გააზრებული და თითქოს "სამუდამოდ" არჩეული ხედვის წერტილიდან, ყოველთვის მშვენივრად ჩანს, სად დგას ავტორი(ცხადია, აქ საუბარია ესთეტიკაზე და არა ეთიკაზე). მაგრამ ასეთი ვითარება, უპირველესად, იმას გულისხმობს, რომ ესკიზურ განწყობაზე უარის თქმა ავტორს უფლებას არ აძლევს, საპირისპირო მხარეს დადგეს და მოვლენები და საგნები გაყინოს, გააქვაოს, და ასეთ უცვლელ მდგომარეობაში მყოფი შეისწავლოს ისინი. ამას გამორიცხავს თვით ის სამყარო, რომლის დათმენაც, რომლის ტკივილებით საკუთარი თავის გადარჩენაც ანდრო ბუაჩიძეს განუზრახავს. გარეუბნის, პერიფერიის, სიბნელის და სიშიშვლის სამყარო არ შეიძლება დამტკბარი და ზანტი იყოს, ის უსათუოდ მოქნილი და მოძრავია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მსგავსი დინამიკა ავტორის პოეტიკაში ყოველგვარი გართულებული გრადაციების გარეშე ინაცვლებს და ავტორს, ასე ვთქვათ, მისი მიღებისა და აღიარების გარდა არაფერი დარჩენია. ასეთი მიღება კი შეუძლებელია იმ ფაქტის გაუცნობიერებლად, რომ შენში შემოდის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც შენშია, რაც შენი სულის კონსტიტუციის ერთ-ერთი ბირთვია. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აიხსნება, როგორ ხერხდება ექსპრესიის შენარჩუნება ისეთ, ერთი შეხედვით "მოშვებულ", მხოლოდ სიუჟეტის მხრებზე დაყრდნობილ ლექსებში, როგორებიცაა "შემთხვევა" ან "ფეშენებელურ რესტორანში დღის 11 საათზე".

უკვე მივუახლოვდით ანდრო ბუაჩიძის პოეზიაში იმ უმთავრესი მახასიათებლის მონიშნვის მცდელობას, რომლის გარეშე გაუგებარი დარჩება, თუ რატომაა მისი შემოქმედება უშუალო და შინაგანად დახვეწილი, ხატვის კონტრასტული სტილის მიუხედავად სადა და სათუთი, დაშლილი და დანაკუწებული სურათების რეტროსპექტივის მიუხედავად მთლიანი და შეკრული, ვირთხების თარეშს მიყურადების და რომელიღაც ბუნკერში მომკვდარ კატაზე ფიქრის მიუხედავად არისტოკრატული. ამ ყველაფერს ნათელი ეფინება, თუ ვიტყვით, რომ მისი პოეზიის უმთავრესი ნიშანი არის ლირიკა. ანდრო ბუაჩიძის თვით ყველაზე უფრო "უხეშ" ლექსებში ("ტვინი", "დაშლილი კაცი"), თვით ეპიკურ მეტყველებასთან ყველაზე უფრო მიახლოებულ მედიტაციებში ("მეგობრებს, რომლებმაც ცხოვრების მიჯნას გადააბიჯეს", "დაბრუნება"), თვით ყველაზე უფრო ნატურალისტურად ბნელ სურათებში ("სადღაც ბუნკერში ატირდა კატა...", "მანქანიდან გადაგდებული კაცი") ნებისმიერი შინაარსობრივი თუ ფორმისმიერი, ემოციური თუ აზრობრივი, სტრუქტურული თუ თემატური ნიუანსი ბრუნავს ლირიკის გარშემო, ლირიკის ღერძზე. აღარაფერს ვამბობთ "გენეტიკ-

ურად" ლირიკულ ისეთ ლექსებზე, როგორებიცაა "შენს ვნებებს უნდა მჭიდრო ლაგამი...", "მთვარემ წყვიადებს ესროლა სალტე...", "ვერ გაექცევი რისხვიან ქალაქს..." და სხვ.

ზემოთ შევეცადეთ, მეტაფორულად დაგვეხასიათებინა ავტორისეული მენტალური სივრცის ერთი საგულისხმო დეტალი და ვთქვით, რომ ცარიელი სივრცე არაა სიმბოლო, ის შინაარსია. ამჯერად შეგვიძლია ეს მეტაფორა განვმარტოთ და ვთქვათ, რომ ანდრო ბუაჩიძე ნიშნებით მოაზროვნე პოეტია; სიმბოლო, როგორც ასეთი, სიმბოლური დატვირთვა, როგორც რაღაც ახალ შინაარსზე მიმთითებელი, მის პოეზიაში არ არსებობს; ავტორის ტროპული მეტყველებაც კი ისეა აგებული, რომ ნებისმიერ დონეზე მნიშვნელადი ნებისმიერი შინაარსი თვითკმარია და მხოლოდ საკუთარ თავზე მიუთითებს, ხოლო ეს შინაარსი (ან - შინაარსების სერია) იმდენად დინამიკური და ღრმაა, რომ სიმბოლო, უბრალოდ რომ გამოვთქვათ, აქ არაფერ შუაშია. აი, ამ გზით იცვლება ტრადიციული ლირიკული ლექსისთვის დამახასიათებელი სიმბოლურობა (არა ტრივიალურად გაგებული) თანამედროვე ლირიკისთვის დამახასიათებელი ნიშნურობით, თვით ავტორის მეთოდი კი გაცილებით მიზანმიმართული და სრულიადაც "არაუწყინარი" სახით წარმოჩნდება ამ განასერში. თურმე არც მხოლოდ კარგად ათვისებულ ტრადიციულ ფორმასთან გვქონია საქმე და არც მხოლოდ ძველი ფორმით ახალი მგრძნობელობის გამოხატვასთან, არამედ - ფორმის ფარულ ქმნადობასთან, რაც ანდრო ბუაჩიძის ორიგინალური ხელწერის ერთი მთავარი ბერკეტია.

ჩვენ განზრახ ავარიდეთ თავი ავტორის ლექსებიდან ნაწყვეტების, ამა თუ იმ ნიშანდობლივი პასაჟის, მთლიანად რომელიმე ლექსის ან აქ გამოთქმული თვალსაზრისების დასაბუთების მიზნით მაგალითების მოტანას. "გარუბანი" იმდენად შეკრული და მთლიანი წიგნია, რომ დაგვენანა ამ მთლიანობიდან რაიმე ნაწილის გამოცალკევება. ჩვენი მიზანი იყო, მხოლოდ მიგვეთითებინა ამ გულწრფელ წიგნზე, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო ცხოვრება.

ოქტომბერი, 1992

ჩურჩულისთვის, ხმაურის გავლით

რა არის ეს: პოეტური ჰედონიზმის ნაირსახეობა? აშუღური ესთეტიკის მოდერნიზებული ვერსია? კულტივირებული სენტიმენტალიზმი? უპირველეს ყოვლისა, ესაა პოეზია. უკეთ - თანამედროვე პოეზია. უფრო ზუსტად - თანამედროვე სატრფიალო პოეზია. თანამედროვე - არა იმიტომ, რომ კრებულში ვერ ნახავთ სონეტს, მადრიგალს, კანცონას ან, უბრალოდ, კონვენციურ ვერსიფიკაციებს. პირიქით, ყველაფერი, რაც ზვიად რატიანის "ჩურჩულის გაკვეთილში" ხდება, ტრადიციულია. ცნობილი და მრავალჯერ დამუშავებული თემები, კომპოზიციები, მოდელები... და მაინც, უაღრესად თანამედროვე პოეზიაა.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ "ჩურჩულის გაკვეთილს" ფართო მკითხველის ყურადღება და სიყვარული არ მოაკლდება. წიგნი აღსავსეა იმ უშუალობით, ზღვა ემოციით და ექსპრესიით, რაც ყოველთვის ხიბლავს ქართველ მკითხველს. ჩემთვის ცნობილ ახალგაზრდა პოეტებს შორის ზვიად რატიანმა საუკეთესოდ მოახერხა განსხვავებული კატეგორიების - პათეტიკის და პოეტურ-არტისტული გულწრფელობის ურთიერთშეთავსება, რამაც ბუნებრივად მოითხოვა სადეკლამაციო და მტკიცებითი ინტონაცია, თეატრალური არტიკულაციის არაერთგვაროვანი ფორმები, ხოლო ექსპრესიამ შიგნიდან, ორგანულად გამსჭვალა დადებითი და ჰარმონიული საწყისით დამუხტული სათქმელი. ეს საპასუხო რეაქციაა გარემოზე, რეალობაზე, რომლის კრიტიკული ათვისება ახალი თაობის მეორე ფრთის მიერ მიმდინარეობს(და რომელსაც მალე შეუერთდება სარეცენზიო წიგნის ავტორი, თუ "დანართში" შეტანილი რამდენიმე ლექსისთვის დამახასიათებელმა განწყობამ იმძლავრა მის პოეზიაში). თუმცა, მოცემული პასუხიც შეიძლება რეალობის კრიტიკული გადალახვის მცდელობად შეფასდეს. მაშინ უნდა ითქვას, რომ მსგავსი მცდელობა შემოვლითი გზით ხორციელდება და სწორედ იმ ქვაზე ინტენცირებს, რომელიც, მშენებლების მიერ უარყოფილი, სახლის ქვაკუთხედად უნდა იქცეს.

ახლა - უფრო მშვიდად. როგორც აღვნიშნე, ზვიად რატიანის პოეზია სატრფიალო პოეზიაა, მაგრამ ერთი საყურადღებო მახასიათებლის თანხლებით: იგი რაციონალიზებას ესწრაფვის, - როცა ემოციური ნაკადის ობიექტივირების პროცესი აუცილებლად გულისხმობს გამგზავნსა და ადრესატს შორის მეტაფიზიკური ბადის ჩამოფარებას და მეთოდური ლოგიკური თამაშით ემოციური ნაკადის "შესაფერხებელ" სამუშაოებს, ირონიისა და გარდასახვის ტექნიკის მოხმობას, რაც, მართალია, "ჩურჩულის

გაკვეთილში" ხშირად გადაიზრება ხოლმე სოფისტურ ფსევდოგანაზრებებსა და უშინაარსო მრავალსიტყვაობებში, მაგრამ სიყალბისა და ტრაფარეტულობის შთაბეჭდილებას მაინც არ ტოვებს. ეს ლექსები ახალ ნაკადში რაციონალიზებული სასიყვარულო ლირიკის იმ ხაზის გაგრძელებისკენ იხრებიან, რომელიც დასაბამს ოთარ ჭილაძის პოეზიაში იღებს და რომლის ესა თუ ის არაარსებითი მომენტი გავრცელდა თავის დროზე ქართულ კონტექსტში. ჯერჯერობით, ხსენებული შინაარსი ზვიად რატიანთან თითქმის გაუცნობიერებლად მოდელირდება და იძულებული ვარ, განვიხილო არა მის მიერ წინასწარგააზრებული, შეგნებულად მოწესრიგებული სალექსო სამყარო, არამედ ავტორის კულტურულ-ესთეტიკური გამოცდილებით ქვეცნობიერად მოწესრიგებული პოეტური მასალა. ამ დასკვნებისკენ მიბიძგებს მის პოეზიაში იოლად შესამჩნევი ენობრივ-სემანტიკური ზედაპირულობა, არასასურველი სინტაქსური მოულოდნელობები და ემოციური საწყისისა და წმინდა საპოეტიკო კომპონენტების ურთიერთშეუჯერებლობით გამოწვეული ბანალობები, მხატვრული მეთოდის სისუსტე.

ესაა ვერლიბრი, რომელიც უახლეს ლიტერატურაში იმ ტენდენციის გამომხატველია, როცა ავტორი ზოგადი, უკვე დამკვიდრებული და იოლად ასათვისებელი ესთეტიკური კლიშეებით კმაყოფილდება და სათქმელის გასაფორმებლად საშუალებებს ენის გარეთ, თავის სულიერ და კულტურულ შესაძლებლობებში ეძებს: ტემპერამენტში, მორალში, არტისტული გაუცნაურების უნარში (სხვათა შორის, მოცემულ შემთხვევაში - წარმატებულში), პიროვნული გამოცდილების უღრმეს ფენებში. მაშასადამე, უნდა თუ არა, მის მოსვლამდე შექმნილ მზამზარეულ ენას იღებს, ითვისებს და ამ ენით გამოთქვამს საკუთარს, განუმეორებელს, ერთადერთს, ანუ, სხვისი ენით (ცხადია, მაინც ინდივიდუალურ სამეტყველო და კულტურულ პრიზმაში გარდატეხილით) ობიექტივირებულყოფს თავის სულიერ გამოცდილებას. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ამ დროს ცალკეული ორიგინალური ტროპებიც ძველ, ნორმადქცეულ პოეტურ ენას, ესთეტიურ ტრადიციას ამაგრებს. გარკვეულ ეტაპზე ნებისმიერი პოეტი ამ ხვედრს იზიარებს, შემდეგ კი დგება დრო, როცა ნორმა დაძლეულ უნდა იქნას. "ჩურჩულის გაკვეთილში" საკუთარი ენის გამომუშავების მცდელობები არ შეინიშნება, ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ყურადღება მთლიანად რიტორიკული მოდელების გაძლიერებაზეა გადატანილი და ყველაზე მომხიბლავი პოეტური პასაჟებიც სადეკლამაციო-რიტორიკულ ფიგურებსაა "შემოხვეული", შეიძლება დავასკვნათ, რომ მსგავსი ამოცანები ჯერჯერობით არ დგას ავტორის წინაშე. ეს, საერთოდ, უახლესი ქართული პოეზიის პრობლემაა. ახალი ნაკადი თითქოს დაკმაყოფილდა

ვერლიბრის ნორმადქცეული ფორმებით (არიან გამონაკლისებიც, ამჯერად მე მათ არ ვეხები). ცხადია, რაღაც შეიცვალა, რაღაც ძველს არ ჰგავს, მაგრამ ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს პიროვნული აქტივობა და "გენეტიკურად" ცვალებადი სიტუაციები. პოეზიაში მეტყველებას ყოველთვის ცვლის ახალი სულიერი, სოციალური, კულტურული ატმოსფერო, ახალი კონტექსტი (თვით გალაკტიონის ურიცხვი ეპიგონის მეტყველებაც თვისობრივად დაშორებულია გალაკტიონის მეტყველებას). პიროვნული აქტივობა ამ ცვალებადობათა პარალელურად ახალი სამუშაოს ჩატარების შინაგან მოთხოვნილებას გულისხმობს.

ვფიქრობ, სადღეისოდ გაბატონებულ ენობრივ-ესთეტიკურ კლიშეებთან დაპირისპირება და პიროვნული ენობრივი ავტონომიების შექმნა უკვე მორალურ ფუნქციასაც კი იძენს (რომ არაფერი ითქვას პოლიტიკურზე). ყოველთვის მარცხისთვისაა განწირული ნორმატულ კლიშეებზე ახალი მგრძნობელობის "მორგების" მცდელობა. საუბარი მაქვს სტილზე (სტილზე!), როგორც გადარჩენის საშუალებაზე, რაც ტოლფასია საკითხისა: როგორ უნდა მოხერხდეს, რომ მკითხველისთვის არა მხოლოდ მოხმარების საგნად იქცეს ჩვენს მიერ შეთავაზებული პოეტური პროდუქცია, არამედ - მიზნადაც. დასავლური ხელოვნების იმ მოძრაობებშიც კი, სადაც ავტორი თავის თავს მხოლოდ ინიციატორად ან მედიატორად აცხადებს, საშუალებად ავტორის წარმოდგენა შეუძლებელია: მისი ინიციატივა კრებს და აწესრიგებს იმას, რაშიც მკითხველი, მსმენელი ან მაყურებელი ჩართულია, როგორც ნაწილი და გამგრძელებელი ინიციატორის აქციისა. ჩვენს სალიტერატურო (და არა მხოლოდ სალიტერატურო) გარემოში გაბატონებულ ენობრივ კლიშეებზე, ესთეტიკურ მოდელებზე და სააზროვნო სტერეოტიპებზე ნეგატიური რეაქცია აუცილებელია იმიტომაც, რომ ისინი, თავიანთი, ერთი შეხედვით მარტივი, ყოფით-ჰარმონიული სიმშვიდის მიუხედავად, ადამიანებს ერთმანეთისგან თიშავენ და აგრესიას აძლიერებენ, ყალბის და ნამდვილის ერთმანეთში აღრევის საქმეს ემსახურებიან. ამ დროს თვით კლიშურობა იქცევა მოდად. სტილი აღნიშნული საშუალოობის და აგრესიული მოდურობის გარღვევად წარმოდგება (ჩემი მსჯელობა ითვალისწინებს საპირისპირო ორიენტაციების მნიშვნელოვნებას, მაგრამ თანამედროვე ქართული პოეზიის და მისი სალიტერატურო კონტექსტის რეალური მდგომარეობა ისეთი ცნებებით ოპერირების უფლებას არ მაძლევს, როგორებიცაა: "პოლისტილისტიკა", "სტილური ეკლექტიკა" და ა. შ. ეს, ალბათ, დავით კლდიაშვილის ცნობილ პერსონაჟებს დამამსგავსებდა). სტილი არა მხოლოდ გულწრფელობის, არამედ ესთეტიკური პოზიციის მაჩვენებელია.

მიუხედავად პროდუქტიულობისა, ზვიად რატიანის პოეზია სტილზე საუბრის საშუალებას არ იძლევა. ვერც ერთ ლექსს ხელოვნურობას ვერ დავწამებ, თითოეული მათგანი ავტორის მაღალი მგრძნობელობის, აღქმის განსაკუთრებული სიმძაფრის და სისათუთის ნიმუშია, მაგრამ ეს მაინც ბეჯითი და ნიჭიერი შეგირდის ლექსებია, ვიდრე დამოუკიდებელი ოსტატის. თუმცა, ამაში, ჯერჯერობით, დასაძრახი არაფერია. ვისურვებდი, წარმატებით დაეძლიოს ეს პერიოდი.

მაგრამ აქ მეორე მომენტიცაა. ძველი მეთოდებით ახალი მგრძნობელობის გამოხატვას ზვიად რატიანის პოეზიაში, ჩემი ღრმა რწმენით, მიზეზი სალიტერატურო პოლიტიკის მიმართ მის ინდიფერენტიზმშიც მოეძებნება. შეგნებული მაქვს, რამდენად წამგებიან მდგომარეობაში ვიგდებ თავს, როცა ამ თვალსაზრისს გამოვთქვამ, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც აქვს კრიზისულ სიტუაციებში მნიშვნელობა ავტორის გათვითცნობიერებას სალიტერატურო პოლიტიკის საკითხებში.

ჩემთვის მეგობარი პოეტის ამა თუ იმ ცალკეულ ლექსზე ბევრად ახლობელია კრებულის გამამთლიანებელი ის საერთო განწყობილება, რომელიც სიცოცხლის დამკვიდრების, სიყვარულის ყოვლისმომცველი იდეის დაცვის მცდელობაში გამოიხატება. ეს განწყობილება ახალ სასიცოცხლო ენერგიას მატებს ბოლო წლების ქართულ პოეზიას, რომლის ღირებული ნიმუშები მაღალ ტონალობას და დადებითი ემოციებით განმსჭვალულ ექსპრესიას მოკლებულია, მაგრამ არც იმაზე თვალის დახუჭვა ივარგებს, რის ფასად ბატონდება "ჩურჩულის გაკვეთილში" უსაზღვრო ტემპერამენტი და არტისტული უშუალობა. სამწუხაროდ: სისწრაფის და სიტყვების მოზღვავების ფასად, რაც იწვევს სიზუსტის გაქრობას და სიტყვების დაცლას მნიშვნელობებისგან, სიტყვების გამოცარიელებას. როგორც ჩანს, ამას ავტორიც გრძნობს, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებას არასწორი გზით - სიტყვების და კომენტარების, კვაზისენტენციების - გამრავლებით ცდილობს. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია ე. წ. ამბავ-ლექსებში ("სასამართლო პროცესი" და სხვ.). ამიტომაც, ავტორი იძულებული ხდება, მაგალითად, პოემაში - "მოსაწყენი სტუმარი", ილაპარაკოს არა ტკივილზე, არამედ "ნამდვილ ტკივილზე". ხშირად სენტენციები და ინტერმედიები პოეტურნი მხოლოდ იმიტომ არიან, რომ არ არიან ზუსტნი, სიზუსტე არტისტიზმს და ლექსის რიტმული მდინარეების შენარჩუნებას ეწირება. ამიტომაც არ ენდო პოეტი თავისსავე მშვენიერ სტრიქონებს: "ბოდიში ერთხანს დაგტოვებთო, შეჰკადრა და გამოეყო ღამეს ტირიფი", და უგემოვნო და მოსაწყენი ამბავ-კომენტარით განავრცო. კომენტირების მსგავსი "ტექნიკა" კრებულში ორი სახით ვლინდება:

ან მთელ ლექსში განიბნევა, ან გამოიკვეთება წამყვანი "ბლოკი" და მერე სასწრაფოდ "განიმარტება".

მომხიბლა კრებულის აშკარა არათანადროულობამ და პოეტურ განწყობათა, ხედვის რაკურსთა შიშველმა არქაულობამ, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, რომ ხშირად შესანიშნავი იდეის გახსნას და თემატიზებას ან საერთოდ ვერ ახერხებს ავტორი, ან, თუ მაინც ახერხებს, დაბალი ესთეტიკური ხარისხით ("სიკვდილმისჯილთა ბუზი", "მომკალი" და სხვ.). ტროპების უმრავლესობა ლამაზია, მაგრამ უზუსტობის გამო მეხსიერებაში გეკარგება და პოეტური ხატის ზემოქმედებით გამოწვეულ შეგრძნებასაც კი ვეღარ იხსენებ. ბევრ მშვენიერ პასაჟს შეიცავს ვრცელი პოემა "მოსაწყენი სტუმარი", მაგრამ აკლია მთლიანობა. დიდი ფორმის ნაწარმოების შესაქმნელად საკმარისი არაა იმ სავარაუდო მთლიანობის იმედად დარჩენა, რომელიც ნებისმიერი ავტორის სულიერ-ემოციური წყობიდან უშუალოდ, ავტომატურად ინაცვლებს ხოლმე ტექსტში და მასალას, ავად თუ კარგად, ყველა შემთხვევაში აწესრიგებს. ამას ესთეტიკური წესრიგი არ ჰქვია. ვერ ვიტყვი, რომ ზვიად რატიანი მკითხველს შეგნებულად უტოვებს ნედლი მასალის მოწესრიგების უფლებას. მისი ესთეტიკური პოზიციისთვის უცხოა მკითხველთან ნეოავანგარდულ ან პოსტმოდერნულ თამაშში შესვლა; ის სავსებით თავსდება ავტორისა და მკითხველის ურთიერთობის ტრადიციულ სქემაში, დისტანცია შენარჩუნებულია, ხოლო მომხმარებელს მიეწოდება დასრულებული სამუშაო - ნაწარმოები. ეს ტექსტი ერთი თემით შეკრული ფრაგმენტების, პოეტური ოპუსების ნაკრების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე - ლირიკული პოემისას.

ავტორმა საჭიროდ მიიჩნია "დანართში" იმ რამდენიმე ლექსის მოთავსება, რომლებიც მის ხელწერასა და პოეტურ ვითარებაში ბოლო დროს მომხდარ ცვლილებებს ასახავენ. მაგრამ ცვლილება არ განუცდია ავტორის ოსტატობას. შეიცვალა თემატიკა, უფრო სწორად, ავტორმა შემოქმედებითად აითვისა ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში თავისზე ოდნავ უფროსი ასაკის ავტორთა გამოისობით დამკვიდრებული კრიტიკული ესთეტიკა და პოეტური განწყობილება (ეს განსაკუთრებით ეტყობა ლექსს "თბილისი, 1994").

აი, აქ კი - გაცილებით მშვიდად და ცივად: საქმეში ჩახედულმა კაცმა ასე თქვა: "ის, რაც სხვა არაფერია, თუ არა მოდის ატრიბუტი, არც შეიცავს თავის თავში სხვა ნორმას, გარდა იმისა, რაც მოქმედების საერთო წესით დგინდება. მოდა თავისი სურვილისამებრ მართავს მხოლოდ ისეთ ნივთებს, რომლებიც თანაბრად ასეთნი ან ისეთნი არიან". ალბათ, შესაძლებელია მოდის ათვისება შემოქმედებითად. ამისთვის საჭიროა

ვაღიაროთ, რომ მოდის ველზე ვიმყოფებით და მეთოდურად ვეცადოთ ამ ველიდან გასვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ თავს მოვიტყუებთ და მოდების ცვალებადობა ჩვენს აქტივობად მოგვეჩვენება, სინამდვილეში კი, ერთ ადგილზე დგომისთვის გავიწირებით, გავიწირებით იმისთვის, რომ მოდის ილუსტრატორებად, დემონსტრატორებად ვიქცეთ. მოდის მოთხოვნილებებს რაღაც უნდა დაუპირისპირდეს. ეს რაღაც არის სწორედ ენა, რომელშიც თავს იყრის გემოვნებაც, მასალის ათვისების უნარიც, ტექნიკური შესაძლებლობებიც და დამოუკიდებლობის ხარისხიც. საკუთარი ენის გამომუშავების მცდელობა იმის ნიშანია, რომ არსებობს მოდის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების შექმნის, მის მიმართ სადისტანციო წესრიგის გამომუშავების სულიერი მოთხოვნილება. ეს კი სხვა სახის, სხვა ღირებულების დისტანცია იქნება და არა - ჩვენში გაუცნობიერებლად ჩამოყალიბებული დისტანციურობის ჯიუტად და გულუბრყვილოდ დაცვა. სამწუხაროდ, ასეთი მცდელობა არც წიგნის "დანართში" შეინიშნება.

მთელ კრებულს კი, ჩემი დაკვირვებით, მსუბუქად დაჰკრავს ამერიკული პოეზიის ქართულენოვანი თარგმანების გავლენა, მათ შორის, ელიოტის, რომელსაც, როგორც ჩემთვის ცნობილია, სისტემურად თარგმნის ზვიად რატიანი.

დიახ, წიგნს "ჩურჩულის გაკვეთილი" ჰქვია. მე გამიჭირდა ამ სახელწოდების ქვეშ კრებულში თავმოყრილი პოეტური ტექსტების დაკავშირება სიჩუმის ფენომენთან. პირდაპირ რომ ვთქვა, თითქმის არ მჯერა სიყვარულის ირგვლივ წიგნში ატეხილი ხმაურის, მაგრამ მჯერა ჩემი მეგობარი პოეტის გულწრფელობის, მხიბლავს მის სასიყვარულო სიმღერებში არტისტულ და თითქმის თეატრალურ გულწრფელობად ტრანსფორმირებული სიმართლე. თუმცა, ალბათ, უახლეს ქართულ პოეზიაში არ მოიძებნება არა თუ ამ მოცულობის, არამედ ათჯერ დიდტანიანი კრებულიც კი, სადაც "სიყვარული" ამდენჯერ იქნება ნახსენები. ვერც "სიჩუმის" და "ტკივილის" ხშირ-ხშირად მოხსენიება განაცდევინებს მკითხველს სიჩუმეს და ტკივილს. მით უმეტეს, გაძნელდება საქმე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რიგითი ადამიანებისგან, უმრავლესობისგან დისტანცირების სურვილი და პოეტის განსაკუთრებულობის მიმართ ურყევი რწმენა მოულოდნელად გადაიზარდა აშკარად არაპოეტურ და არაარტისტულ ჟესტში: "...მე მტკივა / და უნდა ვწერო და მთელ სამყაროს ვაიძულო, რათა უთანაგრძნოს ჩემს ნამდვილ ტკივილებს / და ქედი მოიხაროს ყველამ გოგონასთან, / რომელიც მართლა ძალიან ლამაზია". არ ვიცი, როგორ მოახერხებს ამას ავტორი (საერთოდ თუა შესაძლებელი, რომ აიძულო გითა-

ნაგრძნონ? ნუთუ, ესეც პოეტის პრივილეგიაა?), მაგრამ ერთი კაციც რომ აიძულოს და ქედი მოახრევინოს მითითებული გოგონას წინაშე, დარწმუნებული ვარ, ამერიკულ ფილმებში დაგმობილ მოძალადეს დაემსგავსება და თანაგრძნობის ნაცვლად რისხვის მეტს ვერაფერს გამოიწვევს. არადა, სულ სხვას გვპირდებოდა: "...როდესაც აღმოვაჩენ ჩემს ნამდვილ ტკივილს - მასზე სიტყვასაც აღარ დავწერ, აღარ გაგიმხელთ!".

დიახ, "ჩურჩულის გაკვეთილი", მაგრამ - ვისთვის? ალბათ, თავად ზვიად რატიანისთვის. კრებული იძლევა იმედს, რომ ავტორი სამომავლოდ არა მხოლოდ თვითონ დაეუფლება ჩურჩულის ხელოვნებას, არამედ მკითხველისთვისაც მისაწვდომს გახდის თავის ნამდვილ გამოცდილებას.

მარტი, 1995

რაღაც მოკვდა, მაგრამ არა - სიკვდილი

(რეცენზია "მარგო კორობლიოვას პერფორმანსის თეატრის" სპექ-ტაკლზე "სიკვდილი ნახტომებით და დეკორით". 3 იანვრის წარმოდ-გენა.)

რა თქმა უნდა, თხრობითობის პრინციპი შენარჩუნებულია. უბრალ-ოდ, სახეზეა თხრობის სხვა - რეგიონალური კონტექსტისთვის მარგინალ-ური -სისტემა, და იგი იძულებულია, თავისი ენის არატრადიციულობა ამტკიცოს, ამ ეტაპზე მაინც. ოპოზიციის გარღვევა არც იყო მოსალოდნე-ლი, მაგრამ გამოიკვეთა ქვემოდან მისი გაძლიერების ტენდენცია. გადა-წყვიტა, გაჩენილიყო, და გაჩნდა. ახლა მთავარია, რაც შეიძლება გვიან მოვიდეს სიკვდილთა მთელი წყება: პოლიტიკური, მორალური, პროფესი-ული, ფუნქციონალური.

სანთლებს შორის არაჩვეულებრივ ამბებად ხდებოდნენ: წითელი თასები, რომლებიც განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილს; ეტლში შებმუ-ლი ცხენი, რომელსაც თან ერთვოდა მეეტლე; დასაკრავი გიტარა; ტაქსას ჯიშის ძაღლი, რომელიც მთელი სპექტაკლის განმავლობაში სადღაც გარ-ბოდა ორ ანთებულ სანთელს შორის, მაგრამ წარმოდგენის დამთავრების-თანავე წაიქცა და აღარ ამდგარა, რათა თხრობა არ შეეწყვიტა; გოჭი, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ შეჭამს; წითელი მამალი; ჩვეულებრივი ძაღლი; აყრილი პარკეტიდან ამომავალი ღია ბარათი; გედი, რომელსაც არ ჰქონდა ზედა, ციური ნაწილი და მზად იყო საფერფლე განესახიერე-ბინა; ათას ერთი ღამიდან რამდენიმე; გარმონის მინიატურული მოდელი, რომელმაც მერე მსახიობს უხმო და შესრულდა; მწვანე ბაყაყი; სხვა ორ სანთელს შორის სულ სხვა ბაყაყი, სამხედრო თვითმფრინავის მსგავსი; სუნამოს ყავისფერი შუშა. მოგვიანებით შევნიშნე, რომ შემოსასვლელ-თანვე ხდებოდა ნიღაბი და კიდევ ერთი წიგნი, ვარსკვლავებთან და კოს-მოსთან მოთამაშე. ეს იყო მთელი თხრობა, პარალელურად მიმდინარე: ნივთების ფარული პროტესტი ყოველივე იმის მიმართ, რაც სცენაზე თამა-შის სახით ხდებოდა და რაშიც ჩართული იყო როგორც დასი, ისე - მაყურე-ბელი. დასი არ უყურებდა მაყურებელს და არც ის იცოდა, რას აკეთებდა ან თვითონ ან - მაყურებელი. ამიტომაც მოძრაობდა.

ეს ძალიან იოლია. ყოველთვის, როცა საჭიროა. თუმცა, შემდეგი გადამწყვეტი პირობის თანხლებით: უნდა არსებობდეს იდეა, მისი ობიექ-ტივაციის შინაგანი მოთხოვნილება და რვა ადამიანი, რომელიც უარს ამბობს თამაშზე. ისინი მოულოდნელად იწყებენ თამაშს და თამაში წვალ-

ობს, ცდილობს გაქცევას და გადაკარგვას. მართალია, ის ამას ვერ ახერ-ხებს, მაგრამ წუხს: გრძნობს, რომ მის მორალს, მისი არსებობის წესს უტევენ, მას ყოვლად უსირცხვილოდ ყვებიან, და ის თავს იცავს, ე. ი. თა-ვისი გავლენის ველს აძლიერებს, და აძლიერებს მოწინააღმდეგესაც, ამ შემთხვევაში - მარგინალურ ენას. აქ ორი თამაში ემთხვევა ერთმანეთს. ეს ისე ხდება, რომ ისინი ერთმანეთს არ გადაკვეთენ, არც თანაარსებობ-ენ. მხოლოდ ერთმანეთში განზავდებიან და გზას უთმობენ არა რაღაც ახალს, არამედ - რაღაც ძალიან ძველს, რომელიც ამიერიდან აღარ უნდა იყოს მუზეუმის მშვიდი, აუმღვრეველი ცხოვრებით ფერწასული ექსპო-ნატი. მაშასადამე, ასპარეზზე გამოდის ახალი, რეგიონალური კონტექსტ-ისთვის დღემდე უცნობი ენა. რა სურს ამ ენას? უპირველეს ყოვლისა: ორი ძლიერი და ყველასთვის თითქმის ცნობილი ფერის - შავის და წითლის - დაცვა. მერე - სხვაც ბევრი რამ. როგორმე, არაპროფესიული ძალისხმე-ვის ფასად მაინც, უნდა მოხერხდეს არაფრის თქმა. პირველივე სპექტაკ-ლი ამ მაღალ მიზანს ეწირება, რათა თამაშმა თავისი სახე და ფუნქცია დაიბრუნოს, აღიაროს თავისი თამაშობრივი ბუნება. უნდა გაშიშვლდეს სისტემის სამოქმედო მექანიზმი, მაგრამ - არა ოპოზიციური წყვილის ერთი, გაბატონებული წევრის მხილების ხარჯზე, არამედ - თვითმხილე-ბის, საკუთარი მითის დისკრედიტაციის ფასად. ვერავინ ამას ჩემზე უკეთ ვერ გააკეთებს. მექანიზმის ფუნქციონირების ჩვენება მექანიზმის რღვე-ვის ტოლფასია, წარმოსახვაში მაინც. იქმნება ერთი დიდი სცენის მოდე-ლი, რომელიც სპექტაკლისთვის განკუთვნილი დროის მანძილზე მიწყივ მოძრაობს, წარმოქმნის თვით ამ დროის მოდელსაც. სხვათაშორის, ეს მოძრავი დრო მაშინ ფეთქავს თვალშესახებად, როცა სტატიკური სურათ-ების ლოგიკა დომინირებს: მდგომარეობები იცვლებიან, მაგრამ ცვლილე-ბას არ განიცდის სცენა - თვით პირამიდის საკანი, რომელშიც მიმდინარე-ობს წარმოდგენა ანუ თავის თავის მთხრობელი ამბავი. ხსენებული სტ-ატიკა კი ბუნებრივად მოითხოვს ვერბალურ სტატიკას, ბგერების ანს-ამბლს, რაც დაყვანილია ბგერების, სიტყვების ან წინადადებათა მთელი მონაკვეთების სპონტანურ კომბინირებამდე. მოცემულ შემთხვევაში შე-ყვირებები, უცხოენოვანი დეკლამირებები, სიმულტანური დეკორაციე-ბის საკმაოდ კარგი ტექნიკა და სხვადასხვა წიგნიდან ამოკითხული ფრაგ-მენტები ერთ კულტურულ დანაშრევად, თანაბარმნიშვნელოვანი ფუნქ-ციების მწკრივად ყალიბდება, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

მაგრამ სცენა მაინც არსებობს. სასცენო მისტიკის შექმნაში კი გად-ამწყვეტ როლს ასრულებს გეომეტრიზმის მაღალი დონე, რომელიც მსჭვალავს სპექტაკლის ნაწილსაც და მთელსაც. იქ, ჩემგან მარჯვნივ,

ე.ი. ვიღაცისგან მარცხნივ, რამდენიმე თეთრი სკამია. ეს სკამები ადამიანებს აცვიათ. ადამიანები ლაპარაკობენ, მოძრაობენ, არ მოძრაობენ, სკუპ-სკუპით დახტიან, ყვირიან (ესეც ლაპარაკია), ერთი სიტყვით: ჩართული არიან იმ პროცესში, რასაც კომუნიკაცია ჰქვია და რაც ყველა საკომუნიკაციო ფუნქციის გამართულ მუშაობას გულისხმობს მაშინაც კი, როცა გვეჩვენება, რომ დეტალები წესრიგში არაა. ინტენსიურია წითელი ფერი, მაგრამ ის არაა სიმბოლური. სიმბოლურობა საერთოდაც უცხოა სიკვდილისთვის, მით უმეტეს - სცენაზე. სიკვდილს არ გააჩნია შინაარსი, მაგრამ - სწორედ ამიტომ - ის არაა აბსურდული. ამ სილოგიზმს უშუალოდ გადავყავართ რეალურ, ანუ ცარიელ სივრცეში, სადაც სიკვდილი სექსუალურ შინაარსს იძენს, სიკვდილის აქტი კი გარდაცვალების პროცესად ანუ ორგაზმად ნაწევრდება. ეს მერე მოხდება. ჯერ ამ სცენიდან პერიოდულად ცვივიან მსახიობები. ბოლოს იქ უკვე არავინ რჩება. ასეა? რა მნიშვნელობა აქვს, ასეა თუ - არა. ისინი თავისუფლდებიან თეთრი სკამების ტყვეობიდან. თეთრი სკამები და ერთი წყვილი თეთრი, ქალური ფეხსაცმელი მარტო რჩებიან. როგორც ჩანს, სკამებს ვეღარაფერი დააკავებს: ისინი ჯანყდებიან და მოითხოვენ ადამიანებს, რომლებმაც ისინი მიატოვეს. იწყება უსულო საგნების მიერ სულიერი საგნების მონატრების დრამა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თეთრი სკამები აქტიურად ნატრობენ ადამიანებს, ცდილობენ ამ უკანასკნელთათვის სამსახიობო ფუნქციის აღდგენას: ცხადია, იმიტომ, რომ სცენამ შეუმჩნევლად დაკარგა ფუნქცია. სანთლები ისევ შეგვახსენებენ, რომ ვიღაც უნდა დაიკრძალოს, ხოლო რაც ახლა ხდება, მუმიფიცირების რიტუალია: სხვათაშორის, შესამჩნევად სენტიმენტალური, რაც ყოველთვის თან ახლავს ნებისმიერ ახალ წამოწყებას და არ იწვევს მაყურებელში გაღიზიანებას, უხერხულობის განცდას. მაგრამ სცენა მაინც არსებობს (მაშასადამე - თხრობაც). ის ოდნავ მაღლაა, ოდნავ მომწყდარია უხარისხოდ დაგებულ იატაკს და მსახიობთა სამომავლოდ დასახვეწ მიმორბენებს.

რა თქმა უნდა, აპრიორი აქ არაფერ შუაშია, არც - თეზა-ანტითეზური განვითარება, არც - ცხოვრების აწევა ზეთეატრალური რეალობის დონეზე, არც - დრამატულის და დეკორატიულის, ეთიკურის და ესთეტიკურის განიველირება და ა. შ. ეს ხომ ძალზე ზოგადი და უკვე ზედმეტი მოტივებია. ახლა მნიშვნელოვანია, არ მოხდეს თეორიული კლიშეების მოძალება. ვფიქრობ, აქცენტი უნდა გამახვილდეს ნებისმიერი სერიოზული, შეგნებული საქმიანობისთვის ადრე თუ გვიან საბედისწერო ინსტიტუციონალიზაციის ჟამის დადგომამდე მოსასწრები წმინდა პერფორმატული პრაქტიკის გამოუშავებაზე, შიგნიდან ღია სისტემის შექმნაზე, და არა -

მის თეორეტიზებაზე. ნებისმიერი ტიპის სათეატრო ტრადიციის შესაქმნელი მინიმალური პირობაა, - მაყურებელმა და მსახიობმა ერთმანეთი არა ახსნან, არამედ - გაიგონ.

პერფორმანსის პირველი თბილისური თეატრი თითქმის პოლიტიკური თეატრია (არა ბრეხტის ტრადიციის). მისი ანარქიზმი ესთეტიზაციის საშიშროებისგან ჯერჯერობით დაზღვეუია. ამ თეატრს, უპირველესად, საჭიროებენ ის ადამიანები, რომლებსაც მასზე მოთხოვნილება არა აქვთ, რომლებიც შეიძლება არასოდეს ამ თეატრის მაყურებელთა შორის არ აღმოჩნდნენ და რომელთა მაყურებლებიც დასის წევრები არიან; რომლებსაც მათი პირველივე სპექტაკლი უყურებს. ამ თეატრის საჭიროებას განიცდის ის ურიცხვი ადამიანი, რომელიც, ალბათ, ვერც გაიგებს ოდესმე, რომ ჩვენთან ასეთი თეატრი არსებობს. პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ ნებისმიერი ტიპის და ტრადიციის თეატრი სწორედ მათ ყოფაში იჭრება, ისე, როგორც ჰაერი, რომელსაც ვერ ვხედავთ. არა მგონია, დასის წევრთა უმრავლესობა პერფორმანსისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სოციალურ-ესთეტიკურ ფუნქციას მთელი არსებით აცნობიერებდეს, მაგრამ ეს ნაკლად ვერ ჩაითვლება. ჯერჯერობით საკმარისია, რომ ამ ფუნქციის შინაარსში გარკვეულია შაჰ ისმაილ I, რაც პერსპექტივას საგრძნობლად აფართოებს. ერთი ცხადია: თეთრ სკამებში გამოწყობილი ადამიანები მართლა არ არიან კარგები ან ცუდები, კეთილები ან ბოროტები, პესიმისტები ან ოპტიმისტები. ისიც ცხადია, რომ ორგანიზმს ხველა არ უნდა აუკრძალონ. ძალიან მინდა, ნახტომებით და დეკორით ვისურვო: მოვა თუ არა აღიარება, ეს თეატრი მყის მომკვდარიყოს რამდენიმე მსგავს ან სულ სხვა სახის თეატრად, ისე, როგორც ამ თეატრს მოუკვდა ჩვენთვის ჯერაც უცხო, მაგრამ დასავლეთისთვის კარგად ცნობილი, სინთეზური ორიენტაციის ერთ-ერთი რიგითი პრაქტიკა.

სცენა მწყობრიდან გამოსულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ბატონობა დროებით შეწყდა. ეს, ბუნებრივია, იმასაც ნიშნავს, რომ მისი ბატონობა აუცილებლად აღდგება, რასაც ორგანულად მოითხოვს ჰეგელის "გონის ფილოსოფია", რომელიც სპექტაკლში დეკორატულ ფუნქციას ასრულებს, და შეიძლებოდა ნებისმიერი სხვა სათამაშოთი მისი შეცვლა, რაშიც კეისარი უყოყმანოდ დამეთანხმება. მაგრამ ვეცდები, კეისარი იმაშიც დავითანხმო, რომ ამ წიგნს და მის ავტორს, რომლებიც უკვე ნათლად ვახსენე, თავისი ავტორიც ჰყავს, თვით გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, რომელსაც, თავის მხრივ, თავის დროზე, თავის უახლოეს მეგობარსა - გვარად ჰოლდერლინსა - და მისი ტრფობის ობიექტს შორის თავისი წიგნების ავტორისთვის ერთი შეხედვით უჩვეულო ფუნქცია - შიკრიკის ფუნქ-

ცია - არა ერთხელ უკისრია და შეუსრულებია, და - ფრიადი სიამოვნებითაც: მაშასადამე, წიგნის გარეთაც ქცეულა ავტორად. მაგრამ ეს უკვე ჩემი გულწრფელი მცდელობა იყო თემიდან მეთოდური ამორთვისა, რაც თემაშივე ჩართვის მოთხოვნილებამ განაპირობა. ასე რომ, ძალზე პირობითია საზღვარი ამ სპექტაკლის მსახიობებსა და მაყურებლებს შორის, შესამჩნევია თვით ამ ცნებების პირობითობაც. სამაგიეროდ გადამწყვეტია დარბაზის ცნება, ე. ი. მსახიობთა და მაყურებელთა ერთობლივი თამაშის სისტემა, მათი მოძრაობების მთლიანობა, რაც მნიშვნელობას უკარგავს ამ ერთიან სცენაზე ანუ დარბაზში მსახიობთა სივრცობრივი გადაადგილებისა და მაყურებელთა უძრაობის ფაქტს. პერფორმანსის თეატრში ნებისმიერი ვიზუალური, სანახაობრივი კატეგორია მიმართულია იმ შეუმჩნეველი წამის ნათელსაყოფად, როცა მაყურებელი და მსახიობი (მაყურებლის და მსახიობის ცნებები ამ პუნქტში ნებაყოფლობით ღებულობს ირონიულ შეფერილობას) ერთმანეთს მოულოდნელად უცვლიან როლებს და მათთვის უკვე ცნობილი და იოლად აღქმადია ერთმანეთის გამოცდილება. მხოლოდ ამ უმაღლეს პუნქტში ცნობიერდება, რომ რიტუალი შედგა. თუმცა, ეს უკვე სიკვდილია, თხრობაში სწრაფად გარდამავალი და თხრობითობის მეორე მხარის წარმომჩენი. ესაა ნგრევა, რომელიც სასურველია. მაგრამ სასურველია ისიც, რომ ნგრევის გმირებმა გააცნობიერონ თხრობიდან და თხრობითობიდან გასვლის შეუძლებლობა, კვდომის და სიკვდილის შეუძლებლობა. თუ თამაშის, როგორც მარცხისთვის მზადყოფნის და სიხარულით მისი მოლოდინის დემონსტრირება ხდება, მაშინ ყველაფერი რიგზეა ანუ მაშინ ქმედება თავის წესრიგს მორჩილებს.

ნახა თუ არა ჩემთვის ძვირფასმა ერთმა კაცმა, როლან ბარტმა ეს წარმოდგენა? ცხადია, ნახა. ამას ადასტურებს მისი შემდეგი მსჯელობა, რომელიც ობიექტის შეფასების და მისთვის ხარისხის ამა თუ იმ ნიშნის მიმაგრების ვნებას საიმედოდ გამორიცხავს: "უბედურება ისაა, რომ მსგავსი ნგრევა ყოველთვის წარუმატებლობისთვისაა განწირული: ან აღმოჩნდება ხოლმე, რომ ის უცხოა ხელოვნებისთვის და ამიტომ ვერ აღწევს დასახულ მიზანს ან ირკვევა, რომ ის ხელოვნების პრაქტიკის იმანენტურია, ამგვარად ყოველივე დანგრეული ისევ აღორძინებას განიცდის (ავანგარდი განხორციელებაა მოჯანყე ენისა, რომელიც მორჯულებას ექვემდებარება). მსგავსი ალტერნატივის მოუხერხებლობა ისაა, რომ დისკურსის ნგრევა აქ წარმოსდგება არა როგორც დიალექტიკური ტრიადის ელემენტი, არამედ როგორც სემანტიკური ოპოზიციის წევრი. <...> საბოლოოდ, პარადიგმის ორივე წევრი თანამზრახველობის მიმართებითაა ურთიერთდაკავშირებული, რომლის დროსაც უარმყოფელ და უარყოფილ მხა-

რეებს შორის სტრუქტურული კავშირი არსებობს".

მსახიობები არაპროფესიონალები არიან. გადამწყვეტია იმაზე მითითება, რომ პერფორმანსის თეატრი შესაძლო პროფესიონალებსაც არაპროფესიონალებად აქცევს. ამ ტრადიციის თეატრი სხვანაირად ძნელად თუ მოახერხებს თეატრის კედლებს გარეთ პროგრამაში (იგივე მანიფესტში) მითითებულ გასვლას. თავის თავს ამართლებს პირველი სპექტაკლის ღია რეჟისურაც, - იგი, არსებითად, სპონტანური ეკლექტიკის პრინციპებს ეყრდნობა. ჩემი ვარაუდით, შემდგომი სპექტაკლები უფრო რთული, უფრო უბრალო, უფრო კონკრეტული და ნაკლებად სქემატური, ნაკლებად სენტიმენტალური და ყვირილთა ნაკლებად შემცველი იქნება.

რაც შეეხებათ თეთრ სკამებში გამოწყობილ ადამიანებს, ისინი დეკორის შესაკრებად და რიტუალური სიკვდილის გასათამაშებლად ემზადებიან. ორგაზმი სხეულისმიერ და ბგერისმიერ მოძრაობებს ერთმანეთთან აწყვილებს და აწესრიგებს. სიკვდილის აქტი მოკლულისთვისაც და მკვლელისთვისაც სექსუალური ხასიათის მატარებელია. სიკვდილი და ერთმანეთთან ორი სხეულის შერწყმის ეროტიკა ერთმანეთს ემთხვევა.

მაგრამ ეს ფინალი არაა. ფინალი ასეთია: სცენაში მოთავსებული სცენის მოთხოვნა იმდენად ძლიერდება, რომ მოთამაშეები (ანუ პირობითად-მსახიობები და პირობითად-მაყურებლები) კვლავ განიწვალებიან. მაყურებლები არსად არ მიდიან, მსახიობებს კი სცენა იბრუნებს, თეთრი სკამები ადამიანებს ისევ მსახიობებად აქცევენ, რაც ბადებს ტკივილს: თამაშიდან გასვლის სურვილი თამაშის, ცერემონიალის განმტკიცებით დამთავრდა. მერე ყველა გარეთ გავიდა და დარბაზი მარტო დარჩა. თამაშმა დარბაზს რაღაც გაახსენა. რა თქმა უნდა, - მაყურებელსაც. რაღაც ძალიან უმნიშვნელო, არავითარ შემთხვევაში - ნებადართული და მთავარი, არავითარ შემთხვევაში - ზემოდან დაშვებული. ვფიქრობ, ჯერჯერობით მაინც ასეა.

ვწუხვარ, რომ არაფერი ვიცი მარგო კორობლიოვას შესახებ, მაგრამ რატომღაც ამით არც დავინტერესებულვარ. დიახ, დღეს ასეა.

მადლობა უნდა ითქვას გამომცემლობა "ხომლის" და მისი დირექტორის, მწერალ შადიმან შამანაძის მიმართ, რომლის ხელშეწყობითაც პერფორმანსის პირველმა ქართულმა თეატრმა არსებობა მოიპოვა თამაზ ბაძაღუას სახელობის კლუბში.

4 იანვარი, 1995

მოდა და ავანგარდი

(ვედეენხა, 1995, 16 სექტემბერი)

ვედეენხაში გამართული "ავანგარდული მოდის ასამბლეის" ორგანიზატორებმა, როგორც ჩანს, თვით ავანგარდის სამყაროსთვის ყოვლად ზეავანგარდული ჟესტის გაკეთება გადაწყვიტეს: სცადეს, დაემტკიცებინათ, რომ ქვეყანაში, სადაც თანამედროვე სახელოვნებო სტრატეგიებზე წარმოდგენებს ისტორიული ავანგარდის შესახებ საცნობარო სტატიებსა და ლექსიკონებში ამოკითხული ინფორმაციებით იქმნიან, სადაც ცალკეული ადამიანების ძალისხმევა ავანგარდის ესთეტიკის პოპულარიზაციასა და კულტურულ აგიტაციას ხმარდება, სადაც ავანგარდული ურთიერთობების სისტემა უსუსტესია, სადაც დღემდე უახლეს ქართულ ლიტერატურად საუკუნის დასაწყისის მწერლობა საღდება (ამ საქმეს მაღალ პროფესიულ დონეზე განამტკიცებს, მაგალითად თსუ-ის "უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა"), შეიძლება განხორციელდეს ავანგარდული მოდის საკონკურსო ჩვენების პროექტი, ამ ჩვენებამ კი ხუთი ღამე და სამოცამდე მხატვარ-დიზაინერის, უამრავი მანეკენის და ურიცხვი მაყურებლის პატიოსანი შრომა მოიცვას. ორგანიზატორები, ალბათ, ფიქრობენ, რომ მათ მიერ ჩატარებულმა ამ უპრეცედენტო აქციამ პირწმინდად გაიმარჯვა. რაკი მათი სავარაუდო საზეიმო ფიქრები ნაკლებად მაინტერესებს და ვერც მათ გამარჯვებას მოუტანს ზიანს ჩემი უმწეო სკეპტიციზმი, ნება მომეცით, რამდენიმე თვალსაზრისი გაგიზიაროთ ავანგარდული მოდის თემაზე და იმ მიზეზებზეც მივუთითო, რომლებმაც კრიტიკულად განმაწყვეს ჩატარებული ღონისძიების მიმართ.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მოდა სისტემაა, მოდის სისტემურობა კი გულისხმობს მკაცრად ორგანიზებულ და უცვლელ იდეოლოგიურ პრინციპზე, მოდურობის უცვლელობაზე დაფუძნებულ ინსტიტუტს. მხოლოდ ასეთი უცვლელობის, მუდმივობის წყალობითაა შესაძლებელი ცვალებადი მოდის ფუნქციონირება, მოდის ცვალებადობა. მსგავსი სისტემის აგრესიული ხასიათი იმითაც განისაზღვრება, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული ამბოხი განწირულია მასშივე ორგანული ჩართვისთვის, მისი განვითარების მორიგ ეტაპად გადაქცევისთვის და მოდურობის განმტკიცებისთვის. უფრო მეტიც, სისტემა თავადვეა დაინტერესებული მასზე აქტიური შეტევების პროვოცირებით, რაც მისი ოპტიმალური ფუნქციონირების პირობაა, ემოციური დაძაბულობა და უარყოფითი მუხტი კი მოდურობისთვის ნორმალური მდგომარეობის შენარ-

ჩუნებას ემსახურება. მოდურობის სისტემაში ამ შემტევი ძალების უმტკივნეულოდ ჩართვა გარანტირებულია მათი ბუნებრივი ლტოლვით მოძველებული ეტაპის ადგილის დასაკავებლად. როცა ასეთი ლტოლვა არსებობს, სისტემა გამართულად მუშაობს და მოულოდნელი ექსცესებისგან დაზღვეულია. მაგრამ საკმარისია, გარკვეულმა ძალებმა არ ისურვონ ძველ საფუნქციო სტრუქტურებში ახლის ჩანაცვლება, რომ სისტემის რეჟიმი ირღვევა. დისფუნქციას წარმოქმნის სისტემის გარეთ დარჩენის, მასში არჩართვის სურვილი. სწორედ ესაა თანამედროვე ავანგარდის ზოგადი კონცეპტუალური სტრატეგია, - არა მოდასთან დაპირისპირება და მის მიმართ ოპოზიციაში ყოფნა, არამედ - მისგან ამოვარდნა, მოდურობაზე უარის თქმა. ჭეშმარიტად ავანგარდულ მოდას (სადაც თვით "მოდის" ცნება უმალ კარგავს იდეოლოგიურ ფუნქციას და თამაშის ობიექტად იქცევა) შეიძლება წარმოადგენდეს მოდიდან ამორთვის, მოდის დისკრედიტაციის პერმანენტული მცდელობა, და ისიც - მხოლოდ როგორც პროცესი. საკმარისია პროცესის შეწყვეტა, რომ მოდით თამაში მოდად გადაიქცეს.

"ავანგარდული მოდის" ცნებაც უკიდურესად პირობითია და ნებისმიერ შემთხვევაში მზადაა თავისი თავის წასაშლელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ ავანგარდული მოდის არსებობას თუ სერიოზულად მივიღებთ, იგი აკადემიური სამოდო სისტემის დერივანტულ წარმონაქმნად გამოცხადდება. ამიტომ, ავანგარდული მოდა ყოველთვის ანტიმოდაა, რომელსაც ვეღარ იმორჩილებს ძალაუფლება, ვეღარ ტვირთავს გლობალური თუ ლოკალური საკონტექსტო ფუნქციებით.

რას ნიშნავს, რომ იგი მზადაა თავისი თავის წასაშლელად? როცა მოდა ყოფიერების უძირითადესი პრობლემებით, არსებითი ადამიანური კატეგორიებით, უმწვავესი პიროვნული ურთიერთშეხებებით თამაშს იწყებს, რათა ძალაუფლების ნება განახორციელოს, მაშინ ანტიმოდა თვით ამ აგრესიული მოდურობით თამაშს მიმართავს, რითაც პერმანენტულად აშიშვლებს, დესტრუქტირებულყოფს მოდის რეჟიმს, ხმამაღლა ასახელებს მის კონოტაციას. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ავანგარდული მცდელობა არანაივურ და არაინფანტილურ ბუნებას ფლობს, რაც იმის გაცნობიერებაში ვლინდება, რომ ესაა მუდმივად ხელახალი მარცხისთვის განწირული საქმიანობა, ვინაიდან საქმე ეხება არა იდეოლოგიურობის დამხობის ილუზიას, არამედ მის მიმართ მდგომარეობის, პოზიციის გამომუშავების საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ ესა თუ ის კონკრეტული იდეოლოგია და ანტიიდეოლოგია იდეოლოგიურობის საერთო ნიშნით ხასიათდებიან. მათ შორის განსხვავებას წარმოქმნის იდეო-

ლოგიურობის გაძლიერების ან მისგან გაქცევის მოთხოვნილება და შესატყვისი სამოქმედო პოლიტიკის არჩევა. ავანგარდული ანტიიდეოლოგიური ინტენცია აცნობიერებს იდეოლოგიურობაზე თავის მიჯაჭვულობას და ამაშია მისი არანაივურობა. სხვათაშორის, პროცესიც სწორედ ამიტომაა შესაძლებელი.

ასე რომ, ავანგარდი არც ექსტრავაგანტული დიზაინია და არც - ე.წ. მშვენიერი, სექსუალური, სასურველი, სახმარი ღირებულების მაღალი ხარისხით დაჯილდოებული სხეულისთვის შექმნილი სამოსი, არც - ამის საპირისპიროდ - მახინჯი სხეულისთვის შეკერილი კაბა ან შარვალი (დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა აზრი, თითქოს ავანგარდის ესთეტიკა სიმახინჯის კულტივირებას ახდენს). ნებისმიერი სინქრონული ავანგარდული მოდა, როგორც მოდურობის სისტემით თამაში, იმართება მორალით, რომ მახინჯი და მშვენიერი სხეულის დიხოტომია ფიქციაა, რომ გამოუსადეგარია თვით მშვენიერებისა და სიმახინჯის კატეგორიები. უბრალოდ, არსებობს სხეული, რომელმაც შეიძლება მასალით, ფერებით, დროის მოცემული მომენტით და სივრცეში მოცემული ადგილით ითამაშოს, გაერთოს. ავანგარდული მოდა, როგორც მოდის დამშლელი დადა-მოვლენა, გართობის უფლების "მიმნიჭებელი" საქმიანობაა: გართობის უფლება აქვთ ფიზიკურად უნაკლოთაც და ფეხის ან ხელის არმქონეთაც, კუზიანთაც და უკუზოთაც; ამ სადღესასწაულო ველზე სხვადასხვა ბედის მქონე სხეულები ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, კი არ აძევებენ, არამედ მხოლოდ ავსებენ და აღრმავებენ, მრავალფეროვნების (თუნდაც, როგორც ტრაგიკული მრავალფეროვნების) შემადგენელ ელემენტებად იქცევიან. ამ ჭეშმარიტად ეროტიკული აქტით კი აზრი და მნიშვნელობა ეკარგება არა მხოლოდ ცენტრებად და პერიფერიებად სასხეულო სამყაროს დაყოფას, არამედ - "ყოფიერების ზარალის" შესაძლებლობასაც. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სანქციონირებული და კულტურულ-ადმინისტრაციული სისტემების მიერ წახალისებული სამოდო პოლიტიკის ავანტÁურა, - როცა იგი მოწყალებას იჩენს ინვალიდების ან არაეტალონური ტიპების მიმართ და მოდის ტერიტორიას მათაც უთმობს (რითაც ხაზს უსვამს მათ არასრულფასოვნებას), და ავანგარდი, რომელიც ასეთი მოწყალების არა მხოლოდ აგრესიულ ბუნებას, არამედ უზნეობასაც ზურგს აქცევს და გართობაზე, ზეიმზე სხეულთა თანაბარუფლებიანობის დაცვის გზას ირჩევს. აი, რატომ არ მჯერა, რომ მინიკაბიანმა გოგონებმა, ბურატინოსცხვირიანმა ძუძუებმა და დასავლურმა მუსიკამ ექსტრავაგანტული მოდის ფესტივალი შეიძლება ავანგარდული მოდის ასამბლეად აქციოს. გასაკვირი არაა, რომ ასეთ დროს იმ მცირერიცხოვანი

მხატვრების მონდომებაც აღარ მნიშვნელობს, რომლებიც მსგავს წამოწ-ყებებს სოლიდარობას უცხადებენ. როგორც ჩანს, შექმნილ სიტუაციას მაშინვე აუღეს ალღო ახალთბილისელმა ახალგაზრდებმა. როგორც აქციის ორგანიზატორები მოექცნენ ავანგარდს, ისე მოექცნენ მაყურებლები ვედეენხას ერთ-ერთი მზიური მინდვრის სერენადას, - პინგ-პონგის სათამაშო მაგიდას, რომელზეც შუშის ორი ჩოგანი და რკინის ერთი ბურთულა იდო (ბურთულას ვეღარ მივუსწარი, მისი ყოფილი მუნყოფნის შესახებ ზეპირი გადმოცემით ვიცი). ინსტალაციამ მხოლოდ ერთი ღამის სექსს გაუძლო, და ისიც - ნაწილობრივ. ავანგარდული მხატვრობის ცნობილი ქართველი ადეპტის მეტაფორას მათ ერთობ სიმბოლურად უპასუხეს: ჯერ ბურთი და ბადე გაუჩინარდა, მერე რეკლამებით აჭრელებული დაფების წნული მოინგრა და მიმოიფანტა, ბოლოს კი შუშის ჩოგნებიც გაქრა და მაგიდა ორ ბუნებრივ ნაწილად გადაიშალა.

გადამწყვეტ სიყალბეს კი, ჩემი აზრით, საქმის ისე წარმოჩენა წარმოადგენდა, თითქოს თავისი სახელწოდების გამამართლებელი საფესტივლო სიტუაცია საქართველოში ერთის მხრივ ავანგარდის, მეორეს მხრივ მოდის განვითარებამ, მერე კი მათმა ჰარმონიულმა შერწყმამ გამოიწვია. სინამდვილეში, იგი არ მოუმწიფებია არც ავანგარდის და არც მოდის განვითარების შინაგან ლოგიკას, ბუნებრივ გზას. სინთეზზე საუბარი ხომ საერთოდაც ზედმეტია. უბრალოდ, გარკვეული (თუ გაურკვეველი) პიროვნებების ერთობას მოუნდა, ამ სახის ფესტივალი ჩაეტარებინა, და დღის წესრიგში დადგა ავანგარდის ესთეტიკისთვის მეტად უმანკო ადამიანების წაქეზება, ამ სიყალბის ელემენტებად მათი გადაქცევა.

ამის მერე კი გამართლებული იქნება უფრო რადიკალური კითხვების დასმა: შესაძლებელია კი დღევანდელ საქართველოში მოდა, როგორც ასეთი, როგორც მოდის სისტემა (რომ აღარაფერი ითქვას ანტიმოდის არსებობაზე)? ხომ არაა ეს ყველაფერი მხოლოდ მოდაში შემოსული მოდურობა? შესაძლებელია მოდის არსებობა იქ, სადაც ჰგონიათ, რომ მოდა ისაა, რაც უსათუოდ სადღაც სხვაგან, პარიზში ან ნიუ-იორკში, უნდა დაიბადოს და წარმოუდგენელია მისი გაჩენა ჩვენს რეგიონალურ კონტექსტში? მე მხოლოდ ის ვიცი, რომ თუ ამგვარი რამ შესაძლებელი ჰგონიათ, მათი რწმენა ჩემს ურწმუნობაზე უარესია.

ახლა კი - ვედეენხაში საგასტროლოდ ჩამოსული "მარგო კორობლიოვას თეატრის" სპექტაკლის შესახებ "აუტოგოდო - თეატრის დაბადება", ვინაიდან მე, როგორც საქართველოში დღესდღეობით არსებულ თეატრებს შორის სწორედ ამ ერთადერთი თეატრის პატრიოტმა, ვედეენხაშიც მის სანახავად ამოვყავი თავი.

ყველაზე მძაფრად მოკლე-მოკლედ დაჭრილი რკინის მილების ერთმანეთზე შეჯახებებით გამოწვეული წკრიალი მახსოვს: პარამილური სათქმელი, რომელიც წითელ ბერეტებად გასდევდა ამ პერფორმატულ სანახაობას და მიქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ეს იყო ფინალი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა მთელი წარმოდგენა. ერთ-ერთი ფუნქცია-პერსონაჟის ხელში მილების ამ ჰარმონიულმა ჟღერადობამ PINK FLOYD-ის განთქმული "კედლის" ფინალში, ნგრევის მერე ჩამცხრალ ხმაურში, ატირებული ბავშვის მონაკვეთი გამახსენა. "აუტოგოდოში" კი თავიდან ბოლომდე ფინალის იდეა მუშაობს, მთელი სპექტაკლი ერთი გაბმული ფინალია. ვფიქრობ, პარამილური სათქმელი ერთადერთი სიმბოლური ბლოკია, რომლისკენაც სპექტაკლის ყველა ნიშნური გზა მიემართება. მის გარშემო მთლიანდება წარმოდგენა და მისით იმართებიან წარმოდგენის ცოცხალი ფუნქციებიც - ადამიანური მოძრაობები. სხვა ყველაფერი ნიშნურობის აქცეპტებია. მართალია, ესაა ნიშნები, რომლებიც უკვე სემანტიკურად დაშრეტილია და აღარაფერს აღნიშნავენ, მაგრამ მხოლოდ აქ გაჩერება გაცვეთილი პოსტმოდერნული შაბლონის გადათამაშება იქნებოდა. აქ კი გადამწყვეტია ის, რომ ნიშნები, რომლებიც აღარაფერს აღნიშნავენ, დამოუკიდებელი საგნობრივი რეალობის შექმნას ცდილობენმ (პერფორმანსი ახერხებს ამ გზის, პროცესის ჩვენებას), მაგრამ არა დაკარგულ რეალობაზე შურისძიების, არამედ - მისი გულწრფელი ძიების, მისკენ მიბრუნების მიზნით. რა თქმა უნდა, ეს უმძიმესი, თითქმის წარუმატებელი პროცესია, ვინაიდან მოცემულ ნიშნებს არც ერთმანეთთან და არც სიგნალებთან აღარაფერი აკავშირებს. ნებისმიერი მათგანი არის თითქმის ხელშესახები, თითქმის მკვრივი რეალობა, თითქმის ობიექტური სინამდვილე, მაგრამ რაკი ცალკეა და მოჭრილი აქვს გზა მეორე ნიშნისკენ, განწირულია დასაკარგად. როგორც ჩანს, ამიტომაა: ჩირაღდნები ისე ინთებიან, ისე ეხეთქებიან ლითონის დროშებისგან შექმნილ "ფიჩხულებს", რომ ვერ პოულობენ ადგილს, სადაც შეიძლება ცეცხლი განვითარდეს, - ნამდვილი ფიჩხების გროვას, რომელიც ასევე მშრალი და ცეცხლშეუხებელი რჩება ბოლომდე (თუმცა სრულიადაც არა ხელშეუხებელი). აქვე ვითარდება მეორე ხაზი: მთელი წარმოდგენის მანძილზე ერთმანეთს დაეძებენ ადამიანური ხმები და ინსტრუმენტული ბგერები, მაგრამ - ამაოდ. ესაა ყვირილის ორი ნახევარი, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს მიმართული. მართალია, ჩვენი, ადამიანური ცნობიერება მათ პირობითად ამთლიანებს, მაგრამ თეატრის დაბადების იდეას სწორედ ამ აქტის პირობითობის გაცნობიერება წარმოშობს.

ხოლო ისინი ფუნქციებად იქცნენ მას მერე, როცა უარი თქვეს გა-

რესამყაროს მიმართ მომხმარებლურ დამოკიდებულებაზე და თავიანთ ფუნქციებად არ აღიარეს არც ერთი საგანი. ეს მათი ძირეული უნარია - თამაშობრივი კომპეტენცია (ხომსკის "ენობრივი კომპეტენციის" ასოციაციით). მათი მიგნებაა, რომ აღნიშნულ კონტექსტში მორალურად გამართლებულია მხოლოდ სოციალისტური შრომა (დამკვრელური, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), მაგრამ ვერც ეს შრომა (და არა მისი იმიტაცია) წარმოქმნის საგნებთან კონტაქტს. ასე შეიძლება დაიმსხვრეს ნეონის წითლად შეღებილი ნათურა, გამოწვეულ იქნას ხმაური, უაღრესად ზუსტი ქალური კივილი, მაგრამ არა - ნივთისმიერი შეკითხვა. სამაგიეროდ, იბადება განცდა, რომ მთელი ადამიანური მოღვაწეობა არის სავსებით სოციალისტური შრომა, რომლის ერთადერთი რომანტიკა საკუთარი შრომის გახსენებაა (შრომით შრომის გახსენება შრომითი ენთუზიაზმის გასაგრძელებლად).

მთელი სანახაობრივი ინფანტილიზმი ისაა, რომ ხსენებულ ფუნქციებს ისე სჯერათ საგნების გაცოცხლების შესაძლებლობის, როგორც სულით ავადმყოფს - გარდაცვლილი დედის ცოცხლადყოფნის. და როგორც სულით ავადმყოფი უტრიალებს გარდაცვლილი დედის სხეულს, ისე უტრიალებენ პერსონაჟები ათასგვარ საგანს, ეხებიან, სინჯავენ, ერთმანეთს უთანადებენ, ქმნიან ლოკალურ კონსტელაციებს, ცდილობენ ისეთი ერთადერთი კომბინაციის მონახვას, რომელიც საგნებს თავისთავად მოძრაობაში მოიყვანს. რისთვისაა ეს საჭირო? იმისთვის, რომ ფუნქციაადამიანები მათგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლდნენ. ეს ლამაზი უტოპიაა, - იმ სასოწარკვეთილი ოპერაციონალისტის ქმედება, რომელმაც კარგად იცის, რომ საგნები მარადიულნი არიან, მათგან გათავისუფლება კი - ანუ ისე სიკვდილი, რომ თვალი ადევნო საკუთარ სიკვდილს - შეუძლებელია. აქაა საძიებელი ადამიანურ მოძრაობებსა და საგნებს შორის არსებული განხეთქილების სათავე. რას ნიშნავს ეს? იმას ხომ არა, რომ საგნებისადმი ნდობა დავკარგეთ? იქნებ იმას, რომ საგნებმა დაკარგეს ნდობა სოციალისტური გმირობების მიმართ? იქნებ არც არასოდეს ჰქონიათ ნდობა? ჩვენ ამას ვერასოდეს გავიგებთ. სპექტაკლში კი გათამაშდა ოდესღაც ჩვენში თემატიზებული მოძრაობების გლობალურად აბსურდული კონგლომერატის დაშლის პროცესი. ნიშნავს თუ არა ეს თეატრის დაბადებას? თუ ნიშნავს, სად? ნუ გავაიგივებთ ერთმანეთთან თეატრს და სპექტაკლს. სპექტაკლი მხოლოდ მეანე ქალია, რომელსაც შემსრულებლებისა და მაყურებლების ერთობლივი თამაშიდან თეატრი გამოჰყავს (შეიძლება ის აბსურდიც, რომელსაც ამ ფესტივლის გამართვის იდეა დაეფუძნა).

აღვნიშნე, მთელი სპექტაკლი ერთი გაბმული ფინალია მეთქი. ამაში ისიც ვიგულისხმე, რომ "აუტოგოდოში" მართლა არაფერი არ ხდება, - იმ აზრით, რომ ესაა გამოუცხადებელი სტრიპტიზი, სადაც უსასრულოდ იხდიან და მთელს ეფექტს სწორედ ეს პროცესი ქმნის. ამ დროს სცენა თანდათანობით შეუმჩნევლად ინაცვლებს ჩვენს ცნობიერებაში, და როცა გვგონია, რომ სტრიპტიზის მოცეკვავესთან წარმოსახულ სექსუალურ კონტაქტში შევდივართ, უკვე ჩვენ თვითონ ვცეკვავთ სტრიპტიზს. ეს სავსებით თანადროული სულისკვეთებაა. პირადად მე ეს სულისკვეთება მაფიქრებინებს: "სტურუქტურები კვდებიან, რჩება ადამიანები".

ბოლოს, ყურადღებას მივაპყრობ ავანგარდული ესთეტიკის ერთ არსებით მომენტს, რომელიც, მეტ-ნაკლებად, გაიხსნა "აუტოგოდოში" (და კონცეპტუალურად დაუპირისპირდა ფესტივლის ესთეტიზებულ გარემოს). ადამიანური მზერა, თავისი ბუნებით, მაფოკუსირებელი მზერაა. იგი ნიშნების ნებისმიერ მოცემულ ველზე, სიტუაციურ დიაპაზონში, მიმაგრებულია ამა თუ იმ, მისთვის მნიშვნელად, ცენტრზე. მზერაში ასეთი ცენტრების მონაცველობის ინტენსივობა და შინაარსი კი კონკრეტულ-ადამიანური, წმინდა პიროვნული გამოცდილების ხასიათზეა დამოკიდებული. ტრადიციული, კლასიკური სათეატრო-სასცენო პოლიტიკა ფოკუსირების სისტემის გაძლირებას ემსახურება და მაფოკუსირებელ ხედვას მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს, - აიძულებს, ხედვის ფოკუსში მოაქციოს ნიშნების რაც შეიძლება ჭარბი ველი (სივრცობრივადაც და სემანტიკურადაც). ამ წესით შენდება ტრადიციული სასცენო სივრცე, - მაყურებელი თითქმის მთლიანად აკონტროლებს სცენას, რომელიც იერარქიულადაა ორგანიზებული: პირველადი სემანტიკური სტრუქტურა იმორჩილებს მეორადს, მეორადი - მესამეულს და ა. შ. (ეს პოლიტიკა კონოტატურად გულისხმობს კულტურულ, ესთეტიკურად გაწვრთნილ ადამიანზე ორიენტაციას), წარმოდგენის მსვლელობის მანძილზე კი სადეკორაციო ტექნიკა ამ ფუნქციის გამართულ მუშაობაში გამოიხატება. ჰეპენინგის და პერფორმანსის მდიდარი გამოცდილების ბაზაზე მომუშავე თანამედროვე ავანგარდული კომპლექსური სცენა, ფაქტობრივად, არცაა სცენა. მისი ეს თვისება წარმატებით მჟღავნდება პერფორმანსის თბილისური თეატრის პრაქტიკაში. ეს უჩვენა მისმა პირველმა წარმოდგენამ. "აუტოგოდოში" კი სტრუქტურა გართულდა, რასაც გაზრდილმა სასცენო ფართობმაც შეუწყო ხელი. აქ წარმოდგენის აღქმის ტრადიციული ხერხი გამოუსადეგარია. სანიშნო სისტემა ისეა გაფანტული, რომ მასზე კონტროლი შეუძლებელია; ნიშნების იერარქია იხსნება და ხედვას მთლიანად განფოკუსირებისკენ მოუწოდებს. სახეზეა არა აქცენტების გადაწყობა-გადა-

ჯგუფების, არამედ მათი სრული გაუქმების ანარქისტული პოლიტიკა, რის შედეგადაც, მეორეს მხრივ, სამოქმედო ველზე მომუშავე ყველა ნიშანი დამოუკიდებელ, აუტოგოდოღირებულებას იძენს. მართალია, ფუნქცია-პერსონაჟები თვალშეუვლები სისწრაფით ჩაენაცვლებიან ხოლმე ერთმანეთის მდგომარეობებს, მაგრამ ნიშნების ავტონომია (სხვათაშორის, ტრაგიკული შეფერილობის) ძალაში რჩება. სამოქმედო ველის ნიშნური სიჭარბე კი სწორედ იერარქიული სისტემის დამხობისკენაა მიმართული. ამით, ცხადია, ხედვის მაფოკუსირებელი მექანიზმი არ ინგრევა, სახეზეა თითქოსდა ხელშეუხები ჰარმონიის რღვევა და იმის ხაზგასმა, რომ მოცემულ ეტაპზე საჭიროა ამ ხედვის სტრუქტურაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობების გაძლიერება, იდენტიფიკაციების წაშლა. თუ ტრადიციულ სცენაზე ყველა მაყურებელი ხედავს ერთსა და იგივეს, ინტერპრეტაცია კი სხვადასხვაა, აქ თითოეული მაყურებელი ხედავს სხვადასხვა კონსტელაციას (რაც ერთი წარმოდგენის ფარგლებში რეალური კომბინაციების - და არა ინტერპრეტაციების - მარაგს იძლევა), ხოლო დასკვნა(და არა შეფასება) ერთია; ინტერპრეტაციას შეუძლებელს ხდის მთლიანობის მოუხელთებლობა, კონტროლის ვნების განხორციელების შეუძლებლობა. მართლაც, "აუტოგოდო" იწყება ერთი შეხედვით მთლიანი, მწყობრად მობილიზებული სიტუაციით, სულ რამდენიმე წუთში კი ეს მწყობრი სტრუქტურა იშლება და საკუთარ თავზე პაროდირებს, მაყურებლის მოლოდინი და დაუფლების, დაპყრობის ვნება, ესთეტიკურად მოწესრიგებული სისტემის დახმარებით ვიზუალური პოლიტიკისა და მყარი სტრუქტურების იდენტიფიკაციის მცდელობა განუხორციელებელი რჩება. აქ გოდოს უკვე არავინ ელოდება, მას ყველგან და ყველაფერში, უპირველესად კი საკუთარ თავში, აქტიურად და აბსურდულად დაეძებენ.

და მაინც, პირადად მე, შესაძლოა, ამ სპექტაკლის საფუძველზე თეატრის დაბადება მაშინ ვიგრძენი, როცა პავილიონს ვტოვებდით და ერთმა ჩემსავით ყოფილმა მაყურებელმა(რუსმა) მეორეს უთხრა: "Витя, უნდა დატოვო ეს ყველაფერი და წახვიდე არაბეთის ემირატებში".

20 ნოემბერი, 1995

ტოპოსის კვალდაკვალ და მიღმა

ეძღვნება გურამ წიბახაშვილს

ეს მცირე წერილი მხოლოდ კვალია იმ ფიქრებისა, რომლებმაც თავიანთი თავი "ადიტი თეატრის" სახელით გამოცხადებულ ინტერნაციონალურ პროექტში გაგზავნილ ჩემს ნამუშევარში ამოიკითხეს. იგი წარმოადგენდა კონვერტს, რომლის შიდა მხარე მოხატული იყო ერთმანეთზე გადაწერილი გერმანული და ქართული ტექსტებით (აღარ მახსოვს, რომელი რომელს გადავაწერე). კონვერტში პროექტის მოსაწვევი ბარათი იდო, პირველ გვერდზე ჩემს მიერ დახაზული ისრებით. ისრები სულ მალე გადაკვეთდნენ ერთმანეთს, რომ არა ბარათის კიდე, რომელმაც მათი ეს სურვილი ერთის მხრივ აკრძალა, მეორეს მხრივ კი თავისი ტერიტორიის გარეთ, უსასრულო სივრცეში გატყორცნა; იმ კონვერტის იქითაც, რომლის შიგთავსიდან ეს ბარათი დანიშნულების ადგილზე მისვლისთანავე თავს დაიხსნიდა. ისრები ორი სხვადასხვა, მაგრამ გრამატიკული პირობითობის იძულებით ერთმანეთთან დაკავშირებული, სიტყვებიდან გაედინებოდნენ. ამ სურვილის დაცვის, მაგრამ არა რეალიზების, სურვილადაც წარმომიდგენია წერილი, რომელსაც სიამოვნებით ვგზავნი თბილისის მესამე მეილ არტ შოუს უკვე განხორციელებულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად.

მაგრამ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ამთავითვე უნდა შევნიშნო: ჩემი რეფლექსიის საგანია ტექსტი, რომელიც უკვე გაიგზავნა და ჯერ არ მისულა.

ტექსტს (ნოტებს, სლაიდს, ნახატს, მარკებს, თოჯინებს, წიგნებს...), რომელიც მეილ არტის სისტემაში ერთვება, ერთადერთი ისტორია აქვს, - ის, რომელიც რეალური წარსულის სახით არ გააჩნია. ეს ისტორია ორ უკიდურეს საზღვარს შორის - გამგზავნსა და მიმღებს შორის - არის მოქცეული და უსასრულოდ უახლოვდება, მაგრამ ვერ ეხება ვერც ერთ ამ წერტილს.

როცა მეილ არტის ტექსტი თავისი თავის იდენტურია, ანუ როცა გზაშია, მას ვერც გამგზავნი და ვერც მიმღები ხედავს, ის ამ დროს არავის არ ეკუთვნის, მას არავინ არ ფლობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი თავისი გზადყოფნის პროცესით ანგრევს ძალაუფლების სისტემას, აქტიურად უარყოფს მის ჰეგემონიას. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, არსადყოფნის, თვით ნიშანზე მიმაგრებიდან გაქცევის პროცესიცაა. და სწორედ ამ დროს ისახება ის პერიოდი, როცა მეილ არტის ობიექტი თავის თავთან

იდენტიფიცირდება ანუ იქცევა სუბიექტად, დრამის პერსონაჟად, მსახიობად, რომელიც - ერთდროულად გამგზავნსაც და მიმღებსაც მოწყვეტილი - თავისი რეალური არსებობისკენ მიექანება და ახერხებს გაათამაშოს მოლოდინი, რომელიც სიმბოლურად ახორციელებს გაგებას გამგზავნსა და მიმღებს შორის: მათ ერთმანეთის ესმით მანამ, სანამ ტექსტი გზაშია ანუ არც ერთის არაა. როცა ის უკვე ადგილზეა, სიცოცხლე ისტორიად იქცევა ანუ იხურება. ამიტომაა, რომ ადრესატს, ფაქტობრივად, მკვდარი მასალის, ე. ი. ნიშნის მეტი ხელთ არაფერი უჭირავს.

რით განსხვავდება ეს მასალა ანალოგიური სხვა მასალისგან? იმით, რომ საფოსტო წარსული გააჩნია. და ეს წარსულიც წარმოუდგენელია, სახეზე არმყოფია. თუ, მაგალითად, გაუხსნელად მოვსპობთ კონვერტს, რომელშიც გამოგზავნილი მასალა იდო, ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, რა განასხვავებდა ამ ტექსტს ანალოგიური სხვა ტექსტებისგან. გასაგები უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში მე ყურადღებას ვამახვილებ ტექსტზე უკონტექსტოდ ანუ იმ სისტემის მიღმა, რომელიც შესაძლებელს ხდის ფოსტით მიღებული ტექსტის პრეზენტაციას, მისი სწორედ როგორც მეილ არტის ნიმუშის დემონსტირებას. მე მაინტერესებს მეილ არტის ტექსტის ის ცხოვრება, რომელიც სწორედ მაშინ არსებობს ცოცხალი, არასაისტორიო აწმყოს სახით, როცა არასახეობრივ მდგომარეობაშია, როცა ვერავინ მას ვერ ხედავს. აი, ეს არასახეობრივი მდგომარეობაა მისი დრო, მისი აწმყო. აქედან ერთი ნაბიჯია აზრამდე, რომ მეილ არტის ტექსტი მხოლოდ ნახევარტექსტი თუა მისი საარსებო დროის გამოკლებით. გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, საფოსტო ქსელში მოხვედრილი მატერიალური ობიექტი მედიუმია, რომელიც გზადყოფნის იდეას გადარჩენის, ტექსტადქცევის საშუალებას აძლევს (რაც ლინეარულობამდე მის რეგრესირებას არ მოასწავებს). ამის მერე კი რა მნიშვნელობა აქვს, ამ ტექსტს თვალით წავიკითხავთ თუ იმით, რაც არც გონებაზე, არც ინტუიციაზე, არც მეხსიერებაზე არ დაიყვანება, რაც უხილავია და მეტი არაფერი. მაგრამ ამ ოპერაციის - წაკითხვის - ფენომენი ძალაში რჩება. წაკითხვა, ამ შემთხვევაში, გულისხმობს იმ კვალთან ზიარებას, რომელიც ხელთ შეგვრჩენია მკვდარი ნიშნის სახით. როგორც ზემოთ თქმულიდან ცხადი უნდა იყოს, ამ ნიშნის გაცოცხლება შეუძლებელია; ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ეს ცხელი კვალი გავითამაშოთ, რაც მასზე ჩვენი ექსისტენციალური გამოცდილების "ფოკუსირებას" ანუ თვით თამაშის გათამაშებას ნიშნავს, ვინაიდან საქმე ეხება აღმნიშვნელს, რომელსაც არა მხოლოდ აღნიშნვადი არ გააჩნია, არამედ - აღმნიშვნელის სახით წარმოდგენილიც კი - თავის თავს ბრჭყალებში სვამს და ერთი ნაბიჯით ყოველთვის წინ გვისწრებს.

აქ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იკვეთება, რომელიც მოცემულ შეტყობინებას გამოარჩევს ნებისმიერი სხვა ტიპის შეტყობინებისგან, თუმცა ჰომოგენური სისტემა არ ირღვევა (უფრო მეტიც, გამოიცდება). მეილ არტის პერსონაჟის (გაგზავნილი ობიექტის) ისტორია ერთდროულად ორგან იწყება, გამგზავნში და მიმღებში; ესაა პერიფერიებიდან სიღრმისკენ მიმართული სუნთქვა, რომელიც პერიფერიებს ცენტრებად აქცევს, თავად კი მომენტალურად უჩინარდება და მიდის სიღრმისკენ, რომელიც არის პასუხი, კითხვას რომ არ მოითხოვს. მაგრამ რას ტოვებს იგი კვალის სახით? არც მეტს და არც ნაკლებს - გაგებას, ანუ იმას, რაც უცნობია საკომუნიკაციო შეტყობინებისთვის. ქრონოლოგიურ დროში ასეთი ტექსტის მდინარება, გაგზავნით მისი დაწყება და დანიშნულების ადგილზე მისვლით მისი დასრულება (რაც გულისხმობს "დაწყების" და "დასრულების" ინვერსირების სრულ თავისუფლებას) მხოლოდ სიმბოლური აქტია, რომელიც რიტუალურად განასახიერებს იმავდროულობაზე არა მხოლოდ ნოსტალგიას, არამედ - მის პულსაციას, მის აქტიურ, შემოქმედებით ყოფას. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ გამგზავნი და მიმღები ერთდროულად იწყებენ და ერთდროულად ამთავრებენ პროცესს; მათი ტოპოლოგიური, ფუნქციური და ქრონოლოგიური სხვაობა პირობითია ისე, როგორც - მათი სტატუსი, და აუცილებელი, როგორც - მათი არსებობა რეალურ დროში.

ხომ არ მოასწავებს ეს ყველაფერი "საწყის" და "საბოლოო" პუნქტებს შორის არსებული მანძილის დრამის პაროდირებას? ნუ გამოვრიცხავთ. ხოლო თუ ეს მართლა ასეა, ამ ყოვლად ამორალური პერვერსიის ინსპირატორი ისევ და ისევ გზადმყოფი ტექსტია, რომელიც სავარაუდო აქტით - ანუ ძალაუფლებიდან გასხლტომის, მოუხელთებლობის პროცესით - ყოველწამს მსხვრევად თავის ავტონომიას ქმნის, ანუ - უტოპიას, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ღირებული. საქმეც ესაა: გზადმყოფი ტექსტი დარწმუნებულია (და იმაშიც დარმწუნებულია, რომ თვით ეს რწმენა, და ყოველი მომდევნოც, მითია), რომ ღირებული შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რაც ერთისთვისაა ღირებული (ამ შემთხვევაში - მისთ-ვის). ამით იგი, ერთდროულად, ამართლებს კიდეც და ასამართლებს კიდეც თავის გზადყოფნას. ხოლო როცა მიწისქვეშა თავისუფლების სამყაროში, ატოპიის უტოპიით სავსე სივრცეში, გამოიფინება ძაფებზე გამობმული ძალიან ბევრი ასეთი ტექსტი, ანუ ძალიან ბევრი კვალი, ისინი მიგვანიშნებენ, რომ იქ, ზემოთ, საფოსტო სივრცე დაქსელილია ურიცხვი ცოცხალი, გზადმყოფი ტექსტით, ურიცხვი აწმყოთი, რომელთა მხოლოდ მოაზრება შეიძლება, როგორც - ნებისმიერი სახის იმედის.

საფოსტო სივრცეში ტექსტის ღიაობას, ობიექტისთვის დამახასია-

თებელი ნიშნურობიდან ტექსტუალურ იდეოგრამულობამდე მის განვითარებას უზრუნველყოფს მისი წაკითხვის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, ტექსტის "მოქმედ" ბედს მისი მკითხველი ქმნის. მაგრამ ვინ არის საფოსტო სივრცეში გზადმყოფი ტექსტის მკითხველი? ვინ კითხულობს მას დანიშნულების ადგილზე მისვლამდე? რარიგ პარადოქსულადაც უნდა გაიჟღეროს, მას კითხულობს ჩვენში მყოფი ვიღაც უცნობი, რომლის უცნობობა და დაუსახელებლობა ემყარება იმ წესის არცოდნას, რომელიც გზადმყოფი ტექსტის წამკითხველის წაკითხვას გახდიდა შესაძლებელს. მე იმის თქმა მინდა, რომ დიახაც ვკითხულობთ, მაგრამ რაკი არ ვიცით - როგორ, არც ის ვიცით, რომ ვკითხულობთ. მაშასადამე, საქმე ეხება რაღაც უფრო მეტს, ვიდრე რიგითი ჰიპერტექსტია, ამა თუ იმ ფორმით რომლის ფუნქციონირების მინიმუმს მისი წაკითხვის გარკვეული წესის შემუშავება ქმნის. ჰიპერტექსტს ადამიანი ქმნის, მეილ არტის ტექსტი კი ადამიანის ხელშეწყობით, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად იქმნება. და აქ გადამწყვეტი შინაარსის მქონე შემობრუნებაზე უნდა მივუთითო: საფოსტო სივრცეში მიმდინარე ტექსტი ერთსა და იმავე დროს იწერება და იკითხება კიდეც. წაკითხვის და წერის პროცესი აქ ერთმანეთს ემთხვევა, ანუ ხდება არა ფიქსირებულის რეპრეზენტაცია, არამედ - ფიქსაცია წერა-კითხვის ერთდროულობის სახით. მე შემიძლია დავუშვა, რომ ერთი ალტერნატივა ასეთია: თავად ტექსტი წერს თავის თავს თავისი თავის წაკითხვის აქტით. მეორე ალტერნატივა შეიძლება ასეთი იყოს: გამგზავნი იწყებს მის კითხვას ადრესატთან მისი გაგზავნის აქტით (კიდევ ერთხელ დავაზუსტებ: ერთმანეთისგან საგანგებოდ ვმიჯნავ იმ რეალური ობიექტის შინაარსს, რომელსაც ქმნის ადამიანი, იმ გზადმყოფი ობიექტისგან, რომელიც "დაკონსერვებისთანავე" იწყებს საკუთარი ბედის "შექმნას" და ჩვენთვის უხილავ მკითხველთა მზერას მიეცემა). მაშასადამე, საფოსტო სივრცეში მოძრავი ტექსტის შემთხვევაში დეკონსტრუირების ტექნიკა გამოყენებას ვერ პოულობს: ტექსტი აქ არც აზრობრივი ბირთვების არარსებობას ნიღბავს და არც ცენტრალური საზრისების გაჩენაა მოსალოდნელი. სად "აქ"? ცხადია, არსად. ამ დროს სივრცე იქცევა ტექსტის შემავსებელ ელემენტად და არა - პირიქით.

ჩვენ, ყველას, ამ პროექტის ორგანიზატორებსაც, მონაწილეებსაც, მაყურებლებსაც, აქ მოხვედრილი ნივთების სასრულ რაოდენობასაც, სამოქმედო სივრცესაც, ძალიან უბრალოდ - თუმცა არა შინაგანი მღელვარების გარეშე - გვყვებოდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ფოსტით გამოგზავნილი ტექსტები. მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენ, ჩვენამდე მოსულ და მიწისქვეშა კულტურულ კომპლექსში ამუშავებულ ამ მასალ-

ებთან ერთად, საკუთარ თავს ვწერდით და ვკითხულობდით, ანუ ვთამაშობდით (და არა წარმოვადგენდით, და არა განვასახიერებდით) გიგანტურ საფოსტო ბარათს, რომელიც სადღაც, რომელიღაც ჩვენს გულებში გაიგზავნა და მეილ არტის ნიმუშად იქცა ან ვერ იქცა იმის მიხედვით, თუ როგორ გაიგზავნა, და რომელიც ეკუთვნოდა მხოლოდ და მხოლოდ საფოსტო სივრცეს, რომელიც - თავის მხრივ - ერთადერთი საშველია იმათთვის, ვინც პერმანენტულად გაურბის ადგილს ანუ იმას, რაც დაფიქსირდა. გათამაშდა თუ არა ის, რაც ვითამაშეთ? პასუხიც იგივეს გაგვიმეორებდა.

დაბოლოს: მე ყურადღება არ გამიმახვილებია მეილ არტის პერსონაჟსა და ჩვეულებრივი, ყოფითი მიმოწერის პერსონაჟს შორის განხეთქილების ჩამომგდებ არც ერთ ე. წ. ძირითად ნიშანზე. და ეს შეგნებულად ჩავიდინე. მეილ არტზე განაზრებები მისი დეიდეოლოგიზების მცდელობასაც უნდა შეიცავდეს. პოსტმოდერნის პრაქტიკა ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის საზღვრების წაშლის ტოტალური პროცესია. ამ ბანალური, უკვე ყბადაღებული განსაზღვრების მოშველიება მეილ არტის მიმართ, ვფიქრობ, წარმატებით შეიძლება. კომუნიკაციის ახალმა ტექნოლოგიებმა თითქმის სრულიად განდევნა ადამიანური ყოფიდან საფოსტო წერილი. ის მალე, ალბათ, ანაქრონიზმად გადაიქცევა. მეილ არტი - გავბედავ ამ ვარაუდის გამოთქმას - ტრადიციული წერილის ადგილის დაკავებით მის ფუნქციასაც განაახლებს (და არა აღადგენს) და საკუთარი თავის დესაკრალიზების რიტუალსაც ლამაზად ჩაატარებს. ეს იქნება ახალი რომანტიზმი (რა თქმა უნდა, ასევე ისტორიული ხასიათის მატარებელი და დროში წარმავალი), ახალი ეპოქის შესატყვისი (იქნებ სწორედაც შეუსატყვისი) ახალი ტიპის მიმოწერა. მხოლოდ ესაა საკითხავი: რამდენად სასურველი შეიძლება იყოს ასეთი სურათი პოსტმოდერნის ქვეცნობიერისთვის? პოსტმოდერნულ ხელოვანს დიახაც ძალიან სურს ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის საზღვრების წაშლა, მაგრამ არა საკუთარი თავის - როგორც ხელოვანის - წაშლა. ის ერთი წამით არ დაუშვებს, რომ შეიძლება გაქრეს როგორც ხელოვანი, როგორც არტისტი. მაშასადამე, არც მის მიერ ნასურვები პერსპექტივის ბოლო პუნქტს დაუშვებს. პოსტმოდერნული ხელოვანი საკუთარ თავს, როგორც არტისტს, ვერ შეელევა. იგი მხოლოდ ადგილს უმზადებს იმას, ვინც მის მერე უნდა მოვიდეს - პოსტ-პოსტმოდერნისტს.

P. S. მაგრამ რა შინაარსის იყო ჩემს მიერ პროექტისთვის გაგზავნილი, ორ ენაზე დაწერილი ერთენოვანი ტექსტი? მე ეს არ მახსოვს. ვერც ვერასოდეს გავიხსენებ. ამას არცა აქვს მნიშვნელობა. ის - ტექსტი - ხომ ამ საქმეს თავს უჩემოდაც კარგად გაართმევს.

17 დეკემბერი, 1995

პოსტმოდერნი და საქართველო

თუ გავითვალისწინებთ ნებისმიერი ცნების დაზუსტების მცდელობისას გაჩენად გაურკვევლობებს, გაუგებრობების და პირობითობების სიმრავლეს, მაშინ შეიძლება იმ ორმაგი პირობითობის წარმოდგენა, რომლითაც იტვირთება თავისი წარმოშობის, განვითარების, გენერირების კონტექსტს უსამართლოდ მოწყვეტილი და თვისობრივად უცხო კულტურაში გადატყორცნილი ცნება. დასაშვებია იმის წარმოდგენაც, რა შეიძლება დაემართოს ერთი კულტურისთვის კანონზომიერ მთელ ისტორიულ პერიოდს, სხვა კონტექსტში მისი ტრანსპლანტირების ან მის პარადიგმატულ ბადეზე სხვა კულტურის მორგების სურვილი ან მიდუღების მცდელობა როცა ჩნდება. მე ვფიქრობ, "პოსტმოდერნის" ცნება და "პოსტმოდერნული კულტურა" ქართულ ნიადაგზე (შემოვიფარგლები ჩვენი კულტურული სივრცით) სევდიანად იზიარებს ბევრი სხვა - დასავლური წარმოშობის - ცნებისა თუ კულტურის ბედს. იგივე დაემართა თავის დროზე "რენესანსს", "რომანტიზმს", "ავანგარდს", "მოდერნს". პოსტმოდერნული ხელოვნების რომელიმე ნიშნის, ვთქვათ ეკლექტურობის, მიხედვით რომ შეიძლებოდეს ტექსტის ან კონტექსტის პოსტმოდერნულობაზე მსჯელობა, მაშინ მთელი ქართული კულტურა, ეპოქების განურჩევლად, პოსტმოდერნულად უნდა გამოგვეცხადებინა (ალბათ, რაღაც ანალოგური მოხდა, როცა ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში შექმნილ და "ტაშდაკრულ" იქნა "აღმოსავლური რენესანსის" თეორია. როგორც ცნობილია, "აღმოსავლურ რენესანსზე" ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორის, შალვა ნუცუბიძის გამოცემულ თუ გამოუცემელ ტომებში ჯერჯერობით ვერავინ მიაკვლია "რენესანსის" ცნების სამეცნიერო განსაზღვრებას ან განმარტებას, თუნდაც პირობითს. ეს საიდუმლო მკვლევარმა თან წარიტანა). საქართველოში სწორედ ამ შესაძლო ორმაგი პირობითობის უგულებელყოფა, ერთის მხრივ, ხოლო შეფასებების კატეგორიულობა და იდენტური ანალოგების "აღმოჩენა" მეორეს მხრივ, იქცევა ხოლმე საუკუნო გაურკვევლობების მიზეზად (თუ მსგავსი პრაქტიკის სიძველეც შეიძლება ტრადიციად გაცნობიერდეს, მაშინ ასეთი "დაზუსტება-მოძიების" დიდი ტრადიცია გვაქვს). რას ვაკეთებთ, როცა ამა თუ იმ წინასწარ აკვიატებულ მოდელზე ჩვენი კულტურული სიტუაციების მორგების სურვილი გვიჩნდება? უბრალოდ და საქმიანი პირდაპირობით ვაფართოებთ ნიშნული ცნების ან კულტურის შინაარსს, ანუ ვიწყებთ იმით, რითაც ევროპული ცნობიერება ამთავრებს ხოლმე ლოკალურ-მეთოდოლოგიურ განვითარებას. რა თქმა უნ-

და, ძნელი არ იქნება რომანტიზმის ინდექსით ბარათაშვილის, ორბელიანის თუ სხვა ავტორების განხილვა, მათ ლექსებში დასავლური რომანტიზმისთვის დამახასიათებელ ნიშანთა რიგის "მიკვლევისთანავე". ვფიქრობ, რენესანსის ესთეტიკური მოდელის მრავალი ნიშნის მიყენება შეიძლება ფშავ-ხევსურული პოეზიისადმი (ამ მიმართულებით კვლევა მომავლის საქმეა?). ბევრს ეჭვიც არ ეპარება, რომ ქართველი "ფუტურისტები" ავანგარდისტებიც იყვნენ. რატომ უნდა დაბრალდეთ ავანგარდისტობა ევროპასა და რუსეთში გავლენიანი მიმდინარეობების უხარისხო დუბლიკატების შემქმნელ მაშინდელ ახალგაზრდებს? ნუთუ გვეცოტავება ამ ჯგუფის ან თუნდაც ცისფერყანწელების, მხოლოდ არსებობის ფაქტი იმ ტერიტორიაზე და იმ დროს, სადაც და როცა ჯერ კიდევ ცოცხლი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზოგიერთი წევრი? ბევრს გულწრფელად ჰგონია, რომ შესაძლებელია ცალკეული პიროვნება მართლა იყოს ავანგარდისტი, მოდერნისტი, პოსტმოდერნისტი და ა. შ., კულტურული კონტექსტისგან, სასიცოცხლო სივრცისგან მოწყვეტით. შეიძლება არ არსებობდეს არანაირი ორიგინალური თეორიული რეფლექსია ხელოვნებაზე და არსებობდეს რუსთაველი; მაგრამ წარმოუდგენელია, არ არსებობდეს სალიტერატურო, სამხატვრო ან სამუსიკო კრიტიკა, და არსებობდეს ერთი მაინც ავანგარდის ან პოსტმოდერნის წარმომადგენელი, ვინაიდან, უკვე მრავალჯერ გადამღერებული შეხედულების თანახმად, არსებობს ავანგარდული ურთიერთობების პრაქტიკა და არა ასეთი ურთიერთობების მიღმა აღმოცენებული რომელიმე ავანგარდისტი (როგორც ჩანს, ავანგარდის ტრადიციის არმქონე ტერიტორიებზე ავანგარდისტობა უფრო იოლ საქმედ ჩანს, ვიდრე ასეთად ვერყოფნის გაცნობიერება და გამოწვეული ტკივილის შემოქმედებითი ტრანსფორმაცია). ჩემთვის გასაგებია, რომ საქართველოში მოიპოვებიან დასავლური კულტურული გამოცდილების არა მხოლოდ მცოდნეები, არამედ ამ გამოცდილებას შესისხლხორცებული ადამიანები, რომელთაც აქვთ სამართლიანი და სავსებით კანონზომიერი მოთხოვნილება, მოინიშნონ კულტურული ზღვარი, რაც მათ მიჯნავს მსგავს ინდივიდუალურ გამოცდილებას მოკლებულთაგან. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ასეთი სიტუაციებში გამოიკვეთებიან ხოლმე "მრავალნი ჩინებულ" და "მცირედნი რჩეულ". დიდია ცდუნება, შენი თავი მიაკუთვნო იმას, რაც მოგწონს ან რითაც სულდგმულობ და უკიდურესად ძნელია იმის გაცნობიერება, იმის დანახვა, რაც ნაკლულს გხდის მოწონებულთან, სასურველთან შერწყმისთვის. ერთია ინდივიდუალური კულტურა და მეორეა ზოგად-კულტურული კონტექსტი, რომელიც შენი ხვედრია და გზას გიკეტავს უცხო გამოცდილე-

ბისკენ (ამ ხვედრის გარღვევა ერთეულთა შინაგანი მოწოდებაა და არა ტიპობრივი მოვლენა კულტურაში).

ჩვენს კულტურულ სივრცეში შექმნილი და პოსტმოდერნზე ორიენტირებული ნებისმიერი ტექსტი, რომელიც ჩვენივე სივრცეში სამუშაოდ არის გამიზნული, თავიდანვე განწირულია ასეთ ტექსტად ვერყოფნისა და ვერშედგომისთვის, ვინაიდან ჩვენი დედაკონტექსტი ამის საშუალებას არ იძლევა.ავტორი,რომელიც ამ დრამატიზმის შინაარსს აცნობიერებს, უფრო ღრმა პრობლემებს სწვდება, ვიდრე მისი შესაძლო მცდარი ამბიციები იქნებოდა. არაპოსტმოდერნულ სივრცეში პოსტმოდერნისტად დამკვიდრების მოსურნე ავტორი განწირულია საიმისოდ, რომ აბსურდს ამაგრებდეს (განურჩევლად მიზეზის მორალური, პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ხასიათისა). ამ დროს აუცილებლად მიიღება რაღაც, მაგრამ არა ის, რაც ჩაფიქრებული იყო (როცა საქმე ეხება მითითებული აბსურდის შეგნებულ გაღრმავებას, მაშინ სახეზეა თვისობრივად სხვა მოვლენა). ამ დრამატიზმის შინაარსის გამცნობიერებელი ავტორი უფრო საინტერესო პრობლემებს ეხება, ვიდრე მისი შესაძლო ამბიციები იქნებოდა.

ჩემთვის, როგორც პოსტმოდერნის კულტურული სტრატეგიებით დაინტერესებული, დასავლურ კულტურაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანისთვის, უფრო მნიშვნელოვანი, ღირებული და საჭირო აღმოჩნდა სწორედ ასეთი ტკივილი, საშინელი განცდა გამოცდილების ნაკლულობისა, - როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური გამოცდილების ნაკლულობისა; იმისა, რაც ვერ მაქცევს პოსტმოდერნული კულტურის (და არა პოსტმოდერნული ცნობიერების, რომელიც უცხოა ჩემთვის) სრულფასოვან წევრად. ჩემი დრამა აქ გათამაშდა. მაგრამ სხვა საფეხურზე თვით ამ ტკივილის დროებითობაც ცნობიერდება და ჩნდება მისი გადალახვის მოთხოვნილება, ვინაიდან ამ ტკივილში არის (თუ იგი გახანგრძლივდა) ზოგადკულტურული კონტექსტის, ზოგადი გამოცდილების ბრალდების სერიოზული საფრთხე. მე ვიცი, რომ უნდა ვიზიარებდე იმ ზოგადი კულტურული გამოცდილების ბედს, რომლის პირმშოც, ღვთის განგებით, თუნდაც "შემთხვევით", აღმოვჩნდი. ჩემთვის უფრო საინტერესო და უფრო სარისკოა ამ ბედის მხარეში მოგზაურობა, ვიდრე მისგან გაქცევის სურვილი. ჩემი ტექსტების ერთ-ერთი მთავარი თემა ესაა, - კულტურული გამოცდილების ნაკლულობის აღიარება ნამდვილ გამოცდილებად და მისი გადაქცევა საწვავად, შემოქმედებით ნედლეულად. თუმცა, ეული "პოსტმოდერნისტებისაც" მესმის. ერთადერთი, რაც მართლა არ მესმის, ეს არის მათი ყოვლად არაპლურალისტური ჟესტი ყოველივე იმისადმი, რაც არ თანაუგრძნობს პოსტმოდერნიზმს (და არა პოსტმოდერნს და პოსტმოდ-

ერნულ-პლურალისტურ ცნობიერებას, რომლის თანმიმდევრული დამცველი ან პრაქტიკულად გამტარებელი ჩემთვის უცნობია; ასეთი ცნობიერების დრამატიზმი უცხოა იმისთვის, ვინც რაღაცის დასაცავად რაღაცას ებრძვის).

განსხვავებები, გვინდა თუ არა, არსებობს და ამის უარყოფა პრიმიტივიზმია. ერთია ფიზიკური გადარჩენისთვის რამდენიმეათასწლიან ომში ჩაბმული ქართველი ერის დაღლილობა და მეორეა კლასიკური ევროპული კულტურით, ფორმების დაუსრულებლობით, კანტისა და ლაიბნიცის, გოეთესა და ფლობერის მწვერვალებით დაღლილი ხალხის დაღლილობის ფილოსოფია. ერთია იმაზე რეაქცია, რაც გაქვს, და მეორეა იმის სურვილი, რომ რეაქცია გქონდეს იმაზე, რაც არ გაგაჩნია. პირველი პრაქტიკა აღიწერება შესატყვისი ტერმინოლოგიით, მეორე - მისი შესატყვისით. ჩვენ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გაცილებით იოლ გზას ვირჩევთ: მზამზარეული (თუმცა კი ეპიცენტრში პერმანენტულად განახლებადი), სულ სხვა კულტურის და კულტურული სიტუაციის აღსაწერად შემუშავებული ენით ვცდილობთ ჩვენი გამოცდილების და სადღეისო თუ უფრო ფართო კულტურული სიტუაციის აღწერას, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი კულტურის აღსაწერი ენა ჩვენვე გამოვიმუშაოთ. იქნებ, პოსტმოდერნიზმი იმდენად ტოტალური ფენომენია, რომ ჩვენზეც ავტომატურად ვრცელდება? ალბათ, ამ შეხედულების დასაბუთებაც შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც იმ აზრზე ვრჩები, რომ ერთმანეთისგან უნდა განირჩეს პოსტმოდერნული კულტურა და ამ კულტურის სტერეოტიპთა მეტად თუ ნაკლებად გამცნობიერებელ-მიმღები ინდივიდუალური გამოცდილებები. პოსტმოდერნული კულტურა (თუ ის მართლა არსებობს, რადგან პოსტმოდერნის თეორიას სერიოზული, პოსტმოდერნის აპოლოგეტებზე არანაკლებ გონიერი მოწინააღმდეგეები ჰყავს) უნდა ვეძებოთ და მოვიკითხოთ იქ, სადაც გამოიგონეს და დაამკვიდრეს კომპიუტერი, რობოტი, სოციალური კონტროლის უსაშინლესი, უხმაურო, პოსტეკონომიკური ფორმები, ხოლო პოსტმოდერნისტები იჩეკებიან იმ ტერიტორიებზე, სადაც მხოლოდ მოიხმარენ რობოტს, კომპიუტერს ან ქმნიან შემოქმედებითად მათი ათვისების ილუზიას. ხელოვნებაში ქურდბაცაცობა დეციტაციად ვერ გადაიქცევა, უნიჭო მიმბაძველობა - კიტჩიზაციის შეგნებულ პროცესად, სპონტანური ასოციაციების კასკადი - ალუზიებად. გვინდა თუ არ გვინდა, ტერიტორიები უკვე განაწილებულიცაა და გადანაწილებულიც. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ჩვენდა სასიკეთოდ ხდება? ნება მომეცით, ამასთან დაკავშირებით, ცნობილი ქართველი პოეტის იოსებ ნონეშვილის (1918-1980) ლექსი "ღმერთი და ხელები" გაგახსენოთ. ლექსის პირველ ნაწილში გად-

მოცემულია ლეგენდა: მაღალ ტახტრევანზე მამაღმერთი იჯდა, გაშლილ ხელისგულზე დედამიწა ედო და ადამიანებს ქვეყანას უყოფდა. გრძელ რიგში იდგნენ ზანგები, არაბები, ფრანგები და ა. შ. როცა მამაღმერთმა მიწა პირწმინდად დაარიგა, მაშინღა გამოჩნდნენ ქართველები. ღმერთმა მათ ჰკითხა, ვინა ხართ და რატომ დაიგვიანეთ, უკვე არაფერი დამრჩა გასაყოფიო. ამაზე დაგვიანებულებმა პატიოსნად მიუგეს: ჩვენ ქართველები ვართ, რიგში დგომას ნაბდის გაშლა და შენი სადღეგრძელოს დალევა ვარჩიეთ, გაქეთ, გადიდეთ და ამიტომაც დაგვაგვიანდაო. მერე შესთავაზეს: რაკი ქვეყანა უკვე გაგინაწილებია, შენ კარგად იყავი, მაგას ნუ იდარდებ, ოღონდ ეს ერთი ფიალა დაგვიცალეო. ღმერთს გული გაუთბა და ქართველებით მოხიბლულმა თავისთვის გადანახული წალკოტი დაუთმო მათ: ალალი იყოს თქვენზეო, დასძინა და თვითონ ცაში წაბრძანდა. ლექსის მეორე ნაწილში პოეტი ამ ლეგენდას მონაჩმახს უწოდებს და მკითხველს ურჩევს, ქართველი კაცის ხელებს შეხედოს; მიგვითითებს მეზვრეებზე და მემიმნდვრეებზე, მეცხვარეებზე, "ზღვა-ჩაი"-ზე, "ზემოურ იმერლებზე", სიონზე, სვეტიცხოველზე, ჯვარზე და სხვა ეკლესიებზე; ამას მოჰყვება კოლხეთის ჭაობის დამშრობთა, უწყლო სამგორში წყლის გამყვანთა, ცამდე ასულ ქარხანათა გახსენება ("იხილეთ ქარხნები, ცამდე რომ ადიან"); პოეტი არ ივიწყებს მარჯვენამადლიან მუშებს, მხატვარს, მშენებელს, მეშახტეს, მეცნიერს ("შუბლზე საფიქრალი შუქად რომ ადნება"), სკოლებს, სოფლებს, დაბებს, ქალაქებს, მერე კი დაასკვნის, რომ თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, იოლად დავრწმუნდებით: სამადლოდ კი არ მოგვილოცეს მიწა, არამედ "აქ კალთა მშობელ ხალხს დაუბერტყია". ვინ იცის, იქნებ ავტორმა ეს ლეგენდა იმიტომ გაატარა კრიტიკის ქარ-ცეცხლში, რომ მის აპოლოგიას ან შიშვლად, უკომენტაროდ მკითხველისთვის მის მიწოდებას ცენზურა მაშინ არ დაუშვებდა. პოსტსტრუქტურალიზმის ზღვაში ჩაძირვას არ მოითხოვს იმ აშკარა ფაქტის დანახვა, რომ სადღეგრძელოების თქმა და შრომა სულაც არ გამორიცხავენ ერთმანეთს, რომ ჩვენს კულტურულ სივრცეში ასეთი დიხოტომია ფიქციაა. ბოლოს და ბოლოს, ლექსის ფარული ქვეტექსტი ხომ ასეც იკითხება: მაშინ, როცა სხვა ხალხი რიგში უსაქმოდ იდგა, ქართველებმა ცუდად დგომას კარგად შრომა არჩიეს, რაც მათ მიერ პატიოსნად დასახელდა დაგვიანების ჭეშმარიტ მიზეზად. მოდით, ჩვენც პატიოსნად ვიკითხოთ: ასეთი მიზეზით დაგვიანება რით ვერ სჯობს რიგში დგომას და დროზე მისვლას? მე ვფიქრობ, ესაა საპატიო დაგვიანებულობის მთელი არქიტექტურა, მეტიც - მთელი მეტაფიზიკა, და ასეთი გამოცდილება მისაჩქმალი კი არა, გასათვალისწინებელია.

ჩემი პოზიცია რეტროგრადების წისქვილზე წყლის დასხმას არ ისახავს მიზნად. პირიქით, საქართველოში პოსტმოდერნის თეორიისა და პოსტმოდერნული ესთეტიკის რეგიონალური ილუსტრაციები, მართალია, დრამატულ კვანძებს ვერ წარმოქმნის, ვინაიდან საქმე ეხება გამეორებას ან დუბლირებას; მაგრამ არ შეიძლება დრამატული არ აღმოჩნდეს პიროვნული გამოცდილების განსხვავებულობის შეჯახება კოლექტიურ გამოცდილებასთან (მითუმეტეს, როცა ეს უკანასკნელი არ ხასიათდება არანაირი რაციონალობით).

თვით პოსტმოდერნის თეორია დასავლეთში დრამატული დაძაბულობის განსაკუთრებულმა ხარისხმა წარმოშვა, ამანვე გამოკვეთა პოსტმოდერნული სიტუაცია ევროპულ კულტურაში, მაგრამ ეს თეორია თავის თავში მრავალი წინააღმდეგობის მატარებელია (და ეს არ არის ნეგატიური დეფინიცია). უფრო მეტიც, პოსტმოდერნის თეორია, როგორც კულტურული მოვლენა, არსებითად, "პოსტმოდერნის" ცნების დაზუსტების პრაქტიკამ გამოიმუშავა. ასე რომ, სადღეისოდ პოსტმოდერნის თეორიის ისტორიაზე ლაპარაკი უფრო გამართლებული მგონია; ჩემთვის პოსტმოდერნის თეორიის ისტორია ამ ცნების დაზუსტების ისტორიაა. (აქვე დავძენ, რომ, როგორც წესი, ერთმანეთისგან განასხვავებენ პოსტმოდერნულ სიტუაციას კულტურაში, პოსტმოდერნული ხედვის კულტურას, პოსტმოდერნულ ცნობიერებას და ა. შ.) ნებისმიერ თეორიას, მსგავსად ნებისმიერი კულტურისა, არსებობის საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი რიტმი და რეჟიმი აქვს. თუ პოსტმოდერნის კულტურა არატრადიციული ფორმით ჩამოყალიბდა, ეს სულაც არ მეტყველებს არც მის არარსებობაზე ან ფიქტიურობაზე, არც ევროპული კულტურის განვითარების გენერალური ხაზიდან ამოვარდნილობასა და მარგინალურობაზე. ერთია მარგინალური აზროვნება და მეორე - მარგინალური აზროვნებისთვის მწვანე შუქის ამნთები, მისი დასტურმყოფელი ცნობიერება. ეს მთლიანად პოლიტიკური პროცესი იყო: მარგინალური სადინრების გახსნა ინტელექტუალებმა მოინდომეს მას მერე, როცა ისტორიაში ცენტრების ტოტალური დაკავებულობა გაცნობიერდა. პოსტმოდერნულმა კულტურამ მოინდომა თვით ამ დაკავებული ადგილების უმნიშვნელობისა და დესპოტური ბუნების ჩვენება. ამ პოლიტიკამ იმდენად რაციონალური, მიზანდასახული სახე მიიღო, რომ მარგინალურ კულტურას ვეღარ შექმნიდა. მას შეეძლო მხოლოდ კონÁუნქტურად მარგინალური ეთიკისა და ესთეტიკის გადაქცევა. ერთია არტოს, ბატაის, მილერის, სადის ცხოვრება და მეორე - ამ ცხოვრებაზე რაციონალური რეფლექსია. მეტიც, ერთია "ვარდის სახელი" და მეორე - დიდება, რომელსაც ამ რომანის ავტორი იმკის. უბრალოდ,

კიდევ ერთხელ მოხდა ის, რაც არაერთხელ მომხდარა: დასახული მიზანი განუხორციელებელი აღმოჩნდა, წამოწყებასა და დასასრულს შორის კი დერივანტული მიზნების და ამოცანების მთელი კალეიდოსკოპი გაჩნდა; განუხორციელებელ პროექტთა ავტორები უსწრაფესად აღმოჩნდნენ იმავე მდგომარეობაში, რომელშიც აღმოჩნდა თავის დროზე ჰაბერმასი. ესეც მეტყველებს პოსტმოდერნული კულტურის დახურვაზე გარედან, მის ინსტიტუციონალიზებაზე, რაც ემთხვევა შიგნიდან მისი ამოწურვის მომენტს. პოსტმოდერნის თეორიამ, რომელიც სწორედ ერთიანი თეორიის შექმნის შეუძლებლობად წარმოჩნდა და ამ ფორმით მუშაობდა (ჩემი აზრით, არა პარადოქსულად, ვინაიდან, მეტ-ნაკლებად ყველა ისტორიული კულტურა ასე მუშაობდა), ყველაფერი იღონა მოსალოდნელ, უკვე ნაცნობ საფრთხეთაგან თავის დასაცავად, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი მუშაობის დომინირებადი შინაარსიც ეს აღმოჩნდა: თავის გადასარჩენად ბრძოლის გაჩაღება დასაწყისშივე, როცა შექმნილი ჯერაც არაფერი იყო, როცა პოსტმოდერნის თეორია საბედისწეროდ აფართოებდა "პოსტმოდერნის" ცნების საზღვრებს და ზოგიერთმა ავტორიტეტულმა ავტორმა ძველბერძნული კულტურის ტერიტორიებიც კი შემოიერთა. ერთი სიტყვით, მე ვფიქრობ, პოსტმოდერნის ენა თავიდანვე თუ არა, ოთხმოციან წლებში მაინც, უკვე დისკრედიტაციას განიცდიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეგვეძლება მითითება პოსტმოდერნის ენის საზღვრებში მომუშავე რომელიმე "ერეტიკოს" ავტორზე, რომლის მოღვაწეობა თურმე სულაც არ მეტყველებს პოსტმოდერნის სიკვდილზე, მაგრამ ასე ხომ უსაზღვროდ შეიძლება პოსტმოდერნის საზღვრების გაფართოება დროშიც და სივრცეშიც. და ასეთ შემთხვევაში, პოსტმოდერნული ენის მუმიფიცირების მოსურნენი არა მხოლოდ ლოგიკურ, არამედ უკვე ზნეობრივ ვალშიც დარჩებიან ჰაბერმასთან, რომელმაც თავის დროზე მოდერნიზმი განუხორციელებელ და ლამის პოსტმოდერნიზმის ადეპტებისგან აკრძალულ, დროზე ადრე დასამარებულ პროექტად გამოაცხადა. ამ ენის ვამპირიზმზე მეტყველებს არა მხოლოდ მმართველი ძალების, კომერციული სტრუქტურებისა თუ ნებისმიერი პოლიტიკური ორიენტაციის დამცველ ინდივიდთა მიერ მისი აშკარა, შენიღბული თუ ირიბი რეკლამირება, არამედ თვით პოსტმოდერნული ენის დამცველთა მიერ იმ ყველაფრის თავისად მიწერა, მითვისება, რაც მისი ამოწურვის მაუწყებლად და მის საპირისპირო ენერგიად, სხვა ცნობიერებად გაფორმდა. პოსტმოდერნის ენამ (რომლის ძირითად ბირთვს, ჩემი აზრით, პოსტსტრუქტურალისტების ენა წარმოადგენს) მუშაობა დაიწყო, როგორც უკიდურესად პლურალისტურმა საქმიანობამ, ტოტალურმა დაუკმაყოფილებლობამ სტრუქტურალიზ-

მით, ორთოდოქსული და სოციალური ფროიდიზმით, ფრანკფურტის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა კრიტიკული თეორიით, მოკლე ხანში კი გარდაიქმნა მეტაენობაზე აშკარა თუ ფარული პრეტენზიებით აღსავსე, ამკრძალავ იდეოლოგიად. სადღეისოდ პოსტმოდერნის ენა არა მხოლოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელია საკუთარ თავში, არამედ ტოტალიტარულისაც. მესმის, რომ ცოტა უცნაურად ჟღერს ფრანგი პოსტსტრუქტურალისტების ან ამერიკელი ნეოპოსტსტრუქტურალისტების დადანაშაულება ტოტალიტარიზმში, მაგრამ მე ვსაუბრობ შედეგებზე, და არა ცალკეულ ავტორთა ტექსტებზე. როცა პოსტმოდერნის ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი, კონÁუნქტურულად საჭირო მოვლენის გასამართლებლად და დასაცავად როგორც ესთეტიკაში, ისე პოლიტიკაში, ეს პლურალიზმი კი არა, ფაშიზმია. პარადოქსულად რომ ვთქვა, პოსტმოდერნის ენა იმდენად პლურალისტურია, რომ ფაშისტურია. ეს არ არის პოსტმოდერნის ენის ჩემმიერი კრიტიკა. რარიგ მოულოდნელიც უნდა გეჩვენოთ ჩემი განცხადება, პოსტმოდერნის კრიტიკა არც ძნელია და არც იოლი, ის უბრალოდ, საჭირო არ არის. ამ მიდგომას თანაუგრძნობს თვით პოსტმოდერნის ენა (თუ საერთოდ შეიძლება მისი მოაზრება ერთიანი ენის სახით). პოსტმოდერნული ხედვა, როცა მას მართლაც სურს პოსტმოდერნისტულად ყოფნა, აღიარებს ყველაფერს, რასაც იმავდროულად უარყოფს, და - პირიქით. ეს არის წინააღმდეგობების შეჯახების მაპროვოცირებელი და ამ შეჯახების შედეგად გაჩენად აფეთქებებში პულსირებადი კულტურა. ის ვერ ამაღლდა ტრაგიზმზე, ჩართული აღმოჩნდა ტრაგიზმში, სწორედ ტრაგიზმის გადალახვის წარუმატებელი მცდელობით. იგი კულტურის ისტორიის ურთიერთმონაცვლე პარადიგმებში ერთ-ერთ მორიგ რგოლად მოგვევლინა და არა უმეტესად. არადა, მან სწორედ ისტორიიდან პოსტინდუსტრიული კულტურის თვისობრივ გამიჯნვაზე მეტი, მისი ამოგდება და კულტურის დასასრულად გამოცხადება მოინდომა, მაგრამ ოპონენტებმა სწრაფად აუღეს ალღო ამ ეშმაკობას: პოსტმოდერნის ენა ყოველი შესაძლო გამოცხადების კრიტიკას აწარმოებდა იმ მიზნით, რომ ენების განმკარგულებლად თავადვე ქცეულიყო. ეს მისი, როგორც მორიგი პარადიგმის კულტურული აგენტის, კანონზომიერი ხვედრი აღმოჩნდა. მეორეს მხრივ, პოსტმოდერნზე ბუმმა ყოველმხრივ დააკმაყოფილა კაპიტალისტური ცნობიერება, მეტიც, პროგრესისტული ცნობიერების მოთხოვნილება სიახლეზე, სიახლის პერმანენტულ წარმოებაზე, ჩინებულად მოერგო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონÁუნქტურას.

დაბოლოს, პოსტმოდერნის კულტურა, მიუხედავად ყველაფრისა,

ცალკეული ავტორების დამკვიდრების, კულტურაში მათი ჩართვის ტრადიციულ კულტურად გაფორმდა, მან ტრადიციის გაძლიერებას შეუწყო ხელი. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ იმპერსონალიზმზე, ავტორის სიკვდილზე და ავტორად მკითხველის გადაქცევაზე (რაც, ალბათ, განსაკუთრებით იზიდავს ქართულ ცნობიერებას), რეალობის გაქრობაზე და ჯანდაბაზე, სიმართლე (სწორედაც რეალური) ეს არის: ესთეტიკური, მხატვრული თუ სოციალური აზროვნების ოქროს ფონდი (ფონდი!) შეივსო დელიოზის, ფუკოს, ბოისის, ეკოს და უამრავი სხვა ერთადერთი და განუმეორებელი ავტორის კონკრეტული ტექსტებით. ერთი სიტყვით, მათ ჰქონდათ სათქმელი. თუნდაც ის, რომ ბრწყინვალედ აღწერეს, რატომ ვერ იტყოდნენ ვერაფერს ახალს.

იანვარი, 1998

უზნეობის მსხვერპლი

მიმდინარე წელს გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე დაიბეჭდა ორი თარგმნილი ინტერვიუ: ალენ გინზბერგთან (#2, 1998) და უმბერტო ეკოსთან (#6, 1998), მეოცე საუკუნის უცნობილეს ფიგურებთან. ალენ გინზბერგი, ამერიკული კონტრკულტურის ერთ-ერთი ლიდერი და ბიტნიკების ბიბლიის - "ღმუილის" - ავტორი, სწორედ იმ კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ სიმახინჯეებს, ორაზროვნებისა და კონფორმულობის იმ სულისკვეთებას უპირისპირდებოდა, რომლის დაცვასა და ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზე აყვავებაში უკანასკნელი როლი სულაც არ მიუძღვის "ლიტერატურულ საქართველოს". ალენ გინზბერგის ცხოვრება ღირსშესანიშნავია იმითაც, რომ პოეტი არასოდეს ქცეულა რომელიმე მთავრობის, სახელმწიფო მოღვაწისა თუ პოლიტიკური კურსის მეხოტბედ, სძულდა ფარისევლობა, მითოლოგიური აზროვნება, სიცრუე; როცა კონტრკულტურული მოძრაობის ოქროს ხანა დასრულდა და მრავალი ლიდერი კაპიტალისტური ისტებლიშმენტის სრულფასოვან წევრად გადაგვარდა, გინზბერგი აღიარებას და დაფასებას არ გაუბრიყვებია და კონფორმიზმის მასკარადში მონაწილეობა არ მიუღია. რაც შეეხება უმბერტო ეკოს, 60-70-იანი წლების იტალიური ლიტერატურული ავანგარდის მეტრს, სემიოტიკური კვლევების ერთ-ერთ ავტორიტეტსა და სახელგანთქმული რომანების - "ვარდის სახელისა" და "ფუკოს ქანქარას" ავტორს ("ლიტერატურული საქართველოს" სენსაციური ვერსიით - "ფუკოს შუქურა"), მისი ლიტერატურული ტექსტებისა და მრავალრიცხოვანი სამეცნიერო გამოკვლევების თემა ესეცაა - უგემოვნობისა და უფერულობის, იდეოლოგიური კონფორმიზმისა და კონÁუნქტურის ის გამოვლენები, რომლებიც უკომპრომისობის სახელით ინიღბება. ეკოს მოღვაწეობასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის, ანუ იმ პრაქტიკების მიღწევები, რომლებიც საგანგებო ანალიზის საგნად აქცევს ისეთ მითოლოგემებს, როგორებითაც დახუნძლულია "ლიტერატურული საქართველოს" ორგანიზმი; ისეთ სამეტყველო ფიგურებს, როგორებითაც სურნელებს "ლიტერატურული საქართველო" და ტერორისტულ-რეპრესიული რიტორიკის კლასიკურ ნიმუშებს წარმოგვიდგენს. ალბათ, იგი საქართველოში გამოცემადი ერთადერთი ოფიციალური სალიტერატურო გაზეთია, რომელსაც არავითარი სასიკეთო ცვლილება არ დასტყობია; რომელიც ისეთივე რიტმით მუშაობს, როგორითაც ათი-თხუთმეტი წლის წინ მუშაობდა; რომლის სალ-

იტერატურო პოლიტიკას ("სალიტერატურო პოლიტიკას", აქაც და ქვემოთაც, ირონიული შინაარსით ვტვირთავ) არანაირი ცვლილება არ განუცდია; ხოლო მიმდინარე საზღვარგარეთულ სალიტერატურო ცხოვრებაზე აქა-იქ გაელვებული ინფორმაციები კიდევ უფრო ამძაფრებს განცდას, რომ "ლიტერატურული საქართველოსთვის" დრო სამუდამოდ გაჩერდა, - ის დრო, რომელიც მის რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიის წევრებს თითქოს მილიარდობით კილომეტრის სიშორიდან უდასტურებს, რომ სადღაც, რომელიღაც გალაქტიკაში, ნამდვილად არსებობს. თარგმნილი ტექსტების უმრავლესობა, რაც ამ გაზეთში ქვეყნდება, ლიტერატურული მატიანე უფროა, ვიდრე - ცოცხალი სალიტერატურო პროცესების გამონაშუქი. როცა სალიტერატურო გაზეთი თავის საქმედ აქცევს ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებული, კლასიკად ქცეული ტექსტების ბეჭდვას, ამას სიცოცხლის სამსახური ვერ დაერქმევა.

და მაინც, როგორ მოხვდნენ "ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე სარედაქციო მინაწერისა თუ მთავარი რედაქტორის "საღადაო" კომენტარების გარეშე ავტორები, რომლებიც ავანგარდული, ნონკონფორმისტული, ანტიისტებლიშმენტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან? გაზეთის მთავარ რედაქტორსა და სარედაქციო კოლეგიას მე ბრალს ვერ დავდებ ამ ავტორთა შემოქმედების ცოდნასა და რეგიონალურ ნიადაგზე მათი "რეკლამირების" შეგნებულ მცდელობაში. მათ რომ ამ ტიპის ლიტერატურის დაფასება შეძლებოდათ, ეს აუცილებლად აისახებოდა "ადგილობრივი წარმოების პროდუქციის" პუბლიცირების კულტურაშიც. მათ რომ გაცნობიერებული ჰქონდეთ თუნდაც იმ კლასიკური, ასი თუ ორასი წლის წინ შექმნილი ტექსტების მნიშვნელობა, რომლებსაც თითქმის ყოველ ნომერში ერთი-ორი გვერდი ეთმობა, დანარჩენ გვერდებზე გამეფებული არ იქნებოდა უგემოვნობა, უფერულობა, უნიჭობა, ეპიგონობა. მდგომარეობას ასეთი მსჯავრისგან სულაც ვერ იხსნის აღიარებული ქართველი მწერლების პუბლიკაციები, ისინი უმოწყალოდაა ჩაკარგული ამ პროვინციალიზმის ზღვაში. სხვათაშორის, რაც, ამ კუთხით, "ლიტერატურული საქართველოს" "სალიტერატურო" პოლიტიკას განსაზღვრავს, არის მაღალი სახელებით სპეკულაცია, ფარად მათი აფარება, სწორედ უგემოვნობისა და მდარე ლიტერატურის შენიღბვის მიზნით. საგულისხმოა, რომ ეს ხდება სალიტერატურო ნორმების, მართლაც რომ, ზედმიწევნით დაცვის ფონზე; ამ გაზეთში ენობრივად, სტილისტურად, ფორმალურად გამართული ტექსტების პუბლიცირების კულტი სუფევს. საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ საქმე ეხება მდარე ლიტერატურას და არა - საშუალო დონეს, რომელიც ყველა განვითარებული თუ განუვი-

თარებელი ქვეყნის ლიტერატურაში არსებობს და საშუალოობის ხარისხიც ყველგან სხვადასხვაა.

სწორედ გაზეთის იმ ნომერში, რომელშიც დაბეჭდილია ეკოსთან ინტერვიუ, იბეჭდება ინტერვიუ გაზეთის რედაქტორთანაც, ბატონ თამაზ წივწივაძესთან. გაზეთის რედაქციამ არ იკმარა, რომ ბატონი შოთა ქავთარაძის ეს ინტერვიუ გაზეთ "კვირის ფოსტაში" გამოქვეყნდა, და სასწრაფოდ გადმობეჭდა (გაზეთ "კვირის ფოსტიდან" მასალების - ძირითადად კონფორმიზმის სულისკვეთებით აღსავსე მასალების - გადმობეჭდვას "ლიტერატურული საქართველო" ინტენსიურად მიმართავს). ინტერვიუში ბატონი რედაქტორი ამაყად აცხადებს: "ნება მომეცით, ცოტა წავიტრაბახო! ჩემს დარგში - პოლემიკა მაქვს მხედველობაში - ჩემი დარი დღეს არავინაა და, კიდეც რომ ვიწუწუნო, "მტერი არ შემხვდა ჩემფერი"- მეთქი, თუ ჩემი დონის აღარსადაა, საიდან მომიყვანენ?! ამ გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება აწი (განვაგრძობ ტრაბახს!) მარჯვენა ხელიც კი "დავილუქო" და მარცხენათი ვწერო!.. შოთა! უცბად მომინაცვლე კითხვა, თორემ რაც მე პოლემიკა გადამიტანია, იმდენი მაქვს სატრაბახო, ველარ გამაჩერებ!". მობაასე სასწრაფოდ "უნაცვლებს" კითხვას: "ქართველ მწერალთაგან თქვენ ერთ-ერთი ბრძანდებით, ვისაც ყველაზე დიდი გავლენა აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რას ფიქრობთ, რომელი პრობლემები მიგაჩნიათ პირველ რიგში მოსაგვარებელი და გადასაჭრელი?". ვიდრე ამ კითხვას უპასუხებდეს, ბატონი თამაზ წივწივაძე ასეთი შესავლით იწყებს: "იმის მიუხედავად, რომ ჩემს პიროვნებაზე ასეთი მაღალი აზრისა ბრძანდებით, მიჭირს ამ შეფასებისთვის თქვენი გამტყუნება, რადგან თქვენი ეს აზრი ისე ზედმიწევნით დაემთხვა ქართველი მწერლების აზრსაც - მათაც ხომ ამ "დამსახურებისთვის" მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ამირჩიეს!", დასმულ კითხვაზე პასუხს კი ლაკონური და ამომწურავი "აღმოჩენა" მოსდევს: "მოკლედ გიპასუხებთ! დაუყონებლივ უნდა შეწყდეს ქვეყნის ყვლეფა!"

ვინც ჩემს ესსეისტურ შემოქმედებას იცნობს, იოლად მიხვდება, რომ ბატონი თამაზ წივწივაძის "მოღვაწეობა", ცალკე აღებული, ჩემი ინტერესის საგანი ვერ გახდებოდა, რომ არა - სულ სხვა, უფრო ზოგადი გარემოება. ნება მიბოძეთ, შეძლებისდაგვარად, მოკლედ მოგახსენოთ ამ გარემოების შესახებ, მას მერე, როცა ბატონმა თამაზ წივწივაძემ დაგვარწმუნა, რომ მას თანაუდგას საქართველოს მწერალთა კავშირის ხუთასკაციანი კოლექტივი.

მე არ მაინტერესებს, რას ფიქრობენ მწერალთა კავშირის წევრები თავ-თავიანთ ოჯახებში ბატონ თამაზ წივწივაძეზე და "ლიტერატურული

საქართველოს" სადღეისო სახეზე, მაგრამ ის გაზეთი, რომელზეც ხელი მიმიწვდება, მიდასტურებს, რომ ამ ხუთასკაციანი კოლექტივის არც ერთ წევრს თავისი ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს სალიტერატურო პოლიტიკასთან დაკავშირებით არანაირი კრიტიკული შენიშვნა არ გამოუთქვამს სწორედ იმ ფორმით, რომელსაც ლიტერატორის პროფესია მოითხოვს, - წერილობით. და თუ ასეთ მრავალრიცხოვან კოლექტივში არ აღმოჩნდა ადამიანი, ვინც წერილობით მაინც გამოთქვამდა პროტესტს "ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორის მიერ აღებული პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-სალიტერატურო კურსის მიმართ (რომელმაც თავის ზენიტს გასული წლის ბოლოსა და მიმდინარე წლის პირველ თვეებში მიაღწია), მე უფლება მაქვს, ვამტკიცო, რომ ამ კოლექტივს მოსწონს თავისი გაზეთი და ხელს უწყობს მასში გამოკვეთილი ტენდენციების დაცვა-განვითარებას, - მწერალთა კავშირის ვერც ერთი წევრი ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას "ლიტერატურული საქართველოს" სალიტერატურო სახის გამო. რა თქმა უნდა, მათ სრული უფლება აქვთ, მოსწონდეთ ეს გაზეთი, მაგრამ ჩემი მოკრძალებული მცდელობაა, - გულისტკივილით აღვნიშნო, რომ ამ კოლექტივის საუკეთესო ნაწილის, მაღალნიჭიერი მწერლების მიერ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების შინაარსი, ხასიათი, პათოსი საპირისპიროა იმ მდუმარე თუ აქტიური თანადგომისა, რასაც ისინი უცხადებენ დღევანდელ "ლიტერატურულ საქართველოს", რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ "ლიტერატურულ-პოლიტიკურ-კონÁუნქტურული საქართველო". თვით ბატონი თამაზ წივწივაძის საგაზეთო-საპოლემიკო და "საზოგადოებრივი" მოღვაწეობა იმ ფენომენთა რიგიდანაა, რომლებიც მაღალმხატვრულად არის გაკრიტიკებული, პაროდირებული თუ დაგმობილი მწერალთა კავშირის იმ წევრთა მიერ, რომლებიც დღესდღეობით მდუმარედ, პასიურად თვალს ადევნებენ გაზეთის გვერდებზე აყვავებული (თუ აღორძინებული?) მაამებლობის, მლიქვნელობის, ფარისევლობისა და ორაზროვნების, ვითომპრინციპულობის მოძრავ პანორამას. ჩამოთვლილი "ღირსებების" ამოკითხვა როლან ბარტისა და მიშელ ფუკოს სემიოლოგიურ ალღოს არ მოითხოვს მწერალთა კავშირის წევრებისგან (მკრეხელობაც იქნება, მსგავსი ალღო ან თვით ამ უცხოელ ავტორთა ტექსტებში გარკვეულობა მოსთხოვო იმ მწერალთა კავშირის წევრებს, რომელსაც ბატონი თამაზ წივწივაძე მეთაურობს). დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო არც "ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე გაჩაღებული, ნებადართული და რეგლამენტირებული, ისეთი ნიშნებით გაჯერებული კრიტიკული საქმიანობის დასანახად, რომლებიც ნებისმიერ კრიტიკას აზრს უკარგავს და უწყინარ,

უვნებელ ორაზროვნებად აქცევს.

მე არ მჯერა, რომ დღევანდელ "ლიტერატურულ საქართველოში" გაბატონებული უფერულობა და ესთეტიკური საშუალოობა შეიძლება მოსწონდეთ იმ მწერლებს, რომელთა ტექსტები მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდშია შესული. ვერც იმას დავიჯერებ, რომ ეს მწერლები მართლა, გულწრფელად არიან დარწმუნებულნი ისეთი გაზეთის სიკეთეში, რომელიც წარმოადგენს გულისამრევად გაფუებული მილოცვების, იუბილეების უთავბოლო აღნიშვნების, ნეკროფილიაში გადასული ნეკროლოგების უწყვეტი პროდუცირების, ლიტერატურისგან ერთობ შორს მდგარ საკითხებზე თავის მოქიშპეებთან რედაქტორის ანგარიშსწორების ფრონტს. ნუთუ, ხუთასკაციან კოლექტივში არავინაა ისეთი, ვინც შეძლებდა ხმის ამაღლებას გაზეთის იმ გენერალური ხაზის წინააღმდეგ, რომელიც კონÁუნქტურის "გონივრული" მსახურების, მაღლისა და დაბლის გაერთმნიშვნელოვნების, ნიჭიერისა და უნიჭოს ურთიერთაღრევის საქმეს ერთგულებს (რაც საგაზეთო კონტექსტში აზრს უკარგავს იმ საუკეთესოსაც, რომლის გამოჩენა ხდება სპონტანურად, არა რედკოლეგიის გამიზნული, გააზრებული მუშაობის შედეგად)?!

თუ დღეს საქართველოში არ არსებობს სალიტერატურო კრიტიკა, თუ თითქმის არ შუქდება ბოლო ათწლეულის ქართულ ლიტერატურაში შემოსული ახალი ესთეტიკური ორიენტაციები, მოდელები და ტენდენციები, თუ ოფიციალური მწერლობა თვალს იბრმავებს ახალი თაობის მიერ მოტანილი ახალი სალიტერატურო ურთიერთობების მიმართ, თუ სალიტერატურო ცხოვრება გაიგება, როგორც უკვე აღიარებულ, ცოცხალ კლასიკოსებად მიჩნეულ ავტორთაგან ახალი ნაწარმოებების მოლოდინი და მერე მათი ქება-განდიდების კლოუნადა, თუ ქართული მწერლობა საკუთარ თავშია გამოკეტილი, საკუთარ წვენში იხარშება, და სასაცილოა თანამედროვე მსოფლიო სალიტერატურო კონტექსტში მის სრულფასოვან ინტეგრირებაზე რამენაირი სერიოზული ლაპარაკი, ამაში ლომის წილი "ლიტერატურული საქართველოსია". ეს გაზეთი რეალური სარკეა, რომელშიც მწერალთა კავშირის წევრები ჩასცქერიან არა თავიანთ უპასუხისმგებლობას ან მის ნაკლებობას, არამედ - პასუხისმგებლობის მათმიერი გაგების შედეგებს.

რა აიძულებს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა საუკეთესო, მაღალნიჭიერ ნაწილს, პირში წყალი ჩაიგუბოს ან გუნდრუკი უკმიოს იმ ფენომენს და იმ სიტუაციას, რომელიც მხოლოდ კრიტიკას იმსახურებს?

ვიდრე ამ კითხვას სავარაუდო პასუხს გავცემდე, მინდა დავაზუს-

ტო, რომ აღნიშნულ მოვლენებში, წარმოდგენილ პროცესში თუ ვინმე უდანაშაულოა, ესაა თვით ბატონი თამაზ წივწივაძე. ჩემი ღრმა რწმენით, იგი მსხვერპლია იმ კონტექსტისა, იმ გარემოსი, რომელშიც გაჩნდა მოთხოვნილება ამ ტიპის ლიტერატორზე, რედაქტორზე და თავმჯდომარეზე. მისი "მოღვაწეობით", ჩანს, ყველა ხელს ითბობს, იმის შესაბამისად, როგორც მათ ნიჭი, მონდომება და მარიფათი მოსდევთ. ბატონი თამაზ წივწივაძის ფენომენის უნიკალურობა მის უნივერსალურობაშია: იგი საუკეთესო "სერვისი" აღმოჩნდა კლასიკოსებისთვისაც, ხელმოცარული ლიტერატორებისთვისაც, "საზოგადოებრივ-საჭირბოროტო" პრობლემატიკაში გაქცეულთათვისაც, ლიტერატურის დახმარებით პოზიციების გამაგრების მოსურნეთათვისაც, კარიერისტებისთვისაც, ბიუროკრატებისთვისაც და მრავალი სხვისთვისაც. ერთი სიტყვით, იგი დემოკრატიის ადგილობრივი, ქართული ვერსიის ადეპტად იქცა. ბატონი თამაზ წივწივაძის შექმნით და აყვავებით საქართველოს მწერალთა კავშირმა კიდევ ერთხელ მოიტყუა თავი და გააცუცურაკა საზოგადოება.

ბატონი თამაზ წივწივაძე მხოლოდ ცვლადია. მის ფუნქციას, ავად თუ კარგად, ნებისმიერი საშუალო ლიტერატორი იკისრებდა. მთავარი იყო, როგორც აღვნიშნე, ასეთ ფენომენზე მოთხოვნილება გაჩენილიყო. მისი "მოღვაწეობა" და ამ "მოღვაწეობის" გუნდრუკისმკმეველი ცნობიერება წარმოაჩენს ოფიციალური სალიტერატურო კულტურის უცდომელ სურათს. ესაა ქართულ კულტურაში დღესდღეობით გაბატონებული ენა, გაბატონებული ცნობიერება, უფრო მეტიც, - ტერორისტული ცნობიერება. მაგრამ ვის ატერორებს ეს ცნობიერება? მხოლოდ და მხოლოდ - საკუთარ თავს. თუ ამ ცნობიერებას, ამ ტრადიციას სერიოზული ალტერნატივა გამოუჩნდება (და არა ფორმალური სახესხვაობა) და ეს ალტერნატივა შეძლებს გადარჩენას, ის, უბრალოდ, დავიწყების მდინარეს გაატანს ამ ცნობიერებას, ამ ძირძველ ტრადიციას.

და მაინც, არის რაღაც შემაშფოთებელი და ავისმომასწავებელი - თუნდაც საბედისწერო - იმ ფაქტში, რომ საქართველოს ხუთასკაციანი მწერალთა კავშირის მთავარი ბეჭდვითი ორგანო თავის გვერდებს უთმობს გინზბერგს და ეკოს (ხომ არაა ეს აუტოდაფეს ორიგინალური ნაირსახეობა?), იმ ადამიანებს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა მაგალითი იმ კონÁუნქტურასთან, იმ ცნობიერებასთან, იმ აგრესიულ ენასთან უკომპრომისო ბრძოლისა, რომლის დამცველიც "ლიტერატურული საქართველო" და მისი გუნდრუკისმკმეველი მწერალთა კავშირია. ამ კავშირის ყველა წევრი, ნებსით თუ უნებლიეთ, ბატონ თამაზ წივწივაძესთან ერთად, სულიერად ყვლეფს საქართველოს.

არის რაღაც შემაძრწუნებელი იმ ფაქტში, რომ მწერალთა კავშირის წევრთა საგაზეთო თუ სატელევიზიო, საჟურნალო თუ საწიგნო გამოსვლებში, მათი მსჯელობის წყობაში (თუკი შეიძლება, ამას მსჯელობა დაერქვას!) აღორძინებულია ის ენა, ის მეტყველება, ის ტერმინოლოგია, ის პათოსი, რაც წინა ხელისუფლების დროს მათ მიერვე იგმობოდა. ვინც მითითებულ პროცესს უანგარო თვალით შეხედავს, მიხვდება, რომ ჩემი შიში უსაფუძვლო არ არის. დავაზუსტებ, რომ ეს არაა ქართული კულტურის მოსალოდნელი ნგრევის შიში; არა! ქართული კულტურა გაქრება მაშინ, როცა ჩემს მიერ გაკრიტიკებული ცნობიერება გაქრება - ასეთია კულტურის ბედი საქართველოში. მე მაშინებს წინათგრძნობა, რომ ასეთი კულტურა ყოველთვის "მაღალკულტურულად" გაუსწორდება ნებისმიერ ერეტიკოსს, განსხვავებულს, "ნოვოიაზის" არმიმღებელ ნებისმიერ ცნობიერებას.

"ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე, ნომრიდან ნომერში, გამაოგნებელი სიხშირით ფიგურირებს სიტყვა "ისტორიული". თუ ჩვენს მთა-გორიან სამშობლოში რაიმე ისეთი ხდება, რასაც "ლიტერატურული საქართველო" უნდა მიესალმოს, მხარდაჭერა აღმოუჩინოს, ტაში დაუკრას, ყველაფერი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად ცხადდება. რაზე მიუთითებს ეს ფაქტი? კომენტარისგან თავს ვიკავებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ მწერალთა კავშირის წევრთა მოფიქრალი ნაწილის დუმილი ან გუნდრუკისმკმევლური საქმიანობა ნამდვილად იმსახურებს "ისტორიულის" კვალიფიკაციას, ისტორიულის რანგში აყვანას. მე მესმის ამ ლიტერატორთა კონფორმიზმის შინაარსი, მესმის ბევრი მათგანის გულში მფეთქავი შიშის ხმაც.

ვიცი ისიც, რომ ჩემს ასეთ თავხედობას, უფროსი თაობის ლიტერატორთა კონფორმიზმში გაცხადებული სიბრძნის ყურად არღებას არ მაპატიებენ. მძიმეა ჩემი დანაშაული თუნდაც იმიტომ, რომ ეს წერილი არავის დაკვეთით, არავისადმი სამაგიეროს მიგების ჟინით, ბოღმით და ღვარძლით არ დაწერილა, არავის პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციას კვერს არ უკრავს. ეს არის იმ ადამიანის პროტესტი, რომელსაც არანაირი ახალი იდეოლოგიის სახელით ძველის წინააღმდეგ ბრძოლა მიზნად არ დაუსახავს, რომელსაც საერთოდ არ სჯერა ასეთი ბრძოლის სამართლიანობისა. ეს იმ ადამიანის პროტესტია, ვინც მარტოა; ვინც სრულიად დაუცველია ჩვენს გარემოში; ვისაც უკეთესობისკენ რაიმეს შეცვლის არანაირი იმედი არ გააჩნია; ვინც ვერასოდეს მიიღებს მონაწილეობას ფიზიკური არსებობის გადარჩენის მიზნით სულიერი ფასეულობების "გამომუშავების" მარადიულ ქართულ პროცესში; ვინც ვერ ჩაეწერება იმ ტრადიციაში,

რომელიც გულისხმობს მაღალი ღირებულებებით მანიპულირებას როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე.

P.S. მე არ ვაპირებ ბატონ თამაზ წივწივაძესთან კამათს მის მიერ პოლემიკად წოდებული ხერხით (სინამდვილეში, ეს "ხერხი" მოწინააღმდეგის შეურაცხყოფაზე, დამცირებაზე, მასხრად აგდებაზე აგებული "კამათის" მეტად მდარე ფორმაა, რაც ჩვენს საყვარელ დედასამშობლოში ყოველთვის იყო და იქნება დაფასების საგანი). ჩემი მიზანი იყო, ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა საჯაროდ, იმ ლიტერატორთა გასაგონად, რომელთა პროზაულმა თუ პოეტურმა ტექსტებმა გარკვეული გავლენა იქონია ჩემი ლიტერატურული, ესთეტიკური გემოვნების, ეთიკური მრწამსის ჩამოყალიბებაზე. ამჟამინდელი მათი დუმილი ან წინააღმდეგობებით სავსე, კონÁუნქტურული "განაზრებები" მარწმუნებს, რომ ისინი უმძიმეს ეკონომიკურ-ყოფით, სულიერ და ესთეტიკურ კრიზისს განიცდიან. და კიდევ: პირადად ბატონი თამაზ წივწივაძის მიმართ, ჩემი ღრმა რწმენით, ქართველ საზოგადოებას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის; რომ არა მისი "მოღვაწეობა", ეს კრიზისი ასე არ გაშიშვლდებოდა, გაურკვევლობა და დაბნეულობა დიდხანს გასტანდა. ხოლო თუ "ილიას და აკაკის ტრადიციების" გამგრძელებლებად თავიანთი თავის მიმჩნევი ქართველი მწერლები საგანგაშოს მართლა ვერაფერს ხედავენ "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე იდეალური სიზუსტით ასახული ქართული ლიტერატურის სადღეისო მდგომარეობაში, "ლიტერატურული საქართველოს" სახეში და მისი მთავარი რედაქტორის "მოღვაწეობაში", მე მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი.

26 თებერვალი, 1998

ჩემი საუბრის თემა კულტურის შეუძლებლობის ფენომენი იქნება

ესაუბარა ნანა შარაშიძე

- ბატონო დათო, როგორც ვიცი, წელს საფრანგეთში, ქართული კულტურის ფესტივალზე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წიგნის სალონში, ერთი ღონისძიება ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის ხსოვნას მიეძღვნება. ამ ღონისძიებაში თქვენც მიიღებთ მონაწილეობას. მოხსენება უნდა წაიკითხოთ?

- არა, უბრალოდ ვისაუბრებ ბატონ მერაბზე. საფესტივლო პროგრამაში ამოვიკითხე, რომ ჩემი თანამოსაუბრეები იქნებიან რუსი ფილოსოფიათმცოდნე ნატალია ავტონომოვა და ფრანგი ჟურნალისტი ანი ეპელბუანი. მე მათ პირადად არ ვიცნობ. ნატალია ავტონომოვა თანამედროვე ევროპული, კერძოდ ფრანგული კულტურფილოსოფიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია რუსეთში...

- შეთავაზება როგორ მოხდა?

- ფესტივლის ორგანიზატორებმა მკითხეს, ბატონ მერაბს თუ ვიცნობდი. ვუპასუხე, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ვესწრებოდი პერიოდულად მის ლექციებს, წამიკითხავს მისი წიგნები და მას ჩემს ერთ-ერთ მასწავლებლად ვთვლი. შემომთავაზეს, წიგნის სალონში მესაუბრა ბატონ მერაბზე ფრანგი საზოგადოების თანდასწრებით. სიამოვნებით დავთანხმდი. თუმცა, გამოგიტყდებით, ქართულ კონტექსტში მერაბ მამარდაშვილის მოაზრებაზე რასაც ვფიქრობ, უწყინარ ხასიათს სულაც არ ატარებს.

- თქვენ ფიქრობთ, რაკი ბატონი მერაბის მოღვაწეობის დიდი ნაწილი რუსეთს უკავშირდება...

- არა, არა, ეს არაფერ შუაშია. ბატონი მერაბი თხემით ტერფამდე ქართველი ინტელექტუალი იყო... მე მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ მერაბ მამარდაშვილის დაკავშირება ქართულ კულტურასთან, თანამედროვე ქართული კულტურის "მოძრაობაში" მისი ორგანული ჩართვის მცდელობა წინდაწინვე წარუმატებლობისთვის არის განწირული. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს, ჩემი ღრმა რწმენით, წარმოადგენს შემთხვევითობის ძალიან დიდი წილი, რომელმაც განაპირობა ქართულ ნიადაგზე ამ სახელის აქტუალობა. ყოველ შემთხვევაში, ეს აქტუალობა დაკავშირებულია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბატონი მერაბის ჩაბმასთან და იმ ფილოსოფიურ ავტორიტეტთან, რომლის კონკრეტული შინაარსი უცნო-

ბია ქართველი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც ამ სახელს განადიდებს. დაე, ვცდებოდე, მაგრამ ამ მცდარი შეხედულების სისწორის ეჭვს მიძლიერებს ის ფაქტი, რომ ქართული ინტელექტუალური წრეების მიერ არ მომხდარა მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის შემოქმედებითად ათვისება, მისი გათვალისწინება, მასთან დიალოგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მერაბ მამარდაშვილის კულტურფილოსოფიური ლექციების მსმენელ მრავალრიცხოვან აუდიტორიაში პროფესიონალი ფილოსოფოსი ერთობ ცოტა იყო, და ამ ცოტამაც მისი ნააზრევი მხოლოდ მოისმინა, მხოლოდ წაიკითხა და მხოლოდ აღფრთოვანდა. ერთი სიტყვით, ქართული ინტელექტუალური ძალებისთვის მისი შემოქმედება იმპულსისმომცემი არ აღმოჩნდა ანალოგური სამუშაოს ჩასატარებლად, ე. ი. აზროვნების აქტის განსახორციელებლად. ჩვენს ნიადაგზე ვერ გაიხსნა ის მეტაფორა, რომელსაც მერაბ მამარდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება ქმნიდა. მოდით, ვიკითხოთ: შეიძლებოდა თუ არა რაღაც ფანტასტიკური ოპერაციების ჩატარება მერაბ მამარდაშვილის "ამუშავებისთვის", ქართულ კულტურულ კონტექსტში მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ნაყოფიერი პირობების შესაქმნელად, შემთხვევითობის კლანჭებიდან ამ მოვლენის გამოსახსნელად? ჩემი აზრით, შეუძლებელი იყო, ისევე, როგორც ეს დღესაა შეუძლებელი. რა თქმა უნდა, საქართველოში მუშაობენ ცალკეული ინტელექტუალები, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, მაგრამ საქართველოში არ არსებობს კულტურული სიტუაცია, ანუ არ ხორციელდება კულტურული აქტების გაცოცხლება მათი შემოქმედებითი ათვისების გზით. მეორეს მხრივ, ეს კულტურული აქტები უნუგეშოდაა დაფანტული, არაა მოწესრიგებული, არაა კულტურულად ათვისებული, არ არსებობს ღირებულებათა შკალაზე კულტურულად მნიშვნელადი მოვლენებისა და სახელების განლაგების არანაირი ტრადიცია, არც ერთი პრეცედენტი.

- თუ კულტურული სიტუაცია არ არსებობს, მაშინ ხომ არც ეს სახელები და მოვლენები, ეს ცალკეული პულსაციები უნდა იყოს შესამჩნევი. არადა, ისინი ხომ ნამდვილად ჩანან!

- ამიტომაც ჩანან! ეს მხოლოდ დროში კულტურის "გადავადების" კიდევ ერთი ფორმაა; გარკვეულ, უდავოდ არსებულ ტრადიციაზე ამა თუ იმ სახელის მორგების, მისი ფილტრაციის ნაცადი ფორმა... სხვათაშორის, საქართველოში ძალზე იოლია სახელების იგნორირება ან ნიველირება, ადგილობრივი კონტექსტიდან მათი გაძევება ჯერ კიდევ მანამ, სანამ ეს კონტექსტი მათ გაიცნობდეს. განა, ამის ნათელი დადასტურება არაა გივი მარგველაშვილის მაგალითი? ეს დიდი მწერალი, მერაბ მამარდაშვილის უახლ-

ოესი მეგობარი, ორმოცდაათი წელი ცხოვრობდა თბილისში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას უცხო ენათა ინსტიტუტში, ოცდაათი წელი მუშაობდა ფილოსოფიურ ინსტიტუტში, ამზადებდა ფუნდამენტურ გამოკვლევებს კულტურფილოსოფიასა და ფილოსოფიის ისტორიაში, ქმნიდა ნაყოფიერების ფენომენალურ პრეცედენტს, მაგრამ ქართულმა კულტურამ იგი უგულებელყო იმიტომაც, რომ გივი მარგველაშვილი მხატვრულ შემოქმედებას ქმნიდა გერმანულად, ფილოსოფიურს კი - რუსულად. ქართულმა კულტურამ მისი შემოქმედებიდან, მისი ცხოვრების წესიდან ვერანაირი იმპულსი ვერ მიიღო. სწორედ ასეთი ფაქტები მეტყველებს ამა თუ იმ საზოგადოებაში კულტურის არარსებობაზე. კულტურული სიტუაცია გულისხმობს წესრიგის იმდენად მაღალ ხარისხს, რომ შეუძლებელია მასში ისეთი სახელის ნიველირება, როგორიც გივი მარგველაშვილია, საზეიმო და სახოტბო ანათემაზე ისეთი სახელის გადაცემა, როგორიც მერაბ მამარდაშვილია. კონტექსტიდან გაძევების აპრობირებული ქართული ფორმაა, აგრეთვე, ამა თუ იმ პიროვნების ხელოვნური, დაჩქარებული გადასროლა წარსულში, ისტორიაში, მერე მისი კულტივირება და გადაქცევა კულტურული მემკვიდრეობის შემავსებელ ელემენტად.

- ალბათ, მაინც გასათვალისწინებელია ის რთული დრო, როცა მერაბ მამარდაშვილი საქართველოში დაბრუნდა. გასათვალისწინებელია მისი დისიდენტური წარსულიც, რომელიც ყოველთვის იყო ოფიციოზის კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ.

- მე არ დავარქმევდი იმ წლებს "რთულ დროს". ჩვენთან სხვა დრო, ამ თვალსაზრისით, არც არასოდეს ყოფილა. მას მერეც ხომ გავიდა რაღაც დრო? რა შეიცვალა? ყველა ერის კულტურის "მუშაობის" რეჟიმი მეტნაკლები სტაბილურობით ხასიათდება და ფორმების ცვალებადობა მას ვერაფერს აკლებს... ბატონი მერაბი გარდაცვალებისთანავე (ალბათ, გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრეც) ჩაეწერა იმ ქართველ ინტელექტუალთა რიგში, რომელთა სახელებს აღიარებენ, მაგრამ რომელთა შემოქმედება, რომელთა კულტურული "პროდუქცია" ქართულ კულტურულ კონტექსტში საჭირო არაა, მასზე მოთხოვნილება არ არსებობს. და მაინც, მე ამ კონტექსტს ვახსენებ, როგორც კულტურულ კონტექსტს. მხოლოდ იმიტომ, რომ მას არსებობის საკუთარი წესი გააჩნია. ამ წესის შინაარსია პერმანენტული მოლოდინი.

- ანუ მესიანიზმი?

- არა, იმის მოლოდინი, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებელი გახდება ამ "პროდუქციის", ამ დოვლათის, ამ მკვდარი კაპიტალის გაცოცხლება. ასეთი "ერთი მშვენიერი დღე" კი, მერაბ მამარდაშვილის მსჯელობის

სტილს თუ მოვიშველიებთ, ან უკვე არსებობს ან არასოდეს არ იქნება; ის, რისი დანახვაც შესაძლებელი იყო, უკვე დანახულია. არსებობის და მოქმედების ნებისმიერი წესის უკან ხომ კონკრეტული და რეალური ადამიანური შესაძლებლობები დგას. ქართული მესიანიზმი აქ არაფერ შუაშია; ჩემი აზრით, ქართული მესიანიზმი საკმაოდ ნორმირებულია სხვა ერების მესიანიზმის ფონზე. არავითარი სურვილი არ მაქვს, გავიმეორო ქართულ ინტელექტუალურ ჟურნალისტიკაში გაბატონებული შეცდომა - როცა მესიანიზმის ფენომენი მიზეზად აქციეს და მერე ამ მზამზარეული მიზეზიდან ყველა უბედურების გამოყვანა მოინდომეს (ზოგჯერ ეს იყო ნაჩქარევად წაკითხული ევროპელი და ამერიკელი ავტორების პროფანიზებული გადმოქართულება). მე ვლაპარაკობ ქართული კულტურის არსებობის წესზე, რომელიც, დიდი ანგარიშით, ეფუძნება გრძნობადობის პრიმატს და რაციონალურის შიშს, მათი ურთიერთშეთავსების შეუძლებლობის რწმენას... მე არ ვიცნობ მერაბ მამარდაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობის არც ერთ დეტალს, მაგრამ, ვფიქრობ, მერაბ მამარდაშვილი არანაირი გაგებით არ ყოფილა დისიდენტი. როცა დისიდენტად მის წარმოჩენას ცდილობენ, ჩნდება საბჭოთა სინამდვილეში მისი საკმარისად დაცული და უზრუნველყოფილი აკადემიური კარიერის "ახსნა-განმარტებისა" და წინასწარ აკვიატებულ დისიდენტურ მოდელზე მისი მორგების აუცილებლობა. ამ დროს ფილოსოფოსის ფენომენი მსხვერპლად უნდა შეეწიროს დისიდენტობის კლიშეს. ალბათ, დისიდენტიზმის ტრადიციას არ შეურაცხყოფს იმის აღნიშვნა, რომ მერაბ მამარდაშვილის აზროვნების სტილი, მოვლენებთან მისი დამოკიდებულების წესი გამორიცხავდა დისიდენტიზმს. რა თქმა უნდა, დისიდენტური შეხედულებები ხშირად ემთხვეოდა ბატონი მერაბისას, მაგრამ მსგავსება არ იყო სიღრმისეული. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მერაბ მამარდაშვილის ცოცხალი, ყოველ წამს მოქმედი, მოძრავი ფიქრი, აზროვნება უკვე თავისი არსით გამორიცხავდა დისიდენტიზმისთვის დამახასიათებელ (თუმცა კი კონტექსტუალურად და მიზნობრივად აუცილებელ) დოგმატიზმს, ამოსავალი პოლიტიკური პრინციპების "სქოლასტიკურ" სულისკვეთებას. რაც ყველაზე მეტად არსებითია, მერაბ მამარდაშვილი არასდროს არაფერს ებრძოდა, ის აზროვნებდა. მის საყვარელ გამოთქმას რომ მივმართოთ, - ის აზროვნებდა იმიტომ, რომ სხვა ყველაფერში უნიჭო იყო.

- ასეთი ლოგიკა იმის მტკიცებამდე მიგვიყვანს, რომ სახელმწიფო მერაბ მამარდაშვილის რეკლამირებას ეწეოდა მისთვის ხელის შეშლით.

- არ ვიცი. ბატონ მერაბს პოპულარობა არც უამისოდ აკლდა. ცხადია, ინ-

ტელექტუალების მიერ "შემოწმებული" და კულტურის განდობილად შერაცხული ამა თუ იმ სახელის რეკლამირება სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვის გარკვეული, მეტად პრაგმატული მიზნებითაა ნაკარნახევი. მე მესმის, რომ ეს მიზნები ხშირად მორალისტურ ჩანაფიქრებსაც ითავსებენ და კონსტრუქციული იდეების რეალიზებას ემსახურებიან. სწორედ ამ თავისი ორაზროვნებისა და შეთავსებადობის, ამოსავალშივე საგულდაგულოდ გადამალული ზრახვების გამო იწვევს ჩემს ანტიპათიას მსგავსი პრაქტიკა... სიმართლე ისაა, რომ მერაბ მამარდაშვილის (ისევე, როგორც ბევრი სხვა სახელის) პოპულარობა, უკეთ, ცნობილობა საქართველოში უკუპროპორციულია მისი ნააზრევის გააზრებისა და შემოქმედებითად ათვისებისა. უფრო მეტიც, ასეთი გაპოპულარულების ნაირ-ნაირი და ყოველთვის წარმატებით დაგვირგვინებული ფორმები სწორედ რეალური შინაარსების, კარდინალური პრობლემების უგულებელყოფას, ნიველირებას, მიჩქმალვას ემსახურება ან, უბრალოდ, შედეგია ამ რეალური შინაარსის ვერდანახვისა და იმ კულტურული გამოცდილების არარსებობისა, რომელიც მის ვერდანახვას გახდიდა შეუძლებელს. კულტურის ქართული გაგება ნამდვილად არსებობს. მერე რა, რომ ეს კულტურის უკუღმართი გაგებაა, მან ხომ მუშაობის საკუთარი რეჟიმი შექმნა. ჩვეულებრივ, საშუალო ქართველს კულტურა ესმის, როგორც რაღაც დიდი ხნის წინ მომხდარ მოვლენათა და მნიშვნელად სახელთა ერთობლიობა, ის, რაც აღარაა ცოცხალი, რაც ისტორიის კუთვნილებაა და ამიტომაცაა უკვდავი, ზედროული. ქართული კულტურა აუცილებლობით გულისხმობს ისტორიაში ყოფნას და ისტორიულის ინდექსით დაცულობას, მისით გარანტირებულ მნიშვნელადობას. ჩვენში ეს ისტორიაც თითქოს არსაიდან ჩნდება, მერე კი მოწიწებას და ქებათა ქებას ექვემდებარება აუცილებლობის ძალით, არ მოითხოვს ინტელექტის რაციონალურ ძალისხმევას, გონებრივი შესაძლებლობების დაძაბვას. ქართული ცნობიერება თითქოს ნიშანს უგებს აწმყოს, სიცოცხლეს წარსულით, გარდასულით, რომელიც მას პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. იგი არსებულს, ცოცხალს მეტად დროულად აჩერებს და ემუქრება: "ჯერ მოკვდი და მერე ვნახოთ, ხარ თუ არა ღირებული". იმაზე საუბარი, თუ რა არის ქართველისთვის ღირებული, ძალიან შორს წაგვიყვანს... რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობს კონÁუნქტურა და ის, რაც ამ კონÁუნქტურას არ ერთგულებს, საუკეთესო შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება, უარეს შემთხვევაში კი ნაირ-ნაირი მაღალი იდეალით მოტივირებული რეპრესიის მსხვერპლი ხდება... ასე დარჩა შეუფასებელი, თუმცა არა დაუფასებელი (დაფასების ადგილობრივი გაგებით) მერაბ მამარდაშვილიც. სადღეისოდ ეს სახელი ქება-დიდების დარტყ-

მებს განიცდის ძირითადად იმათი მხრიდან, ვისაც არც ეს სახელი და არც ბატონი მერაბის ნააზრევი არ სჭირდება, არაფერში გამოადგება და ვერ მოუძებნის გამოყენებას. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც კრიტიკულად შეაფასა ბატონი მერაბის შემოქმედება და პოლიტიკურ მოღვაწეობაში მისი გადანაცვლების კანონზომიერებაც გააანალიზა, ფილოსოფოსი ბადრი შარვაძე აღმოჩნდა. რაკი სიტყვამ მოიტანა, შევნიშნავ, რომ ფილოსოფიის ქართველმა სპეციალისტებმა და მათ მიერ აღზრდილმა ახალთაობელებმა ბადრი გიჟად გამოაცხადეს სწორედ ნებისმიერი პრობლემური საკითხისადმი ფილოსოფიური მიდგომის მისმიერი წესის გამო. დღემდე გატაცებით ვადევნებ თვალს, ჩემი და ჩემზე უფროსი თუ უმცროსი თაობის ფილოსოფიური პუბლიცისტები, რომლებიც ბადრის დასცინოდნენ და უგულებელყოფდნენ, როგორ აწვდიან საზოგადოებას პუბლიცისტურ და ჟურნალისტურ ძონძებში გახვეულ იმ იდეებს, რომლებსაც თურმე აქტიურად ითვისებდნენ ბადრის საუბრებიდან.

- ფილოსოფია ხომ უკრიტიკოდ და უდისკუსიოდ წარმოუდგენელია. ალბათ, პირველ რიგში, სწორედ მერაბ მამარდაშვილს გაახარებდა თავისი შემოქმედების, ფილოსოფიური ნაა ზრევის კრიტიკული შეფასება.

- თქვენ წარმოიდგინეთ, არაიშვიათად კრიტიკული შეფასებები მეტაფილოსოფიურ სივრცეებსაც მოიცავენ ხოლმე. იგივე ბადრი შარვაძემ შემთხვევით მიაგნო ბატონი მერაბის რეცენზიას გივი მარგველაშვილის ერთ წლიურ შრომაზე, რომელიც სამას ნაბეჭდ გვერდზე მეტს მოიცავს და ფილოსოფიის ურთულეს საკითხებს უღრმავდება. როგორც ჩანს, ეს ნაშრომი სარეცენზიოდ ბატონ მერაბს გადასცეს. ალბათ, იმედი ჰქონდათ, რომ ის გაერკვეოდა გივი მარგველაშვილის ნაშრომში და რეცენზიასაც სათანადოს დაწერდა. როგორ ფიქრობთ, რას წარმოადგენს ეს რეცენზია? სულ რამდენიმე სტრიქონს, რომლის დიდი ნაწილი ბატონი გივის შრომის სათაურს მოიცავს, დანარჩენი კი, დაახლოებით ამ წინადადებას (ზუსტად არ მახსოვს): "გავეცანი ამ ბრწყინვალე ნაშრომს, რომლის მიმართ არანაირი კრიტიკული შენიშვნა არ მაქვს, გარდა რამდენიმე სტილისტური შენიშვნისა, რომლებიც პირადად გავუზიარე ავტორს". გულახდილად მიპასუხეთ: რომ არ გცოდნოდათ ამ რეცენზიის ავტორის ვინაობა, იფიქრებდით, რომ თავისი მეგობრისა და, შესაძლოა, საქართველოში მაშინ მომუშავე ერთადერთი ფილოსოფოსის ნაა ზრევს შეიძლებოდა ბატონი მერაბი ასე მოპყრობოდა და, სულ მცირე, არ გამოეყენებინა მასთან ინტელექტუალური დიალოგის, ფილოსოფიური დისკურსის მართლაც ბრწყინვალე შანსი? ეს ხომ სწორედ ის მოვლენაა, როცა მნიშვნელობა აღიარებული და

დაფასებულია, შინაარსი კი - უგულებელყოფილი და შეუფასებელი. განა, ჩვენ ქართული კულტურის მხრიდან ბატონი მერაბის მიმართ სწორედ ანალოგურ დამოკიდებულებაზე არ ვისაუბრეთ?

- როგორ გგონიათ, გაიგებენ ფრანგები თქვენს სათქმელს და სატკივარს, პოლიტიკაზე და კულტურაზე თქვენს შეხედულებებს?

- მე არ ვსაუბრობ პოლიტიკაზე. არც კულტურაზე ვაპირებ საუბარს. ჩემი საუბრის თემა კულტურის შეუძლებლობის ფენომენი იქნება. ეს, ალბათ, გამართლებულია მათი სალონის ინტერესებიდან გამომდინარეც: ის ხომ პოლიტიკურად ორიენტირებულია, სწორედ კულტურის პოლიტიკაზე აქცენტების გაძლიერებით. ამიტომ მჯერა, რომ ჩემი ხმა ანაქრონიზმად არ იქნება მათ მიერ აღქმული. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ პირადად ჩემი ხმაა და ზოგადობის არანაირი ნიშნით არ არის აღბეჭდილი.

3 სექტემბერი, 1998

"უზნეობის მსხვერპლი" სწორედ "ტრფობა წამებულთას" ავტორს უნდა დაეწერა

ესაუბარა ნანა შარაშიძე

- ბატონო დათო, ბოლო დროს "ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე კვლავ განახლდა თავდასხმები სკანდალურად ცნობილ თქვენს ტექსტზე. ბატონი თამაზ წივწივაძე ქალბატონ ნაირა გელაშვილს საყვედურობს, ამ უხამსობას ჯიუტად იცავთო, "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელი კი ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, "ტრფობა წამებულთა", მართლაც, უხამსობაა, უწმაწურობაა და "კავკასიურ სახლთან" ამ ტექსტის დაკავშირება დემაგოგიაა.

- მართლაც დემაგოგიაა. ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა მწერალთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ თავის პირველსავე წერილში არაორაზროვნად განაცხადა, რომ ჩემი ეს ნაწარმოები ვერ იძენს ლიტერატურულ ღირებულებას და წარმოადგენს ლიტერატურულ მარცხს. უფრო მეტიც, აღნიშნავს, რომ უხამსობა თვით ბატონი თამაზ წივწივაძისგან მაქვს ნასწავლი. ეს განაცხადი შემთხვევითი სულაც არ ყოფილა, მიზანმიმართული მსჯავრის ხასიათს ატარებდა, რაც გაზეთ "7 დღის" გვერდებზე მიმდინარე წლის 8-9 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილმა წერილმაც დაადასტურა (მისი ავტორი, ჩემი დაკვირვებით, ქ-ნი ნაირა გელაშვილი უნდა იყოს). იქ ნათქვამია, რომ ქართულ ლიტერატურაში უხამსობის დამამკვიდრებლად ტარიელ ჭანტურია და თამაზ წივწივაძე ითვლებიან, მათი გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდა თაობის უხამსობებით მათივე აღშფოთება კი მხოლოდ ნიღაბია წივწივაძელთა (ასე წერია ტექსტში) ორგანული მოთხოვნილებისა, მუდმივად ჰქონდეთ სიტყვიერი კავშირი ადამიანის ქვედა ნაწილებთან. განმარტებულია ისიც, რომ ამ უწმაწური ტექსტების ავტორები "კავკასიური სახლის" თანამშრომლები არ არიან (რაც სრული სიმართლეა). ძნელი არაა "ორმაგად კოდირებული" ამ განაცხადის ქვეტექსტში გარკვევა. ავტორი თითქოს დაბეჯითებით ამტკიცებს ერთს, მტკიცება კი ავტორისთვის უფრო მნიშვნელოვანი სხვა აზრის "სასხვათაშორისოდ", "ბუნებრივად" შემოპარებასაც ემსახურება (ასეთი ფუნქციით დატვირთული წინადადებების თანმიმდევრობა მომენტალურად "უცხოვდება" სატექსტო მთლიანობისგან; თითქოს ეს წინადადებები ტექსტში ვიღაცის მიერ არის ჩამატებული). მაგალითად, ვკითხულობთ, რომ ბ-ნ თამაზ წივწივაძეს აქვს ადამიანის ქვედა ნაწილთან მუდმივი სიტყვიერი კავშირის მოთხოვნილება, აქცენტი კი იმაზე კეთდება, რომ უხამსი ახალგაზრდა

თაობა მისი გავლენის ქვეშ იმყოფება; ვკითხულობთ, რომ ქართულ ლიტერატურაში უხამსობის დამამკვიდრებლად თამაზ წივწივაძე და ტარიელ ჭანტურია ითვლებიან, აქცენტი კი იმაზე კეთდება, რომ "ტრფობა წამებულთა" (როგორც ერთ-ერთი რიგითი "წივწივაძელის" მიერ დაწერილი ტექსტი) სხვა არაფერია, თუ არა უხამსობის ტრადიციის გაგრძელება (ჩნდება სიტყვა "წივწივაძელი"); ვკითხულობთ, რომ ამ "უწმაწური ტექსტების" ავტორები "კავკასიური სახლის" თანამშრომლები არ არიან, აქცენტი კი იმაზე კეთდება, რომ ეს ტექსტები უწმაწური ტექსტებია. ასე "მოხერხდა" რიგით უწმაწურობად "ტრფობა წამებულთას" "ჩამოლაბორანტება" და "გავლენის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებში" ჩემი, როგორც "ტრფობა წამებულთას" ავტორის, გაწევრიანება. ფსიქოანალიზზე ორიენტირებული კრიტიკოსი ასეთ შემთხვევაში იტყოდა, რომ ოპონენტს მოსვენებას უკარგავს, აწვალებს, აღიზიანებს "ტრფობა წამებულთას" არსებობა და ცდილობს მის მოსპობას, გაქრობას, ხოლო მას მერე, რაც საკუთარ ცნობიერებას "დაამუშავებს", ჰგონია, რომ მოახერხა ის, რაც მისთვის სასურველი იქნებოდა; რომ არასასურველი ტექსტი სინამდვილიდანაც გაქრა (ჩვენს შემთხვევაში: რომ "ტრფობა წამებულთა" უხამსობაა და მეტი არაფერი). თუ ქ-ნ ნაირას მართლა ჰგონია, რომ ამ ნაწარმოების გაქრობა, მისი ღირებულების წაშლა მოახერხა, მე მას ვერ გადავარწმუნებ. ასეა თუ ისე, ბ-ნი თამაზ წივწივაძისა და ქ-ნი ნაირა გელაშვილის მიერ გამოთქმული შეფასებები ერთმანეთს დაემთხვა, ორივე მათგანმა ერთსულოვნად დაგმო ეს ტექსტი, როგორც გაუგონარი მარცხი, მკრეხელობა, უნიჭობა, პორნოგრაფია, უწმაწურობა. ერთი დეტალიც საინტერესოა: მწერალთა კავშირის თავკაცი და "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელი სიცრუეშიც უცნაურად ბაძავენ ერთმანეთს. ერთმაც იცის, რომ ბ-ნი თამაზ წივწივაძის მკრეხელობათა გავლენით არაა დაწერილი "ტრფობა წამებულთა" და მეორემაც იცის, რომ ქ-ნი ნაირა გელაშვილი სულაც არ იცავს ამ ნაწარმოებს. მოკლედ, ისინი თანაბრად ცრუობენ, და მათ თანაბრად იციან, რატომაც ცრუობენ, მათი მიზნები ამართლებს საშუალებებს.

- თუ ნებას დამრთავთ, ასეთი ავანტÁურული კითხვა უნდა დაგისვათ: თქვენ თვითონ როგორ შეაფასებდით "ტრფობა წამებულთას"?

- ამ ნაწარმოების მეტაფორა არ გახლავთ ერთმნიშვნელოვანი. მიუხედავად იმისა, რომ "ლიტერატურული საქართველოს" მკითხველი საზოგადოება და ქართველ მწერალთა უმრავლესობა მას ბ-ნი თამაზ წივწივაძის გემოვნებით შედგენილი ფრაგმენტული ვერსიით გაეცნო, ვისაც მართლა სურდა საკუთარი აზრის შექმნა, ტექსტს სრული სახით მოიძიებდა. "ტრფობა წამებულთა" ხუთ წელზე მეტი ხნის წინ დაიწერა და მას მერე ორჯერ

გამოქვეყნდა: ჯერ ჟურნალ "პოლილოგის" 1994 წლის მე-2 ნომერში (რომელიც პატიოსნად იქნა მითითებული ბ-ნი თამაზ წივწივაძის მიერ), მერე - იმავე წელს გამოცემული ჩემი ესსეების კრებულში "შემხვედრი წინააღმდეგობები". მაგრამ დაკვირვებული და მიუკერძოებელი მკითხველი "ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილ ფრაგმენტებსაც რომ დასჯერებოდა, მაინც ვერ იფიქრებდა, რომ საქმე უწმაწურობას ან პორნოგრაფიას ეხება. სწორედაც პირიქით. მე რომ ახლა დიდი სახელები ვახსენო, ჩემი ტენდენციური ოპონენტები კიდევ ერთხელ აამუშავებენ დემაგოგიისა და სიცრუის მანქანას და ამ სახელებთან ჩემი გატოლების სურვილში დამადანაშაულებენ. მაინც ვიტყვი: "ტრფობა წამებულთა" დაწერილია, ჯერ ერთი, იმ ადამიანის მიერ, ვინც თავის თავს ილია ჭავჭავაძის და მიხეილ ჯავახიშვილის მოწაფედ მიიჩნევს; მეორეც, ვინც უმძაფრესად განიცდის "მოწინავე" ქართული საზოგადოების მიერ "ბედნიერი ერის", ჯაყოს ხიზნების", "კვაჭი კვაჭანტირაძის" გადაყლაპვისა და მონელების რეალობას. ეს ნაწარმოებები, დიდი ხანია, მეტრ-პატრიოტთა ხელში დემაგოგიურ იარაღად არის ქცეული უმრავლესობისა და უხილავ-უწყინარი ფანტომების დასამუნათებლად, არაფრისმთქმელი და მაღალფარდოვანი, უპრიმიტიულესი ქადაგებების საწარმოებლად, ტელე და საგაზეთო ეკრანებიდან "გამჭრიახი" გამომეტყველებით იმ ფარული მტკიცების დასაცავად, რომ მათი (ამ მოქადაგეთა) სახით საქმე ეხება ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის კრიტიკული ხედვის მიღმა მდგომ ერისკაცთავკაცებს. აი, ასეთ სულისკვეთებასაც ემიჯნება და ამხელს "ტრფობა წამებულთა". ამ ნაწარმოებით ჩემი სათქმელი უკიდურესად არაპორნოგრაფიულია. ვისაც ის პორნოგრაფია ჰგონია, მე ვერ დავუშლი, რომ მსგავსი აზრი ჰქონდეს.

- ნაწარმოებზე თანდართული "გამოყენებული ლიტერატურის" ჩამონათვალზე რას იტყოდით?

- მხოლოდ იმას, რომ პლაგიატორი არ გახლავართ და პატიოსნად მივუთითე ჩემს მიერ ტექსტზე მუშაობისას გამოყენებული ენობრივი მასალა. ნაწარმოებში მივმართავ ქართული სამწერლო მეტყველების სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთს, აქ ადგილი აქვს სხვადასხვა კულტურული ეპოქისა და სამეტყველო პარადიგმის ზომიერ ეკლექტიკას; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებული ტექსტების შინაარსთა კომბინირებით "ტრფობა წამებულთას" სიუჟეტურ "გამართვას" და საკონტექსტო მრავალმნიშვნელოვნების მხატვრულ მოტივირებას. ასევე, ვსარგებლობდი ესთეტიკური აღქმის იმ თეორიებით, რომლებიც გერმანელ მეცნიერს მაქს ბენზეს და ფრანგ მეცნიერს აბრაამ მოლს ეკუთვნით. ეს ლიტერატუ-

რაც მივუთითე. მივუთითე ზურაბ ჭუმბურიძის წიგნიც "რა გქვია შენ?", საიდანაც ამოვკრიბე საქართველოში გავრცელებული სახელები... რაკი არც ჩემს თაობაში და არც უფროსი თაობის ლიტერატორთა შორის არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც ამ ტექსტს უსაფუძვლო, მართლაც რომ აბსურდული ბრალდებებისგან დაიცავდა, ამიტომ ვარ იძულებული, ჩემი ტექსტი მევე დავიცვა. "ტრფობა წამებულთა" არის სწორედაც წარმატებული ექსპერიმენტი (თუ მაინც და მაინც ექსპერიმენტად მისი წარმოდგენა სურთ), რომლის ავტორობა მახარებს და სევდიანად მეამაყება. იგი უშეცდომოდ მიჩვენებს ჩემი ტკივილის სიღრმესაც, ჩემი სამშობლოს მიმართ ჩემი სიყვარულის სინამდვილესაც და ჩემი სადღეისო წესიერებისა და შინაგანი კულტურის იმ ხარისხსაც, რომელიც მიცავს მაღალფარდოვნებისგან, ანგარებისგან, უპასუხისმგებლობისგან, ასერიგად სარფიანი "პატრიოტობისგან" და მრავალი სხვა შემოსავლიანი ღირსებისგან. თუმცა, მე შეგნებული მაქვს "ტრფობა წამებულთას" მიმართ ქართველი მწერლების დამოკიდებულების, მათმიერი შეფასების სამართლიანობაც. მაგრამ მეც მაქვს ჩემი სიმართლე; და ეს სიმართლე, სულ მცირე, განსხვავდება ამ ხალხის სიმართლისგან. ისინი იცავენ თავიანთ ცხოვრებისეულ და ინტელექტუალურ გამოცდილებას, მე ვიცავ ჩემსას.

- ჟურნალ "აფრას" მიმდინარე წლის მე-5 ნომერში დაბეჭდილი "დისკუსიის მასალების" ნაკრებში რატომ ვერ მოხვდა თქვენი წერილი "უზნეობის მსხვერპლი"?

- მე თვითონ ვთქვი უარი. ჟურნალის რედაქტორს, ქ-ნ ნაირა გელაშვილს ვთხოვე, ხელახალი პუბლიკაციის შემთხვევაში წერილს ჩემი მინაწერიც დართვოდა. რედაქტორმა ამის ნება არ დამრთო. მაშინ მეც დავიცავი ჩემი საავტორო უფლება და უარი ვთქვი ამ მასალებთან ერთად ჩემი წერილის გამოქვეყნებაზე. იყო თანამდევი მიზეზიც: ჩემი აზრით, ობიექტურობა მოითხოვდა, ჩემს წერილზე ბ-ნი თამაზ წივწივაძის "პასუხიც" ხელახლა დაბეჭდილიყო. თურმე ამას რედაქტორი არ აპირებდა. მაშასადამე, მინაწერის გაკეთებაზე თანხმობაც რომ ყოფილიყო, ამ მასალებთან ერთად ჩემი წერილის გამოქვეყნებას არ დავყაბულდებოდი.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ქ-ნი ნაირა უსამართლოდ მოიქცა?

- არა, მე არ ვფიქრობ, რომ რედაქტორი უსამართლოდ მოიქცა. მას ჰქონდა თავისი ინტერესები და იმოქმედა ამ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ბოლოს და ბოლოს, იმოქმედა სამართლიანობის თავისმიერი გაგებიდან გამომდინარე. მე დავიცავი ჩემი უფლებები და, მაშასადამე, მეც ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედე.

- მაინც რას დააშავებდა ასეთს ეს "მინაწერი"?

- შემიძლია, სიტყვასიტყვით წაგიკითხოთ. არა იმიტომ, თითქოს თავს უსამართლობის მსხვერპლად განვიცდიდე. ნებისმიერ რედაქტორს უფლება აქვს, თავის ჟურნალში დაბეჭდოს ის, რაც მოესურვება და არ დაბეჭდოს ის, რაც არ მოესურვება. მინაწერი ასეთი გახლდათ: *"როცა "უზნეობის მსხვერპლს" ვწერდი, დასკვნით ნაწილში ისიც ხაზგასმით აღვნიშნე, არავის კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას კვერს არ ვუკრავ, სრულიად მარტო ვარ და არანაირი ახალი იდეოლოგიის სახელით ძველის წინააღმდეგ ბრძოლა არ მიმაჩნია ჩემს საქმედ მეთქი. თუნდაც ამიტომ, მცდარია ბ-ნი თამაზ წივწივაძის მოსაზრება, რომ ჩემი წერილი მის წინააღმდეგ მიმართული "შეთქმულების"(მისივე სიტყვით) ნაწილია და რომელიღაც "ლაბორატორიაში"(მისივე სიტყვით) მომზადდა. "უზნეობის მსხვერპლი" ნებისმიერი საზოგადოებრივი, კულტურული თუ პოლიტიკური სტრუქტურისგან განზე მდგომი ადამიანის მიერ პირადი გამოცდილების საფუძველზეა დაწერილი და არც იმან უნდა შეიყვანოს მკითხველი შეცდომაში, რომ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციისგან დაწუნებულ და ამის მერე "ახალ 7 დღეში" მოწონებულ ჩემს წერილს ახლა ჟურნალი "აფრა" ხელახლა ბეჭდავს იმ მიზნით, რომ პოლემიკის მასალები, ერთად თავმოყრილი, შესთავაზოს მკითხველს. ხოლო თუ ამ წერილმა, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ბიძგი მისცა ბრძოლის განახლებას ადრევე ურთიერთდაპირისპირებულ სტრუქტურებსა და პიროვნებებს შორის, ეს არ გულისხმობს რომელიმე ბანაკში ჩემს ყოფნას ან ვინმეს ინტერესებიდან გამომდინარე ამ წერილის დაწერას. რომ არ არსებულიყო ჩემი "უზნეობის მსხვერპლი" და მწერალთა კავშირის მთავარი ბეჭდვითი ორგანოს გვერდებზე ბ-ნი თამაზ წივწივაძის შეურაცხმყოფელი სიტყვები წამეკითხა, რომლებითაც იგი არაერთხელ "გაუსწორდა" ქ-ნ ნაირა გელაშვილს, ეს ჩემთვის კიდევ ერთი იმპულსი იქნებოდა იმის დასაწერად, რაც დავწერე (ქ-ნი ნაირა გელაშვილი არაა პირველი და ერთადერთი, ვისთვისაც თამაზ წივწივაძეს და "ლიტერატურულ საქართველოს" შეურაცხყოფა მიუყენებია). დაბოლოს, მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება გულწრფელი მადლიერება არ გამოვხატო ბ-ნი თამაზ წივწივაძის მიმართ, იმის გამო, რომ თავისი გაზეთის გვერდებზე ადგილი დაუთმო ვრცელ ფრაგმენტებს (სხვათაშორის, არა რჩეულს!) "ტრფობა წამებულთა"-დან, რომელსაც ჩემს მიერ დღემდე დაწერილ პროზაულ და თეორიულ ტექსტებს შორის საუკეთესოდ და სწორედაც რომ შემოქმედებით გამარჯვებად, მივიჩნევ (და რომელიც არ შეიძლება დამარცხებად არ ჩაითვალოს ადგილობრივ, დახშულ და მხოლოდ წინასწარ გამარჯვებულების მიერ წარმოებად "კულტურულ" კონტექსტში)".*

- როგორ დაიწყო ეს ყველაფერი? რატომ მაინც და მაინც "ახალ 7 დღეში" გამოაქვეყნეთ თქვენი "უზნეობის მსხვერპლი" და არა - "ლიტერატურულ საქართველოში"?

- "უზნეობის მსხვერპლის" პირველი მკითხველი თვით ბ-ნი თამაზ წივწივაძე იყო, მე მის ზურგს უკან არაფერი გამიკეთებია. მწერალთა კავშირის შენობაში, მისსავე კაბინეტში, ვაახლე ტექსტის ხელნაწერი, ვთხოვე გაცნობოდა და ეპასუხა, დაბეჭდავდა თუ არა ამ წერილს თავის გაზეთში. ორი დღის მერე ვესტუმრე პასუხისთვის. თავაზიანად მიმიღო და განმიმარტა, რომ მე მაქვს "მათგან" (ალბათ, მწერალთა კავშირის კოლექტივი იგულისხმა) სრულიად განსხვავებული შეხედულებები, ხოლო რაკი წერილი უშუალოდ მას ეხება, ვერ გადაწყვეტს გამოქვეყნების საკითხს, ამიტომ გადასცა "ლიტერატურულ საქართველოს" და რედაქციის წევრები იმსჯელებენ, დაბეჭდონ თუ არა. ცხადია, არც მე აღმოვჩნდი ბრიყვი და რომ მივხვდი, წერილს არ დამიბეჭდავენ მეთქი, სხვა გადაწყვეტილება მივიღე, ბ-ნი თამაზ წივწივაძე კი უმალ საქმის კურსში ჩავაყენე: ვიდრე "ლიტერატურულ საქართველოში" იმსჯელებენ, ალბათ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, წერილს თუ რომელიმე სხვა გაზეთში დავბეჭდავ მეთქი. მასპინძელი გაოცდა, რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგოო. აი, ამის მერე დაიბეჭდა "უზნეობის მსხვერპლი" "ახალი 7 დღის" გვერდებზე. ცხადია, ვჩქარობდი, რაკი წერილი უკვე პირადად ბ-ნ თამაზ წივწივაძეს ჰქონდა წაკითხული, მე კი "ტრფობა წამებულთას" ავტორი გახლდით და, თქმა არ უნდა, "დამარტყამდა", რათა მერე ჩემი წერილი გამწარებულ-გაბოროტებული ადრესატის პასკვილად წარმოედგინა. ჩემი ეჭვი რომ უსაფუძვლო არ იყო და ბ-ნ თამაზ წივწივაძეს მანიპულაცია, დემაგოგია, ფაქტების გაყალბება და სიცრუე "თამაშად და უჩნდა მღერად", ამაში მისმა პირველივე "პასუხმა" დამარწმუნა. თუ გახსოვთ, ამ "პასუხში" ჩემი დისკრედიტაციის გვირგვინად უნდა ქცეულიყო "ლიტერატურული საქართველოს" ერთ-ერთი, ადრეული ნომრიდან (რომელიც საგანგებოდ არ მიუთითა) გადმობეჭდილი ბ-ნი ტარიელ ჭანტურიას "გამოხმაურება" 1991 წელს გამოცემული ჩემი პირველი კრებულის ანოტაციაზე (სამწუხაროდ, ჩემი ამ კრებულის ანოტაციის "ანალიზზე" შორს ჯერჯერობით მწერალთა კავშირი ვერ წავიდა), მაგრამ... "გამოხმაურებას" ბ-ნმა თამაზ წივწივაძემ ბოლო წინადადება მოაშორა და მკითხველი მოატყუა, მთელ ტექსტს სიტყვასიტყვით ვბეჭდავო. აი, ეს ბოლო წინადადება: "დათო ბარბაქაძე კი, ჩემი ღრმა რწმენით, საინტერესო დებიუტანტია! მაღალნიჭიერი კაცი!" ("ლიტერატურული საქართველო", 2 ოქტომბერი, 1992 წ.). არადა, ამ "გამოხმაურებას" რომ მისი ცენზურა არ შეხებოდა, მართლა კომედია გამო-

ვიდოდა: როგორც გახსოვთ, "პასუხი" სწორედ "პატიოსნად" გადმობეჭ-დილი "გამოხმაურებით" მთავრდება. ბ-ნ ტარიელ ჭანტურიას რომ სამარ-თლიანობის დასაცავად ხმა არ ამოუღია, თავისთავად ცხადია.

- მაგრამ ბ-ნი ტარიელის სამაგიდო ჩანაწერების სერიალი "დინოზავ-რიდან დიზაინამდე" ხომ პერიოდულად ქვეყნდება პრესაში და იქნებ ოდესმე აპირებს ამის გაკეთებას?

- არა მგონია, ისეთი გულუბრყვილო იყოთ, ამას სერიოზულად ამბობდეთ. თუმცა, გამორიცხული არაა, რამენაირი უსუსური სოფისტიკით თავის მართლება სცადოს... ბ-ნი თამაზ წივწივაძის ცრუპენტელობა კი ამასწინ-ათ კვლავ დადასტურდა, როცა ბევრად უფრო თამამად და ვაჟკაცურად მოატყუა მკითხველი და ერთ წერილში ორჯერ აღუთქვა, დათო ბარბაქა-ძის "ტრფობა წამებულთას" მომავალ ნომერში თავიდან ბოლომდე გამო-ვაქვეყნებო. ვინ რჯიდა, პირობას რომ დებდა? მე სასწრაფოდ დავუკავ-შირდი "ლიტერატურული საქართველოს" რედაქციას და ვთხოვე, თუ ეს შეპირება მართალია, იქნებ ჩემი ტექსტის კორექტურა მევე გამაკეთები-ნოთ, შეცდომები რომ არ გაიპაროს მეთქი (ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ "ტრფობა წამებულთა"-დან ფრაგმენტები ორჯერ დაიბეჭდა "ლიტერატ-ურულ საქართველოში" და ორჯერვე კორექტურული შეცდომებით). გა-ირკვა, რომ არაფერსაც არ აპირებდა. რას გავაწყობდი...

- მწერალთა კავშირის მხრიდან გაისმა ბრალდება, რომ თქვენ დაგიქი-რავეს და რაღაც ფართომასშტაბიანი ანტიწივწივაძური ოპერაციის მონაწილედ გაქციეს.

- დიახ, მსგავსი ბრალდება იყო. იმხანად "კავკასიურ სახლთან" ხელშეკრუ-ლება მქონდა დადებული და ჟურნალ "აფრას" მე-4 ნომრის ტექრედაქ-ტორ-კორექტორის ფუნქციას ვასრულებდი შესაბამისი ფულადი ანაზღა-ურების ფასად. როცა "უზნეობის მსხვერპლზე" ბ-ნი თამაზ წივწივაძის პასუხს ბ-ნი გურამ გეგეშიძის და ქ-ნი ნაირა გელაშვილის გამოხმაურებები მოჰყვა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ იფიქრა, - აი, რაში ყოფი-ლა საქმე, წინასწარდაგეგმილმა ანტისაკავშირო კამპანიამ იფეთქაო. თუ-რმე "ახალი 7 დღეც" ამ "კამპანიაში" ყოფილა ჩართული, ბევრი სხვა გაზე-თიც... ეს ყველაფერი მართლა სახალისო იქნებოდა, "დისკუსიას" უფრო უწყინარი "ჰაბიტუსი" რომ ჰქონოდა... ჩემმა კოლეგებმა, ქართველმა ლი-ტერატორებმა, იციან: მე ვთანამშრომლობ ყველასთან, ვისაც რეალური საქმის კეთება უნდა. ამავე დროს, არც ერთი სტრუქტურის წარმომადგენ-ელი მე არ გახლავართ, შრომის წიგნაკიც კი არ მაქვს... თუმცა, ამ ბრალ-დების ნამდვილ მიზეზს ბევრად უფრო "ფილოსოფიური" ხასიათი ჰქონდა. ნებისმიერი ადამიანური საქციელის უკან რეალური ადამიანური შესაძ-

ლებლობები დგას. მწერალთა კავშირის "მთავარსარდლებმა" კი თავიანთი უსუსურობის შენიღბვა ამ ბრალდებით სცადეს, - თავიანთი გამოცდილება "ამკიდეს" და გული დაიმშვიდეს. მოკლედ, რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს... თუ ვინმემ "უზნეობის მსხვერპლით" ისარგებლა და თავისი მიზნებისთვის გამოიყენა, მე ამაში ჩემს ბრალს ვერ ვხედავ. დღესდღეობით მწერალთა კავშირიც და "კავკასიური სახლიც" გამარჯვებულები არიან, მიუხედავად იმისა, რომ "გამარჯვების" ცნებაში ორივე მხარე სხვადასხვა შინაარსს დებს. ჩემთვის მიუღებელია როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიზნები და ინტერესები. უბრალოდ, მე მათი არ მესმის და ამ ჩემი ვერგაგებით არც ერთი მხარე არ ზარალდება. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქ-ნი ნაირა გელაშვილი, მაგალითად, დემოკრატიის დამცველთა რიგებშია, საქართველოში დემოკრატიის გამარჯვებისთვის იბრძვის. ეს მისი საქმე და მისი სიმართლეა. ბ-ნი თამაზ წივწივაძეც დემოკრატიის სახელით იბრძვის და მასაც თავისი სიმართლე აქვს. მე კი დემოკრატი არ გახლავართ, დემოკრატიული იდეოლოგია ჩემთვის უცხოა (თუნდაც იმიტომ, რომ მე ამ იდეოლოგიის დღევანდელ სტრატეგიებს და ნამდვილ სახეს არ ვიცნობ) და ეს ავტომატურად განზე მტოვებს. ბოლოს და ბოლოს, ქ-ნი ნაირა გელაშვილი და ბ-ნი თამაზ წივწივაძე საზოგადო მოღვაწეები არიან, მე კი საზოგადო მოღვაწე არ გახლავართ... სამაგიეროდ, ჩემთვის თანაბრად მიუღებელი და შიშის მომგვრელია როგორც მწერალთა კავშირის მთავარი სალიტერატურო ორგანოდან ვინმეს ლანძღვა-გინება და მასხრად აგდება (ქალი იქნება თუ კაცი, ამას არა აქვს მნიშვნელობა; არც - იმას, საქვეყნოდ ცნობილ ადამიანს აიგდებენ მასხრად თუ კომპარტიის რიგით წევრს), ისე - "კავკასიური სახლის" ჟურნალის გვერდებზე ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, გურამ დოჩანაშვილის და სხვათა გამოცხადება პოსტსაბჭოთა სადიზმის დიდოსტატებად.

- გასაგებია, მაგრამ ქ-მა ნაირამ ხომ თქვენს მიერ ნაგულისხმევი კოლექტიური წერილი იმის საბუთად გამოაქვეყნა, თუ როგორ წარმოშობს, როგორ წინათქმაშია აღნიშნული, "უხეშობა უხეშობას, დაუნდობლობა - დაუნდობლობას..."

- არა, თქვენს მიერ ციტირებული რემარკა წინათქმაში კონკრეტულ, სასწრაფოდ მოხსენიებულ ტექსტებს უკეთდება და "სადიზმის პოსტსაბჭოთა დიდოსტატებს!" (ასე ჰქვია ამ ე. წ. კოლექტიურ წერილს) მათ შორის დასახელებული არ არის. როგორ ფიქრობთ, შემთხვევითია, რომ ნაკრებში ბ-ნი თამაზ წივწივაძის "პასუხის" შეტანა გაუმართლებლად იქნა მიჩნეული, ამ წერილის შეტანა კი - გამართლებულად? იქნებ, თავისუფალ დროს, ამ ე. წ. კოლექტიური მიმართვისა და ნაკრებისთვის წამძღვარებული წინა-

თქმის ტექსტები შეუდაროთ ერთმანეთს (სტილი, რიტორიკული ფიგურები, წინადადებათა გრამატიკული წყობა, ერთი და იგივე ენობრივი კლიშეების გამოყენების სტატისტიკური სიხშირე)...

- უკაცრავად, რატომ "ე. წ. კოლექტიური"?

- მეოცე საუკუნის ბოლოს მოკალმე ზედმიწევნით დაოსტატებული უნდა იყოს ანონიმური ტექსტების და მისტიფიკაციების დამზადებაში, რომ მისი ამოცნობა ვერ მოხერხდეს (ცხადია, საქმე ეხება იმ შემთხვევას, როცა ამ მოკალმის წერის მანერა უკვე ცნობილია მისტიფიკაციის წამკითხველისთვის). მაგრამ მაინც თავს ვიზღვევ და ვაცხადებ, რომ ეს მხოლოდ ეჭვია, მხოლოდ ვარაუდი... რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაწერა ეს "მიმართვა". მე მხოლოდ ის ვიცი, რომ "აფრას" გვერდებზე უკომენტაროდ ასეთი მასალის გაშვება და ამის მერე ქრისტიანული მიმტევებლობის ქადაგება, რელიგიურობაზე თავის დადება ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

- თავის პირველ გამოხმაურებაში ქ-ნი ნაირა აღნიშნავდა, დათო ბარბაქაძემ ის თქვა ხმამაღლა, რასაც თითქმის ყველა ამბობს, ოღონდ ჩუმადო.

- ეს არ არის მართალი. ქ-ნი ნაირა გელაშვილის ეს სიტყვები სრული სიმართლე იქნებოდა, 1996 წელს გაზეთ "7 დღის" გვერდებზე ბ-ნი შოთა იათაშვილის მიერ "ლიტერატურული საქართველოს" და მისი რედაქტორის კრიტიკულ შეფასებას რომ ეხებოდეს (ეს "შეფასება" ქ-მა ნაირა გელაშვილმა მთლიანად გადმობეჭდა "აფრას" მე-5 ნომერში, "სადისკუსიო მასალების" ხსენებულ წინასიტყვაობაში). ბ-ნი შოთა იათაშვილის ამ ოპუსში გაკრიტიკებულია ბ-ნი თამაზ წივწივაძე, "ლიტერატურული საქართველო" და გამოთქმულია საჰონორარო სისტემის გაძლიერების სურვილი; ნათქვამია, რომ ავტორს არ მოსწონს ის მწერალთა კავშირი, რომელსაც "ლიტერატურული საქართველო" მოსწონს. ბ-ნი შოთა იათაშვილი თუ სიმართლეს არ დამალავს, უნდა დამეთანხმოს, რომ მან მართლაც ის თქვა ხმამაღლა, რასაც მის ირგვლივ თითქმის ყველა ამბობდა, ოღონდ - ჩუმად... ჩემი სათქმელი, რომ მხოლოდ ის ყოფილიყო, "ლიტერატურული საქართველო", მისი რედაქტორი და მწერალთა კავშირი არ მომწონს მეთქი, ხელში კალამს არ ავიღებდი; ამ საპატიო საქმეს როგორმე სხვა, ჩემზე უფრო მეტი თავისუფალი დროის მქონე ლიტერატორიც მოახერხებდა. რამდენიც არ უნდა ამტკიცოს და თავი დაირწმუნოს ქ-მა ნაირა გელაშვილმა, დათომ ის თქვა ხმამაღლა, რასაც თითქმის ყველა ამბობს, ოღონდ ჩუმადო, მაინც მომიწევს მისი გაწბილება: მე სწორედ ის ვთქვი, რასაც არც მაშინ ამბობდა "თითქმის ყველა" და არც ახლა ამბობს. მით უმეტეს, არ ამბობს და არ ფიქრობს ასე თვით ქ-ნი ნაირა გელაშვილი. "უზნეობის მსხვერპლი" მოკლებულია რამენაირ რევოლუციურ პათოსს, ის განმარ-

ტავს, აანალიზებს და ამართლებს (და არა ბრალს სდებს) ჩვენი რეალური სინამდვილის, ქართული კულტურის მუშაობის რეჟიმს; "უზნეობის მსხვერპლის" ავტორი მხოლოდ თავად ემიჯნება ამ რეჟიმს და განზე დგება. "უზნეობის მსხვერპლი" ჩემი და მხოლოდ ჩემი სიმართლეა... როგორც იცით, ბ-მა თამაზ წივწივაძემ მე ფსიქიურად ავადმყოფი მიწოდა და ჩემი მკურნალობა მოითხოვა. ქ-მა ნაირამ კი თავის "გამოხმაურებაში" ამგვარად დამიცვა: "განა "შვილებს" ფსიქიურად ავადმყოფებად უნდა აცხადებდნენ "მამები" მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი სასოწარკვეთილნი, გზააბნეულნი, დაუცველნი დარჩნენ ამ გაპარტახებულ, გადაგვარებულ, კრიმინალურ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ - "მშობლებმა" დავახვედრეთ?"(ებ-იან და ინ-იან მრავლობითამდე ჩემი "ჩამოქვეითების" ინტენსიური მცდელობები რომ ქ-ნ ნაირასთვის დამახასიათებელია, ამას, მგონი, კარგად ხედავთ). ისევ ეს წყეული "ორმაგად კოდირებულობა"! მთელი ჩემი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ სიტყვების დამწერს "უზნეობის მსხვერპლი" ან არ წაუკითხავს ან, უბრალოდ, ვერ გაიგო მისი შინაარსი. ნუთუ, ქ-ნ ნაირა გელაშვილს მართლა ჰგონია, რომ პოეზიაში, პროზაში, თარგმანში, ესსეისტიკაში, სარედაქციო-საგამომცემლო საქმეში თავაუღებლად გადაშვებული დათო ბარბაქაძე შეიძლება სასოწარკვეთილი და გზააბნეული იყოს? ნუთუ, გულწრფელად ფიქრობს, რომ სასოწარკვეთილ და გზააბნეულ ადამიანს შეეძლო "უზნეობის მსხვერპლის" დაწერა? აი, რატომ ვხედავ ეშმაკობას და ორაზროვნებას, როცა იმავე წერილში ქ-ნი ნაირა გელაშვილი მახასიათებს როგორც "ძალიან ერუდირებულ, ნაკითხ ახალგაზრდასა და სერიოზულ მთარგმნელს", როგორც "უკიდურესად მძიმე წლებში" "სრულიად მარტო" ჩამკვდარი ლიტერატურული ცხოვრების გამომცოცხლებელს, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამომცემელს. ეს ქებათა-ქებაც ხომ ჩემი, როგორც შემოქმედის "გაქრობის", "მოსპობის" პანიკური მცდელობაა: დაე, ვიყო მთარგმნელი, გამომცემელი, რედაქტორი, თუნდაც სცენარისტი, ოღონდ ნუ ვიქნები პოეტი და მწერალი!.. გზააბნეულობას და სასოწარკვეთილებას კი "მამათა" დანატოვარი ვერ წარმოშობს, მას ურწმუნობა და უღმერთობა აჩენს... რაკი ამ "დისკუსიაში" ხშირად გაისმოდა რელიგიური მოწოდებანი, ჟღერდა რემინისცენციები და ციტატები სახარებიდან, რელიგიაში ამ "ღრმად ჩახედული" ადამიანების გასაგონად ვიტყვი: ქრისტიანული გაგებით, სასოწარკვეთილება უდიდესი ცოდვაა, სასოწარკვეთილი კი მხოლოდ ისაა, ვისაც ღმერთი არ სწამს. მე მწამს ღმერთი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი ვარ და ჩემთვის უცხოა რამენაირი დიფუზური "რელიგიურობა" და დიფუზური "საკრალურობა". და კიდევ, რაკი ღმერთმა წერის ნიჭი მომცა, როგორმე იმასაც მოვახერხებ, რამენაირი იდეოლოგიის სამსახურში ჩემი შესვლა არ გახდეს

საჭირო ჩემი შემოქმედების "გასაძლიერებლად". თუმცა, ვერც მას დავ-ძრახავ, ვისაც სხვა ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს... მე კი რამდენიც არ უნდა მიჩიჩინონ თავმდაბლობის სიკეთეზე, სწორედაც ფარისევლური "თავმდაბლობის" გარეშე ვიტყვი, რომ კარგად ვიცი ჩემი შემოქმედების ფასი, კარგად მომეხსენება მომავალი ქართული ლიტერატურული თაობებისთვის ჩემი შემოქმედების სერიოზული მნიშვნელობა. ამიტომაც არის, ჩემს ტექსტებს რომ ვაქვეყნებ და ნაცნობ-მეგობართა ვიწრო წრისთვის მათი გაცნობით არ ვკმაყოფილდები. "უზნეობის მსხვერპლიც", ჩემი აზრით, სწორედ "ტრფობა წამებულთას" ავტორს უნდა დაეწერა.

- ხომ არ აპირებთ ამ "დისკუსიის" შეჯამებას? ხომ არ ფიქრობთ კიდევ ერთი წერილის გამოქვეყნებას? რატომ იცინით?

- ჩემი საუბრიდან და განწყობილებიდან გამომდინარე, თქვენ, ალბათ, ხვდებით, რომ "დისკუსია" ჩემთვის "უზნეობის მსხვერპლის" გამოქვეყნებით დამთავრდა, ამის მერე დაწყებულ "ომს" კი სულ სხვა, ჩემთვის მიუღებელი ხასიათი ჰქონდა. თუ მე მაინც ყურადღებით ვადევნებ მთელ ამ პროცესს თვალს, მხოლოდ იმიტომ, რომ მასალად უნდა იქცეს ერთი ჩემი მხატვრული ჩანაფიქრისთვის. მოკლედ, ამ ეტაპზე მასალებს ვაგროვებ რომანისთვის, რომელსაც ოდესმე სახალისოდ დავწერ. სხვა მხრივ ამ "ომისადმი" ჩემი ინტერესი დროის ფლანგვა იქნებოდა.

- მაშ, თქვენ თვლით, რომ მწერალთა კავშირის თავკაცი და "კავკასიური სახლის" ხელმძღვანელი დროს ფლანგავენ?

- არა, არა, სწორედაც პირიქით. ისინი ყოველ წუთს ოქროდ იყენებენ, ამას ხუმრობის გარეშე ვამბობ. ვხვდები, რომ მათ აქვთ თავ-თავისი, კონკრეტული და ღრმად გააზრებული პოლიტიკა და ინტერესები. მერე რა, რომ ჩემთვის მათი ეს ინტერესებიც და პოლიტიკაც უცხოა, უცხოა ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაც და ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაც. არც ჩემი ინტერესები დაგიმალეთ, გულწრფელად გითხარით.

- არ გეშინიათ, რომ თემას "წაგართმევენ"?

- რას ბრძანებთ, უკეთესიც იქნება. თუ ვინმე ამ თემას მხატვრულად ჩემზე უკეთ ან განსხვავებული კუთხით დაამუშავებს, მისი პირველი დამფასებელიც და შემფასებელიც მე გავხდები. ამით ლიტერატურა მხოლოდ მოიგებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ამ თემის დამუშავებაზე უარს ვიტყვი. უბრალოდ, ჯერჯერობით, სხვა საქმით ვარ დაკავებული და ამისთვის არ მცალია. ასე რომ, შეჯამებამდე ჯერ შორია.

დეკემბერი, 1998

მომავალი თაობების კეთილდღეობაზე საქმიანი ზრუნვის ქართული გაგებისთვის
(ეთნოგრაფიულად შეუვალი ერთი "სახელმძღვანელოს" მაგალითზე)

პოლემიკა ხომ სატირის მახვილის გარეშე იშვიათია.
რევაზ მიშველაძე
(უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია. გვ. 269)

1998 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული, სქელტანიანი და მაგარყდიანი, საუცხოო ქაღალდზე დაბეჭდილი "უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია", რომლის ავტორიც ბ-ნი რევაზ მიშველაძეა, ფულიანი მშობლების დაჟინებითა და მათივე უანგარო დახმარებით ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოტყვევებული, უწიგნური სტუდენტის კონსპექტების კრებულს უფრო ჰგავს, ვიდრე - ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, თსუ-ის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგის, რუსთაველისა და აბუჩად აგდებული სხვა პრემიების ლაურეატის ნამუშაკევს. მიუხედავად ამისა, ერთწინადადებიანი ანოტაცია ყიჟინით გვამცნობს: "განკუთვნილია სახელმძღვანელოდ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლისთვის, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორია ისწავლება". გამომცემლები პირველივე გვერდზე მსხვილი შრიფტით გვაფრთხილებენ: "საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის". იქვე "დამტკიცების" ისტორიული თარიღიც უზის - "2. IV. 98 წ.". ნაშრომის პირველ აბზაცში კი, თითქოს, ამთავითვე ნიშანს გვიგებსო, იმ ელემენტარულ მოთხოვნებში ავტორის სრული გაუთვითცნობიერებლობა და ჩაუხედაობაა გაცხადებული, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოს წაეყენება: "უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა იგულისხმება ძირითადად, მაგრამ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია იმიტომ ჰქვია ამ საგანს და არ ჰქვია, უბრალოდ, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, ანუ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისტორია, რომ ლაპარაკია ლიტერატურის არა მარტოოდენ ქრონოლოგიურ ჩარჩოებზე, არამედ თვისებრივად ახალ მწერლობაზე". აი, ასეთი აბდაუბდით იწყებს "მეცნიერი" სტუდენტებთან საუბარს

ქართულ ლიტერატურაზე, მსგავსადვე განაგრძობს და ისე დაასრულებს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერსად გადააწყდებით საღი აზრისთვის მისაღებ ვერც ერთ პროფესიულ, მწყობრ, აკადემიურ მსჯელობას ვერც ერთ ზოგად თუ კერძო საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, წიგნში ვერ ნახავთ "განაზრებას", რომელიც შეიძლება მისაღები ან მიუღებელი, გასათვალისწინებელი ან საკამათო იყოს. თუ მაინც მოინდომებთ სარეცენზიო წიგნის შინაარსში სერიოზულად გარკვევას, მზად უნდა იყოთ, მაგალითად, ბ-ნი რევაზ მიშველაძის დიალექტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ამგვარი წინააღმდეგობების ზღვაში ჩასაყვინთად: წიგნის მე-3 გვერდზე ეგნატე ნინოშვილი უახლესი ქართული ლიტერატურის წარმომადგენელია, 23-ე გვერდზე კი "ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება ქართული კრიტიკული რეალიზმის მაგისტრალური ხაზის ერთგულებით გამოირჩევა"; თუ მაინც მიენდობით ავტორის დანაპირებს, - დაგარწმუნებთ, რომ მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ორგანული ნაწილიაო, პასუხად ასეთ "განზოგადებებს" და "ანალიზებს" მიიღებთ: "მოთხრობის ბრწყინვალე სიუჟეტი, უზადოდ დაწერილი ცალკეული პასაჟები, შთამბეჭდავი, ურთიერთგანსხვავებული კადრები და ნაწარმოების მტკიცედ შეკრული კომპოზიცია იძლევა უტყუარი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ "სამანიშვილის დედინაცვალი" ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა არამარტო ქართულ ლიტერატურაში"(გვ. 53); "ყვარყვარე მეოცე საუკუნის იმ თითზე ჩამოსათვლელ კლასიკურ ლიტერატურულ ტიპთა შორის ნათობს, ქართულ მწერლობას და ხელოვნებას მსოფლიო რეზონანსი რომ შესძინეს"(გვ. 282); "მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის უპირველესი რომანისტი და უაღრესად ორიგინალური სტილის მწერალი - ასე შევიდა კონსტანტინე გამსახურდია მსოფლიო მწერლობის ისტორიაში"(გვ. 222)... თუ ავტორის სიბრძნის ხარისხის დაზუსტებას ისურვებთ, ასეთი სენტენციების სიუხვე შემოგეფრქვევათ: "პოეტებს განსაცვიფრებელი ინტუიცია, ტელეპატიის მსგავსი წინასწარჭვრეტის უნარი აქვთ"(გვ. 298); "ჭეშმარიტი პოეტისა ზოგჯერ მარტო ჭეშმარიტ პოეტებს ესმით"(გვ. 355); "სხვა ერებისადმი პატივისცემისა და ძმობის გრძნობა ქართველი კაცის ეროვნული თვისება გახლავთ"(გვ. 374)... თუ ბ-ნი რევაზ მიშველაძის, როგორც პროფესიონალი მწერლის, გემოვნების შემოწმებას გადაწყვეტთ, "მაღალი სტილის" ასეთი ნიმუშებით დატკბებით: "პოეტის განწყობილება მიწაგამსკდარ ტფილისს ეთანაწყობა"(გვ. 211); "შეიძლება თამამად ითქვას, რომ შოთა ნიშნიანიძე ყელამდე დგას ქართულ ფოლკლორში"(გვ. 455); "დიახ, ტიციანს სრული მორალური უფლება აქვს, დღეს ქართველ მწერლებს, თავისი გრძელი,

ნატიფი თითი დაგვიქნიოს, თუ ერის სატკივარს ყურს წავუყრუებთ"(გვ. 308)... ასეთი "ანალიზებით", სენტენციებითა და კომენტარებით არის გაზავებული წიგნში შესულ ავტორთა ბიოგრაფიები, პროზაული ტექსტების უნიჭოდ და სოცრეალიზმის "დიდოსტატებისთვის" დამახასიათებელი თხრობის მანერით გადმოცემული სიუჟეტები, სპონტანური და არათანმიმდევრული გარჩევები, ვრცელ პოეტურ ციტატებს თანდართული, ძირითადად "მეცნიერის" ემოციური პულსაციის მარეგისტრირებელი აღტაცება-აღფრთოვანებები და, ზოგჯერ, ნამდვილი ექსტაზები. კომიკურ, უფრო ხშირად კი უსიამოვნო განცდებს ბადებს და ზიზღის გრძნობასაც იწვევს წიგნში უხვად და უადგილოდ გაბნეული, უშინაარსო პათოსით აღსავსე, ბანალური და წაგებული ბრძოლის მერე მუშტის ქნევის მსგავსი ანგარიშსწორებები საბჭოთა იდეოლოგიასთან, სოციალიზმთან, კომუნიზმთან; იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ავტორი მაზოხისტურ სეანსებს უტარებს და უმოწყალოდ სტანჯავს თავის თავს იმის გამო, რომ თავის დროზე არ თქვა გაბედულად და რაინდული შემართებით ეს ყველაფერი; თითქოს, ახლა საკუთარ თავს თვითონვე თხოვს იმას, რასაც მისგან თავის დროზე ნამდვილად არავინ ითხოვდა; მეტიც, თითქოს, საკუთარი ვნების დასაცხრობად, მკითხველს ძველ დროში დაბრუნებისკენ მოუწოდებს.

ბ-ნი რევაზ მიშველაძის "სახელმძღვანელოში" მკითხველი ვერ ნახავს ზრდასრული ადამიანის გონებისთვის შესაფერის, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ ვერც ერთ განზოგადებას, ვერც ერთ მსჯელობას, ვერც ერთ დაკვირვებას. სამაგიეროდ, ნამუშაკევი გადავსებულია მოძველებული, საბჭოურ "კრიტიკაში" ათასჯერ გადამღერებული "დასკვნებით" და "დასაბუთებებით", "შეფასებებით" და "განსაზღვრებებით". ვინაიდან "უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია" მოკლებულია საგნის თუნდაც პირობით და მოჩვენებით ანალიზს, განხილულ მწერალთა შერჩევის პრინციპი კი ავტორის პირადი საიდუმლოა, ისღა დაგვრჩენია, წიგნის ზოგიერთი "ღირსების" საილუსტრაციოდ ამ მწერალთა შესახებ ბ-ნი რევაზ მიშველაძის მედიტაციებიდან შაბლონურ, ტრაფარეტულ და რამენაირი სერიოზული შინაარსისგან დაცლილ ისეთ "განზოგადება-შეფასებებს" მოვუხმო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პერიოდშიც კი ეკრძალებოდათ სკოლის მოსწავლეებს, როგორც დაშტამპული აზროვნების, ლოგიკური განზოგადების უუნარობის, განუვითარებელი გემოვნების უტყუარი მაჩვენებლები: "დავით კლდიაშვილი ქართული პროზის სიამაყეა"(გვ. 64); "შალვა დადიანის, როგორც ეპოქის მწერლის განსაკუთრებული ადგილი ჩვენი საუკუნის ლიტერატურაში მისმა მხატვრულმა ინდივიდუალობამაც განაპირობა"(გვ. 122); "ნიკო ლორთქიფანიძის

სახით ჩვენს წინაშე დგას მწერალი-დენდი... მშობელი ქვეყნის სიყვარულით გულდაფერფლილი ერისკაცი"(გვ. 163); "მიხეილ ჯავახიშვილის პროზა შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მხატვრულ მატიანედ. მწერლის შემოქმედება ჩვენი კაზმული სიტყვის მშვენებაა"(გვ. 164); "მრავალფეროვანია გალაკტიონის პოემების თემატიკა. თავისი მასშტაბურობით და პრობლემათა მრავალგვარობით, პოეტის ეპიკური მემკვიდრეობა ნათლად წარმოგვიდგენს თავისი ეპოქის საჭირბოროტო საკითხებზე ღრმად დაფიქრებულ პოეტ-ტრიბუნს"(გვ. 276); "იოსებ ნონეშვილის პოეზიაში ძალუმად ფეთქავს საქართველოსთვის, მისი აწმყოსა და მომავლისათვის ატკივებული გული და ნათლად მოჩანს უსაზღვრო სიყვარული, პოეტი რომ ასე უხვად ასხივებდა სიცოცხლეში და ასხივებს ახლაც მისი მართალი წიგნით"(გვ. 384); "კარგა ხანია ქართულ პოეზიაში გაისმის შოთა ნიშნიანიძის სახელი. კარგა ხანია მკითხველის თვალწინ მიაბიჯებს პოეტის მონუმენტური ფიგურა პოეზიის მართალი წიგნით ხელში"(გვ. 433); "მოაბიჯებდა ქართული პოეზიის ცისფერ ტაძარში პაოლო. მოდიოდა მხნედ, ღონიერი ნაბიჯებით, თავის ძალებში დარწმუნებული, ამაყი და ცოტა არ იყოს, საყვარელი ბავშვივით განებივრებული"(გვ. 299); "შეიძლება დავასკვნათ, რომ მურმან ლებანიძის ეპიკური შემოქმედება მხარს უსწორებს მის მებრძოლ ლირიკას, ხოლო ორივე ერთად თანამედროვე ქართული პოეზიის ორიგინალურ შენაკადს წარმოადგენს"(გვ. 409); "ანა კალანდაძის პოეზიას დიდი ესთეტიკური ძვრები არ განუცდია, შეხედულებათა ცვალებადობის განსაცვიფრებელი წლების შემდეგაც პოეტის ჩანგს იერი არ შეუცვლია, მისი მსოფლგანცდა ისეთივე უშუალო და ბუნებრივია, როგორც პირველ ლექსში იყო. სწორედ ამას ჰქვია ტალანტის თვითმყოფადობა"(გვ. 412); "ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძეს, ხალასი იუმორისა და სევდიანი პასაჟების მწერალს, მკითხველის ყურადღება დიდხანს გაჰყვება"(გვ. 432); "შეიძლება დავასკვნათ, რომ შოთა ნიშნიანიძე იმ ბედნიერ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც შეძლეს ჩვენი მღელვარე ეპოქის პირობებში თავიანთ სულში "კეთილი ბავშვის" გადარჩენა"(გვ. 456), და ასე, გაუთავებლად. ნამდვილად არ შემშლია, ეს ციტატები საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებული, სოცრეალიზმის ზეობის პერიოდში ფართოდ გავრცელებული უნიჭო მილოცვებიდან კი არა, მეოცე საუკუნის დასასრულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოდან მაქვს სახელდახელოდ ამოკრებილი. ლექტორი, რომელიც ახალი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის ბოლოს ასე აზროვნებს და მეტყველებს, თავისი სტუდენტების მხრიდან იმედისგაცრუების,

უგულებელყოფის, დაცინვისა და სხვა უარყოფითი ემოციის მეტს რას გამოიწვევს! მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში სტუდენტური უმრავლესობა კიდევ დიდხანს იქნება იძულებული, საგამოცდო ნიშნის, სადისერტაციო ხარისხის თუ სხვა საჭირო მარგალიტის არმიღების შიშით, მსგავს "გამღიზიანებლებზე" თავისი ბუნებრივი რეაქცია დამალოს, რაც ნებისმიერ ტერორისტ ლექტორს ჩინებულად მოეხსენება.

ფუყე მაღალფარდოვნება, გატყლარჭული მეტყველება და აზრობრივი სიცარიელე, რომლებითაც ეს "სახელმძღვანელო" ტევადია და რაც ლიტერატურული ანალიზის, მეცნიერული დაკვირვების, განსახილველი მასალის რაციონალური სისტემატიზაციისა და ფაქტების შეჯერების სრული უუნარობის გადაფარვა-კომპენსაციას ემსახურება, თავის აპოგეას პოეტური ტექსტების ემოციურ-ინფანტილურ "კომენტარებში" აღწევს. აი, იმ რემარკა-კომენტარ-შეძახილების ტიპური ნიმუშები, რომლებიც წინ უძღვის ან ბოლოში უზის ამა თუ იმ პოეტის "განხილვისას" უსაზღვროდ, უზომოდ, უსასრულოდ ციტირებულ ლექსებს: იოსებ გრიშაშვილის შესახებ: "დიახ, დარიალის ჩაკეტვას სთხოვს პოეტი ღმერთს, რათა დამპყრობელი რუსის ჩექმამ კავკასიონზე ვერ გადმოაბიჯოს..."; "სამწუხაროდ, პოეტის ლოცვა უფალმა არ შეისმინა..."; "მაგრამ ამავე ლექსში ნათლად ჩანს, რომ პოეტის გუშაგობას თბილისის კარებთან მარტოოდენ "სიძველისადმი გრძნობა, პატივი" არ ასაზრდოებს" და ა. შ. გალაკტიონ ტაბიძის შესახებ: "დიახ, გალაკტიონი ჩვენი ბობოქარი თანამედროვეა"; "მკითხველს ვთხოვ, გალაკტიონის მოქალაქეობრივ გაბედულებას კიდევ ერთხელ მიაქციოს ყურადღება"; "ნახეთ, როგორ მოაბიჯებს იდუმალების ტაძარში წუთისოფლის გზებზე დაღლილი ლირიკული გმირი ყვითელი (მწუხარების ფერი) ყვავილებით ხელში" და ა. შ. პაოლო იაშვილის შესახებ: "სევდა და მარტოობის გრძნობა უფრო და უფრო ეძალება პოეტს"; "ერთფეროვან, რუტინულ, ჩარჩოებიან კომუნისტურ მწყობრში პაოლო იაშვილს სული ეხუთება, სინამდვილე "ვაჟკაცური გაქროლების" საშუალებას არ აძლევს" და ა. შ. რატომღაც, გაცილებით კომიკური ხასიათისაა ცოცხალ პოეტებზე "შექმნილი" ნარკვევები. მაგალითად, მურმან ლებანიძე "სახელმძღვანელოს" ავტორს ასე უყვარს: "პოეტი-პიროვნება, პოეტი-მებრძოლი, პოეტი-წინამძღოლი, პოეტი-მოქალაქე, - აი, რა არის მურმან ლებანიძის ლირიკული გმირის იდეალი"; "მიგრაციის სევდა ლირიკული გმირის ფსიქიკაში ამგვარ, საბუთიან შიშს ჰბადებს..."; "რომ იტყვიან, ამ სტრიქონებს კომენტარი არ სჭირდება"; "მე ვფიქრობ, ამ ამონაწერის ფერწერულ ხატოვანებას და არაჩვეულებრივ პლასტიკურობას კომენტარი არ სჭირდება"; "ერის წინაშე პოეტის მიერ გაბედულად დაყენებული

პრობლემები ცხოვრების ღრმა ცოდნითაა განპირობებული" და ა. შ. ანა კალანდაძე - ასე: "პოეტი აბსტრაჰირებას უკეთებს მოვლენის ზოგად ნიშნებს და პროზაულ დეტალიზაციამდე თითქმის არასოდეს ეშვება"; "რა გაფაციცებულია პოეტის მზერა, რა ულტრამგრძნობიარეა მისი პოეტური ნერვი, ისე სათუთია მისი პოეტური მგრძნობელობა, რომ ამ ბობოქარ საუკუნეში, როცა ქვეყანა დენზე ჩართული დგანდგარებს, მას შეუძლია ბეღურას მკერდის ფეთქვაც შეამჩნიოს" და ა. შ. ძალიან თანამედროვედ და, მითუმეტეს, მეცნიერულად ჟღერს, არა? მოდი და ამის მერე გაამტყუნე ის ჩვენი სახელოვანი პროფესორები და აკადემიკოსები, რომლებიც თავ-თავიანთ სფეროებში უფრო "პატიოსან" გზას ირჩევენ, საზღვარგარეთელი ავტორების ნაშრომთა რუსულენოვან თარგმანებს სიტყვა-სიტყვით გადმოაქართულებენ ხოლმე და თავიანთ გვარ-სახელით გამოსცემენ, რაც ჩემს მიერ ერთი რუსი ფანტასტი მწერლის რომანში ბავშვობისას ამოკითხული და მეხსიერებას დღემდე შემორჩენილი ამ შეგონების საუკეთესო გამართლებად წარმომიდგენია: "რა მნიშვნელობა აქვს ავტორს, მთავარია იდეა გავიდეს მსოფლიოში"... მაგრამ ბ-ნი რევაზ მიშველაძისეული "ანალიზების" სიღრმე და სიძლიერე კულმინაციას ამ 460-გვერდიანი წიგნის ბოლო ნარკვევში აღწევს, აქ მეცნიერის გონებრივი შესაძლებლობები ყველა თავისი საუკეთესო მაჩვენებლით ელვარებს(ალბათ, იმიტომ, რომ ნარკვევის ობიექტს ბ-ნი რევაზ მიშველაძის საიდუმლო კონცეპციაში უახლესი ქართული ლიტერატურის უკანასკნელი მოჰიკანის როლი დაეკისრა): "მოვლენებისადმი პოეტის მიერ იმთავითვე მტკიცედ არჩეული სწორი პოზიცია განსაზღვრავს შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების ინტერნაციონალურ ხასიათსაც"; "პოეტური აზრის პატრიოტულ მასშტაბებში კონცენტრირება შ. ნიშნიანიძის პოეზიას ჭეშმარიტად ეროვნულ ელფერს ანიჭებს"; "შოთა ნიშნიანიძის ლექსებში ვაზივით არის ჩაწნული ჩვენი წარსული და დღევანდელობა"; "შოთა ნიშნიანიძის პოეზია თავიდან ბოლომდე თანამედროვეობის სუნთქვითაა გამსჭვალული"; "ეთნოგრაფიული შეუვალობის შენარჩუნებისკენ მოწოდებად გაისმის შ. ნიშნიანიძის სიტყვები..."; "ფედერიკო გარსიასადმი მიძღვნილი ლექსით შოთა ნიშნიანიძე თავისუფლებისთვის მებრძოლ მსოფლიოს პოეტებთან გადადის ალავერდს" და ა. შ.

შეგნებული მაქვს ჩემი რეცენზიის ინტონაციით გულნატკენი ადამიანების, განსაკუთრებით მწერლებისა და მეცნიერების, ლექტორებისა და გამომცემლების სიმართლე, მაგრამ მე მათ ვთხოვ, ჩემი გულისტკივილიც გაიგონ: ნუთუ, შეიძლება თუნდაც დამწყებ მეცნიერს, სამეცნიერო სტრუქტურებში თავისი ადგილის მაძიებელ ადამიანს მშვიდი, ირონიას

მოკლებული, აკადემიური ტონით მიუთითო ელემენტარული ჭეშმარიტებები ახალი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის მიწურულს, როცა ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის ყველა ზოგადთეორიული თუ კონკრეტულთეორიული საკითხი, ყველა მეთოდოლოგიური პრობლემა გამოკვლეული და დამუშავებულია, როცა არსებობს ამ დარგის კლასიკოსთა დიდებული თხზულებები? მკითხველისა და სარეცენზიო წიგნის ავტორის შეურაცხყოფა ის იქნებოდა, მე რომ ამ "სახელმძღვანელოზე" სერიოზული სჯა-ბაასი გამემართა. იქნებ, ჩემი გონება არ ჰყოფნის იმის დანახვას, რომ ბ-ნი რევაზ მიშველაძე ლიტერატურათმცოდნეობის ფიროსმანია?.. რასაც ჰყოფნის, იმის საფუძველზე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: თსუ-ის გრიფით ბ-ნი რევაზ მიშველაძის ნამუშაკევის გამოცემა და განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელოდ მისი დამტკიცება ანალოგურია წარმოსახული შემთხვევისა, წერაკითხვის არმცოდნე მოსწავლეს სკოლა რომ წარჩინების მედლით დაემთავრებინა და მშობლებსა და პედაგოგებს აღტაცებით ეცქირათ მოსწავლის ორიგინალური "წარმატებისთვის". სად, თუ არა უწიგნურთა სამინისტროში (როგორც სამართლიანად უწოდა ამ ინსტანციას ერთ-ერთმა თბილისურმა გაზეთმა) უნდა დაემტკიცებინათ ეს წიგნი სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის (იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს განათლების ახალ მინისტრს, ბ-ნ ალექსანდრე კარტოზიას, ასე იოლად ვერავინ შეაცდენს მსგავსი "სახელმძღვანელოს" გამოსაჩეკად). სად, თუ არა თსუ-ის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე უნდა დამზადებულიყო ასეთი "მაღალხარისხოვანი" პროდუქცია.

ბ-ნი რევაზ მიშველაძის "სახელმძღვანელო" არა მხოლოდ ავტორის სამეცნიერო, არამედ მისი საორგანიზაციო, საკათედრო, საპედაგოგო მოღვაწეობის გარკვეული შეჯამებაც არის. ბ-ნი რევაზ მიშველაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ჩანს, მოახერხა თავის განკარგულებაში არსებულ კათედრაზე ფუნდამენტურად სტაბილური ისეთი ჩლუნგი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც მის "სახელმძღვანელოს" წმინდა წერილად, მის პიროვნებას კი სიკეთის მოციქულად გადააქცევდა. უნდა გამოვთქვა ვარაუდი, რომ ბ-ნ რევაზ მიშველაძეს თავის ირგვლივ თავისზე ბევრად უარეს თანამშრომელთა შემოკრებაზე(არ ვგულისხმობ გამონაკლისს) უფრო მეტი დრო აქვს დახარჯული, უფრო მეტი ენერგია და ტემპერამენტი აქვს ჩაღვრილი, ვიდრე - ამ წიგნის შექმნაზე და გამოსაცემად მომზადებაზე. ერთი, ხუთი და ათი წელი არ იქნებოდა საკმარისი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე ისეთი უპერსპექტივო

გუნდის შესაკრებად, რომლის თითოეული წევრის ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა ქცეულიყო ლიდერის ნებისმიერი "ნამოღვაწარით" აღფრთოვანება.

თსუ-ის ქართული ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის სპეციალისტთა ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. ისინი, ყოველწლიურად, მისაღები გამოცდების კომისიებში სხედან და აბიტურიენტებს ნიშნებს უწერენ. საკითხავია, მათ რომ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ყოჩის... უკაცრავად, გამგის შიში არ ჰქონდეთ, მისგან საშვილიშვილოდ დავალებულნი არ იყონ, ზოგს მასზე მეტი ცოდნა გააჩნდეს, ზოგს - ეკონომიური კეთილდღეობა, რა ნიშანს დაუწერდნენ ბ-ნ რევაზ მიშველაძეს ამ უპრიმიტიულეს "სახელმძღვანელოში"? ან, ვთქვათ, რა ნიშანს დაუწერდნენ მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს (თუ, რა თქმა უნდა, საქმე უპატრონო აბიტურიენტის ნაშრომთან ექნებოდათ, რაც ობიექტურობის ხარისხს მაღლა სწევს) ისეთი წინადადებებით გადავსებულ თემაში, რომლებიც უხვად იყო ჩემს მიერ ზემოთ ციტირებული?

მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი რევაზ მიშველაძის მძიმეწონიანი ტიტულატურა სავსებით შეესაბამება მის რეალურ შესაძლებლობებს(ნუ ჩავუღრმავდებით ამ შესაძლებლობების შინაარსს); მიუხედავად იმისა, რომ მან ეს ტიტულატურა დამსახურებულად შეიტკბო გარემოში, რომელსაც თავისი ბუტაფორიულობის შესანარჩუნებლად ბუტაფორიების პერმანენტული წარმოება ესაჭიროება; მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი შეგნებული ცხოვრების საუნივერსიტეტო ხანა პატიოსნად მიუძღვნა მის კლანჭებში მოხვედრილი სტუდენტური თაობების დამცირება-შეურაცხყოფის არცთუ იოლ საქმეს (ამის კონცენტრირებული დოკუმენტი სწორედ მისი "სახელმძღვანელოა"), მე მას ვერ დავადანაშაულებ უწესობასა და უპატიოსნობაში. პირიქით, მისი ერთადერთი დანაშაული სწორედ იმ წესებისა და პრინციპების ერთგულებაა, რომელთა მოთხოვნილებებსაც ის პატიოსნად აკმაყოფილებდა გუშინ, აკმაყოფილებს დღეს და დააკმაყოფილებს ყოველთვის. დაკმაყოფილებულთა რიცხვი კი, თუნდაც მხოლოდ მის განკარგულებაში არსებული კათედრის წევრებით რომ შემოვიფარგლოთ, ცოტა არაა. და, რაც მთავარია: ბ-ნი რევაზ მიშველაძის მიერ კარგად დაკმაყოფილებული თსუ-ის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გუნდის განათლების, კულტურისა და ცივილიზებულობის დონე ზუსტად ისე შეესატყვისება თსუ-ის განათლების, კულტურისა და ცივილიზებულობის დონეს, როგორც თსუ-ის განათლების, კულტურისა და ცივილიზებულობის დონე - მთელი საქართველოსას. მაგრამ, ალბათ, საგანგაშო არაფერია. მომავალი ხომ, როგორც ყოველთვის, ახლ-

აც ჩვენია. მითუმეტეს, როცა ამ მომავალს, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, მსგავსი "სახელმძღვანელოების" ჭარბწარმოებაში და მერე სტუდენტებისთვის მამასისხლად და იძულებით მათ შესაღებაში ვხედავთ-(ესეც, დღევანდელი ჩვენი სამშობლოს უმაღლეს სასწავლებლებში გავრცელებული ბიზნესის კიდევ ერთი უწყინარი და წარმატებული ფორმა!). ასეა თუ ისე, დღესდღეობით, ანუ მეოცე საუკუნის მიწურულს, ტიტულოვანი ადამიანების მიერ "შექმნილი" და თსუ-ისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ხელდასხმით გამოცემული თითქმის ყოველი მეორე წიგნი, ჰუმანიტარულ სფეროში, თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნების(თუნდაც რეგიონალური, ოდესღაც უკვე მონიშნული და დაფიქსირებული, სიმაღლეების დონეზე) მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს, არანაირ პედაგოგიურ ღირებულებას არ ფლობს და მხოლოდ ამ ტიტულოვან ავტორთა გაზერელებული ცნობიერების ეკვივალენტური ამბიციების "სარეალიზაციოდ" არის გამიზნული(რაც ავტომატურად ემთხვევა კონტექსტის კულტურული მოთხოვნილებების დონეს). ეს "სახელმძღვანელოები", რომელთა ტიპური ნიმუში ბ-ნი რევაზ მიშველაძის ავტორობით გამოცემული ათასეგზემპლარიანი ბუხია(das Buch - წიგნი, გერმ.), გვიჩვენებს მომავალი თაობისადმი, სტუდენტებისადმი, ახალგაზრდებისადმი საგანმანათლებლო სტრუქტურების ბატონ-პატრონთა დამოკიდებულების ზუსტ სურათს, მომავალ თაობებზე მათი ზრუნვის შინაარსს, უფრო მეტიც, მათი ოცნებების რეალობას. რას ვგულისხმობ? აი, აქ კი წინდაწინ ბოდიშს ვიხდი მართლაც კადნიერი ტონისთვის, რომელიც შეიძლება შემომეპაროს.

თუ ბ-ნი რევაზ მიშველაძის "უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას" წარმოვიდგენთ, როგორც ავტორის თითქმის ორმოცწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებას (რაც უკვე აღინიშნა), ხოლო თსუ-ისა და განათლების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით ამ წიგნის "კანონიზაციას" შევხედავთ, როგორც თსუ-ის სადღეისო სახის ზუსტ სურათს (რაც, ასევე, აღინიშნა), შეიძლება დავასკვნათ, რომ თსუ-ში სტუდენტებს და ახალგაზრდა მეცნიერებს ისევე ამცირებენ და შეურაცხყოფენ, როგორც ამას ათი-ოცი წლის წინ(ანუ, მათი დამცირება-შეურაცხყოფის პოსტკლასიკურ პერიოდში) სჩადიოდნენ, მათ მიმართ სტრუქტურების ბატონ-პატრონთა დამოკიდებულების კულტურაში არაფერი შეცვლილა. ამას აქვს თავისი "დიალექტიკური" მიზეზები. ბ-ნი რევაზ მიშველაძისა და მისი ყაიდის პედაგოგთა სალექტორო-სამეცნიერო "მოღვაწეობა" წარმოადგენს ცნობიერ თუ ქვეცნობიერ(უფრო ხშირად, ცნობიერ) შურისძიებას, ანგარიშსწორებას მათზე უფროსი თა-

ობის იმ პედაგოგთა მიმართ, რომლებიც მათ ოდესღაც არანაკლებ ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ. ბ-ნ რევაზ მიშველაძეს, როგორც სხვა მრავალს, დამცირება-შეურაცხყოფის ეს სკოლა აქვს გავლილი და, ამიტომ, თავისი სტუდენტების, ასპირანტების, დისერტანტების ვინ მოთვლის მერამდენე თაობას კარგად აპრობირებული, ერთობ მზაკვრული ხერხებით არწმუნებს, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვა რეალობა არ არსებობს. რა თქმა უნდა, სტუდენტები არც ისეთი მიამიტები არიან, რომ კარგს და ცუდს ერთმანეთისგან ვერ არჩევდნენ. მაგრამ არსებობს თვით ამ სტუდენტების "გადარჩევის" მყარი ტრადიციაც, რომელიც ბუნებრივი გადარჩევის დარვინისეულ თეორიას უფრო ენათესავება, ვიდრე - კულტურულ გადარჩევას. სტრუქტურების ბატონ-პატრონთა წყალობით ყოველი ახალი თაობის "კეთილდღეობის" გარანტს წარმოადგენს მორჩილების გამოცხადება მიშველაძეების მიმართ, რომლებიც განაგებენ კათედრებს, სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოებს, "აწესრიგებენ" სტრუქტურებს. ეს მთელი "ფილოსოფიაა", თაობიდან თაობას დაუწერელი კანონების სახით რომ გადაეცემა. მიშველაძეების მიერ კადრების "რაციონალური" შერჩევის დედაზრია თავიანთზე უარესთა "ჯიშის" გამოყვანა.

ეს "სახელმძღვანელო" რომ რომელიმე კულტურულ და ცივილიზებულ ქვეყანაში გამოცემულიყო, დავასკვნიდი, იგი ხელს უწყობს ბოროტების დამკვიდრებას მეთქი. ჩვენს სამშობლოში ასეთი დასკვნის გამოტანა არ იქნება მართებული. აქ, ნებსით თუ უნებლიეთ, ბ-ნი რევაზ მიშველაძის "სახელმძღვანელო" ემსახურება სიკეთის ისე დამკვიდრებას, როგორც ეს ესმის უმრავლესობას. შემოვიფარგლოთ ლოკალური კონტექსტით და ვიკითხოთ, როგორაა საქმე, მაგალითად, თსუ-ის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უმრავლესობის შემთხვევაში? ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ამ წიგნის ავტორს, როგორც კათედრის გამგეს, თავისი გუნდი შეეკრიბა და მისთვის, კოლექტიური ძალებით, მსგავსი სახელმძღვანელოს დაწერა შეეთავაზებინა. როგორ ფიქრობთ, რას მიიღებდით? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იმაზე უკეთესს არაფერს, ბ-ნი რევაზ მიშველაძე ამ მისიით საქართველოს რომელიმე მაღალმთიანი რაიონის მიყრუებულ სოფელში რომ ასულიყო და იქაური სკოლის ყველაზე უფრო უიმედო მოწაფეებთან(არა აუცილებლად უფროსკლასელებთან) ერთად ამ საპატიო საქმის ორგანიზება მოესურვებინა. განა, ეს სიმართლე თვით ბ-ნ რევაზ მიშველაძეს ჩემზე უკეთ არ მოეხსენება? მან ხომ, როგორც უკვე აღინიშნა, არა ხუთი და ათი წელი შეალია თავის ირგვლივ ისეთი ფონის შექმნას, რომლის მაქსიმალური უარესობისა და უვარგისობის ხარჯზე თვითონ მაქსიმალურად უკეთესი გამოჩნდებო-

და. მოახერხებდა თუ არა ბ-ნი რევაზ მიშველაძე ამ კათედრის ცოცხალ ძალთა გაძლიერებას, რომ ნდომებოდა? საკითხის ამ კუთხით დასმა არაა მიზანშეწონილი. რომც ნდომებოდა, არ შეიძლებოდა. ამ "არ შეიძლებას" იცავდა და იცავს ბ-ნი რევაზ მიშველაძე, - თამამად შეიძლება ითქვას, - ღირსეულად, უკომპრომისოდ!

მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ამ დიდ საქმეში ბ-ნი რევაზ მიშველაძე ორიგინალურია. ის ზანტი, მაგრამ მიზანმიმართული ნაბიჯებით მიუყვებოდა და მიუყვება თავისი უახლოესი კოლეგა-წინაპრებისა თუ კოლეგა-თანამედროვეების მიერ საიმედოდ გაკვალულ ბილიკებს. საით? ბ-ნი რევაზ მიშველაძისთვის რუსთაველის არაერთხელგაბითურებული პრემიის მიმნიჭებელთა აზრით - სინათლისკენ, ბ-ნი რევაზ მიშველაძის მტრებისა და მოშურნეების აზრით - სიბნელისკენ, ჩემი მოკრძალებული აზრით კი - შეუმცდარი, ილუზიებს მოკლებული რეალობისკენ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება ქართული მეცნიერული ლიტარატურათმცოდნეობის შესაძლებლობების მაქსიმუმამდე. დაბოლოს, ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე? უკვე არავინ!

15-16 იანვარი, 1999

ქვეტექსტის (გ)ასახსნელად

მიმდინარე წლის 9-22 თებერვლის გაზეთ "ალტერნატივა"-ში დაიბეჭდა ამან შეშბაცარის ფსევდონიმს ამოფარებული(თუმცა, არ დავმალავ, ჩემთვის ნაცნობი) ლიტერატორის ვრცელი რეცენზია, რომელიც წარმოადგენს შოთა იათაშვილის მოთხრობის "ავადმყოფი ქალაქისა" და ზურა მესხის მოთხრობის "სპაზმების" მრავალმხრივ, მაღალპროფესიულ ანალიზს. გაზეთის ამავე ნომრის გვერდებზე გამოქვეყნებულია შოთა იათაშვილის მცირე "რეპლიკა"(ავტორის განსაზღვრებით) და ნაირა გელაშვილის ვრცელი წერილი, როგორც პასუხები აღნიშნულ რეცენზიაზე. ამჯერად, ჩემი ყურადღების საგანი სწორედ ეს მცირე "რეპლიკაა", რომლის ერთი მესამედი - შინაარსობრივად და სათაურის მიხედვით კი მთელი ტექსტიც - წარმოადგენს გამოხმაურებას ჩემს ერთ ბოლოდროინდელ "ავტო(მატ)ინტერვიუზე" (ასე ახასიათებს ავტორი ჩემსა და ჟურნალისტ ნანა შარაშიძეს შორის გამართულ, გასული წლის მიწურულს გაზეთ "ახალ 7 დღეში" გამოქვეყნებულ დიალოგს). დიალოგში, ერთ ადგილას, შოთა იათაშვილი ბატონობით მოვიხსენიე, რამაც იგი აღაშფოთა და ამ ფაქტის ისე ინტერპრეტირება სცადა, როგორც თვითონ აწყობდა. რაკი ეს "ინტერპრეტაცია" ყალბია და მხოლოდ ოპონენტისთვის აქტუალური თემების წინწამოწევას, მერე კი იმის უარყოფას ისახავს მიზნად, რაც მისთვის არავის დაუბრალებია, იძულებული ვარ (გ)ავხსნა ბატონობით მისი მოხსენიების ქვეტექსტის შინაარსი, ხოლო ვიდრე ამას მოვიმოქმედებდე, აქვე აღვნიშნო, რომ დიალოგში ის უადგილოდ ნამდვილად არ იყო ნახსენები, როგორც თვითონ ჰგონია. აღვნიშნავ იმასაც, რომ "რეპლიკაში" შოთა იათაშვილი არ ღალატობს მისთვის დამახასიათებელ ფუჭსიტყვაობას (ჰაიდეგერის ტერმინოლოგიით - ლაყბობას); მართლაც უადგილოდ დახვავებული, ვითომ ჩემს მიერ მისი მისამართით "გაგზავნილი" ბრალდებების მის მიერვე გაბათილების ფარული მიზანია, საზოგადოება რამენაირად დააინტერესოს, დააკავოს საკუთარი პერსონით, რეკლამირება გაუკეთოს თავის ყოველდღიურობას. მის ამ ვნებას აშიშვლებს ნაირ-ნაირი დეტალის უადგილოდ, ხელოვნურად შექმნილ კონტექსტში შექუჩება და ჰიპერტროფირება. იმის დასტურად, რომ შოთა იათაშვილის ასეთი საქმიანობა შემთხვევითი არაა, მოვუხმობ მის მიერ ამ ილეთის დემონსტრირების "შედევრს", სამაბზაციან "რეცენზიას" ახალგაზრდა გოგონას, ეკა ქევანიშვილის ლექსებზე (ორივე მასალა იხ.: "ალტერნატივა", 14, 1999), საიდანაც ვგებულობთ, რომ: 1. შოთა იათაშვილს ძალიან უყვარს იაპონური პოე-

ზია; 2. აქვს თავისი აზრი იაპონურ პოეზიაზე, რასაც დაუყონებლივ გვიზიარებს; 3. ეკას ლექსების დახმარებით მის მეხსიერებაში ამოტივტივებულმა იაპონური ლექსის ანთოლოგიამ მას საკუთარი პოეზია გაახსენა("ამ ყველაფერმა ჩემთვის ყველაზე ახლობელი, ჩემი საკუთარი პოეზია გამახსენა"); 4. ეკას მოსწონს შოთას ლექსები; 5. შოთას მოეწონა ეკას ლექსები; 6. შოთა წერს ლექსებს ფულზე და შტეფსელზე; 7. ნივთების გასულიერების ვნება შოთაშიც და ეკაშიც თანაბრად გიზგიზებს; 8. ეკას ლექსები სავსეა "ჰაეროვანი დამიწებით" და ასეთივეა შოთას ლექსებიც, ყოველ შემთხვევაში, უნდა რომ ასეთი იყოს; 9. რაკი ეკას ლექსებში პოეზიის შოთასეული მოდელი რეალიზდა, შოთა ვერ გახდა კრიტიკული და აუღელვებელი და ვერ შეუდგა ეკას ლექსების განჩხრეკას, მხოლოდ გადაკვეთის წერტილები დააფიქსირა და ამით დაკმაყოფილდა. ამ საცოდაობის დასასრული ასეთია: "მე იმედი მექნება, რომ მიუხედავად ასეთი არამომგებიანი ტაქტიკისა და ხელისგულისოდენა ტექსტისა, სულ პატარა რაღაცის თქმა მაინც მოვახერხე". არცთუ ძალიან "პატარა რაღაცის"! შოთა იათაშვილმა ბოროტად ისარგებლა ახალგაზრდა ავტორის პუბლიკაციით და გამოხმაურებად გასაღებულ მინაწერში ხელოვნურად შექმნა ისეთი რიტორიკული კონტექსტი, რომ საკუთარ თავზე საჯაროდ მეტყველების ვნება დაეცხრო. შოთა იათაშვილის ეს "ტექსტი" უკვე არსებობდა და გაზეთის მითითებული ნომერიც დასტამბვას მოელოდა, როცა ავტორმა ამპარტავნებასა და ამბიციურობაში დამადანაშაულა და ისიც კი მისაყვედურა, ჩემს ერთ პოეტურ კრებულში, კერძოდ "მხურავში", შეტანილი ლექსების უმრავლესობის დაწერის ადგილი რომ აღვნიშნე სარჩევში (ანუ გავაკეთე ის, რაც კონტექსტუალურად გამართლებული იყო). აი, რა არის ვერაგობა და არა - იმის გაცნობიერება, რომ შენი თანადგომით შენი ამხანაგი ბოროტად სარგებლობს (მსგავსად ეკა ქევანიშვილის პუბლიკაციით ბოროტად სარგებლობისა) და თავისი ეგოცენტრული მიზნების განხორციელებას ცდილობს (ამაზე ქვემოთ). ვერაგობაა, როცა ამხანაგი იმიტომ გამუნათებს, რომ რასაც შენ არ მალავ და დაუფარავად აღიარებ (ვგულისხმობ ამპარტავნებისა და ამბიციურობის სენს, რომელიც ჩემში არასაგანგაშო, მაგრამ დიახაც არასასურველი დოზით მოიპოვება), ის თურმე ხელს უშლის მის გეგმებს და არა იმიტომ, რომ შენი ნაკლოვანებები გულწრფელად აწუხებს. ხსენებულ "ტექსტში" უკვე მოცემული იყო შეკუმშული სახით ფაქტობრიობა, რომელიც მერე "რეპლიკაში" გაიშალა.

ერთადერთ მიზეზს, რამაც შოთა იათაშვილის "გაბატონება" გამოიწვია, ჩემს მიერ იმის გაცნობიერება წარმოადგენდა, რომ ჩემს თანადგომას იგი ყოველთვის საკუთარი, მეტად უვარგისი, მაგრამ კარგად გააზრებ-

ული "პოლიტიკის" სამსახურში აყენებდა და ითვალისწინებდა ისე, როგორც მას ეს აწყობდა. როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, ვერ ვუშველი მეთქი, უარი ვთქვი იმ როლზე, რომელიც მისმა ეგოცენტრიზმმა და ლიტერატურისადმი უპასუხისმგებლობამ "დამაკისრა". რაკი შოთა იათაშვილმა ბრალი დამდო ვერაგობაში, აღარ მოვერიდები და უკვე საჯაროდ გავახსენებ თავისი სამწერლო გამოცდილებიდან და ამ გამოცდილებისადმი ჩემი დამოკიდებულებიდან ზოგიერთ დეტალს.

1. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩვენი ნაცნობობის გარიჟრაჟზე, შოთა იათაშვილმა მთხოვა, ჩემი აზრი გამომეთქვა მის ლექსებზე, რომელთა გამოცემაც განზრახული ჰქონდა. გულდასმით წავიკითხე მისი ეს ლექსები და დიდხანს ვესაუბრე როგორც მათ ღირსებაზე, ისე - ნაკლზე; მივუთითე და დავუსაბუთე (ახლა უკვე აშკარაა, რომ ზუსტად ვივარაუდე) მისი ტექსტებისთვის დამახასიათებელი ყველა ის ტენდენცია, რომელიც მერე "გაიფურჩქნა" მის ხელ-ო-ვნებაში: თემატური ერთფეროვნება, მხატვრული პრობლემების გამარტივება, რაოდენობის ხარჯზე ხარისხის უგულებელყოფა, სპონტანურობა, ფუჭი მრავალსიტყვაობა. ავტორმა ყურადღებით მომისმინა, მაგრამ ჩემს შეფასებას არ ენდო და ყველა ეს ლექსი უკლებლივ "ჩაყარა" თავის პირველ პოეტურ კრებულში.

2. გავიდა დრო და ჩემს მიერ მითითებული შენიშვნების გაუთვალისწინებლობამ ერთის მხრივ, ხოლო ქართულ მწერლობაში გაბატონებულმა უწიგნურობამ, არაპროფესიონალიზმმა და განუკითხაობამ მეორეს მხრივ, შოთა იათაშვილი იქამდე მიიყვანა, რომ მის მიერ მოწონებულ სხვა ავტორთა ნაწარმოებების უხარისხო ასლების დამზადებასაც კი აღარ ერიდებოდა, ამ ნაწარმოებებიდან ითვისებდა ზედაპირულ, მისი გონებრივი და ესთეტიკური შესაძლებლობებისთვის ხელმისაწვდომ ნიშნებს და სასწრაფოდ ამზადებდა მათ ორეულებს (ჩემს ოპონენტს უმორჩილესად ვთხოვ, ნუ ჩამატარებინებს ლექციას მიბაძვასა და შემოქმედებითი გავლენის ფენომენს შორის არსებული ძირეული სხვაობის შესახებ; ნუ მიმათითებინებს ჩვენს უბადრუკ სამწერლო ატმოსფეროში ყურმოკრული პოსტმოდერნული სტრატეგიებით მანიპულირების მრავალ "სიკეთეზე"). რაც მეტად სიმპტომატური იყო, მის მოწონებას ყოველთვის თბილისის ახალგაზრდა მწერალთა სუბკულტურაში პოპულარული ადგილობრივი თუ უცხოელი ავტორები ექვემდებარებოდნენ, მის "გემოვნებას" კონÁუნქტურა აწესრიგებდა (ამიტომ, მისი "ინტერტექსტუალური" დიაპაზონი ყოველთვის "ნორმირებული" იყო). "რეპლიკაში" შოთა იათაშვილს არ დაუმალავს თავისი სიყვარული "საშუალო მკითხველისადმი", რაც არ

გახლავთ შემთხვევითი. იგი თავისი სამწერლო გზის დასაწყისიდანვე ორიენტირებული იყო ამ "საშუალო მკითხველზე", რასაც პრაქტიკული, "მომგებიანი" შინაარსი განაპირობებდა: საშუალო მკითხველი (გაიაზრეთ საშუალო მკითხველი ქართული კრიტიკის არარსებობის ფონზე) დაკავებული არაა ასლისა და ორიგინალის ურთიერთგარჩევით, არ ღრმავდება გენერაცია-სუბორდინაციის საკითხებში, არ ავლებს ზღვარს სერიოზულ ხელოვნებასა და კიტჩს შორის. შოთა იათაშვილის "პოლიტიკას" კი წარმოადგენდა სწორედ ამ "საშუალო მკითხველამდე" თავისი ტექსტების სწრაფად მიტანის ხელოვნება და იმაში დარწმუნებულობა, რომ ასე "დააკანონებდა" თავისი პროდუქციის პირველობას, დროთა განმავლობაში კი მისი ფანდი გაჭრიდა, მიბაძვის კვალი წაიშლებოდა და სხვა პოეტებთან გამოკვეთილი მსგავსი შინაარსები და მოტივები პარადიგმულ, გარკვეული პერიოდისთვის დამახასიათებელ, ტიპოლოგიურ ტენდენციებად ჩაითვლებოდა. ასე "გამოიმუშავა" მან მიბაძვის, დუბლირების ოსტატობა (რაშიც დასაძრახი არაფერი იქნებოდა, თავისი სახელი რომ ერქვას და ევროპასა თუ ამერიკაში კარგად ცნობილი, ცნობიერი და გამიზნული კიტჩიზაციის პრაქტიკას ენათესავებოდეს; აქ კი საქმე გვაქვს მაღალ ხელოვნებად კიტჩის გასაღების მცდელობასთან). მოწონებული და მოხერხებულად ასლირებული პირველწყაროებისგან განსხვავებით, შოთა იათაშვილის ტექსტებისთვის დამახასიათებელია სრული აზრობრივი სიღატაკე, თემატური შეზღუდულობა და ტრაფარეტულობა. მის პროდუქციაში ამ მახასიათებლების მომძლავრებით იყო ნაკარნახევი, რომ ერთ ჩემს წერილში ("ვერლიბრი და ქართული ლექსის ტრადიცია", გაზეთი "7 დღე", 1, 1995) მას დავით ჩიხლაძის ლექსების მიმბაძველობა ვუსაყვედურე.

3. სწორედ "აპრობირებული" ხერხით "შექმნა" შოთა იათაშვილმა 1994 წელს, აბსურდის თეატრის წარმომადგენელთა ნაწარმოებებით აღტაცების ცხელ კვალზე, პიესა სახელწოდებით "ადგილი", ხელნაწერში რომლის წაკითხვა და ჩემი აზრის გამოთქმა მთხოვა. არ დავუმალე, რომ ეს იყო რაღაც ბევრად უარესი, ვიდრე - მიბაძვა, ეს იყო უხარისხოდ ასლირებული "გოდოს მოლოდინში". მაგრამ თავი შევიკავე და ვერ გავუმხილე, რომ ეს იყო სრული, სრული უნიჭობა და არა - წარუმატებლობა. შოთა იათაშვილმა სასწრაფოდ "გაითვალისწინა" ჩემი კრიტიკა, მაგრამ ამჯერად - თავისდა საზიანოდ: "კეთილისმსურველებმა"(ანუ არა ჩემსავით ვერაგებმა) მას ეს პიესა მალევე დაუბეჭდეს(იხ. "დრამატურგია-95", თბ., 1996, გვ. 405-437), რითაც უნიჭო მიმბაძველის რეპუტაცია დაუკანონეს.

4. გავიდა მცირე დრო და მან წამაკითხა თავისი ერთი ახალი მოთხრობა, რომელშიც გაუქმებული იყო პუნქტუაციის ნიშნები და წარმოად-

გენდა სპონტანურ, უკეთ, სტიქიურ თხრობას, სინამდვილეში კი - ჩემი მიკრორომანის, "მუტაციის" პროფანიზებულ, ზედაპირული ნიშნებით კომბინირებულ, "ჩამოქვეითებულ" ვერსიას. ეს ყველაფერი შოთა იათაშვილს რბილად, მაგრამ პირდაპირ ვუთხარი, გავუანალიზე მოთხრობის აზრობრივ შინაარსსა და ფორმალურ გადაწყვეტას შორის არსებული შეუსაბამობა და მისი, ავტორის, ეშმაკური მცდელობა, - ფორმის უჩვეულობით დაინტრიგებულ მკითხველს (ცხადია, "საშუალო მკითხველს") ნაწარმოებში ეძია და ეპოვნა ის სიღრმე, რომლის არარსებობაც ნაწარმოების დამწერს კარგად მოეხსენებოდა. მან ამჯერადაც ყურადღებით მომისმინა, მოთხრობა კი ორჯერ გამოაქვეყნა: ჟურნალ "XX საუკუნე"-ში და თავისი მოთხრობების კრებულში "კონტრაჟური", თბ., 1998).

5. 1996 წლის 30 ოქტომბერს "კავკასიური სახლის" მუდმივმოქმედ სემინარზე შოთა იათაშვილმა წაიკითხა მოხსენება სახელწოდებით "ა) უხარისხო ასლირების სინდრომი თანამედროვე საქართველოში და ნევროზი; ბ) ზელიგის სინდრომი და მაიკლ ჯექსონის ტრანსფორმისტული მოდელი". ეს იყო ავანტÁურისტული ხერხებით თავის დამკვიდრების კიდევ ერთი მცდელობა, რომელშიც მკაფიოდ ვხედავდი შოთა იათაშვილის, როგორც "პოლიტიკოსის" განვითარების დინამიკას. მოხსენების თემა ზედმიწევნით მოდური გახლდათ - პოსტმოდერნული, თემის "დამუშავების" ტექნიკა - ზეპოსტმოდერნული. თუ აქამდე ჩემი შენიშვნები, ძირითადად, ჩემსა და მას შორის რჩებოდა, ამჯერად აღარ მოვერიდე და დამსწრე საზოგადოების თვალწინ, მკაცრად და თითქმის უხეშადაც განვუმარტე, რომ მისმა სურვილმა, "აქტუალური" თემების თეორეტიკოსადაც მოვლენოდა საზოგადოებას, სულ დაუბნელა გონება, რუსულ ჟურნალებში დაბეჭდილი ზოგიერთი რუსი თუ უცხოელი ავტორის სტატიები უხარისხოდ დააკონსპექტა, "ხიდებით" გადააბა ერთმანეთს და გამოუვიდა ცუდი კოქტეილი, რომელიც ტერმინოლოგიური ზედახორის მიღმა შესამჩნევ, "გაანალიზებულ" საკითხებში მომხსენებლის სრულ ჩაუხედაობაზე მეტყველებდა. მომხსენებელი ჩემს შეფასებას არ აღუშფოთებია, კრიტიკა მშვიდად მოისმინა (გარეგნულად მაინც), ამ შეფასებისადმი თავისი დამოკიდებულება კი იმით გამოხატა, რომ მოხსენების ტექსტი უცვლელად გამოაქვეყნა გაზეთ "არილში"(1 (48), 1997 წ.). ამ ფაქტმა გული გამიტეხა და გადავწყვიტე, მისთვის არასდროს არაფერი მერჩია და განმემარტა, რაკი მაინც არაფერი იცვლებოდა; მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ მას ჩემი სიჩუმეც აწყობდა, "ლიტერატურულ თუ არალიტერატურულ სივრცეებში გვერდიგვერდყოფნით" ფონდებული ეს სიჩუმე ერთგვარ დათვურ სამსახურს ჰგავდა, რაც მე არ მსურდა. როგორც ჩანს, ჩემმა ამ შინაგანმა დაძა-

ბულობამ, შოთა იათაშვილის "პრაქტიკით" გაღიზიანების მაღალმა ხარისხმა იჩინა თავი, როცა ის ბატონობით მოვიხსენიე. ჩემი ამ აშკარად არაკორექტული საქციელის უშუალო მოტივად კი იქცა შემდეგი გარემოება.

6. როცა ჩემი "უზნეობის მსხვერპლი" გამოქვეყნდა და შოთა იათაშვილმა გამახსენა, რომ რამდენიმე წლის წინანდელ თავის წერილში ისიც აკრიტიკებდა ბ-ნ თამაზ წივწივაძეს და "ლიტერატურულ საქართველოს", მე გადავიკითხე მისი წერილის აღნიშნული მონაკვეთი და ვრცლად ავუხსენი, თუ რა განასხვავებდა ძირეულად ჩემს კრიტიკას მისი კრიტიკისგან. მიუხედავად ამისა, მან ჩემი განმარტებები უკუაგდო, თავისი "პირველობა" დაიხვია ხელზე და დამადასტურებელ დოკუმენტზეც ხშირად უთითებდა დაინტერესებულ პირებს. მისი მითითების შინაარსი ასეთი გახლდათ: "დათო ბარბაქაძემ მხოლოდ ის გაიმეორა და განავრცო, რაც მე უკვე ნათქვამი მქონდა". ცხადია, ჩემს მიერ განმარტებულ არსებით სხვაობაზე ხმას არ იღებდა. აი, რატომ გავხდი იძულებული, დიალოგში (ანუ "ავტო-(მატ)ინტერვიუში") კომპაქტურად აღმენიშნა მის კრიტიკასა და ჩემს კრიტიკას შორის არსებული ძირითადი განსხვავება, დამეზუსტებინა მისი "პირველობის" რეალური შინაარსი (აქვე ვიტყვი, რომ თავის დროზე შოთა იათაშვილისეული "კრიტიკა" წაკითხული მქონდა, მაგრამ როცა "უზნეობის მსხვერპლს" ვწერდი, არ გამხსენებია, თორემ აუცილებლად მივუთითებდი; რაც შეეხება დავიწყების სავარაუდო ფსიქოლოგიურ მიზეზს, ეს ცხადად ამოიკითხება დიალოგში, იმ ადგილას, სადაც ხსენებულ განსხვავებაზე ვამახვილებ ყურადღებას).

რაც შეეხება შოთა იათაშვილის მიერ "რეპლიკაში" აღნიშნულ ლიტერატურულ თანადგომას და იმის შეხსენებას, რომ მისი და სხვა ადამიანების კეთილგანწყობისა და მხარში დგომის გარეშე ვერც ერთი ჩემი ლიტერატურული პროექტი ვერ განხორციელდებოდა, ეს სიმართლეა და არც არასოდეს მიქცევია საკამათოდ, განსაკუთრებით გამორჩეული იყო სწორედ შოთა იათაშვილის თანადგომა. უმადურობაში ჩემი დადანაშაულების სურვილი კი, უნებლიეთ, ოპონენტის კიდევ ერთ სისუსტეს ამხელს. თუ მას მართლა ასე ძალიან უყვარს ლიტერატურა (რასაც ხაზგასმით აღნიშნავს), არ უნდა მიეჩქმალა ის ფაქტი, რომ ჩემს მიერ განხორციელებული ყველა ლიტერატურული პროექტი ხელს უწყობდა ავტორთა (ჩემი ჩათვლით) ლიტერატურული პრეზენტაციისა და რეგიონალურად ახალი ესთეტიკური ორიენტაციების დამკვიდრებას, ახალი ტიპის ლიტერატურული ურთიერთობების გაძლიერებას. როგორც ჩემი, ისე დავით ჩიხლაძის ინიციატივებისთვის სწორედ ეს იყო დამახასიათებელი, ეს წარმოადგენდა მათ გადამწყვეტ თავისებურებას. განა, ამის დავიწყება იქნებოდა? რა

შუაშია აქ "შემსრულებლის" კატეგორია? განა, ასეთი მსჯელობა ხელს არ უწყობს ფაქტობრივი რეალობის გაყალბებას?

ამის მერე მე მინდა გულწრფელად ვაღიარო, რომ უტაქტოდ მოვიქეცი, როცა შოთა იათაშვილი ბატონობით მოვიხსენიე, არც ჩემი გაღიზიანების ხარისხი და არც შინაარსი ამის უფლებას არ მაძლევდა. როგორმე, უამისოდაც შეიძლებოდა ამეკრძალა ურთიერთობა, რომელიც ჩემს თანადგომას და შოთა იათაშვილის მიერ თავისთვის სახეირო დინებით ამ თანადგომის გადასროლას წარმომიდგენდა, როგორც ჩემი შესაძლო სიბრიყვის დასტურს. მაგრამ შოთა იათაშვილის მიმართ ჩემი გულწრფელი სიყვარულის ნიშნად, შევეხები კიდევ ერთ საკითხს და ვიტყვი, რომ მისი "რეპლიკა" კიდევ ერთხელ მარწმუნებს ამ ადამიანის საოცარ უნარში: სწორედ მისი ლიტერატურული, შემოქმედებითი ზრდისთვის საჭირო აუცილებლობები განდევნოს და თავი მოიტყუოს. ამ "რეპლიკაში" საკუთარი თავის მიმართ გამჟღავნებული მისი ლოიალობა და მისი წერის მანერისთვის ნიშნეული მოსენტიმენტალურო ტონალობა (რაც, თავის მხრივ, დავით ჩიხლაძის ტექსტებისთვის დამახასიათებელი, გულწრფელად სევდიანი, დრამატულად დამუხტული ტონალობის დუბლიკატია), არსებითი პრობლემების ვერდანახვის ჯიუტი პოლიტიკა და კონტექსტის გამარტივების ფანდი სამწუხაროდ მაფიქრებინებს, რომ ის კიდევ დიდხანს ვერ იგრძნობს ლიტერატურის მთავარი ნერვის ფეთქვას, იმას, თუ რას გვასწავლის ლიტერატურა. ჩემი ეჭვების საფუძვლიანობის დასადასტურებლად შორს წასვლა არ მომიწევს, "ალტერნატივის" ამ ერთი ნომრის "ტერიტორიით" დავკმაყოფილდები, და თუ ჩემი ოპონენტი ამჯერადაც ერთმანეთისგან ვერ გაარჩევს მტერ-მოყვარეს, თუ ისევ ახალ-ახალი, ნაირ-ნაირი "სათქმელისთვის" ხელოვნური კონტექსტების შეკონწიწებას გააგრძელებს, მე მას აღარ ვუპასუხებ.

საქმე ის გახლავთ, რომ თავის "რეპლიკაში" შოთა იათაშვილი აცხადებს, ჩემი "(გულ)ღია წერილი" მოწოდებული არაა "ავადმყოფ ქალაქზე" დაწერილი რეცენზიის გასაბათილებლადო; "სხვა თუ არაფერი, არცთუ ლამაზად გამოჩნდებოდა", ჩემი ნაწარმოების დაცვა რომ დამეწყოო. ეს განაცხადი რომ სწორედაც არა(გულ)ღია სიმართლეა, ამას ავტორის მიერ "საპასუხო რეპლიკად" წოდებულ ამ ტექსტში წარმოებული "განაზრებებიც" ადასტურებს, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც შოთა იათაშვილმა "ბუმერანგივით შეუბრუნა"(როგორც თვითონ წერს) რეცენზენტს "ერთი დიდი ხნის წინ უკუგდებული თეორია"(რეცენზენტის სიტყვებია, რომლებსაც "რეპლიკის" ავტორი რეცენზენტს უკანვე უბრუნებს) და გონებრივ სიჩლუნგეშიც სასწრაფოდ უკანვე დასდო ბრალი, იქვე დაუსაბუთა

კიდეც (როგორც თვითონ ჰგონია) ბრალდება. ანუ, რასაც მისწვდა, მოწყვიტა კიდეც, თავი არ შეუკავებია და "ლამაზ-ულამაზოს" კატეგორიებში წიაღსვლით არ დაბრკოლებულა. ასე რომ, მის (გულ)ღია განაცხადს მხოლოდ სიცრუის დამალვა ჰქონდა მიზნად, ამ სიცრუეს კი - ფსიქოლოგიურად ტერორიზებული, დათრგუნული მოკალმის უსუსურობის შენიღბვა (და ამას ვერ შველის ავტორის მართლაც რომ თანაგრძნობის გამომწვევი სოფისტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება აწყობდეს ან არ აწყობდეს მას, როგორც "ავადმყოფი ქალაქის" ავტორს)*. სილამაზის უდავო ნიმუშის დემონსტრირება კი გაზეთის იმავე გვერდზე იწყება, რომელზეც შოთა იათაშვილის "რეპლიკა" მთავრდება. შოთა იათაშვილის მსგავსად, "სპაზმების" ავტორად მეც ნაირა გელაშვილს მივიჩნევ (ამაში დამარწმუნა ავტორის სხვა ტექსტებში და "სპაზმებში" მოქმედი რიტორიკული ფიგურების, გრამატიკული კონსტრუქციებისა თუ კომპოზიციის აგების ტექნიკების შედარებამ). ასე რომ, "ალტერნატივის" რედაქციაში შესული რეცენზიის ორივე ადრესატი ამ გაზეთის სარედაქციო საბჭოს წევრი და რეალური ორგანიზატორია. როგორც ჩემთვის ცნობილია, რეცენზია გაზეთის გვერდებზე დაიბეჭდა რედაქციაში მისი მოხვედრიდან თითქმის ერთი თვის მერე. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ მოიქცნენ გაკრიტიკებულ ნაწარმოებთა ავტორები და რას ფიქრობდნენ ამ ხნის მანძილზე? შოთა იათაშვილმა, როგორც უკვე ვთქვი, ფსიქოლოგიური მარცხი განიცადა, დაფრთხა და რეალური პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ავტორის მიერ საკუთარი ნაწარმოების დაცვა ულამაზო საქციელი იქნებოდა (მე რომ მას ლიტერატურის ისტორიიდან მხოლოდ ჩემთვის ცნობილი, მსგავსი ულამაზო საქციელით "შერცხვენილი" მწერლების სია ჩამოვუწერო და "პროცესებიც" მოკლე-მოკლედ მო-

---

* აი, აქ გაწყვიტა წინამდებარე ტექსტი და არ ინება დარჩენილი ნაწილის გამოქვეყნება გაზეთ "ალტერნატივას" რედაქტორმა, ქ-მა ნაირა გელაშვილმა, იმ გაცხადებული მოტივით, რომ მას არ სურდა, სარწმუნო დასაბუთების გარეშე კიდევ ერთხელ დასახელებულიყო "სპაზმების" ავტორად. ეს "მოტივი"(ჩემი აზრით, არაგულწრფელი) საკმარისი აღმოჩნდა ტექსტისთვის მთავარი ნაწილის მოსაჭრელად და მკითხველისთვის დასკვნის გარეშე მის შესათავაზებლად. პირადად ჩემთვის კი რედაქტორის ასეთი ქმედება საკმარისი აღმოჩნდა "სპაზმებთან" დაკავშირებული (მეტად უწყინარი და სახალისო, სახელოვნებო სამყაროში გავრცელებული) საავტორო მითოლოგიის "დასახურად": ჩემმა პერფორმანსმა - მოთხრობის ავტორთან ამ მოთხრობის დასაცავად დაწერილი პოლემიკური წერილის ავტორის იდენტიფიცირებამ - როგორც ჩანს, მწერალი აიძულა, მითის მდინარება ხელოვნურად შეეკავებინა და ცენზორის უხეში ფუნქცია ეკისრა.

ვუთხრო, ამ საქმეს მისდამი რწმუნებული გაზეთის რამდენიმე გვერდი არ ეყოფა), ამ "თეორიაზე" დაყრდნობით კი, როგორც სილამაზის ნიმუში, შექმნა საგაზეთო ერთგვერდიანი "რეპლიკა", რათა ერთბაშად ყველა "მტრისთვის" ანგარიში გაესწორებინა და თავისი ნაცნობ-მეგობრებისთვის წივილ-კივილით მოეხმო საშველად, - "გთხოვთ, გულწრფელად მითხარით, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება ჩემში"-ო. რაც შეეხება ნაირა გელაშვილს, მას ასეთი აბსურდული მოტივაციებისთვის თავის შეფარება არ უცდია, რეცენზია გულდასმით წაიკითხა, თავის განკარგულებაში არსებული დრო შინაარსიანად გამოიყენა და საკუთარ ნაწარმოებზე მწერლური პასუხისმგებლობის მართლაც კლასიკური მაგალითი უჩვენა როგორც თავის უმცროს კოლეგას, ისე - ლიტერატურაზე შეყვარებულ და მოფიქრალ ყველა ადამიანს: ჩვენი სამწერლო სივრცე, შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებთან ერთად, მალე მაღალკულტურულ დონეზე დაწერილი პოლემიკური ჟანრის ტექსტითაც გაამდიდრა.

საინტერესოა, მიხვდა თუ არა შოთა იათაშვილი, რატომ ვერ წარმოიდგენდა ნაირა გელაშვილი "სპაზმების" რეცენზენტთან ღირსეულ კამათში ჩაბმას "ულამაზო საქციელად"? მიხვდა თუ არა, რა დიდია განსხვავება ზედაპირულ, წყალ-წყალა, მოსენტიმენტალურო მრავალსიტყვაობასა და პროფესიულ პასუხისმგებლობას შორის? აქ შევჩერდები, უფრო მეტ სიმკაცრეს არ გამოვიჩენ, კლასიკური ლოგიკის გამოცდილებას არ მოვუხმობ და კიდევ ერთი შედეგიდან კიდევ ერთ მიზეზზე გადასვლისგან თავს შევიკავებ.*

15 თებერვალი, 1999

---

* ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე შოთა იათაშვილმა საქმის ისე წარმოდგენა მისაყვედურა, თითქოს იგი, მის შემოქმედებაზე ჩემი აზრის მნიშვნელოვნების რწმენით შეპყრობილი, ჯერ კიდევ მელანშეუმშრალ ხელნაწერებს გულისფანცქალით მაკითხებდა და მოუთმენლად ელოდა ჩემს მსჯავრს. რაკი წერილი მსგავსი ეჭვის გაჩენის საფუძველს იძლევა, ვიღებ შენიშვნას, ვიხდი ბოდიშს როგორც ოპონენტის, ისე შეცდომაში შეყვანილი თითოეული მკითხველის წინაშე და რეალური ისტორიის აღსადგენად დავაზუსტებ, რომ შოთა იათაშვილის ჯერაც გამოუქვეყნებელი ზოგიერთი (წერილში უკვე მითითებული) ტექსტი ჩემს ხელთ ყოველთვის ჩემივე სურვილით ხვდებოდა და უკავშირდებოდა ჩემს სალიტერატურო ინიციატივებს; მასალების შერჩევას "დათო ბარბაქაძის ჟურნალისთვის"(1991-1993), "პოლილოგისთვის"(1994) და "±ლიტერატურისთვის"(1996).

ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ

ესაუბრა ლაშა იოსელიანი

- დადის ხმები, რომ უცნაურ და თითქმის სიურრეალისტურ აქციას მიმართე, ჩვენი ქვეყნის მმართველ სტრუქტურებს ახალი სალიტერატურო ჟურნალის დაარსებისა და ფინანსური უზრუნველყოფის წინადადება შესთავაზე. მართალია?

- ნაწილობრივ. ესაა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ჟურნალის იდეა. მე ჩავთვალე, რომ საქმე ეხებოდა ისეთი მასშტაბისა და მნიშვნელობის ჟურნალის დაარსებას, დღესდღეობით რომლის არსებობა მხოლოდ მთავრობის მფარველობის, ჟურნალის პერმანენტულ ფინანსურ უზრუნველყოფაზე მთავრობის მეთვალყურეობის გზით იქნებოდა შესაძლებელი. მართალია, იდეა მხოლოდ პრეზიდენტის ერთ-ერთ მრჩეველს, პატივცემულ ადამიანს გავუზიარე (რომელმაც მადლიერებით აღსანიშნი გულისხმიერება გამოიჩინა და, მისი შესაძლებლობების ფარგლებში, თანადგომაც სცადა), მაგრამ ხმები არ შემცდარან, ეს სწორედ მთავრობასთან მისვლა იყო, მისთვის ჩემი სამსახურის შეთავაზება. მე მათ ვთხოვე, დამხმარებოდნენ და ეშუამდგომლათ ფულიან ადამიანებთან, რომლებსაც ბიზნესმენებს, მეწარმეებს, მსხვილ კომერსანტებს უწოდებენ. რატომ უშუალოდ ამ უკანასკნელთ არ მივმართე, არა? ჩემი აზრით, დღესდღეობით საქართველოში წარმოუდგენელია მთავრობის რეკომენდაციის, მითითების თუ მეთვალყურეობის გარეშე დიდი კულტურული პროექტების დაფინანსება. მმართველი სტრუქტურების ხელდასხმის გარეშე, საერთოდაც, დიდი ფულის კეთებაა შეუძლებელი. არაა გამორიცხული, რომ ეს მხოლოდ ჩემი ცრურწმენაა. ჰოდა, მეც ჩემი ცრურწმენიდან გამომდინარე ვიმოქმედე.

- შენ, როგორც ვიცი, შენი თაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო რადიკალური, მემარცხენე და ნონკონფორმისტული სულისკვეთების დამცველი ხელოვანის იმიჯი გაქვს. ეს ოფიციალურ, მმართველ სტრუქტურებთან ურთიერთობაზე სულ არ ვრცელდება? შენი ამ აქციით შენი რადიკალიზმი არ დაზარალდა?

- ჯერ ერთი, გეტყვი, რომ მე რადიკალი და მემარცხენე არ გახლავარ, მე მწერალი ვარ და არანაირი სიკეთის ფასად ჩემს მწერლურ ავტონომიას არ დავთმობ. ასეა დღემდე და ასე ვაპირებ ცხოვრებას ბოლომდე, რაც ჩემი კონსერვატიზმის ერთი მთავარი ელემენტია. მაგრამ ეს არ ნიშნავს

ცარიელ სივრცეში ცხოვრებას და შემოქმედებას. ჩვენ, ყველა, ყოველთვის, კონკრეტულ სიტუაციაში ვიმყოფებით და ამ კონკრეტულ სიტუაციასთან ჩვენი ურთიერთობის პერმანენტული გარკვევა გვიხდება. სწორედ მოქმედების და ურთიერთობის პროცესში მჟღავნდება, შეგიძლია თუ არა შენი ავტონომიის შენარჩუნება, აქვს თუ არა ამ თავისუფლებას შენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. მეორეც, მე იქ არ მივსულვარ, როგორც პოეტი და მწერალი; მივედი, როგორც ძალიან სერიოზული სარედაქტორო, საორგანიზაციო და მთარგმნელობითი გამოცდილების მქონე ადამიანი, გააზრებული სალიტერატურო პოლიტიკით, სწორედ ჩვენი უბადრუკი რეალური სიტუაციის - მენტალურის, პოლიტიკურის, ეკონომიკურის - გათვალისწინებით. იქნებ, ეს ჩემი "გათვალისწინება" არაა სწორი, მაგრამ მაქსიმალურად გულწრფელი კი ნამდვილად არის.

- როგორ მომწიფდა ეს გადაწყვეტილება? ალბათ, აჯობებს, უფრო კონკრეტულად ისაუბრო შენი პროექტის შინაარსზე და შენს მიერ გააზრებულ მის მნიშვნელობაზე.

- დავიწყებ იმით, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ქართული ლიტერატურა, იმ გაგებით, რასაც ლიტერატურის ცნებაში ევროპული ცნობიერება დებს, რასაც იგი სალიტერატურო სისტემად მოიაზრებს. ლიტერატურა, სულ მცირე, მხატვრული ტექსტების, კრიტიკული დისკურსის და საგამომცემლო ქსელის ინტენსიური ურთიერთობის, მიმოქცევის პროცესია, ამ სამი კომპონენტის მეტ-ნაკლებად გამართული და მოწესრიგებული მუშაობა. იქ, სადაც სალიტერატურო სიტუაციაა, დროს და მარადისობას კი არა, სალიტერატურო კრიტიკისა და სალიტერატურო სოციოლოგიის გამართულ, "მთელი ფრონტით" გაშლილ საქმიანობას ენდობიან, რაც განაპირობებს შემოქმედებითი კონკურენციის მაღალ ხარისხს და კულტურული სელექციის სანდო ფორმების მოქმედებას. სამწუხაროდ, ეს ფუფუნება ჩვენთვის უცხოა. ჩვენ ხომ ჯერ-ჯერობით ჩვენი სასულიერო თუ საერო მწერლობის არაეგზალტირებული და არაფსევდოპატრიოტული გამოკვლევებიც კი არ გაგვაჩნია, არათუ მეთოდური და სისტემური ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის რამენაირი კულტურა, ერთიანი ხედვისა და მეტ-ნაკლებად მშვიდი, რაციონალური შეფასების პრაქტიკა. ყველა ჩვენს მწერალს ილიას და აკაკის სახელები აკერია პირზე, იწერება ტომები, მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა კი დიდი რუსული და ფრანგული ლიტერატურის კონტექსტში ჯერჯერობით სერიოზულად და საქმიანად არავის შეუსწავლია და შეუფასებია. ასეთი ანალიზი ქართულ მწერლობას კი არ დააკნინებს, მხოლოდ თავისი რეალური მაჩვენებლებით წარმოგვიჩენს, ჩვენს ხედვასაც უფრო კრიტიკულს და სერიოზულს გახდის, იდეო-

ლოგიური და ესთეტიკური კატეგორიების ურთიერთაღრევის სიბრიყვესაც უკეთ დაგვანახებს. სალიტერატურო ცხოვრება არ აქრობს, მაგრამ მაქსიმალურად ამცირებს შემთხვევითობის ხარისხს, შემთხვევითობის კატეგორიას სულ სხვა სამოქმედო კონტექსტში ათავსებს. ქართულ მწერლობაში კი, უკეთ, ქართველი მწერლების ცნობიერებაში, შემთხვევითობა ლამის დოქტრინალური კატეგორიის რანგამდე მაღლდება, ის არის ერთადერთი რეალური შესაძლებლობა. მთელი ქართული მწერლობა ამ ირაციონალურ ფაქტორს, როგორც იმედს, ისე შესცქერის. ეს იმედი გულისხმობს დიდი მწერლის გამოვარდნის მოლოდინს არსაიდან და არაფრიდან, ან - საუკეთესო შემთხვევაში - რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციიდან მისი ამოსკდომის მოლოდინს. და არც ასეთი მოლოდინია სიყალბეს მოკლებული, იგი თვითდამშვიდების მზაკვრული ფანდია. ასეთი "მოლოდინის" ფარული აზრი და ჩუმი ქვეტექსტია ყველაფრის ისე დატოვება, როგორც არის. მსგავსადვე "მუშაობს" უფროსი თაობის იმ ქართველ მწერალთა გული და გონება, რომლებიც დამსახურებულად ითვლებიან, რეგიონული თუ უფრო ფართო კონტექსტის მასშტაბით, ძლიერ მწერლებად. ისინი რეალურად, არავითარ შემთხვევაში, ქართული მწერლობის სავალალო ბედზე არ ფიქრობენ ან ფიქრობენ უკუღმართად. მათი კონკრეტული მიზნები, თავის გადარჩენის მათ მიერ არჩეული გზა და ხერხები ეწინააღმდეგება ქართული მწერლობის მომავალზე ზრუნვას. ისინი არანაირ რეალურ ძალისხმევას არ მიმართავენ, ხოლო თუ რამეს აკეთებენ, ამის ბუტაფორიულობა და უპერსპექტივობა თავადაც კარგად მოეხსენებათ. მათ აქვთ ქვეცნობიერი თუ ცნობიერი შიში, რომ მათ შემდეგ ძლიერი თაობების მოსვლა ხელს შეუშლის მათი მნიშვნელოვნების შენარჩუნებას. ამ საფიქრალით შეპყრობილნი, უნდათ თუ არა, ისინი დროის წინააღმდეგ მიდიან. რა თქმა უნდა, ისინი სულაც არ არიან ისეთი ბრიყვები, რომ ვერ აცნობიერებდნენ ინფორმაციული და ესთეტიკური ღიაობის ზრდის დამღუპველ როლს უკანა პლანზე იმ ყველაფრის გადასროლის საქმეში, რაც მათ შეუქმნიათ. არადა, ეს ხომ ბუნებრივი პროცესია, მათი შემოქმედება ხომ სწორედ ამ ბუნებრივმა პროცესმა უნდა "მოაწესრიგოს". მეორეს მხრივ კი, უსამართლობა იქნება მათი გულისტკივილის და განგაშის არდანახვა: მათი შემოქმედება, ფაქტობრივად, მხოლოდ არასაკმარისად დაფასებული და, უფრო მეტად, შეუფასებელია. ეს ნაკლულობა განაპირობებს მათ ტკივილს, აგრესიას, სევდას. მათი ამჟამინდელი ეშმაკობა კი, რაც დრო გავა, უკეთესად გამოჩნდება. მათი ეს სიზანტე ხელს უშლის ლიტერატურული სიტუაციის შექმნის შორეულ პერსპექტივას... და შენ გინდა, რომ მე ამ საწყალ, გასაცოდავებულ რეალობას

ჩემი ნონკონფორმიზმი, მემარცხენე და ავანგარდული ხელოვნების მიმართ ჩემი სიყვარული ან, ვთქვათ, ფრანკფურტის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ციტატები შევაგებო? მითხარი, სად არის ჩვენში ის კულტურა, რომელსაც შეიძლება დაუპირისპირდე და შინაგანი ღირსების გრძნობა არ შეგელახოს? იქ, ევროპაში, იყო ის, რასაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მემარცხენეები აუჯანყდნენ, უფრო ადრე საუკუნის დასაწყისი აუჯანყდა, კიდევ უფრო ადრე ნიცშე აუჯანყდა. ისინი საკუთარს აუჯანყდნენ. ჩვენთან კულტურული სიტუაცია ჯერ საერთოდაც არ არსებობს; არ არსებობს კულტურა, როგორც სისტემა, როგორც სუნთქვის ფორმა. სასაცილო არ იქნება იმის ნგრევის ვნება, იმასთან ურთიერთობის გარკვევა, რაც არ არსებობს?

- იმის თქმას ხომ არ აპირებ, რომ არც ქართული კულტურა არსებობს? მგონი, სწორედ ამას ამბობდი... უნდა განმარტო, რას გულისხმობ "კულტურის" ცნებაში.

- სალექსიკონო განმარტებას ნუ მომთხოვ. მე ამ საკითხის ზოგიერთი, ნაკლებად მყვირალა ნიუანსის წარმოჩენას შევეცდები. დიდი ხანია, ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ჭარბად ფიგურირებს ისეთი ან დაახლოებით ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორებიცაა: "ღირებულებათა გადაფასება", "ილუზიების ნგრევა", "ცნობიერების რადიკალური გარდაქმნა", "თვისებრივად სხვა რეალობა" და ა. შ. თითქოს, შევიწროებულმა განწყობილებებმა გამოსავალი მონახეს, ჯებირები გაარღვიეს და შვებით ამოისუნთქეს. ეს ნუგეში და შვება იმის "გაცნობიერებასთანაც" არის დაკავშირებული, რომ თურმე ჩვენში რაღაც ისეთი ხდება, რაც თავისი შინაარსით და პათოსით მსოფლიო კულტურისთვის მნიშვნელადი, უფრო მასშტაბური კონტექსტუალობით დატვირთული პროცესის ანალოგურია; რაც, თავისთავად, კულტურული აქტების სიმრავლეა და ამიტომ - კულტურული ღირებულების მატარებელიც. თითქოს, რაღაც ისეთი ხდება, რაც ავტომატურად გვრთავს მსოფლიო კულტურულ კონტექსტში. თითქოს, საერთოდაც, იგულისხმება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენში ხდება, კულტურის ნიშნით მარკირებული, ჩვენივე ისტორიაში აპრობირებული კულტურული პროცესია. სხვა დროს, შესაძლოა, ესეც გვეუკადრისა: როგორ თუ ჩვენი უნიკალობა უნდა შეილახოს იმაზე მითითებით, რომ ჩვენში სხვაგან უკვე მომხდარი, თუნდაც დადებითი შინაარსისა და შედეგების მქონე, მოვლენები მეორდება! ახლა ამაზე თანახმა ვართ. ოღონდ, არა უფრო მაღალ საფეხურზე ჩვენი ცნობიერების გადანაცვლების გამო. მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კომპრომისის ფასად, როგორც გარანტიას, კულტურაში "დარჩენას" ვთავაზობთ ჩვენს თავს, რომელსაც ასე გავურიგდით. ეს ყველაფერი

არაფრით თამაშს ემსგავსება. საქმე ის გახლავს, რომ ჩვენში არანაირი "აპრობირებული" და "კულტურაში კარგად ცნობილი", კულტურის შენარ-ჩუნება-გენერირებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა არ ხდება, გამეორე-ბის დონეზეც კი. არა მარტო იმიტომ, რომ არანაირი დადებითი შინაარსით ჩვენში "ღირებულებათა გადაფასება" დატვირთული არ არის. ეს - თავის-თავად... არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არარსებულს ვერ გადააფასებ, ხოლო თუ მაინც აგიტანს ნგრევისა და გადაფასების ჟინი, იგი ვერ შეიძენს რამენაირ სერიოზულ მნიშვნელობას ფართო კონტექსტ-ში. მოქმედების ის წესი, რომელსაც სინამდვილეში ადგილი აქვს დღეს-დღეობით, სხვა რიგისაა და აპრობაციასაც ყოველთვის ხელახლა და ყოვ-ელთვის წარმატებით გადიოდა ჩვენს დაჩეხილ-დანაკუწებულ, ტრაგიკ-ულ წარსულში. საქმე ეხება მხოლოდ ბიოლოგიური შეგუების ახალი, თანა-მედროვე ფორმების ძიებას "კულტურის" ყველა სფეროში. იგივე ითქმის მწერლობაზე. თუ ნებას მომცემ, სწორედ მწერლობის მაგალითზე დავახ-ასიათებ შეგუება-ადაპტაციის ამ პრაქტიკას, რომელსაც კულტურის მა-ღალ დონესთან არაფერი აქვს საერთო, კულტურული საქმიანობის ერთ-ერთ დაბალ საფეხურს კი ნამდვილად წარმოადგენს. პირველი: იმის მცდე-ლობა, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები მაქსიმალურად დავუ-ახლოვოთ, "მოვარგოთ" მოწინავე კულტურებში მოქმედ, დიდ და მნიშვ-ნელად, გლობალური კონტექსტის მამოძრავებელ პარადიგმებს, მოდელ-ებს (როგორც ისინი ჩვენს უკუღმართ გაგებას, ნაკლულ განათლებას წარ-მოუდგენია); მეორე: ჩვენთვის სასურველი ამა თუ იმ პარადიგმის წარმო-დგენა იმ ადგილად, საიდანაც უნდა დაიბომბოს არსებული, რომელიც ნებისმიერი (არა მხოლოდ ნარჩევი) დასავლური თუ აღმოსავლური პარა-დიგმის შუქზე აუცილებლად წარმოჩნდება, როგორც ნაკლული. ჩვენი ასეთი წარმოდგენები ემყარება წინასწარ აკვიატებულ ცრურწმენას, რომ ჩვენში კულტურის დასავლური გაგება და პარადიგმების მონაცვლეობის დასავლური მექანიზმი მუშაობს (მეც ასე ვფიქრობდი დაახლოებით ათი წლის წინ); მესამე: სურვილების რეალობიდან არსებული, თუმცა კი წაუკი-თხავი, რეალობის განკითხვისა და გარდაქმნის ვნება, რომელიც ნაწილ-ობრივ ემყარება შეუმოწმებლად მიღებულ დასკვნას, რომ ეს რეალობა ჩვენია, მშობლიურია და - ამიტომაც - კარგად ნაცნობი; იმის გაუთვალის-წინებლობა, რომ ასეთ დროს სწორედ ჩვენს თავს ვუპირისპირდებით და, ერთი შეხედვით რაციონალური და სანდო ინსტრუმენტებით აღჭურვილ-ები, საშინლად დაუცველები და ცარიელები ვართ უკვე მაშინ, როცა შეუ-მოწმებელი, წაუკითხავი რეალობა წაკითხულად მიგვაჩნია; მეოთხე: კუ-ლტურა ყოველთვის წარმოგვიდგენია საშუალებად და არა მიზნად, კულ-

ტურა ჩვენთვის ყოფითი საკითხების მოგვარების საშუალებაა როგორც პიროვნულ, ისე საზოგადო დონეზე, უფრო ფართო კონტექსტიდან გამომდინარე კი - გაბატონებულ პარადიგმებთან შეგუების ახალ-ახალი ფორმების დამკვიდრება... როგორ ხდება, რომ ღირებულებათა გადაფასების ყოველი ახალი პათოსი კომფორტულ თავშესაფარს პოულობს ხოლმე რომელიმე, უკვე გაბატონებულ, პარადიგმულ კონტექსტში?..

- შენი პროექტი დაგავიწყდა...

- რაც შეეხება ჩემს პროექტს, უკეთ, იდეას, იგი გულისხმობს თანამედროვე საზღვარგარეთული ლიტერატურის მსხვილი, სოლიდური მოცულობის ჟურნალის შექმნას. ასეთი ჟურნალი მოახერხებდა როგორც ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევას, ისე - მთარგმნელობითი კულტურის, მთარგმნელობითი სისტემის შექმნას; ყველა თაობის ქართველ მწერალს, ყველა თაობის დაინტერესებულ მკითხველს მიაწვდიდა ცოცხალ პროდუქციას პოეზიაში, პროზაში, ექსპერიმენტულ ლიტერატურაში, სალიტერატურო კრიტიკაში, ლიტერატურის სოციოლოგიაში, ლიტერატურის ესთეტიკაში... ჩემი პროექტი გულისხმობს, ძირითადად, ახალგაზრდა მთარგმნელებზე ორიენტირებას, და აქ შესაძლო შეცდომების არ მეშინია. სამწუხაროდ, არც ერთ ქართველ მთარგმნელს (ჩემთვის ცნობილს) არ უმუშავია საგანგებოდ მთარგმნელობითი სკოლის შექმნაზე. ვერავის დავძრახავთ, დრო იყო ასეთი, როგორც იტყვიან... ჩვენ მიჩერებული ვართ რამდენიმე მნიშვნელოვან, მაღალი რანგის მთარგმნელს და გვგონია, რომ მათზე უნდა "იდგეს" მთარგმნელობითი სფერო საქართველოში. ეს სიბნელეა. თუ მართლა გვინდა საქმის კეთება, მთარგმნელობითი საქმიანობის გაშლაზე უნდა ვზრუნავდეთ. წარმოიდგინე აბსურდის უსაზღვრობა, როცა ყოველწლიურად ასეულობით სტუდენტი ამთავრებს უცხო ენების ინსტიტუტსა და უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს და მხატვრული თარგმანის არანაირი სანუგეშო სპექტრი არ არსებობს... ათწლეულთა და ოცწლეულთა განმავლობაში რამდენმა ასეთმა სტუდენტმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი?.. მოდი, ყველაფერი რუსებს დავაბრალოთ, მაგრამ უშველის ეს საქმეს?.. ახლა მთავარზე: მეოცე საუკუნის მიწურულს, ქართველი მწერლები ბევრს ლაპარაკობენ ქართული მწერლობის განმსაზღვრელ როლზე ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების საქმეში, რეკლამირებას უწევენ "მრავალსაუკუნოვარ", "დიდ", "უნიკალურ" ქართულ მწერლობას. ამ საქმით, ძირითადად, მწერალთა კავშირი და ასპარეზზე ორმოციან-ორმოცდაათიან-სამოციან წლებში გამოსული მწერლები არიან დაკავებულნი. მაგრამ, პირადად მე, მაეჭვებს მათი პათოსის გულწრფელობა, უანგარობა. მათ, ძირითად-

ად, საკუთარი პროდუქციის ბედი ადარდებთ, თავიანთ ტექსტებს "დიდი ქართული ლიტერატურის" კონტექსტში მოიაზრებენ, თავიანთ თავს - დიდ ქართველ მწერლებად, და სწორედ თავიანთ მნიშვნელოვნებას იცავენ. ყალბი პათოსი ჟღერს ნებისმიერ განცხადებაში, რომელიც მსოფლიო სალიტერატურო სამყაროსთან ქართული მწერლობის ცალსახა ინტეგრირების მომწოდებელია, ამ "მსოფლიო მწერლობას" კი, უბრალოდ, ვალდებულად წარმოიდგენს ქართული მწერლობის წინაშე. მსგავს განცხადებებში ამ ფართო კონტექსტის ნათელყოფის არანაირი მოთხოვნილება არ იგრძნობა. როგორც ჩანს, ჩვენი მწერლების დიდ ნაწილს აწყობს კიდეც მეტად ამორფული, ცაში გამოკიდებული და აბსტრაქტული სახით მსოფლიო სალიტერატურო კონტექსტის წარმოდგენა, ხოლო ერთობ კონკრეტულად - ადგილობრივი პროდუქციისა და მისი "გატანის" საჭიროების. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, ერთის მხრივ, ამ კონტექსტის "მოახლოების" შიში, მისი "გაქართულების" შიში; მეორეს მხრივ, საკუთარი შესაძლებლობების ზღვრამდე ამ კონტექსტის "მოშვების", მისი კონტროლირების პოლიტიკა. ამ პოლიტიკაში მთელი ქართული მწერლობა (მისი ქვეცნობიერი მაინც) სოლიდარულია და ამიტომ თანამედროვე სალიტერატურო პროცესების "გაქართულებისთვის" არანაირი მონდომება არ იგრძნობა, ამ მოუნდომებლობას მათი შინაგანი სოლიდარობა "აწესრიგებს"; სამაგიეროდ მათი მონდომება, მათი ენერგია და ძალისხმევა უხვად იღვრება ნაირ-ნაირ კუსტარულ საქმიანობაში: იუბილეების მოწყობაში, მმართველი ხელისუფლებისთვის გუნდრუკის კმევაში, ერთმანეთის უსაქმურობის შესათვალიერებლად მოწყობილ ხშირ-ხშირ შეხვედრებში... თუ ქართული მწერლობის ბედზე მათი "ფორიაქი" თვალთმაქცობა არაა, მაშინ მათ უნდა გააჩნდეთ ირგვლივ არსებულით, ცოცხალი სალიტერატურო კონტექსტით დაინტერესების მოთხოვნილება. ხოლო თუ მე ვცდები და ეს მოთხოვნილება არსებობს, მაშინ რატომ არ ჩნდება ამ მიმართულებით ორგანიზების ძლიერი ნება?

- იქნებ იმიტომ, რომ არ არის ფული, მატერიალური სახსრები? განა, ჟურნალი "საუნჯე", თავისი მწირი ფულადი შესაძლებლობებით, სწორედ ქართულ ენა ზე სა ზღვარგარეთული ლიტერატურის წარმოჩენას არ ემსახურება?.. მწერალთა კავშირსაც ისევე უჭირს, როგორც ყველას...

- მწერალთა კავშირს ტონობით ფულიც რომ ჰქონდეს, ყოველთვის მოეძებნება ათასი უფრო "მნიშვნელოვანი" საქმე, ამის დიდი გამოცდილება აქვს... "საუნჯე" კი, არც ავად და არც კარგად, შენს მიერ აღნიშნულ ფუნქციას არ ასრულებს. გასათვალისწინებელია უფულობაც, უჰონორარო-

ბაც... მაგრამ თვით კუსტარულ საქმიანობასაც თავისი კულტურა უნდა ჰქონდეს. მე გადავათვალიერე "საუნჯის" ბოლო ათწლეულის ნომრები. ეს საცოდაობაა. არანაირი რაციონალურად გააზრებული მთარგმნელობითი და სარედაქციო პოლიტიკა, საპრეზენტაციო სტრატეგია ამ ჟურნალს არ გააჩნია. იგი მუშაობს სტიქიურად; ბეჭდავს, საუკეთესო შემთხვევაში, ლიტერატურის ისტორიაში დამკვიდრებულ ტექსტებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ითარგმნებოდა ქართულად. მიმდინარე საზღვარგარეული პროცესების წარმოჩენის ხარისხი, მთლიანობაში, ერთ პროცენტს არ აღემატება, ისიც - ძირითადად - რუსულენოვანი ჟურნალებიდან გადმოქართულებული მცირე მოცულობის ნარკვევების ხარჯზე. ამ თვალსაზრისით, "საუნჯე", დიახაც ავად თუ კარგად, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის ამსახველი ჟურნალია. მაგრამ ანაქრონიზმი ამ შემთხვევაშიც ანაქრონიზმია. აბა, სხვა რა ვუწოდო, მეოცე საუკუნის ბოლოს, ლაკლოს "სახიფათო კავშირების" ბეჭდვას ნომრიდან ნომერში და ისიც - რუსულიდან თარგმნილისას? ან, ვთქვათ, გოგოლის "მკვდარი სულების" მეორე ტომის თარგმანის ბეჭდვას პერიოდული ჟურნალის გვერდებზე? შენ ფიქრობ, ცოცხალი, თანამედროვე ჟურნალი ამაზე უნდა ცდებოდეს? მაგრამ რა გაეწყობა, ზოგჯერ წიგნის ჭაპანი ჟურნალმა უნდა ზიდოს, არა? გასაგებია, რომ არაა ფული, თანამშრომლები ხელფასს თვეობით ელოდებიან, მთარგმნელები ენთუზიაზმზე მუშაობენ. ეს ყველაფერი მართალია. მაგრამ არც ის მგონია ტყუილი, რომ ეს სიმართლე ხელს აფარებს ენერგიის არარსებობას, სურვილის არარსებობას, ძალისხმევის არარსებობას, პასუხისმგებლობის გრძნობის არარსებობას, სარედაქტორო უნარების სიჩლუნგეს. მე ვლაპარაკობ იმ შინაგანი ძალისხმევის არარსებობაზე, რომელმაც მთლიანობას მოქმედება უნდა მიანიჭოს. უფროსი და ზეუფროსი თაობის მოკალმეები ამ ძალისხმევისგან დაშრეტილნი არიან. მათ არ გააჩნიათ არც საჭირო ენერგია, არც ორგანიზებულობა, არც ახალი დროითი სულისკვეთება, ახალი რიტმის შეგრძნება. მაგრამ მათი დანაშაული ეს როდია, ერთ დროს ჩვენც ასეთებად ვიქცევით. მათი დანაშაული ისაა, რომ დროს უკან ექაჩებიან, თავიანთ სუბიექტურ დროზე ახალი რეალობის მორგებას ცდილობენ და ისიც იციან, რომ ამას აკეთებენ. მათ რომ მაღალი ზნეობა ჰქონდეთ, თავიანთ კალთებქვეშ ახალგაზრდების მიზიდვა-შეფარების ვნებით კი არ იმოქმედებდნენ, განზე გადგებოდნენ და მათგან განსხვავებულებს მისცემდნენ გასაქანს, მათ არ დაუპირისპირდებოდნენ. მაგრამ ეს, ვიცი, ფანტაზიის სფეროდანაა. ისინი ზანტი, ზოზინა, "ეტაპობრივი და თანდათანობითი ცვლილებების" მომხრე არიან. ვციტირებ ჟურნალ "მნათობის" ამჟამინდელი რედაქტორის სიტყვებს... მოგიყ-

ვები, საგულისხმო ისტორიაა. ამ ერთი წლის წინ მივედი და შევთავაზე, მისი ჟურნალის ერთი ნომერი პოსტმოდერნული ლიტერატურის მასალებს დათმობოდა, როგორც თარგმნილ, ისე - ჩვენი ადეპტების შემოქმედებას. ცხადია, მასალების შეკრება-სელექციას, თარგმნის ორგანიზებას, რედაქტირებას ყოველგვარი მატერიალური საზღაურის გარეშე ვკისრულობდი, ჩემი მეგობრების თანადგომის იმედიც მქონდა. არ გეგონოს, უარით გამოვესტუმრებინე. უბრალოდ, მისი პასუხი უარზე ბევრად უარესად ჟღერდა. "განმარტება", კარგად მახსოვს, ასეთი იყო: ქართველი მკითხველი საწყალი, დაბეჩავებული მკითხველია და მისთვის რაიმე სიახლის(!) შეთავაზება ასეთი შტურმით(!) ლამაზი და გამართლებული არ იქნება, ამიტომ, მოდით, ასე მოვიქცეთ, ჟურნალის თითო ნომერში პოსტმოდერნიზმზე თითო წერილი ან რაიმე სხვა მასალა დავბეჭდოთ(!), აჯობებსო. ალბათ, ეს ლოგიკა გულისხმობდა პრეზენტაციის ასეთი ორიგინალური სერიალის ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში წარმატებით დასრულებას. მე ამასაც არ მოველოდი, ამიტომ გულწრფელად მადლიერი დავრჩი (შემდგომ ეს პროექტი ნაწილობრივ განხორციელდა ჟურნალ "ცისკრის" ბაზაზე, 1998 წლის მე-4 ნომერში, ბ-ნი ზაურ კალანდიას დაინტერესებითა და თანადგომით). "მნათობის" რედაქტორის წინადადება, ნაწილობრივ, გამოცდილი და უფროსი ადამიანის ბრძნული და გამჭრიახი ზომიერება იყო, ნაწილობრივ - კულტურული დიაპაზონის სივიწროვე, უფრო მეტად კი - სიახლის შიში, ამ სუბიექტური შიშის პოზიციებიდან მისი მმართველობის ქვეშ არსებული ტერიტორიის კონტროლირება. საბოლოო ჯამში, ეს ის სიზანტეა, რომელიც კულტივირებულია უფროსი თაობის მიერ და რომელიც ხელს უშლის კულტურული დინამიკის პროცესს. ვიმეორებ, ესაა დაკონსერვებულ სუბიექტურ დროზე ქრონოლოგიური დროის მოჭრა-მორგების აპრობირებული პრაქტიკა. როდის-როდის ვიღაც რაღაცას წაიკითხავს, თარგმნის, ამ თარგმნილს როდის-როდის მომწონებლები გამოუჩნდება, როდის-როდის ვიღაც დაჯდება და სულ სხვა კულტურულ კონტექსტში შექმნილ რომელიმე ტექსტს და ენას თავის შესაძლებლობებზე "დაამყნობს"... ასე არაფერი გაუმჯობესდება. ნებისმიერ, მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულ და ნორმირებულ, თუნდაც მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე საზოგადოებაში, აუცილებლად მუშაობს კულტურისთვის დამახასიათებელი სოციოდინამიკური წესრიგის რაღაც ფორმა. ამ ფორმის შინაარსია გარკვეული, უკვე შექმნილი, სიტუაციის შენარჩუნება ამა თუ იმ დონეზე, ამა თუ მოვლენებით მომდევნო მოვლენების გაპირობებულობა, და ამაში ცალკეული ინდივიდების პირადი ძალისხმევის წვლილი ნაკლებია; ეს, ასე ვთქვათ, არავის დამსახურება არ არის. უფროსი და ზეუფ-

როსი თაობის მწერლები, ზოგი დუმილით, ზოგი - სარედაქტორო-საგამომ-ცემლო საქმით, ზოგი - კალმით, აკეთებენ არა იმას, რაც შესაძლებელია, არამედ იმას, რაც პირადად მათ თავიანთი სიზანტის შესატყვისად, სოციალისტური წარსულიდან შეთვისებული შინაგანი რეჟიმის შესატყვისად შეუძლიათ.

- შენ ფიქრობ, რომ თუ ეს სიზანტე მოისპობა, წიგნს მყიდველი გამოუჩნდება? ან, რომ ჟურნალების გამოსაცემი ფული ციდან მანანასავით ითოვებს?

- არა, მე ასე არ ვფიქრობ. ვისაც წიგნი აინტერესებს, მას ფული არასოდეს ექნება. დღეს მხოლოდ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოები იყიდება; მათი ყიდვა აუცილებელია, ამიტომ დღეს-დღეობით ლექტორთა და მეცნიერთა უმცირესი ნაწილის ეს ბიზნესი ყვავის, ხვალ ისიც ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. უბრალოდ, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს ილუზია, რომ წიგნის და სალიტერატურო ჟურნალის გამოცემაზე დახარჯული ფულის ამოღება შეიძლება. უზარმაზარ რუსეთშიც კი, წიგნის ფასი მიზერული და ლამის სიმბოლურია, ის ვერანაირად ვერ ანაზღაურებს გამოცემის თანხებს; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წიგნის კომერციულობა-არაკომერციულობას. საქართველოში, როგორც რუსეთის ეკონომიკურ-კულტურული სიტუაციის უხარისხო ვარიანტში, იგივე კანონზომიერებები მუშაობს. ქართული კულტურის, კულტურული სიტუაციის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლის შესრულება, მართლაც რომ რადიკალურად სიტუაციის შეცვლა მხოლოდ მეცენატობის გაძლიერებას, რაციონალიზებას და სამეცენატო მენტალური სივრცის შექმნას შეუძლია.

- საზღვარგარეთის ქვეყნებიც ხომ გვეხმარებიან, მათი დახმარების რაციონალიზაციაც შეიძლება...

- მე პირველი გზა უფრო ღირსეული მგონია, ეს ჩემი აზრია, განსხვავებული აზრიც არსებობს. ასეა თუ ისე, ყველამ იცის, რომ საქართველო დღეს-დღეობით მათხოვრობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ვიღაც ამას არქმევს კრედიტებს, ვიღაც - სესხებს, ვიღაც - მეგობრების თანადგომას. სინამდვილეში, ესაა მათხოვრობა. რაც დრო გავა, უკეთ გამოჩნდება, რომ ამ ვალებს საქართველო ვერასდროს გაისტუმრებს, ეს დღესაც ნათელია. ყველაზე უკეთ ეს თვით ამ სესხის გამცემმა დასავლეთმა იცის. პიროვნება იქნება თუ სახელმწიფო, ფულს პირადი სარგებლობის, სერიოზული პირადი დაინტერესების გარეშე არავინ იძლევა; ვისაც ფული აქვს, აქვს მისი გაცემის პოლიტიკაც, თუნდაც კეთილი მიზნებით ნიშანდებული, და სიყალბე ან შეცდომაა ამ დროს დემოკრატიის, ჰუმანიზმის

და სხვა იდეოლოგიური კატეგორიების მოშველიებით ფაქტების ახსნა-გამართლება. ასე რომ, დღეს თუ შიმშილით სული არ გვძვრება, მხოლოდ - მათხოვრობის ხარჯზე... რაც შეეხება ქართველი ფულიანი ადამიანების მიერ კულტურაში ფულის ჩადების პრაქტიკას, ამაზეც იგივე შეიძლება ითქვას, რაც, საერთოდ, კულტურაზე. კულტურის სფერო მათემატიკის სფეროზე ნაკლები სიზუსტით არ ხასიათდება, მასში უმკაცრესი იერარქია და სუბორდინაციაა გამეფებული; მეცენატობის კულტურაც, საერთოდ, კულტურის შემადგენელი ქვესისტემაა და იოლად გამოსაცნობი კოდებით და ნიშნებით არის აღჭურვილი. საქართველოში, სადაც შეიძლება არ არსებობდეს პროფესიული სამუსიკო კრიტიკა და ფილარმონიის სცენაზე რუსული პოპესტრადის ვარსკვლავები უწყვეტად ცვიოდეს, კულტურა არ არსებობს; საქართველოში, სადაც მიმდინარე საზღვარგარეთული სალიტერატურო ცხოვრების მონაწილე არც ერთი ცოცხალი ავტორი არ გამოიცემა, არანაირი საწიგნო კულტურა არ შეიმჩნევა, ქვეყანა კი გაზეთებმა წალეკეს და ამ გაზეთებიდან გაუსვლელად ყველა ჭორ-მართალის შეტყობა შეიძლება უცხოელ პოლიტიკურ მოღვაწეებზე თუ კინოვარსკვლავებზე, კულტურა არ არსებობს; საქართველოში, სადაც ამდენი თეატრია, თანამედროვე დრამატურგიის შესახებ წარმოდგენები კი - სტიქიური, კულტურა არ არსებობს, არც სახელოვნებო და არც სამეცენატო.ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ. ნუთუ, მართლა შეუძლებელია, დღესდღეობით საქართველოში ერთი მაინც ისეთი მსხვილი ბიზნესმენი მოიძებნოს, რომელიც მომენტალურად შეაფასებდა შექმნილ სიტუაციას და მიხვდებოდა, რომ მისთვის იოლზე იოლი საქმეა უკვდავება, ნებისმიერი სარაჯიშვილის თუ ზუბალაშვილის უკან ჩამოტოვება (არა ერთი და ასი ნაბიჯით), სისტემურად და რაციონალურად თუ იმოქმედებს. მაგალითად, გერმანულენოვანი, ფრანგულენოვანი ან ინგლისურენოვანი ლიტერატურის მრავალტომეულის თარგმნა-გამოცემის უზრუნველყოფას თუ მოახერხებს. ვინ დაუშლიდა ასეთ ფულიან ადამიანს, მთელი ეს სერია (ორმოცდაათტომეული იქნებოდა თუ სამოცტომეული) თავისი საყვარელი შვილისთვის ან შვილიშვილისთვის მიეძღვნა? ეს ხომ მართლაც უკვდავებაა, უკვდავება გონებისა და ფულის შერწყმის ფასად... არის სფეროები, რომლებში ჩადებული მილიარდებიც ვერ უზრუნველყოფს ფულიანი ადამიანის უკვდავებას; არის სფეროები, რომლებში ჩადებული ფულიც უკვდავების საწინდარია. და კიდევ, რაც ევროპასა თუ ამერიკაში შეუძლებელია (წიგნში ფულის ჩადებით უკვდავების ამოგება), საქართველოში შესაძლებელია... სწორად გამიგე, მე ვლაპარაკობ იმ მენტალურ ველზე, რომელიც ფულიან ადამიანს

მისცემს ან არ მისცემს ამ მიმართულებით განაზრების უნარს. არ არსებობს ის კულტურული მენტალიტეტი, რომელიც პრიორიტეტების წესრიგს, კულტურული სუბორდინაციისა და იერარქიის წესრიგს ნათელყოფდა.

- დასავლეთის, საერთოდ მოწინავე საზღვარგარეთის, ქვეყნებში მეცენატები დიდი შეღავათებით სარგებლობენ, გადასახადებისგან თავისუფლდებიან, კულტურაში ფულის ჩადებას კანონმდებლობა აწესრიგებს...

- ჩვენთან, ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი არსებობს, მაინც და მაინც საამისოდ ვერ მოიცალეს. დიდი დრო გავა, ვიდრე ამ ფრონტზეც რაღაც გაჩნდება, რაღაც მართლა ღირებული, ჯერ კიდევ გასავლელია ბიძაშვილ-დეიდაშვილი მოხელოვნეებისთვის და მოკულტურეებისთვის ფულის გადარიცხვის გზით გადასახადებისგან თავის არიდების ბრძნული პოლიტიკის მომავალი ტენდენცია... თუმცა, რომელ სამეცენატო კულტურაზეა ლაპარაკი, როცა სახელმწიფო კერძო პირებისგან აუცილებელი გადასახადების ამოღებასააც კი ვერ უზრუნველყოფს... და, იმედია, შექმნილი სიტუაციის ორაზროვნებაში ეჭვი არ გეპარება. შესაბამისმა სამსახურმა მოინდომოს და ფული ვერ ამოიღოს? ეს ხომ აბსურდია. უბრალოდ, ამ ფულის ამოღება სხვა ფორმებითა ხდება... და ამ განუკითხაობაში და ქაოსში მწერლობისთვის თავს ვინ შეიწუხებს! როგორც იტყვიან, დროა ასეთი... რაკი, დღესდღეობით, მწერლობა, როგორც საერთოდ კულტურა, საქართველოში პოლიტიკასთან და იდეოლოგიასთან გაყრას არ აპირებს, მმართველი ძალა იმ ფორმით და მიმართულებით მის "განვითარებაზე" ზრუნავს, როგორც თვითონ ჰგონია უკეთესი. აქ, ალბათ, ბევრი სხვადასხვა ინტერესი იხლართება ერთმანეთში.

- ალბათ, დიდ როლს თამაშობს არა მაინც და მაინც ჩვენი კონკრეტული ხელისუფლების პირადი ინტერესები, არამედ ისტორიაში კარგად ცნობილი ანტაგონიზმი პოლიტიკასა და კულტურას, სახელმწიფოსა და ხელოვნებას შორის...

- არა, ამ "მაღალი თემების" მოწყვეტის არანაირი სურვილი არ მაქვს, რეალური სიტუაცია ბევრად უფრო პროზაული და მიწიერია... მე დარწმუნებული ვარ, რომ არც მწერლობა და არც, მთლიანად, კულტურა არ არსებობს სახელმწიფო მონიტორინგის ამა თუ იმ ფორმის გარეშე (ამ თემას თუ შევყევით, მეტაფიზიკური პრობლემების განხილვამდე მიგვიყვანს). მაგრამ მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული, კულტურული მონიტორინგი წარმოუდგენელია სალიტერატურო კულტურისა და სახელმწიფოს კულტურული სტრატეგიების სისტემის არარსებობის, ამ ორ მხარეს შორის დია-

ლოგის არარსებობის "ბაზაზე". ამ თვალსაზრისით, ჯერ არაფერი შეცვლილა, ძველი მენტალიტეტი და რეჟიმი მუშაობს, კონტროლის მექანიზმს მართავს იმისგან წინასწარ თავის დაზღვევის, თავდაცვის პოლიტიკა, რასაც მმართველი ხელისუფლება და რეჟიმი არ ისურვებდა და რაც ჯერ ისედაც არ არსებობს. არა, ეს პარადოქსი არ არის. კულტურისადმი, ხელოვნებისადმი, მწერლობისადმი დამოკიდებულების ასეთი ფორმა დამღუპველია სახელოვნებო სიტუაციისთვის, ვინაიდან, საბოლოო ჯამში, ეს პრაქტიკა იწვევს ხელოვნების, მწერლობის პერმანენტულ აკრძალვას, მის დაჩლუნგებას, დაშტერებას. ხელისუფლების მოთხოვნილება, რომ ხელოვნება მორჩილებაში ჰყავდეს, ჯერ კიდევ ასე თუ ისე არსებული შესაძლებლობების გადაგვარება-გაქრობას გამოიწვევს. იმის ნაცვლად, რომ მმართველმა სტრუქტურებმა მწერლობის შენარჩუნებაში, სალიტერატურო სიტუაციის ჩამოყალიბებაში კონსტრუქციული როლი შეასრულონ, ისინი დესტრუქციულ როლს თამაშობენ იმით, რომ მათ წინაშე დამსახურების მქონე ნახევრადპროფესიული მოკალმე ძალების გამოყენებით, მათზე დაყრდნობით მანევრირებენ, და მათი მანევრირების პოლიტიკისთვის განმსაზღვრელია არა მწერლობაზე ზრუნვა, არამედ ჯერარარსებულის წინასწარი კონტროლი იმ იმედით, რომ რაც დაიბადება, ყველაფერი ცენტრისტული იქნება. არადა, მათ რომ რეალური ინტელექტუალური და სულიერი ენერგია გააჩნდეთ, სწორედ ოპოზიციური, საპირისპირო ძალების გაძლიერებაზე იზრუნებდნენ. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები არსაიდან და არაფრისგან ლიტერატურას ვერ შექმნიან. მე ვსაუბრობ მმართველი სტრუქტურების ხელთ არსებული ბერკეტების ამუშავებაზე. შენ გგონია, ამისთვის რაღაც ზეადამიანური შესაძლებლობების მობილიზებაა საჭირო? ამისთვის საჭიროა ინგლისური ენის მცოდნე ბაფთიანი გოგონას (სასურველია, კარგი მცოდნის) დასმა და რომელიმე ევროპული ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო ნაკრების გადმოწერა, ანუ, როგორც ამას ჩვენში ეძახიან, "კანონპროექტის მომზადება", მერე ამ მომზადებული, ანუ კოსმეტირებული, კანონპროექტის დამტკიცება და ამოქმედება. მაშინ გამოჩნდება პრემიებიც, გრანტებიც, სტიპენდიებიც, საგამომცემლო კონკურენციაც... მაგრამ მე არ ვარ ოპტიმისტი ამ თვალსაზრისით: არ მჯერა, თითქოს ამის აუცილებლობას თავად, საკუთარი კეთილი ნებით გააცნობიერებს ჩვენი მთავრობა. უბრალოდ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ჩვენს ისტორიაში, სადმე სხვაგან, აქედან ძალიან შორს, გაიცემა მითითება საქართველოში კულტურული ცხოვრების სტანდარტიზების, რომელიმე გამარჯვებულ უცხო მოდელზე მისი მორგების, ნორმირების შესახებ, და სასწრაფოდ "შეიქმნება" "კულტურა", ანუ - ცუდი გამეორება. მე მხოლ-

ოდ ამ პროცესის დაჩქარების სურვილს გამოვთქვამ, რაკი მაინც ასე უნდა მოხდეს...

- და შენ ასეთი კულტურით კმაყოფილი იქნები?

- თუ საქართველოში კულტურა შეიქმნება (რა გზითაც არ უნდა შექმნას იგი), მასთან ჩემს პირად ურთიერთობასაც მაშინ გავარკვევ, იმის შესაბამისად, თუ რა შინაარსი და მოძრაობის რა მიმართულება ექნება ამ კულტურას... დღესდღეობით კი, საზოგადოებაში, რომელშიც კულტურის კოდები და სიმბოლოები მეტად მწირია, ჩემი ღია, დაუფარავი, გაუსაიდუმლოებელი ნონკონფორმიზმის შინაარსია სწორედ კულტურცენტრისტული მოძრაობა; ამორფული და დაფანტული, გაურკვეველი სიტუაციისთვის ძირის გამოთხრა კულტურის შექმნის გზით. რაც დღეს არსებობს, კულტურის თვალსაზრისით, თუნდაც კულტურული სუბორდინაციის თვალსაზრისით, არარსებობის ტოლფასია. ჯერ მხოლოდ შესაქმნელია ის, რასთან ურთიერთობის გარკვევის საშუალებაც მიეცემა ნებისმიერს, ვისაც ამის შინაგანი მოთხოვნილება ექნება.

- შენი საუბრიდან იმ აზრის გამოტანა შეიძლება, რომ უფროსი თაობის მწერლებს უპირისპირდები, როგორც კულტურულად ნაკლულებს, უკულტუროებსაც კი.

- არა, მე არავის ვუპირისპირდები. უბრალოდ, საქმისადმი მათი და ჩემი დამოკიდებულება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. პასუხისმგებლობის მათი გაგება, მათი სიმბოლიზმი კარგად და გამართულად მუშაობდა ტოტალიტარული მმართველობის პერიოდში. ახლანდელი მათი შინაგანი გაორების შინაარსი ისაა, რომ არც ტოტალიტარიზმი უნდათ და ვერც ცხოვრების და აზროვნების ძველი რეჟიმიდან გამოსვლას ახერხებენ, ისევ "ორმაგი ჭეშმარიტების" პრინციპით მოქმედებენ... მათი ასეთი "მოღვაწეობა" შეუმჩნეველიც კი იქნებოდა, ჩვენში რომ ალტერნატიული, პარალელური არხები მთელი დატვირთვით, თავისუფლად მუშაობდეს. საქართველო პატარაა, ამიტომ მათ მიერ ბლოკირებული ადგილებიც, თვით ამ ბლოკირების ისტორიაც, ძნელი შესამჩნევი არაა... ვიდრე არ იქნება შედარების საშუალება, ნებისმიერ რეტროგრადს ექნება რეალური შესაძლებლობების მაქსიმუმთან თავისი სარედაქციო-საორგანიზაციო ძალისხმევის მაქსიმუმის იდენტიფიცირების სიჯიუტე. საკმარისია, გასაქანი მიეცეს ალტერნატივებს, რომ ეს "ჰარმონია" და "იდილიური ატმოსფერო" დაირღვევა...

- შენი "პოლილოგი" და "±ლიტერატურა" ხომ ალტერნატივები იყო?

- არა, ისინი ავტონომიები იყო... ვიდრე "საუნჯე" საზღვარგარეთული ლიტერატურის პრეზენტაციის ერთადერთი მიზნობრივი ჟურნალია, მისი

რედაქტორი ყოველთვის მშვიდად და არხეინად იქნება, არც ნაირ-ნაირ ეკონომიკურ ბარიერზე მითითებით თავის დაცვა გაუჭირდება და არც - ლიტერატურის ისტორიის ოქროს ფონდიდან თარგმნილი და ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილი კლასიკოსი ავტორების ნუსხის წარმოდგენით, არც - მაღალფარდოვანი რიტორიკით და ზნეობრივ-ლიტერატურულ-პატრიოტულ-მეტაფიზიკურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური კატეგორიების ერთმანეთში აღრევით, რაც, საბოლოო ჯამში, ყოველთვის პროფანიზმისა და დაბალი პროფესიონალიზმის, იმავდროულად კი ავტორიტარული და აპრიორულად ნაგულისხმევი უპირატესობით დაცული უპასუხისმგებლობის ნიმუშია... რაც შეეხება ჩემს ჟურნალებს, ისინი სულ სხვა რიგის აქციები იყო, არც თუ ძალზე მანათობელი. ალბათ, ოდესმე გაჩნდება მოთხოვნილება და ვინმე სერიოზულად დაინტერესდება, რა იყო "პოლილოგამდე" და "±ლიტერატურამდე" და ამ გამოცემების მერე რა შეიცვალა ან რა ვერ შეიცვალა. ან დავით ჩიხლაძის უზუსტესმა აქციებმა (სინამდვილეში კი, უბრალოდ, მისი არსებობისთვის, მისი სუნთქვისთვის შინაგანად აუცილებელმა სიგიჟეებმა) რა შეცვალა და რა სიმბოლოები შექმნა... კულტურის სოციოლოგიაში შემუშავებული, მოქნილი მეთოდების გამოყენებით ამის შემოწმება დღესაც იოლია... ის, რაც ძალზე მწირი ფულადი სახსრებით და ახალი თაობის ქართველ პოეტთა ძალისხმევით მაშინ მოხერხდა, ადგილობრივ საჟურნალო გარემოში დღემდე უპრეცედენტო ნიმუშად რჩება. ისინი, მართლაც, ყველანი პოეტები და შეშლილები იყვნენ: ისიც, ვინც ლექსებს წერდა; ისიც, ვინც თარგმნიდა; ისიც, ვინც სტამბავდა; ისიც, ვინც აფინანსებდა ამ საქმიანობას; ისიც, ვინც თავის ტექნიკურ ბაზას მართლაც რომ უანგაროდ (ანუ მაღალი შეგნებით) ახმარდა ამ საქმეს; ისიც, ვინც ყიდულობდა ამ გამოცემებს... დღეს ეს სიგიჟე და პოეზია, ეს მართლაც ურეკლამო და ბეჯითი მთლიანობა აღარ არის, აღარ არსებობს. "±ლიტერატურას" რომ ერთ წელიწადს მაინც ეარსება, ეჭვი არ მეპარება, ქართული მწერლობა სულ სხვა სახეს მიიღებდა, ბევრი რამ შეიცვლებოდა; ბევრი სიყალბე, თვალთმაქცობა, პარაზიტობა და მზაკვრობა დარჩებოდა უფუნქციოდ... ამ თავხედური რწმენისთვის ბოდიშს ვიხდი...
- დაბოლოს, შენს იდეას რას უპირებ? ის რომ მართლა განხორციელდეს, სულ მცირე, მივიღებთ ერთი რიგითი მთავრობის, ფულიანი ადამიანებისა და პროფესიული მთარგმნელობითი ძალების ურთიერთთანამშრომლობის კეთილშობილურ პრეცედენტს, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მთლიანობას.
- არაფერსაც არ ვუპირებ. თუ ჩვენი საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდება, მე მას მეწარმეთა კავშირში და კიდევ რამდენიმე მსხვილ "სამხედრო ბა-

ზაში" მივიტან. იქნებ, ვინმე დაინტერესდეს. დიახ, ცუდი მეტაფორა არ იქნებოდა...

- სხვა აქციას ხომ არ ამზადებ?

- არა, არაფერს, ეს ჩემი ბოლო "ხალხოსნური" ჩანაფიქრი იყო. ახლა მთლიანად ჩემს თავს უნდა მივხედო, წლინახევრის წინ ერთი იდეა ამეკვიატა და დღემდე ვერ მოვსინჯე. თუმცა, ეს სულ სხვა, ძალზე უაზრო საქმეა. როცა ბევრს ვმუშაობ, მერე, დროდადრო, ასე ვერთობი ხოლმე.

- მაინც?

- მეტროს გაზეთებში უნდა ვცადო ბედი, როგორც პოეტმა და მთარგმნელმა. იქნებ, მეტროს გაზეთების რედაქტორები ჩემი ლექსებით და პოეტური თარგმანებით დაინტერესდნენ. მათთან თანამშრომლობის დიდი სურვილი მაქვს. მე მომწონს, მართლა ძალიან მომწონს მეტროს გაზეთების კულტურა...

20 მარტი, 1999

განსხვავებულის მიმოქცევა

(წინასიტყვა ბესიკ ადეიშვილის წიგნისთვის "ბოლო ლირიკა", თბილისი, 2000)

უცხოენოვანი ტექსტის გადმოთარგმანების - ანუ მისი შესრულების - პროცესი ბესიკ ადეიშვილის ესთეტიკაში თავიდანვე გააზრებულ იქნა, როგორც ნებისმიერ შესაძლო ტექსტში შესვლის, მასში საკუთარი ადგილის (ანუ ხედვის "უმჯობესი" რაკურსის) მიგნების და ამ ადგილიდან ტექსტის აქტიური თვალიერების, აღწერით-ჩაწერის საქმიანობა. ამ ნიუანსის გაუთვალისწინებლად, "გარედან მოსული" მკითხველისთვის, ალბათ, გაუგებარი დარჩება ბესიკ ადეიშვილის - როგორც ტექსტის წერით-მკითხველის - შემოქმედების საიდუმლო. ეს თარგმანები, გერმანული ენობრივი სამყაროს მისტიკური მრავალფეროვნების შიგნიდან-აღმწერი პრაქტიკები, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვენ იმ ფაქტობრივი რეალობის გაგებას და გააზრებას, რომ ადგილი, რომელსაც მთარგმნელი ენის ინტერიერის აღსაწერად ირჩევს, მისი ბედისწერის უმთავრესი ელემენტია, მისი ის გამოცდილებაა, რომელიც გამორიცხავს მთარგმნელის, როგორც ინდივიდუალური შინაგანი დრამის პერმანენტულობით განუპირობებელი და დაღდაუსმელი ოსტატის ფენომენს, მეტიც, თავისი საქმიანობით აძლიერებს აღნიშნულ მთლიანობაში ცხოვრებისეული ბედისწერის განმსაზღვრელ, კონსტიტუციურად წამყვან როლს. შეიძლება უბოდიშოდ თქმა, რომ მისი თარგმანები იმედს გაუცრუებს ნებისმიერს, ვინც აქ წარმოდგენილ გერმანულენოვან ავტორთა ტექსტების ინფორმაციული ათვისების მოლოდინით განიმსჭვალება. არა მხოლოდ იმიტომ, რომ საკაცობრიო კულტურაში ჯერ არ არსებულა ორიგინალური ტექსტის ექვივალენტური უცხოენოვანი თარგმანი; არც მხოლოდ იმიტომ, რომ ნებისმიერი მთარგმნელი, როგორც გარკვეული კულტურული, ინდივიდუალური, ლინგვისტური გამოცდილებით ნიშანდებული ფიგურა, "განწირულია" უკვე-ინტერპრეტატორად და ოდენ-ინტერპრეტატორად ყოფნისთვის. უბრალოდ, ბესიკ ადეიშვილის პოეტური ხდომილებები განკუთვნილია იმათი თვალისთვის, გულისთვის და გონებისთვის, ვისაც კულტურაში თავისი მდგომარეობით და მოძრაობით მოუპოვებია შესაძლებლობა - ტექსტს კითხულობდეს, როგორც ექსისტენციალურ, ერთადერთ და განუმეორებელ ყოფიერებას, რაც, არსებითად, გულისხმობს ტექსტის ბედისწერის წაკითხვის, ამ ბედისწერასთან დიალოგის უნარს (რაც, თავის მხრივ, ტექსტის ნდობის დამსახურების ერთადერთი პირობაც არის).

გაღიზიანების, დისკომფორტის, უარყოფის შეგრძნება, რასაც ასეთი თარგმანები იწვევს მკითხველში და არქაიზმის, მაღალფარდოვნების და ამაღლებული სტილის, ენობრივი სირთულის ნიშნებით მათი ბრალდებისკენ უბიძგებს, ჩემი ღრმა რწმენით, მიზეზია არა აღნიშნულ ტექსტთა სირთულის, არამედ - თვით მკითხველის კულტურული მდგომარეობის და ამ მდგომარეობის მომწესრიგებელი გამოცდილების სიუხეშე-მოუქნელობის, და ამ უკანასკნელის შინაარსია ტექსტის, როგორც ექსისტენციალური მთელის, მთავარი მოთხოვნის ყურად არღება. რას მოითხოვენ, ამ თვალსაზრისით, ბესიკ ადეიშვილის ტექსტები? თითოეული მათგანი უპირობოდ მოითხოვს წაკითხვას და მხოლოდ ამ პროცედურის ჩამთავრების მერე კრიტიკული დიალოგის წარმოებას, მხოლოდ მას მერე, როცა მკითხველის მიერ გააზრებულ იქნება ტექსტი, როგორც მთლიანობა; სატექსტო არსებობა, როგორც ერთი მთელი. სირთულე სწორედ აქ იმალება, და სხვაგან არსად. სინამდვილეში, თვით ეს წაკითხვა, წაკითხვის მოთხოვნილება ითხოვს იმას, რაც, ერთი შეხედვით, თარგმანების მოთხოვნად გამოსჩანს. პრობლემა სწორედ წაკითხვის შესაძლებლობაა. წაკითხვა მოითხოვს წაკითხვის ჩვევას, ეს უკანასკნელი კი, თავის საუკეთესო წუთებში, ყოველთვის განსხვავებულთან შეხვედრის მზადყოფნა და მოლოდინია, მზაობაა, წინასწარგანწყობაა. მით უმეტეს, რომ საქმე ეხება განსხვავებულს, როგორც კულტურის ნაყოფს, და არა - ნებისმიერ ფასად გაუცნაურებულს. და როცა მკითხველი განსხვავებულის წაკითხვის უუნარობის, მოუმზადებლობის აღიარების ნაცვლად, ტექსტის ბედისწერის ბრალდებით ანუ სავსებით აბსურდული საქმიანობით არის დაკავებული, საკუთარ თავს კიდევ ერთხელ წირავს იმისთვის, რომ რეალური არჩევნის შესაძლებლობა წაერთვას. ტექსტის მიღების ან მისგან გაკიდეგანების აქტი კულტურულად გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ მას მერე, როცა წაკითხვის პროცესი უკვე განხორციელებულია. შეგვიძლია კი წაკითხვა? აი, ამ რთულ და, შესაძლოა, არსებით კულტურულ კითხვასაც სვამენ მკითხველის წინაშე ბესიკ ადეიშვილის ტექსტები (თარგმანები, ესსეები, საკუთრივი ლექსები). ჩვენი სიუხეშე გვაიძულებს, ტექსტი მოვსპოთ და პანიკურად გავანადგუროთ წაკითხვამდე ადრე, ანუ მოვუსპოთ ჩვენს თავს იმის გარკვევის არჩევანი, არის თუ არა ეს ტექსტი ჩვენი (ბოლოსდაბოლოს, სამყაროში ხომ სხვა ურიცხვი ტექსტიც არსებობს). ერთი სიტყვით, საქმე ეხება ტექსტებს არა მომხმარებელი მკითხველისთვის, მხოლოდ თვალით მკითხველისთვის, კომუნიკატორისთვის; არამედ - ტექსტებს გონებით-მკითხველისთვის ანუ ბედის-მთხრობელის ტექსტების კითხვის შემძლებელთათვის. კითხვისა და გაგების ეს წესი, პრაქტიკულ-

ად, შეუძლებელი იყო იმ საბედისწერო დროში და გარემოში, რომელშიც ბესიკ ადეიშვილის ტექსტები იქმნებოდა (სამაგიეროდ, შესაძლებელი იყო ამ ტექსტებიდან და მათი ავტორის საუბრებიდან უნებური იმპულსების მიღება, მდარე საშინაარსო-საფორმო უნარებით მათი "ათვისება", მერე კი იმპულსის მომცემი წყაროს მიმართ ბევრთა ერთსულოვანი დუმილი ან სასხვათაშორისო რიტორიკით მისი გაძევება ნეიტრალურ, უსაფრთხო ტერიტორიაზე; და ეს საქმიანობაც - ანუ ქართულ მწერლობაში მარადმწვანე და ნაირსახოვანი პრაქტიკა ქურდობისა და ძარცვა-გლეჯისა - არაიშვიათად წარმოებდა ავტორის მიმართ საკულისო კეთილგანწყობის, მისი ღრმა ერუდიციის დაფასების და კულტურული დიაპაზონის აღიარების სახელით და მითოლოგიით).

როცა საუბარია განსხვავებულზე, გასათვალისწინებელია, რომ იგი არ არის ერთგვაროვანი და ერთგანზომილებიანი ფენომენი და მისი შინაარსი ყოველთვის იმ კონტექსტთან ურთიერთმიმართებაში დგინდება, რომელშიც უხდება მოქმედება და საკუთარი არსებობის შენარჩუნება, სწორედ როგორც განსხვავებულს. ბესიკ ადეიშვილის, როგორც განსხვავებულის, ფენომენი, მაღალკულტურულ თუ საშუალოკულტურულ ქვეყნებში განსხვავებულის მოქმედების წესისგან განსხვავებით და საუბედუროდ, თავის გადარჩენის და შემოქმედებითი მოძრაობის პროცესებს მიცემული იყო კულტურის კოდებს მოკლებულ ან, უკიდურეს შემთხვევაში, კულტურულად ჩლუნგ გარემოში, სადაც თითოეულ "ოფიციალურ" მოკალმეს (მწერალს, მთარგმნელს, ლიტერატურათმცოდნეს, ცენზორს) პრეტენზია ჰქონდა კულტურულობაზე, ამ "კულტურული ადამიანების" ერთობა კი, რატომღაც, ვერ ქმნიდა კულტურულ გარემოს, კულტურულ კონტექსტს. ეს "ჩავარდნა" აქტიურად იჩქმალებოდა, პირველ რიგში, სწორედ ამ "კულტურული ადამიანების" მიერ მათსავე - ამ "კულტურული ადამიანების" - სასარგებლოდ: მათ მიერ "დიდი შრომის" ფასად შექმნილი და გენერირებადი სიტუაცია საიმედოდ იყო დაცული და დაზღვეული ნებისმიერი განსხვავებულისგან ან ალაგ-ალაგ და დროდადრო მაინც გაჩენად განსხვავებულთათვის განსხვავებულობის შენარჩუნებისგან (ხდებოდა, მაგალითად, განსხვავებულის ფიზიკური განადგურება, ან - მისი დემორალიზება, ან - უწყინარ და სახალისო "განსხვავებულად" მისი გადაქცევა და ა. შ.; აღსანიშნავია, რომ ამ "საპატიო" საქმის საუკეთესო შემსრულებლები, ძირითადად, სწორედ ოდესღაც განსხვავებულობაზე მეოცნებე და ხელმოცარული მოკალმეები იყვნენ). სინამდვილეში, მწერლობა ბეჯითად და პატიოსნად იცავდა თავს კულტურისგან, კულტურულობისგან. რაკი სამწერლო კულტურა, კულტურის ნებისმიერი სხვა

სფეროს მსგავსად, ნიშნავს განსხვავებულთა მთლიანობას, ხოლო ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში - ნებისმიერი კულტურულ-განსხვავებულის დანახვის, მოსმენის, გაგების და მისთვის ადგილის დათმობის პრაქტიკას, იქ, სადაც ეს პროცესი არ ხორციელდება ან ჩამოთვლილი კომპონენტებიდან რომელიმე ამორთულია, კულტურა არ არსებობს. მაგრამ არსებობენ თუ არა ასეთ გარემოში კულტურული ადამიანები? არის თუ არა ამ დროს შესაძლებელი კულტურული ადამიანის არსებობა? რა თქმა უნდა, არის, შესაძლებელია, მაგრამ... თვით ეს შესაძლებლობა, როგორც გარკვეული კულტურული აქტის შექმნის პირობა, ცალკეული ინდივიდის შემთხვევაში, რეალიზდება მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნება, ჯერ ერთი, აცნობიერებს და აღიარებს, საკუთარ თავს არ უმალავს კულტურას მოკლებული კონტექსტის არსებობას, და, მეორეც, როცა ამ სიტუაციის, ამ უკულტურობის მთელ სიმძიმეს თავის თავზე იღებს და იქცევა, მოქმედებს, მოძრაობს სწორედ როგორც უკულტურო გარემოში არსებული; როცა მისი არსებობა დაუფარავი პროცესია უკულტურობის წინააღმდეგ კულტურული ქმედებისა და, სწორედ აქედან გამომდინარე, ნონკონფორმული ძალისხმევისა (და არა, ფსევდონონკონფორმულისა, ყოველი მოსალოდნელი და მორიგი, ჰორიზონტზე გაჩენილი ახალი კონÁუნქტურის იმედად და სახელით "ამბოხისა" და კარგად გათვლილ-ტემპირებული "ოპოზიციონრობისა" ანუ, ისევ და ისევ, კონფორმისტულისა), ვინაიდან იმ გარემოდან ბედითი (და არა ტოპოლოგიური) გაქცევის ჟინი, რომელშიც ცხოვრობ, უკვე კულტურის არსებითი ნაკლულობაა. ასე რომ, ბესიკ ადეიშვილის, როგორც განსხვავებულის, ფენომენი ყოველთვის გულისხმობდა უკულტურობისგან განსხვავებულის სულიერ სტატუსს, - მდგომარეობას, რომლის მიმართაც გარემო წინასწარშემუშავებული, სტანდარტულად აპრობირებული "პრინციპებით" იღვწოდა, ხოლო ამ "პრინციპების" რეალიზატორი კონკრეტული ინდივიდები, სინდისის რამენაირი ქენჯნის გარეშე, უშურველად სარგებლობდნენ ამ "პრინციპებით", რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე "უწყინარი" და მზაკვრული იყო ჩემს მიერ უკვე აღნიშნული დუმილი, მიჩუმათება, წაშლა, რაც მაშინ უფრო მეტად მძლავრობდა, როცა განსხვავებული მათ შეზღუდულ შემოქმედებით უნარებს შემოქმედებითი და კოგნიტური იმპულსების თუ მოდელების მრავალგვარობით ასაზრდოებდა (იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი არ განეკუთვნებოდა მებრძოლ და ადმინისტრაციულად მოსალოდნელ - ვთქვათ, ოდესმე დასაწინაურებელ ან საპრემირებელ - ადამიანთა რიცხვს). ეს და ბევრი სხვა კონკრეტული "სიკეთე" მხოლოდ შედეგი იყო, და არა უმეტესი, იმ არაკულტურული სიტუაციისა, რომელთან ურთიერთობაშიც ბესიკ ადეიშვილი ილუზიებით

არ სარგებლობდა და რომელთან კულტურული კონტაქტის, დიალოგის დამყარების იმედი არც არასდროს ჰქონია. ამ თვალსაზრისით, ერთადერთი საქმე, რომელსაც ის არ ღალატობდა, იყო მუდმივი შინაგანი მუშაობა ამ უფერულ კონტექსტთან, ამ უცვლელ და უიმედო გარემოსთან არდასაპირისპირებლად, იმ ავტონომიის გასაძლიერებლად, რომელსაც თავის თავში უნდა დაეცვა, უნდა შეენარჩუნებინა განსხვავებულის მუშაობის, მოძრაობის რიტმი. რაც შეეხება თვით ამ მუშაობის შინაარსს, იგი შეიძლება დახასიათდეს - როგორც ნებისმიერი შემოქმედებითი აქტის შემთხვევაში - საკუთარი სულიერი დრამის ობიექტივაციის პროცესის სახით, რომელიც შემოქმედებით პიროვნებას, მწერალი იქნება იგი, პოეტი თუ მოქანდაკე, წარმოგვიდგენს როგორც მთარგმნელს.

რას თარგმნის შემოქმედი? მე შევეცდები, ამ კითხვას ვუპასუხო სწორედ პროფესიონალი მთარგმნელის, ბესიკ ადეიშვილის მაგალითზე, ანუ მოვიშველიებ მაგალითს, როცა შემოქმედი (ე. ი. მთარგმნელი) კულტურაში ობიექტივირებული ტექსტების ანუ თარგმანების მთარგმნელიც არის. რას თარგმნის მთარგმნელი უცხოენოვანი ტექსტის სახით? მხოლოდ პასუხის შესავალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ იგი თარგმნის საკუთარი ბედისწერის იდეოგრამებს. რას მივიღებთ, თუ ამ მეტაფორის შინაარსს გავხსნით? რას ნიშნავს, რომ იგი თარგმნის საკუთარი ბედისწერის იდეოგრამებს? რა თქმა უნდა, მთარგმნელი თარგმნის საკუთარს, თავისას, მაგრამ... უხილავს მანამ, სანამ ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი. ვინაიდან: კულტურულად-ხილული შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რაც მოწესრიგებულია. ამ გაგებით, მთარგმნელი საკუთარ ბედისწერას აწესრიგებს, მის შემადგენლებს ისეთი თანმიმდევრობით განალაგებს, რომ ბედისწერის "ხილული" სახის დანახვა შეძლოს. მაშასადამე, გარკვეული თვალსაზრისით, თავად ქმნის იმ ხილულ სახეს, რომელიც ახლა უკვე მოწესრიგებულია; ამ აქტითვე ქმნის თავის სულიერ (და ამის საფუძველზე - ემპირიულ) ბიოგრაფიას. შეიძლება ასეც გამოითქვას: მთარგმნელობითი აქტების თანმიმდევრობით მთარგმნელი საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის უძირითადეს ნიშანსვეტებს აფიქსირებს. სათარგმნელად კი ყოველთვის იმ ტექსტებს ირჩევს, რომელთა გათავისება, რომელთა ველზე ამ სამუშაოს ჩატარება უფრო ნაყოფიერი იქნება; უნდა მოიძებნოს ტექსტები, სადაც ყოვლისმომცველად განხორციელდება ბედისწერის წამკითხავ-მომწესრიგებელი საქმიანობა. აღნიშნული აზრით, ბესიკ ადეიშვილის შემოქმედებით პრაქტიკაში როგორც ამა თუ იმ ავტორის, ისე - თითოეული ავტორის ამა თუ იმ ცალკეული ტექსტის შერჩევა სათარგმნელად უმნიშვნელოვანესი ექსისტენციალური აქტი, შემოქმედებითი შრომა და ბედისწერის ნაწი-

ლია, და ის უკვე გულისხმობს სერიოზული შემოქმედებითი ენერგიის ხარჯვას. ამა თუ იმ ტექსტის სათარგმნელად მზადება, კულტურული და, თუნდაც, ვიტალური ძალების მობილიზება და იმ ერთადერთი ზუსტი, გადამწყვეტი ტემპორალური ადგილის "ანთება", როცა შეიძლება ტექსტის შესრულება ანუ ბედისწერის იდეოგრამის კიდევ ერთი ნიშნის "შექმნის" დაწყება, ბესიკ ადეიშვილის შემოქმედებითი პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მზადებების, სათარგმნელ ტექსტებს შორის ათწლეულობით "გამომუშავებული" დერეფნების ერთობლიობაც განსაზღვრავს მისი შემოქმედების როგორც უხილავ, ისე - ხილულ რიტმს. ეს რიტმი, როგორც ნაგვემი ადამიანის სხეული, ინახავს გვემის ყველა ნიშანს, არ კარგავს იმ გამოცდილების არც ერთ მისხალს, რომელიც ბედის გამთლიანების სუბსტრატია.

ის, რაც სხვა ჩინებული მთარგმნელის შემთხვევაში შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს მთარგმნელობითი დრამის დასახასიათებლად, ბესიკ ადეიშვილის შემთხვევაში გადამწყვეტ ღირებულებას იძენს (მაგალითად, ჰაისენბÁუტელის ტექსტის - "ლექსი საკვდომლად წვრთნევისა გამო" - სათარგმნელად თითქმის ოცწლიანი მზადება და "შემთხვევითობა" გადაკვეთის იმ ერთადერთი წერტილის მიგნება, რომელმაც ეს უკვე-შესრულებული თარგმანი "მოულოდნელად" ჩაწერა; იგივე შეიძლება ითქვას არაერთი სხვა ავტორის არაერთ ტექსტზე). თუ მის მთარგმნელობით პრაქტიკაში, სხვადასხვა დროს, პირობითობათა რაღაც ნაკრები ხელს უშლიდა რომელიმე მონიშნული გეგმის განხორციელებას (ან თვით მონიშვნის აქტს), მაშასადამე, ის ხელს უშლიდა მის ფიზიკურ არსებობას, მის სიცოცხლეს, მის თავისუფალ ნებას, უბრალოდ - პიროვნულ ავტონომიას. ასე რომ, მისი თარგმანები, მისი ტექსტები მსგავსი ხელისშეშლების წინააღმდეგ არსებობის შენარჩუნების ისტორიაც არის, არაიშვიათად კი - სულაც სიგიჟის, ვერგაძლების ზღვართან საშიში მიახლოებაც, სიგიჟის თვალებში ჩახედვა (იმის მსგავსად, როგორც სიკვდილს შეიძლება თვალებში ჩახედოს ადამიანმა) და უკუქცევა, მუდმივი ფეთება, მუდმივი მიდა-მოქცევა, როცა ყოველი ხელახალი გადარჩენა ახალი ტექსტის, ახალი მეტაფორის შექმნის იდენტური ხდომილებაა.

ეს განაზრებები მიბიძგებს, დავასკვნა, რომ, გარკვეული მნიშვნელობით, სწორედ უცხოენოვანი ტექსტის ველზე ხდება ბესიკ ადეიშვილის ყაიდის და კულტურული წყობის მთარგმნელის ბედისწერის გათამაშება, ე. ი. - მანამ, სანამ ეს უცხოენოვანი ტექსტი მთარგმნელისთვის მშობლიურ ენაზე ჰერმენევტირებულ ტექსტად იქცეოდეს. მაშასადამე, საკუთრივ თარგმანი უკვე არის გარკვეული, გათამაშებული ბედისწერის რეალუ-

რი, კონკრეტული შედეგი. მეორეს მხრივ, ეს შედეგი შეიძლება გააზრებულ იქნას უკვე გათამაშებული დრამის, ბედისწერის დრამის ნარჩენების სახით, იმ ბედისწერის, რომელიც უცხოენოვანი (ცხადია, არა მხოლოდ ლინგვისტური გაგებით) ტექსტის ველზე გათამაშდა. შესაძლოა, კანონზომიერი მოვლენის ხასიათსაც იძენდეს ეს პროცესი; იქნებ, ორიგინალის წვდომის და სხვა ენაზე მისი გადატანის შეუძლებლობაზე მითითება სწორედ უკვე-გათამაშებული დრამის ნაკლული გამონაშუქის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. მაგრამ - არც მხოლოდ ასეთად. თუ მთარგმნელი თავისი ბედისწერით რეალიზდება იქ, სადაც მისი ბედისწერა თამაშდება, თუ უცხოენოვანი ტექსტის გადმოთარგმანებით მთარგმნელი თავის ბედისწერას ხილულჰყოფს, თვით გადმოთარგმანების შედეგი ანუ მშობლიურ ენაზე შექმნილი ტექსტი ამ ბედისწერის გათამაშების ისტორიაა. სხვა, სიტყვებით რომ ვთქვა, მკითხველი, რომელიც მთარგმნელის შრომის ნაყოფს კითხულობს, ამით მთარგმნელის ბედის-წერის ისტორიას კითხულობს (სხვათაშორის, კრებულში შესული ვრცელი მიმოხილვა გერმანულენოვანი პოეზიისა შეიძლება გავიაზროთ, სწორედ როგორც მასში წარმოდგენილი თითოეული ავტორის ბედისწერის შესახებ თხრობა, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა, ავტორს რომ ჩატარებული არ ჰქონოდა საბედისწერო სამუშაოები ამ ავტორთა ენის ველზე. ამიტომ არ რჩება აღნიშნული ტექსტი უბრალო მიმოხილვად, სცილდება თუნდაც ღრმა კულტურით, ღრმა განსწავლულობით აღბეჭდილი მიმოხილვის ფარგლებს და იძენს სულ სხვა მნიშვნელობას. მართლაც, განსხვავებულ შინაგან გამოცდილებას და ამ გამოცდილების მობილიზების განსხვავებულ უნარს მოითხოვს ეს გაბედულება, - ისაუბრო და მკითხველისთვის უჩვეულოდ ხელშესახები გახადო ამდენი პოეტის, ამდენი მარტოსულის ბედი. თუმცა, უნდა დაზუსტდეს, რომ ავტორი ამას არც საგანგებოდ ცდილობს და რაც საგანგებოდ მონიშნულ მიზანს სწვდება. ის, მხოლოდ, ენაში მყოფი, უზიარებს მკითხველს ამ თავის გამოცდილებას; საუბრობს შიგნიდან გარეთ; ენიდან გამო-ისაუბრებს).

ბესიკ ადეიშვილი ხშირად აღნიშნავს, რომ მისი ტექსტები რთული იეროგლიფებია, რომელთა შიფრიც უმოწყალოდ არის განწირული ქრობისთვის (საუბარია როგორც საკუთრივ შემოქმედებაზე, ისე - გერმანული ენიდან შესრულებულ თარგმანებზე). როგორც მე მესმის, ამაში იგულისხმება ის მარტოობა, რომლისთვისაც განწირულია ტექსტი, როგორც ყველა ამოთქმული, მაგრამ მხოლოდ დუმილით ამოთქმული შინაარსის თავმოყრის ადგილი, როგორც მკითხველისთვის დახურული რეალობა. ჩემი აზრით, სხვა სატექსტო რეალობა, თუ არა ასეთი, არც არსებობს კულტურაში.

ნებისმიერი ტექსტი არის კოდი, რომლის გახსნა მხოლოდ საკუთარი მეტა-ფორის შექმნისთვის გაღებული დიდი ძალისხმევის ფასად არის შესაძლებელი. ტექსტი ეხსნება მხოლოდ იმას, ვინც ითხოვს. ნებისმიერი შემთხვევითი ან ფლობის ვნებით ატანილი მკითხველისთვის იგი დახურული და მიუწვდომელია, დაცულია. აი, ასეთი წესით, კულტურაში კარგად ცნობილი წესით იცავენ თავს ბესიკ ადეიშვილის ტექსტები, მისი თარგმანები ყოველი შესაძლო შემთხვევითობისგან, მიცემულნი არიან თავიანთ ღრმა მარტოობას, და ამ მარტოობაში პერმანენტულად გამომუშავდება, მიმოიქცევა, ინახება ის ენერგია, რომელიც განსხვავებულისთვის, როგორც კულტურის მთლიანობის, ერთობის ნებისმიერი სრულფასოვანი წარმომადგენლისთვის არის დამახასიათებელი.

* * *

რაც შეეხება წინამდებარე წიგნის სტრუქტურას... თუმცა, ჯერ აღვნიშნავ: წიგნში ტექსტები ისეა განთავსებული (გნებავთ - გაფანტული, გნებავთ - კონსტელირებული), რომ არ დარღვეულიყო მათი შექმნის ქრონოლოგიური რუკა; შენარჩუნებულიყო ის საკონტექსტო კოდები, რომელთა სიმრავლეც აქ წარმოდგენილი თითოეული ტექსტის ირგვლივ სხვადასხვა დროს "კრისტალიზდა" (50-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი საუკუნის ბოლო ათწლეულის ჩათვლით). ერთი სიტყვით, არც წიგნის მთლიანობა უნდა დაზარალებულიყო და არც თითოეული ტექსტის დამოუკიდებელი, ავტონომიური არსებობა მიტანილიყო სასურველი მთლიანობის სამსხვერპლოზე. ტექსტების ნაწილი უკვე იყო სხვადასხვა დროს პუბლიცირებული, ნაწილი კი პირველად ქვეყნდება. იმათგან, რაც პირველად ქვეყნდება, ნაწილი წარუმატებლად სტუმრობდა სხვადასხვა დროს რედაქციებს, ნაწილს რედაქცია საერთოდ არ უნახავს. იმათგან, რომელთაც რედაქცია არ უნახავთ, ნაწილი დიდი ხნის წინ შეიქმნა, ნაწილი - ბოლო წლებში, ნაწილი - ოდესღაც შუა გზაზე მიტოვებული და დიდი ხნის მერე განახლებული მუშაობის ნაყოფია, ნაწილი პერიოდულად ექვემდებარებოდა დახვეწა-სრულყოფას.

...რაც შეეხება წიგნის სტრუქტურას, იგი ჯერ არ დასრულებულა. ასე რომ, ამაზე - რაც შეიძლება სხვა დროს.

დეკემბერი, 1999;
აპრილი, 2000

სიყვარულის ახსნა თუ ბუჩქნარიდან ხელაჩქარებით თვალთვალის მ(?)ტ(?)ფიზიკა?

(რეცენზია მაია გოგოლაძის რომანზე დაწერილ ბ-ნი ბადრი შარვაძის "რეცენზიაზე")

"იგორავებს... თავის ნარწყევში
და ისიც სამასხრო შეიქმნება".
იერემია, 48, 26.

არა მხოლოდ პროფესიონალი მწერლებისთვის, არამედ სალიტერატურო ცხოვრების ელემენტარულ კანონზომიერებებში ჩახედული მოყვარულებისთვისაც კარგად არის ცნობილი, რომ სამწერლო კრიტიკის დაჩლუნგება და გადაგვარება, გარკვეული დროის მერე, აუცილებლად ქმნის ნაყოფიერ პირობებს ნებისმიერი სახის "კრიტიკული" უკეთურობის ასაყვავებლად, ნაირ-ნაირი ასეთი უკეთურობის მწარმოებელ მოკალმეებს კი განუკითხაობის სიბნელეში გალაღების სრულ თავისუფლებას ჰპირდება. ცხადია, აღნიშნული სიტუაცია სოკოებივით ამრავლებს იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მსგავს "თავისუფლებაზე" არათუ უარს არ ამბობენ, არამედ მზად არიან, მას გამართლება მოუძებნონ, გამართლებული "თავისუფლებით" კი თავიანთი ნებისმიერი შესაძლო ქმედებაც წინდაწინ გაამართლონ და ასე უზრუნველყონ თავიანთ მოქმედებათა სრული თავისუფლება. ცნობიერების ასეთ "განვითარებას" დამორჩილებული მოკალმეები, რა თქმა უნდა, ყველა ტიპის სალიტერატურო თუ სამწერლო სიტუაციაში მოიძებნებიან, მაგრამ დეგრადირებულ, უკრიტიკოდ დარჩენილ გარემოში მოზუზუნე და ამ გზით "განვითარებული" მოკალმეებისთვის, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, დამახასიათებელია განსაკუთრებული მიდრეკილება მორალურ ღირებულებებზე მათი "თავისუფლების" დაფუძნებისკენ, ხოლო ვინაიდან მორალური, ზოგადსაკაცობრიო, მარადიული ღირებულებების მათმიერი გაგება-გააზრებაც უკვე "განვითარებული" ცნობიერების მუშაობის ნაყოფია, მათი მორალიზმი ბევრად უფრო "შინაარსიანია" და დაზღვეულია სამწერლო კრიტიკის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მუშაობის ფონზე გაშლილ სამწერლო გარემოში მოფუჩუნე მათი სულიერი ძმების სიფრთხილისა და თვითკორექტირებისგან. თუმცა, სამართლიანობა იმის დაზუსტებასაც მოითხოვს, რომ აღნიშნული მორალიზმის აყვავებისთვის ბუნებრივი, შეუზღუდავი პირობები ამ ფენომენით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალებას აძლევს, მორალი-

ზმის ეს ნაირსახეობა მისსავე ბუნებრივ, შეულახავ და უმწიკვლო მდინარებაში მოიხილონ, გაერკვნენ მისი შინაარსის ყველა თუ არა, ზოგიერთ თავისებურებაში მაინც.

სწორედ ამ მიზნით შევარჩიე სარეცენზიოდ მაია გოგოლაძის რომანზე "პეტრე-პავლობა" დაწერილი ბ-ნი ბადრი შარვაძის "რეცენზია", სახელწოდებით "უკანასკნელი სიყვარულის ახსნა". ეს ტექსტი, რომელიც ავტორმა მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბროშურის სახით შესთავაზა მკითხველს, ჩემი ფიქრით, იმის მკაფიო და ტიპობრივი მაგალითია, ფარული თუ დაუფარავი პირადი ლტოლვების, უკუღმართი "აზროვნების", ან, სულაც, უკუღმართად "მოაზროვნე" ადამიანთა გულის მოგების ვნების რა მწვერვალებს შეიძლება ეზიაროს სამწერლო ცხოვრება, როცა ლაღად და ჰაეროვნად ერწყმის ერთმანეთს სალიტერატურო ცხოვრების შესაქმნელად აუცილებელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის - სალიტერატურო კრიტიკის - უზომოდ განუვითარებელი ჩანასახი და ასეთი პრელიტერატურული ცხოვრებით შთაგონებული და "მორალიზმის" მიმართულებით უზომოდ განვითარებული, მაღალორგანიზებული მატერია. რაკი ეს მატერია თავადაც სამწერლო გამოცდილების მქონე ავტორია, მაია გოგოლაძის პირველ რომანზე დაწერილ მის "რეცენზიაზე" მსჯელობისას აქტიურად გავითვალისწინებთ ბ-ნი შარვაძის პირველ რომანს, რომლის სახელწოდებაა "ლოთის ქალიშვილები და უნიჭო შეგირდი"(დაწერილი და გამოცემულია რუსულ ენაზე). რა თქმა უნდა, თამაშის წესებს არ დავარღვევ და ამ რომანს, არც მეტი და არც ნაკლები, იმავე პრინციპით განვიხილავ, რომელიც თვით ბ-მა "რეცენზენტმა" მიიჩნია საუკეთესოდ "პეტრე-პავლობის" განსახილველად.

ალბათ, უპრიანი იქნება, იმ მკითხველისთვის, რომელსაც არც მაია გოგოლაძის პირველი რომანი წაუკითხავს და არც - ბ-ნი შარვაძის პირველი რომანი, მოკლედ გადმოვცე ორივე ნაწარმოების შინაარსი.

"პეტრე-პავლობის" მთავარი გმირია ახალგაზრდა ქალი, რომელიც, მას მერე, რაც მისმა საყვარელმა მამაკაცმა ცოლი შეირთო, მონასტერში განმარტოვდა და ცდილობს, ცხელ კვალზე, მომხდარის დათმენას, სულიერი წონასწორობის მოპოვებას და იმ ტკივილის შემოქმედებით ტრანსფორმირებას, რომელიც მას საყვარელი მამაკაცის ქმედებამ მიაყენა. ამ ტრანსფორმირების ობიექტივირებული შედეგი კი არის თვით "პეტრე-პავლობა" (თანამედროვე სარომანო პრაქტიკაში გავრცელებული ხერხით). მონასტერში სტუმრის სტატუსით, ანუ დროებით, მცხოვრებ ახალგაზრდა ქალს ყოველდღიური ურთიერთობა აქვს მონასტერში მობინადრე დედებთან, სადედოებთან, წინამძღვართან, მონასტრის სხვა სტუმრებ-

თან, ჩაბმულია იმ ყოველდღიურ სამონასტრო ყოფით-სამეურნეო საქმიანობაში, რომელიც ამ ტერიტორიაზე მის არაპარაზიტულ, დაუყვედრებელ ცხოვრებას უზრუნველყოფს. თავისუფალ დროს ქალი კითხულობს წიგნებს და იწერს მათგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, რომლებიც გაფანტულია ამ რომანის გვერდებზე და აფიქსირებს მთავარი გმირის რეალურ, მიმდინარე სულიერ მდგომარეობას, თავისი ძლიერი თუ სუსტი მხარეებით. ამას გარდა, პერსონაჟის ცნობიერებაში იკვეთება ახალი ნაწარმოების იდეური სქემა, პირველ მკრთალ მონახაზებს კი პერსონაჟი ინიშნავს, და ამ მონახაზებსაც ეცნობა "პეტრე-პავლობის" მკითხველი.

ბ-ნი შარვაძის რომანის მთავარი გმირია მოქმედი სუტენიორი, რომელსაც ხელთ უვარდება გზასაცდენილი, მსუბუქი ყოფაქცევის ახალგაზრდა ქალი, პატარა ბავშვთან ერთად. ამ ქალს სუტენიორი არწმუნებს გაყიდული სიამოვნების ფასად ფულის მიღების აუცილებლობაში, მერე კი ამეძავებს. გარიგებულები მიღებულ გასამრჯელოს სუტენიორის მიერ დადგენილი წესით იყოფენ. ახალგაზრდა ქალი სხვა ქალაქიდან არის ჩამოსული, სუტენიორთან ცხოვრობს და სხეულით ვაჭრობასაც მის სახლში ეწევა. მთელი სარომანო დროის განმავლობაში, სუტენიორის ნაცნობ-უცნობი კლიენტები ახალგაზრდა ქალს, მოგვიანებით კი მის დასაც, აქტიურად მოიხმარენ და ამ ქალაქში გავრცელებული დამცირების ყველა ფორმას განაცდევინებენ. მეძაობის სეანსებს შორის, სუტენიორი თავის მუშა ქალს "საგანმანათლებლო" პროცედურებით ამხნევებს: რომანის პირველ ნაწილში ლექციებს უკითხავს ბერძნულ ფილოსოფიაში, და ამ ლექციებში "საბუთდება", რომ ბერძენი ფილოსოფოსები პროსტიტუციის დამამკვიდრებლები იყვნენ; რომანის მეორე ნაწილში კი სუტენიორი წერს რომანს, რომლის ცალკეულ თავებსაც თანმიმდევრობით აკითხებს ამ თავის მუშას. რომანის ბოლოს ქალი, ბავშვთან ერთად, ტოვებს ქალაქს და გამომუშავებული ფულით სამშობლოში ბრუნდება.

ამთავითვე უნდა დავაზუსტო, რომ თავისი რომანის მთავარი პერსონაჟი ბ-ნ შარვაძეს იდეალური პიროვნების სახით თუ არა, თავისთვის მისაღები პერსონაჟის სახით ნამდვილად ჰყავს გამოყვანილი. ამ აზრის აღიარებისკენ მიბიძგებს, სულ მცირე, ორი გარემოება. პირველი: ავტორის ყოვლად უკრიტიკო, ნებისმიერ შესაძლო დისტანციას დაუქვემდებარებელი დამოკიდებულება თავისი სუტენიორი პერსონაჟის მიმართ. ეს უკრიტიკობა მხატვრულად არამოტივირებულ, მკვეთრ დისონანსს ქმნის იმ კრიტიკასთან, რომელსაც ავტორი უქვემდებარებს ყველას და ყველაფერს, რაც გარს აკრავს მის მთავარ პერსონაჟს. არადა, ბ-ნი შარვაძე, როგორც "რეცენზენტი", მაია გოგოლაძის რომანის მთავარ პერსონაჟს

სწორედ "საკუთარ ქმედებათა კრიტიკული ანალიზის" და "საკუთარი თავ-ისადმი უმოწყალო დამოკიდებულების" არქონას საყვედურობს(გვ. 9) და საერთოდ არ უწევს ანგარიშს უმარტივეს და თანამედროვე სარომანო პრაქტიკაში დომინირებად ელემენტარულ რეალობას, - მწერლის მიერ პერსონაჟების გამოსახვას თვით ამ პერსონაჟების ხედვით, მათ მიერ დანახული მოვლენების აღწერით, მათ ცნობიერებაში ამ მოვლენების შემოსვლის წესით. სხვათა შორის, აღნიშნული რეალობის გაუთვალისწი-ნებლობაც უბიძგებს ბ-ნ შარვაძეს, ერთმანეთს გაუიგივოს "პეტრე-პავ-ლობის" პერსონაჟი და "პეტრე-პავლობის" ავტორი, მე კი მაიძულებს, გამოვთქვა ეჭვი, რომ ბ-ნი შარვაძის მიერ თავისი რომანის მთავარი პერ-სონაჟის მიმართ მსგავსი "ანალიზის" განხორციელების უუნარობა მეტ-ყველებს, სულ მცირე, ამ პერსონაჟთან მის მსოფლმხედველობრივ სიახ-ლოვეზე (თვით ბ-ნი შარვაძის პიროვნული "ნიჭის" გათვალისწინებით, რაც საკუთარი ქმედებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების სრულ მოშლაში მდგომარეობს); მეორე: მისი რომანის ყველა სხვა პერსონაჟი მხოლოდ მთავარი გმირის დანამატია და ემსახურება მისი აბსოლუტიზმის გაძლიერებას. საინტერესოა, როგორ დაუშვა ასეთი ჩავარდნა ავტორმა, რომელიც სხვა ავტორის რომანზე დაწერილ "რეცენზიაში" სწორედ კლა-სიკური რომანის თეორიას ეყრდნობა (სხვა საკითხია, თუ როგორ ეყრდ-ნობა იგი იმას, რასაც ეყრდნობა)?! ჩემი აზრით, ეს "დაშვება", ისევ და ისევ, ბ-ნი შარვაძის პიროვნული "ნიჭის" გამონაშუქია, რომელმაც მას უბოდიშოდ გამოაცალა ქვეშიდან როგორც თეორიული საყრდენები, ისე - მხატვრული ტექსტის ასაგებად აუცილებელი მარტივი ჭეშმარიტებები. სამაგიეროდ, თავის "რეცენზიაში" საოცარი უშუალობით ათქმევინა: "ვრცელი თხრობითი ტექსტები შორეულ თუ ახლო აღმოსავლეთში ლამის ყველაფერს ამკვიდრებენ - ყოფით სიბრძნეში და სიცოცხლით ტკბობაში დასავლეთის უკან ჩამოტოვების ჩათვლით - პიროვნებაში სამყაროს ცენ-ტრის აღიარების გარდა"(გვ. 3). საქმე ის გახლავთ, რომ ეს შენიშვნა უჩვე-ულოდ სამართლიანი და ზუსტია სწორედ ბ-ნი შარვაძის რომანის მიმართ, რომლის მთავარი პერსონაჟი ნამდვილად არის სამყაროს ცენტრად გამო-ცხადებული, მაგრამ მხოლოდ - სხვა პერსონაჟების მეთოდური და გეგმა-ზომიერი დაკნინება-ნიველირების, მათით მანიპულირების განუზომელი უფლებების მითვისების ხარჯზე. ამის ხაზგასმა აუცილებელია იმიტომ, რომ "რეცენზიაში" ბ-მა შარვაძემ სწორედ მის მიერ შექმნილი საცენტრო თეორიის გამოყენებით მაია გოგოლაძის რომანის "ანალიზი" დააპირა, მაგრამ ეს მცდელობა "პეტრე-პავლობის" პერსონაჟთან ურთიერთობის გარკვევის მცდელობაზე შორს არ წასულა.

სულ მცირე, მტკნარი სიცრუეა ბ-ნი შარვაძის მიერ "პეტრე-პავლობით" მისი დაინტერესების მოტივირება: "ეს ინტერესი ეფუძნება ცრურწმენას, რომ ქალი უპირველეს ყოვლისა არა ადამიანის მეგობარი ან სხვადასხვა ჯურის საყვარელი არსება, არამედ პიროვნებაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არაკეთილდღეობრივად სტაბილურ აღმოსავლეთში ქალი ნიადაგის დარად საფენად მოიაზრება, მაშინ სიცოცხლის საწყისის ფეთქვასთან ერთად ჯანყისადმი ლტოლვა, შერწყმული მოთმენის განუსაზღვრელ შესაძლებლობებთან, მასში უფრო მკვეთრად უნდა იყოს გამოხატული, ვიდრე კაცთან. ყველაზე დიდი, რასაც ქართველმა შემოქმედმა კაცებმა მიაღწიეს, მაინც მათი შემოქმედების სახმარ საშუალებად გადახურდავებაა"(გვ. 4). სწორედ პიროვნულობის გარეშე ქალის დატოვებას ემსახურება თვით ბ-ნი შარვაძის რომანის მთავარი გმირის ექსპერიმენტები (აქ თავს ვიკავებ მისი ამ ექსპერიმენტების პირდაპირი ფსიქოანალიტიკური კომენტარებისგან და ამ სამუშაოს ქვემოთ სხვა კუთხით განვახორციელებ). ასეთ ექსპერიმენტებს მხოლოდ ის ადამიანები ატარებენ, რომლებიც ქალს ადამიანად არ მოიაზრებენ. ბ-ნი შარვაძის რომანში, რომელიც ქალისადმი ავტორის აგრესიული ფანტაზიების აყვავების საუკეთესო, შეუზღუდავი ადგილია, სწორედ მისსავე მიერ აღნიშნულ საფენად ქალის მოაზრება ხდის შესაძლებელს მთავარი გმირის მიერ, თავის ყველა ნაცნობ-უცნობთან ერთად და ერთობლივი ძალისხმევით, უბედური ქალის უბედურების გაინტენსიურება-გამრავალფეროვნებას; მთავარი გმირის პერვერსიების "ორიგინალურობას" სწორედ მისი შემოქმედების სახმარ საშუალებად მის მიერვე გამეძავებული ქალის გადაქცევა წარმოადგენს(ჯერ მსმენელად, მერე - მკითხველად), რაც უზრუნველყოფილია ქალის "მოთმენის განუსაზღვრელი შესაძლებლობებით" და ამ "შესაძლებლობების" გაძლიერება-გამაგრებით მანამ, სანამ ეს "მოთმენა" რომანის ავტორისა და პერსონაჟის გეგმებში თავის დანიშნულებას ფრიადზე პასუხობს (ჩემი ამოცანა არ არის იმის დეტალური ანალიზი, თუ მხატვრულად რამდენად დამაჯერებელია ეს სარომანო ხერხი - პერსონაჟი ქალის თეორიულ განათლებაზე ზრუნვის აღნიშნული პრაქტიკა, - რომელიც ჭიპლარსა და ამ ჭიპლარს მოწყვეტილი ნაყოფივით აშორებს ერთმანეთს აღნიშნული ხერხის პრაქტიკოსსა და "პეტრე-პავლობის" იმ "რეცენზენტს", რომელიც ლიტერატურათმცოდნეობის ქვის ხანაში ჩარჩენილი და სოცრეალიზმის მიერ აღორძინებული "მეთოდით" ოპერირებს და ქაოსიდან კოსმოსში სწორედ და მხოლოდ თავის გადასვლას გვიჩვენებს).

რაკი, "პეტრე-პავლობით" დაინტერესების "რეცენზენტისეულ" მოტივაციას წყალი შეუდგა, ლოგიკური ნაბიჯი იქნება, მისი დაინტერე-

სების ნამდვილი მიზეზებიც გამოვავლინოთ, ბ-ნ შარვაძეს კი ამ მიზეზთა მიზეზები გავაცნობიერებინოთ.

ყველაზე უფრო თვალშისაცემი ნიშანი, რომელიც რეცენზიამდე ამ "რეცენზიის" ამაღლებას ხელს არ უწყობს, არის "რეცენზენტის" მიერ გასაანალიზებელ მასალასთან, ნაწარმოებთან, როგორც მხატვრულ ტექსტთან, დისტანცირების უუნარობა და მისი დამსგავსება სპექტაკლის ისეთ მაყურებელთან, რომელიც, უხილავი ძალების მოთხოვნით, მოულოდნელად სცენაზე ავარდნილა და მსახიობებთან ხელჩართულ შეტაკებაში ჩაბმულა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიერ შესრულებული როლები მისთვის "მსოფლმხედველობრივად" მიუღებელია. ასე არკვევს "რეცენზენტი" ურთიერთობას, მაგალითად, "პეტრე-პავლობის" პერსონაჟი ქალის შეყვარებულ მამაკაცთან (რა თქმა უნდა, ამ დროს აუცილებლად ავიწყდება რომანის მხატვრული ლოგიკაც, ფსიქოლოგიაც, საღი აზრიც, და ქალის ემოციური მდგომარეობის აღმწერ ფიქრებს ისე იყენებს, როგორც გამოძიების მასალებს აღნიშნული მამაკაცისგან მტრის ხატის შესაქმნელად), რასაც იგი უმოკლესი გზით მიჰყავს მოსამართლის როლამდე, მოსამართლის მანტიამორგებული კი სასწრაფოდ იწყებს მამაკაცსა და ქალს შორის საქმის გარჩევას, რაც დიდი ცოდვა ნამდვილად არ იქნებოდა, მხოლოდ მის, როგორც ლიტერატურული ტექსტის კრიტიკოსადმოვლენილის, პროფანიზმზე რომ მეტყველებდეს და სიკეთე-სამართლიანობის გულუბრყვილო დამცველის "სტატუსს" მაინც ანიჭებდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, "რეცენზია" ვერ მალავს "რეცენზენტის" მიერ თავისი ნაღვაწის მიწურულს დაგმობილი "გაშიშვლებული ფალოსოტროპიზმებისა და თავაწყვეტილი ფალოსოცენტრიზმის"(გვ. 14) სახელით ლაშქრობას და, თავის ოცნებებსა და ფანტაზიებში, გზის კაფვას კრიზისში მყოფი ქალის გულისკენ. მისი ეს როლი და სულისკვეთება საზეიმოდ გვირგვინდება რეცენზიად შემოთავაზებული ამ გზააბნეული "აზრთაწყობის" დასკვნით ნაწილში, რაც ემთხვევა ამ რაინდული ლაშქრობის ჩამოყვინყვილებას ბუჩქნარიდან მოთვალთვალე ხელუკუღმართის უსუსურობამდე. "რეცენზიის" ამ ნაწილში ბ-ნი შარვაძე რომანის პერსონაჟს, საყვარელ მამაკაცზე შურისძიების და უფრო მაღალ დონეზე თვითრეალიზაციის მიზნით, ახალი კაცის გაჩენისკენ მოუწოდებს და ცოფებს ყრის, რომ "მასში("პეტრე-პავლობის" მთავარ პერსონაჟში, - დ. ბ.) ვერ ვიპოვით გაუბედავ დაშვებასაც, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა(მისი შენარჩუნებიანად) შესაძლებელია ახალი(თანამდევი) სიყვარულის ობიექტის გაჩენით. არადა, ვაჟის მხრიდან ხომ სწორედ ამ გაკვეთილს იღებს უიმედოდ და სამუდამოდ შეყვარებული ქალბატონი"(გვ. 9).

ქალსა და მამაკაცს შორის ინტრიგების ხლართვით შეპყრობილი "რეცენზენტის" კიდევ ერთი აქციაა მთავარი პერსონაჟის ერთგულების გამოცხადება ერთგანზომილებიანობად. რატომ? პასუხი ცალსახაა: ეს "ერთგანზომილებიანობა" ქალს გზას უკეტავს ბ-ნი შარვაძის რომანის მთავარი პერსონაჟის სამეძაო სახლში მოხვედრისკენ. ამ სიმართლის გასაიდუმლოებას ემსახურება, პარალელური აქციის სახით, "რეცენზენტის" მიერ ცნება "განვითარების" დახვევა მეორე, დაუსაქმებელ ხელზე, და მისით თვითმიზნური მანიპულირება, რაც უშუალოდ მოსდევს ბ-ნი შარვაძის მიერ "პეტრე-პავლობიდან" ციტირებულ სიტყვებს: "ვეუბნები, შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი..."(იგულისხმება ქალის მიმართვა თავისი შეყვარებული მამაკაცისადმი). თავისი ოცნებებისთვის უკეთესი მომავლის მომლოდინე "რეცენზენტის" ფსიქიკაზე ეს სიტყვები ურროს დარტყმის ეფექტს ახდენს. რომანის პერსონაჟი ქალი იმიტომ არის აცდენილი განვითარებას, რომ მისი მხრიდან ამ სიტყვების, ამ გრძნობებისა და ემოციების ადრესატობას აცდენილია "რეცენზენტის" პირველი რომანის მთავარი პერსონაჟი (აქ უკვე თამამად შეიძლება "რეცენზენტის" გაიგივება მისივე რომანის მთავარ პერსონაჟთან). დაე, იყოს "პეტრე-პავლობის" პერსონაჟი განვითარების იმ ფორმას აცდენილი, რომელიც მისთვის ბ-ნი შარვაძის ოცნებებსა და მისწრაფებებს უსურვებიათ, მაგრამ უსამართლობა იქნება ამ ფანტაზიებში იმის არდანახვა, ხოლო დანახულის არაღნიშვნა, რომ "რეცენზენტი" ნამდვილად არ არის აცდენილი განვითარებას რიგითი სუტენიორიდან აბსოლუტურ სულამდე, ოღონდ - იმის გათვალისწინებით, რომ ჰეგელის გენიას აცდენილი ეს სული შრებერის ხვედრისთვის გაუწირავს დედაბუნებას. რა თქმა უნდა, "რეცენზენტს" ვერც ამ ხდომილებისთვის განვითარების დარქმევის უფლებას წაართმევს ვინმე, მაგრამ თავს მოვალედ ვთვლი, ამ აბსოლუტურ სულს ფრთხილად მივუთითო როგორც სულიერ, ისე - ფიზიკურ იმ სიცარიელეზე, რომელშიც "განვითარებული" შრებერი აღმოჩნდა. ბ-ნი შარვაძის "განვითარების" სწორედ ასეთ თვალსაჩინო მაგალითად უნდა ჩაითვალოს მისი რისხვა, რომელიც "პეტრე-პავლობის" გმირმა დაიმსახურა თავისი საყვარელი მამაკაცის მისამართით თქმული სიტყვებისთვის: "შენ ხარ ჩემთვის ყველაფერი", და საყვარელ ადამიანს მოწყვეტილი ქალის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი ეს სიტყვები შემდეგი სენტენციით შემოღობა: "ადამიანისთვის მადლად ან თუნდაც სიკეთედ ვერ ჩაითვლება ისეთი რამ, რაც მის დამოუკიდებლობას ან თავისუფლების ხარისხს არ ზრდის" (გვ. 7).

"რეცენზენტის" ყველა ეს მალაყი უწყინარ იონბაზობად გამოსჩანს

იმ "მეთოდის" ფონზე, რომლითაც, როგორც შემოდგომაზე დაუკრეფავ და გვიან შემოდგომაზე ჩამოცვენილ დამპალ ნაყოფთა სიმრავლით, გაჯერებულია მისი "რეცენზია". აღნიშნული "მეთოდის" დედაარსია ბ-ნი შარვაძის სურვილებით და საჭირო მიზნების შესატყვისად შეთხზული "მსოფლმხედველობრივი პოზიციების" და "ცხოვრებისეული პოზიციების" მიწერა "პეტრე-პავლობის" ავტორისთვის, მერე კი ამ დაბრალებული პოზიციების კრიტიკა მორალისტური პოზიციებიდან. ეს მორალიზმი იმდენად უნიჭოდ არის გამრავალსიტყვებული, რომ "რეცენზენტის" მიერ აუგად მოხსენიებული "ვალტერსკოტიზმის" ნებისმიერ უგვან ნიმუშთან ამ მორალსკოტიზმის შედარება, სულ მცირე, ბუჩქნარში თავისი თავის შემჩურთავი "რეცენზენტის" პოზის სილამაზის დასტურად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. არადა, მისი ერთ-ერთი სენტენციის მიხედვით, "პიროვნული განუმეორებლობა იქმნება მხოლოდ სულიერი(ზნეობრივი) თავისუფლების სილამაზის განზომილებებში დამკვიდრების ცდით"(გვ. 4). ასე აბრალებს "რეცენზენტი" რომანის პერსონაჟს, მაგალითად, სიტუაციასთან შერიგებას, მერე სვამს კითხვას, თუ ვის და რას ურიგდება რომანის გმირი, და პასუხად მრავალსიტყვაობით გახანგრძლივებულ, ბანალური სენტენციებით გაჯერებულ ხსნარს გვთავაზობს(გვ. 5). ამ სამუშაოს იგი წარმატებით უძღვება მონტაჟის ტექნიკის მაღალოსტატური გამოყენებით: რომანიდან უკონტექსტოდ ამა თუ იმ წინადადების ციტირებით და მისთვის სასურველ "საანალიზო" კონტექსტში მოთავსებით.

სხვათაშორის, აღნიშნული ბრალდების რაციონალიზების მცდელობაზე დიდ ენერგიას ხარჯავს ბ-ნი შარვაძე თავისი "რეცენზიის" მეორე ნახევარში, რომელიც, ძირითადად, პირველ ნახევარში დახვავებული არაერთი ბრალდების საფუძველზე ახალი ბრალდებების შეთხზვას და ღადავ-ღადავით მათ გაზავებას ეთმობა. ასეთი მოღვაწეობა "მოსამართლეს" რომ ფეხმოკლე ცრუპენტელობამდე და ქათმის სიბრმავემდე დაიყვანდა, მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან რაოდენობრივი ცვალებადობების თვისობრივ ცვალებადობაში გადასვლის კანონი მის "განვითარებას" სწორედ აქეთკენ მიაქანებდა. აღნიშნულ "სიკეთეთა" გაბრწყინების კვინტესენციად კი იქცა "რეცენზენტის" შემდეგი ილეთი (რომელიც თავის კლასიკურ განხორციელებებს სოცრეალიზმის ლიტკრიტიკოსებთან ჰპოვებს): მან "პეტრე-პავლობის" ფინალური ეპიზოდი ჯერ დაასახელა სანაქებო გულწრფელობისა და თვითკრიტიკული ანალიზის შემცველ პასაჟად, მერე კი სასწრაფოდ გაასაღა გამონაკლისად, რათა არამოტივირებული რიტორიკული "სვლით" ჩამოეწერა, როგორც სწორედ გამონაკლისი. სინამდვილეში, "რეცენზენტს" ისე დაუბლაგვდა რეალობის გრძნობა და მოუ-

დუნდა სიფრთხილის ინსტინქტი, რომ მეფოკუსის ხელოვნებით თავმოწონებაც კი მოინდომა და აჩქარებისა და სისწრაფის ხელოვნების ღიად დემონსტრირება სცადა. ამიტომ, მე მას, ბოდიშის მოხდით, დავაბრუნებ მის მიერ სირბილ-სირბილ ჩავლილ ამ მონაკვეთთან და განვუმარტავ, რომ მის მიერ გამონაკლისად გასაღებული ეს ადგილი "პეტრე-პავლობის" ფინალური ნაწილია და მასში რომანის გმირი, რომელიც არც წმინდანია და არც - ღმერთის რწმენით გასხივოსნებული ქალი (რაც "პეტრე-პავლობაში" არაერთხელ ზუსტდება სხვადასხვა ფორმით, ამ ფორმებს შორის კი უპირატესობა ენიჭება არა დეკლამაციას და ტრაქტატულად მხატვრული ამოცანების გადაწყვეტას, არამედ - ამ ვითარების ხაზგასმას სხვადასხვა ყოფითი თუ სულიერი სიტუაციის პერსონაჟისმიერი ხედვა-აღწერით, რაც, იმავდროულად, პერსონაჟის მიერ ინტერპრეტირებული სამონასტრო თუ არასამონასტრო ხდომილებებია), უკვე აღწევს ურთულეს და უმძიმეს შეგნებას: მის მიერ სხვათა ბრალდების დომინირებადი პოზიცია უკან იხევს, ხოლო სარომანო დროში გაფანტული თვითკრიტიკული ხედვის სეგმენტები კონცენტრირდება სწორედ იმ თვითკრიტიკად, რომელიც საკვლევი მასალის სახით, ისევ და ისევ, წარსულის გამოცდილებაში არსებულ ფაქტობრიობას აქცევს (რომელიც, თავის მხრივ, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მის მთავარ სასიყვარულო დრამას; ეს სიმბოლური დეტალია). აქვე შევნიშნავ, რომ "პეტრე-პავლობა" წარმოადგენს რომანს არა მოპოვებული სიმშვიდისა და სულიერი წონასწორობის, არამედ ასეთი სიმშვიდის ძიების შესახებ, მწერალი სწორედ ამ ძიების პროცესში მყოფი პიროვნების სურათს ხატავს. მაია გოგოლაძის მწერლური ალღო კარგად იგრძნობა ხელოვნურად ამ პროცესის დაჩქარებაზე უარის თქმაში. უმძიმეს ბიოგრაფიულ წარსულთან საკუთარი ძალისხმევით მარტო დარჩენილი პერსონაჟი ჯერ მხოლოდ ამ წარსულისთვის თვალის გასწორებას სწავლობს. ის დაცულობა, საკუთარი თავისადმი მიმტევებლური დამოკიდებულება, ყალბი ალტრუიზმი და ბევრი სხვა მახასიათებელი, რომელიც მწერალმა თავის გმირს შეგნებულად არ შემოაცალა, უზრუნველყოფს მისი როგორც სულიერი, ისე ყოფითი მდგომარეობის მხატვრულ დამაჯერებლობას. ამიტომ იგდებს "რეცენზენტი" თავს კარიკატურულ მდგომარეობაში, როცა "პეტრე-პავლობის" ავტორს ამ მხატვრული სიმართლის შენარჩუნებას დანაშაულად უთვლის. რომანის ფინალური ნაწილი, რომელიც პერსონაჟის მიერ წარსულის კრიტიკული გააზრებისკენ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯის აღმნიშვნელი ხდება(გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ნაბიჯს იმიტომ, რომ იგი პერსონაჟს არ ტოვებს მის ცხოვრებაში გათამაშებული უმნიშვნელოვანესი სასიყვარულო დრამის მომდევნო პე-

რიოდში, არამედ შეჰყავს იგი იმ წარსულში, რომელიც წინ უძღოდა ამ დრამას და რომელმაც მოამზადა მისი მსვლელობა ამ დრამისკენ), უშუალოდ მოსდევს რიტუალური განბანვის უმშვენიერეს და სარომანო სტრუქტურაში ზუსტად განაწილებულ სცენას (რომლის სილამაზის გაღადავება, დარწმუნებული ვარ, არ გაუჭირდება ბ-ნ შარვაძეს, თუ ეს ამა თუ იმ კერძო საჭიროებამ მოითხოვა).

ბევრი სხვა მსგავსი შინაარსის ვერამოკითხვამ, პირველ რიგში კი, წინასწარ შემუშავებული დაინტერესებული ჭვრეტის სტრატეგიით (საწყალი კანტი თავისი ოდინდელი დაუინტერესებელი ჭვრეტით!) "პეტრე-პავლობიდან" ცალკეული, მთავარი პერსონაჟის ემოციური მდგომარეობის აღმწერი წინადადებების ამოკენკვამ, საკვანძო პუნქტებად მათმა გასაღებამ (რითაც მსუბუქად მოხერხდა სხვა, მართლა საკვანძო, ადგილების მიჩქმალვა, რაკი მათზე ყურადღების გამახვილება "რეცენზენტის" ჩანაფიქრისთვის განსაკუთრებული ხელსაყრელობით არ გამოირჩეოდა) და ყალბ საბუნებისმეტყველო თეორიებად მათი გადაქცევის ალქიმიამ დაუხშო გზა "რეცენზენტს" რომანის მთლიანობის გააზრებისკენ, მეტიც, მის მიერ "ზემოთთქმულის შეჯამების"(გვ. 9) შეუძლებლობისკენ. კერძოდ, მისი ინტერპრეტაციით, მონასტერში მცირე დროით განმარტოების შედეგად, პერსონაჟი "ეგუება ახალ ვითარებას და შესაძლო კონფლიქტი მოიხსნება. ეს გაგებული უნდა იქნას მონასტერში სულიერი გაძლიერების უშუალო გამოვლინებად"(გვ. 9). აქაც უნდა შევუშალო ხელი "რეცენზენტს" ხელუკუღმართობაში და განვუმარტო, თუ რას გულისხმობს მის მიერ "შეგუებად" ჩამოწერილი სულიერი ხდომილება. დაუინტერესებელი ჭვრეტით "პეტრე-პავლობის" წაკითხვის შემთხვევაში, ეს გულისხმობს რომანის პერსონაჟის მიერ იმ სინამდვილის გაცნობიერებას და აღიარებას, რომ საყვარელი მამაკაცის ნაბიჯსა და თვით მის (შეყვარებული ქალის) სიყვარულს შორის არსებობს განსხვავება, რომლის დაუფიქსირებლად პერსონაჟი ბ-ნი შარვაძის სუტენიორის იმედებს კი შეასხამდა ფრთებს, მაგრამ ნებისმიერი რიგითი შურისმაძიებელი გომბიოს ხვედრს ნამდვილად ვერ აცდებოდა (შესაბამისად, ვერც რომანი აცდებოდა იაფფასიან მელოდრამობას). "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირი აცნობიერებს, რომ საყვარელი მამაკაცის მიმართ მისი სიყვარული დამოკიდებული არ არის იმ ფაქტობრივ ვითარებაზე, რომლის ცხელ კვალზეც იგი მონასტერში აღმოჩნდა. მისი სიყვარული, ასე ვთქვათ, თვითკმარია, ავტონომიურია. ამის გაცნობიერებაც განაპირობებს, ყველა სხვა შინაგან საყრდენთან ერთად, პერსონაჟის ძალისხმევის მიმართვას საკუთარ სულიერ რეალობაზე წარმოებული დაკვირვებების ობიექტივაციისკენ, რომლის პირ-

ველ სერიოზულ შედეგადაც, როგორც უკვე აღვნიშნე, გავრცელებული მხატვრული ხერხით, იქცა თვით "პეტრე-პავლობა".

სხვათაშორის, განხილული ასპექტის ფონზე, ნამდვილად აქვს აზრი "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირის "განუვითარებლობის" რეალური შინაარიის დაზუსტების მიზნით, ბ-ნი შარვაძის სუტენიორის ხელში გავლილი ქალის "განვითარების" შესაძლო პერსპექტივის ხაზგასმას. ბ-ნი შარვაძის სუტენიორმა შეიძლება თომას მანის "იოსები და მისი ძმები" მაინც გაალოთ-და-მის-ორქალიშვილოს, მისი მუშაქალი კი ამ საქმის მეათასედსაც ვერასდროს მოახერხებს, რითაც მიზანი სწორედაც რომ მიიღწევა: სუტენიორი არა მხოლოდ უმოწყალოდ ამცირებს მის ხელში მოხვედრილ ქალს, არამედ თვით ამ დამცირებასაც მისთვისვე ჩადენილ სიკეთედ აცნობიერებინებს, რაც, ცხადია, სუტენიორის შინაგან კმაყოფილებასაც უზრუნველყოფს, - მოსწავლე მასწავლებელზე შორს ვერ წავა. სუტენიორი, მასთან ერთად კი - ბ-ნი შარვაძე, ნიშანს უგებენ დამცირებულ ქალს და ამით დამცირების უმაღლეს საფეხურს აზიარებენ (როგორ არ გავიხსენო ორუელის "1984"-ის ის სცენები, სადაც ჯალათი მსხვერპლზე ზრუნვის სახელით აწამებს ამ მსხვერპლს და ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ მსხვერპლი ლამის ინტიმურ გრძნობასაც კი განიცდის თავისი ჯალათის მიმართ).

რაკი "რეცენზენტი" "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირის ერთგულებას, მონასტერში განმარტოებას და სასწრაფოდ ახალი კაცის მკლავებში ნახტომის გაკეთებაზე უარის თქმას "სულიერი უმწიფრობის, საკუთარ თავში დაურწმუნებლობის, პიროვნულობისთვის ბრძოლაზე უარის თქმის გამოვლინებად"(გვ. 10) უთვლის და ასეთი ერთგულების ჩაქოლვას დიდ დროს უთმობს, იძულებული ვარ, "რეცენზიის" ამ "კონცეპტუალური" მონაკვეთის განხილვას მეც სათანადო პატივი მივაგო. გასაკვირი არ იყო, რომ შეყვარებული ქალის ერთგულებაში არაჯანმრთელ, ლამის ინვოლუციური პარანოიით აღბეჭდილ კირკიტს (რაც, არა მგონია, მხოლოდ "რეცენზენტის" კრიზისული ასაკის თავისებურებებით აიხსნებოდეს) აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა რაღაც ამის მსგავსი შენიშვნა: "რომანიდან ვერ ვიგებთ ვერც მის (მთავარი გმირის, - დ. ბ), ვერც მისი შეყვარებულის სახელს, რაც მათი ურთიერთობის განზოგადებას ნამდვილად არ უწყობს ხელს"(გვ. 5). იყო კი ავტორის ამოცანა, მაინც და მაინც ამ გზით მიეღწია პერსონაჟი ქალისა და მისი საყვარელი მამაკაცის ურთიერთობის განზოგადებისთვის? ვეჭვობ, "რეცენზენტს" ეს პრობლემა გულთან ახლოს მიჰქონდეს. აი, ბუჩქნარში ჩასაფრებულ მის პერსონას კი ნამდვილად არ უნდა აწყობდეს საქმის ასეთი ვითარება. განზოგადების უცნაური გზებით

მაძიებელს მოულოდნელად ჩაესმის, თუ როგორ იხსენებს პერსონაჟი თავისი შეყვარებულის სიტყვებს, - შენ ჩემთვის მაშინაც უნდა გეერთგულა, ვიდრე მე გავჩნდებოდი შენს ცხოვრებაშიო. "რეცენზენტი" ღელავს: "საკუთრივ რაში მდგომარეობდა არაერთგულება, კონკრეტულად არ ითქმება"(გვ. 6). ხოლო რაკი არ ითქმება, თავისი სუტენიორის საქმის ერთგულმა და საჭირო დოსიესთვის ინფორმაციის ვერმომპოვებელმა მაძიებელმა შურისძიება იმით გადაწყვიტა, რომ ქალის რჩეულს "სხვა მხრიდანაც" მოუნდომა "იძულებით ჩაჩოჩება" და იქ, სადაც ობიექტური რეცენზენტი უაღრესად საინტერესო თემის მხატვრული დამუშავების სისუსტეს აღნიშნავდა და უაღრესად საინტერესო დეტალის აუთვისებლობას მოისაკლისებდა, მან პერსონაჟი ქალისა და მისი შეყვარებულის ურთიერთობის გაშაყირება და თავისთვის სახეირო დინებით ამ თემის გადასროლა სცადა, რამაც მიწიერ ჭრილში სხვათა გან-ხილვის მოწადინე მაძიებელი თავადვე მწარედ გან-სა-ხილველ ფიგურად აქცია. მიწაზე მისი მოზღართანების უშუალოდ წერტილდამსმელ სცენად კი იქცა ნამდვილი სიყვარულის ტიპურ მაგალითად ასი წლის წინანდელი იმ ადვოკატი პლევაკოს მოშველიება, რომელსაც მილიონერი ფაბრიკანტის ცოლი შეყვარებია, ცოლად შეურთავს და მისი ხუთი შვილიც თავის სახლში დაუბინავებია. მოწმედ პლევაკოს გამოძახება მოსდევს "რეცენზენტის" მარჩიელობას იმასთან დაკავშირებით, თუ "რაში ვერ უერთგულა ქალმა ვაჟს"(გვ. 6). რაკი ეს შეხვედრამდელი "ღალატი" და "ვერმისწრება" რომანში არსად სახელდება შეყვარებული მამაკაცის მიერ "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირის ცოლად არშერთვის მიზეზად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მაგალითის მოშველიებით "რეცენზენტს" "აბსოლუტური სიყვარულის" საკითხის სახელდახელოდ "მოყომარება", პარალელურად კი მტრის ხატის გაძლიერება ჰქონდა ჩაფიქრებული. ღმერთის რისხვა იყოს ჩემზე, პლევაკოს რაინდობასა და წესიერებაში ეჭვი მეპარებოდეს, მაგრამ ვის-ვის და ფილოსოფიური განათლებით მხრებდამძიმებულ ადამიანს კი უნდა შეეკავებინა თავი ამ რაინდულ მაგალითზე დაყრდნობით სიყვარულის არსის მიგნებისგან, ხოლო მიგნების შემთხვევაში - გახმოვანებისგან. ძნელი მისახვედრი არ არის, ბუჩქნარში შემალულ ბ-ნ შარვაძეს რა ძლიერ უნდა დაბუჟებოდა წელსქვედა ნაწილი, რომ მის მხრებზედა ნაწილს წონასწორობა დაეკარგა და შესაძლო კონტრარგუმენტის სახით მაინც არ გახსენებოდა მისთვის ყველა პარამეტრით უსარგებლო, მაგრამ შედეგების მიხედვით მეტად საინტერესო მაგალითები არაპლევაკოური სიყვარულისა: მაგალითად, როდენისა და კამილა კლოდელის ურთიერთობა და ის, რაც როდენის ქანდაკებების სახით ამ ურთიერთობამ შექმნა; მაგალითად,

პასტერნაკისა და ოლგა ივინსკაიას ურთიერთობა, რომელმაც შედეგად "ჟივაგოს" ლარა მოგვცა; მაგალითად, პიკასო თავის ურიცხვ ქალთან ერთად; მაგალითად, ეზრა პაუნდის ცნობილი სამკუთხედი, რომელსაც პაუნდის დაოჯახებიდან მისი მეუღლის გარდაცვალებამდე ფორმა არ შეუცვლია, ამ ფორმის ფარგლებში კი ისეთ უცნაურობებსაც უჩენია თავი, რომელთაგან ყველაზე საკვირველი სულაც არ იყო, ვთქვათ, ჯერ პაუნდისა და მისი საყვარლის სიყვარულის ნაყოფის გაჩენა ამქვეყნად და მხოლოდ ამ მოვლენიდან სულ ცოტა ხნის მერე მისი კანონიერი მეუღლის შედეგება... მხოლოდ ამ სახელებითაც რომ დავკმაყოფილდე, ბ-ნი შარვაძე მაინც ვერ აღმოჩნდება თეთრ დღეში და სწორედ რომ მისდა სავალალოდ ჩაგვაფიქრებს მის მიერვე გახსენებულ კრილოვის ცნობისმოყვარეზე, რომელმაც "ბაღლინჯოს სპინქტერებს ისე აუღო ალღო, რომ სპილო დარჩა შეუმჩნეველი"(გვ. 14).

ეჰ, "რეცენზენტ", "რეცენზენტ"! ფრანგებს, რუსებს და ამერიკელებს ეს და ათასობით სხვა, არანაკლებ მორალსმიღმური ისტორია არაპლევაკოური სასიყვარულო ურთიერთობის ბრალდებით რომ ჩამოეწერათ ან თავიანთ ქვეყნებში ქალის მონური მდგომარეობის რწმენის სიმბოლოებად ექციათ, მიიღებდნენ იმ შედეგებს, რომლებსაც ბ-ნი შარვაძის "ექსპერიმენტული ლოგიკა" სწორედაც რომ "ნიადაგის დარად ქალის საფენად მოაზრების"(გვ. 4) სახით წარმოგვიდგენს? რა შუაშია აქ აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირება და ყირგიზულსისხლიანი პლევაკო? (ჩემდამი ყოველი შესაძლო არაკეთილმოსურნე პრიმიტივის რისხვის სანიშნედ რომ არ ვიქცე, აქვე დავაზუსტებ: ეს მაგალითები იმიტომ არ დამისახელებია, თითქოს მსგავს სამკუთხედებს, ბევრკუთხედებს და ფარულკუთხედებს ვამართლებდე და ვიწონებდე. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ყველაზე უგერგილო საქმე მორალიზმის საკურთხეველზე სხვადასხვა განზრახვით ასეთი ფაქტების მიტანაა).

მაინც, რა სარგებლობა მოუტანა "რეცენზენტს" "პეტრე-პავლობაში" აღწერილი კონკრეტული ადამიანური დრამის ჰაეროვნად გადასროლამ ეფექტურ აღმოსავლურ პრობლემატიკაში და ტიპობრივ აღმოსავლურ მოვლენად მისმა "განხილვამ", ამის მერე კი აღმოსავლური ცხოვრების წესის დაბომბვამ? ვიდრე ამ კითხვასაც პასუხს გავცემდეთ და "რეცენზენტს" სარკეში კიდევ ერთხელ ჩავახედებდეთ, შუალედური დასკვნის სახით დავაზუსტოთ, რომ მისი უბადრუკი მდგომარეობა ნამდვილად უწყობს ხელს ქართველი ქალის მიმართ მისი სიძულვილის განზოგადებას, საერთოდ, ქალთა სქესის მიმართ სიძულვილამდე: "რა გაეწყობა, ურჩევნია ქალს (და არა მარტო ქართველს) ***გამეორება*** და თუ გინდა, ფერფლი

გადაიყარე თავზე!"(გვ. 7). აი, რა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს გაბოროტება იმის გამო, რომ "პეტრე-პავლობის" პერსონაჟი კაცების რაოდენობის ზრდის ხარჯზე "განვითარების" წინააღმდეგია, და გაბოროტება იმის გამო, რომ თურმე არა მხოლოდ ქართველი ქალი ყოფილა ასეთი. საბრალო "რეცენზენტი"! ფროიდის გონების ძალა არ სჭირდება იმის მიხვედრას, თუ რა ოცნებებისა და ფანტაზიების გზებზე დაუყენებია ბ-ნი შარვაძე მის მიერ გაუმხელელ ქრონიკულ ტრავმას: მაინც რამდენი კაცი უნდა ჰყავდეს ქალს შეცნობილი, რომ ბ-მა შარვაძემ მისი მოწყალების ღირსად ჩათვალოს თავი? ვინ არის ის ქალი, ვინც მის საზომად იქცა? თუ რა შემთხვევებში იჩენს თავს ასეთი დაბალი თვითშეფასება, ამაზე პასუხის გაცემა, ალბათ, აფრიკის რომელიმე ავტონომიური პროვინციის საფუძველზე აღმოსაცენებლად მოსალოდნელი რომელიმე სახელმწიფოს მოსალოდნელი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელსაც არ გაუჭირდება. ხოლო თუ ხსენებულ სტუდენტს დამატებითი ფაქტის სახით ბ-ნი შარვაძის სხვა გატაცებასაც, - თავისი ავტორობით გამოცემული წიგნების ყდების დამშვენებას ეროტიკული სურათებით (ჯერჯერობით, სხვათა შენამოქმედარით), - მივაწვდით, მაშინ ის, უბრალოდ, თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს ასეთი ანბანური შეკითხვით მისი გამოცდის მცდელობის გამო.

ამის მერე გასაკვირია, თუ რატომ აიგივებს "რეცენზენტი" ერთი მამაკაცის მიმართ სიყვარულს გამეორებასთან, ერთგულებას - განუვითარებლობასთან? ამ განუვითარებლობის საწინააღმდეგოდ და ჯინაზე, აი, ასე განვითარდა ფალოსტროპიზმების წინააღმდეგ მებრძოლი რაინდი შარვაძის მდგომარეობა არა მხოლოდ ფალოსტროპიზმის საიდუმლო აგენტობამდე (ასე რომ ყოფილიყო, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, ლოკალურ პროგრესთან გვექნებოდა საქმე), არამედ - თავის თავში ჩაბრუნებულ ფალოსტროპიზმამდე და საკუთარ თავზევე დამიზნებულ ფალოსოცენტრიზმამდე... რა მანკიერი წრეა, არა? ნუ დაგვავიწყდება, რომ მოქმედება ბუჩქნარში ხდება!

ერთი სიტყვით, რა მიზეზებითაც არ უნდა იყოს გამოწვეული "რეცენზენტის" სავალალო მდგომარეობა, ამ მიზეზებმა ის უმოკლესი გზით მიიყვანა სხვათა მიერ შექმნილი სულიერი ღირებულების სიმაღლის შედეგებით (და ამ შედეგების სამომავლო პერსპექტივებით) გაბოროტებამდე, რომლის არაუკანასკნელ შემადგენელ კომპონენტად სიხარბეც უნდა მოვინიშნოთ. ბრმის და ყრუს დამოძღვრას უდრის ამ დროს შეგონება: მოითხოვე უკეთესი, მაგრამ - მხოლოდ იმისგან, ვისი გაუკეთესების მცდელობაც შენი შრომის შედეგია, სხვის მიერ გაუკეთესებულს და გა-

უმჯობესებულს შენი ბინძური ხელებით ნუ წაეპოტინები! "რეცენზენტის" მიერ აღმოსავლური თაღლითობით დაგმობილი "გამეორების" ნამდვილი შინაარსი კი ასეთია: "სამყაროს ცენტრი, ჭიპი, ფალოსი, ვაგინა, და ა. შ. ვარ მე, ერთადერთი ადამიანი ვარ მე, საერთოდაც, ერთადერთი არსებული ვარ მე, ყველა სხვა კი მხოლოდ საშუალებაა, რათა განუწყვეტლივ ვმეორდებოდე ამ ჩემს ჭიპობაში". აი, ასეთი გამეორებადობის შესანიღბად დასჭირდა მას ნეგატიურ პლანში ამ ცნების "ანალიზი". სწორედ ასეთი სახალისოა იმ პროფაშიზმის ნამდვილი შინაარსი, რომლის აპოლოგეტობაც "რეცენზენტმა" თავისი ნაღვაწის შესავალშივე დაიჩემა: "წინამდებარე რეცენზია სხვისი შემოქმედების წესისა და შინასამყაროს მიმართ შეუწყნარებლობის ზომის მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს პროფაშისტურად"(გვ. 5). უბრალოდ, მოხდა ის, რომ ბ-ნ შარვაძეს თავისი პარანოიის ზომამ არ მისცა საშუალება, ერთი წამით მაინც დაეშვა, რომ მის მიერ ბუქნა-ბუქნით ამოსროლილი ამ სიტყვის შინაარსს დაუზუსტებდა ვინმე! მან დაიჩემა, ჩვენ კი მხოლოდ მის ქმედებებთან ამ სიტყვის მისადაგების რეალური შინაარსის გაცნობიერებაში დავეხმარეთ გზააბნეულ ინტელექტუალს.

ამის მერე, ისღა დამრჩენია, "რეცენზენტისავე" მისამართით დავაკვალიანო შეშფოთება, რომელიც მასში "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირის პოზიციამ და "განუვითარებლობამ" გამოიწვია: "მაგრამ ეს ხომ ძალადობაა, პირველ რიგში ბუნებაზე, შემდეგ კი საკუთარ თავზე!"(გვ. 7). სიმბოლურია, რომ ამ შეძახილით "რეცენზიის" იმ მონაკვეთის "განვითარება" ბოლოვდება, რომელიც თავისი "დიალექტიკურობით" სულ ერთ აბზაცში ისეთ თაიგულს აღმოაცენებს, რომლის "სურნელების" ინტენსიობა დაბოღმილი და გაბოროტებული "რეცენზენტის" წონასწორობის დაკარგვის სისწრაფეს უტოლდება. ბ-ნი შარვაძის ლოგიკით, (1) ამ რომანში აღწერილია "ქალის უაღრესად დამთმენი პოზიცია თავისივე ბედუკუღმართობის მიმართ და ცხოვრებისეული უკუღმართობის წარმართვა სულიერი ცხოვრების გაინტენსიურობისკენ, (2) ანუ "პეტრე-პავლობაში" ნაცადია ნეგატიური ველის გადაქცევა ადამიანური საწყისის გაძლიერებისა და ამაღლებისთვის უფრო მადლიანად, ვიდრე ამის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი რაგინდ პოზიტიურ ველზე. (3) თუ "პეტრე-პავლობა" არ წაიშლება ქართული ცნობიერებიდან, ჩემი აზრით, სწორედ მასში ამ პრობლემის ნათლად და მძაფრად დასმის გამო. (4) რეცენზენტის გულისწყრომა კი გამოწვეულია არა იმით, რომ ეს ცდა რომანში წარუმატებლად მთავრდება რომანის გმირის ყველა სულიერი შესაძლებლობის ამოწურვის შემდეგ, არამედ იმით, რომ ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტა გარანტირე-

ბულია არსებითად გრძნობად სიბრტყეზე სამყოფელის შენარჩუნებით და ჭვრეტის დონეზე ყველა წინააღმდეგობის(ტკივილის) გაწონასწორებით. (5) ასეთი სტრატეგიით კი გამოცდილების შენახვაზე(რომლის გარეშე წინსვლა განწირულია წარუმატებლობისთვის) ლაპარაკიც ზედმეტია, რომ არაფერი ვთქვათ რაიმეს შექმნაზე"(გვ. 6-7; ნუმერირება ჩემია). მთელი ამ კაზუისტიკის ლოგიკურად უმარტივესი, მორალური თვალსაზრისით კი, უბრალოდ, მზაკვრული შინაარსია AD HOC "თეორია", რომ რომანის გმირის სულიერი შესაძლებლობების ამოუწურაობის დასტური იქნებოდა ღალატის ფაქტობრიობის წინააღმდეგ ჯანყის გამოცხადება სხვა, ახალი მამაკაცის მკლავებში ნახტომის გაკეთებით. ამ "თეორიის" "მარილი" ის არის, რომ "რეცენზენტი" რომანის პერსონაჟს იმასვე საყვედურობს, რასაც უწონებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოვიდოდა, რომ (1), (2) და (3) შესაძლებელია მხოლოდ ახალ-ახალი ნახტომების გაკეთებით ანუ "გამეორებით" (იქნებ, ეს არ უნდა ჩაითვალოს "გამეორებად"?) ანუ ხტუნვით (ანუ - იმით, რისკენაც ბ-ნი შარვაძის სუტენიორმა თავის მსხვერპლს უბიძგა; აქვე შევნიშნავ, რომ მისი სუტენიორი პრივილეგირებული ადამიანია, მხოლოდ მას ენიჭება სხვისთვის ხტუნვა-ხტუნვის მთელ სიკეთეში დამარწმუნებლის პრივილეგია, ბ-ნი შარვაძის რომანის დასასრულს კი მკითხველმა - საუკეთესო ალბათობის სახით - უნდა იგულისხმოს, რომ მსხვერპლის ხტუნაობა დასრულებულია სუტენიორთან მისი განშორებისთანავე). არადა, ნაკაზუისტიკარის (4)-ში სწორედ იმ მდგომარეობის აღმნიშვნელმა სიტყვათა კომპლექსმა გაიელვა("ჭვრეტის დონე"), რომლის მიღწევაც ერთ-ერთი ძირითადი (მაგრამ არასაკმარისი) პირობაა რაღაც ღირებულის შესაქმნელად. ადამიანმა (ამ შემთხვევაში, ქალმა) ხომ სწორედაც უნდა მოიცალოს, რათა ასეთი ღირებულების შექმნა სცადოს. "რეცენზენტის" მ(?)ტ(?)ფიზიკის სპეცარსს, მთლიანობაში, ქმნის შემდეგი მტკიცება: "პეტრე-პავლობის" მთავარმა გმირმა უნდა მოუხმოს მთელ თავის "სულიერ შესაძლებლობებს", ეს "ჭვრეტის დონე" დროში ოდნავ გადაავადოს და დატოვებულ შუალედში, დიადი "განვითარების" სახელით, კიდევ ერთი მამაკაცი ჩასვას (ესეც, მორალიზმის მჩატე ხმლით მებრძოლი "რეცენზენტის" მამა-პაპური სულისკვეთების კიდევ ერთი გაბრწყინება! რას ერჩის ეს კაცი აღმოსავლეთს?). არადა, (2) ხომ სწორედ მსგავსმა "მოცლილობამ" ანუ "ამ პრობლემის (ე. ი. (1)-ის, - დ. ბ.) ნათლად დასმამ" გახადა შესაძლებელი. რამ დააბნია ასე "რეცენზენტი"? რამ აიძულა (5)-ის სახით საბრალდებო განაჩენის გამოტანა? რამ აიძულა ჯერ ბუნებაზე, მერე კი საკუთარ თავზე ასეთი ძალადობა? ისევ იმან, რომ პერსონაჟის ცხოვრებისეულ პერსპექტივაში თავისი ადგილი (თუნდაც ფან-

ტაზიის დონეზე) ვერ ამოიკითხა თუ - იმან, რაც ქალთა სქესის მიმართ მისი განზოგადებული აგრესიის სავარაუდო მიზეზია? ნებისმიერი მიზეზის მიუხედავად, ფაქტია, რომ მთელი მისი "რეცენზია" იქცა რომანის პერსონაჟთან საქმის გარჩევის უკვე აღნიშნულ პროცესად და პერსონაჟისთვის იმის მტკიცებად, რომ მისი (ამ პერსონაჟის) "შეგუება" განაპირობებს მის მონობას, ეს "რწმუნება" კი გაჯერებულია საჭირო სენტენციებით, აფორიზმებით და აღმოსავლური თაღლითობით შერჩეული მაგალითებით (ამ თაღლითობის შინაარსი და ადამიანური უსუსურობაა მკითხველის შესაძლო სიბრიყვეზე გათვლილი მოლოდინი), რომლებმაც პერსონაჟზე ზემოქმედება უნდა იქონიონ და შეაგნებინონ, რომ მისი მდგომარეობა მონურია, საიდან გამოსავალიც საკუთარი თავის უმოწყალო ანალიზსა და თვითკრიტიკაშია.

კი, მაგრამ (იფიქრებს მკითხველი) რა არის უსამართლო და მზაკვრული თვითკრიტიკისკენ ასეთ მოწოდებაში? თვით მოწოდებაში - არაფერი (ამიტომაც, მოწოდება სამართლიანი ან უსამართლო არ შეიძლება იყოს და მისთვის ამ ატრიბუტების მიწერა ადამიანურ მეტყველებაში პირობითი ხასიათის მატარებელია; სამართლიანი ან უსამართლო შეიძლება იყოს ის, ვინც გარკვეული შინაარსის მქონე მოწოდებას გამოთქვამს)! მაგრამ ამ "მოწოდებით" და რწმუნებების ჯაჭვით "რეცენზენტმა" თავისი ცბიერების გადამალვა მოინდომა: თავისუფლება, რომელიც მან გაიმეტა პერსონაჟისთვის, რომლისკენაც მოუწოდებს პერსონაჟს, სინამდვილეში, მორჩილებასა და მონობაში პერსონაჟის გადასროლის წინდაწინვე ჩაფიქრებული სტრატეგიაა. "რეცენზენტი", რომელსაც არ აწყობს, არ სიამოვნებს, გულზე არ ეხატება, აღიზიანებს პერსონაჟის სარომანო მდგომარეობა (სწორედ აღნიშნული ემოციების ჭარბი მოზღვავება და ქრონიკული პროგრესირება გადაიზრდება პარანოიაში), მას, აღნიშნული მდგომარეობის დისკრედიტაციის მცდელობით და ამ მდგომარეობისგან გათავისუფლების კეთილი სურვილით, სთავაზობს ახალ, თვით "რეცენზენტისთვის" სასურველ და სასარგებლო მდგომარეობას და პოზიციას, რომელიც საღდება საბოლოო, უმაღლეს და საუკეთესო მდგომარეობად (სხვათაშორის, ამავე პრინციპზეა აგებული რეკლამის ის რიტორიკა, რომლის ანალიზიც ბრწყინვალედ განხორციელდა ჯერ კიდევ 60-იანი წლების ევროპულ სემიოტიკაში. ვისარგებლებ შემთხვევით და აქვე დავაზუსტებ, რომ ჩემი წერილით ნაკლები სიამოვნების მიღება ელით სემიოტიკური ლინგვისტიკისა და ფსიქოლინგვისტური კრიტიკის სფეროებში ჩაუხედავ მკითხველთ, რისთვისაც მე მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი და თავს იმით ვიმართლებ, რომ, დრო-სივრცის დაზოგვის მიზნით, ჩემი კრიტიკული სვლე-

ბი მოკლებულია ყოველ ნაბიჯზე თვითკომენტირებას, ამ საქმეს თავის გონებაში უსწრაფესად ჩაატარებს დეკონსტრუქციის თანამედროვე სტრატეგიებში თუნდაც ზერელედ ჩახედული ნებისმიერი მკითხველი), ანუ "რეცენზენტი" პერსონაჟს წინდაწინვე თავისკენ უხმობს (სხვა საკითხია, რისი შნო აქვს ბუჩქნარში ჩასაფრებული ამ პერვერტის თავს), სთავაზობს თავის ნაწარმს, როგორც უკეთესს. "უკეთესობისკენ" მომწოდებლობის ეს პოლიტიკა გაძვალტყავებულ თხას ემსგავსება "რეცენზიის" იმ მონაკვეთში, სადაც ბ-ნი შარვაძე "პეტრე-პავლობის" ავტორს თომას მანის "იოსები და მისი ძმების" "პირვანდელ მოცულობაზე დაყვანას" საყვედურობს (იგულისხმება პერსონაჟის ერთ-ერთი ჩანაწერი, რომელიც "იოსების" წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებას გადმოგვცემს). თუ საქმე მართლა ასეთ "დაყვანას" შეეხებოდა, "რეცენზენტს" ხელს არაფერი უშლიდა, საყვედური კრიტიკამდე აეყვანა, მაგრამ მან ამ გეზზე უარი თქვა და ავტორს დაუყონებლივ ურჩია, რომ მისი "მომავლის რომანში, არა აუცილებლად შემდგომში, მისი შთაგონებისა და სიუჟეტური სივრცის შემავსებელი წყარო მინიბიბლიოთეკა კი არ იყოს, არამედ რომელიმე წიგნის რამდენიმე გვერდი ან თუნდაც აბზაცი"(გვ. 12). რატომ დასვა "რეცენზენტმა" აზრობრივი მრავალწერტილი და რატომ შეაბოტა მენტორის როლში? "პეტრე-პავლობაში" თუ რომელიმე მხატვრულ-საკომპოზიციო ხერხი წარმატებით მუშაობს და სარომანო მთლიანობის ორგანული ნაწილია, ეს სწორედ "რეცენზენტის" მიერ ირონიულად მოხსენიებული "მინიბიბლიოთეკით" მიღებული შთაბეჭდილებების შრეზე ითქმის. ამიტომ, შენიშვნა, სულ მცირე, აცდენილია სანიშნეს. თუ, მაინც და მაინც, ალტერნატიული ხერხების ჩამოთვლის ხასიათზე დადგა "რეცენზენტი", მაშინ, მის მიერ ამავე "რეცენზიაში" დაყენებული სახელების კორიანტელის გათვალისწინებით რომ ვივარაუდოთ, არ უნდა გაძნელებოდა ლიტერატურის სამყაროში ცნობილი და წარმატებით მომუშავე ათიოდე ალტერნატიული მეთოდის ჩამორაკრაკება. მაგრამ ფაქტია, რომ გაუძნელდა. და ამის მიზეზად ის იქცა, რომ თვით ბ-მა შარვაძემ თავის პირველ რომანში სწორედ "პეტრე-პავლობის" ავტორისთვის შეთავაზებული ხერხი გამოიყენა, როცა ლოთის და მისი ქალიშვილების ბიბლიური ისტორია გაალათომასმანიანა(ესეც, "პეტრე-პავლობის" პერსონაჟის "მინიბიბლიოთეკაში" "იოსების და მისი ძმების" აღმოჩენით მისი გაღიზიანების ფსიქოლოგიური მიზეზი!). რა თქმა უნდა, მას შეეძლო ამ სიმართლის აღიარება, მაგრამ მაშინ ხომ საქმე ბ-ნ შარვაძესთან არ გვექნებოდა (ისე, რა ამის პასუხია, და, საერთოდ არის საინტერესო, რა ფილოსოფიური სიღრმე და სიმართლე უნდა ედოს საფენად, მაგალითად, მავანის მიერ სხვათა

"ჩაშვების" გამოცხადებას მხილებად, ხოლო სხვათა მიერ მის მხილებას - "ჩაშვებად"?). თუმცა, სათქმელს ნუ გადავუხვევთ: როცა თავისუფლებისკენ მიმხმობი რაინდის თავისუფალი ნების წაკითხვა მოვინდომეთ, ხელთ შეგვრჩა ჟურნალისტთა თაობების მიერ ნაგლახავებ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე უფრო მეტად ნაგლახავების მიერ "ძალაუფლებისკენ-ნებად" წოდებული ფენომენის ყველაზე უფრო უხეში ნიმუში. ამ უხეშ ნებას კი უკანასკნელი როლი სულაც არ მიუძღვის ჩემს მიერ უკვე მითითებულ დისტანციის მოშლაში, "პეტრე-პავლობის" პერსონაჟისთვის "მსოფლმხედველობრივი განსხვავების დადგენის" მომიზეზებით ბრალდებების წაყენებასა და ქალთა სქესის გმობაში, რაც გადაულახავ ბარიერად ეღობება რეცენზიად ბ-ნი შარვაძის "რეცენზიის" გადაქცევას. ბ-მა შარვაძემ, ფაქტობრივად, ვერ მოახერხა რომანის პერსონაჟის, როგორც სწორედ რომანის ფუნქციის, წაკითხვა (მან თავისი დეკლარირებული ამოცანის გადასაწყვეტად ამ რომანის, როგორც სადღიურო ჩანაწერების, წაკითხვა მოინდომა).

მაგალითების შერჩევის "მეთოდით" შესაძლო ალტერნატივების გადამალვის კულტურა და თაღლითობა კარგად ჩანს "რეცენზიის" სამეტყველო ფიგურების "განვითარებაშიც". ალბათ, ყველაზე პრინციპულ და "სამართლიან" ფაშისტებსა და კომუნისტებსაც კი სჯეროდათ, რომ უმაღლესი სიკეთისა და სამართლიანობის სახელით მოქმედებდნენ. მეორეს მხრივ, ისტორიაში არსებული თუ სადღეისოდ აქტუალური რევოლუციური მომწოდებლობის ადამიანური პრაქტიკები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება მათ მიერ დასახული ზოგადი მიზნების შინაარსით და პათოსით. მათი გადამწყვეტი უმრავლესობისთვის საერთო მახასიათებელი კი, ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად არის ფაშისტური ენა (ყოველ შემთხვევაში, იმ აზრს მაინც არ უარყოფს მკითხველი, რომ ლოზუნგის დემოკრატიულობა ლოზუნგის არც შემქმნელთა და არც ამტაცებელთა დემოკრატიულობას არ ამტკიცებს). რაკი ჩვენი "რეცენზენტის" მოწოდებებსაც წყალი შეუდგა (დავუშვათ, რომ - მხოლოდ წყალი), მოდით, ნურც მისი მეტყველების პოეტიკას დავტოვებთ უყურადღებოდ და თვალი მივადევნოთ ამ მეტყველების ზეაღსვლას და ამაღლებას მსუბუქი სინარნარიდან და ჰაეროვანი სურვილების გამოთქმებიდან უხეშ დირექტივებამდე (მკითხველის წინაშე ბოდიშს ვიხდი სხვა კონტექსტში მოხმობილი ზოგიერთი ციტატის გამეორებისთვის; ვსარგებლობ შემთხვევით და ბოდიშს ვიხდი ჩემს მიერ უკვე აღნიშნული ფსიქოლოგიური მოტივაციების ხაზგასმისთვისაც, რაც გამოწვეულია "რეცენზიის" კონოტაციური სიმწირით): "ვერაფერს გავაწყობთ იმასთან, რომ ერთს ურჩევნია საკუთარი სუ-

ლიერი სიმშვიდე შერიგებაზე ააგოს, ხოლო მეორეს - შეურიგებლობაზე"(გვ. 5); "რა გაეწყობა, ურჩევნია ქალს (და არა მარტო ქართველს) ***გამეორება*** და თუ გინდა, ფერფლი გადაიყარე თავზე"(გვ. 7). მაგრამ, აი, უკვე: "მთავარი გმირის გრძნობების სიმახინჯე სწორედაც რომ განათლებას აცდენილი აქტიურობიდან იღებს სათავეს"(გვ. 7). ორიოდე გვერდის მერე ჩნდება საყვედური: "გულწრფელობის უმაგალითოდ გამბედავი გაქანების მქონე ავტორს მინდა ვუსაყვედურო სწორედ გულწრფელობის ნაკლებობა"(გვ. 9), რომელიც, ფაქტობრივად, მხატვრული დამაჯერებლობისგან პერსონაჟის განძარცვის და ფსევდოიდეალურ სქემატურობაში მისი გადატყორცნის მომსაკლისებელია, ანუ "რეცენზენტი", იდეალური პერსონაჟის მოთხოვნით (მაგრამ არა გულწრფელი სურვილით), არაიდეალურ პერსონაჟს სტალინური პერიოდის "ეთიკის" სახელმძღვანელოების პათოსით კიცხავს. "რეცენზენტი" სულ უფრო კარგავს წონასწორობას: "მასში (პერსონაჟი ქალის განცდებში, - დ. ბ.) ვერ ვიპოვით გაუბედავ დაშვებასაც, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გასვლა (მისი შენარჩუნებიანად) შესაძლებელია ახალი(თანამდევი) სიყვარულის ობიექტის გაჩენით"(გვ. 9). ერთი გვერდიც არ "გასულა" ხეირიანად და "რეცენზენტი" ბუჩქებში ეკლებზე ზის: "აქვს კი მას გაცნობიერებული, რას ჩასჭიდებია სულიერი სინამდვილის შენებისა და სილამაზისკენ სწრაფვის ნიღბების ქვეშ?"(გვ. 10), რასაც საკუთარ თავს ავადმყოფურად ჩაჭიდებული "რეცენზენტის" მიერ სახელდახელოდ მოწყობილი საშინელი სამსჯავროს სცენა მოსდევს: "მთავარი კი, რაშიც «ბრალს ვდებთ» შეყვარებულ ქალს (ბრჭყალების საშუალებით ამ სიტყვების დაზღვევა ნამდვილად ვერ დაიმსახურებს ბრალდების, როგორც პირობითი აქტის კვალიფიცირებას, ბნი შარვაძის ბრჭყალებში ამ სიტყვებს სული ეხუთებათ, - დ. ბ.), მისი უგრძნობლობაა საერთოდ პიროვნულობისადმი..."(გვ. 11); ბრალდება შევსებას საჭიროებს: "ის(ავტორი, - დ. ბ.) არ არის მზად განჭვრიტოს ერთი მრავალში და მრავალი ერთში..."(გვ. 12). შემდგომ საფეხურზე ამაღლების გარანტად მწერალი ქალის უღირსი საქციელით გულდალახვრული, მაგრამ უაღრესად პრინციპული "რეცენზენტის" განცდები გვევლინება: "დასანანი და მიუღებელი იყო ჩემთვის აგრეთვე რომანის ავტორის ქალიშვილისადმი მიძღვნა"(გვ. 13), რასაც მთელი "დასაბუთება" მოსდევს, თუ რატომ არ უნდა მიეძღვნა ეს რომანი ავტორს თავისი ქალიშვილისთვის. ამ განცდებისა და "დასაბუთების" სამედიცინო კვალიფიკაცია ჩემს კომპეტენციაში არ შედის. მხოლოდ ამას ვიტყვი: "რეცენზენტი", რომელმაც ასე ღრმად შეტოპა თავისი თავისთვის შერჩეულ როლში, არა მხოლოდ იმას ვერ მიხვდა, თუ როგორ ნება-ნება გაშიშვლდა მისი აზიური სულის-

კვეთება და, პიროვნულობისა და ქალური ავტონომიის აპოლოგეტად შემოპარული, მართლაც რომ აღმოსავლური პირდაპირობით დააცხრა თავს ავტორს და მისი პიროვნული ნებისა და გადაწყვეტილების შეურაცხმყოფელი "სინანულების" გამოთქმა დაიწყო, არამედ ვერც ის ზღვარი დააფიქსირა, რომლის გადალახვითაც მან (ამ აბსოლუტურმა სულმა) რომანის ავტორის სახით თავისი "სხვის" შემეცნება მოინდომა, ასეთი მონდომებით ფრუსტრირებული და აბსოლუტურად გონდაკარგული კი იმაზევე აღმოჩნდა დაჭიმული და ხელგაშვებული რეზინივით მიჰეგელებული, რასაც აუჯანყდა (თავის ნამდვილ ბუნებას). ამის მერე, "განვითარება" თავის უმაღლეს ფაზას უახლოვდება: "თუ სურს(ავტორს, - დ. ბ.) მარადისობასთან ლაციცი, დიდი მადლობა გადაუხადოს ყველა თავის მოძღვარს თუ მასწავლებელს გაწეული შრომისთვის და განერიდოს მათ"(გვ. 14). და მაინც, "იაღლი-ბუღლობის" უარყოფის სახელით "განვითარებული" მთელი ამ ბადურ-ბიდურობის მწვერვალი ეს საპროპაგანდო სვლა ნამდვილად არ არის(ისე, რა დიდ სიბრძნეს მოითხოვს იმ მითითების სიბრიყვეში წვდომა, თუ ვის უნდა მიმართოს, ძველ მასწავლებლებთან დამშვიდობების მერე, ავტორმა?). ამ ბიდურობის პიკად შეიძლება ჩაითვალოს "რეცენზენტის" მიერ თავისი ნაცოდვილარისთვის წამძღვარებული ეპიგრაფი, სადაც(!) თავისი უნაყოფო მცდელობებითვე გაუბედურებული "რეცენზენტი" თავის ფანტაზიებში (არ მინდა ვთქვა, ონეიროიდულ მოგზაურობაში მეთქი) უკვე იმ ზომამდე აბსოლუტიზდება, რომ წინასწარმეტყველი იერემია მზად არის, მისი პირით იმეტყველოს, მისტიკურ მედიუმად იქცეს მასსა და "რეცენზენტს" შორის(ვინაიდან "რეცენზენტი" მხოლოდ და მხოლოდ ჩვენთვის გამოვლენილი აბსოლუტური სული ანუ აბსოლუტური ბ-ნი შარვაძეა), ეს აბსოლუტური სული კი (იქნებ, სულაც დღესდღეობით საქართველოში აქტუალიზებული იეღოვა) "პეტრე-პავლობის" ავტორს მარადისობის ზეციური სამკვიდროდან მუშტებს უქნევს და ემუქრება (ალბათ, დროზე ადრე "რეცენზენტის" გააბსოლუტურებამ გამოიწვია სამწუხარო ფაქტი, რომ ეს ეპიგრაფი "რეცენზენტმა" არ შემოინახა სხვა, უფრო დიდი გეგმებისთვის, თუნდაც, ბროშურის ბოლო გვერდზე ჩამოწერილ თავის სამომავლო გეგმებში მითითებული რომანისთვის, სადაც, გამორიცხული არაა, იერემიას წიგნიდან ამოღებული ეს სიტყვები ბ-ნი შარვაძის აბსოლუტური გონითობისა თუ სულითობის იაფფასიან ილუსტრაციად კი არ ქცეულიყო, არამედ რეალური ინდექსის როლი შეესრულებინა; თუმცა, მოვლენებს წინ არ გავუსწრებ და იმედს დავიტოვებ, რომ მას, სამართლიანობის მისმიერი გაგებიდან გამომდინარე, თავისი მომავალი რომანისთვის სათანადო მიმართულებით უფრო განვითარებუ-

ლი ეპიგრაფი აქვს შემონახული, რომანის დასასურათებელ შესაბამის პორნო(და არა მხოლოდ ეროტიკულ) ილუსტრაციებთან ერთად.

თუ თხზულების სამი მეოთხედი რეცენზიად არა, მაგრამ ბ-ნი შარვაძის მიერ რომანის პერსონაჟ ქალზე "მუშაობისა" და თავისი სუტენიორის მკლავებში მისი გადაგდების წარუმატებელ მცდელობად მაინც შეიძლება შეფასდეს (თვით ბ-ნი შარვაძის შუალედური შეჯამებით, "რომანიდან შერჩეული მასალა და ჩატარებული ანალიზი არ ისახავდნენ მიზნად მსოფლმხედველობრივი განსხვავების დადგენაზე მეტს"(გვ. 10); ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ მსოფლმხედველობრივი განსხვავება სუტენიორის მსუბუქ რომანტიზმსა და "პეტრე-პავლობის" პერსონაჟის უგულო პრაგმატიზმს შორის), დარჩენილი ერთი მეოთხედი, რომელშიც ბ-ნ შარვაძეს რომანის მხატვრული მხარის ანალიზი დაუგეგმავს, თავისი უბადრუკობით ძალაუნებურად მახსენებს ძველ რომაულ შეგონებას, რომ სიბრიყვე სულის თვისებაა (სოლომონ ბრძენის გულსაკლავი დასკვნით: "ის მოკვდება შეუგნებელი და თავისი უზომო სიბრიყვით დაიკარგება", იგავნი, 5, 23). "რეცენზიის" ამ ნაწილში მან რომანის ავტორს ბრალად დასდო ნაწარმოებში მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სისტემურ-ქრონოლოგიურად თანმიმდევრული კურსის არჩართვა და, ფაქტობრივად, ჩამოართვა უამისოდ წიგნის სამყაროში მოგზაურობის უფლება. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის არდამალვას, რომ "რეცენზენტის" მიერ წარმოებული სტატისტიკურ-პროცენტული კალკულაციები და ქრონოლოგიური დისტრიბუციები ნამდვილად ადასტურებს როგორც ანბანურ მათემატიკაში მის გარკვეულობას, ისე - საყმაწვილო სალიტერატურო ენციკლოპედიაში მის ჩახედულობას (მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოდნა მისი, როგორც რეცენზენტის, ვარგისიანობის დასტურად ისევე ვერ ჩაითვლება, როგორც ლევან ბრეგაძის მსუბუქი ყოფაქცევა ანუ მის მიერ ბ-ნი შარვაძის "ტექსტის გამოსაცემად მომზადებაზე გაწეული დახმარება" ვერ ჩაითვლება იმის დასტურად, რომ ლევან ბრეგაძეს თავისი ქალიშვილისთვის შეიძლება ემეტებოდეს ან გულზე ეხატებოდეს "რეცენზენტის" მიერ "პეტრე-პავლობის" პერსონაჟისთვის შეთავაზებული "განვითარება" და "თავისუფლება").

რაკი "პეტრე-პავლობის" პერსონაჟს არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მსოფლიო ლიტერატურის შედევრების კითხვა ან წაკითხულის ხელახლა გადაკითხვა დაუსახავს მიზნად და არც ლიტერატურის ვრცელი თუ მოკლე კურსის წერა ევალებოდა, როგორც ჩანს, თავს უფლება მისცა, წაეკითხა ის, რაც აქამდე არ ჰქონდა წაკითხული, ხოლო რაკი სურვილი გაუჩნდა, წაკითხული წიგნებით მიღებული შთაბეჭდილებებიც დაე-

ფიქსირებინა, "პეტრე-პავლობის" გვერდებზე, ავტორის ჩანაფიქრით, აისახა პერსონაჟის მიერ სწორედ სარომანო დროში დაფიქსირებული შთაბეჭდილებები. დავაზუსტებ, რომ ჩემს მიერ შთაბეჭდილებებად მოხსენიებული ტექსტების უმრავლესობა იმის კარგი ნიმუშია, თუ როგორ უნდა კითხულობდეს წიგნს მკითხველი. რომანის ეს შრე ლიტერატურაზე არა მხოლოდ შეყვარებული, არამედ გემოვნებიანი და მოფიქრალი მკითხველის წარმატებულ სურათს გვიხატავს. აქვე იმასაც დავაზუსტებ, რომ, ჩემი ვარაუდით, იმ მწერალთა უმრავლესობა, რომლებიც "რეცენზენტმა" ლულა-ქაბაბებივით მიუწვინა ერთმანეთს, მას წაკითხული არ უნდა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, მისი უსუსურობა გულწრფელობით მაინც იქნებოდა განწონილი, თავის ხელთ არსებული დარჩენილი ძალა რომ მოეკრიბა და მკითხველისთვის ის მაინც ეცნობებინა, თავად მან თავის რა ასაკში წაიკითხა, ვთქვათ, ფილდინგი და სტერნი. დაე, ნუ დასძენდა, მათით აღტაცების ცხელ კვალზე თუ რა მოიმოქმედა; მაინც დავწვრილმანდები და "რეცენზენტს" ანა-ბანასავით ავუხსნი, რომ ერთმანეთის მიყოლებით ურიცხვი ავტორის ჩამღერება, მერე კი წაუკითხავად და მსუბუქად მათი გადატყორცნა "სახელთა საძიებელში" ვერ განგაცდევინებს იმ სიამოვნების მემილიონედსაც კი, რასაც - მათი წაკითხვა. "ეკო-ეკოს" და "მუზილ-კერუაკ-ბარტ-ეროფეევის" კაკანი, ალბათ, იმ სიამოვნებასაც უსაშველოდ უნდა ჩამორჩებოდეს, რასაც ქათამი კვერცხის დადების მერე განიცდის (იმის დამატებით, რომ არც ბოლომდე დაუძლეველი მუზილის დაძლეული ნაწილის ხსოვნა უნდა ნიშნავდეს ნამდვილ სიამოვნებასთან მიახლოებას). მერე რა, თუ "რეცენზენტის" მიერ წაკითხული წიგნებიდან ცოტა რამ დაემთხვა "პეტრე-პავლობის" პერსონაჟის მიერ მონასტერში წაკითხულ წიგნებს? განა, შეიძლებოდა, ამ ფაქტს აბსოლუტური სული ასე სწრაფად მიეკომპლექსებინა?

შეუძლებელი იყო, რომანის ობიექტურ შემფასებელს და გონებაგახსნილ მკითხველს ამ შთაბეჭდილება-ესსეების გაცნობის მერე ის აზრი შექმნოდა, რომ პერსონაჟმა კითხვა კერუაკით, წერა კი კერუაკის რომანიდან მიღებული შთაბეჭდილებების ჩანიშვნით დაიწყო. "რეცენზენტი" კი ჩანგლით ჩაის მსმელივით გაიძახის: "საწყენია, რომ ყოველი საუკუნის ყველაზე უფრო დამახასიათებელი (ან უმნიშვნელოვანესი) ტექსტების მოხმობის პრინციპიც დაირღვა"(გვ. 11). საწყენია, რომ ბ-მა შარვაძემ ასეთივე გულუხვობით და არითმეტიკული სიზუსტით არ მიასწავლა "პეტრე-პავლობის" ავტორს, რომელი საუკუნის რომელი მწერლის რომელ რომანში უნდა მოეპოვებინა ამომწურავი ინფორმაცია მსგავსი "მოხმობის პრინციპის" შესახებ, რათა არ დაემსახურებინა დატუქსვა, რატომ რაბლე-

ზე, პრუსტზე, ბალზაკზე, სტენდალზე და სხვებზე შთაბეჭდილებები არ დააფიქსირებინე პერსონაჟსო. აი, ეს "რეცენზენტი" არკვევს განსხვავებას "უგრძნობლობასა" და "მგრძნობელობას" შორის. მსგავსი ბადურ-ბიდურობების მერე, გასაკვირი აღარ არის, თუ რატომ რჩება ცარიელ, "რეცენზენტის" მიერ შინაარსით შეუვსებელ და არამოტივირებულ, პრაქტიკულად აუთვისებელ ცნებებად "ინტერპრეტაცია" და "კანონზომიერების ძიება", "აზრობრივი ძაფის არარსებობა" და "ინტერპრეტაციის არანაირი მცდელობა", "მიჯაჭვულობა ფაბულასთან" და "იდეური საწყისი". საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის სოცრეალისტური პროფილის სახელმძღვანელოებში ოდესღაც ამოკითხული ეს კლიშეები და შაბლონები "რეცენზენტის" მეხსიერებაში ისე ჩარჩენილა, როგორც პრეისტორიულ ხანაში მცხოვრებ გიგანტურ ცხოველთა ჩონჩხები, რომელთა უსიცოცხლობა გაუკუღმართებული ხედვის წმინდა მთიდან არაჯანმრთელი ფანტაზიების ხშირ ბუჩქნარში ჩამოგორებულ მის მ(?)ტ(?)ფიზიკას არ ეჯერება. ალბათ, ამითაც უნდა იყოს გამოწვეული შემდეგი გრამატიკული წყობის გასროლა: "თუ შეყვარებულთან შექმნილ სიძნელეებზე ქალის რეაქცია მეტ-ნაკლებად შეიძლება დავიყვანოთ რაღაც მსოფლმხედველობის მაგვარზე, მის მიერ წაკითხულ წიგნებზე განაზრებების შეჯამება უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს საერთოდ ამ მსოფლმხედველობის არსებობას" (გვ. 10). სწორედ მაღალი შტილით გაფურჩქნულ ამ გრამატიკულ წყობას მოსდევს არა "წიგნებზე განაზრებების შეჯამება", რაც, სულ მცირე, აუცილებელს გახდიდა "რეცენზენტის" მიერ თუნდაც თვალის შევლებას იმ წიგნებისთვის, ჯერ რომელთა წაკითხვაზე, მერე მათგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე განაზრებებისთვის და მათი ჩაწერისთვის პერსონაჟის მიერ დახარჯული ენერგიის გადმოსახედიდან ქათმის სკორეს სიდიდითაც კი ვერ გამოჩნდება "რეცენზენტის" მიერ "წიგნებზე განაზრებების შეჯამებად" გასაღებული და "ფორმალური ნიშნების ანალიზით" დაწყებული საქმე, რომელიც ასეთადვე რჩება და "განვითარების" ზემოთ დახასიათებულ შედეგებსაც კი სანატრელად აქცევს (თუ არ ჩავთვლით "პეტრე-პავლობის" პერსონაჟის მიერ მონასტერში წაკითხული ტექსტების ავტორთა ჩამოთვლას და ქრონოლოგიურ ბადეზე მათი განთავსების მეტად საშურ საქმეს; ისე, სასურველი იყო, ბ-ნი შარვაძე საუკუნეების მითითებით არ დაკმაყოფილებულიყო და ჩამოთვლილ ავტორთათვის დაბადება-გარდაცვალების თარიღებიც იქვე მიეწერა, რაც მის პროვინციალიზმს სრული წონით წარმოუდგენდა იმათ, ვისაც მის მიერ ჰე-ჰეი-ჰაი-ჰარად მოხსენიებული მუზილი, ეკო თუ სელინი წაკითხული აქვთ; რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ სელინის "მოგზაურობის" საბჭოურ,

ცენზურირებულ კონსპექტს). სამაგიეროდ, ხელთ შეგვატოვებს, ისევ და ისევ, აბსოლუტურ შრებერს, რომელიც, საუკეთესო შემთხვევაში, არც კი დაუშვებს, რომ "პეტრე-პავლობის" პერსონაჟს შეიძლება წაკითხული ჰქონოდა როგორც თავის მიერ არნახსენები ავტორები ან თავის მიერ ნახსენებ ავტორთა სხვა წიგნები, ისე - "რეცენზენტის" მიერ ჩამორაკრაკებული ავტორები; უარეს შემთხვევაში კი, რომანის პერსონაჟს ვერ აპატიებს იმ ავტორების წაკითხვას და მათზე აზრის ქონას, რომლებიც თავად მას არც წაუკითხავს და, შესაძლოა, ვერც ოდესმე მოიცალოს მათ წასაკითხად. არის თუ არა მსგავსი ვითარება "მისი უგრძნობლობა საერთოდ პიროვნულობისადმი საკუთარი სულიერი უძლურების საფუძველზე"? არის! არის თუ არა ეს, მის ოცნებებში, "პეტრე-პავლობის" პერსონაჟისა და, იქვე, ავტორის დასჯის ვნება "პრაქტიკულად ნებისმიერი ადამიანური სისუსტისთვის პირველი კოცნიდან პირველი ბავშვის გაჩენის ჩათვლით"? (უნდა წავიკითხოთ: "პირველი წიგნის წაკითხვიდან პირველი რომანის გაჩენის ჩათვლით"). არის!

მე ვფიქრობ, ამ უგრძნობლობამაც შეიტანა თავისი საპატიო წვლილი "რეცენზენტის" მიერ რომანის იმ შრის მიმართ ანტისარეკლამო აღტყინებაში, რომელიც სამონასტრო ცხოვრებას აღწერს. რაკი ბ-ნი შარვაძის მიერ ამ შრის უინტერესოდ და "მოქმედების პროტოკოლიზაციად" გამოცხადება მის მიერ არათუ არანაირად მოტივირებული არ არის, არამედ მოტივირების რამენაირი მცდელობაც კი არ შეინიშნება, მის ასეთ განაცხადს საგანგებო კრიტიკის საგნად არ ვაქცევ და მკითხველს ამით თავს არ შევაწყენ (ისე, საინტერესოა, რამ გადაავიწყა ბ-ნ შარვაძეს, რომ მისი პირველი რომანის ორი მესამედი მის მიერვე დაგმობილი პროტოკოლიზაციის თვალსაჩინოდ მოსაწყენი ნიმუშები, მაგრამ რომანის მოცულობის გასაზრდელად საჭირო ფურცლებია? სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსთა ნააზრევის უგერგილო პროტოკოლიზაციად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვე, რომანის გასასქელებლად მოშველიებული ვრცელი მორალისტური პასაჟები, რომლებშიც განსაკუთრებით იჩინა თავი მუზილის "უთვისებო კაცის" დაუძლევლობის შედეგებმა). ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად კი აღვნიშნავ, რომ თუ "პეტრე-პავლობაში" რამე პროტოკოლიზებული არ არის და უინტერესოდ არ იკითხება, ეს სამონასტრო ცხოვრების აღწერაზე ითქმის (არ ვგულისხმობ დაინტერესება-დაუინტერესებლობის სუტენიორულ საზომს, რომელიც ნებისმიერ შემხვედრ სიტუაციას მხოლოდ თავისი პროფესიული მიზნების განხორციელებადობისგან სიშორე-სიახლოვის საზომით აფასებს). მონასტრის ბინადართა ყოველდღიური ყოფაცხოვრება აღწერილია, ასე ვთქვათ, შიგნიდან, ხელოვნურად შეზელილი

დინამიზმისა და დრამატიზმის გარეშე, საინტერესოდ იხატება სამონასტრო ცხოვრების ნიუანსები, თანამედროვე ქართული მონასტრის შეულამაზებელი სურათი. ბ-ნი შარვაძის "მსოფლმხედველობის" მიღმა აღმოჩნდა მისი ჩანაფიქრისთვის არასასურველი მხატვრული რეალობა: მართლმადიდებელ მონასტერში სტუმრად ასული პერსონაჟი მისი მდგომარეობისთვის მნიშვნელოვანი სიმარტოვის მოპოვებასაც ახერხებს, საერო რომანებსაც კითხულობს, წაკითხულზე შთაბეჭდილებებსაც იწერს, სამონასტრო ტიპიკონსაც ემორჩილება და სამონასტრო ცხოვრებაზე არ პარაზიტირებს, და ეს ყველაფერი რომანს ხელოვნური და ნაწვალები ნივთის კი არა, მხატვრულად დამაჯერებელი ტექსტის ღირებულებას ანიჭებს. რატომ მოხდა ასე? ამ კითხვაზე გულახდილი პასუხის გაცემის მოთხოვნილება სამართლიან კრიტიკოსს აუცილებლად მიიყვანდა როგორც "პეტრე-პავლობის" პერსონაჟის, ისე მისი შემქმნელის სულიერი სიძლიერის, ამის საფუძველზე კი, იმ პერსპექტივის აღიარებამდე, რომელიც ავტორის მომავალ შემოქმედებით აქტივობას (რა თქმა უნდა, ხარისხის ზრდის პირდაპირპროპორციულად) უზრუნველყოფს.

მაგრამ ინდივიდისთვის, რომელიც ნებისმიერ სხვა ადამიანთან მიმართებაში მხოლოდ საკუთარი აქტივობის დანამატად მისი გამოცხადება-ვერგამოცხადების, გადაქცევა-ვერგადაქცევის პოლიტიკით ხელმძღვანელობს და რომლისთვისაც ფასეულია მხოლოდ ის, რაშიც მისი ხელი ურევია, რა თქმა უნდა, მოწონების ღირსი ვერ იქნება ის, რაც თავისი (თუნდაც, როგორც ვერშემდგარი პედაგოგის) უსუსურობისა და სხვისი რეალური სიძლიერის ნიმუშად წარმოუდგება. და მაშინ ის იძულებული ხდება, თავზარდაცემულმა და გაბოროტებულმა, დახმარებისთვის საკუთარ "სიგიჟეებს" უხმოს (რომლებზეც, თურმე, როგორც თავად ამბობს ამ "სიგიჟეების" რომანტიზმში დარწმუნებული, უნაშთოდ იყოფა), ამ სიგიჟეებიდან ერთ-ერთად ქუჩა-ქუჩა თავისი სიარული და ადამიანებისთვის რომანის შექმნის აუცილებლობის რჩევა-მოწოდების რევოლუციური პრაქტიკა გამოაცხადოს და ასეთი ავლაბრული ფანდით მოინდომოს გულაჩუყებული რომელიმე პირველივე ჭკუასუსტი, უსაზღვრო სენტიმენტალიზმის კავკასიური კლიმატით ნასაზრდოები მკითხველისთვის ჭანგის მოდება. რა შეიძლება ითქვას ამასთან დაკავშირებით? მხოლოდ - ის, რომ ზედმიწევნით ძნელი საქმეა, ორმოც წელს გადაცილებულ "კურტუმთმეზღაპრეს" (როგორც ის თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა წარმომადგენელმა დაახასიათა) მისთვის გასაგებ ენაზე აუხსნა, სინათლის რამდენი წელიწადი აშორებს ერთმანეთს ქუჩა-ქუჩა სიარულსა და ქალებისთვის რომანის შექმნის აგიტაციის მისეულ ხუინვე-

იბინიზმს იმ "სიგიჟისგან", რომელიც გულისხმობს მდედრობითი სქესის თუნდაც ერთი წარმომადგენლისგან, სულ მცირე, ერთი რომანის მისაღებად გაწეულ პატიოსან და სწორედაც ზედათავდაუზოგავ შრომას (ხუინვეიბინიზმის კავკასიური რელიქტისგან, რომელიც "წინ დიადი ნახტომის" მაო ძე-დუნისეული იდეოლოგიის ადეპტობასაც კი ვერ ასცილებია, ხსენებული შრომის რეალური წონისა და ხარისხის შეფასების მოლოდინი იგივე იქნებოდა, მაქსიმ გორკის ხოხვისთვის გაჩენილი პერსონაჟისგან ფრენა რომ მოგვეთხოვა). ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ თვით ბ-ნი შარვაძის პირველივე რომანის მთელ სარომანო დროში მისი მთავარი გმირისა და განსხეულებული კატეგორიული იმპერატივის უმაღლეს სულიერ და ინტელექტუალურ მიღწევად მშვენიერი სქესის წარმომადგენლის სხეულით ინტენსიური ვაჭრობა, დასვენების ხანმოკლე საათებში კი მისი ხან მსმენელ-დანამატად, ხან კი მკითხველ-დანამატად გადაქცევა რჩება (ასეთი გამოცდილების მერე, მაინც რა ისეთი მეტამორფოზა გამოიწვია "პეტრე-პავლობის" გაჩენის ფაქტმა ბ-ნ შარვაძეში, რომ მას ქუჩა-ქუჩა სიარული და ქალებისთვის მსგავსი რჩევის შეთავაზება დააწყებინა, რაც, მისი "განვითარების" კანონს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება მალე გადაიზარდოს სააგიტაციო პროკლამაციების დამზადება-გავრცელებაში?), მაშინ იმ ზნეობრივი სიღატაკის უნაკლობაც სრულად გამოკაშკაშდება, რომელმაც ბ-ნ შარვაძეს "პეტრე-პავლობის" მთავარი გმირისთვის, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, "ხუთწლედი ოთხ წელიწადში" აქადაგებინა. როგორც არ უნდა დავინდოთ და გავამართლოთ "რეცენზენტი", შეცდენილ, უპატრონო და გზააბნეულ ინტელექტუალად დადაღვას მაინც ვერ აცდება. მაგრამ, იქნებ, ამ რეალობას მაინც უსწორებს თვალს მისი გულის ნაღვლიანი სიღრმე? იქნებ, სწორედ ამ საკუთარ გზააბნეულობას მიუძღვნა მან თავისი "რეცენზია" (რაც არ დაგვიმალა და მიძღვნის სახითაც დააფიქსირა)? დაე, ეს კითხვა რიტორიკულ კითხვადვე დარჩეს, ოღონდ - იმის აქტიური გათვალისწინებით, რომ საკუთარ თავში ჩაბრუნებული და იქ მიგნებული სიღრმეების მბურღავი ბ-ნი შარვაძისეული ფალოცენტრიზმი მასზე დაკისრებულ მისიას უნაკლოდ ასრულებს.

"რეცენზენტისთვის" ასერიგად სასურველ "სიგიჟეებამდე" მის მონასაქმართა აქაჩვის მისმიერი მცდელობა (რომელიც უნაშთოდ იყოფა ძუკნიზმზე და იმაზე, რაც "სიტყვის კონაში" განისაზღვრა "მწუხარებად სხვისა კეთილსა ზედა" და რაც ბ-ნი შარვაძის "რეცენზიამ" ღაზოობამდე აზიდა) მიბიძგებს, შინაარსობრივად სხვა ბუნების მქონე მისი კიდევ ერთი "სიგიჟე" გავანორმალურო და თავისი რეალური ადგილი მივუჩინო ბ-ნი შარვაძის სულისა და განათლების ესთეტიკაში. მართალია, "რეცენზენტი"

თაღლითობის ორბიტაზე პატიოსნად და ერთგულად ბრუნავს, მაგრამ ამ თავის ერთგულ ბრუნვას ღირსებად არ უნდა მიიჩნევდეს, თორემ, აბა, რატომ ეცდებოდა მის გადამალვას ნაჩვევი "რაციონალური" მეთოდით, ანუ - სხვისთვის იმის დაბრალებით, რაც თავადვე აწევს ცოდვად? ამიტომ, ლოგიკური იქნება, ამჯერადაც ფრთხილად ვიკითხოთ: ხომ არ მალავს "რეცენზენტის" კიდევ ერთ, და იქნებ სულაც არაუწყინარ, წუნს მის მიერ "პეტრე-პავლობის" ავტორის დადანაშაულება იმაში, რომ ის "ევროპული კულტურის ბოლო აღტკინებაზეა ნამუშევარი" და "ამ კულტურის ძირების ადგილსამყოფელისა და მათი მნიშვნელობის შესახებ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს"(გვ. 14)? ამ ეჭვს აძლიერებს ბ-ნი შარვაძის მეტად უცნაური "კულტურული" გამოცდილება: ძველბერძნულ და ძველებრაულ სამყაროთა მიმართ მისი მრავალწლიანი საჩვენებელი ტრფიალი (ანუ ეგზგიბიციონიზმი) ვერა და ვერ აღმოჩნდა მისთვის საკმარისი საწვავი ძველბერძნული და ძველებრაული ენების თუნდაც სამიანზე შესწავლის მიზნით გონების დასაკაპიწებლად თვით მას მერეც კი, როცა თავისი პირველივე რომანის ერთი ნაწილი ბერძნული ფილოსოფიით ბურთაობას,მეორე კი ძველებრაული მითის გაალათომასმანებას მიუძღვნა, რითაც იმთავითვე პროფან მკითხველზე აიღო ორიენტაცია. რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ არის, მსგავსი ალა-ჰოპით გაამაყებულ ბ-ნ შარვაძეს, რომელსაც მთელი თავისი ფილოსოფიური განათლებაც კი არ ეყო იმის გასაცნობიერებლად, რომ ძველი ბერძნული ენა (ამ ფილოსოფიის "ძირების ადგილსამყოფელი") შეესწავლა, თავისი აბსოლუტიზმის მედიუმებად ესაიას და იერემიას გადაქცევა - იმის გასაცნობიერებლად, რომ ძველებრაული ენის შესწავლისთვის დაეთმო ცოტაოდენი დრო და არა გზააბნეული ქალის გამეძავებით ტკბობისთვის (რაც მისი ფილოსოფიური განათლების შინაარსსაც ქრონიკული მუნით აავადებს) მიახლოებით მაინც განაცდევინო, რამდენი მთა და რამდენი ზღვა დევს ძველბერძნულ და ძველებრაულ ენებში ჩაბეჯითების მის მიერ უარყოფილ გზასა და ლექსიკონებიდან ამოკენკილ სიტყვათა და ტრანსკრიპციათა ტრფიალ-ტრფიალ გასიმბოლურების, მერე კი სახელებად და ფსევდონიმებად მათი გადამუშავების ალქიმიით მიღებული რიოში მარგალიტებით (შუშებით) თამაშს შორის? ეჰ, ეზერ, ეზერ! ასეთ ფასად სხვებისგან განსხვავების ილუზიის მოპოვება თავისუფლებისკენ სწრაფვას არა, მაგრამ თავზე ქოთნის ჩამოცმას და ასე გაუცნაურებას ნამდვილად ემსგავსება. ბუჩქებიდან ასეთი ადამიანის გამოძვრომა და ფეხზე დადგომა დიახაც ქაოსიდან კოსმოსში მისი უკვე-გადასვლის სასიხარულო ხდომილება იქნებოდა (იმის გათვალისწინებით, რომ თომას მანთან ლაკლოს შეზავებით მიღებული საკვებით ნას-

უქ, ფილდინგ-სტერნის უნაგირდადგმულ და მარკიზ დე სადის ნალებით დაჭედილ ჯორზე ჯდომა საკუთარ ფეხზე დგომას არ ნიშნავს; და იმის არდავიწყებითაც, რომ სხვა გერმანელი თუ გერმანულენოვანი მწერლების გაკავკასიურ-გატყიურება სხვა ავტორთა მიერ ერთობ მოხერხებულად და უდანაკარგოდ წარმოებს). მე მესმის, რომ აბსოლუტურ სულობაში ბ-ნი შარვაძის გაძლიერების ცდუნება უზომოდ დიდია, მაგრამ მაფიქრებს ერთი გარემოება: პათოფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ აბსოლუტურ სულად საკუთარი თავის წარმოდგენა, ძირითადად, დაკავშირებულია მამაკაცური ღირსებების სრულ უსუსურობასთან, რაც, დროთა განმავლობაში, მამრობითი სქესის წარმომადგენელს უბიძგებს ბევრი ნაღვლიანი საქმიანობისკენ (მათ შორის, ხშირად, ყველას თვალწინ შარვლის ჩახდის ჩათვლით).

ჩემი მსჯელობის მიწურულს, კიდევ ერთხელ მომიწევს "რეცენზენტის" მიერ "პეტრე-პავლობის" ავტორისთვის მიცემული იმ პარტიული დავალების გახსენება, თუ მარადისობასთან ლაციცი გინდა, ყველა შენს მოძღვარს სასწრაფოდ დაემშვიდობეო, და "რეცენზიის" სათაურთან მის მიერ გაცემული ამ დავალების დაკავშირება, რათა სათქმელი მოკლედ შევაჯამო. "რეცენზენტს", რომელმაც "პეტრე-პავლობა" წაიკითხა, მოეჩვენა, რომ აქ სადღაც ნასუფრალის სუნი ტრიალებდა და რომ სხვის დრამაზე ხელის შეხურებასაც წარმატებით მოახერხებდა. არც დააყოვნა, კრიზისში მყოფ პერსონაჟს სცენაზე აუვარდა და სასწრაფოდ თავისი ბინძური თავი შესთავაზა, იმის გათვლით, რომ სასოწარკვეთის ზღვარზე მყოფი ქალი თეორიულად და დასაშვებ ერთ-ერთ საალბათო (ანუ, მაინც და მაინც, ბ-ნი შარვაძისთვის სასურველ) ნაბიჯს გადადგამდა და ქუჩა-ქუჩა მოძუკნავე პირველსავე სუტენიორს შეუმეძავდებოდა, მით უმეტეს, თუ ეს კავშირი მორალიზმის გარნირით და ქალზე ზრუნვის მაღალი მიზნითაც იქნებოდა მორთულ-შეკმაზული. მოხდა კი სულ სხვა რამ: რაყიფი, რომელმაც თავისი თავი, თავისსავე ავადმყოფურ ფანტაზიებში, ლაკლოს ცნობილი რომანის ცნობილ პერსონაჟს მიუახლოვა და პედაგოგიური ჩამორჩენით დაღდასმული ადამიანის წარმოსახვისთვის დამახასიათებელი "სიხალასით" გადაივიწყა (განდევნა) ამ როლისთვის საჭირო ბევრი ის ბუნებრივი, კულტურული და მემკვიდრული ღირსება, რომელსაც ის არ ფლობს, და დაივიწყა ისიც, რომ ლაკლოს ამავე რომანის პერსონაჟ ქალთან შეიძლება არაფერი ჰქოდეს საერთო მისგან გულის მოსაგებ რომელიმე ამიერკავკასიელ, ჯიქნებჩამოყრილ კურტუმდიაცს (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი არსებობს, ანუ თუ ეს როლიც უნაშთოდ ივსება; არა მგონია, "რეცენზენტის" მეხსიერებაში შემთხვევით ამოტივტივებული-

ყოს ჟორჟ სანდის, როგორც ცხოვრებისეულ საკითხებში ალფრედ დე მიუსეს მოძღვრის, მაგალითი), თავისი ნაცოდვილარის დასასრულს ტუალეტის ნიჟარაში ჩარეცხილი ბინძური წყალივით ჩაბუყბუყდა თომას მანის ერთი სევდიანი მოთხრობის იმ მახინჯი მევიოლინე პერსონაჟის მდგომარეობაში, რომლის მიერ თავისი მარცხის გაცნობიერებულობის შინაარსსა და "რეცენზენტის" მიერ თავისი მარცხის გაუცნობიერებლობის შინაარსს შორის ისეთივე ცა და მიწაა, როგორც - მისი მევიოლინეობის თბილისურ ძუკნიზმსა და თომას მანის ევროპელი მევიოლინის როგორც ინსტრუმენტის, ისე სულის ჟღერადობის ჰარმონიას შორის.

ეს რეალობა ააშკარავებს "რეცენზენტის" მიერ იერემიას წიგნიდან გამოძახებული და გასხვისების განზრახვით "რეცენზიის" ეპიგრაფად ჩამოსმული სიტყვების ადრესატად საკუთარი მდგომარეობის ვერგამცნობიერებელი ბ-ნი შარვაძის იმ სიბრიყვეს, რომელიც უწყინარ ხასიათს სულაც არ ატარებს და რომლის მავნებლური ბუნების ერთ-ერთი არსებითი მიზეზი შინაგანი განუვითარებლობაა (თვით ბ-ნი შარვაძის ინტერპრეტაციით - "განვითარება", რომელიც მხოლოდ თავისთვის ემეტება). ხოლო ამ განუვითარებლობის ერთ-ერთ არსებით შედეგად(რომელიც, თავის მხრივ, ბევრი სხვა მავნებლობის მიზეზია) ერთი ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსი თავის ცნობილ წიგნში - "ბოგანოთა ამბოხი" - უტიფრობას აცხადებს. ჩვენი დროის ასეთი ბოგანო, როგორც ის განმარტავს, არა მხოლოდ უტიფარია, არამედ პრეტენზიასაც აცხადებს ამ უტიფრობით თავისი თავის დამკვიდრებაზე. და არა მხოლოდ თავისი, არამედ თავისთვის აუცილებელი ჰგონია ის, რაც მისი ხელით სულაც არ შექმნილა (იმ თანამდევი, შინაგანი, არსებითი სიჩლუნგის მიზეზით, რომელიც შეიძლება ტომების წერა-გამოცემით მალო, მაგრამ მაინც ვერ დამალო, ან რომლის გაშიშვლება შეიძლება მხოლოდ დროში გადავადდეს, როცა სამოქმედო ტერიტორია, მაგალითად, კავკასიის შუაგულია, სადაც ორ ზღვას შუა მოქცეული ჩვენი საგოიმეთის გაბრიყვება ისევე იოლია, როგორც - ქართულ სუფრაზე ჭკუასუსტი დიაცების მონუსხვა, გიტარაზე იმერული კილოთი დაკვნესებული თათრული ბაიათებით).

ასე რომ, სიმართლე, რომელიც იცის, მაგრამ რომელსაც არ გვიმხელს ამ უტიფრობით გაფუებული რეცენზენტი, მისი შემთხვევისთვის ასე უნდა ჟღერდეს; "სხვისი მკა უკვე გაილია, მონაგარიც სხვამ მოიწია, მე კი სხვისი მონაგარის დაპატრონებისგან შორს ვარ".

P. S. ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას არა მხოლოდ ძველებრაულ ლექსიკონში "რეცენზენტის" ჩასკუპებისა და იქიდან ფსევდონიმით მისი ამოსკუპების

შესახებ, არამედ იმის შესახებაც, თუ რას მალავს აწ უკვე ჩამოკონკილი მისი სამოსი, მას მერე, როცა "რეცენზენტის" მორალის გენეალოგია საგულდაგულოდ გამოვიძიეთ და იქ მდაბიური წარმოშობის მეტს ვერაფერს მივაგენით. გრიგოლ წერეთლის გენიას არ მოითხოვდა იმის დადგენა, რომ საქმე გვაქვს მზაკვრობა-უმადურობა-თაღლითობით მანათობელ აღმოსავლურ სახელ-გვართან, რომელიც ასე იკითხება: რაყიფ ძუკნოიანცი. რა თქმა უნდა, თავის ჭეშმარიტ ფესვებთან უძღები შვილის დაბრუნების გზა ია-ვარდით მოფენილი ვერ იქნებოდა. შორეულ საბერძნეთში და უფრო შორეულ ქანაანის მიწაზე ამ ხალხთა ენების არმცოდნე და უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ინტელექტუალს მე მხოლოდ გავუიოლე მშობლიური ფესვების მიგნება. აქ მას არც ძველბერძნული ენის შესწავლას მოსთხოვს ვინმე ძველბერძნული ფილოსოფიით ბურთაობისთვის და იმ ფილოსოფოსებზე ტომობით ბაასისთვის, რომლებიც ფილოსოფიის ბაღში ყვავილების კრეფის დაწყებამდე იწყებდნენ ამ ენის შესწავლას და არა - კრეფის დასრულების მერე, და არც რუსულ ენაზე ათვისებული გერმანული თუ ინგლისური პროზის მინაბაძვარებით ინგლისელთა და გერმანელთა უკან ჩამოტოვების წარმატებული პრაქტიკისთვის დატუქსავს ვინმე (ამ დანაშაულის კომპლექსით, მან, თავის ოცნებებში, "ვალტერსკოტიზმის" ბრალდებით სხვათა დახვრეტა განახორციელა).

P. P. S. თავისი მონარეცენზიების შესავალშივე, ბ-ნი შარვაძე აღნიშნავს: "ერთნი ცივილიზაციას ქმნიან, ხოლო მეორენი ხარობენ და ტკბებიან სხვისი ნახელავით. ამ უკანასკნელთა მხარესაა ის აშკარა უპირატესობა, რომ ისინი არ კვდებიან და მარადიულ სიჭაბუკეში მიჰყვებიან ცივილიზაციის შობა-გარდაცვალების მარათონს"(გვ. 4). ავტორს, რომელმაც ასეთი "სიჭაბუკე" დასდო ბრალად საქართველოს, მსგავსი სიჭაბუკისგან თავისი თავის დაზღვევის სურვილმა ნაადრევი სიბერისთვის დამახასიათებელი ჭკუასუსტობით დაავიწყა მესამენი, ანუ ისინი, რომელთა კლასსაც თავად განეკუთვნება და რომლებსაც ღმერთმა სხვისი ნახელავით აღტაცებისა და ტკბობის უნარიც კი არ დააბედა. თუ მის ნახელავს შევხედავთ, როგორც ასეთი უუნარობის სტანდარტულ დოკუმენტს, მაშინ ჩემს ყოფილ მეგობარზე ზრუნვის სურვილი მიბიძგებს, მე მას შევთავაზო პროგრამა, რომელიც მაცდუნებლად მარტივია და რომლის ეტაპობრივი განხორციელების შემთხვევაში ბ-ნი შარვაძე მრავალი წლის მერე მაინც შეძლებს ბოლოს წინა საფეხურზე ანაცვლებას და სხვისი შემოქმედებით ტკბობის მთელი სიკეთის შეგრძნობას: 1. სხვადასხვა გარემოებათა გამო, მის ხელთ აღმოჩენილი პირველივე უპატრონო ნანა-სთვის(ფრანგული სიტყვაა და

"საყვარელს" ნიშნავს) არა რომანის შექმნის ცალყბად მოწოდება, არამედ ამ სამუშაოს ჩასატარებლად მის გვერდიგვერდ დგომისთვის რეალური მზადყოფნა (დაე, ნუ იქნება აღნიშნული დიაცი ფიზიკურად უნაკლო); 2. მისი გამეძავების ცდუნების დაძლევა, მასში პიროვნების ჩაკვლაზე უარის თქმა და მასში შემოქმედებითი პულსაციის მიგნება (და არა მისი დამცირებისთვის ურიცხვი ნაცნობ-უცნობის დარაზმვა); 3. ამ პულსაციის მეთოდური ამოქმედება (და არა გამეძავებული ქალისთვის დამამცირებელ სეანსებს შორის პროსტიტუციაზე ლექციების კითხვით უკეთესად დამცირება); 4. პირველივე საიმედო ნაყოფის მოთმინებით მოლოდინი (და არა სასუტენიორო თანხით შეგროვებული პირველი ამდენი თუ იმდენი თუმნის მოლოდინი); 5. პირველი სუსტი ნაყოფის მოწევისთანავე, თავდაუზოგავი მუშაობის გაგრძელება თითოეული მომდევნო ნაყოფის ხარისხის ზრდისთვის (და არა გამეძავებული ქალის კლიენტურის მატება-გამრავალფეროვნებისთვის). ფანტასტიკის სფეროდაც რომ აღიქვას ბ-მა შარვაძემ ეს პროგრამა, ამ პროგრამის განხორციელებაზე მისი ოცნების გაჩენაც კი ღირსეული პასუხი იქნებოდა ჩემს წერილზე და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის მარაზმზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ "რეცენზენტი" ამ პროგრამაში მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის სასარგებლოს ვერაფერს ამოიკითხავს, გაიზუთხოს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ნოტებზეც გადაიტანოს შემდეგი სტრიქონები:

> "ვატყობ, ვბერდები, ღირსებაც ხომ მთლად გამობერტყეს
> ამ ჩემს დაქანცულ ძვალ-კიდურებს. რა დამრჩენია?
> სხვა გზა არ არის, მაჭანკლობა უნდა დავიწყო,
> ან ჯიბგირობას მივყო ხელი და ხელმრუდობას.
> გავიპარები ინგლისისკენ და იქ ვიქურდებ.
> ჭრილობებზე კი, სადაც მომხვდა ახლახანს კეტი,
> გალეთის ომში დამჭრეს-მეთქი, ვეტყვი მეგობრებს".
>
> *(შექსპირი, ჰენრი მეხუთე, მე-5 მოქმედება, I სურათი. სიტყვა პისტოლისა, მას მერე, რაც პრასით გამოუტენეს მუცელი).*

P. P. P. S. ბ-ნი შარვაძე მიხვდება, მისი "რეცენზიის" გაცნობის მერე, რატომ მქონდა უფლება, სამართლიანობის სრული შეგნებით მეთქვა: "არის ცბიერი, მწუხარებით თავჩაქინდრული, მაგრამ შიგნით სავსეა ვერაგობით" (სიბრძნე ზირაქისა, 19, 26); "ნესტოებში რგოლებს გაგიყრი და პირში ლა-

გამს ამოგდებ, იმავე გზით დაგაბრუნებ, რომლითაც მოხვედი"(ესაია, 37, 29); "მეც ასე მოვიქცევი: არ შეიბრალებს ჩემი თვალი და არ დავინდობ. მათ თავზევე მოვაქცევ მათსავე საქმეებს"(ეზეკიელი, 9, 10). ცხოვრებაში ხომ ხშირად ხდება ასე: "სისაძაგლის კეთება დაიწყეს ჩემს წინაშე და მეც მოვიცილე ისინი, როცა დავინახე"(ეზეკიელი, 16, 50). მაგრამ მე ამით არ დავკმაყოფილებულვარ, ნათქვამს საქმეც მოვაყოლე და ვცადე იმ მიზეზებზე მესაუბრა, რომლებმაც ბ-ნ შარვაძეს იმ ადამიანთა მრავალრიცხოვან კლასში ამოაყოფინა თავი, რომლებსაც "ბოროტის საქმნელად ჭკუა ყოფნით, სიკეთის კეთება კი არ იციან"(იერემია, 4, 22). მაგრამ ეს ნაკლული საქმე იქნებოდა. ამიტომ სწორედ ყოფილ მეგობარზე ზრუნვის გააქტიურებით, გადავწყვიტე, აწ უკვე დაზუსტებულ მიზეზებზე მისთვის გასაგები ენით მესაუბრა.

P. P. P. P. S. გულწრფელად თანავუგრძნობ ყველას, ვისთვისაც ესოდენ ხანმოკლე აღმოჩნდა ბ-ნი შარვაძის "რეცენზიით" მიღებული სიამოვნება.

27-30 ნოემბერი, 2000

პირველი მერცხალი - ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეული

ესაუბრა ნინო ჩხეტია

- ბატონო დათო, ჩვენი სამწერლო ცხოვრების სადღეისო მდგომარეობიდან გამომდინარე, პროექტი, რომელ ზეც თქვენ ამჟამად მუშაობთ და რომელიც ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეულის გამოცემას ისახავს მიზნად, ფანტასტიკის სფეროს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე რეალურისას. ჩვენი მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება თქვენი პროექტის კონკრეტული შინაარსი და ისიც, თუ როგორ მომწიფდა ეს იდეა.

- პროექტის შინაარსი მარტივია: ერთის მხრივ, მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი უნიკალური ფენომენის - ავსტრიული ლირიკის - გადმოქართულება, მეორეს მხრივ კი ჩვენი სამწერლო და სალიტერატურო თვალსაწიერის გაფართოება, ქართული პოეზიისთვის ფართო სააზროვნო კონტექსტის შექმნის მცდელობა. პროექტზე მუშაობა ამ ერთი წლის წინ, ავსტრიაში სალიტერატურო მიწვევით ყოფნის დროს, დავიწყე, მაგრამ ქართულ ენაზე ევროპული და ამერიკული ლიტერატურის სისტემურად თარგმნის იდეა დიდი ხანია ჩემი ფიქრის საგანია. თავისუფლად შეიძლებოდა ამ საქმის დაწყება ფრანგული, ინგლისური, ამერიკული პოეზიის კომპლექსური თარგმნით, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველი მერცხლის როლი ავსტრიულ პოეზიას დაეკისრა, რასაც ხელი შეუწყო ავსტრიელ ლიტერატორებთან ჩემმა პირადმა კონტაქტმა და ამ პროექტის მიმართ მათმა ცხოველმა ინტერესმა. ჩემს ავსტრიელ კოლეგებს ეს იდეა მხოლოდ მას მერე გავანდე, როცა პროექტის კონცეპტუალური მხარე და კონკრეტული გეგმარი დამუშავებული მქონდა და მზად ვიყავი ისეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რომლებიც ნებისმიერი დიდი ჩანაფიქრის სერიოზულობის შესამოწმებლად დაისმება ხოლმე. მხოლოდ მას მერე გავუზიარე ჩემი ჩანაფიქრი ავსტრიელ ლიტერატორებს, როცა ავსტრიული პოეზიის მრავალი, ჩემთვის მანამდე უცნობი ავტორის შემოქმედებას გავეცანი და დიდი დრო დავუთმე ავსტრიული პოეზიის შესახებ არსებული კრიტიკული ლიტერატურის დამუშავებას. რა თქმა უნდა, ავსტრიელი ლიტერატორებისთვის ცნობილია საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და მათთვის ძნელი არ არის იმის დადგენა, თუ რა ფუფუნებას უნდა გულისხმობდეს ჩვენში მსგავსი სამუშაოს ჩასატარებლად აუცილებელი ინტელექტუალური რესურსების ჯერ მოძიება, მერე

კი მობილიზება. როცა ავსტრიის შესაბამისმა ორგანიზაციებმა ნაწილობრივი ფინანსური დახმარება აღმიქვეს, მაშინვე საქმეზე გადავედი და დავიწყე მრავალტომეულის პირველი ათი წიგნისთვის ავტორთა რჩეულების შედგენა. საქმე ის გახლავთ, რომ ავსტრიაში ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი მოცულობის მრავალტომეული, ჩემი პროექტისთვის სახელმძღვანელო ნიმუშად რომლის დასახვასაც შევძლებდი. არის უამრავი მსხვილტანიანი ან რამდენიმე ტომად შეკრული ანთოლოგია, მაგრამ არა - ისეთი მასშტაბური, როგორიც მე ჩავიფიქრე. გარდა ამისა, ეს ანთოლოგიები შედგენილია ერთმანეთისგან ურთიერთგამომრიცხავი პრინციპებით, და რომელიმე ანთოლოგიაში ცენტრალური ფიგურა მეორე ანთოლოგიაში პერიფერიაში ინაცვლებს ან მოკრძალებულად არის წარმოდგენილი, იმის მიხედვით, შერჩევა პოლიტიკური ნიშნის პრიმატით განხორციელდა, ესთეტიკურის თუ ამა თუ იმ ეპოქაში მოდური ტენდენციების. ესთეტიკური ნიშნით კლასიფიცირებულ ავტორთა ბედიც შემდგენლის სალიტერატურო გამოცდილების შინაარსით და ინდივიდუალური არჩევნით არის გადაწყვეტილი და არა რაღაც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი რომელიღაც კრიტერიუმებით. თვით ცალკეულ ავტორთა რჩეულებიც, თუ მაინცდამაინც ღრმა კლასიკოსთა თხზულებებს არ ვიგულისხმებთ, სხვადასხვა გამომცემლის და შემდგენლის მიერ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა. ერთი სიტყვით, მას მერე, როცა ათამდე ცალკეული ავტორის რჩეული ლექსების ჩემეული ვერსიები შევადგინე, გადავწყვიტე საქართველოში იდეის გახმოვანება, პარალელურად კი - სხვა ავტორთა რჩეულების შედგენა და გამოცემის რეალიზებაზე კონკრეტული ზრუნვა. მრავალტომეულის თითოეული წიგნის მოცულობა ორასიდან ოთხას გვერდამდე მერყეობს იმის შესაბამისად, ერთ ავტორს ეთმობა ერთი ტომი თუ - რამდენიმე ავტორს. ევროპულ პოეზიაში საეტაპო მნიშვნელობის ავტორებს თითო ტომი დაეთმობათ, სხვა შემთხვევებში ერთი ტომი სამ ან მეტ ავტორს აერთიანებს. თუმცა, არც აქ არსებობს შერჩევის რაღაც მყარი კრიტერიუმი ან ცალსახა წესი. მაგალითად, ევროპული ან მსოფლიო მასშტაბებიდან გამომდინარე, პირველივე ტომში წარმოდგენილი ორი ავტორიდან - ჰუგო ფონ ჰოფმანსთალიდან და რიხარდ ფონ შაუკალიდან - პირველი ნამდვილად იმსახურებს ცალკე კრებულად წარმოდგენას, მაგრამ ასე შორს წასვლას მოვერიდე. ბოლოსდაბოლოს, ეს მრავალტომეული ისეთი მაღალი რანგის პოეტებს აერთიანებს, რომლებიც სულაც არ დარჩენილან ლიტერატურის აქტიურ მეხსიერებაში მხოლოდ იმის გამო, რომ ლექსების წერა შეეძლოთ. თუმცა ამ ყველაფერზე საუბარი იქნება წინასიტყვაობებში, რომლებიც წარემძღვარება თითოეული ტომს.

ეს ორენოვანი გამოცემაა, ყოველ ტომში თარგმანთან ერთად გერმანული დედანიც იქნება წარმოდგენილი.

- და თქვენ ფიქრობთ, რომ ქართული მთარგმნელობითი ძალები, დღევანდელ პირობებში, ამ სამუშაოს წარმატებით დაძლევენ?

- ეჭვიც არ მეპარება, რომ დაძლევენ. მეტიც, უკვე ჩატარებული მუშაობის შედეგები - მუშაობა კი მიმდინარე წლის აგვისტოში, საქართველოში დაბრუნებისთანავე დავიწყე - მარწმუნებს, რომ შედეგები, სულ მცირე, უნიკალური იქნება. ამას იმიტომ არ მოგახსენებთ, რომ პროექტის ინიციატორი და ორგანიზატორი ვარ. იდეების ნაკლებობას არც ერთ სფეროში არავინ განიცდის. არსებითია სწორედ იმ ადამიანების კეთილი ნება და პროფესიონალიზმი, რომლებიც სამუშაო ჯგუფს ქმნიან და ამ პროექტის მთავარი პერსონაჟები არიან. და ამ ჯგუფში არიან როგორც ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების მეტრები, ისე - ახალბედა გერმანისტები. მეორეს მხრივ, პროექტში მონაწილეობენ ქართული პოეზიის ყველა თაობის წარმომადგენლები. პროექტი ჩაფიქრებულია, სწორედ როგორც ქართველ გერმანისტთა და პოეტური ხელოვნების ქართველ ოსტატთა თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი პროცესი. რა თქმა უნდა, საუკეთესო შემთხვევაში სამუშაო ჯგუფი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მთარგმნელებით, რომლებიც გერმანულ ენასაც ფლობენ და ქართულ ენაზე ლექსის თარგმნის ოსტატობაც არ აკლიათ, მაგრამ ასეთი მთარგმნელების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ მათი ძალების იმედად ან მოლოდინად ყოფნა მარადიული მოლოდინის სანეტარო მდგომარეობაში ყოფნას უდრის. ამიტომ გადავწყვიტე მთარგმნელობით პრაქტიკაში საუკუნეების მანძილზე აპრობირებული წესისთვის მიმემართა და გერმანისტების მიერ მომზადებული პწკარედებით მომემარაგებინა ქართველი პოეტები. თუმცა, მიმდინარე ქართულ პოეზიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მთელი "სიკეთე" კონკრეტული სამუშაოს დაწყებისთანავე ვიწვნიე. უბრალოდ, თავზარდამცემია იმ ქართველი პოეტების სიმწირე, რომლებიც პროფესიონალი ლიტერატორები არიან და არა - მუზის ძახილს მინდობილი მოლექსეები. და ამ შემთხვევისთვისაც, სადღეისო სურათი მთლიანად უფროსი და საშუალო თაობის ქართველ პოეტთა უპირატესობაზე მეტყველებს, მუშაობის რიტმითაც და ხარისხითაც, და ეს მაშინ, როცა დროითი და ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით ისინი თანაბარ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. ახალგაზრდებს ნასახიც კი არა აქვთ იმ პროფესიონალიზმის და მუშაობის კულტურის, რომლითაც უფროსი თაობის პოეტები გამოირჩევიან. ეს მოსალოდნელიც იყო მოვლენების განვითარების ყველასთვის ცნობილ ფონზე და ამ თემაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

თუმცა, ამ პროექტის სალიტერატურო დანიშნულებაც ხომ სწორედ იმ პროვინციალიზმის შემცირებაა, რომელმაც უკვე საგანგაშოდ დაიპყრო ქართული სამწერლო სცენა და, თითქოს სწორედ ინფორმაციის შეუზღუდავი მისაწვდომობის ჯინაზე, ქართულ ენაზე შექმნილი პროზაული თუ პოეტური ნაწერების გადამწყვეტი უმრავლესობა კულტურულ ვაკუუმის ნიშნით არის დაღდასმული. მხოლოდ პოეზიით რომ შემოვიზღუდოთ, აქ პირველ პლანზე გაღარიბებული სტრუქტურა, თემატური სივიწროვე, ზედაპირული ეფექტების სიუხვე და სრული აზრობრივი სიცარიელე და ენობრივი მარაგის გალევაა გაბატონებული. მეოცე საუკუნის ავსტრიული პოეზიის ავტორთა ის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი კი, რომელიც ჩემს პროექტში ვერ მოხვდა, აზრობრივი სისავსისა და განათლებულობის ისეთ სიმაღლეს ქმნიან, რომელსაც ჩვენში მხოლოდ ერთეული ავტორები აღწევენ და ეს მათ, სულ მცირე, გმირობად ეთვლებათ.

- რა კრიტერიუმით შეარჩიეთ მთარგმნელთა ჯგუფი?

- ასეთ პროექტებზე მუშაობის დროს შერჩევის ერთადერთი კრიტერიუმი პროფესიონალიზმი და გამოცდილება უნდა იყოს. ოღონდ, ეს არ არის უკვე საბოლოოდ შექმნილი ერთობა. მეტიც, სამუშაო ჯგუფს უკვე არაერთი ადამიანი გამოაკლდა. ზოგი - იმიტომ, რომ მუშაობის რიტმი ვერ დაიცვა, ზოგი - იმიტომ, რომ თავისი დროის და შესაძლებლობების პერიფერიაში მიუჩინა ამ საქმეს ადგილი, ზოგი - იმიტომ, რომ საერთოდ ვერ შეასრულა სამუშაო ან აგდებულად და დაუდევრად მოეკიდა პროექტს. თუმცა, ნებისმიერი სამუშაო, დიდიც და პატარაც, ასეთი ისტორიებით ყოველთვის მდიდარია. სამაგიეროდ, სამუშაო ჯგუფი ღიაა და იგი ივსება ახალი სახელებით. დროთა განმავლობაში მთარგმნელთა ამ ჯგუფის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. მე თანამშრომლობას ვთავაზობ ნებისმიერ ლიტერატორს, რომელსაც თარგმანის გამოცდილება აქვს, განურჩევლად მისი ადგილისა და შეხედულებებისა, ასაკისა და საქმიანობისა. გაიზრდება, თუნდაც, იმ ადამიანებით, რომლებსაც დღემდე არ ვიცნობდი და ამ პროექტის წყალობით გავიცანი. ასე გავიცანი, მაგალითად, ქალბატონი ნატო თხილავა, შესანიშნავი გერმანისტი, რომელიც პროექტში მონაწილეობს, ერთის მხრივ, როგორც პწკარედის ავტორი, მეორეს მხრივ, როგორც ლიტერატურული მთარგმნელი. მისი პწკარედის ბაზაზე შესრულდება ანტონ ვილდგანსის ლექსების ლიტერატურული თარგმანები; პეტერ ჰანდკეს ლექსების ლიტერატურული მთარგმნელი კი თავად ქალბატონი ნატო იქნება. ქალბატონი შორენა შამანაძეც ასე გავიცანი. მე მის პროზაულ თარგმანებს დროდადრო ვაწყდებოდი პერიოდიკაში, ავსტრიაში კი მის მიერ ქართულად თარგმნილი თავისი რომანი მიჩვენა

მარიანა გრუბერმა, მიმდინარე ავსტრიული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენელმა. მე მაშინ არც კი ვიცოდი, რომ ეს მთარგმნელი ჩემივე კოლეგის და იშვიათი პიროვნების - შადიმანის - და იყო. მოგვიანებით წავიკითხე მის მიერ ჩინებულად თარგმნილი გერმანული პოეზიის ნიმუშებიც. იმის თქმა მინდა, რომ მე ამ მიმართულებითაც ვმუშაობ, ვეძებ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, ამ საშურ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ. და აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ მუშაობენ, მაგალითად, ყველასთვის უცნობი, გერმანულის ახალბედა მასწავლებელი ეკა კოკილაშვილი და ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთი დიდოსტატი, ქალბატონი ნანა გოგოლაშვილი. სხვათაშორის, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ნანა ცნობილია, როგორც გერმანულენოვანი პროზის უბადლო მთარგმნელი, მას არ უთაკილია პწკარედების მომზადება, რაც ერთ დროს, გაუკულმართებული ლიტერატურული პრინციპების გამო, ჩვენში უმადურ და არაფრადჩასაგდებ შრომად ითვლებოდა, და ეს - მაშინ, როცა უცხო ენის არმცოდნე პოეტისთვის ამა თუ იმ დიდი შემოქმედის სამყაროში ერთადერთი უახლოესი მეგზური პწკარედის ავტორი ხდება. ცოტა გვინახავს პწკარედის საფუძველზე მომზადებული საუცხოო თარგმანი? მთარგმნელებმა, რომლებსაც პწკარედების შუამავლობით ტექსტის თარგმნის მდიდარი გამოცდილება აქვთ, კარგად იციან მაღალი რანგის სპეციალისტთა მიერ მომზადებული პწკარედის მადლი. არასდროს დამავიწყდება გერმანულენოვანი ლიტერატურის ერთობ გემოვნებიანი მთარგმნელის ასმათ ფიცხელაურის მიერ მომზადებული პწკარედის ხილვით გამოწვეული სიხარული ბათუ დანელიასი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელი მუშაობდა მხატვრული თარგმანის კოლეგიაში და არ ეშლება უზადო პწკარედის ფასი, იმ ერთადერთი სარკმლის ფასი, რომელშიც მან უცხოენოვან პოეტს უნდა მოკრას თვალი. ასეთი პწკარედი ლიტერატურული მთარგმნელის ინტუიციის სიზუსტის გარანტიც არის და - თავისუფლებისაც.

- ალბათ, დამეთანხმებით, რომ პწკარედიდან შესრულებული თარგმანი მაინც თარგმანის თარგმანია და ორიგინალიდან ძალიან შორს დგას.

- რა თქმა უნდა. სწორედ ისეთ სიშორეზე და არა უმეტეს იმისა, ვიდრე თუნდაც ორიგინალის ჩვენეული აღქმა არის ორიგინალს დაშორებული. ლექსის ნებისმიერი თარგმანი, ერთის მხრივ, არსებითი ზარალი და დანაკარგია, მეორეს მხრივ კი – ახალი და დამოუკიდებელი ლექსი. თარგმანის თეორიაში არსებობს უამრავი ურთიერთგამომრიცხავი თეორია, რომელთაგან არც ერთი კანონის უფლებით არ სარგებლობს. დიდი ანგარიშით, პოეზია საერთოდ არ ითარგმნება, კიდევ უფრო დიდი ანგარიშით კი იმის

მტკიცებაც შეიძლება, რომ პოეზია არც იკითხება, რაკი წაკითხული ლექსის მიერ ჩვენს გონებაში დატოვებული ხატი ის არ არის, რაც ავტორმა დაწერა. სხვათაშორის, თვით ავტორის მიერ წაკითხული მისივე ლექსიც კი არ არის ის, რაც მანვე დაწერა. და მე ამ ლაბირინთში ტექნიკური თარგმანისთვის აუცილებელ სიზუსტეს ვერავის მოვთხოვ, ისევე, როგორც საკუთარ თავს არ ვთხოვ ამას. არ ვთხოვ იმას, რასაც სულ ცოტა ხანში ჩვენზე ათასჯერ უკეთ მოახერხებენ კომპიუტერული პროგრამები. სწორად გამიგეთ, მე თვითნებობის წინააღმდეგი ვარ. უბრალოდ, ჩვენი შესაძლებლობები ზღვარდებულია იმით, რომ ჩვენ ინტერპრეტატორები ვართ და არა უმეტესნი, ერთმანეთისაც და სათარგმნი ტექსტებისაც. ეგ არის მხოლოდ, რომ ბედნიერ შემთხვევებში თარგმანები კი არ კეთდება, არამედ იქმნება. და სწორედ იმისთვის, რომ საქართველოში რაც შეიძლება მეტი თარგმანი შეიქმნას და არა გაკეთდეს, საჭიროა ისეთი მთარგმნელობითი პროექტები, რომელსაც ამ შემთხვევაში მე ვხელმძღვანელობ. ანუ საჭიროა სისტემური და კომპლექსური, შინაარსობრივად ერთგვარად ამომწურავი პროექტები. და მიუხედავად ამ განცხადებისა, ჩემი პროექტის სახელწოდება თუ არის "მეოცე საუკუნის ავსტრიული პოეზია", ქვესათაურია "მასალები", რაც ყოველი ტომის გარეკანზე იქნება აღნიშნული. ეს აღნიშვა არ გულისხმობს მხოლოდ ავსტრიელ პოეტთა რაოდენობისა და მათი ტექსტების მოცულობის ჩემეულ ვერსიას, არც – სელექციის ჩემეულ ვერსიას, არამედ – იმ ექსპერიმენტსაც, რომელსაც ვატარებ ამ აქციის სახით. მრავალმხრივ დასახსრული ამ ექსპერიმენტის ერთი არსებითი ელემენტია, მაგალითად, ამ ოცდაათტომეულის გამოცემის ჩამთავრებისთანავე, მისი განმეორებით გამოცემა, ოღონდ პირველ გამოცემაში შესულ გერმანულენობვან ტექსტთა მთარგმნელებად უკვე სულ სხვა პოეტები მოგვევლინებიან, რომლებიც ისარგებლებენ უკვე მომზადებული პწკარედებით ან ლექსებს თავად თარგმნიან, გერმანული ენის ცოდნის შემთხვევაში, წიგნების გვერდებზე წარმოდგენილი დედნიდან. ამ ექსპერიმენტის სხვა ელემენტია, ვთქვათ, სათარგმნელად რომელიმე ავტორის ლექსთა გადანაწილება ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდის მქონე ქართველ პოეტთა შორის. მაგალითად, გერმანულენოვანი ექსპრესიონიზმის მშვენების, ფრანც ვერფელის ლექსების თარგმნა ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული მთარგმნელობითი ხელწერის მქონე ბათუ დანელიას, ზვიად რატიანს და გია ჯოხაძეს შევთავაზე. ეკა კოკილაშვილის და თენგიზ ხაჭაპურიძის მიერ მომზადებული პწკარედებიდან შესრულებული მათი თარგმანები წარმომჩენი იქნება არა მხოლოდ ხედვის სხვადასხვა კუთხის, არამედ

- ტექსტის დამუშავების სხვადასხვა ესთეტიკის. ბათუ დანელია ლექსის ფაქტურისა და ფორმის მთლიანობის შენარჩუნების ოსტატია და დიდ დროს უთმობს ტექსტის ფილოსოფიაზე მუშაობს, ზვიად რატიანი თარგმანში წინ წამოსწევს და ხაზგასმულად აძლიერებს ემოციურ და დრამატულ საწყისს, გია ჯოხაძის თარგმანები კი არა ლექსის, არამედ სათქმელის და შინაგანი შინაარსის გადმოქართულების მიმზიდველი, მეტად ორიგინალური მცდელობებია, დაფუძნებული კლასიკური ქართული ლექსის რიტმული სტრუქტურის შესაშურ ცოდნაზე. ერთგვარი უხილავი, არადემონსტრაციული პერფორმანსის ხასიათი ჰქონდა ქართული პოეზიის ორი დახვეწილი წარმომადგენლისთვის, ჯარჯი ფხოველისა და ბესიკ ხარანაულისთვის, ავტორთა შერჩევას. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს მათთვის ისევე ვარჩევდი ავტორებს, როგორც სცენარი იწერება ხშირად მსახიობისთვის. მოკლედ, ჩემთვის ეს გამოცემა ერთი დიდი ექსპერიმენტია, რაც ასევე წარმოდგენილი მაქვს, როგორც დიალოგი მეოცე საუკუნის უნიჭიერეს ავსტრიელ ექსპერიმენტატორებთან - არტმანთან და იანდლთან, ბაიერთან და ჰანდკესთან, ცელანთან და ოკოპენკოსთან. თვითმიზნურ ორიგინალობასთან არაფერი ექნება საერთო ჩემს ჩანაფიქრს, რომ იმავე არტმანისა და იანდლის დიალექტური ლექსების თარგმნა ქალბატონ ეთერ თათარაიძეს შევთავაზო. ბედნიერი ვარ, რომ პროექტში მონაწილეობს ჩემთვის უძვირფასესი მთარგმნელი ბესიკ ადეიშვილი, რომლის ესთეტიკა უნიკალური მოვლენაა ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში.

- საინტერესოა, ქართულად დღემდე არსებული თარგმანები თუ მოხვდება თქვენს პროექტში?

- მოხვდება კი არა, სწორედ მთარგმნელობითი კოლეგიის მუშაობის ოქროს წლებში მომზადებული თარგმანებისგან შედგება, მაგალითად, რილკეს ლექსების ტომი. ამ ტომში თავს მოიყრის ვახუშტი კოტეტიშვილის და ჯემალ აჯიაშვილის განუმეორებელი თარგმანები. ამავე ტომში იქნება წარმოდგენილი გივი ალხაზიშვილის და ლულუ დადიანის თარგმანები. მრავალტომეულის მეორე გამოცემისთვის კი ვგეგმავ არა ვახუშტი კოტეტიშვილის, არამედ ლულუ დადიანის მიერ თარგმნილ "დუინურ ელეგიებს". ასევე, გამოცემა თავს მოუყრის თრაკლის ლექსების ჩემეულ თარგმანებს, შესრულებულს ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების ბოლოს და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. ასევე დიდი ხნის წინ არის თარგმნილი დავით წერედიანის მიერ ცელანის და ბახმანის ლექსები, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას მიერ - ჰოფმანსთალი, ბესიკ ადეიშვილის მიერ - ავსტრიელი კონკრეტისტები, ქრისტინე ლავანტის ლექსები, გამოცემული გერ-

მანისტ თამარ კოტრიკაძის ინიციატივით და რედაქტორობით. მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ზღვაში წვეთია. ავსტრიელ პოეტთა მთელი თაობები, ფაქტობრივად, პირველად წარსდგებიან ქართველი მკითხველის წინაშე.

- ამჟამად რა ეტაპზეა თარგმნის პროცესი და რა დროს მოიცავს პირველი გამოცემა?

- პროექტი დაახლოებით ოთხწლიანია, 2006 წელს დაგეგმილია პირველი ექვსი ტომის გამოცემა. პროექტი გამომცემლობა "საარის" ბაზაზე ხორციელდება, გამომცემლობის რედაქტორის - ლევან თითმერიას - პირადი დაინტერესებით და გამოცემის პროცესისთვის, ფაქტობრივად, იდეალური პირობების შექმნით. ვინც ლევანს იცნობს, მისი ასეთი მხარდაჭერა არ გაუკვირდება. "საარში" უკვე არსებობს "ევროპული და ამერიკული ლიტერატურების განყოფილება", და სწორედ ამ განყოფილებაში მზადდება ეს ტომები გამოსაცემად. მომდევნო წლებში გამოცემის პროცესი დაჩქარდება და, საშუალოდ, ყოველ სამ თვეში ორ ტომს მიიღებს მკითხველი. გარდა ამისა, უკვე იანვრის შუა რიცხვებიდან, უცხო ენების უნივერსიტეტში განთავსებულ ავსტრიულ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ქალბატონი მზია გალდავაძის თანადგომით, პერიოდულად მოეწყობა ავსტრიული პოეზიის საღამოები სწორედ პროექტის ფარგლებში განხორციელებული თარგმანების გამოყენებით.

- საუბრის დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ავსტრიული პროექტი თქვენი პროგრამის პირველი მერცხალია და სხვა ქვეყნების ლიტერატურაც ახსენეთ.

- დიახ, და უკვე მოსანიშნი სამუშაოებიც დაწყებულია. დიდი სურვილი მაქვს, ავსტრიული პროექტის პარალელურად, ამერიკული და ფრანგული პოეზიების ანალოგიური პროექტები განვახორციელო. ერთადერთი, რაც ამ საქმეს ესაჭიროება, არის ფული. ავსტრიული მხარე, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ ნაწილობრივ აფინანსებს ამ პროექტს. მე ყველაფერს ვეცდები, რომ ამ პროექტით ქართველი ბისნესმენები დავაინტერესო. ეს არ არის საჩვენებელ, ბრჭყვიალა ეფექტებზე გათვლილი პროექტი და ქართული ლიტერატურისთვის, ქართული კულტურისთვის, ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრებისთვის მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობის დანახვასაც მხოლოდ ის ბიზნესმენები შეძლებენ, რომლებიც თანაუდგანან ყოველთვის რეალური პროდუქციის შექმნაზე ორიენტირებულ მოძრაობებს.

"საზოგადოებაში, სადაც მწერლობა უკვე ან მთლიანად გარემოს ემსგავსება ან ამ გარემოს დეკორატორის ფუნქციას ასრულებს, მკითხველი ყოველთვის დამცირებული და შეურაცხყოფილია"

ესაუბრა სოფო ბერძენიშვილი

- დათო, ახლახანს თქვენი და დავით ჩიხლაძის ერთობლივი წიგნი გამოიცა სახელწოდებით "დ/დ". როგორღაც მერიდება ამ წიგნზე იმის თქმა, რომ ის მკითხველმა მიიღო. წიგნი ხომ პრაქტიკულად არ იკითხება.

- რატომ არ იკითხება?! გამადიდებელი შუშის დახმარებით იკითხება, ოღონდ – ძალიან ცუდად. ცხადია, როცა ასორმოცდაათგვერდიანი წიგნი თხუთმეტ გვერდამდე იკუმშება, შრიფტის ზომაც უკიდურესად პატარავდება და, ბუნებრივია, მისი კითხვა დისკომფორტის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ წიგნი დიახაც მკითხველმა მიიღო და დიახაც იმ მიზნით, რომ მან ეს წიგნი წაიკითხოს.

- კეთილი, მაშინ ასე დავსვათ კითხვა: რომელმა მკითხველმა?

- ნება მომეცი, კითხვა უფრო მართებულად დავსვა: რომელმა და სად მცხოვრებმა მკითხველმა? ამ კითხვაზე პასუხი უფრო საინტერესო იქნება. რა თქმა უნდა, ქართველმა მკითხველმა. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს მკითხველი რატომღაც ან არსად არ ჩანს ან ჩანს ჩემი და დათო ჩიხლაძის შემოქმედების ეპიგონებში და პროფანიზატორებში. საჭირო იყო ამის წინააღმდეგ ხმის ამოღება. თუმცა, დავაზუსტებ, რომ თვით დათო ჩიხლაძემ ჩემი ამ აქციის შესახებ ჯერ არაფერი იცის, ის წიგნს ამერიკაში დაახლოებით ორ კვირაში მიიღებს. კონცეპცია წიგნის გამოცემამდე არ გამიხმოვანებია, თუმცა, ცხადია, ჩემი თანაავტორისგან მისი გამოცემის ნებართვა ვითხოვე. თავს შევიკავებ ამ პერფორმანსის ყველა დეტალის გახმოვანებისგან, მაგრამ ერთს დაუფარავად ვიტყვი: ეს არის ადექვატური რეაქცია ქართულ მწერლობაში არსებულ იმ ჭუჭყიან სიტუაციაზე, რომლის შექმნაშიც არც მე და არც დათო ჩიხლაძეს წვლილი არ მიგვიძღვის. ჩვენი ძალისხმევა ყოველთვის იყო იქითკენ მიმართული, რომ საქართველოში შექმნილიყო სალიტერატურო სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი და მიზანდასახული, რაციონალური სუბიექტური მონდომება ქართულ მწერლობაში არც საბჭოთა და არც პოსტსაბჭოთა მწერლობაში არასდროს ჩასახულა და ამ მიმართულებით რაციონალური ტრადიციის ძიება სიბრიყვეა, პირადად ჩემი პირველივე სალიტერა-

ტურო-საორგანიზაციო აქციები სწორედ ამ მიზნით იმართებოდა.

- ესე იგი, თქვენამდე არავინ ყოფილა?

- არა, მე ეს არ მითქვამს. მე ვთქვი, რომ რაციონალური ტრადიცია არ შექმნილა, ცალკეულ ლიტერატორთა ძალისხმევა ცალკე საკითხია. ისე კი, ერთადერთი გამაოგნებლად სისტემური ლიტერატორი ერუდიციითაც, ნიჭითაც, უტყუარი კონტექსტუალური ორიენტაციითაც საბჭოთა პერიოდში აკაკი ბაქრაძე იყო, მაგრამ ის იყო გამონაკლისი და არა წესი, და მისგან ქართულმა მწერლობამ ვერაფერი ისწავლა. მისი, როგორც ქართულ მწერლობაში უდიდესი ლიტერატურული პოლიტიკოსის მეტაფორა გაუხსნელი დარჩა. შეიძლება საქმე სწორედ იმან გაართულა, რომ ეს გამონაკლისი ფენომენალური მოვლენა იყო და არა მხოლოდ ერუდირებული და გემოვნებიანი ლიტერატორი. არაფერი თანამედროვე ქართული მწერლობის საზოგადო სურათში არ მეტყველებს იმაზე, რომ აკაკი ბაქრაძე არსებობდა. და ეს მოხდა იმიტომ, რომ არავის ის ცოცხალი არ სჭირდებოდა, ის ქმნიდა პერმანენტულ დისკომფორტს, რომელიც გადაილახებოდა მისი ან იგნორირებით ან დაფასებით ან ანგარიშგაწევით. მეტიც არაფერი. სხვა ყველაფერი სამუზეუმო ექსპონატად მის გადაქცევაზე დახარჯული ძალისხმევა იყო. ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველოში კატებს აყეფებენ. მას მერე, რაც ჩემი მონდომების და იმედის ყველა რესურსი ამოვწურე, გადავწყვიტე საერთოდ გავერიდო ამ არაადამიანურ გარემოს.

- ხომ არ გავიწყდებათ მკითხველი, რომელიც თქვენს შემოქმედებას აფასებს და გულწრფელად უყვარს იგი, მოუთმენლად ელის მისგან ახალ ნაწარმოებს, ახალ წიგნს?

- არა, არ მავიწყდება და გულწრფელად ვწუხვარ ამ ყველაფრის გამო. ჩემი მკითხველი ბევრი არ არის, მაგრამ ვინც არის, ალბათ, გამიგებს, რომ ჩემი ეს აქცია მათი შეურაცხყოფა კი არა, ლიტერატურის პოლიტიკის ჩემმიერი გაგებით ნაკარნახევი საქციელია. შეიძლება მცდარი, მაგრამ - ნაფიქრალი და გააზრებული. ეს რაღაცით მართლაც ჰგავს იმ სიტუაციას, ფილმებში ბინძური ადამიანები მოსაკლავ ობიექტს ძვირფასი ადამიანების სახით ხაფანგს რომ უგებენ, რის შესახებაც ობიექტმა არაფერი იცის და ვერც ძვირფასი ადამიანის გაფრთხილებას ახერხებს. ჩემს შემთხვევაში საქმე ასე დრამატულად ნამდვილად არ არის, არც ჩემს მკითხველს ემუქრება საფრთხე. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ მართლა ასეთი ძვირფასია ჩემი შემოქმედება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩემი ლექსების კითხვა ახარებთ, რაღაც შეიცვლება. დგება დრო, როცა მართლა უნდა გაირკვეს, ვინ ვინ არის. რასაც დღესდღეობით თვალს ვადევნებ ქართულ მწერლობაში, არის მკითხველის დამცირების უკიდურესი ფორ-

მა, მისი ისეთი შეურაცხყოფა, რომელსაც მხოლოდ ადამიანის შეურაცხ-ყოფის უფლებაზე ლიცენზიის მიღების მოთხოვნა შეიძლება აღემატოს. ცხადია, ამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს ჩვენი წინა თაობების ნამოღ-ვაწარის სახით და – ბევრი სხვა მიზეზიც, მაგრამ მე უკვე დავიღალე მი-ზეზების ძებნით. ხომ ხედავთ, ყველა და ყველგან მიზეზებს ასახელებს, რადიოში, ტელევიზიაში, გაზეთში, ჟურნალში. ხომ ხედავთ, მათი მსჯელ-ობები როგორ არის გადახლართული მორალურ სიმაღლეებთან, ეს მორა-ლური სიმაღლეები კი – ვაჟკაცობის ნაირსახეობებთან. ყველა იმას გვეუბ-ნება, თუ როგორი მაგარი ვინმეა, როგორ გვჯობს და ჩვენზე რამდენად მეტი იცის, რამდენი ჩვენთვის უხილავი მიზეზის ბატონ-პატრონია. ამდე-ნი განდობილი ასეთ მცირე დროში, ამდენი რაინდი და ბრძენი! ეს ყველა-ფერი უკვე არის მიზეზიც, შედეგიც და ზეშედეგიც. მეტი არც არაფერი იქნება. მწერლობაშიც იგივე ხდება. აქ ყველა თამაშობს დიდ მწერალს, დიდ პოეტს, დიდ კრიტიკოსს. ისინი ყველანი ჯერ დიდები და გენიოსები არიან, ხოლო მერე – მოკალმეები. კონტექსტი საერთოდ არ არსებობს, ისინი უკვე ასტრალში ცხოვრობენ, იქიდან უყურებენ ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთს პირდაპირ არ უმხელენ ამას. არადა, სინამდვილეში, ერთმან-ეთს შველიან ბუტაფორიების კვლავწარმოებაში. ოთხიოდე წლის წინ ერ-თმა მოსკოვურმა ჟურნალმა წერილი შემიკვეთა ქართულ ინტელიგენცია-ზე. რასაც მაშინ ვფიქრობდი, იგივეს ვფიქრობ ახლაც ქართულ მწერლო-ბაზე და ხელოვნებაზე ზოგადად. ყველას რაღაც იაფფასიანი საზრუნავი აქვს, მათხოვრული და უნიათო. თუ მკითხველი არსებობს, ის რაღაცას იღონებს.

- თქვენს დასაცავად?

- არა, არა, მე დაცვა არ მჭირდება. ოდესმე მითქვამს, რომ მკითხველთა ან ლიტერატორთა მხარდაჭერა სჭირდება ჩემს შემოქმედებას? ან რომ თვით ჩემს შემოქმედებას ასეთი აქტიურობა სჭირდება? მე მხოლოდ იმ უნიჭობის და უსამართლობის წინააღმდეგ გასამჟღავნებელ აქტივობას ვგულისხმობ, რომელიც გარს გვაკრავს. მე ბუნებით ეჭვიანი ადამიანი ვარ, ხოლო როცა ჩემს ეჭვებს ევროპული სალიტერატურო სიტუაციის ანალიზიც უერთდება, იმედი აღარ მრჩება. ძნელი შესამჩნევია, რომ ყვე-ლგან, პოლიტიკაშიც, მწერლობაშიც, საერთოდ ხელოვნებაში, საშუალო ნიჭის ადამიანების დოღია? ხელოვნებაში მაღალნიჭიერი ადამიანები კი, კონფორმისტული პიროვნული ბაზის გამო ან სოციალური კეთილდღეობ-ის, ხშირად კი უბრალოდ ფიზიკური გადარჩენის მიზნით, იძულებული ხდებიან, გაითქვიფონ ამ საშუალო კონტექსტში, რადგან ისინი იოლად ხვდებიან ქვეყნის ბატონ-პატრონთა დაუფარავ უწყებას: "სწორება სა-

შუალო ნიჭზე!" არც უნიჭობაზე და არც ნიჭიერებაზე, არამედ სწორედ – საშუალოობაზე. და ასეთი სიტუაცია მექანიზმებსაც შესატყვისს აყალიბებს. მე მიყვარს იმის გამეორება, რომ თუ საზოგადოება კულტურულია, თუ გონებრივი შრომით ჯამაგირის მიმღები ადამიანების ინტელექტი ძლიერია, იქ გარკვეულ პრიმიტიულ ქმედებებს ავტომატურად კრძალავს კულტურის მექანიზმები. სხვა შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ კლანურობა. კულტურაში, ხელოვნებაში და მწერლობაში ამ კლანურობას ისიც ემატება, რომ რიოში ადამიანები ნამდვილ ადამიანებს თამაშობენ, შეგნებულად ურევენ მაღალ და დაბალ ხარისხს ერთმანეთში და ხელს უშლიან ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლებიც დაიცავს კონტექსტს მიმბაძველთა, განმმეორებელთა, ეპიგონთა, მარიფათიანთა და სხვათა თამაშით მოთამაშეთა ბიზნესისგან. უარესი ის არის, როცა კონტექსტი ერთმანეთში ურევს კონფორმისტებს და ნონკონფორმისტებს, უწარსულო და წარსულის მქონე ადამიანებს, არარაობებს და ეკონომიკურად დაბმულ ნიჭიერ პერსონებს. მე ყოველთვის ვერიდებოდი ასეთ ადამიანებს, ახლა კი საბოლოოდ გავერიდები მათ.

- დათო ჩიხლაძე ზე რას იტყვით? ისიც ყოველთვის თქვენსავით ერიდებოდა ამ კონტექსტს?

- არ მინდა მისი სახელით ვილაპარაკო. იმაზე მეტს მაინც ვერაფერს ვიტყვი, რაც ჩვენს ერთობლივ წიგნში ითქვა. იქ ბევრი რამ არის. უფრო მეტის თქმა თუ მომინდება, ამისთვის ინტერვიუს არ გამოვიყენებ, უფრო დახვეწილი ფორმებიც არსებობს. წიგნის წერისას კი ხშირად მქონდა განცდა, რომ მე არა მხოლოდ ჩემს მეგობარს და თანაავტორს ვესაუბრებოდი, არამედ მასზეც ვსაუბრობდი, და ერთადაც ვსაუბრობდით ერთმანეთზე. ამ წიგნს შემთხვევით არ ჰქვია "პიესა ლექსად". ჩვენ მას მართლაც პოეზიად აღვიქვამთ. იქნებ, სწორედ ამ პოეზიის დაცვის დაუცველი და სასოწარკვეთამდე მისული მოთხოვნილება ამუშავდა ჩემში, როცა გამოცემის ასეთი ფორმა მოვუძებნე. მე თვითონაც კი არ მაქვს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. იქნებ, დამენანა მისი გამოტანა იმ გარემოში, რომელშიც ამდენი ჩასაფრებული ადამიანი მხოლოდ იმიტომ ელის ჩემს ან დათოს ყოველ ახალ ტექსტს, რომ თავისი უვარგისი მიზნებისთვის გაითვალისწინოს და გამოიყენოს. მე მესმის, რომ ასეთი მიზნების სამიზნედ ყოფნისგან არც ერთი წიგნი არ არის დაცული, მაგრამ მე მინდოდა, სწორედ ამ წიგნით დამეწყო ის აქცია, რომელიც გასტანს მანამ, სანამ ჩემს მკითხველს არ მოვძებნი. ნუ გაგიკვირდებათ, ჩემთვის ჩემი მკითხველი მართლაც არის იმდენად ძვირფასი, რომ მის ძიებაზე ვიზრუნო. არა ჩემი ნაწარმოები წავაკითხო, არამედ ვეძიო იგი ისე, როგორც ეს მე მესმის. ასე არ არის

ყოველთვის? ჩვენ ყველას ჩვენი უხილავი გზა გვაქვს, რომელსაც ვენდობით. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მკითხველს სწორედ ამ გზით მოვძებნი. მოვა ის, ვისაც მართლა სურს მოსვლა. აქ კი უკვე ბევრს არაფერს ნიშნავს, ის ჩემს წიგნებს დღეს წაიკითხავს თუ ოცი წლის მერე. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ავტორი ვარ და არა გლადიატორი, რომელმაც ან გამარჯვება უნდა მოიპოვოს ან დამარცხდეს, მაყურებელმა კი განაჩენი გამოიტანოს და მერე საბრძოლველად სხვა გლადიატორის გამოსვლას დაელოდოს. და ვერც ჩემს ნამდვილ მკითხველს წარმოვიდგენ, როგორც ასეთ მაყურებელს. სხვათაშორის, წიგნშიც არის ამ პრობლემებზე საუბარი.

- ხომ ვერ მეტყვით, წიგნი რას ეხება და როგორ იწერებოდა?

- რას ეხება, ძნელი სათქმელია. პირდაპირ რომ ითქვას, არაფერსაც არ ეხება. უბრალოდ, ორმა პოეტმა გადაწყვიტა, ერთად შეექმნა პოეტური ნაწარმოები და მიაღწია კიდეც ამას. მათ ისაუბრეს იმაზე, რაც აწუხებდათ, საითაც სათქმელმა ან თემამ გადაისროლა ისინი, რაზეც საუბარს თავი აარიდეს. ეს ყველაფერი კარგად იკითხება წიგნში, წაუკითხავადაც კი. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ამ წიგნში დოკუმენტირდა ჩვენი სურვილი, სწორედ ერთად დაგვეწერა ეს ყველაფერი და არა სურვილი, რომ ერთად გვემსჯელა და გველაპარაკა. მგონი, მხოლოდ წიგნით შეიძლება ამის მიღწევა. ვერც საუბრით და ვერც ზეპირი დისკუსიით ეს მიზანი ვერ მიიღწევა. დათო ჩიხლაძე ამერიკაში იყო, მე კი გერმანიაში. ელექტრონული ფოსტით ვუცვლიდით ერთმანეთს მასალას. სულ ეს იყო. მას მერე უკვე ოთხი წელი გავიდა. წიგნის გამოცემაზე მერე დავიწყეთ ფიქრი, როცა მუშაობა დავასრულეთ, მაგრამ დიდად არ მიაქტიურია. 2003 წელს არის დაწერილი, მას არც რამე მიმატებია და არც გამოკლებია. და ახლა, გამოცემამდე რამდენიმე დღით ადრე წიგნს თვალი რომ გადავავლე, მივხვდი, რატომ არ ვაქტიურობდი მის გამოსაცემად. პირადად ჩემთვის, ეს ისეთი ტექსტია, რომელიც მხოლოდ ჩვენ ორისთვის, მისი ავტორებისთვის იყო არსებითი. სწორად გამიგეთ, მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ საქართველოში ამ წიგნის ვერც ეთიკას, ვერც ესთეტიკას და ვერც პოეზიას ვერ გაიგებენ ის ადამიანები, რომლებიც დღეს სამწერლო ბიზნესში არიან გადაშვებული. მათი საზრუნავი სხვაა, ამ წიგნის საზრუნავი კი – სულ სხვა. რა თქმა უნდა, ეს ჩემი აზრია და არა – დათო ჩიხლაძის. თუმცა, მასაც საკმაო საფუძვლები უნდა ჰქონდეს მსგავსი დასკვნისთვის მას მერე, რაც არა ერთი მწარე გამოცდილება მიიღო იმ ადამიანებთან და სამწერლო სიტუაციებთან ურთიერთობაში, რომლებიც მას ყოველთვის უყვარდა და დღესაც უყვარს. თუმცა, ეს უკვე მისი სათქმელია. ბოლ-

ოსდაბოლოს, არც ქართული საზოგადოება დაიყვანება დღეს სცენაზე გაბატონებულ "გამარჯვებულ" ადამიანებამდე. ჩემის მხრივ, იმ გამოცდილების მერე, რომელიც ქართულ სამწერლო კონტექსტთან ურთიერთობაში დამიგროვდა, სწორედ ამ წიგნის გამოცემით გამოვაცხადე, რომ ჩემი თავი, როგორც პოეტი და მწერალი, ამოვჭერი ამ დემოკრატიულად ცენტრალიზებული, კლანური, უკულტურო და ტოტალურად არაკოლეგიალური გარემოდან, და ამის მერე მხოლოდ მთარგმნელად დავრჩები მასში.

- ვფიქრობ, მიზერული ნამდვილად არ არის ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც თქვენი ასეთი გადაწყვეტილება გულს დასწყვეტს და შეიძლება დაა ზარალოს კიდეც.

- ამაზე უკვე ვისაუბრეთ. ერთს დავძენ: ეჭვი არ მეპარება, რომ ამ კონტექსტს ჩემი ლექსების გარეშე არაფერი დააკლდება. ასეც რომ არ იყოს, ხომ საინტერესოა, რა დააკლდება და რა არა? მე ეს დიახაც მაინტერესებს. ვწუხვარ იმათ გამო, ვინც გაფაციცებით ნადირობდა ხოლმე ჩემს ლექსებზე და რატომღაც მაინცდამაინც ჩემი კრებულების გამოცემის მერე, მაინცდამაინც ჩემი ლიტერატურული სტრატეგიების გახმოვანების მერე და მაინცდამაინც ჩემი ლექსებიდან და ესსეებიდან მოპარული პასაჟებით, ჩემი ლექსების და სტრატეგიების ბრიყვული ვარიაციებით ცდილობდა ჩემთვის ეჯობნა, პარალელურად კი უფრო კარგად მივეჩუმათებინე. რატომღაც, ზოგმა, სასაცილო ვირეშმაკობით, საშუალო ლიტერატორთა გარემოდან თავისი განდეგილობის მტკიცებაც კი დაიწყო, ჩემი სვლების ზედაპირებით მოტყუებულმა. გულწრფელად ვწუხვარ იმ სათუთი და კეთილშობილი ადამიანების გამოც, რომლებსაც რედაქციებში პრობლემებიც კი არაერთხელ შექმნიათ იმის გამო, რომ არ მალავდნენ ჩემი ესთეტიკის და ტექსტების მიმართ თავიანთ სიმპათიას. იმათ გამოც, ვინც იძულებული იყო, ეს სიმპათია საგულდაგულოდ გადაემალა, რედაქტორთა რისხვა რომ არ დაემსახურებინა და თავისი ორიოდე სტრიქონი დაებეჭდა. მახსოვს, ჯერ კიდევ შვიდი-რვა წლის წინ, ალეკო ცქიტიშვილმა ვერაფრით მოახერხა თავისი სადიპლომო ნამუშევრის იმ სასტატიო ვერსიის დაბეჭდვა, რომელშიც ჩემს მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები იყო განხილული. რომელი ერთი ნიუანსი დავასახელო. რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი შემოქმედება და ლიტერატურული სტრატეგიები არ არის ამ დღეში, დათო ჩიხლაძესაც იგივე ეხება. მახსენდება, ერთი მეტად უსუსური მოკალმე, რომელიც ცნობილია ამა თუ იმ აქტუალურ თემებზე პარაზიტირებით (ამჟამად, პოსტმოდერნზე "შექმნილი" მართლაც კომიკური სტატიებით), როგორი გულგასიებული ცდილობდა, ხელი შეეშალა დავით

ჩიხლაძის ერთი წერილის გამოქვეყნებისთვის, რომელშიც "პოლილოგზე" და ანდერგრაუნდზე იყო საუბარი. რაზეც მეც,დათოც,კარლო კაჭარავაც, ბადრი გუგუშვილიც თავიდანვე ვწუხდით, უკვე შეუქცევადი პროცესია. ყველაფერი დეკორატიულ და აქსესუარულ ხელოვნებად გადაიქცა, ყველაფერი კასტრირებული და მონათმფლობელობისთვის უვნებელია. თუმცა, შეიმჩნევიან ახალგაზრდები, რომლებიც, მათი ძალისხმევის ზუსტად წარმართვის და ლიტერატურის პოლიტიკაში გარკვეულობის მერე, დარწმუნებული ვარ,უგანებენ იმ გარემოს,რომელიც ცდილობს ისინი სულ სხვა, პროფანიზმის და სუროგატების (ტექსტების დონეზეც და ადამიანების დონეზეც) რეალობის სიძლიერეში დაარწმუნოს და ფსიქოლოგიურად დათრგუნოს ისინი. ზოგჯერ იხიბლები კიდეც ადამიანი იმ უცნაური მსგავსებებით, რომლებიც ჩვენს სამწერლო ცხოვრებასა და სოციალურ რეჟიმს შორის არსებობს. ზოგჯერ ვფიქრობ, სწორედ ხელოვნებაში, მწერლობაში გამარჯვებული ხეპრეობების და ვითომ-ნაივური და ვითომ-უმანკო, მწერლობისთვის-ვითომ-შეწირული ადამიანების თარეშის მერე ხდება შესაძლებელი, რომ მთავრობამ თავის თავს უფლება მისცეს და დამცირებულ და შეურაცხყოფილ ხალხს ნათელი მომავლის იმედით გამოუცხადოს ასი ახალი საავადმყოფოს მშენებლობის გეგმა მაშინ,როცა, სინამდვილეში, საქმე ეხება მხოლოდ საქართველოში უკვე არსებულ საავადმყოფოებს შორის ამა ქვეყნის ძლიერთა მიერ მარტივი კონსტრუქციის მქონე და სწრაფად მშენებარე კუბიკებში გასაცვლელად შერჩეულ ისეთ საავადმყოფოებს, რომელთა კედლების სისქე და საძირკვლის სიმტკიცეც კი (ტერიტორიას რომ თავი დავანებოთ) ას ახალ კუბიკზე ასჯერ ძვირი ღირს.

- ალბათ, აჯობებს პოლიტიკას შევეშვათ და ისევ მწერლობას დავუბრუნდეთ.

- პოლიტიკა რა შუაშია, პოლიტიკამდე ძალიან შორია. ეს მხოლოდ საშუალო ნიჭის ზეიმის შედეგად დასაღუპად განწირული ხალხის ფსიქოლოგიაა და მწერლობა ამას თავისი უნიათობით ტაშს უკრავს. მე მესმის, რომ ამ პროცესების ანალიზი რთულია და მარტივ შემადგენლებად ასე იოლად ვერ დაიშლება, მაგრამ მე ვცდილობ მიგანიშნოთ, რომ არც ერთი ჩემი აქცია არ ყოფილა და არ არის პირადი წყენით გამოწვეული და ყოველთვის ფართო კონტექსტს უკავშირდება.

- ისე, თუ არ ვცდები, თქვენი შემოქმედება (ყოველ შემთხვევაში, რაც მე წამიკითხავს) ანგაჟირებული მწერლის შემოქმედებად ნამდვილად არ შეიძლება შეფასდეს. თქვენს ერთ ლექსსაც კი ვერ ვიხსენებ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ეხმიანებოდეს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

- ჰო, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქე ხომ ვარ! თანაც, ახლა ლექსს კი არ ვწერ, თქვენთან ვსაუბრობ. სხვათაშორის, ამ ახალი წიგნის თემა სოციალურის ფილოსოფიაც არის, მეტ-ნაკლებად პოეტურად წარმოდგენილი.

- მაგრამ დაინტერესებული მკითხველი ამას ვერ წაიკითხავს. ლიტერატორები კი, დამეთანხმეთ, მართალი იქნებიან, თუ იტყვიან, რომ სანთელი მაგიდაზე უნდა დაიდგას და არა მაგიდის ქვეშ.

- მთლად ასეც არ არის საქმე, ამ წიგნის შემთხვევაში მაინც. ბოლოსდაბოლოს, ჩემს თანაავტორს ხომ შეუძლია ეს წიგნი ხელახლა იმ ფორმატით გამოსცეს, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. რაც შეეხება მაგიდაზე დადგმული სანთლის მეტაფორას, იგი მიზანს იქნება აცდენილი სწორედ ლიტერატორთა მხრიდან, თუნდაც იმიტომ, რომ რაც მაგიდაზე დავდგი, ჩემი დიდოსტატი კოლეგების მიერ იმ ყველაფრის ჯერ მაღალი პრაგმატიზმით გათვალისწინებას, მერე სასწრაფოდ ჩაქრობას და გადაგდებას უკვე მიჩვეული ვარ. თითქოს საერთოდ არ ვარსებობდე ან იძულების წესით ვარსებობდე, მე კი ამაზე თვალი უნდა დავხუჭო და მაგიდაზე დადგმული სანთლებით ამ რაინდთა მომარაგება განვაგრძო, არა? დღემდე რვა პოეტური კრებული მაქვს გამოცემული, და მიუხედავად იმ როლისა, რომელიც ამ პოეზიამ ქართულ კონტექსტში შეასრულა, მასზე ერთ რეცენზიას ვერ მონახავთ, თუ თვით დათო ჩიხლაძის და თინანო თევზაძის ჩემთვის ასე ძვირფას წერილებს და ყურადღებას არ ვიგულისხმებ. რა, სულ არაფერი მომხდარა ქართულ მწერლობაში ჩემი არსებობით? მაინც რამდენი იწერება საქართველოში ერთ ასწლეულში ისეთი წიგნი, როგორიც "შეჯამების უარყოფა" ან "ტბის სანაპიროს სიმღერებია"? ქართული მწერლობის პროფანიზებაზე მზრუნველ რედაქტორებსა და მოკალმეებს ნუ ექნებათ იმის იმედი, რომ ამ ყველაფრის გაქრობას და ნიველირებას შეძლებენ განმმეორებლებისა და ეპიგონების აქტივობის წახალისებით. "კოლეგიალობის" მაგალითი კი იმდენი მაქვს, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არ არის საჭირო.

- თუ შეიძლება, რამდენიმე მაინც დაასახელეთ, უსაგნო მტკიცებაში ან ცილისწამებაში რომ არ ჩამოგერთვათ.

- არ დაგზარდებით. იმიტომ კი არა, რომ ანგარიში გავუსწორო ვინმეს, არამედ - ქართული კონტექსტის "გამართული" მუშაობის ხაზგასასმელად. რამდენიმე წლის წინ ჩემი და ჩემი ავსტრიელი კოლეგების მიერ გერმანულენოვან სალიტერატურო სამყაროში კარგად ცნობილი ერთი ჟურნალის სპეციალური ნომერი მთლიანად თანამედროვე ქართულ ლიტერატურას დაეთმო (მაშინ მიუნხენში ვცხოვრობდი). ეს იყო მართლაც უპრეცედენტო ფაქტი. იმის საშუალებაც კი მომცეს ავსტრიელებმა, რომ მე

თვითონ, ჩემი გადაწყვეტილებით, შემერჩია ორი ადამიანი (ერთი პოეტი და ერთი მთარგმნელი), რომლებსაც ავსტრიელები ჩემი რეკომენდაციით ავსტრიაში ჟურნალის პრეზენტაციაზე მიიწვევდნენ. და მიუხედავად იმისა, რომ პრეზენტაციის მთავარი ავტორობა (და არა მხოლოდ ორგანიზატორობა) უნდა მრგებოდა, ეს როლი მაშინვე თავიდან ავირიდე. აქვე დავაზუსტებ, რომ მოწვევა დაუფიქრებლად შევთავაზე დავით ჩიხლაძეს. მხოლოდ მას მერე, როცა გაირკვა, რომ ის ამერიკიდან ავსტრიაში ჩამოსვლას ვერ მოახერხებდა, დავიწყე სხვა ავტორის შერჩევაზე ფიქრი. მაგრამ აქ ეს არ არის მთავარი. არც ის, რომ ამ სიტუაციით ისარგებლა ზეპირმა ქართულმა გარემომ და სულელური მითოლოგიები შექმნა. საინტერესო იყო სხვა რამ: ლამის მთელმა თბილისმა (მაშინ გამომავალი ყველა ლიტერატურული გამოცემის რედაქციამ, რადიომ და ა. შ) ავსტრიაში ჟურნალის პრეზენტაციის მარტო ზუსტი ადგილი კი არა, ზუსტი დროც კი იცოდა, მაგრამ არავის მოსვლია აზრად ჩემი ინტერვიუირება, ინფორმაციის მისაღებად ამ საქმის შესასრულებლად სავსებით არაკომპეტენტურ წყაროებს მიმართეს და ვერც მიიღეს სასურველი შედეგი; ერთი გაზეთი ან ჟურნალი არ აღმოჩნდა თბილისში, რომელიც შემომთავაზებდა, რომ მისთვის ლიტერატურული რეპორტაჟი ან მიმოხილვა მომემზადებინა ავსტრიის ამ ლიტერატურული დღეების შესახებ, სადაც საუკეთესო გერმანულენოვანი მწერლების ვარსკვლავცვენა იყო. ერთადერთი გამონაკლისი რადიო "თავისუფლების" კორესპოდენტი დავით კაკაბაძე აღმოჩნდა. კაცმა, რომელსაც არც ვიცნობ და არც როდისმე შევხვედრივარ, პრაღიდან მომაგნო. ქართული კულტურის ასეთი "გამართული" მუშაობის შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ჩვენი მომავალი თაობები სტრიქონსაც კი ვერსად მოიძიებენ ქართულად ამ ავსტრიული პრეზენტაციის შესახებ, ხოლო თუ მაინც მოიძიებენ, ეს იქნება ჰონორარის მისაღებად დაწერილი აგდებული და გულგრილი უწყება მავანისა, რომელმაც პრეზენტაციის შესახებ შესაძლოა მეათე ხელიდან შეიტყო. ეს ყველაფერი მოხდა იმიტომ, რომ არც ჟურნალისთვის მასალების სელექციის, არც საერთო ორგანიზაციის დროს კლანურობის პრინციპს არ დავყრდნობივარ, და ვერც დავეყრდნობოდი, რაკი ასეთ პრინციპს ადამიანური საწყისის ერთ-ერთ ყველაზე დიდ შეურაცხყოფად მივიჩნევ. გამართულად იმუშავა კულტურის ქართულმა რეჟიმმა მაშინაც, როცა 2006 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის გამომცემლობა "სიესტამ" ანთოლოგიის მომზადება გადაწყვიტა, ელფოსტით უპრობლემოდ მომძებნა გერმანიაში მყოფი და გამომიგზავნა თხოვნა, რომ ამ ანთოლოგიისთვის გამომცემლობაში ჩემი სამი ლექსის ინგლისური პწკარედი გამეგზავნა. რაკი ინგლისური პწკარედი არ მქონდა,

გამომცემლობის დირექტორს ელწერილის მიღების დღესვე ვკითხე, თუ შეიძლებოდა, მისთვის გერმანულად მზამზარეული ლიტერატურული თარგმანები გამეგზავნა. მოვიდა პასუხი, რომ შესაძლებელი იყო გერმანული თარგმანების დაბეჭდვა, ოღონდ უნდა გამეგზავნა მისთვის ლექსები რაც შეიძლება მალე. იმავე დღეს გავუგზავნე მასალები. ეს ხდებოდა აგვისტოში. რაღაც ერთ თვეში, თბილისში დაბრუნებულმა, შოთა იათაშვილის ელწერილი მივიღე იგივე ინგლისური პწკარედის თხოვნით, მიზნის დასახელებით და გამომცემლობის დაუსახელებლად. რაკი პროექტის იდენტიფიკაცია მარტივი იყო, მაშინვე მივწერე, რომ უკვე გაგზავნილი მქონდა რედაქციაში მასალა გერმანულად. ამ უწყებიდან სამ დღეში კი ისევ გამომცემლობის დირექტორის წერილი მივიღე, თქვენი მასალა დამეკარგა და ხელახლა გამომიგზავნეთო. მაშინვე გავუგზავნე და რაკი თბილისში ვიყავი, დირექტორის გაცნობაც მალევე მოხერხდა. აი, მთელი ამ მიწერ-მოწერის მერე კი გამომცემლობის დირექტორმა სიხარულით მაცნობა წიგნის გამოსვლა, ასეთივე სიხარულით გადმომცა, მე კი სიხარულით გადავშალე მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წიგნი და იქ ჩემი ლექსები ვერ ვნახე. სამაგიეროდ, ანთოლოგიის რედაქტორის და სელექტორის გვარი იჯდა იქ, იათაშვილი. და ეს უკვე ნამდვილად იყო ის ერთი წვეთი, რომელიც ყოველთვის ავსებს მოთმინების ფიალას. დირექტორმა ქეთევან კიღურაძემ კი, თითქოს სულ რაღაც ერთი კვირის წინ არ მენახოს ან ამ ერთ კვირაში დაწვრილებითი ვერბალური და წერილობითი ინსტრუქციები არ მიმეცეს მისთვის გერმანიაში ცნობილი გამომცემლობების პოლიტიკის საკითხებზე, მოულოდნელი სიახლესავით გამომიცხადა, რომ გამომცემლობამ ანთოლოგიაში მხოლოდ ინგლისური თარგმანების შეტანა გადაწყვიტა.

- მე მესმის თქვენი. გული დაგწყდათ, რომ თქვენი ლექსები ანთოლოგიაში ვერ მოხვდა. მაგრამ ეს ხომ მწერალს არ აძლევს მიზეზს, გამომცემლობას დაემდუროს.

- რა თქმა უნდა, არ აძლევს. მე ვინც მიცნობს, იცის, რომ მხოლოდ მადლიერი შეიძლება ვიყო ასეთი სიტუაციების. ასეთ სიტუაციებს ენციკლოპედიურ სიტუაციებს ვეძახი. მეტიც, ასეთი სიტუაციების გამჭვირვალობა ერთობ მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგან ბევრ დროს და ენერგიას მიზოგავს საკონტექსტო ნიუანსების ამოსაკითხად. ამ აზრით, ეს ფაქტი მართლაც საჩუქარი იყო ჩემთვის. თითქოს, ერთბაშად აეხადა ფარდა მრავალ ჩემს შეკითხვას, მრავალ ვარაუდს, მრავალ ეჭვს. შეიძლება მცდარი დასკვნები გამოვიტანე, მაგრამ ეჭვების და ვარაუდების დრო დამთავრდა. ეს იყო, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გამოცდილება, რომელმაც საბო-

ლოოდ ამიხილა თვალი ქართულ კონტექსტზე. თუმცა, დრო მაინც მოვიტოვე, დაახლოებით ორი თვე ამ ფაქტიდან, ანუ მინდოდა საკითხს თავი საბოლოოდ ამოეწურა, რათა ქართული სამწერლო "კოლეგიალობის" შესახებ ჩემი ვარაუდებიც საბოლოოდ გამართლებულიყო. ასე რომ, შეიძლება მშრალად რამდენიმე ნიუანსის დასახელება. ჯერ ერთი, ამ ტიპის ანთოლოგიები ყოველ წელს რომ არ გამოდის და ფრანკფურტის ბაზრობაზე არ იგზავნება, შემდგენელმა კარგად იცოდა. იცოდა ისიც, რომ ასეთ ანთოლოგიაში მოხვედრილი ავტორი შეიძლება ნებისმიერ დროს შენიშნოს უცხოელმა გამომცემელმა და წიგნის გამოცემა შესთავაზოს. წარმოუდგენელია, შემდგენელს არ ეფიქრა იმაზეც, რომ ასეთი ტიპის ანთოლოგიაში თუ ის თავის თუნდაც ერთ ლექსს შეიტანდა, აუცილებლად უნდა ეზრუნა დავით ჩიხლაძის და დათო ბარბაქაძის ლექსების შეტანაზეც.

- რატომ?

- რატომ? ამაზე პასუხის გასაცემად თავს არ დავიმდაბლებ. ეს ის შეკითხვაა, რომელზე პასუხი უკვე გასცა იმ ფაქტმა, რომ იქ მკითხველი ნახავს იათაშვილის ლექსებს, მაგრამ ვერ ნახავს დათო ჩიხლაძის და ჩემს ლექსებს. ისე, როგორც ვიცი, დათოსთვის საერთოდ არ შეუთავაზებიათ ამ ანთოლოგიაში მონაწილეობა, რაც გვიან გავიგე. ამასთან დაკავშირებით სხვა პასუხი არ მაქვს. განვაგრძობ: მან ამაზე არ იზრუნა(აი, იმაზე კი იზრუნა, რომ უფრო ადრე აზერბაიჯანულ ენაზე გამოსულ ანთოლოგიაში შევეყვანე, რისთვისაც მისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის). მაგრამ არც ეს არის არსებითი. ეს მის სინდისზე იყოს, რადგან როცა მე ავსტრიაში მისი ლექსები დავბეჭდე, მისთვის გერმანული პწკარედები არ მითხოვია, პწკარედიც მისგან დამოუკიდებლად მომზადდა და ჰონორარიც გადაეხადა, ისე, როგორც მასთან ერთად მაშინდელ გამოცემაში დაბეჭდილ ყველა ქართველ ავტორს. როგორმე ვიმსახურებდი იმას, რომ ჩემი თუნდაც ერთი ლექსის პწკარედის მომზადებაზე ეზრუნა იმ მაგალითის მერე, რომელიც მე მას ვუჩვენე. კარგი, ამაზეც უკან ვიხევ, შეიძლება მართლაც არ ჰქონდა ამის საშუალება და არც თავი გამოიდო ამ მიმართულებით. მაგრამ მთავარი სიყალბე ის არის, რომ შოთა იათაშვილმა არ დაასახელა ამ ანთოლოგიაში მოსახვედრად აუცილებელი მთავარი პრინციპი: ანთოლოგიის სავარაუდო ავტორთა ხელთ მათი ტექსტების ინგლისური პწკარედების არსებობა-არარსებობა. ეს იყო ერთადერთი მკაფიო პრინციპი, რომელმაც განსაზღვრა სხვამხრივ ყოვლად უკონცეპციო და ქაოსურ ამ ანთოლოგიაში ტექსტების მოხვედრა-ვერმოხვედრა. როცა ადამიანს სქელი შუბლი აქვს, პასუხს ყველაფერზე მოძებნის და ადვოკატებიც გამოუჩნდებიან. მაგრამ თუ ამ ანთოლოგიის უვარგისი საწყისების

დაცვას მოინდომებს ვინმე და ამ ვინმეს სუფთა სინდისზეც ექნება პრეტენზია, კეთილი უნდა ინებოს და პირველ რიგში პასუხი უნდა გასცეს კითხვას: რატომ პატიოსნად არ დასახელდა საანთოლოგიო მასალების სელექციისთვის ეს აუცილებელი (მაგრამ არასაკმარისი, გასაგებია!) პრინციპი ანთოლოგიის შემდგენლის მიერ პირველივე გვერდზე? რა, ძნელი იქნებოდა ამის გაკეთება? ის, ვინც მას, მისივე თხოვნით, ლექსები უთარგმნა ინგლისურად, ანოტაციისთვის რამდენიმე მარტივ წინადადებას რატომ ვერ უთარგმნიდა ინგლისურად? საქმეც ის არის, რომ შემდგენელმა კარგად იცოდა, რა სამარცხვინოა (და სალიტერატურო კულტურის მინიმალურ მოთხოვნებსაც რომ ვერ პასუხობს) ასეთი "პრინციპის" – პწკარედის არსებობა-არარსებობის - გახმოვანება. უბრალოდ, ისევ და ისევ, განუკითხაობით სარგებლობის და რეალური სურათის წაშლის პოლიტიკა ამუშავდა: დრო გავა, სელექციის ასეთი "პრინციპი" მიიჩქმალება, სამაგიეროდ კი სასურველი შედეგი სასურველ სურათს დააკანონებსო. ის, რომ ამ ტიპის ანუ მკვდარ ანთოლოგიებს და სხვა მსგავს გამოცემებს კრიტიკოსები არ გამოუჩნდება, გასაგებია. დღეს ხომ ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობს და აქაც კატებს აყეფებენ. მე საკითხის სხვა მხარე უფრო მაინტერესებს: ნუთუ, ამ ანთოლოგიაში შესული ავტორებიდან ერთს არ გაუჩნდა შეკითხვა, გაკვირვების ან პროტესტის გრძნობა და თუნდაც პირადად ჩემთვის ან დათო ჩიხლაძისთვის ამის გაზიარების მოთხოვნილება? რა, ასე კომფორტულად გრძნობენ უჩვენოდ თავს ამ უკონცეპციო ანთოლოგიაში, რომლის ერთი შენიღბული მიზანი პირველადის, კიტჩის და დაბალის ერთმანეთში გათქვეფა იყო? ვის ან რაში უნდა აჯობონ და გაუსწრონ ასე? "მე რა შუაში ვარ" და "მე რა შემიძლია", არა? დაე, ასე იყოს, მაგრამ მაშინ ზედმეტი ამბიციებიც ნუ ექნებათ და იმაზე მეტადაც ნუ წარმოაჩენენ თავიანთ თავს, ვიდრე არიან. ეს მართლაც გულდასაწყვეტი იყო ჩემთვის. შეიძლება, საბოლოოდ გამიტყდა გული.

- აჭარბებთ. მგონი, უფრო კმაყოფილი ბრძანდებით, რომ საბოლოოდ მოეფინა ნათელი სიტუაციას და ყველაფერი გამჭვირვალე გახდა. განა, თქვენ ისურვებდით ასეთ ყვითელ ანთოლოგიაში მოხვედრას?

- ამიტომაც იყო ეს ყველაფერი გულდასაწყვეტი. მე არ მისაუბრია მეორე მხარეზე: თუ რამდენად კმაყოფილი ვიქნებოდით მე ან დათო ჩიხლაძე, ჩვენი ლექსები ამ ანთოლოგიაში რომ მოხვედრილიყო და პოსტ ფაქტუმ სწორედ ასეთ ქაოსურ ნაკრებში აღმოვჩენილიყავით. ჩემის მხრივ, წინ ვერაფერი დამიდგებოდა, ჩემი აღშფოთება დამეფიქსირებინა პირველ რიგში სელექტორის მიერ სწორედ სასელექციო კონცეპციის გადამალვის გამო. მე მესმის, რომ შეიძლება უფულობამ და კულტურული არხების

სრულმა მოშლილობამ, რაც საქართველოში არასდროს არავის უკვირს, რედაქტორი აიძულოს, მისთვის ნაკლებად სასურველი ნაბიჯი გადადგას ან გარკვეული დათმობებით შემოიზღუდოს, მაგრამ ეს მკაფიოდ უნდა ფიქსირდებოდეს და არა ეშმაკურად ინიღბებოდეს.

- სამწუხაროა, რომ თქვენთან ახალ წიგნზე სასაუბროდ მოვედი, ამ წიგნზე კი სულ ვერ ვისაუბრეთ. მაინც მინდა, ერთი ასეთი შეკითხვა დაგისვათ: თქვენს თანაავტორს რატომ არ გაუმხილეთ თქვენი საგამომცემლო კონცეპცია?

- მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი გადაწყვეტილება – დავმშვიდობებოდი თანამედროვე ქართული მწერლობის ადგილობრივ საპრეზენტაციო სივრცეს – მაქსიმალურად გამჭვირვალე ყოფილიყო და არ გაჩენილიყო მითოლოგია, რომ ეს ნამუშევარი, რომელიც იმავდროულად ვიზუალურ პოეზიაში შესრულებული ტექსტიც არის და ირიბად ეძღვნება თვით დათო ჩიხლაძეს, მიძღვნის ავტორთან შეთანხმებულად განვახორციელე. რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ცხელ გულზე არ ხდება და რამენაირ ეპატაჟთან ხომ საერთოდ არა აქვს კავშირი. ეს ჩემი პოლიტიკაა, დათო ჩიხლაძეს ქართულ კონტექსტთან ურთიერთობის თავისი ხედვა და მექანიზმები აქვს. უბრალოდ, ჩემი მორიგი აქცია იმ ადამიანთან ერთად დაწერილი წიგნის საპრეზენტაციო ტერიტორიაზე გავათამაშე, რომლის არსებობასაც მე პატივს ვცემ.

- ერთი პროვოკაციული შეკითხვაც: როგორ ფიქრობთ, ვის გაახარებს თქვენი, როგორც მწერლის გაქრობა ქართული კონტექსტიდან? ხომ არ იქნება ეს თქვენი მოშურნეებისთვის მშვენიერი საბაბი საიმისოდ, რომ საერთოდ ამოგშალონ კონტექსტიდან ან მთარგმნელამდე "ჩამოგალაბორანტონ"?

- გაქრობა? პირიქით, გაქრობა კი არა, არსებობის გაძლიერება ისე, როგორც ეს მე მესმის! რაც გამოვეცი, ჯერ ის აითვისოს თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და მერე ეძებოს ასათვისებელი. იგივე ეხება დათო ჩიხლაძეს. დიდია სურვილი, მას ისე მოექცნენ, როგორც ვინმე რიგით ლიტერატორს. მეცინება ხოლმე იმ იაფფასიან "კრიტიკოსებზე", რომლებიც რატომღაც მაინცდამაინც იმ პრობლემების თემატიზებას ცდილობენ თავიანთი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობებით, რომელთა თემატიზების ფენომენალური პრეცედენტები შექმნა დათო ჩიხლაძემ ათწლეულების მანძილზე. და ახლა კონიუნქტურის ჯენტლმენები თავიანთი მიამიტური სტატიებით და პროფანებისთვის გათვლილ ცნობარებზე დაყრდნობით ისე არკვევენ პოსტმოდერნის მახასიათებლებს და მარჩიელობენ ქართული პოსტმოდერნის სათავეებზე (უფრო კი ცდილობენ, თავიანთი

ჩავლილობა გადაფარონ), თითქოს ჩიხლაძე ბუნებაშიც კი არ არსებობ-დეს. ისე, რა ამის პასუხია და საინტერესოა, რომელი ასეთი უკვე ჩავლილი ჯენტლმენის ანგარიშზე არსებობს ერთი მაინც ისეთი გამოწვლილვითი წერილი თანამედროვე ქართველ ავტორებზე, როგორიც, მაგალითად, ბე-ლა წიფურიამ გამოაქვეყნა გივი მარგველაშვილზე, ოთარ ჩხეიძეზე ან გურამ დოჩანაშვილზე ყოველგვარი ხმაურის გარეშე?! ან როგორიც ზაზა შათირიშვილის მიერ პოსტსქტურალისტური მეთოდებით და ინსტრუმენ-ტარით გალაკტიონზე დაწერილი წიგნია?! ან როგორიც ნოდარ ლადარიას მიერ თანამედროვე საზოგადოებრივი სიტუაციების გონებამახვილური დეკონსტრუქციებია?! მოსალოდნელი სიხარულებისა კი რა გითხრათ, ასეთი სიხარულები, ალბათ, უფრო ბრალდებებით იქნება შენიღბული. დაველოდოთ მოსალოდნელ ბრალდებებს და ჩემი "ჩამოლაბორანტების-თვის" მოფიქრებულ მორიგ ხრიკებს. ჩიხლაძის ცინცხალი შემთხვევა გა-მახსენდა, როცა კონტექსტში მისი ადგილის ძალიან კარგი მცოდნეები ისე მოექცნენ, თითქოს მისი გვარ-სახელი არაფერს ეუბნებოდათ და ეს მაინცდამაინც პირადად მისთვის უნდა დაენახვებინათ. ეს ნაცნობი ფან-დია, მეც ხშირად გამომიცდია. თუნდაც, როცა ისე წერენ შენზე, თითქოს ვიღაც უნიჭო და ხელმოცარულ ადამიანს ეხებოდეს საქმე ან საშუალო ლიტერატორს, შენი დისკრედიტაციის პირდაპირი გეგმით. ისე კი, ჩემი აზრით, მათი მხრიდან გაღიზიანება უფრო მეტი იქნება ამის მერე. ეს რა-ღაც ისეთი აქციაა, რომელიც გაწვალებს, დისკომფორტს გიძლიერებს, მაგრამ ვერაფერს უხერხებ, პერმანენტულად გახსენებს საკუთარ უსუ-სურობას იმის წინაშე, რასაც ველარ ითვალისწინებ, რასაც ველარ რთავ შენს მომხმარებლურ გეგმებში, რადგან წიგნი ამ დროს არსებობს და იმავ-დროულად არც არსებობს, დახურულია, ის უკვე კონტექსტში კი არა, კონტექსტის პარალელურად არსებობს. ერთგულ და მომხმარებლური ინსტინქტებისგან თავისუფალ მკითხველს კი ეს აქცია ბიძგს მისცემს მოქმედებისთვის, კიდევ უფრო ფხიზელს გახდის მის გონებას. ყოველთ-ვის მქონდა პროტესტის გრძნობა ლიტერატურის, პოეტის, მწერლის მომხმარებელთა და გამომყენებელთა მიმართ. მეორეს მხრივ, საზოგად-ოებაში, სადაც მწერლობა უკვე ან მთლიანად გარემოს ემსგავსება ან ამ გარემოს დეკორატორის ფუნქციას ასრულებს, მკითხველი ყოველთვის დამცირებული და შეურაცხყოფილია. მაგრამ მკითხველსაც აქვს თავისი შინაგანი სამოქმედო რესურსები. მე იმედი მაქვს, რომ მცირე წვლილს მაინც შევიტან მკითხველთა ამ რესურსების ამოქმედებაში. სხვა მეტაფო-რების გახმოვანებისგან თავს შევიკავებ. ერთს კი ვიტყვი: მე ლანგრით მორთმეული აღიარების არ მჯერა. ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების

სიძლიერის უტყუარი დასტური მხოლოდ ის არის, როცა მას შეუძლია შეურაცხმყოფელი ბრალდებების, იგნორირებების, შურის, ბოღმის, უნიჭოთა აგრესიის, კონფორმისტთა და კონიუნქტურის რაინდთა ხრიკების, ჩამოსალაბორანტებელი ფაციფუცების და ათობით სხვა ბარიერის წარმატებით გადალახვა და უკან მოტოვება. მხოლოდ ასე იწრთობა პოეზია, რომელიც არ კვდება. მე კი მხოლოდ ამის მომხრე ვარ: ან ყველაფერი ან არაფერი.

იანვარი, 2007

"მაპატიეთ, მაგრამ მე ამ კაცზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი"

ესაუბრა სოფო კომლაძე

- დათო, თქვენ პირველად ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გაახმოვანეთ თქვენი მრავალტომეული საგამომცემლო პროექტი "მე-20 საუკუნის ავსტრიული პოეზია", ამიტომ ბუნებრივია, შევწუხდით, როცა გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" კრიტიკოს ლევან ბრეგაძის წერილი წავიკითხეთ, რომელმაც მრავალტომეულის მე-2 ტომში წარმოდგენილი თქვენი თარგმანები გააკრიტიკა.

- მე ვერ ვიტყოდი, რომ გააკრიტიკა, ისევე, როგორც ვერ ვიტყოდი, რომ ის კრიტიკოსია. მან დაძებნა ლაფსუსები, რომლებიც ნებისმიერ გამოცემაში შეიძლება გაიპაროს. ასეთი ლაფსუსები შეიძლება მოიძებნოს თუნდაც უმდიდრესი გამოცდილების მქონე მთარგმნელებთან. მით უმეტეს, რომ დღემდე ჩემს არც ერთ წიგნს რედაქტორი არ ჰყოლია. რედაქტორის ფუნქცია კი, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ისიც არის, რომ წიგნში ასეთი ლაფსუსები გამოირიცხოს. ჩემი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჩემი წიგნების ერთადერთი რედაქტორიც მე ვარ, კორექტორიც, გერმანული ტექსტების ამკრეფიც, დამკაბადონებელიც და დიზაინერიც. ჩემი ასეთი მოქმედება, რომელიც უკვე ათწლეულებს ითვლის, სავსებით სისტემურ ლიტერატურულ პოლიტიკას უკავშირდება და ბრეგაძეებისთვის მათ გახსნას არ ვაპირებ, ისე, როგორც იმაზე საუბარს, თუ რა დანიშნულება აქვს ჩემთვის ჩემივე შეცდომებს. ისინი ამ ყველაფრის გასაგებად მზად არ არიან. ბრეგაძის ნამდვილი საფიქრალი ჩემი თარგმანების ხარისხი არ ყოფილა. მისი წერილის საჩვენებელი მხარე ერთია, ფარული მიზანი კი – სულ სხვა. მართლაც განსაკუთრებული პიროვნული უნარები სჭირდებოდა ბრეგაძეს, რომ ამ ლაფსუსების ირგვლივ განვითარებული "მსჯელობებით" და "კომენტარებით" მისთვის სასურველი რეალობა დაეხატა იმ გაზეთის მკითხველისთვის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მზის ჩასვენებისთანავე ბორტს მიღმა აღმოჩნდა. და აქ საქმეში ჩაუხედავი ადამიანი ძნელად თუ მიხვდება, საბჭოთა "კრიტიკული", უკეთ საცენზურო ტრადიციის როგორ ერთგულებას ამჟღავნებს ამ ბინძური წერილის ავტორი (იგი ბინძური არ იქნებოდა, მხოლოდ ჩემი თარგმანების სიზუსტე-უზუსტობა რომ ჰქონდეს თემად). ბრეგაძეს, უბრალოდ, ერთი მხრივ მისმა გონებრივმა შეზღუდულობამ, მეორე მხრივ ბოღმის უკიდურესად მაღალმა ხარისხმა, მესამე მხრივ კი პოეზიათმცოდნეობის

ფრონტზე ყველასთვის ცნობილმა მისმა წარსულმა არ მისცა შესაძლებლობა, რომ თავისი რეალური გამოცდილება და ფარული სურვილები უკეთ შეენიღბა. ამ მთარგმნელობითი ლაფსუსებიდან მოისურვა მან იმ ყველაფრის გამოყვანა და ჩემთვის დაბრალება, რაც ჩემს დისკრედიტაციაში წვლილს შეიტანდა. მისი წერილის უკიდურესად აგრესიული ტონი და შინაარსი, რომელიც ყოვლად უადგილოა უახლეს ქართულ მწერლობაში ჩემი ლიტერატურული საქმიანობის რეალური მნიშვნელობის ფონზე და რომელსაც მართლა არ იმსახურებს არც ჩემი შემოქმედება და არც ჩემი საგამომცემლო და საორგანიზაციო აქტივობა, იმდენ ქვენა მიზანს და ჩანაფიქრს მალავს, რომ ბრეგაძის პიროვნულ დონემდე დასვლა იქნებოდა საჭირო ამ ყველაფერზე სასაუბროდ. თვით ბრეგაძეც დიდი ხანია ხვდება, რომ მე მას თავს არ ვუყადრებ, და ამის გამო მისი შინაგანი დაძაბულობა წლითი-წლობით მატულობს. ამ ნევროზით არის გაჟღენთილი მისი ეს წერილიც და ამ წერილის გამოქვეყნების პოლიტიკაც.

- გამოქვეყნების პოლიტიკაში რას გულისხმობთ?

- დაუკვირდით: წივწივაძე ხომ სწორედ ის მოკალმეა, რომელმაც ერთ დროს "ლიტერატურული საქართველოს" გვერდებზე საქვეყნოდ ამხილა ბრეგაძის ლიტერატურული გემოვნების სრული უბადრუკობა (თუმცა, დავაზუსტებ, თვით მხილების მისმიერი ფორმა ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო, როგორც საერთოდ წივწივაძიზმი). რამდენიმე წლის წინ კი (ანუ წივწივაძის მიერ ბრეგაძის საქვეყნოდ გამასხრებიდან თითქმის ერთი ათწლეულის მერე) შურისმაძიებელი ბრეგაძე, რომელმაც წივწივაძიზმის წინააღმდეგ დაწერილი ერთი ჩემი სტატიით ისარგებლა, კვლავ წივწივაძის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. გადის ამ ფაქტიდან რამდენიმე წელი და აი, ახლა, ჩემი დისკრედიტაციის პათოსით შეზელილ წერილს ბრეგაძე სწორედ იმ წივწივაძესთან მიარბენინებს დასაბეჭდად, რომელმაც ის ერთ დროს ასე უმოწყალოდ აიგდო მასხრად. მიარბენინებს, რადგან იცის, მისი "ისტორიული" მტერი წივწივაძე მას ამ წერილს აუცილებლად გამოუქვეყნებს. ყოფაქცევის რა სიმსუბუქეა, არა? მაგრამ წივწივაძის გულის მოსაგებად უფრო მეტი ქლესაობაა საჭირო და გამოცდილი "კრიტიკოსი" ამ ამოცანასაც "წარმატებით" ართმევს თავს: წერილში რამდენჯერმე საგანგებოდ აზუსტებს, რომ მე "ტრფობა წამებულთას" ავტორი ვარ (თუ გახსოვთ, თავის დროზე წივწივაძემაც იმ იმედით გამოაქვეყნა "ლიტერატურულ საქართველოში" ფრაგმენტები ჩემი "ტრფობა წამებულთა"-დან, რომ საზოგადოებას მომიქსევდა, მაგრამ ასე არ მოხდა); რომ "ტრფობა წამებულთა" პორნოგრაფიული ტექსტია; რომ ამ ტექსტის ავტორმა ქართული აგიოგრაფიული მწერლობა მასხრად აიგ-

დო; რომ "ტრფობა წამებულთას" ავტორი განათლების სამინისტროს მაღალანაზღაურებადი მოხელეა (მიკვირს, ჩემი ხელფასის რაოდენობა რატომ არ გამოიძია და არ მიუთითა! ან რას თვლის ბრეგაძე მაღალ ანაზღაურებად? ბატონი ხუტას ხელისბიჭობისდროინდელი ბრეგაძის გამოცდილება და, ალბათ, ბევრი სხვა გამოცდილებაც, შეუძლებელს ხდის მისთვის ჩემზე, როგორც მისგან განსხვავებული ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილების მქონე ადამიანზე გულახდილ ფიქრებს!). თუმცა, ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა: ბრეგაძე ასეთ თამაშებში იმდენად გამოცდილი კაცია, რომ არა მგონია გულის სიღრმეში სჯეროდეს, წივწივაძეს ჩემს თანამოსანგრეობაში დავაჯერებ და ამით ერთდროულად ორ კურდღელს დავიჭერო (ანუ წივწივაძესაც წაველაქუცები და ბარბაქაძესაც ვავნებო). არც წივწივაძეა ასეთი უმანკო ფიქრების კაცი. უბრალოდ, აქ მათმა ინტერესებმა ერთმანეთი გადაკვეთა და ისინი გაერთიანდნენ, მათ უთქმელად გაუგეს ერთმანეთს. მათი ადრეული დაპირისპირებაც თითქოს განეიტრალდა, თითქოს გაქრა ორი მოსისხლე მტრის სამარცხვინო წარსული, მათ ფანტაზიებში მარიფათიანად "გადაიჭრა" წარსულთან ურთიერთობა! ისე, მკითხველის მეხსიერების მიმართ პატივისცემაც ასეთი უნდა!

- თქვენ ფიქრობთ, რომ ბატონი ლევან ბრეგაძე თავის წარსულთან დაკავშირებულ ურთიერთობებსაც აგვარებდა, როცა თქვენი თარგმანების შესახებ წერილი "ლიტერატურულ საქართველოში" გამოაქვეყნა?

- შეგახსენებთ, რომ ჩემს წინააღმდეგ დაწერილ წერილში ბრეგაძე ერთგან სწორედ იმაზე სწუხს, თარგმანის ისტორიკოსები შეცდომაში არ შეიყვანოს და მათ არ იფიქრონ, თითქოს ბრეგაძეს ბრალი ედოს ჩემი თარგმანების საშინელებაში, რაკი ბრეგაძე ოდესღაც მადლობით მოვიხსენიე იმის გამო, რომ ერთხელ მან ჩემს სტუდენტობისდროინდელ თარგმანებში უზუსტობები დაძებნა და მათზე მიმითითა. კაცისთვის, რომელსაც თავი იმით მოაქვს, რომ ოდესღაც ხუტა ბერულავას რედაქტორობით გამოცემულ ბავშვთა ფონდის გაზეთში დაბეჭდილი რამდენიმე გერმანული ეპიგრამის მთარგმნელია, ისიც კი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, თარგმანის ისტორიაში მასზე რას იტყვიან, და მნიშვნელობას მოკლებული როგორ იქნებოდა ის ფაქტი, რომ წივწივაძის მიერ გამოაშკარავებულ მის ლიტერატურულ და პიროვნულ "ღირსებებზე" ერთ დროს ლამის ბავშვებიც კი საქმის კურსში იყვნენ?! რა, სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის აზრი რით ვერ არის მნიშვნელოვანი? როგორ არ გაახსენდებოდა ეს წარსული, როცა ჩემს სადისკრედიტაციოდ მომზადებულ წერილს სწორედ წივწივა-

ძესთან მიარბენინებდა?! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ასე უღირსებო ხალხი იქცევა და ასეთ ხალხს პასუხი არ უნდა გავცე, მხოლოდ გავერიდო. სწორედ ისე, როგორც რკინიგზის სადგურზე თავს აარიდებენ ხოლმე ვინმე შარზე მყოფ უსაქმურს, რომელიც ცდილობს, მიზანში ამოღებული გამვლელი კონფლიქტში ჩაითრიოს. ბრეგაძე დღემდე ვერ ხვდება, თუ რატომ ვერ ვიკადრებ, მას თავი გავუყადრო. ვერ ხვდება იმიტომ, რომ მას აკლია კეთილშობილება. ამის გამო ვერ მიხვდა იმასაც, თუ რა ტონით არ უნდა მელაპარაკოს. მან ჩემთან სალაპარაკოდ უკვე დიდი ხნის წინ შეარჩია ის ტონი, რომელსაც მე არ ვიმსახურებდი. ასეთ შეცდომებს კულტურის და განათლების ნაკლებობიდან მომდინარე შეცდომებს უწოდებენ, და ისინი თავს ვერასდროს მალავენ. ადამიანური სიბრიყვე, ყველაფერთან ერთად, იმაშიც მჟღავნდება, რომ ბრიყვმა არ იცის, ვის რა ტონით ელაპარაკოს. ეს კაცი რაღაცით ყოველთვის ნიკანდრო ქირიას მაგონებდა. როცა მისი ეს წერილი წავიკითხე, რომელიც ვითომ ჩემს თარგმანებს ეხება, სინამდვილეში კი ასე ვირეშმაკულად არის მასში შეფუთული სულ სხვა მავნებლობა და მზაკვრობა, მივხვდი ამ მსგავსების რეალურ შინაარსს...

- ლევან ბრეგაძის სტატიაში, რომელიც თქვენს თარგმანებს ეხება, თქვენს საკუთარ შემოქმედებაზეც ხდება თავდასხმა, თქვენი პოეზია დახასიათებულია, როგორც უაზრო. ასევე, რატომღაც, ხელახლა ხდება თქვენი "ტრფობა წამებულთას" აქტუალიზება. არა მგონია, მხოლოდ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორის გულის მოსაგებად ხდებოდეს საზოგადოებისთვის იმის შეხსენება, რომ თქვენ "ტრფობა წამებულთას" ავტორი ბრძანდებით.

- არც მე მგონია. ლოგიკურია, რომ სწორედ წივწივაძის გაზეთში (უკვე მერამდენედ!) და სწორედ ბრეგაძის მიერ (პირველად და, მჯერა, არა უკანასკნელად!) ხდება იმის აღმოჩენა, რომ ჩემი ლექსები არის უაზრო. აი, მისი სიტყვები ჩემი მისამართით: "მისი ორიგინალური უაზრო ლექსები". ერთ ადგილას კი ნათქვამია, რომ მე სისულელეს მაღალ პოეზიად ვასაღებ ჩემს ლექსებში, და აქ "ლექსები" ბრჭყალებშიც კი აქვს ჩასმული. ანუ, ლექსიც კი არ ჰქვია თურმე იმას, რასაც მე ვწერ. ასევე ბრჭყალებში ჩასმული აღვმოვჩნდი, როგორც შემოქმედი. აი, კიდევ ერთი ადგილი მისი წერილიდან: "საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამგვარი უაზრობები ჰგონია დათო ბარბაქაძეს პოეზია! მის საკუთარ ლექსებს ჩახედეთ და დარწმუნდებით, ოდნავადაც რომ არ ვაჭარბებ". მე არ მიკვირს ეს ყველაფერი. ხომ ხვდებით, როგორი უსიამოვნო იქნებოდა ჩემთვის, ხუტა ბერულავას პოეზიის აპოლოგეტ ბრეგაძეს და რელიქტების გაზეთის რედაქტორ წივწივაძეს ჩემი პოეზია რომ მოსწონდეთ! ბრეგაძის, როგორც ლექსების

მკითხველის გამოცდილება გამორიცხავს პოეზიის პატივისცემას. მეორეს მხრივ, მისთვის უაზროა ყველაფერი, რაც მას არ ესმის (ესეც ჩვეულებრივი ამბავია კულტურულად უმწიფარი ადამიანების შემთხვევაში). ბრეგაძეს კი პოეზია მართლა არ ესმის და მე მართლაც საღ აზრს ავუჯანყდებოდი, მასთან ამ თემაზე სერიოზული კამათი რომ გამემართა და მასთან ჩემს ლექსებზე დამეწყო საუბარი. ერთი სიტყვით, ჩემს პოეზიაზე ეს თავდასხმა წივწივაძე-ბრეგაძის ტანდემის გონებრივი სიძლიერის კარგი ნიმუშია და ისღა დამრჩენია, ლიტერატურის ისტორიას, რომელსაც ბრეგაძე ასე მღელვარედ შეეხო თავის წერილში, მოთმინებით გადავულოცო ბოლო სიტყვა: მასში ჩემი ლექსები დარჩება თუ - ამ ტანდემის მიერ ათასი ბნელი მიზეზით დაწერილი "კრიტიკული" წერილები და ჩემი პოეზიის მათმიერი შეფასებები? შემიძლია ეს კითხვა სხვა კუთხითაც დავსვა: ქართულ ლიტერატურას იმიტომ შემორჩება ჩემი სახელი, რომ ბრეგაძე ჩემს ლექსებს "ორიგინალურ უაზრო ლექსებად" მიიჩნევს თუ ბრეგაძის სახელი მხოლოდ იმიტომ გაიელვებს ხოლმე ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რომ ჩემს ლექსებს აეკიდა და მათზე თავისი ღრმა აზრი ასეთი ყოვლისმომცველი ლაკონურობით ჩამოაყალიბა? (თუმცა, ვშიშობ, თუ მე ვაჯობე, მაშინ ის თავის სიბრიყვეშიც კი ვერ იქნება ორიგინალური, რადგან, სულ მცირე, წივწივაძესთან ერთად მოუწევს ისტორიაში დარჩენა). მოკლედ, ხუმრობა ხუმრობად და ახლა მისი "კრიტიკული" წერილის უბინძურეს მხარესაც მივაქციოთ ყურადღება: სწორედ წივწივაძის გაზეთში და სწორედ ბრეგაძის მიერ უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა დროის ცენზორთა სიმაღლის ღირსი ეს აქცია: ჩემი თარგმანების გაკრიტიკების საბაბით ჩემი, როგორც "სკანდალურად გახმაურებული პორნოგრაფიული ტექსტის ავტორის" თემის აქტუალიზების და ჩემი საჯაროდ დაბეზღების მცდელობა იმ ინსტიტუციაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ (სხვათაშორის, მის მიერ მოძიებული ინფორმაცია ყალბია, მე "ირმის ნახტომის" ხელმძღვანელი არ გახლავართ); წარმომიდგენია, როგორ უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს ღირსება დაკარგული, რომ მეორე ადამიანის (თანაც მასზე ოცი წლით უმცროსის) დისკრედიტაციის მიზნით ასეთ მზაკვრულ ფანდს მიმართავდეს. დავუშვათ, მართლა ბრეგაძეებისთვის და წივწივაძეებისთვის სასურველი ძველი დრო იყოს და მათ მიერ "ტრფობა წამებულთას" პორნოგრაფიულ კონტექსტში აქტუალიზებას მათთვის სასურველი ნაყოფის გამოღება შეეძლოს?! მაშინ ხომ, სულ მცირე, დავკარგავდი სამსახურს, რომელსაც მთელი ჩემი მონდომებით და სიყვარულით ვემსახურები (სამინისტრო თავს დაიზღვევდა უსიამოვნო რეალობისგან და მასზე შეტევებით ისედაც ნერვებდაწყვეტილი თავიდან მოიშორებდა

ადამიანს, რომელიც თავისი გარყვნილებით პერმანენტულად ეჭვქვეშ აყენებს სამინისტროს რეპუტაციას); მაშინ კი იძულებული გავხდებოდი, ჩემი თავის და ოჯახის რჩენაზე იმაზე ბევრად მეტი დრო, ნერვები და ენერგია დამეხარჯა, ვიდრე ახლა ვხარჯავ. შესაბამისად, ავსტრიული პოეზიის მრავალტომეულის გამოცემის საქმეც უკან-უკან წავიდოდა და ჩემი "ორიგინალური უაზრო პოეზიაც" ერთიათად შემცირდებოდა; უარეს შემთხვევაში, ეს სიგნალი წარმატებული წაქეზება იქნებოდა ათასი ჯურის "პატრიოტისთვის" და "პატიოსანი ადამიანისთვის", რათა თავ-თავიანთი პატრონების გულის მოსაგებად და ათასი ბნელი სურვილის ასრულების მიზნით ფიზიკურად გამსწორებოდნენ ან ისე გადავეტეხეთ ხერხემალში, როგორც ამას საბჭოთა პერიოდში უნაკლოდ აკეთებდნენ მათი სულიერი ძმები. უბრალოდ, ბრეგაძის ჩანაფიქრს ჩვენი დრო ხელს არ უწყობს, მისდა სამწუხაროდ. მართალია, ცუდი დროა, მაგრამ არც ისეთი, ბრეგაძეების ოცნებები რომ ხდებოდეს. ამიტომ, ისღა დარჩენია, ბოღმისგან გულგასიებულმა გამიხსენოს ხოლმე. მე ბრეგაძის პრიმიტივიზმს ვერ გამოვედევნები და ისეთივე მიმტევებლური ღიმილით ავარიდებ მზერას, როგორც ამას ჩემი და ჩემზე უფროსი თაობის სხვა ლიტერატორები აკეთებენ, როცა ჩვენს პროფანიზებულ სამწერლო პერიოდიკაში პოსტმოდერნის თემაზე ბრეგაძის მორიგი სულელური ოპუსი გამოჩნდება ხოლმე. მე ვფიქრობ, ბრეგაძემ უშეცდომოდ ამოიცნო საკუთარი თავი, მიუხედავად იმისა, რომ მე ის კონკრეტულად არ დავასახელე, როცა ერთ ინტერვიუში პოსტმოდერნის თემის პარაზიტები ვახსენე.

- პოსტმოდერნიზმი მართლაც მოდურ თემად იქცა დღევანდელ საქართველოში. მასზე ბევრს წერენ და კამათობენ ჩვენი ლიტერატორები.

- დიახ, ასეა იმიტომ, რომ ეს ბევრს თანამედროვედ ყოფნის ილუზიას უქმნის. ხალხი, რომელიც ათიოდე წლის წინ უბრალო და უფრთო საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობითი აპარატით მეტყველებდა, მოულოდნელად გადაიქცა პოსტსტრუქტურალიზმის და ღმერთმა უწყის კიდევ რამდენი "იზმის" ერთგულ ადეპტად. მათ ნაწერებში ისეთი ტერმინოლოგიური ქაოსია, თითქოს ადამიანი კოსმოსის დაბადებას ესწრებოდე. თუმცა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი ეფექტია. უბრალოდ, ასაკოვანმა თაობამ, უმცროსი და საშუალო თაობების გავლენით, იმის საპირისპიროდ დაიწყო წერა, როგორც ადრე წერდა. მაგრამ მათ თვითგამოხატვის არასწორი გზა აირჩიეს. ისინი ლექსიკონებით და ფართო მასებისთვის განკუთვნილი ცნობარებით ეცნობიან ახალ-ახალ მომხიბლავ თეორიებს და ცალკეული ცნებების განმარტებებს, მერე კი მათზე ქართული მწერლობის დამყნობას

ცდილობენ. ფიქრობენ, რომ ასე უკეთ მოხერხდება თვით მათი "დამაგრება" ქართულ სამწერლო ასპარეზზე. ბრეგაძე ამ უცნაურ არსებებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა და მისი მდგომარეობის კომიზმს ესეც ქმნის. ამიტომ უყურებენ მიმტევებლური ღიმილით მის "პოსტმოდერნისტულ" საქმიანობას საქმეში ჩახედული ადამიანები. არ მჯერა, რომ ის თავის ამ თაღლითობას ვერ ხედავდეს. უბრალოდ, მას ჰგონია, რომ ამას სხვები ვერ ხედავენ. და კიდევ, ჰგონია, ვინმე სერიოზულად მიიღებს მის უტიფარ განცხადებას, დღეს საქართველოში ორიგინალური ლიტერატურის კრიტიკა არსებობსო.

- ჩემთვის ცნობილია თქვენი აზრი, რომ დღეს საქართველოში სალიტერატურო კრიტიკა არ არსებობს. ამიტომ, ბუნებრივია, ეს აზრი გააღიზიანებს ნებისმიერ ლიტერატორს, რომელიც ლიტერატურული კრიტიკის სფეროში მუშაობს.

- ბრეგაძის გაღიზიანებას და ფორიაქს სხვა მიზეზი აქვს. მხოლოდ მას შეიძლება ეგონოს, რომ უნაკლოდ შენიღბა თავისი გეგმა, როცა ჩემს პოეზიას თავს დაესხა. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ლიტერატურის კრიტიკოსობას იბრალებს, გადაწყვიტა ასეთი იაფფასიანი ჟესტით გათავისუფლებულიყო მისთვის შემაწუხებელი იმ რეალობის კოშმარიდან, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველივე წლებიდან მოყოლებული, ახალ ქართულ პოეზიას სულ ორი-სამი პირველადი, გნებავთ საკვანძო ფიგურა ჰყავს და მათ შორის ერთი მეც გახლავართ, ამ ფიგურების დროულ, ზუსტ და ენერგიულ აქტივობასთან კი პრაქტიკულად დაკავშირებულია ყველა ის მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც დღეს ქართულ პოეზიაში ფიქსირდება; ხოლო ბრეგაძის (ისე, როგორც ბევრი სხვა "კრიტიკოსის") ხედვის არეში რატომღაც ვერც ერთი ეს სახელი ვერ მოხვდა თავის დროზე. ახლა კი, როცა დათო ბარბაქაძე რვა პოეტური კრებულის ავტორია და ქართული მწერლობისთვის მისი შეუცვლელი მნიშვნელობა ეჭვგარეშეა, ბრეგაძე ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში ნაირ-ნაირ ლექსიკონებში ყბადაღებული "ორმაგი კოდირების", "პოსტმოდერნიზმის", "დისკურსის" და სხვა მოდური ცნებების განმარტებებს კითხულობს, მერე კი, ასეთი უცნაური ცოდნით შეიარაღებული, ქართული ლიტერატურის ისტორიის გადაწერას იწყებს. მას დააგვიანდა, სულ ეს არის. როცა ის ხუტა ბერულავას პოეზიის აზრობრივ მასშტაბებში იყო ჩაღრმავებული, მე და ჩემი თაობის წამყვანი მწერლები დროს ბრეგაძესავით აზრიანად არ ვკარგავდით. მაგრამ როგორ უნდა მოხსნილიყო შემაწუხებელი შინაგანი კონფლიქტი მაჩანჩალა ბრეგაძეში, რაკი ასეთი რეალობა მის გაუგებარ ამბიციებთან თანხმობაში ვერ მოდიოდა? როგორ უნდა

დაპირისპირებოდა მისთვის შემაწუხებელ იმ რეალობას, რომ დათო ბარბაქაძის შემოქმედების მიმართ ახალგაზრდა თაობის ინტერესი ძალიან მაღალია? რა თქმა უნდა, საქმის თაღლითური გაიოლებით! ნაცვლად გულწრფელი აღიარებისა, რომ ის, უბრალოდ, მრავალ გასაგებ თუ გაუგებარ მიზეზთა გამო, მიმდინარე მოვლენების მიღმა დარჩა, ჩემი რვავე პოეტური კრებული, მთელი ჩემი პოეზია მის მიერ ხელის ერთი აქნევით გამოცხადდა უაზრობად. აი, პატიოსანი კრიტიკოსის ფუნქციის ბრეგაძისეული გაგება! ასეთი ლიტერატურული კრიტიკა საქართველოში ნამდვილად არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ ბრეგაძე და წივწივაძე არსებობენ! მათ უკვე შეიტანეს თავიანთი წვლილი ქართული ლიტერატურული კრიტიკის არარსებობაში. მე პასუხს ვაგებ ჩემს ამ სიტყვებზე. მაპატიეთ, მაგრამ მე ამ კაცზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. მე მისგან ძალიან, ძალიან შორს ვარ. ის რომ ერთი საშუალო მოკალმე არ იყოს, ამას მიხვდებოდა. მიხვდებოდა იმასაც, რომ მისი მავნებლობები მხოლოდ საკუთარი უსუსურობით მასავით გაბოროტებულ და მასავით ჩავლილ უპრინციპო ხალხს თუ გაახარებს და ააყვავებს. ამიტომ ნუ ჩათვლით თქვენს შეკითხვებზე ჩემს ამ პასუხებს მის წერილზე პასუხად. ამიტომ არ ვაპირებ არც მის სამომავლო მავნებლობებზე და მოსალოდნელ სიცარიელეებზე პასუხის გაცემას. ასეთ ხალხთან კამათი ჩემთვის არავის უსწავლებია.

მაისი, 2007

მცირე, მაგრამ აუცილებელი შენიშვნა ერთ დიდ სიბრიყვეზე

ამთავითვე საჭიროდ ვთვლი, სათქმელის შერბილებისა და მორიდების გარეშე დავაფიქსირო ჩემი პირადი აზრი: საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის პროექტი "საქართველოს დიდი ათეული" ქართული საზოგადოების მორალური და გონებრივი დეგრადირების სრულყოფილი დოკუმენტია. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გადაცემა საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური გადაგვარების ბოლო საფეხურიც კი იყოს, - როცა სრულ მარაზმში უკანმოუხედავად არის გადაშვებული დიდი და პატარა, წიგნიერი და უწიგნური, ნაივური პატრიოტი და თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრიმიტივიზმმა, როგორც განუმეორებელმა მშობლიურმა გარემომ და ერთადერთმა ასპარეზმა, ყველა ცოცხალი და ცოცხალ-მკვდარი ძალა ხალისით დარაზმა და გააერთიანა.

როცა ადამიანი არა მხოლოდ მაღალ სულიერ მოთხოვნილებებს და აზროვნებას შორდება, არამედ საერთოდ კარგავს აზროვნებას, მის თავს ზემოთ აუცილებლად ჩნდება ვიღაც, ვინც მის ორიენტაციაზე და მოთხოვნილებებზე უკეთ იზრუნებს, ვიდრე ამას თვით ეს თავგზააბნეული მოახერხებდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ დროს მის დასახმარებლად დროულად მისულმა უცხო ძალამ მართლაც ბევრად უკეთ იცის, თუ რა სჭირდება მსხვერპლს, რომელმაც თავის თავს ვერ უპატრონა. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში მასმედიის განვითარების ფონზე, გასაკვირი კი არა, ლოგიკურია, რომ ჩვენს უბადრუკ სინამდვილეში მსხვერპლის მიმართ ასეთი მენტორის მზაკვრული ფუნქცია მისივე ჯიბიდან დაფინანსებულმა ტელევიზიამ იკისრა და ამით წარმატებით გააგრძელა საბჭოთა ტელევიზიის მიერ დაწყებული საქმე.

თუ დღეს ქართულ ტელევიზიაში აზრის, აზროვნების ნატამალი არ არსებობს და შექმნილია ისეთი კონტექსტი, რომელიც სინათლის ნებისმიერ აქა-იქ გაელვებულ გამონაშუქსაც კი ამ უბნელეს კონტექსტში ძირავს, აზრს უკარგავს და თითქმის ავტომატურად ახერხებს აზროვნების ნივლირებას, ეს სწორედ იმის უტყუარი დასტურია, რომ ქართულმა ტელევიზიამ წარმატებით იმემკვიდრა საბჭოთა სატელევიზიო პოლიტიკის მონაპოვარი და მას დღემდე თვითონაც მონურად ემორჩილება და საზოგადოებაც ჩათრეული ჰყავს ამ მონურ პროცესში. მორალურადაც და ინტელექტუალურადაც სწორედ ასე უნდა გამოიყურებოდეს საზოგადოებრივი ტელევიზია, სადაც 21-ე საუკუნეში შესაძლებელია არსებობ-

დეს "ერისთავის სათვალე" და მისი მსგავსი გადაცემები და ვაჟკაცობისა და მამა-პაპობის, სასუფრო ტრადიციების საბჭოთა იდეალებით ჩამოყალიბებული და ფსიქიკურად გაზერელებული ადამიანები რესტორნებიდან პირდაპირ ეკრანებზე გადმოჰყავდეთ. იგი სწორედ ასეთი "პროექტებით" უნდა ამცირებდეს თავის მაყურებელს, ზრუნავდეს მისი დაბნეულობის გახანგრძლივებაზე და საღი აზრის პერმანენტულ გაქვითვაზე. აღნიშნული პოლიტიკის მხოლოდ ერთი მორიგი, თუმცა თავისი "მნიშვნელობით" ყოვლისმომცველი სეგმენტია "დიდი ათეულის" აქტუალური პროექტი, რომელიც წარმატებით ხორციელდება და კულტურის დაკრძალვის გიჟურ ცერემონიალს და შავი ჭირის დროს გამართულ ღრეობას ემსგავსება იმ ქართული საზოგადოების სრული ინტელექტუალური და ზნეობრივი თვითკასტრაციის ფონზე, რომელსაც მხოლოდ პირობითად შეიძლება საზოგადოება ეწოდოს.

საზოგადოების გადაგვარებულობის უტყუარი ნიშანი ყოველთვის იყო და იქნება მაღალი სახელებით ვაჭრობა. ერთადერთი რეალობა, რაზეც დღესდღეობით არა მხოლოდ საზოგადოებრივი ტელევიზიის, არამედ უკლებლივ ყველა სატელევიზიო არხის ხელმძღვანელთა ბიზნესი, კონკრეტულ შემთხვევაში კი ეს "ათეული" მეტყველებს, არის ის, რომ არც რუსთაველი, არც ივანე ჯავახიშვილი, არც მიხეილ თამარაშვილი, არც ნიკო ნიკოლაძე მათი წინაპრები არ არიან და რომ ამ ხალხს არაფერი უსწავლია მერაბ მამარდაშვილისგან, აკაკი ბაქრაძისგან თუ რეზო თაბუკაშვილისგან. ეს არის ადამიანების დაჩლუნგების საბჭოთა ტრადიციის ერთგულად გამგრძელებელთა მიერ მოფიქრებული მორიგი პროექტი, რომელიც ვერასდროს ვერავითარ დადებით კვალს ადამიანის გონებაზე ვერ დატოვებს. მას შეუძლია მხოლოდ განამტკიცოს გაზერელებული ადამიანების ბრიყვული ამბიციები და პატივმოყვარეობა, თითქოს რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ მათი დიდი წინაპრები არიან, არამედ - მათი არსებობისა და უბადრუკი ფუთფუთის მნიშვნელობის უტყუარი დასტურიც.

მეორე მხრივ, გაუნათლებლობის არსებითი დეფიციტით გამოწვეული მსგავსი აქტივობების დროს თავს იჩენს მადლიერების გაუკუღმართებული ქართული გაგების გულისამრევი შედეგებიც. როგორც ყველაფერი, რასაც უზნეო გარემო წარმოშობს, მადლიერების გაგებისა და გამოხატვის ქართული "გულწრფელობაც" ყოველთვის ეჭვის აღმძვრელია. შეუძლებელია, თანამედროვე ქართულ საზოგადოებას, რომელიც იტანს "ერისთავის სათვალეს" და უამრავ მსგავს გადაცემას, მადლიერების რაციონალური გაგება გააჩნდეს. ასეა კონკრეტულ შემთხვევაშიც: როცა ამ

დებატებში ჩართული საზოგადოება თავისი აქტივობით ვითომდა თავისი ღირსეული წინაპრების მიმართ თავისი მადლიერების გამოხატვას ცდილობს, სინამდვილეში ის ამ წინაპრებისგან მოითხოვს, რომ მათ კეთილი ინებონ და უპირობოდ დააფასონ უთავბოლო ლაყბობით გამოხატული, დემენციური გამომეტყველებით წარმოთქმული სატელევიზიო სადღეგრძელოები და არ მოითხოვონ მათგან ამ კლოუნადაზე მეტი.

ბევრის მიერ გამიზნულად, ბევრის მიერ კი გაუაზრებლად, ეს დიდი სახელები იქცნენ დეგრადირებული საზოგადოების გაზერელებულ წარმომადგენლთა ვიწრო ინტერესების დაკმაყოფილების წარმატებულ საბაბად: ვიღაცამ თავისი ნაივური პატრიოტიზმი გამოხატა, ვიღაცამ კიდევ ერთხელ სცადა თავისი თავის რეაბილიტაცია, ვიღაცამ თავის ინტელექტუალურ მტერს გაუსწორა ანგარიში, ვიღაცამ თავისი მივიწყებული და უვარგისი არსებობა შეახსენა საზოგადოებას, და ასე გაუთავებლად.

სიცრუეა მტკიცება, თითქოს ეს პროექტი რამენაირ საგანმანათლებლო ფუნქციას ითავსებს. ასე რომ იყოს, მაშინ ამ ფუნქციას ქართული სუფრის და ქეიფის რეალობაც დღემდე წარმატებით შეასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ "დიდ ათეულში" ჩასარიცხად შერჩეული ყველა კანდიდატის სახელი დაუღლელად მოგზაურობს სუფრიდან სუფრაზე, ეს პროცესი მოსახლეობაში სიყალბის და ჩლუნგი სიამაყის მეტს არაფერს აძლიერებს. საქართველოშიც და უცხოეთშიც თითქმის ყველა მეორე ქართველი, რომელსაც შევხვედრივარ, რუსთაველის და ვაჟას სახელებს მხოლოდ თავისი უვიცობის, უსაქმურობის და უღირსებობის გამო ახსენებს და არა იმიტომ,რომ მას ამ ავტორთა შემოქმედება წაკითხული აქვს. ახსენებს მხოლოდ იმიტომ, რომ არასაკუთარი წარსულით აჯობოს გერმანელების, ფრანგების, ინგლისელების თუ სხვა ერების რეალურ აწმყოს.

მსგავს პროექტებში თავს იჩენს სულიერი გადაგვარების კიდევ ერთი უტყუარი შედეგი: გამოჩენილი ქართველების პროფესიონალიზმით ჩვენი მორალური პრობლემების გადაჭრის სურვილი. ჩვენში საზოგადო მოღვაწის სახელით ცნობილი უამრავი პიროვნება გულწრფელად ფიქრობს, რომ ჩვენი გადაგვარებული გარემოსთვის რაღაც შამანური ეფექტი ექნება ნიკო მუსხელიშვილის თუ ივანე ჯავახიშვილის სახელების საჯაროდ წარმოთქმას და მათ განდიდებას. ეს პროექტი ხომ პირდაპირ მოითხოვს გამომსვლელებისგან, რომ თითოეულ მათგანს ხელში ყანწი ეჭიროს და ასე წარმოთქვამდეს სადღეგრძელო-დახასიათებას. პირადად მე მართლა ვერ წარმომიდგენია, ცინიზმის გარეშე როგორ უნდა ვიმსჯელო ამ "პროექტზე" და მის დებატებზე. ერთადერთი, რასაც ეს ყველაფერი მახსენებს, არის კენ კიზის "გადაფრენა გუგულის ბუდეზე". წიგნი თუ არ წა-

უკითხავს, ნანახი ხომ აქვს ყველა ასაკის უმრავლესობას ამ რომანის ეკრანიზაცია. გახსოვთ ის მომენტი, კლინიკაში თავისი ფეხით მისული და ჩამწყვდეული ხალხი როგორი გაცხარებული სერიოზულობით "განიხილავს" და "აანალიზებს" მისთვის აქტუალურ და ყოველდღიურად ახლობელ საკითხებს? როცა ადამიანი თავისი ნებით თმობს თავისუფლებას, მისთვის უკეთესი ხვედრი წარმოუდგენელია, ის განწირულია მსგავსი დებატებისთვის. ასეთი დებატების ერთადერთი დანიშნულება (ისიც საუკეთესო შემთხვევაში) შეიძლება იყოს დროის გაყვანა. ამის საუკეთესო გზად კი დღეს საქართველოში მიჩნეულია ლაყბობა.

საპატრიარქოს ეპიზოდი მართლაც რომ უნიკალური შემთხვევა იყო ამ დებატებში, და ეს ეპიზოდი კიდევ უფრო აძლიერებს "გუგულის ბუდესთან" აღნიშნული დებატების შედარების სიზუსტეს. ტელევიზიის მესვეურებმაც, გადაცემის ორგანიზატორებმაც და მსგავს სიტუაციებში გამოწაფულმა ჟურნალისტებმაც, საბჭოთა ეპოქის "თავისუფალმა" ადამიანებმაც მაშინვე აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და საპატრიარქოს ცნობილი რეკომენდაცია წარმატებით გამოიყენეს გადაცემის რეიტინგის ასაწევად. უამრავმა გაბრიყვებულმა მაყურებელმა კი, ალბათ, გულწრფელად იფიქრა, რომ იქ, სადაც ბიზნესმენები და ძლიერნი ამა ქვეყნისანი მიამიტური ქართული პატრიოტიზმის რაციონალური მართვით სავსებით დამსახურებულად და პატიოსნად აკეთებენ მილიონებს, შეიძლებოდა ამ პროექტისთვის მართლა ხელისშემშლელი აღმოჩენილიყო უწიგნური მღვდლების უსუსური და ყოვლად უადგილო ხმაური (მეორე მხრივ, მხოლოდ ბრიყვს და ყეყეჩს შეიძლება ეგონოს, რომ მართლმადიდებლობა ამა თუ იმ მღვდლამდე და მის გონებრივ შესაძლებლობებამდე დაიყვანება ან ეკლესია მის რომელიმე ბნელ მსახურს ნიშნავს).

თუ ვინმე არ ისურვებდა ლაყბობის ამ კლოუნადას, პირველ რიგში – სწორედ ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ნიკო მუსხელიშვილი. თუ რამე ღაღადებს ამ დიდი სახელებით უტიფარ ვაჭრობაზე, პირველ რიგში – სწორედ მათი ცხოვრების წესის გაქრობა თანამედროვე ქართულ რეალობაში. რა მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ მათი შთამომავლები ვართ? ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთ სექტორში არავინ თავის ადგილას არ არის? ის, რომ არავინ თავის საქმეს არ აკეთებს? ის, რომ პროფესიონალიზმის კატეგორია სასუფრო და საუბნო ვაჟკაცობის და სათამადო უნარების კატეგორიებით არის ჩანაცვლებული? ის, რომ ქვეყანაში არავითარი რაციონალური კულტურული და საგანმანათლებლო პოლიტიკა არ არსებობს? ის, რომ საქართველო დიდი ხანია კარიკატურულ პოლის-სახელმწიფოდ არის ქცეული? დღეს თუ ამაზე ხმას არავინ

ამოიღებს, ხვალ ეს ჟურნალისტებიც და ბიზნესმენებიც საზოგადო მოღვაწეებად მოგვევლინებიან და მათი მნიშვნელობის საზომად ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ცხვირზე სწორედ მსგავს პროექტებს ააფარებენ.

გთხოვთ, სწორად გამიგოთ: მე არც ამ ცარიელი პროექტის მეთაურებს და არც მის დებატებში გადაშვებულ ადამიანებს არაფერში ვადანაშაულებ, მე მათში მხოლოდ ჩვენი საბჭოთა გამოცდილების მსხვერპლს და სავალალო პროდუქტს ვხედავ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმას მიდასტურებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ორგანული ნაწილია, უფრო მეტიც, საქართველოში საბჭოთა კავშირი კიდევ დიდხანს არ დამთავრდება.

დათო ბარბაქაძე, მწერალი
თბილისი, 24.01.2009

კომენტარი ერთი წლის და ერთი თვის მერე

დღეს გადავიღე გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის ფასადი (იხილეთ გზავნილის სურათებიანი დანართი). ეს ის კედელია, რომლის არსებობის ფონზეც მიმდინარეობდა "დიდი ათეულის" გამოვლენა. თუ გახსოვთ, მე მაშინ მწარე წერილი დავწერე და მთელი ის "პატრიოტიზმი" იდიოტიზმად და სარფიან ბიზნესად გამოვაცხადე, ისევე, როგორც ფარისევლობად გამოვაცხადე ტელევიზიის მტკიცება ამ იდიოტიზმის საგანმანათლებლო ფუნქციის შესახებ. მე მაშინ ჩემი პოზიციის "ვერიფიკაციისთვის" სახალისოდ დავუშვი, რომ აღნიშნული იდიოტიზმის შესაძლო მიზერული "საგანმანათლებლო" სიკეთე აუცილებლად აისახებოდა მუზეუმის ფასადზე. რა თქმა უნდა, აისახა. გადაცემამ მუზეუმის ფილოლოგი თანამშრომლების ცნობიერებაზეც კი ვერ იქონია საგანმანათლებლო ზეგავლენა. აღარაფერს ვამბობ "ნეიტრალურ" მაყურებლებზე. მუზეუმი ჭანტურიას ქუჩაზე მდებარეობს და ამ ქუჩაზე, ფეხით მოსიარულეების გარდა, ყოველ 5 წუთში ერთხელ ერთი ავტობუსი ჩადის (შაბათ-კვირას - 10 წუთში ერთხელ). უკვე წლებია, ამ ფასადით ტკბება გამვლელ-გამოვლელი და არავის გაუჩნდა პროტესტის გრძნობა იმის გამო, რომ გალაკტიონი და რუსთაველი, რომლებიც სიყვარულს აკაკიზე არანაკლები ძალით უგალობდნენ, ლამაზი ქალების გარეშე დატოვეს. შეხედეთ, როგორ მოუწყენიათ! მერე რა, რომ ტურტლიანები არიან, არც აკაკი და სულხან-საბა ორბელიანი გაურეცხავთ არასდროს (ალბათ,

Gratsia
beauty Center
სამოდელო სტუდია
Style of your Life

ამასაც სპონსორების ნაკლებობა განაპირობებს!) და ყველანი ერთნაირად ზანგებივით გამოიყურებიან, თმაზე, გულ-მკერდზე და მხრებზეც მტვრის და ჭუჭყის ზვინები ერთნაირად ადევთ, მაგრამ მიკერძოება სახეზეა! ეს არის ქართული დემოკრატია და სამართლიანობა? ან მეგობარი არ ჰყავთ მუზეუმის თანამშრომლებს, ან ნათესავი, ან ამხანაგი? სად არის ამ ქუჩაზე ამვლელ-ჩამვლელი ბედნიერი ერის დემოკრატიული სენსიბილობა? ერთი მადისაღმძვრელი ქალი მაინც რომ იწვეს გალაკტიონსა და რუსთაველს შორის, ისინი თავად მორიგდებოდნენ. ეს ჭუჭყიანი ჯენტლმენები ჩვენგან ასეთ დამცირებას არ იმსახურებენ!

თქვენი დათო ბარბაქაძე
საზოგადოებრივი აზრის საპატიო ფენის წარმომადგენელი
01.03.2010

P. S. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ კომენტარის გამოქვეყნებიდან სამი თვის მერე, ჭანტურიას ქუჩაზე ჩავლილს, სარეკლამო დაფა ჩამოხსნილი დამხვდა.

"აღმოსავლეთში შემოქმედის ადგილი ყოველთვის უმცირესობაშია"

დომინიკ ირტენკაუფი: "წერილები საქართველოდან". გამომცემლობა "პოლილოგი", 2009 წელი.
გამომცემლის ბოლოსიტყვა და მცირე ინტერვიუ წიგნის გამომცემელთან.

2006 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ჩემი მეგობრის ბელა წიფურიას (რომელიც მაშინ განათლების მინისტრის მოადგილე იყო) და ჩემი ინიციატივით და, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, განათლების მაშინდელი მინისტრის, ალექსანდრე ლომაიას, პირადი მხარდაჭერით, დაარსდა სტიპენდია სახელწოდებით „მუზა – საქართველო" იმ უცხოელი მწერლებისა და მეცნიერებისთვის, რომლებსაც სურვილი ექნებოდათ, ჩამოსულიყვნენ საქართველოში და დაეწერათ წიგნები საქართველოზე. განათლების სამინისტრო ვალდებულებას იღებდა, თითოეული სტიპენდიატის ნაშრომი ეთარგმნა ქართულად და გამოეცა. მიუხედავად ქართული კულტურისთვის ამ სტიპენდიის ფასდაუდებელი მნიშვნელობისა, ასევე – პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი უნიკალობისა, სტიპენდიის ამოქმედებიდან წელიწადნახევარში, სამინისტროში ახალი გუნდის მოსვლისთანავე, სასტიპენდიო პროგრამა გაურკვეველი ვადით გაიყინა, ბოლოს კი გაუქმდა. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც მაშინ ხმა ამოიღო სტიპენდიის მნიშვნელობის დასაცავად, სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი სიმონ ჯანაშია იყო.

რაც გადარჩა, ანუ ორი გერმანელი მწერლის მიერ შექმნილი ტევადი მოცულობის ნაშრომები, სამინისტროს არ გამოუცია. სტიპენდია სწორედ მაშინ გაუქმდა, როცა მის მიმართ ევროპაში ინტერესი ძლიერდებოდა და სტიპენდიის მიღების მსურველთა რაოდენობა ყველა მოლოდინს აჭარბებდა. სტიპენდიის ბიუჯეტი იმდენად მწირი იყო, მიზერული ფინანსური დანახარჯის ფასად კი ისეთი შედეგები მიიღებოდა და პერსპექტივაც ისეთი თავბრუდამხვევი ჩანდა, რომ მირჩევნია, ჩემს გულსა და ცნობიერებაში სტიპენდიის გაუქმების გამოცანა სიცოცხლის ბოლომდე გამოცანად დარჩეს, ვიდრე მისი გაუქმების შესაძლო მიზეზებს ჩავუღრმავდე. აი, ერთადერთი დასკვნა, რომელიც ამ გამოცდილებიდან გამოვიტანე: ***ეს სტიპენდია არ ყოფილა ნაკარნახევი ქართული კულტურის განვითარების ლოგიკით***, იგი რამდენიმე ადამიანის პირადი ინიციატივისა და ბედნიერი შემთხვევით შექმნილი პირობების გადაკვეთის ადგილზე

გაჩნდა. ჩვენი კულტურის დღევანდელი დონის მაჩვენებელი კი მისი გაუქმების ფაქტი იყო. დავაზუსტებ იმასაც, რომ თბილისური საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ცნობილია კულტურის სფეროში თავისი აქტივობით, თუნდაც სატელევიზიო, საჟურნალო და საგაზეთო ინტელექტუალური პროექტებით, სტიპენდიის არსებობის შესახებ თავიდანვე ინფორმირებული იყო. პირადად ჩემთვის კიდევ ერთი კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა სტიპენდიის მიმართ საზოგადოების ამ ნაწილის ინდეფერენტული დამოკიდებულება, რომელიც ვერ გაარღვია სტიპენდიის ორგანიზატორთა ძალისხმევამ.

როცა ჩემთვის ცხადი გახდა, რომ სტიპენდია "მუზა – საქართველო" უკვე საბოლოოდ გაეწირა განათლების სამინისტროს, 2008 წელს, ვცადე, მისით კულტურისა და სპორტის სამინისტრო დამეინტერესებინა. თუმცა, მალევე დავრწმუნდი ამ ნაბიჯის უაზრობაში, ვინაიდან მე არ განვეკუთვნებოდი სამინისტროსთან დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ ხელოვანთა წრეს. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

რაც შეეხება ახალგაზრდა გერმანელი მწერლის, დომინიკ ირტენკაუფის, წინამდებარე წიგნს, ის ავტორის სასტიპენდიო დროში, სტიპენდიით განსაზღვრული მისი ნაშრომის პარალელურად იწერებოდა. რომ არა მხატვარ ლევან ჭოღოშვილის შემოთავაზება, რომ მის ქალიშვილს – ირინე ჭოღოშვილს – უანგაროდ ეთარგმნა დომინიკ ირტენკაუფის წერილები, წიგნის გამოცემა კი თვით ლევანის რომელიმე ნახატის გაყიდვით მიღებული ფულით განხორციელებულიყო, ეს წიგნი კიდევ დიდხანს დარჩებოდა ქართველი მკითხველისთვის უცნობი. მიუხედავად იმისა, რომ წერილებიც ითარგმნა და ლევანიც მზად იყო, სიამოვნებით გაეყიდა თავისი რომელიმე ნამუშევარი მათ გამოსაცემად, გადავწყვიტე, ეს პაწია წიგნი ჩემივე სახსრებით გამომეცა: იმ ხელფასიდან დაზოგილი თანხით, რომელსაც სწორედ განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში და ბიუჯეტზე მყოფ ფონდში სამსახურისთვის მიხდიდნენ. ჩემი ასეთი საქციელი, გარკვეულწილად, უზრუნველყოფს ჩემს სულიერ სიმშვიდეს ჩემს ქვეყანაზე შეყვარებული ჩემი მეგობარი ახალგაზრდა უცხოელი კაცის წინაშე, რომელმაც სტიპენდიით გათვალისწინებული შრომაც პატიოსნად შეასრულა, წინამდებარე წერილებიც წიგნად შეკრა, 2008 წელს – აგვისტოს მოვლენების ცხელ კვალზე – საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოვიდა და ქართველ მხატვრებზე ვრცელი ესსე შექმნა, ახლა კი, როცა მე ამ წინასიტყვაობას ვწერ, გივი მარგველაშვილის რვაასგვერდიან წიგნს კითხულობს, რათა მასზე გერმანულ პრესაში რეცენზია გამოაქვეყნოს.

აი, ეს კი, დომინიკ ირტენკაუფის რეალობა საქართველოსთან მიმართებაში, ნამდვილად არის გერმანული კულტურის განვითარების ლოგიკით ნიშანდებული მოვლენა, ისევე, როგორც – საქართველოსთან მისი ურთიერთობის უამრავი ძვირფასი დეტალი, რომელიც ქართველ მკითხველს, გააზრებისა და ამოკითხვის შემთხვევაში, ბევრ საფიქრალს აღუძრავს. ამ დეტალებს შორის ერთი კი მართლაც რომ საპროგრამო ღირებულებას ფლობს: უცხო ქვეყანასთან მისი, როგორც ევროპელი ავტორის, დამოკიდებულების მაღალი კულტურა. ამ ვითომდა ჰაეროვნად დაწერილი რეპორტაჟების უკან დგას ადამიანი, რომელმაც, ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა, თავის მოვალეობად მიიჩნია, წაეკითხა გერმანულ ენაზე თარგმნილი ბევრი ქართველი კლასიკოსის და თანამედროვე ავტორის წიგნი, საქართველოს საკითხებზე დაწერილი არაერთი ნაშრომი, და ჩაეხედა საქართველოსთან დაკავშირებულ რთულ პოლიტიკურ პერიპეტიებში, საქართველოდან გამგზავრების მერე კი თავის ამერიკელ მეგობარ გამომცემელთან ერთად განეხორციელებინა ქართული პოეზიის პრეზენტაციის გემოვნებიანი და მომხიბლავი თემატური პროექტი.

დავაზუსტებ, რომ დომინიკ ირტენკაუფი არ განეკუთვნება მესამე სამყაროში მუზების მადევართა რიცხვს და თავის ქვეყანაში უამრავი სამეცნიერო და ლიტერატურული პროექტით არის დაკავებული.

ხოლო ჩვენ, ლაღებს და ამაყებს ყველაფრით, რაც ჩვენი კი არა, ჩვენი წინაპრების ნახელავია, 21-ე საუკუნეში ისღა დაგვრჩენია, თითები მოვიმარჯვოთ და დავითვალოთ, ამ სტიპენდიის გაუქმებამ საქართველოზე დასაწერი რამდენი წიგნი და რამდენი მეგობარი დაუკარგა ჩვენს ბედნიერ ერს.

დათო ბარბაქაძე
თბილისი, 23.07.2009

- დათო, შენი ბოლოსიტყვა, რომელიც ახალგაზრდა გერმანელი მწერლისა და ამჟამად უკვე გაუქმებული სტიპენდია "მუზა-საქართველოს" ერთ-ერთი პირველი სტიპენდიატის წიგნს დაურთე, ბევრ შეკითხვას ბადებს. მაგალითად, არაფერს ამბობ იმაზე, თუ რა მიზეზით გაუქმდა სტიპენდია.

- ჩათვალე, რომ მე ეს არ ვიცი. არ ვიცი იმიტომ, რომ ვიცი, სად ვცხოვრობ. მე მამებით, ბიძებით, ნათლიებით და სხვა ტიპის პატრონებით დაცული ადამიანების რიგებში არ ვდგავარ, თორემ მეც მათსავით უშიშარი ვიქნებოდი. ამიტომაც მირჩევნია ვთქვა, რომ ამ სტიპენდიის გაუქმების სა-

იდუმლო ჩემთვის უცნობია. ერთადერთი პოზიცია, რომელიც განათლების სამინისტროში ალექსანდრე ლომაიას მერე მოსულმა გუნდმა ღიად დააფიქსირა, იყო შემდეგი: ამ სტიპენდიის მნიშვნელობა ნულის ტოლია, მისი ეფექტი არ ჩანს და განათლების სამინისტრომ ფული ტყუილად არ უნდა ხარჯოს. თუ სტიპენდიის მიმართ მაშინდელი მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის - ალექსანდრე ჩიკვაიძის - იმთავითვე დადებით დამოკიდებულებას არ ჩავთვლი, მაღალი თანამდებობის პირებიდან სიმონ ჯანაშია იყო ერთადერთი, რომელმაც გაბედა და მიუკიბავ-მოუკიბავად უთხრა სამინისტროს, მეტი ეფექტი რა გინდათ, საქართველოზე წიგნები იწერება, ეს წიგნები საზღვარგარეთ გამოდის და საქართველო მეგობრებს იძენსო.

- ანუ, სტიპენდია როცა გაუქმდა, სტიპენდიის ფარგლებში დაწერილი წიგნები უკვე არსებობდა?

- რამდენიმე! და ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. მეტი არც დაგვცალდა! სტიპენდია 2006 წლის მაისში დაარსდა და ის ჩაფიქრებული იყო, როგორც საპილოტე, ამიტომ იმ წელს ერთი სტიპენდიატით შემოვიფარგლეთ. რამდენიმე კანდიდატს შორის არჩევანი ამერიკელ მეცნიერზე გავაკეთეთ, რომელიც ქართულ ღვინოს იკვლევდა და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა, მას წიგნის დაწერა არ ევალებოდა. 2007 წლიდან კი შეგვეძლო წელიწადში მაქსიმუმ ოთხი მეცნიერი და ამდენივე მწერალი მიგვეღო. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში მთელ მსოფლიოში ინტენსიურად ვავრცელებდით ინფორმაციას სტიპენდიის შესახებ. გოეთეს ინსტიტუტის თბილისის ოფისმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა სტიპენდიის ლინკი და მხოლოდ მას მერე მოხსნა, როცა განათლების სამინისტრომ 2009 წლის გაზაფხულზე სტიპენდიის ინტერნეტგვერდი გააუქმა. 2007 წლისთვის საქართველოში ჩამოსვლის მსურველთა სიმრავლის მიუხედავად, წარმოდგენილი პროექტების უმრავლესობა სუსტი იყო, ამიტომ მხოლოდ ორი სტიპენდია გავეცით. ერთი სტიპენდიატი ახალგაზრდა მწერალი დომინიკ ირტენკაუფი იყო, მეორე – ასევე გერმანელი, უფროსი თაობის პოეტი კარლ ვოლფი.

- რამდენ თვეს მოიცავდა სტიპენდია და რა პირობებით გაიცემოდა?

- სტიპენდია სამთვიანი იყო. თავიანთ ქვეყანაში დაბრუნების მერე ავტორებს კიდევ ექვსი თვე ეძლეოდათ პროექტზე სამუშაოდ, ცხრა თვის თავზე კი უნდა წარმოედგინათ ნაშრომი, რომელშიც საქართველო იქნებოდა თემატიზებული. სტიპენდიატებს განათლების სამინისტრო უზრუნველყოფდა თბილისში უფასო საცხოვრებლით და ყოველთვიური სტიპენდიით, რაც შეადგენდა 750 ევროს ექვივალენტს ლარებში. უპირატესობას

ვანიჭებდით ავტორებს, რომლებიც საგამომცემლო კონტრაქტს წარმოგვიდგენდნენ, ანუ, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქცია მათ სამშობლოში აუცილებლად გამოიცემოდა. თუმცა, ასეთი კონტრაქტი აუცილებელი არ იყო. განათლების სამინისტრო კი სტიპენდიატთა შრომების ქართულად თარგმნისა და გამოცემის ორგანიზებას კისრულობდა.

- შენ თქვი, რომ სტიპენდიატების მიერ რამდენიმე წიგნი დაიწერა.

- ოღონდ არა ყველა – სტიპენდიის ფარგლებში, არამედ სტიპენდიის წყალობით. დომინიკ ირტენკაუფის პროექტის თემა, მაგალითად, ამირანისა და პრომეთეს შედარებითი ანალიზი იყო, რომლის საფუძველზეც მას პოსტმოდერნული სტილის ინტელექტუალური რომანის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული. სტიპენდიის მიღებიდან ზუსტად ცხრა თვეში მან თაბახის ფორმატის ასგვერდიანი ნაშრომი ჩაგვაბარა, რაც 5 ფორმატის ასორმოცდაათგვერდიანი წიგნის მოცულობას აჭარბებდა. მაგრამ ის საქართველოში ყოფნის დროს თავის გერმანელ და ახალშეძენილ ქართველ მეგობრებს დროდადრო ელექტრონული ფოსტით უგზავნიდა საინფორმაციო წერილებს, რომლებიც მერე გააერთიანა და წიგნის სახე მისცა (მე სწორედ მისი ეს არასასტიპენდიო წიგნი გამოვეცი). 2008 წელს, აგვისტოს ომის ცხელ კვალზე, სოლიდარობის ნიშნად, ის ისევ ჩამოვიდა საქართველოში და ქართველი მხატვრების გარემოში ცხოვრობდა. ამ გამოცდილების ნიადაგზე მან კიდევ ერთი პატარა წიგნი შექმნა, რომელშიც რამდენიმე ქართველი მხატვრის შემოქმედებაა განხილული. ასევე, დაწერა რამდენიმე სამეცნერო მოხსენება ქართულ თემებზე, დღემდე პერიოდულად აქვეყნებს რეცენზიებს გივი მარგველაშვილის წიგნებზე, ერთი წერილი კარლო კაჭარავას შემოქმედებასაც მიუძღვნა. რაც შეეხება კარლ ვოლფს, ის პირველად ოც წელზე მეტი ხნის წინ იყო საქართველოში ნამყოფი და მისი პროექტის თემა, საბჭოთა საქართველოს გახსენების ფონზე, პოსტსაბჭოთა საქართველოდან მიღებული შთაბეჭდილებების აღწერა და მხატვრული ანალიზი იყო. მანაც ზუსტად ცხრა თვის მერე წარმოგვიდგინა ორასორმოცდაათგვერდიანი წიგნი, რომელიც 2009 წლის გაზაფხულზე გამოიცა გერმანიაში. საქმე ის არის, რომ კარლ ვოლფი თავის მეუღლესთან ერთად იყო ჩამოსული. ამ უკანასკნელმა კი ჩაიფიქრა, თავადაც დაეწერა წიგნი საქართველოზე. მან მეუღლესთან ერთად საქართველოში გატარებული დრო რაციონალურად გამოიყენა, გამოკითხა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ათი ქართველი ქალი და გამოსცა ასოცდაათგვერდიანი წიგნი სახელწოდებით "ქალები საქართველოში". სხვათაშორის, აგვისტოს ომის დროს კარლ ვოლფი და მისი მეუღლე გერმანიაში საქართველოს მხარდასაჭერად აქციებს მართავდნენ, ინტერვიუებს იძლეოდნენ,

ქართველი სტუდენტების მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდნენ, ომის ცხელ კვალზე კი თავიანთი ინიციატივით და თავიანთი სახსრებით ჩამოვიდნენ საქართველოში. "მეტასტაზების" განვითარების ერთ ცოცხალ მაგალითს გეტყვი: ამერიკაში, გრინსბოროში, ერთი ცნობილი პოეტური ალმანახი გამოდის, რომლის ორგანიზატორებიც დომინიკ ირტენკაუფმა ქართული ლიტერატურით დააინტერესა. ალმანახის 2009 წლის პირველი ნომერი თითქმის მთლიანად ქართულ პოეზიას დაეთმო. ეს არის თემატური ნომერი, "მითოლოგიური თემატიკა ახალ ქართულ პოეზიაში", რომელიც ბელა წიფურიამ, დომინიკმა და მე მოვამზადეთ. მესმის, რომ საზღვარგარეთ ყოველთვიურად ქართული ლიტერატურის პრეზენტაციის ათობით, წელიწადში კი ასობით პროექტი ხორციელდება, და ასეთი ფუფუნების პირობებში შესაბამისი ინსტიტუციები ჩვენს პროექტს ყურადღებას ვერ მიაქცევდნენ, ამიტომ თბილისში ამ მოვლენაზე ხმა არავის ამოუღია. განათლების სამინისტრო როგორ მოექცა საქართველოს მეგობრებს, ესეც გაინტერესებს?

- ალბათ, ისე, როგორც განათლების სამინისტროს ეკადრებოდა.

- დიახ, სწორედ როგორც ეკადრებოდა! მან ორივე მწერალი "გადააგდო". ქართულად მათი წიგნები არც თარგმნილა და არც გამოცემულა. წარმოიდგინეთ გერმანელი მწერლები, რომლებიც გაოგნებული ჩასცქერიან ხელშეკრულების გერმანულ პირებს, სადაც შავით თეთრზე კონტრაქტის პირობებია აღნიშნული. როგორი სანახავია მათი სახეები? მათ ეგონათ, სახელმწიფო დაწესებულებასთან ჰქონდათ საქმე, აქ კი ისინი, უბრალოდ და კლასიკურად, წამლის ბარიგებივით გადააგდეს.

- და სტიპენდიაც ზედ მიაყოლეს...

- დიახ, ჯერ ბიუჯეტი დაამტკიცეს, მერე პროგრამა შეაჩერეს, მერე კი გააუქმეს. და ეს ყველაფერი სულ რამდენიმე თვეში, ძალიან სწრაფად მოხდა. უფრო გვიან, 2008 წლის გაზაფხულზე, როცა სამინისტროს რამდენიმე წერილი მივწერე, რომლებშიც სტიპენდიის ბედის გარკვევას ვითხოვდი, ჩემი შესაძლო ჯანყისგან თავი რომ დაეზღვიათ (შეიძლება, უფრო მზაკვრული მიზნებითაც), დაიწყეს ფარული გამოძიება, თუ რა ფულადი საზღაურის ფასად ვმონაწილეობდი პროგრამაში და ხომ არ იყო ეს სტიპენდია ერთ დროს ჩემთვის ან ბელა წიფურიასთვის დამატებითი შემოსავლის წყარო. საქმე ის არის, რომ კონცეპტუალურად და იურიდიულად უცხოელი მწერლებისა და მეცნიერებისთვის ამ სასტიპენდიო პროგრამის გამართვას და ამოქმედებას მეც და ბელა წიფურიამაც თითქმის ნახევარი წელი შევალიეთ. მე მაშინ „ირმის ნახტომის" არასაგნობრივი პროექტების კოორდინატორი ვიყავი, ამ სტიპენდიაზე კი პარალელურ რეჟიმში ვმუშა-

ობდი. მოკლედ, კომპრომატების მაძიებლების გონებრივ და სულიერ შესაძლებლობებს აღემატებოდა იმის წარმოდგენა, რომ სტიპენდიის ორგანიზატორებს არც ერთი თეთრი, სულ არაფერი მიუღიათ თავიანთ შრომაში. არაფორმალური გამოძიების ბოლო ეტაპზე ძალიან სახალისო სიტუაცია შეიქმნა. მოხდა ისე, რომ მომსწრე გავხდი, როგორ იმართლებდნენ თავს ერთმანეთის წინაშე, არც ამ სასტიპენდიო პროგრამის შექმნაში ღებულობდა ვინმე ფულს და არც ორგანიზებაში ღებულობსო.

- კი, მაგრამ მომდევნო 2008 წლისთვის სტიპენდიატები შერჩეული არ იყო?

- არა, პროცესი შეჩერდა. სამინისტროდან ბელა წიფურიას წასვლიდან უმცირეს დროში უცნაური სიტუაცია შეიქმნა. ვგრძნობდი, რომ რაღაც ხაფანგის მსგავსი იყო: სტიპენდია, როგორც წარსულის მავნე გადმონაშთი, შეჩერებულია; დაუკვირდი, გაუქმებული ჯერ არ არის, მხოლოდ შეჩერებულია; სტიპენდიის შესახებ ინფორმაცია მთელ მსოფლიოში ვრცელდება და სამინისტროს ელექტრონული ფოსტა სტიპენდიის მიღების მსურველთა წერილებით არის გადავსებული, შეკითხვები შეკითხვებზე მოდის, გზავნიან პროექტებს და შევსებულ აპლიკაციებს; გოეთეს ინსტიტუტის პორტალზე დადებული ლინკიც თავის საქმეს პატიოსნად ასრულებს; სამინისტროსგან ვითხოვ მკაფიო პასუხს პროგრამის შესახებ, რაზეც არავინ რეაგირებს; შესაბამისად, მეც ვერაფერს ვპასუხობ უცხოელ ავტორებს, მათი შეკითხვები უპასუხოდ რჩება; გამორიცხული არ არის, რომ უკვე ჩამისაფრდნენ და სამინისტრო სწორედ ჩემს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ელის, რათა მერე ნებისმიერი ნაბიჯი ჩემი უფლებამოსილების გადამეტებად ან სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებად მოინათლოს; იგივე მოხდება, სტიპენდიის ოფიციალური ვებგვერდი რომ გავაუქმო; ამასობაში, უკვე ჩრდილი ადგება ჩემს ავტორიტეტს ჩემი ევროპელი კოლეგების თვალში, რომლებსაც სტიპენდიის დაარსებისთანავე ინფორმაციის გავრცელებაში დახმარება ვთხოვე, მათ კი, თავის მხრივ, ინფორმაცია დაუგზავნეს თავიანთ კოლეგებს და ინსტიტუციებს; ახლა სტიპენდიით დაინტერესებული უცხოელი მწერლები ჩემს მეგობრებთან ცდილობენ იმის გარკვევას, თუ რატომ არ პასუხობს მათ შეკითხვებს საქართველო, ჩემი მეგობრები კი იგივე კითხვით მე მომმართავენ; როცა ვცდილობ, როგორმე ჩემს უცხოელ მეგობრებს მაინც ავუხსნა რეალური სიტუაცია, მათ ეს ყველაფერი სიურრეალიზმი ჰგონიათ. მოკლედ, ასეთ მდგომარეობა იყო შექმნილი და არც 2008 წელს შეცვლილა რამე, პროგრამა ადგილიდან არ დაძრულა. მერე კი აგვისტოს ომი დაიწყო.

- ომის მერე კი დღის წესრიგში იმ ფონდის გაუქმების საკითხი დადგა, რომელშიც შენ მუშაობდი, არა?

- დიახ, განათლების სამინისტროსთან არსებული ფონდი იყო, "ირმის ნახტომი" ერქვა და მის ამოცანას კომპიუტერებითა და ინტერნეტქსელით საქართველოს სკოლების აღჭურვა წარმოადგენდა, ასევე – სკოლებისთვის ინფორმაციული მენეჯერების მომზადება და სკოლის მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარჩვევების ათვისების რაციონალიზაცია. ეს იყო წარმატებული ესტონური პროექტის ქართული ანალოგი და ჩვენს ნიადაგზე მისი შესაძლო შედეგების მთელი სიკეთის წარმოდგენა ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ზებუნებრივ უნარებს არ მოითხოვდა. უბრალოდ, საჭირო იყო საღი აზრის პატივისცემა და კეთილი ნება. ალექსანდრე ლომაიამ და ბელა წიფურიამ ერთიც გამოიჩინეს და მეორეც, როცა ამ პროექტს მწვანე შუქი აუნთეს. სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლისთანავე ეს ფონდიც ბურჟუაზიულ გადმონაშთად შეფასდა და დღის წესრიგში მისი ლიკვიდაციის საკითხი დადგა. მართალია, პროცესი გახანგრძლივდა, მაგრამ ფონდის დირექტორს, მერაბ ლაბაძეს, რომელიც ამ ფონდის ტვინსაც წარმოადგენდა და გულსაც, ახალმა ხელმძღვანელობამ განცხადება დააწერინა და გაათავისუფლა. გული არ მითმენს, არ აღვნიშნო, რომ იმ რანგის ინტელექტუალები და ინტელიგენტები, როგორიც მერაბ ლაბაძეა, საქართველოში იშვიათად, ძალზე იშვიათად შემხვედრია. ასეთ ადამიანებს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში უფრთხილდებიან, რადგან მათ განსაკუთრებული ხედვის ნიჭი, გონების იშვიათი მოქნილობა და მობილურობა ახასიათებთ და თუ სახელმწიფო მათ შესატყვის პირობებს უქმნის, ამოგების მასშტაბებიც განსაკუთრებულია. აქ კი, ჩემს თვალწინ, ასეთი კაცი ფონდიდან მგლის ბილეთით მოისროლეს. რაც შეეხება ფონდის არასაგნობრივი ჰუმანიტარული კონკურსების მიმართულებას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ეს ფონდის ერთადერთი ორიგინალური ნაწილი იყო და მისი იდეა მთლიანად ბელა წიფურიას ეკუთვნოდა, მე მხოლოდ ამ იდეის რეალიზაციით ვიყავი დაკავებული. თუ ვინმე ოდესმე დაინტერესდება და შეაფასებს ამ მიმართულებით ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოს შედეგებს, რეალურ მნიშვნელობას და იმ მინიმალურ ფინანსურ დანახარჯებს, რომლის ფასადაც ეს საქმე კეთდებოდა, მაშინ ჩემი ნატვრა იქნება, შეფასდეს ის აუნაზღაურებელი კულტურული დანაკარგიც, რომელიც ამ ფონდის გაუქმებამ გამოიწვია საქართველოს სკოლებში. არ დაგვცალდა არც ქართული და ქართულად თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის გიგანტური ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, რომელსაც "ვახ-

ტანგ VI" უნდა რქმეოდა. ორი წელი გამომცემლობიდან გამომცემლობაში დავდიოდით და ასე ვაგროვებდით გამოცემული წიგნების ელექტრონულ ვერსიებს, ოპერატორებს ვაკრეფინებდით მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის წყალივით აუცილებელ ლიტერატურას, ამ ბიბლიოთეკის სამიზნე ჯგუფად კი საქართველოდან ფიზიკური გადარჩენის მიზნით გაქცეულ თანამემამულეებსაც ვგულისხმობდით. ჩვენ გაგვაჩერეს მაშინ, როცა გზის ნახევარიც არ გვქონდა გავლილი, შედეგები კი უკვე ისეთი მაღალი იყო, რომ ფონდის ესტონელი მენტორები ჩვენს მიერ არასაგნობრივი კონკურსების სექტორში მიღწეულ მასშტაბებს კი არა, წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებსაც კი ძნელად იჯერებდნენ. რაკი მე არ მახასიათებს ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა მერე ფურშეტების და ცარიელი ბოთლების მეტი არაფერი რჩება, "ირმის ნახტომის" პორტალისთვის თვალის შევლებაც საკმარისია იმის მისახვედრად, ვტრაბახობ თუ რეალურ სურათს ვხატავ. ფონდი 2008 წლის ბოლოს გააუქმეს და სამინისტროში სახელდახელოდ შექმნილ რომელიღაც დეპარტამენტს მიუერთეს. პროგრამა გრძელდება, მაგრამ გული უკვე ამოცლილი აქვს, ანუ, ჩემი ინფორმაციით, მხოლოდ კომპიუტერებს ანაწილებენ და ინტერნეტით სკოლების მომსახურებას უზრუნველყოფენ.

- მოდი, ისევ სტიპენდიას დავუბრუნდეთ. მე წავიკითხე დომინიკ ირტენკაუფის ჩანაწერები. რომ გითხრა, კმაყოფილი დავრჩი მეთქი, არ ვიქნები მართალი. გასაგებია, რომ ჩანაწერებია და მეტიც არაფერი, მაგრამ მათგან იმდენი ამბიცია, ფამილარობა და აქა-იქ უმადურობაც კი იფრქვევა, რომ ეს ამ ავტორის პიროვნულ თვისებებზე ბევრს მეტყველებს.

- არც მე ვიქნები მართალი, რომ გითხრა, არ გეთანხმები მეთქი. კონკრეტული ფაქტებითაც შემიძლია შენი შეფასების გამყარება, მაგრამ ეს მაინც არაარსებითი მომენტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დომინიკ ირტენკაუფი ერთადერთი კი არა, ერთ-ერთი სტიპენდიატი იყო, და სასტიპენდიო პროგრამაც ერთწლიან კი არა, გრძელვადიან სტრატეგიას ეფუძნებოდა. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც უსიამოვნო იყო ავტორის იმ პიროვნული თუ ხასიათობრივი ნიშნების აღმოჩენა, რომლებიც ჩანაწერებში ღიად იკითხება. როცა ირტენკაუფი საქართველოში ჩამოვიდა, მე მაშინ საზღვარგარეთ ვიყავი. მე მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან, უკვე წიგნის გამოცემის მერე გავიგე, რამდენი დრო და ენერგია დაუხარჯავთ სტიპენდიატზე ქართველ მეცნიერებს, რომლებიც სტუმარს უანგაროდ ედგნენ მხარში. ირტენკაუფმა კი არა მარტო შეიტკბო ეს სიკეთე, არამედ ჩანაწერებში ამაზე ხმა არ ამოუღია, ანუ, როგორც იტყვიან, მას უმადურობამ არ მისცა

ამ ყველაფრის დანახვის საშუალება. გვიან გავიგე ისიც, რომ ირტენკაუფი ბათუმში უსასყიდლოდ ცხოვრობდა და მასპინძლებს მისთვის მწვადი და ხინკალი არ მოუკლიათ, ის კი ჩანაწერებში ბათუმელი მასპინძლების სახლზე შაყირობს. წიგნში ბევრია ისეთი მონაკვეთი, ავტორისგან მეტ სისადავეს, მარტო დაკვირვებისა და ანალიზის სიღრმეს კი არა, პიროვნულ სიმაღლეს რომ გასურვებინებს. და მაინც, ეს გვერდითი, სახელდახელო ჩანაწერებია და მეტიც არაფერი, მთავარი კი, ვფიქრობ, ის არის, რაც წიგნის ბოლოსიტყვაში აღვნიშნე.

- ანუ, წიგნში უხეშად არ ჩარეულხარ და არაფერი ამოგიღია ან შეგირბილებია?

- რა თქმა უნდა, არა! ასეთი მანიპულაციები ჩემთვის უცხოა. მაგრამ ეს მაინც ნაკლული წიგნია, ამ სახით მისი გამოცემის ფაქტი დაღდასმულია ჩემი შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობებით და იმ სიმარტოვითაც, რომლისთვისაც ჩვენში მსგავსი წამოწყებებია განწირული. ეს სტიპენდია თავის ყველა ეტაპზე კულტურებს შორის დიალოგის პრინციპზე იყო აგებული და ასეთ პრინციპს სტიპენდიატთა ნაშრომების ქართულ გამოცემებშიც შესატყვისი ფორმა ჰქონდა მოძებნილი. პროგრამის ფარგლებში გამოცემული ყველა წიგნი ორი ნაწილის მთლიანობა უნდა ყოფილიყო: სტიპენდიატის ნაშრომი და მასზე სხვადასხვა თაობის ქართველ კულტუროლოგთა, ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა, მწერალთა რეფლექსიები. ამას დაემატებოდა წიგნის გამოცემის მერე პრესის დისკურსი. შესაძლო შედეგები ძნელი წარმოსადგენი არ არის, არა? ერთი მცდელობა მქონდა: ფრიდრიხ ებერტის ფონდს გავუგზავნე პროექტი, რომელშიც წიგნის სტრუქტურას აღვწერდი. წიგნის ანალიტიკური ნაწილისთვის ხუთი-ექვსი ავტორის სტატია მჭირდებოდა, თითოეულისთვის კი ასი ლარი მაინც უნდა გადამეხადა. ფონდმა პასუხი არ მაღირსა, არც დადებითი და არც უარყოფითი. სხვა რა გზა იყო, უჰონორაროდ სტატიების დაწერა ვერავის ვთხოვე. ასე რომ, ვრცელი წინასიტყვა ბელამ დაწერა, მე მცირე ბოლოსიტყვა დავურთე და ასე გამოვეცი, იმ გათვლით, უფრო კი ფანტაზიით, რომ პრესაში ვინმე რამეს დაწერდა. გულახდილად რომ ვთქვა, წიგნის გამოცემის მერე მოულოდნელად ინტერესი გამიქრა ამ ყველაფრის მიმართ, ჩემი აქტივობის ჩათვლით. შეიძლება, გადავიღალე და იმიტომ.

- ეს სტიპენდია აღარ გაინტერესებდა თუ ეს წიგნი?

- არც ერთი და არც მეორე. რაღაც აპათიის მსგავსი დამემართა. როცა მე და ბელა ამ პროექტზე ვმუშაობდით, იმაზე ვფიქრობდით, ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი რას იტყოდნენ ჩვენს წამოწყებაზე, განათლების სამინისტროს უსახო მოხელეებმა კი ხელის ერთი დაკვრით ისე გაანადგუ-

რეს საქართველოზე დასაწერი ათობით წიგნი, რომ მათ ხელი ვერავინ შეუშალა. არადა, ხომ ვიცი, სიუჟეტი როგორ განვითარდება. რაღაც დროის მერე კულტურის სამინისტროში ან სადმე სხვაგან ამოყვინთავს ანალოგიური პროექტი და მის ავტორებს ვითომ გაგონილიც არ ექნებათ ამ სტიპენდიის შესახებ ან ვითომ რაღაც ყურმოკვრით სმენიათ. გააპიარებენ, როგორც ახალ და არნახულ ინიციატივას ქართულ კულტურაში, ერთი კაცის გასაკეთებელ საქმეს მათთვის სანდო ათი კაცი ჩაუდგება სათავეში, დაიანგარიშებენ შესაძლო ფინანსურ ან სხვა სახის სარგებელს, ერთ წელიწადში გასაკეთებელ საქმეს კი ათ წელიწადზე გაწელავენ. მერე სხვა ხელისუფლება მოვა, ვითომ რაღაცას შეცვლის, თავის ხალხს მოიყვანს და ასე შემდეგ. მე პერიოდულად ვატარებ ქართულ ფსიქოლოგიაზე გათვლილ აქციებს, განსაკუთრებით მიყვარს მიმბაძველებზე თამაში. მაგალითად, როცა „ავსტრიული პოეზიის" პროექტი წამოვიწყე, ისე შევფუთე, რომ ამბიციური გამომცემლები ან ჩემზე დაბოღმილი ხალხი გამეღიზიანებინა და სერიოზული ლიტერატურის ანალოგიური მთარგმნელობითი სერიების მიმართ მათი ინტერესი გამომეწვია. ჩემი მრავალტომეულის მსგავსი პროექტის წამოწყება, მაგალითად, ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, ესპანური პოეზიის მრავალტომეულების გამოცემა, სულ მცირე, საგანში გარკვეულობას და პოეზიის სიყვარულს მოითხოვს. მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა. როცა სახელმწიფო მანქანა, თანაც კულტურული და შრომითი გამოცდილების არმქონე, მოხელეების და თანამდებობის პირების მონური მორჩილებით უპირისპირდება პიროვნულ კულტურას, ის ამით ცდილობს დაამტკიცოს, რომ კულტურა უსახო, მორჩილმა, სკამის დაკარგვის შიშით მართულმა ტიპებმაც შეიძლება შექმნან. დაუკვირდით, საქართველოში თუ რამის მიმართ განსაკუთრებული აგრესია და ზიზღი აქვთ, ეს ინდივიდუალური კულტურა, პიროვნული სახე და ღირსებაა. ამ ფენომენს მტრობენ ყველა სექტორში. ყველგან საშუალობა და ინდივიდუალიზმის სუროგატებია.

- მე წამიკითხავს ინდივიდუალიზმის კრიტიკა. თანამედროვე ფილოსოფიაში ბევრს ლაპარაკობენ ინდივიდუალიზმის კრიზისზე. ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის.

- კარგი, რა! სასაცილოა ეს ყველაფერი! ეს სულ სხვა თემაა და არ მინდა ამაზე კამათი. ინდივიდუალიზმი არც ყოველ კუთხეში მოიპოვება და არც ისე იოლად გასაკრიტიკებელი ან წარმოებადია, როგორც აზროვნების მოხალისეებს ჰგონიათ. დავანებოთ ამას თავი. რას წამოსწევენ წინ დღევანდელ საქართველოში? ყველაფერს ფოლკლორულს, სახალხოს, ბალაგანურს, მდარე კულტურიდან დიდ კულტურამდე დიაპაზონში მოქცე-

ულს, ოღონდ – ხალხურს. მხოლოდ ხალხური კულტურა და მისი მოდიფიკაციებია სანდო და უსაფრთხო. მე, როგორც მწერალს, სულ სხვა ინტერესი მაქვს. მე სწორედ ეს უტიფრობა და მისი გამოვლენის ფორმები მაინტერესებს, ანუ როცა ვიღაც მართლა იჯერებს, რომ მოხელეობით, უსახობით შეიძლება კულტურული კოდები შეიქმნას და გაძლიერდეს. თუმცა, ამ დროს სურათი არც ისეთი უწყინარია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ინსტიტუციებში და საჯარო სამსახურებში მოფუსფუსე კულტურის ექსპერტ-ნახევარინტელექტუალებსაც პირადი საზრუნავი აქვთ. დროთა განმავლობაში მათი ერთი შეხედვით უწყინარი აგრესია ყოველთვის გადაიზრდება ხოლმე აგრესიულ მავნებლობაში, ეს საერთოდაც მავნებლობის დიალექტიკის ანა-ბანაა. მათ კულტურის პოლიტიკის საკითხებზე უფრო მეტად აწუხებთ ძლიერი ინდივიდუალური დინებების სტანდარტიზების, ნიველირების, უსახო პროცესებამდე მათი რედუცირების ვნება. ისინი ყოველთვის მზად არიან, კულტურის მხარეზე იყონ, ოღონდ – უპიროვნო, არაინდივიდუალური კულტურის. პოსტსაბჭოთა საქართველოში ერთმანეთის მონაცვლე ყველა რეჟიმის ქაოსური კულტურპოლიტიკა, დღევანდელის ჩათვლით, ასეთ რედუქციონისტებს ეყრდნობოდა და ეყრდნობა. მათი ძირითადი ნიშანი არტისტული ენერგიის არქონა, პროფესიული ზედაპირულობა და, არც თუ იშვიათად, ერთ დროს ხელოვნებაში პირადი ხელმოცარულობაა. ამიტომ, როცა ისინი არა მხოლოდ თავიანთი ეკონომიური კეთილდღეობის შენარჩუნებას ახერხებენ, არამედ სახელოვნებო პოლიტიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობაც ეძლევათ, ცდილობენ, მათი გავლენის არეალის შესატყვისად, გაუსწორდნენ ქართულ სახელოვნებო სივრცეში წარმოქმნილ ინდივიდუალურ და არასტანდარტულ დინებებსა და პიროვნებებს. ასეთი მოხელეების ერთ ნაწილს ყველა რეჟიმი უფრთხილდება და გვერდიდან არ იშორებს. არ შემშლია: ისინი კი არ ერგებიან ყოველ ახალ რეჟიმს, როგორც მცდარად ფიქრობს ძალიან ბევრი, არამედ სწორედ კულტურის ასეთ „ექსპერტებთან" თანამშრომლობენ დღემდე ურთიერთმონაცვლე რეჟიმები. მიზეზი უკვე დავასახელე: დღემდე საქართველოში მოქმედი არც ერთი რეჟიმი, დღევანდელის ჩათვლით, კულტურის ინდივიდუაციის მომხრე არ ყოფილა, დღევანდელი რეჟიმიც კულტურას სახალხო ხელოვნებაში, ფოლკლორში აკავებს, ასეთ ექსპერტებთან და მრჩევლებთან ურთიერთობაში კი მოულოდნელობები და ახალი სირთულეები გამორიცხულია, მათი ფსიქოლოგიური ჰაბიტუსი და ინტელექტუალური ბაზა ნორმირებული და უსაფრთხოა. ასეთი უსახური და საკუთარი საშუალოობით გაბოროტებული ადამიანებით არის შევსებული ის ადგილები, სადაც ყოველ-

დღიურად იგეგმება ქართული კულტურის უძრაობა ანუ იბლოკება კულტურა.

- და შენ პირადად რაში ხედავ შენივე მიერ აღწერილი სიტუაციიდან გამოსავალს?

- რა თქმა უნდა, პასუხი არ მაქვს. მე გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ ჩემს თავს არ ვუღალატო და განვაგრძო ისე ცხოვრება და მუშაობა, როგორც ამას დღემდე ვაკეთებ. ეს გმირის ან ვინმე ასეთის კი არა, უკიდურესად პრაგმატული ადამიანის პასუხია. უბრალოდ, ეს პირწმინდად შემოქმედებითი პრაგმატიზმია, ძალიან რთულ პირადულ გამოცდილებებთან, ტრავმებთან, სტრესებთან, სიხარულებთან და იმედებთან გადახლართული, და ვისაც ასეთი გამოცდილება არა აქვს, იმათთვის ყოველთვის უცხო ვიქნები. ჩემთვისაც ყოველთვის უცხო იქნება ის, ვინც მავნებლობს, და თავისი არარაობის დასაცავად ხელს უშლის იმას, ვინც ირგვლივ არარაობის შესამცირებლად შრომობს. ასეთი ურთიერთდამოკიდებულებები არ იცვლება არსად და არასდროს. უბრალოდ, ამ ორმა მხარემ ერთმანეთს უნდა გაუგოს. სულ ეს არის. ხოლო თუ სახელმწიფო ელემენტარულ კულტურულ გამოცდილებას ეყრდნობა, ის მხარს არ დაუჭერს ისეთ რეალობას, როგორსაც, მაგალითად, ადგილი აქვს საქართველოში თუნდაც საკადრო პოლიტიკის მიმართულებით, თუნდაც პრიორიტეტების კულტურის შემუშავების მიმართულებით. მე მოკლე თუ გრძელვადიანი მედია-მანიპულაციების მსხვერპლთა რიცხვს არ განვეკუთვნები, მაგრამ რისი ანალიზის საშუალებაც მაქვს, იმის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ საქართველოში მმართველთა პოლიტიკა კერძო ბიზნესია და მეტიც არაფერი. საერთოდ, აღმოსავლური ტიპის დახურულ რეჟიმებს არც ადამიანი და არც ინდივიდუალური აქტივობები არ აინტერესებთ, მათთვის მთავარია, ხელი არავინ შეუშალოს, მოაზროვნე და შემოქმედებითი ადამიანები კი კურტნის მუშებად ჰყავდეთ გადაქცეული. ის მწირი ინფორმაციაც რომ ვერ აღწევდეს ჩემამდე, რომელიც აღწევს, ჩემი გადმოსახედიდან მაინც ჩინებულად გამოჩნდებოდა არსებული რეალობა. ვგულისხმობ იმ ადგილს, სადაც მე ვდგავარ. უბრალოდ, მე არც რევოლუციონერი ვარ და არც ინტელიგენტი ძველი ბიჭი. და არც იმისთვის ვიბრძოლებ ოდესმე, რომ საქართველოს მერაბ მამარდაშვილი ან აკაკი ბაქრაძე მართავდეს. ინტელექტუალის, მოაზროვნის, შემოქმედის ადგილი აღმოსავლეთში ყოველთვის უმცირესობაშია, დასავლეთში კი – სახელმწიფოსთან დადებულ განსაკუთრებულ, თუმცა კი დაუწერელ შეთანხმებაში, რომლის მიღწევასაც წარსულის სახით ძველი საბერძნეთი და ძველი რომი სჭირდება, ჩვენ კი არც ერთის მემკვიდრე ვართ და არც მეორის.

ამიტომაც მოხდა, რომ გამსახურდიას რეჟიმი არა მხოლოდ ძალადობით დაემხო, არამედ – ინტელიგენტების ხელით; ამიტომაც მოხდა, რომ შევარდნაძის დაისისთვის ყველა, ვინც მისი პრეზიდენტობით იხეირა, მომავალი კეთილდღეობისთვის მოემზადა და მისი ოპოზიციონერი გახდა; ამიტომაც აუჯანყდება სააკაშვილს ყველა, ვინც მისი პრეზიდენტობით იხეირა, ახლა კი მომავალი კეთილდღეობისთვის ემზადება, სააკაშვილს კი ბოლოს მხოლოდ ერთი-ორი ერთგული ადამიანი და რამდენიმე მიჩენილი შტირლიცი შემორჩება. ეს პროცესი უკვე დაიწყო. ეს ყველაფერი ბიზნესია, სხვა არაფერი. როცა საპყრობილე კარგად დაცულია და ამბოხი მოსალოდნელი არ არის, სასჯელაღსრულებითი ორგანოები ტუსაღთა დაუწერელ კანონებში არ ერევიან და პატიმრები თავად წყვეტენ, როგორ გადაინაწილონ ციხის შიგნით გავლენის სფეროები. ციხის უფროსები კი გამარჯვებულებთან თანამშრომლობენ და გავლენების მორიგ გადანაწილებამდე ყველა კმაყოფილია. მგონი, შორს წავედით.

- შენ თქვი, რომ სტიპენდიატებისთვის მათ ქვეყანაში საგამომცემლო კონტრაქტის დადება სასურველი, მაგრამ არააუცილებელი პირობა იყო სტიპენდიის მისაღებად. ხომ შეიძლებოდა, მომხდარიყო, რომ სტიპენდიატს წიგნი დაეწერა და მის ენაზე არ გამოცემულიყო?

- რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. ასეთი შემთხვევებისგან არავინ არის დაზღვეული, მაგრამ ვისთვისაც დასავლეთის ლიტერატურული ცხოვრება ასე თუ ისე ცნობილია, ისიც იცის, თუ რას ნიშნავს ევროპელი მწერლისთვის წიგნის ავტორობა და დაწერილი წიგნის გამოცემაზე ზრუნვა. იქ წიგნს კი არა, ხელისგულისოდენა სადღიურო ჩანაწერს არ გააკეთებს მწერალი ტყუილუბრალოდ ან სანაგვეზე მოსასროლად. რა თქმა უნდა, როცა ადამიანი ასეთი სტიპენდიის ორგანიზებას ჰკიდებს ხელს, ყველა ნიუანსის, ყველა კონცეპტუალური დეტალის გათვლა უწევს. განსაკუთრებით ეხება ეს შესაძლო შედეგებს. ამ სტიპენდიის შესაძლო შედეგები კი ისეთ კულტურულ დიაპაზონს მოიცავდა, რომ გული მიკვდება, როცა დაკარგულ პერსპექტივაზე ვფიქრობ. მარტო ლიტერატურულ გარემოში წარმოქმნილი დაძაბულობის ხარისხი წარმოიდგინე, რომელსაც ქართველ მწერლებთან სტიპენდიატების ცოცხალი ურთიერთობა შექმნიდა, შემოქმედებითი დიალოგი, ინტენსიური ლიტერატურული კომუნიკაცია, ინტერკულტურული დიალოგებისთვის დამახასიათებელი ყველა შედეგით. მერე – ამ გამოცდილების ასახვა უცხოელი მწერლების ტექსტებში, ქართველი მწერლების გამოცდილებაში. და, რაც არსებითია, მოტივაციები, მოტივაციები და კიდევ ერთხელ მოტივაციები, ენების შესწავლის მოთხოვნილებით დაწყებული და ლიტერატურული კომუნიკაციის ყველა შე-

საძლო მიმართულებით დასახსრული. უამრავი შანსი კერძო წამოწყებებისთვის, ჯგუფური პროექტებისთვის. კურიოზული ქართული მითოლოგიების მსხვრევა, ინტერსუბიექტური ბარიერების გადალახვის სიმსუბუქე, ახალგაზრდა თაობის მოკალმეთა ლიტერატურული და პიროვნული კულტურის სწრაფი ზრდა... და, რაც იქნებ ყველაზე არსებითია, ჩვენში ხომ არ არსებობს თანამედროვე კონტექსტის შეგრძნების კულტურა. ვინც ამ კონტექსტს გრძნობს, მას ის სხვისთვის არ ემეტება, ურჩევნია სწორედ ეს გამოარჩევდეს სხვებისგან. ყველა ამ იდიოტიზმის დამარცხებაზე ოცნებით იქმნებოდა ეს სტიპენდია. მარტო გასული საუკუნის დასაწყისის თბილისური ლიტერატურული გარემოს გახსენება და თუნდაც ბნელ საბჭოთა წლებში ქართველი და რუსი პოეტების ურთიერთობის რომანტიზმში ჩაღრმავება საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა შედეგები მიიღება ასეთი გახსნილობით. როცა პატარა და, მით უმეტეს, ღარიბ ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს ნება არსებობს, პროცესები ერთიადათ ჩქარდება.

- კულტურის სამინისტრო რატომ არ დაინტერესდა? კაცმა რომ თქვას, ეს იდეა კულტურის სამინისტროში ოცი წლის წინ მაინც უნდა გაჩენილიყო.

- შეიძლება, ამ შეკითხვის პასუხად ერთი ისტორია გავიხსენო? თემას არ მოვწყდები, პასუხსაც ამ მონაყოლით მიიღებ. დაახლოებით სამი წლის წინ, მხოლოდ ჩვენი სამწერლო კრიტიკის კონტექსტის კრიტიკით რომ არ შემოვფარგლულიყავი, ჩამოვაყალიბე ქართული ლიტერატურული სისტემის შექმნის, პრაქტიკულად კი ჩიხიდან სიტუაციის გამოყვანის ჩემეული ხედვა, ამ ხედვის საფუძველზე კი მოვხაზე კონკრეტული სამოქმედო გეგმა. მინდოდა, გეგმა სწორედ კულტურის სამინისტროსთვის განსახილველად წარმედგინა და თუ დაინტერესდებოდნენ, საფუძვლიანი პროექტის მომზადებასაც არ დავაყოვნებდი. ცხადია, თუ გეგმას მოიწონებდნენ და პროექტი მისაღები იქნებოდა, მადლობას არ დავჯერდებოდი და სამინისტროს შევთავაზებდი, რომ ჩემი პროექტის განხორციელებას თავად ჩავდგომოდი სათავეში და თავად დამეკომპლექტებინა რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელიც შესაძლებლობას მომცემდა, უმცირეს დროში ქართული მწერლობა თანამედროვე ევროპული ლიტერატურული ცხოვრების სრულფასოვანი ნაწილი გამხდარიყო. მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, რა ტიპის და განვითარების ექსპერტები დასტრიალებენ სამინისტროს თავს. უბრალოდ, ვხედავ, რომ მათგან სიკეთე არ იქნება. რომც შეძლონ მათ რაღაცის გაკეთება, მე მაქვს ამბიცია, რომ მათ გასაკეთებელსაც გავაკეთებ ათჯერ უფრო მცირე დროში და ათჯერ მცირე დანახარ-

ჯის ფასად, ასჯერ უფრო ხარისხიანად და სისტემურად და არც გორგასლის პირველი ხარისხის ორდენს მოვითხოვ ამისთვის. მოკლედ, სამინისტროს ხომ უნდა გამენდო ჩემი პროგრამა? ჰოდა, მეც მივედი და მინისტრთან მიღებაზე ჩავეწერე, კვირაში ერთხელ ჰქონდა მოქალაქეების მიღების დღე. ეს ხდება 2007 წლის დეკემბერში. მდივანმა ჩაიწერა ჩემი ტელეფონის ნომრები, სახლის, სამსახურის, მობილური. შემპირდა, რომ დამიკავშირდებოდა. გახარებული წამოვედი, მაგრამ არავინ დამკავშირებია არც მომდევნო კვირაში და არც იმის მერე. მაგრამ რაკი სპორტული ინტერესი გამიჩნდა, მინდოდა ექსპერიმენტი ლოგიკურ დასასრულამდე მისულიყო და ორ კვირაში ერთხელ მაინც რეგულარულად ვახსენებდი თავს მდივანს. როდის-როდის, 2008 წლის ივლისში, აგვისტოს ომამდე რამდენიმე კვირით ადრე, ნანატრი შეხვედრა შედგა, ოღონდ – მინისტრის მოადგილესთან. მართლაც სასიამოვნო საუბარი გვქონდა. განათლების სამინისტროდან კულტურის სამინისტროში სტიპენდიის გადატანა და მისი ასე გადარჩენაც შევთავაზე და ქართული სალიტერატურო კოსმოსის მოწყობის ჩემეული გეგმაც გავუზიარე. კარგად მახსოვს ერთი მომენტი: ახალი დანიშნული ყოფილა და ყველაზე დიდი შოკი მისთვის ის აღმოჩენილა, რომ სამინისტროს არც გარდასულ და არც აქტუალურ ხელმძღვანელობას არათუ რაციონალური ან არარაციონალური, არამედ საერთოდ არავითარი კონცეპცია და სამოქმედო გეგმა არ გააჩნდა. ასე იყო თუ ისე, შემპირდა, რომ გაეცნობოდა სტიპენდია "მუზა-საქართველოს" ვებგვერდს და ჩემს გეგმასთან დაკავშირებითაც შემეხმიანებოდა. მაგრამ მთავარი ახლა უნდა გითხრა. ერთ საღამოს, ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის მერე, ვსხედვართ სამინისტროში მე და სიმონ ჯანაშია და სამსახურებრივ საკითხებზე მსჯელობის მერე საუბარი ჩვენს უკუღმართ სამწერლო ურთიერთობებსაც ეხება. არაფერი იცის კულტურის სამინისტროს ფრონტზე ჩემი აქტივობის შესახებ. მოკლედ ვუზიარებ კრიზისის გადალახვის ჩემეულ გეგმას, სიკო კი მთავაზობს, ჩემს შეხედულებებს პროექტის სახე მივცე და კულტურის სამინისტროს გავაცნო. და აი, აქ მეუბნება იმას, რაც აიწონის და გადაწონის ყველა ქართული სამინისტროს ყველა სამოქმედო გეგმას, ერთად აღებულს: იცი, მე როგორ აღმოვჩნდი განათლების სამინისტროშიო? ქელეხში თუ სადღაც ასეთ ადგილას ვიყავი ერთხელ და განათლების სისტემის ჩემეულ ხედვაზე ვლაპარაკობდიო; ვიღაცამ გიგი თევზაძეს მიუტანა ამბავი, გიგი კი მაშინ სამინისტროში მუშაობდა, თვითონ მომძებნა, გამიცნო და ჩემი შეხედულებები რომ მოისმინა, საგანმანათლებლო პროექტზე მუშაობა შემომთავაზაო. მოკლედ, ვზივარ, ვუსმენ და ვფიქრობ: ღმერთო ჩემო, მომდევნო ას წელიწადში კიდევ

რამდენია იმის შანსი, რომ აი, ასე, ნათესაური და მამა-შვილური გადაძახილების მიღმა, მხოლოდ იდეის სიყვარულით, რომელიმე გიგი თევზაძემ რომელიმე სიმონ ჯანაშია მოძებნოს და ქართულმა კულტურამ კიდევ ერთხელ მოიგოს მეთქი. ძირითადად ხომ ყველაფერი პირიქით ხდება.

- პირიქით?

- დიახ, იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფო დაინტერესებული იყოს კულტურის პოლიტიკაში იმ ადამიანების ჩართვით, რომლებსაც ძლიერი იდეებიც აქვთ და ამ იდეების რეალიზების ძალაც შესწევთ, იგი ასეთ ადამიანებს ან ბლოკავს ან უვარგისი ადამიანებით ანაცვლებს, რომლებითაც გავსებულია შესაბამისი ინსტიტუციები. კულტურის ქმნადობის ქართული მოდელი ასეთია: არსებობს ორი მთავარი ფენა, პატრონიანი და უპატრონო ადამიანები. პატრონიანი ადამიანები განაგებენ სტრუქტურებს, უპატრონო ადამიანები კი კურტნის მუშებად ჰყავთ გადაქცეული. პირველები მართავენ, თანაც მეორე ფენას საზოგადოებრივი აზრის შემქმნელთა ძალიან სახალისო კლასში აერთიანებენ. ეს საპატიო მისიაა. შენ დღე და ღამ მუშაობ, ქმნი, ვიღაცეებს აძლიერებ, კულტურის გახსნილობას უზრუნველყოფ, მაგრამ განწირული ხარ საიმისოდ, რომ არასდროს მოგეცეს კულტურის პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება, რადგან არც პატრონი გყავს, არც გინდა პატრონი, და არც ხელისუფლების მიერ გახსნილ მონათა ბაზარზე დგახარ. მე არ ვფიქრობ, რომ ამაში ახლანდელი ხელისუფლებაა დამნაშავე. ამ ყველაფერს უფრო ღრმა ფესვები და ტრადიცია აქვს. ამჟამად მხოლოდ ეს ძველი ტრადიცია გრძელდება და მეტიც არაფერი. ეს კულტურა ჩაკეტილია მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკისგან თავისუფალ პროფესიონალებს აქ გასაქანს არავინ აძლევს.

- მწერლობაშიც იგივე ხდება? ეს ბოლო შეკითხვაა. ბოლოსდაბოლოს, როგორც მწერალს, ხომ უნდა გკითხო რაღაც.

- რა თქმა უნდა, იგივე ხდება! ოღონდ მწერლობაში უფრო სპეციფიკური სურათია. ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მე ვფიქრობ, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ჩახედული ადამიანების მხოლოდ უმცირესი ნაწილი აცნობიერებს ამ დარგში არსებული სიტუაციის მთელ სიმძიმეს, განსაკუთრებით ფილოლოგების აქტივობით გამოწვეულს. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმ კატასტროფის წარმოსადგენად, რომელიც პერსპექტივას სრულ უნუგეშობაში ძირავს. უცოდინრობის და პროფესიული უვარგისობის შედეგად მიღებული ვითარება ერთია, ხოლო მეორეა ის ჰარმონია, რომელიც ამ „სპეციალისტების" უვიცობასა და მათსავე უზნეობას შორის სუფევს. ეს ადამიანები, როგორც წესი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები არიან, კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა

კომერციულ თუ არაკომერციულ უმაღლეს სასწავლებელში, დაძვრებიან რედაქციიდან რედაქციაში და იმ ნაგავს, რომელიც თავიანთი „სამეცნიერო მოღვაწეობით" შექმნეს, ახლა პედაგოგიკაში და ჟურნალისტიკაში წარმოებული ნაგვითაც ამდიდრებენ. მე ფიქრიც კი მზარავს იმ შედეგებზე, რომლებიც მწერლობაში თავიანთი საშუალოობით და უნიჭობით გამორჩეული ასეთი ვითომდა უწყინარი ადამიანების მიერ შექმნილი ნაგვით მიიღება. მარტო უვიცობით გამოწვეული აღრევები და შეგნებული მანიპულაციები, სასურველი სახელების გაფუება და არასასურველი სახელების დამცრობა რა შედეგს გამოიღებს! ერთმა დოქტორმა, რომელიც სულ ახლახანს ქართულ პოეზიას "მოდერნიზმით, პოსტმოდერნიზმით, ფსევდოღირებულებებით დატყვევებულს" და "არასამთავრობოს" უწოდებდა, "ტექსტთა კონსტრუქციების" ნაცვლად კი "ქება უბრალოებისა" სურდა, უტიფრობის ყველა რეკორდი მოხსნა, მაინცდამაინც კარლო კაჭარავას პოეზიის ანალიზი გამოაცხო და ასე იძია შური მასზე და მის თაობაზე; არადა, მისი მხრიდან ეს იგივე იყო, პირველკლასელს ბირთვულ ფიზიკაში შექმნილ მონოგრაფიაზე რეცენზია რომ დაეწერა. მეორე დოქტორი, რომელსაც რეზო მიშველაძის ერთი უბადრუკი სახელმძღვანელო ლიტერატურათმცოდნეობის ბიბლიად მიაჩნდა, წამყვან უნივერსიტეტში ქართული ლიტერატურის პროფესორი გახდა. მარტო მსგავსი პროფესორი ოცდაათი ვიცი. არანაკლები პრობლემაა წიგნიერი, მაგრამ წმინდა წყლის ავანტიურისტების მიერ შექმნილი ახალი მითები და ყველა თაობის იმ მწერლების მიერ თავის მოქაჩლება, რომლებზეც ეს მითები იქმნება. გავა დრო და თუ ოდესმე ჩვენში ლიტერატურული ცხოვრების ნიშნები გაჩნდება და არა მხოლოდ წიგნიერი, არამედ განათლებული მწერლები და ლიტერატურის სიყვარულით ჩამოყალიბებული ძლიერი კრიტიკოსები ეღირსება, ყველაზე დიდი პრობლემა მომდევნო თაობის საუკეთესო გონებებისთვის ამ ნაგვის გატანა გახდება, ეს კი მათი დროისა და ნერვების წარმოუდგენელ ხარჯვასთან იქნება დაკავშირებული. გადახედეთ აკაკი ბაქრაძის შრომების იმ ნაწილს, რომელშიც უნიჭობით, მავნებლობით, მზაკვრობით, საშუალოობით აღბეჭდილი ტექსტებია თემატიზებული და შეფასებული. ასეთი ტექსტების უმრავლესობა დრო-ჟამის მიერ უკვე სანაგვეზე იყო გადაყრილი, როცა აკაკი ბაქრაძე მათ კითხულობდა და აანალიზებდა. მხოლოდ კულტურის კანონზომიერებებში გარკვეულმა ადამიანებმა იციან, თუ რატომ უთმობდა ის ქართულ ნაგავს ამდენ დროს და ენერგიას. ფილოსოფიაში მარტივი არითმეტიკაა, რომ პროდუქცია, რომელიც სანაგვეზე არა აზრის, არამედ დროის მიერ მოისროლება, ყოველთვის საშიშია იმიტომ, რომ, საუკეთესო შემთხვევაში, დაკავშირებულია ადრე

თუ გვიან ამ ნაგვისგან ადგილის გაწმენდის მიზნით ინტელექტუალების ძვირფასი დროისა და ენერგიის ფლანგვასთან. როცა აკაკი ბაქრაძე მარტოდმარტო, საკუთარი ძალებით, ცდილობდა დროის მიერ გადაყრილი ნაგვის თემატიზებას და გონების ცხრილში მის გატარებას, იგი სწორედ მომავალი თაობის ინტელექტუალებს უზოგავდა დროს და ენერგიას. მეეჭვება, დღეს ჩვენს სამწერლო გარემოში, კარლო კაჭარავაზე შურისმაძიებელი პირველკლასელებით და არაკეთილშობილური მითების მთხზველი ნიჭიერი მეათეკლასელებითაც რომ არ შემოვიფარგლოთ, ასეთი უნუგეშო პერსპექტივა ბევრს უბიძგებდეს ჯერ ჩაფიქრებისკენ, მერე კი სათანადო ქმედებისკენ.

ინტერვიუ მოამზადა მაკა კალაძემ
თბილისი, 27.01.2010

პასუხები პრესის კითხვარებზე

როგორია თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა?

საქართველოში (უფრო ზუსტად – მით უმეტეს საქართველოში) თაობების ის ღირებულებები, რომლებიც საერთოა, ან რომლებზეც აქცენტს აკეთებენ ესა თუ ის თაობები, როგორც წესი, გამომუშავდება არა შინაგანი, არამედ გარე ძალების კარნახით, არა 10-20 წლის, არამედ საუკუნეების მანძილზე. საუბარი იმაზე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა, რასაც შეუძლია ქართული ცნობიერების გენერალური ხაზის შეცვლა, სწორად არ მიმაჩნია. თუ უფრო სერიოზულები ვიქნებით, ვიდრე ამას პრესა ან აგიტაცია-პროპაგანდის სხვა საშუალებები მოითხოვს, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ ცნობიერებაში ბევრი არაფერი შეცვლილა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რაღაც შეიცვალოს ადამიანის გონებაში: ვინც წინა ღამეს წიგნს წაიკითხავს, მან მეორე დღიდან შეიძლება "სხვანაირად" დაიწყოს ფიქრი. სინამდვილეში, ეს იქნება არა ამ ადამიანის გონებაში მომხდარი ცვლილების შედეგი, არამედ წიგნით მიღებული შთაბეჭდილება. წაკითხულმა წიგნმა არ შეიძლება შეცვალოს ადამიანის ცნობიერება. ეს პროცესი ასეთი ნახტომებით არ მიმდინარეობს. ეს შედარება იმიტომ მოვიშველიე, რომ ქართული ცნობიერების განვითარებაში ადგილი აქვს იმავე პროცესს. საქმე ის არის, რომ ამას ემატება სხვა სამწუხარო ტენდენციაც: როგორც წესი, თუ კითხვის კულტურა დაბალია, მის ამაღლებასა და გამომუშავებაზე არავის უზრუნია, რა თქმა უნდა, არც წიგნის მაღალ დონეზე წაკითხვასთან გვექნება საქმე. საერთოდ, რომელი ღირებულებების გადაფასებაზე შეიძლება საუბარი იქ, სადაც, ფაქტობრივად, ვერავინ იტყვის გარკვევით, რა ღირებულებებს ვემსახურებით, რა ღირებულებებს ემსახურებოდა ესა თუ ის თაობა, დავუშვათ, ბოლო 200 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ამ გაურკვევლობის პირდაპირი შედეგი იყო ის, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ხდება. შესაძლოა, ამის მიზეზი დავინახოთ ქართული ინტელექტუალური აზრის არარსებობაში. თითქოს არსებობენ ინტელექტუალები, მაგრამ ინტელექტუალური კულტურა არ არსებობს. აზროვნების კულტურა არ ნიშნავს ცალკეული ინტელექტუალების არსებობას. ეს არის ინტელექტუალური აზრის გამომუშავების ხანგრძლივი პროცესი. მაგრამ არის უფრო ღრმა, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ასპექტი: ეს არის, საერთოდ, კულტურულ ტრადიციასთან, ნებისმიერი ტიპის კულტურულობასთან პიროვნებისა და საზოგადოების დამოკიდებულების როგორობა(ფორმა), რომლის საფუძველსაც ქმნის პიროვნების ნონკონფორმულობის, უბრალოდ, მისი კულტურული ავტონომიურობის

ხარისხი. მე, როგორც მწერალმა, შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ერთი ისეთი მწერალიც კი (ამ შემთხვევაში, მე ვგულისხმობ ნიჭიერ და თუნდაც უაღრესად ნიჭიერ მწერლებს, როგორც ძველი, ისე საშუალო და ახალი თაობის წარმომადგენლებს), რომელიც არ იქნებოდა კონფორმისტი. მთელი თანამედროვე სამწერლო ძალები კონფორმიზმის ჭაობშია ჩაძირული. (უბედურება კონფორმისტად ყოფნა კი არ არის, არამედ ნონკონფორმიზმის სახელით კონფორმისტული ცხოვრება. ჩემი თაობის მწერლებში ერთადერთი ადამიანი, რომელიც გადაურჩა კონფორმიზმს და საერთოდაც, ცხოვრებასა და შემოქმედებაში სიცრუესა და ფარისევლობას, არის დავით ჩიხლაძე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ის ახლა ფიზიკურად შორს არის აქედან, ამერიკაშია. ეს არის იშვიათი გამონაკლისი, როცა ესთეტიკურადაც და ცხოვრების წესითაც ადამიანი ნიჭიერია. ამ ნიჭის გარკვეული შედეგების სიკეთე, ასე თუ ისე, უკვე აირეკლა ქართულ ხელოვნებაში).

საერთოდ, ინტელექტუალური კულტურის და, პირველ რიგში, სწორედ, სამწერლო კულტურის შინაარსი ზუსტდება იმ პოლიტიკურ და კულტურულ რეჟიმთან ურთიერთობით, რომელშიც უწევთ ცხოვრება ამ ძალებს. აქ საუბარია არა კონფორმიზმის ან ნონკონფორმიზმის შეფასებაზე, მის სიკარგე-სიცუდეზე, არამედ საუბარია იმაზე, რამდენად სწორად აცნობიერებს ადამიანი თავის ადგილს კულტურაში, ადგილს ამა თუ იმ რეჟიმთან მიმართებაში. ჩვენს საზოგადოებაში კი გონებრივი შრომით დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც, უბრალოდ, მოეთხოვებათ პერმანენტულად თავიანთი ურთიერთობის გარკვევა არსებულ რეჟიმთან, როგორც წესი, თავსაც იტყუებენ და ერთმანეთსაც ატყუებენ, რასაც ჩვენთან პოლიტიკური კულტურის მაღალი ხარისხი ჰქვია.

უფრო მეტიც: შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანები, საერთოდაც, პოლიტიკოსებად იბადებიან. ეს ეხება, ძირითადად, იმ ადამიანებს, რომელთაც ურთიერთობა აქვთ რეჟიმთან და იდეოლოგიასთან. რა თქმა უნდა, იოლია, მაგალითად, სპინოზას ფილოსოფიაზე საყველპურო საუბარი, მაგრამ უაღრესად ძნელია ასეთი საუბრისგან თავშეკავება და თუნდაც ზედაპირულად გაცნობიერება იმ სპინოზას ცხოვრების წესისა, რომელიც ებრაულმა კანონმა მოიკვეთა (სპინოზა, იმისთვის, რომ ეაზროვნა, მთელი ცხოვრება ოპტიკურ ლინზებს ამზადებდა). იოლია ეზრა პაუნდის, სელინის, მუზილის შემოქმედებაზე სნობური საუბრები და ამით გონებაჩლუნგი ქართველი მკითხველისა და მსმენელის დატყვევება, კარიერის კეთება, შესაბამისად კი, სულ მცირე, ოჯახის, მშობლების, შვილების მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ვფიქრობ, ეს საკითხები

გაცილებით მეტი ყურადღების მიქცევას მოითხოვს, ვიდრე, მათთვის გვერდის ავლით, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებზე საუბარი. სწორედ, ამ საკითხებისთვის ჩვენს მიერ საკმაოდ კარგად რაციონალიზებული თავის არიდება უზრუნველყოფს მარადიულ ღირებულებებთან ჩვენს პერმანენტულ დაშორებას. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ არის, რომ ამდენი პოლიტიკოსი გვყავს ინტელექტუალური ცხოვრების ყველა ფრონტზე (ისინი, შეიძლება ითქვას, არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები, ისევე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის მებრძოლი უამრავი ადამიანი ხასიათდებოდა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერი და ეს იყო მათი ბიოგრაფიის მთავარი ელემენტი. რა თქმა უნდა, სილამაზით არ გამოირჩევა ასეთი ცხოვრება – პროფესიონალ პოლიტიკოსად ყოფნა სრული არაპროფესიონალიზმის ხარჯზე, მაგრამ ამას აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: უზრუნველყოფს როგორც ამ ადამიანის, ისე მისი მოკეთეების ფიზიკურ არსებობას). და მათ, როგორც პოლიტიკოსებს, ძალიან კარგად ესმით ერთმანეთის და აძლიერებენ კიდეც ერთმანეთის მაღალ პოლიტიკურ კულტურას. ჩემი აზრით, სწორედ ასეთი ინტელექტუალების გამოცდის ასპარეზად შეიძლებოდა ქცეულიყო ჩვენი ისტორიის ბოლო ათწლეული. სწორედ აქ გამოჩნდა, მაგალითად, რისთვის იბრძოდნენ და რა არ აკმაყოფილებდათ ქართველ ე. წ. კულტურისა და საზოგადო მოღვაწეებს გამსახურდიას რეჟიმისგან. მათი მაშინდელი ოპოზიციონრობის გახმოვანებული მოტივები არანაირად არ თანხვდება მათი ცხოვრებისა და აზროვნების იმ ფორმებს, რომლებითაც ისინი დღეს ხასიათდებიან. როგორც ჩანს, მათთვის პრინციპული მნიშვნელობის იყო მხოლოდ მათი მცირე ამბიციების უზრუნველყოფა. მე არ ვფიქრობ, რომ მათთვის მართლა პრინციპული მნიშვნელობის შეიძლებოდა ყოფილიყო ბრძოლა ამა თუ იმ მაღალი ღირებულების დასამკვიდრებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ამ აზრს არ გავიზიარებთ, პირდაპირ უნდა შევადაროთ ერთმანეთს მათი მაშინდელი გონებრივი და ფიზიკური აქტივობა მათ დღევანდელ ფიზიკურ და გონებრივ აქტივობას. პირადად ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, ვისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კულტურაში ამა თუ იმ ადგილის მოპოვებისა და დაცვის საკითხს, მთლიანობაში კი პიროვნული კულტურული ავტონომიისთვის ბრძოლისა და ამ ავტონომიის პერმანენტული შენარჩუნების საკითხს, ეს პრობლემა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ: ჩვენი ინტელექტუალური საზოგადოება არის იმ კონფორმისტების საზოგადოება, რომლებიც შეიძლება შეუმდგარ ნონკონფორმისტებადაც მოვიხსენიოთ. სწორედ მათი შინაგანი სურვილი, რომ იყვნენ დაცული ნონკონფორმისტები, ამ ნონკონფორ-

მიზმთან მათი ცხოვრების წესის იდენტიფიცირების "პოლიტიკა" პერმანენტულად გადაავადებს, საერთოდ, მათ კულტურულ გარკვეულობას და ამა თუ იმ პერიოდში ჩვენს ფარგლებს გარეთ არსებული მოდური აქცენტების დევნას აიძულებს.

ვფიქრობ, ერთადერთი, მკაფიოდ გამოკვეთილი და ისტორიულადაც კარგად ნაწრთობი "მაღალი" ღირებულება, რომლისთვისაც არ უღალატია ქართულ ცნობიერებას, არის ქურდობა და ნაქურდალის მითვისების კულტურის საკმაოდ მაღალი დონე (ეს თანაბრად ეხება შავ სამყაროსაც და მოკალმეთა სამყაროსაც).

მაისი, 2001

XX საუკუნის ჯვაროსნები

ჩვენი დრო ცნობილია არა მხოლოდ ადამიანური ემოციების მართვის სრულყოფილი ტექნოლოგიებით, არამედ ადამიანის მიერ სიმართლის გაგების და ამოკითხვის ბუნებრივი მოთხოვნილების მართვის სრულყოფილი ტექნოლოგიებითაც. ამერიკის სავაჭრო ცენტრში დატრიალებული უბედურება მასშტაბით თუ არა, შინაარსით მაინც იმ საშინელებათა რიგიდანაა, რაც გერმანელებმა ჩაიდინეს მეორე მსოფლიო ომის დროს, რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს ნაჰასაკსა და ჰიროსიმაზე, რაც რუსებმა ჩაიდინეს ჩეხეთში, რაც ამერიკელებმა ჩაიდინეს ვიეტნამში და ა. შ. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. როცა მსგავსი უბედურება ხდება, შეუძლებელია, ამან არ შეგძრას, მაგრამ ადამიანს აქვს აზროვნების, დაფიქრების, უბრალოდ, დაეჭვების უნარიც, და ეს უნარები ათას ისეთ კითხვას აღძრავს, რომლებზე პასუხის გასაცემად ყველაზე უფრო კეთილშობილური ადამიანური განცდებიც კი უძლურია. პოლიტიკა ის სფეროა, სადაც მსგავს მოვლენებს ბევრად უფრო ადრე ერქმევა სახელი, ვიდრე ისინი ხდება. ამ საზარელ აქტსაც სწორედ ასეთი წინასწარგანსაზღვრული სახელდების პოლიტიკიდან გამომდინარე ეწოდა ტერორისტული აქტი, თუმცა სახელდების ეს ოპერაცია, როგორც ძირითადად ხდება, ამჯერადაც მიზანმიმართული და შორ პერსპექტივაზე გათვლილი იდეოლოგიური ქმედება იყო. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, რით შეიძლება დამთავრდეს (თუ საერთოდ დამთავრდება) ეს პროცესი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ტერორისტულ აქტად ამ მოვლენის მონათვლა და მერე ამ ტერო-

რიზმის წინააღმ-დეგ ჯვაროსნული ლაშქრობების გაჩაღება ყველა შესაძლო მიზეზს აბნელებს და მიმართულია იმისკენ, რომ ეს ფაქტობრიობა ადამიანთა გადამწყვეტი უმრავლესობის მიერ რაც შეიძლება დაბეჯითებით და ნათლად იქნას "გაცნობიერებული", როგორც განყენებული ავადმყოფობა, რომელიც თავს დაატყდა ამერიკას (ანუ კაცობრიობას). არადა, ეს იყო მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იმ ომისა, რომელიც უკვე საუკუნეებს ითვლის. ეს არის ომი, რომელსაც თითქოს არც არავინ აწარმოებს; რომელიც უკვე თვითონ, ცოცხალი ძალების დახმარებით წარმოებს; უბრალოდ, ამ ომში ჩაბმულ (თუ მიპატიჟებულ) მხარეებს, სახელმწიფოებს, ერებს, რელიგიებს აქვთ თავიანთი მიზნები და ცდილობენ ამ "უმართავი" ომის "დამორჩილებას", მისი მდინარების და ენერგიის გამოყენებას თავის სასარგებლოდ. სწორედ ამ ომის გამართულად მუშაობის მორიგი ფრაგმენტი იყო ეს ტრაგედია. ყველა იბრძვის ისე, როგორც შეუძლია; ომობს იმ ძალებით, ტექნოლოგიით და რესურსებით, რომლებიც გააჩნია. და ამ ომში ჩაბმულ ძალებს აქვთ თავ-თავისი სიმართლე. პოლიტიკა იქ იწყება, სადაც მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის სიმართლის არა გაკრიტიკებას და უარყოფას, არამედ სრულ ნიველირებას და გაქრობას ცდილობენ. და მაშინ იქმნება ილუზია, რომ სახეზეა ბრძოლა უდანაშაულოსა და დამნაშავეს შორის. მე არ მერიდება საკითხის ასე დაყენება, ვინაიდან თავისი უარყოფითი, დამანგრეველი მუხტით და სიბნელით ამ აქტზე ნაკლებ საშინელი სულაც არ ყოფილა ამერიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ ტრაგედიის ადგილიდან მიმდინარე რეპორტაჟში სულ სხვა დროს და სხვა მიზეზით მოზეიმე პალესტინელთა სცენების ისე ჩართვა, როგორც – სარეკლამო ბლოკების. ამ ბლოკებმა მათზე დაკისრებული როლი წარმატებით შეასრულეს, ისეთივე წარმატებით, როგორც ამას ახლა ასრულებს ტერორიზმთან ბრძოლის სახელით იმ ფაქტის გაუქმების მცდელობა, რომ აქ საქმე ეხება არა სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლას, არამედ – ბრძოლას იმ მხარეებს შორის, რომლებსაც თავ-თავისი სიმართლე და თავთავისი იდეოლო-გია გააჩნიათ. ეს არის პოლიტიკა, რომელსაც, როგორც ყოველთვის (და ამაში ახალი არაფერია), ეწირებიან ის უბრალო ადამიანები, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ და რომლებსაც არასდროს არავინ დაეკითხება ამ ომის სამართლიანობა-უსამართლობას. როცა ეს ადამიანები ასე ობლად იხოცებიან (და ასეთი ხვედრისგან არც ერთი ჩვენგანი დაზღვეული არ არის), სწორედ მაშინ არ უნდა მოვტყუვდეთ ცოცხლად დარჩენილები და სიბნელეს არ მივცეთ საშუალება, რომ ტრაგედიის მსხვერპლი ანუ უდანაშაულო ადამიანები და მათ ბედთან დაკავშირებული ჩვენი ემოციები აზროვნების ხაფანგად გადა-

გვიქციოს. აი, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ბერკლიში ამბოხებული ადამიანების ხმა, რომელიც ვერასდროს მოაღწევს საქართველომდე იმ-იტომ, რომ აქ ადამიანები არ ფიქრობენ იმაზეც კი, თუ როგორ მოახერხეს ჩვენმა უფრთო, უხერხემლო ოცნებებმა და ფანტაზიებმა ევროპის გამო-ტოვება და მაინცდამაინც ამერიკული დემოკრატიის ერბოში ჩასკუპება. აი, რატომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ ადამიანების ხმას, რომ-ლებიც უსამართლობის ლოგიკის მეტს ვერაფერს ხედავენ ტერორის-ტების წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლასა და ავღანეთის ხელში ჩა-გდების მცდელობას შორის, ბენ ლადენის გაუვნებელყოფისთვის ბრძო-ლასა და მთელი აღმოსავლეთის კოლონიალიზაციის მცდელობას შორის. როცა ამერიკამ ვიეტნამის დამორჩილებისთვის უბინძურესი ომი წამო-იწყო, ამერიკის საუკეთესო გონებათა პროტესტის ხმები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ აღწევდა სსრკ-მდე, რომ რუსეთი და ამერიკა მოსისხლე მტრები იყვნენ. დღეს რუსეთისა და ამერიკის იმპერიებს შორის შესაძ-ლებელი გახდა გარკვეული, ორივე მხარისთვის ხელსაყრელი გარიგება, რაც ძალიან ჰგავს სტალინის რუსეთსა და ჰიტლერის გერმანიას შორის ცნობილ გარიგებას, რომელმაც სულ ცოტა ხნით იარსება. რიგითმა ად-ამიანებმა არც მაშინ იცოდნენ, რა ხდებოდა სინამდვილეში და არც ახლა იციან (რა თქმა უნდა, მაშინაც არსებობდა და ახლაც არსებობს ნაირ-ნა-ირ ყეყეჩთა ფართო ფენა, რომლის პროგნოზიორობა და მარჩიელობა-მკითხაობა, ანუ სურვილი, რაც შეიძლება გამჭრიახ ადამიანებად წარმო-უდგნენ თავიანთ მრევლს თუ მეპატრონეებს, თავის როლს შეასრულებს ამ სიბნელის გახანგრძლივებაში). მე არ ვარ პოლიტიკოსი და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დღეს (და არა მხოლოდ დღეს) აღმოსავლეთში თავისი იარაღის გამოცდას აწარმოებს არა გინზბერგის, ფოლკნერის, კენ კიზის ამერიკა, არამედ – სულიერებისგან დაცლილი, მოძალადე და ადა-მიანის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ ორგანიზმზე ათასნაირი ექსპერიმენტით გართული ამერიკა. მე არ მგონია, რომ ყველაზე ჭკვიანი ვარ და ამ ყველა-ფერს მარტო მე ვხედავ საქართველოში. ამას ხედავს ძალიან ბევრი. უბრალოდ, ჩვენში მოფიქრალი ადამიანების კულტურული და სოციალური მდგომარეობა შეუძლებელს ხდის, მეტიც, კრძალავს ამ ხედვის არდა-მალვას. ასე იყო ბალკანეთის მოვლენების შეფასების დროს: ან ამერი-კული პოლიტიკური პროპაგანდის ადეპტების ხმა ისმოდა, ან – მიკიბულ-მოკიბულად საკუთარი სინდისის მწვალებლების, ან – ამერიკის ბრმად მოძულე და უწიგნური ადამიანების. გაიხსენეთ, რა ენერგია დაიხარჯა საქართველოში, ბალკანეთზე ამერიკის გალაშქრება რაც შეიძლება ჩვეუ-ლებრივ და სამართლიან საქმედ რომ წარმოედგინათ (რა თქმა უნდა, არა

იმიტომ, რომ პრობლემას ღრმად იცნობდნენ ჩვენი "პოლიტიკოსები", არა, უბრალოდ, ამას ითხოვდა კონიუნქტურა), ხოლო როცა ფარდა აეხადა ფაქტს, რომ ამერიკა ბალკანეთზე, ყველა სიკეთესთან ერთად, ქიმიურ იარაღსაც ცდიდა, ამ შემზარავი, არაადამიანური აქტის გააზრებაში ჩადებული ენერგია მდოგვის მარცვალს არ აღმატებია. ასე იქნება ახლაც. ამერიკის ლაშქრობას დაუინტერესებელი შემფასებელი, ალბათ, არ გამოუჩნდება. ჩვენთან ხომ ადამიანები კი არა, ძაღლები და კატებიც "დიდ პოლიტიკაზე" არიან შეერთებულნი. მე კარგად მესმის, რომ საქართველო ის მეძავია, რომელსაც არავინ ეკითხება, ვისთან, სად, როდის და რა ფორმით სურს. ამას წყვეტს მხოლოდ გამარჯვებული. უბრალოდ, ერთი გამარჯვებული თუ მოძალადე ამას სჩადის უხეშად და ყველაზე უფრო დამამცირებელი ფორმებით, მეორე კი – ნაკლები სიუხეშით და ნაკლებად დამამცირებლად (გარეგნულად მაინც). აი, სულ ესაა განსხვავება პატრონებს შორის, თორემ დამცირების შინაარსი სულაც არ იცვლება. ყველაფრის გაგება და ახსნა შეიძლება ამქვეყნად. ალბათ, იმისაც, როცა დამცირებულის ხვედრის შელამაზება ხდება ქაქანში ისეთი სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოტანით, როგორებიცაა "პოლიტიკა", "ლავირება", "მანევრირება", "ბრძნული ნაბიჯი", "გონივრული არჩევანი", "სტრატეგიული სვლა ქვეყნის სასარგებლოდ" და ასე შემდეგ გაუთავებლად (თუ მე ასეთი ქაქანის მომხრე არ ვარ, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი პოზიცია შესაძლო პოზიციებსა და მდგომარეობებს შორის ყველაზე კეთილშობილურია). მაგრამ, ალბათ, რაღაც ფასი მაინც აქვს იმის ხაზგასმას, რომ სიმართლე, რომელიც ფინანსდება, რომლის თქმისთვისაც ადამიანი ფულს იღებს, ღირებულებას და დადებით ენერგიას მოკლებულია. დღეს უკვე კაცობრიობა მისულია იმ ზღვრამდე, როცა არსებითი მნიშვნელობა აქვს არა ამა თუ იმ სიმართლეს, არამედ ადგილს, სადაც სიმართლის მთქმელი დგას, ანუ – მისი ადგილის სიმართლეს. ასეთი სიმართლე შეუძლებელია მნიშვნელობდეს იმ საქართველოში, რომელსაც დღეს ვუყურებთ (მნიშვნელობა არა აქვს, აღმოსავლეთზე ამერიკის ლაშქრობას ეხება საქმე, თუ აფხაზეთში – უბნელესი რუსეთის პროვოკაციებს). დაუკვირდით, ვინ მართავს დღეს თბილისს, ვის ხელშია საქართველოს ბედი? ესენი არიან გააზატებული ლუმპენები ან ასეთთა შვილები და შვილიშვილები. პირადი უზრუნველყოფილი მომავლისთვის მათი ბრძოლა და საქართველოს მომავალზე ფიქრთან ამ ბრძოლის მათმიერი იდენტიფიცირება ტოლფასია მათი პირადი წარსულის დავიწყების, განადგურების ვნებისა: მათ წარსულში ხომ სულ არაფერი არ არის. მათ გვერდით ვხედავთ ღირსეული მამების უღირს შვილებსაც, რომლებიც არაფ-

ერზე უარს არ იტყვიან თავიანთი უზრუნველყოფილი უსაქმურობის გასამყარებლად. და გასაკვირი იქნება, თუ ეს კასტა ამერიკასთან გარიგებული რუსეთის მიერ პროვოცირებულ მოვლენებს დააჩქარებს ომის იმიტაციის დასადგმელად და მასში ახალგაზრდების ჩასახოცად(ანუ გეგმის შესასრულებლად), მერე კი ამბიონზე შედგება და იქიდან დაიწყებს მჭევრმეტყველებას საკუთარ შეცდომებსა და იმაზე, რომ რეალობა გონივრულად უნდა შევაფასოთ? ამ ხალხისთვის სულერთია, რუსეთის მონა იქნება თუ ამერიკის. მათთვის მთავარია, მათ ქვემოთ ვიღაც იდგეს, თუნდაც ერთი ხელქვეითი. და მათ ასეთ ქმედებაში არის სიბრძნის დიდი წილი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ ეს ხალხი თავისუფლების მდგომარეობაში. რა უნდა უყონ მათ ამ თავისუფლებას? რაში გამოიყენებენ? რაში მოიხმარენ?

ოქტომბერი, 2001

დაუმთავრებელი სამამულო ტელესერიალი

ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა, რომელსაც საქართველოში არჩევნების მორიგი სპექტაკლის წარმატებით ჩვენება აწყდება, არის უფერულობა და უღიმღამობა, რომლებითაც, როგორც უხარისხობის სანდო ნიშნებით, აღბეჭდილია ნებისმიერი კანდიდატის სქელი შუბლი. ეს ყველაფერი აღარ არის საინტერესო. მაყურებელთა ფართო მასები, ნაირ-ნაირი ხრიკით რომელთა დაინტერესება, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხერხდებოდა, დღესდღეობით საქართველოში პოლიტიკური კომერციის ნებისმიერი გამონაშუქის მიმართ ტოტალურ აპათიას განიცდის. და ეს არის ყველაზე დიდი სიმართლე, რომლითაც შეეძლო დამცირებულ და შეურაცხყოფილ მოსახლეობას ეპასუხა ყოველთვის საიდანღაც მოულოდნელად გაჩენილი ცალკეული პირების თუ დაჯგუფებების გრძელვადიან და წარმატებულ ბიზნესზე. ბოლოსდაბოლოს, ეს ის მაყურებელია, რომლის პოლიტიკური შეგნება ძილის წინ თუ ძილის მერე მოსალოდნელი ასობითსერიანი უშინაარსო სატელევიზიო ფილმების ესთეტიკამ და ეთიკამ ჩამოაყალიბა. ამ ფილმებში ხდებოდა ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ, საბოლოო ჯამში, არაფერი მომხდარიყო. სწორედ ეს იყო მათი ერთადერთი შინაარსი. ესვე უზრუნველყოფდა ერთსა და იმავე პერსონაჟებზე, როგორც სიცარიელის ფუნქციებზე, მაყურებლის მიმაგრებას. უცხოური ტელესერიალებისგან განსხვავებით, იმ ათასობითსერიან სამამუ-

ლო ფილმს, რომლის მთავარი პერსონაჟების გუნდი დღემდე უცვლელია, მაყურებელთა სახით მალე მხოლოდ ერთმანეთი შერჩებათ, და დაუჯერებელია, რომ შექმნილი სიტუაციის აბსურდულობას თვით ეს უცვლელი გმირები არ აცნობიერებდნენ. ძნელია, ადამიანმა გაუძლო ცდუნებას და არ გააღვივო ეჭვი, რომ ამ კრიზისის დაძლევას ისინი ერთსულოვნად და ორგანიზებულად თუ არა, ერთმანეთთან სოლიდარობის მაღალი შეგნებით დიახაც ცდილობენ: მათი გაუთავებელი გადაჯგუფება-გადმოჯგუფებები, შეყრა-გაყრები, საკომბინაციო თამაშები; დროებითი და დროული, თუმცა თავიდანვე მერყევი ალიანსები და პარტიული ნათლობები, ადამიანური ვნებების სისუსტის ლოგიკით განსაზღვრული უწესრიგო მოძრაობები და მათი შედეგები, რომელთა გამოსწორების მცდელობები ახალ უწესრიგობათა სახალისო მიზეზი ხდება... მაშ, რა არის ეს ყველაფერი, თუ არა ძალაუფლების შენარჩუნების უსაზღვრო წყურვილი? და ეს ყველაფერი უკვე საინტერესო აღარაა, ანუ ინტერესი დაკარგა იმ ფორმებმა, რომლებითაც პერსონაჟები ამტკიცებდნენ, რომ არსებობს მაყურებელთა მხსნელი, არარსებობიდან მათი გამომყვანი უხილავი იდეა, რომლის მფლობელობაზე პრეტენზიასაც ყველა ეს გმირი აცხადებდა, მაყურებელს კი უნდა ემარჩიელა, თუ რომელი გმირი აღმოჩნდებოდა უხილავი იდეის ერთადერთი ხილული მფლობელი. მაგრამ მოხდა ის, რაც ასეთ შემთხვევებში აუცილებლად ხდება: მაყურებლებმა შეწყვიტეს მარჩიელობა და პერსონაჟების მიმართ ინტერესიც გაქრა. აი, რატომ არის სასიცოცხლოდ აუცილებელი კანდიდატობასა და პარლამენტარობას შორის უშინაარსოდ მოარული (ფული და ძალაუფლება შინაარსად ვერ გადაიქცევიან, საუკეთესო შემთხვევაში მათ შეიძლება მხოლოდ შინაარსის ნაკლებობა უზრუნველყონ) გმირებისთვის მაყურებელთა საარჩევნო აქტივობა, ამ აქტივობამ უნდა გადაარჩინოს უშინაარსო ტელესერიალის ფიზიკური არსებობა, რომელშიც იმთავითვე ჩადებული იყო ერთადერთი ჩანაფიქრი: ფინალის პერმანენტულად გადავადება უსასრულო დროში. სხვათაშორის, ასეთ სიტუაციაში შევარდნაძისგან მტრის ხატის შექმნა და ყველა უბედურების მიზეზად მისი გამოცხადება არჩევნებიდან არჩევნებამდე დასაქმებული პოლიტიკური ბიზნესმენების დაბნეულობის და უსინდისობის წინაშე მათი უსიტყვო კაპიტულაციის სამხილი უფროა, ვიდრე – პოლიტიკური ოსტატობის ნიმუში: ისტორიის ყველა ეტაპზე, ყველაზე უფრო გამოცდილი, მაგრამ ურცხვი პოლიტიკური მოღვაწეებიც კი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ ხალხის, მაყურებლის მეხსიერებასთან სახიფათო თამაშების დროს; მართალია, მოქმედების ადგილსაც გააჩნია, მაგრამ ერთი ან ორი ათწლეული წერა-კითხვის მცოდნე და ტელევი-

ზორის მქონე ვერც ერთ საზოგადოებაში ასწლეულად ვერ გადაიქცევა; და ვერც იმაში დამარწმუნებს ვინმე, რომ შეიძლება პოლიტიკის რამენაირი ლოგიკით თავისი საქციელის გამართლების ეიმედებოდეთ ადამიანებს, რომლებიც, მაგალითად, იგივე შევარდნაძემ ერთი ათეული წლის წინ პოლიტიკის "ორბიტაზე" გაიყვანა (რაც, თავის მხრივ, როგორც შევარდნაძის პოლიტიკური უძლურების, ისე პიროვნული უსუსურობის სერიოზული სამხილია), ისინი კი თავიანთ გამზრდელს ასეთი სისასტიკით უხდიან მადლობას (რა ტიპის თამაშითაც არ უნდა იყოს გამართლებული ეს ფარსი, ქართველ პოლიტიკოსებსაც კი მოეთხოვებათ ეთიკა თუ არა, ეთიკის გათვალისწინება მაინც).

რა თქმა უნდა, შეიძლება იმის დაშვებაც, რომ პოლიტიკოს-ბიზნესმენებს მომგებიან "პოლიტიკურ" მდგომარეობას უქმნის მაყურებელთა მხრიდან მათი სტრიპტიზით სრული დაუინტერესებლობა, მაგრამ – მხოლოდ ერთი შეხედვით, და ძაღლის თავიც სწორედ აქ არის ჩამარხული. თანამედროვე ინტერნაციონალური დემოკრატიული იდეოლოგიის ყველა თუ არა, ზოგიერთი ნორმატივი მაინც შესასრულებელია, თუნდაც ფორმალურად. ამ პირობის დაკმაყოფილებას მოითხოვენ საქართველოს საოცნებო პატრონი ამერიკაც და – რეალური პატრონი რუსეთიც; საერთოდ, კონიუნქტურა. გასათვალისწინებელია ის შიშიც, რომელიც თანამდევია 1992 წლის პუტჩის აღმასრულებელი და მხარდამჭერი ეროვნული ძალებისთვის. ყოველ შემთხვევაში, არჩევნებში ამ სპექტაკლის მაყურებელთა მონაწილეობა-არმონაწილეობა საქართველოს ბედში არაფერს შეცვლის, ვინაიდან ამ ბედის გადაწყვეტას საქართველოს არც არავინ დაკითხვია ოდესმე და არც ამის მერე დაეკითხება ვინმე. უბრალოდ, ხალხის აქტივობამ უნდა განამტკიცოს და დაიცვას ის "წესრიგი", რომელიც სუფევს ამ ხალხისვე დამცირება-შეურაცხყოფის ბიზნესში; დროდადრო, ყოველი მორიგი არჩევნების მერე ტერიტორიების ხელახალი გადანაწილებისთვის გაწეული შრომა აღნიშნულ წესრიგს თუ არ აძლიერებს, არც რამეს აკლებს; აქ კონკრეტული ადამიანები, რომლებმაც მოახერხეს პოლიტიკური კარიერის საფეხურზე ფეხის შედგმა, წყვეტენ თავიანთ სავსებით გასაგებ ეკონომიკურ პრობლემებს, საუკეთესო შემთხვევაში კი იმასაც ცდილობენ, რომ ეს ინტერესები ქვეყნის ქაოსურ ინტერესებს შეუხამონ(უფრო – ოცნებებში).

მაგრამ ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც. სერიალში მონაწილე მთავარი გმირების წარმატებული თამაშის შედეგად, დღემდე მაყურებელი ჩარჩენილი იყო დადებითი და უარყოფითი პოლიტიკური გმირების ძიებაში, კეთილ და ბოროტ ძალებად მათ დაჯგუფებაში; ამ გმირების გაუთავე-

ბელი ადგილმონაცვლეობა და კომბინატორიკა მაყურებელს ერთის მხრივ აბნევდა, მეორეს მხრივ კი უძლიერებდა სურვილს, რაც შეიძლება მალე გაეგო ესა თუ ის საიდუმლო (ნებისმიერ შემთხვევაში, მისი წარმოსახვა და იმედები მიმართული იყო უკვე წინასწარ განსაზღვრულ და სათამაშო სივრცეში ფუნქციურად განთავსებულ პერსონაჟებზე). საკმარისი იქნებოდა, მაყურებელს ხედვის კუთხე შეეცვალა, რომ იგი დასაქმებული აღმოჩნდებოდა არა დადებითი და უარყოფითი პერსონაჟებით, არამედ – ფიქრით ამ ტელესერიალის რეალურ ადგილზე მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ნებისმიერმა რიგითმა ქართველმა პოლიტპერსონაჟმა კარგად იცის, რომ ქართველი ფართო მაყურებელი მოკლებულია თვით ამ სერიალის არსის გააზრების უნარს, მთლიანობის, სისტემის გააზრების კულტურას(ის ამისთვის არავის მოუმზადებია). ასეთი მაყურებელი კი ყოველთვის იქნება მორჩილი და ნებისმიერი ახალი იმედის კაუჭზე წამოგებული. ამჯერად ასეთ ახალ იმედად იქცა შევარდნაძის, როგორც ბოროტების არქიტექტორის, დამარცხების და გაძევების მერე გაბრწყინებული საქართველო. და ეს მეტად დროული ფანდია: ამ სატყუარამ უნდა იხსნას უკვე მოსაწყენი პერსონაჟების სიცოცხლე და ისინი მაყურებელთა ყურადღების ცენტრში შეაჩეროს. ამ სატყუარას თანაბარი შემართებით იყენებენ როგორც შევარდნაძის მომხრეები, ისე – მოწინააღმდეგეები (პირველ რიგში კი – თვით შევარდნაძე). წარმოუდგენელიც იყო, საქართველოს სიყვარულში ერთმანეთის მოქიშპე ეს ერთი შეხედვით მრავალი პარტია რომელიმე სხვა იდეის გარშემო ასე ერთსულოვნად დარაზმულიყო. მათი ერთსულოვნება დღესდღეობით თავს იყრის მოწყენილი და გაბეზრებული მაყურებლის შეზღუდული სააზროვნო უნარების ირგვლივ, და ეს ლოგიკურიც არის: თუ ეს ხალხი შევარდნაძის ჩამოსვლიდან დღემდე მორჩილად ან უმწეო წვალებით მისჩერებია ტელესერიალს და მაინც ვერ ჩასწვდა უსასრულო სერიალების სიცოცხლისუნარიანობის მთავარ პრინციპს, - რომ უნდა არსებობდეს არა ფინალი, არამედ ფინალის პერმანენტული მოლოდინი, - რაღა მაინცდამაინც ახლა გადაუტრიალდება ტვინი პირღია მაყურებელს და რაღა მაინცდამაინც შევარდნაძის მზის ბუნებრივი ჩასვენების წინ გააცნობიერებს, რომ ახალი "წესრიგი", რომელსაც მას ეს უინტერესო და მოსაწყენი პერსონაჟები პირდებიან, მის უნუგეშო ყოფაში არაფერს შეცვლის. საცოდაობა ის კი არ არის, რომ არაფერი არ მოხდება. საცოდაობაა მაყურებლის ისეთი მდგომარეობა, როცა მან იცის, რომ არაფერი არ შეიცვლება, მაგრამ მაინც აქვს იმედი, რომ რაღაც შეიცვლება.

ოქტომბერი, 2003

დანართი: სტუდენტური ცდები

არ მოქმედებს და არც ისვრება

უმოქმედობა რომ ძირეულად განსხვავდება არაფრისკეთებისა და მცონარობისგან, ამის შესახებ "ბჰაგავატგიტას" დასაწყისშივეა მითითებული: "ვისი გულიც მარადღე განცხრომისა და სუფევის ნატვრითაა დაბმული, მისთვის მიუღწეველია სამადჰით დაუნჯებული მტკიცე გონება" (11, 44)*. "კარმა-იოგაშიც" დადასტურებულია, რომ საქმისგან განდგომა სულაც არ ნიშნავს უმოქმედობას: "საქმისაგან განდგომილი კაცი ვერასოდეს მიაღწევს ჭეშმარიტ უმოქმედობას, რადგან ასეთი განდგომით სრულყოფამდე ვერ ამაღლდება. არავის არასოდეს ძალუძს, თუნდაც ერთი წამით, უმოქმედოდ ყოფნა, რადგან ყოველი, მისდაუნებურად, ბუნებიდან გამომდინარე თვისებათა გამო, მოქმედებას მიელტვის" (111, 4-5).

არაფერია პარადოქსული იმაში, რომ უმოქმედობაც მოქმედებაში უნდა გამჟღავნდეს: "გარდაუვალი აღასრულე: უმოქმედობას საქმისყოფა სჯობს, უქმადმყოფი საკუთარ ტანსაც ვერ შეინახავს. მსხვერპლისათვის არგაღებული საქმით ეს ქვეყანა ბორკილებით შეიბორკება. ამიტომ გულმიუდრეკლად აღასრულე ყოველი საქმე" (111, 8-9).

თავად ბრაჰმაც მოქმედია, არაფერია მისი ხელისგან შეუქმნელი ქვეყნად. იგი რომ მოძრავი არ ყოფილიყო, მაშინ ქვეყანასაც ექნებოდა უძრაობის უფლება. თუ ვინმეს სურს მას მიბაძოს, აუცილებლად უნდა იმოქმედოს: "საქმეებით არ მიაღწიეს განა სრულყოფას ჯანაკამ და სხვებმა? შენც უნდა მისდიო სოფლიურ საქმეს და მით ქვეყანას შეეწიო. საჩინო კაცის ნაქნარს სხვები მიჰბაძავენ და მასვე აღასრულებს ერიც" (111, 2-21).

ყოველივე ამის მერე ცხადი ხდება, რომ უმოქმედობაცა და მოქმედებაც მოქმედებას ნიშნავს, რაკი ორივე მათგანის საფუძველი მოძრაობაა. ამ მხრივ, თავიანთ არსებობას ისინი ამართლებენ და ერთმანეთს არ უპირისპირდებიან. უფრო მეტიც, შეგვიძლია ისინი ერთად დავაჯგუფოთ, საწინააღმდეგოდ უმაქნისობისა, - ისეთი ყოფისა, რომელიც არც მოქმედებისკენ იხრება და არც უმოქმედობისკენ. ესაა ფაქტიურად სიბერწე, რომელსაც არავითარი ნაყოფის მოცემა არ ძალუძს, - არც კეთილის და არც ბოროტის. მაშასადამე, უმოქმედობა და მოქმედება "გიტაში" წარმოა-

* აქაც და შემდგომაც ტექსტი ციტირებულია შემდეგი გამოცემიდან: ბჰაგავატგიტა. თარგმანი თამაზ ჩხენკელისა. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1983. ციტირებისას რომაული ციფრით აღნიშნულია ტექსტის შესაბამისი თავი, ხოლო არაბულით – მუხლი.

დგენს მოძრაობის ორ ფორმას და მათ შორის არსებული წინააღმდეგობის არსის გასაგებად უნდა გაირკვეს, ერთი მხრივ, მოქმედების, ხოლო მეორე მხრივ - უმოქმედობის სპეციფიკა. თუ მოძრაობის მიზეზები და წყაროები "გიტას" მორალურ სისტემასთან შეუსაბამობაშია, იგი მოქმედებად იწოდება, ხოლო თუ მოძრაობის მიზეზები დადებითია და მისი მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ადამიანური არსებობის უმაღლესი პრინციპები, იგი უმოქმედობად ანუ ჭეშმარიტ მოქმედებად იწოდება. მოძრაობის ამ ორი სახის დაპირისპირება, გარკვეული აზრით, დაპირისპირებაა ჭეშმარიტ, უმაღლეს მოქმედებასა და დაბალი რანგის მოქმედებას შორის.

უმოქმედობის მთავარი ნიშანი პრაგმატული მიზნებისგან მისი სრული გამიჯნულობაა. ინდივიდი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწოდება უმოქმედოდ, როცა მისი მოქმედების, მოძრაობის მოტივი არაა ვიწრო სუბიექტური ზრახვა. მოქმედება უნდა იყოს არა საშუალება, არამედ - მიზანი. უნდა ხდებოდეს მოქმედება მოქმედებისთვის. "სანქჰია იოგაში" კურთხეული ასე მოძღვრავს არჯუნას: "მიხედე საქმეთა შენთა და ნუ ზრუნავ ნაყოფისათვის. მისთვის ნუ დასთეს, რომ მოიმკო, ნუ დაებმი უქმადყოფნითაც. იოგაში დადგინებულმა, ჭირსა და ლხინში გულითუძრავმა, გულმიუდრეკლად აღასრულე ყოველი საქმე, ო, დჰანანჯია! შეუძვრელობას ჰქვია იოგა" (II, 48-49).

მართალია, "მონაგარისთვის გულაღძრული შესაწყალია", მონაგარს რუდუნებით უნდა განუდგეს ბრძენკაცი, გულმოდგინედ უნდა უარყოს საქმისა და შრომის ნაყოფი, მაგრამ ეს არაა იოლი საქმე. ბრაჰმასთან ზიარებისთვის საჭიროა ადამიანურ სურვილებთან და მისწრაფებებთან მუდმივი ბრძოლა. როცა კურთხეული ამბობს, შეუძვრელობას ჰქვია იოგაო, ეს სხვა არაფერია, თუ არა მოწოდება საკუთარ თავთან თანხმობისკენ, იმ წინააღმდეგობების მოხსნისკენ, რაც ადამიანურ მიდრეკილებებსა და ადამიანური არსებობის ჭეშმარიტ დანიშნულებას შორის არსებობს, ე. ი. შესაძლოა გონება სრულ თანხმობაში იყოს უმაღლეს მოძღვრებასთან, მაგრამ ამ მისწრაფების პრაქტიკულად განხორციელებას ხელს უშლიდეს ადამიანური ბუნების სისუსტეები. უმოქმედო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ამ სისუსტეებზე ვინც გაიმარჯვებს. ამ მხრივ, იოგა და უმოქმედობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. უმოქმედობა ანუ ჭეშმარიტი მოქმედება მხოლოდ იოგას პრინციპების დაცვით, იოგას მოძღვრების გაშინაგანებითაა შესაძლებელი.

რა არის იოგა? "იოგა - დამორჩილებაა სულის არა მარტო ამა თუ იმ ძალისა, არამედ გულის ყველა ძალებისაც... იოგა არის ადამიანის ცდა ეზიაროს უფრო ღრმა საწყისს. ჩვენ სულის მერყეობის მდგომარეობიდან

გადავდივართ იმაში, რაც აბსოლუტური და უცვლელია და ჩვენს გულში ვავითარებთ წინააღმდეგობის უნარს ძალისა და ცდუნებისადმი. ამრიგად, იოგა ნიშნავს დისციპლინას, რომლის მეოხებითაც ვემზადებით იმისათვის, რომ გარე სამყაროს ყველა შემოტევა გადავიტანოთ. ამავე დროს ჩვენი სულის ძირითადი ყოფიერება ხელშეუხებელი რჩება. იგი არის მეთოდი ან საშუალება (უპაია), რომლის მეოხებით საბოლოოდ მიზნის მიღწევაა შესაძლებელი" რადჰაკრიშნანი, ინდური ფილოსოფია, ტ. 1, გვ. 453 (ციტირებულია თ. ჩხენკელის კომენტარებიდან "გიტას" მის მიერვე თარგმნილი ტექსტისთვის).

"სანქჰია იოგაში" მოცემულია ყველა ის პრინციპი, რომელიც უმოქმედობის გზაზე მდგარმა ინდივიდმა უნდა დაიცვას: "რომელი უარჰყოფს ყოველგვარ გულისთქმას, და ატმანის სიხარულს მხოლოდ თავის გულში ჰპოვებს - გულდაპყრობილია. რომელი დაიშრეტს განცხრომის ნდომას, დათრგუნავს გულში შიშსა, წადილს და გულისწყრომას, - მაღალი და მაღლად მხედია. რომელი არა ინდომებს, რომელს საამური და უამური სწორად უჩს - გული მისი დადგინებულ არს" (II, 55-57).

ბრძენი საგნებს კი არ კარგავს, ზიზღით კი არ განეწყობა მათდამი, არამედ კარგავს მხოლოდ მათ გემოს, ე. ი. გარესამყარო მთელი თავისი სისავსით, გულუხვობითა და სიტკბოებით მას გულს ვერ აუჩქროლებს; ბრძენს გაცნობიერებული აქვს ბედისწერა, რომელიც გარდუვალია აღბორგებულ გრძნობებს მინდობილთათვის. ამ უკანასკნელთ გონების ნათელი დაკარგული აქვთ. საკუთარ თავთან თანხმობა კი გონების გადარჩენას ნიშნავს, მის გამოხსნას გრძნობიერების სფეროდან: "რომელი გულის ვნებას ნებისყოფით დაიოკებს და წადილისა და ზიზღისგან განდგომილი გრძნობათა ბჭეს გადალახავს - ატმანის ერთგული გონების სინათლეს მოიპოვებს. მაშინ განქარდება მისი საჭმუნავი, რადგან ცნობა გონებანათელისა განმტკიცებულია" (II, 64-65).

მხოლოდ გრძნობადაუნჯებული კაცის სულს ეუფლება მშვიდობა; მხოლოდ იგია ჭეშმარიტად განათებული, ვის გონებასაც ვნებათა ღელვისაგან აღძრული გული ვერ წარიტაცებს, ვინც გულისთქმას დათმობს და "გრძნობათა საგნებისგან დაიგულებს გრძნობათ".

უმოქმედობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი თვითდაოკებაა. თვითდაოკებისთვის კი აუცილებელია ზომიერება. იოგა არ მოითხოვს არც ქვეყნისგან გადახვეწას, არც შიმშილითა და მარხვით თავის მოკვლას. მისთვის მთავარია ადამიანის მიერ გაკეთებულ ყველა საქმეში, მის ყოველ მოქმედებაში დაცულ იქნას წონასწორობა, ზღვარი. მხოლოდ ამის მერე შეიძლება ფიქრი თვითდაოკებაზე, ატმანში გონების განმტკიცე-

ბაზე, ბრაჰმასთან ზიარებაზე: "ვერ ეზიარონ იოგას ვერცა ნაყროვანნი, ვერცა მოძულენი ჭამადისა. ვერცა ძალითა მცონარენი, ვერცა უძილობით მღვიძარენი. ჭამადსა და თავისდაოკებაში ზომიერისათვის, ძილსა და ღვიძილში ზომიერისათვის არის იოგა - ჭირთა წარმხოცველი" (VI, 16-17).

"გიტაში" განვითარებულია ერთი თვალსაზრისი, რომელსაც შემდეგ ლაო ძი განავრცობს და გააღრმავებს "დაო დე ძინში". ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია, როგორ კაცს შეუძლია ეზიაროს აბსოლუტს. "დაო დე ძინში" პირდაპირ იქნება გამოცხადებული, რომ ასეთი კაცია მხოლოდ ბრძენი, მხოლოდ მას ძალუძს დაოს ხილვა. "გიტაში", მართალია, არ არის ასეთი კატეგორიული მტკიცება, მაგრამ ბრძენი რომ ყოველგვარი ღირებულების საზომია, ამაზე ბუნებითობაზე მოძღვრებაც მოწმობს: "ბრძენიც კი თავისი ბუნების შესატყვისად იქცევა, თავის ნიშატს მისდევს ყოველი არსი, რად წინ აღუდგე?" (III, 33).

ბრძენის ბუნებითობა მის გონიერებაშია. ბუნებითობა ნიშნავს გრძნობებისა და ვნებებისგან გათავისუფლებასა და ბრაჰმასთან თანხმობას: "გრძნობათა მიმართ მიდრეკა და უკურიდება გრძნობათა საგნებშივეა დამარხული. ორივე ბრძენის მტერია. მათს ხელწმიფებას ნუ დაემონვი" (III, 34).

ყველა ეს და მრავალი სხვა სათნოება არის უმოქმედობის ანუ ჭეშმარიტი მოქმედების უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. ტერმინი "ჭეშმარიტი მოქმედება" პირობითია და გარკვეული მოსაზრებით შემოვიტანე. საქმე ისაა, რომ უმოქმედობა "გიტაში" ერთდროულად მოქმედებაც, მოძრაობაც არის და, ამავე დროს, უმოქმედობად იწოდება იოგას უმაღლესი მდგომარეობა, უზენაესი პოზა. უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ უმოქმედობის სტრუქტურას, მას შემდეგნაირი სახე ექნება: უმოქმედობა ორი საფეხურის მთლიანობაა. პირველი საფეხური არის სწორედ ის, რასაც "ჭეშმარიტი მოქმედება" ვუწოდე. ესაა ერთდროულად ფიზიკური და სულიერი ძალების აქტივობა; გონითი მოქმედებით, აზროვნების გარკვეული პრინციპებით წარმართული ფიზიკური მოქმედება, რაც ძირეულად უარყოფს ამქვეყნიურ საქმეთაგან განდგომასა და უქმად ყოფნას, რაც სწორედ აქტიურ მოქმედებაში, მოძრაობაში უნდა გამოვლინდეს. უმოქმედობის მეორე ნაწილი, მეორე საფეხური, არის მდგომარეობა, როცა ფიზიკური მოქმედება მთლიანად მოხსნილია, სხეული უძრავ მდგომარეობაში გადადის და ყურადღების კონცენტრაცია მთლიანად სულის მოძრაობისკენ არის მიმართული. ესაა წმინდა ინტუიციურ-გონითი მოქმედება, რომლის დროსაც ინდივიდი კომუნიკაციაში შედის აბსოლუტთან, როცა საბოლოოდ უნდა დადასტურდეს უმოქმედობის პირველი საფეხურის

ჭეშმარიტება და ძალმოსილება, რადგან უმოქმედობის მედიტაციური საფეხური მთლიანად ამოზრდილია პირველი საფეხურიდან; ეს უკანასკნელი არის გზა ინდივიდის უმაღლესი მდგომარეობისკენ. როცა პიროვნება გაივლის უმოქმედობის პირველ საფეხურს, მას მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევა საშუალება კომუნიკაცია დაამყაროს აბსოლუტთან. უმოქმედობის მეორე საფეხური სრულადაა გადმოცემული "თავისდაოკების იოგაში": "დე, იოგი იდუმალად იწაფებოდეს იოგაში, მარტოსული იყოს, უპოვარი იყოს, გულმშვიდი და ცნობაწყნარი იყოს. წმინდა ადგილზე დაიდგას ტახტი, არც ფრიად მაღალი, არც ფრიად დაბალი - ფურ-ირემის ნატითა და კუშის ბალახით დაგებული. იქ დაიოკოს ზრახვანი იოგაში და თვითგანწმედისათვის გული თვისი ერთზე დაიუნჯოს. სწორად და უძრავად დაიდგინოს ტანი, თავი და კისერი. ცხვირის ჭვინტს მიაპყროს მზერა და თვალი არ გაექცეს მიდამოთ კერძო. დაიოკოს გული, განიშოროს შიში და მშვიდი გონებით მგონებელმა მომიგონოს მე. ჩემდა მომართ მოსწრაფე დე, ასე იჯდეს. მარადღე აგრე ნაწვართი იოგი, დაიოკებს რა გონებას, ჩემში დავანებული უზენაესი ნირვანის სასუფეველს დაიმკვიდრებს" (VI, 10-15).

მაშასადამე, უმოქმედობის პირველი საფეხური ყოფილა გზა, ხოლო მეორე - მდგომარეობა, რომელში დაუნჯებული კაციც აბსოლუტთან კონტაქტში უნდა შევიდეს.

"დაო დე ძინისგან" განსხვავებით, სადაც მთელ თხზულებაშია გაბნეული წარმოდგენები უმოქმედობაზე, "გიტაში" უმოქმედობის პრობლემა ძირითადად ორ თავში განიხილება მთელი სისავსით, - "მოქმედებისგან განდგომის იოგასა" და "განდგომის იოგაში". "გიტაში" უმოქმედობა (პირველი საფეხური) და მოქმედებისგან განდგომა იმდენად ნათესაური ცნებებია, რომ შეიძლება სინონიმებადაც კი მივიჩნიოთ. გარდა ამისა, "გიტას" სხვადასხვა ნაწილში მოქმედებისგან განდგომა ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებული, თითქმის საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება, რაც იწვევს გაუგებრობას და მრავალნაირი ინტერპრეტაციის წყარო ხდება.

ჩემი აზრით, "მოქმედებისგან განდგომის იოგაში" განხილულია სწორედ უმოქმედობის ორი საფეხური. პირველი აქ კარმა-იოგად იწოდება, ხოლო მოქმედებისგან განდგომა მეორე საფეხურს უნდა გულისხმობდეს. არჯუნას კითხვაზე, რომელია უმჯობესი - იოგა თუ განდგომა, კურთხეული პასუხობს, რომ კარმა-იოგა აღემატება საქმეთაგან განდგომას და რომ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება კაცმა განდგომას მიაღწიოს, როცა იოგას დაეუფლება: "იოგას ერთგული, განწმენდილი, გულდაპყრობილი და გულისთქმადათრგუნვილი - შეერთვება რა თავისი სულით ყოველთა არსთა სულს, საქმითაც არ შეისვრება" (V, 7).

აქ უნდა განიმარტოს, რომ საქმის ცნება "გიტაში" ძირითადად ორი მნიშვნელობით იხმარება. პირველი მნიშვნელობით იგი მოქმედებაა, რომელსაც ყველა ინდივიდი ახორციელებს. გარდა ამისა, საქმე ნიშნავს იმ რეზულტატს, რომელიც მოქმედებას მოსდევს და რომელიც დაძლეულ უნდა იქნეს იოგის მიერ. ამ შემთხვევაში "საქმით შესვრა" სწორედ მეორე აზრითაა ნახმარი. საქმით არშესვრას გულისხმობს კურთხეულის შემდეგი სიტყვებიც: "ოდეს ვჭვრეტ, ვისმენ, ვეხები, ვყნოსავ, გემოსა ვსინჯავ, ვმოძრაობ, ვსაუბრობ, ვიძინებ თუ ვსუნთქავ - არა რასა ვიქმ!" (V, 8). და იქვე: "ერთგული - მოიშორებს მონაგარს და მით სრულყოფილ ქვეყანას მოიგებს. ორგული - გულისთქმით მონაგარზე დაბმული უღელში ებმის. ყველა საქმისაგან გულით განდგომილი, ხორცშემოსილი განმგებელი შვებით სუფევს ცხრაკლიტულ ქალაქში. არც თავად იღვწის და არც სხვათ აიძულებს. არც საქმეს და არც გასარჯელს არა ბადებს ქვეყნის მეუფე. არც აერთებს საქმეს მონაღვაწთან და აჰა, მაინც ჰგიეს ქვეყანა ესე" (V, 12-14).

არჯუნას კითხვაში აშკარად უპირისპირდება ერთმანეთს იოგა და განდგომა, რაც გაუგებრობას ბადებს. თუ იოგა ანუ ჭეშმარიტი მოქმედება მართლა პირველი საფეხურია ბრაჰმასთან ზიარებისა, ხოლო განდგომა - მეორე, რატომღა უნდა უპირისპირდებოდნენ ისინი ერთმანეთს? ალბათ, არჯუნას კითხვაში ერთმანეთს კარმა-იოგა და განდგომა ფიზიკური მოქმედება-უმოქმედობის თვალსაზრისით უპირისპირდება: კარმა-იოგა ხომ ის მოძრაობაა, რომელიც განდგომის ანუ მეორე საფეხურის დროს გამორიცხულია.

დავუბრუნდეთ ისევ პირველი საფეხურის კურთხეულისეულ დახასიათებას: "მოქმედი - ბრაჰმას რა შესწირავს საქმეთ, გულმიუდრეკელს ვეღარ შესვრის ბოროტება, როგორც წყალი ლოტოსის ფურცელს. მხოლოდ გონებით, გულით, სხეულით და ინდრიების მეშვეობით განწმედისათვის აღასრულებენ იოგები მოქმედებას" (V, 10-11).

სწორედ მოქმედებით მიაღწევს ინდივიდი ამ ყოველივეს; მოიპოვებს რა თანხმობას საკუთარ თავთან, - რაც სწორედ იმ გაორების დათრგუნვას ნიშნავს, საგანთა სამყაროსთან კონტაქტში რომ წარმოიშობა, - მას უფლება აქვს მეორე საფეხურზე გადაინაცვლოს და დაეუფლოს იმ მდგომარეობას, რომელსაც სრული ფიზიკური უმოქმედობა და განდგომა ჰქვია.

ზემოთ უკვე ვნახეთ უმოქმედო მდგომარეობის დახასიათების ერთი ვარიანტი. "მოქმედებისგან განდგომის იოგა" კი რეფლექსიას აკეთებს ინდივიდის სულიერ მდგომარეობაზე, ხოლო ნაკლებად - აქტის გარეგ-

ნულ მხარეზე: "ბრძენი განირიდებს გარეგან შეხებას. მზერას წარბთა საშუალ მიმართავს, ნესტოთა წიაღ განმავალ ამოსუნთქვას და ჩასუნთქვას გაათანაბრებს, დაიოკებს გულს, ცნობას და გონებას და უზენაესი თავისუფლების მოსწრაფე გულისთქმის, შიშისა და გულისწყრომისგან განდგომილი - საუკუნოდ განთავისუფლდება. მე რა შემიმეცნებ - მსხვერპლითა და ღვაწლით გარემოსილს, ყველა სამყაროთა უზენაეს მეუფეს, ყოველთა არსთა მოწყალესა და მეგობარს, - სასუფეველს მოიპოვებ" (V, 27-29).

აი, ასეთი მდგომარეობა იწოდება აქ განდგომად, რაც სრულიად ეწინააღმდეგება განდგომის იმ გაგებას, რომელიც "განდგომის იოგაშია" მოცემული. ამ უკანასკნელში განდგომას ის მნიშვნელობა აქვს, რომლითაც მე უმოქმედობის პირველი საფეხურის ცნებას აღვნიშნავდი, და განდგომა ისევე იყოფა ორ ნაწილად, როგორც მოქმედება დავყავი უმოქმედობად ანუ ჭეშმარიტ მოქმედებად ერთი მხრივ და უარყოფითი ტიპის მოქმედებად - მეორე მხრივ: "მსხვერპლშეწირვის, წყალობის და წვრთნის საქმეთა დატევება არა ხამს, ვინაიდან ისინი გონიერთა განმწმენდელნი არიან. მაგრამ ამ საქმეთა აღსრულება მხოლოდ მაშინ არის სანუკვარი, როცა თავისუფალი ხარ გულმიდრეკისა და მონაგარისაგან" (XVIII, 5-6). და იქვე: "უცილობელ საქმეთა უარყოფა არა ხამს. ასეთი საცთურისმიერი განდგომა ბნელად შეირაცხება" (XVIII, 7).

ამ თავში უმთავრესი უმოქმედობის პრობლემასთან დაკავშირებით სატვაზე მსჯელობაა. იგი სამ გუნათაგან ერთ-ერთია. "სანქჰია-იოგაში" კურთხეული ასე მოძღვრავს არჯუნას: "უარყავ სამი გუნა, არჯუნა: სატვა, რაჯასი და ტამასი, რომელთა საუფლოშიც ვედები ჰგიეს. წინააღმდეგობისა და ამაოებისგან თავდახსნილმა, სრულყოფაში დადგინებულმა, ატმანს უერთგულე" (II, 45).

ესაა და ეს. ამის მერე სამ გუნაზე მსჯელობა მხოლოდ "გიტას" დასასრულს, "სამი გუნასგან განთავისუფლების იოგაში" განახლდება და დაწვრილებით იქნება განხილული ეს პრობლემა. რას წარმოადგენს სამი გუნა? გუნა საერთოდ მატერიის ამა თუ იმ თვისების, მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სატვაური თვისებები "განდგომის იოგაშიც" განიხილება და აქაც მჭიდროდ უკავშირდება იგი უმოქმედობას. აქაც სატვაურად ის კაცი იწოდება, ვინც გულისთქმა დაიოკა, საქმე ყოველგვარი უტილიტარული მიზნის გარეშე აღასრულა, ზიზღის გრძნობა და მონაგარისადმი მისწრაფების წადილი დათრგუნა, მარცხშიც და გამარჯვებაშიც გულითუძრაობა, სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოიჩინა.

"გიტაში" უმოქმედობის არსზე მსჯელობისას თავიდანვე დაშვებულია აქსიომატური ჭეშმარიტება, - უმოქმედობა ბრაჰმას ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა და რაკი იოგის მიზანი ბრაჰმასთან მიახლება და ატმანის დაუფლებაა, მისი მიზანი უნდა იყოს ამ ორი უმაღლესი ფენომენის ძირითად თვისებათა "დაპყრობა". ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ "გიტას" იმ ნაწილს უნდა დავუბრუნდეთ, სადაც ერთმანეთისგან გამიჯნულია საქმეთაგან განდგომა და ჭეშმარიტი მოქმედება. სწორედ ამ თავში ეუბნება კურთხეული არჯუნას: "არავის არასოდეს ძალუძს, თუნდაც ერთი წამით, უმოქმედოდ ყოფნა, რადგან ყოველი, მისდა უნებურად, ბუნებიდან მომდინარე თვისებათა გამო, მოქმედებას მიელტვის" (III, 5).

ბუნებისა და სამყაროს ცენტრში კი ბრაჰმაა ჩაყენებული და ყოველივე მისით საზრდოობს: "არაფერია სამივე სკნელში ჩემი ხელისგან შეუქმნელი... არაფერია ჩემი ხელისგან მიუღწეველი, და მაინც საქმეთ აღვასრულებ. მე რომ დაუშრომლად საქმე არ ვაკეთო, ჩემი გზით ივლიდა ეს ქვეყანაც..." (III, 22-23).

ცხადია, აქ ბრაჰმას საქმიანობა უმოქმედობას ანუ ჭეშმარიტ მოქმედებას გულისხმობს.

"გიტაში" ატმანი არსებითად იმ თვისებებით ხასიათდება, რითაც "უპანიშადების" ატმანია შემკული. ატმანი რომ არ შეისვრება და ყოველთვის წმინდა და ნათელია, ეს მისი უმოქმედობის შედეგია პირველ რიგში: "სხეულში დავანებული დაუსაბამო, წარუვალი, უთვისებო, უზენაესი ატმანი არ მოქმედებს და არც ისვრება..." (XIII, 31).

უმოქმედობა მიზანი და შესაკრებელაი "გიტას" მიხედვით ყველა ადამიანური სათნოებისა. მისი გაგება არაა იოლი. ჩემი დაკვირვებები "გიტასთან" უშუალო მიმართების ნაყოფია, რის გამოც მოკლებულია მკაცრად მეცნიერულ ხასიათს და მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდის სურვილს აღმიძრავს.

1985 წელი

ის იყო სრულიად მარტო

ადამიანური მარტოობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია XX საუკუნის ფილოსოფიასა და ხელოვნებაში. დიდი ავსტრიელი პოეტი **რაინერ მარია რილკე** (1875-1926) ამ პრობლემას, ძირითადად, შემოქმედის მარტოობის მაგალითზე იკვლევს, რაც პერსპექტივაში ზოგადადამიანური მარტოობის აქტიურ გათვალისწინებას გულისხმობს.

რილკე, ყველაფერთან ერთად, საოცრად იდუმალი პოეტი იყო თავისი ცხოვრების წესის გამოც; მაგრამ მის მარტოობას დიდი ვნებათაღელვანი უძღოდა წინ. პოეტის ლექსებისა და წერილების რუსულ ენაზე გამოცემული ერთი კრებულის რედაქტორი ი. როჟანსკი, მართალია, აღნიშნავს, რომ მარტოობის თემა ერთ-ერთი უმთავრესია რილკეს შემოქმედებაში და თუ ეს თემა გამოგვეპარება მხედველობიდან, გაუგებარი დარჩება ჩვენთვის საერთოდ რილკეს ცხოვრების, მისი გამუდმებული ადგილმონაცვლეობისა და მოგზაურობის იდუმალი არსი; მაგრამ უარყოფს რილკეს თაყვანისმცემლების მიერ შექმნილ მითს პოეტის მისწრაფებაზე "მარტოობისა და ვარსკვლავებისადმი", და მთავარ ხაზებში გვისურათებს ახალგაზრდა შემოქმედის ცხოვრებას: "სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ ენერგიულ, კარიერისკენ გამიზნულად მისწრაფებულ ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავის ძალებს ცდის ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ყველა დარგში, ტრიალებს მაშინდელი პრაღის ყველა სალონსა და წრეში, აღსავსეა ყველაზე მრავალფეროვანი გეგმებით და ჩანაფიქრებით. ამ გეგმებიდან პრაქტიკულად არც ერთი არ ხორციელდება. მაგალითად, ოცი წლის რილკეს სურს გახდეს ახალი ჟურნალის რედაქტორი და თავს უყრის მხოლოდ ხუთ ხელისმომწერს. ფიქრობს, ჩამოაყალიბოს ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებული ორგანიზაცია - "თანამედროვეთა კავშირი", რომლის სათავეშიც თავად იდგება თავის დრეზდენელ მეგობართან ერთად. განზრახული აქვს ე. წ. "ინტიმური" თეატრის დაარსება, სადაც დაიდგმება, უპირველეს ყოვლისა, მეტერლინკის პიესები, შემდეგ კი – სხვა თანამედროვე ავტორების (მათ შორის, რა თქმა უნდა, თავად რილკესი). იგი ეცნობა პრაღაში ჩამოსულ ყველა მწერალსა და პოეტს, და უკითხავს მათ თავისი შემოქმედების ნიმუშებს. ლექსების გარდა წერს მოთხრობებს, ლიბრეტოებს ოპერებისთვის"... რილკემ სამი წიგნიც კი გამოსცა ე. წ. "სამგზავროს" სერიით, ღარიბთათვის, და ამ წიგნებში, ძირითადად, მისივე ლექსები შევიდა. სრულიად ახალგაზრდამ, 1894-96 წლებში, ლექსების ორი კრებული გამოაქვეყნა. და აი, ამ დროს, ის მოულოდნელად ტოვებს პრაღას

და საცხოვრებლად მიუნხენში გადადის. როჟანსკის აზრით, ეს იყო რილკეს მიერ გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი: იგი გაექცა პრაღის უაზრო ყოფას, შეიცნო რა მისი უნაყოფობა; მაგრამ არ უნდა იყოს მართებული ავტორის დასკვნა, თითქოს ეს რევოლუციონერის მიერ ცნობიერ უარყოფას კი არა, იმ გაწბილებული კაცის მოქმედებას წარმოადგენდა, რომელმაც თავისი სოციალური არასრულფასოვნება იგრძნო. პირიქით, რილკემ სწორედ იმ საშუალებების არასწორი ფორმა გააცნობიერა, რომლებითაც ცდილობდა დამკვიდრებას; ეს იმის გასიგრძეგანება იყო, რაც შემდეგ კაპპუსს ურჩია: "თქვენ კითხულობთ, კარგია თუ არა თქვენი ლექსები. მე მეკითხებით. მანამდე სხვებს ჰკითხეთ. ამ ლექსებს სხვადასხვა ჟურნალებს უგზავნით, ადარებთ მათ სხვა ლექსებს... თქვენ გარეთ იხედებით, გარეგან წარმატებას ესწრაფვით და სწორედ ამას არ უნდა აკეთებდეთ ახლა. არავის ძალუძს რაიმე გირჩიოთ და დაგეხმაროთ, არავის. არსებობს ერთადერთი გამოსავალი: ჩაღრმავდით საკუთარ თავში" (ა. ფიცხელაურის თარგმანი). ოცი წლის მერე რილკე წერილს მისწერს თავისი პოეზიის მკვლევარს ჰიორგროდტს და მიწასთან გაასწორებს თავის პატივმოყვარე წარსულს, ბრმა სიყმაწვილეს; იგი ნანობს, რომ არ დაუჯერა 1899 წელს შტეფან გეორგეს, რომელმაც მას უთხრა, ძალზე ადრე დაგიწყიათ ლექსების ბეჭდვაო. ეს იყო წლები, როცა მთელი არსებით ვესწრაფოდი სახელს და დამკვიდრებას, ეს იყო უმწეობის წლებიო, - წერს რილკე.

სად იწყება ხელოვანის მარტოობა? "ვორპსვედეში" რილკე ყურადღებას ამახვილებს პეიზაჟური ხელოვნების განსაკუთრებულ ძალაზე: "პეიზაჟი ჩვენთვის საშინლად უცხოა, და საშინლად მარტო ვგრძნობთ თავს ხეებს შორის, რომლებიც ჰყვავიან, ნაკადულებს შორის, რომლებიც ჩვენს მიღმა მიედინებიან. ცხედართან მარტო დარჩენილნიც კი არ ვგრძნობთ თავს ისე მიგდებულად, როგორც ხეებთან განმარტოებულნი". რილკეს აზრით, სწორედ ბუნებაშია საძიებელი განუყოფელი ადამიანური სულის სათავეები. ბავშვის უპირველესი მეგობარი ბუნებაა, რადგან პატარა ჯერ უმწეოა იმ განურჩევლობის გასაცნობიერებლად, რომლითაც ბუნებაა განმსჭვალული მისადმი. განსაკუთრებით უფროსების გვერდით მცხოვრები ბავშვები მიელტვიან ბუნებას, იოლად ამყარებენ მასთან კავშირს და ცხოვრობენ მასში, როგორც ცხოველები. "მხოლოდ მოგვიანებით დგება ყმაწვილებისა და გოგონების ცხოვრებაში ასე მრავალი უღრმესი მელანქოლიით დატვირთული ის ეული ჟამი, როცა, სწორედ ფიზიკური მისწრაფების მიჯნაზე, გამოუთქმელად მიტოვებულნი, შეიგრძნობენ, რომ ბუნების საგნებსა და მოვლენებს, ადამიანებს კი მით უმეტეს, მათთვის აღარ სცალიათ". ამაში არც ბუნებაა დამნაშავე და არც - ადამიანები

(ბავშვის თვალთახედვით - "უფროსები"). ესაა მომენტი, როცა ბავშვი, თავისდა გაუცნობიერებლად, დგება არჩევნის წინაშე: ან ბუნება უნდა დათმოს და "უფროსთა" ხვედრი აირჩიოს, ან "უფროსთა" სამყაროზე უნდა თქვას უარი და ბუნებაში დარჩეს. ეს ბავშვის ფსიქიკაში მიმდინარე არაცნობიერი პროცესია, აქ თითქოს თავად სიცოცხლე აზროვნებს. სწორედ ეს უკანასკნელნი, ბუნების მიერ დაპურებული ბავშვები, როცა იზრდებიან, "ცდილობენ, ძაბავენ რა ცნობიერად მთელ თავიანთ ნებისყოფას, დაუახლოვდნენ ბუნებას ისე, როგორც ამას ახერხებდნენ, ისე, რომ თავად არ იცოდნენ, მაშინ, ბავშვობაში. ცხადია, რომ ეს უკანასკნელნი არიან მხატვრები, პოეტები თუ ფერმწერები, კომპოზიტორები თუ ხუროთმოძღვრები, მარტოსულნი თავისი არსით, ისინი, ვინც, ბუნებისკენ მიდრეკილნი, მარადიულს წარმავალზე მაღლა აყენებენ, უღრმეს კანონზომიერებებს - შიშნეულ დასკვნებზე მაღლა; ისინი, ვინც თავიანთ ამოცანას იმაში ხედავენ, რომ, ბუნებას ზიარებულნი, თავადაც სადმე ჩაერთონ ამ დიდებულ სრულქმნილებაში. და ამ განცალკევებულ მარტოსულებთან ერთად მთელი კაცობრიობა უახლოვდება ბუნებას".

იგივე აზრია განვითარებული "ოგიუსტ როდენშიც". მას მერე, როცა მოქანდაკის ბავშვობას იშვიათი ფსიქოლოგიური ოსტატობით აღწერს და ღრმა ანალიზის საგნად აქცევს საკუთარ თავთან როდენის მიახლების პროცესს, რილკე დასვამს კითხვას: სად დაიწყო იგი, ეს მარტოობა? და უპასუხებს: "მან იცოდა, საიდან დაეწყო: სიმშვიდე, რომელიც მეფობდა მასში, სანდო გზისკენ მიუთითებდა. აქ საჩინოვდებოდა როდენის უღრმესი ნათესაობა ბუნებასთან". რილკემ აქ ავგუსტინესაც კი მოუხმო: "აბა, სად უნდა წავიდეს ბავშვობა?"

რილკეს მიერ განდიდებული ბუნება - ესაა, ერთდროულად, როგორც კონკრეტული, რეალური ბუნება, ისე - საერთოდ, ჰარმონიული ადამიანური სულის საწყისი, არხე, რომლის ჭიპსაც მოსწყდა ადამიანი, და რომელიც ყველა ჩვენთაგანის არაცნობიერში იმარხება. საქმე ისაა, თუ რამდენად ხელეწიფება ადამიანს საკუთარ თავში ამ სასიცოცხლო ძალის აღმოჩენა და დაცვა. ადამიანის სულიერი დისჰარმონიის საფუძველი სწორედ ესაა: წინააღმდეგობა მის სულში მოქმედ ბუნებასა (როგორც არხესა) და ამ ბუნებას მოწყვეტილი ადამიანის ცხოვრების წესს შორის. თავისთავად ცხადია, რილკესთვის თანამედროვე ადამიანის ცხოვრება თავისი არსის საწინააღმდეგოა, მაგრამ მისი მოთხოვნა არაა "უკან ბუნებისკენ" რუსოსეული აზრით, არამედ - ადამიანური ყოფიერების ჰარმონიული საწყისის გააზრება-გაცნობიერება და გონით ორიენტირთა სისტემის მიხედვით ცხოვრება; ადამიანების ტრაგედიას ის ქმნის, რომ მათ ძიების საშუა-

ლება არა აქვთ თავის დროზე, ადრეულ ასაკში, მერე და მერე კი ისე ღრმად ეშვებიან პრაქტიკული და "ტექნიკური" ცხოვრების უფსკრულში, - რაც თავისთავად მოითხოვს ცხოვრების ასეთი წესის შესაბამის საშუალებებს, ტექნიკურ პროგრესს, - რომ აღარ შეუძლიათ თავიანთ თავში თავისუფალი ადამიანის გამოღვიძება. ეს მოტივი შემდეგ ფილოსოფიური ანალიზის საგანი გახდება მარტინ ჰაიდეგერთან, რომელიც, რილკეს შემოქმედების განხილვისას, ყურადღებას მიაპყრობს მის ერთ-ერთ ლექსში ცენტრალურ სიტყვას - Wagnis (გაბედულება, სიმამაცე), რაც ჰაიდეგერის მიხედვით ყოფიერების საშიშროებას უნდა ნიშნავდეს, დაკავშირებულს შიშთან და ზრუნვასთან; ამ შიშის დაძლევას, ჰაიდეგერის აზრით, ადამიანი საკუთარი არსის საპირისპირო საშუალებებით ცდილობს, რაც გამოიხატება ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში, ტექნიკისა და მაშინერიის განვითარებაში (აქ გვახსენდება რილკეს "სონეტები ორფეოსისადმი", XVIII სონეტი). მაგრამ ეს პროცესი, ეს უსაშველოდ ყოვლისმომცველი პროგრესი, ადამიანს არ ხდის გარანტირებულს და დაცულს; პირიქით, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, იზრდება საჭიროება და შიში. მაგრამ, ფილოსოფოსის შენიშვნით, რაც ადამიანს დაღუპვით ემუქრება, ესაა მისი შიშველი სურვილების, ნდომის აბსოლუტიზაცია, - ყველაფერში თვითგანხორციელების ნდომა, რაც რილკეს პოეზიაში განსაზღვრულია, როგორც გაბედულება, რისკი; გარისკვა ნიშნავს თამაშში შესვლას, უხილავი ცენტრისკენ სწრაფვას; იქ, ყოფიერების გულისგულში, - ჰაიდეგერის თქმით, - სამყაროს შიგნით ადამიანი პირველად შეიგრძნობს "ღიას", ე. ი. სამყაროში თავის ბუნებრივ, ბუნებისმიერ ყოფიერებას, დაბადებიდან მის ნაწილად ყოფნას. ჰაიდეგერი ადამიანს მიზნად უსახავს საკუთარ ყოფიერებაში ბუნების გაღვიძებას, ტექნიკური პროგრესის ბანგისგან გამოფხიზლებას.

რილკე გატაცებით კითხულობდა კირკეგორს და ამ ფილოსოფოსის იდეებმა გარკვეული ასახვა ჰპოვა მის შემოქმედებაში. მაგრამ თუ კირკეგორისთვის ადამიანი მუდამ ალტერნატივის წინაშე დგას და არჩევანი მუდამ საკუთარი რისკით ხდება, გადაწყვეტილების ნიადაგზე, ხოლო ასეთ სინამდვილეში მოქმედების საშუალებას მხოლოდ რწმენა აძლევს ადამიანს, რილკესთვის ადამიანის ცხოვრებაში პირველი დიდი "ნახტომი შეუცნობელში" (კირკეგორის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ), არჩევანი, გაუცნობიერებლად ხდება. რილკეს ბავშვს ნამდვილი რწმენის უნარი არ გააჩნია. მართალია, კირკეგორი რწმენის დროს გონების, რაციოს ჩარევას გამორიცხავს, მაგრამ თვით რწმენის ფაქტი და მნიშვნელობა ხომ გაცნობიერებას მოითხოვს. ბავშვს ეს არ შეუძლია. რილკეს ხელოვანი, ფაქტი-

ურად, ბავშვობიდანვე თავის თავში ღმერთის ნების განმხორციელებელია.

ბავშვობა, რომელიც არსად არ წასულა, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს, თუ განვიხილავთ ხელოვანის მარტოობას, როგორც ფაქტობრივ სინამდვილესთან დაპირისპირებას, პროტესტს.

რილკე გამოყოფს ერთ ეპიზოდს როდენის ცხოვრებიდან. როდენმა, ბოლოს და ბოლოს, შექმნა პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები - "კაცის თავი მოტეხილი ცხვირით". ამ ქანდაკებით, როგორც პოეტი წერს, როდენმა შეკითხვა მისცა საზოგადოებას, საზოგადოებამ კი ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი გასცა: "ამ ნაწარმოებში როდენის ხელოვნებამ უკვე მიაღწია სიმწიფეს, სისრულესა და სიმტკიცეს. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, მან გამოწვევა ესროლა აკადემიური სილამაზის მითითებებს, რომლებიც ჯერ კიდევ თვითმპყრობლურად ბატონობდნენ". საზოგადოება კი მოუმზადებელი აღმოჩნდა. როდენმა თავი მისცა ოცდაათწლიან მარტოობას. ეს იყო უკუქცევა პროტესტის და არა დამარცხების ნიშნად. რილკეს თქმით, "როდესაც როდენში ეჭვი შეიტანეს, მას ეჭვი აღარ ეპარებოდა საკუთარ თავში".

ხელოვანის ცხოვრების წესზე, როგორც პროტესტზე, საგანგებოდაა მითითებული "ვორპსვედეში", სადაც რილკე მსჯელობს გერმანელი მხატვრის ჰაინრიხ ფოგელერის ხელოვნების შესახებ, და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია ხელოვნების ნაწარმოების გაგება, თუ ერთმანეთისგან გავმიჯნავთ ხელოვანსა და მისი ცხოვრების წესს. ხელოვანის ცხოვრება რომ თავისი არსით დაპირისპირება და პროტესტია, ეს არც აშკარა ბრძოლას გულისხმობს და არც - სწრაფ რეზულტატს. შესაძლოა, გარკვეული დროის განმავლობაში, არც იყოს ვინმესთვის შესამჩნევი, მაგრამ მთავარია არსი და არა - ფორმა, პროტესტის გამომხატველი უნდა იყოს ის სამყარო, რომელსაც ქმნის შემოქმედი; "საქმე იმაშია, საკმარისად ძალმოსილია თუ არა პროტესტი, რომ თავისი გაიტანოს, თავისი სინამდვილე დაუპირისპიროს იმ სხვა, ყველას მიერ აღიარებულ სინამდვილეს, არ დაუთმოს მას და, შეძლებისდაგვარად, აღემატოს თავისი კულმინაციების დარწმუნებულობით. მსოფლიო ისტორია სავსეა ამგვარი პროტესტებით. იგი გადაიზრდება მარტოსულთა აჯანყებებში". ასეთი ცხოვრება, რილკეს აზრით, ძალიან ჰგავს ბერის ცხოვრებას. ეს უკანასკნელიც პროტესტია, ოღონდ - ისეთი, როგორსაც არსებობის თავად ამგვარი წესი გულისხმობს. მისი ფორმაა გარესამყაროსგან მტკიცედ შემოზღუდული საკუთარი სამყოფი, არსი - ჩაბრუნება საკუთარ თავში. ეს არაა ბერწი არსებობა. პირიქით, "თავდადებულ, უანგარო მუშაობაში განიფეს-

ვება ეს ცხოვრება. მისგან თავისუფლად მოედინება ყოველივე კეთილი და დიადი: გულითადობაც, სიხარულიც, ღვთისმოსაობაც, დაბოლოს... ხელოვნებაც. ხელოვნება, განუყოფელი ყოველივე სხვა დანარჩენისგან, რამეთუ ხელოვნება თავადაა მოყვავილე ცხოვრება".

ცხადია, მხოლოდ მწერალი, მხატვარი ან მუსიკოსი არაა მარტო, სხვებიც განიცდიან სიმარტოვეს, მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც რილკე მიუთითებს, არსებითად განსხვავებული ტიპის გრძნობასთან გვაქვს საქმე: "ადამიანის ცხოვრებაში ჩამოჰკრავს ხოლმე საათი, როცა ყველა დიდი სიამოვნებით გადაცვლიდა თავის მარტოობას რაიმე, თუნდაც ბანალურსა და იაფფასიან, თავყრილობაზე, პირველ შემხვედრთან, ყველაზე უღირს ადამიანთან ხანმოკლე ურთიერთობაზეც კი, როდესაც გაგება და ურთიერთთანხმობა მხოლოდ მოჩვენებითია" (ა. ფიცხელაურის თარგმანი). შემოქმედისგან განსხვავებით, რიგითი ადამიანი ყველანაირად ცდილობს მარტოობისგან გაქცევას. აქ სახეზეა შიში, რომელიც ადამიანს თრგუნავს და აუძლურებს. შიშის პრობლემის რილკესმიერი გააზრება ახლობელი აღმოჩნდა ექსისტენციალისტებისთვის. უკვე დიდი ხანია, არავის უკვირს, რომ რილკეზე მსჯელობისას ყოველთვის გასათვალისწინებელია ექსისტენციალისტების ნააზრევი, უშუალოდ რილკეს შემოქმედებას რომც არ უკავშირდებოდეს. ჰაიდეგერი, როგორც ცნობილია, ორი სახის შიშს განასხვავებდა ერთმანეთისგან, Angst-სა და Fürcht-ს. პირველი, ტოტალური შიში, ძრწოლა, ადამიანს სამყაროში თავისი ყოფნის გაცნობიერების საფუძველზე ეუფლება, რადგან ეს ყოფა გაიგება, როგორც "მიტოვებულად" და "გადაგდებულად", "უპატრონოდ" ყოფნა; არარაობის, სიკვდილის წინაშე ძრწოლა. ადამიანი ყველანაირად ცდილობს, ამ ძრწოლას გაექცეს და თავი აარიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც მას ამ ძრწოლის პირისპირ აყენებს. ამ დროს ადამიანი საზოგადოებაში გაიქცევა და ხდება ისეთი, როგორიცაა ყველა სხვა, რაც იწვევს ადამიანის მიერ თავისი ნამდვილი ყოფიერების დაკარგვას. ნათელია, რომ მარტოობა სწორედ ასეთი, ტოტალური შიშის პირისპირ დარჩენას გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ მარტოობის გაცნობიერება ნებისმიერი პიროვნებისთვის ახალი ტრაგედიის ველში მოხვედრას ნიშნავს, ეს, რილკეს აზრით, ერთგვარი ნათელხილვაცაა, რომელიც ამაღლებს ადამიანს; ვერავითარი პროფესია, თუნდაც მოჩვენებით თავისუფლებას გვანიჭებდეს, ვერ იქნება ჭეშმარიტი ცხოვრების საფუძველი. ჭეშმარიტი ცხოვრება სწორედ იმ სინამდვილის საპირისპიროა, რომელიც "დამძიმებულია დრომოჭმული ტრადიციული შეხედულებებით და მკაცრი წარმოდგენებით". ჭეშმარიტი ცხოვრება სწორედ მაშინ იწყება, როცა ინდივიდი ამ გადა-

გდებულობას, მიტოვებულად ყოფნას აცნობიერებს: "არჩევანის უფლება არც კი გვაქვს. ჩვენ სამარადჟამო მარტოობა გვიწერია. შეიძლება თავი მოიტყუო კაცმა და ისე მოიქცე, თითქოს სულაც არ იყოს ასე და ამით დამთავრდება, ბოლო მოეღება მარტოობას; მაგრამ რამდენად უმჯობესი იქნება ვირწმუნოთ, რომ ეს სწორედ ასეა, რომ ჩვენ სწორედაც ასეთი მარტოსულნი ვართ და რომ ყოველთვის აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნები" (ა. ფიცხელაურის თარგმანი). ხელოვანი ამ ზოგადადამიანურ, კანონის რანგში აყვანილ მარტოობას არ გაურბის; იგი მას აცნობიერებს და საკუთარ, შემოქმედისეულ მარტოობას უპირისპირებს. ნიშანდობლივია, რომ დაპირისპირების ობიექტი ხდება არა მხოლოდ მარტოობა, არამედ ის საზოგადოებაც, რომელიც ასეთი მარტოობის გარკვეულ ფორმას აყალიბებს და რომლის ცხოვრების წესიც პრინციპულად მიუღებელია შემოქმედისთვის. სიკვდილის შიშით ერთმანეთის ზურგს ამოფარებული ამ ადამიანების, ბუნების დამთმობი და უარმყოფელი ხალხის კნინი და ერთფეროვანი სახე კარგად იხატება რილკეს პირად წერილებში, რომლებიც ცხრაასიანი წლების დასაწყისში იწერებოდა და რომელთა ადრესატიც, სხვებთან ერთად, ლუ ანდრეას-სალომეა. ამ კუთხით, აღსანიშნავია 1903 წლის 15 ივლისს ვორპსვედედან ლუსადმი მიწერილი ბარათი, რომელშიც პოეტი შეძრწუნებული აღწერს დიდი ქალაქის ცხოვრებას, სადაც ყველა მარტოა, სადაც ადამიანები საცოდავად იხოცებიან, სადაც ჭუჭყი და სიღარიბეა, სადაც ქუჩებში უპატრონოდ ყრიან ლუკმა-პურის მთხოვნელი მოხუცები. ეს სამყარო შემდეგ ექსისტენციალისტებმა დაწვრილებით გააანალიზეს და შესაბამისი "ფორმულაც" გამოუძებნეს: ესაა Man-ის სამყარო, სადაც ადამიანი გათქვეფილია სხვა ადამიანებში, გადაქცეულია საშუალო, ჩვეულებრივ, რიგით ადამიანად, გათანაბრებულია სხვებთან, დაკარგული აქვს ინდივიდუალურ-განუმეორებელი სახე; იგი არსებობს მხოლოდ როგორც რეალობა და არა როგორც პიროვნება; ესაა უსახო Man; ორტეგა-ი-გატესი მას "მასის ადამიანს" უწოდებს.

ეს ის სინამდვილეა, რომელსაც პოეტი ისევ და ისევ თავისი მარტოსული ცხოვრების წესით უნდა დაუპირისპირდეს. წარსული აქ ერთგვარი პლაცდარმია. მისი მხოლოდ გახსენებაც კი ხელოვანს განსაკუთრებულ ძალმოსილებას ანიჭებს: "მაშინ მე ვიყავი ყმაწვილი ყმაწვილთა შორის; და რარიგ მარტო ვიყავი ახლაც, ამ ადამიანთა გვერდით, როგორ უარმყოფდა ყოველივე, რაც გზაზე მხვდებოდა". შეიცვალა დრო და არა დაპირისპირების არსი (ცხადია, არსს არც ის ცვლის, რომ აქ უკვე საქმე გვაქვს გაცნობიერებულ პროტესტთან). სხვათა შორის, სწორედ ამ პროცესში ხდება ბავშვობის თანამდევი მარტოსულობის გაცნობიერება; მაგრამ რი-

ლკე სვამს კითხვას: სხვებიც, ეს უბედური ადამიანებიც, ხომ ბავშვობიდან მოდიან? "ნუთუ, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ არსებობს მათში ბავშვობა, რომელიც იღუპება?“ ეს ბავშვობა, ფაქტიურად, უკვე განწირულია, რადგან მისკენ მისაბრუნებელი გზა აღარ არსებობს"; მაგრამ იმდენად გამძლეა დებულება - "ბავშვობა არ იკარგება", რომ რილკე ეჭვქვეშ დააყენებს საკითხს, საერთოდ განსხვავდება თუ არა მისი ყოფის არსი ამ ხალხის ყოფის არსისგან. თვალი მივადევნოთ რილკეს მიერ ეჭვის დაძლევის პროცესს.

როგორც ეს ყოფიერებაა თავისი არსით ობოლი და ღმერთისგან მიტოვებული, ასეთივე მდგომარეობაშია ხელოვანიც. იმდენი რამაა საერთო ყოფის ამ ორ სახეს შორის, რომ პოეტს შიშიც კი იპყრობს - ხომ შეიძლება ის ამ სამყაროს - მისთვის ასერიგად მიუღებელი რეალობის - ერთი უბრალო ელემენტი იყოს და მეტი არაფერი. ეს შიში უსაფუძვლო არაა იმ ძალების ხელში, რომლებიც მნიშვნელობენ სინამდვილის ორივე სახისთვის, როგორც მორჩილისთვის, ისე შემოქმედისა და მეამბოხისთვის. ექსისტენციალისტები ყოველთვის დაბეჯითებით აღნიშნავდნენ, რომ ინტელექტი და მისი პროდუქტები (მეცნიერება, ტექნიკა) ყველაფერს ათანასწორებს, და მათ ხელში ადამიანი მხოლოდ საშუალო შეიძლება იყოს, მან არ შეიძლება რაიმე გააკეთოს ან გაბედოს ისეთი, რაც სხვას არ გაუბედია ან არ გაუკეთებია. ამ თვალით დანახულ სამყაროში არ არსებობს რაიმე ამაღლებული, იდუმალი, განუმეორებელი. მაშინაც კი, როცა ვინმე ცდილობს, გაემიჯნოს ბრბოს ან საზოგადოებას, ისე იქცევა, როგორც ამას საერთოდ აკეთებენ ხოლმე მსგავს შემთხვევაში. სწორედ ასეთი აზრითაა განმსჭვალული რილკეს შემდეგი სიტყვები: "მეც ხომ ისეთივე ღარიბი ვარ, როგორც - ისინი; ისეთივე სრულიად საპირისპირო ვარ ყოველივე იმისა, რაც სხვა ადამიანებს იტაცებდა და ახარებდა, თავბრუს ახვევდა, ატყუებდა?.. განა მეც მათსავით არ ვშიმშილობდი ხორაგით სავსე მაგიდასთან... და განა მეც ისეთივე გამჭვირვალე არ ვიყავი, როგორც ეს მარტოსულნი, მხოლოდ გარეგნულად შეფერილნი ამ ქალაქის ამოსუნთქვითა და სიმძიმით, ხარხარით, რომელიც ისე ამოდიოდა, როგორც - კვამლი წამხდარი კერებიდან". აქ უკვე ნათლად გამოიკვეთა რაღაც ისეთი, რომელსაც უპირისპირდება როგორც შემოქმედი, ისე - ეს ხალხი; არის რაღაც ისეთი, რომლისკენაც მიმართულია მათი აგზნებული ცნობიერება, როგორც - მათდამი მტრულად განწყობილი საწყისისადმი. ეს მესამე არის ბედი. ახლახან ციტირებულ წერილში რილკე აღნიშნავს: "ჩემს წინ თვით ბედი თამაშდება, ხანგრძლივი ბედი, კატასტროფული, შემზარავად ზრდადი..." ბედია ის, რაშიც თავს იყრის დავიწყება, სიკვდილი, ერთფერო-

ვნება, სიღარიბე, შიმშილი... ახლა საცნაურია, როგორ დაიძლევა ხელოვანის სულში გაჩენილი ეჭვი. რაც ამ ხალხისგან პრინციპულად განასხვავებს შემოქმედს, ესაა ის, რომ შემოქმედი ერთდროულად უპირისპირდება როგორც ამ ხალხს, ისე - ბედს. ხელოვანის ცხოვრების წესს ეს ორმხრივი პროტესტი ქმნის. ამ ხალხს, დიახაც, აქვს უკმაყოფილების გრძნობა; ეს ადამიანები იტანჯებიან, აცნობიერებენ რა ბედს, მაგრამ არა აქვთ ბედთან დაპირისპირების ძალა და ამ უკანასკნელის ბატონობის ქვეშ ექცევიან. ამ უმწეობის გაცნობიერება კი უფრო ამძაფრებს შიშს, რომელსაც ერთმანეთის ზურგს უკან დგომით თრგუნავენ, ერთმანეთში ითქვიფებიან. ეს გზა, ბრბოში დაკარგვის, შიშისა და სიმარტოვისგან გაქცევის, უცხოა შემოქმედისთვის; რადგან იგი სწორედ რიგითობას და წარმავლობას ვერ ეგუება; ვერ ეგუება იმას, რასაც შემდეგ ბერდიაევმა ობიექტივაცია უწოდა და შემდეგი ნიშნებით დაახასიათა: 1. ობიექტის გაუცხოება სუბიექტისგან; 2. განუმეორებად-ინდივიდუალურის, პიროვნულის შთანთქვა ზოგადით, უპიროვნო-უნივერსალურით; 3. აუცილებლობის, გარედან დეტერმინირებულის ბატონობა, თავისუფლების დათრგუნვა და დახურვა; 4. სამყაროსა და ისტორიის მასიურობისადმი, საშუალო ადამიანისადმი შეგუება, ადამიანის და მის შეხედულებათა სოციალიზება, რაც სპობს ორიგინალობას.

ბერდიაევამდე ბევრად ადრე ჰეგელმა განიხილა ეს მოვლენა. მისი აზრით, ქვეყნიერება ცვალებადობასა და რელატივობაში გახლართული, აუცილებლობის ძალით მოქმედი ყოფაა, რასაც ადამიანები თავს ვერ აღწევენ, რადგან თითოეული არსება ჩაბმულია წინააღმდეგობაში და მისი ბრძოლა ამ წინააღმდეგობის გადასაჭრელად არ სცილდება მუდმივი ცდის ფარგლებს. ამის მიზეზს ჰეგელი ეძებს გონის უმაღლესი მიზნების დაპირისპირებაში სასიცოცხლო მიზნებთან. ადამიანი ყოველნაირად ცდილობს, შეინარჩუნოს თავი თავის განცალკევებულობაში, დაიკმაყოფილოს თავისი ვიწრო ინტერესები, რაც იძულებულს ხდის, თავისი თავი სხვების საშუალებად აქციოს, მათ შეზღუდულ მიზნებს ემსახუროს. აქედან გამომდინარე, სხვებიც უბრალო საშუალებებამდე ჩამოჰყავს. ამიტომ ამ ურთიერთობაში მოცემული ინდივიდი თავისი თავისგან კი არ გაიგება, არამედ მის გასაგებად საჭიროა ვიღაც ან რაღაც სხვა, რადგან ცალკეული ადამიანი ყოველთვის დამოუკიდებელია გარეგან ზეგავლენებზე, კანონებზე, სახელმწიფო წყობილებაზე, სამოქალაქო ურთიერთობაზე, რომლებიც მას წინასწარ უხვდება და რომელთა წინაშე ქედი უნდა მოიხაროს. სხვაგვარად ის ვერ შეძლებს თავისი ინტერესების განხორციელებას. ყოველივე ამის მერე კი სახეზეა შედეგი: ადამიანს არ ეძლევა დამოუკიდე-

ბელი და ტოტალური ცხოველმყოფელობისა და თავისუფლების ასპარეზი. ხელოვანის მიზანსა და დანიშნულებას ჰეგელი ხედავს სინამდვილის ამ ნაკლოვანებათა ამოვსებაში. თავისუფლება მშვენიერების სათავეა, "მისი (ხელოვნების - დ. ბ.) დანიშნულებაა, გამოავლინოს სიცოცხლე, უპირატესად კი გონითი განსულიერება, გარეგნულადაც გამოსახოს იგი თავის თავისუფლებაში და გარეგანი თავისი ცნების შესატყვისი გახადოს. პირველად მხოლოდ მაშინ გამოეყოფა და გასცდება ჭეშმარიტი თავის დროულ გარემოცვას, თავის მიმოფანტვას, მიმოღვრას ბოლოვადობათა მწკრივში და ამასთან შეიძენს გარეგან გამოვლინებას, საიდანაც უკვე ბუნებისა და პროზის გაჭირვება და სიღატაკე კი არ იცქირება, არამედ შესაფერისი მყოფობა, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენს წინაშე დგას თავისუფალ თვითმყოფობაში, რადგან თავისი განსაზღვრება თავის თავშივე აქვს და არ ჰპოვებს, რომ იგი სხვის მიერ არის მასში ჩადებული" (შ. პაპუაშვილის თარგმანი). გასაკვირი არ იქნება, ვინმემ რომ თქვას, ჰეგელის ამ მსჯელობით რილკეს სულში მიმდინარე პროცესებია დაფიქსირებულიო.

მაშასადამე, ეჭვი დაძლეულია. მაგრამ - მხოლოდ ნაწილობრივ. რილკე სვამს მეორე, გადამწყვეტ კითხვას: აქვს თუ არა აზრი ბედთან ბრძოლას? შესაძლებელია თუ არა, საერთოდ, ვინმეს მიერ ბედზე გამარჯვება?

აქ ყურადღება უნდა შევაჩეროთ რილკეს შემოქმედებაში ფუნდამენტურ საკითხზე. ესაა საკუთარი და არასაკუთარი სიკვდილის საკითხი. თავს ვარიდებ ამ პრობლემის დაწვრილებით ანალიზს. ვიტყვი მხოლოდ, რომ არასაკუთარი სიკვდილი რილკეს ესმის, როგორც ადამიანისთვის არაორგანული, არაპიროვნული, არაინდივიდუალური სიკვდილი. ასეთი სიკვდილით იღუპებიან დიდ ქალაქში, სადაც ადამიანის სულიერი ცხოვრება გაღარიბებულია, სადაც დასადგურებულია შიში და სიბინძურე. რილკე ამ პრობლემას ძირითძირამდე შეეხო თავის რომანში "მალთე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები". ვისი ხვედრია საკუთარი, ბუნებრივი სიკვდილი? "საკუთარი სიკვდილის ცნებას რილკე, უპირველეს ყოვლისა, ხელოვანის ექსისტენციასა და შემოქმედებით აქტს უკავშირებს. ტრიადა: ცხოვრება-შემოქმედება-სიკვდილი რილკესთვის სამება და ერთარსებაა. თითოეული მათგანი პერმანენტულად შეკრული "წმინდა მთელის" აუცილებელი კომპონენტია. რილკეს აზრით, იცხოვრო, ნიშნავს - შექმნა და ამით შეასრულო ამქვეყნიური მისია. შემოქმედება ადამიანს გზას უხსნის "დიდი", "საკუთარი" სიკვდილისკენ და იმავე დროს კვლავ სიცოცხლისკენ, რადგან შექმნილი "არათანამოკვდავია" ("Nichtmitsterbendes"), რითაც მისი შემქმნელი უკვდავების ზიარი ხდება და სიკვდილი მისთვის კარგავს შემაშფოთებელ სიმძაფრეს. მაგრამ თუ ადამიანი უარს ამბობს შემოქმედება-

ზე, "გარდამქმნელ მუშაობაზე" ("verwandelnde Arbeit"), მისთვის სიკვდილთან შეხვედრა შემაძრწუნებელი უნდა იყოს" (დალი სიხარულიძე).

შემოქმედების ასეთი საგანგებო დანიშნულება ექსისტენციალიზმისა და სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების საგანგებო კვლევის ობიექტად იქცა. ხელოვნება გაგებულ იქნა, როგორც ბედის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მძლავრი იარაღი. ს. ველიკოვსკის მოაქვს ფრანგი მწერლისა და კულტურფილოსოფოსის ა. მალროს სიტყვები: "ხელოვნება - ესაა ანტიბედი", და განმარტავს, რომ "ბედის", თავისი ერთ-ერთი ძირითადი ცნების, ქვეშ მალროს ქრისტიანული "მწარე ხვედრისა" და "პირველსაწყისი ცოდვის" მითოლოგემებთან ერთად ესმის "ერთობლიობა ყოველივე იმისა, რასაც ადამიანს თავს ახვევს თავისი წარმავლობის გაცნობიერება" (მალროს სიტყვებია - დ. ბ.), რაც მუქარით ახსენებს "მის მიმართ გულგრილ და სიკვდილისმატარებელ კოსმოსს, სამყაროსა და დროს, მიწასა და კვდომას" (ესეც მალროს სიტყვებია - დ. ბ.); "მხატვარი, - აღნიშნავს ს. ველიკოვსკი მალროს კვალდაკვალ, - თავის სასიკვდილო ხვედრს უგზავნის გამოწვევას, ამყარებს რა იმედს თავისი წარმოსახვის შვილების უკვდავებაზე. იგი ცდილობს გადალახოს მისთვის განკუთვნილი ყოფიერების ნაწილის წამიერება, დამკვიდრდეს სამარადისო სამყოფელში. სინამდვილეზე თავის დამოკიდებულებასა და არათავისუფლებას, თავის "ადამიანურ ხვედრს", იგი უპირისპირებს საკუთარი ხელისა და გონების ქმნილებას, რათა გახდეს სამყაროში დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნება". იგივე აზრის იყო ექსისტენციალისტების უმრავლესობაც. აქ უკვე გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რა რჩება ბედთან ხელოვანის ბრძოლის მერე. რჩება საგანი, რომელშიც უკვდავება იწყებს სუნთქვას. მაგრამ ფაქტია ადამიანის მოკვდავობაც, ტანჯვისკენ მისი შინაგანი მიდრეკილებაც. ექსისტენციალიზმმა ეს პრობლემაც ადამიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, ექსისტენციალიზმში ადამიანის მოკვდავობა, მისი მიდრეკილება განიხილება, როგორც გადაულახავი ზარალი, რომელიც მას თავის ყოფიერებამ არგუნა, როგორც ყოფიერების ფიასკო.

მართალია, ხელოვნება არაა საშუალება უკვდავების მოსაპოვებლად, მაგრამ აშკარაა, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი უკვდავია. რილკესთვის ამის იდეალურ მაგალითს ორფეოსი წარმოადგენს. ურიგო არ იქნება მცირე გადახვევა ამ თემასთან დაკავშირებით. გ. თავრიზიანი ერთ თავის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა აღორძინების ხანიდან ეს რთული სახე: იგი იყო თავგანწირული სიყვარულის სიმბოლო (გლუკი, ჰაიდნი); ლისტმა იგი ხელოვნების მიერ შვე-

ბისმომგვრელი ზემოქმედების სიმბოლოდ აქცია; XX საუკუნის ესთეტიკური ცნობიერებისთვის მითის ეს წახნაგი, - ხელოვნების კულტი, - უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მკვლევარს ნიმუშად მოაქვს ფრანგი ექსისტენციალისტის მარსელის დამოკიდებულება რილკესადმი: "მარსელი შორს დგას რილკეს შემოქმედების შეფასებისას ესთეტიზმისგან და ხელოვნების, როგორც მხოლოდ საკუთარი თავისთვის არსებობის, კულტისგან (ისევე, როგორც რილკე). აქცენტი აქ გაკეთებულია არა ხელოვნების შვებისმომგვრელ ძალაზე, არამედ ორფეოსის კოსმიზმზე, ბუნებისა და "საგნების" სამყაროზე".

ხელოვანი ამარცხებს შიშს და ამით ამაღლდება რეალობაზე. მაგრამ სად წავიდა შიში? - კითხულობს რილკე. პასუხი ასეთია: ხელოვანი ახერხებს საგნად შიშის გარდაქმნას. რილკე ამ პროცესს "კეთებას" უწოდებს და წითლად გახაზავს: "იმ შიშებისგან, რომლებსაც მე განვიცდი, რომ შემძლებოდა რაიმეს გაკეთება, რომ შემძლებოდა მათგან საგნების შექმნა, ნამდვილი, წყნარი საგნებისა - მათი შემქმნელი ხდება მხიარული და თავისუფალი, ხოლო ეს ქმნილებები სითბოს გამოასხივებენ - მაშინ მე არაფერი დამემართებოდა". რილკე ფიქრობს, რომ მან ეს მაინც მოახერხა, შეძლო "შიშისგან საგნის შექმნა", როცა ვიარეჯოში ცხოვრობდა: "იქ დაიბადა ლოცვები, ლოცვათა წიგნი" (იგულისხმება "ჟამნის" მესამე ნაწილი: "წიგნი სიღარიბისა და სიკვდილისა").

საგნის პრობლემა რილკესთან ორგანულად უკავშირდება მარტოობის საკითხს. რილკე თვლის, რომ მხოლოდ მას შეუძლია თავად შექმნას საგანი, ვინც შეძლებს ყოველივეს უყუროს, როგორც საგანს. იგი ლამაზად და ლაკონურად ახასიათებს საგნის ორივე სახეს: "პირველდაწყებითი საგანი განსაზღვრულია; ხელოვნების მიერ შექმნილი საგანი უფრო მეტად განსაზღვრული უნდა იყოს; თავდახსნილი ყველა შემთხვევითობისგან, ამოგდებული დროიდან და მიცემული სივრცეს. ასეთი საგანი ხდება წარუვალი, მარადიული" (ასეთი საგანი იგრძნო ახალგაზრდა რილკემ "ლოცვების" სახით). ხეში, ზღვაში, ფრინველში, ცხოველში საგნის აღმოჩენის ნიჭი, რილკეს აზრით, მხოლოდ შემოქმედს აქვს, რადგან იგი მარტოა. ერთ-ერთი მეგობრისადმი გაგზავნილ წერილში რილკე აღნიშნავს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის მალთეს სახის შექმნას: "სწორედ ის მთხოვს, მიყვარდეს ყველა საგანი, რომლის შექმნაც განზრახული მაქვს, მიყვარდეს სიყვარულის ყველა უნარით. აი, მის მიერ ნაანდერძევი დაუმარცხებელი ძალა. წარმოიდგინეთ მალთე, რომელსაც ამ მისთვის ასე საშინელ პარიზში ეყოლებოდა მეგობარი ქალი ან თუნდაც ამხანაგი. განა ექნებოდათ მაშინ საგნებს მისი ნდობა? რამეთუ ყოველი საგანი,

რომლის ძირისძირი ცხოვრების გადმოცემაც თქვენ გსურთ, უპირველესად გეკითხებათ: ხარ თუ არა თავისუფალი? ხარ თუ არა მზად, მთელი შენი სიყვარული მე მომიძღვნა?.. თუ საგანი ხედავს, რომ თქვენ დაკავებული ხართ... ის იხურება..."

კ. კვასიანს თავის წიგნში "დუმილის ხმები" მოაქვს ნაწყვეტები რილკეს რამდენიმე წერილიდან, მათ შორის - ესეც. ხოლო შემდეგ წერს: "შევაჯამოთ ეს ამონაწერები. მათშია რილკეს ძირითადი პოეტური მაქსიმები. აი, ისინი: მუშაობა, თავგანწირვა, მდუმარე მარტოობა, მსახურება და მორჩილება. და უნდა დავძინოთ: მოლოდინი". მკვლევარი აქცენტს სვამს "მოლოდინზე" და აღნიშნავს, რომ ეს სიტვყა არ გულისხმობს პასიურ ცდას, რომ იგი აქტიური მოქმედების სინონიმია. ეს იყო "დუინური ელეგიების" მოლოდინიო, წერს ავტორი. სვასიანის ამ აზრს განამტკიცებს, ალბათ, რილკეს შემდეგი სიტყვებიც, "დუინურ ელეგიებს" ოცი წლით მაინც რომ უსწრებს წინ: "თავისუფალი, ჩუმი ზრდა, როგორც ყოველი განვითარება, ღრმა შინაგანობიდან უნდა მომდინარეობდეს; ის მხოლოდ საკუთარ, ბუნებრივი განვითარების კანონებს ემორჩილება და დაუშვებელია ხელოვნური ჩარევით მისი შეფერხება, ანდა დაჩქარება. ისევე, როგორც ნაყოფი დედის მუცელში, ყოველივე ბოლომდე უნდა მომწიფდეს და შემდეგ დაიბადოს".

რილკეს საგანს დაესმის არა იმდენად კითხვა "რა", რამდენადაც - "რა-როდის". საგნის ჭეშმარიტი ყოფიერება ხომ ჩვენს წინაშე მაშინ იხსნება, როცა მთლიანად მივენდობით მას (ორმა ნდობამ, საგნისეულმა და ხელოვანისეულმა, უნდა გადაკვეთოს ერთმანეთი), როცა მარტო აღმოვჩნდებით ამ საგანთან. საგანი, რომელთანაც ხელოვანი კომუნიკაციაში შედის, თავდახსნილია როგორც ყოველგვარი უტილიტარული "ღირსებისგან", ასევე - ჩვენდამი მომართული მგრძნობელობისგან; იგი არ ცდილობს ჩვენი არსებობის გათვალისწინებას. უტილიტარულ, პრაგმატულ მიდგომას გამორიცხავს თვით ხელოვანის გარდამქმნელი საქმიანობაც, რადგან აქ მნიშვნელოვანი ხდება ასეთი მოღვაწეობის შინაარსი, რაც უხილავის რანგში ხილულის აყვანას, მის ახალ რეგისტრში მოთავსებას გულისხმობს. როგორც დ. სიხარულიძე აღნიშნავს, "ხილულის უხილავად გარდაქმნა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის სულიერი აქტივობის შემწეობით საგანთა ახალ, უფრო მაღალ რეალობაში გადაყვანა. უფრო მაღალი რეალობა ხელოვნების სფეროა; კონკრეტულ შემთხვევაში - სიტყვიერი ხელოვნებისა. მიწის "გარდაქმნას" რილკე სხვაგვარად "საგანთა თქმას", Sagen der Dinge, უწოდებს. სიტყვას "თქმა" განსაკუთრებული მახვილი აქვს რილკესთან დასმული. ეს "თქმა" არ არის საგანთა უბრალო

დასახელება ან განმარტება. განმარტება საგნის გარკვეული დოგმების ფარგლებში მოქცევაა. განმარტება "უსახური მოქმედებაა", "მოქმედება ხატის გარეშე" (Tun ohne Bild); განმარტების საპირისპიროდ "საგანთა თქმა" საგნის ისეთი მასშტაბების პოეტურ ხატად ქცევაა, რომელიც წარმავალ საგანს "არათანამოკვდავად" (Nichtmitsterbendes), მარადიულად, "კუნსტდინგად" აქცევს. საგანთა ასეთი "თქმა" ადამიანის, უფრო ზუსტად პოეტის, უმაღლესი მისიაა".

ასე ესმოდათ ხელოვანის დანიშნულება ექსისტენციალისტებსაც. მარსელმა კარგად იგრძნო რილკეს წვლილი ამ პრობლემის გაშუქების საქმეში; რილკეს მიხედვით, ის, რაც არ გახდა ხელოვნების საგანი, ჩვენთვის სამუდამოდ დაფარულია, ის ჩვენ აღარ გვეკუთვნის. როგორც სწორად აღნიშნავს გ. თავრიზიანი, ხელოვნებაში რილკეს და მარსელს ესმით არა ნოვატორობა (რაც მეცნიერების საქმეა), არამედ - აღქმის უნარი, არსებულისადმი ერთგულების უნარი. უფრო კონკრეტულად, ექსისტენციალისტების ენაზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ხელოვნება ექსისტენციალურ სტრუქტურათა ამოხსნის საშუალებაა; თეოლოგ ტილიხის აზრით, მხატვრული ნაწარმოებები "გამოხატავენ რეალობის დონეებს, რომლებიც დაბურული რჩება რეალობასთან ჩვენი ჩვეულებრივი შეხვედრისას. ამ დონეებთან დაკავშირებით ისინი წარმოგვიდგებიან, როგორც სიმბოლურნი, მაშინაც კი, როცა მაქსიმალურად უახლოვდებიან ნატურალურს". ასეთი მიდგომა მხატვრული ტექსტისადმი, როგორც ექსისტენციალისტები ფიქრობენ, განაპირობა იმან, რომ ტრადიციული ფილოსოფიისთვის ნიშნეული კატეგორიული აზროვნების ჩვეულებრივი საშუალებები უღრმესი აზრის გადმოსაცემად არ გამოდგებიან; რეფლექსია შინაარსს "ობიექტად" აქცევს და გვაუცხოებს მისგან, ხელოვნებას კი, პირიქით, ჩვენამდე ძველისძველი, არარაციონალიზებული აზრი მოაქვს.

ჩემი მიზანი არაა იმის ანალიზი, თუ როგორ გაცხადდა წარმოდგენილი საკითხები რილკეს პოეზიაში, ამიტომ არც მაგალითებს მოვუხმობ მისი პოეტური შემოქმედებიდან.

დაბოლოს, უპრიანი იქნება, ამ პოპულარულ მიმოხილვას "მუშაობის" ცნების რილკესეული გაგების ჩვენებით თუ დავასრულებთ. აქ კიდევ ერთხელ უნდა მოვიშველიო გ. თავრიზიანი, რომელიც აღნიშნავს: "რილკეს პოეზიაში უზარმაზარი ძალითაა გამოხატული ადამიანის გარემომცველ საგანთა დაბრუნების, "გამოთქმის", ხელახალი განსხეულების აუცილებლობა. ხელოვნება არ კულტივირდება, როგორც ყოვლისშემძლე, ყოვლისმოწამე ღვთაება: ის მტკიცდება კეთების, ქმნადობის დიდოსტატურ მისიაში. აქედან მოდის როდენის ხელოვნების არსის, როგორც მუშაობის, რილკესეული წვდომა".

"საგანთა თქმის" პროცესი, უბრალოდ რომ ვთქვათ, მუშაობაა. მუშაობისთვის კი ხელოვანს არა მხოლოდ მარტოობა სჭირდება, არამედ - დროც. ისმის დროის საკითხიც, უკეთ, დროის უკმარისობის საკითხი, რაც ყველა შემოქმედის ჭმუნვის საგანია. რილკესთან იგი ბედის საკითხს უკავშირდება, ოღონდ ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, განსხვავებულ ასპექტში განიხილება: ბედი შემოქმედის წინააღმდეგ კონკრეტულ ნიშნებს იძენს და თუ ჭეშმარიტი ხელოვანისთვის უცხოა Angst, სამაგიეროდ, სრულიად არაა გასაკვირი, თუ ის პათოლოგიური ფორმითაც კი განიცდის Fürcht-ს. აი, ამ ჭრილში, ბედის რილკესეული დახასიათება: "ბედს მე ვუწოდებ ყველა გარეგან მოვლენას (მათ შორის ავადმყოფობასაც), რომელიც ძალმოსილია, დაუბრკოლებლივ შეწყვიტოს და მოსპოს გონის მოცემული მდგომარეობა ან სულის მისწრაფება, მარტოსულისა თავისი ბუნებით. სეზანს ჩინებულად ესმოდა ეს, როცა თავისი ცხოვრების უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე გაემიჯნა იმას, რასაც შეეძლო, მისი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, "ტორი ჩაეფარებიან მისთვის", და მიუხედავად დიდი ღვთისმოსაობისა და ტრადიციებისადმი ერთგულებისა, დაჟინებით უარს აცხადებდა დედის დასაფლავებაზე მისვლაზე, რომ სამუშაო დღე არ დაეკარგა. მე რომ ეს გავიგე, გულში ისარივით დამესო, მაგრამ მხოლოდ ცეცხლოვანი ისარივით, რომელიც, აჩენს რა გულში ხანძარს, ტოვებს ნათელხილვის შესაძლებლობას. ცოტაა ჩვენს დროში მხატვარი, რომელიც ამ სიჯიუტის ახსნას შეძლებდა, ამ უცნაური უდრეკობისა; მაგრამ მგონია, ამის გარეშე სამუდამოდ დავრჩებით ხელოვნების პერიფერიაში". სეზანის მაგალითი უნიკალურია. აქ მარტოობა თავის უკიდურეს საზღვრებამდე იშლება. რა თქმა უნდა, ეს დრამაა, მაგრამ - დრამა, რომელიც პასიონარულ პიროვნებას წარმოგვიდგენს. გავა დრო და რილკე წერილების მთელ სერიას შექმნის სეზანზე. ამ ფაქტს კი შემდეგი სახის კომენტარს დაურთავს: "მისთვის ამ დროს მუშაობა იყო ისეთი მნიშვნელოვანი, რომ გამორიცხავდა ყოველგვარ გამონაკლისს, ისეთსაც კი, როგორსაც ალბათ მისი ღვთისმოსაობა და უბრალოება მოითხოვდა".

1988 წელი

სიკვდილის ფუგა

პაულ ცელანი (1920-1970) გერმანულენოვანი პოეზიის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, "დიდად დაფასებული დასავლურ კრიტიკაში, მოდერნისტული პოეზიის კლასიკოსთა შორის შერაცხილი (ბ. ადეიშვილი). მისი ლექსი "სიკვდილის ფუგა" მკითხველმა 1948 წელს გაიცნო. ავტორს უკვე განცდილი ჰქონდა ომის მთელი საშინელება: დაკარგა მშობლები, წარმოშობით ებრაელი თავადაც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მთელი ლექსი ამ ბიოგრაფიით სუნთქავს, მაგრამ მისი ღირსება მაინც სხვაა: ესაა კონკრეტული თემის ისე განზოგადების და ისეთ სიმაღლეზე ატანის ნიმუში, როცა ნაწარმოები ეპოქის სულიერ სარკედ იქცევა. ლექსის ლირიკული გმირი ყველა იმ "ღირსებითაა" შემკული, რაც ადამიანს ინდივიდუალობას, საკუთარ "მე"-ს, პიროვნულ სიდიადეს უკარგავს, და მასობრივი მთელის რიგით ნაწილად აქცევს. მკითხველის წინაშეა შემზარავი რეალობის ძალით, და უფრო შემზარავი წინათგრძნობის ძალითაც, ერთად თავმოყრილი, ღვთის უსამართლობის წინაშე მდგომი, შეგინებული მრევლის სახე, (ცხადია, მკითხველმა თავისი თავიც ამ მრევლში უნდა წარმოიდგინოს):

"ადრიან დილის შავ რძეს ჩვენ ვსვამთ საღამოს
ჩვენ ვსვამთ შუადღეს და დილითაც ჩვენ ვსვამთ ღამითაც ჩვენ ვსვამთ და ვსვამთ
*ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერშივე ვიწროდ არ ვწევართ"**

ასეთი პათეტიკური და ირონიულად ამაღლებულია დასაწყისი. ასეთი მაჟორული სუნთქვა მიჰყვება ლექსს ბოლომდე, რაც ცალკეული წინადადებების მრავალჯერადი განმეორებებით, ცალკეულ სახე-სიმბოლოთა ვარირებით და სწორედ რომ ფუგისებური შინაგანი მონოტონურობით წარმოუდგენელ ეფექტს ქმნის, მაქსიმალურად ხერხდება ავტორის ჩანაფიქრის გაშლა და მხატვრული ლოგიკის განმტკიცება. ამავე მიზანს ემსახურება პუნქტუაციური ნიშნების უარყოფაც, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტექსტი დრო-სივრცეში არსებული რომელიღაც უხილავი ტექსტის ნაწილია.

ნაწარმოების დასაწყისშივე ის ძირითადი საქმე ფიქსირდება, რომელიც ადამიანებს ერთ ბედქვეშ უყრის თავს და პიროვნულ-განუმეორებ-

---

* *აქ და შემდგომაც ვსარგებლობ ლექსის ნოდარ კაკაბაძიესეული თარგმანით. იხ. ალმანახი "საუნჯე", №5, 1983.*

ელ სახეს უკარგავს. ესაა რძე-იძულებისადმი, რძე-დიქტატისადმი მორჩილების აღიარება. რძე, თავისთავად სიწმინდის სიმბოლო და დადებითი ასოციაციების აღმძღვრელი, აქ ისეთ სითხედ წარმოსდგება, რომელსაც არა აქვს ნატურალური და ბუნებრივი სახე, არამედ ციდან უწყვეტ ნაკადად მომდინარე კუპრის შთაბეჭდილებას ტოვებს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მთელი სამყარო სტატიკურ მდგომარეობაშია, არაფერი ხდება, არაფერი იცვლება, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ქვადქცეული პროცესი საოცარი შინაგანი დინამიზმითაა სავსე, რაღაც უხილავი ძალა თითქოს იმანენტურ ენერგიას ქმნის და გვარწმუნებს, რომ ერთი შეხედვით ერთფეროვანი და უძრავი ეს მდგომარეობა გრანდიოზული საარსებო ძალითაა დამუხტული. თითქოს დიახაც ასე იყო გუშინ, ასე იქნება ხვალ და ყოველთვის.

თანამედროვე დასავლური ხელოვნება, სხვათა შორის, თავად დაემსგავსა რეალობას, რეალობის უკეთ წარმოჩენის მიზნით მან თავად მიიღო ის სახე, რომელიც ამ დისჰარმონიულ, დაშლილ სინამდვილეს აქვს (სხვაგვარად შეუძლებელია, სხვაგვარად სამყარო ერთ ენაზე მეტყველი აღმოჩნდება, პოეტი - მეორე ენაზე, და ერთმანეთს ვეღარ გაუგებენ). რა მდგომარეობაა ამ მხრივ "სიკვდილის ფუგაში"? აქაც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ლექსის ყველა კომპონენტი ამ ფუნქციითაა გაჯერებული. პირველი ნათელი მაგალითი საამისოდ ლექსის ლაიტმოტივის, წითელი ხაზის, "რძის მოტივის" (პირობითად ვუწოდოთ ასე) განვითარებაა. თუ ლექსის დასაწყისში ავტორი, თუნდაც შეძრწუნებული და გაოგნებული, მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს და რძე უბრალოდ ის სიმბოლური ელემენტია, სიტუაციისთვის ლაკმუსის როლი რომ უნდა იკისროს, "რძის მოტივის" მეორედ მოხმობისას ეს შავი სითხე უკვე კარგავს უფორმობას (უფორმობის დაკარგვა!) და იმ კონკრეტული მთლიანობის სახეს იღებს, რომელიც ლამისაა გაპიროვნებული მოევლინოს სინამდვილეს:

"ადრიან დილის შავო რძეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით
ჩვენ გსვამთ შენ დილით და შუადღით ჩვენ გსვამთ საღამოს ჩვენ
გსვამთ და გსვამთ"

და ამის მერე ყოველთვის, როცა ლექსში ეს სახე-სიმბოლო გაიელვებს, მასთან მიმართება წოდებით ფორმაში იქნება.

ამავე მიზნის, სინამდვილისადმი მიმსგავსების ერთგულია ლექსის სტრუქტურაც, რომლის ანალიზიც ამ ლექსს უფრო "ხელშესახებს" გახდის, წარმოაჩენს იმ ფარულ ინტიმსაც, ლექსი რომ შეიცავს. "რძის მოტივი" სწორედ ამ სტრუქტურის პირველი ელემენტის სახით უნდა მოვინიშნოთ. მეორე ელემენტია სრულიად კონკრეტული მამაკაცის სახე-სიმბოლო,

კაცისა, რომელმაც სიტუაციის კონკრეტულად გააზრების საშუალება უნდა მისცეს მკითხველს. ეს მეორე მოტივი ლექსს თითქმის უმტკიცეს სიუჟეტს უმორჩილებს და ამ სახე-სიმბოლოს განვითარება, კონკრეტული კაცის სახის თანდათანობითი აბსტრაჰირება, ბოლოს და ბოლოს სიკვდილის რანგში მისი აყვანა ლექსის თავბრუდამხვევ რიტმს და ექსპრესიულ ჟღერადობას ქმნის. აი, რა უბრალოდ, შემპარავად, მაგრამ თავიდანვე გაუცხოებული სახით შემოდის ლექსში ეს მოტივი:

"კაცი ცხოვრობს სახლში რომელიც გველებთან თამაშობს თან
წერს
ის წერს როცა გერმანიაში ბნელდება შენი ოქროსფერი თმა
მარგარეტე
ის წერს და სახლის წინ გამოდის და ვარსკვლავები კიაფობენ
სტვენით მოუხმობს თავის ნაგაზებს
სტვენით მოუხმობს თავის ებრაელებს და აიძულებს თხარონ
საფლავი
ის ჩვენ გვიბრძანებს საცეკვაო დავუკრათ რამე"

ამ მართლაც რომ ხელისგულისოდენა მინიატურაზე, როგორც გაუცხოებულ პასაჟზე, მითითება იმიტომ დამჭირდა, რომ უკვე აქ მზადდება ფინალი, ამ კაცის სახით ავტორს უკვე ჩაფიქრებული ჰყავს სიკვდილი. საქმე ისაა, რომ ამ "გველებთან მოთამაშე კაცის" წარმოდგენა, როგორც კონკრეტული პიროვნებისა, რომლის მიმართაც ღირებულებითი და შეფასებითი საზომების მომარჯვებას შევძლებდით, მისი, როგორც ადამიანის, აღწერა აბსოლუტურად გამორიცხულია. ჩნდება განცდა რაღაც მისტიურის, ტრანსცენდენტურის, რომელიც ისევ და ისევ ჩვენშია. ჩვენში მისი ყოფნის ამ განცდას ჩვენივე განწყობა იწვევს, ვაცნობიერებთ რა ამ კაცის სურათს. ზემოთხსენებული, მოსალოდნელი ინტიმი ამ სურათში იღებს დასაბამს. სხვათა შორის, უკანასკნელი აკორდიც მას დაეკისრება, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ინტიმიც გაუცხოებული და ერთი შეხედვით არაჩვენეულია, ისიც მისტიური სამოსლით გვევლინება. სინამდვილეში კი ესაა ერთადერთი შესაძლო ინტიმი, რომელიც ლექსში წარმოდგენილი რეალობის ჟამსაა მოსალოდნელი, - ამ რეალობაში ხომ ყველაფერი იძულებითია, აქ ხომ ალტერნატივა არ არსებობს, აქ ხომ ყველაფერს ერთადერთი კაცის, დირიჟორის ჯადოსნური მზერა მართავს და ამ მზერის მამოძრავებელი თვალებიც ცისფერია! (ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ). არადა, ეს ეგრეთ წოდებული ინტიმი ისე შემოდის ლექსის ქსოვილში, რომ ერთდროულად გლეჯს, ანაკუწებს კიდეც ამ უკანასკნელს, და ამავე დროს საკმაოდ ორგანულად მკვიდრდება მასში:

"ცხოვრობს სახლში კაცი რომელიც გველებთან თამაშობს თან
წერს
ის წერს როცა გერმანიაში ბნელდება შენი ოქროსფერი თმა
მარგარეტე
შენი ფერფლისფერი თმა სულამით"

ასეთი სახით წარმოსდგება მშვენიერება იქ, სადაც ყოველნაირი საზომი, ეთიკური თუ ესთეტიკური, აღრეული და დეგრადირებულია. ასეთ სამყაროს სილამაზის საკუთარი კანონები აქვს, თავისი მშვენიერება, და უნდა აღინიშნოს, რომ მშვენიერის ამგვარი გამოვლენა დიდი ცხოველმყოფელობითა და მიმზიდველობით სუნთქავს.

უკვე აღვნიშნე, რომ ამ მისტიური კაცის სახე მეორე მოტივია ლექსის სტრუქტურაში, ლექსის ფინალამდე ჩვენთვის უცნობია მისი კონკრეტული სახელი. მართალია, რომც არ დაასახელოს ავტორმა იგი, ძნელად გამოსაცნობი არაა, რასთან ან ვისთან გვაქვს საქმე. ეს თავად ავტორმაც შესანიშნავად იცის, ამიტომ დასახელების აქტს, ცხადია, საგანგებო ფუნქცია აქვს.

სანამ ამ კაცის სახელი და გვარი ჩვენთვის უცნობია, ლექსი მაინც ინარჩუნებს პოლივალენტურ ხასიათს ხსენებულ სახე-სიმბოლოსთან მიმართებაში, რაც საერთოდ ფუგის სპეციფიკიდან მომდინარეობს. მაგრამ როცა ავტორი ერთბაშად ასახელებს, თითქოსდა ნიღაბს ხდის მკითხველის თვალში უკვე ნიღაბახდილ სიმბოლოს, იგი თითქოს ერთგვარ საკრალურ რიტუალს ასრულებს მკითხველის თვალწინ, ერთბაშად გვიმტკიცებს, რომ ის, რაც ჩვენ ნიღბის ახდით გავაკეთეთ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთი ნიღბის სანაცვლოდ ათი, ასი სახის მიცემა სიმბოლოსთვის, ავტორმა კი ნიღბის ჩამოხსნით მრავალფეროვნება მოკლა და ამით კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩააგდო მკითხველი: ავტორის მიერ დახატული უღრმესი და თვალუწვდენელი პანორამის საწყისი, სათავე ხომ შეუძლებელია მრავალფეროვანი იყოს, ეს სუბსტანციური საწყისი, მსგავსად ღმერთისა, ერთია და მისგან მომდინარე რეალობაა სწორედ მისი მახასიათებელი. და აი, პოეტი თითქოს ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნას გვთავაზობს, ჩვენს თვალწინ ასრულებს საოცარ რიტუალს, ძიების მთელ სიმძიმეს საკუთარ თავზე იღებს, მკითხველს კი თითქოს უბრალო, ელემენტარულ ჭეშმარიტებას, განტოლების თითქოსდა გაცვეთილ პასუხს სთავაზობს: *"სიკვდილი გერმანელი ოსტატია"*

ლექსის მიზანი ხომ მხოლოდ ის არაა, მკითხველს დაღეჭილი ჭეშმარიტება მიაწოდოს. არადა აქ, ერთი შეხედვით, ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ავტორი ხომ პირდაპირ ასახელებს მკითხველთა გონების ამაფო-

რიაქებელი ამ პიროვნების სახელს; ესაა სიკვდილი! უფრო მეტიც: ესაა ყველა სხვა სიკვდილისგან განსხვავებული, გამორჩეული, სპეციფიკურად გერმანული სიკვდილი! რაღა დარჩენია მკითხველს? მართალია, პოეტმა დაითმინა ძიების მთელი სიმძიმე, მაგრამ მკითხველზე სწორედ იმით "იძია შური", რომ მოსპო მისი უმცირესი, უხილავი იმედი: "ეგებ არცაა ამ კაცის სახელი სიკვდილი"? ამ ლექსის სპეციფიკაა ისეთი, რომ ემოციური მუხტი, რომელსაც მკითხველში იწვევს ჭეშმარიტების ნათელყოფა, პოეტური ძიების კომპენსაციას ახდენს, უკეთ რომ ვთქვა, ამ წერტილში პოეტის შრომა და მკითხველის შრომა, ხარჯვა ბალანსირდება. ესაა განცდის აპოთეოზი, - როცა პოეტის და მკითხველის გულები ერთ მთელად იქცევა. ესაა პოეტური შემოქმედების ერთი მხარე. მეორე მხარე ყველაზე მკაფიოდ ლექსის ფინალში იჩენს თავს. როგორც უკვე ვაჩვენე, ლექსი ორ ძირითად კომპონენტს შეიცავს, რომელთა ჰარმონიული მონაცვლეობა ქმნის მთლიანობას, ქმნის იმ განწყობას, რომელიც მხოლოდ სიკვდილის ფუგამ უნდა გამოიწვიოს. დღესავით ნათელია, რომ თუ ჭეშმარიტება, პირდაპირი სახელი ამ სახე-სიმბოლოსი, ავტორმავე უნდა გაამჟღავნოს, მაშინ ეს საქმე სათანადო ფორმისეული სიზუსტით და დამაჯერებლობით უნდა გაკეთდეს. ცელანი ამას ახერხებს, და მართლაც რომ გენიალურად, ამ ორი მონაცვლეობითი ხაზის, ორი მოტივის გადაკვეთით, გამთლიანებით, და ეს მთლიანობა ქმნის სწორედ ფინალს, უკეთ, ფინალი იწყება იქ, სადაც ეს ორი ხაზი, ორი ცენტრალური მოტივი ერწყმის ერთმანეთს. უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს ნათქვამი, მოვიტანოთ მთლიანად ლექსის ეს მონაკვეთი (პირობითად, ფინალი):

"კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე
შენი ფერფლისფერი თმა სულამით ის გველებთან თამაშობს
ის გაჰყვირის დაუკარით უფრო ტკბილად სიკვდილზე სიკვდილი
გერმანელი ოსტატია
ის გაჰყვირის ყრუდ მოუსვით ვიოლინოს ქამანები ჰაერში ახვალთ
შემდეგ კვამლივით
ღრუბელთა შორის თქვენ გექნებათ საფლავ-სამარე ვიწროდ არ
ვწევართ
ადრიან დილის შავო რძეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით
ჩვენ გსვამთ შუადღით სიკვდილი გერმანელი ოსტატია
ჩვენ გსვამთ საღამოს და დილითაც ჩვენ გსვამთ და გსვამთ
სიკვდილი გერმანელი ოსტატია მისი თვალები ცისფერია
ის გახვედრებს შენ ტყვიას გახვედრებს ზუსტად
კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე

ის გვისისინებს ძაღლებს და ჰაერის საფლავს გვიბოძებს ხოლმე
ის თამაშობს გველებთან და ოცნებობს სიკვდილი გერმანელი ოსტატია
შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე შენი ფერფლისფერი თმა სულამით"

ჩატარებული ანალიზის შემდეგ უთქმელადაც ნათელი უნდა იყოს ყველა ის სიმდიდრე, რასაც ლექსის ეს მონაკვეთი იტევს. მაინც აღვნიშნოთ რამდენიმე საინტერესო დეტალი და ვინაიდან "სიკვდილის ფუგის" ჩვენეული ინტერპრეტაცია ლექსთან უშუალო მიმართების ნაყოფია, უფრო თამამი დასკვნებიც გავაკეთოთ.

უპირველესი, რაც აშკარად თვალში საცემია, ესაა აზროვნების პროცესისა და ასოციაციების დაჩეხვა, დანაწევრება და ერთმანეთში გეგმაზომიერი აღრევა. მაგალითად:

"კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე
შენი ფერფლისფერი თმა სულამით ის გველებთან თამაშობს"

ამ წინადადებაში ბუნებრივი კონსტრუქციისთვის მიუღებელი წესითაა ჩართული "შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე შენი ფერფლისფერი თმა სულამით". იგივე ხდება წინადადებაში: "კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე ის გვისისინებს ძაღლებს". მეტ-ნაკლებად ტრადიციულია ამ თვალსაზრისით შემდეგი კონსტრუქცია:

"ადრიან დილის შავო რზეო ჩვენ გსვამთ შენ ღამით
ჩვენ გსვამთ შუადღით სიკვდილი გერმანელი ოსტატია ჩვენ
გსვამთ საღამოს"

მიუხედავად ამისა, მაინც არ ჟღერს მსგავსი წინადადებები უცხოდ, არ არღვევს ლექსის რკინისებურ სიმტკიცეს. ამის მიზეზი ისევ და ისევ ასოციაციათა შინაგანი ბუნებაა, აქ უკვე აღარ არსებობს ზღვარი ასოციაციასა და აწმყოს შორის. ყველაფერი ერთ სივრცეში ლივლივებს, ერთ მთლიანობად განიცდება, ხოლო თავი და თავი ყოველივე ამისა სიტყვაა, უკეთ, სიტყვაა ის ერთადერთი რეალობა, რომელიც ჩვენი თვალთახედვის საზღვრებში რჩება. თუ სიტყვაში, ტექსტში, ამგვარმა მთლიანობამ გაამართლა, ცხადია, წინააღმდეგობა რეალურსა და ირეალურს შორის მოიხსნება. სიტყვა ის მასალაა, რომელიც რეალობის აგურია პოეტისთვის. ყველაფრის დაშლა შეიძლება სიტყვებად და ყოველნაირი რეალობის დალაგება - ტექსტად. აქ ისევ დასაწყისში აღნიშნული თეზისი გავიხსენოთ და ყველაფერი ნათელი გახდება: ტექსტი იმ რეალობის მხატვრული სარკეა, რომელიც პოეტს ასაზრდოებს. პოეტის ცნობიერებაში კი ეს რეალობა გამთლიანებულია. რჩება მხოლოდ მისი დაფიქსირების პრობლემა.

ამგვარი ტექსტი, - სადაც მაქსიმალური პოეტური საშუალებებით ხდება ასოციაციისა და აწმყოსეული განწყობილების ერთ სიბრტყეში, ერთ განასერში წარმოდგენა, - მშვენივრად ახერხებს ლექსში დაწნეხილი რეალობის ძირითადი იდეის მხატვრულად ნათელყოფას, - რომ ყოველივე, რაც აქ ხდება, ხდება არა რეალურ, არამედ ლოგიკურ სამყაროში. აქ არ არსებობს საგნების დროული თანმიმდევრობა, ესაა საგანთა ლოგიკური თანაარსებობა, იქმნება ერთგვარი მეთოდური აბსურდი: საგნები, უფრო კი მოვლენები, ცნობიერების მიერ ერთმანეთის შემდეგ არსებულად კი არ განიცდება, არამედ ერთად და ერთმანეთში. ყველაფერი ერთბაშად, ერთ დროს, ერთ წამში, არსებობს. ბუნებრივია, ცნობიერების ასეთი მდგომარეობის უშუალო დაფიქსირება ტექსტში სიტყვების საშუალებით შეუძლებელია (ბოლოს და ბოლოს, სიტყვები ხომ ერთმანეთის მერე, თანმიმდევრობით უნდა დალაგდეს). ამ დროს მხატვრული აზროვნების სიზუსტე გადამწყვეტ როლს თამაშობს. პოეტი ცდილობს მიაგნოს თუნდაც უმარტივეს, ოღონდ აუცილებლად უზუსტეს საშუალებას მოცემული მდგომარეობის დასაფიქსირებლად (ასე ხდება ზემოთმოტანილ, ერთი შეხედვით უცნაურ წინადადებებში, ასე მძაფრდება ინტიმი, ასე განამტკიცებს ავტორი თავის მიერ განცდილი სიკვდილის რეალურობას, მის სპეციფიკურ-გერმანულობას).

ზემოთ გაკვრით აღვნიშნე ერთი საინტერესო დეტალი: სიკვდილს ცისფერი თვალები აქვს. აქაც საქმე გვაქვს უკვე გაანალიზებულ მოვლენასთან: ესაა რეალობა, სადაც ყველაფერი გაუცხოებული და აგნოსტირებულია, სადაც არ არსებობს შეფასების ყველასთვის მისაღები, ტრადიციული კრიტერიუმები. აქ ღმერთის სიკვდილი აღიქმება არა როგორც თავისუფლება, არამედ როგორც ერთი განსაზრღვრულობიდან, დეტერმინიზმის ერთი ფორმიდან, მეორეში გადაგდებულობა. აქ ყველაფერი ჯერარსულია: ისიც, რომ სიკვდილი გერმანელი ოსტატია, ისიც, რომ ამ სიკვდილს ცისფერი თვალები აქვს, ისიც, რომ რძე უსათუოდ უნდა დაილიოს. აქ ყველაფერი მშვენიერია, აქ სიმახინჯე და სიმდაბლე უბრალოდ არ არსებობს (ეს დებულება ცხადია სხვა მხრივაც: თუ არ არსებობს იდეალი, მაშინ რასთან შედარებით უნდა განისაზღვროს უგვანოსა და მდაბალის არსი? აქ ხომ უმაღლესი სუბსტანცია სიკვდილია).

მე დიდი ადგილი დავუთმე ლექსის ფორმალური მხარის ანალიზს და არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი: სიტყვების განლაგება, წინადადებების თანმიდევრობა, საერთოდ ფორმა ლექსისა ისეთია, რომ ყველაფერი პირობითობის ელფერის შექმნას უწყობს ხელს, ყველაფერი პირობითობას ემორჩილება, და სიტყვების ოსტატურ გამოყენებაზეა დამ-

ყარებული, შეძლებს თუ არა ავტორი, მხატვრულად განაცხადოს უმთავრესი თეზა: ყველაფერი სიკვდილშია. ლექსში არის სიტყვათა სწორედ ისეთი განლაგება, რომლითაც უნდა დადასტურდეს: სიკვდილი არათუ იდეალია, არამედ მთლიანობა არსებითად სიკვდილის მეოხებითაა შესაძლებელი, ჩვენ თავად ვართ სიკვდილი და იმდენად ორგანულია ეს უკანასკნელი ჩვენთვის, იმდენად ჩვენია იგი, რომ მისი არსებობა აღარც გვაშფოთებს. ეს ინერტულობა კი უმაღლესი ექსტაზის დასაწყისია:

"კაცი ცხოვრობს სახლში შენი ოქროსფერი თმა მარგარეტე
ის გვისისინებს ძაღლებს და ჰაერის საფლავს გვიბოძებს ხოლმე
ის თამაშობს გველებთან და ოცნებობს სიკვდილი გერმანელი
ოსტატია"

დავუკვირდეთ: სიტყვა "ოცნებას" სასაზღვრო როლი ენიჭება და იგი ორ ფუნქციას ასრულებს: ჯერ ერთი, წინადადებებს ამჭიდროვებს, ერთმანეთთან აკავშირებს, და ორი დამოუკიდებელი დასკვნის მთლიანობის განცდას აძლიერებს, მეორეც, ეს სიტყვა ერთ წინადადებასაც ეკუთვნის ლოგიკურად, და მეორე წინადადებისთვისაც ორგანულია:

1. *"ის თამაშობს გველებთან და ოცნებობს"*
2. *"ოცნებობს სიკვდილი"*

ცხადია, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ თუ ყველაფერი მართლა ასეა, ერთი შეხედვით აუხსნელი რჩება მომდევნო სიტყვები: "გერმანელი ოსტატია". მაგრამ აქ შეუსაბამობას ადგილი არა აქვს, რადგან ის ფუნქცია, რომელიც ზემოთ განხილულ მაგალითში "ოცნებას" დაეკისრა, "აქ "სიკვდილს" ეკისრება. აქ ერთი ფორმალური ხერხიცაა გამოყენებული (რაც ფრიად გავრცელებულია თანამედროვე პოეზიაში): წინადადება "სიკვდილი გერმანელი ოსტატია" იხლიჩება, ერთ ხაზზე რჩება "სიკვდილი", ხოლო მეორეზე ჩამოდის "გერმანელი ოსტატია". წინადადების ამგვარ გახლეჩასთან გვაქვს საქმე შემდეგ შემთხვევაშიც:

"ჩვენ ვთხრით სამარეს ჰაერშივე ვიწროდ არ ვწევართ"

ან:

"ის გაჰყვირის ყრუდ მოუსვით ვიოლინოს ქამანები ჰაერში ახვალთ
შემდეგ კვამლივით
ღრუბელთა შორის თქვენ გექნებათ საფლავ-სამარე ვიწროდ არ
ვწევართ"

აღარ ღირს ამ წინადადებათა ანალიზი, ყველაფერი ისედაც ნათელია: გარდა იმისა, რომ ავტორი წინადადებათა ასეთი გახლეჩით რიტმულობისა და დინამიზმის, ფუგისებური მდინარების საოცარ ეფექტს ქმნის, იგი, ამასთანავე, ზრდის მკითხველში პოლივალენტობის შეგრძნებას და

აზრის მხატვრული ლოგიკით დამუშავების დიდებულ ნიმუშს იძლევა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ერთი თვალშისაცემი გარემოება, რაც შესაძლოა სრულიად შემთხვევითი მოვლენა იყოს, მაგრამ რაკი ლექსი იძლევა ტექსტის სიღრმით და ლოგიკით გაპირობებული მსჯელობის საშუალებას, ორიოდე სიტყვით შევეხოთ სახარებასთან ამ ლექსის კავშირის საკითხს. ამ შემთხვევაში ერთი მიზანიც მამოძრავებს - განვამტკიცო ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ლექსში ყველა მოვლენა ერთდროულად, ერთმანეთში და ერთი სახით არსებობს, რომ სიკვდილიც ერთადერთი სუბსტანციაა, რომელიც თავადაა მრავალფეროვნება, თავადაა ყველა საგანი და ყველა მოვლენა, რომ ყველაფერი არსებობს ლოგიკური არსებობით, დრო-სივრცის გარეშე. ხოლო ლექსი მცდელობაა, მაქსიმალური სიზუსტით დაფიქსირდეს სამყაროს ასეთი მდგომარეობა, ლექსის, სიტყვის, დრო-სივრცეში არსებული რეალობის საშუალებით გადმოიცეს, შესაძლებლობის ფარგლებში მაინც, ის, რაც საკუთარი რეალობით არასოდეს მოგვეცემა.

ქრისტიანულ რელიგიაში, როგორც ცნობილია, წმინდა სამებას შემდეგი ელემენტები ქმნიან: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა.

"სიკვდილის ფუგაში", ანალოგიურად სახარებისა, სიკვდილი სამი სახითაა წარმოდგენილი: შავი რძე, კაცი და თავად სიკვდილი. ლექსის ფინალი სწორედ ამ სამი ელემენტის გამთლიანებას წარმოადგენს, ეს ელემენტები ორგანულად ერწყმიან ერთმანეთს და სახეზეა სიკვდილი, როგორც ყოველივეს წარმმართველი, დასაწყისი და დასასრული. ამის მერე კი, ცხადია, საკმაოდ ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ანალოგიაზე, დაიძებნოს უფრო მახვილი ნიუანსები. ჩვენს მიზანს ამჯერად ეს არ შეადგენს. აღნიშნულ იქნა მხოლოდ აშკარა, თვალშისაცემი ფაქტი.

თავშივე აღვნიშნე, რომ ეს ლექსი თემატურად ომისგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ მისი ღირსება ისაა, რომ იგი მთელი შემდგომი ეპოქის სარკედ იქცა. ამ ლექსმა საუკეთესოდ დაამტკიცა ისიც, რომ "ოსვენციმის მერე ლექსის წერა აღარ შეიძლება".

1989 წელი

გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი

ყოვლისმომცველი კმაყოფილების
ეპოქა - ესაა დასასრულის დასაწყისი.
ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

...იგი ყოველთვის დინებას მიჰყვება.
ამიტომ იგი არაფერს ქმნის, რარიგ დიდიც
არ უნდა იყოს მისი შესაძლებლობები და ძალაუფლება.
ხოსე ორტეგა-ი-გასეტი

დიდი ესპანელი მწერლისა და ფილოსოფოსის ხოსე ორტეგა-ი-გასეტის (1883-1955) კვლევა-ძიების მთავარ თემად თანამედროვე ადამიანის გაუცხოება უნდა ჩაითვალოს, რაც სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კრიზისული ეპოქისა და კრიზისული ცნობიერების ანალიზს.

რამდენადაც ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ორტეგას ნააზრევის დაწვრილებით განხილვა, მოკლედ და ზოგადად გადმოვცემთ მისი მსოფლმხედველობის იმ ძირითად მოტივებს, რომლებიც საფუძვლად უდევს გაუცხოების საკითხთა მისეულ ანალიზს.

ორტეგას აზრით, თანამედროვე ევროპელი ადამიანი ტრაგიკულ სიტუაციაშია ჩავარდილი იმის გამო, რომ მისთვის არა მარტო მომავალი, არამედ წარსულიც ურთულესი პრობლემებით სავსე აღმოჩნდა. ევროპელი ადამიანი დღემდე თავის თავს იმ ბრწყინვალე წარსულის მემკვიდრედ თვლიდა, რომელიც მას აწმყოსა და მომავლის პრობლემებში გასარკვევად აუცილებელ იარაღს აძლევდა, რაც, პირველ ყოვლისა, შემეცნების კლასიკურ ფილოსოფიურ მეთოდებს გულისხმობდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მეთოდები უვარგისი ყოფილა თანამედროვე პრობლემების გადასაწყვეტად: "ჩვენი მემკვიდრეობა შეადგენდა მეთოდებს, უპირველესად, კლასიკურ მეთოდებს. მაგრამ ევროპული კრიზისი, რომელიც მსოფლიო კრიზისს წარმოადგენს, შეიძლება შეფასდეს, როგორც მთელი კლასიკის კრიზისი".

კლასიკური ფილოსოფია, ორტეგას დახასიათებით, ადამიანს განიხილავს როგორც სამყაროდან ამოგდებულ და სრულიად ავტონომიურ არსებას; არადა, რაციონალური ფილოსოფიის მიერ შექმნილი იდეალური სამყარო სულაც არაა ანალოგიური იმ რეალური სამყაროსი, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. ამ სიძნელის დაძლევა კლასიკურ ფილოსოფიას არ

შეეძლო იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ადამიანის გონება და ცნობიერება ერთმანეთთან იყო გაიგივებული; მეორეც, გონებასთან გაიგივებული ცნობიერების კვლევის დროს კვლევის საგანი იყო მისი ზოგადმნიშვნელოვანი კატეგორიები. ამის გამო კონკრეტული სუბიექტი დავიწყებული აღმოჩნდა.

რაციონალური ტრადიციის (დეკარტის ხაზის) საპირისპიროდ, ორტეგა "სამყაროს" ცნებას გაიაზრებს არა როგორც აბსტრაქტულს, არამედ როგორც კონკრეტული ადამიანის სამყაროს. იგი ცდილობს ისეთი სახის ფილოსოფიის შექმნას, რომელიც შეძლებს ადამიანის ინდივიდუალური არსებობის კვლევას, პიროვნული სტრუქტურების ანალიზს და ადამიანისა და სამყაროს ნამდვილი ურთიერთობის წარმოჩენას. მასთან შემეცნება გაიგება, როგორც სუბიექტურისა და ობიექტურის მთლიანობა, რაც "პერსპექტივიზმის" თეორიად გაფორმდა. ამ თეორიის მიხედვით, ობიექტურ რეალობას ის სახე აქვს, რა სახითაც ინდივიდისთვის არსებობს, ე. ი. ის არსებობს, როგორც ინდივიდის მიერ "ორგანიზებული" ინდივიდუალურ "პერსპექტივაში". ადამიანის, როგორც თავის თავში სამყაროს მატარებელი სუბიექტის, შესახებ აზრს ორტეგასთვის შემდეგი ფორმულის სახე აქვს: "მე არის "მე" და ჩემი გარემოებები". ეს "მე" მთელ გარემომცველ სინამდვილეს იტევს თავის თავში. ესპანელი მკვლევარისა და ორტეგა-ი-გასეტის მიმდევრის ხ. მარიასის აზრით, "მე" ორი ფუნქციის შემცველია: "რეალურად მხოლოდ პირველი "მე" წარმოადგენს პიროვნებას მის მთლიანობაში და შეიცავს მის მეორე ნახევარს, ე. ი. გარემოებებს". რაც შეეხება მეორე "მე"-ს, იგი მხოლოდ ელემენტია ანუ ინგრედიენტი, გარემოებათაგან მოუწყვეტელი... რომელიც არ ამოწურავს მის რეალობას". ამ გარემოებათა განმსაზღვრელია სწორედ სამყაროს კონკრეტული ადამიანისმიერი ხედვის წერტილი; მისი "პერსპექტივა" განაპირობებს "გარემოებებს", ამ გარემოებათა უმნიშვნელოვანეს ნაწილს კი ის მოცემული, განსაზღვრული საზოგადოება შეადგენს, რომელსაც ინდივიდი ეკუთვნის. "გარემოებები, - აღნიშნავს ხ. მარიასი, - ესაა ყველაფერი, რაც ჩემს გარშემოა... ჩემი სხეულიდან ყველაზე შორეულ ვარსკვლავურ ნისლოვანებამდე, ჩემი მიდრეკილებებიდან და პირადი გამოცდილებიდან ისტორიულ და საზოგადოებრივ ურთიერთობებამდე, რომელიც გარს მარტყია, ჩემი პირადი წარსულიდან პრეისტორიამდე, ჩემი პირადი იდეებიდან კულტურამდე მის მთლიანობაში".

გარემოებების სამყარო შესაძლებლობათა სამყაროს ნიშნავს. ნაშრომში "მასების აჯანყება" ორტეგა წერს: "სამყარო, ესე იგი ჩვენი შესაძლო სიცოცხლე, ყოველთვის მეტია, ვიდრე - ჩვენი ბედი, ანუ ნამდვილი

სიცოცხლე". შესაძლებლობათა ამ სამყაროში არჩევანი ქმნის სწორედ კონკრეტულ ადამიანურ არსებობას. ჩვენს წინაშე რომ ყოველთვის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ყოფილიყო, ეს იქნებოდა აუცილებლობა და მეტი არაფერი. უარეს შემთხვევაში, როცა სამყარო არ გვაძლევს სხვა შესაძლებელ გამოსავალს, მაინც გვრჩება ერთი გზა – ამ სამყაროდან წასვლის შესაძლებლობა, ე. ი. თვითმკვლელობა. რამდენადაც შესაძლებლობათა სამყარო გარემოებათა სამყაროს ნიშნავს, სიცოცხლე ამ "გარემოებათა" ანუ "შესაძლებლობათა" შიგნით ყოფნაა. ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ სამყაროს "ჩვენი სამყარო" ვუწოდოთ. შესაძლებლობათა ამ გრანდიოზულ სამყაროში ჩვენ მხოლოდ რაღაც უმცირეს ნაწილს ვაქცევთ სინამდვილედ, რაც პიროვნების შემთხვევაში კონკრეტულ ადამიანურ არსებობას ქმნის, ისტორიაში კი - მოცემულ ეპოქას. თავის მხრივ, "გარემოების" ცნება "გადაწყვეტილების" ცნებას უკავშირდება. ადამიანის სიცოცხლე ორი ძირითადი ელემენტის - გარემოებათა და გადაწყვეტილების - მთლიანობაა. გარემოებები ჩვენგან დამოუკიდებელია; სიცოცხლე, მართალია, არ ირჩევს სამყაროს და მხოლოდ მიედინება მასში, მაგრამ ეს ფატალობა აბსოლუტური არაა. სამყაროში ჩვენი ყოფნა არაა გადაგდებულად ყოფნა; ბედი ჩვენ გვაძლევს ასარჩევად რამდენიმე ტრაექტორიას და გვაიძულებს, ერთ-ერთი ავირჩიოთ, ე. ი. თვით ბედი გვხდის თავისუფალს. ყოველი წუთი ჩვენს ცხოვრებაში ახალი გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს". ამ განასერში აანალიზებს ორტეგა ინდივიდუალურ ცხოვრებას და ამ უკანასკნელს "ფუნდამენტურ რეალობას" უწოდებს. მაგრამ ვიდრე "ფუნდამენტური რეალობის" ცნებას განვიხილავდეთ, უპრიანია, ვნახოთ, როგორ ესმის ორტეგას გაუცხოება, როგორ აყალიბებს იგი გაუცხოების ზოგად პრინციპებს.

ნაშრომში "ადამიანი და ხალხი", რომელსაც მკვლევარები ორტეგას შემაჯამებელ წიგნს უწოდებენ, ვკითხულობთ: "არსებობს სამი სხვადასხვა მომენტი, რომელიც ციკლურად მეორდება ადამიანური ისტორიის განვითარების მანძილზე, ყოველთვის უფრო და უფრო რთული და გაურკვეველი ფორმებით: 1. ადამიანი თავს დაკარგულად გრძნობს, ნივთებში გათქვეფილად - ესაა გაუცხოება; 2. ადამიანი ენერგიული დაძაბულობით განმარტოვდება თავის ინტიმურობაში, რათა შეიმოქმედოს ნივთებზე იდეების და თავისი შესაძლო ბატონობა - ესაა დაძირვა საკუთარ განაზრებებში, განაზრებით ცხოვრება... თეორია; 3. ადამიანი უბრუნდება სამყაროს, რათა იმოქმედოს ადრე შედგენილი შესაბამისი გეგმის მიხედვით - ესაა მოქმედება, აქტიური ცხოვრება, პრაქტიკა. ამიტომ არ შეიძლება საუბარი მოქმედებაზე მისი იმ განზომილების გარეშე, რომელშიც იგი

სახელმძღვანელო პრინციპი უნდა გახდეს წინასწარი ჭვრეტისთვის; და პირიქით, არ არსებობს განაზრებებში დაძირვა მომავალი მოქმედების პროექტირების გარეშე. მაშასადამე, ადამიანის ბედი მოქმედებაა, უპირველეს ყოვლისა. ვცხოვრობთ არა იმისთვის, რომ ვიფიქროთ, არამედ, პირიქით, ვფიქრობთ იმისთვის, რომ ჭეშმარიტ ცხოვრებას მივაღწიოთ".

გაუცხოების ეს პრობლემები მხოლოდ საზოგადოებრივ, სოციალურ გარემოში არსებობს. სოციალური ცხოვრება ორტეგას მიერ მიჩნეულია "არანამდვილ" ცხოვრებად, რომელშიც ხდება ადამიანური არსების გაუცხოება; ნამდვილი მოქმედება გულისხმობს გონებას, რომელიც სრულიად საპირისპირო რამაა ინდივიდებსშორისი მოქმედებისა. ადამიანის გაუსახურება, დეპერსონალიზაცია "კოლექტიური აზროვნების" შედეგია; ესაა "მასის სულის" ბატონობა: ყოველი ადამიანი ფიქრობს და საქმიანობს ისე, როგორც - სხვები. აღარ რჩება ადგილი პიროვნებისთვის - ყველგან ბატონობს "პარტიის ადამიანების" განწყობილებები, გრძნობები, აზრები და ქცევები: პოლიტიკური პარტიების, კულტურის, საზოგადოებების, სხვადასხვა რელიგიური და სპორტული ორგანიზაციების, ოჯახების, კვარტლების, რაიონების, რასების და ა. შ. გარდა ამისა, საზოგადოება არა მხოლოდ თეორიულად ფიქრობს - მისი აზროვნება პრაქტიკულ და რეალურ განხორციელებას ჰპოვებს ისეთ ორგანიზმებში, როგორებიცაა პრესა, რადიო, კინო და ინფორმაციისა და მასობრივი კულტურის გავრცელების სხვა საშუალებები. კულტურის წაშლა, მისი "გამასიურება", ამ კულტურის გადაგვარების მომასწავებელია.

დავუბრუნდეთ "ფუნდამენტური რეალობის" ცნებას. ასეთ რეალობას სწორედ კონკრეტული ინდივიდის ცხოვრება ქმნის, ხოლო გაუცხოება გაიგება, როგორც ამ ფუნდამენტის, ნამდვილი ყოფიერების, რღვევა, მისგან გადახვევა. რა სახისაა ეს საწყისი ყოფიერება? "ადამიანი და ხალხი" ადამიანური ცხოვრების ოთხ არსებით მომენტს გამოყოფს:

"1. ადამიანის ცხოვრება, ნამდვილი და საწყისი აზრით, ესაა ცხოვრება, გაგებული თავისი თავიდან, ესაა ყოველთვის ჩემი ცხოვრება - პირადი ცხოვრება.

2. სიცოცხლე მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი იძულებულია - არ კი იცის, რატომ და როგორ - დაღუპვის შიშით, ყოველთვის რაღაც აკეთოს გარკვეულ გარემოებებში, რასაც ჩვენ გარემოებებით გაპირობებულობას ვუწოდებთ, ე. ი. ყოველთვის ვცხოვრობ განსაზღვრულ გარემოებებში.

3. გარემოებები ყოველთვის გვთავაზობენ მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე, ყოფიერების შესაძლებ-

ლობებს. ეს გვაიძულებს, გვინდა თუ არა, განვახორციელოთ ჩვენი თავისუფლება. ამის წყალობით ცხოვრება მუდმივი ბედისწერა და ეჭვია. ჩვენ ყოველ წამს უნდა ავირჩიოთ, ვიქნებით თუ არა უახლოეს ან შორეულ დროში ის, ვინც ამას თუ იმას აკეთებს, მაშასადამე, ყველა მუდმივად ირჩევს მოქმედების თავის სახეს, თავის ყოფიერებას.

4. სიცოცხლე არ გადაიცემა. არავის შეუძლია, შემცვალოს მოქმედების ჩემი სახის გადაწყვეტის საქმეში. ეს კი ჩემს პირად ტანჯვას გულისხმობს, რადგან ტანჯვა, რომელიც გარედან მეძლევა, მე უნდა მივიღო. ამიტომ ჩემი ცხოვრება მუდმივი და გარდუვალი პასუხისმგებლობაა ჩემი თავის წინაშე. აუცილებელია, რომ ის, რასაც მე ვაკეთებ, რასაც მე ვფიქრობ, ვისურვებ, საზრისის მქონე იყოს, ჯანსაღი აზრის მქონე იყოს ჩემთვის. თუ ამ ატრიბუტებს შევაჯამებთ... გამოდის, რომ სიცოცხლე ყოველთვის კერძო სიცოცხლეა, სიცოცხლე გარემოებებში, სიცოცხლე გადაუცემელი და საპასუხისმგებლო".

"ფუნდამენტურ რეალობას" უპირისპირდება სწორედ სოციალურის კატეგორია, რომელსაც ორტეგა ასე ახასიათებს: "სოციალური წარმოადგენს ფაქტს, მაგრამ არა ადამიანური ცხოვრებისას, არამედ სხვისას, რომელიც ჩნდება ადამიანურ თანაარსებობასთან ერთად. ადამიანურ თანაარსებობად ჩვენ გვესმის დამოკიდებულება ორ ინდივიდუალურ ცხოვრებას შორის... თანაარსებობის ფაქტები არ წარმოადგენენ, თავისთავად, სოციალურ ფაქტებს. ისინი ქმნიან იმას, რასაც "საზოგადოება ანუ კავშირი" უნდა ეწოდოს - ინდივიდებსშორისი დამოკიდებულებების სამყარო".

შეიძლება ითქვას, რომ ორტეგასთვის კაცობრიობის მთელი ისტორია "ფუნდამენტურ რეალობასა" და სოციალურს შორის ბრძოლის ისტორიაა, რაც ნებისმიერ ეპოქას მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებს. ამ ბრძოლის შედეგები სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით და სხვადასხვა ინტენსივობით მჟღავნდება.

არის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც ორტეგა "სოციალური ფაქტის" კატეგორიას უწოდებს (რაც იგივეობრივია "ცდების", "გამოყენებების" "მოხმარებების") და რომლის ანალიზითაც სურს იმაზე მითითება, თუ რა სახისაა საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ურთიერთობა, როგორია საზოგადოებაში პიროვნების ქცევის ან ორიენტაციის სტრუქტურა. აქ საქმე გვაქვს არა შეფასებასთან, არამედ - ფაქტობრივი მხარის ანალიზთან. რას წარმოადგენენ ეს "ცდები"? ისინი: "1. წარმოადგენენ ქცევის წესებს, რომლებიც იმ ინდივიდთა ქცევის წინასწარმეტყველების საშუალებას გვაძლევენ, რომლებსაც არ ვიცნობთ და რომლებიც ამის გამო არ წარმოგვიდგებიან განსაზღვრულ ინდივიდებად. ინდივიდებსშორისი ურ-

თიერთობა შეიძლება მხოლოდ ინდივიდთან, რომელსაც ინდივიდუალურად ვიცნობთ; ესაა ახლობელთან ურთიერთობა. ცდები საშუალებას გვაძლევენ უცნობთან, თითქმის უცხოსთან თანაარსებობისას. 2. გავლენას ახდენენ მოქმედებების - იდეების, ნორმების, ტექნიკის - გარკვეულ რეპერტუარზე; ინდივიდს ავალდებულებენ, იცხოვროს დროის მოთხოვნით. მასში დროს ნერგავენ მიუხედავად მისი ნდომა-არნდომისა; ესაა წარსულში აკუმულირებული მემკვიდრეობა. საზოგადოების წყალობით ადამიანი წარმოადგენს პროგრესს და ისტორიას. 3. ახორციელებენ პიროვნების ქცევათა დიდი ნაწილის ავტომატიზაციას და მას თითქმის ყველაფერ იმის გადაწყვეტის პროგრამას აძლევენ, რაც მოქმედებაში შეიძლება იქნას მოყვანილი; საშუალებას იძლევიან პირადი შემოქმედებითი და ნამდვილად ადამიანური ცხოვრების კონცენტრირებისას განსაზღვრული მიმართულებით..."

"ცდები" საზოგადოებრივი ორგანიზმის მახასიათებლებია, ხოლო ეს ორგანიზმი, თავისთავად, საკუთარი არსებობის განმტკიცებას ესწრაფვის, რისთვისაც ინდივიდებსშორისი ურთიერთობების არმოშლა, გაღრმავებაა აუცილებელი. სწორედ ამ მიზნით უტევს საზოგადოებრივი ორგანიზმი ინდივიდს, ახორციელებს მასზე დაწოლას.

ახლა ვნახოთ, როგორ გამოიყენა ორტეგამ თავისი მსოფლმხედველობის ეს ძირითადი პრინციპები თანამედროვე ეპოქის ურთულესი პრობლემების გასაანალიზებლად.

1930 წელს, როცა ხოსე ორტეგა-ი-გასეტის "მასების აჯანყება" გამოქვეყნდა, უკვე არსებობდა და მნიშვნელობდა ო. შპენგლერის "ევროპის დაისი", მ. ჰაიდეგერის "ყოფიერება და დრო", სხვა ისეთი შრომები, რომლებშიც თანამედროვეობის უმტკივნეულესი საკითხები განიხილებოდა. "მასების აჯანყებამ" სწორედ იმ წიგნების გვერდით დაიდო ბინა, რომელთა ავტორები უკვე დიდ ფილოსოფოსებად იყვნენ მიჩნეულნი და რომელთა ნააზრევსაც მთელი განათლებული ევროპა ითვალისწინებდა.

"მასების აჯანყება" ეპოქის შეფასებით იწყება; შეიძლება ითქვას, რომ დასკვნა შესავალშივეა გამოტანილი: აღნიშნულია XX საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტი - მთელი საზოგადოებრივი ძალაუფლების გადასვლა მასების ხელში (ნაშრომი სწორედ ამ ფაქტის მიზეზთა გამოკვლევას ისახავს მიზნად). მიუხედავად ასეთი, ერთი შეხედვით ზედმეტად მკაცრი, განაჩენისა, ორტეგას კარგად აქვს გაცნობიერებული გასაანალიზებელი ეპოქის განსაკუთრებული სირთულე, რაშიც ლომის წილი ამ ეპოქის ორაზროვან შინაარსს მიუძღვის. ამ ეპოქის ყოველი თვისება ორი ასპექტის შემცველია, რისი მიზეზიც თავად

სინამდვილეა და არა ადამიანური ცნობიერების როგორობა; "საქმე იმაში კი არაა, რომ ვითარება ერთი აზრით ცუდი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე აზრით - კარგი, არამედ იმაში, რომ თავად სიცოცხლე შეიცავს თავის თავში ორ შესაძლებლობას - გამარჯვებას და დაღუპვას". ეს თვალსაზრისი, რომელიც ორტეგას ფილოსოფიისთვის არსებით "რაციოვიტალიზმს" ეყრდნობა, უკვე მიუთითებს, რომ ეპოქის ანალიზი არ ნიშნავს მხოლოდ გონების სტრუქტურების კვლევას. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ მასებს, მათი მოძალება იმდენად თვალსაჩინო ფაქტია, რომ საგანგებო დაკვირვებას არც საჭიროებს. გარდა ამისა, ჩვენი დროისთვის ყველაზე უფრო თვალშისაცემი რეალობა - ადამიანთა სიმრავლე და შექუჩება - ისეთი მნიშვნელობისაა, რომ "პრიზმაში გამავალი სინათლის სხივის მსგავსად მოულოდნელ აღმოჩენათა და დასკვნათა მთელ სპექტრს მოგვცემს". რა თქმა უნდა, სიმრავლე ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ასეთი ფორმით - არასოდეს. ინდივიდები, რომლებიც ბრბოს მიეკუთვნებიან, ადრეც არსებობდნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის გაფანტულად ან მცირე ჯგუფებად ცხოვრობდნენ; ამჟამად კი ერთად არიან და, უფრო მეტიც, ადრე თუ სოციალური სცენის უკანა რიგები ეკავათ, დღეს უკვე "ავანსცენაზე გადმოინაცვლეს".

ბრბო, ორტეგას განმარტებით, არაა რაოდენობრივი ცნება და არ აღნიშნავს მაინცდამაინც "ხილულ" თვისებებს, ეს ცნება ხარისხობრივი ხასიათისაა; ნებისმიერ საზოგადოებას ორი ფაქტორის - უმცირესობისა და მასის - დინამიური მთლიანობა ქმნის. უმცირესობას შეადგენენ განსაკუთრებული ღირსების მქონე პიროვნებები და პიროვნებათა ჯგუფები. რაც შეეხება მასას, იგი განსაკუთრებული ღირსებების არმქონე ადამიანთა სიმრავლეა. მასა - ესაა საშუალო, რიგითი ადამიანი. ნიშანდობლივი ისაა, რომ, რაც ადრე რაოდენობრიობის სახით აღიქმებოდა, ახლა ხარისხის სახით წარმოსდგება. ეს ხარისხი ისეთი ადამიანის სოციალური ნიშანია, რომელსაც არა აქვს ინდივიდუალობა, არაფრით გამოირჩევა სხვებისგან, უსახო "ზოგადი ტიპისგან".

ეს ორი ტიპი, რომელიც საზოგადოებას, სოციუმს ქმნის, ერთმანეთისგან განსხვავდება თავ-თავის მსგავსთან დაკავშირების ფორმითაც, ე. ი. იმით, თუ როგორ ყალიბდება, ერთის მხრივ მასა, ხოლო, მეორეს მხრივ - პიროვნებათა ერთობა. იმ ჯგუფებში, რომლებსაც მასებს ვერ ვუწოდებთ, წევრთა შეკავშირება დამყარებულია ისეთ გემოვნებაზე, იდეებზე, იდეალებზე, რომლებიც გამორიცხავენ მასობრივ გავრცელებას. ნებისმიერი უმცირესობის შესაქმნელად აუცილებელია, რომ მისი წევრები უმრავლესობას ემიჯნებოდნენ განსაკუთრებული, თუნდაც პირობი-

თად კერძო, მოტივებით. ჯგუფის შიგნით თანხმობა მეორადი ფაქტორია, ესაა ერთგვარი თანხმობა უთანხმოების ნიადაგზე. რაც შეეხება მასაში არსებობას, "მასის კაცად" ყოფნას, ეს წმინდა ფსიქოლოგიური ნიშანია და სულაც არაა აუცილებელი, რომ სუბიექტი მაინცდამაინც ფიზიკურად ეკუთვნოდეს მასას. ნებისმიერი ცალკეული ადამიანის შესახებ შეიძლება ითქვას, მასას ეკუთვნის იგი თუ - არა. მასის ადამიანი ისაა, ვინც თავის თავში ვერ გრძნობს ყველა დანარჩენისგან მის გამმიჯნავ ვერავითარ თვისებას, ვერც კარგს და ვერც ცუდს, ვინც "ზუსტად ისეთივეა, როგორიც ყველა სხვა დანარჩენი, და, ამასთან, ამით სულაც არაა გულდაწყვეტილი, პირიქით, ბედნიერია, როცა შეიგრძნობს, რომ ისეთივეა, როგორიც - ყველა". აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების დაყოფა მასებად და რჩეულ უმცირესობად ორტეგასთვის არ ნიშნავს სოციალურ კლასებად დაყოფას, არამედ ესაა მხოლოდ ადამიანთა დაყოფა ტიპებად: ნებისმიერ სოციალურ ფენასა და კლასში შეიძლება მოიძებნოს როგორც "მასის კაცი", ისე - უმცირესობის წარმომადგენელი.

ვიდრე, ორტეგას კვალდაკვალ, მასის ადამიანის ანუ იმ ადამიანის ფსიქოლოგიას გავარჩევდეთ, რომელიც დღეს საზოგადოების გადამწყვეტ უმრავლესობას შეადგენს, გავაანალიზოთ გაუცხოებული ეპოქის რამდენიმე ისეთი ნიშანი, რომელსაც ესპანელი ფილოსოფოსი სიმპტომებს უწოდებს.

მასისა და რჩეული უმცირესობის ტიპოლოგიური კვლევა-ძიებით ორტეგა იმ წინააღმდეგობის წარმოჩენას ცდილობს, რომელიც სწორედ ტიპოლოგიური თავისებურებების საფუძველზე წარმოიშობა. საზოგადოებაში არსებობს ბევრი ისეთი საქმე, მოქმედება, პროფესია, რომელიც საგანგებო ნიჭს და ტალანტს მოითხოვს. ასეთია სახელმწიფო მმართველობა, ხელოვნება, პოლიტიკა. ადრე ყოველ ამ სფეროში მოღვაწეობდა რჩეული უმცირესობა, ხოლო მასას პრეტენზია არ ჰქონდა, უმცირესობის საქმეში ჩარეულიყო; მან იცოდა, რომ საამისოდ არ ეყოფოდა კვალიფიკაცია. მასამ იცოდა თავისი როლი სოციალურ ძალთა ნორმალური დინამიკის დროს. ადრეულ ეპოქებთან შედარებით თანამედროვე ეპოქის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ მასების მოქმედების შინაარსი არსებითად შეიცვალა: "მასა, რომელიც მასადვე რჩება, უმცირესობის ადგილს იკავებს, ამ უკანასკნელს კი განდევნის". ამ ფაქტს ორტეგა ჰიპერდემოკრატიას უწოდებს და მკაცრად მიჯნავს ნამდვილი დემოკრატიისგან. ჰიპერდემოკრატია იბადება იქ, სადაც ქრება დემოკრატია; თვითდისციპლინა და წესრიგი იცვლება უკანონობით, საზოგადოებაში ერთი ნებისა და გემოვნების გაბატონებით.

ორტეგა არ თვლის, რომ მასების ასეთი მოძალება რაღაც ახალი და განსაკუთრებულია. ისტორიაში, მისი აზრით, პერიოდულად მეორდება ხოლმე ასეთი მოვლენები. მაგრამ ის, რაც თანამედროვე მოვლენებს ყველა ადრეულისგან გამოარჩევს და განსაკუთრებით დრამატულს ხდის, შემდეგში მდგომარეობს: "ადამიანები, რომლებიც მასას შეადგენენ, თავიანთ თავს რომ განსაკუთრებული ღირსებებით დაჯილდოებულად თვლიდნენ, ეს მხოლოდ რიგითი სიბრმავის შედეგი იქნებოდა და არა - სოციალური ქმედება. მაგრამ დღევანდელობისთვის დამახასიათებელია, რომ ვულგარული, მეშჩანური სულები, რომლებიც თავიანთ საშუალოობას აცნობიერებენ, გაბედულად აცხადებენ თავიანთ უფლებას ვულგარულობაზე".

ორტეგას მიზანს წარმოადგენს ისეთი თვალსაზარისის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის ეპოქებს შორის ურთიერთდამოკიდებულების, ეპოქებს შორის შინაარსობრივი განსხვავების კანონზომიერებათა მიგნებას. რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ეპოქა თავის თავს და დგას თუ არა მოწოდების სიმაღლეზე? განამტკიცებს თუ არა ღირებულებათა სისტემას? "მასების აჯანყებაში" უარყოფილია ის კონცეფციები, რომელთა ყურადღების საგანი მხოლოდ ხელოვნება, კულტურა და პოლიტიკაა. ეს შემდეგნაირად აიხსნება: კულტურა და პოლიტიკა მხოლოდ ზედაპირული ნიშნებია; ისტორიულ რეალობას გაცილებით ღრმა და ძველისძველი საფუძველი აქვს, - ესაა კოსმიური ძალების მსგავსი სასიცოცხლო ძალა, ბიოლოგიური ვიტალობა. მართალია, ეს არაა თვით კოსმიური ან ბუნების ძალა, მაგრამ ის არის "მსგავსი იმისა, რაც არწევს ზღვას, ნაყოფიერს ხდის ცხოველებს, ხეს ყვავილებით ფარავს, ანთებს და აქრობს ვარსკვლავებს". ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ ისმის საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა თანამედროვე ეპოქას დაცემისა და დეგრადირების ხანა ეწოდოს.

"დაცემის" ცნება შედარების ფაქტს გულისხმობს, - ამბობს ორტეგა, - ყოველი შედარება კი, თავისი ბუნებით, პირობითია. არსებობს თუ არა გზა, რომელიც პირობითობის ლაბირინთიდან გამოგვიყვანს? ასეთი გზა არსებობს და იგი ერთადერთია, - საჭიროა თავად სიცოცხლის შიგნით შესვლა, შიგნიდან მისი ანალიზი, თვალის მიდევნება, გრძნობს თუ არა დაცემას თვით სიცოცხლე, ე. ი. სუსტდება თუ არა, ჭკნება თუ არა, ქვემოთ ეშვება თუ არა. დავუშვათ, რომ მოვახერხეთ სიცოცხლეზე შიგნიდან დაკვირვება; როგორ გავიგოთ, რას გრძნობს სიცოცხლე? პასუხი ასეთია: ეპოქას, რომელიც წარსულზე მაღლა აწმყოს აყენებს, არ შეიძლება დაცემული ვუწოდოთ. ჩვენი ეპოქის თავისებურება ისაა, რომ ამ საკითხისადმი მისი დამოკიდებულება გაორებული და ბუნდოვანია: ესაა "მეტად უცნა-

ური, არნახული პოზიცია". რომელ წინარე ეპოქაში ისურვებდა ცხოვრებას XX საუკუნის ადამიანი? XIX საუკუნის ადამიანს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გაუჭირდებოდა და უყოყმანოდ დაასახელებდა, მაგალითად, რენესანსს, რაც იმის ნიშანია, რომ წინა საუკუნის ადამიანი სახით წარსულისკენ იყო მიბრუნებული. ჩვენი საუკუნის ადამიანისთვის კი ნებისმიერი წინარე ეპოქა ვიწრო საკანივითაა, სადაც შეუძლებელია სუნთქვა; თანამედროვე ადამიანი გრძნობს, რომ მისი სიცოცხლე "დიდი ხარისხის" სიცოცხლეა, - თანამედროვე ადამიანისთვის მთელი წარსული მცირედი შეიქნა. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც დაცემაზე მსჯელობის უფლებას არ გვაძლევს. მაგრამ საქმე გვაქვს უარესთან, რასაც ანალოგი არ მოეძებნება კაცობრიობის ისტორიაში: პირველად ვხვდებით ეპოქას, რომელიც სრულიად უარს ამბობს ნებისმიერი სახის მემკვიდრეობაზე, არ ცნობს არავითარ წესებსა და ნორმებს, რომლებიც წარსულში შეიქმნა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, შეჯამების სახით, ორტეგა გვთავაზობს ამონაწერს თავისი ნაშრომიდან "ხელოვნების დეჰუმანიზაცია". ჩვენც მთლიანად მოვიტანოთ იგი: "წარსულისა და აწმყოს გადამწყვეტი გათიშვა ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. ის თავის თავში ატარებს ეჭვს, მეტ-ნაკლებად შემაშფოთებელს, რაც იწვევს სწორედ შეშფოთებას, დღევანდელი ცხოვრებისთვის ასერიგად დამახასიათებელს. ჩვენ ვგრძნობთ, რომ თითქოს მოულოდნელად დედამიწაზე მარტონი დავრჩით; რომ გარდაცვლილებმა არათუ დაგვტოვეს, არამედ სამუდამოდ, სამარადჟამოდ გაუჩინარდნენ; რომ ისინი ვეღარ დაგვეხმარებიან. ტრადიციული სულის ყველა ნაშთი გაქრა. წესები, ნორმები, სტანდარტები ჩვენ აღარ გვემსახურება. ჩვენ განწირული ვართ საიმისოდ, რომ ჩვენი პრობლემები წარსულის გაუთვალისწინებლად გადავწყვიტოთ, ხელოვნება იქნება ეს, მეცნიერება თუ პოლიტიკა. ევროპელი მარტოა, ირგვლივ არავინაა სულიერი; ის ჰგავს პიტერ შლემილს, რომელმაც თავისი ჩრდილი დაკარგა. ასე ხდება ყოველთვის, როცა შუადღეა".

ჩვენს ეპოქას მიაჩნია, რომ ყველა ეპოქაზე მაღლა მდგომია, მაგრამ გრძნობს, რომ თვითონვეა დასაწყისი; იმავდროულად, დარწმუნებული არაა, რომ ეს არაა აგონია. იგი ყველა წინარე ეპოქაზე მაღლა დგას, ხოლო თავის თავზე - დაბლა; უდავოდ ძლიერია, მაგრამ დარწმუნებული არაა ამაში; ამაყია, მაგრამ თავისივე სიძლიერის ეშინია.

მაგრამ "დაცემის" ცნების ანალიზი ამით არ დამთავრებულა. საჭიროა დაზუსტდეს, კონკრეტულად რის დაცემასთან და დაკნინებასთან გვაქვს საქმე: იქნებ ესაა ევროპის ნაციონალური წარმონაქმნები? თუ ასეა, მაშინ როგორ შეიძლება მსჯელობა მთელ დასავლეთზე გავავრცელოთ? ორტეგას აზრით, არსებობს აბსოლუტური დაცემის ერთადერთი სა-

ხე - სასიცოცხლო ძალების მოსპობა; ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენ ამას შეგიგრძნობთ. ამიტომ საჭიროა ყველაფერ იმის გამოკვლევა, რაც დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისთვის. ამ საკითხის ანალიზი გამოკვეთს, ისევ და ისევ, ჩვენი ეპოქისთვის დამღუპველი გაორების ფაქტს: ჩვენი ეპოქა რომ თავს დაცემულად გრძნობდეს, იგი წარსულ ეპოქებს თავისზე მაღლა დააყენებდა და ღირსეულ პატივს მიაგებდა. არადა, ხდება სრულიად საპირისპირო: ჩვენი ეპოქა მტკიცედაა დარწმუნებული თავის შემოქმედებით შესაძლებლობებში, მაგრამ, ამავე დროს, არ იცის, რა შეიმოქმედოს; მთელი სამყაროს მბრძანებელს თავისი თავისთვის ვერ უპატრონია.

შესაძლებლობისა და რეალობის შესახებ თავის ზოგადმეთოდოლოგიურ თვალსაზრისს ორტეგა მთელი საზოგადოების ისტორიაზე ავრცელებს. ამა თუ იმ ადამიანური საზოგადოების სახე შეიძლება განისაზღვროს სწორედ იმის მიხედვით, თუ როგორ არჩევანს აკეთებს იგი, მაგრამ განსაზღვრება რომ აბსტრაქტული არ გამოვიდეს, საჭიროა მოცემული ეპოქის სახე შევუდაროთ რაღაც სტრუქტურულად მსგავსს. ასეთი შეიძლება იყოს ისევ ადამიანური საზოგადოების რომელიმე სხვა ეპოქა. ეს მეთოდი თავიდან გვაცილებს ზედაპირულ შეფასებას და არაფრისმომცემ ჰუმანურ ენთუზიაზმს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ "მასების აჯანყება" მიზნად ისახავს XX საუკუნის ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტის - მასების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის - მიზეზთა კვლევას. ამისთვის საჭიროა გაანალიზდეს თვით მასის ადამიანის ფენომენი, რომელთანაც ურიცხვი პრობლემაა დაკავშირებული.

ჩვენი დროის ძირითადი მახასიათებელი (აქამდე საუბარი იყო სიმპტომებზე), ორტეგას აზრით, ისაა, რომ საზოგადოების სადავეები ხელთ უპყრია მასის ადამიანს, სწორედ მას გამოაქვს ***გადაწყვეტილება***. მასის ადამიანია შესაძლებლობათა, გარემოებათა სამყაროში მაორიენტირებელი და მოცემული რეალობის შემქმნელი. ხოლო საზოგადოება, რომელსაც მასის ადამიანი განაგებს, ცხოვრობს ყოველგვარ მიზანდასახულობათა და რეალურ გეგმათა გარეშე, მომავლის გარეშე. მისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ ამ დროს პრობლემების მოგვარებაზე, გადაწყვეტაზე არავინ ფიქრობს; ეს პრობლემები ყოველთვის გადაიდება მომავლისთვის. აქედან გამომდინარე, მასის ადამიანი არაფერს ქმნის, რაოდენ გრანდიოზულიც უნდა იყოს მისი შესაძლებლობები.

ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც მასის ადამიანს დღეისთვის ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ფორმა მიანიჭა, ორტეგას მიხედვით, არის ის, რომ სცენაზე მასების ამოსვლა, მოძალება არაბუნებრივი სისწრაფით მოხდა; მასებმა, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება,

ვერ მოასწრეს ტრადიციული კულტურის სათანადოდ ათვისება, ტრადიციული კულტურა მასებს გვერდზე დარჩათ, ისინი ამ კულტურას მოწყდნენ და გუშინდელი დღე დაკარგეს. ამის გამო, თანამედროვე ევროპელი პრიმიტიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს: "სკოლები, რომლებითაც გასული ასწლეული ასე ამაყობდა, ასწრებდნენ მასებისთვის თანადროული ცხოვრების მხოლოდ ფორმების, ტექნიკის მიწოდებას; სკოლისთვის დამახასიათებელი ნამდვილი აღზრდის შესაძლებლობა მათ არ ჰქონიათ". სისწრაფემ იმის საშუალება კი მისცა მასებს, რომ თანამედროვე აპარატურას და ინსტრუმენტებს დაუფლებოდნენ, მაგრამ უდიდეს ისტორიულ ამოცანათა და ვალდებულებათა შესახებ ვერაფერი შეაგნებინა; ეს სკოლები მათ ტექნიკის სასწაულებს ათვისებინებდნენ, მაგრამ გონის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ. სწორედ XIX საუკუნეა ის ავბედითი ჟამი, რომელსაც უნდა დაეკისროს, ესპანელი ფილოსოფოსის აზრით, მთელი პასუხისმგებლობა ისტორიულ არენაზე მოუმზადებელი მასების გამოდევნისთვის. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მხოლოდ ერთ საუკუნეში მოხდა ყველაფერი, რამაც მასის ადამიანი წარმოშვა. მასის ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, როგორც რაოდენობრიობა. უფრო მეტიც, იგი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა, როგორც ხარისხობრივი მაჩვენებელი. აქ საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ გასულ საუკუნეში უკიდურესი განვითარება ჰპოვა დემოკრატიულ ფორმათაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ, ლიბერალურმა დემოკრატიამ. სწორედ ამ დემოკრატიის გამოყენებით მასებმა მოახერხეს ასპარეზზე გამოსვლა და პირველი, რაც მოიმოქმედეს, იყო ის, რომ ისინი ამ დემოკრატიას დაუპირისპირდნენ.

კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არის თანამედროვე ადამიანი ისეთი, როგორიც ის არის, ტოლფასია კითხვისა - საიდან მოვიდა იგი? მასის ადამიანის ანალიზი გაუცხოებული ეპოქის ახალ ნიშნებს გამოკვეთს. ბოლოს და ბოლოს, მასის ადამიანი სხვა არავინაა, თუ არა გაუცხოებული ეპოქის გაუცხოებული ადამიანი, რომელიც არ იბრძვის გაუცხოების მოსახსნელად და პირველად ყოფიერებაში დასაბრუნებლად. ახალი დროის ერთ-ერთ არსებით წინააღმდეგობას ის ქმნის, რომ მასის ადამიანმა, სხვადასხვა მიზეზთა ძალით, თავისი ადგილი მიატოვა და მისთვის უჩვეულო კონტექსტში ძალების მოსინჯვა სცადა; ესაა სრულიად მოუმზადებელი ხალხის ქაოსური მოძრაობა. XIX საუკუნეს ორტეგა რევოლუციურ საუკუნეს უწოდებს. რევოლუციურია იმიტომ, რომ მან ადამიანური ყოფიერება რადიკალურად შეცვალა. აქ მჟღავნდება ერთი პრინციპული მნიშვნელობის ნიუანსი: ამ შემთხვევაში რევოლუცია გულისხმობს არა ძველის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ - ახალი, ძველის საწინააღმდეგო, წესრიგის დამყარებას. ასეთ მოვლენას, ორტეგას აზრით, ისტორია არ იცნობს; რა

თქმა უნდა, ყველა ეპოქის ადამიანი განსხვავებულია ერთმანეთისგან, მაგრამ ჩვენს ეპოქას თუ ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ ამ ეპოქის ადამიანი არსებითად განსხვავდება ყველა სხვა ეპოქის ადამიანისგან, ერთად აღებულისგან: ყველა ადრეული საუკუნის "უბრალო ადამიანისთვის" "ცხოვრება" ნიშნავდა შეზღუდვებს, ვალდებულებებს, მორჩილებას, ერთი სიტყვით - ჩაგვრას (ჩაგვრას არა მხოლოდ სოციალურს ან სამართლებრივს, არამედ - "კოსმიურსაც"). თანამედროვე საუკუნემ ყველა ეს "აკრძალვა" მოხსნა. "მასების აჯანყებაში" ამ ფაქტიური ვითარების საფუძვლად სამი მიზეზია გამოცხადებული: ლიბერალური დემოკრატია, ექსპერიმენტული მეცნიერება და ინდუსტრიალიზაცია. აქედან, მეორე და მესამე მიზეზი ერთი ცნების ქვეშ ერთიანდება, ესაა "ტექნიკა".

ტექნიკის მიღწევებთან მიმართებაში იკვეთება მასის ადამიანის ორი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური ნიშანი: ცხოვრებისეულ მოთხოვნილებათა განუწყვეტელი ზრდა, და უმადურობა ყველაფერ იმის გამო, რამაც მასებს ასე ცხოვრების საშუალება მისცა. ეს ორი ნიშანი მასებს იმ ბავშვის მდგომარეობაში აყენებს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია სხვაგვარობა იმისა, რასაც ხედავს: მისთვის ყველაფერი "დიახაც ასე უნდა იყოს". თანამედროვე საშუალო ადამიანი მოქმედებს ფორმულით: "იცხოვრო - ნიშნავს, არ ხვდებოდე შეზღუდვებს; ამიტომ გაბედულად გააკეთე ყველაფერი, რაც გინდა. არ არსებობს შეუძლებელი, არ არსებობს საშიში, არ არსებობს მაღალი და დაბალი".

"მაღალისა" და "დაბალის" გათანაბრების ტენდენცია შემთხვევითი არაა, მას ფრიად სერიოზული და კანონზომიერი ხასიათი აქვს. თუ ჩვენთვის ამოსავალი გახდება ის ფაქტი, რომ ელიტის ადამიანი თავის თავს ყოველთვის უმკაცრეს მოთხოვნილებებს უყენებს, მასის ადამიანი კი ყოველთვის თვითკმაყოფილებითაა შეპყრობილი, შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ელიტის ადამიანს შეუძლია სინამდვილეში ის, რასაც სამსახურს ვეძახით. ეს სამსახური გარეგან იძულებას კი არა, შინაგან მოთხოვნილებას გულისხმობს; ესაა უმკაცრეს თვითდისციპლინას დამორჩილებული ცხოვრება, რომლისთვისაც განმსაზღვრელია არა უფლებები და პრივილეგიები, არამედ - ვალდებულება და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. ელიტარული ანუ კეთილშობილი ცხოვრება ასე განიმარტება ორტეგას მიერ: "კეთილშობილი ცხოვრება ჩვენთვის ნიშნავს დაძაბულ, ახალი და მაღალი მიღწევებისთვის ყოველთვის მზადმყოფ სიცოცხლეს, არსებითიდან სავალდებულოზე გადასვლას. კეთილშობილი ცხოვრება უპირისპირდება ჩვეულებრივ, მაჩანჩალა ცხოვრებას, რომელიც თავის თავშია ჩაკეტილი, განწირულია პერპეტუუმ მობილესათვის - ერთ ადგილზე მუდმივი მოძრაობისთვის -, ვიდრე რაიმე გარეშე ძალა არ

დაიხსნის მას ამ მდგომარეობიდან. მეორე ტიპის ადამიანებს მასას ვუწოდებ იმის გამო, რომ ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ; იმიტომ, რომ ისინი ინერტულნი, ჩამორჩენილნი, არიან".

"მასების აჯანყების" ერთი თავი ასეა დასათაურებული: "თვითკმაყოფილების ეპოქა". ამ თავში მოცემულია მასის ადამიანის ფსიქიკური სტრუქტურის სამი ძირითადი მახასიათებელი, სამი ძირითადი კომპონენტი: 1. ღრმა რწმენა იმისა, რომ ცხოვრება მსუბუქია, უხვია, იქ არ არის ტრაგიკული შეზღუდვები; ამიტომ საშუალო ადამიანი განმსჭვალულია გამარჯვებისა და მბრძანებლობის განცდით; 2. ეს განცდა მას თვითდამკვიდრებისკენ, თავისი მორალური და ინტელექტუალური მარაგის სრული დაკმაყოფილებისკენ უბიძგებს. თვითკმაყოფილებას იგი იქამდე მიჰყავს, რომ იგი არ სცნობს არავითარ გარეშე ავტორიტეტს, არავის არ უსმენს, მისთვის დაუშვებელია ვინმეს მიერ მისი შეხედულებების კრიტიკა; თავისი სიძლიერის შინაგანი განცდა უბიძგებს, რომ ყოველთვის უპირატესობას გრძნობდეს; 3. იგი ყველგან ცხვირს ჰყოფს და თავის აზრს ახვევს თავზე ყველას, მოქმედებს "პირდაპირი მოქმედების" პრინციპით.

ადამიანის ეს ახალი ტიპი, "თვითკმაყოფილი ადამიანი", თავად ადამიანური არსის საწინააღმდეგოა. იგი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც მას უნდა. არათუ მისი მოქმედება, არამედ ამ მოქმედების ფორმაც კი გაუცხოებულია; "თვითკმაყოფილმა ადამიანმა" კარგად იცის, რომ განსაზღვრული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ნივთები და მოვლენები არ არსებობს, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს სწორედ საპირისპიროში იყოს დარწმუნებული. ერთი სიტყვით, მასის ადამიანი ღრმად გააზრებულ თამაშს ეწევა: ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, აკეთებს არა სერიოზულად, არამედ - "ხუმრობით", ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, აკეთებს არაგულწრფელად, "არა სამუდამოდ", როგორც... გათამამებული ბავშვი. მას არ სჯერა ნამდვილი ტრაგედიის რეალობა, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიო ცივილიზაციის სცენაზე, და ისე იქცევა, თითქოს სპექტაკლს თამაშობდეს; ის ტრაგიკულ, მწუხარე პოზას იღებს. ორტეგას თქმით, ესაა მთელი ჩვენი ეპოქის დაღი: ადამიანები თვალს უხუჭავენ იმას, რასაც ბედი ჰქვია; ისინი ცხოვრობენ ***ხუმრობით***, უყვართ ***ხუმრობით***, კლავენ ***ხუმრობით***. "მასის ადამიანს არ სურს ბედის მტკიცე, მყარ საფუძველზე არსებობა, მას ურჩევნია ფიქტიური არსებობა, ჰაერში გამოკიდებულობა".

შეიძლება თუ არა, საშუალო ადამიანმა კულტურის შემოქმედის ფუნქცია იკისროს? შეიძლება თუ არა, მან კულტურა შექმნას? მიუხედავად იმისა, რომ საშუალო ადამიანის საჩვენებელი მხარე ამ კითხვაზე დადებითი პასუხისთვის გვამზადებს (თითქოს საშუალო ადამიანს ყველ-

აფრის შესახებ თავისი აზრი აქვს, ყველაფერს თვითონ წყვეტს, პრინციპულია და ა. შ.), ყველაფერი პირიქითაა. საშუალო ადამიანის იდეას არ შეიძლება იდეა დაერქვას, ესაა მხოლოდ ფსევდოიდეა, რომელიც კულტურაზე არ მეტყველებს. იდეა შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც ჭეშმარიტებას ესწრაფვიან, სადაც არ ივიწყებენ მაორიენტირებელი ნორმების სისტემას.

"მასების აჯანყებაში" ზუსტადაა ნაწინასწარმეტყველები ევროპის ორი უსაშინლესი მოვლენის, სინდიკალიზმისა და ფაშიზმის, შედეგები. ორტეგას აზრით, სწორედ ეს მოვლენები მიუთითებენ იმ ახალი ადამიანის წარმოშობაზე, რომელიც საჭიროდ არ თვლის სხვების წინაშე თავისი პრეტენზიებისა და ქცევის გამართლებას, თავისი თავის წინაშეც კი - არა; იგი მზადაა მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მისაღწევად. მოხდა ისე, რომ მასებმა თავიანთ თავს თვითონვე აღმოუჩინეს "იდეები" და "აზრები", მაგრამ რამდენადაც მასა იდეური შემოქმედებისთვის მოუმზადებელი იყო, ამ "იდეებმა" და "აზრებმა" მხოლოდ მასების სურვილები და მოთხოვნილებები გააშიშვლეს.

დავუბრუნდეთ ისევ ტექნიკისა და თანამედროვე ადამიანის ურთიერთმიმართების პრობლემას. თავად ტექნიკის განვითარების ფაქტს ორტეგა უარყოფითად არ ეკიდება, მისთვის პრობლემურია მხოლოდ საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ხელშია ეს ტექნიკა დღეს; შეუძლია თუ არა თანამედროვე ადამიანს ტექნიკის სწორად მართვა? ორტეგა თვლის, რომ ადამიანებს, რომლებიც დღეს ტექნიკას მართავენ, ცივილიზაციის ბედი საერთოდ არ ანაღვლებთ, მათთვის ძვირფასი არაა ცივილიზაციის საფუძვლები. მსოფლიოს თანამედროვე მბრძანებელი პრიმიტივია, "პირველყოფილი ადამიანი", რომელიც მოულოდნელად ცივილიზებულ სამყაროში აღმოჩნდა; "ცივილიზებულია სამყარო, მაგრამ არა - მისი მკვიდრი". ადამიანს დღეს, დიახაც, სურს ტექნიკით სარგებლობა, მაგრამ არა - ამ ცივილიზაციისა და მისი საფუძვლების შემჩნევა; იგი აღფრთოვნებულია ნაყოფით, მაგრამ მისთვის სულერთია ტექნიკისა და ცივილიზაციის საფუძვლად მდებარე პრინციპები და კანონები: "შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზაცია უძველესია, მხოლოდ მასის ადამიანია ახალი".

ორტეგა არ ეთანხმება შპენგლერს იმაში,თითქოს "კულტურის"ეპოქას აუცილებლობის ძალით მოსდევს "ცივილიზაციის" ეპოქა. თუ შპენგლერი თვლის, რომ ტექნიკა მაშინაც შესაძლებელია განვითარდეს, როცა კულტურა წყვეტს არსებობას, ორტეგა - საწინააღმდეგოდ ამისა - ამტკიცებს, რომ ტექნიკა და მეცნიერება ერთი ბუნებისაა და მათი საფუძველია უანგარობა. მეცნიერება ქრება მაშინ, როცა ადამიანებს იგი აღარ აინტერესებთ უანგაროდ, მეცნიერებისავე ძირითადი პრინციპებისთვის, კულტურის ძირითადი პრინციპებისთვის. ამ ინტერესის მოსპობის შემდეგ

ტექნიკას შეუძლია კიდევ რამდენიმე ხანს ინერციით არსებობა, ვიდრე ჯერ კიდევ ფეთქავს იმპულსი, რომელიც წმინდა მეცნიერების მიერაა მოცემული. აქედან გამომდინარე, ტექნიკისადმი ინტერესი ჯერაც არ ნიშნავს იმას, რომ ტექნიკა სწორი მიმართულებით ვითარდება. მიუხედავად ტექნიკისადმი გამძაფრებული ყურადღებისა, ვითარება არასახარბიელოა. პრიმიტიულ ადამიანს არ აინტერესებს ძირითადი კულტურული ღირებულებები და არ იცავს მათ. ამის ერთ-ერთ არსებით მიზეზს ის წარმოადგენს, ორტეგას აზრით, რომ განვითარების ურთულეს საფეხურზე ასული ცივილიზაცია ისეთ პრობლემებს აყენებს, რომელთა გადასაწყვეტად მზადმყოფი ადამიანების რიცხვი კატასტროფულად კლებულობს, მასის ადამიანი კი ამ უმცირესობასაც განდევნის. ესაა შეუსაბამობა პრობლემის სირთულესა და პიროვნულ შესაძლებლობებს შორის. რაც დრო გავა, ეს შეუსაბამობა უფრო და უფრო მწვავე ხასიათს მიიღებსო, ასკვნის ორტეგა. სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს, მისი აზრით, იქ, სადაც პრიმიტიულად უდგებიან არა მხოლოდ ტექნიკას, არამედ - ისტორიასაც. ისტორიის ცოდნა ყველაფერ იმის ცოდნას გულისხმობს, რაც ცივილიზაციის მოცემულ საფეხურზე საჭესთან დგომის საშუალებას იძლევა. მაგრამ, როცა ადამიანი ისტორიისგანაც გაუცხოებულია, საფრთხე ექმნება მის ხვალინდელ დღეს, რადგან ჩაკეტილია გზები იმ ცოდნასთან მისასვლელად, რომელიც შესაძლებელს გახდიდა თანამედროვე კონფლიქტების თავიდან აცილებას. "თანამედროვე ადამიანი უწარსულო ადამიანია". ბოლშევიზმი და ფაშიზმი სწორედ ასეთი უწარსულო ფსევდოკულტურის მაგალითებია.

ტექნიკის არასწორი მიმართულებით განვითარების შედეგად წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სპეციალიზაციის პრობლემებს უკავშირდება.

ტექნიკის ორი ძირითადი სახე არსებობს, - წერს ორტეგა, - ერთია ტექნიკის ის სახე, რომელიც ოდითგან არსებობს. იგი არასოდეს ეყრდნობოდა ექსპერიმენტულ მეცნიერებას და ხშირად არც იცოდა, რას წარმოადგენდა მეცნიერება. ასეთი განვითარებული ტექნიკა ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის, შემდეგ საბერძნეთისა და რომის ხალხებს. ამ ტიპის ტექნიკა მიაღწევდა თუ არა განვითარების გარკვეულ ზღვარს, იწყებოდა მისი დაცემა. რაც შეეხება ტექნიკის მეორე სახეს, იგი მთლიანად სამეცნიერო ბაზას გულისხმობს თავის საფუძვლად და, ამის გამო, განვითარების უსაზღვრო პერსპექტივებს ფლობს. ასეთი ტექნიკა მოიტანა XIX საუკუნემ. სწორედ ამ პროცესებმა წარმოშვა მასის ადამიანის ახალი ტიპი. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც სპეციალისტებს უწოდებენ. ესენი არიან ინჟინრები, ექიმები, მასწავლებლები და ა. შ. მათ შორის ყველაზე უფ-

რო შესამჩნევია სწავლული, მეცნიერი კაცი. თანამედროვე მეცნიერი მასის ადამიანის პროტოტიპია; "ამის მიზეზია არა ინდივიდუალური ნაკლოვანებანი, არამედ - თავად მეცნიერება, ჩვენი ცივილიზაციის ძირი და ძირი, რომელიც ადამიანს ბარბაროსად აქცევს".

მეცნიერის ახალი ტიპი - ესაა ადამიანი, რომელიც ცნობს მხოლოდ მეცნიერების რომელიმე დარგს, ამ დარგში კი - მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რომელშიც მუშაობს. უფრო მეტიც, ინტერესი ყველაფერ იმისადმი, რაც მის ვიწრო საზღვრებში არ ექცევა, მის მიერ დილეტანტიზმადაა მონათლული. მეცნიერის ამ ტიპმა მოახერხა, რომ თავის ვიწრო სექტორში ახალი აღმოჩენები გაეკეთებინა და წინ წაეწია ის მეცნიერება, რომელსაც ხეირიანად არც კი იცნობს. ორტეგა ამ ფაქტს პარადოქსულს უწოდებს იმის გამო, რომ ექსპერიმენტულ მეცნიერებათა განვითარება, ძირითადად, საშუალო ადამიანების დამსახურებაა. თანამედროვე მეცნიერებამ, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის სიმბოლოა, თავის საზღვრებში შემოდევნა საშუალო ადამიანი. ამის მიზეზს ორტეგა მექანიზაციის ფაქტში პოულობს. რას წარმოადგენს მექანიზაცია? ბიოლოგიასა თუ ფიზიკაში სამუშაოს დიდი ნაწილი მექანიკური ოპერაციებისგან შედგება, რომელთა შესრულება თითქმის ყველა ადამიანს შეუძლია. გამოკვლევების უსასრულო რაოდენობის საწარმოებლად მეცნიერება ვიწრო მონაკვეთებადაა დაყოფილი; მეცნიერს შეუძლია, თავის მონაკვეთზე ისე იმუშაოს, რომ არც კი იცოდეს, რა ხდება სხვა მონაკვეთზე; რეზულტატის მისაღებად მეცნიერს არ სჭირდება რაღაც განსაკუთრებული მოცულობის ცოდნა. ეს პროცესი გავლენას ახდენს მეცნიერების განვითარებაზე და ფრიად უცნაურ ვითარებას ქმნის. მეცნიერს, რომელიც რაღაც ახალს აღმოაჩენს თავის დარგში და საკუთარ თავში დარწმუნებულობა ეზრდება, უფლება ეძლევა, თავისი თავი "მცოდნედ" მიიჩნიოს. სინამდვილეში იგი ცოდნის ძალიან მცირე ნაწილს ფლობს და არა იმ ურიცხვი ნაწილების მთლიანობას, რომელიც ჭეშმარიტ ცოდნას ქმნის. სპეციალისტი არ არის არც გაუნათლებელი და არც - განათლებული, არც - მეტად ან ნაკლებად განათლებული; ისაა, ორტეგას თქმით, "სწავლული უვიცი": როცა საქმე ეხება მისთვის უცნობ საკითხებს, იგი ისე იქცევა, როგორც ამ საკითხთა მცოდნე. იგი სავსეა ამბიციებით. პოლიტიკაში, ხელოვნებაში, სოციალურ ცხოვრებაში, სხვა მეცნიერებებში იგი საერთოდ ვერ ერკვევა, მაგრამ ცდილობს ყველგან თავისი აზრის დამკვიდრებას; ცივილიზაციამ ადამიანს სპეციალობა კი მისცა, მაგრამ ცოდნა წაართვა და თვითკმაყოფილ მასის ადამიანად აქცია.

როგორია მასის ადამიანის მიმართება სახელმწიფოსთან? ახალი დროის სახელმწიფო, მსგავსად ადამიანისა, გაუცხოებულია. ამ გაუცხოე-

ბულ სახელმწიფოსა და საკუთარ თავს შორის კი მრავალ საერთო თვისებ-ას ხედავს ადამიანი. ჩვენს დროში, როგორც "მასების აჯანყების" ავტორი აღნიშნავს, სახელმწიფო ის ძლიერი და საშიში მანქანა გახდა, რომელიც საზოგადოების გულის ფუნქციას ასრულებს. მასის ადამიანი სახელმწიფოს უყურებს, როგორც თავისი ნების მტკიცე დამცველს და, ამ დროს, სულ არ აინტერესებს, რა გზით და როგორი ძალისხმევით წარმოიშობა ეს უზარმაზარი მანქანა. მასის ადამიანი სახელმწიფოში ანონიმურ ძალას ხედავს, და რამდენადაც თვითონ ანონიმია, სახელმწიფოც "მის კაცს" წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მასის ადამიანი ყოველთვის მზადაა საიმისოდ, რომ ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიმართოს. რაც თანამედროვე ცივილიზაციას გადაშენებით ემუქრება, ესაა სახელმწიფოსადმი საზოგადოებრივი ცხოვრების დამორჩილება, მაშასადამე, საზოგადოების შემოქმედებითი საქმიანობის დათრგუნვა. მასამ იცის, რომ თუ რაიმე არ მოეწონება ან რაიმე სურს, შეუძლია თავის შეუწუხებლად აამოქმედოს სახელმწიფო მანქანა და ეს უკანასკნელი შეასრულებს შესაბამის საქმეს. მასის ადამიანის ფორმულაა: "სახელმწიფო - ეს მე ვარ".

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის ანალიზის გარეშე, ორტეგას აზრით, პრობლემამ შეიძლება აბსტრაქტული სახე მიიღოს. გვაქვს თუ არა უფლება, გაუცხოების აქ განხილული ნიშნები გავავრცელოთ ერებ-ზე, მთელ ევროპაზე, მსოფლიოზე? "მასების აჯანყებაში" დაწვრილები-თაა გამოკვლეული სახელმწიფოებრიობის საკითხთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი, რაც, ამჯერად, ნაკლებად გვაინტერესებს. აღვნიშ-ნავთ მხოლოდ იმას, რომ ეპოქის ანალიზის დროს ორტეგასთვის ამოსავა-ლია შემდეგი თვალსაზრისი: თანამედროვე ეპოქის კრიზისი ტოლფასია იმ ფაქტის, რომ ევროპამ დაკარგა მსოფლიოსთვის სანიმუშო მაგალითისა და მმართველის ძალა, ევროპა აღარ არის არც ერთი კულტურული თუ პოლიტიკური პროექტის კანონმდებელი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თვით ევროპული კულტურის ძირითადი, ტრადიციული სტრუქტურა დაიმსხვრა; ზემოთ აღწერილმა მოვლენებმა დაამსხვრია ეს სტრუქტურა, ახლის შემოთავაზება კი ამ მოვლენის უკან მდგომ ძალებს, უბრალოდ, არ შეეძლოთ. სწორედ ამან შექმნა თანამედროვე ევროპაში არნახული ვაკუუმი. ეს ვითარება "მასების აჯანყებაში" ასეა შეჯამებული: "ჩვენი სამყარო დღეს უმძიმეს მორალურ კრიზისს განიცდის, რომლის ყველაზე ნათელი სიმპტომია მასების არნახული აჯანყება, ხოლო მიზეზი - ევროპის მორალური გახრწნა. ევროპის გახრწნის მიზეზები რთულია; ერთ-ერთი უმთავრესი - საკუთარ თავზე და მთელ მსოფლიოზე ერთ დროს მქონე ძალაუფლების დაკარგვაა. ამჟამად ევროპა თავს არ გრძნობს ბელადად,

ხოლო დანარჩენი მსოფლიო - მიმყოლად. ყოფილი ძალაუფლება ქრება". აქ საუბარი იმაზე კი არაა, თითქოს ევროპა ჩამორჩა და დანარჩენი მსოფლიო იმდენად წინ წავიდა, რომ ევროპას ამ დანარჩენი მსოფლიოს არსებობის წესი გაუხდა ასათვისებელი. არა, აქ საუბარია იმაზე, რომ ევროპის ტრაგედიას მისი მორალური დეგრადირება ქმნის, რაც მთელ მსოფლიოს იგივე პროცესებით ემუქრება. ამ მსჯელობას საფუძვლად უდევს შემდეგი აზრი: ნებისმიერ ეპოქას მართავს რომელიმე ადამიანი, ხალხი ან ხალხთა ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მოცემულ ეპოქაში წარმმართველია თვალსაზრისთა, იდეათა, გემოვნებათა, მისწრაფებათა და მიზანთა რაღაც მოცემული სისტემა, რომელსაც ფლობს ესა თუ ის ადამიანი, ერი ან ხალხთა ჯგუფი. ევროპა, - ფიქრობს ორტეგა, - ჩვენს დრომდე სწორედ იმ სტრუქტურას ფლობდა, რომელსაც შეეძლო მსოფლიოსთვის არსებობის ისეთი წესი მიეთითებინა, რომელიც ღირებულებათა სამყაროს განამტკიცებდა. ევროპის მიერ ამ სტრუქტურის დაკარგვა ნიშნავს კრიზისს როგორც ევროპისთვის, ისე - მსოფლიოსთვის, რადგან მსოფლიო წარმმართველი აზრის გარეშე დარჩა. ამ პროცესს მეორე ასპექტიც აქვს: კრიზისს ამძაფრებს გაურკვევლობის წინაშე შიში, რაც უკვე კრიზისის გაცნობიერებასაც გულისხმობს: არავინ იცის, ვინ იქნება წარმმართველი ხვალ, როგორ განაწილდება ძალაუფლება დედამიწაზე; რომელი ხალხი ან ხალხის ჯგუფი, რომელი ეთნიკური ტიპი, რომელი იდეოლოგია, ღირებულებათა როგორი სისტემა იქნება წარმმართველი?

ერთ თავის ესსეში "ახალი სიმპტომები" ორტეგამ ასე დაახასიათა XX საუკუნის ევროპის ფაქტიური ვითარება: "ღირებულებათა სისტემამ, რომელიც სულ რაღაც ოცდაათი წლის წინათ ადამიანური მოქმედების მაორგანიზებული იყო, დაკარგა თავისი სიცხადე, მიზიდულობა, იმპერატიულობა. დასავლელი ადამიანი დაავადდა მკაფიოდ გამოხატული დეზორიენტაციით..."

"მასების აჯანყების" გამოქვეყნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტმა დრომ განვლო, მაგრამ ამ ნაწარმოებს სიახლე და მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ამის მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ორტეგას მიერ საოცარი სიღრმითა და ორიგინალობით განხილული პრობლემები დღესაც პრობლემებად რჩება. მართალია, გამოსავალი არ ჩანს, მაგრამ, როგორც ფილოსოფოსები მიუთითებენ, გამოსავლის ძიების გზაზე კაცობრიობამ ჯერ თავის წინაშე მდგარი პრობლემების სირთულე და სერიოზულობა უნდა გააცნობიეროს. სწორედ ამ საქმეში ორტეგა-ი-გასეტის შემოქმედების და, განსაკუთრებით, მისი "მასების აჯანყების" როლი განუზომელია.

1990 წელი

შენიშვნები

მხატვრული პროზა

მუტაცია

პირველი პუბლიკაცია: *მუტაცია* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტის რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1993. ტირაჟი 500 ცალი.

აქილევსის მეორე ქუსლი

რომანის შემადგენელი ცალკეული ნოველების პირველი პუბლიკაციები:
განაზრებანი იონასი: სამი დღე და სამი ღამე თევზის სტომაქში რომ იმყოფებოდა. ჟურნალი *პოლილოგი*, №№1, 2, 4, 1994.
ირიბი თარგი. ჟურნალი *პოლილოგი*, №2, 1994.
წასაკითხის შინაარსი; წასვლა. ჟურნალი *პოლილოგი*, №3, 1994.
მოსანიშნი სამუშაოები. ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.
სულ სხვა შემთხვევის ისტორია. ჟურნალ-გაზეთი ± *ლიტერატურა*, №2, 1996.
მოსაცდელი. ჟურნალი *ცისკარი*, №4, 1998.
რომანის პირველი პუბლიკაცია: *აქილევსის მეორე ქუსლი*. ფიქციური გამომცემლობა *მერწყული*. თვითგამოცემა. თბილისი, 2000. ტირაჟი 100 ცალი.

წერილები. საუბრები. პოლემიკა. რეცენზიები. განმარტებები

თეგერვალი დადგაო...

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*. აპრილი, 1991.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *პოეზია და პოლიტიკა* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1992.

ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის

პირველი პუბლიკაცია: ალმანახი *კრიტიკა*, №1, 1992.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *პოეზია და პოლიტიკა პოლიტიკა* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1992.
პირველი პუბლიკაცია უჩვეულო ცენზურის მსხვერპლი აღმოჩნდა და იძულებული გავხდი, გაზეთში "მესამე გზა" (5-6, აგვისტო, 1992 წელი) შემდეგი შენიშნვა გამომექვეყნებინა სათაურით: *„კორექტული შეცდომების" გასწორება:*

> ჟურნალ „კრიტიკის" 1992 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა ჩემი დიალოგი კრიტიკოს ბექა ბარქაიასთან. სამწუხაროდ, ტექსტიდან წინასწარი განზრახვით ამოიღეს რამდენიმე ადგილი, რითაც მნიშვნელოვნად დაზარალდა ტექსტი. უნდა აღვნიშნო, რომ ცენზურა რედაქტორისა და რედაქციის თანამშრომელთა თვინიერ (შეიძლება ითქვას, მათი მოტყუებით) განხორციელდა. როგორც შემდეგ გავარკვიე, დასასტამბად გადაგზავნილ მასალაში ასე აქტიურად კომპიუტერზე მბეჭდავ-ოპერატორები ჩარეულან, ვინაიდან, თურმე, ტექსტიდან მათ მიერ ამოჭრილი ადგილები არ შეესაბამებოდა „ქრისტიანულ რელიგიასა და ქრისტიან-

ულ მორალს“ (ასეთი განმარტება მომცეს ჩემმა „თანაშემოქმედმა“ მბეჭდავ-ოპერატორებმა). მაშასადამე, ძიება და აზროვნება არაქრისტიანული საქციელი ყოფილა, ხოლო ის, რაც მათ მოიმოქმედეს – ქრისტიანული. იბადება ეჭვი: ხომ არ შეიცვალა „მთავლიტის“ ცენზურა რაღაც ახალი ტიპის და დანიშნულების ცენზურით, რომელიც უშუალოდ რედაქციებზე დაწოლით კი არა, შემოვლითი და ფარული ხერხებით ხორციელდება?

ახლა კი, ნება მომეცით, ამოჭრილი ადგილები ამ გზით მაინც „დავუბრუნო“ მშობლიურ ტექსტს.

გვ. 13, ზემოდან მე-6 ხაზი: სიტყვებს „განზომილებაზე მიუთითებს“ უნდა მოსდევდეს „რომელიც რელიგიას და მორალს თავის, მკაცრად ზღვარდებულ, ადგილსაც მიუჩენს“... (შემდეგ როგორც ტექსტშია).

გვ. 13, ზემოდან 24-ე ხაზი: სიტყვებს „ახასიათებენ ხოლმე“ უნდა მოსდევდეს: „არადა ღმერთი ადამიანმა მაშინ მოკლა, როცა სიარული ახალი ნასწავლი ჰქონდა. ადამიანი არასოდეს დაუშვებს ისეთ ღმერთს, რომელიც მას არ დაემორჩილება. მიხვდა თუ არა მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი, რომ ღმერთი სულ მალე შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო, მაშინვე ქვეყანას ამცნო ის ამბავი, რომელიც ახალი სულაც არ ყოფილა, და რაც თავადაც მშვენივრად იცოდა. ადამიანი ჯერ ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ “თავისთავადი ნივთის”, ღმერთის, აბსოლუტის სამყარომ, უმაღლესი ღირებულებების სამყარომ უანგარო ფიქრით დაიფიქროს. შესაძლოა, ეს არც მოხდეს ოდესმე, დღემდე თუ არ მომხდარა. მაგრამ სანუგეშოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ნამდვილი ცოდნა არც იმის შესახებ გაგვაჩნია, რაც გუშინ მოხდა. და კიდევ, არა მხოლოდ ჩვენ ვიქცევით ისე, როგორც ჩვენმა წინაპრებმა მიგვითითეს, არამედ ბიბლიური დავითიც ისე იქცევა და იმას ღაღადებს თავის ფსალმუნებში, რაც ჩვენ ვასწავლეთ მას”.

გვ. 19, ზემოდან მე-2 ხაზი: სიტყვას “მიდგომა” უნდა მოსდევდეს: “ამის მაგალითები ქრისტიანულ რელიგიაშიც (ისე, როგორც ნებისმიერ რელიგიაში) საკმარისი დოზით მოიპოვება. წინააღმდეგობა, რომელსაც ამ “დოზის” აქტივობა წარმოშობს ნებისმიერი რელიგიის შიგნით, საგანგებოდ თუ გაუცნობიერებლად მიიჩქმალება ხოლმე შემდგომი ეპოქების მიერ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ასეთი წინააღმდეგობები ნებისმიერ მონოთეისტურ რელიგიამდე ბევრად ადრე არსებობდა, ხოლო მონოთეიზმმა სწორედ ამ წინააღმდეგობების მოგვარება სცადა რწმენის გზით. იმ საბედისწერო წინააღმდეგობის მოხსნა, სამყაროსადმი შეფასებით დამოკიდებულებას, აქსიოლოგიურ მიდგომას რომ ახლავს, აზროვნების გზით ვერ მოხდებოდა (ეს წინააღმდეგობა ხომ თვით აზროვნების ბუნების თვისებაა). ქრისტიანობამ ეს კარგად იცოდა და, როგორც ტიპიურმა რელიგიამ, დუალიზმი ასე გადაჭრა: ჯერ რწმენა და მერე სამყარო! მაგრამ გადაჭრა კი? დუალიზმი ამით არ მოხსნილა და თავის დროზე რომ თვალი დაუხუჭეს (რაც კანონზომიერი იყო), სამაგიეროდ შემდგომ და შემდგომ არა ერთხელ გამხდარა რელიგია (რა თქმა უნდა, თავ-

ად ქრისტეც) "მწვალებელთა", ამ უაღრესად გონიერ და განსწავლულ ადამიანთა, თავდასხმის ობიექტი... მე სხვა ასპექტი მაინტერესებს. მაინტერესებს სწორედ ეს ფორმულა: "ჯერ რწმენა და მერე სამყარო!". XX საუკუნის ხელოვნებამ არ მიიღო სამყარო ისეთი, როგორიც ის იყო. მან სამყაროს გარდაქმნა მოინდომა (ამ თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად, ჩვენი დროის თითქმის ყველა ხელოვანისთვის ნიშნეულია *მარქსის კომპლექსი*). არადა არავითარ გაუცხოებას ადგილი არ ჰქონია. გაოგნება, გაოცება, დაბნევა, კრიზისი გაუცხოებას არა და არ ნიშნავს. ყველაფერი, რაც ჩვენმა საუკუნემ მოიტანა, "ადამიანური და ერთობ ადამიანური" იყო. ჩემი აზრით, დღევანდელი ვაკუუმი იმით ამოივსება, რომ ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის. თუ ეს მოხდა, გზა ისე გამორჩნდება, რომ ურემი არ გადაბრუნდება".

მთავარია, ყოველთვის მთლიანად ვიყოთ იქ, სადაც ვიმყოფებით

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *The Georgian Times* , №№007, 008, 009, 1994.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *შემხვედრი წინააღმდეგობები* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1994.

ტრფობა წამებულთა

პირველი პრეზენტაცია: *დათო ბარბაქაძის ვიდეოჟურნალი*, №6, 1993 წლის 27 ნოემბერი. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი.
პირველი პუბლიკაცია: ჟურნალში *პოლილოგი*, №2, 1994.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *შემხვედრი წინააღმდეგობები* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1994.
მესამე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო.* ფიქციური გამომცემლობა *მერწყული.* თვითგამოცემა. თბილისი, 2000.

"მუტაცია": კომუნიკაციის უარყოფა და სიტყვის წესრიგი

პირველი პუბლიკაცია: ჟურნალი *პოლილოგი*, №1, 1994.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *შემხვედრი წინააღმდეგობები* (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების რიზოგრაფული თვითგამოცემა). თბილისი, 1994.

ვერლიბრი და ქართული ლექსის ტრადიცია

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *7 დღე*, №2, 1995.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო.* თბილისი, 2000.

რა თქმა უნდა, გარეუბანი

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *რუბიკონი*, №24, 1992.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო.* თბილისი, 2000.

ჩურჩულისთვის, ხმაურის გავლით

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *7 დღე*, №11, 1995.

მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

რაღაც მოკვდა, მაგრამ არა – სიკვდილი
პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *7 დღე*, №1, 1995.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

მოდა და ავანგარდი
პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *7 დღე*, №39, 1995.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

ტოპოსის კვალდაკვალ და მიღმა
პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *7 დღე*, №50, 1995.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

პოსტმოდერნი და საქართველო
პირველი პუბლიკაცია: ჟურნალი *ცისკარი*, №4, 1998.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.
ქართულ კონტექსტში პოსტმოდერნის თემასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია კიდევ ერთხელ გამოვხატე, როცა პასუხი გავეცი სტუდენტური ჟურნალის "ლ'ილ" (№2, 2007) შეკითხვას, არსებობს თუ არა ქართული პოსტმოდერნიზმი. ჩემს მოკლე პასუხში ყურადღება გავამახვილე სწორედ იმ პრობლემაზე, რომლის მისაჩქმალადაც ხშირად თემატიზდება პოსტმოდერნიზმი ქართულ სამწერლობო ჟურნალისტიკაში:

> ქართული პოსტმოდერნიზმი ისეთივე უტყუარი რეალობაა, როგორიც არის ქართული რენესანსი, ქართული რომანტიზმი, ქართული სიმბოლიზმი, ქართული ფუტურიზმი და ა. შ. უფრო მეტიც, ქართული პოსტმოდერნიზმი მოიცავს ყველა იმ მიმდინარეობას, რაც ქართულ მწერლობაში ოდესმე არსებულა. ამას ვერ ვიტყვით იმაზე, რაც ოდესმე გაჩნდება და იარსებებს, რადგან ჯერაც არ ვიცით, თუ რა ახალი ტენდენციები იფეთქებს ხვალ-ზეგ შორეულ მსოფლიოში, რათა მაზეგ მასზე ქართული მწერლობის აწმყოსა და წარსულის მორგება ვცადოთ. დღეს კი (რაკი დღეს პოსტმოდერნი უფრო იოლად სამართავი ჰგონიათ, ვიდრე ის რეალური პრობლემები, რომლებიც ქართულ მწერლობას კიდევ დიდხანს დატოვებს ლიტერატურის მიღმა), უფრო მეტ სიბეჯითეს თუ გამოვიჩენთ, პოსტმოდერნის მოპოვებას შევძლებთ ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაში. ახლა მთავარია, რაც შეიძლება სისტემურად მივიწევდეთ წინ უფრო ადრეული საუკუნეებისკენ და არ შევჩერდეთ მე-20 საუკუნის საყმაწვილო პროზისა და პოეზიის კლასიკოსებთან. ამავე დროს, მეთოდი იმდენად მოქნილი უნდა იყოს, რომ თუ ოდესმე ახალმა კონიუნქტურამ ან სხვა მიზეზებმა მოითხოვა, „პოსტმოდერნი" იოლად ჩავანაცვლოთ რომელიმე სხვა ცნებით. ამის იმედს ნამდვილად იძლევა იმ ქართველ „კრიტიკოსთა" და „ლიტერატურათმცოდნეთა" აქ-

ტივობა, რომელთა წერითი და ზეპირი მეტყველება რატომღაც მეორადი საქონლის მაღაზიებივით ივსება ისეთი ტერმინების და ცნებების სიმრავლით, რომელთა შესახებ მათ კოლექციონრებს საოცრად მომხიბლავი წარმოდგენები აქვთ. და მათ თავში დატრიალებული ტერმინოლოგიური ქაოსი მათ ბუნებრივად უბიძგებს წარსულისკენ, საიდანაც ისინი უიმედოდ შემოგვყურებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა ავტორები, რომელთა უმრავლესობას ჯერ პირველი წიგნი არც გამოუცია, არც ისეთი მიამიტები არიან, რომ პოსტმოდერნის ქართველმა „მეპატრონეებმა" ისინი ასე იოლად მოატყუონ; ახალგაზრდები ყოველთვის კარგად გრძნობენ მაჩანჩალების რიტმს და ამ უკანასკნელებთან ერთად ვერ იჩანჩალებენ.

უზნეობის მსხვერპლი

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, №6, 1998.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

ჩემი საუბრის თემა კულტურის შეუძლებლობის ფენომენი იქნება

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 11-17 სექტემბერი, 1998.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

"უზნეობის მსხვერპლი" სწორედ "ტრფობა წამებულთას" ავტორს უნდა დაეწერა

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 25.12-01.01, 1998-1999 (48).
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.
დიალოგის მეორე პუბლიკაცია თანხლებული იყო ჩემი შემდეგი მინაწერით:

> გაზეთ "ახალ 7 დღეს" რომ "ტრფობა წამებულთას" აპოლოგეტობა არ დაბრალდეს, გთავაზობთ მინაწერს, რომელიც გაზეთის რედაქციამ დაურთო წინამდებარე პუბლიკაციას: «*"ახალი 7 დღის" სარედაქციო კოლეგია პრინციპულად არ იზიარებს დათო ბარბაქაძის "ტრფობა წამებულთას" ავტორისეულ შეფასებას. წინამდებარე პუბლიკაცია იბეჭდება მხოლოდ სიტყვის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, რუბრიკით - "თვალსაზრისი"*». აქვე, უღრმეს მადლობას მოვახსენებ გაზეთების "7 დღისა" და "ახალი 7 დღის" რედაქციებს, რომლებიც თავიანთ გვერდებს ყოველთვის თავაზიანად უთმობდნენ ჩემს ნაფიქრ-ნააზრევს. მადლობას მოვახსენებ, აგრეთვე, გაზეთების "რუბიკონის" და "ალტერნატივას", ჟურნალ "ცისკრის" რედაქციებს (ავტორი, 1999).

მომავალი თაობების კეთილდღეობაზე საქმიანი ზრუნვის ქართული გაგებისთვის

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, №13, 1999.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

ქვეტექსტის (გ)ასახსნელად

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ალტერნატივა*, №6, 1999.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, №13, 1999.
მეორე პუბლიკაცია: წიგნში *კითხვები და სოციალური გარემო*. თბილისი, 2000.

განსხვავებულის მიმოქცევა

პირველი პუბლიკაცია: წიგნში *ბესიკ ადეიშვილი, ბოლო ლირიკა*. ფიქციური გამომცემლობა *მერწყული*. თვითგამოცემა. თბილისი, 2000.

სიყვარულის ახსნა თუ ბუჩქნარიდან ხელაჩქარებით თვალთვალის მ(?)ტ(?)ფიზიკა?

პირველი პუბლიკაცია: თვითგამოცემა. თბილისი, 2000.
ჩემს ამ პუბლიკაციაზე ბ-ნი შარვაძის პასუხი კიდევ უფრო მდაბიური აღმოჩნდა, ვიდრე – მისი "რეცენზია", ამიტომ მასზე წერილობით რეაგირებას ვერ ვიკადრებდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომიწევდა, ერთი მხრივ, ჩემს რეცენზიაში უკვე გაკეთებული დასკვნების გამეორება, მეორე მხრივ კი – თავისმართლება იმ უამრავი ცილისწამების გამო, რომლითაც გაწყობილი იყო მისი პასუხი. ამ ცილისწამებებს შორის ყველაზე მდაბიური კი მაინც მისი ერთი ბრალდება აღმოჩნდა: თითქოს მე ჩემს რეცენზიაში დედამისს მივაყენე შეურაცხყოფა. მისი პასუხის ამ პასაჟმა ჩემში მის მიმართ სიბრალულის მეტი ვერაფერი აღძრა. მართლაც, როგორი საცოდავი უნდა იყოს მამაკაცი, რომ, ქალთა სქესზე გაბოროტებულს, არაფრად უღირდეს უწმაწური ანეკდოტებით და დაბალი რიტორიკით სხვისი დედის შეურაცხყოფა (პირველ "რეცენზიაში" მაია გოგოლაძის, ხოლო მეორე წერილში – დედაჩემის), საკუთარი დედის დასაცავად კი მზად იყოს, საკუთარსავე ტვინში აყვავებულ ფანტაზიებს გამოუცხადოს ბრძოლა, თუ მას ელემენტარული სამართლიანობისკენ მოუწოდებენ. ასეთი რეალობის მერე მართლაც რომ სახალისო ხასიათს ატარებდა მისი წერილის სხვა ადგილები, მაგალითად მაია გოგოლაძის ადვოკატად ჩემი გამოყვანის მცდელობა (არადა, მე ხომ მაია გოგოლაძის რომანის ინიციატორი და ორგანიზატორი, კონცეპციისა და სტრუქტურის ავტორი, რედაქტორი და ლამის კორექტორიც კი ვიყავი!); ჩემი წიგნების მოხსენიება "ტანწერწეტა წიგნებად" (ყველა ეპოქის საბრალო პოეტები თავ-თავისი ტანწერწეტა magnum opus-ებით!); ჩემი მუშურ-გლეხური წარმომავლობის ხაზგასმა (არადა, თვით ბ-ნ შარვაძეში თუ რამეს უპირობოდ ვაფასებ, სწორედ – მის შრომისმოყვარეობას, რომელიც მასში ნამდვილად არის ჩადებული გამრჯე იმერელი გლეხების მიერ!); სუტენიორად თავისი თავის გამოცხადება, ალფონსოდ კი – ჩემი (ვერ მივხვდი, რა საფუძველზე! ალბათ, იმიტომ, რომ ჩემი ზოგიერთი წიგნის გამოცემა სუსტი სქესის წარმომადგენელი ჩემი მეგობრების მიერ არის დაფინანსებული!). მისი გამწარებისა და გაბოროტების ხარისხი ზედსიძედ ჩემს გამოცხა-

დებაშიც კი აისახა (არადა, რომ არ ვარ! ჩემს ბინაში რომ არ ვცხოვრობთ მე და ჩემი ოჯახი, ამას სულ სხვა, უმძიმესი მიზეზები აქვს, რაც ჩემი ლიტერატურული თემაა და არც შარვაძესთან და არც სეირის მოყვარულ "საზოგადოებასთან" მის დახურდავებას ისევე არ ვაპირებ, როგორც – ბევრი სხვა თემისას! ვწუხვარ ცნობისმოყვარეთა არმიებს იმედს თუ ვუცრუებ!). უფრო კომიკური აღმოჩნდა, მაგალითად, მტკიცება, რომ თვით უმბერტო ეკოსაც სათქმელი არაფერი აქვს (შეეძლო, უფრო გაბედულად ეთქვა: "უმბერტო ეკოს არათუ სათქმელი არაფერი აქვს, არამედ საერთოდ ხმა არ ამოეღება!", რადგან ლოგიკა ასეთია: თუ ბ-ნ შარვაძეს აქვს სათქმელი, მაშინ სხვას არ უნდა ჰქონდეს სათქმელი; მგონი, ბ-ნი შარვაძის სათქმელიც მხოლოდ ეს არის: რომ სხვას არაფერი აქვს სათქმელი!). პასუხში ასეთი საცოდაობა სხვაც უამრავი იყო. აი, "ტრფობა წამებულთას" მისმიერი ინტერპრეტაციისთვის კი, თითქოს ეს ტექსტი დედაჩემისადმი ჩემი დაუკმაყოფილებელი ლტოლვის გამო ჩემს მიერ ღვთისმშობელზე მიტანილი იერიშის დოკუმენტაციაა, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ჭეშმარიტად ამოუწურავია საქართველოში მუხთლობის ნაირსახეობა! არანაკლებ მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ დღემდე ზღვა დრო, ენერგია და ოსტატობა ხმარდება მისი და მასთან დაკავშირებული ნაირ-ნაირი კანტორის წვრილფეხობის მხრიდან ჩემზე უბინძურესი ჭორების გავრცელებას და ჩემი დისკრედიტაციის პანიკურ მცდელობას (თბილისი არც ისეთი დიდი ქალაქია, რომ ეს ხმები ჩემამდე ვერ აღწევდეს), ჩემი მოშურნეების წაქეზებაწახალისებას ჩემს მიმართ მავნებლობის საქმეში მეტი აქტიურობის გამოსაჩენად. არ მეგონა, ასეთი მნიშვნელოვანი თუ აღმოჩნდებოდა ჩემი არსებობა ამ ხალხისთვის, რომელიც ჩემთვის დიდი ხანია აღარ არსებობს.

პირველი მერცხალი - ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეული

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 42(380), 2006.

"საზოგადოებაში, სადაც მწერლობა უკვე ან მთლიანად გარემოს ემსგავსება ან ამ გარემოს დეკორატორის ფუნქციას ასრულებს, მკითხველი ყოველთვის დამცირებული და შეურაცხყოფილია"

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, №03 (434), 2007.

"მაპატიეთ, მაგრამ მე ამ კაცზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი"

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, №18 (449), 11-17 მაისი, 2007.

ურიგო არ იქნება, ამ კონტექსტში, ჩემს ერთ სათხოვარს თუ გავიხსენებ, რომელიც 2008 წლის ბოლოს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" რედაქტორს, როსტომ ჩხეიძეს, ელექტრონული წერილის სახით გავუგზავნე. ბრეგაძის მორიგი გამოხტომა, რომელმაც რედაქტორის სახელზე ჩემი სათხოვრის გაგზავნა გამოიწვია, კიდევ ერთი მკაფიო დოკუმენტი აღმოჩნდა შურისა, ბოღმისა და ფორიაქისა, რომელსაც საშუალო მოკალმე განიცდის ხოლმე არა მხოლოდ ნიჭიერების, არამედ საერთოდ პოეტური საწყისის მიმართ. საშუალო მოკალმის მხრიდან მსგავსი თავდასხმები ყოველთვის ააშკარავებს მის სრულ უუნარობას – გაიაზროს თავისი გამოხტომებისა და მდგომარეობის კომიზმი ერთი მხრივ, ნიჭიერებასთან ბრძოლის უაზრობა კი - მეორე მხრივ. ჩემი სათხოვარი კი ასეთი იყო:

ძვირფასო როსტომ!
ამასწინათ ერთმა ჩემმა კოლეგამ მიჩვენა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის" 2008 წლის მე-4 ნომრის 56-ე გვერდი, სადაც სიტყვასიტყვით აღნიშნულია შემდეგი: ***„დათო ბარბაქაძის საიტი რომ ნახოთ, იქ ისეთი ამბავი ხდება, გეგონება რუსთაველი იყოს"***. ქართული ბეჭდვითი სიტყვა რომ მდაბიოთა თვითგამოხატვის კეთილშობილურ საქმეს ყოველთვის უნაკლოდ ემსახურებოდა და ამ მიმართულებით მისი შესაძლებლობები ამოუწურავია, მე ეს არ მიკვირს. შესაბამისად, არც ამ კონკრეტული შემთხვევის განზოგადების საჭიროებას ვხედავ. აი, იმის აუცილებლობას კი ნამდვილად ვხედავ, რომ ჟურნალის რედაქციამ კეთილი ინებოს, დეზინფორმატორს ყურში ხელი ჩაავლოს და უტიფრად მოტყუებული ყველა მკითხველის წინაშე ბოდიში მოახდევინოს. არც ის იქნებოდა ურიგო, რედაქციაც თუ მოუხდიდა ბოდიშს მოტყუებულ მკითხველს. დამერწმუნე, საქართველოში, სადაც ყველა ცოცხალი და არაცოცხალი არსება მხოლოდ იმის სამტკიცებლად ჩნდება, თუ როგორი კარგია თვითონ და როგორი ცუდები არიან სხვები, არასასურველი ადამიანის დისკრედიტაციისთვის დახარჯული შრომა ყოველთვის დიდ პატივში იქნება და ერთი ბოდიში მას აღნიშნული პატივიდან ამოყვანის საშიშროებით ვერ დაემუქრება. „დათო ბარბაქაძის საიტი" არც არასდროს არსებულა და არც ახლა არსებობს და, არ ვიცი, ვის ან სად შეეძლო მისი ნახვა. ხოლო რაც არსებობს, იმის დანახვას საქართველოში ისევე ვერავის მოვთხოვ, როგორც – ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ღირსების პატივისცემას. ვწუხვარ, რომ ვერც ამჯერად გავახარებ საკულისოსამეცნიერო ფოლკლორის ოსტატებს და ამ მომართვას ჩემს ნაცნობ-მეგობრებს შორის დაუყონებლივ გავავრცელებ.

საუკეთესო სურვილებით, დათო ბარბაქაძე
05.10.2008

მცირე, მაგრამ აუცილებელი შენიშვნა ერთ დიდ სიბრიყვეზე

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *მთელი კვირა,* №18, 2009. მინაწერი გამოქვეყნდა გაზეთ *რეზონანსი* ს 2010 წლის 6 მარტის ნომერში, საილუსტრაციო ფოტოსურათებიდან კი რედაქციამ მხოლოდ ის ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც რუსთაველის და გალაკტიონის ჭუჭყიანი ბიუსტებია აღბეჭდილი.

"აღმოსავლეთში შემოქმედის ადგილი ყოველთვის უმცირესობაშია"

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *რეზონანსი,* №029 (6 თებერვალი), 2010. მასალის მოცულობამ რედაქციას სრულად მისი გამოქვეყნების შესაძლებლობა არ მისცა და ინტერვიუ შეამოკლა.

პასუხები პრესის კითხვარებზე

როგორია თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა?

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 11-17 მაისი, 2001 (გაშიფრული აუდიოჩანაწერი).

XX საუკუნის ჯვაროსნები

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 12-18 ოქტომბერი, 2001 (დასათაურება ეკუთვნის გაზეთის რედაქციას).

დაუმთავრებელი სამამულო ტელესერიალი

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *ახალი 7 დღე*, 31 ოქტომბერი - 5 ნოემბერი, 2003 (დასათაურება ეკუთვნის გაზეთის რედაქციას).

დანართი: სტუდენტური ცდები

არ მოქმედებს და არც ისვრება

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *რუბიკონი*, №№10, 11, 1992.

ის იყო სრულიად მარტო

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *რუბიკონი*, №№30, 31, 32, 1993.

სიკვდილის ფუგა

პირველი პუბლიკაცია: გაზეთი *რუბიკონი*, №24, 1992.

გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი

პირველი პუბლიკაცია: ჟურნალი *საუნჯე*, №4, 1992.

დათო ბარბაქაძის გამოქვეყნებული წიგნების და ცალკეული პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია

1. წიგნები

ა) პოეზია

მივუსამძიმროთ შემოდგომას.
თბილისი, 1991 (თვითგამოცემა).
ლოგიკის მონატრება.
პირველი გამოცემა: *თბილისი, 1993 (თვითგამოცემა).*
საკითხის დასმა.
პირველი გამოცემა: *თბილისი, 1994 (თვითგამოცემა).*
გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე.
პირველი გამოცემა: *თბილისი, 1994 (თვითგამოცემა).*
მხურავი.
პირველი გამოცემა: *თბილისი, 1995 (თვითგამოცემა).*
შეჯამების უარყოფა.
თბილისი, 1999 (თვითგამოცემა).
არსებითი სვლები.
თბილისი, 2001 (თვითგამოცემა).
ტბის სანაპიროს სიმღერები.
გამომცემლობა საარი, თბილისი, 2004.
ლექსები 1984 – 2004.
თბილისი, 2008 (თვითგამოცემა).
ახალი პოეტური კრებულისთვის დაწერილი ლექსების კატალოგი. 2005-2007 წლები.
თბილისი, 2008 (თვითგამოცემა).
ლექსები ახალი პოეტური კრებულისთვის: თებერვალი-მარტი, 2005-მაისი, 2010.
თბილისი, 2010 წლის პირველი ივნისი (თვითგამოცემა).
ARS POETICA. ლექსები 2005-2010. *თბილისი, 2010 (თვითგამოცემა).*

ბ) პროზა

მუტაცია. რომანი.
თბილისი, 1993 (თვითგამოცემა).
აქილევსის მეორე ქუსლი. რომანი.
თბილისი, 2000 (თვითგამოცემა).

გ) ესსეისტიკა

პოეზია და პოლიტიკა. ორი წერილი და ერთი ინტერვიუ.
თბილისი, 1992 (თვითგამოცემა).
შემხვედრი წინააღმდეგობები. ოთხი ესსე და ერთი ინტერვიუ.
თბილისი, 1994 (თვითგამოცემა).
კითხვები და სოციალური გარემო. წერილები. რეცენზიები. საუბრები.
თბილისი, 2000 (თვითგამოცემა).
Fragmentarium I.
თბილისი, 2007 *(თვითგამოცემა).*
Fragmentarium II, III.
თბილისი, 2008 *(თვითგამოცემა).*

დ) მიმოწერის წიგნები

დ/დ (თანაავტორი დავით ჩიხლაძე).
პირველი გამოცემა: *თბილისი, 2006 (თვითგამოცემა);*
მეორე გამოცემა: გამომცემლობა *სიესტა. თბილისი, 2007.*
არა რეალურად (თანაავტორები: ალექს ჩიღვინაძე, შოთა დიღმელაშვილი).
თბილისი, 2010 (თვითგამოცემა).

ე) თარგმანი

XX საუკუნის გერმანულენოვანი პოეზიიდან.
თბილისი, 1992 (თვითგამოცემა).
ევროპული და ამერიკული პოეზიის ნიმუშები. პირველი კრებული.
თბილისი, 1992 (თვითგამოცემა).
ჰანს არპი. ლექსები.
თბილისი, 1993 (თვითგამოცემა).
ევროპული და ამერიკული პოეზიის ნიმუშები. მეორე კრებული.
თბილისი, 1993 (თვითგამოცემა).
გეორგ თრაკლი. ლექსები.
მერანი. თბილისი, 1999.
ევროპული და ამერიკული პოეზიის ნიმუშები. მესამე კრებული.
თბილისი, 2001 (თვითგამოცემა).
პაულ ცელანი. ლექსები.
თბილისი, 2001 (თვითგამოცემა).
ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. ლექსები.
თბილისი, 2002 (თვითგამოცემა).

ბრიტა შტაინვენდტნერი. წითელი ტბორი. რომანი.
გამომცემლობა *საარი. თბილისი, 2005 (თვითგამოცემა).*
ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი. ქვეყნის ენა.
გამომცემლობა *საარი. თბილისი, 2007 (თვითგამოცემა).*
XX საუკუნის ამერიკელი პოეტები.
თბილისი, 2008 (თვითგამოცემა).
მარიანა გრუბერი. **ვართ თუ არა, მე ეს არ ვიცი.**
გამომცემლობა *პოლილოგი. თბილისი, 2008 (თვითგამოცემა).*
ერნსტ მაისტერი. ლექსები.
გამომცემლობა *პოლილოგი. თბილისი, 2009 (თვითგამოცემა).*

2. ცალკეული პუბლიკაციები

ა) პოეზია

თამარისადმი; მხოლოდ შენი ხმა.
ჟურნალი *ნობათი*, №1-2, 1988.
საშობაო საგალობლები; განწყობილებები.
ჰორი ზონტს მიღმა (კრებული), 1988.
ინტერმეცო; ხეები; ხმები.
ჟურნალი *ნობათი*, №1-2, 1989.
რექვიემი.
ჟურნალი *ცისკარი*, №11, 1989.
სონატა მათთვის, ვინც შორსაა.
ჟურნალი *ნობათი*, №1-2, 1990.
შენდამი.
გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*, №38, 1990.
ყრმა უშობელი.
ალმანახი *სათავე*, 1990.
სვირინგი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, მარტი, 1991.
სად მშობიარობს მესამე თვალი.
ჟურნალი *ნობათი*, №2-3, 1993.
ქება ცაცხვისა.
ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.
ქებათა ქება ჩემს უწყვეტ სატრფოს.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №2, 1996.
ტაბაკინური განწყობილებები.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №4, 1996.

იმის შესახებ, ვინც წყალმა მანქანის ხელით დაახრჩო.

გაზეთი *არილი*, №30(77), 1997.

ლექსები პოეტური კრებულიდან *მხურავი*: გაზაფხული; თაგვის თანხლებით; წეროების სამკუთხედი; ცუდი ამინდის მერე.

გაზეთი *არილი*, №54, 1997.

ცეცხლის შესახებ; ჯიხეთის ვარსკვლავი; შიში; სასოწარკვეთილები; საკუთარი თავის მიმართ.

ჟურნალი *სტუდია*, №1, 1997.

ცვალებადობები.

ჟურნალი *ცისკარი*, №11, 1997.

ნაცრისფერი ლექსი.

ჟურნალი *ცისკარი*, №4, 1998.

ლექსები რომანიდან *აქილევსის მეორე ქუსლი*.

გაზეთი *ალტერნატივა*, №6, 1998.

ლექსები წიგნიდან *ტბის სანაპიროს სიმღერები*: ტბის სანაპიროდან შინ ვბრუნდები...; თვალს ვადევნებ იხვების დაშვებას...; გაწვიმდა...; მწვანე მინდორზე გულაღმა ვწევარ...

გაზეთი *24 სათი*, 23 ნოემბერი, 2002.

არსებითი სვლები.

ჟურნალი *ჩვენი მწერლობა*, №8, 2006.

ამაღლებულისთვის.

ჟურნალი *ჩვენი მწერლობა*, №23, 2006.

ტბის სანაპიროს მწვანე მინდორზე გულაღმა ვწევარ...

წიგნში: *ბელა წიფურია. ქართული ლიტერატურა. X კლასის სახელმძღვანელო*. არტანუჯი, თბილისი 2009. გვ. 383-384.

genius loci.

ლიტერატურა (ჟურნალ *ცხელი შოკოლადის* ლიტერატურული ჩანართი), №31, 2009.

ბ) პროზა

განაზრებანი იონასი: სამი დღე და სამი ღამე თევზის სტომაქში რომ იმყოფებოდა.

ჟურნალი *პოლილოგი*, №№1, 2, 4, 1994.

ირიბი თარგი.

ჟურნალი *პოლილოგი*, №2, 1994.

წასაკითხის შინაარსი; წასვლა.

ჟურნალი *პოლილოგი*, №3, 1994.

მოსანიშნი სამუშაოები.

ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.

სულ სხვა შემთხვევის ისტორია.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №2, 1996.
მოსაცდელი.
ჟურნალი *ცისკარი*, №4, 1998.

გ) წერილები, ესსეები, რეცენზიები, პოლემიკა

თებერვალი დადგაო...
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, აპრილი, 1991.
არ მოქმედებს და არც ისვრება (უმოქმედობის პრობლება „ბჰაგავატ-გიტაში”).
გაზეთი *რუბიკონი*, №10,11, 1992.
სიკვდილის ფუგა.
გაზეთი *რუბიკონი*, №24, 1992.
რა თქმა უნდა, გარეუბანი.
გაზეთი *რუბიკონი*, №24, 1992.
გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი.
ჟურნალი *საუნჯე*, №4, 1992.
პოეზია და პოლიტიკა.
გაზეთი *მესამე გზა*, №8 (აგვისტო), 1993.
ის იყო სრულიად მარტო (მარტოობის პრობლემა რაინერ მარია რილ-კეს შემოქმედებაში).
გაზეთი *რუბიკონი*, №№30,31,32, 1993.
ერთი ძველი თემის ძველი თემითვე განმარტებისთვის.
გაზეთი *მესამე გზა*, №9-10 (ნოემბერი), 1993.
“მუტაცია”: კომუნიკაციის უარყოფა და სიტყვის წესრიგი.
ჟურნალი *პოლილოგი*, №1, 1994.
შემხვედრი წინააღმდეგობები.
გაზეთი *The Georgian Times*, №016, 1994.
ტრფობა წამებულთა.
ჟურნალი *პოლილოგი*, №2, 1994.
პოსტმოდერნული საქართველო – გამქრალი რეალობა.
გაზეთი *7 დღე*, №40, 1994.
კითხვები და სოციალური გარემო.
ჟურნალი *პოლილოგი*, №3, 1994.
რაღაც მოკვდა, მაგრამ არა – სიკვდილი.
გაზეთი *7 დღე*, №1, 1995.
ვერლიბრი და ქართული ლექსის ტრადიცია.
გაზეთი *7 დღე*, №2, 1995.

ჩურჩულისთვის, ხმაურის გავლით.
გაზეთი *7 დღე*, №11, 1995.
აუტოგოდო – თეატრის დაბადება.
გაზეთი *7 დღე*, №37, 1995.
მოდა და ავანგარდი.
გაზეთი *7 დღე*, №39, 1995.
ტოპოსის კვალდაკვალ და მიღმა.
გაზეთი *7 დღე*, №50, 1995.
სიტყვის შეუძლებლობა.
ჟურნალ-გაზეთი *± ლიტერატურა*, №1, 1996.
ანტი-შტაინი: გრამატიკა და პოეზია.
ჟურნალ-გაზეთი *± ლიტერატურა*, №3, 1996.
უზნეობის მსხვერპლი.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, №6, 1998.
პოსტმოდერნი და საქართველო.
ჟურნალი *ცისკარი*, №4, 1998.
გეორგ თრაკლის ობიექტური პოეტური სამყაროს შესახებ.
გაზეთი *ქართული კულტურა*, №43 (დეკემბერი), 1998.
მომავალი თაობების კეთილდღეობაზე ზრუნვის ქართული გაგებისთვის.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, №3 (22-28 იანვარი), 1999.
ქვეტექსტის (გ)ასახსნელად.
გაზეთი *ალტერნატივა*, №6, 1999.
განსხვავებულის მიმოქცევა.
წიგნში: *ბესიკ ადეიშვილი, ბოლო ლირიკა*. მერწყული, 2000.
მცირე, მაგრამ აუცილებელი შენიშვნა ერთ დიდ სიბრიყვეზე.
გაზეთი *მთელი კვირა*, №18 (23 იანვარი), 2009.
ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. I, გამომცემლობა *საარი*, თბილისი 2006. გვ. 5-15.
რიხარდ ფონ შაუკალის ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. I, გამომცემლობა *საარი*, თბილისი 2006. გვ. 145-153.
ანტონ ვილდგანსის ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. IV, გამომცემლობა *საარი*, თბილისი 2007. გვ. 5-17.
ალბერტ ერენშტაინის ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. IV, გამომცემლობა *საარი*, თბილისი 2007. გვ. 117-131.
ფელიქს ბრაუნის ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. IV, გამომცემლობა *საარი*, თბილისი 2007. გვ. 213-223.

ქრისტინე ბუსტას ლირიკის შესახებ.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. XIII, გამომცემლობა *პოლილოგი*, თბილისი 2008. გვ. 237-247.
ფრანც ვერფელის რელიგიის პოეზია.
წიგნში: *მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა*, ტ. V, გამომცემლობა *პოლილოგი*, თბილისი 2010. გვ. 5-25.

დ) დიალოგი, ინტერვიუ

ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის.
ალმანახი *კრიტიკა*, №1, 1992.
მთავარია, ყოველთვის მთლიანად ვიყოთ იქ, სადაც ვიმყოფებით.
გაზეთი *The Georgian Times* , №№007, 008, 009, 1994.
ჩემი საუბრის თემა კულტურის შეუძლებლობის ფენომენი იქნება.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, 11-17 სექტემბერი, 1998.
"უზნეობის მსხვერპლი" სწორედ "ტრფობა წამებულთას" ავტორს უნდა დაეწერა.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, №48, 1998-1999.
ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, №13, 1999.
პირველი მერცხალი – ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეული.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, 30 დეკემბერი 2005 – 12 იანვარი 2006.
საზოგადოებაში, სადაც მწერლობა უკვე ან მთლიანად გარემოს ემსგავსება...
გაზეთი *ახალი 7 დღე*, 26 იანვარი – 1 თებერვალი, 2007.
მე ამ კაცზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.
გაზეთი *ახალი 7 დღე*, 11-17 მაისი, 2007.
აღმოსავლეთში შემოქმედის ადგილი ყოველთვის უმცირესობაშია.
გაზეთი *რეზონანსი*, 6 თებერვალი, 2010.

ე) განმარტებები, რედაქტორიალი, საინფორმაციო მიმოხილვები, საცნობარო, კითხვარებზე გაცემული პასუხები

ეროვნული სული იღვიძებს.
გაზეთი *ხე ცხოვრებისა*, №1, 1990.
აუცილებელი შენიშვნა.
გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*, №47, 1991.

დიდი გაფრთხილება.
გაზეთი *ქართული ფილმი,* 23 იანვარი, 1992.
ეზრა პაუნდი.
გაზეთი *რუბიკონი,* №22, 1992.
"კორექტული შეცდომების" გასწორება.
გაზეთი *მესამე გ ზა,* №5-6, 1992.
მეტაფიზიკური მზერის სიდიადე.
გაზეთი *მესამე გ ზა,* №11-12, 1993.
რედაქტორის წინასიტყვა.
ჟურნალი *პოლილოგი,* №1, 1994.
ლიტერატურით ატანილთათვის.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა,* №1, 1996.
აუცილებელი განმარტება.
გაზეთი *ლიტერატურული საქართველო,* №13, 2000.
ზაშა ანდერსონის დაბრუნება.
ჩვენი მწერლობა (გაზეთ *ახალი ეპოქის* დამატება), 5-12 ივლისი, 2002.
საუკუნის წიგნი.
ჩვენი მწერლობა (გაზეთ *ახალი ეპოქის* დამატება), 20-26 დეკემბერი, 2002.
ზედაპირის არცთუ მოკრძალებული ხიბლი.
ჩვენი მწერლობა (გაზეთ *ახალი ეპოქის* დამატება), 28 მარტი – 3 აპრილი, 2003.
როგორია თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა?
გაზეთი *ახალი 7 დღე,* 11-17 მაისი, 2001 (გაშიფრული აუდიოჩანაწერი).
XX საუკუნის ჯვაროსნები.
გაზეთი *ახალი 7 დღე,* 12-18 ოქტომბერი, 2001.
დაუმთავრებელი სამამულო ტელესერიალი.
გაზეთი *ახალი 7 დღე,* 31 ოქტომბერი - 5 ნოემბერი, 2003.

3) თარგმანები გერმანულიდან

რაინერ მარია რილკე: მფარველი ანგელოზი; ლურჯქობოვანი კაბის რხევით შემოდის ღამე...; ეს იყო წინათ...
ჟურნალი *იახსარი,* №1, 1989; გაზეთი *რუბიკონი,* №5, 1991.
გეორგ თრაკლი: სიყრმის ჟამს გარდაცვლილისადმი; ჩამავალი მხარის სიმღერა; ყრმა ელისისადმი; ელისი; DE PROFUNDIS.
ჟურნალი *საუნჯე,* №6, 1989.

გეორგ თრაკლი: დაისის მხარე; გზად; ჰელიანი.
ჟურნალი *საუნჯე*, №5, 1990.

გეორგ თრაკლი: ბავშვობა; მიცვალებულის გალობა; მზე; ბნელში; სიკვდილის შვიდი საგალობელი; კასპარ ჰაუსერის სიმღერა; აღსასრული; საღამო ლანსში; ზამთრის ღამე.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12 (დეკემბერი), 1993.

გეორგ თრაკლი: საღამო; ანიფი; სიმშვიდე და მდუმარება; ღამე; წელიწადი.
გაზეთი *რუბიკონი*, №68, 1997.

გეორგ თრაკლი: თბილი მშრალი ქარი; დაბადება; ღამე; მწუხრი სულისა; სამახსოვრო ჩანაწერების ძველ წიგნში; მწუხრის სიმღერა; გაზაფხული; ბნელში; მიცვალებულის გალობა; გაზაფხულზე.
გაზეთი *ქართული კულტურა*, №43, 1998.

გეორგ თრაკლი: ლანდშაფტი; გული; ძილი; ავდარი.
გაზეთი *მწერლური ცხოვრება*, №2 (ივნისი), 2005.

გეორგ თრაკლი: სიკვდილის სიახლოვე; ღამის სიმღერა; ჟამნი; ჰელბრუნში.
გაზეთი *ცისკარი*, №7 (3-9 ოქტომბერი), 2005.

პაულ ცელანი: ამაოდ ხატავ...; ქონის სანთელი; მარიანა; დოქები; დათვალე ნუში...; ბროლი; Tenenbrae; ნაცნობი მგზავრი; ფსალმუნი.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12, 1993.

პაულ ცელანი: ეგვიპტეში; ქვიშა ურნებში; მარადისობა; თვალები...; ვინც გულს მკერდიდან...; ძილი და საკვები; გვირგვინი; სილურჯეს, ჯერაც...; შავი ფიფქები.
ჟურნალი *პოლილოგი*, №1, 1994.

პაულ ცელანი: ნაჯახებით მოთამაშე; სიშორის ქება; გულებიდან და გონებებიდან...; მეყურებოდა საუბარი; Assisi; აქ; ტახის იერით; ცვალებადი გასაღებით.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №3, 1996.

პაულ ცელანი: ღამით დაბერილი; პოლ ელუარის სახსოვარი; შიბოლეთი; თქვი შენც; ჟამწითელი ტუჩებით; Argumentum e Silentio.
გაზეთი *ქომაგი*, №12, 1999.

პაულ ცელანი: დრო-ჟამით ხელებმოვსებული...; ნახევარღამე; თეთრად მოგიჩანს ბნელში ტანი...; რკინის ქალამნის რღჭიალია...; ბნელი თვალი სექტემბერში; ქვა ზღვიდან; საფრანგეთის გახსენება; შეჩრდილული ქალბატონის სიმღერა; ელვა ღამისა.
ჟურნალი *ცისკარი*, №7-8, 2000.

პაულ ცელანი: სიკვდილის ფუგა; მთელი ცხოვრება; გვიან და ღრმად; მოგზაურობისას; სანისლე ჰორნში; ვინც, შენსავით და ყველა მტრედივით...; ცეცხლის ნაჭდევი; სუდარა; ღია ზღვაში; მარტო ვარ, მწიფე სიშავბნელით სავსე ჭიქაში...; ყოველთვისსა და არას-

დროსს შორის...; ასეღა მძინავს, დავრჩენილვარ თვალგახელილი...
ჟურნალი *საუნჯე*, №5-6, 2001.

პაულ ცელანი: ლანდშაფტის ჩანახატი; MANDORLA; ანაბაზისი; ნავსადგური; Give the Word; Lyon, Les Archers; არავისად მიკრული ლოყით...; შეგიძლია თოვლით...; არდასიზმრულთა მიერ ნადევნი...; კარის ღრეჩოში...; მდინარეებში ჩრდილოეთით მერმისისა...; შენი გვიანი სახის წინაშე...; დარდსწრაფნი განმჭოლ...; რიცხვები, წნული...; სავალნი შენი ხელის მტევნის... სიფხიზლის მიერ დაჩხვერილი შენი სიზმარი...; ძაფები მზისა...; სიტყვის ნატანი, ვულკანური...; გზამოშანთული...; პასექის კვამლი, მაღლამსრბოლი, შიგან ნაგზევით...; ლიხტენბერგის თორმეტი...
გაზეთი *კალმასობა*, №9, 2004.

ივან გოლი: ასტრალი.
გაზეთი *არილი*, №18(65), 1997.

მარია ლუიზა კაშნიცი: შენი დუმილი; არდაკარგვადი; არავინ; მე და მე; წერით; ზამთრის ნაყოფი; ინტერვიუ; დასასრული.
გაზეთი *არილი*, 26 დეკემბერი, 1996.

პეტერ ჰანდკე: რა არ ვარ, არ მაქვს, არ მსურს, არ მინდა; ზოგიერთი ალტერნატივა ირიბ მეტყველებაში.
გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*, №42, 1991.

ი. გ. ჰერდერი: ტყის მეუფის ასული.
გაზეთი *რუბიკონი*, №8, 1991.

ჰანს არპი: შტრასბურგული კონფიგურაცია.
ჟურნალი *კრიტიკა*, №2-3, 1992.

ჰანს არპი: სად; ლოცვა; ცალ ფეხზე; ადამიანი ფლეიტის დამკვრელია.
გაზეთი *დებიუტი*, №3, 1993.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი: გაუჩინარებულნი; სამოციანი წლების გახსენება; camera oscura; ვაშლის დატირება; სხვა; middle class blues.
გაზეთი *არილი*, №1(93), 1998.

ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი: ქვეყნის ენა; ლექსი ლექსების არმკითხველთათვის; ლიქენთუწყება.
ჟურნალი *ლიტერატურა*, №31, 2009.

ჰანს ციბულკა: მენე თეკელ; პოეზია; მე-20 გამოშვება; აღმატებულებები; ავტოპორტრეტი; ეპილოგი.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12, 1993.

ურს მ. ფიხტნერი: ლაურა; განგაში წყვდიადში; ავე მარია; შეზღუდვებით ნებადართული; უძირითადესი მონარჩენები.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12, 1993.

აქსელ შულცე: ედმუნდ კ.; ჰარცის ხედი; სიტყვა მოულოდნელი სტუმრისადმი.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12, 1993.

რუდოლფ ოტო ვიმერი: გრძნობითი სიტყვები; განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები; დროითი წინადადებები; ფლობისმაჩვენებელი ნაცვალსახელები.
გაზეთი *მესამე გზა*, №11-12, 1993.

ზაშა ანდერსონი: ცინვალდსა და კინოფეკს შორის...; ის მოდის ჩემს საფლავთან...; დღეები დათვლილია...
ჟურნალი *პოლილოგი*, №2, 1994.

ხრისტა მოოგი: ხელქვეითი ვარ; 42-ის ივნისში ვმგზავრობდი; Wos'n Vater?; ყველა ჩემზე უნდა ლაპარაკობდეს.
ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.

იან ფაქტორი: პრაღელი მოხუცის ლექსები(რჩეული).
ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.

რუდიგერ როზენტალი: ეს ხდებოდა ისე უბრალოდ; ნახტომი; ბოლლენსდორფული ელეგია.
ჟურნალი *პოლილოგი*, №4, 1994.

თომას გიუნთერი: პარალელური გადაადგილება; ძილ-ღვიძილი; შენი დაკარგული კვალი; დილაადრიან ხუთისთვის; გამძვინვარება სექტემბერში; მოგზაურობა არარაში; ჰაიკეს; მცირე ერექცია.
გაზეთი *არილი*, №4(51), 1997

იოლანდა ბერტოლაზო: ქამელეონის კანი; ლაბირინთი; პაწია ჭრელი ჩიტის გამოსამშვიდობებელი სიმღერა; შელოცვა X-სთვის.
ჩვენი მწერლობა (გაზეთ *ახალი ეპოქის* დამატება), №39, 2001.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი: პატმოსი.
ჩვენი მწერლობა (გაზეთ *ახალი ეპოქის* დამატება), 26 აპრილი – 3 მაისი, 2002.

ნელი ზაქსი: ნაშუაღამევის გუნდნი.
ალმანახი *ახალი თარგმანები*, №4, 2005.

იანოშ ერდელუი: ინვერსია; ანაქროლი; მე ვზივარ შენი ფიქრის ზღურბლზე; ჩემი ბაგიდან შენს ბაგემდე; დავიწყება.
ჟურნალი *ზედაშე*, №3, 2006.

კარლ ვოლფი: ჩემს სახლს...; ბედნიერება; ქამელეონი; ფოთოლ-ფოთოლ; თვალნი და მზერანი; ჩვენ გვაბრმავებს...; ფეხსაცმლის გამოცვლა; კვიპაროსები.
ჟურნალი *ჩვენი მწერლობა*, №17, 2006.

უცნობი ავტორი: სიცოცხლით დაღლილი კაცის საუბარი საკუთარ სულთან.
ჟურნალი *ქართული ისტორიები*, №2, 2010.

ინგო ცეზარო: უფრთოდ; დატყვევება; ფიქრები გაქცევაზე; სრულიად უცხოთა შესახებ; გრძელი დანებით; შუშის ანგელოზები.
ჟურნალი *ლიტერატურული პალიტრა*, №10 (ოქტომბერი), 2010.

ერნსტ მაისტერი: სიბნელე; სიგრილე; თევზის დაქუცმაცება; ჩალის

თაიგული; დადგება დრო და ის კატა შენში...; APRÈS APRÈSLUDE; წარმოთქვამს ბავშვი; სხვა სახლი დამხვდა; ახლა; ადგილობრივი; უცებ; მწყემსი ქალი; მე ვნახე; მეხსიერება; ანდაზა; მე; დაცული და გამომწყვდეული; სანაპირო; მწუხარება; იცინოდნენ...; სიდამპლე დასტურყოფილია...; რაც ღმერთნი იყვნენ ერთ დროს, ისინი...; ნაყვინთავებ ქუხილთა მერე; ჩვენება; დაკითხვა; მთვარე; შესაძლოდ მყუდრო; უბრალო შესაქმე; იმ ჰარმონიაში; მიწას არ ძალუძს მეტყველება; მორიელი; ღამურების სტვენა; ფრინველთღრუბელი; ჩალის სინათლე; შაშვი; ღამეული; თქვენ, ტიტებო, ნარგიზებო; თანამდევი ვარსკვლავი; მე ვიტყვი მოსვლას; ოსტატნი კი ასე იტყვიან; ნამდვილი სუფრა; ქვათა სუნთქვა; სწორედ რომ დროა...; შენ, ვინც არ გიცი, შენი იყოს...; ეტიუდები; მაგრამ ეს არის; ამ ადგილებში; აზროვნება, ზურმუხტისფერი...; ძველი მოტივე; მეტყველება და დუმილი; ადამიანთა სიმღერა; საიმედოობა; იალკიალი...; შენ, სიკვდილზე...; მეხსიერება, დაწერილი...; თხრობა...; მე ვერ გავიგებ...; ყოფიერებად წოდებულ...; შენ, მიწაო, აღსავსეო თავისქალებით...

ჟურნალი *ლიტერატურული პალიტრა*, №11 (ნოემბერი), 2010.

ზ) თარგმანები რუსულიდან და ინკარედიდან

გიორგი გურჯიევი: სტოპ-სავარჯიშო.
გაზეთი *კაბადონი*, №1, 1990; გაზეთი *არილი*, №51, 1997.
ფრიდრიხ ჰოლდერლინი: მსჯელობა და ყოფიერება.
თვითგამოცემითი გაზეთი *შემოქმედი*, №4, 1990.
ტომას ვულფი: დღიურებიდან.
თვითგამოცემითი გაზეთი *შემოქმედი*, 4, 1990.
ნიკოლოზ რერიხი: ლადაქი.
ჟურნალი *საუნჯე*, №5, 1990.
ძია ი: ოდა ბუსადმი.
ჟურნალი *საუნჯე*, №6, 1990.
როლან ბარტი: ლიტერატურა და მეტაენა.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, მაისი, 1991.
ჰუგო ბალი: მანიფესტი ციურიხში დადაისტების პირველი საღამოსთვის.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, მაისი, 1991;
ჟურნალი *კრიტიკა*, №2-3, 1992.
ტრისტან ტცარა: დადას სიმღერა; გიიომ აპოლინერის სიკვდილი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, მაისი, 1991.
ტრისტან ტცარა: დადას სიმღერა.
ჟურნალი *კრიტიკა*, №2-3, 1992.

გასტონ ბაშლარი: წამიერება პოეტური და წამიერება მეტაფიზიკური; შაგალის ბიბლიის შესავალი.
ჟურნალი *საუნჯე,* №1, 1991.
ფილიპო ტომაზო მარინეტი: ფუტურიზმის პირველი მანიფესტი; ავიატორ-ფუტურისტი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, ივნისი, 1991.
ანდრო პალაცესკი: ნება მომეცით, ვიცელქო.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა*, ივნისი, 1991.
ფრიდრიხ ჰოლდერლინი: წერილი სუზეტა გონტარისადმი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა,* ივლისი-აგვისტო, 1991.
არდენგო სოფიჩი: საველე ჰოსპიტალი №026; უცნობი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა,* ივლისი-აგვისტო, 1991.
როლან ბარტი: ენის გუგუნი.
გაზეთი *მესამე გზა,* №3, 1991.
ელიას კანეტი: მუზილი.
ჟურნალი *კრიტიკა,* №4, 1991.
რაიმონ კენო: ბუზები; ლუტეცია, ზაფხული; სასჯელი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა,* №7-8, 1991.
არდენგო სოფიჩი: გზაჯვარედინი.
გაზეთი *ლიტერატურა და სხვა,* №7-8, 1991.
მარკ შაგალი: იაკობის კიბე; ბაღი; ჩემი ცრემლები; სამშობლო; დიდი ხანია.
ჟურნალი *საუნჯე,* №5-6, 1991.
რიჩარდ ჰუელზენბეკი: 1918 წლის დადაისტური მანიფესტი.
ჟურნალი *კრიტიკა,* №2-3, 1992.
ჰუგო ბალი: მანიფესტი ციურიხში დადაიზმის პირველი საღამოსთვის.
ჟურნალი *კრიტიკა,* №2-3, 1992.
ჰაუსმანი, ჰიულზენბეკი, გოლიშეფი: რას წარმოადგენს დადაიზმი და რა მიზნებს ისახავს იგი გერმანიაში?
ჟურნალი *კრიტიკა,* №2-3, 1992.
ტრისტან ტცარა: დადას სიმღერა.
ჟურნალი *კრიტიკა,* №2-3, 1992.
კარენ სვასიანი: პოეტი და კრიტიკოსი.
გაზეთი *რუბიკონი,* №20, 1992.
გენადი ალექსეევი: ყველაფერი რაც გაქვს...; ვბერავთ ლოყებს...; სასწაული; პორაჟენელი; ზოგი რამ ჩემი ძველი ძმაკაცის ფრანსუა ვიიონის შესახებ; მიდიოდნენ; კითხვები და პასუხები.
გაზეთი *რუბიკონი,* №21, 1992.
რობერტ მუზილი: ლიტერატორი და ლიტერატურა.
ჟურნალი *საუნჯე,* №3, 1992.
რობინზონ ჯეფერსი: კონტინენტის კიდე; ღრმა ჭრილობა; კასანდრა; ჩემი სამარე; იმ კლდეს, რომელიც...; ქვეყნიერების საოცრებანი.
გაზეთი *რუბიკონი,* №23, 1992.

ეზრა პაუნდი: ხელშეკრულება; დაშთენილთადმი; წარგზავნა.
გაზეთი *რუბიკონი,* №23, 1992.
ჟორჟი დე სენა: ეპილოგი; ქალაქი; ჰიმნი.
გაზეთი *რუბიკონი,* №24, 1992.
ხოსე ორტეგა-ი-გასეტი: ორი დიდი მეტაფორა.
ჟურნალი *საუნჯე,* №4, 1992.
ფერნანდო პესოა: უთავბოლო ლექსები.
გაზეთი *რუბიკონი,* №26, 1993.
ფერნანდო პესოა: მისალმება უოლტ უიტმენს.
გაზეთი *დებიუტი,* №3, 1993.
მიშელ ბიუტორი: შემხვედრი ნაკადები.
გაზეთი *რუბიკონი,* №32, 1993.
არკადი დრაგომოშჩენკო: სწრაფი მზე.
გაზეთი *რუბიკონი,* №33, 1993.
ელიოტ უაინბერგერი: ოცნება ინდოეთზე.
გაზეთი *მესამე გზა,* ივნისი, 1993.
ლორენს ფერლინგეტი: პოპულისტური მანიფესტი.
გაზეთი *რუბიკონი,* №34, 1993.
რობერტ დანქენი: პერსეფონე.
გაზეთი *რუბიკონი,* №36, 1993.
ჟორჟი დე სენა: თეოლოგიური ჯამი; ბედნიერება; გადამფრენი ფრინველების შესახებ.
გაზეთი *რუბიკონი,* №39, 1993.
მაქს ბენზე: ინფორმაციული ესთეტიკის შესავალი.
გაზეთი *მესამე გზა,* №№11-12, 1993.
როლან ბარტი: მწერლები და მოკალმეები.
გაზეთი *მესამე გზა,* №1, 1994.
ჟორჟ ბატაი: მსხვერპლშეწირვანი.
გაზეთი *მესამე გზა,* №1, 1994.
ანრი დელუი: ციკლიდან "ოცდაოთხი საათი და ზღვა ბაღში".
გაზეთი *მესამე გზა,* №1, 1994.
ემანუელ ოკარი: მე; 9 დეკემბერს ჩანაწერი; 27 დეკემბერს ჩანაწერი; 28 ივნისს ჩანაწერი; შენ სითეთრე ხარ ფურცლის მინდორთა.
გაზეთი *მესამე გზა,* №1, 1994.
ოლივიე კადიო: (n-1).
გაზეთი *მესამე გზა,* №1, 1994.
ფერნანდო არაბალი: პიკნიკი.
ჟურნალი *პოლილოგი,* №2, 1994.
ს. ს. ნეში: ტექსტი შემკითხველი.
ჟურნალი *პოლილოგი,* №2, 1994.
მიხეილ იამპოლსკი: საუბარი ა. სოლნცევასთან.
ჟურნალი *პოლილოგი,* №2, 1994.

ბადრი შარვაძე: მარცხი და სასრულობა.
ჟურნალი *პოლილოგი,* №3, 1994.
ჰანს კიუნგი: რელიგია ეპოქათა გარდატეხის ჟამს.
ჟურნალი *პოლილოგი,* №3, 1994.
ტადეუშ კანტორი: "თავიდანვე მიმაჩნდა..."
ჟურნალი *პოლილოგი,* №3, 1994.
აკილე ბენიტო ოლივა: ინტერვიუ.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
აკილე ბენიტო ოლივა: ხელოვნების ახალი აქტუალობა.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
ჯონ ლოგანი: სამი გადაადგილება; ახალგაზრდა პოეტს, რომელიც გაიქცა; Suzanne; დაიჯერე; სიყვარულის ლექსი.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
ლუსილ კლიფტონი: ლექსი დაკარგულ ბავშვზე; თუ მე ვდგავარ ჩემს ფანჯარასთან; ღმერთის განწყობილება; ფესვები; მის როზი; დაბრუნდით კინოდან სახლში; იდუმალ მოსეს; მას ესმის ჩემი; გაფრთხილებები.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
რობერტ დანქენი: ხშირად მეძლევა მედოუში დაბრუნების ნება; პოეზია, ბუნებრივი რამ; ასეთია ბევრი კარგი რამის ავადმყოფობა; მშვილდის მოჭიმვისას; დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა; პერსეფონე; ტორსი; დანტეს ეტიუდებიდან.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
ფრენკ ო'ჰარა: ლექსები.
ჟურნალი *პოლილოგი,* №4, 1994.
სემუელ ბეკეტი: Cascando; მე რას ვიქმოდი...; სიმღერა რეფრენით; იქით; მინდოდა ჩემი სიყვარული გარდაცვლილიყო...; მოდიან...; ჩემი გზა როგორც ქვიშა კენჭებზე...
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №2, 1996.
მიხეილ რიკლინი: მეტაფორის შიდაპირი.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №2, 1996.
ბორის გროისი: ინნოვაცია, როგორც მეორადი გადამუშავება.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №3, 1996.
ჩარლზ ოლსონი: ლექსები.
ჟურნალ-გაზეთი *±ლიტერატურა*, №4, 1996.
ანჟეი ბურსა: არარა; რწმენა; სიკვდილი სულ სხვანაირად წარმომედგინა...; შენ იცი ყველა ჩემი ხრიკი; სამგლოვიარო სიტყვა; მათხოვრობის გამართლება.
გაზეთი *არილი,* №9(56), 1997.
მარკ სტრენდი: მთლიანობის შენარჩუნება; ფოსტალიონი; პოეზიის ჭამა; ბაღი; ერთი სიმღერა; ძილი; ვეშაპებზე ნადირობა; მუდამ.
გაზეთი *არილი,* №26(73), 1997.

ანდრე ბრეტონი: სიფხიზლე; შენს ადგილზე...; მზესუმზირა; 1934 წლის მშვენიერ შუადღეს...
გაზეთი *არილი,* №42(89), 1997.
პატრიკ ფელონი: კუნძული; შესაძლოა, იეიტსი ეტერნიში იყო ნამყოფი; ქალები; მიძინება; ველად ნანახი.
გაზეთი *არილი,* №10(102), 1998.
ჯეიმს რაითი: უილიამ დალის ფერმაში; ლოცვა; გვიანი ნოემბერი; თვალი პატიოსანი; დიახ, მაგრამ.
გაზეთი *რუბიკონი,* №65, 1997.
ჰერბერტ მარკუზე: ფრაგმენტები წიგნიდან "ერთგანზომილებიანი ადამიანი".
გაზეთი *რუბიკონი,* №68, 1997.
ჟან ბოდრიარი: ფრაგმენტი წიგნიდან "ნივთების სისტემა".
გაზეთი *რუბიკონი,* №69, 1997.
ჯერომ როტენბერგი: სამი სიზმარი.
ჟურნალი *ცისკარი,* №4, 1998.
ულრიხ ცვინგლი: ანგარიში რწმენის შესახებ.
ჟურნალი *აფრა,* №4, 1998.
ჯერალდ სტერნი: პერანგის პოემა; დურგლის ტყეებში; ტირილი და ქვითინი; რომანსი.
ჟურნალი *კონტინენტი,* №2, 1999.
ჯერალდ სტერნი: ფორთოხლის ხეების სასაფლაო კრეტაზე; ბიკფორდში; ომი ებრაელების წინააღმდეგ; უფალო, შეიწყალე სული; 1978-ის დღეები; სიმღერა.
გაზეთი *ქომაგი,* №17 (15-28 სექტემბერი), 1999.

3. საქართველოში და უცხოეთში განხორციელებული ლიტერატურული პროექტები

ა) ქართული სალიტერატურო პერიოდიკის ბაზაზე განხორციელებული თემატური პროექტები

გერმანულენოვანი ლიტერატურის მოზაიკა.
გაზეთი *მესამე გზა,* №№11-12, 1993.
ფრანგულენოვანი ლიტერატურის მოზაიკა.
გაზეთი *მესამე გზა,* №3, 1991.
თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის მოზაიკა.
გაზეთი *ქართული კულტურა,* №34, 1998.
პოსტმოდერნიზმი.
ჟურნალი *ცისკარი,* №4, 1998.
ჰანს მაგნუს ენცენსბერგერი – 80.
ჟურნალი *ლიტერატურა* („ცხელი შოკოლადის" დამატება), №31, 2009.

ბ) საქართველოში განხორციელებული საგამომცემლო პროექტები: წიგნები

პოსტმოდერნი როგორც "ასეთი". პოსტმოდერნის თეორეტიკოსთა მცირე ანთოლოგია.
გამომცემლობა *მერანი.* თბილისი, 1999.
ბესიკ ადეიშვილი. ბოლო ლირიკა.
თბილისი, 1999 (თვითგამოცემა).
ული როთფუსი. ქვათა სუნთქვის შესახებ.
გამომცემლობა *პოლილოგი.* თბილისი, 2008.
ული როთფუსი. ბედნიერების კვალდაკვალ.
გამომცემლობა *პოლილოგი.* თბილისი, 2008.
დომინიკ ირტენკაუფი. ჩანაწერები საქართველოდან.
გამომცემლობა *პოლილოგი.* თბილისი, 2009.
მეტად დროული პოეტური ანთოლოგია.
გამომცემლობა *პოლილოგი.* თბილისი, 2010.

გ) საქართველოში განხორციელებული საგამომცემლო პროექტები: პერიოდიკა

ჟურნალი ***პოლილოგი.*** №№1, 2, 3, 4. 1994.
ჟურნალ-გაზეთი ± ***ლიტერატურა.*** №№1, 2, 3, 4. 1996.

დ) თანაავტორობით განხორციელებული საერთაშორისო პროექტები

ქართული მწერლობის მოზაიკა.
ჟურნალი *MISSIVES. N Spécial 1998. Paris 1998.*
თანამედროვე ქართული ლიტერატურის მოზაიკა.
ჟურნალი *Salz. Zeitschrift für Literatur. Heft 115 / März, 2004. Salzburg 2004.*
მითოლოგიური თემატიკა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.
International Poetry Review. Vol. XXXV, Spring 2009, Number1. Greensboro (USA).

დ) საგამომცემლო სერია „თანამედროვე საზღვარგარეთული ლირიკა"

წიგნი პირველი: მარიანა გრუბერი. ვართ თუ არა, მე ეს არ ვიცი.
თბილისი, 2008.
წიგნი მეორე: მანფრედ ხობოტი. იდუმალი ლანდშაფტი.
პოლილოგი. თბილისი, 2009.

წიგნი მესამე: სადაა ჰენდოო. მონღოლური იურტა.
პოლილოგი. თბილისი, 2010.

ე) XX საუკუნის ავსტრიული პოეზია. მასალები

ტ. I ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი; რიხარდ ფონ შაუკალი.
საარი, თბილისი, 2006.
ტ. II გეორგ თრაკლი.
საარი, თბილისი 2006.
ტ. III რაინერ მარია რილკე.
საარი, თბილისი 2007.
ტ. IV ანტონ ვილდგანსი; ალბერტ ერენშტაინი; ფელიქს ბრაუნი.
საარი, თბილისი 2007.
ტ. V ფრანც ვერფელი; ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენია.
პოლილოგი, თბილისი, 2010.
ტ. VI იოზეფ ვაინჰებერი.
პოლილოგი, თბილისი, 2009.
ტ. VII ა. ი. კიონიგი; პაულა ფონ პრერადოვიჩი; ერიკა მიტერერი.
პოლილოგი, თბილისი, 2010.
ტ. XII ინგებორგ ბახმანი.
პოლილოგი, თბილისი, 2010.
ტ. XIII ქრისტინე ლავანტი; ქრისტინე ბუსტა.
პოლილოგი, თბილისი 2008.
ტ. XIV ჰანს კარლ არტმანი.
პოლილოგი, თბილისი, 2008.

4. უცხო ენებზე გამოქვეყნებული ტექსტების ბიბლიოგრაფია

BUCHVERÖFFENTLICHUNGEN:

Das Dreieck der Kraniche.
Pop Verlag, Ludwigsburg, 2007.
Die Poetik der folgenden Sekunde.
Edition Milo im Drava Verlag, Klagenfurt/Celovec 2008.
Wesentliche Züge und zwölf andere Gedichte.
Mischwesen Verlag, München,2010.

EINZELNE PUBLIKATIONEN:

LYRIK:

Les oubliés; Autoportrait sentimental; Sur la trace du songe.
In: *MISSIVES. La revue de la Société Littéraire de la Post et de France Telecom. N Spécial 1998. Paris 1998. S. 115-117.*

Les oubliés.
In: *Diagonales Est-Ouest. N 55 septembre-octobre 1998. Paris 1998. S. 17.*

Frühling.
In: *Literaturhaus am Inn, Programm 3, Mai/Juli 2001. Innsbruck.*

Какприкосновениеиличутьбольше;Садовник;МаргаретТракль; ЭзраПаунд;Преданныезабвению;РеляцияI;РеляцияII.
In: *АБГ. Русский поэтический журнал. N2, 2001. S. 20-27.*

Palmsonntag.
In: *Die Literaturen der Völker Kaukasiens. Neue Übersetzungen und deutschsprachliche Bibliographie. Von Steffi Chotiwari-Jünger. Reichert Verlag Wiesbaden 2003. S.* 66.

Ein Fragment des Briefes von Proteus (Aus dem Lyrikzyklus „Gesänge des Seeufers").
In: *Salz. Zeitschrift für Literatur. Heft 115 / März, 2004. Salzburg 2004.*

Es regnet und die Menschen… (Aus dem Lyrikzyklus „Gesänge des Seeufers").
In: *Salz. Zeitschrift für Literatur. Heft 116 / Juni, 2004. Salzburg 2004.*

Gedichte aus dem Sammelwerk „das Dreieck der Kraniche".
In: *Matrix. Zeitschrift für Literatur und Kunst. N4, 2007(10). Ludwigsburg 2007. S. 25-26.*

Klassische Disharmonie.
In: Georgica. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens. 2007, Heft 30. S. 151.

Crane Triangles; Ezra Pound.
In: *World Poetry almanac 2008. Ulaanbaatar 2008. S. 86-87.*

The Ode dedicated by Daedalus to Ariadne and presented to Perseus which according to the assertions of the Alexandria scholars may have been written many years or even centuries before Ariadne was abandoned by Theseus.
In: *International Poetry Review. Vol. XXXV, Spring 2009, Number 1. S. 90-105. Greensboro (USA).*

genius loci.
In: *Freitag. Die Ost-West-Wochenzeitung. 11. November 2009 (Online-Version).*

Der Dachdecker; Vom Erhabenen.
In: *Projektdokumentation INTERLESE 2009 des Frierich-Bödecker-Kreises in Sachsen-Anhalt e. V. Möser 2009. S. 46-53.*

genius loci.

In: In: *Freitag. Die Ost-West-Wochenzeitung. 11. November 2009.*

In: *World Poetry almanac 2008. Ulaanbaatar 2009. S. 91-93.*

In: *Der Jaguar im Spiegel. Pop Verlag, Ludwigsburg 2010. S. 170-173.*

In: *Grenzverkehr II.. Drava Verlag, Klagenfurt 2010. S. 28-31.*

Endlich; Es könnte sein.

In: *Oda. Blätter für Literatur. #3, 2010. S. 15-16.*

Anrufung; Meditation über die unwichtigen Details.

In: *Minden slamt! Poetry Slam Anthologie. Minden 2010. S. 15-17.*

PROSA, ESSAYS UND INTERVIEWS:

Tradition et modernité de la littérature géorgienne.

In: *MISSIVES. La revue de la Société Littéraire de la Post et de France Telecom. N Spécial 1998. S. 9-15. Paris.*

Плохойрепортаж(*главаизромана“ДругаяпятаАхилла”*).

In: *Textonly, issue 8. Moskau.*

Между«ничто»и«нечто»:наблюдениягрузинскогописателя.

In: *Неприкосновенный запас. 2003, №1. Moskau.*

Einführung in die postsowjetische georgische Literatur.

In: *Salz. Zeitschrift für Literatur. Heft 115 / März, 2004. Salzburg 2004. S. 4-10* (zusammen mit Bela Tsipuria).

Begleitende Gedanken.

In: *Angela Litschev, Eine rote Minute. Mischwesen-Verlag, München & Neubiberg, 2005. S. 3-8.*

Über die andere Erfahrung.

In: *Buchkultur. Das internationale Buchmagazin. Wien .Heft 106 / August-September, 2006. S. 66.*

Den Faden weiterspinnen.

In: *Freitag. Die Ost-West-Wochenzeitung. N37 / 12. Berlin. September 2008.*

Wozu die reale Welt?

In: *KulturKontakt. Wien. Herbst/Winter 2008.*

Закаквониереалниятсвят?

In: *Златните пера на черноморието. София 2009.* S. 57-59.

Поэзияиполитика.

In: *Журнал „Новая Юность”. Moskau. №4(91), 2009.*

Als Schriftsteller im postsowjetischen Georgien: das Interview mit Dato Barbakadse.

In: *EUROPA ETHNICA. Zeitschrift für Minderheitenfragen. 3/4 2009 (Schwerpunkt „Kaukasus”), S. 138-144.*

შინაარსი

ერთგვარი წინასიტყვა 5

მხატვრული პროზა

მუტაცია 19
აქილევსის მეორე ქუსლი 87

წერილები. საუბრები. პოლემიკა. რეცენზიები. განმარტებები

თებერვალი დადგაო... 359
ადამიანი მიიღებს სამყაროს ისეთს, როგორიც არის 375
მთავარია, ყოველთვის მთლიანად ვიყოთ იქ, სადაც ვიმყოფებით 395
ტრფობა წამებულთა 410
"მუტაცია": კომუნიკაციის უარყოფა და სიტყვის წესრიგი 424
ვერლიბრი და ქართული ლექსის ტრადიცია 436
რა თქმა უნდა, გარეუბანი 449
ჩურჩულისთვის, ხმაურის გავლით 456
რაღაც მოკვდა, მაგრამ არა – სიკვდილი 463
მოდა და ავანგარდი 469
ტოპოსის კვალდაკვალ და მიღმა 477
პოსტმოდერნი და საქართველო 482
უზნეობის მსხვერპლი 491
ჩემი საუბრის თემა კულტურის შეუძლებლობის ფენომენი იქნება 499
"უზნეობის მსხვერპლი" სწორედ "ტრფობა წამებულთას" ავტორს უნდა დაეწერა 506
მომავალი თაობების კეთილდღეობაზე საქმიანი ზრუნვის ქართული გაგებისთვის 517
ქვეტექსტის (გ)ასახსნელად 528
ჩვენ არც აწმყოში ვცხოვრობთ და არც წარსულში, ჩვენ მარადიულ მომავალში ვცხოვრობთ 537
განსხვავებულის მიმოქცევა 553
სიყვარულის ახსნა თუ ბუჩქნარიდან ხელაჩქარებით თვალთვალის მ(?)ტ(?)ფიზიკა? 561

პირველი მერცხალი - ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეული 594
"საზოგადოებაში, სადაც მწერლობა უკვე ან მთლიანად გარემოს ემს-
გავსება ან ამ გარემოს დეკორატორის ფუნქციას ასრულებს,
მკითხველი ყოველთვის დამცირებული და შეურაცხყოფილია" 602
"მაპატიეთ, მაგრამ მე ამ კაცზე მეტი არაფერი მაქვს სათქმელი" 617
მცირე, მაგრამ აუცილებელი შენიშვნა ერთ დიდ სიბრიყვეზე 625
“აღმოსავლეთში შემოქმედის ადგილი ყოველთვის უმცირესობაშია” 631

პასუხები პრესის კითხვარებზე

თანამედროვე ქართული საზოგადოების ღირებულებათა სისტემა 653
XX საუკუნის ჯვაროსნები 656
დაუმთავრებელი სამამულო ტელესერიალი 660

დანართი: სტუდენტური ცდები

არ მოქმედებს და არც ისვრება 667
ის იყო სრულიად მარტო 675
სიკვდილის ფუგა 690
გაუცხოებული ეპოქა და გაუცხოებული ადამიანი 699

შენიშვნები 719
ბიბლიოგრაფია 731

დათო ბარბაქაძე დაიბადა 1966 წელს ქ. თბილისში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის 117-ე საშუალო სკოლა; 1984 წელს - თბილისის 38-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ამწყობი ზეინკლის სპეციალობით; 1991 წელს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1992-94 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში (თსუ სოციოლოგიის კათედრაზე), რომელიც არ დაუმთავრებია. 1991 წელს დააარსა სალიტერატურო ვიდეოჟურნალი „დათო ბარბაქაძის ჟურნალის“ სახელწოდებით, რომელიც პერიოდულად პრეზენტირდებოდა თსუ-ში 1994 წლამდე (პრეზენტირდა ექვსი კომპლექსური და ამდენივე პერსონალური ნომერი). 1994 წელს თსუ-ში წაიკითხა თერთმეტი ლექციისგან შემდგარი კურსი, რომელიც მიეძღვნა მიმდინარე ევროპული ლიტერატურულ-ფილოსოფიური კონტექსტისა და მისი ისტორიის ანალიზს, ასევე – თვით დათო ბარბაქაძის პოეზიის თეორიული საფუძვლების კონკრეტულ ანალიზს. ამავე წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალი „პოლილოგი“ (გამოიცა ოთხი ნომერი). 1996 წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთი „±ლიტერატურა“ (გამოიცა ოთხი ნომერი). 1990 წლიდან 2001 წლამდე უძღვებოდა აკადემიურ სალექციო კურსებს დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სადაც 1996-2001 წლებში კითხულობდა ლოგიკის კურსს. 2002-2005 წლებში, როგორც თავისუფალი ლიტერატორი, ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც, იმავდროულად, მიუნსტერის უნივერსიტეტში სწავლობდა ფილოსოფიას, ძველ ისტორიას და სოციოლოგიას. 2005-2008 წლებში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა *ირმის ნახტომის* არასაგნობრივი პროექტების კოორდინატორი. გამოცემული აქვს ოცდაათამდე წიგნი (პოეზია, პროზა, ესსეისტიკა, თარგმანი). მისი ნაწარმოებები თარგმნილი და გამოქვეყნებულია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ასევე პოსტსაბჭოეთის ხალხთა ენებზე. საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული აქვს არაერთი პრემია და სტიპენდია. 2005 წელს დაიწყო მე-20 საუკუნის ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეული საგამომცემლო პროექტის განხორციელება. ქართულ სამწერლო და ზოგადად კულტურულ სივრცეში გაბატონებული არაკოლეგიალობისა და კლანურობის, უბინძურესი მორალური ატმოსფეროს, ტოტალურად პოლიტიზებული და კონფორმიზმში ჩაფლული ფსევდოხელოვნების, ყველა დონეზე კულტურით მანიპულირების, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი უნიჭობისა და საშუალოობის ყოვლისმომცველი აღზევების მიმართ პროტესტის ნიშნად 2007 წლიდან უარი თქვა საქართველოში საკუთარი პოეტური, პროზაული და ესსეისტური შემოქმედების გამოქვეყნებაზე და მხოლოდ მთარგმნელობითი პროექტების განხორციელებით შემოიფარგლა.